თამარ გომართელი

# ისნის მუშათა თეატრები და გორკის კულტურის სახლის მხატვრული თვითმოქმედება

ხელოვნება●თბილისი●1976

792 (C41)
792 (47. 922)
ზ 661

მუშათა თეატრები გასული საუკუნის დასასრულისა და ჩვენი საუკუნის დასაწყისიდან წარმოადგენდა რევოლუციურ კერებს და აღაგზნებდა მშრომელ მასებს ბრძოლისაკენ.

პროფესიული თეატრების დაარსებას თბილისში, ქუთაისში, ბათუმში არ შეუწყვეტია თვითმოქმედი თეატრალური ხელოვნების ნაკადი, პირიქით, მათი ზეგავლენით თვითმოქმედი წრეების მოღვაწეობა უფრო სრულფასოვანი, მხატვრულად ძლიერი შეიქმნა. ხოლო თვითმოქმედი თეატრი იყო უშრეტი წყარო, საიდანაც კვლავ ნიჭიერ ძალებს იკრებდა პროფესიული თეატრი.

წიგნში მიმოხილულია გზა, რომელიც განვლო მურაშკოს, არაქსიანის, ხარფუხის, ორთაჭალის, ნავთლუღის მუშათა თეატრებმა დაარსებიდან დღემდე და ის მრავალფეროვანი, საინტერესო და შინაარსიანი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, რასაც ამჟამად ეწევა გორკის სახელობის თბილისის კულტურის სასახლის მხატვრული თვითმოქმედება.

M—605

80105

76 ადგ.

© გამომცემლობა „ხელოვნება", 1976.

არ არის მკვდარი,
ვინც მოკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია.

**ი. მაჭავარიანი**

## ნაწილი პირველი

# თავი პირველი

### პირველი მუშათა თეატრი ისანში

დიდი რევოლუციური წარსულის მქონე ძველი თბილისი და მისი ერთ-ერთი უძველესი დიდი უბანი ისანი... მას შემდეგ საკმაო ხანმა განვლო, ისანს ავლაბარი ეწოდა. ავლაბარი ჩუღურეთს, სვანეთის უბანსა და ნაძალადევს გადაება თავისი მჭიდრო დასახლებული მუშათა უბნებით, რომლის წარსულს ამკობს არა მარტო მრავალი დემონსტრაცია-მიტინგები, არამედ საქვეყნოდ ცნობილი ავლაბრის არალეგალური სტამბა, დღესაც რომ განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი.

რევოლუციური მოძრაობის პერიოდში თბილისის განაპირა უბნებში მცხოვრები მშრომელი მოსახლეობის რევოლუციურად გამოფხიზლებასთან ერთად, იწყება მათი პოლიტიკურ-კულტურული გათვითცნობიერებაც, იბადება და იზრდება კულტურული ცხოვრების აუცილებლობა.

რევოლუციურად განწყობილი მუშების გათვითცნობიერების საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებდა ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც მოწინავე იდეებით იყო გამსჭვალული და ზრუნავდა მშრომელი მასების წინსვლისათვის.

რევოლუციის განვითარებასა და მის საბოლოო გამარჯვებას მნიშვნელოვნად უწყობდნენ ხელს სახალხო თეატრები, რომლებიც ასრულებდნენ როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, ასევე პოლიტიკური ტრიბუნის როლს.

არალეგალური მარქსისტული წრეების ზეგავლენით, ფაბრიკა-ქარხნების,

რკინიგზის მთავარი სახელოსნოების, ტრამვაისა და სხვა საწარმოთა მოწინავე მუშების ინიციატივით იწყება სახალხო თეატრების ჩასახვა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის პირველი რევოლუციის მზადების წლებში და თვით რევოლუციის პერიოდშიც ავჭალის აუდიტორიის, ავლაბრის, ბათუმის და სხვა სახალხო თეატრები მუშათა კლასის ბრძოლის კერებად გადაიქცნენ. აქ ეწყობოდა არალეგალური კრებები, აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს რევოლუციონერები, ვრცელდებოდა პროკლამაციები და სხვა არალეგალური ლიტერატურა, ინახებოდა საბრძოლო იარაღი და სხვ. ასე რომ, ავლაბრის სახალხო თეატრი, არსებითად, წარმოადგენდა რევოლუციური პროპაგანდის კერას, მუშათა პოლიტიკური განვითარების სამჭედლოს.

მუშათა თეატრი საქართველოს მუშათა მოძრაობის პირმშოა. სცენაზე რომ ფარდა აიხდებოდა, სცენის მიღმა არალეგალური წრეები იწყებდნენ მუშაობას.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. გოცირიძე თავის მოგონებაში წერს: „მუშათა აუდიტორიებს ფართო მიზანი ჰქონდა დასახული. წრის წევრები არალეგალურ მუშაობას ეწეოდნენ, აუდიტორია მათთვის კარგი ბინა იყო. ვითომდა რეპეტიციისათვის შეკრებილნი ნამდვილად საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობდნენ და ბრძოლის გეგმებს აწყობდნენ“[1].

ამრიგად, მუშათა მოძრაობის აღმავლობის პერიოდში ჩასახული და განვითარებული სახალხო თეატრი მუშათა კლასის განვითარების, ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად იქცა.

„სახალხო თეატრის ინიციატორებს შეზღუდული მიზანი ჰქონია დასახული: ხელმისაწვდომ, იაფ ფასებში ეჩვენებინათ „მდაბიო“ მაყურებლისათვის იგივე პიესები, რაც პროფესიულ თეატრს ჰქონდა რეპერტუარში. პირველი ასეთი წარმოდგენა დაკლებულ ფასებში თბილისის დრამატულმა დასმა 1881 წლის 6 დეკემბერს (კვირადღეს) გამართა. წარმოდგენილი იყო ზ. ანტონოვის კომედია „მზის დაბნელება საქართველოში“. „სპექტაკლმა აუარებელი ხალხი მიიზიდა. პეტრე უმიკაშვილმა გაზეთ „დროებაში“ საგანგებო სტატია მიუძღვნა ამ ფაქტს. იგი აღტაცებით აღნიშნავდა წარმოდგენის წარმატებას, მაგრამ ამასთან ერთად წერდა, სახალხო თეატრს თავისი სპეციალური რეპერტუარი ესაჭიროებაო, რათა „მაყურებლის გულში აინთოს სიმართლის, პატიოსნების, მეგობრობის, უანგარობის, ერთგულების და კაცის სიყვარულის ძლიერი ლამპარი“[2].

დიდ ყურადღებას აქცევდა 90-იან წლებში სახალხო თეატრის საკითხს

---

[1] ნ. გოცირიძე, მოგონებანი, გამომც., ხელოვნება 1949, გვ. 43.

[2] ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, № 9, გვ. 17.

პროგრესული გაზეთი „ივერია“. ის მოითხოვდა, რომ ჩვენი პროფესიული თეატრი ნამდვილად სახალხო ყოფილიყო. 1896 წელს გაზეთში (№ 44) ვკითხულობთ: „...აწინდელი ქართული სცენა სახალხო არ არის და ამიტომ სავსებით არ ასრულებს თავის მოვალეობას. ვინ ამბობს, რომ დიდკაცობისათვის და შეძლებულთათვის თეატრი საჭირო არ არის — იქნებ მათ უფრო ესაჭიროებოდეთ თეატრი, იქნებ სწორედ იმათთვისაც შემოეღოთ პირველად თეატრი, მაგრამ მდაბიო ხალხის ესთეტიკურ შიმშილსა და წყურვილსაც ყურადღება უნდა მიექცეს. თეატრი საყოველთაოა და საეროვნო სახლად უნდა გარდაიქმნეს, სცენა საერთო აუდიტორიად უნდა გადაიქცეს“... წერილში აღნიშნულია, რომ თეატრი ხალხისათვის, უმრავლესობისათვის დახშულია და „თითქოს საკუთრებაა იმათი, რომელთაც სასცენო საქმე გასართობად, ცარიელ დროს გასატარებლად, თვალისათვის წყლის დასალევინებლად მიაჩნიათ“ ...ბოლოს ნათქვამია, რომ „საჭიროება და ხალხის მოთხოვნილება პირდაპირ გვიჩვენებს, თუ რა მიმართულებას უნდა დაადგეს სათეატრო საქმე და დრამატული საზოგადოების მოღვაწეობა“[1].

მუშა-ხელოსნების წარმოდგენები საქართველოში, ჯერ კიდევ კანტიკუნტად, 80-იან წლებში გამართულა. პრესაში შემორჩენილია ცნობები ერთი ასეთი წარმოდგენის შესახებ: საქართველოში ჯერ კიდევ 80-იან წლებში იმართებოდა მუშა-ხელოსნების წარმოდგენები. მაშინ დასში, რომლის სულისჩამდგმელიც ვანო მჭედლიშვილი იყო, შედიოდნენ შემდეგი პირები: ა. ადამიძე, გ. თოდაძე, მ. თოიძე (მხატვარი), გ. კანდელაკი, მ. ვაშაკიძე, ზ. ჩოდრიშვილი (გარდაიცვალა კატორღაში) და სხვ.

1884 წელს, 14 იანვარს ზემოხსენებულ პირთა მონაწილეობით, — ვკითხულობთ 1912 წლის 8 იანვრის „ცნობის ფურცელში“, — ივანე მჭედლიშვილმა ჩუღურეთში, მაკა თოიძის სახლში გამართა პირველი წარმოდგენა „ყაჩაღი არსენა“. არსენას როლს ასრულებდა ვანო მჭედლიშვილი.

„გაზეთ „ივერიის“ ცნობით (1887 წ. № 175) კუკიაში, 1887 წლის აგვისტოს თვეში, წარმოდგენა გამართულა ხელოსან აბრამა ციმანაურის თაოსნობით. წარმოდგენის მონაწილენი ყოფილან მუშა-ხელოსნები; უთამაშიათ ცაგარლის კომედია „ხანუმა“. წარმოდგენას 80-მდე ხელოსანი და მათი ხიზანი დასწრებია. გაზეთი „ივერია“ აღნიშნავს, რომ ამ საქმის მოთავენი ჩივიან, ხელშემძლევანელი არ გვყავს და ძალიან გვჭირდება საქმის საქმეზე მიყვანა. მარტო პოლიციისაგან ნებართვის აღება გვიჭირვებს საქმესო[2].

---

[1] ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, № 9, გვ. 17—18.

[2] იქვე, გვ. 18.

სახალხო თეატრის ცნობილი მოღვაწის გიორგი ჯაბაურის მოწმობით, ამ დროს უკვე არსებობდა სახელოსნო სკოლის მუდმივი დრამატული წრე, რომელიც წარმოდგენებს მართავდა ჩუღურეთში, კუკიასა და ავლაბარში. ასეთივე წარმოდგენები იმართებოდა „ვეტცელის სასტუმროში“ (ახლანდელი სასტუმრო „რუსთავი“), რენესანსის ბაღში, პოლონეთის სახლში, გერმანელთა კლუბში, ბირჟის დარბაზში, ძმებ ნიკიტინების ცირკში.

მართალია, ამავე ხანებში სათავადაზნაურო ქარვასლაში არსებობდა ქართული დრამატული დასი, მაგრამ ამ წარმოდგენებს მუშა ხალხი ნაკლებად ეტანებოდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს თეატრი დიდ მანძილზე იყო დაშორებული ღარიბთა უბნებს და, მეორეც, წარმოდგენების ფასი მუშა ხალხისათვის მიუწვდომელი იყო.

ამ თეატრში მდაბიოთათვის, ე. ი. „შავი ხალხისათვის“, მხოლოდ ქანდარა იყო განკუთვნილი. ყარაჩოხელების, მუშა ხალხის გამოჩენას პარტერში უფროთხოდნენ ჩვენი „კნეინა-კნიაჟნები“ და მათი თანმხლები კავალერნი, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულმა სცენამ ხელოვნებისადმი ინტერესი გაუღვივა ხალხს. ჩვენს ეროვნულ განვითარებას დიდად შეუწყო ხელი და მისი გავლენით, მისი მიბაძვით, ქალაქის გარეუბნებშიც ჩამოყალიბდა სცენისმოყვარეთა საოჯახო-შინაურული წარმოდგენების მმართველი წრეები, უფრო მოძველებული რეპერტუარით „კატა აწონა“, „კაპიშონი“, „ძუნწი“ და სხვ. ამ საეზოო-საოჯახო წარმოდგენებს ახლო მეზობლებიც ესწრებოდნენ ხოლმე ფასით ან უფასოდ. წარმოდგენა იმართებოდა ღია ცის ქვეშ, ეზოებში, აივნებზე, ხანდახან ოთახებში, სადაც ფარდისა და დეკორაციის მაგივრობას სწევდა ხალიჩა, ზეწარი, საბნის პირი და სხვ.

და აი, ნიკიტინების ცირკის შენობაში მომუშავე არტისტების წაბაძვით სახელოსნო სკოლის მოწაფეებსაც დაუწყიათ თავიანთ უბნებში წარმოდგენების გამართვა. ამ მიზნით გ. ჯაბაურს, ი. ძნელაძესა და ს. დავითაშვილს შეუდგენიათ პატარა დასი ავჭალის მიდამოებში, წმინდა ნინოს უბანში. ამ ჯგუფს შეერთებიან სხვა უბნის ახალგაზრდა სცენისმოყვარენიც და დაუარსებიათ სცენისმოყვარე ხელოსანთა ამხანაგობა და რევაზოვის ქუჩაზე, ზაქარია მჭედლიშვილის სახლის დერეფანში გაუმართავთ პირველი წარმოდგენა — ორმოქმედებიანი კომედია მეღვინეთხუცესოვის „კატა აწონა“, სადაც ვაჭარს თამაშობდა გიორგი ჯაბააური, ხოლო მის მეუღლეს — ისაკ ძნელაძე (ამ დროს ქალები სცენაზე არ გამოდიოდნენ). შესვლა უფასო ყოფილა, წარმოდგენას აუარებელი ხალხი დასწრებია და პიესაც, რადგან სასაცილო იყო, ძალზე მოსწონებიათ.

ეს ყოფილა სცენისმოყვარე ხელოსანთა პირველი საჯარო გამოსვლა 1891

წლის ზაფხულის ერთ-ერთ კვირა დღეს. მაშასადამე, 1891 წელი საუბნო თეატრის ჩამოყალიბების არაოფიციალურ თარიღად შეგვიძლია მივიჩნიოთ. პირველ წარმოდგენას ამხანაგობა დიდად გაუხალისებია. რაკი პირველი სპექტაკლის სიტკბოება უგემიათ და სცენისადმი სიყვარული ძვალსა და რბილში გასჯდომიათ, რაკი ტაშის ძლევამოსილი ძალა უგვრძნიათ და თეატრის სენს შეუპყრიათ, უკან აღარ დაუხევიათ და დაწყებული საქმე გაუგრძელებიათ. ამას მოჰყოლია მეორე წარმოდგენა, მეორეს მესამე და დასს მოგზაურობა დაუწყია უბნიდან უბანში. წარმოდგენები იმართებოდა წმინდა ნინოს სასაფლაოს მახლობლად, ხან ანდრეევის ქუჩაზე, ხან ხარფუხში, ხან კი ამირან ნიკოლოსოვის სახლში. წარმოდგენები, ცხადია, არ ყოფილა ნებადართული და, ადვილი მისახვედრია, რამდენი გაჭირვება უნდა გადაეტანათ მის ჩასატარებლად.

ამ საუბნო წარმოდგენებს უფრო სერიოზული ხასიათი მიცემია 1892 წელს, როცა სცენისმოყვარეებს თანდათან შეემატნენ სახელოსნო სკოლის მოწინავე მოწაფეები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სკოლის მოსწავლეებს ასწავლიდნენ თურმე ცნობილი მასწავლებლები: ვ. რცხილაძე, მ. ბეჟანიშვილი, ზ. კანდელაკი და სხვები, რომლებიც მოწაფეებს უნერგავდნენ პროგრესულ აზრებს, ულვივებდნენ მამულიშვილურ გრძნობებს და ამხედრებდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

მოწინავე ახალგაზრდობას დაუარსებია სცენისმოყვარე ხელოსანთა ამხანაგობა. თავმჯდომარედ აურჩევიათ ვ. თევდორაშვილი, წესდების შედგენა დაუვალებიათ ი. იმედაშვილისათვის, წარმოდგენის საერთო ხელმძღვანელობა მიუნდვიათ გ. ჯაპარიძისათვის, წევრებად აურჩევიათ: დ. მშველიძე, მ. მჭედლიშვილი, ი. ძნელაძე, ა. ნიკოლოსოვი, შ. თუშმალიშვილი და სხვ.

ავჭალის სცენისმოყვარეებს თავიანთი სამოქმედო გეგმა და წესდება შეუმუშავებიათ. წესდებაში აღნიშნული ყოფილა ამხანაგობის მიზანი, სახელდობრ, უფასო სპექტაკლების მოწყობა, სამკითხველოს გახსნა, და მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებანი. ვინაიდან სპექტაკლების მოწყობას მცირედი ხარჯები სჭირდებოდა, დაუდგენიათ ამხანაგობის თითოეულ წევრს სალაროში თვეში ათი შაური შეტანა. წესდება ითვალისწინებდა აგრეთვე რეპეტიციაზე დაუგვიანებლივ გამოცხადებას, რეჟისორის განკარგულების უსიტყვოდ შესრულებას და სხვ.

საუბნო წარმოდგენები 1893 წლამდე გაგრძელებულა, ვიდრე „ავჭალის აუდიტორია“ შეიქმნებოდა. უკანასკნელი წარმოდგენა გამართულა ახლანდელ საბჭოს ქუჩაზე, დოდაშვილის სახლში. წარმოდგენილი ყოფილა ვალ. გუნიას „და-ძმა“ და ამით დასრულებულა სცენისმოყვარეთა ეზო-ეზო ხეტიალი.

საქმეს თანდათან სერიოზული ხასიათი მიუღია და აი, 1893 წელს ამ ახალ-

გაზრდა მოწინავე მუშების ინიციატივით, რომლებსაც მხარში ამოდგომიათ პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენცია თ. სახოკია, ს. მგალობლიშვილი, მ. დემურია, ნ. და ი. ნაკაშიძეები, ავჭალის ქუჩაზე დაუარსებიათ თეატრი „ავჭალის აუდიტორია".

მაშასადამე, სახალხო თეატრის ოფიციალური თარიღია 1893 წლის 23 სექტემბერი. პირველ სპექტაკლად აურჩევიათ ავქს. ცაგარლის „რაც გინახვს, ვეღარ ნახავ". მაგრამ კატინას როლის შემსრულებელი ქალი არ ჰყოლიათ. თუ „უბნების დასში" ბიჭი თამაშობდა ქალის როლს, ახლა ეს აღარ შეიძლებოდა, რადგან ოფიციალური წარმოდგენა იყო. მოუძებნიათ მოსარეცხე ქალი იმედოვა, რომელსაც კითხვა არ სცოდნია და როლი ზეპირად შეუსწავლია. ამ ოფიციალური წარმოდგენის დროს ამხანაგობას შემომატებია ვ. თუშმალიშვილი, გ. მურმანიშვილი, დ. სხირტლაძე, ი. ინასარიძე და ი. სუხიშვილი.

საუბნო წარმოდგენებს რეჟისორობდა გ. ჯაბაური. ახლა რაკი ოფიციალურად მართავდნენ წარმოდგენას, რეჟისორად, როგორც მათში უფრო გამოცდილი, იოსებ იმედაშვილი აურჩევიათ და შედგომიან სპექტაკლის მომზადებას.

დადგა პრემიერის დღეც. წარმოადგინეს აქვს. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". ეს სათაური მაყურებელში შემდეგ ასოციაციას იწვევდა: თავადების ბატონობა და პარპაში აილაგმებოდა და მათი უღლისაგან განთავისუფლებული ხალხი თავისუფლად ამოისუნთქავდა. ეს იყო მარტივ სიუჟეტზე აგებული კომედია, მაგრამ დიდი იდეის მატარებელი. ეს იდეა სცენიდან უფრო საშიში მოსასმენი ხდებოდა მოხელე-ჩინოვნიკებისათვის.

მეორე წარმოდგენა იყო ვალ. გუნიას „და-ძმა". ამ დადგმის დროს ამხანაგობას შემოუერთდა მოწაფე ქალი ეკ. იოსელიანი და მარინეს როლი ითამაშა. ეკ. იოსელიანი იყო პირველი სცენისმოყვარე ქალი, რომელმაც გაბედა სახალხო თეატრის სცენაზე თამაში. იმ დროს ქალებს სირცხვილად მიაჩნდათ სცენაზე გამოსვლა, რაც ძალიან აფერხებდა მუშაობას.

ხალხსა და სცენისმოყვარეთა შორის გაიბა სულიერი კავშირი. ყოველ წარმოდგენას აუარებელი ხალხი ესწრებოდა, განსაკუთრებით მუშები და მათი ოჯახის წევრები, თანდათან გაჩნდნენ სცენისმოყვარე ქალები. ამ ამხანაგობას დიდად დაეხმარა გ. ჯაბაურის ყოფილი მასწავლებელი ეკ. ასათიანი. მან თავის სასწავლებლის მოსწავლეებს გააბედვინა მონაწილეობა მიეღოთ სახალხო წარმოდგენებში. რადგან სცენისმოყვარე ქალები აღარ თაკილობდნენ მამაკაცებთან სცენაზე გამოსვლას, დაუდგამთ უფრო რთული პიესები... განსაკუთრებით მოსწონდათ მოწაფე ქალი ეკ. იოსელიანი, რომელიც „და-ძმაში" მარინეს და „არსენაში" ნინოს როლს დამაჯერებლად ასრულებდა.

მესამე სპექტაკლად წარმოუდგენიათ ალ. ყაზბეგის „არსენა“. ამ პიესაში ეკ. იოსელიანი ნინოს როლს ასრულებდა, ხოლო გ. ჯაბაური არსენას როლს. ასე თანდათან დაუწყიათ წარმოდგენების მართვა და მალე საზოგადოების ყურადღება მიუქცევიათ. ბევრი ინტელიგენტი ქალი და კაცი შემოუერთებიათ, ზოგი გამგეობის წევრად აურჩევიათ, ზოგიც სპექტაკლებში მონაწილეობდა.

მათ დადგმებში მონაწილეობას იღებდა გაზეთ „კვალის“ ერთ-ერთი თანამშრომელი სოფიო ციციშვილი. მისი მეშვეობით წრის წევრებს გაუცვნიათ ანასტასია წერეთელი (გაზეთ „კვალის“ რედაქტორი) და მისი მეუღლე, ცნობილი მწერალი და თეატრალური მოღვაწე გიორგი წერეთელი. გ. წერეთელმა წრეს დიდი ყურადღება მიაქცია და ყოველმხრივ დაეხმარა. რომ უკეთ წარემართათ საქმე. სისტემატურად უმართავდა წრის წევრებს საუბრებს საქართველოს ისტორიაზე და უნერგავდა სამშობლოს სიყვარულს. გ. წერეთლის ღვაწლი ფასდაუდებელია ჩვენთვის, რადგან მან მუშებს აუხილა თვალი და ხალხს სიყვარული შთაუნერგა. იგი მუშების მეგობარი, მათი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი იყო.

ასევე, ს. ციციშვილის მსგავსად, ქალთა ერთმა ჯგუფმა: ე. წულუკიძემ, ნ. ლომოურმა, ნ. ყიფიანმა, ო. აგლაძემ, ნ. ნაკაშიძემ, ა. ჩაჩიბაიამ და სხვებმა ითავეს მუშების გათვითცნობიერება, მათი კულტურული დონის ამაღლება.

ეს ქალები აწყობდნენ ე. წ. „სახალხო კითხვებს“ და მართავდნენ შინაურულ წარმოდგენებს. რეპეტიციები როგორც ნ. ნაკაშიძის ბინაზე, ასევე სხვა არტისტი ქალების სახლებშიაც იმართებოდა. ნინო სხვა მუშებთან ერთად თვითონაც გამოდიოდა სცენაზე. მსახიობ გ. ჯაბაურის ცნობით, ნაკაშიძეს უთამაშია სუნდუკიანის პიესა „პეპოში“ ეფემიას როლი, ხოლო იმერელი ბიჭის, სამსონას როლი — ნინოს ქმარს, ილია ნაკაშიძეს.

აი, რას გვიამბობს ამის შესახებ ი. გრიშაშვილი: „ილია ნაკაშიძე მოსამსახურე სამსონას როლს, ასე თუ ისე, ალბათ წარმატებით შეასრულებდა, რადგან სამსონა ბიჭიც და ილიაც ნაკაშიძეც, ორივენი დასავლეთ საქართველოს კუთხის მცხოვრებნი იყვნენ, ხოლო როგორი იქნებოდა სომეხი ვაჭარ ზიმზიმოვის ფაშფაშა ცოლის — ეფემიას როლში გურული ნაკაშიძის ქალი, ვერ წარმომიდგენია. უფრო წარმტაცი ყოფილა ნინო ნაკაშიძე მაშიკოს როლში ავქს. ცაგარლის „ციმბირელში“.

მაგრამ საქმის სიყვარული ვისაც აქვს, მას არაფერი ეთაკილება. ნინო

ნაკაშიძე გრძნობდა, რომ ის ამით სხვა ქალებს აქეზებდა საზოგადო ასპარეზზე სამუშაოდ“[1].

□□

ნამდვილი სახალხო თეატრი სულ სხვა გზით შეიქმნა და განვითარდა: ამ საქმეს უშუალოდ ხელი მოჰკიდა მშრომელთა მასამ; მშრომელთათვის სულიერი საზრდოს მიწოდება, მათი ესთეტიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილება მათივე წიაღიდან გამოსულთ უნდა ეკისრათ. ეს დიდი მისია თვით მუშებმა აიღეს თავიანთ თავზე. ეზო-ეზო საუბნო სპექტაკლებიდან სახალხო თეატრამდე— აი, ენთუზიასტ სცენისმოყვარეთა სახელოვანი გზა.

შალვა დადიანი სახალხო თეატრის შესახებ წერდა: „ასეთი, ნამდვილი ხალხის მიერ წარმოშობილი, მეცხრამეტე საუკუნის დანატოვარში, მე ბევრი არ მეგულება. იგი შექმნილია დურგლისა, ზეინკლის, მღებავებისა დასხვა ასეთ მუშათა მიერ. იდეა ამ თეატრის წარმოშობისა ჩასახულია მუშათა გონებაში და საქმე განხორციელებულია მათი ხელით, მათი სახიობით. ხალხის უშრეტი ენერგია, მისი ერთხელ შეგნებული საქმისათვის თავდადება, ნამდვილის გლეხური მოუწყინარობით და მუდმივობით აკეთებს საქმეს... და შემდეგ, ჩვენ, დღეს ბევრი ვიცით ისეთი თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, რომელნიც წარმოუშვია და ხალხოსნურ მუშაობაში გაუკაჟებია სახალხო თეატრის მადლიან კალთას... დიდება და პატივისცემა სახალხო თეატრის დამაარსებელთ, მათ დღევანდელ მესვეურთ და მადლობა და საუკუნო ხსენება მიცვალებულ მოღვაწეთ ამ საქმისა“.

პირველი მუშათა თეატრის ამ დამაარსებლებმა გადალახეს ყოველგვარი სიძნელე, თეატრი მშრომელი ხალხის სამსახურში ჩააყენეს და მათი იდეური და ეროვნული შეგნების ამაღლებისაკენ წარმართეს...

იდგმებოდა როგორც პიესები, ისე დივერტისმენტები, კითხულობდნენ რევოლუციური შინაარსის ლექსებს. სცენისმოყვარეთა წრეში გაერთიანებული იყვნენ სხვადასხვა ქარხნის საამქროების წარმომადგენლებიც. ფარდულებში იმართებოდა არალეგალური წრეების მეცადინეობა პოლიტიკურ საკითხებზე. თანდათანობით მუშები კულტურულად მოემზადნენ, წარმოდგენებს უფრო ყურადღებით ისმენდნენ. მოსაწონ სიტყვებს ტაშით აჯილდოებდნენ, ზოგიერთი კი შეძახილებით ეხმიანებოდა დეკლამატორს. წრის წევრები, თავის მხრივ, ცდილობდნენ რევოლუციური პიესებით გაეწიათ მათთვის სამსახური. ასეთი

---

[1] ი. გრიშაშვილი, მინიატურები, ლიტერატურული ნარკვევები, ტომი V. გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1965, გვ. 364.

შინაარსის პიესებისა და ლექსების კითხვით გ. ჯაბაურმა დიდი სახელი მოიხვეჭა ქარხნის მუშებს შორის.

სახალხო თეატრში დადგმული რევოლუციური პიესებით იწვრთნებოდა მუშათა კლასი. ამ პიესებში მთავარ როლებს ყოველთვის გ. ჯაბაური ასრულებდა. მისი სცენიდან ნათქვამი ყოველი სიტყვა ხალხს ჟრუანტელს ჰგვრიდა. ხალხი იმსჭვალებოდა მსახიობის მიერ განსახიერებული სულისკვეთებით და ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა გ. ჯაბაურისათვის ტაშისცემით როლი შეუწყვეტინებიათ. „ამ სამოცდაორი წლის წინათ გ. ჯაბაური, ავქსენტი ცაგარლის პერსონაჟის გიჟუას პირით, გათავხედებულ მებატონეს, დავით ჯამბარაშვილს ეუბნებოდა: „ეს იცოდე, კნიაზობა აღარ არის, რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!“ მართალია ბატონყმობა უკვე გადავარდნილი იყო, მაგრამ მშრომელი ხალხი მაინც მძიმე უღელქვეშ კვნესოდა. გ. ჯაბაურის თანამედროვენი ამას ითვალისწინებდნენ და ილიკო მენაბდიშვილს (ტრ. რამიშვილის პიესა „მეზობლების“ მთავარი გმირი) ათქმევინებდნენ: „დამყაყებული წყობილების ბურჯნო, მერე რას იზამთ მაშინ, როცა გათვითცნობიერებული ხალხი იჭექ-იქუხებს და თქვენს მიერ ყალბ საფუძველზე აგებულ ცხოვრებას მილეწ-მოლეწავს.

როგორი გატაცებით ამბობდა ავჭალის თეატრის პატარა სცენიდან გიორგი ჯაბაური მენაბდიშვილის ამ მონოლოგს. სცენისმოყვარის გულიდან ამომხდარი ეს სიტყვები ჟრუანტელს ჰგვრიდა მშრომელებთ და საბრძოლველად რაზმავდა მათ“[1].

ავჭალის აუდიტორიის თეატრის წარმოდგენებზე დასწრება პირველ ხანებში უფასო იყო და თეატრის ხარჯებს ამხანაგობის წევრები საკუთარი სახსრებით ფარავდნენ; შემდეგ დაწესდა ბილეთების ფასი — თითოეულ ადგილზე ერთი შაური, ბოლოს ბილეთის ღირებულება ერთი შაურიდან ათ შაურამდე გაიზარდა. პირველ ხანებში წრე დამოუკიდებლად მოღვაწეობდა, მაგრამ ასეთი მდგომარეობა ვერ შეინარჩუნა. პოლიციიდან წარმოდგენების გამართვის ან დადგმის ნებართვის აღება ჭირდა, ამიტომ წრე შეეკედლა „თბილისის სახალხო მკითხველთა საზოგადოების“ თეატრალურ სექციას, რომლის ხელმძღვანელი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე მ. დემურია.

„ავჭალის აუდიტორია“ იყო ნამდვილი მუშური თეატრი, სადაც აღიზარდა და დავაჟკაცდა მრავალი ისეთი კულტურული და პოლიტიკური მოღვაწე, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თბილისის განაპირა უბნების სახალხო თეატრების განვითარებაში.

მართალია, თავდაპირველად, ქალაქის სხვა უბნები სახალხო თეატრებს მოკ-

---

[1] გ. ჯ ა ბ ა უ რ ი, მოგონებანი, გამომც. „ხელოვნება“, 1956, გვ. 5.

ლებული იყო, მაგრამ ავჭალის აუდიტორიის გამოცდილებისა და ტრადიციების საფუძველზე თბილისის განაპირა უბნებში შეიქმნა და გაფართოვდა სახალხო თეატრების ქსელი. ამ მხრივ პირველი გაბედული და საქმიანი ნაბიჯი გადაუდგამთ ავლაბარში მცხოვრებ მოწინავე მუშებს. ეს იყო 1901 წელი. თუმცა ავლაბარში, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ჯერ კიდევ ადრე, 1894 წლიდან კანტიკუნტად იმართებოდა სცენისმოყვარეთა მიერ შინაურული წარმოდგენები.

1895 წელს კი წრემ გრენადერთა თბილისის პოლკის ყაზარმაში წარმოადგინა „არსენა". ეს იყო პირველი ქართული წარმოდგენა ავლაბარში, დაბეჭდილი აფიშით. ამას მოჰყვა 1897 წელს 7 სექტემბერს ავლაბარში ფალავანდოვის ქუჩაზე ნარიმანოვის სახლში ალ. თამაზაშვილის ხელმძღვანელობით შინაურული თეატრის მიერ დადგმული ივ. მაჩაბლისა ორმოქმედებიანი პიესა „ადვოკატი მელაძე" და ავქს. ცაგარლის ორმოქმედებიან ვოდევილი „ბაიყუში".

1901 წლის 28 იანვარს კი სცენისმოყვარეების ბ. თამაზაშვილის, ნ. საყვარელიძის, ს. ფირუმოვის, ბ. შველიძის, ბ. ჯაბაურის და სხვათა შემადგენლობით ისევ თბილისის პოლკის ყაზარმაში დაუდგამთ ა. ყაზბეგის „არსენა" (აფიშები იხ. ტექსტში).

ამ წრეს მუდმივი ბინა არ გააჩნდა, მათი სამოქმედო ასპარეზი იყო ავლაბრის უბნები: „შავი სოფელი" ე. წ. „ძაღლის უბანი" და პეტრე-პავლეს სასაფლაოს უბანი და სხვ. წრის შტაბი კი ი. იმედაშვილის წიგნის მაღაზია იყო. დაიწყეს ზრუნვა მუდმივ ბინაზე.

ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა ავლაბარში თელავის ქუჩაზე მცხოვრებმა სამხედრო პირმა, მეფის არმიის ოფიცერმა, შტაბს-კაპიტანმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურაშკომ.

ინტერესს მოკლებული არ იქნება იმის ცოდნა, თუ ვინ ჩაუყარა საფუძველი მურაშკოს თეატრის მშენებლობის ფრიად მნიშვნელოვან წამოწყებას, რომელსაც საპატიო ადგილი ეკავა თბილისის მუშათა უბნების სახალხო თეატრების ქსელში, როგორც ერთ-ერთ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელმაც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა თბილისის ზოგიერთი განაპირა უბნის — ავლაბრის, ხარფუხის, ორთაჭალის და ნავთლუღის მოსახლეობის უაღრესად ჩამორჩენილი ნაწილის კულტურულ გათვითცნობიერების საქმეში. ვინ იყო ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურაშკო?

ნ. მურაშკო იყო დემოკრატი და პროგრესული იდეებით გამსჭვალული, თეატრის და არა სამხედრო კარიერის მოყვარული ინტელიგენტი ადამიანი.

მის დიდბუნებოვნებას ვერ სძლევდნენ მეფის არმიის უფლება-ვალდებულებანი და იგი მუდამ გვერდში ედგა მშრომელი მასების კეთილდღეობისათვის მოჭირნახულე მესვეურთ.

ნ. მურაშკოს ჰქონდა საკუთარი სახლი დიდი ბაღით. იმ უბნის მცხოვრებლებმა: ვ. იმედაშვილმა (საოლქო სასამართლოს მოხელე), ბ. მაისურაძემ, ვ. მჭედლიშვილმა, ლ. პოლოსოვმა (ასოთამწყობები) ითავეს მისულიყვნენ მურაშკოსთან თხოვნით, თავის მამულში აეგო მუდმივი წარმოდგენების გასამართავად, „ავჭალის აუდიტორიის" მსგავსი სათეატრო შენობა.

ნ. მურაშკო თავად ჩაუდგა სათავეში მშენებლობას. მან ქუჩის მხარეს გაკაფა ბაღის ნაწილი, გათხარა საძირკველი და დაიწყო სწორედ ისეთი შენობის აგება, როგორიც „ავჭალის აუდიტორია" იყო. თეატრის პატარა, კოპწია დარბაზი ორას მაყურებელს იტევდა.

ნ. მურაშკო დაიბადა 1872 წელს. მამამისი იყო სამხედრო პირი — ოფიცერი. ბავშვობაში ნ. ნ. მურაშკომ გამოავლინა მუსიკისადმი სიყვარული. დაიწყო სწავლა თბილისის კადეტთა კორპუსში, უკრავდა კლარნეტზე. კადეტთა კორპუსიდან ნ. მურაშკო გადაჰყავთ იაროსლავის სამხედრო გიმნაზიაში, სადაც მურაშკომ დაჰყო ორ წელიწადს, შემდეგ კი როგორც წარჩინებული მოწაფე, გამოცდების გარეშე გადაიყვანეს ყაზანის საიუნკრო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1891 წელს და დაინიშნა პრაპორშჩიკის თანამდებობაზე ერევნის პოლკში, 1893 წელს კი პოდპორუჩიკის ჩინი მისცეს.

1895 წელს ნ. მურაშკო გადმოიყვანეს თბილისის მე-15 გრენადერთა პოლკში და იმავე წლიდან დაიწყო უსახლკარო, უპატრონო ბავშვების შეგროვება. მათი მონაწილეობით სასულე ორკესტრი ჩამოაყალიბა. ნ. მურაშკოს ბინა, რომელიც ამ დროს ერთი ოთახისაგან შედგებოდა, უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა ორკესტრის მოთხოვნილებას და გადავიდა ახალ ბინაზე — ავლაბარში, პეტრე-პავლეს სასაფლაოს მახლობლად, სადაც მან თავისი მოწაფეებით 1897 წლამდე დაჰყო. შემდეგ, ორკესტრის გაფართოებასთან დაკავშირებით (უკვე 14 ბავშვისაგან შედგებოდა), იძულებული გახდა დაექირავებია უფრო დიდი ბინა სუბკარაპეტის (ამჟამად კიბალჩიჩის) აღმართზე.

სანამ ორკესტრი ცოტაოდენ პოპულარობას მოიხვეჭდა, ნ. მურაშკოს მოწაფეები თავის მცირე ხელფასის კმაყოფაზე ჰყავდა. სულ მალე საბავშვო ორკესტრმა გაამდიდრა და გააძლიერა თავისი რეპერტუარი, გახდა საკმაოდ ცნობილი, საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. მთელი შემოსავალი ხმარდებოდა ორკესტრის, წევრებს, ორკესტრის ყველა წევრი შეიმოსა ქართული ეროვნული კოსტუმებით. ორკესტრში გაერთიანებული იყო სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდობა.

1900 წელს ნ. მურაშკომ ცოლად შეირთო ნადეჟდა ილარიონის ასული გავრილოვა. მეუღლის მშობლებმა მას მზითვის სახით მისცეს ერთსართულიანი სახლი ავლაბარში, თავისუფალი მიწის ნაკვეთით, სადაც 1901 წელს ნ. მურაშკომ და მისმა მეუღლემ ააშენეს თეატრი. ამ თეატრს მურაშკოს თეატრი ეწოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი წარმოდგენებს უფასოდ უჩვენებდა.

ძნელი გასაგები როდია, რომ მურაშკო მარტო თავისი ჯამაგირით ვერ იყიდდა მიწას და თავის სახლისა და თეატრის მშენებლობა მისთვის სრულიად ხელმიუწვდომელი იქნებოდა. ამაზე მაშინ არავის უფიქრია და არც არავითარი საბუთი შემოუნახავთ. ეს ბუნდოვნება უნდა აიხსნას დავით მელაშვილის წიგნში წამოჭრილი ვერსიით, რომ: „შენობა ჯერ დამთავრებული არ იყო, რომ მურაშკოს მშენებლობისათვის ფული დააკლდა, სხვა გზა არ ჰქონდა, გაყიდა ინსტრუმენტები, პიანინო და ბევრი ფასიანი საოჯახო ნივთი და თეატრის მშენებლობა როგორც იყო დაამთავრა". გამოდის, რომ მურაშკომ ოჯახი დააცარიელა თეატრისთვის. თუ მოვიგონებთ მაშინდელ მცხოვრებთა უწიგნურობას და კულტურის დაბალ დონეს, თეატრი შემოსავლის მხრივ მომგებიანი კი არა, წამგებიანი იყო. ეს კარგად იცოდა მურაშკომ ვერაზე გამართული სანახაობის მოწყობიდან. ცხადია, მშენებლობის დაფინანსებაში სხვისი ხელი ურევია. პატივცემული ნ. ი. კვეზერელი გადაჭრით აცხადებს, რომ დამხმარე ხელად უნდა მივიჩნიოთ საქვეყნოდ ცნობილი მეცენატი, კულტურულ საქმეთა დიდი ხელის შემწყობი და მოამაგე, დიდი მრეწველი — დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი და მისი მეუღლე ეკატერინე ფორაქიშვილი, რომელიც ავლაბარში დაიბადა, გაიზარდა და არ შეიძლება არ სცნობოდა მათი სახლის ახლოს მცხოვრები, იმ დროის მიხედვით კარგად ცნობილი და შედარებით კულტურული, განათლებული პიროვნებები, ძმები პეტრე და თომა ნასიძეები, რომლებმაც დიდი ამაგი დასდეს წარმოდგენის დადგმის საქმეს ავლაბარში. სწორედ მათი ხელით და სახელით მოქმედებდა პოლიტიკური არეულობის გამო, საზოგადო საქმეებს ვითომ მოწყვეტილი დ. სარაჯიშვილი. ამაზე დ. მელაშვილი ზემოთ აღნიშნულ წიგნში წერს: „ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ავლაბრის სახალხო თეატრის საქმიანობაში და საერთოდ კულტურულ მოღვაწეობაში პეტრე და თომა ნასიძეებს დიდი ღვაწლი მიუძღვით. ამასთან ძმები ნასიძეების გავლენით ცნობილმა ქველმოქმედმა ფორაქიშვილმა, ნ. ი. კვეზერელმა-კოპაძემ და მიხ. იანვარაშვილმა ავლაბრის წრეს 200 მეტრი საუკეთესო ხავერდი, საშარვლე და საპერანგე ქსოვილი, საწაღე და საქუდე ტყავები შესწირეს, რომელიც ჩვენი სცენის ამაგდარმა და ძველმა სცენისმოყვარე ბესო მაისურაძემ თავისი ხელით 50 წყვილი სხვადასხვა სახის ქართული ქულაჯა

შეკერა“[1]. ყველა აქ დასახლებულ პირს მე ვიცნობდით—გვიამბობს ვასო ჩაჩანიძე. შეუძლებლად მიმაჩნია, რომ ძმები ნასიძეები არ ყოფილიყვნენ დაახლოებულნი როგორც ფორაქიშვილებთან. ისე დ. ზ. სარაჯიშვილთან. განა საქვეყნოდ ცნობილი ქველმოქმედი და მეცენატი არ მიიღებდა მონაწილეობას თეატრის მშენებლობაში? სარაჯიშვილმა ხომ დიდი თანხა შესწირა ქართული წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, სკოლების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების მშენებლობას. იგი სტიპენდიას უნიშნავდა მრავალ ნიჭიერ ახალგაზრდას, რათა მათ უმაღლესი ცოდნა მიეღოთ. იმდროინდელ გაზეთებში ბევრი იბეჭდებოდა მის ქველმოქმედებაზე. ქება-დიდებით ამკობდნენ დ. ზ. სარაჯიშვილს, იწერებოდა მისი შეწირულებით აშენებული ობიექტების შესახებ, ხოლო მუშათა თეატრებზე და მათ შორის მურაშკოს თეატრის მშენებლობაზე გაწეულ დახმარებაზე არსად არაფერი დაწერილა და არც რაიმე იურიდიული საბუთი შექმნილა. არც ერთი მოღვაწის არქივში არაფერია მოხსენებული სახალხო თეატრის მშენებლობაზე. ბუნებრივია, ისმება კითხვა — თუ მართლა გაიღო თანხა დ. ზ. სარაჯიშვილმა, რატომ დუმს იმდროინდელი პრესა? პასუხის მოძებნა არ გაგვიჭირდება, თუკი იმ დროსა და ვითარებას გავიხსენებთ, როცა ქართულ თეატრს ეყრებოდა საფუძველი და ვითარდებოდა. მაშინდელი თეატრი და, მეტადრე სახალხო თეატრი, ეს იყო ცარიზმის საწინააღმდეგო ტრიბუნა, რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობის ბუდე. ოფიციალურად ყველგან განდევნილი ქართული ენა მხოლოდ თეატრში გაისმოდა თავისუფლად. მე მინახავს, — იგონებს ვასო ჩაჩანიძე, — არაქსიანის თეატრში რეპეტიციის მიმდინარეობის დროს ავლაბრის ე. წ. საპოლიციო VII უბნის ბოქაული როგორი მუქარით შევიდა თეატრში და გამოყარა ქუჩაში ყველა სცენისმოყვარეო. პოლიცია და ჟანდარმერია ეჭვის თვალით უყურებდა სახალხო თეატრებს, და ეს არ იყო შემთხვევითი. მაგალითად: ცნობილია, რომ სახელმოხვეჭილი ლოტბარი იოსებ გოძიაშვილი არალეგალური რსდმპ-ს აქტიური წევრი იყო. იგი წარმოდგენებს, კონცერტებს აწყობდა ძმები ზუბალაშვილების სახლში, თან, ვითომდა „რეპეტიციის“ სახით, არალეგალურ კრებებს მართავდა.

მსგავსი რამ ხშირად ხდებოდა მუშათა უბნებში, მეტადრე ავლაბარსა და ხარფუხში, სადაც დაიბადნენ და აღიზარდნენ ლეგენდარული რევოლუციონერები ა. ჯორჯიაშვილი, გ. მამაცაშვილი, კ. ხუციშვილი, ჩიკვაიძე და სხვები. თვითმპყრობელ ალექსანდრე II მოკვლის და შემდეგ მისი შვილის ალექსანდრე III მოკვლის ცდის შემდეგ (რისთვისაც ლენინის ძმა ჩამოახრჩეს), პოლი-

---

[1] დ. მელაშვილი, ისნის სახალხო თეატრის წარსულიდან, გამომც. „ხელოვნება“, 1955, გვ. 8.

ცია ეჭვის თვალით უყურებდა სახალხო თეატრებს და მის სცენისმოყვარეებს, განსაკუთრებით ისინი ყოველთვის პოლიციის არალეგალური ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ყოველივე ეს არ შეიძლება არ სცოდნოდა დ. ზ. სარაჯიშვილს.

სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ამბავი, რომ დ. ზ. სარაჯიშვილი, აფინანსებდა რა ე. წ. მურაშკოს თეატრის მშენებლობას, არ აძლევდა ამას ოფიციალურ ხასიათს; არც მაშინდელ გაზეთებში და არც სხვა საბუთებში არ თვლიდა ამაზე ლაპარაკს საჭიროდ...

...თეატრი უკვე მზად იყო, მაგრამ შენობის გარდა საჭირო იყო თეატრისა და სცენის მოწყობა. ამ საქმეში თვალსაჩინო დახმარება გაუწევია თეატრის სცენის დიდ ენთუზიასტს ვანო იმედაშვილს, რომელსაც თამამშევის წისქვილიდან ნისიად გამოუტანია ნახმარი ბრეზენტები, სახლში კუსტარულად დაუმზადებია დეკორაციული ორი ოთახი (მდიდრული და ღარიბული), ტყე და თეატრის ფარდა, რომელზეც დახატული ყოფილა ძველი თბილისი. აქ მოჩანდა ბევრის მნახველი ჩვენი მტკვარი, მის გაღმა-გამოღმა ისანი და ხარფუხი, მეტეხი და ძველი ნარიყალა, დაბახანა და ჩითახოვის ნარმის საქსოვი ქარხანა, შორიდან კი მამადავითის მთა თავისი გასხივოსნებული საყდრით.

ავლაბრის ე. წ. მურაშკოს სახალხო თეატრის ქართული დრამატული წრის პირველი რეჟისორობა ი. იმედაშვილმა ითავა, რომლის ინიციატივით შედგა სცენისმოყვარეთა პირველი წრე მ. ქართველიშვილის, თ. აფხაზიშვილის, ნ. საყვარელიძის, ლ. მარანელის, თ. თამარიანის, მ. ღელაშვილის, ვ. ბარბარეულის (ბეგიჯანიანი), ა. ყურულის, ი. იმედაშვილის, ლ. ბაღაშვილის, ვ. იმედაშვილის, ვ. მჭედლიშვილის, კ. მეტრეველის, ბ. მაისურაძის, გ. გელიკურაშვილის. ალ. ბაჯიაშვილის, რ. სალაყაიას, ი. რევაზიშვილის, ს. ლოლაძის, დ. და მ. მელაშვილების, ი. მაისურაძის, რ. ფავლენიშვილის, გ. პეპანოვის, ლ. პოლოსოვის, ვ. მოსულაშვილის, გაბოშვილის (სადათიანის), ძმები მენთეშაშვილებისა და სხვათა შემადგენლობით, რომლებიც კვირაში ერთხელ სისტემატურად მართავდნენ სახალხო იაფფასიან წარმოდგენებს.

მშრომელი მოსახლეობა დიდი თანაგრძნობით შეხვდა ამ მნიშვნელოვან წამოწყებას და სიხარულით დაიწყო სიარული სპექტაკლებზე.

დასის ხელმძღვანელი და რეჟისორი ი. იმედაშვილი სცენაზე „ხაშმელის“ სახელით გამოდიოდა. მას ავლაბრის თეატრის სცენაზე მრავალი საინტერესო სახე შეუქმნია, რომელთაგან გამოირჩევიან ოტია ჯოლია, ზიმზიმოვი, მაზუთიანი, კარაპეტა, გელა და სხვა მრავალი.

სცენისმოყვარეთა წრის საერთო კრებამ აირჩია გამგეობა შემდეგი შემად-

გენლობით: ადელხანოვის ქარხნის მუშები ი. ნოზაძე, მ. კიკნაძე, ს. ბარათაშვილი, ვ. ქურთიშვილი და სხვები.

სცენისმოყვარეებმა თავიანთი სამოქმედო გეგმა და წესდება შეიმუშავეს.

„სახალხო თეატრის სცენისმოყვარეთა ამხანაგობის წესდება". მიზანი, სამოქმედო წესები და მოვალეობა (შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ).

## ამხანაგობის მიზანი

1902 წ. ნოემბრის 10 რიცხვიდან შედგა ავლაბარში სახალხო თეატრის სცენისმოყვარეთა ამხანაგობა, რომლის მიზანიცაა: ა) იაფფასიანი სახალხო წარმოდგენების გამართვა (მურაშკოს თეატრში ან სხვაგან) ქართულად, სცენის მოყვარეთა და მსახიობთა დახმარებით. ბ) სახალხო კითხვები. გ) სახალხო სამკითხველოს გახსნა ავლაბრის განაპირა უბანში, რომელშიაც უნდა მოიპოვებოდეს ქართულ-რუსული და სომხური წიგნები. დ) საკუთარი შენობის მოპოვება წარმოდგენებისათვის და საზოგადოდ. ე) ხალხის განმავითარებელი საშუალებათა ხელის შეწყობა. ზემორე აღნიშნულ მიზნის მისაღწევად ამხანაგობამ ყოველგვარ კანონიერ ზომას უნდა მიმართოს.

## საშუალება

წარმოდგენების შემოსავალი, შემოწირულება და თვიური გადასახადი (თვიურად ათი შაური).

## მოქმედების წესები

1. ამხანაგობის საქმეებს აწარმოებენ ამხანაგობის საზოგადო კრებაზე ხმის უმეტესობით ამორჩეული პირები (5 კაცი), რომელნიც არდგენენ გამგეობას. გამგეობის მოვალეობაა თვალყური ადევნოს ამხანაგობის საქმეთა წარმოებას და იზრუნოს საამხანაგო საქმეთა წარმატებაზე.

2. ყოველ წარმოდგენაზე ინიშნება მორიგეობით მეთვალყურე ამხანაგთაგანი, რომელმაც უნდა განაგოს წარმოდგენის საღამო, დაიცვას წესიერება სცენაზე და ხალხში, მიიღოს კასა, გაისტუმროს ხარჯები და ზედმეტი მონაგები გადასცეს მოლარეს: დაწვრილებით აღრიცხოს ხარჯი და წარუდგინოს მდივანს; მოამზადოს პიესის რეკვიზიტი, ტანისამოსი; იზრუნოს აფიშების დაბეჭდვა-გაკვრაზე და ბილეთების გაყიდვაზე.

3. ამხანაგობას ჰყავს მდივანი, რომელსაც მორიგე-მეთვალყურისაგან წარდგენილი ხარჯი დავთარში გადააქვს და წარმოდგენის მეორე საღამოს უდგენს ამხანაგობას ხელმოსაწერად — დასამტკიცებლად.

4. ამხანაგობას ჰყავს მოლარე (თავის შორისვე არჩეული ხმის უმეტესო-

ბით), რომელიც ამხანაგობის თანხას ინახავს საფულე დაწესებულებაში და საჭიროებისამებრ მორიგე-მეთვალყურის მოთხოვნილებით ბარათით ხარჯავს ფულს, მოლარეს არ შეუძლია იქონიოს მუდმივ ს ა მ ს მ ა ნ ე თ ზ ე მეტი და წარმოდგენის საღამოს, თ უ მ ა ნ ზ ე ნაკლები.

5. თუ შემოსავალი წარმოდგენის ხარჯს ვერ ფარავს და ძირითადი თანხაც არა ჰყოფნის, ამ შემთხვევაში ამხანაგობა თანასწორად იხდის ვალს — ზარალს.

6. პიესებს ირჩევს გამგეობა რეჟისორთან ერთად.

7. ახალ წევრს ირჩევს ამხანაგობა ხმის უმეტესობით მის დაუსწრებლად.

8. ყოველ ამხანაგს ეძლევა თითო კონტრამარკა (ზოგჯერ შეიძლება გაუქმდეს).

9. წარმოდგენების ხარჯის გარდა წმინდა გადაიდება სამკითხველოს ფონდის გასაძლიერებლად.

10. ყველა მონაწილენი უსასყიდლოდ მუშაობენ; ხოლო მეოთხე წარმოდგენა, ე. ი. თვეში ერთი წარმოდგენა უნდა მიეცეს ერთ-ერთ მონაწილეს, რომელსაც ამხანაგობა ღირსად იცნობს.

11. ყოველი საკითხი საზოგადო კრებაზე ხმის უმეტესობითა სწყდება. მტყუანი მხარე ამხანაგობის უმრავლესობის დადგენილებას ემორჩილება.

12. თუ ვინიცობაა ამხანაგობის დასი დაბა-სოფლებში წარმოდგენებს გამართავს, ამათი შემოსავალი ამხანაგობის კრების დადგენილების თანახმად განაწილდება.

13. ამხანაგობას აქვს ბეჭედი: „ავლაბრის სახალხო თეატრის სცენის მოყვარეთა ამხანაგობა".

14. ამხანაგობის ყველა წევრი ურთიერთს თავაზიანად და პატივისცემით ეპყრობიან; სცენაზე, კულისებში ანუ ამხანაგობის კრებებზე (ერთი სიტყვით სადაც უნდა იყოს ამხანაგობა) ჩვეულებრივი ლაზღანდარობა, უწმაწურობა, მითქმა-მოთქმა ს ა ს ტ ი კ ა დ ა კ რ ძ ა ლ უ ლ ი ა. უზნეური საქციელი, უზრდელობა და თავშეუკავებლობა აღკვეთილია; წინააღმდეგ შემთხვევაში ვინც ამ მუხლს დაარღვევს — ამხანაგობისაგან გამორიცხული იქმნება. აგრეთვე აკრძალულია ნასვამის — მთვრალის რეპეტიციაზე დასწრება.

15. ყველა დასში მონაწილე მოვალეა, თავისი როლი თვითონ გადაიწეროს ანუ წიგნი იშოვოს (თუ დაბეჭდილია და მოუნდა). წარმოდგენის გათავების შემდეგ კი როლი რეჟისორს ან მის თანაშემწეს დაუბრუნოს.

16. უცნობი პიესა წაკითხულ უნდა იქმნეს საზოგადოთ მონაწილეებთან. ყველა მონაწილემ დაკვირვებით უნდა მოისმინოს მთელი პიესა, მომქმედ პირების დახასიათება რეჟისორისაგან და რასაც ვერ გაიგებს, მოვალეა რეჟისორს მოჰკითხოს ხელახლად განმარტება.

17. მეორე რეპეტიციაზე (ანუ უკანასკნელი გამოცდის წინა გამოცდაზე) მონაწილემ როლი კარგად უნდა იცოდეს.

18. ყოველთვის რეპეტიციაზე მონაწილენი რეჟისორის მოთხოვნილებისამებრ უნდა სწავლობდნენ — ვარჯიშობდნენ. — ყველამ როლის მიღების პირველი დღიდანვე უნდა მიაქციოს ყურადღება როლის მოთხოვნილებას და მის შესაფერისად შეისწავლოს ტანისამოსი, მორთულობა და საზოგადო სახიერება.

19. წარმოდგენის დაწყებამდე მონაწილენი ყოველ მოქმედებაში 15 წუთით (1/4 საათით) ადრე მზად უნდა იყვნენ ყოველის მხრით.

20. პირველი ზარის დარეკვის უმალ ყველა მონაწილენი პირველ მოქმედებაში სცენაზედაც უნდა მოგროვდნენ, მეორე ზარის დარეკვის უმალ თავ-თავის ადგილას უნდა დადგნენ (მოქმედი პირი შედის თუ ზის) ამავე დროს სუფლიორი და სცენარიუსი თავთავიანთ ადგილას უნდა მივიდნენ; მესამე ზარის დარეკვის უმალ ფარდა იხდება და მოქმედების დაწყობიდან დასასრულამდე ყოველგვარი ჩურჩული კულისებში, დგომა გასასვლელებთან და ფანჯრის წინ სასტიკად აკრძალულია.

21. არც ერთ მონაწილეს დასში რეჟისორის ნებადაურთველად არ შეუძლიან სხვა დასში მონაწილეობის მიღება; არც რეპეტიციებზე მოცდენა; დამრღვეველნი ამ მუხლისა დაისჯებიან ამხანაგობისაგან საყვედურით და რეჟისორის მიერ დაჯარიმებით (ჯარიმა 50 კაპიკიდან 3 მანეთამდე).

22. რეჟისორის გარდა არავის უფლება არა აქვს რაიმე განკარგულების მოხდენისა სცენის მოწყობის დროს.

23. რეჟისორი მოვალეა ყოველი პიესა — ახალი წაუკითხოს და განუმარტოს სცენის მოყვარეთ და ცნობილი კი განუმარტოს ხელახლად მოკლე დახასიათებით; რეკვიზიტისა და ტანისამოსის სია სამი დღით ადრე უნდა გადასცეს აღსასრულებლად მორიგეს.

24. როლების განაწილება რეჟისორის სრული უფლებაა, არავის არ შეუძლია ამის წინააღმდეგობა. რეჟისორის დანიშვნა ამხანაგობის უფლებაა.

25. რეჟისორსა ჰყავს თანაშემწე, რომელიც რეჟისორის, მოუცლელობის დროს მის მაგივრობას სწევს.

26. კულისებში გარეშე პირების შეშვება სასტიკად აკრძალულია — არც ერთს მონაწილეს ნება არა აქვს გავიდეს ხალხში წარმოდგენის შემდეგ ან წარმოდგენამდის.

27. ამხანაგობის წევრებად მიიღებიან ორივე სქესისანი ყმაწვილი კაცნი და ქალნი. ყველას თანასწორი ხმა აქვს. საზოგადო კრება ინიშნება ყოველ თვეში ერთხელ ამხანაგობის საქმეთა გადასათვალიერებლად.

28. ამხანაგობის საქმეთა შეჩერება სწყდება ამხანაგობის საზოგადო კრების 2/3 წევრთა ხმის უმეტესობით[1].

□□

მურაშკოს თეატრში მოქმედებდა აგრეთვე რუსული დასიც, სადაც თავს იყრიდნენ გამოცდილი და ნიჭიერი სცენისმოყვარენი. ისინი ყველანი მეტისმეტი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით ეკიდებოდნენ სცენას, ამიტომ მათი სპექტაკლები სრულყოფილი იყო და ხალხიც ბევრი ესწრებოდა.

წრის შემადგენლობაში შედიოდნენ სამხედრო მოსამსახურეები, ავლაბარში მცხოვრები პროგრესულად მოაზროვნე მოქალაქეები და უფროსი კლასის მოსწავლეები.

რუსულ დასს სათავეში ედგა ნ. მურაშკო, რომელიც დიდი ენთუზიაზმითა და თავგამოდებით ემსახურებოდა ამ ფრიად სასარგებლო საქმეს. იგი, რამდენადაც შეეძლო, ხელს უწყობდა წრეების მუშაობას. თუკირამ დასჭირდებოდა ქართულ წრესაც — რეკვიზიტი იქნებოდა ეს თუ სცენის სხვა მოწყობილობა, სახლიდან მოჰქონდა.

სომხურ წრეს ხელმძღვანელობდნენ გევორქ ფირუმიანი და მაცაკ გულაზიანი.

ქართული წრის რეპეტიციები ტარდებოდა ხელმძღვანელისა და მთავარი რეჟისორის ი. იმედაშვილის წიგნის მაღაზიაში, სადაც თითქმის ყოველდღე იყრიდნენ თავს სცენისმოყვარეები, არჩევდნენ პიესებს, ანაწილებდნენ როლებს და ნიშნავდნენ რეპეტიციებს.

მალე მიზანი მიღწეულ იქნა. თბილისის ქუჩებში გაიკრა ორიგინალური აფიშები, ხალხი მოაწყდა თეატრს. პრემიერაზე დასწრების ყველა მსურველს დარბაზი ვერ იტევდა.

1902 წლის 10 ნოემბერს გაიხსნა ავლაბრის სახალხო თეატრ-აუდიტორიის ფარდა, მურაშკოს მიერ აშენებულ შენობაში — „თბილისის სიფხიზლის საზოგადოების ავლაბრის განყოფილების“ სახელით. ამ კეთილშობილური მიზნის მიღწევაში ი. იმედაშვილს მხარში ედგნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები ი. აგლაძე, თ. სახოკია, ი. და ნ. ნაკაშიძეები.

პირველ ქართულ წარმოდგენად დაიდგა ზ. ანტონოვის პიესა „მე მინდა· კნეინა გავხდე“. პირველ სპექტაკლში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი

[1] ი. იმედაშვილის პირადი არქივიდან.

იყვნენ ჩვენი სახელგანთქმული მსახიობები: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ვ. აბაშიძე, ვალ. გუნია და ვიქ. გამყრელიძე.

ამრიგად, ეს პიესა მათ რეპერტუარში დამკვიდრდა. ი. იმედაშვილმა ოსტატურად მოარგო თითოეული როლი შემსრულებლებს. სპექტაკლის მონაწილეებს დღესაც თვალწინ უდგათ მუშა-მსახიობების მიერ მაღალ-მხატვრულ დონეზე შექმნილი სახეები.

თეატრის საზეიმო გახსნას დიდძალი ხალხი დაესწრო. მისასალმებელი და მისალოცი სიტყვებით გამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანები, რომელთა შორის იყვნენ ქართული სახალხო და დრამატული თეატრების წარმომადგენლები, პრესის მუშაკები.

ზეიმზე გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დუხჭირ დროში კულტურის ახალი კერის — მეორე სახალხო თეატრის შექმნას, ფართო მშრომელი მასების გათვითცნობიერებისათვის...

...მუშათა პოლიტიკური გამოსვლების პერიოდში ქართველი მსახიობები არ ცხრებოდნენ და მუშათა კლასთან ერთად უფრო მეტი ენერგიით იბრძოდნენ არსებული წესწყობილების წინააღმდეგ. ქალაქის ცენტრსა და გარეუბნებში სისტემატურად მართავდნენ წარმოდგენებს, საგანგებოდ არჩევდნენ პიესებს, რათა პოლიტიკურად გამოეფხიზლებინათ მშრომელი მასები. ამ დროს თეატრის სცენიდან მშრომელი ხალხი გაბედულად ისმენდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების პროპაგანდას.

მსახიობთა ეს საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენია მთავრობას, რომელიც ტლანქად აზშობდა მის მუშაობას. იგი ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავდა, რათა დასადგმელად არ დაეშვათ რევოლუციური ხასიათის პიესები. კრძალავდა არა მარტო ზოგიერთი ახალი პიესის, არამედ ადრე ნებადართული პიესის დადგმასაც კი, ხოლო ზოგჯერ კრძალავდა ამა თუ იმ სპექტაკლს. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ასეთ მაგალითს: 1901 წლის 16 ივლისს თბილისის ჟანდარმერიას პოლიციისათვის უცნობებია: „14 ივლისს, სამმართველოს სააგენტურო განყოფილების გამგემ მომახსენა, რომ ამ დღეს, საღამოთი, პლეხანოვის ქუჩაზე, პუშკინის ბაღში (ახლა გორკის სახელობის კლუბი) დანიშნული ქართული წარმოდგენა მოწყობილი ყოფილა სოციალ-დემოკრატების ინიციატივით, იმ მიზნით, რათა შემოსავალი გამოიყენონ პოლიტიკურ პატიმართა სასარგებლოდ, და რომ ამ წარმოდგენაზე უმთავრესად დემოკრატების რიგებიდან მუშებისა და ხელოსნების მიზიდვით ხელი შეუწყონ მათ გაერთიანებას. ამიტომ ბილეთები იყიდება არა სალაროში, არამედ საგანგებოდ გამოყოფილ კერძო პირთა საშუალებით. ამის შესახებ ვაცნობე თბილისის პოლიცმეისტერს და გამოვთქვი სურვილი, რათა აღნიშნული წარმოდგენა არ

შემდგარიყო. პოლიცმეისტერმა ბრძანება გასცა წარმოდგენის მოხსნაზე და ერთდროულად პუშკინის ბაღთან დანიშნა პოლიციელთა გაძლიერებული რაზმი. წარმოდგენის ოფიციალურმა მომწყობმა, ქართველმა მსახიობმა სვიმონიძემ (იგულისხმება ქართული თეატრის ძველი მოღვაწე სვიმონ სვიმონიძე — სვიმონ პავლეს ძე გოგოლაშვილი), როდესაც მას გამოუცხადეს წარმოდგენის მოხსნის შესახებ, პოლიცმეისტერთან თვით გამოთქვა იმის იჭვი, რომ წარმოდგენის მოხსნა, ალბათ, იმით არის გამოწვეული, რომ ბილეთები ხელზე იყიდება და ყალბი ხმა გავრცელდა, თითქოს ბილეთები მუშებს შორის საღდებაო. 8 საათისათვის პოლიცმეისტერი თვით მივიდა პუშკინის ბაღში, სადაც მუშები საერთოდ არასოდეს დაიარებოდნენ. ბაღში მას დახვდა ოცამდე კაცი — ხელოსნები, ალბათ, იმერლები. მათ ხელთ ჰქონდათ ბაღში შესასვლელი ბილეთები, თუმცა, როგორც შემოწმებით გამოირკვა, სალაროდან ჯერ არც ერთი ბილეთი არ იყო გაყიდული. პოლიტმეისტერმა გამოუცხადა, რომ წარმოდგენა არ შედგებოდა და ახლავე შეუდგებოდნენ ფარნების ჩაქრობას. მაშინ ხელოსნები გავიდნენ ბაღიდან... გრძელდებოდა ბაღთან ჯოხებიანი ლურჯხალათა მუშების პატარა ჯგუფების მოსვლა. პოლიცმეისტერმა წინადადება მისცა დაშლილიყვნენ, რასაც უმრავლესობა დაემორჩილა. ზოგნი კი კვლავ, ბაღის მახლობლად მიდი-მოდიოდნენ, ხან შორიახლოს ჩერდებოდნენ, ზოგჯერ ისევ შესავალს უახლოვდებოდნენ, თითქოს რაღაცას ელოდებიანო. საღამოს 10 საათისათვის ბაღში მოსვლა დაიწყეს მისმა მუდმივმა დამსწრეებმა და კლუბმა ჩვეულებრივი იერი მიიღო“ [1].

აღნიშნული მასალის ღრმა შესწავლით და გარკვევით დაინტერესებულ წერილის ავტორს მიუმართავს სცენისმოყვარე გ. ჯაბაურისათვის და მისი მოგონებების წყალობით კიდევ რამდენიმე საინტერესო მოგონება ჩაუწერია. კერძოდ ვალ. გუნიას პიესის „და-ძმის“ ჩვენებისას, რომლის თანხაც „ფარული სალაროების“ ფონდისათვის უნდა გადაეცათ, აი, რა მომხდარა:

„ამ პერიოდში სისტემატური ხასიათი მიიღო წარმოდგენის დროს პროკლამაციების გავრცელებამ. პროკლამაციები იყრებოდა ჩაბნელებულ დარბაზში, მას ფანტავდნენ თეატრის ქანდარებიდან და მიუხედავად იმისა, რომ თეატრში ყოველთვის იმყოფებოდნენ პოლიციელები და მათი აგენტები, გამავრცელებლებს ვერ იჭერდნენ, რადგან ხალხი თანაგრძნობით ხვდებოდა მათს გაბე-

---

1 ჟურნ. „თეატრალური მოამბე“, 1970, № 2, გვ. 6.

დულ მოქმედებას, ხოლო ზოგჯერ თვით დასი უწყობდა ხელს. პროკლამაციების ასეთი წესით გავრცელების ერთ-ერთი შემთხვევის შესახებ თბილისის პოლიცმეისტერი 1903 წლის 14 თებერვალს გუბერნატორს შემდეგს აცნობებდა: „გუშინ, 13 თებერვალს, ქართულ სათავადაზნაურო თეატრში, პირველი მოქმედების შემდეგ, როდესაც დამსწრე საზოგადოება ბენეფიციანტ გუნიას მილოცვის ბარათებს ესროდა, ქანდარებიდან ამ ბარათებთან ერთად დარბაზში ცვიოდა თეთრ და წითელ ქაღალდებზე დაბეჭდილი პროკლამაციები. ერთი მათგანი აიღო თეატრში მორიგედ მყოფმა მეექვსე უბნის ბოქაულის ჩინოვნიკმა მორგაევსკიმ. ბოქაულის თანაშემწე მორგაევსკიმ, შენიშნა რა ქანდარებიდან პროკლამაციების გადმოყრა, მყისვე იქით მიაშურა, რათა პროკლამაციების გადმომყრელი აღმოეჩინა, მაგრამ როგორც კი იგი იქ გამოჩნდა, ყველაფერი შეწყდა“ [1].

აღნიშნულ პერიოდში პროკლამაციების გავრცელებისათვის ორგანიზაციები სხვა ხერხებსაც მიმართავდნენ.

1903 წლის 24 მარტს თბილისის იგივე პოლიცმეისტერი გუბერნატორს „ფრიად საიდუმლოდ“ აცნობებდა: „გუშინ, 23 მარტს, „არტისტული საზოგადოების თეატრში“ (ახლანდელი რუსთაველის სახელობის თეატრი — ა. კ.) მსახიობი ბორისენკოს საბენეფისო წარმოდგენის დროს, მეოთხე მოქმედების შემდეგ, როდესაც საზოგადოებამ ბენეფიციანტი გამოიხმო, ზემო ქანდარიდან უთუოდ ერთ-ერთმა მაყურებელმა შუა დარბაზში, პირდაპირ ჭალის ქვეშ, გადმოისროლა პროკლამაციების მთელი დასტა. შევნიშნე თუ არა ეს, მაშინვე პროკლამაციების დავარდნის ადგილს ვეცი, ისინი იატაკიდან ავკრიფე, ზოგიერთს კი ხელიდან წავგლიჯე. სულ აღმოჩნდა 80 ცალი. ამის შემდეგ ყურადღება გავამახვილე ქანდარაზე მყოფი საზოგადოებისაკენ, რათა პროკლამაციების გადმომყრელი აღმომეჩინა, მაგრამ ეს ვერ შევძელი. შეგროვილი პროკლამაციები, მათი დიდი რაოდენობის გამო, იქვე „არტისტული საზოგადოების“ სამზარეულოში დავწვი“[2].

□□

იმდენად დაინტერესებული იყო ქართველი მოწინავე ინტელიგენცია და პროგრესულად მოაზროვნე ხალხი მუშათა კლასის კულტურული დონის ამაღ-

1 ჟურნ. „თეატრალური მოამბე“, 1970, № 2, გვ. 6.

2 იქვე, გვ. 8.

ლებით. მათი წინსვლითა და საერთო განვითარებით, რომ ცდილობდა საქართველოს ყველა რაიონსა, დაბასა თუ სოფელში გაეგზავნათ სცენისმოყვარეები წარმოდგენების საჩვენებლად. თავის მხრივ სცენისმოყვარეებსაც შეგნებული ჰქონდათ მათზე დაკისრებული დიდი მისია და ყველა ღონეს ხმარობდნენ, რათა პირნათლად შეესრულებინათ იგი. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ქართული თეატრის დიდი ამაგდარის შალვა დადიანის თაოსნობა. ჭიათურის მანგანუმის მრეწველთა საბჭოს 1903 წლის 12 მარტის სხდომის ოქმში ასეთი რამ არის ჩაწერილი: „მოისმინეს: ჭიათურაში იაფი სახალხო წარმოდგენების გამართვის შესახებ. შალვა დადიანის სიტყვიერ წინადადებასთან დაკავშირებით, რომ იგი კისრულობს გამართოს აღნიშნული წარმოდგენები, დაადგინეს: დაევალოს საბჭოს წევრს ცერცვაძეს, როგორც თეატრალური კომიტეტის დაარსება, ისე დადიანთან მოლაპარაკება წარმოდგენათა გამართვაზე.

„საბუთებიდან ირკვევა, რომ შ. დადიანს განზრახული ჰქონდა სეზონის განმავლობაში 12 წარმოდგენის ჩვენება, მაგრამ მრეწველთა საბჭოს მხოლოდ 8 წარმოდგენაზე მიუცია თანხმობა.

ამრიგად, დამოწმებული მაგალითებიდან ვფიქრობთ, სავსებით ნათელია რომ 900-იან წლებში საქართველოში მუშათა რევოლუციური აღმავლობის დასაწყისში ქართული თეატრი და მისი პროგრესული მოღვაწენი მჭიდროდ დაუკავშირდნენ მუშათა პოლიტიკურ ბრძოლას და შეძლებისდაგვარად ხელს უწყობდნენ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაღვივებას, რუსეთის პირველი რევოლუციის მზადებას“ [1].

მართლაც, ენთუზიაზმით სავსე სცენისმოყვარეებმა დაუზოგავი შრომით გააკეთეს ის, რისი გაკეთებაც იმ შავბნელ დროს იოლი არ იყო.

საყურადღებოა მოვუსმინოთ გ. ლასხიშვილს, რომლის მოგონება გამოიცა 1933 წელს: „უცნაურ და მძიმე პირობებში იდგამდა ფეხს ქართული სახალხო თეატრი, ერთი მხრივ, მაშინდელი მთავრობის გაზვიადებული ეჭვიანობა და თავდადებული რეგლამენტაცია, მეორე მხრივ, ეროვნული დამცირება და დევნა, ბოლოს საზოგადოების გულგრილობა, სრული ინდიფერენტიზმი. ყველაფერი ეს მეტისმეტად აძნელებდა იმ მცირერიცხოვანი წრის მუშაობას, რომელ-

[1] ჟურნ. „თეატრალური მოამბე“, 1970, № 2, გვ. 8.

მაც თავს იდვა ამ დიდი საქმის დაწყება. მართალია, თვით ცხოვრების დაჟინებითი მოთხოვნა იყო სახალხო თეატრის არსებობა და ადრე იქნებოდა თუ გვიან ეს საქმე გაძლიერდებოდა, მაგრამ თუ მაშინ იგი არ მოკვდა და განსაცვიფრებელი ენერგიით იბრძოდა მრავალ ფრონტზე, ეს აიხსნება იმ უზომო სიყვარულით, რომლითაც გამსჭვალულნი იყვნენ ნიკო გოცირიძე, გიორგი ჯაბაური და სხვები"[1].

რამდენი ტანჯვა, დაცინვა და დამცირება უნდა აეტანათ ამ მძიმე და ნარეკლიან გზაზე სახალხო თეატრის მესვეურებს. სცენაზე გამოსვლა ადვილი როდი იყო ისეთ უბნებში, სადაც სცენისმოყვარეებს ხალხი მასხარად იგდებდა, ბერიკებს, მაიმუნებს და „პამპულებს" ეძახდა.

სახალხო თეატრის მსახიობი მიდიოდა ეკლიან გზაზე, ხშირად მშიერმწყურვალი და შიშველი, მაგრამ მას უყვარდა სამშობლოს ერთადერთი ტრიბუნა, საიდანაც გაისმოდა ცარიზმის მიერ დევნილი მშობლიური ენა. ამ სიყვარულის გამო ყოველგვარ გასაჭირს იტანდა, წმინდა მიზანს უანგაროდ და პირნათლად ემსახურებოდა.

ილია ჭავჭავაძე ქართულ თეატრს პოლიტიკური ბრძოლის ამოცანას აკისრებდა, მეფის თვითმპყრობელობის დროს, როცა ქართული ენა და საერთოდ ყველაფერი ქართული იდევნებოდა, სცენა უნდა გადაქცეულიყო ეროვნული კულტურისა და თვითმპყრობელობის მგზნებარე ტრიბუნად. და მართლაც, დიდი ქართველი მოღვაწეების მზრუნველობითა და დახმარებით, ქართული თეატრი თავიდანვე, პირველი დღეებიდანვე, ხალხის, მშრომელი ადამიანების სასიცოცხლო ინტერესების სამსახურში ჩადგა. ილიას თეატრი მიაჩნდა როგორც მაყურებელზე უშუალო ზეგავლენის, მისი იდეურ-მორალური აღზრდის უძლიერესი საშუალება. ილია თეატრს არასოდეს თვლიდა გასართობ საშუალებად. „სცენა იგივე შკოლაა, რომელიც ცხოველი სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუასა, იგი ამ თავის თვისებით კაცის გუნებაზე უფრო მედგრად მოქმედობს, ვიდრე სხვა რამე. ამ მხრივ არის იგი კაცის გრძნობისა და ჭკუის გამაფაქიზებელი, გამწმენდი. სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის გამზრდელი უნდა იყოს და ამასთანავე იმისთანა შემაქცევარიც არის, რომ უკეთეს მხარეს ადამიანისას ფეხს ადგმევინებს, ფრთას აშლევინებს. უკეთესი შესაქცევარი,

---

[1] გ. ლასხიშვილი, მემუარები, 1933, გვ. 27.

უკეთესი დროის — გასართობი. სულისა და გულის ამამაღლებელი, სხვა ისეთი არა ვიცით, რა, სცენის მეტი“ [1].

ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე ივანე გომართელი დიდ მოთხოვნილებას უყენებდა თეატრს. მისი ღრმა რწმენით „თეატრი უნდა ასპეტაკებდეს მაყურებლის სულს და გულს, უნდა ამდიდრებდეს გონებას, უნერგავდეს ადამიანს სიკეთისადმი სიყვარულს, ბოროტისადმი სიძულვილს. თეატრი გასართობი დაწესებულება როდია, ეს სკოლაა ადამიანის გამაკეთილშობილებელი და აღმზრდელი. უაზრო სიცილი და ხარხარი თეატრის შემარცხვენელია. თუ ხელოვნება სიმღერაა ადამიანის უნაზეს გრძნობათა სიმებზე ახმატკბილებული, არსად ეს სიმღერა ისე წარმტაცი და დამატყვევებელი არ არის, როგორც ხელოვნების უდიდეს საგალობელში — თეატრში. თუ ხელოვნება ლოცვაა ადამიანის მაძიებელი ბუნებისაგან გამოუცნობისადმი მოვლინებული, არსად ეს ლოცვა ისე დატვირთული არ არის საიდუმლოებითა და სიწმინდით, როგორც ხელოვნების სამლოცველოში — თეატრში. თუ ხელოვნება ადამიანისათვის ჩირაღდანია გზის გასანათებლად, არსად ეს ჩირაღდანი ისე სხივმოსილი არ არის, როგორც თეატრში, სათეატრო ხელოვნება არა თუ აუცილებელია ყველა ერისათვის, ეს არის საზომი ერის კულტურის“ — ასეთი იყო ივანე გომართელის მაღალი მრწამსი.“ [2]

ხშირად პიესები იდგმებოდა პოლიციის ნებადაურთველად, ვინაიდან წარმოდგენების გამართვის ნება ეძლეოდათ მხოლოდ პროფესიონალ მსახიობთ.

და ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ ეს „მსახიობნი“ გრიმებსა და სასცენო კოსტიუმებში გამოწყობილნი, არაერთხელ წაუყვანიათ პოლიციაში, მაგრამ მათ არ აშინებდათ გუბერნატორის მუქარა. რადგან ისინი უფრო მძლავრ არმიაში მოქმედებდნენ.

განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისში, რუსეთ-იაპონიის ომის დროს, არალეგალურად მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციებმა თავისი მოღვაწეობა სახალხო სცენაზე გადაიტანეს. მუშავდებოდა სია სააგიტაციო პიესებისა და კონსპირაციულად იმართებოდა ქართული წარმოდგენები ორგანიზაციებისა და დაპატიმრებული ამხანაგების სასარგებლოდ.

რაკი მთავრობა ეჭვქვეშ აყენებდა სახალხო თეატრებს და იქ მომუშავე სცენისმოყვარეებს, ცხადია, შესაფერ ზომებსაც იღებდა მათ წინააღმდეგ—წარმოდგენებს უჩერებდა, ხშირად უკრძალავდა, დევნიდა და აპატიმრებდა. ისინიც შესაფერისად ირაზმებოდნენ, შენიღბულად მუშაობდნენ, თვალს უხვევდნენ მთავრობის მოხელეებს.

---

[1] ჟურნ. „ივერია“, 1879, თებერვალი.

[2] ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1972, № 8, გვ. 65.

ყოველგვარი სახალხო წამოწყება და განსაკუთრებით ამა თუ იმ მოღვაწის იუბილეს გამართვა აშინებდა ხელისუფალთ. „1902 წელს, როცა ქართველი საზოგადოებრიობა ემზადებოდა ვასო აბაშიძის იუბილესათვის, ქართული დრამატული საზოგადოების თავმჯდომარემ ნიკ. ქართველიშვილმა თბილისის გუბერნატორს სთხოვა ნებართვა იუბილეს ჩასატარებლად, მაგრამ ეს ამბავი ახალ რევოლუციურ გამოსვლებს დაემთხვა, რასაც გულგრილად არ შეხვედრიან ქართველი მსახიობები. ამიტომ გუბერნატორმა ნებართვაზე თავი შეიკავა და საქმის გასაჭიანურებლად იუბილეს პროგრამა მოითხოვა. პროგრამა მყისვე წარუდგინეს, მაგრამ ნებართვის მიღებას მაინც რამდენიმე თვე დასჭირდა. ნებართვის მიცემისთანავე პოლიციამ გააძლიერა ყურადღება იუბილეს მზადებისადმი. პოლიცმაისტერის მეშვეობით ყველა ცნობა მისდიოდა გუბერნატორს. „კვირას, 10 მარტს, დილით ქართულ სათავადაზნაურო თეატრში, ქართული თეატრის მსახიობის ვასილ ალექსის ძე აბაშიძის არტისტული მოღვაწეობის 25 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით, იუბილარის საპატივცემლოდ გათვალისწინებულია პიესის დადგმა. მანამდე იუბილარს წაუკითხავენ ადრესებს, მისალმებებს, დეპეშებს... რადგან... მისი თაყვანისმცემელთა მიერ უთუოდ წარმოითქმება იუბილარისადმი სიტყვებიც, რომლებშიც შეუძლიათ შეეხონ ეროვნული ხასიათის საკითხებსაც... მაქვს პატივი გთხოვოთ, ხომ არ მიიჩნევდით საჭიროდ აღნიშნულ ზეიმზე ჩინოვნიკის დასწრებას. ჩემ მხრივ, დავავალე უბნის ბოქაულს, რათა ზეიმის განმავლობაში თეატრში იმყოფებოდეს განწესიბა

გუბერნატორმა, ცხადია, ეს თაოსნობა მოიწონა და ჩინოვნიკიც დანიშნა“[1].

ქართული თეატრის მოღვაწენი არა მარტო სცენიდან მოწოდებული მგზნებარე სიტყვებით აღაგზნებდნენ და ცარიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ მასებს, არამედ ფულად დახმარებასაც კი უწევდნენ რევოლუციურ ორგანიზაციებსა და მუშებს. პარტიული ორგანიზაციები კარგად ითვალისწინებდნენ თეატრის მნიშვნელობას მშრომელთა პოლიტიკური აქტიობის ზრდის საქმეში და შეუნელებელ მუშაობას ეწეოდნენ სცენის მოღვაწეთა იდეური აღზრდის, რევოლუციურ მოძრაობაში მათი აქტიური მონაწილეობისათვის.

სპექტაკლებზე, რომლებიც ყოველ შაბათ-კვირას იმართებოდა, დადიოდნენ ორთაჭალაში, ავლაბარში მდებარე ადელხანოვის, ზარგარიანის, მირის, ტოლეს და სხვა ფაბრიკა-ქარხნების მუშები და მშრომელი მოსახლეობა.

თეატრი ავლაბარში მარტო მოსახლეობის მხატვრული მომსახურების

---

1 ჟურ. „თეატრალური მოამბე“, 1970, № 2, გვ. 6.

თვალსაზრისით არ დაარსებულა. მუშათა თეატრს გარკვეული სოციალური ფუნქცია ეკისრებოდა. ეს იყო თეატრი, რომელიც მხარდამხარ უნდა გაჰყოლოდა მუშათა კლასს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სცენიდან ომახიანად გაისმოდა რევოლუციური იდეებით გამსჭვალული პიესების მოწოდება, რაც ღრმა შთაბეჭდილებას ტოვებდა და მაორგანიზებელ ზეგავლენას ახდენდა მშრომელ მასებზე. ამზადებდა და რაზმავდა მათ მომავალი ბრძოლისათვის. სახალხო თეატრის სცენიდან გადმოსროლილი სიტყვა ახალგაზრდობას გზას უნათებდა მომავლისაკენ.

მუშა-სცენისმოყვარეები სცენიდან ქადაგებდნენ სიყვარულს, ბედნიერ ცხოვრებას, ძმობას, ერთობას და თავისუფლებას. მუშათა თეატრი პირმშო შვილია საქართველოს მუშათა მოძრაობისა. მშრომელი ხალხი, თავისი ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით ანთებული, სძლევდა ყოველგვარ გაჭირვებას, საკუთარი სახლებიდან მოჰქონდა რეკვიზიტი, ტანსაცმელი, ყოველი მათგანი უყოყმანოდ ასრულებდა მსახიობის, გრიმიორის, მხატვრის, დეკორატორის, მკერავის, დურგლის მოვალეობას. ასე იღვწოდნენ ისინი, რათა შეეყვარებინათ თეატრი მშრომელი ხალხისათვის.

„სცენა სარკეა ცხოვრებისა, —წერდა ვასო აბაშიძე, — უმთავრესი კანონი, რომელზედაც დამყარებულია ხელოვნება, არის სინამდვილე და ჭეშმარიტება.. ნამდვილი მასწავლებელი დრამატული ხელოვნებისა არის ცხოვრება, პრაქტიკა და დაკვირვება... სრულსა და საამურ მოქმედებას მხოლოდ მაშინ იქონიებს მსახიობი, როცა იგი სცენაზე ცხოვრობს და არ არდგენს“[1].

მიუხედავად მრავალი ნაკლისა, სცენაზე სიბნელისა, ნავთის ლამპების გამაბრუებელი სუნისა, დაძველებული დეკორაციებისა — ყოველი სპექტაკლი გამთბარი იყო სიყვარულით და სადაც სიყვარულია, იქ გამარჯვებაა, იქ ნამდვილი თეატრია.

□□

მოსახლეობის უმრავლესი ნაწილის კულტურული დონითა და საყოფაცხოვრებო პირობების სპეციფიკურობით, ქალაქის სხვა უბნებისაგან მკვეთრად გამოირჩეოდა ავლაბარი, ხარფუხი, ორთაჭალა და ნავთლუღი, რომელთა მოსახლეობას შეადგენდნენ სხვადასხვა ქარხნის მუშები, უბან-უბან თაბახითა და „ტაჩკით“ მოსიარულე და ხელზე მოვაჭრე კინტოები, მედუქნეები, ხელოსნები და მათი ოჯახები, რომლებიც კულტურული განვითარებით

[1] ვ. აბაშიძე, მოკლე ცნობანი დრამატული ხელოვნების შესახებ, კრებ. „ცხოვრების სარკე“, 1901, წიგნი 11.

ძალზე ჩამორჩებოდნენ თბილისის სხვა განაპირა უბნების მოსახლეობას. ამ უბნის ახალგაზრდობის ერთი ნაწილი მოკლებული იყო ელემენტარულ მორალურ შეგნებას. ამის გამო, იშვიათ მოვლენას როდი წარმოადგენდა მათი მხრივ ოჯახური და საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმების უგულებელყოფა, რასაც ბიძგს აძლევდა იმდროინდელი სოციალ-ეკონომიური ვითარება და სახელმწიფოებრივი წყობილება. არ მოიძებნებოდა საშუალება და არ ჩანდა ხალხი რომელიც მათზე ზეგავლენას მოახდენდა და იხსნიდა უბნებს სხვადასხვა ბოროტებისაგან. ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა სახალხო თეატრებმა. თუმცა უნდა ითქვას, რომ მაშინ სცენისმოყვარეებს ავლაბარში მძიმე პირობებში უხდებოდათ მუშაობა. ჯერ ერთი, თეატრის მიდამოები გარშემორტყმული იყო დუქნებითა და სამიკიტნოებით და, მეორეც, სადაც თეატრი მდებარეობდა, ის მოედანი კინტოების თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა. ეს უსაქმურები დღედაღამის განმავლობაში ქუჩებში საჩაიე-სამიკიტნოებში ჰკლავდნენ დროს და ერთგვარ დაბრკოლებას წარმოადგენდნენ იმ რაიონის მოწინავე ადამიანებისათვის, რომელთაც მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი გაერღვიათ წყვდიადი და ხალხში სინათლე შეეტანათ.

ქალაქის ისეთ ძველ უბანში, როგორიც იყო ავლაბარი, არავითარი სხვა გასართობი არ არსებობდა, გარდა სამიკიტნოებისა და ლუდხანებისა. „გულკეთილი" მიკიტნები არ ივიწყებდნენ თავიანთ მუშტრებს და არღნის გაუთავებელი ჭყვიტინით იზიდავდნენ მუშებს. ბევრი ეგებოდა მათ ანკესზე, ღვინის სარდაფებში ატარებდა დროს, რაც ხშირად ჩხუბითა და უსიამოვნებით მთავრდებოდა, მიღებულ ჯამაგირსაც იქვე ტოვებდა და სახლში ცარიელ-ტარიელი ბრუნდებოდა. მუშების განვითარება და კულტურის გზაზე დაყენება არაფრად ეჭაშნიკებოდათ „ტრახტირებისა" და ლუდხანების მიკიტნებს. ისინი მუქარას უთვლიდნენ თეატრის მესვეურებს — თუ შაბათ-კვირას მაგ „ჯამბაზობას" არ მოიშლით, თეატრს ცეცხლს წავუკიდებთ და დაგწვავთო. მაგრამ, როცა მათ ჩააგონეს, ამ თეატრის ხალხი ერთობის ხალხიაო (სოციალ-დემოკრატებს, საერთოდ სოციალისტებს და ყველა პროგრესულად მოაზროვნე ხალხს, თურმე, ერთობისა და ახალი თაობის ხალხს უწოდებდნენ), მიკიტნებმა შიშით უკან დაიხიეს და მუქარაზე ხელი აიღეს.

საქართველოს სახალხო არტისტის ნიკო გოცირიძის თქმით ავჭალის აუდიტორიის ხშირი სტუმრები იყვნენ მაშინდელი ცნობილი კინტოები ზიზოლა, ჭარაია და სხვები, რომლებიც თეატრში წარმოდგენის დროს ძმაბიჭებთან ერთად მთვრალები შემოდიოდნენ მწვადებითა და ღვინის ხელადებით ხელში.

„მაგონდება ერთი ჩვენი მაყურებელთაგანი არღნის დამკვრელი, მეტსახელად „ზიზოლა". მის შემოსვლისას აუდიტორიაში ყოველთვის ატყდებოდა

ხოლმე ღრიანცელი. „ზიზოლ!“, „ზიზოლ!“ — გაისმოდა აქეთ-იქიდან. ასე ესალმებოდნენ მას ამფსონები. ზიზოლა ერთი მაგრად შეუკურთხებდა თავის მეგობრებს და თან დააყოლებდა ხოლმე — მე რას მიყურებთ, „ტრიატრი“ ხომ არავარ, აგერ იქეთ იყურეთო! და ხელს გაიშვერდა სცენისაკენ. ატყდებოდა სიცილი, რაც ხელს უშლიდა წარმოდგენის გაგრძელებას. წესრიგის დამცველნი მოუწოდებდნენ ხალხს დაწყნარებულიყვნენ და რის ვაივაგლახით გაჩუმდებოდა ხოლმე ზიზოლა. კვლავ აიწეოდა ხოლმე ფარდა და მოქმედება გრძელდებოდა“[1]. რამდენი ტაქტი იყო საჭირო ასეთი თავზე ხელაღებული მაყურებლის დასაწყნარებლად და ჩასაჩუმებლად. პიესის ნახვას, კეთილ სიტყვას, შთაგონებას ისე უმოქმედია მასზე, რომ ერთი წლის შემდეგ თეატრს ასეთი წყნარი მაყურებელი იშვიათად თუ ჰყავდა. თუ ზიზოლა წინათ სველი ხელადით ესტუმრებოდა ხოლმე აუდიტორიას, ახლა წყნარად შეაღებდა თურმე კარს, ხელში მთელი დასტა გაზეთები ეჭირა, წარმოდგენის დაწყებამდე გულდასმით კითხულობდა და თავის ამხანაგებს პიესის შინაარსს აცნობდა.

ამ მხრივ არც ავლაბარი ჩამორჩებოდა თავისი ცნობილი კინტოებით. სპექტაკლზე აქ ნახავდით „პარიკას“, „ცაცუკას“, „მერცხალუას“, „წიკიტა ვანუას“, „იარმუკელ ალეიბუდეშას“. ეს „ალეიბუდეშა“ ავლაბარში ცხოვრობდა, თეატრის დიდი მოყვარული ყოფილა. რამდენჯერმე უთამაშია მურაშკოს თეატრში. დიდი გაკვირვება გამოუწვევია, როდესაც ვასო აბაშიძის საიუბილეო საღამოზე სიტყვა მილოცვისათვის ეძლევა „იარმუკელ ალეიბუდეშასო“ გამოუცხადებიათ. შემოსულა სცენაზე სუფთა, კინტოს ტანისამოსში გამოწყობილი, ხელში ღვინით სავსე ტიკით და ვასო აბაშიძისათვის საკუთარი ლექსით მიულოცია.

თუ 1901 წლამდე ავლაბრის ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი ცეკვა-თამაშსა და ღვინის სარდაფებში ლოთობით ატარებდა დროს, რაც ხშირად ჩხუბითა და უსიამოვნებით მთავრდებოდა, 1903 — 1904 წლებში სურათი ძირფესვიანად შეცვლილა, ცხოვრება ჩქარა წასულა წინ, ხალხი სინამდვილეს დაკვირვებია, თავი წუმპეში დაუნახავს და კარგი მოწინავე ამხანაგების შემწეობით ცხოვრების ზედაპირზე ამოსულა, საფიქრებელი გასჩენია და სულიერ საზრდოსათვის დაუწყია ძებნა. ახლა თეატრის კარებსაც მოაწყდა, ოჯახის წევრებიც მოიყვანა და არ ენანებოდა თითო ბილეთში ორი აბაზი მიეცა, თუნდაც ხუთი სულიც ყოფილიყო.

ყოველ სპექტაკლზე ლოჟაში ისხდნენ მთავრობის მოხელეები ბოქაული (დავიდოვი, ვასილევი, გომელაური), ან უბნის უფროსი ზედამხედველი. მთავრობის ამ წარმომადგენლებს სრულიადაც არ აინტერესებდათ თურმე პიესის

---

[1] ნ. გოცირიძე. მოგონებანი, გამომც. „ხელოვნება“, 1948, გვ. 33.

შინაარსი, ვინაიდან პიესა სცენაზე დასადგმელად ნებადართული იყო საცენზურო კომიტეტის მიერ. ისინი სულ სხვა მიზნით იყვნენ მოსულნი. თვალყურს ადევნებდნენ რა ხდებოდა კულისებში, შენიღბული ხომ არაფერი იყო, ანდა რა ხალხი ესწრებოდა სპექტაკლს. იმ დროს ბევრი სცენისმოყვარე სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მუშაობდა, კერძოდ, ვ. იმედაშვილი, ლ. ბაღაშვილი, კ. მეტრეველი, ს. პეპანოვი, ვ. მჭედლიშვილი, გ. გელიკურაშვილი, ა. უმბრიევი, ა. სიმონიანი და სხვ.

მთავრობის მოხელეებისათვის ეს პირები ცნობილი ყოფილა, როგორც ამა თუ იმ პოლიტიკურ ორგანიზაციაში მომუშავენი, რომლებიც თეატრს სცენისმოყვარეთა ნიღბით იყვნენ შეფარებულნი. ამ ნიღბით მუშაობდნენ ისინი თურმე როგორც პარტიის ტრანსპორტიორები და დიდძალ არალეგალურ ლიტერატურას ავრცელებდნენ რაიონებში, უბნებში და მსხვილ და წვრილ ფაბრიკა-ქარხნებში. „სახალხო თეატრის ამ მუშაკთაგან ავლაბარმა საგრძნობი მსხვერპლი გაიღო. როგორც სცენისმოყვარე და ამავე დროს პოლიტიკური მომუშავე პირველად დააპატიმრეს ვანო იმედაშვილი, შემდეგ იოსებ იმედაშვილი, ვანო მჭედლიშვილი, გიგო გელიკურაშვილი, ხოლო 1910 წლის ივნისში ჯერ კოწია თავართქილაძის სტამბაში (ვარციხის ქ. № 4, ქართველიშვილის სახლის გვერდით, სადაც ამჟამად დაფაა გაკრული იმის მაუწყებლად, რომ 1906 წელს სტალინის ხელმძღვანელობით აქ გამოდიოდა ბოლშევიკური გაზეთი „ახალი ცხოვრება"), მერე კი სახლში ჟანდარმერიისა და პოლიციის გაძლიერებულმა რაზმმა გაჩხრიკა და მოკლე დროით დააპატიმრა ამ მოგონების ავტორი დავით მელაშვილი"[1].

ქარხნის ყველა საამქროში არალეგალური წრეები იყო ჩამოყალიბებული. მუშებს უკითხავდნენ ქართველი მწერლების ნაწარმოებებს, ორიგინალურ თუ თარგმნილ არალეგალურ ლიტერატურას, აცნობდნენ პროკლამაციებს.

ავლაბარში, ვარდის მოედანზე განთქმული ყოფილა სიმონის სარდაფი. რევოლუციური აღმავლობის პერიოდში აქ თავს იყრიდნენ რევოლუციურად განწყობილი მუშები, ეწყობოდა კრებები, ნაწილდებოდა პროკლამაციები და სხვ. ავლაბარში არაქსიანის მუშათა თეატრი, მურაშკოს აუდიტორია და სიმონას სარდაფი — აი, ისინის რევოლუციონერთა კერები, სადაც თავს იყრიდნენ ს. შაუმიანი, მიხ. ჩოდრიშვილი, ი. მამალაძე, გ. მენთეშაშვილი (შინატეხელი), ვ. თუშმალიშვილი (მიშა თუშმალიშვილის ძმა), ა. მარქარიანი, მ. ჯანველოვი

---

[1] დ. მელაშვილი, ისნის სახალხო თეატრის წარსულიდან, გამომც. „ხელოვნება", 1955, გვ. 18.

და სხვ. აქვე იყრდინენ თავს ტერორისტები: ა. მერაბოვი, შაბო, ვანო სირაჯის მოჯამაგირე ნიკო.

რევოლუციონერთა ერთ-ერთ კერაში საჩაიე „იალტაში", ინახებოდა როგორც იარაღი, ისე სხვადასხვა ენაზე დაბეჭდილი ფურცლები და ბროშურები, მოხსენებები, პროკლამაციები და წიგნები, რომლებიც ყუთებით გადაჰქონდათ ი. თუშმალიშვილის სახლიდან მახათის ქუჩით რაიონებსა და სოფლებში.

წრის წევრების ხელითაც ბევრი ფურცელი ვრცელდებოდა თეატრში. განსაკუთრებით ლ. პოლოსოვისა და კ. ხოსროევის მეშვეობით. მათ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ რუსეთიდან ჩამოსულ აგიტატორ-პროპაგანდისტებთან, მათი საშუალებით იგებდნენ რუსეთის ამბებს: 28 ნოემბერს პეტერბურგში მომხდარ ამბოხებას, სტუდენტთა მონაწილეობით, გაფიცვას ბაქოში, სანავთე კოშკების დაწვას მუშების მიერ, მოძღვარი გაპონის მზაკვრობას, რომელმაც 9 იანვარს აუარებელი ხალხი იმსხვერპლა. იკითხებოდა მოხსენებები ებრაელების ხოცვაჟლეტის შესახებ, გომელიანის, კიშინიოვის, ბესარაბიისა და სხვა ადგილების აწიოკებაზე.

1905 წლის 5 იანვრიდან 20 იანვრამდე ქალაქში გრძელდებოდა გაფიცვები. 22 იანვარს, კვირა დილით, როცა სცენისმოყვარენი რეპეტიციას გადიოდნენ, დაახლოებით დღის პირველ საათზე, მუშებმა, ხელოსნებმა და მოსამსახურეებმაააფრიალეს წითელი დროშა და მიმოფანტეს პროკლამაციები. ატყდა სროლა. გაფიცვები ელვის სისწრაფით მოედო რკინიგზის (დეპოს), ადელხანოვის (ფეხსაცმლის), მირის (თამბაქოს), ზარგაროვის (ტყავის), ტოლეს (საპნის) ქარხნებს.

□□

წრის ხელმძღვანელებს ახალი საზრუნავი გაუჩნდათ: სცენისმოყვარეებთან ერთად დაიწყეს რევოლუციური პიესების ძებნა და თარგმნა. თუ რომელიმე საეჭვო პიესის დადგმას აუკრძალავდნენ, რეჟისორები ადრე ნებადართული პიესებიდან არჩევდნენ მსგავს სახელს და თვალებს უხვევდნენ, იმედაც გზააბნეულ პოლიცმაისტრებს. ერთი ასეთი პიესათაგანი იყო „სიმდიდრის მსხვერპლი" (ეს პიესა ეკუთვნის ცნობილ სომეხ მსახიობს პოლოს არაქსიანს, იგი დაწერილია სომხურად. ალ. ბაჯიაშვილმა თარგმნა და გადმოაკეთა ქართულად). ეს პიესა უჩვენებიათ რკინიგზის თეატრში სწორედ ასეთი არეულობისა და გაფიცვების პერიოდში. სპექტაკლი დაუდგამს ავლაბრის თეატრის სცენისმოყვარეს დ. მელაშვილს, ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცულთა სასარგებლოდ.

წარმოდგენის დამთავრებისას ხალხს მარსელიეზა წამოუწყია.

რეაქციამ თავისი საშინელი კლანჭები გაშალა და სისხლის მორევი დააყე-

ნა. ჯაშუშები დაძრწოდნენ და ყველა საეჭვო პირს აპატიმრებდნენ. ამიტომ სიმონას სარდაფში ისე ადვილად აღარ იმართებოდა კრებები, დიდი სიფრთხილით ვრცელდებოდა პროკლამაციები.

თავის მხრივ, პროლეტართა არმიაც მეტად საშიშ ძალას წარმოადგენდა თვითმპყრობელობისათვის, ვერავითარმა რეპრესიებმა ვერ გატეხეს მუშების ერთიანობა. ათობით და ასობით ერეკებოდნენ მუშებს სამუშაოდან, აპატიმრებდნენ, მაგრამ მათ ადგილს მათი მოძმეები იჭერდნენ.

„ცნობილია, რომ 1905 წლის ქარიშხლიან დღეებში ქართული თეატრის მრავალი მოღვაწე რევოლუციური ხალხის მოწინავეთა რიგებში ჩადგა. ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ ქუთაისის თეატრის მუშაკები, დიდი ხელოვანის ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით, გარდა იმისა, რომ სცენას რევოლუციური პროპაგანდისათვის იყენებდნენ, თეატრის შენობიდან გამოტანილი დეკორაციებით, ავეჯითა და სხვა მოწყობილობით ქუჩებში ბარიკადებს აგებდნენ და პროლეტარიატთან ერთად იბრძოდნენ რევოლუციის გამარჯვებისათვის.

ლადო მესხიშვილს მთელი არსებით სძაგდა მეფის რუსეთის ხელისუფლება, მისი თვითმპყრობელური პოლიტიკა და თავისი ურიელ აკოსტათი, კაი გრაკხით, ედმუნდ კინით მგზნებარედ მოუწოდებდა ხალხს დესპოტიზმისა და ტირანიის წინააღმდეგ საბრძოლველად. დიდი ტემპერამენტი, განცდით თამაში და სცენური სიმართლე აძლევდა საშუალებას ლადო მესხიშვილს ათასობით მაყურებელი მიეზიდა ქუთაისის თეატრში, დაეპყრო მათი გულები და ისევე აღეგზნო ბრძოლის სურვილით, როგორც თვითონ იყო. განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა მონტის „კაი გრაკხი", ჰიუგოს „რუი ბლაზი", შილერის „ყაჩაღები", სუმბათაშვილის „ღალატი", მირბოს „ჟან და მადლენა", დავით ერისთავის „სამშობლო", დიუმას „ედმუნდ კინი" და მრავალი სხვა, რომელთა წარმოდგენა სცენაზე ოვაციების ქარიშხალს, რევოლუციურ ექსტაზს იწვევდა მაყურებელში.

ლადო მესხიშვილის დადგმები ისეთი მძლავრი ემოციურობით ხასიათდებოდა, რომ აღფრთოვანებული და ბრძოლის ცეცხლით ანთებული მაყურებელი სპექტაკლის დამთავრების შემდეგ დიდხანს არ იშლებოდა. „ახალგაზრდობას წარმოდგენების შემდეგ ხელებზე აყვანილი გამოჰყავდა ლადო მესხიშვილი და ასე მაღლა აწეული მიჰყავდათ სახლამდე, — იგონებს ლადოს ქალიშვილი — კარია ალექსი-მესხიშვილი, — ეს ახალგაზრდობა არ იშლებოდა მანამდე, ვიდრე არ გაიღებოდა სახლის აივნის კარი, სანამ იქედან მესხიშვილი არ გადმოდგებოდა და არ იტყოდა გრძელ მოწოდებას თავისუფლებასა, საზოგადოებრივ იდეალებსა და ხელოვნებაზე (ამ დროს ძნელი სათქ-

მელი იყო სად უფრო მეტი იყო მისი აქტიორული ხელოვნების ზეგავლენა: სცენაზე თუ სახლში). ეს მოსწავლე-ახალგაზრდობა გამოდიოდა ქუჩაზე დემონსტრაციისათვის. მათ მოჰქონდათ თავისი პირველი რევოლუციური აღტკინება, იმედი და რწმენა ახალი ცხოვრებისადმი".

ქუთაისის თეატრის დასმა შესანიშნავ შედეგებს მიაღწია სწორედ იმით, რომ მტკიცე იდეური კონტაქტი დაამყარა რევოლუციურად განწყობილ მაყურებელთან. სცენაზე წარმოთქმული გაბედული სიტყვა ჩაგვრისა და უსამართლობის წინააღმდეგ მხურვალე გამოძახილს პოულობდა მაყურებელში. წარმოდგენები მეტწილად რევოლუციური სიმღერებითა და დემონსტრაციებით მთავრდებოდა. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მთელ საქართველოში მონტის სახელგანთქმული პიესა „კაი გრაკხი", კაი გრაკხის როლის შესრულების დროს მესხიშვილი მონოლოგებს ცეცხლოვანი ტემპერამენტით ამეტყველებდა, რის გამოც მაყურებელზე მომაჯადოებელ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ამ სპექტაკლმა ქუთაისში დიდი რევოლუციური გამოძახილი ჰპოვა. იგი იქცა ქუთაისის დასისა და პირადად ლადო მესხიშვილის ტრიუმფად. ნიკო გვარაძე თავის „თეატრალურ მემუარებში" წერს: „თეატრში ახალგაზრდობამ ჟუარებელი პროკლამაციები გადმოყარა. მთელი თეატრის პარტერი და ლოჟები პროკლამაციებით გაივსო. გრაკხის რევოლუციური მონოლოგები, მესხიშვილის მიერ წაკითხული, ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებლებზე, როგორსაც ვერც ერთი დაბეჭდილი პროკლამაცია ვერ მოახდენდა. მესამე მოქმედებაზე თეატრში დიდი დემონსტრაცია გაიმართა, ატყდა ყვირილი, ხმაურობა, ამას მოჰყვა რევოლუციური სიმღერა"...

...ლადო მესხიშვილმა და მისმა დასმა „კაი გრაკხისა" და რევოლუციური სურვილებით გაჟღენთილი სხვა პიესების დადგმით რევოლუციის წლებში მნიშვნელოვანი სამსახური გაუწიეს მუშათა კლასს. სცენიდან გადმოსროლილი მკვეთრი სიტყვები სოციალური უსამართლოების წინააღმდეგ ეხმიანებოდნენ მუშათა კლასის მიერ დაწყებულ ბრძოლას ცარიზმისა და კაპიტალიზმის მიმართ. მესხიშვილი თავის სპექტაკლებში აქსოვდა თავისუფლებისა და ადამიანური, პროტესტის დიდ აზრებს.

ლადო მესხიშვილი ამ დროს უშუალოდ ღებულობდა მონაწილეობას რევოლუციურ მოძრაობაში. რევოლუციური სიტყვებითა და ლოზუნგებით გამოდიოდა მიტინგებზე. ლადო თავმჯდომარეობდა 1905 წლის პირველ საჯარო მიტინგს ქუთაისში, სადაც მან ღია ცის ქვეშ დიდი პათოსით წაიკითხა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო ლექსი, რისთვისაც იგი დააპატიმრეს და თეატრს დახურვა დაუპირეს. მაგრამ ლადომ მალე გაინთავისუფლა თავი პატიმრობიდან და დაუცხრომელი ენერგიით განაგრძო

ბრძოლა არსებული წყობილების წინააღმდეგ. ლადო მესხიშვილის რევოლუციური სულისკვეთება შეშფოთებას იწვევდა თავადაზნაურობასა და მეფის მთავრობაში. ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსმა ნიკოლაევმა საიდუმლოდ მოახსენა კავკასიის პოლიციის უფროსს: „1905 წლის 25 აგვისტოს ქუთაისის თეატრში, ქართულ მსახიობთა დასის წარმოდგენის დროს, მეორე მოქმედებაში არტისტმა ალექსი-მესხიშვილმა ქართულად წარმოთქვა სიტყვა, რომლითაც იგი ხალხს მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა. სიტყვის დასასრულს ხუთჯერ წარმოთქვა: „ბრძოლა ერისა, ბრძოლა ხალხისაო“. წარმოდგენის შემდეგ ხალხი რევოლუციური სიმღერებით დაიშალა“...

მეფის აგენტები და რეაქციონერები გააფთრებით იბრძოდნენ თეატრის წინააღმდეგ და ყოველნაირ საშუალებას მიმართავდნენ, რათა ჩაეშალათ მისი მუშაობა. მაგრამ მესხიშვილი გაბედულად იგერიებდა იერიშებს. მრისხანე იყო ლადოს გალაშქრება რეაქციული თავადაზნაურობის წინააღმდეგ, როდესაც მას ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის კრებაზე უსაყვედურეს: ჩვენს მიერ შეკრებილი ფულით განკურნებული არტისტი საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ, აქ „კაი გრაკხისთანა“ პიესებით ხალხს გვიბუნტებს, აზნაურობას სამარეს გვითხრისო. რევოლუციით თავზარდაცემულ თავადაზნაურობას, რომელთაც სურდათ, რომ ხელოვნებაც მათ სამსახურში ყოფილიყო, გაცეცხლებულმა ლადო მესხიშვილმა შემდეგი სიტყვებით მიმართა: „...მე აზნაურობას არ ვეკუთვნი! ვეკუთვნი მთელ ერს, ფულს როდი ვემსახურები, არამედ სცენას, ჩემს რწმენას და ვერავითარი სასყიდლით ვერავინ ვერ მიყიდის და ვერ მათქმევინებს იმას, რაც ჩემს რწმენას ეწინააღმდეგება. ალბათ იაშვილს „კაი გრაკხი“ აქვს მხედველობაში. მერე რა ვთქვი მე ამ პიესაში? დავანახე თავადაზნაურობას მისი ნაკლოვანება, მისი ზნეობრივი და გონებრივი სიღატაკე, მისი არარაობა დღევანდელ ცხოვრებაში!“...

...ნამდვილად კი ლადო მესხიშვილს კარგად ესმოდა სოციალური ბრძოლის არსი (რომელიც მისი სიტყვებიდანაც გარკვევით ჩანს), ღრმად სწამდა მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვების აუცილებლობა. სწორედ ამ იდეური მისწრაფებით იყო გამსჭვალული ლადო მესხიშვილის ამ პერიოდის მთელი სასცენო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

სიმართლე რომ არ იყოს, ალბათ ლეგენდად გადაეცემოდა შთამომავლობას ქუთაისის ქუჩებში დეკორაციებისაგან ახორხლილ ბარიკადებზე იარაღით ხელში მდგომი, ლომივით ფაფარაყრილი ლადო, როდესაც ქუთაისს ცეცხლითა და მახვილით შემოესია ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმი. როცა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ხალხის მღელვარებამ შეიარაღებულ აჯანყებაში

გამოხეთქა და საქართველოს ქალაქები ბარიკადებით დაიფარა, მესხიშვილი თავისი დასით გავიდა სცენიდან და ქუთაისის ქუჩებში გამართულ ბარიკადებთან დადგა. იგი მუშებთან ერთად თავგანწირულად იბრძოდა პოლიციელებისა და მთავრობის ჯარების წინააღმდეგ.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ, როცა ცნობა მოვიდა ბრძოლაზე დროებით ხელის აღების შესახებ, რევოლუციური კომიტეტის წარმომადგენელი მივიდა კლასიკურ გიმნაზიასთან აღმართულ ბარიკადებთან და მებრძოლებს უბრძანა შეეწყვიტათ საბარიკადო ბრძოლა. მაგრამ მის წინ აღიმართა ბრძოლის ჟინით ანთებული ლადო მესხიშვილი და მტკიცედ განაცხადა.

გადაეცით კომიტეტს, რომ აქ, ამ ბარიკადებზე მე, ლადო მესხიშვილი ვიმყოფები და აქედან ფეხს არ მოვიცვლი. ბარიკადებს ჩვენ არ დავშლით, საჭირო თუ შეიქმნა, აქ მოვიყვანთ ჩვენს ცოლშვილს; დაე, ამ უმანკო მსხვერპლთა გვამებზე გადაიარონ ალიხანოვ-ავარსკის სისხლისმსმელმა ურდოებმა. რევოლუცია მსხვერპლს მოითხოვს. ჩვენ მზად ვართ ამისათვის. მსხვერპლს შეურისძიება მოაქვს მტრებისათვის. ჩვენ თუ დავიხოცებით — ქვეყანა წარმოშობს ისეთ გმირებს, რომელნიც უეჭველ გამარჯვებას მიანიჭებენ ხალხს.

ასეთი იყო ლადო მესხიშვილი როგორც ტრიბუნი და ღირსეული მოქალაქე თავისი ქვეყნისა. აკაკი ფალავას სიტყვებით რომ ვთქვათ: „მსოფლიო თეატრის ისტორიამ არ იცის სხვა მსახიობი, რომელსაც ესოდენ დიდი სამსახური გაეწიოს რევოლუციის მომზადებისათვის"[1].

□□

მუშათა მოძრაობის აღმავლობის პერიოდში ჩასახული და განვითარებული სახალხო თეატრი იქცა მუშათა კლასის გათვითცნობიერების იარაღად, ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღად. სწორედ ამ ნიშნის მიხედვით არჩევდნენ რეპერტუარსაც. წარმატებით იდგმებოდა ს. ერთაწმინდელის „დაჭრილი ორბი", ა. ნიკიტინის „დამნაშავეა"? ი. გომართელის „ქოხში". ეს წარმოდგენები დიდ ზეგავლენას ახდენდა მაყურებელზე თავისი რევოლუციური სულისკვეთებით. იყო შემთხვევები, როცა მოქმედების მსვლელობის დროს მაყურებელი ფეხზე წამოიჭრებოდა ხოლმე შეძახილით: „გაუმარჯოს თავისუფლებას"! „ძირს რეაქცია"! სხვათა შორის, მუშათა თეატრში დიდი წარმატებით იდგმებოდა დრამატურგ პოლიო ირეთელის (კალანდაძის) დრამა „დამარცხებულნი". პიესის თემა ჩვენი ქვეყნის სინამდვი-

---

[1] ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება", 1972, № 8, გვ. 30-31-32.

ლიდან — ადელხანოვის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშათა ცხოვრებიდან იყო აღებული. პიესაში ნაჩვენებია მუშათა გაფიცვა, მუშათა საიდუმლო კრება, ამ კრებაზე ჟანდარმერიის თავდასხმა და ხელჩართული ბრძოლა. წარმოდგენა იმდენად ეფექტიანი იყო, რომ მაყურებელი მოქმედების დროს ფეხზე წამოიჭრებოდა ხოლმე.

ასეთი ამბავიც მომხდარა: 1910 წლის 1 მაისს არაქსიანის თეატრში, როდესაც ამ პიესაში მონაწილეობდა ვასო აბაშიძე (მეფაბრიკე ბაღდანიძის როლში) და ანდრო ადამიძე (მსახურის როლში), თეატრი პოლიციელებითა და ჯაშუშებით ყოფილა სავსე. ჟანდარმერიამ იცოდა, პარტიის განკარგულებით მუშებს ყოველგვარ პირობებში უნდა აღენიშნათ საპირველმაისო დღესასწაული. წარმოგდენის ორგანიზატორებს ლ. ლეჟავასა და ს. სულთანიშვილს წინასწარ დაურიგებიათ ბილეთები ფაბრიკა-ქარხნებში. გარდა ამისა, დიდძალი სამაისო არალეგალური ფურცლები გაუვრცელებიათ დამსწრე მუშებში. მთავრობის აგენტები აშკარად ხედავდნენ, რომ თეატრის შენობაში ნახევრად ლეგალურად და ნახევრად არალეგალურად აღნიშნავდნენ მუშათა დღესასწაულს — 1 მაისს. წონასწორობადაკარგული ჯაშუშები და აგენტები, რაიონის ბოქაულის წინამძღოლობით, კულისებში შევიდნენ. დაკვირვებით შეათვალიერეს სპექტაკლის თითოეული მონაწილე. ბევრი მუშა გაჩხრიკეს და ბევრიც, მათთვის საეჭვო, დააპატიმრეს.

ამ პიესას სცენისმოყვარენი უკეთ თამაშობდნენ, ვიდრე პროფესიონალი მსახიობები, რაც იმით აიხსნებოდა, რომ პიესის შინაარსი მუშათა ცხოვრებას ასახავდა და მუშა-მსახიობებისათვის განსასახიერებლად ადვილი იყო.

ამრიგად, მუშათა თეატრს გარკვეული სოციალური მიმართულება ახასიათებდა. ეს იყო თეატრი, რომელიც მხარდამხარ უნდა მიჰყოლოდა მუშათა კლასს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში...

რამდენი შრომა, რამდენი თავისმტვრევა იყო საჭირო, რომ როგორმე რევოლუციური პიესა, რომელიც ხალხის გულსა და სულს სწვდებოდა, ცენზურისათვის გამოეპარებინათ. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა ცენზურით აკრძალულ პიესებს უცვლიდნენ სახელს და ისე დგამდნენ.

ასეთ პირობებში უხდებოდათ მუშაობა, მაგრამ ეს გულს არ უტეხდა მათ, რადგან იცოდნენ, რომ მაყურებელი უშუალოდ განიცდიდა ყოველივე იმას, რასაც ისინი სცენაზე წარმოადგენდნენ. სცენისმოყვარეებსა და მაყურებელს შორის ზღვარი იშლებოდა და უშუალო მჭიდრო კავშირი მყარდებოდა. ყველა მსახიობი მუშაც იყო და, ადვილი წარმოსადგენია, რამდენ ენერგიას მოითხოვდა დილიდან საღამომდე ქარხანაში მუშაობა, მერე მშიერ-მწყურვალის რეპეტიციაზე თუ წარმოდგენაზე სირბილი, როლის უმოკლეს დროში სწავლა,

საზოგადოების წინაშე პირნათლად წარდგომა, გვიან ღამით დაძინება და დილით ადრე ადგომა ქარხანაში წასასვლელად. მაგრამ, კულტურულ ცხოვრებას მოწყურებულნი, ნათელი მომავლის მომლოდინე მოჭირნახულენი, დიდი გულმოდგინებით ეწაფებოდნენ ცოდნის წყაროს, თვითგანვითარებას. დიდი პასუხისმგებლობით ეპყრობოდნენ ამ სახალხო საქმეს. დროზე ცხადდებოდნენ რეპეტიციებზე, პატივისცემით ექცეოდნენ ხელმძღვანელებს, ვარჯიშობდნენ სასცენო მეტყველებასა და მოძრაობაში. როლის შესწავლას რომ დიდი ყურადღება ექცეოდა, ამას ვიგებთ სცენისმოყვარეთა ამხანაგობის წესდებიდან. აღნიშნული წესდების მეცხრე მუხლში წერია: „ყოველმა სცენისმოყვარემ, როცა როლს მიიღებს, მთელი პიესა უნდა წაიკითხოს და შეიგნოს... მიუღებელია როლის საკუთარი სიტყვებით ჩატარება, სუფლიორის ბუტკისკენ ცქერა და სხვა...“

თუ გადავიკითხავთ თეატრალურ რეცენზიებს, სადაც გარჩეულია სცენისმოყვარეთა სპექტაკლები, თვალში გეცემათ ერთი გარემოება. რეცენზენტების ყურადღება გამახვილებულია როლის კარგ ცოდნაზე, მაშინ, როცა პროფესიული დასის შესახებ დაწერილ რეცენზიებში ხშირად შეხვდებით ასეთ გამოთქმას: სამწუხაროდ მსახიობებმა როლები არ იცოდნენ და მოკარნახის დახმარებით როგორც იქნა ძლივს დაამთავრეს სპექტაკლიო.

საინტერესოა გავიხსენოთ ნ. გოცირიძის მოგონებიდან ერთი ადგილი, რაზედაც გ. ჯაბაურიც ამახვილებს ყურადღებას: „მაგონდება — ავჭალის აუდიტორიის სცენისმოყვარეებმა ქართულ სათავადაზნაურო თეატრში, წრის ფონდის გასაძლიერებლად, თავისი ძალებით და გასტროლიორების მონაწილეობით ავქს. ცაგარლის „ციმბირელი“ დადგეს. მაზუთიანის როლის შესრულება ქართული თეატრის დიდ მსახიობს ვასო აბაშიძეს ვთხოვეთ. ვასო სიამოვნებით დაგვთანხმდა სრულიად უსასყიდლოდ მიეღო მონაწილეობა წარმოდგენაში. 7 საათზე ყველა ჩვენი სცენისმოყვარე ადგილზე იყო და გრიმებს იკეთებდა. ვასო ადრე მოვიდა თეატრში, ხელში როლი ეჭირა და ადგილებს იზეპირებდა. ვასოს მაზუთიანი არაერთხელ ეთამაშნა და ამ როლშიც ისე, როგორც სხვა პიესებში, დაუვიწყარი სახე ჰქონდა შექმნილი. აი, ვასო დგას კუთხეში და მაზუთიანის ფრაზებს იმეორებს. შეკითხვაზე, თუ რას აკეთებს ვასო, ეს ჩვენი ბუმბერაზი მსახიობი, მხიარულად უპასუხებს: — მაშ, რა ვქნა, ქაჯან, გამიგია ამათ თეატრში ყველას დიაკვანივით აქვს როლი გაზეპირებული და მე რად უნდა ჩამოვრჩეო“[1].

ვასოს ხშირად იწვევდნენ მუშათა უბნებში. ვინ მოთვლის რამდენჯერ უან-

---

[1] გ. ჯაბაური. მოგონებანი, გამომც. „ხელოვნება“, 1956, გვ. 48.

გაროდ და დიდი ხალისით მიუღია მონაწილეობა ავჭალის, ავლაბრის, ვერისა და სხვა მუშათა თეატრებში. მისი ბენეფისები და იუბილეები ხომ მთელი ერის დღესასწაული იყო. მის მიერ ყოველი როლის შესრულება განუსაზღვრელ აღტაცებას იწვევდა მაყურებელში. უბრალოება, დიდი დამაჯერებლობა, სახის გამომეტყველება, ყოველი ჟესტი და ძალდაუტანებლობა ხიბლავდა ყველას. მის შესრულებას ყოველთვის ახასიათებდა ზომიერება, მხატვრული გემოვნება. რარიგ დაღვრემილი და მოწყენილი არ უნდა ყოფილიყავით, გამოჩნდებოდა თუ არა სცენის ჯადოქარი, მაშინათვე ნეტარებას ეძლეოდით. ყველას სახეზე ღიმილი უკრთოდა და ეს ღიმილი სიცილ-ხარხარით თავდებოდა. იგი უყვარდა ყველას. მუშებისათვის ხომ ვასო სათაყვანებელი იყო. „ქართული თეატრის მშვენიერი ლეგენდა"—ასე უწოდებდა ვასოს თეატრის მემატიანე. არაერთხელ უთამაშია ვასო აბაშიძეს ავჭალის აუდიტორიაში და ავლაბრის სახალხო თეატრებში.

სახალხო თეატრის ხშირი სტუმრები იყვნენ აგრეთვე მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ა. წერეთელი, ს. მგალობლიშვილი, შ. დადიანი, თ. სახოკია, ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე ი. გომართელი, პ. ირეთელი (კალანდაძე), ტ. რამიშვილი, ფ. ქორიძე და სხვები, რომელთაც აინტერესებდათ ხალხის მომავალი ზრდა-განვითარების საქმე. ეს კი გაპირობებულ იყო იმით, რომ ამ უბნის პატარა, მაგრამ მნიშვნელოვან კულტურულ საქმიანობას თვითონ მუშა-ხალხი ედგა სათავეში, რამდენიმე ინტელიგენტის მონაწილეობით. სტუმრები ესწრებოდნენ მათს საღამოებს, ამხნევებდნენ და რჩევა-დარიგებებს აძლევდნენ მათ. ეს კი ახალისებდა მუშებს და მომავალი მუშაობის სტიმულს აძლევდა.

ამის საილუსტრაციოდ აქვე მოვიყვანთ ერთ შემთხვევას. 1914 წლის შემოდგომაზე მურაშკოს თეატრმა დადგა „პატარა კახი". ეს პატრიოტული, ამაღელვებელი და გულშიჩამწვდომი პიესა ჯერ კიდევ დიდი თეატრების სცენიდან ყველასათვის ცნობილი იყო, მაგრამ იგი მუშათა თეატრში მუშა-შემსრულებლების მონაწილეობით საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევდა.

პრემიერაზე მოზვირთდა მაყურებელი ქალაქის ყველა უბნიდან. აკაკი წერეთელიც მოვიდა თავის ვაჟთან — ალექსისთან ერთად, რასაც დიდი სიხარული და აღფრთოვანება გამოუწვევია როგორც სცენისმოყვარეთა შორის, ისე საზოგადოებაში.

ხალხი ტაშის გრიალით, ვაშათი, დაფა-ზურნით, ხოროს სიმღერებითა და ცოცხალი ყვავილებით შეხვედრია საყვარელ დიდ მგოსანს. საზოგადოებისა და სცენისმოყვარეთა სახელით მუშა-პოეტს შაქრო ნავთლუღელს ექსპრომტად ლექსით მიუმართავს პოეტისათვის:

მოხუცებულო მგოსანო,
მოსილო თეთრი წვერითა,
ბედნიერება მოგვმადლე
მობრძანებითა შენითა!
უკვდავი არს და იქნების
შენი ტკბილ-შხამა კალამი!
წრფელის გულითა მოძღვნილო
მიიღე ჩემი სალამი!

ამის შემდეგ ისინი გადახვევიან ერთმანეთს, დარბაზში კი ისევ ქუხდა თურმე ტაში. როგორც დამსწრენი იგონებენ, აღნიშნულ დღეს სცენისმოყვარეებს ს. ივანიძის რეჟისორობით და მონაწილეობით წარმოუდგენიათ აკაკის „პატარა კახი". სახეგაბადრული მოხუცი მგოსანი ღვთაებრივი ღიმილით შესცქეროდა მუშების მიერ ამეტყველებულ საყვარელ გმირებს. საზეიმო მოვლენად იქცა „პატარა „კახის" დადგმა და აკაკის სტუმრობა ავლაბარში.

□□

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოდგენებს წინასწარ გავრცელებული ბილეთებით ესწრებოდნენ ადელხანოვის ფაბრიკა „მირის" და სხვა ქარხნის მუშები, მათთან ერთად რაიონის წვრილი ხელოსნები, ძირითადად ახალგაზრდობა. თეატრი-აუდიტორია კი პირველ ხანებში ვერ იყო კეთილმოწყობილი. ფოიეც კი არ ჰქონდა, რის გამოც მაყურებლები ანტრაქტის დროს დარბაზში რჩებოდნენ. დარბაზში კი საშინელი ბოლი იდგა და აუტანელი ხმაურიც იყო. განსაკუთრებით ეს ხდებოდა მაშინ, როცა სპექტაკლს ესწრებოდნენ ადელხანოვის ქარხნის მუშები. ისინი გამოწყობილნი იყვნენ ყარაჩოხულ ტანისამოსში, თავზე ეხურათ „გარიბალდის" ქუდები, რომელსაც არ იხდიდნენ თეატრში ყოფნის დროს, პირში გრძელტარიანი ჩიბუხები გაერჭოთ და დინჯად აბოლებდნენ.

ასეთ პირობებში გამგეობის წევრები და ის სცენისმოყვარენი, რომლებიც იმ საღამოს არ ღებულობდნენ მონაწილეობას, სპექტაკლის დაწყებიდან დამთავრებამდე დარბაზში იყვნენ და აგიტაციას ეწეოდნენ, ესაუბრებოდნენ მათ მიმდინარე სპექტაკლის შესახებ და თეატრალური ხელოვნების მნიშვნელობაზე. ზამთარში მხოლოდ კულისები და საპირფარეშოები თბებოდა. ავანსცენაზე კი სუფლიორის ჯიხურის მარჯვნივ და მარცხნივ ჩამწკრივებული იყო ანთებული ლამფები, ლამფებს წარმოდგენის დაწყებისას აქრობდნენ და ფარდის დაშვებისას ანთებდნენ.

ერთი სიტყვით, სიღარიბის გამო, სათეატრო მუშაობა პრიმიტიული იყო. ერთადერთი დახმარება, რომელსაც თეატრი იღებდა, იყო ვალ. გუნიასა და ვ. აბაშიძის შუამდგომლობით დრამატული საზოგადოების მიერ მიცემული ძველი, ნახმარი დეკორაციები და ტანსაცმელი, განსაკუთრებით მაშინ, როცა კლასიკური პიესები იდგმებოდა. რაც შეეხება სცენის მოწყობილობას, თეატრს არ გააჩნდა, იგი სცენისმოყვარეებს თვითონ მოჰქონდათ; დანარჩენს, მაგალითად, ხმლებს, ხანჯლებს, დამბაჩებს და თოფებს — ქირაობდნენ.

სპექტაკლზე დამსწრე სხვადასხვა სოციალური წარმოშობის ხალხს განსაკუთრებით მოსწონდათ პიესები „სამშობლო", „რაც გინახავს, ველარ ნახავ", „კინტო", „ხანუმა", „ავაზაკნი", „და-ძმა", „ქოროღლი", „თამარ ბატონიშვილი", „პეპო" და სხვ. ასეთი პიესების დროს დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით. ფეხზე დასადგომ კონტრამარკებსაც კი ყიდდნენ, ბევრი მსურველი კი უადგილობის გამო უკან ბრუნდებოდა. ხშირი შემთხვევა იყო, როცა ამა თუ იმ პიესას ხალხის თხოვნით განმეორებით დგამდნენ.

აქედან გამომდინარე, სახალხო თეატრს და მის მოწინავე მუშაკებს არც რაიმე მატერიალური დახმარება ჰქონიათ და არც მორალური თანაგრძნობა. ამის დასამტკიცებლად საკმარისია აღინიშნოს ის, რომ მაშინდელ ქართულ პრესაში სახალხო თეატრების შესახებ ბევრს ვერ ნახავდით რეცენზიასა და წერილს, რომლებსაც ერთგვარი წამახალისებელი მნიშვნელობა ექნებოდა. ავლაბრის თეატრის შესახებ წერილებისა და რეცენზიების წერა გაზეთებში ისევ სცენისმოყვარეებს უხდებოდათ. ესენი იყვნენ: ი. იმედაშვილი, ი. მჭედლიშვილი („ავლაბრელი ნინიას" და „ქიზიყელის" ფსევდონიმით), ალ. ბაჯიაშვილი („თამბაქოს ფოთლის" ფსევდონიმით), დ. მელაშვილი („ტყის მელას", „ისკანდერის" „დაუდ-ბეგის" და დ. მ-ლის ფსევდონიმით).

ავლაბარში მურაშკოს თეატრში სახალხო წარმოდგენების მართვამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ ფართო მასებში საკმაოდ მომწიფდა და გაიზარდა თეატრალური სანახაობისადმი მოთხოვნილება, რომელსაც სამწუხაროდ, ვერ აკმაყოფილებდა მურაშკოს პატარა აუდიტორიის შენობა (სადაც 200 კაცი ეტეოდა). თეატრი ძლიერ დაშორებული იყო ავლაბრის ცენტრს და ეს გარემოება მწვავედ აყენებდა ახალი ბინის გამოძებნის საკითხს, მხოლოდ უეჭველად ცენტრალურ უბანში. ეს ახალი ბინაც მალე აღმოაჩინეს.

□□

რაც შეეხება მურაშკოს თეატრს, ცხადია სცენისმოყვარეთა დასების არაქსიანის თეატრში გადასვლის გამო, იგი ერთხანს დავიწყებას მიეცა, თუმცა წარმოდგენები ხანდახან მაინც იმართებოდა კერძო პირთა ინიციატივით.

როგორც თეატრალური მუზეუმის № 21 საარქივო ფონდში დაცული აფიშები გვაცნობენ, 1902 წლის 17 ნოემბერს წარმოადგინეს გ. სუნდუკიანის „პეპო“ და კ. ყიფიანის „დატრიალდა ჯარა“. მონაწილეობდნენ: ქ. ქ. ვაშაკიძე, ნონიკაშვილისა, ჯარიაშვილი, ბ. ბ. იმედაშვილი, მაღაროელი, ნონიკაშვილი, პოლოსოვი, გაბოშვილი, მოსულიშვილი, გაბრუაშვილი, მაისურაძე.

1903 წლის 6 მაისს ნიკო მირველოვის ხელმძღვანელობითა და ქართველ სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იყო 1. „არკადიას სადილი“. სცენები თბილისის ვაჭრების ცხოვრებიდან 6 სურ. ნამდვილი ამბავი ნ. გალუსტოვისა. მონაწილეობდნენ: ტლაპან არკადია — ნ. მირველოვი, ქაფჩა გეურქა — ა. მამულაძე, უფულო სოლომონა — მ. ბუხრაძე, კუზიანი საშოა — დ. ჯავახოვი, დედალ მიკიჩა — გ. მჭედლიშვილი, ფიზიკა იაგორა (კოჯორა) — ი. რევაზიშვილი, საბაკა სამსონა — მ. მელაშვილი, აცი გელა — კ. ღვთისავაროვი, ვიპალა — ი. ჯორჯაძე, მანდულა — ჯოხაძე, სედრაკა — მჭედლიშვილი, ნიკო — მ. პანიაშვილი, არტო (სატიოს მედუქნე) — ასლამაზოვი, ნენიკა (მეტივე) — ჯორჯაძე. ზურნა, მეტივეები, მუშა კუბოთი.

2. „ადვოკატი მელაძე“. კომედია 2 მოქ. მაჩაბლისა. ადვოკატი მელაძე — პ. მამულაძე, მარინე — ქ. ჯავახოვისა, სერგო ფირუმოვი — ნ. მირველოვი, მიხაკა — ბ. არვანიძე, სესიკა მეცხვარე — ბ. ივრისპირელი, მოსამართლე — მ. ბუხრაძე, მწერალი — X.

3. „საცოლე ერთის საათით“. ვოდევილი 1 მოქმ. დ. აწყურელისა. დავით მორთულაძე — ნ. მირველოვი, ლიზა — ქ. იობაშვილისა, შაქრო — მ. ბუხრაძე, სიკო ივანიძე — დ. ჯავახოვი, პორფირე — ბ. ივრისპირელი.

1904 წლის 30 მაისს თბილისის სცენისმოყვარეთა მიერ ქართული თეატრის არტისტების მონაწილეობით წარმოადგინეს აკ. წერეთლის ორმოქმედებიანი პიესა „კინტო“ (კინტოს როლს ასრულებდა დარო რჩეულიშვილი) და გ. სუნდუკიანის ერთმოქმედებიანი ვოდევილი „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია“.

1907 წლის 10 თებერვალს მურაშკოს თეატრის სცენაზე პირველად ქართულ სცენისმოყვარეთა მიერ ა. გ. ქუთაისელის მონაწილეობით წარმოდგენილი იყო შექსპირის „ჰამლეტი“.

იმავე სეზონში დაიდგა „ადამ და ევა“, „ცოლქმრობის წინააღმდეგ“, „დამბაჩა და რევოლვერი“.

მომდევნო, 1908 წლის 25 იანვარს უჩვენეს არტ. ლიმონიძის მონაწილეობით და ა. ჭელიძის სადებიუტოდ წარმოდგენილი ა. წერეთლის ხუთმოქმედებიანი დრამა „პატარა კახი“ და რ. ერისთავის ორმოქმედებიანი ვოდევილი „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“.

ამის შემდეგ 1909 წლის 28 ივნისს წარმოადგინეს პირველად პ. ირეთელის ოთხმოქმედებიანი პიესა „ქრისტინე". მონაწილეობდნენ: რ. სალაყაია, დ. რჩეულიშვილი, მ. მარგველაშვილი, ქ. ფურცელაძე, ს. გოგაშვილი, მ. ლელაშვილი, ვ. წამალაშვილი, ქ-ნი გულვერდოვი, მ. მარუსია, ი. გრიშაშვილი, გ. გელიკურაშვილი, ლ. ბედოიძე.

1910 წლის 27 ივნისს სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იყო ი. გაბრუაშვილის ხუთმოქმედებიანი პიესა „ბრძოლა არსებობისათვის".

1911 წლის 23 ივლისს ქართული დრამატული დასის მიერ წარმოდგენილი იყო ვალ. გუნიას ხუთმოქმედებიანი დრამა „და-ძმა". ანტრაქტებში უკრავდა გიტარისტ-მონდოლინისტების გუნდი.

იმავე წლის 6 ნოემბერს სცენისმოყვარეთა დასმა უჩვენა ავქს. ცაგარლის ვოდევილები „ბაიყუში" და „ჰკუისა მჭირს", ნამის „გეურქაღა და შანტაჟისტები" და სომხურ ენაზე ი. გრიშაშვილის „ტიმოთეს ლეღვი".

1912 წელს თომა ნასიძის, რომანოზ სალაყაიას, ყარამან მეღუზლას და ივანე მჭედლიშვილის თაოსნობით მურაშკოს თეატრში განახლებულა მუშაობა, რომელიც 1915 წლამდე გაგრძელდა. წრის რეჟისორად მოწვეული იყო ს. ივანიძე. წრეში ირიცხებოდნენ: დ. რჩეულიშვილი, მ. და ვ. მარგველაშვილები, ვ. ჟურული, ნ. მეღუზლა, ვ. ნიკიფოროვა და სხვ. ვაჟებიდან: თ. ნასიძე, ბ. მაისურაძე, ყ. მეღუზლა, რ. სალაყაია, ს. ჟივიძე, რ. ჯიბლაძე, გ. მჭედლიშვილი, ლ. ლეჟავა, ს. სულთანიშვილი, მ. ჯანველოვი, ე. კულულაშვილი, ა. და ო. გოჩიტაშვილები, გ. ჯანჯულაზოვი, გ. ჟუჟუნაშვილი და სხვ. თეატრის გახსნის გამო გამართულა ქართული, რუსული და სომხური წრის სადღესასწაულო წარმოდგენა. სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იყო ვალ. გუნიას ერთმოქმედებიანი კომედია, „არივ-დარია". წარმოდგენის შემდეგ მოუწყვიათ დივერტისმენტი. წაუკითხავთ სხვადასხვა სცენები. დასასრულს ქართულ სახალხო წრესთან არსებულ გუნდს ვ. მათურელის ლოტბარობით, შეუსრულებია შემდეგი ხალხური სიმღერები: „თამარის დროშა გაშალეს", „გუშინ შვიდნი გურჯანელნი", „ვაი შენ, ჩემო თეთრო ბატო",„ ღმერთო, მეც გადმომხედე", „თებრონე მიდის წყალზედა", „სათამაშო", ანტრაქტის დროს უკრავდა მუსიკა.

ამას მოჰყვა 1914 წლის 9 ნოემბერს ავლაბრის ქართული სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ მსახიობ ი. ივანიძის მონაწილეობით წარმოდგენილი ნ. შიუკაშვილის ოთხმოქმედებიანი დრამა „მეგობრობა". მონაწილეობდნენ: ქ. ქ. კავთელი, სააკოვისა, კობახიძე, ბ. ბ. ი. ივანიძე, ქიზიყელი, თავდგირიძე, მაისურაძე, რევაზოვი, სულთანიშვილი, ნინოშვილი, გულისაშვილი, კახელი და სხვ.

ამავე სეზონში დაიდგა ქართული დრამატული თეატრის მსახიობების ქ-ნი ეფ. მესხის, ელ. ჩერქეზიშვილის, ვ. აბაშიძის, ალ. იმედაშვილის, ი. ზარდალიშვილის, ა. ყალაბეგაშვილის, ი. ივანიძის, ი. ჟივიძის მიერ წარმოდგენილი ალ. სუმბათაშვილის ცნობილი ისტორიული დრამა „ღალატი“. რეჟისორი ი. ივანიძე, თანაშემწე ი. რევაზიშვილი.

იმავე წლის 23 ნოემბერს ი. ივანიძისა და ალ. შანშიაშვილის მონაწილეობით სახალხო წარმოდგენების გამმართველმა წრემ უჩვენა გუცკოვის ცნობილი ტრაგედია „ურიელ აკოსტა“. მონაწილეობდნენ: ვ. მარგველაშვილი, ა. კავთელი, ვ. სააკოვისა, ი. ივანიძე, ალ. შანშიაშვილი, ი. რევაზიშვილი, ს. სულთანიშვილი, ნ. ნინოშვილი, კახურაშვილი, ბროძელი და სხვანი.

ამავე სეზონში დაიდგა კ. მესხის მიერ გადმოკეთებული „მელანიას ოინები“ (რეჟისორი ბეგლარიძე). მონაწილეობდნენ: პავლე მედროგე — ბ. ბეგლარიძე; მელანია — დ. რჩეულიშვილი; კატო — ვ. დავითაშვილი; მარო — ლ. ვაშაკიძე; პიკარი — ამაღლაძე, ი. ლოლაძე; ხარაბაძე — გ. ბაკურაზე; არუწა ყასაბი — ი. იაკობიძე; პანკესა — ივ. მჭედლიშვილი; ქიტესა ჯაშუში — ივ. ალექსიძე; შანშე, დვორნიკი — ნ. გვარაძე.

დიდი ამაგი დასდო მსახიობმა ნ. გვარაძემ მუშათა სახალხო თეატრებს, განსაკუთრებით კი ავლაბრის მურაშკოს თეატრს.

„პატარა ნიკო ბავშვობიდანვე დაწაფებია თეატრალურ ხელოვნებას, ღიმღამობით, ავქს. ცაგარლის „რაც გინახავს“, ველარ ნახავ“ პერსონაჟის ავეტიკას მონოლოგებს კითხულობდა და გიორგი ერისთავის „ძუნწის“ კარაპეტა დაბაღოვის ტექსტს იზეპირებდა. კვირაობით კი თავის ტოლებთან სხვადასხვა უბნებში თამაშობდა. ჭაბუკი ვასო აბაშიძეზე იყო შეყვარებული და უბნის ბიჭებთან მის როლებს თამაშობდა.

1903 წლის ზაფხულში, გაზეთებში გამოქვეყნებულა შემდეგი განცხადება: „ქართული დრამატული საზოგადოება ამით აცხადებს, რომ მსურველთათვის დანიშნულია 19 აგვისტოს გამოსაცდელი წარმოდგენა, ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ თეატრის კანტორაში დღეიდან 5 აგვისტომდე, ყოველდღე დილის 12 საათიდან ნაშუადამევის პირველ საათამდე“.

ნიკო ერთი პირველთაგანი ჩაწერილა. გ. ახოსპირელს მიუყვანია იგი გამოსაცდელი წარმოდგენის ხელმძღვანელებთან და უთქვამს: ამ ყმაწვილს სურს სცენაზე იმუშაოს და კიდეც ჩაეწერაო. ვალ. გუნიას კი უპასუხია — მაგას რომ სურს, არაფერს ნიშნავს. საქმე ის არის თეატრმაც ისურვოსო. გამოსაცდელ შეკრებაზე გუნია ყველას შეჰკითხვია, თუ ვის რა ამპლუაზე სურდა ემუშავა.

ნიკოს უპასუხია, ვასო აბაშიძის როლებზეო. ვ. გუნიას გაცინებია და უთქვამს — შენი ტანისა და სახის პატრონი „ლუბოვნიკებს“ ვერ ითამაშებსო.

გამოსაცდელი წარმოდგენა ნ. გვარაძეს დიდი წარმატებით ჩაუბარებია. იგი მაშინვე ჩაურიცხავთ დასში. იმ დღიდან მოყოლებული მოხუცებულობამდე დიდი ერთგულებითა და ენთუზიაზმით ემსახურებოდა საყვარელ საქმეს. ნ. გვარაძის შრომისმოყვარეობა ხომ გასაოცარი იყო. არ ყოფილა შემთხვევა რომ მას როლი ზეპირად არ სცოდნოდეს, რაც ძველ თეატრში ხშირი მოვლენა არ იყო.

ნ. გვარაძეს სცენური გარეგნობა მართალია სახარბიელო არ ჰქონია, მაგრამ მისი წარმატების მთავარი მიზეზი გახლდათ ის, რომ თავის შემოქმედებით ხიბლავდა ყველას, ამას ზედ ერთვოდა შინაგანი სითბო და დიდი შრომისმოყვარეობა.

მიუხედავად იმისა, რომ ნ. გვარაძეს ორი კლასის განათლებაც არ ჰქონდა მიღებული, იგი ჭაბუკობიდანვე დასწაფებია ლიტერატურას, გულმოდგინედ იძენდა ცოდნას და მუდამ აღწევდა წარმატებას.

მართალია, ნ. გვარაძეს პიესებში მთავარი როლების განსახიერება არ უხდებოდა („ჰამლეტში“ პირველი აქტიორი, „ლირში“ მასხარა, „ოტელოში“ როდერიგო და ა. შ.) მაგრამ ყოველ როლს — დიდი იყო თუ პატარა, ერთნაირი სერიოზულობით ეკიდებოდა.

შემდეგში, თანდათანობით ნ. გვარაძე ისე დაუფლებია პან-პრემიერების როლებს, რომ იგივე ვალ. გუნია ასე გააცნობდა ხოლმე უცხო პირებს: «маленький актер на большие роли».

ნ. გვარაძეს ნაიდენოვის პიესაში „ვანიუშინების შვილები“ ერთ-ერთი მთავარი როლი — ალიოშა უთამაშია და თავიც დიდად უსახელებია. ამ როლში ისე მოსწონებიათ და შეჰყვარებიათ თურმე მსახიობი, რომ მის გარეგნობას უკვე ყურადღებას აღარ აქცევდნენ.

„ნიკო გვარაძე როგორც მსახიობი ვიწამე მხოლოდ მაშინ, როცა „ნიშანი ყოფაქცევაში“ ფელიქსის როლში ვნახე — წერს ალ. ბურთიკაშვილი, — მოწაფის როლში პატარა ტანი იყო საჭირო, გრძნობა და სითბო მსახიობს უხვად ჰქონდა. ამ პიესაში გიორგი არადელ—იშხნელს პირველობაში ვერავინ ეცილებოდა. მისი ლეონარდ ულერით მოხიბლული იყო მთელი თეატრი. მისი თამაში ბუნებრივი და წარმტაცი იყო. გავიწყდებოდათ, რომ თეატრში ვიყავით და აი, ამ მსახიობს გვერდში ამოუდგა ფელიქსის როლის შემსრულებელი ნ. გვარაძე. ახალგაზრდა მოსწავლის სულიერი ტანჯვა დიდი სიძლიერით დაგვიხატა ნიკო გვარაძემ“[1].

---

[1] ალ. ბურთიკაშვილი. თეატრალური პორტრეტები, გამოძც. „ხელოვნება“, 1953, გვ. 161.

ნ. გვარაძეს დიდი წარმატება ჰქონია ქუთაისში საგასტროლოდ ყოფნის დროსაც. იქ უთამაშია პირველად ნეზმანოვის როლი ა. ოსტროვსკის პიესაში „უდანაშაულოდ დამნაშავენი“ და „გასტროლიორის ვასო აბაშიძის დიდი მოწონება დაუმსახურებია. სიტყვაძვირი ვასოს მოწონება დიდ რამეს ნიშნავდა, ლადო მესხიშვილი კი ამაყობდა თავისი პატარა მეგობრითა და მოწაფით.

ნ. გვარაძე ავლაბრის თეატრის ხშირი და სასურველი გასტროლიორი იყო.

1915 წლის მაისს ქართულმა სცენისმოყვარეთა წრემ ვალ. გუნიასა და გ. ბროძელის მონაწილეობით, ი. ქივიძის საბენეფისოდ წარმოადგინა ვ. ყიფიანის ხუთმოქმედებიანი ცნობილი ისტორიული დრამა „სამეგრელოს მთავარი ლევან ბატონიშვილი“. მონაწილეობდნენ: ლევან, სამეგრელოს მთავარი — ვალ. გუნია, ნინო, ლევანის მეუღლე — ა. კავთელი, მარიამი, და ლევანისა— ა. ჩარკვიანი, გიორგი, ბიძა ლევანისა — ი. ქიზიყელი, დარეჯანი, მეუღლე გიორგისა — გ. ბროძელი, სვიმონ გურიელი — პ. ფრანგიშვილი, ქაიხოსრო გურიელი — ა. თავდგირიძე, მანუჩარ, შვილი ლევანისა — ვ. მარგველაშვილი, ელჩი როსტომ მეფისა — ვ. მოვიდაგვარაშვილი, პაატა წულუკიძე — რ. ჯიბლაძე, არჩილი — ი. ქივიძე, ვარდენი — კახურაშვილი, თინათინი — ო. სააკოვი, გაბუნია — ვ. მგალობლიშვილი, ქორდანია — ს. სულთანიშვილი, გოროზია — გ. მაჩხანელი, თომა — ი. გულისაშვილი, ნანია — გ. ბროძელი.

□□

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, აქ წარმოდგენებს სხვადასხვა დროს დგამდნენ, ავლაბარში მცხოვრები მეორე თაობის ახალგაზრდა სცენისმოყვარეები ე. კულულაშვილი, გ. პაპინაშვილი, გ. ქუქუნაშვილი, ს. აუშტროვი, ა. კახუროვი, შ. ტალიკაძე, ჰ. ყაზარიანი და სულ ბოლოს მესამე თაობის წარმომადგენელი გ. დარისპანაშვილი.

დიდი ოქტომბრის რევოლუციამ მზის სხივები მოჰფინა ჩვენს ქვეყანას, პურის ქარხნის მუშა გიორგი დარისპანაშვილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებშივე ეზიარა კომკავშირის რიგებს და როცა საქართველოში რუსეთიდან ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის ჩამოყალიბების იდეა შემოიჭრა, იგი პირველი ჩაუდგა სათავეში ასეთ ორგანიზაციას და სცენა ტრიბუნად გამოიყენა. იგი თითქმის ყოველდღე, როცა ქარხნის საყვირი სამუშაოს დამთავრებას აუწყებდა, წინსაფარს მოიხსნიდა და თავის პიონერებთან გარბოდა. იცოდა თუ როგორ მოუთმენლად მოელოდნენ ბავშვები. ახალგაზრდა გიორგიც არაფერს იშურებდა თავის პატარა მეგობრებისათვის. აქვე ჩაესახა იდეა — პიონერულ ორგანიზაციასთან ჩამოეყალიბებინა დრამატული წრე. ამ აზრს მალე ხორცი შეასხა.

მაშინ სცენა მებრძოლი ტრიბუნა და მასობრივი აგიტატორი იყო. პიონერული დრამატული წრე წარმოდგენებს პირველად პატარა ეკლესიაში დგამდა, რომელიც ახალგაზრდებს პიონერულ კლუბად ჰქონდათ გამოყენებული.

ისინი დიდ მუშაობას ეწეოდნენ, წარმოდგენებს უჩვენებდნენ თბილისელ ბავშვებს, საშეფო ორგანიზაციებსა და სამხედრო ნაწილებს. პირადად ამათი შეფი იყო ერთ-ერთი ფეხოსანთა ლეგიონი, რომელთანაც დიდი შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდათ. გადიოდნენ რაიონებსა და ახლომახლო სოფლებში. პატარა მსახიობებს დეკორაციები ზურგით გადაჰქონდათ, სპექტაკლის ჩასატარებელ ადგილზე ჯერ კოცონს დაანთებდნენ და, თავიანთი ხელოვნების ჩვენებასთან ერთად, მაყურებელს აგიტაციას უწევდნენ ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლების, პიონერიის, კომკავშირის შესახებ.

მრავალფეროვანი იყო ამ ახალგაზრდების მუშაობა; იმის გარდა, რომ საშეფო წარმოდგენებს მართავდნენ, ძალიან ხშირად მთავრობის მიერ გამართულ საზეიმო საღამოზეც იღებდნენ მონაწილეობას.

ერთ დღეს პიონერებმა გადაწყვიტეს წვევამდელებისათვის დაედგათ წარმოდგენა. პიონერთა დრამატული წრის ხელმძღვანელმა გ. დარისპანაშვილმა დაწერა პიესა. იგი მოუთხრობდა ჭაბუკებს გამბედაობასა და მამაცობაზე, წვევამდელთა საზეიმო გაცილებაზე... პიონერმა სცენისმოყვარეებმა ისეთი ენთუზიაზმით გაშალეს შემოქმედებითი მუშაობა, რომ ეკლესიის პატარა სცენა მათ უკვე აღარ აკმაყოფილებდათ. ამიტომ იერიში მურაშკოსეულ თეატრზე მიიტანეს.

1921 წელი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წელს მურაშკოსეული თეატრის შენობა აღადგინა და რუსულ ენაზე თავიანთი ძალებით სპექტაკლების მართვა დაიწყო წითელი არმიის ერთ-ერთმა კაპიტანმა.

ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ავლაბარში ტრადიციულად თეატრალურ რაიონში, აგრეთვე ხარფუხსა და ორთაჭალაში თითქმის არც ერთი თეატრალური დასი არ მუშაობდა. ამიტომ იყო, რომ ახალგაზრდა სცენისმოყვარის გ. დარისპანაშვილის წინადადებას — პარალელურად დაედგა ქართული წარმოდგენა ამ თეატრში — კაპიტანი სიამოვნებით დაეთანხმა. ფრთაშესხმული გ. დარისპანაშვილი მაშინვე უბანში დაბრუნდა, შეკრიბა ენთუზიასტი, ნიჭიერი ახალგაზრდები და გულმოდგინე, ხანგრძლივი მეცადინეობით შეკრა ერთიანი მიზანსწრაფვის კოლექტივი. წრის პირველი მერცხლები იყვნენ: გ. მჭედლიშვილი, ლ. სულთანიშვილი, შ. ჯაფარიძე, თვით გ. დარისპანაშვილი და მისი უმცროსი ძმა სულიკო.

გ. დარისპანაშვილი ღარიბ ოჯახში დაიბადა, ადრე დაობლებულმა რვა

წლის ბიჭუნამ მძიმე შრომას მოჰკიდა ხელი. დაიწყო ტანჯვა-წამებით აღსავსე გზა ჭვარტლითა და კვამლით სავსე სამჭედლოში. მაგრამ ცოდნის წადილით შეპყრობილი ყმაწვილი ამ სიძნელეებს არ შეუშინდა, ქედი არ მოიხარა, შეეცადა ყოველდღიური ტანჯვისათვის თავი დაეღწია, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ეპოვა თავისი ადგილი ცხოვრებაში. იგი სწავლა-განათლებას დაეწაფა. ამასთან, იგი თეატრის სიყვარულმა შეიპყრო. ეს სიყვარული თანდათან გაუღრმავდა და გოგი აქტიურად ჩაება სცენისმოყვარეთა წრეში. ამან კი ბავშვს წიგნიხადმი ინტერესი განუვითარა და დიდი გავლენაც იქონია მის ზნეობრივ აღზრდაზე. სახელი მალე გაითქვა და რეჟისორიც საპასუხისმგებლო როლებს აკისრებდა.

15 წლისა არც კი იქნებოდა გოგი, როცა პირველად სცენისმოყვარეთა წარმოდგენას დაესწრო. ამ დღიდან თეატრზე ფიქრი არ ასვენებდა, შოულობდა პიესებს, იზეპირებდა როლებს, და მაშინვე გაითამაშებდა ხოლმე, რაც მოეწონებოდა. სცენას იგი პირველად 1920 წელს ეზიარა პურის ქარხნის სცენისმოყვარეთა სპექტაკლ „ყაჩაღ არსენაში" სირაჯის ბიჭის როლის განსახიერებით.

უშუალოდ სცენაზე კი გ. დარისპანაშვილი ავლაბრის სცენისმოყვარეთა წარმოდგენაში გამოვიდა პიესაში „ბრძოლა არსებობისათვის". ამ პიესაში ეპიზოდური როლი შეასრულა და თეატრის მცოდნეთა მოწონება დაიმსახურა. ამ წაქეზებამ ნიჭიერ ახალგაზრდას სტიმული მისცა. გადაწყვიტა თავისი ცხოვრება საბოლოოდ სცენისათვის დაეკავშირებინა.

და აი, პირველი კომკავშირელი რეჟისორი საქართველოში გიორგი დარისპანაშვილი შეუდგა მურაშკოს თეატრში პიესების „ტიმოთეს ლეღვისა" და „ორი მშიერის" მზადებას. ვინაიდან ჯერ სცენისმოყვარე ქალები არ ჰყავდა, ამიტომ ისეთი პიესები შეარჩია, სადაც ქალი არ იყო საჭირო.

რეპეტიციების მსვლელობის პერიოდში დასს შემოემატნენ ძმები დავიდოვები — ავლაბრის უბნის დამწყები მედოლეები და მიშა ხეჩუმოვი თავისი დასტით.

როცა პიესა „ტიმოთეს ლეღვის" რეპეტიცია დამთავრდა და „ორი მშიერის" მზადებას შეუდგნენ, დასის ხელმძღვანელს აზრად მოუვიდა ახლადმიღებული მედოლეები თავისივე დასტით გამოეყვანა სცენაზე. რეჟისორის ინტერპრეტაცია გამოირჩეოდა აზრის სიცხადით და დამაჯერებლობით.

პიესაში სულ სამი მოქმედი პირია მოცემული. დუქნის პატრონი კაკულა და ორი მშიერი დანტე და ფრანცო. ამ უკანასკნელებს კუჭი უხმებათ შიმშილით; ისინი შედიან დუქანში და ითხოვენ საჭმელს.

დამდგმელმა რეჟისორმა გ. დარისპანაშვილმა პატარა და მარტივი სიუჟეტი მხატვრული დეტალებით და პიესის დედააზრის გამხსნელი დამახასიათებე-

ლი ეპიზოდებით გაამდიდრა. სპექტაკლის გაძლიერების მიზნით პიესაში ერთ-ერთ ეპიზოდად შეიტანა ის, რომ შეზარხოშებულ დანტეს და ფრანცოს შორიდან შემოესმათ ზურნის ხმა. ისინი ზურნის დუქანში შემოყვანას მოითხოვენ. მედუქნე კაკულა მაშინვე ასრულებს დავალებას და შემოჰყავს მეზურნეები. დანტე და ფრანცო ჯერ სიმღერების შეკვეთას აძლევენ, მერე ცეკვებზე გადავლენ, ხოლო როცა ფულის გადახდის ჯერი დგება, ორივე მშიერი, უფულო მოქეიფენი ცარიელ ჯიბეებს გადმოიბრუნებენ და მედუქნეს ანიშნებენ: „ფული არა გვაქვსო". ასე მთავრდება პიესაც.

დიდი მონდომებით ჩატარებული რეპეტიციები მალე დამთავრდა. და აი, 1921 წლის ერთ კვირა დღეს დადგა პრემიერის დღეც. დარბაზი მაყურებლით აივსო. ღელავდა ყველა. სპექტაკლმა იმედი გაამართლა. თეატრის უფროსი — წითელი არმიის კაპიტანი სცენაზე ავიდა, მადლობის ნიშნად ხელი ჩამოართვა დარისპანაშვილს და სთხოვა მალე დაედგა ახალი პიესა.

პირველმა წარმატებამ ფრთები შეასხა ახალგაზრდა სცენისმოყვარეებს და უფრო ენერგიულად გაშალეს მუშაობა. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ურწმუნო თომებიც კი, რომლებიც სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი და არ სჯეროდათ მათი გამარჯვებისა — ისინიც ულოცავდნენ ...

შემდეგში კიდევ იშოვეს „უქალო" პიესა „არკადიას სადილი" და წარმოდგენა მეორე შაბათს უჩვენეს. წრის წევრებმა მოსახლეობაში თანდათან სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს ...

ამ უბნის ნაწილი ახალგაზრდებისა, რომლებიც ცუდ გზას ადგნენ, აქტიურად ჩაებნენ სცენისმოყვარეთა საქმიანობაში. მალე მათთვის ცხადი გახდა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მხოლოდ პატიოსანი შრომითა და სწავლით შეიძლებოდა საზოგადოების სასარგებლო წევრად გახდომა. ასეთი ახალგაზრდები მრავლად მოაწყდნენ თეატრსა და კლუბებს, რის შედეგად თეატრის მუშაობაში მეტი სიხალისე და მომზადება შეინიშნებოდა.

როგორც კი ავლაბარში მურაშკოს თეატრის წარმოდგენის მაუწყებელი აფიშა გაჩნდებოდა, სპექტაკლს ესწრებოდნენ, როგორც მუდმივი მაყურებლები, ისე ისინიც რომლებსაც წინათ თეატრის გზა არც კი ენახათ.

პატარა პიესებიდან ახალბედა სცენისმოყვარეები მალე დიდი მოცულობის ნაწარმოებებზე გადავიდნენ. დაიდგა აკ. წერეთლის „პატარა კახი". კახის როლს ასრულებდა წრის ხელმძღვანელი გიორგი დარისპანაშვილი. ამის შემდეგ კიდევ წარმოადგინეს რამდენიმე პიესა, მაგრამ მურაშკოსეული თეატრი, რომელიც ჯერ კიდევ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აგრ-

ძელებდა თავის არსებობას, შენობის სიძველის გამო, თანდათანობით გამოდიოდა წყობიდან.

ამ დროს პურის ქარხანაში, სადაც გიორგი დარისპანაშვილი მუშაობდა, კონტროლიორად ინიშნება გამოცდილი სცენისმოყვარე ნ. მირველოვი. ქარხნის მუშების თხოვნით, მირველოვმა ჩამოაყალიბა დრამატული წრე, რომელშიაც ძირითადად გაერთიანებული იყვნენ ადგილობრივი მუშა-მოსამსახურეები.

ნ. მირველოვის ხელმძღვანელობით, ქარხნის პირდაპირ, ანჩისხატის საყდრის გვერდით მდებარე ფაბრიკის სცენაზე, რომელიც წითელ კუთხედ იყო წოდებული, დადგეს ერთმოქმედებიანი ვოდევილები და სკეტჩები, რამაც მაყურებლის გულწრფელი მოწონება დაიმსახურა. დაიწყეს ა. ყაზბეგის ცნობილი პიესის „არსენას“ მზადება. პიესის ჩვენება განზრახული იყო ავლაბრის მუშათა კლუბის (არაქსიანისეული თეატრი) სცენაზე. ამიტომაც მეტი გულმოდგინებით და პასუხისმგებლობის ღრმა გრძნობით შეუდგნენ მზადებას.

მალე აფიშებმაც ამცნო ავლაბრის მცხოვრებთ, რომ მეორე პურის ქარხნის მუშა-მოსამსახურენი, ნ. მირველოვის რეჟისორობითა და დარისპანაშვილის თანარეჟისორობით, წარმოადგენენ ა. ყაზბეგის „ყაჩაღ არსენას“.

დადგა პრემიერის დღეც. მოზღვავდა ხალხი. წარმოდგენამ წარმატებით ჩაიარა. ძველი სცენისმოყვარეები ბ. მაისურაძე, დ. მელაშვილი, გ. მანგოშვილი, ე. კულულაშვილი, გ. დავიდოვი და ამ რაიონის სხვა მოწინავე ადამიანები სცენაზე ავიდნენ და წარმატება მიულოცეს ახალგაზრდა მონაწილეებს.

ამის შემდეგ მირველოვმა კიდევ წარმოადგინა რამდენიმე პიესა და დასიც დაიშალა. დაშლის მთავარი მიზეზი იყო ქარხნიდან მირველოვის წასვლა, შტატის გაუქმებასთან დაკავშირებით. მირველოვმა კი მარტო წრეში მუშაობა აღარ ისურვა. მასთან ერთად დარისპანაშვილიც დაითხოვეს, რადგან დირექტორს ეთქვა: „მაგ ბიჭის გზა არტისტობააო“. იმხანად ავლაბარში გახსნილი იყო სადურგლო სახელოსნო სასწავლებელი, რომელიც ეკუთვნოდა აღმშენებელთა პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობას. აქ სწავლობდნენ გ. პავლიაშვილი, შ. გელიკაშვილი, გ. ცხოვრებაშვილი და ამ რაიონის სხვა მოწინავე ახალგაზრდობა. ამ სასწავლებელში გ. დარისპანაშვილის ხელმძღვანელობით და ზემო ჩამოთვლილი მოსწავლეების მონაწილეობით დაარსდა დრამატული წრე.

მალე რაიონის ხელმძღვანელობის ზრუნვით, ყოფილი ქართული გიმნაზიის შენობა გადაკეთდა მუშათა კლუბად და მისი ხელმძღვანელობა აღმშენებელთა პროფკავშირების გამგეობას დაევალა.

დრამატული წრის რეჟისორად დაინიშნა გ. დარისპანაშვილი.

უნდა ითქვას, რომ მესამე რაიონში (26 კომისარი) ასეთი დიდი მასშტაბის კლუბი პირველი იყო და ყოველ წრეს სათავეში ედგნენ პროფესიონალი ხელმძღვანელები.

ამ დრამატულმა კოლექტივმა თავისი სიძლიერით და დისციპლინით მალე გაითქვა სახელი ამ რაიონში. დრამატული წრის ძირითად ბირთვს წარმოადგენდა მე-4 შრომის სკოლის ყოფილი მოსწავლეები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ პერიოდში მე-4 შრომის სკოლა ერთადერთი იყო თბილისში, სადაც დრამატული წრე არსებობდა. წრეში ირიცხებოდნენ ამავე სკოლის სასცენო ხელოვნებით გატაცებული უფროსი კლასის მოსწავლეები სახელდობრ: თ. ხატიაშვილი, გ. მრავლაძე, თ. ბერიშვილი, ლ. ლომთათიძე, ვ. ზარიძე, გ. აბულაძე, შ. ლექავა, შ. გელიკაშვილი და სხვები.

სკოლის დრამწრის მიზანი იყო წარმოდგენებიდან შემოსული თანხა გადაეცა საქველმოქმედო მოხმარების ფონდისათვის. 1925 წელს სკოლის ხელმძღვანელობამ იჯარით აიღო წარმოდგენების დასადგმელად ახლანდელი ოფიცერთა სახლის მცირე დარბაზი და დაიწყო სპექტაკლების ჩვენება. პირველ წარმოდგენად უჩვენეს პიესა — ვოდევილი, სადაც ქალბატონის როლს თამაშობდა — თ. ხატიაშვილი, ხოლო ბატონის როლს — შ. ლექავა.

წარმოდგენის შემოსავალი მთლიანად გადარიცხული იქნა აკაკი წერეთლის ძეგლის აგების ფონდში. ამის შემდეგ დრამატულმა წრემ სკოლის სპორტულ დარბაზში წარმოადგინა „შვილი თუ საყვარელი" და „ელეონორა". პირველ სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებდნენ: თ. ხატიაშვილი, ლ. ლომთათიძე და შ. ლექავა: „ელეონორაში" კი ლ. ლომთათიძე, ბ. ერისთავი და სხვ. ამ სპექტაკლის დროს ლ. ლომთათიძე ისე შეიჭრა როლში, რომ დაჭრა პარტნიორი ბ. ერისთავი. ამის გამო ფარდა დაეშვა და წარმოდგენა აღარ გაგრძელებულა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ სკოლის დრამატულმა წრემ იმდენად გაითქვა სახელი კარგი დადგმებით, რომ მურაშკოსა და არაქსიანის თეატრების ძველი სცენისმოყვარის ბესო მაისურაძის საიუბილეო საღამოზე მიიწვიეს, რომელიც ჩატარდა 1923 წლის 23 ივნისს რუსთაველის თეატრში. ამ საღამოზე მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ამავე სკოლის მომღერალთა გუნდიც თ. ხატიაშვილის ხელმძღვანელობით. გუნდმა საღამოზე შეასრულა ხატიაშვილის მიერ დაწერილი სიმღერა „ბესოს ზეიმი".

მშენებელთა კლუბის დრამწრის წევრებად ითვლებოდნენ აგრეთვე მშენებელთა და მაკარონის ქარხნის მუშებიც. დრამწრის ყველა წევრი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ეკიდებოდა ამ კეთილშობილურ და საზოგადოებ-

რივ საქმიანობას. არ ყოფილა შემთხვევა, რომ წრის რომელიმე წევრს უმიზეზოდ დაეგვიანოს ან გაეცდინოს რეპეტიცია. ამიტომაც დიდი სიყვარულით სარგებლობდა დრამწრე ამ რაიონში. ამაში დიდი წვლილი მიუძღვოდა, როგორც დასის თვითოეულ წევრს, ასევე მის ხელმძღვანელს გ. დარისპანაშვილს.

რამდენიმე პიესის დადგმით მიღებულმა გამოცდილებამ მთელ კოლექტივს დიდი შემოქმედებითი ბიძგი მისცა.

თეატრალური წრის ზრდა-განვითარების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია სპექტაკლი „ყაჩაღები“, რომელიც გ. დარისპანაშვილის რეჟისორობითა და ხელმძღვანელობით განხორციელდა.

უნდა ითქვას, რომ „ყაჩაღების“ დადგმამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა, იგი რაიონის ფარგლებს გასცდა. სპექტაკლში მონაწილეობდნენ: მოხუცი მოორი — შ. გელიკაშვილი, ფრანც მოორი — გ. დარისპანაშვილი, კარლ მოორი — შ. ლეჟავა, შპიგენ ბერგი — გ. მრავლაძე (მრევლიშვილი). შუვტელბერგი — ქ. შავლიაშვილი, ემილია —მ. ჯახტანიძე, შვეიცარი — ალ. გომელაური.

გ. დარისპანაშვილი ერთგულად გაჰყვა შილერის ტექსტს და თითოეული სცენა გულმოდგინედ, დეტალურად დაამუშავა და ნაწარმოების სიმძაფრე საჭირო ძალით გამოავლინა.

მშენებელთა კლუბის თვითმოქმედი კოლექტივის წევრებიც გატაცებით შეუდგნენ ამ საყოველთაოდ აღიარებულ პიესის განხორციელებას.

დადგა პრემიერის დღე. ახალგაზრდა სცენისმოყვარეების ბუნებრივმა და გულწრფელმა თამაშმა საერთო მოწონება დაიმსახურა. ამ წარმოდგენაში — გვიამბობს გ. დარისპანაშვილი—განსაკუთრებით ისახელა თავი წრის ნიჭიერმა წევრმა მოხუცი მოორის შემსრულებელმა, შემდგომში მოზარდ მაყურებელთა და რუსთაველის თეატრის მსახიობმა შალვა გელიკაშვილმა. ამას აღიარებდა ყველა, ისინიც კი ვინც სკეპტიკურად უყურებდნენ სპექტაკლის წარმატებას. ესენი იყვნენ მურაშკოსა და არაქსიანის თეატრის ძველი სცენისმოყვარეები, მეორე თაობის წარმომადგენლები. ახალგაზრდების უშუალობამ, გმირთა ბუნების ხალასად გადმოცემის უნარმა, ახალგაზრდულმა ტემპერამენტმა მოხიბლა სკეპტიკოსებიც. „ჩემთვის ყველაზე გასახარელი ის იყო რომ სცენაზე ამოვიდნენ, გამარჯვება მომილოცეს და წრეში მუშაობის სურვილი გამოთქვეს“.

რაც შეეხება მსახიობ შალვა გელიკაშვილს დიდხანს მუშაობდა სახის სრულყოფაზე, იგი შეეცადა აუდიტორიისათვის მთელი სიცხადით ეჩვენებია ისე, როგორც ავტორს ჰქონდა ჩანაფიქრი.

ამ სპექტაკლის დადგმის შესახებ მსახიობ შ. გელიკაშვილის მოგონებაში აი რას ვკითხულობთ: „1924 წელს მშენებელთა კლუბში „ყაჩაღების“ დად-

გმას აუარებელი ხალხი დაესწრო. სპექტაკლმა კარგად ჩაიარა. მაყურებელი დიდად ნასიამოვნები დარჩა. შემოსავალიც კარგი იყო, მას ყოველთვის საქველმოქმედო მიზნისათვის ვიყენებდით. წრის ბევრი წევრის ოცნებას წარმოადგენდა ფრანცის საკმაოდ რთული, მაგრამ საინტერესო როლის განსახიერება. ეს ბედნიერება წილად ხვდა გ. დარისპანაშვილს. მისი ფრანცი სიკვდილის ბრჭყალებში მოქცეულ მსხვერპლს ჰგავდა; განსაკუთრებით დიდებული იყო იგი ბოლო მოქმედებაში, როდესაც თავის მწარე ხვედრს დასტიროდა... მისი ფრანცი იყო მშიშარა, ხარბი და დაუნდობელი. იგი ცინიკური, გამქირდავი ღიმილით უყურებდა ცხოვრებას. გჯეროდა, რომ ადამიანი მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისათვის არის გაჩენილი. მთელი მისი „ფილოსოფია“ ვერაგობასა და კაცის კვლაზე იყო აგებული.

კეთილშობილი ადამიანის თვისებებით აღჭურვილ ვაჟკაცის, კარლ მოორის როლს შალვა ლექავა ანსახიერებდა. მის თამაშში გამოსჭვივოდა გზააბნეული კაცის სულიერი შფოთვა და ოჯახიდან გაშორების მძიმე ტკივილი, ხოლო მეორეს მხრივ შეუპოვრობა, ვაჟკაცობა, ადამიანის კეთილდღეობისათვის ზრუნვა.

აქვე მინდა ავღნიშნო, რომ შალვა ლექავამ პირველად მე-4 შრომის სკოლაში მიიღო სასცენო ნათლობა. ამ დღიდან აღარ მოშორებია თეატრს. საკოლო წრეს პირველ ხანებში ხელმძღვანელობდა ამავე სკოლის მოსწავლე ლ. ლომთათიძე, ხოლო შემდგომში მოწვეული იქნა რუსთაველის თეატრის ყოფილი მოკარნახე ჰაპუ ქორდანია, ხოლო საერთო ხელმძღვანელობა დაეკისრა ამავე სკოლის სიმღერის მასწავლებელს, ხელოვნების დიდ მოყვარულს შაქრო ხატიაშვილს.

ასევე საქმის დიდი სიყვარულითა და ენთუზიაზმით იყო ჩაბმული მშენებელთა კლუბის დრამწრის მუშაობაში სცენისმოყვარე გიორგი (გრიშა) ცხოვრებაშვილიც. ახალგაზრდა ჰაბუკმა თავისი შრომითი საქმიანობა ფიზიკური მუშაობით დაიწყო. 1922 წლიდან 1925 წლამდე იგი მუშაობდა სურამ-ძირულის გზატკეცილის მშენებლობაზე მუშად, ხოლო 1925 წლიდან მივლინებული იქნა გორის საოლქო კომიტეტის მიერ ქ. თბილისში ამიერკავკასიის სამშენებლო სასწავლებელში, რომელიც მდებარეობდა 26 კომისრის რაიონში ლაზარევის ქ. № 7-ში.

ჰაბუკი ცხოვრებაშვილი აქ სწავლის პერიოდში არჩეული იქნა კომკავშირის კომიტეტის მდივნად და სამშენებლო სასწავლებლის მოსწავლეთა პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარედ.

აღნიშნული სასწავლებელი (სამღებრო განხრით) ნიჭიერმა და ენერგიულმა ახალგაზრდამ ფრიადზე დაამთავრა და დირექტორის მიერ დატოვებული

იქნა სამღებრო საამქროს ოსტატ-მასწავლებლად. აქ მუშაობის პერიოდში იგი ებმება მშენებელთა კლუბთან არსებულ დრამწრის მუშაობაში და თავისი კარგი შესრულებით მაყურებლის გულწრფელ მოწონებას იმსახურებს. იგი მონაწილეობას იღებდა ყველა პიესებში.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი გ. დარისპანაშვილის აქტიური მონაწილეობით ბევრი საამშენებლო სასწავლებლის მოსწავლეები იქნა ჩაბმული დრამწრის მუშაობაში. მათ შორის ვანო მარქარაშვილი, კოსტა აპრესოვი, ჟორა პავლიაშვილი და სხვები.

დასის რეპერტუარი მრავალფეროვანი პიესებისაგან შედგებოდა. ყველა პიესა შესანიშნავად იყო განხორციელებული. რომლის საფუძველს მათი უსაზღვრო ენთუზიაზმი და საქმისადმი სიყვარული წარმოადგენდა. ამის შემდეგ მათ მოამზადეს და მაყურებელს უჩვენეს ავქს. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. ამ პიესაში მთავარ როლებში მონაწილეობდნენ გიქუა — გ. დარისპანაშვილი, ავეტიკა — გ. მრავლაძე, მოურავი — ალ. გომელაური, კოხტაია — ლ. ლომთათიძე.

1925 წლის 31 დეკემბერს აღმშენებელთა კავშირის კლუბმა (ავლაბრის მუშათა თეატრი) გ. დარისპანაშვილს ენერგიული შემოქმედებითი მოღვაწეობის საპატივცემულოდ გაუმართა დიდი საღამო. წარმოდგენილი იქნა ახალი დადგმით ავქს. ცაგარლის ორმოქმედებიანი კომედია „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. მონაწილეობდნენ: ნ. მირველოვი, გ. ქუქუნაშვილი, თ. თაყაიშვილი, ალ. გომელაური, მ. ჯახტანიძე, შ. ლეჟავა, ვ. ბეგიჯანოვი და თვით გ. დარისპანაშვილი (გიქუა) და სხვ.

ამ კლუბში თავისი თავდადებული მუშაობით, სიბეჯითით ბევრი სცენისმოყვარე დავაჟკაცდა, მიიღო სათეატრო გამოცდილება. პატარა უმნიშვნელო როლებიდან დაიწყო მათი შემოქმედება, მათი ზრდა. ესენი არიან: ა. გომელაური, გ. ჩახავა, გ. მრეველიშვილი (მრავლაძე), დ. ოქროსცვარიძე, გ. პავლიაშვილი. შ. გელიკაშვილი, გ. თედიაშვილი, ვ. პეტრიაშვილი, მ. ჯახტანიძე. აქედან ბევრმა მთავრობის ჯილდო და წოდებაც დაიმსახურა და ქართული თეატრის მატიანეში შევიდა.

ამ წრეში მუშაობა იმითაც იყო საინტერესო, რომ დასში ახალგაზრდობასთან ერთად გაერთიანებული იყვნენ ძველი, გამოცდილი სცენისმოყვარეები. მათმა დიდმა ენთუზიაზმა, სცენისადმი უდიდესმა სიყვარულმა გიორგი დარისპანაშვილს ბევრი რამ შესძინა როგორც მსახიობსა და რეჟისორს.

როცა აღმშენებელთა სცენაზე ხელი მიჰყვეს წარმოდგენების მართვას, ჯერ კიდევ „ნეპის“ პერიოდი იყო. გაძლიერდა ადმინისტრაციული მეთვალ-

ყურეობა და გაიშალა აგიტაცია, ლოთობისა და ყომარბაზობის წინააღმდეგ. დგამდნენ ამ დროისათვის შესაფერ პიესებს: „ლოთი მამა", „ჯალათი ძმა", „ყომარბაზის ცხოვრება". სპექტაკლებს ესწრებოდა დიდძალი მაყურებელი. განსაკუთრებით თეატრს დიდ შემოსავალს აძლევდა „ლოთი მამა".

ეს ძალზე აბრაზებდა მიკიტნებს და ვაჭრებს. ღვინის სარდაფებიდან ისმოდა საყვედურის გამომხატველი სიმღერები: „მე რომ ვლოთობ, შენ რას გიშლი ძმობილო, ამხანაგო, ძმაო „კეთილშობილო!..."

თბილისის დარბაისელი მოქალაქეებისა და მაყურებლის მიზიდვის მიზნით, წრის გამგეობამ ასეთ ხერხსაც მიმართა: ყოველი წარმოდგენის დაწყებამდე ერთი საათით ადრე თეატრის წინ უკრავდა ზურნა. თუ კი ახლო-მახლო ღვინის სარდაფებში მოქალაქეები ღვინით სავსე ჭიქებს სცლიდნენ, ზურნის ხმაზე ტოვებდნენ ბნელ, ჭუჭყიან სარდაფს და თეატრისაკენ მიეშურებოდნენ. იმ დროს, როგორც აღვნიშნეთ, „ნეპის" პერიოდი იყო და კერძო ვაჭრობა წარმოებდა. ზურნა, ისიც ასეთ უბანში, ერთგვარ სააგიტაციო საშუალებას წარმოადგენდა. მაყურებელი სცენიდან ისეთ სიმღერებს უსმენდა, რომელიც ჩვენი თანამედროვე ცხოვრების მაჯისცემას ეხმიანებოდა.

„ამ დროს პატარა კურიოზებსაც ჰქონდა ადგილი, — გვიამბობს წრის ხელმძღვანელი, ამჟამად საქართველოს სახალხო არტისტი გ. დარისპანაშვილი,— ავლაბრის ალმშენებელთა კლუბში მიდიოდა ავქს. ცაგარლის „რაც გინახავს, ველარ ნახავ". პიესაში მედოლე ხალხურ ბაიათებს მღეროდა. პარტერიდან შეძახილები გაისმა. — „საღოლ, გლახოჯან!.. აი, იცოცხლე". ზოგიერთმა მაყურებელმა ჩუმად ფულიც კი აუგზავნა სცენაზე მედოლეს. თავისი რეპერტუარი შესთავაზა, მაგრამ მედოლეს ფულის აღების უფლება არ ჰქონდა და არ იმღერა შეკვეთილი. დამკვეთნი მიხვდნენ, რომ თეატრსა და სამიკიტნოს შორის დიდი განსხვავება იყო და შეძახილებს თავი დაანებეს".

„ხედავ კაცო, ეს ლაწირაკი არტისტები როგორ გვართმევენ მუშტრებს?— იძახდნენ „ტრახტირჩიკები". კაცო, წინათ მაგათზე დიდი არტისტები იყვნენ მაგრამ თეატრის წინ როდი აჭყვიტინებდნენ ზურნას".

ამ პერიოდში ლოთობის ლიკვიდაციის საქმეში მართლაც ბევრი კარგი რამ გაკეთდა. ბევრმა ახალგაზრდამ თავს უშველა, თავი მიანება ცუდ წრეში სიარულს და პატიოსან შრომას მოჰკიდა ხელი. ზოგმაც თეატრს მიაშურა, არა მარტო წარმოდგენების საყურებლად, არამედ მონაწილეობის მისაღებად თეატრში მოინდომა მუშაობა.

ღვინის სარდაფებში, გარდა იაფფასიანი მედოლეებისა და მეგარმონეებისა, ახლადფეხადგმული აშუღებიც იყვნენ. ერთ-ერთმა მათგანმა, ახალგაზრდა მოლექსემ თავის თავს იეთიმ გარსო უწოდა. ასეთი კატეგორიის მოქალაქენი

ბევრი იყვნენ და ცდილობდნენ მიებაძათ იეთიმ გურჯისათვის ლექსების წერაში. აშუღობდნენ კიდეც, მაგრამ ცდა ერთი იყო და ნიჭი მეორე. ასეთი უნიჭო მიმბაძველები ისე გაჰქრნენ ასპარეზიდან, რომ მათი დაწერილი ტაეპიც კი არავის ახსოვს. იეთიმ გარსოსაც მობეზრდა უაზრო ხეტიალი და სამუდამოდ ზურგი აქცია ღვინის სარდაფებს. ახალგაზრდა აშუღმა შინაარსიან ცხოვრებას მოჰკიდა ხელი და დრამწრეს მიაშურა. იგი ხედავდა, რომ ავლაბარში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა თავი ისახელეს და უბანში ცნობილი სცენისმოყვარეები გახდნენ. აღმშენებელთა პროფკავშირის მუშათა კლუბთან არსებულმა ქართული დრამწრის გამგეობამ იეთიმ გარსო მალე თავის რიგებში მიიღო. იგი პირველად ინტერმედიაში გამოიყვანეს. მასთან ერთად მონაწილეობას იღებდა გიორგი დარისპანაშვილი და ალექსანდრე გომელაური, იეთიმ გარსოს წრეში მიღებამ მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მის ასეთ ნაბიჯს ყველა თავისებურად ხსნიდა. უმეტეს ნაწილს ძალიან მოსწონდა კენტად დარჩენილი აშუღის ახალ გზაზე დადგომა. სცენისმოყვარეები კი გულთბილ დამოკიდებულებას იჩენდნენ გარსოსადმი და ცდილობდნენ მისთვის უკეთესი მომავალი შეექმნათ.

„ერთ დღეს მე და ალ. გომელაურს ბაზრის წინ იეთიმ გურჯი შემოგვხვდა,— გვიამბობს გ. დარისპანაშვილი, — ჩვენ სალმით არ ვიცნობდით ერთმანეთს, მაგრამ იგი ისე შეჩერდა ჩვენ წინ, რომ ზრდილობა მოითხოვდა სალამი მიგვეცა და მოგვეკითხა. იეთიმ გურჯმა ჩვენი სალამი მიიღო, გაიღიმა, გვერდზე ნაბადი მოიგდო და ხელი გამოგვიწოდა.

— თქვენ ორივეს გიცნობთ. ისიც ვიცი, რომ ჩვენს მამა-პაპურ ისანში განათლება შეგაქვთ, სახალხო თეატრის სცენას ემსახურებით. ჩვენს რაიონს ბევრი ჩამორჩენილი უბანი აქვს და თქვენი გამჭრიახი თვალი სჭირდება. ჩვენმა საყვარელმა ვაჟამ გვიანდერძა:

ბრიყვი ჭკვიანის ბარგია,
ზურგით სათრევი გუდადა,
უნდა ჭკვიანმა ასწოროს
ბრიყვის ნათალი ბრუდადა.

ასე, შვილებო, მიწა მაშინ არის ნოყიერი, როცა მუშა ხალხი მას უვლის და ახარებს, ხალხიც მაშინ არის კმაყოფილი, როცა ჭკვიანი და განათლებული ადამიანები წინ მიუძღვიან და ხალხში განათლება შეაქვთ. იეთიმ გურჯის ჭკვიანურმა სიტყვებმა აღგვაფრთოვანა, მერე ორივემ ერთად მივმართეთ. ძია იეთიმ! ჩვენი დრამატული წრე ამ შაბათს წარმოდგენას დგამს, სადაც ახალგაზრდა მედოლე გლახუაც იმღერებს. გთხოვთ მობრძანდეთ თქვენი ამხანაგებით.

— მოვალ, შვილებო, აუცილებლად მოვალ — გვითხრა იეთიმ გურჯმა.

როცა შაბათ საღამოს ჟამი მოახლოვდა და მედოლე გლახუამ დოლს შინდის ჯოხები ხალისიანად შემოკრა, ავლაბრის მოედანს უამრავი ხალხი მოაწყდა.

პრემიერის დღეს, წარმოდგენაზე დასასწრებლად მართლაც მოვიდა ცნობილი მგოსანი იეთიმ გურჯი თავისი ტოლ-ამხანაგებით. თუ იეთიმ გურჯი რამდენიმე წუთის წინ, თავის მეგობრებთან ერთად ღვინის სარდაფში კამათობდა იმაზე, თუ საქართველოს რომელი კუთხის ღვინოა უკეთესი სასმელადო, სამაგიეროდ კლუბის ჰერქვეშ საუბრის მთავარი თემა მსახიობი ს. ივანიძე იყო.

— გახსოვს, იეთიმ, მურაშკოს თეატრი? აბა, იქ იყვნენ აი, მამალი არტისტები. ცხონებულ სოსო ივანიძეს პირიდან სულ თაფლი ამოსდიოდა. მერე რა ზორბა შესახედაობის კაცი იყო. თავდაბალი, სალმიანი და პურმარილიანი.

— შენ მართალი ხარ გეოჯან, ძალიან მარიფათიანი მსახიობი იყო ის დალოცვილი. პეპოს სიტყვებს ისე ჯიგრიანად ამბობდა, რომ იმის ბოლმა შენს პოლმად მიგაჩნდა.

სოსო ივანიძე მართლაც სახელოვანი კაცი იყო, დარდიმანდი და ვაჟკაცი. მე მასთან პური გამიტეხია — თქვა იეთიმ გურჯმა. პირნათელი კაცი იყო. ბევრ ყოფილ კატორღელისათვის ხელი გაუმართავს. ხომ იცი, მისი გასტრონომის მაღაზია ამ შენობის პირდაპირ იყო. ახლაც აწერია ძველ კედელს „სოსო ივანიძე“. ის ვაჭრის კი არ იყო, არამედ დიდი კულტურული მოღვაწისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ამხანაგების დიდი დამხმარის. აი, ამ ჭკვიან ადამიანს ჩემთვის უთქვამს: საქართველოში თეატრს ფასი მაშინ დაედო, როცა ლადო მესხიშვილისთანა კულტურული არტისტი შეგვემატაო“.

დამსწრეთა გადმოცემით, რომელნიც იმ საღამოს სახელოვანი მგოსნის გვერდით ისხდნენ, თურმე, თეატრის ისტორიიდან იმდენი კარგი რამ უთქვამს იეთიმ გურჯს, რომ ისინი დიდად აღფრთოვანებულნი დარჩენილან.

დაიწყო სპექტაკლი „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ ახალი დადგმით. პიესაში ავტორის რემარკით მეზურნეები მხოლოდ ცეკვა „ქართულსა“ და „ბაღდადურს“ უკრავენ, ხოლო დამდგმელმა რეჟისორმა გ. დარისპანაშვილმა პიესაში ორი სიმღერა ჩაუმატა, რომელიც გიჟუას ბრძანებით უნდა შესრულდეს. გიჟუა, როგორც ქორწილის თამადა, სიმღერას უკვეთავს: — „აბა, ერთი ოსტატო, იეთიმ გურჯის საქორწილო მილოცვა იმღერე!“

მაყურებელი სულგანაბული უსმენს ახალგაზრდა მომღერლის მიერ დად-

ოსტატობითა და შემართებით შესრულებულ ბაიათის ჰანგზე აწყობილ ლექსს. ყველა რეგისტრში იგი ერთნაირი სიძლიერით, უბადლოდ მღეროდა, რომელსაც დღესაც არ ყავს ტოლი თავის პროფესიაში.

ერთ-ერთმა მსმენელმა ველარ მოითმინა და მიიჭრა სცენასთან, ფული გაუწოდა და შეკვეთა მისცა: — „გლახო, გენაცვალე, ერთი ორთავ თვალის“ სიმღერა იმღერეო. ახალბედა მომღერალი გაწითლდა და ჩუმად უთხრა: „წადი, ძმაო, ნუ მარცხვენ და შენს თავსაც ნუ ირცხვენ, რესტორანში ხომ არ გგონია შენი თავი“. მაყურებელმა მაშინვე იგრძნო თავისი შეცდომა და უსიტყვოდ გაეცალა იქაურობას.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ იეთიმ გურჯი გ. დარისპანაშვილს მიუახლოვდა და უთხრა: მიიღეთ ჩემი და ჩემი მეგობრების გულითადი მადლობა, თქვენ კარგ საქმეს ყოველთვის გამარჯვება. იცოცხლეთ და იხარეთ ...

შემდეგ გ. დარისპანაშვილი მცხეთელი ახალგაზრდობის დრამწრეს ხელმძღვანელობდა, ხოლო 1924 წელს, კომკავშირის საგარეჯოს რაიკომის დავალებით, აყალიბებს ახალგაზრდულ დრამატულ წრეს, რომელსაც საბჭოთა სასცენო პრინციპებზე აღზრდილი შემოქმედი თავის შემდგომ მუშაობას საფუძვლად უდებს იმ მოთხოვნილებებს, რომელსაც პარტია უყენებს ხელოვნების მუშაკთ.

1926 წელს, სამხედრო ნაწილის კლუბში დაიდგა გ. დარისპანაშვილის პირველი პიესა „სიყვარულმა რა ქნა“.

1928 წელს კი გ. დარისპანაშვილი თბილისის მუშათა თეატრში ინიშნება მსახიობად. ამ თეატრს ხელმძღვანელობდა სახელგანთქმული რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი. იქ მუშაობდნენ გამოცდილი რეჟისორები: მიხეილ ქორელი, შოთა აღსაბაძე, დოდო ანთაძე, გიორგი ჯავაშვილი და სხვ. ხშირად კონსულტაციას უწევდა დიდი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი. ამრიგად გ. დარისპანაშვილს რამდენიმე ისეთ პიესაში მოუხდა მონაწილეობა, რომელიც დადგმული იყო უშუალოდ კ. მარჯანიშვილის კონსულტაციით. ეს პერიოდი მსახიობისათვის დიდი სკოლა გამოდგა.

1928 წელს, როცა სსრ კავშირის სახალხო არტისტის დ. ანთაძისა და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გ. მიქაბერიძის მეთაურობით მსახიობთა კოლექტივი ჩამოყალიბდა, რომელმაც დაიწყო წარმოდგენების მართვა მოზარდთათვის, გ. დარისპანაშვილი მათთან გადავიდა და დასის წევრად ჩაირიცხა. ხოლო როცა 1929 წელს პლეხანოვის გამზირზე, სადაც ახლა გორკის სახელობის კულტურის სახლია, აღმშენებელთა კავშირის გამგეობამ საზაფხულო კლუბი გახსნა. ამ შენობაში გ. დარისპანაშვილის რეჟისორობით დაიდგა

მთელი რიგი პიესები; „ხანუმა“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „კომედიების საღამო“, „ჭკუისა მჭირს“, „მატყუარა ვექილი“ და სხვ.

ამავე კლუბში ხშირად იმართებოდა აგრეთვე ოჯახური საღამოები, სადაც გ. დარისპანაშვილი ალ. გომელაურთან ერთად გამოდიოდა კუპლეტებით. ხოლო როცა იგი მოზარდ მაყურებელთა თეატრის ახლად ჩამოყალიბებულ კომკავშირის კომიტეტის მდივნად აირჩიეს, იძულებული შეიქნა დატვირთვის გამო, თავი დაენებებინა თავისი საყვარელი წრისათვის.

მონდომებული, ნიჭიერი და ზედმიწევნით პატიოსანი ახალგაზრდა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ალ. თაყაიშვილმა ჯერ რეჟისორის თანაშემწედ დანიშნა, შემდეგ კი რეჟისორად.

1930 წელს პირველმა დადგმამ (ც. ბუაჩიძის „აურიე რგოლი“) დებიუტანტ რეჟისორს დიდი გამარჯვება მოუტანა. ახალგაზრდა კომკავშირელმა რეჟისორმა გ. დარისპანაშვილმა დაამტკიცა, რომ მას, როგორც ნიჭიერ რეჟისორს, სპექტაკლის ოსტატურად დადგმის უნარი აქვს. „აურიე რგოლი“ ავტორისა და თეატრის გამარჯვებაა, — წერდა ერთ-ერთი რეცენზენტი.

1932-1933 წლების სეზონში გ. დარისპანაშვილი დროებით ველისციხეში გაგზავნეს რეჟისორად და სამხატვრო ხელმძღვანელად. აქ მან წარმატებით დადგა შანშიაშვილის „ანზორი“, რომელშიაც მთავარ როლს თვითონ ანსახიერებდა. აქვე დაიდგა მისი პიესა „ხიდქვეშ“.

„ჭაბუკი უხვად იყო დაჯილდოებული იმ მონაცემებით, რაც ესოდენ საჭიროა მსახიობისათვის — წერდა გაზეთის რეცენზენტი — სცენური გარეგნობა, ხმა, უზადო დიქცია, ტემპერამენტი და, რაც მთავარია, სცენისადმი დიდი სიყვარული. უდავო იყო, რომ ასეთი მონაცემებით აღჭურვილი ადამიანი, თეატრზე პირდაპირ შეყვარებული, ადრე თუ გვიან მსახიობის სანუკვარ უღელს დაიდგამდა და თავის ბედს სამუდამოდ პროფესიულ თეატრს დაუკავშირებდა“.

ასედაც მოხდა. ჩამოყალიბდა თუ არა მოზარდ მაყურებელთა ქართული დასი, გ. დარისპანაშვილი შეება მსახიობის სანუკვარ ჭაპანს, დაიდგა აქტიორის მძიმე უღელი, პირველი სეზონებიდანვე პასუხსაგები რთლები ითამაშა, მტკიცედ მოიკიდა ფეხი რეპერტუარში და თეატრის ერთ-ერთ წამყვან ძალად იქცა.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე მისი პირველი როლები იყო: რობინ ჰუდი ამავე სახელწოდების პიესაში, შპრეცის როლი „ფრიც ბაუერში“, პუგაჩოვი ა. პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილი“. აქტიორის მიერ ისეთი სახეებია შექმნილი, რომლებიც მაყურებლის მეხსიერებიდან არასოდეს ამოიშლება. პრესაში გამოქვეყნებული პირველი რეცენზიები აღნიშნავდნენ, რომ

მოზარდ მაყურებელთა თეატრს სავსებით სწორად აქვს შეგნებული თავისი ამოცანები და საკმაო შესაძლებლობაც მოეპოება ჩვენი მოზარდი თაობისათვის მხატვრულ-აღმზრდელობითი სამსახურის გაწევისათვის, რომ სპექტაკლი მოქცეულია მხატვრულ მთლიანობაში და ყოველ წვრილმანს ემჩნევა დიდი ენერგიით, გემოვნებითა და ენთუზიაზმით დამუშავება. ხოლო რობინ ჰუდის როლში, გ. დარისპანაშვილმა კარგი შესრულებით მაყურებელთა დიდი თანაგრძნობა დაიმსახურაო.

„ბევრი ძვირფასი სცენური სახე შექმნა გიორგი დარისპანაშვილმა, — წერს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ოთარ ეგაძე — მაგრამ თვითონაც კი მათგან განსაკუთრებით სამ როლს გამოარჩევს. ეს არის ინგლისელი უბრალო ადამიანების მოსარჩლე რობინ ჰუდი, გამოჩენილი ქართველი რევოლუციონერი ლადო კეცხოველი და კეთილშობილი პატრიოტი ბიძინა ჩოლოყაშვილი.

მეც მახსოვს მისი ეს სამი აქტიორული სახე, განსაკუთრებით კი ლადოს სცენური პორტრეტი.

აუღელვებლად ვერ გაიხსენებ გიორგის მიერ შექმნილ ბიძინა ჩოლოყაშვილის სცენურ სახეს აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკიდან". დარისპანაშვილის ჩოლოყაშვილი გულამღვრეული ხვდება იმათ რჩევას, ვინც ბოროტების წინაშე მიყრუების გზას ადგას. მას სამარცხვინოოდ მიაჩნდა საქართველოს მტრების წინაშე ქედის მოხრა, მათი ნასუფრალით საკუთარი ხალხის რჩენა და თვითონ განცხრომაში ყოფნა. გიორგი დარისპანაშვილის მიერ სწორად გააზრებულ ამ როლს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა მოზარდი თაობისათვის. ძნელია, ჩვენს თაობამდე მოღწეულმა თეატრის მოყვარულმა გაიხსენოს მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლები და ამ საბავშვო თეატრის გამოჩენილ აქტიორებთან ერთად თვალნათლივ არ წარმოიდგინოს გიორგის კეთილშობილური იერი, მის მიერ შექმნილი არაერთი შესანიშნავი სცენური სახე.

გ. დარისპანაშვილი ბრწყინვალე პარტნიორია ნორჩ მაყურებელთა აუდიტორიის მიერ აღიარებული ისეთი მსახიობებისა, როგორიც არიან გოგუცა კუპრაშვილი, თამარ თვალიაშვილი, მერი ერგნელი, ვახტანგ არეშიძე, ბორის გამრეკელი და მრავალი სხვა. იგი შემოქმედებითი მეგობრობით იყო დაკავშირებული ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრის რეჟისორ ალექსანდრე თაყაიშვილთან. გიორგი ამაყობს იმით, რომ იგი მარტო კი არ იკმევდა სახელოვანი პოეტის იოსებ გრიშაშვილის პოეზიას, არამედ არაერთხელ უთამაშია მის გვერდით, მასთან ერთად"[1].

---

1 გაზ. „კომუნისტი", 1965, 15/V.I № 139.

მის მიერ დადგმული პიესები „თოვლის დედოფალი“, „ბაში-აჩუკი“, მისივე ნაწარმოები „სამი ამხანაგი“ და სხვები ნორჩი მაყურებლის აღტაცებას იწვევდა.

გ. დარისპანაშვილს ვხედავთ აგრეთვე ქიათურაში—ა. იმედაშვილთან ერთად, მონაწილეობს „ოტელოში“, ასრულებს იაგოს როლს და, როგორც პრესა აღნიშნავს, შესაფერი პარტნიორობაც გაუწევია სცენის გამოჩენილი ოსტატისათვის.

ასევე დიდი წარმატება ხვდა მის მიერ განსახიერებული როლებიდან შამილს (ი. ვაკელის ამავე სახელწოდების პიესაში). 1936 წლიდან საბოლოოდ უბრუნდება მოზარდ მაყურებელთა თეატრს, სადაც მუშაობს როგორც მსახიობი და რეჟისორი.

— თეატრი მაღალი საზოგადოებრივი ტრიბუნაა. მე მას მხოლოდ ასეთად წარმოვიდგენდი და ჩემი თავი დიდი ცხოვრების შუაგულში მეგულებოდა, — ამბობს გ. დარისპანაშვილი. იგი მეორე კაცია საქართველოში, მსახიობ ნიკო გოცირიძის შემდეგ, ვინც მუშის დაზგასთან აიდგა ფეხი და თავისი შემოქმედებითი ცხოვრება სახალხო არტისტის მაღალ საპატიო წოდებამდე აიტანა — წერდა მის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით 1965 წლის 15 ივნისის გაზეთი „კომუნისტი“, „მუშა ნიკო გოცირიძემ ხარფუხში დაიწყო თავისი აქტიორული სვლა. მუშა გიორგი დარისპანაშვილმა კი ისანში აიყარა ტანი როგორც ქარგალმა მსახიობმა.

„ჩემო გოგი! ხომ გახსოვს ბრძნული ანდაზა: რასაც დასთეს, იმას მოიმკიო— უთხრა საიუბილეო საღამოზე ალ. ბურთიკაშვილმა: შენი წინაპრები მინდორში თესდნენ პურს და ერთიათასად იმკიდნენ მას. შენ კი ხალხში სთესდი სიყვარულს და ერთიათასად მოიმკე იგი“. საიუბილეო საღამოზე ასევე მიმართა მას მისმა პირველმა რეჟისორმა ე. კულულაშვილმა:

„ჩემო უმცროსო ძმაო და საამაყო მოწაფევ! სიხარულის გრძნობით მევსება გული, როდესაც შენს საპატივცემლოდ მოზღვავებულ საზოგადოებას შევცქერი.

ეს არის დაფნის გვირგვინი, რომელიც დიდების შარავანდედით მოსავს და ამკობს შენს 30 წლის სასცენო მოღვაწეობის მანძილს“.

ამ თეატრში დარისპანაშვილმა მრავალი ღირსშესანიშნავი სახე შექმნა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ჰაიავატა („ჰაიავატა“), დურმიშხანი („სურამის ციხე“), ლორენცო („რომეო და ჯულიეტა“), მედოვსკი („კიკვიძე“), არტემი („პავლე კორჩაგინი“), ძერჟინსკი („ნევის შევარდენი“) და სხვა.

გ. დარისპანაშვილის მიერ ხორცშესხმული სახეებით მოხიბლული და

შთაგონებული მოსწავლე გოგონა ეთერ ვაშაკიძე (ამჟამად მხატვრულ თვითმოქმედი კოლექტივის მსახიობი და რეჟისორი), ლექსს უძღვნის მისთვის და ყველასათვის საყვარელ მსახიობს გ. დარისპანაშვილს.

გონგმა იხმო ღამე და მუსიკის ქარში
ბრძოლის ჰიმნად იქცა ჰანგები მღელვარი,
აელვარდა ფარდა მეწამული ფერით...
„კეცხოველი მოჰკლეს" — ბორგავს ქარიშხალი!

მადრიდიდან მოდის გულდაჭრილი ლომი,
ასტურიის ციხის ნანგრევებთან დაძრწის,
უკრაინის შვილი „კორჩაგინი" მოდის,
უკრაინა უხმობს ტრამალების არწივს...

დაგეშილა რისხვით მტერი ულმობელი,
სისხლით გაჟღენთილა „მშობლიური მიწა",
ყუმბარებით ხელში — ეს შურისმგებელი
„კასატკინი" მოჰქრის ულრან ტყეებიდან!

დგას „ლორენცო" ხელში შექსპირისა ლირით,
შვიდფეროვან დროშას მოაგელვებს „გელა",
აღსდგა „მეწისქვილე" დარისპანაშვილის,
„ხიდქვეშ" ნორჩი ბიჭი „გაიოზი" ღელავს...

და ფარდები როცა დაიხურა რხევით,
და გაუჩინარდა სცენის ყველა გმირი,
მარადიულ ძეგლად მაყურებლის გულში
აღიბეჭდა სახე — დარისპანაშვილის!

□□

დღესაც 70 წელს მიტანებულ, ჭარმაგ მსახიობს ასეთივე გულმხურვალედ ეხმაურებიან და იგონებენ მის მიერ განვლილ გზას — მის ხორცშესხმულ სცენურ სახეებს. აი რას ვკითხულობთ მის შესახებ:

„საუბრის დაწყებაც ვერ მოვასწარით, მოულოდნელი და სასურველი სტუმარი ეწვია დარისპანაშვილების ბინას. ლენინგრადიდან ჩამოვიდა ბატონი გიორგის შვილიშვილის, უმცროსი გიორგის — გიგის მეგობარი. სახელდახელოდ გაიშალა სუფრა. წასვლა დავაპირე, არ გამიშვეს. უნებურად გავხდი ამ ტკბილი ოჯახის სითბოს მონაწილე.

სუფრასთან ყველაზე მეტს გიგი ქოთქოთობდა. თავს ევლებოდა მეგობარს. საერთოდ, წყნარი ბიჭი გამოცვლილი იყო. ბატონი გიორგი დინჯად, უხმოდ ადევნებდა თვალს. ხელს არ უშლიდა, მაგრამ ზოგჯერ ისე გადახე-

დავდა, გულით დავინახე ის განსაკუთრებული სულიერი სიახლოვე, პატივისცემა და უსაზღვრო მოკრძალება პაპასა და შვილიშვილს შორის ნათელ სვეტად რომ იდგა.

კედლებიდან გადმოგვყურებდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტის გიორგი დარისპანაშვილის მიერ სცენაზე გაცოცხლებული გმირები: ლადო კეცხოველი, ბიძინა ჩოლოყაშვილი, ფელიქს ძერჟინსკი, მღვდელი ლორენცო, რობინ ჰუდი, ემელიან პუგაჩოვი, დურმიშხანი და სხვები. და... ბავშვები... შეხვედრები პატარა მაყურებელთან, წერილები, საჩუქრები — სათუთად შენახული თოჯინები თუ ხელმარჯვე ბიჭის თვითნაკვეთი რაკეტები... სტუმარმასპინძლობის სიხარულის პირველმა ტალღამ გადაიარა და აიშალნენ კითხვები: რა ვაჩვენოთ სტუმარს, სად წავიყვანოთ, რითი მოვაწონოთ თავი?

თბილისი ვაჩვენოთო, ჩვენი დედაქალაქი. — გადაწყვიტა ოჯახის საბჭომ. ბატონმა გიორგიმ თავაზიანად შემომთავაზა ამ ექსკურსიაში მონაწილეობის მიღება. დავთანხმდი. რას მომცემს-მეთქი, ვიფიქრე, მშრალი ოფიციალური ინტერვიუ მსახიობთან, ეს ერთი დღე საშუალებას მაძლევდა დამენახა გიორგი დარისპანაშვილი—მოქალაქე, ოჯახის ბურჯი და, რაც მთავარია, პაპა—ბავშვის სულისა და გონების მესაიდუმლე.

საბურთალოდან სანაპიროზე გავედით, მტკვრის მარცხენა ნაპირით შემოუარეთ თბილისს. ჩავუარეთ მეტეხს, მკერდგანიერ იაბოზე ამხედრებულ გორგასალს, ნარიყალას და მისი ქონგურებიდან გადმომდგარ ქართვლის დედას. ლენინის მოედანზე რომ გამოვედით, ბატონმა გიორგიმ მანქანა გააჩერა: აქ თბილისის გული, რუსთაველის გამზირი იწყებაო, ამ ქუჩაზე ფეხით უნდა ჩაიაროო, აქ ყოველ ფილაქანს აკაკისა და გალაკტიონის ნაკვალევი ატყვიაო.

მიხვეულ-მოხვეული ბილიკით ავედით მთაწმინდაზე. პანთეონის შესასვლელში ყვავილები იყიდა ბატონმა გიორგიმ.

ფეხი დაადგა თუ არა ამ, მართლაც წმინდა მიწას, ირგვლივ უკვე ვეღარავის ამჩნევდა, აღარ ახსოვდა გაფაციცებული სტუმარი. მნახველები ფეხაკრეფით დადიოდნენ საფლავებს შორის, ჩურჩულით ლაპარაკობდნენ და უბის წიგნაკებში რაღაცას ინიშნავდნენ.

აი, გრიბოედოვი, ჯვარზე დახრილი მწუხარე ქალი, ქართველი მანდილოსნის სიწმინდისა და ერთგულების სიმბოლო, ლეგენდადქცეული ნინო ჭავჭავაძე, ასული ქართველი რომანტიკოსის ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ბედკრული მეუღლე დიდი რუსი მწერლისა და დიპლომატის ალექსანდრე გრიბოედოვისა. აი ტატო, ქართული პოეზიის მეფე — აკაკი, ქართული ლექსის სიამაყენი — გალაკტიონი და გოგლა, შალვა დადიანი, სიმონ ჩიქოვანი, ლეო ქიაჩელი, იოსებ გრიშაშვილი... აი, ისიც! კლდეში გამოკვეთილი ქართველი სევ-

დიანად დაჰყურებს საფლავს: აქ განისვენებს XIX საუკუნის საქართველოს წინამძღოლი დიდი ილია...

მივდივარ ხავსმოდებულ ლოდთან, რომელსაც ერთი სიტყვა აწერია: — ვაჟა. საფლავი მოფენილია ყვავილებით, ბალახით და ფოთლებით. ყველამ იცის, რომ აქ ხელცარიელი მოსვლა არ შეიძლება, სიცოცხლისა და მშვენიერების რაღაც ნაწილი მაინც უნდა მიუტანო ამ „ბუნების მინდიას". აქ დაფინა მასპინძელმა თავისი ყვავილები.

ვდგავარ ნიშას წინ, რომელშიც დიდი ქართველი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილის ფერფლი ასვენია. იქვე ქართული სცენის ჯადოქრების — ვასო აბაშიძისა და სერგო ზაქარიაძის სავანეებია.

ბინდი ეძალება მთაწმინდას. ნელა ვეშვებით ბესიკის ქუჩით და ისევ რუსთაველზე ვართ. გაჩირაღდნებულ, ახმაურებულ პროსპექტზე. ირგვლივ მშვენიერი, მხიარული სახეებია, ისმის ხმამაღალი მისალმება, სიცილი...

— რა კარგი და რა საოცარია აქ ყველაფერი! რა დიდებული წესი გაქვთ, მამის სახელები კი არა, გვარებიც კი არ გჭირდებათ იმ მამულიშვილთა მოსახსენებლად, ვინც ერის გულში და ისტორიაში სამუდამოდ დაიდო ბინა შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, გოგლა... — შეუოკებელი აღტაცებით ამბობს სტუმარი. ბატონ გიორგის ეტყობა მოსწონს ეს თავდაჭერილი, თითქოს ადრე დაბრძენებული ჭაბუკი. ხელს ჰკიდებს და ჩქარი ნაბიჯით წინაურდება. გოგიც მაჩქარებს, იცის სად, რომელ შენობასთან შეჩერდება პაპა, იცის, რა ეძახის და რა ძალა ეწევა წინ.

„მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი" — აწერია აბრას.

გიორგი დარისპანაშვილი დგას კარის წინ, რომელშიც ორმოცდახუთი წლის განმავლობაში ყოველდღე შედიოდა როგორც მსახიობი, დრამატურგი და რეჟისორი. ორმოცდახუთი წლის განმავლობაში ამ თეატრის სცენიდან ისმოდა მისი მჭექარე, საოცრად ლამაზი ტემბრის გულში ჩამწვდომი ხმა. ორმოცდახუთი წლის განმავლობაში ყოველდღე გამოდიოდა აქ მისი შემოქმედების პატარა შემფასებელთა სამსჯავროზე. ამ სცენიდან ხედავდა მაყურებლის ფართოდ გახელილ თვალებს, რაღაც ჯადოსნური ძალით ანთებულ სახეებს. აშკარად ესმოდა პარტერის სულ ბოლო რიგში მჯდომი ბავშვის პაწაწინა გულის გამალებული ბაგიბუგიც კი. როცა დარისპანაშვილი — ლადო კეცხოველი — მეტეხის ციხის საკნიდან თავისი შეუდარებელი მჭევრმეტყველებით, მაღალი პათოსით თავს ატყდებოდა ცარიზმის ჟანდარმერიას, როცა გაისმოდა იმ საბედისწერო გასროლის ხმა, რომელმაც მუხანათურად გამოასალმა სიცოცხლეს რევოლუციის ეს მგზნებარე რაინდი, მსახიობი ხედავდა რისხვადქცეული ბავშვების ბოღმით მოღერილ პატარა მუშტებს, როცა ბიძინა ჩოლოყა-

შვილი — ისტორიული გმირი, დინჯი, შეუვალი, გონიერი, ახმეტის დიდი მებატონე ფიცს სდებდა: „ვიბრძოლებ, სანამ ძალა შემწევს და პირში სული მიდგას“, პარტერი იძაბებოდა და დიდი ბრძოლისათვის ემზადებოდა, შეჰხაროდა ჩოლოყაშვილის ყოველ გამოჩენას ალავერდობაზე თუ შეთქმულთა თათბირზე. როცა ფინალურ ეპიზოდში სცენაზე ქარიშხალივით შემოიჭრებოდა ჩაჩქანში ჩამჯდარი გმირი და თავის თანამებრძოლებთან: ბაში-აჩუკთან, ჭრილობებით დაჩეხილ ღვთისოსთან და ქრისტეს რჯულზე მოქცეულ აბდულშაჰილთან ერთად მუხლმოდრეკილი ემთხვეოდა ქართულ დროშას და მადლობას სწირავდა ქართველ ხალხს, სამშობლოს სიყვარულის ცეცხლით გულანთებული პატარა მაყურებელი ფეხზე წამოიჭრებოდა და თეატრს აზანზარებდა მქუხარე ოვაციით, ესალმებოდა ძია გიორგის — მოქალაქეს და მსახიობს, რომელმაც კარგად იცოდა, რომ დიდი და საპატიო მისია იყო საბავშვო თეატრის მსახიობი, რომ მოზარდთა თეატრის მსახურს მოეთხოვება დიდი განათლება, მაღალი მოქალაქეობა, დახვეწილი კულტურა და ერუდიცია, ღრმა ტაქტი და ზომიერების გრძნობა და... სიყვარული, უსაზღვრო სიყვარული პატარა მაყურებლისა.

...იდგა გიორგი დარისპანაშვილი თავისი თეატრის წინ, რომელშიც მთელი სიცოცხლე გაატარა, რომლის ჭირი და ლხინი, წარმატება და მარცხი ორმოცდახუთი წლის მანძილზე მხრებით ატარა გოგი აბაშიძესთან, გოგუცა კუპრაშვილთან, თამარ თვალიაშვილთან, მერი ერგნელთან, ვახტანგ არეშიძესთან ერთად.

ვხედავთ, როგორ ანელებენ ნაბიჯს გამვლელნი, ის გუშინდელი გოგო-ბიჭები, ვინც თეატრი და მისი სიყვარული გიორგი დარისპანაშვილის სახელთან ერთად გაიგო, ვინც ერთი კვირით ადრე საგულდაგულოდ აუთოებდა კაბასა და ბაფთას, სათუთად შენახულ კოსტუმსა და პერანგს იცვამდა ამ დღეს, როცა „მოზარდში“ უნდა წასულიყო. ესენი ის გუშინდელი ჭაბუკები და ქალიშვილები იყვნენ, ვისაც გიორგი დარისპანაშვილმა ასწავლა ეროვნული თეატრის გაგება, ვინაც ჩააწვდინა მსახიობის შემოქმედების რთულ ლაბირინთებს, ვისაც თავისი შემოქმედება ხიდად გაუდო ვერიკოსაკენ, უშანგისაკენ, გიორგი შავგულიძისა და სერგო ზაქარიაძისაკენ.

იდგა გიორგი დარისპანაშვილი, მაღალი, ახოვანი, ლამაზი, 70 წლის მოხუცი, ქართული თეატრის სინდისი და პატიოსნება და თითქოს ყოველ ჩვენგანს გვეკითხებოდა ბელინგის სიტყვებით:

— გიყვართ თქვენ თეატრი ისე, როგორც მე?“[1].

---

1 გაზ. „სამშობლო“, 1975, 15. VII, გვ. 4.

1897

ქართული შინაური თეატრი

# კვირას 7 ენკენისთვეს

ავლაბარში ფალავანდოვის ქუჩა
ნარიმანოვის სახლში

I

# ადვოკატი მელაძე

II

# ბაიყუში

## საერთო ლეკური

Авлабаръ на Палавандовской улицѣ
въ домѣ Н. З. Чариманова

Въ воскресенье 7-го Сентября 1897 г.

представленiе будетъ

I

# АДВОКАТЪ МЕЛ…

ВЪ ЗАКЛЮЧЕНІЕ ОБЩАЯ ЛЕЗГИНКА

Января

...наго полка

ვანო

...

...ს მიხ...

...ბილეთებ от 10 до 40 коп.

Бил...тов от 10 до 40 коп.

# თბილისის სიფხიზლის საზოგადოება
## ავლაბრის განყოფილება

თელავის ქუჩაზე, პეტრეპავლეს მოედნის დასაწყისში ნ. ნ. ... შენობაში.

---

**კვირას, 17 ნოემბერს 1902 წელს.**

წარმოდგენილი იქნება

# პ ი ე ს

# დატრიალდა ჯა...

დასაწყისი საღამოს 7 საათზე

ადგილების ფასი 10 კაპეიკიდან 90 კაპეიკამდე ...

---

Тифлисское Общество Трезвости. Авлабарское Отделение

*Телавской улиц. у начала Петро-Павловской площади, в доме Н. Н. Ш...*

***Въ Воскресенье, 17-го Ноября 190...***

ПРЕДСТАВЛЕНО БУДЕТЪ НА ГРУЗИНСКОМЪ

# П Ь Е С

# СВЕРНУЛОСЬ ВЕРЕТЕНО

**Начало въ 7 часовъ вечера.**

**Цѣны мѣстамъ отъ 10 коп. до 90 коп.**

19 03

თბილისის სიფხიზლის საზოგადოება—ავლაბრის განყოფილება

ნ. ნ. მურაშკოს თეატრში

სამშაბათს, 6 მაისს

ნიკო მირველოვის გამგეობით.

ქართველი სცენის მოყვარეთა წარმოდგენილი იქნება

---

Общество Трезвости Авлабарское Отделеніе

ТЕАТРЪ Н. Н. МУРАШКО

Во *Вторникъ, 6-го Мая 1903 г.*

ГРУЗИНСКОЙ СЦЕНЫ представлено будетъ

I

ДЪ у АРКА

II III

Ъ МЕДАЛЗЪ ЖЕНА НА

# დილის წარმოდგენა

თბილისის სახალხო საზოგადოება ავლაბრის განყოფილება, თეატრი ნ. ნ. მურაშკოსი.

კვირას 30 მაისს 1904 წ.



II

# საღამოს ერთი, ცხვირი ხეირია

Утренній Общедоступный спектакль

Театръ–Аудиторія Н. Н. Мурашко

Въ воскресенье 30 мая 1904 г.

I

# КИНТО



II

# ЧЕЛОВѢКЪ ПРЕДПОЛОГАЕТЪ, А БОГЪ РАСПОЛОГАЕТЪ

1907 წლის

ტფილ. სიფხიზლის საზოგადოება. ავლაბ-რის განყოფილება

# თეატრი ნ. ნ. მურაშკოს

შაბათს, 10 თებერვალს

# ჰამლეტი

ТИФЛИС. ОБЩЕСТВО ТРЕЗВОСТИ — АВЛАБАРСКОЕ ОТДѢЛЕНІЕ

## ТЕАТРЪ Н. Н. МУРАШКО

Въ Субботу, 10-го Февраля 1907 года

ЛЮБИТЕЛЯМИ ГРУЗИНСКАГО ДРАМАТИЧЕСКАГО ИСКУССТВА

Съ участіемъ А. Г. Кутаисели

# ГАМЛЕТЪ

Начало ровно въ 8 час. вечера

19[illegible]

# თეატრი ნ. ნ. მურაშკოსი

კვირას [illegible] ოქტომბერს

ქართულ დრამატიულ [illegible] ხელოვნების მოყვარეთა მიერ

წარმოდგენილი იქნება:

# ადამ და ევა

# ცოლქმრობის წინადადება

# ჯამბაზი და რევოლვერი

[illegible]

ადგილების ფასი 50 კაპ. [illegible] 15 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

# ТЕАТРЪ Н. Н. МУРАШКО

Въ воскресенье, 7 октября 19[illegible] года.

Любителями Грузинскаго драматическаго искусства. ПРЕДСТАВЛЕНО БУДЕТЪ:

# АДАМЪ И ЕВА

# ЖЕНЩИНА КОМЕДІАНТКА

# ДУЭЛЬ

[illegible]

[illegible] 15 КОП. НАЧАЛО ВЪ [illegible] ЧАС. ВЕЧЕРА

# 1908

## თეატრი ნ. ნ. მურაშკოსი

[illegible]

არტო ლომინიძის მონაწილეობით და ა. ჭილიძის ხელმძღვანელობით

წარმოდგენილი იქნება

# ცატარა კახი

# Цатара-Кахи

დილის წარმოდგენა 1909 დილის წარმოდგენა

# დილის წარმოდგენა

# მურაშკოვის თეატრი

## კვირას 28 ივნის 1909 წ.

ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება [illegible]

# ქრისტინე

მოქმედნი პირნი:

| | |
|---|---|
| [illegible] | რ. სალაყაია |
| [illegible] | დ. რიჟელოვა |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | ქ. [illegible] |
| [illegible] | ს. გოგა[illegible] |
| [illegible] | გ. [illegible] |
| [illegible] | ს. [illegible] |
| [illegible] | დ. რიჟელოვა |
| [illegible] | ვ. [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | ლ. [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | ი. [illegible] |

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში შაბათს 27 ივნის საღამოს 4 საათ. 8 საათ. წარმოდგენის დღეს დილიდგან ვიდრე დაწყებამდინ

ადგილების ფასი 40 კ. 5 კ. დასაწყისი დილის 1 საათ.

# ТЕАТРЪ МУРАШКО

## УТРЕННІЙ СПЕКТАКЛЬ

Въ воскресенье 28 Іюня любителями грузинскаго драматическаго искусства Представлено будетъ:

# ХРИСТИНА

драма 4 д. [illegible]

Начало ровно 1 часъ дня

Распорядитель Г[illegible]вили

Режиссеръ Сал[illegible]

სახალხო წარმოდგენა № 8.

# ავლაბრის თეატრი ნ. ნ. მურაშკოს

კვირას 27 ივნისს 1910 წელს

ქართულ არსებულ სცენის მოყვარეთა მიერ

# ბრძოლა არსებობისათვის

დასაწყისი საღ. 8 საათზე

---

АВЛАБАРСКІЙ ТЕАТРЪ Н. Н. ...РА

ВЪ ВОСКРЕСЕНЬЕ 27 ІЮНЯ 1910

# БОРЬБА ЗА СУЩЕСТВОВАНІ...



[illegible]

[illegible]

[illegible]

АВЛАБАР. ТЕАТРЪ Н. Н. МУРА[illegible]

[illegible]

[illegible]

1911

# თეატრი ნ. ნ. მურაშკოსი

კვირას, 6 ნოემბერს

...სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება

დასაწყისი საღ. 8 საათზე

# ТЕАТРЪ Н. Н. МУРАШКО

ВОСКРЕСЕНЬЕ

...скаго...

ЧУДАКЪ

ПО ДѢЛУ

УЧАСТВУЮТЪ

# ავლაბრის სახალხო სახლი

[illegible] თეატრი

კვირას, 9 ნოემბერს 1914 წ.

ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართვ. წრის მიერ

მსახიობ ი. ივანიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

# მეზობრობა

[illegible] 4 [illegible]

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. [illegible]
ნიკე, [illegible]

[illegible]

Авлабарский

Въ Воскресенье,

Кружк[illegible] устройству Грузинскихъ народныхъ [illegible]
съ участiемъ артиста І. Иванидзе пр[illegible]

[illegible]

Драма [illegible] Шатиришвили.

Участвуетъ вся труппа [illegible] Начало въ [illegible]

Цѣны мѣстамъ: отъ 50 коп. до 4 коп.

Режиссеръ [illegible] ИВАНИДЗЕ [illegible]

# ზუბალოვის სახალხო თეატრი

კვირას,
16
ნოემბერს

1914

# [illegible]

ქვირას,
23
ნოემბერს

[illegible]

Въ воскресенье [illegible] ноября

[illegible] предоставлено будетъ

# УРІЕЛЬ АКОСТА

[illegible]

[illegible] 31 [illegible]

[illegible]

[illegible]

1903

ტფილისის სიფხიზლის საზოგ.—ავლაბრის განყოფილება

ნ. ნ. მურამკოს თეატრი

სამშაბათს, 6 მაისს

ქართული სცენის მოყვარეთაგან

წარმოდგენილი იქნება

I

# არკადიას სადილი

სცენები ტფილისის ცხოვრებიდან 3 სურ., ნამდვილი ამბავი ნ. გალუსტოვისა

სურათი I—არკადიას განზრახვა, სურათი II—ხატივე, სურათი III—მუქთი კუზი

მოქმედნი პირნი:

| | |
|---|---|
| ტლაშან არკადია | ნ. მარგველოვი |
| ქოჩა გურგენი . . | ა. მიქელაძე |
| უქუსლო სოლომანა | მ. ბუხრაძე |
| კუზიანი საშოა. | დ. [illegible] |
| დიდადი მიკირა. | გ. [illegible] |
| [illegible] (კოკორა) | [illegible] |
| საშიკა [illegible]. | მ. [illegible] |
| აკო გულა . | კ. [illegible] |
| ვანოლა. | ა. [illegible] |
| მანდილა | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| ნიკო . . | მ. [illegible] |
| არტო (სატირის მღლეჯნი) | [illegible] |
| ნენიკა (მეტივე) . . . | [illegible] |

ზურნა, მეტივეები. მუშა კუზოთი.

II

# ადვოკატი მელაძე

კომედია 2 მოქ. ი. მახაბლისა.

| | |
|---|---|
| ადვოკატი მელაძე | მ. მამულაძე |
| მარინე . . | ქ. [illegible] |
| სერგო [illegible] . | ნ. მარგველოვი |
| მიხაკო . . . | ბ. [illegible] |
| სქსიკო [illegible] | ბ. [illegible] |
| მოსამსახურე | მ. ბუხრაძე |
| [illegible] | |

III

# საყვარლის ერთის

[illegible] 1 მოქ. [illegible]

| | |
|---|---|
| დავით [illegible] | [illegible] |
| ლიზა | [illegible] |
| [illegible]. | [illegible] |
| სიკო [illegible] | [illegible] |
| [illegible] . . | [illegible] |

დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

საახალწლო **1904** [illegible]

ტფილისის სიფხიზ. საზოგ.—ავლაბრის განყ.

# თეატრი-აუდიტორია ნ. ნ. მურაშკოსი

**შაბათს, 1 იანვარს**

ავლაბრის სცენის მოყვარულთა ამხანაგობისაგან

წარმოდგენილი იქნება:

I

# პატარა კახი

ისტორ. დრამა ლექ. 5 მოქ. აკაკი წერეთლისა.

მოქმედნი პირნი:

| | |
|---|---|
| მეფე თეიმურაზ | ბ. კორინთელი |
| ერეკლე ბატონიშვილი | ვ. დავითაშვილი |
| [illegible] (…) | ლ. მელაშვილი |
| [illegible] | მ. ბეჟანიძე |
| [illegible] | ლ. ბაღაშვილი |
| [illegible] | ე. [illegible]ძე |
| [illegible] | დ. [illegible] |
| | გ. მჭედლიშვილი |
| | ნ. [illegible] |
| | ს. [illegible] |
| | ქ. [illegible] |
| | ა. [illegible] |
| | ს. [illegible] |
| | ს. [illegible] |

II

# ქალის ბრალია

[illegible] 1 მოქ., ვალ. გუნიასი.

| | |
|---|---|
| [illegible] | ნ. [illegible] |
| [illegible] | ლ. ბაღაშვილი |

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე

**1904**

[illegible]

# [illegible] ჟურნალი

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

**1904**

თბილისის სიფხიზლის საზოგადოება — ავლაბ. ბაღში.

# თეატრი-აუდიტორია ნ. ნ. ზუბალაშვილისა

შაბათს, 4 დეკემბერს

## ბენეფისი ვ. ნ. მაჭარაძისა

ქართველი მსახიობის ი. ივანიძის მონაწილეობით

ავლაბრის სცენის მოყვარეთა ამხანაგობისაგან

წარმოდგენილი იქნება

# [illegible]

ისტორიული [illegible] 5 [illegible]

---

მოქმედნი პირნი:

| | |
|---|---|
| ფერად ფაშა | ი. მჭედლიშვილი |
| ყარა-ოღლი | [illegible] |
| ჯან-ვერდი | [illegible] |
| თურქი | [illegible] |
| ოტია ჯოლია | [illegible] |
| მარინე, ოტიას საყვარელი | ნ. საყვარელიძე |
| გიორგი, მარინეს ძმა | ბ. მაჭარაძე |
| ქეთე ადამია | ი. ივანიძე |
| გალია, ამისი ცოლი | [illegible] |
| გიორგი, ამათი შვილი | [illegible] |
| ბიჭი | [illegible] |
| 1 ტყვე | [illegible] |
| 2 მოხუცი ტყვე | [illegible] |

ჯარის კაცნი, პატიმარნი, მეომარნი და სხვ.

[illegible]

# 1904

ტფილისის სიფხიზ. საზოგ.—ავლაბრის განყ.

# თეატრი-აუდიტორია ნ. ნ. მურაშკოვსი

კვირას, 12 დეკემბერს

ავლაბრის ქართულ სცენის მოყვარეთა ამხ. მიერ

წარმოდგენილი იქნება

I

# რაც გინახავს, ვეღარ ნახავ

კომ. 3 მოქ., ა. ცაგარლისა.

**მ ო ქ მ ე დ ნ ი   პ ი რ ნ ი**

| | |
|---|---|
| თ. დავით ჯამბარაშვილი | ა. მიტარაძე |
| [illegible], მისი ცოლი . . | ქ. თაყაიშვილი |
| [illegible] ივანიჩი, მისი ქმარი | ა. ხუციევი |
| ზაქარია, დავითის მეგობარი | ი. ბიჭურაძე |
| ნიკო, მოურავი | ა. მიასურაძე |
| [illegible], ქვრივი . | ა. დადიანიშვილი |
| [illegible], ამისი ძმისწული . | ქ. სულხანიშვილი |
| [illegible] . | ა. შალამბერიძე |
| [illegible], [illegible] მსახური . | ა. ყუშიტაშვილი |
| [illegible] საქმრო | ა. მიასურაძე |
| ქალაქის ბიჭები | ვ. ჭოლოყაშვილი |
| | ი. ბიჭაშვილი |
| | ა. მინაძეშვილი |
| | ა. მიკირთუმი |
| სოფლის გოგოები | ქ. ფეიქრიშვილი |
| | ქ. N. N. |
| | ქ. N. N. |

II

# შეძლური დებიუტი

ვოდ. 1 მოქ., თარგ. ახოსპირელისა

| | |
|---|---|
| [illegible], 14 წლის ქალი. | ქ. სულხანიშვილი |
| [illegible], გიმნაზისტი . . | ა. მიტარაძე |
| [illegible] იაკოვლევიჩი, ლილის მამა . | ი. ხუციშვილი |

დაიწყება საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზედ

# თავი მეორე

## არაქსიანის თეატრი

1903 წელს სომეხთა ცნობილ მსახიობს პოღოს არაქსიანს ავლაბრის მოედნის მახლობლად იჯარით აუღია მოქალაქე ვარშამოვის მამულის ერთი ნაწილი. კაპიტალურად გადაუკეთებია იგი სათეატროდ და სომხურ ენაზე საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით დაუწყია წარმოდგენების მართვა. თეატრი ორსართულიანი იყო. პირველ სართულზე მოუწყვია ფოიე, ბუფეტი, გარდერობი, ხოლო მეორე სართულზე საკმაოდ მოზრდილი მაყურებელთა დარბაზი და ფართო სცენა თავისი საპირფარეშოებით, ქვედა სართულზე მოთავსებული ყოფილა დიდი ფოიე სპეციალურად მოწყობილი როტონდო ორკესტრისათვის. ამ თეატრს ეწოდა „არაქსინის ახალი თეატრი“.

ამ უბანში ძირითადად სომხები ცხოვრობდნენ, მაგრამ მათ უმრავლესობას არც კი სცოდნია მშობლიური ენა. არაქსიანის ახალ თეატრში დამსწრე აუდიტორია სომხურ-ქართული ყოფილა; ამიტომაც გადაუწყვეტიათ მურაშკოს თეატრში არსებული სცენისმოყვარეთა ქართული დასი „არაქსიანის ახალ თეატრში“ გადასულიყო.

სომეხთა ცნობილი მსახიობი პოღოს არაქსიანი ნიჭიერი კომიკოსი იყო. მას სომხურ ენაზე გადაუთარგმნია „ხანუმა“ და თვითონვე შეუსრულებია ხანუმას როლი. თანამედროვეთა გადმოცემით განსაკუთრებით შესანიშნავი ყოფილა ნ. გოგოლის „რევიზორში“ რევიზორი, გ. სუნდუკიანის პიესებში „პეპოში“ და „დაქცეულ ოჯახში“, ოსტროვსკის „შემოსავლიან ადგილში“ (ბელოგუბოვი) და სხვა მრავალი.

არაქსიანი კარგად ფლობდა თურმე ქართულ ენას და ხშირად იღებდა მონაწილეობას ქართულ წარმოდგენებში. კარგი იყო მის მიერ განსახიერებული გიჟუა („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“), ხანუმა, აკოფა („ხანუმაში“).

არაქსიანის ერთ-ერთ უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მას—თავის საკუთარი სახსრებით და ვალით—1903 წელს საკუთარი თეატრი აუგია თბილისის ისეთ უბანში როგორიც არის ავლაბარი, რომლის მცხოვრებნი მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ კულტურულ გართობას და განათლებას. არაქსიანის თეატრში ჩამოყალიბებულმა სომხურმა და ქართულმა დრამატულმა წრეებმა დიდი როლი შეასრულეს ავლაბარში მუშა-მოსამსახურეთა არა მარტო კულტურულ, არამედ რევოლუციური განვითარებისა და გამოფხიზლების საქმეში.

გეორქ ფირუმიანისა და პოღოს არაქსიანის მოლაპარაკების შედეგად დასი 1903 წლის დეკემბერს ახალი თეატრის შენობაში გადასულა. დასის ადმინისტრაციული გამგეობა გ. ფირუმიანისათვის მიუნდვიათ. რეჟისორად კი გამოცდილი მსახიობი რომანოზ სალაყაია დაუნიშნავთ.

თანდათან მაღლდებოდა სცენისმოყვარეთა ავტორიტეტი და შემოქმედებითი რეზონანსი. წრის გამოცდილ სცენისმოყვარეებს ახალი წევრები ამოუდგნენ მხარში, ახალი სული შთაბერეს წრის მუშაობას, უფრო საინტერესო და ცხოველმყოფელი გახადეს იგი. ესენი იყვნენ: ნ. მირველოვი, რ. ჯიბლაძე, ვ. მარკოზოვი, პ. ბეგიჯანოვა (შრომიშვილი), დ. ტალახაძე. კ. მაისურაძე, ს. დავიდოვი, ო. ფეიქრიშვილი, მ. მარგველაშვილი, ა. ჩერქეზიშვილი, ე. ბუჩუკური, ს. მაკაროვი, ვ. ნიკიფოროვა, (იგივე ვ. დავიდოვა), მუდმივი მოკარნახეები იყვნენ: ალ. ბაჯიაშვილი, მ. მელაშვილი და ი. ხუციშვილი. წრეში მონაწილეობდა ორი მუშა-პოეტი ა. განჯისკარელი და მ. ლელაშვილი.

დაიწყო მზადება, პირველი სპექტაკლის ვ. აბაშიძის მიერ თარგმნილი „გაძარცული ფოსტის“ დასადგმელად. აფიშები დაიბეჭდა, მაგრამ ეს პირველი წარმოდგენა არ შედგა.

როგორც თეატრალური მუზეუმის № 21 საafიშო ფონდში დაცული აფიშები გვამცნობენ, იმავე წლის 6 მაისს ქართული დასის სცენისმოყვარეთა მიერ დაიდგა „არკადიას სადილი“ — სცენები თბილისის ვაჭრების ცხოვრებიდან, ნამდვილი ამბავი ნ. გალუსტოვისა.

ნ. გალუსტოვის (ქართული თეატრის ცნობილი სუფლიორი) მიერ თამამშევის ქარვასლაში „შკაფჩიკების“ ცხოვრებაზე დაწერილ პიესაში, „არკადიას სადილში“, არკადიას როლს შესანიშნავად ასრულებდა ნ. მირველოვი. ამ პიესის შინაარსი ის არის, რომ არკადიას, რომელიც მეტად ძუნწი იყო, თავისი ამხანაგები — უფულო სოლომონა, ფიზიკა იაგორა, საბაკა სამსონა, ჩამჩა

მელქუა, კუზიანი საშოა და სხვები აიძულებენ, რომ დაპატიჟოს ისინი. რომ აღარ მოეშვა, გაიფიქრა, მოდი ერთი, ამათ კარგ ოინს ვუზამო. ჩამოუარა ყველას და სთხოვა—ამა და ამ კვირას ყველას სადილზე გეპატიჟებითო. ადგილი დაუნიშნა ვერის ბაღში. დანიშნულ დროზე ყველა მივიდა... ელიან, ელიან და არკადია არ ჩანს. ბოლოს, როგორც იქნა მოვიდა მის მიერ გამოგზავნილი მუშა, რომელსაც ზურგზე კუბო ჰქონდა მოკიდებული. ყველანი გაოცდნენ ამ უცნაური ამბით. მუშამ ჩამოიხსნა კუბო და დაუდგა წინ, მერე უბიდან ბარათი ამოიღო და გადასცა. ბარათში არკადია წერდა: „გინდოდათ მუქთა კუბოში ჩაწოლა და ჩაწექით. თქვენი არკადია".

ეს სახუმარო კომედია კარგ შემოსავალს იძლეოდა: ვაჭრები, მეგანჯინენი და ნოქრები გაიგებდნენ თუ არა „არკადიას სადილი" უნდა ითამაშონო, აწყდებოდნენ თეატრის სალაროს და წინასწარ უკვეთავდნენ ბილეთებს.

□□

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ამ დროისათვის თბილისში მხოლოდ ორი სახალხო თეატრი ყოფილა ცნობილი. ავჭალის აუდიტორია და მურაშკოს თეატრი. სხვა თეატრები მაშინ თბილისში არ იყო, გარდა დიდი ქართული თეატრისა, რომელსაც დაბალი ფენის ხალხი თურმე ვასო აბაშიძის თეატრს უწოდებდა.

ამ დღიდან შეწყვეტილა მათ მიერ მურაშკოს თეატრში წარმოდგენების მართვა. ყველა სცენისმოყვარე ცდილობდა როლი კარგად სცოდნოდა და რეჟისორის მითითებული მიზანსცენები კარგად დაემახსოვრებინა.

ერთი სიტყვით ახალ შენობაში სულ სხვა სახე მიუღია თეატრს. იგი გამოსულა იმ პრიმიტიული მდგომარეობიდან, როგორშიაც მურაშკოს თეატრში იმყოფებოდა. აქ უკვე მან ფრთა გაშალა. მსახიობს აღარ ეჭირვებოდა მაყურებლის სარდაფ-სარდაფ და ქუჩა-ქუჩა ძებნა. მაყურებელი თავისთავად მიდიოდა.

დაიწყო დაძაბული და ენერგიული მუშაობა გ. ფირუმიანის ხელმძღვანელობით. გ. ფირუმიანს რამდენი გაჭირვება უნახავს თავის შემოქმედებით გზაზე, რამდენი ღამე დასთენებია თავზე და ერთხელ არჩეული გზიდან არ გადაუხვევია. ცალკე აგენტებთან ბრძოლა, ცალკე მიკიტნებსა და ყომარბაზების მუქარა — ჩვენს მუშტრებს თეატრი რატომ გაუხსენით, ვაჭრობა აღარ გვაქვსო... ცალკე სცენისათვის საჭირო მოწყობილობის სახლიდან მოტანა, არტისტების მონახვა, რეპეტიციების დანიშვნა — სხვადასხვა სცენისმოყვარეების ერთად შეკრება, რეპეტიციის შემდეგ შუაღამისას სახლში წასვლა და

დილით ადრე ადგომა, სამუშაოზე წასვლა. გ. ფირუმიანს, როგორც დასის ხელმძღვანელს, ყველაფრისათვის ანგარიში უნდა გაეწია. ამას თან ერთოდა მისი მსახიობური მოღვაწეობა ორივე წრეში.

ქართველ და სომეხ მსახიობთა თეატრალური ურთიერთობა ჯერ კიდევ 70 წლებიდან დაწყებულა, როცა 1875 წელს პირველად დაუდგამთ ქართულ სცენაზე „პეპო". პეპოს როლი განუსახიერებია ცნობილ მსახიობს გრიგოლ ჩმიშკიანს. ნათაძესთან, კოტე ყიფიანთან და შიშნიაშვილთან ერთად. სერგეი მესხს გაზ. „დროებაში" შეუქია წარმოდგენა და განსაკუთრებით აღუნიშნავს ჩმიშკიანის მკაფიო, სწორი ქართული მეტყველება.

გ. ფირუმიანსაც ამ გზის გამგრძელებლად თვლიდნენ. იგი ერთნაირი სიძლიერითა და სიყვარულით თამაშობდა როგორც სომხურ, ისე ქართულ სპექტაკლებში.

როგორც მსახიობს გ. ფირუმიანს ამპლუა არ ჰქონია. ფირუმიანს რომ ამპლუა არ ჰქონდა ეს დასტურდება იმ როლების მრავალფეროვნებით, რაც მას განუხორციელებია თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის გრძელ გზაზე კაკული და ზიმზიმოვი („პეპო"), გიუმოზე და მარმაროვი („დაქცეული ოჯახი"). მასისიანი და ისაია („ხათაბალა"). მოლიერის პიესაში („ძალად ცოლის შერთევევინება") სამი სხვადასხვა როლი აქვს შესრულებული. ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავეებში" შმაგაც უთამაშია და მოლოვზოროვიც. ერთი სიტყვით, არ ყოფილა ისეთი პიესა, სადაც ფირუმიანს სხვადასხვა დროს ერთიმეორის საწინააღმდეგო როლი არ შეესრულებინოს და ყველა ბრწყინვალე არ ყოფილიყოს.

გ. ფირუმიანი დიდი ოსტატობით კითხულობდა თურმე ლექსებს. იგი ყოფილა აგრეთვე სახელგანთქმული კუპლეტისტი მომღერალი. მისი სცენები და კუპლეტები, კერძოდ „დედამთილიანის ჩხუბი" ჩაწერილია გრამფირფიტაზე. ფირუმიანი ძირითადად თავის დაწერილ კუპლეტებს მღეროდა და მოხდენილად კითხულობდა სცენებს ყარაჩოხელებისა და კინტოების ცხოვრებიდან.

ამ სადივერტისმენტო პროგრამას ემატება ავქს. ცაგარლისა და გ. სუნდუკიანის ვოდევილები „ბაიყუში", „ჭკუისა მჭირს", „პრიკაშჩიკი შკაფში", „ოსკან პეტროვიჩი საიქიოს", „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია" და სხვ.

ასევე ბრწყინვალედ კითხულობდა, აგრეთვე, სომხურ ლექსებსაც. მისთვის ამხანაგებს ერთხელ მეორე საიათნოვა უწოდებიათ.

გ. ფირუმიანი თეატრალური ხელოვნების მოტრფიალე საზოგადოების მიერ აღიარებული ყოფილა, როგორც ბრწყინვალე დეკლამატორი. ფირუმიანის დეკლამაცია, აკადემიკოს ი. გრიშაშვილის თქმით, ეს იყო „სიმფონია, ნიაღვრის მოვარდნა, გაზაფხულის სურნელება".

მას პირველს ჩაუყრია საფუძველი ოპერეტისათვის და თეატრის ამ ჟანრისათვის მიმზიდველობა და სერიოზულობა მიუნიჭებია. დაუვიწყარი ყოფილა მის მიერ შესრულებული მაშტი ბალი („მაშტი ბალი"), სულეიმანი („არშინ მალ-ალან"), ნააპეტა („უშლინი ნუშლიანი").

ქართულ პიესებში გ. ფირუმიანი თურმე ვ. აბაშიძის, ნ. გოცირიძის და დ. აწყურელის ამპლუის როლებს ანსახიერებდა და ამბობენ, რომ მათ არაფრით ჩამოუვარდებოდაო. ასეთები იყო არონა („მელანიას ოინები"), ავეტიკა („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ") და პეტუა („ციმბირელი").

პიესა „ციმბირელში" როლები იმ დროს ასე ყოფილა განაწილებული. მაზუთიანს თამაშობდა გ. გელიკურაშვილი, ნარგიზას — თ. აბაშიშვილი, ადვოკატ ქსელოვს — შ. გომელაური, ივანე უსტაბაშს — ვ. მარკოზოვი, ქალიას — დ. რჩეულიშვილი, ნიკოლას — ლ. ბალაშვილი, სტეფან მაკარიჩს — ნ. მირველოვი, მაშიკოს — ნ. საყვარელიძე, კავკაველ პეტუას — გ. ფირუმიანი და დ. ჩაჩანიძე, არტემს — დ. მელაშვილი.

აი, რას გვიამბობს ამ სპექტაკლის შესახებ ი. გრიშაშვილი: „ამ წარმოდგენაზე ყველაფერი ისე ბუნებრივად იყო, რომ გაკვირვებული ვეკითხებოდი ჩემს თავს: ეს ჩვენი უბნის ხალხი აქ სად მოუხვეტიათ-მეთქი, მართლაც ნიკოლა, ვანო, სტეფან მაკარიჩი, მაზუთიანი, პეტუა ნამდვილი ხალხი მეგონა, ჩემი მეზობლები. მაშინ გრიმსა და პარიკზე არავითარი წარმოდგენა არა მქონდა. ამ წარმოდგენაში განსაკუთრებით პეტუა მომეწონა. ერთი ჩვენი მეზობელთაგანი დ. გულნაზიანი მეუბნებოდა: „იცი, ეგ ვინ არის? გვარად ფირუმიანი, ჰექიმ ნიკოლას ვაჟი, ბუღალტრად მსახურობს შახბუდაღოვის კანტორაში. მე შევუტიე: რის ჰექიმის შვილი, რის შახბუდაღოვი, ეგ მეთევზე ავაქაა, ორთაჭალაში ვირების ხიდთან რომ თევზაობს. რამდენჯერ გავუგზავნივარ მამაჩემს მასთან „ცოცხალის" საყიდლად-მეთქი. დამენიძლავეო — დავნიძლავდით. მთელი ერთი კვირა დავდიოდით დახურულ ბაზაზხანაში, თათრის მოედანთან, ვიჭყიტებოდით მაღაზიაში, რომ ერთხელ მაინც თვალი მოგვეკრა პეტუას როლის შემსრულებელ ბუღალტერ ფირუმიანისათვის. რასაკვირველია სანაძლეო წავაგე. აი, რას ნიშნავს ბუნებრივი თამაში. მას შემდეგ გიორგი ფირუმიანი გახდა ჩემი საყვარელი მსახიობი და მუშტაიდის და არაქსიანის თეატრების მუდმივი მაყურებელი გავხდი. ერთი წლის შემდეგ ხომ სუფლიორადაც მიმიღეს. მეც ჩავეწერე მათ დასში, საიდანაც 1907 წელს ვალერიან გუნიამ დიდ სცენაზე გადამიყვანა მოკარნახის თანამდებობაზე"[1].

---

[1] ი. გრიშაშვილი. მინიატურები და ლიტერატურული ნარკვევები. ტ. V, გამომც. „საბჭოთა საქართველო", 1965, გვ. 225-226.

უნდა ითქვას, რომ არაქსიანმაც დაიწყო თავისი ხელმძღვანელობით წარმოდგენების მართვა. სომხური დასიც მეტად რთულ კლასიკურ პიესებს დგამდა „თაგი ჰამარი“, „ასლან ბალასი“, „არშაკ მეორე“, „მოგონილი დეიდა“, „დონ კარლოსი“, „ღალატი“ და სხვ.

ქართველებსაც შეჰქონდათ თავიანთი წვლილი სომხურ წარმოდგენებში. ლ. ბაღაშვილმა და ვ. მჭედლიშვილმა არაქსიანის თეატრის სომხურ წარმოდგენაში „ასლან-ბალასში“ მიიღეს მონაწილეობა (ორივემ კარგად იცოდა სომხური ენა), ელ. ბუჩუკური წამყვან როლებს ასრულებდა როგორც სომხურში, ისე ქართულში, თავისი მოხდენილი თამაშით მუშათა თეატრის მაყურებლის საყვარელი მსახიობი იყო. მის მიერ შესრულებული როლებიდან გამოირჩევიან: მარინე — „და-ძმა“, ვარა—„ციმბირელი“, თალიკო—„ბედს ვერ წაუხვალ“. ამ უკანასკნელი როლის შესრულება ზოგიერთ პროფესიულ მსახიობსაც უჭირდა და, უნდა ითქვას, რომ ელ. ბუჩუკურს ამ როლის განსახიერებით წრის წევრებისა და მაყურებლის დიდი მოწონება დაუმსახურებია...

გ. ფირუმიანმა კი დიდი ენთუზიაზმით გაშალა მუშაობა ქართულ დასში.

ამ დასში ირიცხებოდნენ თვალსაჩინო სცენისმოყვარეები, როგორებიც იყვნენ: თ. აფხაზიშვილი, მ. ქართველიშვილი, დ. რჩეულიშვილი, ნ. საყვარელიძე, ვ. ბეგიჯანიანი, ელ. ბუჩუკური. ვაჟებიდან: გ. გელიკურაშვილი, ლ. ბაღაშვილი, ნ. მირველოვი, ლ. პოღოსოვი, ი. რევაზიშვილი, ი. მჭედლიშვილი, რ. ჯიბლაძე, დ. მელაშვილი, ს. პეპანოვი, ა. უმბრიევი, ივ. მარკოზოვი, გ. ფირუმიანი, ან. განჯისკარელი, მ. თუშმალიშვილი, ს. ლოლაძე, ბუხრაძე და სხვები, სულ ოცდარვა წევრი, რომელშიაც ცამეტი წევრი სომეხი იყო და ყველა ქართულ წრეში მონაწილეობდა.

როგორც ხელმძღვანელის, ისე სცენისმოყვარეთა თითოეული წევრის მიზანი იყო კიდევ უფრო გაეიაფებინა ადგილების ფასი და მუშა ხელოსნებისათვის მოეწყო მათი ცხოვრების ამსახველი სახალხო იაფფასიანი წარმოდგენები.

იდეა თანდათან ხორცს ისხამდა, მაგრამ ფირუმიანს აწუხებდა ის, რომ წარმოდგენები მარტო ქართულად მიმდინარეობდა და სომხურად იშვიათად იდგმებოდა, ისიც თითო მოქმედება.

ხელმძღვანელის, გ. ფირუმიანის წინადადებას სომხური წრის ჩამოყალიბების შესახებ ყველამ ერთხმად დაუჭირა მხარი. მასვე დაევალა შეედგინა პატარა სომხური წრე როგორც ადგილობრივი დასიდან, ისე გარეშე წრეებიდან.

ორ-სამ დღეში შეადგინეს პატარა სომხური დასი. წარმოდგენების აფიშებში გაჩნდა ასეთი წარწერები: ქართულ-სომხურ სცენისმოყვარეთა ამხანაგობა!

სომხურ წრეში გაერთიანებული იყვნენ შემდეგი მსახიობები ქალებიდან: ზაბელა, ბეგიჯანიანი, ბუჩუკური, აიკანუშა, ვაჟებიდან: დუშჩიანი, გრიგორიანი, პოღოსოვი, მარკოზიანი, ლაშქარიანი, საფარიანი, ნაზარბეგიანი, ვართანიანი, ფირუმიანი და ბოლოს შემოემატა აგანოვა, ტერ-არაქელიანი და ვაჰან გალუსტიანი. ჯერ როგორც სუფლიორი და შემდეგ მსახიობი. მუდმივ სუფლიორად კი ითვლებოდა ა. ფარსადანიანი.

ამ წრის წევრებს ისევე, როგორც ყველა სცენისმოყვარეთა წრეებს, ჰქონდათ თავიანთი წესდება. თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ მუშაობის დროს რომელსაც ადასტურებდნენ თავიანთი ხელმოწერით.

წესრიგის დასაცავად ქართული წარმოდგენების დროს მორიგეებად აცხადებდნენ სომხებს, სომხების წარმოდგენის დროს მორიგეებად ინიშნებოდნენ ქართველები.

წესიერება თანდათან მყარდებოდა, ხალხი მოდიოდა გონს, უწესობას აღარ სჩადიოდა. წარმოდგენები მიმდინაერობდა თავის რიგზე, მწყობრად. საჭირო შემთხვევაში იწვევდნენ გამოცდილ სცენისმოყვარეებს, მსახიობებს.

ხანდახან ანსამბლის გასაძლიერებლად ქართული და სომხური წრე იწვევდა მსახიობებს ვ. აბაშიძეს, დ. ჩარკვიანს, ს. ივანიძეს, ნ. გოცირიძეს, გულაზიანს, აბელიანსა, ა. ხარაზიანს, ბეროიანს და სხვებს.

აღდგომის კვირა დღეს სომხურმა დასმა წარმოადგინა შილერის „ყაჩაღები". ფრანცის როლს თამაშობდა ბეროიანი, კარლს — ტერ-არაქელიანი, გერმანს—გალუსტიანი, ამალიას — გულაზიანი, პატერს — პარონ სარქისიანი.

დილით დანიშნული იყო გენერალური რეპეტიცია. ბილეთები გაყიდულია, რაღაც მიზეზის გამო მ. ტერ-არაქელიანს სპექტაკლში მონაწილეობაზე უარი უთქვამს.

ყველა აშოშმინებდა, თხოვდნენ, რომ წარმოდგენა არ ჩაეშალა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. როცა ძლიერ გაჯიუტებულა და საზღვარს გადასულა, დასის ხელმძღვანელს, გ. ფირუმიანს, დაუყვირია—„ნუ ითამაშებ. თავისუფალი ხარ", არაქელიანი წავიდა. წრის წევრებს უკვირდათ —ნახევარ დღეში შემცვლელი ვინ უნდა იშოვოსო. ფირუმიანს წრის წევრები დაუმშვიდებია.

წავიდა სახლში და კარლოსის როლი თავისი კარგი მეხსიერების წყალობით ზეპირად შეისწავლა. საღამოზე როცა თეატრში მივიდა, სუფლიორ სარქისიანს პიესა დაუბრუნა და გააფრთხილა, რომ არ ეკარნახა. ითამაშა, მაგრამ ვაი იმ თამაშს. თუმცა ტერ-არაქელიანის დასაცინი მაინც არ გახდა და სპექტაკლიც გადაარჩინა ჩავარდნისაგან.

ქართულ და სომხურ წრეებს შორის მეგობრული ურთიერთობა უფრო

ძლიერდებოდა. თუ გადავხედავთ ქართული დრამატული თეატრის წარმოდგენებს, ვნახავთ ქართველ და სომეხ მსახიობთა დიდ სოლიდალურ განწყობილებას. საინტერესო იყო ერთი გარემოება, მაკო საფაროვა-აბაშიძის, ნატო გაბუნია-ცაგარლის, ვასო აბაშიძის, კოტე ყიფიანის ბენეფისებსა და საიუბილეო წარმოდგენებში თითქმის მუდამ იდგმებოდა გ. სუნდუკიანის პიესები: „პეპო", „ხათაბალა", „დაქცეული ოჯახი", „კიდევ ერთი მსხვერპლი" და სხვ. და მეორე წელს კვლავ სომეხ მსახიობთა ბენეფისებში ან იუბილეებში მეორდებოდა იგივე პიესები. ეს ახარებდა სცენისმოყვარე მსახიობებსა და კიდევ მეტ ენერგიასა და სიხალისეს მატებდა.

ქართულ-სომხური წრეების გაერთიანების შემდეგ ნამდვილი ინტენსიური მუშაობა გაჩაღებულა. დამყარდა მუშაობის ასეთი წესი: შაბათს რომ სომხური დრამა მიდიოდა, მას მიაყოლებდნენ ხოლმე ერთმოქმედებიან ქართულ კომედიას ან ვოდევილს და პირიქით, კვირას რომ ქართული დრამა მიდიოდა, მას მიაყოლებდნენ ხოლმე სომხურ ვოდევილს; ანდა, კვირა დილას რომ სომხურ წარმოდგენას გამართავდნენ, საღამოს ქართულს დგამდნენ. დაწესებული იყო მორიგეობა. ურთიერთ სიმპათიაზე დამყარებულ ასეთ ორგანიზაციულ წყობას ხალხში დემოკრატიული შეგნება შეჰქონდა. ქართული და სომხური დასების გაერთიანება სწორედ იმ დროს მომხდარა, როდესაც ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოს დედაქალაქ თბილისში ნიკოლოზის მთავრობის დირექტივებით კავკასიის მთავარმართველმა გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა პროვოკაციულად მოაწყო სომეხ-თათართა შორის ძმათა სისხლისღვრა, მსგავსად ებრაელების ჟლეტისა რუსეთში ხულიგნებისა და შავრაზმელების მიერ.

ამ ორი ერის ბედ-იღბალი მუდამ ერთმანეთთან ყოფილა გადაჯაჭვული. გარეშე დამპყრობელთა შემოსევის დროს არაერთხელ გაუწოდებია ქართველ ხალხს დახმარების ხელი სომეხი ხალხისათვის სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ასევე სომხებიც განსაცდელის ჟამს მხარში edgნენ მეზობელ ქართველებს და საქმით განამტკიცებდნენ თავიანთ მეგობრობას... ამ ისტორიული მეგობრობის განმტკიცებას ხელს უწყობდნენ მე-19 საუკუნის მოღვაწენი — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, გრიგოლ ორბელიანი, დრამატურგი გაბრიელ სუნდუკიანი, პოეტი ოვანეს თუმანიანი, მხატვარი ბაშინჯაღიანი და სხვ.

ძველად, ცარიზმის კლანჭებში მგმინავი ერისათვის თავისუფალი სიტყვის სათქმელად არსებობდა თეატრი. აქ იდგმებოდა ისეთი პიესები, სადაც სამშობლოსადმი სიყვარული უფრო ნათლად გამოკრთოდა (გავიხსენოთ „ღალატი", „სამშობლო", „და-ძმა", „მტარვალი" და სხვ.). ხშირად ყოფილა შემთხვევა,

რომ ქართულ წარმოდგენებში მონაწილეობას იღებდა გრიგოლ ჩმიშკიანი, გედეონ მირალიანი, მელიქიანი და სხვ. ხოლო სომხურ წარმოდგენებში გამოდიოდნენ ეპიზოდურ როლებში — ვასო აბაშიძე, ნიკო გოცირიძე, ადამიძე და სხვ. ძველი ისტორიული საბუთები ინახავენ იმის ცნობას, რომ ჩვენს სასიქადულო პოეტს აკაკი წერეთელს უთამაშია ქართულად სუნდუკიანის პიესა „კიდევ ერთ მსხვერპლში“ გიორგის როლი.

დაე, სუყველამ იბედნიეროს
თვით სამშობლოში, თავის მხარეში,
რომ მოძმე იყო ერთი-მეორის
და არა მონა, ყმა და ფარეში.

აკაკი

1850 წლის 2 იანვარს დადგმულ გ. ერისთავის „გაყრის“ პირველ წარმოდგენაშივე, ქართველებთან ერთად მონაწილეობა მიუღია აგრეთვე სომეხ გ. შანშიევს, რომელსაც განუსახიერებია რამაზის როლი, ხოლო იმავე წლის 3 მაისს დადგმულ გ. ერისთავის პიესა „დავაში“ გ. შანშიევს შეუსრულებია მარქრიტის როლი. ლორის-მელიქოვს კი აბრამის როლი. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა მაშინ, სომხები სისტემატურად მონაწილეობდნენ და თანამშრომლობდნენ თურმე ქართულ თეატრში და შემდეგ წლებშიც გრძელდება ეს ტრადიცია — ჩნდება ქართულ წარმოდგენებში მონაწილე სომეხთა ახალ-ახალი სახელები.

მაგრამ, განა მარტო სომხებს უთამაშიათ ქართულ სცენაზე? 1879 წელს გრ. არწრუნის გაზეთ „შმაკის“ ერთ-ერთი ნომრის ქრონიკა გვამცნობდა: „როგორც გავიგეთ, კვირა დღეს არწრუნის თეატრში, სომეხ სცენისმოყვარეთა ძიერ გამართულ წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ერთი ქართველი ქალიშვილი, რომელიც სომხურ ენაზე ითამაშებს პიესაში „ახალი ბინა“.

გაზეთის შემდეგი ნომერი გვამცნობს, რომ ეს „ერთი ქართველი ქალიშვილი“ ყოფილა ვინმე ნასიძის ასული.

შემდეგში სომხურ წარმოდგენებში მონაწილეობა მიუღია თურმე და სომხურად უთამაშიათ ვასო აბაშიძეს... ელიოზიშვილს, ადამიძეს, ნიკო გოცირიძეს, ლევან ბაღაშვილს, ბუჩუკურის ქალს, გიორგი დარისპანაშვილს და სხვებს.

არსებობს აგრეთვე მრავალი სხვა ფაქტიც. „სცენისმოყვარის და სახალხო თეატრების ერთ-ერთი ფუძემდებლის დავით მელაშვილის გადმოცემითა და ჩვენს პირად არქივში დაცული მასალების მიხედვით, ურთიერთის სცენაზე მო-

ნაწილეობა მიუღიათ დაახლოებით ასამდე სომეხ და ქართველ სცენისმოყვარესა და მსახიობს...

და განა ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ქართულ ან სომხურ თეატრს თავისი ძალები არ ჰყოფნიდა? არა, პირველ ყოვლისა, ეს გამოწვეული იყო ურთიერთ სცენისადმი დიდი სიყვარულით, პატივისცემითა და იმ სოლიდარული განწყობილებით, რომელიც საუკუნეობით არსებობდა და არსებობს სომხებსა და ქართველებს შორის"[1].

გარდა მსახიობებისა, გამოჩენილან აგრეთვე ეროვნებით სომეხი დრამატურგებიც, რომლებიც ქართულად წერდნენ და თავიანთი საგრძნობი წვლილი შეჰქონდათ ახლად აღდგენილ ქართული თეატრის წინსვლის საერთო საქმიანობაში.

ერთ-ერთი ასეთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ყოფილა გორელი სომეხი ზ. ანტონოვი, რომლის პიესებიც დიდი წარმატებით იდგმებოდა ქართულ თეატრში.

ქართველებიც გულწრფელობით შეხვდნენ ზ. ანტონოვს და უკვდავყვეს ქართული თეატრის ისტორიაში.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ელიშე ტერ-ასტვაწატრიანი თავის პიესით „კაპიშონი", აგრეთვე გორელი სომეხი აღალო თუთაევი და ნ. აზიანი თავიანთი კომედიებით, ნ. გალუსტოვი თავისი „არკადიას სადილით". მუშა-დრამატურგებიდან ყურადღებას იქცევდა ა. ბაჯიაშვილი, გ. ხეჩუაშვილი და სხვები.

უნდა მოვიხსენიოთ სხვა პროფესიონალი დრამატურგებიც: ცნობილი დრამატურგი გ. სუნდუკიანი, რომელსაც მართალია რ. ერისთავის დახმარებით, მაგრამ მაინც უთარგმნია თავისი ცნობილი კომედია „პეპო", რომელიც დღესაც წარმატებით იდგმება ქართულ სცენაზე. ეს პიესა პირველად ი. ჭავჭავაძეს დაუბეჭდავს თავის ჟურნალ „ივერიაში", ხოლო სუნდუკიანის ვოდევილი, „ოსკან პეტროვიჩი საიქიოს" კი 1901 წელს დავით ტერდავთიანის თარგმანით ი. იმედაშვილს თავის კრებულში — „ცხოვრების სარკე".

გ. სუნდუკიანისადმი განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემა დღემდე გრძელდება ქართველებში. ქართული თეატრის ისტორიაში განსაკუთრებული კვალი დატოვეს გ. სუნდუკიანმა, ზ. ანტონოვმა და ნ. აზიანმა. გ. ერისთავის, ზ. ანტონოვის, გ. სუნდუკიანის, ავქს. ცაგარლის და სხვა დრამატურგთა პიესები სიუჟეტითა და ტიპაჟებით, იქნებოდა ეს კომედია თუ ვოდევილი, მეტად მსგავს თემებს ეხებოდნენ.

---

[1] ს. აზიანი, ქართულ-სომხური თეატრალური ურთიერთობანი, გამომც. „ხელოვნება", 1960, გვ. 36-37.

ამ ნაწარმოებებში გამათრახებული იყო ახლად ფეხმოკიდებული კაპიტალისტური წყობა, მეფის მოხელენი, ფუქსავატი ქართველი თავადაზნაურობა და სომეხთა ბურჟუაზია, ჩარჩ-ვაჭრები, მევახშენი, ხალხის ცრუმორწმუნოება, უვიცობა და ჩამორჩენა.

1899 წლის 14 იანვარს დიდი ამბით გადაუხდიათ სომხურ სცენის თვალსაჩინო წარმომადგენლის—მსახიობი ქალის სათენიკ ჩმიშკიანის სასცენო მოღვაწეობის 35 წლისთავი. ქართულ დრამატულ დასს არა მარტო გულთბილად მიულოცია სათენიკ ჩმიშკიანისათვის, არამედ დაფნის გვირგვინიც კი მიურთმევიათ.

განსაკუთრებით გამოხმაურება გამოუწვევია სომხურ პრესაში ვასო აბაშიძის, ნატო გაბუნია-ცაგარლის, მაკო საფაროვა-აბაშიძის, ლადო ალექსი-მესხიშვილის, კოტე ყიფიანის, კოტე მესხის, ნიკო გოცირიძის, ელისაბედ ჩერქეზიშვილის, ტასო აბაშიძის, აკაკი ხორავას და სხვათა სხვადასხვა დროს გამართულ იუბილეებს.

ასევე, თავის დროზე ქართულ პრესაში აღუნიშნავთ პეტროს ადამიანის, სირანუშას, გეორგ ტერ-დავთიანის, ზაბელას, ვანო ტერ-გრიგორიანის, გედეონ მირალიანის, გეორგ ფირუმიანის, ვაჰრამ ფაფაზიანის, არტემ ბეროიანისა და სხვათა ბენეფისები და იუბილეები.

ამ ბენეფისების და იუბილეების დროს ხშირი ყოფილა შემთხვევები, როცა სომეხი მსახიობი თავის საბენეფისოდ ან საიუბილეოდ ამოირჩევდა თურმე ქართულიდან ნათარგმნ რომელიმე პიესას და პირიქით. ასე მაგალითად: „1893 წლის 22 ნოემბერს სომხური თეატრის ცნობილი მსახიობი ქალის ვარდუჰის საბენეფისოდ წარმოდგენილ იყო ქართულიდან ნათარგმნი ავქ-ენტი ცაგარლის კომედია „ხანუმა", სადაც თვით ვარდუჰი ოსტატურად ასრულებდა ხანუმას როლს.

1894 წ. 20 იანვარს სახაზინო თეატრში (ამჟამად ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი) გამართულ სომეხი მსახიობის პოლოს არაქსიანის საბენეფისო საღამოზე, სხვა პიესებთან ერთად (გ. სუნდუკიანის „დაქცეული ოჯახი" და სხვა), დაუდგამთ აგრეთვე ავქს. ცაგარლის „ხანუმას" უკანასკნელი მოქმედება, რომელშიც მშვენიერი ყოფილა თვით არაქსიანი აკოფას როლში.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტს გ. ფირუმიანს 1948 წელს თავის სასცენო მოღვაწეობის 50 წლის საიუბილეოდ გ. სუნდუკიანის „დაქცეულ ოჯახთან" ერთად წარმოუდგენია ავქს. ცაგარლის „ციმბირელი".

საყოველთაოდ ცნობილია ქართველი მსახიობებისა და თეატრალური მოღვაწეების დიდი პატივისცემა და სიყვარული სომხური პიესებისადმი, განსაკუთრებით გ. სუნდუკიანის დრამატურგიისადმი.

გ. სუნდუკიანის „დაქცეული ოჯახი“ ნატოს საყვარელი პიესა ყოფილა და ამიტომაც თავის იუბილეზე ერთი მოქმედება ამ კომედიიდან დაუდგამს.

„ბედნიერია ის თაობა, რომელიც მოესწრო და ერთხელ მაინც ნახა ქართული რეალისტური თეატრის უდიდესი წარმომადგენლის ვასო აბაშიძის სიხარულისა და აღფრთოვანების მომგვრელი, ჯანსაღი სიცილის გამომწვევი თამაში... ვასო აბაშიძის თამაში, მისი მიზანსცენა, მიმიკა, ჟესტიკულაცია და სხვა საერთოდ გასაგები იყო არა მხოლოდ ქართველი მაყურებლებისათვის, არამედ არაქართველებისთვისაც...

მაშ, რა არის გასაკვირველი, თუ ქართველებთან ასე ახლოს მდგომ სომხებს არა მარტო კარგად ესმოდათ ვასო აბაშიძის თამაში, არამედ დიდად აფასებდნენ მას და უყვარდათ იგი?

თვით ვასო აბაშიძეც ახლო ურთიერთობაში იყო სომხებთან, მათ თეატრალურ მოღვაწეებთან, დრამატურგებთან და ხანდახან თამაშობდა კიდეც სომხურად...

...ასეთივე დიდი სიყვარულით და მეგობრული გრძნობით ეკიდებოდა ვ. აბაშიძე სომეხ ხალხს და ხელოვნების მოწინავე და ნიჭიერ წარმომადგენლებს — წერს დოც. დ. ჯანელიძე. ვ. აბაშიძეს არაერთხელ მიუღია მონაწილეობა სომხურ პიესებში, ის ერთ-ერთი საუკეთესო განმსახიერებელთაგანია სუნდუკიანის პიესებისა, ის მტკიცე მეგობრობით იყო დაკავშირებული სომხური ლიტერატურის და თეატრის საუკეთესო წარმომადგენლებთან. მისი შემოქმედება ცოცხალი განსახიერებაა ქართველ და სომეხ ხალხთა მეგობრული ურთიერთობისა. ამ მხრივაც ვასო აბაშიძის თეატრის ტრადიცია უაღრესად ძვირფასია ქართულ საბჭოთა თეატრისათვის“[1].

ვასო აბაშიძე ასეთივე გულთბილი გრძნობებით ყოფილა დაკავშირებული გამოჩენილ სომეხ ბელეტრისთან და დრამატურგთან ალ. შირვანზადესთან.

1911 წელს, როცა სომეხი საზოგადოება აღნიშნავდა შირვანზადეს ლიტერატურული მოღვაწეობის 30 წლისთავს, იმ დროს ვ. აბაშიძე ავად ყოფილა და პირადად ვერ დასწრებია იუბილეს, მაგრამ სამაგიეროდ გულთბილი დეპეშა გაუგზავნია სახელოვანი მწერლისათვის.

---

[1] ს. ავჩიანი, ქართულ-სომხურ თეატრალური ურთიერთობანი, გამომც. „ხელოვნება“, 1960, გვ. 52-53.

„ვინაიდან ავადმყოფობის გამო, მოკლებული ვარ საშუალებას პირადად მოგილოცო შენ, ძვირფასო ალექსანდრე, მიიღე შენი ლიტერატურული მოღვაწეობის 30 წლისთავის სასახელო იუბილეს დღეს ჩემი მხურვალე სალამი.

სალამი შენ, რომელიც ხარ სომხური ლიტერატურის გვირგვინის ერთ-ერთი საუკეთესო სამკაული. გეხვევი და მხურვალედ გკოცნი. კეცცე! მრავალჟამიერ"[1].

1918 წელს ვასო აბაშიძისათვისაც გადაუხდიათ სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე. ქართველი ხალხის სიხარულს თავისი ხმა შეუერთა აგრეთვე სომეხმა ხალხმა, რომელიც არანაკლებ აფასებდა ვასო აბაშიძის ღვაწლს.

ამ იუბილეზე განსაკუთრებით საინტერესო და აღმაფრთოვანებელი ყოფილა ტიგრან ნაზარიანის ჟურნალების „აღბიურისა" და „ტარაზის" ადრესი, რომელიც დიდი პათოსით წაუკითხავს ამავე ჟურნალის თანამშრომელს, მსახიობსა და პოეტ ქალს ს. ძითენიმს.

„პატივისცემა და დღეგრძელობა ნიჭიერ ხელოვანს ვასო აბაშიძეს ნაყოფიერი სასცენო მოღვაწეობის ორმოცი წლისთავის გამო.

დიდება და პატივისცემა შენ, რომელმაც ხის ხმლითა და ხანჯლით შეიარაღებულმა, „თვალმარგალიტით" მოჭედილ ქაღალდის მუზარადით შემკულმა, ტკივილებითა და კვნესით გულსავსემ, საომარი იარაღით — იჭვითა და ვერაგობით, სიცილითა და ხითხითით აღჭურვილმა, ორმოცი წლის მანძილზე იბრძოლე მონობის ბრჭყალებში მოქცეულ შენს უმშვენიერეს სამშობლოში არსებული უვიცობის, ცბიერებისა და სიმახინჯის წინააღმდეგ.

და დღეს შენი გამარჯვების ამ სასიქადულო დღეს, დიდად პატივცემულო იუბილარო, შენ გდღესასწაულობენ, როგორც ცით მონიჭებულ ღვთიურ კურთხევას და მადლს... ეს ხომ ჯილდოა, რომელიც განგებას შენთვის ჰქონდა განკუთვნილი... ჯილდოა, როცა შენ, შენი სიცოცხლის ზამთარს მიტანებულმა, შენივე საკუთარი თვალით უნდა იხილო შენი უმშვენიერესი სამშობლოს—საქართველოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

მიიღე ღვაწლმოსილო იუბილარო, „აღბიურის", „ტარაზის" და სამხატვრო სალიტერატურო სალონის მხურვალე სალამი და მოლოცვა.

დაე, საგაზაფხულოდ გამზადებულ საქართველოს ალიონზე შენი მრავალნაყოფიერი სიცოცხლე ისე გახანგრძლივდეს, რომ იხილო შენი სამშობლოს მშვენიერებით მოღიმარი განთიადი და იცოცხლო მრავალჟამიერ!

---

[1] ს. ავ ჩ ი ა ნ ი. ქართულ-სომხურ თეატრალური ურთიერთობანი, გამომც. „ხელოვნება", 1960, გვ. 55.

გაუმარჯოს ულამაზეს საქართველოს!

გაუმარჯოს საქართველოს ღირსეულ შვილს — ვასო აბაშიძეს.

მეტად დამახასიათებელია სომხური ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი მოამაგის ტიგრან ნაზარიანის ეს გულთბილი და გულწრფელი სიტყვა ვასო აბაშიძისადმი, რომელიც არა მარტო ვასო აბაშიძეს შეეხებოდა, არამედ მთელ საქართველოს და ქართველ ხალხს, რომელიც იმ ხანებში (1918 წელს) თავის განთიადს ელოდა"[1].

რაკი ქართულ და სომხურ თეატრებს არ გააჩნდა საკუთარი შენობა, ამიტომ ორივე თეატრის მესვეურებს ხშირად უხდებოდათ ერთობლივი ზრუნვა ამ საჭირბოროტო საქმის მოსაგვარებლად. რადგან ერთი იყო, ქართული და სომხური თეატრის უღელი, ინტერესები და პრინციპები, ამიტომ ხშირად საკითხი ისმებოდა ქართული და სომხური თეატრებისათვის საერთო შენობის აგების შესახებ. მაგრამ ყველაზე საინტერესო და საყურადღებოა ის კოლექტიური განცხადება, რომელიც ო. აბელიანსა და ვ. აბაშიძეს გამოუქვეყნებია სომხურ გაზეთ „მშაკში" 1915 წელს.

აი ეს წერილიც:

„არა აქვთ თეატრი ქართველებს, არ აქვთ თეატრი სომხებს, ცალ-ცალკე საკუთარი თეატრის აგება ორივე ერისათვის ძნელია... ნუთუ დრო არ დადგა, რომ სომხურმა და ქართულმა „დრამატულმა საზოგადოებამ" მოიწვიოს ერთი საერთო კრება და ამ კრებაზე გადაწყვიტოს, რომ გაერთიანებული ძალებით აშენდეს ქართულ-სომხური თეატრი! გვწამს, რომ ორივე ერები მოიცილებენ უაზრო კინკლაობას და ხელიხელჩაკიდებული ააშენებენ ამ აუცილებელ კულტურულ ოჯახს ჩვენი ხალხის სადიდებლად.

ქართული დასის მსახიობი ვ. აბაშიძე
სომხური დასის მსახიობი ო. აბელიანი"[2].

□□

ამ პერიოდში სომხურ წრეს დასისათვის ესაჭიროებოდა დამდგმელი რეჟისორი და მთავარი როლების შემსრულებელი მსახიობი ქალი.

თეატრალური კოლექტივისა და მისი ხელმძღვანელის გ. ფირუმიანის არ-

---

[1] ს. აჰჩიანი. ქართულ-სომხურ თეატრალური ურთიერთობანი, გამომც. „ხელოვნება", 1960, გვ. 56-57.

[2] იქვე, გვ. 61-62.

ჩევანი ცნობილი სომეხი მსახიობის ამო ხარაზიანის კანდიდატურაზე შეჩერდა. იგი ახლად იყო ჩამოსული საქართველოში და მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა თეატრებში. ასე მაგალითად, 1902 წლის 27 მაისს მონაწილეობა მიიღო არტისტულ საზოგადოების თეატრში ა. მანდიანის მიერ გამართულ სპექტაკლ „ხანუმაში". იმავე წლის 29 ივლისს საზაფხულო საკრებულო დარბაზში პიესაში „მსხვერპლი მსხვერპლისათვის", 22 სექტემბერს კი სათავადაზნაურო თეატრში პიესა „საიდუმლო ძალაში" და აი, ამო ხარაზიანთან მივიდნენ სომხური წრის სცენისმოყვარენი სათხოვნელად, რათა მათ სპექტაკლებშიაც მიეღო მონაწილეობა. ხარაზიანმა შეთავაზება სიამოვნებით მიიღო. რაც შეეხება მსახიობ ქალს, თუ ვინ ჯობდა მოეწვიათ — ურჩია მიემართათ ძველ გამოცდილ მსახიობ ქალ ზაბელასათვის. იმანაც უყოყმანოდ მიიღო წინადადება. შეუდგნენ საქმეს. პირველ სპექტაკლად აირჩიეს დიეჩენკოს პიესა „მსხვერპლი მსხვერპლისათვის".

ამას მოჰყვა 6 იანვარს, წყალკურთხევის დღეს წარმოდგენილი ნ. აზიანის „გაცრუებული იმედები" და გ. ერისთავის სამმოქმედებიანი დრამა „გაყრა". ბოლოს გაიმართა აპოთეოზი.

ამის შემდეგ წარმოადგინეს ვალ. გუნიას „და-ძმა" და ან. ფურცელაძის „ავაზაკნი" ქართულად. ბოლოს წარმოადგინეს დივერტისმენტი. კუპლეტებში გამოდიოდა გ. ფირუმიანი.

ქართული წრის წევრებმა შეძლეს ჩამოეყალიბებინათ 40 წევრისაგან შემდგარი მუსიკალურ საკრავთა ანსამბლი არმენაკ მანუკიანის ლოტბარობით. ორკესტრი უკრავდა სპექტაკლის დაწყებისას და ანტრაქტის დროს, რითაც იზიდავდა საზოგადოებას.

სომხურ დასს კი არ ჰქონდა ასეთი გასართობი. ვიდრე გ. ფირუმიანის, ანუ წრის ხელმძღვანელის ძველი მეგობარი ანტონ მაიოლიანი (შემდეგში ცნობილი კომპოზიტორი), არ დაეხმარა.

მაიოლიანმა დასისათვის შეადგინა 30 კაცისაგან შემდგარი აღმოსავლური მუსიკის თარ-ჭიანურზე დამკვრელთა მშვენიერი ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი თავისივე ლოტბარობით. ეს იყო ერთ-ერთი შესანიშნავი ანსამბლი, აზიურ ხალხურ მოტივებზე მდიდარი რეპერტუარით შედგენილი. ანსამბლმა ბევრი მოყვარული გაიჩინა, ხოლო შემატებული შემოსავლით ცოტათი ამოისუნთქა.

რა დიდი ღირსებისა უნდა ყოფილიყო ანტონ მაიოლიანი და მისი ანსამბლის თითოეული წევრი, რომ არავითარ გასამრჯელოს არ იღებდა.

ასევე მიდიოდა ორივე დასის წარმოდგენები 1906 წლის პირველ სამ-ოთხ თვეს.

სომხურად წარმოადგინეს „სიურპრიზი", „ადამ და ევა", „მტერ-მოყვარე ძმები", „დამნაშავის ოჯახი" (ამო ხარაზიანის მონაწილეობით), „ღალატი", (ოვ. აბელიანის და ვ. მამულიანის მონაწილეობით), „კრეჩინსკის ქორწინება" (რასპლუევი — ოვ. აბელიანი), „ყაჩაღები" და გ. სუნდუკიანის პიესები. აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ გ. სუნდუკიანი ბევრჯერ დასწრებია თავის პიესებს. სცენისმოყვარეებს უხაროდათ მისი დასწრება და თან ეშინოდათ ავტორის. ანტრაქტის დროს გ. სუნდუკიანი ავიდოდა ხოლმე სცენაზე, ზოგს ხელს ართმევდა, ზოგს შუბლზე ჰკოცნიდა. უკმაყოფილებას გამოთქვამდა, როცა რომელიმე მოთამაშე თვითნებურად ჩაუმატებდა ხოლმე სიტყვებს თავის როლში. ასეთ დროს ბოლომდე აღარ რჩებოდა და განაწყენებული ტოვებდა დარბაზს.

□□

„როგორც ზემოთ ვთქვით, წარმოდგენები გ. ფირუმიანის ხელმძღვანელობით სისტემატურად იმართებოდა. ამით ისარგებლა არაქსიანმა და ქირა მოუმატა. ბევრი ავუხსენით, რომ დიდ ქირას დასი ვერ აიტანდა, რადგან ისედაც ხშირად გვქონდა დეფიციტი და ამხანაგებს უხდებოდათ ზარალის დაფარვა, მაგრამ არაქსიანი გაჯიუტდა, დასმა შეწყვიტა წარმოდგენების მართვა, არაქსიანის თეატრს ბოიკოტი გამოუცხადა და მუშაობა გადაიტანა ვეტცელის სასტუმროს თეატრში. მაშინ არაქსიანმა საქმეს სხვა გზით მოუარა. მან იცოდა, რომ ქართველ სცენისმოყვარეთა დასის ერთი ნაწილი უკმაყოფილო იყო. ერთ საღამოს თეატრთან შეგროვილ ამ ახალგაზრდა სცენისმოყვარეებს დაგვიძახა არაქსიანმა თეატრის კანტორაში და გვითხრა: ბიჭებო! ოღონდ გეორქ ფირუმიანის გულისად ნუ გამხდით და მზად ვარ თეატრი თითქმის უქიროდ დაგითმოთ, მე არ მინდა, რომ ჩემს თეატრში ქართული წარმოდგენები შეწყდესო. ეს ამბავი მოხდა 1904 წლის ივლისში. ახალგაზრდებმა კრება გავმართეთ, ავწონდავწონეთ ჩვენი სასცენო ძალები. ამასთან მხედველობაში მივიღეთ ის ამხანაგებიც (ლ. ბაღაშვილი, გ. გელიკურაშვილი, გ. პეპანოვი, ი. რევაზიშვილი, ნ. საყვარელიძე და სხვები), რომელნიც ბოიკოტს მხარს არ უჭერდნენ, მაგრამ არც არაქსიანის საქციელი მოსწონდათ და, დავადგინეთ —მიგვეღო არაქსიანის წინადადება"[1].

პირველი სპექტაკლი გაიმართა 1904 წლის 18 ივლისს დ. რჩეულიშვილის და დ. მელაშვილის ხელმძღვანელობით. წარმოადგინეს ავქს. ცაგარლის მიერ ფრანგულიდან თარგმნილი დენერისა და კორმონის პიესა „ორი ობოლი". პი-

---

1 დ. მელაშვილი, ისნის სახალხო თეატრის წარსულიდან, გამომც. „ხელოვნება" 1955, გვ. 27-28.

ესაში მონაწილეობის მისაღებად მოუწვევიათ დრამატული თეატრის მსახიობები: ი. ივანიძე (ქაკი), მაგრამ მისი ავადმყოფობის გამო ლევან ბაღაშვილი ათამაშეს, დ. ბაქრაძე (კავალერ დე-სონდი), მ. გალუსტოვისა (გრაფინია დექენევიევა), ჰენრიეტას როლს ასრულებდა ვ. დავითაშვილი (ნიკიფოროვა), ლუიზას — ნინო საყვარელიძე, პიკარს — გ. გელიკურაშვილი, პიერს დ. მელაშვილი (იგი ასეთ საპასუხისმგებლო როლში პირველად გამოვიდა, როლი ზეპირად იცოდა და კარგადაც თამაშობდა, მას დიდად შეუწყო ხელი პროფესიონალ მსახიობებთან მონაწილეობამ). წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. ამჯერადაც დარბაზი გაჭედილი იყო დაინტერესებული მაყურებლით.

ამის შემდეგ სცენისმოყვარეებმა გადაწყვიტეს იმავე სეზონში დაედგათ „ვეფხისტყაოსანი", „კინტო" და „პატარა კახი", მაგრამ აღარ დასცალდათ. არაქსიანისა და ფირუმიანის დასები ისევ შერიგდნენ. მათი შერიგება დააჩქარა პიესა „ორი ობოლის" დიდმა წარმატებამ: თუ ახალგაზრდები თეატრში ასე გააგრძელებდნენ კარგი პიესების დადგმას, როგორიც „ორი ობოლი" იყო, მაშინ არაქსიანს აღარ ექნებოდა შესახვეწი მათთან და ასეთ შემთხვევაში, ფირუმიანის დასი გარიყული დარჩებოდა უთეატროდ. შერიგება იმის გამოც მომხდარა, რომ ფირუმიანს გაუერთიანებია ქართულ-სომხური დასები. ამხანაგობაში მოუწვევიათ ავლაბარში მცხოვრები განათლებული და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები — ძმები პეტრე და თომა ნასიძეები. მათი მოსვლის შემდეგ სახალხო თეატრის ავტორიტეტი უფრო ამაღლებულა. ამასთან, ძმები ნასიძეების გავლენით ცნობილ ქველმოქმედს ფორაქიშვილს, კვეზერელ-კოპაძეს და მიხ. იანვარაშვილს არაქსიანის თეატრის წრისათვის 200 მეტრი საუკეთესო ხავერდი, საშარვლე და საპერანგე ქსოვილები, საწაღე და საქუდე ტყავები შეუწირავთ, რომლიდანაც ძველმა სცენისმოყვარე ბ. მაისურაძემ 50 ხელი სხვადასხვა სახის ქართული ქულაჯა თავისი ხელით შეკერა. ამ ქულაჯებით კარგახანს სარგებლობდა იმ დროს კარგად ცნობილი ალექსანდრე მაისურაძის მომღერალთა გუნდი, რომელიც დიდი წარმატებით გამოდიოდა როგორც კონცერტებზე, ისე დღესასწაულებზე. ტანსაცმლის შეძენამ ისე წაახალისა მუშათა თეატრი, რომ სულ მალე ევროპული და გლეხური ტანსაცმლის მთელი გარდერობი შეიძინეს, რომელიც ქირითა თუ უქიროდ მიჰქონდათ სხვა სახალხო თეატრებს.

თომა ნასიძის ინიციატივით კი 1904 წლის 24 ოქტომბერს არაქსიანის თეატრში მოეწყო გიორგი ერისთავის გარდაცვალებიდან 40 წლისთავის აღსანიშნავი საღამო-აპოთეოზი. მოკლედ გააცნეს ხალხს მწერლის ცხოვრება და მოღვაწეობა. შემდეგ წარმოადგინეს გ. ერისთავის კომედია „გაყრა".

ამ დადგმის შესახებ 1904 წლის 22 ოქტომბრის „ცნობის ფურცელი"

წერდა: „დღეს. კვირას 22 ოქტომბერს, ავლაბრის ქართველი და სომეხი სცენისმოყვარენი ქართული თეატრის დამფუძნებლის გიორგი ერისთავის სამახსოვროდ მართავენ სადღესასწაულო წარმოდგენას. წარმოდგენის შემდეგ გაიმართება აპოთეოზი და შემდეგ წარმოდგენილი იქნება ერისთავისავე კომედია „გაყრა". წარმოდგენა დაიწყება 8 1/2 საათზე".

სცენისმოყვარეთა დასის დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს კომედია „გაყრის" დადგმა. როგორც ცნობილია, „გაყრა" პირველად წარმოდგენილი იქნა თბილისის გიმნაზიის დარბაზში 1850 წლის 2 იანვარს და სწორედ აქედან დაიწყო ქართული პროფესიული თეატრის ისტორიაც.

გ. ერისთავის პიესებში ასახულია ფეოდალურ-მემამულური ურთიერთობის ნგრევა. ნატურალური მეურნეობის რღვევა, თავადაზნაურობის დაცემა და სავაჭრო კაპიტალის განვითარების პროცესები საქართველოში.

დამდგმელმა თომა ნასიძემ მაყურებლის წინაშე გააცოცხლა ქართველი ხალხის წარსული. მხატვრულად კარგად იყო გადმოცემული ეპოქის კოლორიტი.

მსახიობებმა ლ. ბაღაშვილმა და რ. სალაყაიამ სწორად გახსნეს ანდუყაფარ და პავლე დიდებულიძეების უსაქმური, ნებივრობას მიჩვეული, პარაზიტული ადამიანების ექსპლოატატორული ბუნება.

ივანე დიდებულიძეს რუსეთში მიუღია განათლება. იგი ცდილობს ახალ, გაუმჯობესებულ წესებზე მოაწყოს თავისი ადგილ-მამული და საერთოდ იცხოვროს ახლებურად. ამ მიზნით, იგი მოითხოვს ძმებთან გაყრას. ივანეს არ მოსწონს ქართული ზნე-ჩვეულებანი, თავის ძმას ანდუყაფარს სახელსაც კი უწუნებს. ქართული ღვინო ბურახად ეჩვენება. იგი ბევრს ლაპარაკობს აგრონომიისა და ირიგაციის შესახებ, მაგრამ არ შესწევს უნარი თავისი იდეები პრაქტიკულად განახორციელოს. ასეთი შეხედულებების მქონე ადამიანი დიდად არ განსხვავდებოდა ანდუყაფარ და პავლე დიდებულიძეებისაგან. ივანეც არსებითად ძმების შეგნების დონეზე დგას. ასეთი უპრინციპო „თერგდალეულის", რუსეთუმეს სახე განასახიერა მსახიობმა გ. ფირუმიანმა.

„გაყრის" პერსონაჟმა მიკირტუმ გასპარიჩ ტრდატოვმა ალღო აუღო ახალ ცხოვრებას. იგი ჩარჩი ბურჟუაა, რომელიც ჯერ წვრილმან საქმეებს ეწევა და სურს კეთილგანწყობილებაში იყოს თავადებთან. მსახიობმა ს. პეპანოვმა ზომიერების გრძნობით გამოხატა მიკირტუმის მისწრაფება, რომ ბაზარში მის ქალიშვილს „კნეინა შუშანიკა" დაუძახონ. მექრთამე, ბიუროკრატ ჩინოვნიკთა სახეები შექმნეს მსახიობებმა ბ. მაისურაძემ (რამაზი), ი. რევაზოვმა (კომისიონერი), თათელას როლში წარმატებით გამოვიდა წრის ნიჭიერი სცენისმოყვარე მაკა ქართველიშვილი.

...სცენისმოყვარეთა წრე წარმოსადგენად ამზადებდა ა. ნიკიტინის მიერ თარგმნილ ფოსის სამმოქმედებიან დრამას „დამნაშავეა?“. აფიშები და პროგრამები დაბეჭდეს, პრემიერის დღეც დანიშნეს, ხოლო მესამე რეპეტიციაზე რომ შეიკრიბნენ წრის წევრები და მეცადინეობის დაწყება დააპირეს, მოვიდა სცენისმოყვარე რ. სალაყაია და შეკრებილთ აცნობა გუშინ მაღაზიისა და სახლის გაჩხრეკის შემდეგ იოსებ იმედაშვილი დააპატიმრესო. ამის გაგონებაზე ყველა შემცბარა, რადგან წრის ამხანაგობის უკვე მეორე მუშაკი დააპატიმრეს. პირველად დაუპატიმრებიათ ვანო იმედაშვილი, რომელიც საოლქო სასამართლოში მსახურობდა, პარტიის რაიონის ტრანსპორტიორი იყო. როგორც გადმოცემიდან ირკვევა, ვ. იმედაშვილი ჟანდარმთა სასამართლოს სამსახურში გაუჩხრეკიათ და სამუშაო მაგიდაზე დიდძალი არალეგალური ლიტერატურა (რაიონიდან მიღებული პროკლამაციები, ბროშურები და სხვ.) უნახავთ. ვანო იმედაშვილი 10 თვე მჯდარა მეტეხის ციხეში, რის შემდეგაც მთავარმართებელ გოლიცინის ბრძანებით, სამი წლით გადაუსახლებიათ როსტოვში.

რეაქციის მძვინვარების პერიოდში ჩხრეკა-დაპატიმრება ჩვეულებრივი ამბავი იყო. რადგან იმედაშვილი დაპატიმრებამდე ა. ნიკიტინის მიერ თარგმნილ ფოსის სამმოქმედებიან პიესაში „დამნაშავეა?“ მთავარ როლს ასრულებდა. მისი დაპატიმრების შემდეგ კოტე ყიფიანის მონაწილეობით წარმოადგინეს დ. ერისთავის ცნობილი ისტორიული დრამა „სამშობლო“.

ხალხს უთქვამს — დროულად თქმული სიტყვა საქმის ნახევარს უდრისო. სწორედ „დროულად“ ნათქვამი სიტყვა „იყო დ. ერისთავის პატრიოტული დრამა „სამშობლო“ იმ პერიოდისათვის, როცა ჩვენს საზოგადოებას განსაკუთრებით სჭირდებოდა ისეთი ნაწარმოები ეხილა სცენაზე, რომელიც ღრმად ჩასწვდებოდა მის გულსა და უაღრესად გამახვილებულ და შელახულ პატრიოტულ გრძნობას დაუკმაყოფილებდა, აწმყოზე ჩააფიქრებდა და მომავლის იმედს გაუღვიძებდა. ეს კი შესანიშნავად შეძლო დ. ერისთავის პიესამ „სამშობლო“.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ: ხიმშიაშვილი — ლ. ბაღაშვილი, სვიმონ ლიონიძე — კ. ყიფიანი, გოგია — ბ. მაისურაძე, ქეთევანი — დ. რჩეულიშვილი, დაუდბეგი — გ. გელიკურაშვილი, ბიჭი—შ. გომელაური, ჯალათი—გ. ფირუმიანი, დადიანი — ვ. მარკოზოვი და სხვები.

წარმოდგენის მთელი შემოსავალი ვ. იმედაშვილის ოჯახს გადაეცა.

ვ. იმედაშვილი განთავისუფლების შემდეგ კვლავ განაგრძობს თავის საქმიანობას, რადგან უმოქმედობას ვერ ეგუება და „შესვენება“ როგორც ასეთი მისთვის არ არსებობს.

ამის შემდეგ ქართული დასის სცენისმოყვარეებმა აირჩიეს ავქს. ცაგარ-

ლის კომედია, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ და ერთმოქმედებიანი ვოდევილი „პკუისა მჭირს“.

ამას მოჰყვა იმავე წლის სათეატრო სეზონში დადგმული მთელი რიგი პიესები: დენერის „ორი ობოლი“, ვალ. გუნიას „და-ძმა“ და „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“, გ. სუნდუკიანის „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია“, ტერ-გრიგორიანის „ესეც შენი მოციქული“, რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, ა. წერეთლის „კინტო“ და სხვ.

სეზონის დასასრულს კი წარმოადგინეს ავქს. ცაგარლის „ლეკის ქალი გულჯავარი“.

პიესის შინაარსი ასეთია: შურისძიების გრძნობით აღსავსე ლეკის ქალი გულჯავარი ხან ლმობიერი და ხან მოსიყვარულეა, ხან კი მრისხანებით შემართული ძუ ვეფხვი, რომელიც მზადაა ყველაფერი დალეწოს და გაანადგუროს, რათა კახელების მიერ თავმოკვეთილი ძმის, მამისა და ქმრის სისხლი აიღოს.

ფარული განზრახვის აღსრულებისას სწრაფად იცვლება გულჯავარის ხასიათი, რის გადმოსაცემად მ. ქართველიშვილი მოხერხებულად იყენებდა მიმიკას. მან წარმოგვიდგინა გულჯავარის სრულყოფილი სახე და სამართლიანი მოწონება დაიმსახურა.

ლევანის როლს ასრულებდა ნიჭიერი სცენისმოყვარე ლ. ბაღაშვილი. იგი პირად გრძნობას ახშობს, იოკებს და ყველაფერზე მაღლა ხალხის ინტერესებს აყენებს. მისთვის მწვავეა იმის განცდა, რომ ულამაზესი ქალი გულჯავარი დათმოს. ეს თითქმის წარმოუდგენელიცაა, მაგრამ როცა გაიგებს ქალის სურვილს—ხელი აღმართოს თვით ერეკლეს სიცოცხლეზე, შეძრწუნდება და მოერევა საკუთარ თავს, გრძნობას, წყევლის ერთ დროს ხელშეუხებელ უძვირფასეს საუნჯეს როცა რწმუნდება ქალის მზაკვრობაში. გულჯავარი მიზნის მისაღწევად არ ერიდება არაფერს. ერთდროულად უკავშირდება რამაზს (შემსრულებელი ვ. მატარაძე), ლევანის საუკეთესო მეგობარს, რომელიც ბოლოს მისი მსხვერპლი ხდება.

სპექტაკლი ხიბლავდა მაყურებელს სახეებისა და ხასიათების სწორი გააზრებით.

რაც შეეხება ვალ. გუნიას ცნობილ ისტორიულ დრამას „და-ძმა“ იგი დაუდგამთ 1904 წლის 2 იანვარს. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დასწრებია და დიდი წარმატებაც მოუპოვებია.

ამ სპექტაკლში როლებს ასრულებდნენ: ფარად-ფაშა, ოსმალთ სპასალარი— რ. სალაყაია; ყარა-ოღლი, ჯარის უფროსი — გ. გელიკურაშვილი; ჯანვერდი, მსაჯული — ნ. მირველოვი; თუქი მეომარი — გ. პეპანოვი; ოტია ჯოლია, ოსმალთ მომხრე — ი. ხაშმელი; გიორგი ადამია, ახალგაზრდა მეგრე-

ლი — გ. ფირუმიანი; ქუჩუ ადამია, მისი მამა — ს. ლოლაძე, გადია, მისი ცოლი — ვ. ბარბარელი. გაიოზ ფალავა, ახალგაზრდა მეომარი — ლ. ბალაშვილი; მარინე, გაიოზის და, ოტიას საყვარელი — მ. ქართველიშვილი; მოხუცი ტყვე — ვ. ივრისპირელი; ახალგაზრდა ტყვე — რ. ჯიბლაძე. (ოტია ჯოლიას ასრულებდა ი. იმედაშვილი, „საშველის“ ფსევდონიმით; გადიას — ვ. ბეგიჯანიანი — „ბარბარელის“ ფსევდონიმით; მოხუც ტყვეს — ვ. იმედაშვილი „ივრისპირელის“ ფსევდონიმით).

ვალ. გუნიას პიესა „და-ძმის“ შემდგომი დადგმის შესახებ 1904 წლის 5 აგვისტოს გაზეთი „ივერია“ წერდა: „ავლაბრის არაქსიანის ახალ თეატრში, ქართულად, სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქნა ვალ. გუნიას ისტორიული დრამა „და-ძმა“. წარმოდგენა დაიწყო თითქმის 10 საათზე, თუმცა გამოცხადებული იყო აფიშებში 8 1/2 საათზე. საზოგადოება ბლომად დაესწრო. ასე, რომ თეატრის დარბაზში ტევა არ იყო. ბევრი უბილეთოდ დარჩა და გულნატკენი სახლში დაბრუნდა. კარგები იყვნენ: ბ. მეტრეველი (ოტიას როლში). ლ. ბალაშვილი (გაიოზ ფალავას როლში), მხოლოდ ზოგ ალაგას სუსტობდა, მაგრამ მაინც მოხდენილად თამაშობდა თავის როლს, ბ. სალაყაია (ფაშას როლში) და ბ. მელაშვილი (გიორგი ადამიას როლში). ძალიან მშვენიერი იყვნენ და კარგადაც შეასრულეს ეს როლები. არა უჰირდათ რა მირველოვსაც (ყარაოღლი), ქ. ქ. ბეგიჯანიანს (გადია), ქ. ბუჩუკურს (მარინე), რომელიც ოტიას მაგივრად „ოწიას“ იძახდა. დანარჩენებიც ხელს უწყობდნენ ანსამბლს. საზოგადოების ვაშასა და ტაშის ცემას საზღვარი არ ჰქონდა. წარმოდგენა პირველ საათზე დასრულდა“.

1904 წლის 18 ივლისს დ. რჩეულიშვილისა და დ. მელაშვილის ხელმძღვანელობით ქართული დასის მმართველმა წრემ წარმოადგინა ჯანსაღი იუმორითა და კომიკური სიტუაციებით აღსავსე, ეპოქის ამსახველი ავქს. ცაგარლის სამმოქმედებიანი კომედია „ხანუმა“. კომედიის მესამე მოქმედებაში დუდუკებზე კუპლეტებში ახალი „მოდა“ და ტერ-გრიგორიანის ვოდევილში მონაწილეობა მიიღო სომეხმა არტისტმა ჰარონ სარქისიანმა.

ამის შემდეგ წარმოადგინეს ვ. აბაშიძის მიერ თარგმნილი ხუთმოქმედებიანი პიესა „ორი ჯიბგირი“. მონაწილეობდნენ: ვ. დავითაშვილი, ნ. საყვარელიძე, დ. ბუხრაძე, ო. ფეიქრიშვილი, ლ. ბალაშვილი, რ. სალაყაია, გ. გელიკურაშვილი, რ. ჯიბლაძე, ი. რევაზიშვილი, ს. პეპანოვი, დ. მელაშვილი, ელ. ჩერქეზიშვილი, მ. გარიყული. ამას მოჰყვა აკაკი წერეთლის „პატარა კახისა“ და ვალ. გუნიას ვოდევილის, „თავის ბრალიას“ დადგმა. მონაწილეობდნენ: ლ. ბალაშვილი, ნ. საყვარელიძე, ო. ფეიქრიშვილი, ვ. დავითაშვილი. ალ. ჩერქეზიშვილი,

გ. ბაკურაძე, ვ. მატარაძე, დ. მელაშვილი, მაკაროვი, ლ. პოლოსოვი, დ. ტალახაძე, ხუბაშვილი, ა. უმბრიევი, პ. შრომიშვილი და სხვ.

ამას მოჰყვა ნ. აზიანის „ფული და ხარისხი". ჯერ კიდევ რევოლუციამდე დაწერილი პიესებით მოუპოვებია ნ. აზიანს კომედიური სცენების ოსტატის სახელი. მისი კომედიები ამხელდა დეგრადაციის გზაზე დამდგარ თავად-აზნაურობის, ვაჭრების, ბურჟუაზიისა და რეაქციული ცარიზმის მოხელეთა მორალურ დაცემას. უნდა აღინიშნოს, რომ რევოლციამდე ნ. აზიანი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართული ბოლშევიკური პრესის მთელ რიგ ორგანოებში.

იმავე წლის სეზონში ნ. აზიანის „ფულსა და ხარისხს" მოჰყვა ვალ. გუნიას „ხორველობა", „და-ძმა", ფ. ქორიძის მიერ თარგმნილი პიესა „ორი დარაჯი" და ვოდევილი „პაშტონს სხრამფელე" ანუ „ჩემი სამსახური ხვრინვაა" (სომხურად). პიესა „ორ დარაჯში" ნაჩვენებია ავსტრიის ჯარების ცხოვრება. მოცემულია ერთი მხრივ ბოროტი და ღვარძლით აღსავსე ადიუტანტი ვალმორი, რომელიც ათასნაირ ხრიკს მიმართავს, რომ როგორმე დაღუპოს ორი ჯარისკაცი, რათა ამ გზით ხელში ჩაიგდოს ციხის მუდმივი დარაჯის ვალენტინოს ძმისწული, ობოლი ქალიშვილი ლაურიეტა, რომელსაც სერჟანტი რობერტო უყვარს.

ამ პიესას სცენისმოყვარეები საუკეთესოდ თამაშობდნენ. ვალ. გუნიას შეფასებით ძველ სცენისმოყვარეს ი. რევაზიშვილს ადიუტანტ ვალმორის როლში, არა თუ სცენისმოყვარეთა შორის, არამედ თვით პროფესიონალ მსახიობთა შორისაც ბადალი არ ჰყოლია. სცენისმოყვარეებს ახლაც არ ავიწყდებათ ი. რევაზიშვილის ადიუტანტი. ასევე დიდი გატაცებითა და ოსტატობით ასრულებდა გულიელმოს ახალგაზრდა მსახიობი ვიქ. მატარაძე, მსჯავრდადებულ გულიელმოს ნებას აძლევენ წავიდეს როზეს კუნძულზე და ინახულოს ცოლ-შვილი. გულიელმო მიჰყავს ზღვის ოფიცერს გუსტავს, რომლის როლს ასრულებდა დ. მელაშვილი. გუსტავმა ბოროტი ადიუტანტის დავალებით საქმე ისე მოაწყო, რომ გემი უმალვე გაბრუნდა როზედან, გულიელმო კი წასაყვანი დატოვა. ხოლო თუ გულიელმო 24 საათის განმავლობაში დანიშნულ ადგილას არ გამოცხადდებოდა, მის მაგიერ მის ერთგულ მეგობარს რობერტოს დასჯიდნენ სიკვდილით და ამის შემდეგ ადიუტანტი ვალმორი ხელში ჩაიგდებდა რობერტოს შეყვარებულს ლაურიეტას. გულიელმო დიდის მწუხარებით ემშვიდობება თავის ცოლ-შვილს და არ უმხელს რომ მას სიკვდილი აქვს მისჯილი. ამ დროს სახლში შეიჭრება გუსტავი და გულიელმოს ცოლშვილს უმხელს, თუ ამჟამად ქმარს გაუშვებ, იქ მას სიკვდილით დასჯა მოელისო. ამასთან იმასაც ეუბნება, რომ გემი უკვე წავიდა და ორ დღეს აღარ დაბ-

რუნდება. ამას რომ შეიტყობს, გულიელმო აღშფოთებული შეჰყვირებს: „მოღალატევ!“... და ამოღებული ხმლით გუსტავისაკენ გაექანება. გუსტავი კი მუხლმოდრეკილი შეხვდება გულიელმოს და ეუბნება: „დამკარი, დამკარი, მომკალიო!...“.

ამ დადგმის შესახებ აი, რას წერდა 1904 წლის 15 დეკემბერს „ივერია“: „კვირას, 12 დეკემბერს, ავლაბრის თეატრში (არაქსიანის ქართველ-სომეხ სცენისმოყვარეთა ამხანაგობამ) ქართულად წარმოადგინა იტალიურიდან ფ. ქორიძის მიერ თარგმნილი 3 მოქმედებიანი მელოდრამა „ორი დარაჯი“. პიესის შინაარსი არაერთხელ ყოფილა ჩვენს გაზეთში მოყვანილი და ამიტომ აქ არ შევეხებით, ვიტყვით ორიოდე სიტყვას მხოლოდ სცენისმოყვარეთა შესახებ. ავლაბარში სცენისმოყვარეთა ამხანაგობა შედგა ხუთი წლის წინათ და მას შემდეგ ეწევიან უღელს. ამათ ის შეძლეს, რაც თვით ქართულმა თეატრის უმთავრესმა ძალამ ვერ შეძლო, ე. ი. მიიზიდა ავლაბრის მდაბიო მუშა-ხალხი და დღეს დიდძალი საზოგადოება ესწრება წარმოდგენას, თუმცა ეს რამდენიმე ხანია, რაც განცალკევდნენ და დაიყვნენ რამდენიმე დასად. კვირას, 12 დეკემბერს ერთმა ამ დასთაგანმა გამართა ეს წარმოდგენა და ცუდათ ითამაშეს, განსაკუთრებით 1-ლი და მე-2 მოქმედებანი. მაგრამ, რაც შეეხება მესამე მოქმედებას, კარგად ჩაატარეს. შემდეგ წარმოადგინეს სომხურად „პაშტონს სხრმფალე“ („ჩემი სამსახური ხვრინვაა“). ამ კომედიამ მხიარულად ჩაიარა. ხალხი ბლომად დაესწრო“.

ამის შემდეგ წარმოადგინეს ა. ყაზბეგის „ყაჩაღი არსენა“, ავქს. ცაგარლის ვოდევილი „ჰკუისა მჰირს“ და ალ. ბაჯიაშვილის მიერ თარგმნილი სარდარიანის „ასლან-ბალასი“. მონაწილეობდნენ: ვ. ბარბარელი (ბეგიჯანიანი), ე. ბუჩუკური, ლ. ბაღაშვილი, დ. მელაშვილი, ლ. პოღოსოვი, რ. სალაყაია, შრომიშვილი, ვ. მატარაძე და სხვები.

სიმართლე მოითხოვს ითქვას, რომ ავლაბრის თეატრისათვის იმდენი ამაგი არ დაუდვია არც ერთ პროფესიონალ მსახიობს და არ უმოღვაწნია, როგორც ვიქ. მატარაძეს. ამაზე მეტყველებენ თეატრალურ მუზეუმში დაცული აფიშა-პროგრამები (1903 წლიდან) და ი. გრიშაშვილის მოგონება ვ. მატარაძის შესახებ: „მატარაძე მე მახსოვს ავლაბრის თეატრში 1907 წ. და მერეც დიდ მსახიობებთან ერთად. მე მისი მოკარნახე ვიყავი. არ დამავიწყდება მისი ოტელო. შესანიშნავი და საუცხოოდ წარმოთქმული ივ. მაჩაბლის თეთრი ლექსისა. მისი დიქცია ხიბლავდა მაყურებელს... მახსოვს, არაქსიანის თეატრში „ოტელო“ ვიქტორის მონაწილეობით, ავლაბრელების დღესასწაული იყო,

ერთი კვირის განმავლობაში ზედიზედ მიდიოდა ეს წარმოდგენა და თეატრი მუდამ ხალხით იყო სავსე. ვინ იცის, რამდენი ვაშა, რამდენი თაიგული, კოცნა და წერილი მიუღია ხალხისაგან ჩვენს ძვირფასს"[1].

„ვიქტორ მატარაძე მხოლოდ მაშინ ვიწამე როგორც მსახიობი, — როცა ვნახე შექსპირის „იულიუს კეისარში"! ანტონიუსის როლში. კეისარს ლადო მესხიშვილი თამაშობდა. ლადო თავისი დიდი ნიჭით ჩრდილავდა ყველას და ხშირად მისი პარტნიორები უსუსრებად მოჩანდნენ... ამ სპექტაკლში იმ საღამოს ლადო მესხიშვილის შემდეგ ყურადღების ცენტრში ვიქტორ მატარაძე აღმოჩნდა. ჯერ ერთი, როლი მეტისმეტად მომგებიანი ჰქონდა. ანტონიუსის მონოლოგი მსოფლიო დრამატურგიის შედევრია. იურიდიულ მეცნიერებაში ეს მონოლოგი მჭევრმეტყველების ნიმუშად არის მიჩნეული. რით მიიქცია ყურადღება ვიქტორ მატარაძემ? უწინარეს ყოვლისა მთელი მონოლოგი ზეპირად იცოდა.

მონოლოგის ზეპირად წარმოთქმა გამარჯვებისათვის არც ძველ თეატრში კმაროდა. ვიქტორ მატარაძეს ამავე დროს საკმაოდ ძლიერი ხმაც ჰქონდა. ვიქტორ მატარაძის ხმა ყველა რეგისტრში ძლიერად ჟღერდა...

მაგრამ მარტო ხმით როდი იყო დაჯილდოებული ვიქტორი, მას ტემპერამენტიც ძლიერი ჰქონდა და ეს შთაბეჭდილებას აძლიერებდა. კარგმა ხმამ, გარდასახვის უნარმა, როლის სწორად გააზრებამ, სითბომ — ყოველივე ამან შეუქმნა წარმატება ვიქტორს და რეცენზენტების ქებათა-ქება დაიმსახურა.

ამავე სეზონში თავი ისახელა ვიქტორმა „ურიელ აკოსტაში" დე-სანტოსის როლში. გიორგი კანდელაკის და ალექსანდრე იმედაშვილის დე-სანტოსის შემდეგ ადვილი როდი იყო ამ როლში საზოგადოების ყურადღების მიპყრობა. ვიქტორ მატარაძე ყველას მოეწონა ლადო მესხიშვილის მონაწილეობით დადგმულ ჩეხოვის მოთხრობის „შავი ბერის" ინსცენირებაში. წარმტაც ლადო მესხიშვილის (კოროვინს) მხარს უმშვენებდა ვიქტორ მატარაძე (შავი ბერი)"[2].

ასევე შთამბეჭდავი იყო იგი სახასიათო როლებშიც: „რევიზორში"— დერჟიმორდა, „სიმართლეში" — ბიძა, „უბედურ დებიუტში" — გიმნაზიელი, ლაქიები. დვორნიკები, კამერდინერები... ვინ მოთვლის, ვიქ. მატარაძე ყველგან ტიპიური და სასაცილო იყო. ვიქ. მატარაძის რეჟისორობით ავლაბრის თე-

---

[1] ი. გრიშაშვილი, მინიატურები, ლიტერატურული ნარკვევები, ტ. V, გამომც. „საბჭოთა საქართველო", 1965 წ., გვ. 292.

[2] ალ. ბურთიკაშვილი, თეატრალური პორტრეტები, გამომც. „ხელოვნება", 1956. გვ. 170-173.

ატრში იდგმებოდა ავქს. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და ვალ. გუნიას ერთმოქმედებიანი ვოდევილი „ხორველობა“.

□□

1905 წლის თეატრალური სეზონის დასაწყისში წარმოადგინეს „მელანიას ოინები“, ი. გულისაშვილის დრამა „ცხოვრება ბრძოლაა“. ამ დადგმის შესახებ 6 აპრილის „ივერია“ წერდა: „3 აპრილს ქართველმა სცენისმოყვარეებმა ავლაბრის ახალ თეატრში (არაქსიანის) წარმოადგინეს ი. გულისაშვილის ოთხმოქმედებიანი დრამა „ცხოვრება ბრძოლაა“. პიესამ მწყობრად ჩაიარა. ანსამბლს ხელს უშლიდა ზოგიერთი გამოუცდელი სცენისმოყვარის როლის უცოდინარობა. უმთავრესი როლი ბ-ნმა შათირიშვილმა კარგად ჩაატარა. მისი ხმა და ქცევა ნამდვილ გამოცდილ არტისტს მოგვაგონებდა. მშვენიერი იყო გლეხ ჩაჩიკას როლში ბ-ნი გედევანიშვილი. „ჩვენი გაფხეკილი კნიაზების“ როლი სავსებით დაგვისურათა ბატონმა შაკომ. ქალებსაც არა უჭირდარა. წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო და დიდად ნასიამოვნები დარჩა“.

აი, ასეთი შემთხვევაც მომხდარა:

1905 წლის 25 ივნისს სცენისმოყვარე დ. მელაშვილს თავისი ინიციატივით არაქსიანის თეატრი დაუქირავებია, წარმოდგენის გამართვა კი კვირა დილით განუზრახავს იმ მიზნით, რომ მთავრობის მოხელეებს ჰგონებოდათ, ვითომ საბავშვო დილა იმართებოდა; განცხადებაზე, რომელიც პოლიცმაისტერ კოვალიოვს წარუდგინა წარმოდგენის ნებართვის მისაღებად, ეწერა: მარიამ დემურიას პიესა „შეერთებული ძალით“. პოლიცმაისტერს დ. მელაშვილი ჯერ კარგად შეუთვალიერებია, შემდეგ კი განცხადებისათვის საჩქაროდ მოუწერია ხელი და გადაუგდია.

გახარებულმა დ. მელაშვილმა ქართველთა ამხანაგობის სტამბაში, სადაც ივი ასოთამწყობად მუშაობდა, თავისი ხელითააწყო პატარა „ლეტუჩკები“ დიდი აფიშის მაგიერ და ქუჩებში გააკრა. დადგმით კი, დაიდგა არა მ. დემურიას პიესა „შეერთებული ძალით“, რომელზედაც პოლიცმაისტერისაგან ნებართვა ჰქონდა მიღებული, არამედ ექიმ ივ. გომართელის პიესა „ძველი და ახალი თაობა“ ანუ „წამხდარი სისხლი“, რომელიც საცენზურო კომიტეტის მიერ ნებადართული არ იყო. ამ პიესაში დ. მელაშვილი სტუდენტ არჩილის როლს ასრულებდა, რომელიც რუსეთის უნივერსიტეტიდან არის დაბრუნებული. ივი დიდ აგიტაციას ეწევა და გმობს იმდროინდელ წესწყობილებას.

მას ებრძვის ძველი თავად-აზნაურობა. ერთი სიტყვით პიესა დაწერილია თანამედროვე სოციალურ თემაზე. სხვათაშორის ამ პიესაში დებიუტი ჰქონია ზ. ვომელაურს, რომელიც მაშინ კომერციულ სასწავლებელში სწავლობდა. 15—16 წლისა იგი უკვე არაქსიანის ქართულ წრეში სუფლიორობდა. ივ. გოპართელის პიესაში მან ითამაშა მოწაფე ტიტიკოს როლი.

პიესის დამთავრების შემდეგ, ნებადაურთველად, სახელდახელოდ მოუწყვიათ დივერტისმენტი, სადაც დ. მელაშვილმა პირველად წაიკითხა არალეგალური ლექსი „ბრძოლა". შემდეგ გამოვიდნენ ლ. ბალაშვილი, ი. რევაზიშვილი და სხვები. ამ დივერტისმენტით ისარგებლა და სცენაზე შეიჭრა სტუდენტი ბოლშევიკი არუშანოვი, რომელმაც დამსწრე ხალხს მიმართა მხურვალე სიტყვით სახელმწიფო სათათბიროს წინააღმდეგ. ჯაშუშები დაფაცურდნენ. ისე აირ-დაირია იქაურობა, 20 წუთის შემდეგ არაქსიანის თეატრს „ნიჟე-გოროდის" დრაგუნთა პოლკის ერთმა ესკადრონმა ალყა შემოარტყა და თეატრის შენობიდან გამოსული ხალხი მათრახებით გარეკა. ამ თეატრალურმა უსიამოვნებამ მშვიდობიანად ჩაიარა თეატრის დირექტორის არაქსიანის ჩარევის გამო, რომელსაც პოლიციის მოხელეები ანგარიშს უწევდნენ.

□□

1904-1906 წლებში კი ძირითადად იმართებოდა თურმე საქველმოქმედო წარმოდგენები, კონცერტები და საცეკვაო საღამოები, პოლიტიკურ პატიმართა და გადასახლებულთა დასახმარებლად. ამ შემთხვევაში პოლიცია აშკარა ეჭვქვეშ აყენებდა განსაკუთრებით ისეთ წარმოდგენებს, რომლებიც იმართებოდა არა შაბათ-კვირას, არამედ სხვა დღეებში. წრე თავის მორიგ წარმოდგენას მართავდა მხოლოდ შაბათ-კვირას, ე. ი. იმ დღეებში, როცა მუშა ხალხს და საერთოდ მშრომელებს ეცალათ და საშუალება ჰქონდათ წარმოდგენებს დასწრებოდნენ. თუ წარმოდგენები იმართებოდა სხვა დღეებში და თეატრი გაჭედილი იყო მაყურებლით, ისიც უმთავრესად ქალაქიდან მოსულებით, ამ წარმოდგენებს პოლიცია ეჭვქვეშ აყენებდა, მაგრამ ეჭვი ეჭვად რჩებოდა, რადგან სცენისმოყვარეები მოხერხებულად მუშაობდნენ. პოლიცია იმითაც მშვიდდებოდა, რომ აფიშები პოლიცმაისტერის მიერ იყო ნებადართული.

პოლიტიკურად მომუშავე აქტივისტები ეძებდნენ გამოსავალს, ცდილობდნენ ხალხში მომავლის იმედი გაეღვიძებინათ, რადგან 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ პირველ ხანებში გულგატეხილობამ და დაქსაქსულობამ მოიცვა ხალხი. მძვინვარებდა რეპრესიები, ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებდნენ, ყველას ჩხრეკდნენ.

მოწინავე მოაზროვნეთა ამ პოლიტიკური დევნის პერიოდში, ბევრმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, მასას რომ არ ჩამოშორებოდა, აუდიტორია-თეატრებს შეაფარა თავი და სასცენო მუშაობაში ჩაება. ამ მხრივ ავლაბარს პირველი ადგილი უჭირავს.

არაქსიანის თეატრის შენობაში დილაობით იმართებოდა ლექციები და საუბრები, საკონცერტო განყოფილება. ამ საკონცერტო განყოფილებას, ისე როგორც ლექციებს, საგიტაციო მნიშვნელობა ჰქონია და კვირა დღეობით დარბაზი მუდამ გაჭედილი ყოფილა მუშებით. ამ საღამოებზე მონაწილეობას იღებდნენ, როგორც მომღერლები და მუსიკოსები, ისე პოეტები. ხშირად საკუთარ ლექსებს კითხულობდნენ: ირ. ევდოშვილი, გ. ქუჩიშვილი, გ. ხეჩუაშვილი. საკონცერტო განყოფილება ინტერნაციონალურ ხასიათს ატარებდა. ასრულებდნენ როგორც ქართულ, ისე სომხურ და სხვა ეროვნებათა ხალხურ სიმღერებს. კონცერტებზე დიდი წარმატება ჰქონია ირ. ევდოშვილს. ირ. ევდოშვილის ლექსები ბრძოლის სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი, კარგადაც კითხულობდა, მუშათა აუდიტორიაზე ეს დიდ გავლენას ახდენდა, მაგრამ ისეთი დიდი წარმატება არც ერთ დეკლამატორ პოეტს არ ჰქონია, როგორც გ. ქუჩიშვილს. ის რომ საღამოზე დასჭექავდა თურმე თავის ლექსებს, მთელ დარბაზში ერთსულოვან აღფრთოვანებას იწვევდა. გამოჩნდებოდა თუ არა მთლად ჩონჩხადქცეული, გაყვითლებული პოეტი დარბაზი ოვაციით ხვდებოდა. მისი მგზნებარე ტემპერამენტით წარმოთქმული ლექსები მალამოსავით ეცხებოდა ყველა მშრომელს. „ჩვენი ცხოვრების, მწერლობის ეს მოუსვენარი ქარიშხალი“ — ასე უწოდა მას ი. გრიშაშვილმა.

„ამ საღამოებზე, როგორც ყოველთვის — გვიამბობს ი. გრიშაშვილი გაისმოდა გიორგი ქუჩიშვილის მჭექარე და იმედიანი ხმა. ახლაც თვალწინ მიდგას მისი ორიგინალური სახე, ტრიბუნაზე ხელაღმართული, მასებს რომ მოუწოდებდა ბრძოლისა და შრომისაკენ.

ჩვენ ერთმანეთს უფრო მჭიდროდ დავუახლოვდით პირველი რევოლუციის შემდეგ, რეაქციის სუსხიან წლებში, — განაგრძობს ი. გრიშაშვილი, — ზოგი ამხანაგი არალეგალურ მუშაობაზე გადავიდა. ზოგმა კულტურულ დაწესებულებას შეაფარა თავი. ამ დროს განახლებული ქართული დრამა თანამშრომლებს აგროვებდა, და ჩვენ, ორივენი, ქართულ თეატრში შევედით: მე — მოკარნახეთ და გიორგი — არტისტად. ეს იყო 1907—1908 წლებში, ჩვენი პოეტური კარიერის პირველ წლებში...

მუშათა პოეტი გიორგი ქუჩიშვილი ვიდრე პოეტურ ასპარეზზე გამოვიდოდა მეტად რთული და გაჭირვების ვრცელი გზა განვლო... „განა, ვის აქვს, თუ არა გლეხკაცს, სატირელი, საოხრალი — ეს ხალხური თქმა სწორედ გი-

ორგი ქუჩიშვილზეა ზედგამოჭრილი. ახალგაზრდობაში იგი უიმედობით იყო შეპყრობილი, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქუჩიშვილი მთლიანად გამოიცვალა: ჩვენი ცხოვრების წინსვლა ახარებდა და აამაყებდა. მალე ჩადგა იმ მომღერალთა ფერხულში, სადაც გულწრფელი სიმღერები გაისმოდა...“[1]

ჩვენი ეპოქის უნიჭიერესი პოეტი ვლადიმერ მაიაკოვსკი 1905 წელს ქუთაისში მუშათა დემონსტრაციებში მონაწილე ახალგაზრდებთან ერთად დიდი გატაცებით მღეროდა თურმე ირ. ევდოშვილის „მეგობრებს“. ლექსი რომელიც საქართველოში მარსელიეზად იქცა; მაიაკოვსკი მშრომელთა მიტინგებზე განსაკუთრებული სიყვარულით კითხულობდა.

„იგი თითქოს იმიტომ მოვიდა, რომ ცარიზმის სატრაპებს გაბედული ლექსებით შებრძოლებოდა... იროდიონ ევდოშვილი უპირველეს ყოვლისა, — თუ შეიძლება ასე ითქვას რევოლუციონერი ლირიკოსია. თვით პროტესტანტული სულით გაჟღენთილ ლექსებშიც კი იგი გვევლინება უნაზეს ლირიკოსად“[2]. მისი აკრძალული კრებული „წინ“ 1906 წელს ხელიდან ხელში გადადიოდა თურმე ავლაბრის უბნის რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობაში.

ასევე ლექსი „სიმღერა“ (ხელნაწერის სათაურია „სიმღერა მაისის ღამეს“). ეს ლექსი აღერებულა, როგორც 1905-1907 წლების რევოლუციის საარი და გამოხატავდა ჩაგრულ-წამებულთა აბობოქრებას, თავგანწირული ბრძოლის დუღილსა და გამარჯვების რწმენას. ეს ლექსი დაუწერია 1909 წელს, ი. სტალინის მეთაურობით თბილისში მუშათა პოლიტიკური დემონსტრაციის შთაგონებით. იგი დიდი დღესასწაულის — პირველი მაისისადმი მიძღვნილი პირველი ქართული ჰიმნია. ლექსის სტრიქონები „უკვე აღსდგა ქარიშხალი, განთიადის მოციქული“! სტალინს შეუტანია თავის შედგენილ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის პროკლამაციაში „კავკასიის მუშებო, დროა შური ვიძიოთ!“

ნინო ნაკაშიძე, რომელიც ხანგრძლივად რედაქტორობდა ჟურნალ „ნაკადულს“, ხშირად აქვეყნებდა რევოლუციის მგზნებარე მომღერლის იროდიონის საბავშო ლექსებს და მოთხრობებს. იგი — იგონებს ნინო ნაკაშიძე— ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქციის ყველა თანამშრომელთან იყო და-

---

[1] ი. გრიშაშვილი, მინიატურები, ლიტერატურული ნარკვევები, ტ. V, გამომც. „ხელოვნება“, 1965, გვ. 271.

[2] იქვე, გვ. 270-271.

ახლოებული და დამეგობრებული, მას ხშირად ჩვენს იროდიონს ვეძახდით. მახსოვს, როცა საუბრის თემა რევოლუციას ეხებოდა, იროდიონს განსაკუთრებულად გაუცისკროვნდებოდა თვალები, მთელი გატაცებით ლაპარაკობდა ცნობილ რევოლუციურ მოღვაწეებზე, აშკარა სიხარულს ავლენდა მათი წარმატების გამო“.

ირ. ევდოშვილს ქართულად უთარგმნია და 1899 წლის „კვალში“ (№ 39) „ელის“ ფსევდონიმით დაუბეჭდავს გორკის სახელგანთქმული „შევარდენი“. ამ თემამ მის მებრძოლ ლირიკაშიც ჰპოვა იდეური გამოძახილი.

იგი იყო მაქსიმ გორკის ერთ-ერთი პირველი მთარგმნელი.

ლექსი „გამომშვიდობება გადასახლებულისა“, როგორც სათაური გვამცნობს, დაუწერია მეტეხის ციხეში 1910 წლის ივნისში, როცა პოეტისათვის ციმბირში გადასახლება გამოუცხადებიათ:

არც აქა მქონდა სახლი და კარი,
საცა მივდივარ, არც იქ მექნება,
მაგრამ სამშობლო მე გაძევებულს,
მომენატრება, მომაგონდება.
არც აქ მქონია ტკბილი სიცოცხლე,
სადაც მივდივარ, არც იქ მექნება, —
იქ დანაღვლებულს და დაფიქრებულს
მაინც სამშობლო მომაგონდება, მომაგონდება...

როდესაც იროდიონ ევდოშვილი გადასახლებიდან დაბრუნებულა, იგი კვლავ დაბრუნებია ამ თემას და შეუქმნია ლექსების ციკლი: „ციხეში“, „ბორკილი“, „ტუსაღის სიმღერა“, „მეტეხის ციხე“, „დედას“.

ირ. ევდოშვილს სახალხო თეატრის მარჯვენა ხელად სთვლიდნენ. ნიჭიერ კაცს ყველაფერი გამოუდიოდა: დურგლობა, მხატვრობა და ბევრი სხვა რამ. იროდიონი შესანიშნავი მსახიობიც ყოფილა, მას, რომ სცენაზე მუშაობა განეგრძო, ალბათ, არაფრით ჩამოუვარდებოდა ბევრ სხვა, ჩვენს დამსახურებულ, სახელოვან მსახიობს. იგი თეატრში მუშაობასთან ერთად ინტენსიურ სამწერლო მოღვაწეობასაც ეწეოდა. მისი ლექსები ხშირად იბეჭდებოდა გაზეთებში. ცხრაასიან წლებში ლექსების პატარა კრებულიც ჰქონია გამოცემული. თვითონ კი, ხშირად იცოდა თურმე კრებულიდან ამ ლექსის კითხვა:

სახე ნაცემი, დაკაწრული, დაშავებული,
ეგდო ქუჩაზე პერანგისა მხოლოდ ამარა,
მის გვერდით ეგდო არაყისა უძირო ბოთლი,
თავისი მსხვერპლი მაინც იმან დაასამარა.

ასევე მუშების დიდ მოწონებას იწვევდა საღამო-დივერტისმენტებზე გ. ჯაბაურის მეუღლის ავჭალის აუდიტორიის პირველი სცენისმოყვარე ქალის ეკატერინე იოსელიანის მიერ წაკითხული შემდეგი ლექსი:

აგერ, ტურფა დარბაზის წინ,
დიდი კაცი დასეირნობს,
ძირს მე ვბრწყინავ, მაღლა ღმერთი,
განცხრომის ძე ასე ფიქრობს.

იმის წინ კი დამშეული
ხალხი დრტვინავს, იტანჯება,
მაგრამ იგი ამისათვის
სულაც არ წუხს, არ ღონდება.

ან კი რისთვის დაღონდება,
იგი მუდამ მაძღარია,
მაძღრისთვის კი სხვის შიმშილი
გასართობი ზღაპარია.

ამ უბრალო, მაგრამ დიდის განწყობით წაკითხულ ლექსს მუშები ყოველთვის ალტაცებით ხვდებოდნენ.

თუ როგორ უყვარდათ მუშებს რევოლუციური ლექსები — თავის მოგონებაში გ. ჯაბაური წერს — „ეს მტკიცდება თუნდაც ერთი პატარა ეპიზოდიდან. 1951 წელს მე შევხვდი რკინიგზის მუშას ხარიტონ ზაქარეიშვილს. ერთმანეთი რომ მოვიკითხეთ და ჩვენი ახალგაზრდობა გავიხსენეთ, ხარიტონმა მითხრა: შენი მეუღლე ეკატერინე იოსელიანი ერთ ლექსს ისე კითხულობდა, რომ დღესაც თვალწინ მესახება ის აღფრთოვანება, რის მოწმეც ვიყავიო, თურმე ეს ლექსი ზეპირად სცოდნია ამ მუშას და მეც მისი სიტყვით ჩავიწერე:

ზოგი კაცი ობობას ჰგავს,
მახეს აგებს საზიზღარსა,
ამით იძენს და სულს აძრობს
მტერს, მოყვარეს, მეგობარსა.

ზოგი კაცი ასპიდ გველს ჰგავს,
საქმეს სჩადის საზიზღარსა,
ამით ხიბლავს სუყველასა —
მტერს, მოყვარეს, მეგობარსა.

ცაო, ცაო დაიქექე,
რისხვის მეხი დაეც თავსა,
ვინც ღალატობს განურჩევლად
მტერს, მოყვარეს, მეგობარსა.

ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ ისეთი ტაშის გრიალი და „ვაშას" ძახილი იყო, რომ წამკითხველმა მითხრა, ტაშის გრიალის ქარი ვიგრძენი, თითქოს ქარმა სცენის სიღრმეში მიმაგდოო"[1].

საქმე ლექსის ღირსებას კი არ ეხება, არამედ საქმე მის შინაარსთან გვაქვს. იგი ეხმიანებოდა მშრომელთა გულის დარდებს, მათ ბოლმასა და ამიტომ ხვდებოდა ხალხი მას ასეთი გატაცებით....

□□

როგორც აღვნიშნეთ, 1905—1906 წლებში წარმოდგენების შემდეგ შემოიღეს დივერტისმენტის მოწყობა. ამ დივერტისმენტის შინაარსი და მიზანი იყო — სცენისმოყვარეებს წაეკითხათ მაშინდელი რევოლუციონერი პოეტების ი. ევდოშვილის, გ. ქუჩიშვილის, კ. გოგოლაძის, ნ. ზომლეთელის, ვ. რუხაძის, იასამანის (ფსევდონიმი), ბ. ახოსპირელის რამდენიმე ლექსი. ამ დივერტისმენტში სცენისმოყვარე დ. მელაშვილიც იღებდა მონაწილეობას. იგი, სხვებთან ერთად, კითხულობდა რევოლუციურ ლექსებს. დ. მელაშვილმა ლექსი „ბრძოლა" გადმოიწერა ბოლშევიკურ არალეგალურ გაზეთ „ბრძოლიდან" (№ 2—4, 1901 წ.), ხოლო 1905 წელს, როდესაც ქართველთა ამხანაგობის სტამბაში მუშაობდა, ორმოცი ცალი დასაბეჭდადააწყო და გაავრცელა ხალხში. ეს ლექსი დ. მელაშვილს ძალიან უყვარდა და ყოველთვის დიდი გატაცებით კითხულობდა სახალხო თეატრ-აუდიტორიაში, როცა დივერტისმენტები და საღამო-კონცერტები ეწყობოდა. ლექსის შინაარსი იმდენად მოსწონდა ხალხს, რომ რამდენჯერმე ამეორებინებდნენ. ამის შესახებ დ. მელაშვილი გვიამბობს: „ეს ლექსი სხვა ლექსებთან ერთად ჩაკრული მქონდა „რჩეულ ლექსთა კრებულში", მაგრამ 1910 წლის ივლისში ჟანდარმერიამ გამჩხრიკა. კრებული წაიღო, როცა გაზეთ „ბრძოლის", გამოსვლის 50 წელი შესრულდა, მე წავიკითხე კ. გიორგაძის წერილი „პოეზია ბრძოლის ფურცლებზე". გამახსენდა ეს ლექსი და ჩემს მეხსიერებაში აღვადგინე".

დივერტისმენტებსა და კონცერტ-საღამოებზე შემოღებული ყოფილა აგრეთვე სიმღერა-კუპლეტები „ვაი-ვუის" ხმაზე, საჭირბოროტო საკითხებზე შე-

[1] ჯ ა ბ ა უ რ ი. მოგონებანი, გამომც. „ხელოვნება", 1956, გვ. 40-41.

ქმნილი. ეს სიმღერა-კუპლეტები თავდაპირველად ვ. აბაშიძეს და გ. გედევანიშვილს შემოუტანა სცენაზე. სრულდებოდა შემდეგნაირად: სცენაზე ორი მოქალაქე გამოდიოდა, რომელთაც ქართული ყოშებიანი კაბები ეცვათ და ე. წ. წიწაკის ქუდები ეხურათ. წელზე შემორტყმული ჰქონდათ მწვანე სარტყლები: ხელში დაწინწკლული ცხვირსახოცებით და გოდებდნენ. ეს დუეტი დიდხანს შემორჩენია სცენას. კუპლეტებს „ვაი-ვუი“ დიდი პოპულარობა მოუპოვებია. რამდენიმე ათეული წლის მანძილზე ეს ჰანგი უბერებელი იყო. არ ყოფილა ისეთი სალიტერატურო საღამო თუ კონცერტი, რომ „ვაი-ვუით“ არ გაემხიარულებინოს საზოგადოება. ვ. აბაშიძესა და გ. გედევანიშვილს, ხშირად ენაცვლებოდა ვასოს ამპლუის პარტნიორი მუშა-სცენისმოყვარე ნ. გოცირიძე. სიმღერა-კუპლეტები ძირითადად ეხებოდა პოლიტიკას, საზოგადოებრივი აზრის უკუღმართობას და სხვა ათას რამეს.

სცენებს ვაჭართა ცხოვრებიდან და კუპლეტებს „ვაი-ვუის“ ჰანგზე ასრულებდნენ აგრეთვე სცენისმოყვარეები გ. გელიკურაშვილი და ნ. მირველოვი. კუპლეტების ტექსტს ყოველ ახალ საღამოსათვის ავალებდნენ ჩვენ სახელოვან პოეტებს: აკ. წერეთელს, ი. გრიშაშვილს და ბ. ახოსპირელს.

ბ. ა ხ ო ს პ ი რ ე ლ ი ჩვენში იმ წინამორბედთაგანია, რომელიც ევდოშვილთან, ახობაძესთან და რუხაძესთან ერთად თამამად ებრძოდა არსებულ წესწყობილებას. იგი ეკუთვნოდა იმ მგოსანთა ჯგუფს, რომელთა ლეიტმოტივი სამოქალაქო ჰანგი იყო. ერთ დროს ახოსპირელის ლექსები, როგორც რევოლუციონერი პოეტისა, აკრძალული ყოფილა.

ბ. ახოსპირელი ბავშვობიდანვე ჩაება შრომის ფერხულში. პირველად იგი მუშაობას იწყებს ხელაძის სტამბაში მჩარხავად. აქ დაწაფებია ჭაბუკი სწავლასა და თვითგანვითარებას. უწიგნურ ბავშვისთვის სტამბა განვითარების წყაროდ იქცა. აქვე დაუწყია ლექსების წერა.

ამ სტამბაში თეატრალური აფიშებიც იბეჭდებოდა. ჭაბუკს ევალებოდა აფიშების დაბეჭდვისთანავე მათი თეატრში მიტანა. ასე გასცნობია ბ. ახოსპირელი თეატრის კულისებს. ქართული წიგნების კითხვაში გაიწაფა, ქართული სასცენო მეტყველება გამოიმუშავა და როდესაც ქართული თეატრის სუფლიორი კოლა გალუსტოვი გარდაიცვალა, ბეგლარი გამოსცადეს, გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარა და გალუსტოვის ადგილი დაიკავა.

ახოსპირელი ითვლება გორკის ნაწარმოებების ერთ-ერთ საუკეთესო მთარგმნელად. იგი იყო მუდმივი თანამშრომელი „ნაკადულისა“ და „ჯეჯილისა“, რომლის ფურცლებს ამკობდა მისი საბავშვო მოთხრობები. გამოცემული აქვს რამდენიმე წიგნი საკუთარი ლექსებისა: „ჩემი ნატვრა“, „ტალღები“, „შვება და სიყვარული“, „ცხოვრების სურათები“ და სხვა მრავალი.

ბ. ახსოპირელის მიერ დაარსებული იქნა გამომცემლობა „გუთანი".

1904 წლიდან იგი არ მოშორებია ქართულ თეატრს და სიკვდილამდე მისი ერთ-ერთი თავდადებული მუშაკი იყო.

დაუზარელი, თავმდაბალი, სპეტაკი მეგობარი ყველასათვის საყვარელი ადამიანი იყო, კაცი არ მოიძებნება, თურმე, რომელსაც მისგან რაიმე წყენა ახსოვდეს.

ახოსპირელთან ერთად დივერტისმენტებსა და საღამო კონცერტებზე ასე დიდი მოომხიბვლელობით და ენთუზიაზმით კითხულობდნენ იმერულ სცენებს გლეხთა და ვაჭართა ცხოვრებიდან სცენისმოყვარე რ. სალაყაია და რ. ჯიბლაძე „გლეხურ" სცენებს — ს. ლოლაძე და ვ. ივრისპირელი, „თათრულ" სცენებს — ი. რევაზიშვილი და ს. ჩერქეზიშვილი. დრამატულ თემაზე ლექსებს დიდი დამაჯერებლობით კითხულობდნენ ლ. ბაღაშვილი, დ. მელაშვილი, ს. დავიდოვი, ვ. მატარაძე, გ. ბაკურაძე, პ. შრომიშვილი (ბეგიჯანოვი) და სხვ.

„ულარიბესი თელაველი მკვიდრის ბეგლარ ახოსპირელის (ალაიანის) პატარა ბიჭუნა თბილისში ჩამოიყვანეს ლუკმა-პურის საშოვნელად. იგი ქართველ „გამომცემელთა ამხანაგობის" სტამბაში მოეწყო ჩარხის მტრიალებლად. ბავშვი კი გატაცებული იყო თეატრით. თელავში საგასტროლოდ ჩამოსულ მსახიობთა წარმოდგენამ მასზე ისეთი შთაბეჭდილება დასტოვა, რომ თეატრი მის საოცნებოდ გადაიქცა. ბედად მსახიობმა ვალერიან გუნიამ შეიძინა სტამბა, რომელიც ქართული თეატრის ეზოში იყო მოთავსებული... იგი ამ სტამბის ასოთამწყობი გახდა. აუტანელ ჯაფისაგან დაღლილი, დაქანცული ბეგლარისათვის დასასვენებელი ადგილი თეატრის ქანდარა იყო. მალე გუნიასავე დახმარებით ფეხი შედგა თეატრში და თავისი სამუდამო ადგილი მოკარნახის ჯიხურში დაიმკვიდრა. ტყვიის ასოების მავნე მტვერს თავი დააღწია, სამაგიეროდ ბოლომდე ყლაპავდა მოკარნახის ჯიხურის ასეთსავე მავნე მტვერს, მაგრამ მისთვის სასიამოვნო ადგილსამყოფელში...

დივერტისმენტში სხვა პოეტებს შორის ბეგლარიც კითხულობდა თავის ლექსებს, იცოდნენ, რომ რევოლუციური ლექსების — „ჩემი სიმღერისა", „უსახლკაროს" და სხვა მრავალი ლექსისა და პოემის ავტორი მოკარნახე ბეგლარ ახოსპირელი იყო. რა აღფრთოვანებით ხვდებოდა ხოლმე მაყურებელი ავტორს და ქართული თეატრის იშვიათ დეკლამატორს მსახიობ ალექსანდრე იმედაშვილს, როდესაც იგი სცენიდან ბეგლარ ახოსპირელის ლექსებს კითხულობდა. ახოსპირელის ლექსები დეკლამატორებს საშუალებას აძლევდა გამოეაშკარავებინათ თავიანთი ოსტატობა. თეატრის მოკარნახე, პოემების ავტორი, გამომცემლობა „გუთნის" ინიციატორი, მაქსიმ გორკის პიესა „ფსკერის" მთარგმნელი, გაჭირვებას ვერ აღწევს თავს და თუ შუაღამემდის თეატ-

რის ჯიხურშია გამომწყვდეული, უკეთესი ბინა არც შინა აქვს. მთაწმინდაში... ერთ პატარა ნესტიან სარდაფშია ცოლ-შვილით მოთავსებული. ეს სიხარულისა და მზის მოტრფიალე პოეტი, როგორც თეატრში, ასევე თავის ნესტიან სარდაფში მზის სხივებს მონატრებული იყო, „ხშირად ხდება, შიმშილი — წყურვილი და გაჭირვება მიხუთავს სულსა" წერდა ბეგლარი ერთ თავის ლექსში, მაგრამ ბეგლარი არ ეკუთვნოდა იმ პირთა რიცხვს, რომელთა აღმაფრენისათვის მაშინდელ ცხოვრების სიდუხჭირეს შეეძლო ფრთბი შეეკვეცა, ამიტომაც იგი განაგრძობდა:

„მე მარად ვმღერი, ვმღერი მშიერი
წარბსაც ვერ მიხრის ფიქრი, წყვდიადი"[1].

□□

ავლაბრის თეატრმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში. მისი ნიჭიერი კოლექტივი განუწყვეტლივ ამდიდრებდა სასცენო ხელოვნებას ახალი შემოქმედებითი მიღწევებით.

ამის შემდეგ, სეზონის დასასრულს არტ. სვიმონიძის (ანუ ლიმონიძის) საბენეფისოდ ქართველ დრამატულ სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნა ი. ლაზარევის ხუთმოქმედებიანი ისტორიული ტრაგედია „მტარვალი". მონაწილეობდნენ: ალიბეგი, მმართველი ჯავახეთისა — დ. მელაშვილი, სიათა, მისი შვილობილი — მ. მარგველაშვილი, ტათლი, ალიბეგის მაჭანკალი — ქ. ბულუვისა, გიორგი სტვირაძე, ალიბეგის ყმა — ბ. ფურცელაძე, ნინო, მისი ცოლი— ქ. ფეიქრიშვილი, დარიკო და ნიკო — მათი მცირეწლოვანი შვილები, თევდორე — ბ. მაისურაძე, სოფიო, მისი ცოლი— ქ. ჩერქეზიშვილი, ალექსი, გიგო— მათი შვილები — არტო სვიმონიძე და შაქრო გომელაური, სარდალი ქართლკახეთისა — ს. მაკაროვი, ფაშა — ნ. მირველოვი, მაჰმად-აღა — გ. კოლოტაძე, სულეიმან-აღა-მუსტაფა-ოღლი, ჯალათი — გ. ქიტესაშვილი, ლ. ცალქალამანიძე და ბ. კიკნაძე — სოფლის წინაპარნი. მოქმედება სწარმოებს მესხეთში. ანტრაქტებში უკრავდა მუსიკა. პიესამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე.

□□

1905 წლის მანიფესტაციისა და მიტინგების დროსაც, ორივე წრის სცენისმოყვარეები აქტიურად იყვნენ ჩაბმული და ასრულებდნენ თავიანთი პარტიული ამხანაგების დირექტივებს.

---

[1] ა ლ. ბ უ რ თ ი კ ა შ ვ ი ლ ი, სცენის ოსტატები, გამომც. „ხელოვნება". 1951, გვ. 51-52.

ამ დროს, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მკაცრი ლექსებით გამოდიოდნენ გიორგი შინატეხელი, ანტონ განჯისკარელი და აშუღი ჰაზირა.

რადგან დივერტისმენტ-კუპლეტების საღამოებს ხალხი მუდამ ბლომად ესწრებოდა, ამიტომ ორივე დასი რიგ გარეშე მართავდა. ანტრაქტისათვის ორკესტრის მაგიერ დროგამოშვებით იწვევდნენ აშუღ ჰაზირას დასტას, რომელსაც იმ დროს დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი. ჰაზირას (აბრამ აბოვს) იცნობდნენ როგორც ყველა აშუღების უსტაბაშს, რომელსაც ბევრი მოწაფეები ჰყავდა. როცა იგი დაირას აიღებდა ხელში და თავის მიერ შეთხზულ რევოლუციურ ლექსებს დაამღერებდა, მის გარშემო იმდენი მსმენელი გროვდებოდა თურმე, რომ თვითონ ჰაზირა აღარ ჩანდა. ხოლო როცა სცენაზე იჯდა — ოვაციებს დასასრული არ ჰქონია. მისი ლექსები რევოლუციისაკენ უხმობდა მსმენელთ. „სადაც არის გათენდება, ალსდექ მუშავ შენ, ლამაზი დღე გითენდება მუშავ, მუშავ შენ". ანდა, 1905 წლის მანიფესტის დროს შეთხზული „მოდი ძმანო მოგროვდით, ჩვენი მძახალი მომკვდარა, მისი რკინის სიცოცხლე ფერფ-ნაცარი გამხდარა" და სხვ.

ამ სახელგანთქმულ აშუღს სასიმღეროდ იწვევდნენ ყველა საკრებულოში. 1914 წლიდან კი მისი ხელმძღვანელობით ეწყობოდა აზიური საღამოები. იგი ამავე დროს იღებდა მონაწილეობას სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში როგორც ეპიზოდური როლების ჩინებული შემსრულებელი.

ამ პერიოდში გამოჩნდა ხალხის საყვარელი ლექსების ავტორიც, სამშობლოს, ძმობისა და სიყვარულის მომღერალი, ძველი თბილისის სახელგანთქმული მგოსანი ი ე თ ი მ გ უ რ ჯ ი (დ ა ბ ღ ი შ ვ ი ლ ი). იგი მუდამ აქტიურ მონაწილეობას იღებდა მეფის მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლებსა და გაფიცვებში. მუშათა წრეებში კითხულობდა სააგიტაციო ხასიათის თავისივე ლექსებს, რომლებშიაც მოუწოდებდა მუშებს მეფის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

პირველ რევოლუციას იეთიმ გურჯისათვის ბაქოში მოუსწრია. იმხანად იგი ბაქოს ნავთის სარეწაოებში მუშაობდა. ბაქოში იგი უშუალოდ გასცნობია მუშების მძიმე ცხოვრებას, მათი შრომის საშინელ პირობებს. ამ თემას მან არაერთი ლექსი მიუძღვნა. იეთიმ გურჯი რევოლუციურ ბრძოლებში ღებულობდა მონაწილეობას. ამიტომ იყო, რომ 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, სხვა მოწინავე მუშებთან ერთად დაუპატიმრებიათ მეფის მოხელეებს და გადაუსახლებიათ ვოლინის გუბერნიაში. გადასახლებიდან იგი 1912 წელს დაბრუნებულა, მაგრამ ამიერკავკასიაში ყოფნის უფლება არ მიუციათ — მხოლოდ 1917 წლის რევოლუციის შემდეგ დაბრუნებულა სამშობლოში.

ამ პერიოდში დაწერილი ლექსებიდან მკითხველის ყურადღებას იპყრობს ლექსი „გამარჯვება, ჩემო თბილის ქალაქო“.

გამარჯვება, ჩემო თბილის ქალაქო,
დაკარგული შენი შვილი მოვედი,
საქართველოს მიწა-წყალო, ალაგო,
თორმეტი წლის უნახავი მოვედი.

მთაო წმინდავ, მამა დავითისაო,
შენ დარაჯო ქალაქ თბილისისაო,
წმინდა მიწავ უკვდავ მწერლებისაო,
მათ საფლავზე სალოცავად მოვედი.

დიდო ციხევ, ძველო ნარიყალაო,
საქართველოს ძველო მკვიდრო ძალაო,
პოლშის ციხემ შენი შვილი მალაო,
სისხლგამშრალი საჩივლელად მოვედი.

დიდო ზარო ჩვენო სიონისაო,
ნატრული ვარ შენ დიდებულ ხმისაო,
ჩვენო მტკვარო, ძმაო რიონისაო,
ნაწამები საბანაოდ მოვედი.

იეთიმ გურჯი გარდაიცვალა 65 წლის ასაკში, 1940 წლის 15 ივლისს. მის დასაფლავებას უამრავი ხალხი დასწრებია. დიდი პატივი უციათ მგოსნისათვის, მისი ნეშტი გამოუსვენებიათ ვარდის მოედანზე (ავლაბარი) არსებულ აღმოსავლეთის მუსიკოსთა სახლიდან და ვაკის სასაფლაომდე ხელით მიუსვენებიათ. პროცესიის წინ მიჰქონდათ იეთიმ გურჯის სურათი. შემდეგ მიჰყვებოდა ორი ყარაჩოხელი ძახილით „გამოდით, ხალხო, იეთიმას მოასვენებენ!“

იეთიმის დასაფლავების დროს, მგოსნის კუბოზე მიწის მიყრამდე, ზევიდან ნაბადი გადაუფარებიათ. ამას ითხოვდა იგი თურმე თავის ლექსში „ჩემი ნაბადი“.

ხოლო, როცა იეთიმ გურჯს დაბადების 85 წელი და გარდაცვალებიდან 20 წელი შეუსრულდა, ეს თარიღი აღინიშნა ძეგლის გახსნით, რომელიც დაიდგა პოეტის საფლავზე, ვაკის პანთეონში. ორ ივლისს პოეტის ხსოვნის მრავალ პატივისმცემელს მოეყარა თავი ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე.

ძეგლის გახსნას დასწრებიან მწერლები, საზოგადო მოღვაწენი, მედუდუკეთა დასტები და ხ. ტალგაუკოვის ანსამბლი. მედუდუკეთა დასტებსა და ანსამბლებს იეთიმ გურჯის პატივსაცემად შეუსრულებიათ შემდეგი ნაწარმოებები: მასრაფი, მუსტარი, იჯაზი და პოეტის სხვა სასიმღერო ჰანგები.

„ოცი წლის წინ, ავლაბრის ერთი პატარა ოთხკედლიდან, სადაც სამი დღის განმავლობაში განუწყვეტლად გაისმოდა ძველთბილისური საკრავების სამგლოვიარო ჰანგები, აქ ვაკის ამ სასაფლაოზე მოვიტანეთ და მიწას მივაბარეთ გუშინდელი თბილისის უბრალო მოქალაქეთა ღირსეული შვილის, მშთაგონებელ მგოსნის, მისი ერთი დამწვარი ტრუბადურის—იეთიმ გურჯის ცხედარი. იმ სამგლოვიარო პროცესიის ბევრი მონაწილე მრისხანე ოცი წლის შემდეგ დღეს ამ საფლავთან ჩვენ თავშეყრას ალბათ ვეღარ ესწრება, ხოლო ვინც აქ არის, კარგად ემახსოვრება, რა ცრემლით დაიტირა მაშინდელმა თბილისმა თავისი მიჯნური, მის მიწას თავდავიწყებით შეყვარებული მომღერალი.

მაშინ მე იეთიმ გურჯის პოეზია ისე მომეჩვენა, თითქოს მგოსანს თავისი ყველა ლექსი სწორედ იმ დღისათვის დაეწერა, როცა იგი მიწას ებარებოდა:

ბევრი ხალხი მომიგონებს,
როცა ამ სოფლიდან გავალ,
მე სიყვარულს თან წავიღებ
უამისოდ მე არ წავალ.

ტიროდა ძველი თბილისური საკრავების ერთი დასტა, ხოლო მეორე დასტა აქვე განაგრძობდა:

ვინ დამწყევლა, ვისი წყევლა ამიხდა,
იეთიმს ცრემლი მეგობარი გამიხდა,
სიმი გაწყდა, მე ჩონგური წამიხდა,
ეს ქვეყანა ჯოჯოხეთად გამიხდა.

ახლა იქ მესამე იწყებოდა...

ღმერთმა ჩემზე მოიცალა,
მცირე რამც არ მაპატია,
ყველას მისცა სიხარული,
მე კი ერთი ნაბადია.

საქართველოს მწერალთა კავშირმა და თბილისის საბჭომ დაუდგეს მას საფლავზე ეს ძეგლი, ნიშნად მისი პოეზიის ნამდვილი აღიარებისა, მისდამი ღრმა პატივისცემისა“[1].

□□

ასევე გამოდიოდა თავისი შესანიშნავი რევოლუციური ლექსებით სალამო-კონცერტებზე ცნობილი პოეტი ანტონ განჯისკარელი (ხუდავერდიანი) და წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა მსმენელზე.

---

1 ლიტერატურული გაზ., 1960, 8 აგვისტო.

მხიარული, ხუმარა კაცი ყოფილა ანტონი. იგი ცხოვრობდა ძალიან ღარიბად ორმაღელის ერთ მივარდნილ ადგილას, ბნელ ნესტიან ოთახში და ვინ დაიჯერებდა, რომ ამ ძონძებში გამოხვეული კაცის კალამს ეკუთვნოდა ხალხში გავრცელებული მთელი რიგი ლექსები. მაგალითად: „გათენების ბრალია“, „დეკადენტი“, „განთიადის მოლოდინში“, „ჩემი სტვირი“ და სხვ.

არა მარტო ანტონი გამოსულა თავისი ლექსებით საღამო-კონცერტებზე, არამედ ბევრი მსახიობიც, რომელთაც არაერთხელ წაუკითხავთ ანტონის ლექსები „ხან მშია და ხან მწყურია“ და „განათლებული ქვეყნის კაცი“.

ერთი სიტყვით ქეიფობენ,
ხალხის ზურგზე ცეკვენ ხტიან,
არ ფიქრობენ ჩვენ გავძეხით,
მაგრამ იქნებ ხალხსაც შიან,
ეს თუ ვინმემ შეამჩნია,
მაშინათვე თვალებს თხრიან
და თუ კრინტი დასძრა ვინმემ
ენას ძირში დააჭრიან.

ძალიან მოსწონდა ხალხს აგრეთვე მისი ლექსი „ძირს ხელმწიფე და მისი ტახტი“.

შენც კაცი ხარ ხორცშესხმული,
გაიხედე მოძმეთ არეს,
დაინახე შენი ძმები
როგორ სვამენ შხამ-ძიმწარეს,
ვინც გაბედა არ დალევა
გლახ სიცოცხლე ჩაუმწარეს,
მზე უდროოდ დაუბნელეს,
ტანჯვა-გვემა არ აკმარეს.
აწ კი როგორც გმირსა გმართებს
მჩაგვრელს თავზე გადაახტი,
მაღლა ღმერთი შეგეწევა,
ძირს ხელმწიფე და მისი ტახტი.

ამ უკანასკნელ სიტყვებს წამკითხველთან ერთად ხალხიც უერთდებოდა და შესძახებდა ხოლმე — „ძირს ხელმწიფე და მისი ტახტი“...

როცა ფარდა აიწეოდა და წარმოდგენა დაიწყებოდა, უნდა გენახათ, როგორ აჩუმებდნენ წესრიგის დამრღვეველებს, რათა არ გამორჩენოდათ სცენიდან ნათქვამი არც ერთი სიტყვა.

□□

ამ პერიოდში გაცხოველებული პარტიული მუშაობა მიმდინარეობდა. არც

რეაქციონერები ჩამორჩებოდნენ და ზოგ სცენისმოყვარეს ციხეში ამწყვდევდნენ.

გ. ფირუმიანი მოხვდა ბოლშევიკების ფრაქციის მეხუთე უჯრედში, როგორც მაშინ ეძახდნენ „იაჩეიკაში".

პირველი სააგიტაციო კრებები ლონდონის და სტოკჰოლმის სესიების, მოხსენებების შესახებ ინიშნებოდა გ. ფირუმიანთან (ავლაბარში). ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სტ. შაუმიანს მოხსენება ფირუმიანის სახლში უფრო ეხერხებოდა: „მსახიობის სახლი იმდენად საშიში არ არისო". ფირუმიანის დედა დიდი სიფრთხილით იდგა სამზარეულოს ფანჯარასთან და პოლიციასა და პატრულებს დარაჯობდა. მამა კი ბაზრის მხრიდან ადევნებდა თვალყურს.

ოჰ, რა ტკბილი ლაპარაკი, რა ნაზი, რა მიმზიდველი სიტყვა-პასუხი ისმოდა იგონებს გ. ფირუმიანი — თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყოველ კრებაზე 8-10 მენშევიკი გადადიოდა ხოლმე ბოლშევიკების მხარეზე ამ დასაბუთებული, დამაჯერებელი შინაარსიანი ლაპარაკის გამო. მეც ძალიან მომწონდა და მიყვარდა ეს საუბრები და ამის გამო გადმოვიტანე ჩემთან იმათი რაიონული ბიბლიოთეკა ანტონ თუმანიანიდან. მის დედას ძალიან ეშინოდა იმ წიგნების შენახვა და იმუქრებოდა — ჩქარა წაიღეთ აქედან, თორემ დავწვავო...

ფირუმიანი ამ დროს, თეატრის გარდა, მუშაობდა სომხურ ჟურნალ „ხათაბალას" რედაქციაში (სათავადაზნაურო თეატრის შენობაში). ერთ დღეს ფირუმიანთან კამო მივიდა და სთხოვა, რომ მეორე დღისათვის მიეტანა მისთვის სცენისმოყვარის — გრ. სარაიანის სამხედრო კიტელი, შარვალი (ზაპასის ოფიცერი იყო) და ხმალი, ძლიერ საჭირო და საიდუმლო საქმეაო. საღამოს ჩაიტანეს არშაკ მამულოვთან და არშაკამ, აბრამამ, ფირუმიანმა და ლ. პოღოსოვმა გაიგეს საქმის ვითარება, რომ მეორე დღეს უნდა მომხდარიყო რაღაც სენსაციური ამბავი.

მეორე დღეს, როცა ფირუმიანი რედაქციაში საქმიანობდა, იქნებოდა ასე დღის პირველი საათი, გაისმა ყუმბარის შემზარავი ხმა. ქუჩის მხარეს რედაქციის ფანჯრის მინები სულ ჩაილეწა. ხალხი აქეთ-იქით გარბოდ-გამორბოდა. ხმა გავრცელდა, ერევნის მოედანზე ყუმბარა უსვრიათ და ხაზინიდან დიდძალი ფული გაუტაცნიათო. ამ ამბის გაგონებაზე ფირუმიანს უეცრად კამო გახსენებია და ქუჩაში გამოვარდნილა. ერევნის მოედნისაკენ წასულა. უნახავს რა, რომ ქარვასლის, ბანკების, სასტუმროსა და ყველა მაღაზიების მინები სულ დამსხვრეული ეყარა ქუჩაში. ფირუმიანი არშაკ მამულოვთან ამბის გასაგებად წასულა. გზაში აბრამა და არშაკა შეხვედრიან დაღონებულნი. იქ არავინ ყოფილა გარდა კუთხეში მჯდომი ერთი მეთევზე კინტოსი, რომელსაც გვერდზე

ედო 5—6 წყვილი „რებეცი", სადილობდა და თან თიხის ნახევარჩარექიანი ქილით ღვინოს სვამდა.

სამივემ კამოზე დაიწყეს საუბარი, რა იქნა, სად არის, რა მოხდა, რატომ არ გამოჩნდაო?

ბევრი ლაპარაკის შემდეგ, ამ „კინტოს" უკმაყოფილოდ წაუბუტბუტია — გეყოფათ, რამდენი უნდა ილაპარაკოთო. ხმას სამივე დაუეჭვებია, მისულან ახლოს კამო შერჩენიათ ხელში, გახარებიათ, რადგან ყველაფერი კარგად დამთავრებულიყო. ბოლოს დაუტრაბახია კიდეც — თუ როგორ მისულა ოფიცრის ტანსაცმლით და უკითხავს სალდათ-პოლიციელებისათვის რაშია საქმეო. — იმათ ჩესტის აღებით უცნობებიათ, ფული გაიტაცესო.

ამ ამბის გასვლიდან კარგახნის შემდეგ, აბრამი ფირუმიანთან მისულა რეპეტიციაზე და ბოლშევიკური მტკიცე ბრძანებით უთქვამს: კამო ორი კვირით შენ უნდა დამალო, რადგან შენზე ეჭვს არავინ მიიტანსო.

რა უნდა ექნა ფირუმიანს, უარს ხომ ვერ ეტყოდა, დასთანხმებია. კარგახნის შემდეგ, ერთ საღამოს რეპეტიციის მსვლელობის დროს, დაგვიანებით მისულან ფირუმიანთან აბრამ გრიგორიანი და კოტე ხოსროევი ცოტა გაჯავრებულნი. ფირუმიანს მიზეზი უკითხავს — მაზალო ოინი გვიყოო კამომ, უთქვამთ მათ. — ვაგზალში წავუღეთ ღვინის „ბაჩონკით" ის გატაცებული ოქროს ფული და კიდევ ერთი დიდი ჩემოდანი. თვითონ გამოწყობილი იყო სუფთად, სერთუკ პლაშჩ, ცილინდრით. დაგვპირდა ვახშმისა და ღვინის ფულს. როცა ვაგზალში ნასელჩიკმა და ჩვენ, ყველაფერი დავაბინავეთ პირველი კლასის კუპეში. მოგვცა ერთი ვერცხლის მანეთიანი და გვითხრა მეტი არ შემიძლია კაზიონი ფულის დახარჯვაო. დავრჩით უვახშმოთ.

როგორც საჩაიე „იალტა", ასევე არშაკ მამულოვის დუქანი ითვლებოდა პროპაგანდისტების — ს. ჯუღაშვილის, ს. შაუმიანის, არ. ერზინკიანის, მიტოს, გიორგი ჩარკვიანის, ა. მარქარიანის, მუშა ხეჩოს, კამოს, აბრამას და დალაქ არტემ თოროზოვის ბირჟად.

როცა სადალაქოში ჯარისკაცები მიდიოდნენ, ეს არტემა თავისებური ხერხით დაუწყებდა ხოლმე აგიტაციას და წასვლისას გაატანდა ერთ შეკვრა პროკლამაციებს ჯარისკაცებში გასავრცელებლად.

ასეთი ჩუმი, ფარულად მომუშავე იყო აგრეთვე სუბსარქისის ეკლესიის ერთ-ერთი მოძღვარი მღვდელი ტერეზნიკა ალიხანიანი, რომელიც ძალიან ახლოს იყო დაკავშირებული სცენისმოყვარეებთან და თეატრთან.

იგი დაქირავებული იყო აგრეთვე მეტეხის ციხის ეკლესიის მოძღვრად პარტიული ამხანაგები კარგად იცნობდნენ ამ მღვდელს, რომელსაც აბრამ გრიგორიანი, ლ. პოღოსოვი, კ. ხოსროევი, წერილებს ატანდნენ ტუსაღებთან.

ანაფორის ქვეშ დამალული მიჰქონდა ტერეზიკს ეს წერილები ციხეში და წირვისას, ან ზიარების დროს ურიგებდა ხოლმე, პასუხებიც თავადვე მიჰქონდა და ურიგებდა ყველას.

ასევე ეხმარებოდნენ პარტიულ ამხანაგებს და იქაურ მცხოვრებლებს ბოქაულ გლობოვის თანამშრომლები ალ. თეთრაძე და ბერძენი დიდიმოვი. როცა საიდანმე მოვიდოდა ცნობა, რომ ღამით ესა და ეს სახლი უნდა გაიჩხრიკოსო, ისინი ადრევე მიდიოდნენ ხარფუხის რაიონის საპატიო მცხოვრებ გიორგი შათირიშვილთან, ატყობინებდნენ, აფრთხილებდნენ, რომ თუ რაიმე საეჭვო რამ ჰქონდათ — იარაღი, ლიტერატურა, წერილები ან ფურცლები— გადაემალათ.

სახალხო სცენის ემბაზში იყო მონათლული ბევრი მუშა-რევოლუციონერი, მათ შორის ხარფუხელი ლეგენდარული რევოლუციონერი ა რ ს ე ნ ა ჯ ო რ ჯ ი ა შ ვ ი ლ ი.

„დეკემბრის ბოლოსათვის აშკარა გახდა, რომ მეფის შეიარაღებულ არმიას მუშათა კლასი ვერ გაუმკლავდებოდა. მაგრამ ბრძოლის გაგრძელება საჭირო იყო სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. მეფის თვითმპყრობელობას საკუთარ ზურგზე უნდა ეგრძნო მუშათა კლასის დარტყმის ძალა.

რევოლუციამ დღის წესრიგში დააყენა რეაქციის სულისჩამდგმელთა განადგურება და ეს სოციალ-დემოკრატთა საერთო საქმე გახდა. რსდმპ თბილისის კომიტეტი დიდი ხანია თვალს ადევნებდა გენერალთა და მაღალი რანგის ოფიცერთა ერთ ჯგუფს — საქართველოში ხალხისა და რევოლუციის პირსისხლიან ჯალათებს. თბილისის კომიტეტის 1905 წლის 23 დეკემბრის სხდომაზე გადაწყდა, რომ მოეშორებინათ გენერლები გრიაზნოვი, შირინკინი, მალამი, როტმისტრი მარტიანოვი და სხვები. კერძოდ, გრიაზნოვის მოსპობის შესახებ დადგენილება გამოიტანა რსდმპ თბილისის მეოთხე რაიონის (ამჟამად ორჯონიკიძის რაიონი) მუშათა მებრძოლმა რაზმმა. (მაშინ რსდმპ თბილისის ორგანიზაცია რაიონებად იყო დაყოფილი).

ამ საქმის განსახორციელებლად რამდენიმე კანდიდატურა წამოაყენეს, მაგრამ არცერთი არ აღმოჩნდა შესაფერისი. „...და აი, ამ კრიტიკულ მომენტში, ორგანიზაციაში ცხადდება რკინიგზის დეპოს მუშა 23 წლის ჯორჯიაშვილი და აცხადებს გრიაზნოვის მოკვლის სურვილს, — ნათქვამია არსენას დასჯის გამო რსდმპ თბილისის გაერთიანებული კომიტეტის მიერ 1906 წლის 18 მარტს გამოშვებულ პროკლამაციაში („არსენა ჯორჯიაშვილი“), — ყუმბარის სროლას რომ არ გამოეწვია ჩვეულებრივი ხოცვა-ჟლეტა ჯარების მხრივ, მან გადაწყვიტა თავგანწირვა და დასჯის ისეთ ადგილას შესრულება, სადაც ხალხი ცოტა იქნებოდა, მისთვის გაქცევა — ძნელი. ამიტომაც მან აირჩია ბარიატინსკის ქუ-

ჩა. იგი მიდიოდა ნამდვილ სიკვდილზე, მან ეს იცოდა, მაგრამ ეს არ აშინებდა, ხელი არ უთრთოდა და ამ განზრახვის სიწმინდეში ეჭვი არ ეპარებოდა. მან სულის სიძლიერე სიკვდილამდე შეინარჩუნა"[1].

არსენას ბევრი გენერალი ჰყოლია ნანახი, მაგრამ გრიაზნოვი კი არ ენახა. და აი, ნახვის შესანიშნავი შემთხვევა მისცემია. გრიაზნოვის მკვლელობის გადაწყვეტილების მიღებამდე, კერძოდ, 22 ნოემბერს ამხანაგებს არსენასათვის შეუტყობინებიათ — დღეს ოპერის თეატრში უნდა წაგიყვანოთო და უარი არა თქვაო.

სპექტაკლის დაწყებამდე ათი წუთით ადრე ვიღაც გენერალი შესულა ლოჟაში. ხალხს ლოჟისაკენ დაუწყია ცქერა. არსენას გვერდით მსხდომ დედაკაცებს ყურადღება ლოჟისაკენ გადაუტანიათ.

— აი, გრიაზნოვი ეგ არის!—უთქვამს მათეს არსენასათვის ჩუმად. ჩვენი ხალხის სისხლით გამძღარი ლეში.

არსენა ბინოკლით დაჰკვირვებია ლოჟას.

ვინ იყო გენერალ გრიაზნოვი, რომლის სიძულვილით ყველა რევოლუციონერი იყო გამსჭვალული?

„გენერალ გრიაზნოვი კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი იმავ დროს იყო სული და გული კავკასიის ხულიგანთა არმიისა, — ნათქვამია პროკლამაციაში „არსენა ჯორჯიაშვილი",— მისი თაოსნობით წარმოებდა, ამჟამადაც წარმოებს აღვირახსნილი ჯარების მხეცობა, რომელიც ცნობილია ყველას მიერ კავკასიაში თავისუფლების გამოცხადების პირველ დღეებში. როდესაც გზააბნეულმა რეაქციონერებმა აღარ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, გრიაზნოვმა შეძლო „შავი რაზმის" ჩამოყალიბება თბილისში და 22 ოქტომბერს მოაწყო სასაკლაო გოლოვინის პროსპექტზე. ამის შემდეგ იგი გახდა ადგილობრივი კონტრრევოლუციონერების მთავარი მეთაური და რეაქციული ელემენტების მთავარი ორგანიზატორი კავკასიაში. ამ მიზნით ის გაემგზავრა პეტერბურგს რეაქციონერების მიერ გეგმის შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებად და ამ გეგმის საქართველოში გატარება თვითონვე იკისრა. სამხედრო შტაბი გადააქცია შეთქმულთა ბუდედ და მათი ველური დადგენილებები მეორე დღესვე მოჰყავდათ სისრულეში.

საკმარისია აღინიშნოს ერთი განკარგულება, რომლითაც ყველა, ვისაც უპოვნიდნენ ყუმბარას ან იარაღს ციხეში მიყვანამდე გზაში უნდა მოეკლათ. თანახმად ამ განკარგულებისა მხეცურად მოკლეს ორი ამხანაგი ავჭალის ქუჩაზე და ორი კიდევ ავლაბარში. ამ განკარგულებას დღესაც ფართოდ იყე-

---

[1] ე ლ. ჯ ო რ ჯ ი ა შ ვ ი ლ ი, „არსენა ჯორჯიაშვილი". გამომც. „საბჭოთა საქართველო", 1975, გვ. 115-116.

ნებენ იმპერიაში. გრიაზნოვი ერთ სულოვნად იყო ცნობილი ყველა ხულიგნის მეთაურად"[1].

არსენა ბოლომდე დარჩენილა ოპერაში და ყოველ ანტრაქტზე უკვირდებოდა გრიაზნოვს.

„არსენას დეტალურად აინტერესებდა გრიაზნოვის ცხოვრების დეტალები. სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე შემდგარი კაცისათვის საჭირო იყო იმის ცოდნა, თუ რა დროს დგებოდა გენერალი, როდის გამოდიოდა სახლიდან, რა გზით დადიოდა და სად, რომელი რესტორანი უყვარდა, სად ისვენებდა და ერთობოდა საღამოთი და ა. შ. ყველაფერს ამას არსენამ კარგად გაართვა თავი და ერთი მთავარი ენიშნა — გენერალი მეტად პუნქტუალური კაცი იყო და არასოდეს არ არღვევდა თავისი ცხოვრების განრიგს"[2].

არსენა გრიაზნოვის მოსაკლავად წასულა. აღელვებული პუშკინის ბაღში შესულა და ხალხის თვალიერება დაუწყია. ბაღი თითქმის ცარიელი დახვედრია. შიგ რამდენიმე კაცი და ჯარისკაცი ტრიალებდა.

ამ დროს ბარიატინსკის ქუჩაზე, მარჯვენა მხრიდან ეტლი გამოჩენილა. იგი სწრაფად გასულა ბაღის კარებიდან და ქუჩისათვის თვალი მოუვლია. ვიღაც ქალი ორი ბავშვით ბაღიდან მეორე მხარეს გადასულა. ამ დროს ეტლი სწრაფად მოდიოდა და ქალს უახლოვდებოდა, მას წამით გადაუსწრია ცხენებისათვის და ეტლიც გაუსწორდა.

— „რა ქნა ამ სულელმა ქალმა?! ღმერთო, ბავშვები უნდა დამახოცინოს!.. კანკალით ამბობდა არსენა და ადგილზე ტორტმანებდა, მაგრამ წამით გული გაიქვავა და მარჯვენა მძლავრად გაიქნია. ყუმბარა ეტლს ზევიდან გადაუარა და მეორე მხარეს, ქვაფენილზე დაეცა. საშინელი გრიალის ექომ ქალაქის ზედა უბანი შეაზანზარა და შორს, მთაწმინდისა და თაბორის მთებში დაიქუხა.

ყველაფერი ეროად აირია — წამით ჰაერში ატაცებული ეტლი, ყალყზე შემდგარი ცხენების ჭიხვინი, ქუჩიდან ავარდნილი ბოლისა და მტვრის სვეტები. დამფრთხალმა ცხენებმა ეტლი მაღლა აიტაცეს".

არსენა ბაღის კარისაკენ შებრუნებულა და სდომნია სირბილით გასცლოდა იქაურობას, მაგრამ ჯარისკაცს ფეხი დაუდვია. არსენა ხელებით წავარდნილა წინ და უეცრად წამომდგარა. ჯარისკაცი დასაჭერად წატანებია, ამ დროს არსენას „ბრაუნინგი" ამოუღია, მაგრამ სასროლად ვერ გაუმეტებია და გამოწვდილ მარცხენა ხელში ჩაურტყავს. ჯარისკაცს მარჯვენა ხელი უტაცნია რე-

---

[1] ე ლ. ჯ ო რ ჯ ი ა შ ვ ი ლ ი, „არსენა ჯორჯიაშვილი" გამომც. „საბჭოთა საქართველო". 1967. გვ. 118-119.

[2] ი ქ ვ ე.

ვოლვერისათვის. ამ დროს მეორე ჯარისკაციც მოვარდნილა, უკნიდან მიჰპარვია არსენას და კეფაში რაღაც მძიმე დაუკრავს. არსენა პირქვე წაქცეულა. საიდან გაჩენილა უცბად ამდენი ჯარისკაცი ძნელი სათქმელია. ყველა ერთად დაჰწოლია ზევიდან. ზოგი მუშტს ურტყამდა თურმე, ზოგი ჩექმით თელავდა. არსენას ერთხანს გაუძლია ამ წამებისათვის, მერე თანდათან გონება დაუკარგავს.

გრიაზნოვის მკვლელობა საკუთარი თვალით უნახავს თურმე თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგ ალექსანდრე კარასევს. მას 1906 წლის ჩვიდმეტ იანვარს გამოძიებისათვის ასეთი ჩვენება მიუცია: „გუშინ, ამა წლის თექვსმეტ იანვარს, მეთორმეტე საათის დასაწყისში სასამართლოდან შინ ვბრუნდებოდი. ბარიატინსკის ქუჩის მარცხენა მხარეს, ტროტუარით, გოლოვინის პროსპექტიდან ქვევით ჩავდიოდი. მე დავინახე ზევით მომავალი ეკიპაჟი, რომელშიც შავი ცხენებიება. კოფოზე კაზაკი იჯდა, ვინ იყო ეტლში, მე ჯერ კიდევ ვერ ვხედავდი.

ჩვეულებრივ დროს ალბათ სრულიად არ მივაქცევდი ყურადღებას ამ ეკიპაჟს. მაგრამ ამ შემთხვევაში მან ჩემი ყურადღება მიიქცია. მე დავინახე ქალი. რომელიც ქუჩაზე გადადიოდა ორი პატარა ბავშვით ეკიპაჟის წინ, ალექსანდრეს ბაღიდან საინჟინერო სამმართველოს შესასვლელისაკენ. შეშფოთებით ვადევნებდი თვალს მის გადასვლას — ცხენებქვეშ არ მოჰყვეს-მეთქი, რადგან იგი ძალზე ახლოს იყო ეტლთან. მე კი, ჩემი ვარაუდით, ქალს დაშორებული ვიყავი სამოცი-სამოცდაათი ნაბიჯით, მაგრამ მან მშვიდობიანად მიაღწია ტროტუარს. ამ დროს გაისმა ზარბაზნის სროლასავით საშინლად ძლიერი ხმა. მე პირველად, გაოგნებულმა, ვერ გავიგე, რა იყო ეს, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ყუმბარა ისროლეს. ჩემს წინ თხუთმეტ ნაბიჯზე ვიღაც ტომრიანი კაცი მიდიოდა. როცა ყუმბარა აფეთქდა, მან ტომარა დააგდო და მესანგრეთა ქუჩით გაიქცა. მერე შევხედე, რომ ბავშვები, რომლებიც ქალმა ბარიატინსკის ქუჩაზე გადმოიყვანა, ყვირილით მორბიან ზევით — „დედა დაეცაო!" მათ მესანგრეთა ქუჩაზე შეუხვიეს. იმის შიშით, რომ სადმე არ შეირბინონ, სადაც არავინ იცნობს-მეთქი, გამოვუდექი, დავიჭირე და წავიყვანე იქითკენ, სადაც მათი დედა დარჩა. ბავშვების დადევნებისას შევხედე, როგორ სწრაფად აიქროლა შავცხენებიანმა ეტლმა ბარიატინსკის ქუჩაზე. მე მხოლოდ მაშინ დავინახე, რომ შიგ გენერალი გრიაზნოვი იყო. იგი თავჩაქინდრული იჯდა ეტლის მარჯვენა მხარეს, მარჯვენა ლოყაზე სისხლი მოუჩანდა.

ბარიატინსკის ქუჩაზე მესანგრეთა ქუჩის პირდაპირ კაზაკი იდგა — იგი დაჭრილი იყო. მე ბავშვები მიუყვანე ქალს, რომელიც მათი დედა აღმოჩნდა. იგი ფეხში იყო დაჭრილი და საინჟინერო სამმართველოს შესასვლელში იწვა...

ამ დროს საინჟინერო სამმართველოს შესასვლელთან რამდენიმე დაბალმა ჩინოსანმა მოიყვანა, როგორც მათ თქვეს, ბოროტმოქმედი, რომელმაც ყუმბარა ისროლა და რომელიც მათ დაიჭირეს, მგონი ალექსანდრეს ბაღში, როგორ და საიდან ისროლა მან ყუმბარა, მე არ დამინახავს, ალბათ იმიტომ, რომ ჩემი ყურადღება მიქცეული იყო ბავშვებიანი ქალისაკენ, რომელიც ქუჩაზე გადადიოდა.

ბოროტმოქმედი, ტიპის მიხედვით ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებლებს მივამსგავსე. ამ დროს შევნიშნე, რომ გენერალ გრიაზნოვის ეტლმა უკან ჩაიარა ბარიატინსკის ქუჩაზე, მისი სახლისაკენ. გენერალი უძრავად იჯდა იმავე პოზით, როგორც ზევით ავლისას. საჭიროა მისი წაყვანა მიხეილის საავადმყოფოში, რადგან შეიძლება მხოლოდ დაჭრილია და უგრძნობ მდგომარეობაში იმყოფება-მეთქი, — ვთქვი მე. მაგრამ არავინ მეხმარებოდა და ვერავის გადაეწყვიტა წაჰყოლოდა გენერალს, მეეტლემ განაცხადა, წასვლა არ შემიძლია, რადგან დაჭრილი ვარ და ძალღონეს ვკარგავო. მართლაც მისი წინსაფარი სისხლით იყო მოსვრილი. ძვირფასი დროის დაუკარგავად კოფოზე დავსვი ვიღაც ჯუჯა ჯარისკაცი, რომელმაც ჩემს შეკითხვაზე თქვა, რომ შეეძლო ცხენების გაძღოლა, მე კი გენერლის გვერდით დავჯექი და წავიყვანე მიხეილის საავადმყოფოში, ეტლში შემოხტა, ეტყობა, გრიაზნოვის სახლის შვეიცარი. გზაზე. უკვე ვორონცოვის ხიდზე, შევნიშნე, როგორ დაიწყო გაყვითლება მისმა სახემ და როცა საავადმყოფოში მივიყვანე, უკვე მკვდარი აღმოჩნდა"[1].

„გრიაზნოვის მკვლელობამ საქართველოსა და რუსეთის რეაქციული ძალები ააფორიაქა... გაზეთი „რუსკოე სლოვო" უკვე მეორე დღეს, ჩვიდმეტ იანვარს, თავის მკითხველებს აცნობებდა, რომ „ბარიატინსკის ქუჩაზე ნასროლი ყუმბარით მძიმედ დაიჭრა შტაბის უფროსი გენერალი გრიაზნოვი, რომელიც რაპორტით მიდიოდა მეფისნაცვალთან. მკვლელი მძიმედ არის ნაცემი პოლიციელების მიერ. გენერლის გარდა დაჭრილები არიან შემთხვევით ახლოს მიმავალი ქალი და კაზაკი". ქვეშ მოთავსებულია მეორე ცნობაც — „შტაბის უფროსი გრიაზნოვი გარდაიცვალა. ნაწამები მკვლელი ჯერ კიდევ არ მოდის გონს"[2].

ცხრამეტ იანვარს საკომენდატო სასამართლოდან ა. ჯორჯიაშვილი თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში გადაუყვანიათ და საპატიმროს განყოფილების

---

[1] ე ლ. ჯ ო რ ჯ ი ა შ ვ ი ლ ი, არსენა ჯორჯიაშვილი, გამომც. „საბჭოთა საქართველო", 1967, გვ. 123-125.

[2] იქვე, გვ. 126-127.

დიდ პალატაში მოუთავსებიათ. ავადმყოფ პატიმრისათვის ორი თოფიანი ყარაული დაუყენებიათ — ერთი შიგნიდან შენობაში კარებთან, მეორე ეზოში— ფანჯარასთან.

ავადმყოფს უვლიდა დღისით მოწყალების და, ღამით კი — ფერშალი. ჰოსპიტლის უფროსის ნებართვის გარეშე. არავის ჰქონია ავადმყოფის ნახვის უფლება.

ა. ჯორჯიაშვილის მდგომარეობით მეტად დაინტერესებული ყოფილა ვორონცოვ-დაშკოვი. ვორონცოვ-დაშკოვს თურმე ერთი რამ ამოძრავებდა, რაც შეიძლება მალე წამომდგარიყო პატიმარი, რათა ჯალათური მეთოდებით დაეკითხა და გაეგო როგორმე იმ რევოლუციონერების ვინაობა, ვინც გენერალ გრიაზნოვის მკვლელობა მოამზადა. მაგრამ მეფის მოხელეებს ცუდად სცნობიათ არსენა.

რვა თებერვალს ჰოსპიტალის ექიმებს არსენასათვის კონსულიუმი დაუნიშნიათ. პატიმარს თუმცა თავისა და ზურგის ტკივილები ისევ აწუხებდა, ჯანმრთელად უცვნიათ და გაუწერიათ. არსენა იმავე საღამოს საკომენდატო სამმართველოში გადაუყვანიათ.

მიუხედავად იმისა არსენა ჯორჯიაშვილის ბედი წინასწარ ჰქონდათ გადაწყვეტილი, მაინც გაუთამაშებიათ გასამართლების სცენა. სასამართლო მთელ ღამეს მიმდინარეობდა. განაჩენი მეორე სხდომაზე, ოცდაერთ თებერვალს დილის თერთმეტ საათზე წაუკითხავთ. ა. ჯორჯიაშვილისათვის სიკვდილით დასჯა მიუსჯიათ (ჩამოხრჩობით).

ჩამოხრჩობის წინ მშობლებისათვის არსენას ნახვის ნება მიუციათ. საკომენდატო სამმართველოში, მსხვილი რკინის ბადე აშორებდათ თურმე ერთმანეთს. მაგრამ დედაშვილურ სიყვარულს განა რომელიმე ღობე დაიჭერდა? არსენა დარდიანი იყო. დედის ცქერას, მის თბილ სიტყვას მხნეობა შეუმატებია, ხალისი დაუბრუნებია. მერე რა, რომ მოვკვდები,— ფიქრობდა თურმე, — დედაჩემის გულში ხომ მუდამ ცოცხალი დავრჩები!...

არსენას დასჯით მარტო ვორონცოვ-დაშკოვი კი არ ყოფილა დაინტერესებული, არამედ რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროც. 1906 წლის ოცდახუთ თებერვალს თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს ვინმე ზუბოვსკის პეტერბურგიდან დეპეშით უთხოვია, რომ შეეტყობინებინათ როდის უნდა მოეყვანათ სისრულეში ა. ჯორჯიაშვილის ჩამოხრჩობის განაჩენი. თბილისელ პოლკოვნიკს ბეზგინს შეუტყობინებია, რომ გენერალ გრიაზნოვის მკვლელის ჩამოხრჩობა დანიშნულია პირველ მარტს დილით შვიდ საათზე, ქალაქგარეთ, საგუბერნიო ციხეში.

ჩამოხრჩობილი არსენა ჯორჯიაშვილი ჩამოუხსნიათ და იქვე, ეზოში, გაჭრილ სამარეში დაუმარხავთ.

ჯალათის ხელით არსენას დაღუპვის ამბავი მთელი სისწრაფით გავრცელებულა ქალაქში და საშინელი აღშფოთება გამოუწვევია. აღელვებული ხალხი ციხის კარებს მიწყდომია, მთელი დაცვა ფეხზე დამდგარა.

ტუსაღებს როგორც კი ეს ამბავი გაუგიათ, დაუმტვრევიათ ყველაფერი, რაც კი ხელთ მოხვედრიათ... შიმშილი გამოუცხადებიათ... ამიტომ ერეკებოდნენ თურმე სანახავად მოსულებს.

გააფთრებული დედა შვილის საფლავთან მიჭრილა, ზედ დამხობილა და დიდხანს გულმდუღარედ უტირია. მამას კი შვილის საფლავისათვის რკინის ნაჭერი ჩაურჭვია, რომ საფლავი არ დაკარგოდა. მეციხოვნეებს ჰგონებიათ ეს იმის ნიშანია, რომ მკვდრის მოპარვა უნდათ და მეფის ბატონობის პერიოდში აღარასოდეს მიუციათ თურმე საფლავის ნახვის ნება. მხოლოდ 1917 წელს მოუხერხებიათ საფლავის პოვნა. ამავე წელს დაუდვიათ ქვა, თეთრ მარმარილოს ფილაზე წარწერით „არსენა ჯორჯიაშვილი".

„თბილისის მუშათა კლასი თავის ერთ-ერთ საუკეთესო შვილს არსენა ჯორჯიაშვილს გამოეთხოვა სპეციალური პროკლამაციით. „1 მარტს თბილისის საგუბერნიო ციხეში, — ნათქვამია პროკლამაციაში, — ჩამოახრჩეს არსენა ჯორჯიაშვილი გენერალ გრიაზნოვის მოკვლისათვის. ძვირფასო არსენ, შენ დაგვანახე მაგალითი უმაღლესი თავგანწირვისა. შენ გმირულად შეხვდი სიკვდილს იმ დიდი საქმისათვის, რომელსაც დიდი ხანია ემსახურებოდი. შენ მოკვდი, მაგრამ შენი სახელი მარად იცოცხლებს ჩვენში. და როდესაც ყოველი რევოლუციონერი ისევე გაბედულად აღასრულებს თავის მოვალეობას, როდესაც თავისუფლებისათვის მებრძოლი არ შეუშინდება სიკვდილს, მაშინ, მხოლოდ მაშინ მოეღება ბოლო ძალმომრეობას და თავისუფლება აღმობრწყინდება თავისი მარადიული ელვარებით. მშვიდობით, ჩვენო თავგანწირულო ამხანაგო, მშვიდობით დაუვიწყარო არსენ!"

საინტერესო პროკლამაცია „არსენა ჯორჯიაშვილის სიკვდილის გამო" 1906 წლის ოცდაოთხ მარტს გამოსცა ჯარისკაცთა რევოლუციურმა კავშირმაც. პროკლამაცია გამსჭვალულია ცარიზმის სიძულვილით და ჯარისკაცებს უჩვენებს ჯორჯიაშვილის მიერ გადადგმული ნაბიჯის სამართლიანობას, უნერგავს მათ სინამდვილის სწორად დანახვისა და შეფასების უნარს. პროკლამაციაში ჩამოთვლილია ყველა ის ბოროტება, რომლებსაც გრიაზნოვი აყენებდა ხალხსა და ჯარისკაცებს.

„ჯორჯიაშვილი იბრძოდა სიმართლისათვის,— წერია პროკლამაციაში,—

... უნდოდა თუნდაც ოდნავ გაეუმჯობესებინა ხალხის ცხოვრება. მან დაინახა, რომ ისეთი გაიძვერები როგორიც არის გრიაზნოვი, ცხოვრობენ მხიარულად, ბედნიერად. მშრომელი, საწყალი ხალხი კი იტანჯება, მას არ შეეძლო აეტანა ყველა ეს უსამართლობა და მოკლა გრიაზნოვი“[1].

პროკლამაცია ხელიდან ხელში გადადიოდა ფარულად და ზრდიდა ჯარისკაცთა რევოლუციურ სულისკვეთებას.

მეფის მთავრობის მიერ სიკვდილით დასჯილი ლეგენდარული გმირის არსენა ჯორჯიაშვილის გმირობამ სახალხო აღიარება ჰპოვა. ხალხური ლექსების თემად იქცა მისი პიროვნება. ხალხურ სასიმღერო ჰანგებშიაც ახმიანდა ჯორჯიაშვილის გმირობის ქებათა-ქება. სახალხო გმირის უკვდავსაყოფად შეიქმნა დრამატურგიული ნაწარმოები. ს. შანშიაშვილისა და მუშა სცენისმოყვარის, დრამატურგის ი. გიგოშვილის მიერ დაიწერა პიესა „არსენა ჯორჯიაშვილი“, რომლის ხორცშესხმა პირველად მუშათა თეატრის სცენაზე ავლაბარში აისახა.

...წელს შესრულდა 1905-1907 წლის რევოლუციის 70 წლის თავი. ხოლო პირველ მარტს შესრულდა 70 წელი მას შემდეგ, რაც მეფის აგენტებმა ჩამოახრჩეს ჩვენი თანამემამულე რუსეთის რვოლუციის უშიშარი რაინდი. ასრულდა ის, რისთვისაც იბრძოდა და ჯერ კიდევ ახალგაზრდა სიცოცხლე შესწირა არსენამ: დღეს მისი ახლობლები, შთამომავალნი და თანასოფლელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავისუფლად და ბედნიერად ცხოვრობს. არსენა ჯორჯიაშვილს რევოლუციის უამრავ რაინდთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს. ჩვენმა პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასა არსენას გმირობა: თბილისის ცენტრში იმ ადგილას, სადაც არსენას ნატყორცნმა ყუმბარამ სიცოცხლეს გამოასალმა ხალხის ჯალათი გენერალი გრიაზნოვი, გმირის უკვდავსაყოფად არსენა ჯორჯიაშვილის ქუჩა ეწოდა, მის მშობლიურ სოფელს დიდ ენაგეთს ჯორჯიაშვილი დაერქვა, მის მოხუც მშობლებს კეთილმოწყობილი ბინა აუშენეს, სოფლის ცენტრს კი არსენას ვაჟკაცური ძეგლი ამშვენებს.

□□

მწერალი და დრამატურგი პოლიო ირეთელიც (პოლიექტოს კალანდაძე) როგორც დეკლამატორი აქტიურად გამოდიოდა ლიტერატურულ დილა-საღამოებზე.

---

1 ე. ლ. ჯ ო რ ჯ ი ა შ ვ ი ლ ი, „არსენა ჯორჯიაშვილი“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1967, გვ. 137-138.

1899 წელს პ. ირეთელს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში დაუწყია მუშაობა. 1901 წელს კი იგი თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს დაუპატიმრებია, ჩხრეკის დროს უპოვნიათ არალეგალურად გამოცემული წიგნები; ჟანდარმებს არც ის დარჩენიათ გაუგებელი, რომ იგი წერდა პროკლამაციებს, თარგმნიდა არალეგალურ წიგნებს. თავის ბინაზე მართავდა საიდუმლო კრებებს.

1903 წელს, პ. ირეთელი სამი წლით გადაუსახლებიათ აღმოსავლეთ ციმბირში (ირკუტსკის გუბერნია) პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ.

დევნას და გადასახლებას პ. ირეთელი მაინც ვერ გაუტეხია. მას კვლავ ნაყოფიერად განუგრძია მუშაობა მწერლობის სფეროში. უთარგმნია დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის „აღდგომა“. წიგნი პირველად გამოუციათ რევოლუციამდე, მეორედ კი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ წლებში.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, რეაქციის ხანაში პ. ირეთელს დაუწერია და 1908 წელს დაუდგმევინებია კიდეც თავისი პიესა „დამარცხებულნი“. ამ ნაწარმოებით მწერალი კვლავ მოუწოდებდა ხალხს ბრძოლისაკენ. მოქმედ გმირთა სიტყვებში ნათლად გამოთქმული იყო აზრი, რომ დროებითი მარცხი ბრძოლის წაგებას არ ნიშნავსო. ეს პიესა ხალხის საყვარელ ნაწარმოებად შეიქმნა. იგი მტკიცედ დამკვიდრდა სახალხო თეატრის რეპერტუარში, ხშირად იდგმებოდა როგორც ქართულ, ისე სომხურ ენებზე.

სახალხო თეატრების რეპერტუარში მტკიცედ შევიდა პ. ირეთლის მიერ ე. ნინოშვილის მოთხრობებიდან გადმოკეთებული „ქრისტინე“, „სოფლის გმირები“ („ჩვენი ქვეყნის რაინდის მიხედვით“) და სხვ.

1908 წელს პ. ირეთელს სხვებთან ერთად გამოუცია იუმორისტული ჟურნალი „შუამავალი“.

1911 წელს პ. ირეთელს თბილისში, ზუბალაშვილის სახლში დიდძალი ხალხის წინაშე მთავრობის საწინააღმდეგო მოთხრობა, „გლოვის ზარი“, წაუკითხავს, რისთვისაც მეფის ნაცვლის მოადგილეს პ. ირეთელი თბილისიდან და თბილისის მაზრიდან გადაუსახლებია სამხედრო წესების მოხსნამდე.

პ. ირეთელის კალამს ეკუთვნის მთელი ციკლი მოთხრობებისა, ორიგინალური კომედიები: „ბედნიერი დღე“, „შემოდგომის ბუზები“, „ოცნება“, „საზარელი ღამე“, „შურისძიება“, „გზაში“, გულის დარდები“, „გმინვა“, „ობოლი სამარე“ და სხვ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პ. ირეთელს თანამშრომლია „ტარტაროზში“, „ნიანგში“, „მნათობში“ და სხვა რედაქცი-

ებში. ზოგიერთი მისი ნაწარმოები უთარგმნიათ რუსულ, სომხურ და სხვა ენებზე.

1925 წელს თბილისში, რუსთაველის თეატრში პ. ირეთელისათვის გადაუხდიათ სამწერლო მოღვაწეობის 25 წლის აღმნიშვნელი იუბილე. პრესაში გამოქვეყნებულ ცნობაში საიუბილეო კომიტეტი წერდა: „იმ მრავალ მოღვაწეთა შორის, რომელნიც სიტყვით, საქმით, თუ მწერლობის საშუალებით ემსახურებოდნენ ხალხის გამოფხიზლებასა და განვითარებას, ღირსეული ღვაწლი აქვს შეტანილი საქართველოს სინამდვილეში ჩვენს დამსახურებულ მწერალსა და დრამატურგს პ. ირეთელს, რომელიც 25 წელიწადია, რაც სამწერლო ასპარეზზე გულწრფელად მოღვაწეობს; მას უგემნია ციხე, ციმბირი, პირადი ცხოვრების სიმწარე, ხელმოკლეობა, მაგრამ არასოდეს გადაუხვევია დანიშნული მიზნისათვის და დღევანდლამდე ეწევა თავის ხვედრ ჭაპანს მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ"[1].

„რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში, როცა ქართული მწერლობა მხარში ამოუდგა აჯანყებულ ხალხს, ივანე გომართელის წერილები ჟღერდნენ, როგორც მგზნებარე მოწოდებანი, მიმართულნი მეფის საძულველი ტირანიის დასამხობად; ბნელი რეაქციის წლებში ის თავგამოდებით ებრძვის დეკადენტურ ლიტერატურას, შთაუნერგავს მკითხველს ნათელი მომავლის რწმენას და იმედს, რომ რეაქციის თარეში ხანმოკლეა და ძველი სამყარო განწირულია ისტორიის მიერ, მას აუცილებელი დაღუპვა მოელის. ლიტერატურა, როგორც უკვე ვთქვით, საბრძოლო ტრიბუნად უქცევია და მისი უბრალო, მართალი სიტყვა მუდამ აუცდენელად მიდიოდა ხალხის გულამდე.

როგორც მებრძოლ პუბლიცისტს შეჰფერის, ივანე გომართელი გულდასმით ადევნებს თვალს ყოველი ახალი მწერლის გამოსვლას დიდ საქვეყნო ასპარეზზე, პირველი ნაწარმოების გამოქვეყნებისთანავე ეხმაურება და, თუ ახალგაზრდა მწერალი ამის ღირსია, ივანე გომართელი მისი გულმხურვალე დამცველი და მეგობარია, მისი მეგზურია, მისი დამრიგებელი, ის პირველი ეხმაურება ირ. ევდოშვილს, გიორგი ქუჩიშვილს, ნოე ჩხიკვაძეს, გალაკტიონ ტაბიძეს, იოსებ გრიშაშვილს და სხვათა გამოსვლას სამწერლო ასპარეზზე, გზას ულოცავს, რათა შეუდრეკლად ემსახურონ სამშობლოს, ხალხს"[1].

„ივანე გომართელი სამწერლო მოღვაწეობას იწყებს XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე, ე. ი. სწორედ იმ ხანებში, როცა ჩვენს საზოგადოებრივ აზ-

[1] ი ვ ა ნ ე გ ო მ ა რ თ ე ლ ი, რჩეული თხზულებანი, წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, გამომც. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1966, გვ. 8.

როვნებაში მარქსის დიადი მოძღვრება ფესვს მტკიცედ იკიდებს. ესაა დრო, როცა მოაზროვნეთა ახალ თაობას, გამსჭვალულს მარქსიზმის ყველა მოწინავე იდეებით, ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავს სამოციანელთა უძვირფასესი და კეთილშობილური ტრადიციები — მაღალი ჰუმანიზმი, უღრმესი პატრიოტიზმი, ბრძოლა ხალხის სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის, ბრძოლა დახავსებული მემამულურ-კაპიტალისტური სამყაროს დასანგრევად და ახლის, ადამიანისადმი სიყვარულზე დაფუძნებული წყობილების ასაგებად. ეს იყო მძაფრი იდეური გარდატეხის, აზრთა შეხლა-შემოხლის ეპოქა და ივანე გომართელი, როგორც ახალგაზრდა მარქსისტი-ლიტერატორი, სწორედ ამ ბრძოლის შუაგულში ტრიალებდა, როგორც ახლისთვის მებრძოლი, ყოველივე დახავსებულისა და დრომოჭმულის შეურიგებელი მოძულე. ეს ნათლად ატყვია მის ყოველ სტატიას, ყოველ ნაშრომს"[1].

ასევე რევოლუციურ ხასიათს ატარებს ი. გომართელის პიესები „ქოხში", „ძველი და ახალი თაობა", ანუ „წამხდარი სისხლი", „ექიმთან", „სადალაქოში" და სხვ., რომელიც მან სახალხო თეატრებისათვის შექმნა. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მუშა-სცენისმოყვარეთა შემოქმედებით საქმიანობაში და ხშირად გამოდიოდა ხელოვნების საკითხებზე მოხსენებით.

რაც შეეხება ი. გომართელის პიესას „ძველი და ახალი თაობა", ანუ „წამხდარი სისხლი" საცენზურო კომიტეტის მიერ სცენაზე დასადგმელად ნებადართული არ იყო. ამ პიესაში მთავარი მომქმედი პირია სტუდენტი არჩილი, რომელიც მოსკოვის უნივერსიტეტიდან არის დაბრუნებული, ძლიერ დიდ აგიტაციას ეწევა და გმობს იმდროინდელ წესწყობილებას, მას ებრძვის ძველი თავად-აზნაურობა. ერთი სიტყვით, პიესა დაწერილია თანამედროვე სოციალურ თემაზე.

დიდი წარმატებით იდგმებოდა მისი მეორე პიესაც „ქოხში". ეს რევოლუციური პიესა ხალხში დიდ აღფრთოვანებას იწვევდა. აქ მთავარი მოქმედი პირია დომენტი, რომელიც ქალაქიდან ჩადის თავის სოფელში და რევოლუციურ აგიტაციას ეწევა გურიის გლეხობაში. ეს პიესა ავლაბარში ხალხის თხოვნით ორჯერ თუ სამჯერ დაიდგა. ასევე წარმოუდგენიათ იგი ოპერის თეატრის სცენაზე ვ. აბაშიძის საბენეფისოდ.

□□

ასევე აქტიურად იყო ჩაბმული რევოლუციურ მოძრაობაში, ცნობილი რევოლუციონერი, მუშა პოეტი, მურაშკოსა და არაქსიანის სახალხო თეატრების

---

[1] ივანე გომართელი, რჩეული თხზულებანი, წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, გამომც. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1966, გვ. 9.

ძველი სცენისმოყვარეთა დასის საპატიო წევრი და მისი მუდმივი მოკარნახე მიხეილ გიორგის ძე ლელაშვილი.

იგი 1903 წელს მოვიდა ზემოხსენებულ თეატრებში და დიდი ენთუზიაზმით ჩაება სასცენო ცხოვრებაში. მსახიობობასთან ერთად იგი აქტიურად იღებდა მონაწილეობას დივერტისმენტებში. გამოდიოდა აუდიტორიების წინაშე თავისი რევოლუციური ლექსებით და ნამდვილი რევოლუციური შემართებით მოუწოდებდა ხალხს ერთობისაკენ. იგი საქმის სიყვარულით აღანთებდა მშრომელთა გულებს. მან იცოდა, რომ მუშა დიდი ძალა იყო, მთავარი ძარღვი რევოლუციური არმიის შესაქმნელად, რომ მუშათა და გლეხთა კავშირი შეარყევდა მეფის ტახტს...

როგორც თეატრალურ მუზეუმში დაცული აფიშები გვამცნობს, მ. ლელაშვილს ხშირად მიუღია მონაწილეობა სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში. დ. ერისთავის პიესა „სამშობლოში“ როინ ამირაჯიბის როლი შეუსრულებია, ოსტროვსკის „უდანაშაულოდ დამნაშავენში“ შმაგას როლი უნდა ეთამაშა, მაგრამ რეჟისორ ი. იმედაშვილის დაპატიმრების გამო პიესა ვეღარ დადგმულა და მ. ლელაშვილს „შმაგა“ თავის ლიტერატურულ ფსევდონიმად აურჩევია. ხშირად სცენაზე მამასთან ერთად სპექტაკლებში მიუღია მონაწილეობა თავის ქალიშვილს მარიამს. ქალიშვილის გარდა მიხეილს სცენიმოყვარეთა წრეში მუშაობისას დიდ დახმარებას უწევდა მეუღლე. იგი ტანსაცმელს უკერავდა სცენისმოყვარეებს, საკუთარი სახსრებით იძენდა სცენისათვის საჭირო ნივთებს.

ამ პერიოდში მუშა-პოეტი, მ. ლელაშვილი მსახიობობის პარალელურად სამწერლო მოღვაწეობასაც ეწევა. თავის პროზაულ ნაწარმოებებში დიდ ადგილს უთმობს პიესებს, რომლებშიაც ავტორი გულმხურვალე მომხმარეა ერთობის, სოციალ-დემოკრატებს უჭერს მხარს, მისი მოწინააღმდეგენი კი ყოველთვის გამასხარავებული, დამცირებული გამოჰყავს: „მინასას ამბავი“, „საქულას საიდუმლო“, „უპასპორტო“, „ქალი გამომიცვალეს“, „დახლიდარი და ხაზეინი“, ერთმოქმედებიანი პიესა „ალიაქოთი“ და სხვ.

მ. ლელაშვილს რამდენიმე სცენა მიუძღვნია აგრეთვე თავის მეგობარ სცენისმოყვარეთათვის. ი. გრიშაშვილისათვის „კინტო მიტო“, ნ. გოცირიძისათვის „გაძარცული“, ხოლო გ. გელიკურაშვილისათვის „რა მიქარვა მომივიდა!“

ცნობილი რევოლუციონერი მ. ლელაშვილი დაიბადა თბილისში, ხელოსნის ოჯახში. მამამისი, გიორგი, პატიოსანი, გამრჯე გლეხი, მებატონის უსამართლობას გამოქცევია კასპის რაიონის სოფელ ხოვლიდან და დურგლად მოწყობილა ენფიანჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაში, გაჭირვებამ მცირეწლოვანი შვილებიც მოაყვანინა ფაბრიკაში სამუშაოდ. აქვე უმუშავია გიორგის ძმის ცოლს, ნატალია საგინაშვილ-ლელაშვილს, შემდეგში ცნობილ რევოლუციონერ ქალს,

რომელსაც დედ-მამით ადრე დაობლებული მიხეილი საკუთარი შვილივით გაუზრდია. ნ. ლელაშვილის ოჯახს დიდი როლი შეუსრულებია რუსეთის პირველი რევოლუციის დროს თბილისის პროლეტარიატის ბრძოლის საქმეში. მისი ვაჟიშვილები გიგო და ისაკა გამოჩენილი რევოლუციონერები იყვნენ. გიგო, როგორც მგზნებარე რევოლუციონერი და ავლაბრის არალეგალური სტამბის უშუალო ორგანიზატორი მეფის მთავრობის მიერ მრავალჯერ ყოფილა დაპატიმრებული და გაცამბირებული. მას ბაქოდან ჩამოუტანია სწრაფმბეჭდავი მანქანა, თვითონვე დაუბეჭდია და გაუვრცელებია რევოლუციური ლიტერატურა.

რევოლუციური ბრძოლის ატმოსფეროში გაუტარებია მ. ლელაშვილს თავისი ბავშვობა და ყრმობა. მის ნათელ გონებას გაურჩევია ავი და კარგი, მტყუანი და მართალი, ჩასწვდომია რევოლუციური ბრძოლის არსს. ჭაბუკი მიხეილი გამსჭვალულა არსებული წყობილების მიმართ სიძულვილით, რევოლუციური იდეებით გაჟღენთილს, ენფინჯიანცის ფაბრიკის მუშები აუჯანყებია მეპატრონის წინააღმდეგ, გაფიცვების ინიციატორი კი ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ყოფილა. მას ახალგაზრდობაშივე აურჩევია ერთ-ერთი გზა—გზა შეურიგებელი და სამართლიანი ბრძოლისა გაბატონებული კლასის წინააღმდეგ. შემდგომშიც მთელი მისი ცხოვრება ამ ნათელ მიზანს ემსახურებოდა. მუდამ მხარში ედგა გიგოსა და ისაკს, ეხმარებოდა არალეგალური ლიტერატურის დაბეჭდვასა და მის გავრცელებაში.

როგორც ძველი სცენისმოყვარის, ასოთამწყობისა და რედაქტორ-გამომცემლის დავით მელაშვილის მოგონებიდან ვიგებთ, მას ხშირად ხვდებოდნენ იმედაშვილის წიგნის მაღაზიაში. იქ შეკრებილი კალმოსნები, მუშა-მწერლების, მათ შორის მ. ლელაშვილის ნაწერებს იხილავდნენ. აქვე გაუცვნია მას ი. ბ. სტალინი.

ქარხანაში მუშაობასთან ერთად მ. ლელაშვილი აქტიურად ყოფილა ჩაბმული საბავშვო ჟურნალებში, როგორიც არის: „ჯეჯილი“, „ნაკადული“, სატირულ-იუმორისტულ ჟურნალებში: „მათრახი“, „ჯოჯოხეთი“, „სალამური“ და „ეშმაკის მათრახი“.

1890 წელს დაუწყია ჟურნალ „ჯეჯილს“ გამოსვლა, ხოლო 1892 წლიდან მ. ლელაშვილი მისი აქტიური წევრი გამხდარა. ამ დღიდან მოყოლებული თითქმის არ გამოსულა „ჯეჯილის“ ნომერი, რომელშიაც მ. ლელაშვილის ნაწარმოები არ დაბეჭდილიყო. 1899 წელს, ჟურნალის 10 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით დეკემბრის ნომრის გარეკანზე მოთავსებულ სურათში აქტიურ თანამშრომელთა შორის აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის, გიორგი წერეთლის, შიო მღვიმელის, თედო რაზიკაშვილისა და სხვა დიდ მოამაგეთა გვერდით საპატიო ადგილი მ. ლელაშვილსაც ეჭირა.

1913 წლიდან კი მისი რედაქტორობით საზოგადოებრივ-ლიტერატურულ, სატირულ-იუმორისტულ ჟურნალსაც დაუწყია გამოსვლა.

საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივის 17-ე ფონდის № 7677 საქმეში შემონახული მასალებიდან ირკვევა, თუ რა ძნელი ყოფილა იმ დროს ჟურნალ-გაზეთების გამოცემა და როგორ ძნელად მიუღია მ. ლელაშვილს 1913 წლის 1 ივნისს, „სუსხის“ წინამორბედის, „ჰინჭრის“ პირველი ნომრის გამოცემის ნებართვა-მოწმობა. № 1850, რომლის პირველი ნომერი 1913 წლის 15 ოქტომბერს გამოსულა.

„თუ რა მიმართულება ჰქონდა ამ ჟურნალს ეს ნათელი იყო მის პირველ გვერდზე მოთავსებული სარედაქციო წერილებიდან: „ჟურნალი „ჰინჭარი“ დღეიდან ყოველკვირეულად გამოვა, თუ რაიმე დამოუკიდებელი გარემოება არ შეუშლის ხელს.

ბევრი ჟურნალი გვინახავს ჩვენს დროში დიდის რიხით გამოსული, რომელსაც მალე წაუღია წიგნი არდაბრუნდის ქვეყანაში და ბევრსაც ვნახავთ, ჩვენ ეს არ გვიკვირს, რადგან ვიცით თუ რა ძნელია დღევანდელ პირობებში ქართული ჟურნალის გამოცემა, რომელსაც არც განცხადებები მოეპოვება და არც ხელისმომწერნი, რომ რამოდენიმე წელიწადს ზარალი არ ნახოს და ხარჯი დაჰფაროს.

დიაღ, ჩვენ ეს კარგად ვიცით, მაგრამ ისიც კარგად ვიცით თუ რაგვარი ჟურნალი უფრო იარსებებს და რომელია აუცილებლად საჭირო ამ წამხდარ დროში მშრომელი ხალხისათვის, სოფლის მუშა გლეხობისათვის.

დღეს ისე გაძნელდა ცხოვრება დაბასოფლებში თუ ქალაქებში, რომ ბევრი უსინდისო გაიძვერები ყოველ სისაძაგლეს სჩადიან. დღეს ბევრი ისეთ რამეს კადრულობს, რასაც ძველ დროში არავინ იკადრებდა. ლამის არის აიკლონ ქვეყანა ამ ზნედაცემულებმა თავისი სიბოროტით, მათ ზურგის გამმაგრებელნიც ბევრი ჰყავდა და დამცველებიც, ხოლო ნამდვილი ადამიანი და ალალმართალი მშრომელი მუდამ დაჩაგრულია და შიმშილით იხოცება![1]...

რედაქტორი მ. ლელაშვილი წინასწარ გრძნობდა, რომ უსამართლოების კლანჭი არც მას ასცდებოდა და ჟურნალს საჩქაროდ სახელს უცვლის და „სუსხს“ არქმევს.

„სუსხის“ პირველივე ნომრის პირველივე გვერდიდან გვამცნობს რედაქტორი, თუ ხალხისათვის რა გულწრფელი სამსახურის გაწევა სურთ ჟურნალის მესვეურთ: „დღეიდან იწყებს გამოსვლას ყოველკვირეული სალიტერატურო,

---

[1] მ. ლელაშვილი, ლექსები და პოემები, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1972, გვ. 196-197.

კარიკატურებიანი ჟურნალი, „სუსხი“, რომელსაც მიზნად დასახული აქვს შეძლებისდაგვარად ხალხისადმი გულწრფელი სამსახური.

„სუსხი“ იქნება უბოროტო დამცინავი, მაგრამ ამავე დროს გულმტკივნეულობის ხუმრობით დაუწყებს ოხუნჯობას იმ პირთ, რომელთაც აურჩევიათ უკულმართი გზა და შეუთვისებიათ მავნე ზნე-ჩვეულებები.

„სუსხი“ იქნება საზოგადოებაში ნანახი ცუდი მხარეების სასაცილოდ ამდები. ანგარიშს გაუწევს ჩვენი ცხოვრების ჭირ-ვარამს და ავ-კარგს, მაგრამ სრულიად მოერიდება ყოველგვარ ცალმხრივობასა და მიკერძოებას. „სუსხი“ დაუმეგობრდება იმ შრომელ ხალხს, ვისაც ყველა ატყუებს, ყველა ძარცვავს, ჩაგრავს და თავში უფაჩუნებს. ძარცვავს მემამულე, ატყუებს ვაჭარი და სჩაგრავს ბატონი.

„სუსხი“ ბევრს აატირებს და ბევრსაც გააცინებს, მაგრამ ამ ცრემლებს შორის იქნება სიცილი, ხოლო სიცილში — სიმწარე.

აი, ეს იქნება მთავარი უპირველესი მიმართულება ჩვენი ჟურნალისა“[1].

მართალია სარედაქციო წერილებში ნათქვამი ყოფილა, რომ თითქოს ჟურნალი არ შეეხებოდა პოლიტიკას, მაგრამ ეს ასე არ იყო. ამით რედაქტორს სურდა თვალი აეხვია ცენზურისათვის და შემდეგ თვითონ იცოდა, რასაც მოიმოქმედებდა, მით უფრო როცა მას მხარში ედგნენ ისეთი მახვილკალმოსნები, როგორებიც იყვნენ: ვაჟა, გ. ლეონიძე, ს. შანშიაშვილი, მუშა მწერლები: ან. განჯისკარელი, ალ. საჩინოელი, ვ. რუხაძე, ნოშრევანიძე და სხვები.

900-იან წლებში სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა მუშათა კლასის ბრძოლა მეფის მთავრობის წინააღმდეგ. დაიწყო მუშათა გაფიცვები და აჯანყებები რუსეთში.

„ცარიზმი ცდილობდა, დათმობებითა და დაპირებებით ჩამოეშორებინა ხალხი რევოლუციური ბრძოლისათვის. 1905 წლის 6 ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა მოსკოვში თვითმპყრობელობას დამხობას უქადდა. რევოლუცია სულ უფრო მეტ გაქანებას იღებდა. დამფრთხალმა მეფის მთავრობამ 17 ოქტომბერს გამოსცა მანიფესტი, რომლითაც გამოაცხადა სიტყვის, პრესის, პიროვნების თავისუფლება, მაგრამ ეს მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. სინამდვილეში კი — გამომცემელი წინასწარ ხელწერილს სდებდა ბეჭდვით სიტყვის კომიტეტში, რომ თავისი გამოცემის ფურცლებზე არაფერი არ დაებეჭდა მეფისა და სამეფო კარის შესახებ, და საერთოდ, არ გამოვიდოდა მეფის მთავრობის საწინააღმდეგო წერილები“[2].

---

[1] მ. ლელაშვილი „ლექსები და პოემები“. გამომც. „საბჭოთა საქართველო“. 1972, გვ. 197.

[2] იქვე გვ. 197.

არა მარტო „სუსხის" ფურცლებზე იბეჭდებოდა ასეთი მოწოდება-პროკლამაციები, არამედ „სუსხის" წინამორბედი ჟურნალებიც არ ყოფილა მოკლებული პოლიტიკური სატირის სიმახვილეს. რედაქტორი მ. ლელაშვილი რეგულარულად თუ არა რეგულარულად ილაშქრებდა მეფის მკაცრი რეჟიმის წინააღმდეგ.

„1914 წლის 2 იანვარს თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს. პოლკოვნიკ პასტრულინს თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორ გრიმოვისათვის მიუწერია: „1913 წლის 25 დეკემბერს ქართული სატირულ-იუმორისტული ჟურნალის — „სუსხის" მეოთხე ნომრის მეექვსე გვერდზე „ნაპოლეონის" ხელმოწერით დაბეჭდილია სტატია „მეთაურები". გიგზავნით მის თარგმანს და გთხოვთ, გვაცნობოთ თქვენი დასკვნა სტატიის შინაარსის შესახებ". ამავე წლის 12 იანვარს თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს მიუღია თბილისის საქალაქო სასამართლოს პროკურორის პასუხი: „თქვენს მიერ გადმოგზავნილ სტატიაში, „მეთაურები", აღინიშნება ისეთი დანაშაული, რომელიც ისჯება სისხლის სამართლის 129-ე მუხლის პირველი ნაწილით.

სისხლის სამართლის 129-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებდა დამნაშავეთა სამუდამო გადასახლებას. ამ მუხლით ისჯებოდნენ სახელმწიფო წესწყობილების წინააღმდეგ ხალხის ამმხედრებლები"[1].

თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოში სასწრაფოდ შექმნილა საქმე სატირულ-იუმორისტულ ჟურნალ „სუსხის" რედაქტორზე — მიხეილ გიორგის ძე ლელაშვილზე.

ამ დოკუმენტით მეფის „ოხრანკას" საბოლოოდ მისცემია საბაბი დაეპატიმრებინა გამოჩენილი რევოლუციონერი, მუშა-პოეტი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ გიორგის ძე ლელაშვილი, რომელსაც ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე თავისი გაბედული და შეუპოვარი გამოსვლებით დიდი ხანია მოსვენება წაურთმევია მეფის ტახტის მსახურთათვის.

იმის საილუსტრაციოდ თუ რა გაბედულება გამოუჩენია მ. ლელაშვილს, მთლიანად მოგვყავს ჟურნალ „სუსხის" მეოთხე ნომრიდან ის მოწოდება, რასაც მებრძოლი რედაქტორი სამუდამოდ დაუღუპავს. „...მთავრობამ ვერაგულად უმუხთლა პროლეტარიატს. როგორც ქათმებს საკენკი გადაუყარო და მოიტყუო, ისე მან 17 ოქტომბრის მანიფესტით ჯერ მიგვიტყუა და მერე გვიმუხთლა, მარჯვენა ხელით მიცემული თავისუფლება მარცხენა ხელით წაგვართვა.

---

[1] მ. ლელაშვილი, ლექსები და პოემები, გამომც. „საბჭოთა საქართველო", 1972, 190.

მაშ, ძირს მატყუარები! გაუმარჯოს მთელი რუსეთისა და დედამიწის ზურგზე გაბნეულ პროლეტარიატს!.. ძირს!“[2].

„ჭინჭრის“ მერვე ნომერში მ. ლელაშვილს აშკარად გაულაშქრია მეფის კონსტიტუციის წინააღმდეგ. ჟურნალის პირველ გვერდზე მოუთავსებია კარიკატურა ფრთიანი „კაც-ეშმაკისა“, რომელსაც კალთაზე „კონსტიტუცია“ ეწერა. „კაც-ეშმაკი“ ცალი ხელით ყურს უწევდა რედაქტორს, ხოლო მეორე ხელის ბრჭყალებით გაზეთების შეკვრის აღებას ცდილობდა. იქვე მდგარან შეიარაღებული ჯარისკაცები. კარიკატურის ქვეშ მიწერილი ყოფილა ლექსი სათაურით, „პრესის თავისუფლება და რედაქტორის გასაჭირი“.

ჩვენი დროის რედაქტორებს,
დაავლებენ კლანჭებს, ტორებს!
დახრჩობას რომ გადაურჩნენ,
ციხეს არვინ აშორებს!

პრესა უდიდეს საშუალებას წარმოადგენდა მუშების განვითარებისა და გათვითცნობიერების, მათი თვითშეგნების ამაღლების საქმეში. ორატორებს ისეთი დიდი აგიტაციის გაწევა ვერ შეეძლო მშრომელების უფლებების დაცვის საქმეში, როგორც ლექსს, მოთხრობას, თუ პუბლიცისტურ წერილებს. რევოლუციონერი მწერლები მოუწოდებდნენ მუშებსა და გლეხებს, რომ სიჩუმითა და სიმშვიდით ძნელი იყო საარსებო წყაროს მოპოება, საჭირო იყო ბრძოლა მედგარი და შეუპოვარი.

„არც მიხეილ ლელაშვილს დაუგვიანია. იგი მთელი პოლიტიკური ცხოვრების კურსში იყო და იცოდა, რა უფრო მოეცხებოდა მალამოდ გულზე მშრომელ ხალხს. გაამახვილა სატირა, იუმორს ამოეფარა. მან მოურიდებლად ამცნო მკითხველებს 1905 წლის 17 ოქტომბრის მანიფესტის სიყალბე. მძიმე სასჯელის აშორებისა და ამხანაგების დაფარვის მიზნით, მიხეილ ლელაშვილი ცდილობს მიამიტად მოაჩვენოს თავი მართლმსაჯულებას, შეკითხვებზე გულუბრყვილო პასუხებს იძლევა. გადაჭრით ამბობს უარს „ნაპოლეონის“ ვინაობის გამხელაზე. როგორც არ უნდა დასაჯონ, განა გასთქვამს ამხანაგებს? განა მოახსენებს ჟანდარმერიას, რომ სტატია დაბეჭდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის დავალებით და ამით საფრთხეში ჩაიგდო თავი და ამასთან საკუთარი ოჯახიც.

რამდენად შეუპოვარი და შეუდრეკელი უნდა იყოს კაცი, რომელსაც მიყენებული აქვს სამუდამო გადასახლების მუხლი „მძიმე დანაშაულისათვის“, ის კი ასე აუბრალოებს თავის თავდასხმას მეფის პოლიტიკაზე და იქით ედავება მართლმსაჯულების მსახურთ — ჩემი მოწმობა მომეცითო. რედაქტორი არ

[2] იქვე.

აპირებს ფარ-ხმლის დაყრას. მას ისევ სჭირდება მოწმობა, რომ განაგრძოს ჟურნალის გამოცემა. და მართლაც, დაპატიმრებამდე მაინც მოასწრო „სუსხის“ 5 ნომრის გამოცემა. გასაციმბირებლად განწირულ ოჯახთან კავშირის დაჭერას ბევრი ერიდება, პოლიტიკურად არასაიმედო კაცის ბინას ხომ მუდმივად უთვალთვალებს პოლიცია[1]".

რედაქტორ მ. ლელაშვილის გამბედაობასა და შეუდრეკელობაზე მეტყველებენ ის კარიკატურები, რომელიც ჟურნალებშია მოთავსებული. ჟურნალის გარშემო რედაქტორს მოუწვევია ისეთი ცნობილი კარიკატურისტები, როგორიც იყვნენ შმერლინგი, გ. ზაზიაშვილი, ი. ქიქოძე და ს. შანშიაშვილი, რომელთაც ტექსტთან ერთად კარიკატურებიც მიჰქონდათ რედაქციაში.

მ. ლელაშვილი, როგორც მუშა, მოქალაქე და მწერალი მეგობრული ურთიერთობით ყოფილა დაკავშირებული იმ დროის გამოჩენილ ადამიანებთან. ახლო ამხანაგურ და ნათესაურ დამოკიდებულებაში ყოფილა ი. იმედაშვილთან და ი. გრიშაშვილთან, აიდიალებდა აკაკის, მას თავის მასწავლებლად თვლიდა. მეგობრული ურთიერთობა ჰქონია ვაჟასთან, თ. სახოკიასთან, შ. მღვიმელთან, ს. შანშიაშვილთან, ს. ერთაწმინდელთან, მუშა პოეტებთან: ვ. რუხაძესთან, ნოშრევანიძესთან (მერკვილაძე), ალ. საჩინოელთან, პ. გუჯაბიძესთან, ან. განჯისკარელთან, სცენის მოყვარეებთან, უბრალო მუშა-ხალხთან. ამიტომ იყო, რომ მებრძოლ ამხანაგებს, თანამოკალმეებს და სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებს არ ეშინოდათ საფრთხის და გვერდში ედგნენ პატიმარსა და მის ოჯახს. მ. ლელაშვილის გადასარჩენად შექმნილი რამდენიმე სხვადასხვა ვარიანტიდან გაუმარჯვია ი. იმედაშვილის, ი. გრიშაშვილისა და მ. ლელაშვილის აზრს. მათ კავშირი დაუმყარებიათ პროგრესულად მოაზროვნე ქალაქის მთავარ ექიმთან მ. გედევანიშვილთან. გადაუწყვეტიათ, რომ მ. ლელაშვილი თავს მოიგიჟიანებდა, რასაც ქალაქის ექიმი მ. გედევანიშვილი დაუდასტურებდა.

ოთხკედელში ჩაუმწყვდევიათ რედაქტორის მებრძოლი სული... მას აქაც გაუგრძელებია თავისი ლიტერატურული საქმიანობა. აქ დაწერილ ლექსებს, იუმორისტულ ნაწარმოებებს თუ პუბლიცისტურ წერილებს იგი უგზავნის თავის მეგობარს, „ლახტის“ რედაქტორს დ. მელაშვილს. ჟურნალში დაუბეჭდიათ აგრეთვე მ. ლელაშვილის სურათი და ცნობა მისი ავადმყოფობის შესახებ. აი რას წერს „ლახტი“ ამ ცნობაში: „1892 წლიდან ქარხნის ხელოსანმა მუშამ, დაიწყო ხალხური ლექსების წერა ჟურნალ „ჯეჯილში“ და სხვა პერიო-

[1] მ. ლელაშვილი, ლექსები და პოემები, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1972, გვ. 192.

დულ გამოცემებში. ამჟამად დაავადმყოფებულია და დიდ გაჭირვებას განიცდის ნივთიერის მხრივ, მაგრამ ყურისმგდებელი კი არავინ ყავს და უპატრონოდ, მშიერ-მწყურვალი და დაავადებული ღვთის ანაბარად არის მიტოვებული“[1].

საავადმყოფოში ყოფნისას დაუწერია აგრეთვე პოემები „ნოშრევანი“ და „მამის სიყვარული“, მრავალი ლექსი, შარადა, გამოცანა და ანაგრამა. აქ დაწერილი ლექსებისათვის მ. ღელაშვილს „საავადმყოფოს დღიურები“ უწოდებია, ხოლო სულით ავადმყოფთა განყოფილებისათვის კი „ეშმაკის სამოთხე“.

მოსყიდული აგენტებიდან ერთ-ერთ სულმდაბალს მ. ღელაშვილი გაუცია, ჭკვიანი, საავადმყოფოში გიჟის ნიღაბს ეფარებაო. თბილისის პოლიცმაისტერს სასწრაფო პასუხი მოუთხოვია მეცხრე უბნის ბოქაულისათვის, რათა დაუყოვნებლივ ეცნობებია, თუ რა საქმეზე და ვისი დადგენილებით იმყოფებოდა მ. ღელაშვილი მიხეილის საავადმყოფოში. ხოლო 10 აპრილს ახალი ბრძანება გაუცია იმავე ბოქაულისათვის, დაუყოვნებლივ გაენთავისუფლებინა სულით ავადმყოფთა განყოფილებიდან მ. ღელაშვილი და დაექვემდებარებინა პოლიციის ზედამხედველობისათვის. 12 აპრილს გამოუწერიათ საავადმოფოდან და ჩაუბარებიათ პოლიციისათვის.

28 აპრილისათვის დაუნიშნავთ სასამართლო, მაგრამ ვინ მიაღწევინა რედაქტორს სასამართლომდე? გაუთავებელმა დაკითხვებმა, ცემა-წამებამ უდროოდ იმსხვერპლა ჯერ კიდევ სიცოცხლით აღსავსე, ცხოვრებას მოწყურებული, მეამბოხე ადამიანი.

პროკურორის კანცელარიის განაწესის ყდაზე ეწერა: 28 апреля отложено, ввиду неявки обвиняемого по болезни» მხოლოდ 2 მაისს უცნობებიათ მისი სიკვდილი საზოგადოებისათვის. აქაც ერთგული მეგობრების ი. იმედაშვილის, ი. გრიშაშვილის, ექიმ მ. გედევანიშვილისა, ბიძაშვილების ი. და გ. ღელაშვილების, სიძის—ე. ჩომახიძისა და სხვათა დახმარებით დიდი მოლაპარაკებისა და ქრთამის გაღებით მგოსნის ცხედარი საკუთარ ჰერქვეშ დაუსვენებიათ და ქრისტიანული წესით სამარისათვის მიუბარებიათ.

სასამართლოს პალატის წევრს მ. ე. გეგიძეს 15 ივნისს მ. ღელაშვილის გარდაცვალება სასამართლოსათვის მოუხსენებია. სასამართლო პალატის 15 ივნისის გადაწყვეტილებით მისი საქმე წარმოებით შეწყვეტილა. სასამართლო საქმეში ისე ჩაუწერიათ, თითქოს თავისი დღით მომკვდარა იგი.

28 აგვისტოს გაურჩევიათ საქმე და სასამართლოს ასეთი განაჩენი გამო-

[1] მ. ღ ე ლ ა შ ვ ი ლ ი. ლექსები და წერილები. გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1972, გვ. 193.

უტანია: „ჟურნალ „სუსხის“ 1913 წლის 25 ნოემბრის მე-4-ე ნომერი 154 ეგზემპლარის რაოდენობით განადგურდეს, თვით ამ ჟურნალის გამოცემა შეწყდეს სამუდამოდ სჯულდების 1045 მუხლის საფუძველზე. განაჩენს ამოწმებს სასამართლოს მდივნის მოვალეობის შემსრულებელი ა. სტრუკოვი“[1].

ოჯახთან ერთად ქართულ პრესას დიდი მწუხარებით უცნობებია მკითხველებისათვის პოეტის სიკვდილი. „ახალი ამბავი: გუშინ დილით, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მიხეილ ლელაშვილი. იგი ცნობილია, როგორც მუშა-მწერალი. მ. ლელაშვილი თამბაქოს ქარხანაში მუშაობდა დიდხანს და ამავე დროს თანამშრომლობდა დაარსებიდანვე საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილში“ და სხვებში. აგრეთვე იღებდა მონაწილეობას, როგორც სცენისმოყვარე, სახალხო სცენებზე. უკანასკნელ ხანებში მისი რედაქტორობით გამოდიოდა იუმორისტული ჟურნალი „სუსხი“[2].

ჟურნალ „თეატრ და ცხოვრებაში“ ი. იმედაშვილმა ი. არიმათიელის ფსევდონიმით გამოაქვეყანა ნეკროლოგი: „მეტად ცუდ პირობებში მოუხდა ცხოვრება, სიცოცხლე და სიკვდილი“...

არავინ იყო მისი მზრუნველი! შვიდი წლისამ ენფენჯიანცის ქარხანაში დაიწყო მუშაობა. ანბანი ძალუასაგან ისწავლა. კითხვა—ვაგონებზე წიგნებს თვისით დაეწაფა, ლექსების წერას შეუდგა და საბავშვო ჟურნალების ერთი მუდმივი თანამშრომელთაგანი შეიქმნა.

სწერდა ლექსებს, აკროსტიხებს, შარადებს, ანდაზა-გამოცანებს... და მუშა, მუშათა სულისა და გულის მცოდნე, მუშებს — მდაბიო ხალხს მწიგნობრობას აზიარებდა, კითხვის სურვილს უღვიძებდა, თვითგანვითარებისაკენ მიუთითებდა....

1903 წლიდან სახალხო სცენაზედაც მონაწილეობდა.

1913 წელს მისი რედაქტორობით გამოდიოდა საოხუნჯო ჟურნალი „ჰინ-ჰარი“ (თვითონ სწერდა „შმაგას“ და სხ. ფსევდონიმებით), 1914 წელს გამოსცა ასეთივე ჟურნალი „სუსხი“, რომელიც მეცხრე ნომერზე შეაჩერა მართებულობამ, ხოლო მუშა-რედაქტორი საწერლო საქმის ვაჭრო სამართალში მისცა 129 მუხლის ძალით.

ამავე წლის აპრილის 27-ში ღამით უწყება ჩააბარეს — ხვალ, 28-ში სასამართლოს წარუდექიო...

მაგრამ ბედკრულმა მუშა-მწერალმა დაასწრო: სასამართლოს კი არა, სიკვდილს წარუდგა: 2 მაისს სული განუტევა...

[1] მ. ლელაშვილი, ლექსები და პოემები. გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1972, გვ. 94.

[2] იქვე, გვ. 194.

და ის, ვინც თავისი შეძენილი ცოდნით, წრფელი გულით მოზარდი თაობისა და მდაბიო ხალხის გათვითცნობიერებას ემსახურებოდა, გარდაიცვალა დიდს სიღარიბეში, დიდთაგან შეუწყნარებელი, თითქმის ყველასაგან მიტოვებული. თითო-ოროლა მეგობარ-მუშის თანაგრძნობით...

მძიმე და აუტანელია ქართველი მწიგნობრის ცხოვრება!.. მაგრამ დადგება დრო და მასაც მოიგონებენ“[1] და მართლაც „ეს დრო დიდიხანია დადგა, დღეს მადლიერი შთამომავალნი პატივისცემით იგონებენ და სიყვარულის შარავანდედით მოსავენ თავიანთ ღირსეულ წინაპართ, რომელთაც მთელი თავიანთი სიცოცხლე მიუძღვნეს მონობისაგან ხალხის განთავისუფლების წმიდათაწმიდა საქმეს. ასეთ წინაპართა რიცხვს ეკუთვნოდა მიხეილ ლელაშვილი“. მ. ლელაშვილს ლექსების უმეტესი ნაწილი ფსევდონიმებით აქვს გამოქვეყნებული „მ. ლ.“, „მიშო“, „ვერელი მიშა“, „მეპაპიროზე“, „შმაგა“ და სხვ. ხოლო მისი თანამედროვეთა გადმოცემით იგი წერდა „ჭინჭრის“, „ეშმაკის“, „ნევსის წვერის“, „მუნდშტუკის“, „ბულბულის“, „იადონის“ ფსევდონიმებით, მაგრამ მისი საყვარელი ფსევდონიმი „შმაგა“ ყოფილა.

მ. ლელაშვილი თავის შემოქმედებაში დიდი სიმძაფრით ხატავს კლასობრივ წინააღმდეგობას, მშრომელთა სიდუხჭირეს და ხალხს მოუწოდებს განმათავისუფლებელი ბრძოლისაკენ.

ამაღელვებლად აქვს დაწერილი პოეტს ლექსები: „ამხანაგებს“, „ქარხნის მუშებს“, „მენახშირეს“. „მეცხვარეს“ და სხვ.

მისი ლექსების გმირები უბრალო, მშრომელი ადამიანებია, რომლებიც ერთობას შენატრიან:

ვენაცვალე ერთობას,
ის არჩევდა ყველასა.
რაც წაგვართვეს, მას იქით
ვერვისა ვთხოვ შველასა.

(„მ ე ნ ა ხ შ ი რ ე“).

მეხი დაეცეს მეცხვარეს,
რომ არ პატრონობს ცხვარსაო.
ცეცხლიცა წაჰკიდებია
იმის სახლსა და კარსაო.

(„მ ე ც ხ ვ ა რ ე“).

---

[1] მ. ლ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ლექსები და პოემები, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1972, გვ. 15.

ეგ მართალია, მეცა მწამს,
სიმართლე აღორძინდება.
შავი ღრუბლები გაივლის,
მზე ტურფად ამობრუნდება.

(„აჭრელებული ქვეყანა“).

დაჩაგრულებს ვესარჩლები,
ამ საქმეში არ ვარ ზანტი
თუმცა კია ბევრი მირჩევს:
ნუ ხარ, ძმაო, პროტესტანტი!

(„პროტესტანტი“)

„ხალხის წიაღისეული რევოლუციური პოეზია ცხრაასიანი წლების პირველი რევოლუციის, მისი სამზადისის, მისი აფეთქების და რეაქციის ეპოქის ნაყოფია საქართველოში. მას სასიცოცხლო სული ჯერ დიდი ილიასა და აკაკის მძლავრმა დემოკრატიულმა იდეებმა ჩაჰბერეს, შემდეგ კი იროდიონ ევდოშვილის ცეცხლოვანმა სტრიქონებმა. „ძირს“ და „წინ, წინ“ — აი, ამ პოეზიის პირველილოზუნგები, რომლებიც ისევე აჟღერდნენ, როგორც მთელი იმ საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოძრაობის ლოზუნგები, მთელი რუსეთის იმპერია ცხრაასიანი წლების დასაწყისშივე რომ შესძრა.

მ. ლელაშვილი ამ ეპოქის ღვიძლი შვილია, ამ ლიტერატურის ტიპიური წარმომადგენელი, კაცი, რომლისთვისაც მხატვრული სიტყვა მხოლოდ იარაღი იყო პრაქტიკულ, რევოლუციურ საქმიანობაში.

არ შეიძლება მღელვარების გარეშე წაიკითხო მ. ლელაშვილის ლექსის სტრიქონები, ლექსთა მთელი ეს კრებული; თქვენ თვალწინ წარმოგიდგებათ ბოროტების, უსამართლობის წინააღმდეგ თავგანწირულად მებრძოლი პოეტის, დიადი მომავლის ფანატიკური რწმენით შთაგონებული მგოსნის სახე. თქვენ, ავტორთან ერთად, არავითარ ყურადღებას არ აქცევთ, ამ ნაწარმოებთა მხატვრულ ფორმას, მათი მხატვრული სრულყოფილების საკითხს. თქვენ ავტორთან ერთად ხმალამოღებული ებრძვით ბოროტებას, უსამართლობას, სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას.

მიხეილ ლელაშვილი თავისი დროის გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეა, მსახიობი, დრამატურგი, მრავალი პერიოდული გამოცემის რედაქტორი, ამ გამოცემებით იგი მეფის მთავრობასთან ნამდვილ დუელში გავიდა და უთანასწორო შერკინებაში დაიღუპა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი.

პოეტმა მიხეილ ლელაშვილმა რევოლუციის საკურთხეველზე სწორედ რომ ყოველივე მიიტანა მსხვერპლად და ბოლოს საკუთარი სიცოცხლეც. შე-

უძლებელია და უსამართლობა იქნებოდა ასეთი კაცის დავიწყება. — ეს ჩვენი მუნასიბური სიტყვა მიხეილ ლელაშვილზე დავამთავროთ სიკვდილის წინ დაწერილი მისივე ლექსის სტრიქონებით.

„ხელთუქმნელი ძეგლი მინდა,
ვენაცვალე, ვინც ააგებს,
აი, მაშინ გავცოცხლდები,
გაუმარჯოს ამხანაგებს"[1].

ავლაბრის სახალხო თეატრების ძველი სცენისმოყვარე და ცნობილი მუშა-პოეტი შაქრო ნავთლუღელიც (სარქის კირაკოზიანი) მსახიობობასთან ერთად მხურვალე მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ მოძრაობაში ნავთლუღის, ავლაბრის, ხარფუხისა და ორთაჭალის სხვადასხვა ქარხნის მუშებში შეჰქონდა რევოლუციური აზრები და მისწრაფებები; ცდილობდა მუშების კულტურული დონის ამაღლებასა და მის განვითარებას.

შ. ნავთლუღელი დაიბადა ქ. თბილისის ერთ-ერთ განაპირა უბანში, რომელსაც ძველად „სოფელ ნავთლუღს" უწოდებდნენ. ღარიბეს და მრავალ შვილიან ოჯახში. 8 წლის ასაკში ჩაბმულა იგი შრომის ფერხულში. შაქრომ საპაექრო სკოლის ორი კლასი დაამთავრა და მეტი სწავლის მიღება ველარ შესძლო ოჯახური მდგომარეობისა და ხელმოკლეობის გამო. მას კვლავ მძიმე ფიზიკური შრომისათვის მოუკიდია ხელი. უმუშავია მშენებლობაზე მუშად, რკინიგზაზე მტვირთავად, მიწის მთხრელად. შემდგომში ხარატის პროფესიას დაუფლებია და წლების მანძილზე თბილისის ქარხნებში უმუშავია.

გარდა ფიზიკური მუშაობისა შ. ნავთლუღელი ამ ქარხნებში კულტურულ მუშაობასაც ეწეოდა. ეს იქნებოდა კედლის გაზეთის გამოსვლა, საღამო ლექციები, კონცერტები, წარმოდგენების მოწყობა და სხვ.

შაქრო ახალგაზრდობიდანვე არ დაკმაყოფილებულა მხოლოდ ფიზიკური შრომით და შრომასთან ერთად მას ხელი მიუყვია თვითგანვითარებისათვის, წიგნების კითხვით იმდენად გათვითცნობიერებულა და შეუყვარებია ლიტერატურა და ხელოვნება, რომ მალე, 900-იანი წლების დასაწყისიდანვე დაუწყია ლექსების წერა და თანამშრომლობა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, აქტიური მონაწილეობის მიღება მუშათა რევოლუციურ ჯგუფებში.

მისივე ხელმძღვანელობითა და გაფიცვის ბიუროს თავმჯდომარეობით მოწყობილი იქნა რამდენიმე გაფიცვა, რომელიც მუშების გამარჯვებით დამთავრდა.

---

[1] მ. ლელაშვილი, ლექსები და პოემები, გამომც. „საბჭოთა საქართველო", 1972, გვ. 6.

შ. ნავთლუღელს 1900 წლიდან 13 წლის მანძილზე უმუშავია ამიერკავკასიის ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანაში. იქ იგი ჩაბმული იყო არალეგალურ წრეებში, ავრცელებდა პროკლამაციებს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა გაფიცვებში.

შ. ნავთლუღელს ბავშვობის წლებიდან დაუწყია ლექსების წერა, მისი პირველი ლექსები ცხრაასიან წლებში გამოქვეყნებულა. 1907 წელს ახალგაზრდა პოეტს მხურვალედ დაუტირია ილია, ეს ლექსი ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ კრებულშია დაბეჭდილი.

მისი პირველი წიგნი გამოიცა მძიმე რეაქციის წლებში, სახელდობრ 1908 წელს და კრებულს სათაურად რქმევია: „შრომის დროს ამონაკვნესი ლექსები", ეს სათაური ძალზე მეტყველი და დამახასიათებელი იყო შ. ნავთლუღელის იმ დროის პოეზიისათვის. პოეტს ამ ლექსებში გამოხატული აქვს მუშების მძიმე და აუტანელი შრომა, მათი მისწრაფებები ნათელი მომავლისაკენ, მათი საბრძოლო განწყობილებები. იგი ემსახურებოდა მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეს.

შაქრო ნავთლუღელი შრომის მოყვარე, დარბაისელი, ჭკვიანი და გულკეთილი ადამიანი ყოფილა. გარდა მრავალრიცხოვან ოჯახის მზრუნველობისა, ყოველდღიური მძიმე შრომისა, დიდ საზოგადო მოღვაწეობას ეწეოდა სკოლებსა და ბიბლიოთეკებში და მუშა მწერლებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საორგანიზაციო საქმეებში.

შ. ნავთლუღელი ამასთან ერთად მჭიდროდ დაკავშირებია აგრეთვე თბილისის განაპირა უბნების სცენისმოყვარეთა დრამატულ წრეებს და მათთან ერთად სცენა გამოუყენებია რევოლუციურ ტრიბუნად. აქ მას წაუკითხავს რევოლუციური ლექსები, რომლითაც მუშათა აუდიტორიას თვითმპყრობელობის დამხობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ მოუწოდებდა. მუშა-პოეტი აღფრთოვანებით შეხვედრია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, აქტიურად ჩაბმულა საზოგადოებრივ მუშაობაში. იგი არაერთხელ აურჩევიათ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საბჭოს დეპუტატად.

აღსანიშნავია შ. ნავთლუღელის მოღვაწეობა გამოგონებათა დარგში. მას აქტიურად უმუშავია გამომგონებელთა საზოგადოებაში. მრავალი საინტერესო რაციონალიზატორული წინადადებისა და გამოგონებისათვის დაჯილდოებული იყო საუკეთესო გამომგონებლის სამკერდე ნიშნით. შ. ნავთლუღელი მუშაობდა გამომგონებელთა წრეების ხელმძღვანელად, კედლის გაზეთის რედაქტორად, სხვადასხვა კომისიებისა და კომიტეტების წევრად.

შ. ნავთლუღელს რევოლუციამდელ წლებში თავისი ინიციატივითა და მზრუნველობით თბილისის განაპირა ადგილას, ნავთლუღის უბანში, მამუ-

კაანთ სოფელში 1909 წლის 5 ოქტომბერს ადგილობრივ მცხოვრებთათვის დაუარსებია სკოლა, როგორც მცირეწლოვან ბავშვებისათვის, ისე წერა-კითხვის უცოდინარი უფროსებისათვის და ბიბლიოთეკა-სამკითხველო. აქ მოდიოდნენ მუშის შვილები, რომლებსაც მუშა-პოეტი წერა-კითხვას ასწავლიდა, რადგან მისი მისწრაფება იყო მოესპო წერა-კითხვის უცოდინარობა მუშებში. მისი ამ საგანმანათლებლო საქმით დიდად ყოფილან დაინტერესებულნი ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები ლუარსაბ ბოცვაძე, ნინო ნაკაშიძე და სხვები. როგორც სკოლა, ისე ბიბლიოთეკა შემდგომში გადაუციათ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის სადაც ქალ-ვაჟნი ერთად სწავლობდნენ, როგორც საგნებს, ისე ხელსაქმეს. ეს სკოლა კი შემდგომში გადაკეთებულა 24-ე შრომის სკოლად.

მთელი ბიბლიოთეკის ქონება შეუერთდა ნავთლუღის სახალხო ბიბლიოთეკას. როგორც სკოლას ისე ბიბლიოთეკას, დღიდან დაარსებისა რევოლუციამდე. დახმარებასა და მზრუნველობას უწევდა შ. ნავთლუღელი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიბეჭდა და ცალკე წიგნებად გამოვიდა შ. ნავთლუღელის „ლექსების კრებული". „ლენინის ხსოვნას", „მწყემსის გოდება" (1925), „ნიღაბ ქვეშ" (1927), „ორი პოემა" (1932) და სხვ.

შ. ნავთლუღელი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი აქტიური წევრთაგანი.

1926 წელს მისი ინიციატივით დაარსებულა მუშა და გლეხი მწერლების ჟურნალი „მიზანი", რომლის რედაქტორადაც თვით ნავთლუღელი ითვლებოდა.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, შ. ნავთლუღელი უკანასკნელ წლებში დაუღალავად ემსახურებოდა თავის საყვარელ საქმეს, ტრიალებდა მუშებში, გამოდიოდა ლიტერატურულ საღამოებზე, შეხვედრებზე, კითხულობდა თავის ლექსებს, რომლებითაც იგი თავის მართალი ხმით უმღეროდა ჩვენს დიდ ეპოქას, ჩვენს ხალხსა და სამშობლოს.

სამამულო ომში წასული მისი ორი ვაჟიშვილი დღეს შინმოუსვლელთა სიაში ირიცხებიან. მოხუც და ნაჯაფარ მუშა-პოეტს, შ. ნავთლუღელს, უდიდესი მძიმე განცდებით გადაუტანია ეს ტრაგედია და მაინც სულით არ დაცემულა, სიკვდილის უკანასკნელ წუთებამდე ხელიდან არ გაუგდია კალამი. იგი გარდაიცვალა 1960 წელს 82 წლის ასაკში.

როდესაც ავლაბრის კულტურულ-რევოლუციური ცხოვრების ისტორიაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ძველი რევოლუციონერი

ანდრო გოჩიტაშვილი, რომელიც უშუალოდ იყო დაკავშირებული ძველ სცენისმოყვარეებთან, როგორც სახალხო წარმოდგენების ორგანიზატორი და სცენისმოყვარეთა შორის რევოლუციური მუშაობის გამღვივებელი. საჭირო შემთხვევაში კი, სახალხო წარმოდგენების მონაწილე.

□□

ა. გოჩიტაშვილმა 1903 წელს, დაამთავრა თუ არა სახელოსნო სასწავლებელი, რკინიგზის მთავარ სახელოსნოში ზეინკლად დაიწყო მუშაობა. ეს ის პერიოდი იყო, როცა რევოლუციური მოძრაობა ფართოვდებოდა. მალე ა. გოჩიტაშვილიც ჩაება ამ მოძრაობაში. კითხულობდა არალეგალურ ლიტერატურას. როგორც სახელოსნოს მოწინავე, მალე იქნა არჩეული უჯრედის ხელმძღვანელად და ასისთავად.

1905 წლის დეკემბრის საერთო გაფიცვაში მონაწილეობისათვის ა. გოჩიტაშვილი დააპატიმრეს. ამავე წლის 29 აგვისტოს იგი დაიჭრა მარჯვენა ხელში ქალაქის თვითმმართველობის „დუმაში“. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ სომეხ-თათართა ხოცვა-ჟლეტის შესაჩერებლად და ზომების მისაღებად მათ ნება დართეს კრება ჩაეტარებინათ, სადაც გამოვიდნენ „კობა“ ჯუღაშვილი და სხვები. ამ შემთხვევით ისარგებლეს მეფის მთავრობის წარმომადგენლებმა, ალყა შემოარტყეს კრებას და აუტეხეს სროლა, სადაც უამრავი ხალხი ამოჟლიტეს. გადარჩენილები იძულებული გახდნენ ამის საპასუხოდ შეექმნათ ტერორისტთა ჯგუფი, შემდგარი პირველი რაიონის რკინიგზის მთავარ სახელოსნოს მუშებისა და მეოთხე რაიონში ადელხანოვის ქარხნის მუშებისაგან. ამასთან ერთად დაიწყო შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადება. ამ მიზნით, 1905 წლის ივნისში ჩამოყალიბებულმა ტერორისტულმა ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ შემდეგ მოკლული მათე ფრუიძე, აკაკი გორდეზიანი, ჩამოხრჩობილი არსენა ჯორჯიაშვილი, პუშკინა შაქრო, „კუროკი“ სანდრო, ლუკა ლეჟავა, იოსებ ტუხაშვილი (ყარაჩა), მიხა და ტოგო ბათუმლები. ყაზახების ოთხივე ყაზარმას თავს დაესხნენ ყუმბარებით, იმ მომენტში, როცა ყაზახები ჩამწკრივებულნი იყვნენ სალოცავად. გარდა აქ ჩამოთვლილი ტერორისტებისა, მონაწილეობას იღებდნენ „დავახეთქე“ არუთინოვი, ა. გოჩიტაშვილი, „ბოხკა“ სანდრო ბაინდუროვი, მიტოშვილოვი და სხვები.

რადგან ა. გოჩიტაშვილის საცხოვრებელი ბინა საკმაო ფართობს მოიცავდა და იქ ბევრი არავინ ცხოვრობდა, რაიონისა და ცენტრალური სამხედრო შტაბის ორგანიზაციამ მოაწყო სამხედრო ვარჯიში იარაღებით, ყუმბარის გასროლა და სხვ. ხშირი იყო შემთხვევები, როცა ყაზარმიდან გამოქცეული ჯა-

რისკაცები თვეობით აფარებდნენ თავს ამ სახლს. პასპორტის გაკეთებამდე და მანდატის დამზადებამდე. შემდეგ ტერორისტთა ჯგუფის მიერ იგზავნებოდნენ სხვადასხვა კუთხეში. ასევე ხშირად იგზავნებოდნენ დევნილი წითელ რაზმელები მანგლისიდან, გარეკახეთიდან, გორის რაიონიდან. ცენტრალური სამხედრო შტაბის ბიუროს დადგენილებით ამ სახლში მოწყობილი იყო იარაღებისა და სხვა ასაფეთქებელი მასალების რაიონული სამალავი, სადაც ინახებოდა უამრავი სამხედრო იარაღი.

საგულისხმოა ის, რომ რევოლუციის დამარცხების შემდეგ რეაქციამ საშინელი რეპრესიები და დევნა დაუწყო რევოლუციონერებს. ისინი ჩხრეკის შედეგად სხვადასხვა ადგილას ხშირად პოულობდნენ არალეგალურ სტამბებს, გადამალულ იარაღს. ამიტომ ზოგიერთი რაიონიდან იარაღი გოჩიტაშვილის სახლში გადმოჰქონდათ.

პირველი რაიონის მოწინავე მუშებად (რკინიგზის მთავარი სახელოსნო) და ხელმძღვანელებად ითვლებოდნენ შემდეგი ამხანაგები: წარტანია, მ. ჩოდრიშვილი, ვ. ავსაჯანოვი, პარკუსაძე, ჩიქოვანი, სანაძე, ფოფხაძე, სტურუა, დვალი; მეოთხე რაიონში ი. ზონაძე, ბ. ღარიბოვი, მ. კიკნაძე, გაბრო, ნ. მეზვრიშვილი, ლ. მეძმარიაშვილი, დ. და ნ. ჩუტაშვილები, ს. ბარათაშვილი, ი. კოჰლამაზიშვილი, ი. ბარამაშვილი, გ. კვერნაძე, ვ. გოგინაშვილი. მათ ეხმარებოდნენ დალაქი არტემა; ვ. გურული, ზამბახიძე, პროპაგანდისტი თ. ირემაშვილი, ე. სირბილაძე, კ. ფირცხალავა, სილ. ჯიბლაძე, „კობა", სოსო ჯუღაშვილი და სხვ.

ეჭვმიტანილ ბინაში, სადაც იარაღი ინახებოდა, ხშირად მოდიოდნენ მეფის აგენტები, მაგრამ ყუმბარებით სავსე ტომარასთან ვერ ბედავდნენ მისვლას. გამწარებულნი იხვეწებოდნენ ეთქვათ, შეიძლებოდა თუ არა ხელის ხლება. მაგრამ ვინ რას იტყოდა, როცა გაფრთხილებულები იყვნენ, არ ვიცით ვინ დადო ტომარაო.

ტერორისტებს ყველაზე მეტად აწუხებდათ ის, რომ არ მიეგნოთ იარაღის დიდი საწყობისათვის, რადგან იქ ბევრ ისეთ თოფებსა და რევოლვერებს აღმოაჩენდნენ, რომლებიც მოკლული პოლიციელებიდან იყო აგლეჯილი და საპირონის ყაზარმიდან გამოტანილი.

ეს ის პერიოდი იყო, როცა საველე სასამართლო არსებობდა. რევოლუციონერებს დაუნდობლად, 24 საათის განმავლობაში ასამართლებდნენ და ხვრეტდნენ.

ერთი კვირის წინ იქვე, ა. გოჩიტაშვილის სახლის მახლობლად დავით როსტომაშვილის სახლში არალეგალური სტამბა აღმოაჩინეს, რომელსაც შესასვლელი ჭიდან ჰქონდა. სწორედ ასეთივე შესასვლელი და ჭა ჰქონდა იარა-

ღების საწყობად გამოყენებული ა. გოჩიტაშვილის ბინასაც. ამიტომ სასწრაფოდ გაიცა ბრძანება გამოეწვიათ საპირონის ქარხნიდან ჯარისკაცები, რომლებიც ახდიდნენ როგორც სახლის სახურავს, ისე აჰყრიდნენ იატაკს. ისინი რიგრიგობით ჩავიდნენ ჭაში და რადგან არავითარი გზა ჭაში არ აღმოჩნდა იარაღების საკუჭნაოს მისაგნებად, მიანებეს თავი. თუმცა ცნობა ხელმეორედაც ჰქონიათ მიღებული, რომ ნამდვილად არსებობს იარაღის საწყობიო. პროვოკატორმა მართალია იცოდა საწყობის არსებობა, — გვიამბობს ა. გოჩიტაშვილი თავის მოგონებაში,— მაგრამ არ იცოდა სად და როგორ. „ყველაფერი ეს ვიცოდით სამმა ადამიანმა, ჩემმა რძალმა ივლიტამ (რომელიც საერთოდ დიდ დახმარებას გვიწევდა ყველაფერში), ვანო გურულმა, რომელიც თავს აფარებდა ჩემს სახლში და მე, მაგრამ დაეჭვებულმა მეფის მოხელეებმა გამოიწვიეს ჯარი, შეკრეს ქუჩები და დაიწყეს სახლის ნგრევა. დაუნდობლად ამტვრევდნენ იატაკს, სახლის სახურავი კი სულ აჰყარეს. შემდეგ მოუვიდათ განკარგულება, დავეპატიმრებინეთ. იქ, სადაც იარაღები ინახებოდა, თითქმის ზედ დადიოდნენ, თხრიდნენ, მაგრამ რადგანაც თხრილი ტუნელის სახით იყო გაყვანილი სხვა მეზობლის სახლში, ალბათ, ვერ მიხვდნენ და, ერთი პირი, დაანებეს თავი, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ვიფიქრეთ, რომ გადავრჩით, რაც შეეხება ჩვენი დაპატიმრების საკითხს, არაფრად არ ვთვლიდით. დას გამომშვიდობებისას ყურში წავჩურჩულე, ლ. მეძმარიაშვილისათვის ეცნობებინა თუ როგორ შეიძლებოდა საკუჭნაოს გაკლა“.

სამივენი — ანდრო, ვანო და ივლიტა ჩააბარეს თბილისის ერთ-ერთი პოლკის გახულიგნებულ ოფიცერს (მაშინ ვანო „გურული“ ზამბახიძე, „მესხის“ გვარით ცხოვრობდა ა. გოჩიტაშვილის ბინაში). ოფიცერმა უხეში სიტყვებით მიმართა დაპატიმრებულებს და ჯარისკაცებს უბრძანა თოფები დაეტენათ. თუ რომელიმე გაბედავდა დალაპარაკებას ან გვერდზე გახედვას, მაშინვე ესროლათ. ამ წამებით წაიყვანეს პატიმრები კომენდატურაში, (სადაც არსენა ჯორჯიაშვილი იყო დაპატიმრებული). რამდენიმე ხნის შემდეგ ივლიტა პოლიციაში დააბრუნეს და იქიდან გადაგზავნეს საგუბერნიო ციხეში. ა. გოჩიტაშვილი და ვ. გურული კი იქვე დატოვეს სხვადასხვა საკანში. ერთი კვირის შემდეგ ისინი გადაგზავნეს მეტეხის ციხეში. ავადმყოფობის გამო ივლიტა გადაიყვანეს მეტეხის ციხის საავადმყოფოში, მათ აქ საშუალება მიეცათ ერთმანეთს შეხვედროდნენ.

როგორც კი გამოძიება დამთავრდა, მაშინვე მიეცათ უფლება დაეშვათ მნახველები. პირველი შეხვედრისთანავე შეატყო ა. გოჩიტაშვილმა, რომ იმავე ღამეს როდესაც იგი დააპატიმრეს, მეფის „ოხრანკას“ კვლავ შეატყობინეს, რომ მართალია იარაღი ვერ იპოვეს, მაგრამ იქ სადღაც ახლოს ინახებო-

და. ამიტომ ბრძანეს სახლის გარშემო ყარაული დაეყენებინათ, რომ არავინ მისულიყო და იარაღი არ გაეტანა. მეორე დილიდან ხელახლა უნდა დაეწყოთ ნგრევა. ლ. მეძმარიაშვილს, რომელსაც ა. გოჩიტაშვილის დანაბარები გადასცეს, იარაღის გაზიდვისა და სხვაგან დამალვის შესახებ იმავე ღამეს შესდგომია საქმეს, მეორე ეზოდან გაუღია გაყვანილი თხრილი და მთელი იარაღი ზურგით გაუტანია. ისე, რომ დარაჯებსაც კი ვერაფერი გაუგიათ.

იმ დროს მეტეხის ციხეში ისხდნენ პოლიტიკური პატიმარი ქალები: მ. კაპანაძე, ს. უთნელიძე, ო. და ს. ბაქრაძეები, გულშანბაროვა, ხირსელი და სხვები. მამაკაცებიდან: გ. მარსაგოვი, დ. როსტომაშვილი, მ. ცხაკაია, პ. საყვარელიძე, ს. კეცხოველი, მანჯავიძე, ს. ჯუღაშვილი, რომლებიც გადაღებული არიან ცნობილი ფოტოგრაფის ბაბალოვის მიერ მეტეხის ციხის საავადმყოფოს ეზოს კედელთან, შუშანიკას ეკლესიის ახლოს.

ხუთი თვის შემდეგ მათი საქმე გაარჩია თბილისის რაიონის სასამართლომ და მიუხედავად იმისა, რომ არავინ მოელოდა მათ განთავისუფლებას, (პატიმრები 4-6 წელზე ნაკლებ კატორღას არ მოელოდნენ) ერთ-ერთი მოწმის, „აკალოდჩიკი“ ლუკიანოვის წყალობით საქმე კარგად წარიმართა მან გოჩიტაშვილის ბინის ჩხრეკვისას ნაპოვნი პროკლამაცია არ გამოაჩინა და სასამართლოზეც მათ სასარგებლოდ ილაპარაკა.

დამცველებმა კ. ჯაფარიძემ და ბარათაშვილმა სასამართლოს ისეთი შემადგენლობა შეარჩიეს, რომლებთანაც შეიძლებოდა საქმის მათ სასარგებლოდ გარჩევა და პატიმრებს შეეძლებოდათ ჩვენება მიეცათ.

სასამართლოს მსვლელობის დროს დარბაზი რკინიგზისა და ადელხანოვის მუშებით იყო გაჭედილი. ამ მორალურმა მხარდაჭერამ და კარგმა დამცველებმა ისე გადარიეს მოწმეები, რასაც უნდოდათ იმას ათქმევინებდნენ. სამი საათის შემდეგ სასამართლომ გაამართლა ისინი. პატიმრები იმავე დღეს განთავისუფლეს.

რადგან ბინა დანგრეული იყო და საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნდათ, დროებით შეეკედლენ ა. გოჩიტაშვილის დას მაშოს. დანგრეული სახლი მალე შეაკეთეს, ზოგი დახმარებით და ზოგი ვალით.

1906 წლის ივლისში რევოლუციონერთა შორის გავრცელდა ხმა, რომ გორის მაზრის უფროსი გუგუშვილი საშინლად აწამებდა და სჯიდა ადგილობრივ გლეხებს იმის გამო, რომ გაეცათ სად იმალებოდნენ მოსული პროპაგანდისტები და „კობა“. ამის გამო ერთ დღეს მოუწვევიათ გორის მაზრის გლეხობის კრება, შემოურტყიათ „სტრაჟნიკების“ ალყა, წინადადებით—თუ არ იტყოდნენ ერთი საათის განმავლობაში ვინ უნდა ჩამოსულიყო გორში და სად იმალებოდა და ჯუღაშვილი, სხვა ზომებს მიიღებდნენ. ხალხი, როგორც ერთი სდუმდა

და უარით პასუხობდა, არ ვიცითო. მაშინ გათავხედებულმა მაზრის უფროსმა უბრძანა სტრაჟნიკებს მათრახებით ეცემათ და მერე გაყინულ ლიახვში ჩაერეკათ. კარგა ხანს ამყოფეს ასე, მაგრამ ხალხი მაინც ვერ გატეხა ასეთმა რეპრესიებმა. ბევრი ფეხების დამბლით დაავადმყოფდა. აი, ამის გამო გამოიტანეს გადაწყვეტილება გუგუშვილის მოსპობის შესახებ.

პირველად ეს დადგენილება სისრულეში მოსაყვანად გადაეცა ვერის რაიონს, რადგან იგი ბელინსკის ქუჩის შესახვევში ცხოვრობდა. მაგრამ რადგან ვერის რაიონს საკმარისი ძალები არ აღმოაჩნდა ამის შესასრულებლად, გადასცეს მეოთხე რაიონის შტაბს ავლაბარში. ცენტრალური კომიტეტის სამხედრო კომისიისა და ადგილობრივი რაიონის შტაბის დავალებით, ამ საქმის ხელმძღვანელობა და სისრულეში მოყვანა ტერორისტ ა. გოჩიტაშვილს დაავალეს. ა. გოჩიტაშვილმა თავის მხრივ ამ აქტის შესასრულებლად გამოყო „გურული“ გოგინაშვილი, რომელიც იცნობდა გუგუშვილს და იცოდა სად ცხოვრობდა იგი. ასევე გამოყო ერთი წარმომადგენელი ვერის რაიონიდან. გოჩიტაშვილმა მიიღო ცნობა, გუგუშვილი საქმეზე ბანკში ჩამოსულაო თავის დამცველებთან ერთად (მას დაჰყვებოდნენ ცხენოსანი ჩაჩნები). ორი დღე დაჰყვებოდნენ, მაგრამ ვერ შეერჩიათ მომენტი, რომ თავს დასხმოდნენ. ყუმბარის სროლა კი შეუძლებელი იყო, რადგან მოქალაქეები დაზარალდებოდნენ. მესამე დღეს შეიტყო, რომ ერთი დამცველთაგანი გუგუშვილს წინასწარ გამოეგზავნა და ორი კი ჩამორჩენით მიდიოდა. თვითონ კი ღია ეტლში იჯდა, ა. გოჩიტაშვილმა მაშინვე ამხანაგებს მიმართა, რომ გამოსდგომოდნენ, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გაბედა, მაშინ ა. გოჩიტაშვილმა ერთ-ერთს გამოართვა ნაგანი და გამოუდგა ეტლს, იგი მირბოდა ტროტუარზე და როდესაც დაეწია უეცრად მოჰკიდა სახურავს ხელი და ესროლა ორი ტყვია თავში. ამის შემდეგ ამხანაგებმაც გაუწიეს დახმარება, ატეხეს სროლა, მცველები დაიბნენ და გაიქცნენ გოჩიტაშვილის სახლისაკენ და იქიდან დაიწყეს სროლა. გოჩიტაშვილი და მისი ამხანაგები გაიქცნენ სხვადასხვა მიმართულებით. გოჩიტაშვილი კი მირბოდა სასაფლაოსკენ, სადაც აგურის ქარხნები იყო, გადახტა სასაფლაოს ღობეზე და ცოტა რომ შეისვენა, ისევ გადმოხტა უკან და დაეშვა უნივერსიტეტისაკენ, რომელსაც მაშინ აშენებდნენ. არ გაუვლია სულ ათთხუთმეტ წუთს, რომ უკან ცხენოსანი ყაზახები დაედევნენ. როგორც იყო ნახა გამოსავალი. ერთ სახლთან, რომელიც ხევის ფერდობზე იდგა, გარეთ დასაჯდომი „სკამეიკა“ ქონდა. შევარდა ეზოში. აქ რუსის ბავშვები თამაშობდნენ, დაუწყო მოფერება, თან ეკითხებოდა დედა ან მამა თუ იყო სახლში, ვიდრე სახლში შევიდოდა, დაინახა როგორ მიუახლოვდნენ სახლს ყაზახები, მოჰკიდა ხელი ორივე ბავშვს, გამოიყვანა გარეთ და კალთაში ჩაისვა. ბავშ-

ვებს ნათესავი ეგონათ და თამაში დაუწყეს. ამ დროს ყაზახებმა გაოფლიანებული ცხენები შეაჩერეს და ჰკითხეს: „კუდა ეტოტ ჩელოვეკ ბეჟალო", წყნარად ანიშნა ხელით — ქვემოთო და ისევ ბავშვებთან ალერსი განაგრძო. ხოლო როცა დარწმუნდა, ყაზახები უკვე გაღმა გავიდნენო, ჩამოსვა ბავშვები, დაეშვა ხევში ბილიკით და, როგორც იქნა, იმ დროს მშენებარე უნივერსიტეტს მიაღწია. იქ თავის ორგანიზაციის წარმომადგენლები ელოდებოდნენ. მაშინვე იარაღი ჩააბარა. ამხანაგებმა მოთხუპნეს მელნით, მისცეს ძველი ცილინდრი, წამოასხეს ვიღაცის პალტო და როგორც კი მუშებმა სამუშაოდან დაიწყეს გამოსვლა, ა. გოჩიტაშვილიც შეერია მათ. ამხანაგები სიფრთხილისათვის უკან მისდევდნენ თუ რა ბედი ეწეოდა. უნივერსიტეტთან ვარაზის ქუჩაზე პატარა ხიდი შეკრული იყო პოლიციელებით და როდესაც იგი ხიდზე გავიდა ერთმა „გოროდოვოიმ" თითქოს შეიცნო და „აკოლოდჩიკს" ანიშნა ამას გავდაო, „აკოლოდჩიკი" მოვიდა შესაჩერებლად, მაგრამ ამ დროს უკნიდან ერთი წვერიანი რუსის ბრიგადირი წამოეწია, რომელმაც უთხრა ეს ჩვენი მუშები არიანო და ეჭვი გაუფანტა. ამ დროს ტრამვაიც გაჩერდა და გოჩიტაშვილი ზედ შეახტა. ვერის ბაზარს რომ გასცდა, გადმოვიდა და ეტლში გადაჯდა კვალის დაკარგვის მიზნით. „შავ სოფელს" რომ მიუახლოვდა ეტლი მოშორებით გააჩერა და იქ მივიდა, სადაც ამხანაგები ელოდნენ. შევიდა მათე ფრუიძის სახლში. იმავე საღამოს წავიდნენ დანარჩენების მოსაძებნად. ვანო „გურული" და სხვები ყველანი გადარჩნენ. მათ მთელი ორგანიზაცია ულოცავდა.

სანამ არსენა ჯორჯიაშვილი გრიაზნოვს თავს დაესხმოდა, ამ აქტის შესასრულებლად სულ სხვა ტერორისტების ჯგუფი იყო გამოყოფილი ვარსერის და ნაცვალოვის სახით, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ გრიაზნოვისათვის ესროლათ ყუმბარა. ეს ხდებოდა ციციანოვის აღმართის სიახლოვეს, ამჟამად ბარათაშვილის აღმართთან. გზის რეკონსტრუქციის ჩატარებამდე ალაზნის ქუჩის კუთხეში და ციციანოვის აღმართის დაწყებამდე იყო ერთი სირაჯის დუქანი, აი, ამ დუქანში ხშირად შედიოდნენ ხან საჭმელად, ხან ისე და უცდიდნენ გრიაზნოვის მოსვლას. მედუქნემ ეჭვი აიღო ვარსერზე და ნაცვალოვზე, გაიპარა და შეატყობინა პოლიციას. პოლიცია თავს დაესხა მათ. ორივე დააპატიმრა. მათ ორი ბომბი და რევოლვერი აღმოაჩნდათ. რადგან მაშინ სამხედრო წესი იყო გამოცხადებული, წაიყვანეს თბილისის პოლკის საპყრობილეში და იმავე ღამეს, ვითომდა გუბერნიის ციხეში მიჰყავდათ, დახვრიტეს მნაცაკანოვის ხიდის ყურესთან. პარტიულმა ორგანიზაციამ როცა გაიგო, რომ მათი დაღუპვა ამ მიკიტნის საქმე იყო, მასზე ჯავრის ამოყრა სამხედრო შტაბის აღმასრულებელმა კომისიამ ლუკა ლეჟავას მიანდო, რომელმაც ცივი იარაღით თავისივე სახლში ბოლო მოუღო მედუქნეს, ლეჟავას იქ პატარა ხანჯალი დარჩა, მიკი-

ქნის ძმამ შურისძიებისთვის, პარტიიდან განდევნილ პირებს მიმართა, ისინი შეჰპირდნენ ძმის მკვლელს იმავე ხანჯლით მოუღებდნენ ბოლოს, სამაგიეროდ გასამრჯელოდ მიიღებდნენ სამას მანეთს. ისინი მივიდნენ ტერორისტებთან და ხანჯალი მიუტანეს, საქმის ვითარებაც აუწყეს. პარტიულმა ამხანაგებმა ხანჯალი ჩამოართვეს და ურჩიეს ფული გამოერთმიათ, ხოლო მის ძმას თვითონ მოუღებდნენ ბოლოს.

ერთ დილას, როცა მედუქნის ძმამ ბაზარში მაწონი იყიდა და მიბრუნდა ასაღებად, ა. გოჩიტაშვილმა და ნ. ჯანაშვილმა იქვე რევოლვერი ახალეს.

რევოლუციის დამარცხებისა და რეაქციის გამარჯვების დროს ბევრი წითელრაზმელები, პარტიული ამხანაგების დავალებას არ ემორჩილებოდნენ, იარაღს ორგანიზაციას არ აბარებდნენ და სამუშაოდ არ გამოდიოდნენ. დაიწყეს ძარცვა, გლეჯა, მუქარის წერილების წერა მოქალაქეებთან, ფულის წართმევის მიზნით. ერთ ასეთ შემთხვევასაც ჰქონია ადგილი. მოქალაქე არუშანოვისათვის მიუწერიათ წერილი და 500 მანეთი უთხოვიათ, რომ არ მისცა ტყვედ წაიყვანეს მისი უმცროსი შვილი — რვა წლის სეროჟა. დიდი კვლევაძიების შემდეგ მიაკვლია მის კვალს ბოლშევიკურმა პარტიამ. იგი დამალული ჰყავდათ ხაშმის ტყეში. ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, მიაგნეს ამ ადგილს, სადაც ბავშვი ყავდათ დამწყვდეული. შემოარტყეს ალყა და სროლა ატეხეს. ბანდიტებიც სროლითვე პასუხობდნენ და ბოლოს იძულებულნი გახდნენ გაქცეულიყვნენ და დაეტოვებინათ ბავშვი. შეშინებული და ნაწამები ბავშვი ჩააბარეს პატრონს.

ასეთივე ამბებს ჰქონია ადგილი აგრეთვე გარეკახეთშიც, სოფელ მანავში, თოხლიაურსა და საგარეჯოში. რაზმელები, რომლებმაც არ ჩააბარეს იარაღი პარტიას და არ დაემორჩილენ მათ გადაწყვეტილებას და ეწეოდნენ ყოველგვარ სისაზიზღრეს ესენი იყვნენ ატამანები: ვანია ჩიკჩიკელაშვილი, გორია და სულიკო რომლებიც სხვებსაც იყოლიებდნენ.

ატამანები თუ სადმე ქორწილს გაიგონებდნენ, მაშინვე დაეცემოდნენ თავს პატარძალს, გაიტაცებდნენ, გააბახებდნენ და მერე უბრუნებდნენ პატრონს. იმათ შიშით ქალს წყლის მოსატანად ვერ გაებედა წასვლა. როცა პარტიულმა ამხანაგებმა დარიგება დაუწყეს, ბანდიტებმა ერთ ღამეს გამოუძახეს რამაზოვს მანავში, ესროლეს და იქვე მოკლეს. ბევრმა მიატოვა სახლ-კარი და ქალაქში გამოიქცა. ცენტრალურ კომიტეტში დაისვა საკითხი პარტიული ამხანაგების დახმარებისა და ბანდიტობის აღმოსაფხვრელად. ეს გადაწყვეტილება IV რაიონის შტაბს გადასცეს, რადგან გარეკახეთთან ისინი ახლოს იყვნენ, თავის მხრივ რაიონულმა შტაბმა გამოჰყო 8 ამხანაგი, თავის ურმით

გადაიტანეს იარაღები. საგარეჯოში თითქმის ერთი კვირა დაჰყვეს, მაგრამ ვერავითარი საშუალება ვერ გამოძებნეს, თუ როგორ დაეჭირათ ბანდიტები.

რადგან დიდი თოვლი იყო და კიდევ განაგრძობდა თოვას, გაიმართა თათბირი თუ როგორ მოქცეულიყვნენ, ამ ბანდიტებისა და ადგილობრივ პოლიციის თავდასხმის მოლოდინში ა. გოჩიტაშვილმა წამოაყენა წინადადება, რომ ღამე გვიან ტყე-ტყე მიჰპაროდნენ მანავში. სწორედ იქ ახლოს, სადაც ბანდიტი ცხოვრობდა იდგა ერთ-ერთი ამხანაგის სახლიც, რომელიც იქიდან გამოქცეული ამათთან აფარებდა თავს. რადგან ბანდიტის ადგილი უკვე იცოდნენ, გადაიცვეს გლეხური ტანსაცმელი და გაუდგნენ გზას ტყე-ტყე. მისულები საქონლის ბოსელში მოკალათდნენ. როგორც იქნა გათენდა და დაიწყეს ფიქრი, თუ როგორ მოქცეულიყვნენ. სახლის პატრონი არწმუნებდა, რომ ყოველ დილით იქვე თონეზე იცის მისვლაო და ცხელი პურის წაღებაო. წამოიჭრა ორი აზრი. ერთი გაიძახოდა, როგორც კი დავინახავთ მაშინვე აქედან ვესროლოთ ზალპიო. მაგრამ გოჩიტაშვილი არ იზიარებდა ამ აზრს, მან სთქვა — ამ სროლის დროს სხვებიც დაზარალდებიანო და ამიტომ თვითონ აიღო თავზე ამ აქტის შესრულება და თან გაიყოლია ერთ-ერთი ამხანაგი „პამგალა". ორივე შეიარაღდნენ მაუზრებით. ამ დროს დაინახეს, რომ მართლაც მივიდა თონესთან, გაიპარნენ ორივე. მოუარეს გარშემო და მივიდნენ თონესთან და ა. გოჩიტაშვილმა განგებ იკითხა აქ ინდაურები ხომ არავის ჰყავს გასაყიდიო. ამ ბანდიტმა ერთი მაგრად შეიკურთხა, აქ ინდაურებს რა უნდაო, ინდაურები მანავის ხეზეა ბევრიო. მივიდნენ ცეცხლთან, მოითბეს ხელები და როცა შებრუნდა, გოჩიტაშვილმა ამხანაგს ანიშნა, რომ მოემზადებინა მაუზერი და ორივემ ერთად დაახალეს. ბანდიტი დაეცა. ბანდიტს სახლში ყავდა პატარა ძმა, რომელმაც გამოიტანა თოფი და დააპირა სროლა, მაგრამ როცა ესენი დაინახა უკან შევარდა. მაშინ იმათმა დაუშინეს სახლს. ეს ამბავი სოფელმა რომ გაიგო, გზადაგზა ხვდებოდნენ და მადლობას უხდიდნენ. ცოტა ხანს სოფელ თოხლიაურში შეჩერდნენ, პური ჭამეს და სწრაფად დაეშვნენ საგარეჯოში.

რადგან სართიჭალაში ყაზახის ასეული იდგა და სროლის ამბავი გაიგო, გამოედევნენ, მაგრამ ისინი უკვე გასულები იყვნენ სამშვიდობოზე. ეს ამბავი დღესაც სამახსოვროდ არის დარჩენილი, რაზედაც ლექსიც კი გამოუთქვეს ა. გოჩიტაშვილს. აი, ამის შემდეგ სახლ-კარ მიტოვებული მოწინავე გლეხები დაუბრუნდნენ თავიანთ ოჯახებს და დაიწყეს მშვიდობიანი მუშაობა.

ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, ა. გოჩიტაშვილს რკინიგზის სამმართველოს უფროსმა გენერალ ნეგებაუერმა უარი უთხრა სამუშაოზე დაბრუნების შესახებ, რის გამოც იგი იძულებული გახდა მუშაობა დაეწყო კერძო

ქარხანაში ზეინკლად. პარტიული ორგანიზაციის რჩევით დაიქირავა ალაზნის ქუჩა № 32-ში პატარა დარაბა, მოაწყო საზეინკლო და დაიწყო მუშაობა მშენებლობაზე. იგი აქ მუშაობის პერიოდში ხშირად მართავდა არალეგალურ კრებებს.

1914 წელს ა. გოჩიტაშვილი როგორც იყო მოეწყო ადელხანოვის ქარხანაში, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ იგი გადადის აჭარაში, სოფელ ხულოში სახელოსნო სკოლის მასწავლებლად. აქ ის სათავეში ჩაუდგა მიტინგების მოწყობას.

გოჩიტაშვილის ასეთი მუშაობა ბეგებს არ მოსწონდათ, გლეხებიც გადაუდგნენ, ამიტომ გადაწყვიტეს მისი მოკვლა. იქაურმა აჭარელმა ამხანაგებმა ეს ამბავი საჩქაროდ აცნობეს ა. გოჩიტაშვილს და ერთ საღამოს გააპარეს თბილისში.

თბილისში დაბრუნების შემდეგ გოჩიტაშვილი ისევ იწყებს ორგანიზაციულ მუშაობას. მას ირჩევენ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების ბიუროს წევრად.

ომის პერიოდში, რეაქციის დიდი რეპრესიების შემდეგ, ორგანიზაციული მუშაობა შეჩერდა, ამ დროს წითელი ჯვრის ორგანიზაციაში მოიყარეს თავი სხვადასხვა რაიონის მოწინავე მუშებმა სანიტრის თანამდებობაზე. მაშინ ადგილობრივ დარჩენილმა მუშებმა მოიწვიეს ქალაქის კონფერენცია კრწანისში, სადაც ესწრებოდა სახელმწიფო-სათათბიროდან დათხოვნილი დეპუტატი. კონფერენციამ დაადგინა აღედგინა ორგანიზაციული მუშაობა, ჩაბმულიყვნენ კოოპერატივების მუშაობაში, სახალხო სახლების და სასცენო მუშაობაში. ამ დღიდან ა. გოჩიტაშვილი კვლავაც აქტიურად განაგრძობს მუშაობას სახალხო თეატრების ადმინისტრაციულ საქმიანობაში და ხანდახან მონაწილეობას იღებდა მის დადგმებში.

□□

...თბილისი მეოთხე ქალაქია საბჭოთა კავშირში, სადაც დაიწყეს მეტროპოლიტენის მშენებლობა. მიწისქვეშა სამუშაოები დიდ დაძაბულ შრომას მოითხოვდა. მეტროს ბედით დაინტერესებული თბილისელები მოუთმენლად ელოდნენ მის ამუშავებას.

და აი, დადგა ნანატრი დღეც... 1966 წლის 11 იანვარი. მეტროპოლიტენის გახსნა თბილისში დიდ მოვლენად იქცა. გაიხსნა თბილისური მეტროს პირველი რიგი. ეს ფაქტი დედაქალაქის მშრომელებისათვისაც დიდი მოვლენა იყო.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს ტელევიზიამ მოაწყო პირდაპირი

რეპორტაჟი რუსთაველის სახელობის მიწისქვეშა სადგურიდან. რეპორტაჟი მიჰყავდა ცნობილ ტელეკომენტატორს კოტე მახარაძეს, რომელმაც ჩვეული ხელოვნებით წაიყვანა რეპორტაჟი.

კოტე მახარაძემ ცნობილ მსახიობს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვასო გოძიაშვილთან ერთად ცისფერ ექსპრესში შენიშნა სანდომიანი სახის მოხუცი. წამყვანი გამოესაუბრა მოხუცს. იგი აღმოჩნდა ძველი რევოლუციონერი და ავლაბრის სახალხო თეატრების ძველი სცენისმოყვარე ანდრო გოჩიტაშვილი. ღვაწლმოსილმა ადამიანმა დამსწრე საზოგადოებას მიმართა სიტყვით. მან გაიხსენა ძველი თბილისი, თავისი ვიწრო ქუჩა-ბანდებით. პრიმიტიული ტრანსპორტით. ანდრო გოჩიტაშვილმა აღნიშნა, რომ გაკეთდა მეტად დიდი საშვილიშვილო საქმე. საქმე, რომელიც მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში შეიძლებოდა გაკეთებულიყო. აღფრთოვანებულმა ძველმა რევოლუციონერმა სიტყვის დასასრულს ასე მიმართა ტელემაყურებლებს: სიხარულით მოგახმაროთ ეს საჩუქარი. ცრემლები ვეღარ შეიკავა და ატირდა.

□□

გარდა ფირუმიანისა, ამ დროს ქართულ წარმოდგენებში ჩაბმული ყოფილა მთელი რიგი სომეხი მსახიობებისა: ლ. პოღოსოვი, ვ. მარკოზოვი, მაცაკ ტერ-არაქელიანი, ღუშჩიანი, ალიხანიანი, გრიქორიანი და მრავალი სხვა სომხები. ზოგიერთი დროგამოშვებით და უმრავლესობა კი სისტემატურად ქართულ წარმოდგენებში იღებდა მონაწილეობას. თვით თეატრის დირექტორს პ. არაქსიანს უთამაშია გიჟუას როლი. ვ. ბეგიჯანიანი და ა. მარქარიანი ჩაბმული ყოფილან როგორც სომხურ, ისე ქართულ სცენისმოყვარეთა წრეში. ვ. ბეგიჯანიანს კი 1902 წლიდან დაუწყია მონაწილეობის მიღება ქართულ წარმოდგენებში მურაშკოს თეატრში „ბარბარელის" ფსევდონიმით. იგი გამოდიოდა როგორც დრამა-კომედიებში, ისე ისტორიულ პიესებში: „სამშობლო". „ქართველი დედა", „და-ძმა". „ლეკის ქალი გულჯავრი". ასევე ღებულობდა მონაწილეობას სომხურ წარმოდგენებშიც. ვ. ბეგიჯანიანი დიდი ამაგდარი ყოფილა ქართული სცენის, სომეხთაგან. ქართულ სპექტაკლებში გამოსვლით მას ხელი შეუწყვია ქართული წარმოდგენების წინსვლისათვის, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ქალთა სიმცირის გამო, ქალების როლები ავლაბარში ბ. მაისურაძესა და მ. სპიროვს უთამაშიათ. ასევე ელ. ბუჩუკურს მთავარი როლები შეუსრულებია, როგორც ქართულ ისე სომხურ წარმოდგენებში. ქართველებსაც შეუტანიათ გარკვეული წვლილი სომხურ წარმოდგენებში. ლ. ბაღაშვილსა და ი. მჭედლიშვილს არაქსიანის თეატრში სარდარიანის პიესა „ასლან-ბალასში" მიუღიათ მონაწილეობა (ორივე კარგად ფლობდა სომხურს).

„ქართულ-სომხურმა დასმა, რომელსაც ჯერ ფირუმიანი და შემდეგ ძმები პეტრე და თომა ნასიძეები ხელმძღვანელობდნენ, საგრძნობი და დიდი საქმე გააკეთა ავლაბრის ფართო მასებში კულტურის დანერგვის მხრივ. არაქსიანის თეატრი მურაშკოს შემდეგ დიდად ცნობილი გახდა და მისი პოპულარობა იქამდეც მივიდა, რომ ამ თეატრში გადმოიტანეს თავიანთი წარმოდგენები ქართველმა და სომხურმა დრამატულმა დიდმა თეატრებმა, რომელთა დადგმებში მონაწილეობდნენ ისეთი სახელგანთქმული მსახიობები, როგორებიც იყვნენ: ქ-ნი ზაბელა, სურფუი, აბელიანი, სოლომონიანი, ალიხანიანი (სომხური თეატრიდან) და ვალ. გუნია, ვ. აბაშიძე, ალ. იმედაშვილი, კ. ყიფიანი, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ელ. ჩერქეზიშვილი (ქართული თეატრიდან).“[1]

[1] დ. მელაშვილი, ისნის სახალხო თეატრის წარსულიდან, გამომც. „ხელოვნება“, 1955, გვ. 30.

# თავი მესამე

## გამსვლელი სპექტაკლები

ავლაბრის სცენისმოყვარეთა წრის ზოგიერთი წევრები, გარდა არაქსიანის თეატრისა, პირადი ინიციატივით წარმოდგენებს მართავდნენ დედაქალაქის ცენტრსა და სხვადასხვა უბნებში. როგორიც იყო პოლონელთა სახლი, ბირჟის დარბაზი და ძირითადად ვეტცელის სასტუმროს თეატრი. ასევე მართავდნენ სპექტაკლებს რკინიგზის მთავარი სახელოსნოების თეატრში, რომელიც შიგ დეპოში მდებარეობდა. ამ თეატრში ჩამოყალიბებული ყოფილა რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა დრამატული წრე, რომელსაც უწოდებდნენ პროვინციალურ სცენისმოყვარეთა დრამატულ მოგზაურ დასს. ამ დასში შედიოდნენ: ლ. ლეჟავა, გ. გაბინაშვილი, ალ. ლანდია, ვ. ჯიხაიშვილი, ნ. ფარეშიშვილი, ა. უმბრიევი, ა. ვაშაკიძე, ო. გაბუნია, ვ. დავითაშვილი (ნიკიფოროვა), გ. ანაშვილი (შახნაზაროვი), ს. და ს. გოგაშვილები, მ. თათეიშვილი (მარიამ გარიყული და სხვ).

მ. გარიყულს საზოგადოებრივ სარბიელზე მოღვაწეობა სცენაზე მუშაობით დაუწყია. პირველი თეატრალური ნათლობა ჯერ კიდევ ბავშვობაში მიუღია აკ. წერეთლის პიესების „პატარა კახისა“ და „ბუტიაობის“ დადგმით. მარიამის ოჯახი, როცა საცხოვრებლად ქუთაისიდან თბილისში ჩამოსულა თეატრალური ხელოვნებით გატაცებული გოგონა ქართული თეატრის ხშირი სტუმარი გამხდარა. სწორედ მაშინ დაბადებია სურვილი თავისი ცხოვრება თეატრთან დაეკავშირებია. ამ მიზნით იგი გასცნობია ცნობილ მოღვაწეს — საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქტორს და თბილსის მუშათა თეატ-

რის ერთ-ერთ დაუღალავ ხელმძღვანელს მარიამ დემურიას და თავისი სურვილი გაუზიარებია. მაშინ თეატრი მსახიობთა ნაკლებობას განიცდიდა, რადგან იმ დროს სცენაზე მოთამაშე ქალს ათასგვარი უმსგავსო ეპიტეტებით ამკობდნენ. მ. დემურიას ძლიერ გახარებია ახალგაზრდა ქალისაგან ასეთი გაბედული ნაბიჯის გადადგმა და იგი ავჭალის აუდიტორიასთან არსებულ მუშათა თეატრის საქმიანობაში ჩაუბამს. მას სადებიუტო წარმოდგენაში მიაღებინეს მონაწილეობა. მაგრამ, ამაზე თვით მ. გარიყულს მოუსმინოთ: „როცა იქ პირველად მივედი „პარიზის ღარიბ-ღატაკნი" მზადდებოდა,— ყვავილების გამყიდველი გოგოს კლოდინეს როლი მომცეს. ამ წარმოდგენის დროს გავიცანი ვასო აბაშიძე. ის რეპეტიციებზე არ დადიოდა, მის მაგივრად სხვა სცენისმოყვარე გადიოდა რეპეტიციას. წარმოდგენის დროს კი ვასო მოვიდა. ის ასანთს ყიდდა სცენაზე: „სპიჩქები, სპიჩქები, მიხაკდარიჩინის სუნით ჰყარს, იყიდეთ გეთაყვაო" — იძახოდა გასტონი და სცენაზე დაატარებდა კისერზე დაკიდებულ საწვერილმანო ყუთს. ის ასანთს ყიდდა, მე ყვავილებს, და სცენაზე რომ ორჯერ შევეფეთე, ჩუმად ჩამილაპარაკა: ოო, ქაჯან, ფეხებში ნუ მედებიო"... იმ წარმოდგენის შემდეგ ავჭალის ქუჩაზე გავლა მიძნელდებოდა. მედუქნეები და ქუჩაში მოთამაშე ბავშვები მომძახოდნენ ყვავილები, ყვავილებიო"

მ. გარიყული პირველად სცენაზე გამოსულა 1899 წ. პირველი როლის სრულყოფილად შესრულებას მოჰყოლია მისი ჩარიცხვა დასში.

1900 წელს როცა ვალ. გუნიას თბილისის თეატრში მსახიობობის მოსურნეთა გამოსაცდელი წარმოდგენა მოუწყვია, გამოცდაზე 18 ახალგაზრდა ქალ-ვაჟი გამოცხადებულა, მათ შორის მ. გარიყულიც ყოფილა. გამოცდაზე მის მსახიობურ მონაცემებს კარგი შეფასება მიუღია, და 1901 წელს მიუწვევიათ მსახიობად ქუთაისის თეატრში. იმ დროს თეატრს ხელმძღვანელობდა ჩვენი სახელგანთქმული მსახიობი ლ. მესხიშვილი. მ. გარიყულს, ლ. მესხიშვილის ხელმძღვანელობით თითქმის სამი წელიწადი უმუშავია და თავისი შემოქმედებითი ნიჭი გამოუვლენია, ამავე დროს სასცენო ხელოვნების დარგში თვალსაჩინო ცოდნაც შეუძენია. ქუთაისის თეატრში მრავალი სხვადასხვა ხასიათის როლი განუსახიერებია. როგორიც არის: ნინო — ალ. ყაზბეგის „არსენაში", ტურფა — აკ. წერეთლის „პატარა კახში", იდა — ჰაუფტმანის — „ავადმყოფ ხალხში", მარინე ვალ. გუნიას „და-ძმაში", ქვრივი პერნელი — მოლიერის „ტარტიუფში", ფაიხოში — დ. ერისთავის „სამშობლოში", დეზდემონა — შექსპირის „ოტელოში", ესთერი — კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტაში" და მრავალი სხვ.

მ. გარიყული სცენაზე გამოდიოდა თავისი საკუთარი გვარით — მ. თათეიშვილი. ორნახევარი წელი დარჩენილა იგი თეატრში და ბოლოს მაინც გა-

დაუწყვეტია მისი დატოვება. „უკანასკნელად ვეამბორე დეკორაციის მტვრიან ჩარჩოს, ვეამბორე სასოებით და გამოვედი თეატრიდან“ — გვიამბობს იგი.

იგი მოწოდებით მწერლად უფრო თვლიდა თურმე თავს, ვიდრე მსახიობად, ამიტომ თავის ნამდვილი გვარი — მ. თათეიშვილი რითაც ის ცნობილი იყო თეატრში, ფსევდონიმად „მარიამ გარიყულად“ შეუცვლია. მწერლობისთვის მიუყვია ხელი, მაგრამ სასცენო ხელოვნებასთან კავშირი მაინც არ გაუწყვეტია. ამის შესახებ აი რას ვკითხულობთ: „საქმე ისაა, რომ მ. გაყირული თეატრს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, როგორც ისეთ კულტურულ საგანმანათლებლო ორგანიზაციას, რომელსაც დიდი როლი უნდა შეესრულებინა ჩვენი ხალხის კულტურული დონის ამაღლებისა და პოლიტიკურად გათვითცნობიერები საქმეში. ამიტომ იგი განაგრძობდა მუშაობას, სახალხო თეატრებსა და თვითმოქმედ დრამწრეებში“.

1904 წლის მიწურულში მარიამი ისევ თბილისში დაბინავებულა საცხოვრებლად. მოწყობილა სამსახურში და პარალელურად კვლავ ჩარიცხულა მსახიობად ავჭალის აუდიტორიასთან არსებულ მუშათა თეატრში. აგრეთვე ხშირად იღებდა მონაწილეობას ავლაბრის მუშათა თეატრის წარმოდგენებში.

დროთა მსვლელობის მანძილზე ამითაც არ დაკმაყოფილებულა და თბილისის რკინიგზის აუდიტორიასთან ჩამოუყალიბებია სცენისმოყვარეთა წრე და იაფფასიანი წარმოდგენების მართვა დაუწყია. შემდეგ ოჯახური პირობების გამო საცხოვრებლად სამტრედიაში გადასულა და იქაც განუწყვეტლივ ღებულობდა მონაწილეობას საქველმოქმედო მიზნით გამართულ სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში.

1920 წ. დასახლებულა გორში და 1921 წლიდან აქტიურად ჩაბმულა გორის ცენტრალური მუშათა კლუბის დრამკოლექტივის მუშაობაში. იმის დასახასიათებლად თუ როგორ პირობებში უხდებოდა მ. გარიყულს მუშაობა ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ დრამწრის ხელმძღვანელ-რეჟისორის, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის, აწ განსვენებული ალ. ჯაყელის ნათქვამს: „ერთად-ერთი პირი, რომელიც გვერდში გვედგა, იყო მწერალი მ. გარიყული-რატიანისა. მაშინ მარიამი უკვე ოჯახით იყო დატვირთული, მიუხედავად ამისა, მაინც სიამოვნებით გვეხმაებოდა და ერთხელაც არ მოშორებია სცენას... ბავშვებს დააძინებდა თუ არა, რეპეტიციებზე გამორბოდა“.

1926. მ. გარიყული თბილისში გადმოსახლებულა და ერთხანს სატირის თეატრში დაუწყია მუშაობა მსახიობად.

1904 წლიდან ვიდრე 1926 წლამდე ე. ი. მთელი 22 წლის განმავლობაში მ. გარიყულს სცენაზე უხელფასოდ უმუშავია. სატირის თეატრიდან

იგი კინოში გადასულა სამუშაოდ და იქაც მრავალი სურათების გადაღებაში მიუღია მონაწილეობა, განუსახიერებია მრავალი ეპიზოდური როლები.

□□

ამ თეატრებში წარმოდგენებს მართავდა აგრეთვე გიმნაზიელი შალვა ხონელი (გოგოლაშვილი), ამჟამად რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ქართული თეატრის მსახიობის სვიმონ სვიმონიძის ვაჟი. ამ თეატრში ავლაბრის მსახიობების ყოფნის პერიოდში წარმოადგინეს: „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", „ორი გმირი", „პარიზელი ბიჭი", „მეორედ გაყმაწვილება", „ქრისტინე", „სიმდიდრის მსხვერპლი". ამ სპექტაკლებში ავლაბრის თეატრის სცენისმოყვარეებიდან მონაწილეობა მიიღეს: ლ. ბაღაშვილმა, ნ. საყვარელიძემ, კ. მეტრეველმა, დ. მელაშვილმა, პ. შრომიშვილმა (ბეგიჯანოვი), გ. ბაკურაძემ და რ. სალაყაიამ.

ვეტცელის თეატრში სპექტაკლებს მართავდა ავლაბრის თეატრის ქართული დასის წარმომადგენელი დავით ჯავახიშვილი. (საქართველოს სახალხო არტისტის ნატალია ჯავახიშვილის ძმა), რომლის უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელებულა მთელი რიგი პიესები: „ორი ობოლი", „და-ძმა", „ორი დარაჯი", „არკადიას სადილი", „დამნაშავეა?", „ძველი და ახალი თაობა", „დედისერთა". ამ პიესებში ავლაბრის არაქსიანის თეატრის სცენისმოყვარე დ. მელაშვილი თამაშობდა პიერს „ორ ობოლში", გიორგი ადამიას „და-ძმაში", გლებ ნინიკას „არკადიას სადილში", ფონ ეილენს „დამნაშავეში". ამ სპექტაკლებში მონაწილეობის მისაღებად არა ერთხელ მოუწვევიათ ქართული თეატრის გამოჩენილი მსახიობები: ვ. შალიკაშვილი, ს. ყალაბეგაშვილი, შ. საფაროვი, დ. რჩეულიშვილი და დ. ივანიძე.

დესპინე ივანიძეს უდაოდ ნიჭიერ ქალს ეძახდა თურმე ლადო მესხიშვილი. იგი ყოველთვის ანგარიშს უწევდა დესპინე ივანიძეს, როგორც თეატრის ძველ მოღვაწეს, როგორც პროფესიონალ მსახიობს. ლადო მესხიშვილი ხშირად შეეკითხებოდა ხოლმე აზრს რომელიმე პიესის დადგმის, ან როლების განაწილების შესახებ და მის აზრსაც იზიარებდა. დესპინეს ამხანაგები ყველა დიდიდან პატარამდე მოკრძალებით ექცეოდნენ. დესპინეს ერთ-ერთს პირველს დაურღვევია ქართველი ქალის კარჩაკეტილობა და გადაულახავს ყოველივე დაბრკოლება ჯერ კიდევ იმ დროს, როცა ქუთაისში თეატრი ახლად ყალიბდებოდა. ის გვერდში ამოუდგა კოტე და დავით მესხებს, მან ყური არ უგდო კიცხვაკილვას და თავისი გული თეატრის სამსახურს ზვარაკად შესწირა. დესპინე ივანიძე ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თურმე თავის როლებს—იგონებენ ძველი სცენისმოყვარეები—ის რომ კულისებში დაიძახებდა

—„ურიელ! შვილო, ურიელ! და როცა დაბრმავებულს სცენაზე შემოიყვანდნენ, ურიელის უმცროსი ძმები რობერტი და რაფაელი და დედა ხელის ფათურით იწყებდა ურიელის ძებნას, მაყურებელს სზარავდა. ასევე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა „კაოუს გრაკხში", როცა გრაკხის დედის, კორდელიას როლს ასრულებდა. აქაც, როცა დესპინე შვილს დაშნას გაუწოდებდა და მიმართავდა: — „აჰა, შვილო, მახვილი, მოიკალ თავი, არ შერცხვე, მოიკალ თავი" — მაყურებელს ცივი ჟრუანტელი უვლიდა. „უდანაშაულოდ დასჯილნი" (მაშინ ამ სახელწოდებით იყო თარგმნილი ა. ოსტროვსკის პიესა „უდანაშაულო დამნაშავენი"). დ. ივანიძე გალჩიხას როლს ასრულებდა და მას ნამდვილი შეშლილიდან ვერ გაარჩევდი. ერთ პიესაში მთელ ორ მოქმედებაში დადამბლებული იყო. საკვირველია, დადამბლებული ადამიანის ამდენ სხვადასხვა მიმიკას და მოქმედებას საიდან იღებდა? ასევე ამაღელვებლად თამაშობდა ავქს. ცაგარლის „ქართველ დედაში", „ოტელოში" იაგოს მორჩილ ცოლ ემილიას, ანსახიერებდა, მაგრამ უკანასკნელ მოქმედებაში დეზდემონას დასრჩობით შეძრწუნებული ის ვეფხვად იქცეოდა და ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა, თითქოს ეა ეს არის ლეკები წაართვეს და გამწარებული უნდა ქვეყანას ეძგეროსო.

„ღალატში" დესპინეს ისახარს, ვერავის ისახარი ვერ შეედრებოდა. ისახარ, ეს არის თავისუფალი ქართველი? — ეუბნება ისახარს იმედდაკარგული ზეინაბი — ნინო ჩხეიძე, სოლეიმან ხანის წინაშე მუხლებზე მხოხავი ოთარ-ბეგის შესახებ.

— ახსენ ის ბორკილი, რომელიც მძიმე უღლად ადევს კისერზე და ნახავ როგორ შეინავარდოს, პასუხობს ისახარი-დესპინე და მასთან ერთად დარბაზი იმედის სხივით ივსებოდა. ან და — „ღალატის" უკანასკნელი მოქმედება: სოლეიმანის სასახლეში ფანჯარასთან დგას გულხელდაკრეფილი. შავ სამოსელში გახვეული ცივი ქანდაკება და მეტეხს გაჰყურებს.

სოლეიმანი მუხლმორთხმით ზის ტახტზე, მუთაქებზე მისვენებული ყალიონს აბოლებს და ამბობს: — ალრაზაკი მოჰკლეს, რუქაია გაიქცა!

— სოლეიმან, მეტეხს გაუფრთხილდი! — ეუბნება შეთქმულების მონაწილე ისახარი. მან იცის, რომ წუთი-წუთზე მეტეხს აფეთქება მოელის და უნდა განაწამებ დედას ქვეყნის მტარვალი მეტეხში შეიტყუოს.

— ღალატის სუნი მომდის, ღალატის! ოიჰ, ალაჰ, ალაჰ, შენ დამიფარე ფადიშას რისხვისაგან!

— სოლეიმან, მეტეხს გაუფრთხილდი!

მაყურებელი კისერწაწვდილი იყურება იმ მხარეს, საითაც სოლეიმანს ისახარი მიუთითებს. დარბაზს ისეთი განცდა აქვს, სადაცაა ყველაფერი ჩამოინგრევაო.

— პეპერო, რას დამჩხავი — უღრენს სოლეიმანი, ისახარი კი დგას გაქვავებული. სოლეიმანის ცხენმა გულმუცელი ჩაუნგრია ისახარის ჩვილ ვაჟს და ახლა ისახარი ელის სამაგიეროს გადახდას.

ჰაუპტმანის „ავადმყოფ ხალხში" დ. ივანიძე დედის როლს ასრულებდა. აქ ის იყო თავისი თავის განსახიერება.

— რა გინდათ შვილებო, რა გინდათ?! ამომჭერით გული, გაჭკვეთეთ და ჩაიხედეთ შიგ! — ხელგაშლილი, სასოწარკვეთილი რომ მიმართავდა შვილებს, მაყურებელი ველარ უძლებდა და თვალებზე ხელს იფარებდა. მესხიშვილს, ყველაფერი ეს აკვირვებდა და იტყოდა ხოლმე: „სად აქვს ამ ქალს ამდენი ძალა, ეს ხომ მხოლოდ გრძნობით და ინტუიციით მიდის როლებთან და არა თავისი ერუდიციითო"[1]...

□□

პოლონელთა სახლში ს. მაკაროვმა 1910 წლის 11 ივლისს საქველმოქმედო მიზნით წარმოადგინა პიესა „რაც გინახავს, ველარ ნახავ". მონაწილეობდნენ ნ. გოცირიძე და ს. სვიმონიძე. გლეხის ბიჭის ილუას როლს თამაშობდა სცენისმოყვარე დ. მელაშვილი.

ავლაბრის სცენისმოყვარეებმა ანა კავთელმა და ალ. გოჩიტაშვილმა 1912 წლის 29 აპრილს ბირჟის დარბაზში წარმოადგინეს პ. ირეთელის პიესა „ქრისტინე".

ანსამბლი შესანიშნავად იყო შედგენილი. „ქრისტინეში" ლოთბიჭების როლებს—ღორუასა და სხვებს ტიპიურად წარმოსახავდნენ: ს. ერთაწმინდელი (მწერალი), პ. ფრანგიშვილი, დ. მელაშვილი, ნ. მირველოვი. შესანიშნავად ანსახიერებდა ქრისტინეს უკანონო შვილის გოგიას როლს მაშინ მურაშკოს, თეატრის ახალგაზრდა სცენისმოყვარე დ. თვალჭრელიძე... ღარიბი ყოფილა თვალჭრელიძის ოჯახი, მაგრამ გულღია და სტუმართმოყვარე, ხშირად მათ ოჯახში დადიოდნენ მისი ძმის პეტრეს ამხანაგები — აბელ ენუქიძე, ძმები ვასო და სოკა არეშიძეები და სხვა. ზოგჯერ კი დაუპატიჟებელი „სტუმრები" — ჟანდარმები და პოლიციელებიც ეწვეოდნენ ხოლმე და ოჯახს უფორიაქებდნენ, მსუნაგი მგლებივით და ეძებდნენ განთქმულ ტერორისტ პ. თვალჭრელიძეს.

1905 წელს დაავადებული მოხუცი მამა გარდაცვლიათ. უფროსი ვაჟი ციმბირს გადაუსახლებიათ. საწყალ დედას როგორ შეეძლო აუტანელი შრომით იმდენი ეშოვნა, რომ ბავშვები გამოეკვება. რეაქციის პერიოდში უფროსი ვაჟის ამხანაგებიც არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და თვალ-

[1] მ. გ ა რ ი ყ უ ლ ი, თეატრალური მოგონებანი, გამომც „ხელოვნება", 1959, გვ. 56-57.

ჭრელიძეების ოჯახს ისე ველარ ეხმარებოდნენ, როგორც საჭირო იყო და აი, დედას 12 წლის ბიჭუნა დათიკო ლუკმა პურის საშოვნელად შეგირდად ნიკოლოზ სამებელაშვილისათვის მიუბარებია. შინაგანაწესით შეგირდს ევალებოდა თურმე დუქნის დაგვა-დასუფთავება, ოსტატისა და ქარგლებისათვის სადილის მიტანა და, საერთოდ, ხელზე მოსამსახურის ყველა მოვალეობა. შეგირდის „აღზრდის“ მეთოდად იყენებდნენ წკიპურტს, მუჯლუგუნს, სილას, ლანძღვა-გინებას და სხვ. იშვიათად თუ გამოჩნდებოდა ისეთი ოსტატი, რომელიც აღზრდის ახალ მეთოდს გამოიყენებდა. სახელოსნოს პატრონს დათიკოსათვის ფულად დღეში 3 კაპიკი უძლევია, საღამოთი კი, შინ დაბრუნებისას, იგი დედას ორ კაპიკს აძლევდა და ამით ოჯახის მეურნეობაში თავისი წვლილი შეჰქონდა,. შაბათობით იღებდა დათიკო 50 კაპიკს, რაც მთლიანად დედასთან მიჰქონდა.

ამ პერიოდში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ღარიბი მოსახლეობისათვის საკვირაო სკოლა გაუხსნია. დედას კარგად ესმოდა სწავლის საჭიროება და ცდილობდა შვილი უსწავლელი არ დარჩენოდა. დათიკოც ერთი ასეთი სკოლის ბეჯითი და ერთგული მოსწავლე გამხდარა. მალე ჭაბუკი თეატრსაც გაუტაცნია.

დ. თვალჭრელიძეს პირველად 1911 წელს სცენისმოყვარეთა წრეში ავქს. ცაგარლის პიესაში „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ პატარა ბიჭის, ილუას როლი განუსახიერებია. ყმაწვილს სასცენო ნიჭი აღმოჩენია. 1911—1912 წლის სეზონში სახალხო სახლის სცენისმოყვარეთა წრეში მიუწვევიათ. აქ ალ. წუწუნავას რეჟისორობით, დ. თვალჭრელიძეს პიესაში — „უმუშევარნი“ — ქურდი ბიჭის ვასიას როლი შეუსრულებია და ერთსულოვანი მოწონება დაუმსახურებია. რეცენზენტებს აღუნიშნავთ ამ ახალგაზრდის სასცენო მონაცემები.

დ. თვალჭრელიძის პატრონს ნ. სამებელაშვილს შემთხვევით ერთ-ერთი გაზეთი ჩავარდნია ხელში, სადაც რეცენზენტი აქებდა პიესას — აქ გამახვილებულია ყურადღება მუშათა კლასის ბრძოლაზე კაპიტალისტების წინააღმდეგ — და დასძენდა, განსაკუთრებით კარგი იყო მუშის როლში დ. თვალჭრელიძეო. მეორე დილით სახელოსნოში მისულ დათიკოსათვის სამებლიშვილს ასე მიუმართავს: შენ ისეთ საქმეში ჩარეულხარ, ბუნტოვჩიკ-სოციალისტი გამოხვალ, ოჯახს დამიქცევ — თან ლაზათიანად შეუკურთხებია და გაუგდია. ამხანაგებს დათიკო მოუწყვიათ პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტზე მდებარე ძმებ სანდლერებთან მაღაზიაში. მისი მოვალეობა მაღაზიის მეთვალყურეობა ყოფილა. კვირაში საფასურად 6 მანეთი და 50 კაპიკი და პურის ფულად დღეში 20 კაპიკი უძლევიათ დათიკოსათვის. ძმები სანდლერები კარგად ეპყრობოდნენ თურმე დათიკოს. იცოდნენ, რომ სცენით იყო გატაცებული და

თვითონ, როგორც თეატრის მოყვარულნი, ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ჭაბუკს. სანდლერები ამაყობდნენ კიდეც, რომ მათი თანამშრომელი არტისტი იყო.

ა. წუწუნავას მეშვეობით დათიკოს ბევრი კარგი როლი შეუსრულებია, რასაც ხელი შეუწყვია მისი ნიჭის გაფურჩქვნისათვის. დავითს წილად ხვდომია ბედნიერება 1913 წელს დიდ მსახიობ მაკო საფაროვა-აბაშიძესთან ერთად „ხათაბალაში“ პატარა, მაგრამ საყურადღებო როლი — ნატალიას მოჯამაგირე ეთამაშა. 1914 წელს საქველმოქმედო მიზნით დადგმულ ვოდევილში „არც აქეთ, არც იქით“, ვასო აბაშიძის პარტნიორობა ხვდომია წილად, აქ მას ტარას მშიერაძის როლი შეუსრულებია. ამ ვოდევილში ერთი პატარა როლია, ისეთი კოლორიტული, ისეთი მომგებიანი, რომ რუსეთში ბევრი დიდი მსახიობი სიამოვნებით თამაშობდა. სახელდობრ, ფეხსაცმლის მკერავი ბიჭის როლი. თეატრის ისტორიიდან ვიცით, რომ დიდი მსახიობი პავლე ორლენევი, სუვორინის თეატრში ახალგაზრდობისას მხოლოდ ვოდევილებში თამაშობდა. ერთხელ იხილეს ფეხსაცმლის მკერავი ბიჭის როლში და იმ ღამესვე გადაწყვიტეს ა. ტოლსტოის „თევდორე იოვანეს ძეში“ მთავარი როლი მისთვის დაეკისრებიათ. რასაკვირველია, დ. თვალჭრელიძეს ასეთი ბედი არ სწვევია, მაგრამ ამ ვოდევილს მისთვის სახელი გაუთქვამს და ვ. აბაშიძის, ვალ. გუნიას და სხვების დიდი მოწონება დაუმსახურებია.

1914-15 წლის სეზონისათვის დრამატული საზოგადოება შედგომია სამზადისს. დასში მიუწვევია ახალგაზრდა რეჟისორები: მ. ქორელი და ალ. წუწუნავა. დასი უმთავრესად ახალგაზრდებისაგან ყოფილა შემდგარი. ალ. წუწუნავას რეკომენდაციით სცენისმოყვარეებიდან პროფესიულ დასში დ. თვალჭრელიძე მიუწვევია. თუ წინათ, ტრადიციის მიხედვით, სეზონი ყოველთვის დ. ერისთავის „სამშობლოთი“ იხსნებოდა, ახლა სეზონი ი. გედევანიშვილის „მსხვერპლით“ გახსნილა. პიესაში მედუქნე საქოს როლი შეუსრულებია ვ. აბაშიძეს, ხოლო მედუქნის ბიჭის, შაქროს როლი დ. თვალჭრელიძეს. საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვედრია „მსხვერპლის“ მონაწილეებს, მქუხარე ოვაციები მოუწყვიათ დიდოსტატი ვ. აბაშიძისა, ალ. იმედაშვილისა, და ვ. გამყრელიძისათვის... ხალხს არც პატარა ბიჭის როლის შემსრულებელი დ. თვალჭრელიძე დავიწყებია და ტაშით ისიც დაუჯილდოვებიათ. პრესას სხვა ოსტატებთან ერთად დ. თვალჭრელიძის თამაშიც კარგად შეუფასებია. ერთერთ რეცენზიაში, წერდნენ: „სოფლის გაიძვერა ჩარჩ-ვაჭარ საქოსთან (ვასო აბაშიძე) ერთად კარგად განასახიერა მოჯამაგირე ბიჭის როლი დ. თვალჭრელიძემ. ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობამ საჭიროა სათანადო ყურადღება მიაქციოს ამ ახალგაზრდა ნიჭიერ მსახიობს. რესპუბლიკის სა-

სახალხო არტისტი ზ. გომელაური თავის მოგონებაში ეხება რა „მსხვერპლის" დადგმას, წერს — „პატარა როლის — მედუქნის ბიჭის შემსრულებელმა დ. თვალჭრელიძემ გამოიწვია საზოგადოების აღტაცება". დასს აღარ დასცლია მეორე სპექტაკლის დადგმა, ქართული თეატრი დაიწვა, დასი უთეატროდ დარჩა.

მეორე წარმოდგენის საღამოს კი, — იგონებს მსახიობი, — მთელ თეატრს ხანძარი მოედო და ჩვენი საყვარელი თეატრი ფერფლად იქცაო.

ამ უბედური შემთხვევის გამო ქართული დრამის გამგეობას დაუწყია აქა-იქ დროგამოშვებით წარმოდგენების გამართვა სხვადასხვა თეატრებსა და კლუბებში. (ძირითადად გარეუბნის სახალხო თეატრებში). სამწუხაროდ, ასეთ პირობებში დიდხანს ვერ უარსებია თეატრს. დასი დაშლილა. დ. თვალჭრელიძე სამხედრო სამსახურში გაუწვევიათ. 1916 წელს კი იგი მძიმედ დაჭრილი დემობილიზაციით ჩამოსულა. მსოფლიო ომით გამოწვეულ ნგრევას თეატრების კრიზისი გამოუწვევია. ამ პერიოდში დ. თვალჭრელიძეს პროფესიულ დასში მუშაობაზე ოცნებაც კი არ შეეძლო. ამიტომ მას მუშათა უბნებში მურაშკოსა და არაქსიანის თეატრებში, როგორც რეჟისორსა და მსახიობს, მოღვაწეობა დაუწყია.

გასულა დრო და დ. თვალჭრელიძეს სარეწაო კავშირის კლუბში გადაუნაცვლია, თუმცა ზოგჯერ ა. ბადრიძესთან ერთად წარმოდგენებსაც ხელმძღვანელობდა.

დ. თვალჭრელიძეს თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე მთელი რიგი როლები აქვს შესრულებული, აქვს. ცაგარლის პიესაში „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" — ილია, ზაქარია; „ციმბირელი" — ქსელოვი; „ხანუმა" — აკოფა; ვალ. გუნიას ვოდევილები: „რაც არ გერგება, არ შეგერგება" — მასწავლებელი: „დედის ერთა" — იოთამი, „არც აქეთ, არც იქით" — მეწაღის ბიჭი, „სიძე-სიმამრი" — ცანცარა, „და-ძმა" — გიორგი: ი. ჭავჭავაძის ბატონი და ყმა" — დათიკო: აკ. წერეთლის პიესაში — „პატარა კახი". — კახი, „კინტო" — კინტო: ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი" — მიხა; პ. ირეთელის „ქრისტინე" — გოგია; ა. ნიკიტინის „უმუშევარნი" ვანიატა, ნ. შიუკაშვილის პიესებში „სულელი" — ბარათაშვილი. „გამხმარი ფოთოლი" — ვიქტორ კახიძე: ა. ოსტროვსკის „უდანაშაულოდ დამნაშავენი".—ნეზნამოვი; რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს" — აპოლონი, სერგო; ს. ერთაწმინდელის „რევოლუციის რიჟრაჟზე" — ზურაბი; ია ეკალაძის „№ 21 ჯვრით" — ლეონ-ბერგი: ვ. მინდიაშვილის „თეთრი ღენერალი" — სერგეი, ნ. გერგესელის „ნიღაბქვეში" — სიმონი; ტ. რამიშვილის „მეზობლები" — სოსიკო: გუცკოვის „ურიელ აკოსტა" — რუბენ; ბ. ახოსპირელის „საუბედურო დებიუტი" — ვა-

ლოდია; ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა" — ბლოხინი და სხვა მრავალი.

□□

სცენისმოყვარეთა წრის წევრები ალ. ადამიძისა, ვ. მატარაძისა დ. მელაშვილის მონაწილეობით 1910 წლის 7 აგვისტოს საგასტროლოდ გამგზავრებულან ავჭალის სადგურის მახლობლად, სადაც ავჭალის მოსახლეობისათვის წარმოუდგენიათ ალ. ყაზბეგის პიესა „ყაჩაღი არსენა". სპექტაკლი ღია ცის ქვეშ მიდიოდა, ჯაბიაშვილის ბაღში. სცენის იატაკი გარდი-გარდმო დალაგებული ფიცრებით ყოფილა გამართული. სირაჯის მეტისმეტად კომიკური როლი იმ საღამოს უთამაშია მსახიობ ალ. ადამიძეს. დ. მელაშვილს კი სირაჯის ბიჭის როლი განუსახიერებია. როცა ფარდა აუხდიათ და სირაჯი გამოჩენილა ხალხს სიცილ-ხარხარი აუტეხია. მსახიობი ადამიძე ცდილობდა, რაც შეიძლებოდა თავიდანვე სერიოზული ტონი აეღო, რომ როლი არ გაეშარჟებია. იმ მომენტში, როცა სირაჯის გაძარცვის სცენა დაიწყო და არსენას ამხანაგმა თედომ სირაჯს თოფი დაუმიზნა, ადამიძეს — სირაჯს ერთი ადგილიდან მეორეზე გადანაცვლებისას იატაკი აჰყირავებია და სცენის სიღრმეში ჩავარდნილა. ხალხს დაუსრულებელი ხარხარი აუტეხია. ადამიძე — სირაჯი კი დ. მელაშვილს და თ. ღონღაძეს ძლივსძლიობით ამოუთრევიათ ქვემოდან.

წარმოდგენის მეორე დღეს დამსწრე ხალხი იცინოდა თურმე და თან კითხულობდა: სირაჯის ჩავარდნა განგებ ხომ არ მოაწყვეთ, რომ ხალხს ბევრი ეცინაო. კარგი იქნება, თუ ამგვარ წარმოდგენებს ხშირად მოაწყობთო.

ასეთი კურიოზები ავლაბრის სცენისმოყვარეებს ხშირად მოსდიოდათ. აი, რას გვიამბობს სცენისმოყვარეები ერთ-ერთი შემთხვევის შესახებ.

1905 წლის 17 დეკემბერს რკინიგზის თეატრში, გაფიცულ ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა დასახმარებლად პიესა „სიმდიდრის მსხვერპლი" წარმოადგინეს. მას დაუმატეს ვალ. გუნიას ერთმოქმედებიანი კომედია „თაგვის ბრალია". სხვათა შორის, ამ პიესაში ძაღლი იყო საჭირო, რადგან პიესის ერთ-ერთი გმირი გიმნაზიელი დათიკო, რომელსაც დ. მელაშვილი თამაშობდა, მონადირეა. ერთხელ ნადირობიდან შინ დაბრუნებულს სახლში ძაღლიც შეჰყავს. ეს ძაღლი სახლიდან მოიყვანა თეატრის მუდმივმა სცენარიუსმა პ. შრომიშვილმა (ბეგიჯანოვმა). პიესა რომ დამთავრდა ბეგიჯანოვმა ძაღლი დააბა, მაგრამ ძაღლი უპატრონოდ არ ისვენებდა და წკმუტუნებდა ამიტომ ბეგიჯანოვი იძულებული გახდა ეტარებინა ნაწარმობმული ძაღლი. (სახელად „ბარბოს"). სხვათა შორის, ეს ძაღლი დიდი მტერი იყო თაგვების; საკმარისი იყო თაგვის სახელი გეხსენებინათ, რომ იქაურობა დაენგრია. და

აი, ვოდევილი „თაგვის ბრალია“ დაიწყო. სცენარიუსი ბეგიჯანოვი კულისებში დგას ანთებული სანთლით, პიესით და თან თოკით აკავებს თავის „ბარბოსას“. სცენაზე კი ასეთი ამბავი ხდება: თავადი ნესტორი ეწევა ქალბატონ ქეთევანს. ნესტორი დოყლაპია კაცია, თაგვებისა ძალიან ეშინია. ეს იცის ქეთევანმა და განიზრახავს ნესტორი (ასრულებდა რ. სალაყაია) გააპამპულოს. ქეთევანი (ნ. საყვარელიძე) უცბად სკამზე ავარდება და შეჰყვირებს: არიქა, ბატონო ნესტორ, თაგვი, თაგვიო! თაგვის გაგონება იყო და, კულისებში ბეგიჯანოვს „ბარბოსა“ ხელიდან აწყვეტია, შეუნგრევია დეკორაციის კარი, შევარდნილია სცენაზე და დაუწყია სირბილი. ატყდა სიცილ-ხარხარი. იცინოდა ხალხი, იცინოდნენ მოთამაშენიც—რ. სალაყაიასა და ნ. საყვარელიძეს ვერ გაეგოთ თუ რად შევარდა სცენაზე ძაღლი. რ. სალაყაიამ სცენიდან კულისებში გასძახა: რად შემოუშვით ძაღლი, ჩქარა გაიყვანეთო! სხვა გამოსავალი არ იყო, ბეგიჯანოვმა თავი შეჰყო სცენაზე, ეჩვენა ძაღლს, დაუძახა და როგორც იქნა გამოიყვანა. ამ პატარა კურიოზით სცენა, რა თქმა უნდა, გაფუჭდა, მაგრამ ხალხს ეს არ შეუმჩნევია. ხალხმა სიცილით გული იჯერა და ბევრს ალბათ ეგონა, რომ ძაღლის შესვლა სცენაზე პიესაში ეწერა, როგორც, მაგალითად „სიმდიდრის მსხვერპლში“.

სცენის მოყვარეთა საგასტროლო მოგზაურობიდან მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ამჟამად მე მინდა გაგაცნოთ ერთ-ერთი საგასტროლო მოგზაურობა.

1914 წლის ზაფხულში საგასტროლოდ გაემგზავრნენ ქარელის მიმართულებით გ. ბარელი (ყანჩელი), გ. ჩინჩალაძე, ა. ღონღაძე, ვ. სადულიშვილი და პავლე ფრანგიშვილი. ქალებიდან: ვ. ნიკიფოროვა, დ. რჩეულიშვილი, ქ. კამკამიძე. პოეტები: გ. ქუჩიშვილი, ს. ერთაწმინდელი და ვ. საათაშვილი, ზემო ქართლის სოფლების კულტურული მომსახურების მიზნით.

რეპერტუარში ჰქონდათ ვოდევილები: „ტიმოთეს ლეღვი“, „ჰკუისა მჰირს“ და „მე მოვკვდი“. წარმოდგენები ყველგან მაყურებლის ინტერესს იწვევდა, მაგრამ შემოსავალი ვერ ფარავდა გასავალს ისე, რომ გაჭირვებისათვის დაეღწიათ თავი. რამდენიმე წარმოდგენის შემდეგ ს. ერთაწმინდელს და გ. ქუჩიშვილს გამოქცევაც კი დაუპირებიათ, მაგრამ გ. ბარელს დაურწმუნებია ისინი სპექტაკლების აუცილებლობაში, ისინიც დარჩენილან ერთის პირობით, რომ ბარელი ისეთ შეძლებულ სოფელში წაიყვანდათ, სადაც სპექტაკლის ჩვენების შემდეგ გზის ფული მაინც დარჩებოდათ.

აღმოაჩინეს სოფელი ბრეძა, სადაც მომეტებულად თავად-აზნაურობა ცხოვრობდა. გასწიეს ამ ნაქებ სოფლისაკენ. ვიღაცას ისე ახლოს დაუსახელებია ეს სოფელი, რომ ეგონათ ერთ საათში მივიდოდნენ, მაგრამ ვაი მათ

დღეს, იარეს იარეს და ძლივს მიაღწიეს გზაში ისე საშინლად გაუავდარდათ, რომ თავიდან ფეხებამდე დალბნენ. ნამეტნავად პავლე ფრანგიშვილი აეტანა სიცივეს. ისე გალურჯებულიყო და გაშავებულიყო რომ ზანგს დამსგავსებოდა. ნაავდრევზე ფეხი უცურდებოდათ და ერთმანეთს ზედ ეცემოდნენ. ტალახში ისე იყვნენ ამოსვრილები, რომ არ შეიხედებოდნენ. ბარელს, გ. ქუჩიშვილის ერიდებოდა და მის ჯანმრთელობაზე ფიქრობდა. ძალიან რომ გაავდარდა, გ. ქუჩიშვილმა სიარული შეანელა და, მეტი რომ ვერაფერი მოახერხა, ბარელს დაუწყო ლანძღვა. ამ დროს ბარელი მიუახლოვდა ს. ერთაწმინდელს, რომელიც ნამდვილ დევკაცივით მიტოპავდა ტალახში და წასჩურჩულა: ბიჭო! ხომ ხედავ გიორგიმ და ვარამ სიარულს უკლესო — მერე, მე რა შემიძლიან, — შეეკითხა სეზმანი.

რა და მე ვარას ავიკიდებ და შენ გიორგი ქუჩიშვილი, იქნებ ცოტა მაინც შეასვენონ მუხლებიო.

— კი, მაგრამ მე რომელი კურტნიანი მუშა მნახეო? — შემოწყრა თურმე ერთაწმინდელი. ლაპარაკისათვის ყური მოუკრავს გიორგის და უთქვამს,— შე კაი კაცო, მე შენთვის ჩალის კონა ვარ, რისა გეშინიაო. ბევრი სიცილის შემდეგ ს. ერთაწმინდელს ზურგზე შეუსვამს გიორგი. ვარა ნიკიფოროვა კი ტყემლის ტყლაპივით გაჭკროდა ზურგზე ბარელს. დ. რჩეულიშვილსა და ქ. კამკამიძეს გახამებული ჩიქილები გაეკრათ ბეჭებზე, ჩიხტები გვერდზე მოქცეოდათ, გრძელი კაბები ტანზე შემოჰკვროდათ და ნაბიჯის გადადგმას ველარ ახერხებდნენ, ბოლოს კაბები თავზე წამოუხურავთ და თეთრ ბოლო კაბებში დარჩენილები შეშინებულ ბატებს დამსგავსებოდნენ. ბარელს კი წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ ასეთი მოღვაწეობისათვის. მიუხედავად ასეთი გაჭირვებისა — თავით ფეხებამდე ტალახში ამოსვრილები სიცილით იხოცებოდნენ. მხოლოდ იმითღა ინუგეშებდნენ თავს — ვიღაცა კეთილი ადამიანი აღმოჩნდებოდა და ოდესმე გაიხსენებდა. გიორგი სეზმანის ზურგზე ისე არხეინად გრძნობდა თავს, რომ გეგონებოდათ ოქრომკერდით მოქარგულ ტახტრევანზე ზის და არაბეთის უდაბნოში მიემგზავრება აქლემითო. თან თავის მოსწრებულ რეპლიკებს არ აკლებდა — გაუძელით, მომავალი ჩვენია! კულტურის მატიანეში ოქროს ასოებით ჩავიწერებითო...

არც ბარელის ზურგზე გართხმული ნიკიფოროვა აკლებდა გიორგის რეპლიკებს პასუხს — იმედი გვაქვს, პოეტო, მომავალ შენს ლექსებში შეგვიტან და მით დაამშვენებ შენს მაღალ პოეზიასო!..

ნიკიფოროვა ისეთი მსუბუქი ყოფილა რომ დავიწყებია კიდეც ბარელს ზურგზე რომ ეკიდა. გადამხტარა ერთ პატარა გუბეზე. ფეხი დასხტომია ყამირზე და ვარა ქვეშ მოჰყოლია ბარელს. უკან მომავალ ფრანგიშვილს

ყვირილი აუტეხია არიქა, ვუშველოთ, თორემ გუბეში ჩაიხრჩობიანო! ყვირილზე ყველანი ბარელისაკენ შემობრუნებულან და სიცილ-ხარხარი აუტეხიათ. ერთაწმინდელს კი გიორგი ჩამოუგდია ტახტრევანიდან — ადე, ძმაო! ხომ ხედავ აქლემმა წამოიჩოქა და ველარ ატარებსო. ამ ამბავმა ყველას დაავიწყა თურმე ჯოჯოხეთური გაჭირვება და სიცილით იხოცებოდნენ. ამ დროს ნიკოფოროვას უთქვამს, — ნეტავ ძალას ვინ გვატანდა, წადით და სოფელსოფელ იხეტიალეთო. ხან ბოქაული გვიჭერს, ხან მამასახლისი და თან ასეთ გაჭირვებას ვიტანთო (ნიკიფოროვა თვითონ პრისტავის ცოლი იყო).

ასე იყო თუ ისე, უნდა გვეფიქრა იმაზე, თუ სად მოვდიოდითო, ან და ვინ შეგვიფარებდა.

— არა, ამხანაგებო! გულს ნუ გაიტეხთ. ჩვენს ასეთ ხეტიალს ბრწყინვალე მიზანი აქვს და შრომაც ოდესმე დაგვიფასდება! ავთანდილებო! ნესტანდარეჯნებო! ოდესმე ჩვენც ავიღებთ ქაჯეთის ციხეს! — იმედიანად ამხნევებდა ქუჩიშვილი.

როგორც იქნა მიუღწევიათ იმ სოფლისათვის, რომელიც ბარელმა ზემოთ ახსენა. მისვლისთანავე სოფლის დასაწყისში თვალში გეცემოდათ ერთი სამთვალიანი ფიცრული სახლი რიკულებ მომძვრალი აივნით. აივნის ბოძები მთვრალი მაყრებივით აქეთ-იქით მიწოლილიყვნენ.

აივნიდან ოთხი თუ ხუთი ახალგაზრდა ქალი იყურებოდა და სტუმრების გარდი-გარდმო სიარულზე იცინოდა. ალბათ, თეთრქვედაკაბიანი ქალები და მამაკაცები ატოცის წმინდა გიორგის მონები თუ ეგონათ.

მისულებს მღვდელი გამოჰგებებიათ, რომელიც მიმხვდარა მათი მისვლის მიზეზს და სახლში მიუპატიჟებია.

— შვილებო, გეტყობათ გატანჯულხართ ცუდი ამინდით, მობრძანდით, შეისვენეთ, ავდარიც გადაიღებს და მერე განაგრძეთ გზაო.

მღვდლის სიტყვებს, ქალებიც შეუერთდნენ. მგზავრებსაც აბა, მეტი რაღა უნდოდათ.

პირველი, როგორც —„ანტრეპრენიორი" ბარელი შესულა და შეწუხებისათვის ზრდილობიანად მოუბოდიშებია, მიყოლიან სხვებიც და ერთმანეთს გასცნობიან. ამათ ხმაურზე ოთახიდან გამობრძანებულა ფოფოდია. ფოფოდიას საერთო სალამი მიუცია და მათ შემხედვარე ძალზე შეწუხებულა. მისულებს იატაკზე წყლის გუბე დაეყენებიათ. გოგონებს წუმპეში ჩურჩხელასავით ამოვლებული პავლე ფრანგიშვილზე ისტერიული სიცილი აუტეხიათ. მღვდელსა და ფოფოდიას იგი სახლში შეუწვევია და სველი ტანსაცმელი გამოუცვლიათ. დაროსათვის ჩაუცმევიათ ფოფოდიას კაბა, დანარჩენებს კი გოგოების კაბები, მამაკაცებს კი მღვდლის ანაფორები. ერთი სიტყვით, მათი შემხედავი კაცი ჭკუაზე შესცდებოდა.

ფრანგიშვილი მღვდლის ანაფორაში ფრანგების ნამდვილ პატრს დამსგავსებოდა, რის გამოც ქალებს სიცილი ვეღარ შეეკავებიათ. გიორგი და ვანო საათაშვილი წიგნის კარადასთან ფუსფუსებდნენ, ქალები კი ფოფოდიას ეხმარებოდნენ. ამ დროს გიორგის კარადაში თვალი შეუვლია თავისივე ლექსების კრებულისათვის და გადმოუღია. ეს შეუნიშნავს ყველაზე უმცროს გოგონას და გიორგისათვის უთქვამს: „ძია, ეგ ჩემი საყვარელი წიგნია, მაგ წიგნიდან ბევრი ლექსი დავიზეპირე, განსაკუთრებით მომწონს „ჯვრის მონასტერი", წიგნი ეკუთვნის პოეტ გიორგი ქუჩიშვილს". გიორგის თავისებურად გაუღიმია, წიგნი დაუკეცია და კარადაში შეუდვია. ბარელი მიახლოვებია გოგონას, მხარზე ხელი დაუდვია, ლამაზ წყლიან თვალებში ჩაუხედავს და უთქვია — ეგ წიგნი აი ამ ძიას დაწერილიაო; გოგონას აღტაცებით წივილ-კივილი აუტეხია და გიორგის კისერზე ჩამოჰკიდებია.

— არა, საყვარელო გოგონა, მარტო მე არა ვარ აქ პოეტი. აი ჩემი ამხანაგები — გ. ყანჩელი, ფსევდონიმით ბარელი და სეზმან ერთაწმინდელიც პოეტები არიანო, — უთქვამს გიორგის. კისერზე ჩამოკონწიალებულ გოგონას გიორგისათვის თავი მიუნებებია და გაოცებულს დაუწყია ცქერა.

— აი, თურმე რანაირები ყოფილან პოეტები!

ბარელი თავის ჩანთას დასწვდომია, ამოუღია 1911 წელს გამოცემული თავისი ლექსებისა და საბავშვო მოთხრობების წიგნი, რომლის ყდაზედაც მისი სურათი ყოფილა დაბეჭდილი და წარწერით უსახსოვრებია გოგონასათვის. გოგონას აღტაცებით ჩამოურთმევია ძვირფასი საჩუქარი და მკერდში ჩაუკრავს.

— არა, ძია! ამ ლამაზ წიგნს უკან აღარ დაგიბრუნებო, უთქვამს ავტორისათვის, მერე წიგნი მკერდიდან მოუცილებია და სათაურისათვის დაუხედავს — „სევდის ნაკვესი". — ღმერთო, რა კარგი სათაური აქვს!

გოგონას ხმამაღლა გაუმეორებია —„სევდის ნაკვესი". 1911 წელი, სახსოვრად ქეთევანს!— გმადლობ ძია! ახლა ბარელისათვის სეზმანსაც მიუბაძავს მასაც გადაუცია პატარა პიესების კრებული. გოგონას სიხარულს საზღვარი არა ჰქონია.

— წააწერე ძია, შენც წააწერე სახსოვრად ქეთევან გამდლიშვილსთქო! წიგნი სეზმანისათვის გადაუცია, ტაში შემოუკრავს და ოთახში შესულა: გოგოებო, გოგოებო! დედა! მოდით, რა გახაროთ! გოგონას წიოკობაზე ყველანი შემოცვენილან. ქეთო სტუმრებზე უთითებდა და სიხარულით ეუბნებოდა: — თქვენ არ იცით, ვინ სწვევია ჩვენს ბედნიერ ოჯახს, თქვენ შესაფერისად არ აფასებთ მათ სტუმრობას, თქვენ არ უმადლით ამ ცუდ ამინდს რამაც ასეთი საამაყო სტუმრები ანაზდად მოგვიყვანა!

— ვინ არიან ასეთი გასაოცარნი, შვილო? — შეკითხვია ფოფოდია.

— ვინა და საქართველოს მშრომელთა მესაიდუმლე პოეტი გიორგი ძია. თავისი ამხანაგებით, აი, მათი წიგნები, აი, მათი გენია!

გოგონას სიტყვებზე განცვიფრებული იქ მყოფნი ხელმეორედ მისალმებიან სტუმრებს და ბოდიშიც მოუხდიათ, არც კი იცოდნენ რად!

ქალების დახმარებით სუფრაც გაუშლიათ. სადილს მხიარულად ჩაუვლია, გიორგის შესანიშნავი ხუმრობით, ახალი ლექსებით, ბარელისა და დარო რჩეულიშვილის სიმღერებით, ფრანგიშვილის ოტელოსა და ურიელ აკოსტას შესანიშნავი მონოლოგებით. გაჩაღებულა დაირისა და გიტარის დაკვრა. ბალდადური და ლეკური, იცეკვა ყველამ.

მეორე დღეს გადაწყვიტეს ხელით დაწერილი მოსაწვევი ბარათები დაეგზავნათ მახლობელ სოფლის მცხოვრებ მაშინდელ თავადაზნაურულ ინტელიგენციისათვის და მოეწვიათ ადგილობრივებიც... წარმოდგენა დაუნიშნავთ მეორე დღის საღამოსათვის. იმ დღეს კი ქორქიკა მუსხელიშვილის ფართო აივანზე მოუწყვიათ სცენა. მოუტანიათ სცენისათვის საჭირო მოწყობილობა: ხალიჩა, ფარდაგები, სკამები, მაგიდა და სხვ. დაუქირავებიათ დამკვრელები. წარმოდგენას დიდი წარმატებით ჩაუვლია. ტაშით დაუჯილდოვებიათ მსახიობები და წარმატებები უსურვებიათ. საღამოს შემდეგ გამომშვიდობებიან პატივისმცემლებს და თავიანთი ბარგი-ბარხანით სადგურ ქარელისაკენ გამოუწევიათ.

წარმოუდგენიათ პიესა. მაგრამ აქაც უმუხთლია ბედს, — სანამ ისინი პიესის მზადებაში ყოფილან, ბოქაულს მამასახლისისათვის ებრძანებინა, ან გარეკეთ ეგ ვიღაც მოთრეულები, ანდა წარმოდგენაზე ხალხი არ დაუშვათო. მე ვიცი ეგენი ბუნტის თავები არიან და ხალხს გადარევენო. სწორედ ამ მიზეზით, სალაროში საკმარისი ბილეთები ვერ გაყიდულა. ხალხი მხოლოდ მოსაწვევი ბარათებით დასწრებია და შემოსავალს გაწეული ხარჯებიც კი ვერ დაუფარავს.

დადარდიანებულები წამოსულან ქარელის სადგურისაკენ, ნაწილი სცენისმოყვარეებისა გამოუსტუმრებიათ. ბარელსა და ფრანგიშვილს, რადგან გზის ფული არ ჰქონიათ, გადაუწყვეტიათ გორამდე ფეხით ჩასულიყვნენ. მიდიოდნენ ჩაფიქრებულნი, გზადაგზა კი გეგმებს აწყობდნენ. გადაუწყვეტიათ გორში შეედგინათ დასი და შემდეგ ოსეთში წასულიყვნენ საგასტროლოდ. ამ ლაპარაკში სადგურ სკრისათვის რომ მიუღწევიათ, დაუნახავთ მათ წინ, რკინიგზის ლიანდაგზე რამდენიმე ბატი. გადაურეკიათ ლიანდაგიდან მატარებელმა არ გასრისოსო, ამ დროს უკანიდან წამოსწევია ერთი ვიღაც ხანჯლიანი ოსი ბიჭი და აუტეხია ჩხუბი, უძვრია ხანჯალი, გადადგომია წინ და შეუძა-

ხია, — სად მიგიდით ჩემი ბატებიო! ღმერთი, რჯული, ჩვენ ჩვენს გზაზე მივდივართ, რათ გვინდა ბატებიო... — ის კი გაბრაზებული ხანჯლის წვერს ხან ერთს ატაკებდა, ხან მეორეს, თანაც ემუქრებოდა აქვე ყელებს დაგჭრითო. ამ დროს მათ ბედზე ერთი ცხენოსანი კაცი წამოსწევიათ გაუჩერებიათ და თავიანთი გაჭირვება შეუჩივლიათ. ამ კაცს შეუტყვია, რომ ესენი ამ საქმის ჩამდენი არ იყვნენ და ოსისათვის უთქვამს ხანჯალი ჩაეგო. ოსი გაჯიუტებული, ხანჯალს არ აგებდა. იმ ცხენიან კაცს ერთი ისე მაგრა გადაუჭერია მათრახი, რომ ხანჯალი ხელიდან გავარდნია, ამ დროს სწრაფად აუღია ბარელს ხანჯალი და იქვე მტკვარში გადაუგდია.

— აბა ბიჭებო, ეხლა თქვენ იცითო, — უთქვამს ცხენოსანს და წასულა...

□□

ამ ერთეულ წარმოდგენებს, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ ავლაბრის სახალხო თეატრის წევრები, მას უწოდებდნენ თურმე ავლაბრის სცენისმოყვარეთა წრის გამსვლელ წარმოდგენებს ცენტრსა და რაიონებში.

როცა ასეთი ცალკეული სპექტაკლების შესახებ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ერთ ფაქტს. როგორც ცნობილია, 1905 წლის რუსეთის რევოლუციას ჩვენში, კერძოდ თბილისში, წინ უძღვოდა ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა დიდი პოლიტიკური გაფიცვა. გაფიცულთა ეკონომიური დახმარებისათვის საჭირო იყო წარმოდგენებისა და კონცერტების მოწყობა, ფოტოსურათებისა და ბროშურების გამოშვება და სხვ. სცენისმოყვარე დ. მელაშვილი იგონებს: ამ მიზნით რკინიგზის სადგურზე იგი შეხვედრია აწ გარდაცვლილ პოლიტიკურ მუშაკებს და სცენისმოყვარეებს ალ. ლანდიას და ლ. ლეჟავას. მოლაპარაკების შემდეგ გადაუწყვეტიათ გაფიცულ ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა დასახმარებლად რკინიგზის თეატრში გაემართათ წარმოდგენა და დივერტისმენტი. დ. მელაშვილს პირადი პასუხისმგებლობით უქირავებია თეატრი და სასწრაფოდ დაუწყია თამბაქოს ფაბრიკაში მომუშავე მუშა-დრამატურგის ალ. ბაჯიაშვილის მიერ დიდი ვაივაგლახით სარეცენზიო კომიტეტიდან გამოტანილი ახალი თანამედროვე პიესის „სიმდიდრის მსხვერპლის" მზადება. (პიესა ეკუთვნის ცნობილ სომეხ მსახიობს პ. არაქსიანს. პიესა დაწერილია სომხურ ენაზე, ხოლო ბაჯიაშვილს უთარგმნია და გადმოუკეთებია ქართულად — 3 მოქმედებად).

„წარმოდგენა უნდა გამართულიყო 1905 წლის 10 დეკემბერს, მაგრამ თბილისში ცნობა მოვიდა, რომ პეტერბურგისა და მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭომ 1905 წლის 7 დეკემბერს გამოაცხადა რკინიგზელთა სრულიად რუსეთის საერთო პოლიტიკური გაფიცვა (გაფიცვა უნდა დაწყებულიყო 8

დეკემბერს ღამის 12 საათზე), რის გამო 10 დეკემბრის ღამეს მთავარი სახელოსნოების სასადილოს დიდ დარბაზში გაიმართა რკინიგზელთა და თბილისის სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხნების მუშათა დიდი მიტინგი. ამიტომ მე საგაფიცვო კომიტეტმა წინადადება მომცა წარმოდგენა სხვა დღისათვის გადამეტანა. წარმოდგენა გადავდეთ. მეორე დღეს მუშათა მოძრაობამ უკვე რეალური ბრძოლის სახე მიიღო. რკინიგზა უკვე რევოლუციონერების ხელში იყო, ხალხი შეიარაღდა. წარმოდგენა 17 დეკემბერს გავმართე. უთვალავი ხალხი დაესწრო. ბოლოს გაიმართა დივერტისმენტი. წაკითხული იქნა კ. გოგოლაძისა და ირ. ევდოშვილის რევოლუციური ლექსები, მათ შორის „მეგობრებო, წინ, წინ გასწით!“ მე წავიკითხე გრ. ორბელიანის ლექსი „მუშა ბოქულაძე“, ზოგმა ამხანაგმა სიტყვა წარმოთქვა... სცენაზე გამოჩნდნენ საგაფიცვო კომიტეტის წევრები, რომლებმაც ხალხს მიმართეს მოწოდების სიტყვებით. რკინიგზის მუშათა სასულე ორკესტრი, რომელიც ანტრაქტებში უკრავდა, სცენაზე აიყვანეს. გაისმა მარსელიეზას ხმები. გაერთიანდა სცენა და ხალხი ერთი სიტყვით, თეატრში გაიმართა პოლიტიკური მიტინგი. ღამის პირველი საათი იყო, რომ ხალხს რაღაც ნიშანი მისცეს საჩქაროდ დაშლილიყვნენ. სულ მალე გავიგეთ. რომ რუსეთის სისხლიანმა თვითმპყრობელმა მეფე ნიკოლოზ მეორემ იმპერიაში საგანგებო წესები გამოაცხადა. ხალხი დაიშალა და ერთისაათის შემდეგ მთელი რკინიგზა და თეატრის შენობაც ჟანდარმებმა და სალდათთა ბატალიონის ნაწილებმა დაიკავეს. დაიწყო ჩხრეკა, ეძებდნენ იარაღს და გაფიცვის მეთაურებს. რკინიგზის ჟანდარმთა როტმისტრმა განკარგულება გასცა წარმოდგენის გამგის დაპატიმრების შესახებ, მაგრამ ვიდრე ისინი კვალს მიაგნებდნენ მე ამხანაგებმა გამაპარეს და მეორე დღეს გაზეთის რედაქციას, რომელიც მდებარეობდა ახლანდელ კამოს ქუჩაზე № 9-ში (მაშინ ვორონცოვის ძეგლის ახლო, გაფიცულთა დასახმარებელ ფონდში გადავეცი ხარჯების გარეშე დარჩენილი ფული, რამდენადაც მახსოვს დაახლოებით ას მანეთამდე ოქროთი (ამ წარმოდგენის სათეატრო განცხადება იხილეთ ქართული „სხივის“ 1905 წლის 9—10 დეკემბრის ნომრებში)“[1].

ლადო მესხიშვილის მონაწილეობით 1905 წლის 16 დეკემბერს ქალაქის თეატრში ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა სასარგებლოდ დაუდგამთ პიესა და მოუწყვიათ დივერტისმენტი. ამ საქმის ორგანიზატორი ყოფილა ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელე, საგაფიცვო ბიუროს თავმჯდომარე სიმონ ფრანგულიანი. ფრანგულიანი ცნობილი იყო აგრეთვე თავისი სას-

---

[1] დ. მელაშვილი. ისნის სახალხო თეატრის წარსულიდან, გამომც. „ხელოვნება“, 1955, გვ. 34–34.

ცენო მოღვაწეობით. იგი საუკეთესოდ ფლობდა ქართულ, სომხურ, თათრულ და რუსულ ენებს. ხანგრძლივად უმუშავია ჯერ სოხუმის, ხოლო შემდეგ ქუთაისის დრამატული თეატრის სცენაზე. ს. ფრანგულიანი იყო საუკეთესო ორგანიზატორი, ახალგაზრდობის დიდი მოტრფიალე. რევოლუციური მოღვაწეობისათვის იგი დაპატიმრებული ყოფილა.

□ □

ასეთივე წარმოდგენები იმართებოდა, აგრეთვე, ცალკეულ სცენისმოყვარეთა მიერ. 1905 წლის ზაფხულში მ. ანაშვილისა და მისი მეუღლის ხელმძღვანელობით სოფელ მეტეხის დღესასწაულ „მეტეხობაზე". სცენისმოყვარეებს საჩვენებლად წაუღიათ ვალ. გუნიას პიესა „და-ძმა". მონაწილეები ი. იმედაშვილის წიგნის მაღაზიაში შეიკრიბნენ, საიდანაც დილის მატარებლით გაემგზავრნენ სოფელ მეტეხში. თბილისში დარჩნენ ი. იმედაშვილი, დ. მელაშვილი და ი. რევაზიშვილი. ქართული თეატრიდან ტანისამოსისა და პარიკების წასაღებად. მეორე დღეს ი. იმედაშვილი სხვებთან ერთად ქართული თეატრის სუფლიორის ნ. გალუსტოვის მეუღლესთან მაშო გალუსტოვთან გადარჩეული კოსტიუმების წასაღებად მივიდა. სპექტაკლისათვის „და-ძმა" (ქართული თეატრის გარდერობი მაშინ გალუსტოვს ებარა). სადგურამდე ეტლით წავიდნენ, მაგრამ მატარებელს გაესწრო. შეუდგნენ თადარიგს, წასასვლელად. თბილისიდან ბათუმის მიმართულებით გადიოდა მხოლოდ ნავთით დატვირთული მატარებელი. მოელაპარაკნენ გამყოლს და ამ მატარებლით გაემგზავრნენ. ყოველ პატარა თუ დიდ სადგურში მატარებელი საათობით ჩერდებოდა. ერთ-ერთ სადგურზე შემხვედრი მატარებელი ჩამოდგა, უეცრად იმედაშვილმა ვიღაც შენიშნა და მისკენ გაექანა, როცა მატარებელი თბილისისაკენ დაიძრა, იმედაშვილი უკან დაბრუნდა, დ. მელაშვილს დაუძახა და უთხრა: დათიკო, ხომ იცი, პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ ვიმყოფები და შესაძლებელია გზაში რაიმე შემემთხვეს, ამიტომ ეს პაკეტი შენ შეინახე უბეში, და თუ გზაში დამაპატიმრონ, გადახტი და თავს უშველე. ახლა კი შორიახლოს დაჯექი, სხვა ცისტერნაზეო. ღამის 12 საათი იქნებოდა, როცა სოფელ მეტეხში ჩავიდნენ. 2—3 კილომეტრი კიდევ ჰქონდათ ფეხით გასავლელი. როცა ადგილზე მივიდნენ პირველი საათი იქნებოდა, მაგრამ ხალხი მაინც არ დაშლილიყო. რაც შეეხება სცენისმოყვარეებს, ძალიან იყვნენ შეშინებულნი. თურმე მთვრალი კნიაზები, რომლებსაც წარმოდგენის ბილეთები შეეძინათ, მოითხოვდნენ ჩქარა დაწყებულიყო წარმოდგენა. ამხანაგების ჩასვლამდე გ. ფირუმიანს მათ დასამშვიდებლად კონცერტი მოეწყო, რ. სალაყაიას წაეკითხა სცენები იმერლების ცხოვრებიდან, გ. გელიკურაშვილს კი სომეხი ვაჭ-

რების ცხოვრებიდან, ს. ლაღიძეს გლეხური ყოფის სცენებიდან, ლ. ბალაშვილი ლექსით გამოსულიყო, მ. ქართველიშვილსა და დარო რჩეულიშვილს ემღერათ სხვადასხვა ბაიათები დაირაზე. საკონცერტო მასალა უკვე ამოწურულიყო და წარმოდგენის დაწყებას მაინც არ აპირებდნენ, რადგან მელაშვილი, იმედაშვილი და რევაზიშვილი ჯერ კიდევ გზაში იყვნენ. ნაქეიფარი ხალხი კვლავ აჯანყებულიყო, თუმცა შეეტყობინებინა ფირუმიანს ამხანაგების დაგვიანების ამბავი, მაგრამ უკანასკნელთ ხმლები ეშიშვლათ. ქალები სადღაც გაპარულიყვნენ, კაცები შიშისაგან ახლო-მახლო ხეებზე ასულიყვნენ, მალე ისინიც გამოჩნდნენ, ი. იმედაშვილმა ხალხი დაამშვიდა თავისი მოქარგული ენით. უსიამოვნება დამთავრდა და მიმალული მსახიობებიც გამოჩნდნენ. ღამის პირველ საათს გადაცილებული იქნებოდა, როცა ტანსაცმელი ჩაიცვეს და გრიმი გაიკეთეს. სცენა ღია ცის ქვეშ ტახტებით იყო მოწყობილი. ხოლო გარშემო ხის კედლები ჰქონდა შემოვლებული.

ღამის ორი სათი იქნებოდა, სპექტაკლი რომ დაიწყეს. დაგვიანებას ვილა ჩიოდა, უბედური შემთხვევა რომ არ მომხდარიყო. იმ დროს, როდესაც ერთ-ერთი პერსონაჟი ოტია ჯოლია მონოლოგს ამთავრებს და მარინე უნდა შემოვიდეს, შესასვლელად გამზადებულ მ. ქართველიშვილს, რომელიც მარინეს როლს თამაშობდა, კედლიდან გადმოვარდნილი ქვა მოხვდა თავში. ითქრიალა სისხლმა; ატყდა კულისებში ჩოჩქოლი, მაკას გატეხილ თავს უხვევენ. სცენაზე კი ი. იმედაშვილი-ოტია ღრიალებს და ელოდება მარინეს გამოსვლას. მარინე კი არ შედის. მეტი გზა არ იყო სცენაზე დ. მელაშვილი შევარდა, როგორც სასახლის ბიჭი, სწრაფად მოისაზრა და მოახსენა ოტიას: ბატონო, გალავანზე თურმე სადარაჯოდ თურქი ასულა, გაუფრთხილებლად ქვა გადმოუგდიათ, ქალბატონს მოხვედრია და თავი გასტეხიაო. ამ დროს თავშეხვეული მარინეც შემოვიდა სცენაზე. სინამდვილეში კი კედელზე სოფლის პატარა ბიჭები ასულიყვნენ და ქვაც შემთხვევით იმათ გადმოეგდოთ. გათენება მოახლოებული იყო, როცა დამთავრდა წარმოდგენა. დილით სპექტაკლის მონაწილეებმა სოფლის ღირშესანიშნავი ადგილები დაათვალიერეს და თბილისისაკენ გამოეშურნენ.

მეორე დღეს დ. მელაშვილი ი. იმედაშვილის წიგნის მაღაზიას სწვევია და უკითხავს: — ეს დახურული პაკეტი რომ მომეცი დიდი კონსპირაციით, ვისიაო? — იოსებს თავში ხელი უტაცნია და შეუყვირია. — ბიჭო! რა მომივიდა, ეგ როგორ დამავიწყდაო. შემდეგ აუხსნია, სამგზავრო მატარებელი, რომელიც ჩვენ გზაში შემოგვხვდა, ქუთაისიდან მოდიოდა, მე რომ გადავხტი, ამის მიზეზი ის იყო, რომ აკაკის შევხვდი და ეს მასალა მან გადმომცა პა-

რიზში გასაგზავნადო. მასალა ერთ ქართულ არალეგალურ ჟურნალში უნდა დაბეჭდილიყო, რომელიც მაშინ პარიზში გამოდიოდა.

ასე დასრულებულა ავლაბრის სცენისმოყვარეთა გასტროლები სოფელ მეტეხში.

ასე საგასტროლოდ გაემგზავრნენ 1905 წლის შემოდგომაზე ვ. მატარაძის რეჟისორობით არაქსიანის თეატრის სცენისმოყვარეები: დ. მელაშვილი, კ. მეტრეველი, ი. რევაზიშვილი, გ. ბაკურაძე, დ. ჯავახიშვილი, თ. აფხაზიშვილი, ნ. საყვარელიძე, ს. შრომიშვილი-ბეგიჯანოვი ქალაქ განჯაში (ახლანდელი კიროვაბადი). პიესა უნდა წარმოედგინათ რკინიგზის თეატრში. თბილისიდან დასს გაჰყვა განჯის რკინიგზის დეპოს მუშა-მემანქანე და იქაური არალეგალური ორგანიზაციის წარმომადგენელი ამხ. იმერლიშვილი, რომელმაც ყველა სცენისმოყვარე გააფრთხილა, გზაში შემოწმების შემთხვევაში ეთქვათ, რომ განჯაში რკინიგზაზე სამუშაოდ მიდიოდნენ, როგორც მუშები. სამგზავრო საბუთებიც ასე ჰქონდათ გაფორმებული. წარმოდგენის შემოსავალი იარაღის შესაძენ ფონდს უნდა მოხმარებოდა. გზაში არავის შეუმოწმებია ისინი და მშვიდობიანად ჩასულან. სადგურზე მსახიობებს ქართველი მღვდელი ე. მირიანაშვილი შეხვედრიათ. გადმოცემით, თურმე ამ მღვდელს წირვის დროს იმპერატორ ნიკოლოზის ოჯახის მთელი შემადგენლობა, ცუდათ მოუხსენებია ტახტის მემკვიდრის, ალექსის, დაბადების დღეს. გარდა ამისა, მთავრობას სცოდნია, მირიანაშვილის ფარული კავშირის შესახებ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციასთან, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბევრ საქველმოქმედო საქმეში. ყველაფერი ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ მირიანაშვილი დაეპატიმრებიათ და მეტეხის ციხეში ჯდომის შემდეგ გადაესახლებიათ. მირიანაშვილი თავაზიანად შეხვედრია ჩასულებს სადგურზე და თავის ოჯახში მიუპატიჟებია. ქალები ბინად მირიანაშვილის ოჯახში დარჩენილან, მამაკაცები კი სადგურის გვერდით სასტუმროში მოთავსებულან. სადილობის დროს კი ყველა კვლავ მირიანაშვილის ოჯახში შეკრებილან.

9 სექტემბრის, დილის 10 საათი ყოფილა, როცა სცენისმოყვარენი სასტუმროს აივანზე მსხდარან და ჩაის შეექცეოდნენ, ამ დროს უეცრად ქუჩაში თეთრ საპარადო ტანსაცმელსა და თეთრ ხელთათმანებში გამოწყობილი ჩამწკრივებული ყაზახები და პოლიციელები შეუნიშნავთ. როგორც შემდეგ შეიტყვეს, თურმე გზად კავკასიის მთავარმართებელს ვორონცოვ-დაშკოვს უნდა ჩაევლო. ამის გაგონებაზე ფეხზე წამოვარდნილა კოლა მეტრეველი და ამხანაგებისათვის უთქვამს — ბიჭებო! როცა ის ძაღლი გამოივლის, თითოეულ თქვენგანს ცუდი დღე დაგადგებათ, თუ რომელიმე ფეხზე ადგებით და სალამს

მისცემთ ან ქუდს მოუხდითო. ის იქნება ჩვენში ხულიგანიო!.. და მართლაც,- როცა მეფის ნაცვალი ღია ეტლით გამოჩენილა არც ერთი მათგანი ფეხზე არ ამდგარა (რაც სავალდებულო იყო მმართველობის მოთხოვნით), მხოლოდ მათი პარიკმახერი ოჰანეზა წამომდგარა და ქუდი მოუხდია. ამის დანახვაზე გაცეცხლებული გ. ბაკურაძე წამომხტარა მაგარი სილა გაუწნავს ოჰანეზასათვის და თურმე აივნიდან გადაგდებაც კი დაუპირებია — მაგრამ, უსიამოვნების თავიდან აცილების მიზნით არ დაუნებებიათ. შემდეგში ამ ოჰანეზას სცენისმოყვარეები ავლაბარში ხულიგანს ეძახდნენ. (იგი თეატრალური პარიკმახერი იყო და მუშაობდა თბილისში ცნობილ თეატრალურ პარიკმახერ ვართანოვთან, ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

განჯაში რკინიგზის თეატრში წარმოდგენების მართვა დაიწყეს 10 სექტემბრიდან. პირველად უჩვენეს ფ. ქორიძის მიერ თარგმნილი პიესა ავსტრიის ჯარისკაცების ცხოვრებიდან — „ორი დარაჯი"; 11 სექტემბერს კი იბსენის „ექიმი შტოკმანი, ანუ ხალხის მტერი", თარგმანი პოლუმორდვინოვასა.

ექიმ შტოკმანს ცილი დასწამეს და ხალხის მტრად აღიარეს, პირველ რიგში მისმა ძმამ, ქალაქის ბურგომისტრმა პეტრე შტოკმანმა. ექიმი შტოკმანი წერს საპასუხო წერილს თავისი მტრებისადმი და რედაქციაში მიაქვს, რომ გაზეთში დაუბეჭდონ, მაგრამ რედაქტორი გოსტაფი უარს ეუბნება წერილის დაბეჭდვაზე, რადგან ექიმი მმართველობის მიერ ხალხის მტრად არის გამოცხადებული. ამ უარის შემდეგ შეურაცხყოფილი ექიმი გრძელ სიტყვას ამბობს რედაქციაში.

სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებდნენ: ექიმი შტოკმანი — ვ. მატარაძე; ბურგომისტრი — კ. მეტრეველი: მესტამბე ასლაქსენი — ი. რევაზიშვილი; ჟურნალისტი ბილინგი — დ. მელაშვილი: მორტენკილი — დ. ჯავახიშვილი: გოფსტადი — გ. ბაკურაძე: ქ-ნ შტოკმანა — თ. აფხაზიშვილი და შტოკმანის ქალიშვილი — ნ. საყვარელიძე.

ამხანაგობის მიერ ერთეულად გამართული წარმოდგენებიდან ავლაბარში და ქალაქის სხვადასხვა უბნებში, სცენისმოყვარეები ისევ არაქსიანის თეატრში ქართულ-სომხურ სცენისმოყვარეთა წარმოდგენებზე გადავიდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლები გ. ფირუმიანის ხელმძღვანელობით მწყობრად და სისტემატურად მიმდინარეობდა, თითქმის ორი წლის მანძილზე (1904—1905 წლებში) საბოლოოდ წარმოდგენების მართვას შესუსტება დატყობია, რაც აიხსნება შემოსავლის სიმცირითა და წრის წევრების დაქსაქსულობით, არაორგანიზებული მუშაობითა და უდისციპლინობით.

ქართულ სცენისმოყვარეთა წრეს ამ დროს ჰყოლია ისეთი სასცენო ძალები, როგორებიც იყვნენ: ი. მჭედლიშვილი, ლ. ბალაშვილი, გ. გელიკურა-

შვილი, ნ. მირველოვი, ი. რევაზიშვილი, რ. ჯიბლაძე, ვ. მარკოზოვი ლ. პოლოსოვი და სხვები. ქართულ წარმოდგენებში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე გ. ფირუმიანიც.

გ. ფირუმიანი თანდათან ჩამოშორებულა ქართულ წარმოდგენებს. რაკი ქართულ დასს მტკიცე ხელმძღვანელი აღარ ჰყოლია, მის მუშაობას შემთხვევითი ხასიათი მიუღია. თეატრის დირექციასაც დაუწყია თეატრის კომერციული თვალსაზრისით გაქირავება.

მას შემდეგ, რაც ავლაბარში „ხალტურას" ფეხი მოუკიდია, თეატრს თანდათან დაუკარგავს ავტორიტეტი ხალხში. გარდა ამისა, დირექციაშიც მომხდარა მთელი რიგი ცვლილებები. არაქსიანს მიუტოვებია თეატრი, რის გამოც ერთხანს უპატრონოდაც დარჩენილა თეატრი (მთელი მამული უკვე სათავადაზნაურო ბანკის უფლებებში გადასულა). სხვადასხვა დროს თეატრს ადმინისტრატორებად გამოსჩენიათ სხვადასხვა პირები. ჯერ თეატრის ყოფილი ბუხჰალტერ-მოლარე გ. ასლამაზოვი დაპატრონებია, შემდეგ — კინომოხელე მეზვრიშვილი, რომელსაც კინო მოუწყვია. ხოლო კვირაში ერთ დღეს წარმოდგენებისათვის აქირავებდა. წარმოდგენებს კი ქართული დასის სცენისმოყვარეები მართავდნენ. მეზვრიშვილი ურუშაძეს შეუცვლია, ურუშაძესაც მიუცია რამდენიმე სპექტაკლი, მაგრამ მასაც არაფერი გამოსვლია.

ამის შემდეგ თეატრს დაპატრონებია ქუთაისიდან ჩამოსული ვინმე სანიკიძე, რომელსაც აზრადაც არა ჰქონია თეატრი დაენგრია თუ სხვა რამედ გადაეკეთებინა.

ამ საქმეში ჩარეულა გრიგორ ავეტისიანი, რომელსაც სანიკიძისათვის ურჩევია და დაუთანხმებია კიდეც, რომ თეატრი არ დაექცია, არამედ შეკეთების შემდეგ რიგიანი დასით წაემართა მუშაობა.

სანიკიძეს თეატრის რეკონსტრუქციისათვის დიდი თანხა დაუხარჯავს, რადგან თეატრი მთლიანად გადაუკეთებია. სცენა და პარტერი ძირს ჩამოუტანია, მაღლა მთელ სიგრძეზე გაუკეთებია გალერეა, გვერდებზე მარჯვნივ და მარცხნივ აივნები. ზემოდ და ქვემოდ გრძელი ფოიე. დაბლა ერთ მხარეს ბუფეტი. სცენის გვერდით ოთახები გამოუყვია მსახიობებისათვის. ყველაფერი ძალიან ლამაზად ყოფილა მოწყობილი.

თეატრი ამ დროს იჯარით აუღია მსახიობ ქალს სათენიკ ადამიანს რომელსაც გრ. ავეტისიანთან ერთად შეუდგენია თვალსაჩინო სცენისმოყვარეთა პატარა დასი.

ამ წლიდან კი დაწყებულა მწყობრი წარმოდგენები. დროგამოშვებით მოწვევით მონაწილეობდნენ ცნობილი მსახიობები ნ. გოცირიძე, ნებიერიძე, გ. ჯაბაური, ვ. მატარაძე და სხვები. ხალხი კმაყოფილი ყოფილა, ხოლო თვით

სანიკიძე კი არა, რადგან მას სურდა უფრო მეტი მოგება ჰქონოდა და ამიტომ გადაუწყვეტია თეატრი გადაეკეთებია აბანოდ, ან უფრო მეტ სარგებლიან რაიმედ, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თეატრი ძლიერ დაზიანებულა ხანძრით. საბოლოოდ ამ თეატრს სათავეში ჩადგომია ცნობილი სომეხი მსახიობი ამო ხარაზიანი. თეატრისათვის „ახალი დრამა“ დაურქმევიათ, მაგრამ თეატრს ესაჭიროებოდა ავტორიტეტის აღდგენა და ხალხის კვლავ მიზიდვა.

□□

წრის რეჟისორად მოუწვევიათ ნიჭიერი და გამოცდილი მსახიობი დავით ჩარკვიანი.

ავლაბრის (არაქსიანის) თეატრის სცენაზე მოღვაწეობას იგი დიდი ენერგიითა და საქმის ღრმა სიყვარულით შესდგომია. მისულა თუ არა თეატრში, უპირველეს ყოვლისა, დასი გაუცვნია, მომუშავე ძალები შეურჩევია და დიდი ენთუზიაზმითაც გაუშლია სათეატრო მუშაობა.

ამ განახლებულმა და აღდგენილმა ორგანიზაციამ ავლაბრის მშრომელ მასა (უმთავრესად ფაბრიკა-ქარხნის მუშები) ფეხზე დააყენა და გაახალისა. დაიწყო თავდაუზოგავი შემოქმედებითი მუშაობა. ჩარკვიანმა დადგა „ურიელ აკოსტა“, „ექიმი შტოკმანი“, „გაიუს გრაკხი“, „ცხოვრების გმირი“, „ორი ობოლი“, „ორი დარაჯი“, და სხვ. გასტროლებზე მოიწვიეს ქართული თეატრის მსახიობები: ალ. იმედაშვილი, ვიქ. გამყრელიძე, ს. ყალაბეგაშვილი, მ. მდივანი, დ. ივანიძე, ო. ლეჟავა და სხვანი.

წარმოდგენის ბილეთებს წინასწარ არიგებდნენ ფაბრიკა-ქარხნებში მუშათა წარმომადგენლების საშუალებით, დარჩენილ ბილეთებს კი ყიდდნენ თეატრის სალაროში. წარმოდგენის დროს ანტრაქტებში უკრავდა სიმებიანი ორკესტრი და მღეროდა გუნდი. წესრიგს იცავდნენ მორიგე ამხანაგები, რომელთაც მკლავზე წითელი ნიშნები (ლენტები) ჰქონდათ გაკეთებული.

ცნობილია, რომ დავით ჩარკვიანი ქართული თეატრის ერთ-ერთ ნიჭიერ და წამყვან ძალად ითვლებოდა. ლადო მესხიშვილი მას თურმე თავის მემკვიდრედ სთვლიდა. იგი უხვად ყოფილა დაჯილდოებული სცენური მომხიბვლელობით. დ. ჩარკვიანი ვალ. გუნიას მოწვევით ჩამოსულა ქუთაისიდან პიესა „ღალატში“ ერეკლეს როლის შესასრულებლად. მაშინ ქართულ თეატრს, ამ როლის ჩარკვიანზე უკეთესი შემსრულებელი არ ჰყოლია, ისევე როგორც არ იყო ვალ. გუნიას ბადალი ოთარ-ბეგის როლში და კოტე ყიფიანის მსგავსი შემსრულებელი ანანია გლახას როლში. დ. ჩარკვიანი ფრიად განათლებული ადამიანი, მუყაითი მსახიობი და თავისი საქმის დიდი მოყვარუ-

ლი ყოფილა. ზედმიწევნით კარგად სცოდნია რუსული ენა და ლიტერატურა, იგი იმ დროის გიმნაზიის ცნობილი მასწავლებლის გეპნერის პანსიონში ყოფილა გაზრდილი. ჰქონია საუცხოო მეტყველება, მოხდენილი სცენური გარეგნობა, დიდი ტემპერამენტი. რაც შესაძლებლობას აძლევდა დიდი წარმატება მოეპოვებია ყველგან. მართალია იგი სახელმწიფო სამსახურში (სახაზინო პალატა) მუშაობდა, მაგრამ თეატრი მისთვის მაინც პირველი იყო. დ. ჩარკვიანი დიდი შთაგონებით ასრულებდა როლებს მთელ რიგ პიესებში, როგორიც არის: „თამარ ბატონიშვილი“, „ლეკის ქალი გულჯავარი“, „ახალი მოძღვრობა“, „კრეჩინსკის ქორწინება“, ლევან ხიმშიაშვილი („სამშობლოში“), ერეკლე („ღალატში“), ფრანც მოორი („ყაჩაღებში“), ექიმი შტოკმანი („ექიმ შტოკმანში“), გაიუს გრაკხი („გაიუს გრაკხში), ურიელი („ურიელ აკოსტაში“).

მან პირველ დადგმად აირჩია ვ. მონტანის ხუთმოქმედებიანი ტრაგედია „გაიუს გრაკხი“. მალე დადგა პრემიერის დღეც. დარბაზი შეივსო დაინტერესებული მაყურებლით. ფარდის გახსნას მქუხარე ტაშით შეეგებნენ, რამაც ერთგვარი სტიმული მისცა სცენაზე მყოფთ, თანდათან გაბედულად დაიწყეს მოქმედება და წარმატებაც მოიპოვეს.

ზემოთ ვთქვით რომ პიესაში მთავარ როლს ასრულებდა დ. ჩარკვიანი. ადვილი წარმოსადგენია ის პასუხისმგებლობა, რაც ამ ახალგაზრდა აქტიორს ეკისრებოდა გაიუს გრაკხის განსახიერებისას, მით უმეტეს თუ გავიხსენებთ, რომ ამ როლს ადრე ბუმბერაზი ხელოვანი ლადო მესხიშვილი ასრულებდა. გაიუს გრაკხი ლ. მესხიშვილის უსაყვარლესი როლი იყო. მესხიშვილის გრაკხი, ნამდვილი სახალხო ტრიბუნი, პირველი რევოლუციის ქარიშხლიან დღეებში აღაგზნებდა მაყურებელთა გულებს.

მუშა-სცენისმოყვარეებმა კარგი დეკორაცია შექმნეს სპექტაკლისათვის.

მნახველთა გადმოცემით, დ. ჩარკვიანის გაიუს გრაკხი მგზნებარე სახალხო ტრიბუნი, ჰუმანისტი, მგრძნობიარე მეგობარი და თავისი ქვეყნის სანიმუშო მოქალაქე იყო.

ამავე პიესაში მსახიობი ს. პეპენოვი დიდი დამაჯერებლობით ასრულებდა კონსულ ოპიმიუსის როლს. მასში მაყურებელი გრაკხის ძლიერსა და საშიშ მოწინააღმდეგეს ხედავდა.

ნიჭიერმა სცენისმოყვარემ ნ. საყვარელიძემ სემპრონიას საინტერესო სახე შექმნა. დამაჯერებელი იყო სახალხო ტრიბუნის როლში ლ. ბაღაშვილი.

## თავი მეოთხე

### არაქსიანის მუშათა თეატრი პირველი რევოლუციის შემდეგ

1905 წლის რუსეთის რევოლუციის დამარცხების შემდეგ პირველ ხანებში გულგატეხილობასა და დაქსაქსულობას მოუცავს ხალხი. განსაკუთრებით ინტელიგენცია. რაც შეეხება პოლიტიკოს აქტივისტებს ისინი ეძებდნენ გამოსავალს, ცდილობდნენ ხალხში მომავლის იმედი გაეღვიძებინათ. მძვინვარებდა რეპრესიები. ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებდნენ. ყველას ჩხრეკდნენ. ავლაბრის პოლიციის ბოქაულს, დავიდოვის თანაშემწეს ვასილიევს მოუხდენია ავლაბარში მცხოვრები პოლიტიკურად მომუშავე აქტივის „ობლავა". საღამოს პოლიციაში მიუყვანიათ დაახლოებით 50 კაცი, მათ შორის სცენისმოყვარეები ნ. მირველოვი, გ. ჩენთეშაშვილი, ა. ფიბიროვი, ს. ცერელოვი, ლ. ბადაშვილი და მრავალი სხვა.

მოწინავე მოაზროვნეთა ამ პოლიტიკური დევნის პერიოდში ბევრ პოლიტიკურ მოღვაწეს, მასას რომ არ ჩამოშორებოდა, აუდიტორია—თეატრებისათვის შეუფარებია თავი და კულტურულ სასცენო მუშაობაში ჩაბმულა. ამ მხრივ ავლაბარს პირველი ადგილი ეჭირა.

1906 წლის თებერვალს რსდმპ ავლაბრის რაიონის არალეგალურ კომიტეტს არაქსიანის ქართული სცენისმოყვარეთა წრე თავისი ზედამხედველობის ქვეშ აუყვანია. ორგანიზაციების წარმომადგენლად დაუნიშნავთ ვანო თუშმალიშვილი (პარტიული სახელწოდებით „ფრანცა"), მოსე ჯანველოვი და სხვა პირები, რომელთაც კავშირი ჰქონდათ წრესთან, იძლეოდნენ დავალებებს. თეატრთან ჩამოუყალიბებიათ ორკესტრი 25 კაცის შემადგენლობით, მე-7 კლასის გიმნაზიელის მანუკიანისა და ასოთამწყობ ხარიტონ ლომ-

თათიძის ხელმძღვანელობით. ამასთან შეიქმნა მომღერალთა გუნდი ძმების იოსებ და იაკობ ხუციშვილების ლოტბარობით.

„გაიუს გრაკხში“ სცენისმოყვარეებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ სახელგანთქმული მსახიობები: დ. ივანიძე, ვ. გამყრელიძე, სვ. სვიმონიძე და დ. ჩარკვიანი.

ამ პიესისათვის კოსტუმები ჩამოიტანეს ქუთაისიდან ლ. ალექსი-მესხიშვილის გარდერობიდან.

„გაიუს გრაკხის“ დადგმას (რომელშიც მეტად მკაფიოდ გამოჩნდა მუშა მსახიობთა ხალასი ნიჭი და უნარი) მოჰყვა „ექიმი შტოკმანის ანუ ხალხის მტერის“ დადგმა. რეჟისორმა დ. ჩარკვიანმა სცენისმოყვარეებს ურჩია ექიმის როლში მოეწვიათ იმჟამად თბილისში მყოფი ლადო მესხიშვილი. რასაკვირველია, ყველას გაუხარდა ლადოს მოწვევა მუშათა უბანში. ამ მისიის შესასრულებლად თეატრმა ორი წარმომადგენელი სცენისმოყვარე დ. მელაშვილი და ი. რევაზიშვილი გააგზავნა. მესხიშვილი დროებით გაჩერებულიყო „სევერნი ნომერში“. წარგზავნილები სწორედ იმ დროს მივიდნენ, როცა ლადო სასტუმროს გრძელ და დიდ დერეფანში თავის მეუღლე ზინასთან ერთად ვარჯიშის მიზნით ბურთს აგორებდა.

ლადოს სერიოზული გამომეტყველება მიუღია, თავისი ცეცხლოვანი თვალები შეუნათებია და სალამზე უპასუხია. სტუმრებმა მოახსენეს თავიანთი ვინაობა და ჩარკვიანის ბარათი გადასცეს. ლადომ ბარათი წაიკითხა თუ არა, მისულები მაშინვე მიიპატიჟა ოთახში, ზინას საუზმე მოატანინა და სტუმრებს მხიარულად გაუბა საუბარი: — „იცით, ყმაწვილებო, დავით ჩარკვიანი ჩემი მოწაფეა, მეტად ნიჭიერი მსახიობია კლასიკური რეპერტუარისათვის. სხვა მსახიობებთან შედარებით დიდი მოწონებით თამაშობს ლევან ხიმშიაშვილს „სამშობლოში“ და ერეკლეს „ღალატში“. ძალიან მიხარია, რომ ავლაბრის სცენისმოყვარეებს რეჟისორად მოგიწვევიათ, სწორად მოქცეულხართ. ბევრ საქმეს გაგიკეთებთ, თეატრსა და სცენას გამოაცოცხლებს, ამიტომ ჩემს მაგივრად გადაეცით მოამზადოს და თვითონ ითამაშოს ექიმი შტოკმანი. მე კი რამდენიმე რეპეტიციაზე დაგესწრებით“[1]... დავით ჩარკვიანი დიდად ნასიამოვნები დარჩენილა ლადო მესხიშვილის წინადადებით და მთელი ენთუზიაზმით შედგომია პიესა „ექიმი შტოკმანის“ მზადებას.

იბსენის ხუთმოქმედებიანი დრამა, „ექიმი შტოკმანი“, ანუ ხალხის მტერი“ პოლემორდვენოვის მიერ გად. დაიდგა 1906 წლის 12 მარტს. მონაწილეობდ-

[1] დ. მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ისნის სახალხო თეატრის წარსულიდან, გამომც. „ხელოვნება“, 1955, გვ. 50.

ნენ: ექიმი შტოკმანი, აბანოების უფროსი — დ. ჩარკვიანი, ქალბატონი შტოკმანისა, მისი ცოლი — მ. ქართველიშვილი, პეტრა — ნ. საყვარელიძე, ელიფი — ბ. მელაშვილი, მარტენი — ვ. ბარბარელი, პეტრე შტოკმანი — ქალაქის თავი, ექიმის ძმა — ბ. რევაზოვი, მორტენკილი, ექიმის სიმამრი — ბ. მაისურაძე, ბილინგი, გაზეთის თანამშრომელი, — გ. პეპანოვი, გორსტერი — გემის უფროსი — ს. პეპანოვი, ასლაქსენი, სტამბის პატრონი — ნ. მირველოვი, გოფსტადი — კ. მაისურაძე.

პიესა დაიდგა 1906 წლის 12 მარტს. ამ პიესის დადგმამ მძლავრი სტიმული მისცა, როგორც სცენისმოყვარეებს ისე საზოგადოებრიობას. ამ განახლებულმა თეატრმა ავლაბრის მშრომელი მასა (უმთავრესად ფაბრიკა-ქარხნების მუშები) ფეხზე დააყენა და გაახალისა.

□□

რეაქციის ხანაში ავლაბრის სახალხო თეატრის სცენაზე მოღვაწეობდნენ გამბედავი ხელმძღვანელები და რეჟისორები დ. ჩარკვიანი და ი. იმედაშვილი.

არაქსიანის თეატრში მუშაობის პარალელურად, ჩარკვიანმა ვეტცელის თეატრშიაც განახორციელა „ყაჩაღების“ დადგმა, სადაც ფრანც მოორის როლი ითამაშა. „დავით ჩარკვიანს—გვიამბობს შ. გომელაური — პირველად ავლაბრის თეატრში შევხვდი. ის სცენისმოყვარეებმა მოიწვიეს რეჟისორად. ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მისმა ურიელმა, პატარა კახმა, ექიმმა შტოკმანმა და სხვ. მე ამ დროს სცენისმოყვარე ვიყავი და მისი პარტნიორობა მიხდებოდა. მახსოვს ერთი ეპიზოდი: დავით ჩარკვიანის მონაწილეობით „ურიელ აკოსტას“ ვდგამდით. ამ სპექტაკლით ძალიან დაინტერესებული ვიყავით, ვინაიდან მთელი შემოსავალი არალეგალური ორგანიზაციისათვის უნდა გადაგვეცა. საგანგებოდ შევურჩიეთ სპექტაკლს კვირა დღე, რადგან უქმე დღეებში მეტი ხალხი გვეტანებოდა. ამ დროს მესხიშვილი სახაზინო თეატრში დგამდა ა. ოსტროვსკის „შემოსავლიან ადგილს“. ამ პიესაში ჟადოვის მთავარი როლი ჩარკვიანს ჰქონდა დაკისრებული. პირდაპირ გამოუვალი მდგომარეობა იყო: ადამიანი ორად ხომ ვერ გაიჭრებოდა — ან ჩვენი სპექტაკლი უნდა ჩაშლილიყო, ან პროფესიული დასის წარმოდგენა. ჩვენ ეს გავითვალისწინეთ, მუშების დელეგაცია გავუგზავნეთ ლადო მესხიშვილს და ვთხოვეთ ჟადოვის როლი ალექსანდრე იმედაშვილისათვის, ან სხვა ვინმესათვის გადაეცა. ლადო ძლიერ შეწუხებულა და ასე უთქვამს: „დავით ჩარკვიანისთანა ჟადოვი არავინ მეგულება და როგორ შეიძლება მისი შეცვლაო, მაგრამ ლადოს ხასიათი რომ ვიცოდით (ის ხომ რევოლუციის ნამდვილი შვილი იყო) როცა შეიტყო წარმოდგენის მიზანი, განაცხადა: კარგით შვილებო ამ როლს საშა იმედაშვილს გადავცემთო.

დავით ჩარკვიანი ისეთი საყვარელი მსახიობი იყო, რომ, როცა ლადო მესხიშვილი მთელი სეზონობით რუსეთში მიდიოდა იქაურ დასებში სამუშაოდ, მაშინ ლადოს როლებში დავით ჩარკვიანი გამოდიოდა და ხალხის დიდი მოწონებით სარგებლობდა“[1].

□□

დავით ჩარკვიანის გამოჩენამ ავლაბრის თეატრში ბევრ ინტრიგანს მოუღო ბოლო, რომლებიც ისინის სახალხო თეატრების დრამატულ ძალებს სკეპტიკურად უყურებდნენ. ეს განსაკუთრებით ითქმის ქართული წარმოდგენების ზოგიერთი გამმართველი წრის წევრების ერთ ნაწილზე. ამ წრეს ყოველგვარი პირობები ჰქონდა ავლაბრის თეატრთან შედარებით და, მით უფრო, როცა ზუბალაშვილების სახლში გადავიდა — სარგებლობდა საუკეთესოდ მოწყობილი თეატრით და მისი ტექნიკით, შესანიშნავი სცენური გაფორმებით, დეკორაციით, ბუტაფორიით, გარდერობით, დოტაციით, მუდმივი რეჟისურით და, რაც მთავარი იყო, უფასო სათეატრო შენობით. ასეთ პირობებში მყოფი სცენისმოყვარეთა ერთი ჯგუფის წევრები თავიანთ თავს თითქმის პროფესიონალ მსახიობებად ნათლავდნენ და თუ მათ ირგვლივ მყოფნი ვინმე მატერიალურ გაჭირვებას, სიღარიბეს განიცდიდა, ეს მათ არაფრად მიაჩნდათ. თუ მათ რეპერტუარში უმთავრესად შედიოდა ისეთი პიესები, როგორიც არის: „სოფლის გმირები“, „სულელი“ „№ 21 ჯვრით“, „მეზობლები“, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, „მსხვერპლი“, „ქრისტინე“, „უდანაშაულოდ დასჯილნი“, „ქოჩორა ტოროლა“ და სხვები. სამაგიეროდ ავლაბარში, არაქსიანის თეატრში დავით ჩარკვიანის რეჟისორობით კი იდგმებოდა ამ მომენტისათვის არა ნაკლებად საჭირო პიესები. „გაიუს გრაკხი“, „ყაჩაღები“, „ურიელ აკოსტა“, „ექიმი შტოკმანი“, „ცხოვრების გმირი“, „მეზობლები“ და სხვ.

„მაგრამ ეს კიდევ ცოტაა, — გვიამბობს დ. მელაშვილი; პოეტ იოსებ გრიშაშვილის თქმისა არ იყოს (იხ. სახალხო თეატრის საიუბილეო კრებული) მაშინ (1905—1906 წ.) ავლაბრის არაქსიანის თეატრი ჩვენი სკოლა იყოო. ჭეშმარიტად რომ სკოლა იყო, ვინაიდან მაშინ ავლაბარი ამაყობდა, რომ ქართულ თეატრს მისცა ი. გრიშაშვილი, ზ. გომელაური, მ. სარაული და სხვები და სახალხო თეატრს კი — მარიამ და ვერა მარგველაშვილები, რაფ. ჯიბლაძე, რ. სალაყაია, ალ. თავდგირიძე და ბოლოს მარიამ ქართველიშვილი, სერგი პეპანოვი, ლ. ბალაშვილი, ვ. მარკოზოვი, მიხ. მელაშვილი (სუფლიორი) და მრავალი სხვანი“.

---

[1] შ. გ ო მ ე ლ ა უ რ ი, მოგონებანი გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1962, გვ. 160-161.

იმ ხანებში ავლაბრის სახალხო თეატრს ჰყოლია საუკეთესო ძალები ქალთაგან: მ. ქართველიშვილი, თ. აფხაზიშვილი, ელ. ბუჩუკური, ვ. ბეგიჯანიანი, ნ. საყვარელიძე, ო. ფეიქრიშვილი, მ. მარგველაშვილი, ა. ჩერქეზიშვილი, ვ. დავითაშვილი (ნიკიფოროვა), დ. რჩეულიშვილი. ქალთა ამ შემადგენლობას რეჟისორი დ. ჩარკვიანი საუკეთესოდ იყენებდა თურმე სცენაზე როგორც ისტორიულ, ისე კლასიკურ პიესებში. ამ დროს გასტროლებზე იწვევდნენ ქართული თეატრის მსახიობებს: ალ. იმედაშვილს, ვიქ. გამყრელიძეს, ს. ყალაბეგაშვილს, ლეჟავას, დ. ივანიძეს, მ. მდივანსა და სხვებს.

მარო მდივანს, როგორც სხვა ბევრ მსახიობს, ბევრი მწარე დღეები ჰქონია გამოვლილი იმ დუხჭირ დროში, სად არ უთამაშია, ხარაჩოებზე თუ მინდორში, სოფლებში თუ ქალაქში, სხვადასხვა თეატრებში, მუშათა უბნებში და ყველგან მოუნადირებია მაყურებლის გული. ყველგან კეთილსინდისიერად, პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით და როლის ღრმა ცოდნით ჩაუტარებია თავისი შემოქმედებითი მუშაობა. შესანიშნავი ყოფილა მარო მდივნის დეზდემონა, ოფელია, რუქაია, ქრისტინე, ლიგია, მერცია და სხვ. აი, რას გვიამბობს მის შესახებ ი. გრიშაშვილი: „მე, მარო მდივანი ყველა ამ როლში მინახავს და ბედნიერი ვარ, რომ მოვესწარი მისი ნიჭის გაფურჩქვნის მწვერვალებს... მე სხვანაირი სუფლიორი ვიყავი, აქტიორის ტანჯვასა და სიხარულს მე თვით განვიცდიდი ჩემს პატარა ხულაში. რამდენი ცრემლი დამიღვრია მაროს მიერ მერციას, ლიგიასა და ქრისტინეს როლის შესრულების დროს. როგორ მიყვარდა მარო მდივნის რუქაია: მერე რა ლამაზი იყო ჩვენი იუბილარი, დიდრონი, ეშხიანი, ციმციმა თვალები, ტუჩკბილი ჩამოსხმული, მინანქარი მარჯნებში ჩასმული, წარბები მოქნილი მათრახები... არა! მარო მდივნის რუქაია შესანიშნავი იყო თავისი ხავერდოვანი ხმით და მტრედივით ვნება გზააბნეული. ეხლაც ამ ორმოცი წლის ამბავს ვიგონებ და ჩემი ბებერი ძვლები ნეტარებას განიცდის.

როდესაც გული, გული მტკივანი,
ჩამომემტვრევა ცრემლის მინებად,
მომაგონდება მარო მდივანი
და ლექსში სხივი ჩამიფრინდება...

ძვირფასო მარო! ბევრი ავი დღეები გამოგივლია ძველად, იმ დუხჭირ დროში, სად არ გითამაშია, ხარაჩოებზე, მინდორზე, სოფელში, ქალაქში, მუშათა უბნებში, დიდ თეატრში, პატარა თეატრში და ყველგან ნამუსიანად, პასუხისმგებლობის გრძნობით და როლის ღრმა შეგნებით. ბედნიერი ხარ, რომ

მოესწარი დღევანდელ დღეს, როცა თეატრი ნამდვილი თეატრია „და მსახიობებს აღარ უხდება აქეთ-იქით წანწალი ერთ ლუკმა პურისათვის“[1].

□□

წარმოდგენების სისტემატური მართვა შერჩეული რეპერტუარით, პროფესიულ მსახიობთა მონაწილეობა, მუდმივი რეჟისორი, საკუთარი ორკესტრი და მომღერალთა გუნდი, განსაკუთრებით წითელნიშნიანი მორიგეები, რასაკვირველია, როგორც დამსწრეთ ისე ხელმძღვანელის დიდ მოწონებას იწვევდა, მაგრამ ჯაშუშები და პოლიციელები სულ სხვანაირად ფიქრობდნენ, რომ ამ შენობაში ბევრი რამ საეჭვო და შენიღბული იყო და არც სცდებოდნენ. ერთხელ თამბაქოს ფაბრიკის „მირის“ მუშათა გაფიცვა უნდა მომხდარიყო წარმოდგენის დროს (დღისით) თეატრის სცენის კულისებში სხდომა ჰქონდათ ფაბრიკის მუშათა და პარტიის რაიონული კომიტეტის წარმომადგენლებს. თათბირმა მიზანშეწონილად არა სცნო იმჟამად გაფიცვის ჩატარება. ეს გადაწყვეტილება იქვე პარტერში მსხდომ მუშებს აცნობეს. ძალიან დიდი კონსპირაციით ვრცელდებოდა არალეგალური ლიტერატურა, იკრიბებოდა საწევრო გადასახადები და სხვ.

ყოველი თვის ბოლოს რაიონის წარმომადგენელს („ფრანცას“) თეატრისათვის დაბეჭდილი ანგარიში მოჰქონდა, საიდანაც ეცნობოდნენ წარმოდგენების შემოსავალ-გასავალს. (ქართული თეატრის მმართველ ამხანაგობას, რასაკვირველია, საიდუმლო ნიშანი „პაროლი“ ჰქონდათ). ანგარიშში დათქმული იყო, რომ „ამა და ამიდან შემოვიდა ამდენიო“, მოხსენებული იყო შემოსული თანხა, ხარჯი და ბოლოს ნაშთი.

ამ წესით მუშაობა მალე ისეთი ნაყოფიერი გახდა და თეატრმა ისე გაითქვა სახელი, რომ არა მარტო ავლაბრიდან, არამედ ქალაქის სხვადასხვა რაიონებიდანაც ესწრებოდნენ, მათ შორის პოლიტიკური და კულტურული მოღვაწეები, რომლებიც რჩევას, დარიგებებსა და მითითებებს აძლევდნენ. ესწრებოდნენ აგრეთვე პიესის ავტორებიც. 1912 წლის თებერვალს დაესწრო ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე ივანე გომართელი (იდგმებოდა მისი პიესა „ქოხში“), მომღერალი და ცნობილი ლოტბარი ფილ. ქორიძე, („ორი დარაჯის“ მთარგმნელი), პ. ირეთელი (კალანდაძე), რომლის პიესებს „ქრისტინეს“ და „დამარცხებულნს“ ხშირად უჩვენებდნენ სახალხო თეატრის სცენაზე.

1906 წლის 9 სექტემბერს ავლაბრის არაქსიანის სცენისმოყვარეთა წრის

---

[1] ი. გრიშაშვილი, მინიატურები და ლიტერატურული ნარკვევები, ტ. V, გამომც. „საბჭოთა საქართველო“ 1965, გვ. 299.

მიერ წარმოდგენილი იყო ვალ. გუნიას სამმოქმედებიანი დრამა „ორი გმირი". მონაწილეობდნენ: მამია, მთავარი გურიისაა — ბ. შველიძე, ლევან, მთავარსარდალი — ბ. გიორგიძე, ტარიელ, მისი შვილი — ბ. მატარაძე, დუდუხან, ლევანის მეორე ცოლი — ქ. დავითაშვილი (ვარა ნიკიფოროვა), დესპინე, ტარიელის დობილი — ქ. მარგველაშვილი, ბაღათარ ხონთქრის ჯაშუში — ბ. შველიძე, ახალგზრდა მწყემსი — ბ. სალაყაია, დარაჯი, ახალგაზრდა მხედარი — ბ. მელაშვილი. და ბ. ახოსპირელის მიერ თარგმნილი ერთმოქმედებიანი ვოდევილი, „უბედური დებიუტი". ფეოდორ იაკოვლევიჩ — ბ. გიორგიძე (გიგა მატარაძე), ლიდია, მისი ქალი — ქ. მარგველაშვილი, ვალოდია, გიმნაზისტი — ბ. მატარაძე.

1907 წლის სეზონის დასაწყისში ქართველ სცენისმოყვარეთა წრემ განახორციელა კ. მესხის „თამარ ბატონიშვილი" და აწყურელის ვოდევილი „ორი მშიერი", შ. დადიანის მიერ თარგმნილი „უბედური ნაბიჯი" და ავქს. ცაგარლის „ჭკუისა მჭირს", ვალ. გუნიას ვოდევილი „ცოლქმრობის წინააღმდეგ" და ნ. ნასიძის ვოდევილი „დამბაჩა და რევოლვერი".

კ. მესხის „თამარ ბატონიშვილი" წარმოადგინეს ვ. დავითაშვილისა და არტ. ლიმონიძის მონაწილეობით. შემსრულებლებიდან გამოირჩეოდნენ: მეფე გიორგი ლაშა — მაკაროვი, რუსუდანი, მეფის და — ვ. დავითაშვილი, თამარ, მისი ქალიშვილი — ნ. მაჭავარიანი, ელიზბარ ერისთავი — მანგოშვილი, შალვა, მისი შვილი — არტ. ლიმონიძე, იოთამ ამირანდელი — ფილაშვილი, ელისაბედი — ვ. დავითაშვილი, ივანე არღუთაშვილი — ხალათოვი, შანშე — სარქისოვი, პეტრე ერთგულაძე, ელიზბარის მსახური — ფერიაშვილი, ციხის მცველი — ქრისტესაშვილი.

ამას მოჰყვა ვ. მატარაძის რეჟისორობით დადგმული ვ. აბაშიძის მიერ თარგმნილი „გაძარცული ფოსტა", ივ. მაჩაბლის მიერ თარგმნილი „ჰამლეტი" (მონაწილეობდა მთელი დასი) და ი. ლაზარევის „მტარვალი", ავქს. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" და ვალ. გუნიას ვოდევილი „ხორველობა".

პიესაში „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" მონაწილეობდნენ: დავით ჯამბარაშვილი — ვ. მატარაძე, ოჩომსე — მისი დეიდა — ქ. ჩერქეზიშვილი, არტემ ივანიჩი — ჩერქეზოვი, ზაქარია — დავითის მეგობარი — ბ. იმერლიშვილი, ნიკო, მოურავი დავითისა — ბ. მაისურაძე, კატინა, ქვრივი — მ. ქართველიშვილი, ტასია — მისი ძმისწული —მ. მარგველაშვილი, ილუა, კატინას ვაჟი — შ. გომელაური, საქუა — ტასიას საქმრო — ბ. მაკაროვი, ავეტიკა, გიქუა, ფიჩხულა — ნ. მირველოვი, ლ. ბაღაშვილი, შ. რომელაშვილი, სოსანა — ი. გრიშაშვილი, კოხტაია, იმერელი — რ. სალაყაია და სხვ.

დივერტისმენტების დროს თავისი შესანიშნავი ლექსებით აქტიურად გამოდიოდა აგრეთვე ძველი რევოლუციონერი, მუშა პოეტი და სცენისმოყვარე გიორგი შინატეხელი (მენთეშაშვილი). 1896 წლიდან იგი აქტიურად თანამშრომლობდა თითქმის ყველა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, შინატეხელის ფსევდონიმით. თავისი დემოკრატიული პოეზიით და პირადი ცხოვრებით ყოველთვის ახლოს იდგა რევოლუციურად განწყობილ მუშებთან და ძველ სცენის მოყვარეებთან.

1910 წელს ცალკე წიგნად დაიბეჭდა გიორგი შინატეხელის ლექსთა კრებული სათაურით „გლეხის ცრემლები", რომელიც მეფის ცენზორამ მაშინვე აკრძალა და მოსპო. გადარჩა სულ რამდენიმე ცალი.

ეს ამბავი მაშინ გახმაურდა მუშა-მოსამსახურეთა შორის და გიორგი შინატეხელის პოეზიას მკითხველთა უფრო მეტი ყურადღება მიექცა.

მუშა-პოეტს, ასეთმა „მარცხმა" გული კი არ გაუტეხა, არამედ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა პროლეტარიატს და უდიდესი რწმენით განაგრძო თავისუფლებისათვის ბრძოლის თემაზე წერა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას პოეტი გულითადი სიხარულით შეეგება და აღფრთოვანებული ლექსები უძღვნა საბჭოთა ქვეყნის ახალ ცხოვრებას. მისი ლექსები დაიბეჭდა საბჭოთა პერიოდის ჟურნალებში „ლიანდაგში" („წითელი ავიატორის სიმღერა"), „პროლეტარულ მწერლობაში" („ოქტომბერი"), „მერცხალში" („1905 წ. 29 აგვისტო") და სხვა მრავალი.

აშუღ ჰაზირას ლექსი „საიათნოვას" ძეგლის წინაშე" სომხურიდან თარგმნა გ. შინატეხელმა.

წარმოდგენების ბილეთები წინასწარ ვრცელდებოდა ფაბრიკა-ქარხნებში მუშათა წარმომადგენლების საშუალებით. დარჩენილი ბილეთები კი თეატრის სალაროში იყიდებოდა. სპექტაკლის მსვლელობის დროს, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, უკრავდა სიმებიანი ორკესტრი და მღეროდა გუნდი. წესრიგს იცავდნენ მორიგე ამხანაგები, რომლებსაც მკლავზე წითელი ნიშნები (ლენტები) ამშვენებდათ. მეფის მოხელეები ბოქაულის მიერ გაფრთხილებულნი იყვნენ, რომ მორიგეებს ნიშნები მოეხსნათ. თეატრის გამგეობამაც დაადგინა, რომ მოეხსნათ მკლავიდან და მკერდზე გადაეტანათ, უფრო პატარა ზომის. ბოქაულმა დავიდოვმა ეს რომ ნახა, გაიცინა და ხელი ჩაიქნია...

1908 წლის 17 მაისს ავლაბრის სახალხო თეატრის სცენაზე გაიმართა ძველი სცენისმოყვარის გ. გელიკურაშვილის და სუფლიორ ალ. ბაჯიაშვილის ბენეფისი.

წარმოდგენილი იყო თანადროულ თემაზე დაწერილი ალ. ბაჯიაშვილის მიერ გადმოქართულებული სამმოქმედებიანი დრამა „სიმდიდრის მსხვერპლი“. მონაწილეობდნენ: გიორგი თურმანიძე — ვ. კახელი, თამრო — ქ. თარხანოვი, დათიკო — ს. პეპანოვი, ქეთევან — დ. რჩეულიშვილი, ელენე — მ. ქართველიშვილი, ალექსანდრე — გ. ფირუმიანი, ზახარ ზახარიჩ — გ. გელიკურაშვილი.

1908 წლის 1 ივნისს კი ქართველ სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იყო დ. აწყურელის ორმოქმედებიანი დრამა „დასჯილნი“. მონაწილეობდნენ: გერასიმ ბაყულაშვილი — ი. რევაზოვი, ელენე — თ. აფხაზიშვილი, ნინა — მ. ქართველიშვილი, ნიკო კობაძე — ლ. ბალაშვილი, ვასო ტურაშვილი — გ. ფირუმიანი, იოსები — ნ. მირველოვი. ბოლოს გაიმართა დივერტისმენტი: „მეგობრობის დარიგება“ — ქართულად ს. პეპანოვი, „იმედ დაკარგულნი“ — სომხურად ქ-ნი გრიგორიანები, „ვითომდა იგიც ქრისტიანია“ — ქართულად — ი. ფლაველი, „ჩვენი ჰირ-ვარამი“ — სომხურად გ. ფირუმიანი, კუპლეტები „ვაი-ვუიმე“ ქართულად გ. გელიკურაშვილი, ლექსი, „ყველაზე წინ“ — სომხურად ტერ. სტეფანიანი, „ორი ხმა“, ქართულად შ. გომელაური და ი. რევაზოვი, „ღორი და რქო“ — სომხურად ტერლეგოდინინი, იმერული სცენები — რ. სალაყაია, კუპლეტები ქართულად — გ. ფირუმიანი, „ალაშინ ბრძანდება“ — სომხურად ყაზარიანი და ანტონიანი, „ღმერთო შეგცოდე“ — ქართულად — ი. რევაზოვი. სოლო ფლეიტაზე შეასრულა გ. ფირუმიანმა.

1908 წლის 4 ივლისს ქართველმა სცენისმოყვარეთა წრემ არტო ლიმონიძის მონაწილეობით უჩვენა ვალ. გუნიას სამმოქმედებიანი დრამა „ორი გმირი“. მონაწილეობდნენ: მამია, მთავარი — ს. გოგაშვილი, ლევან, მთავარსარდალი — მამულოვი, ტარიელ — არტ. ლიმონიძე, დუდუხან — ს. გოგაშვილი, დესპინე — ვ. მარგველაშვილი, დარაჯი გ. ფირუმოვი. და აწყურელის ერთმოქმედებიანი ვოდევილი „საცოლე ერთი საათით“.

ამას მოჰყვა 18 აგვისტოს წარმოდგენილი აკ. წერეთლის ხუთმოქმედებიანი დრამა „თამარ ცბიერი“. მონაწილეობდნენ: მეფე გიორგი — ს. ლოლაძე, თამარ დედოფალი — ვ. დავიდოვისა, მსაჯულთა უხუცესი — ანტონიძე, გოჩა, მგოსანი — ს. ივანიძე, მასხარა — ბეგლარიძე, შიკრიკი — მატარაძე,

ცირა — ნ. საყვარელიძე, ნიკო — დ. ზაქრაძე. და მეორე კ. ყიფიანის ვოდევილი, „დატრიალდა ჯარა“. კოტე — ი. იმედაშვილი, ტიტინა — ნ. საყვარელიძე, მამიდა — ლ. ვაშაკიძე, სოსია — ი. მჭედლიშვილი.

1909 წლის სეზონში ქართულმა დასმა წარმოადგინა აგრეთვე ავქს. ცაგარლის მიერ თარგმნილი ოთხმოქმედებიანი ისტორიული დრამა „ქართველი დედა“.

„ქართველი დედა“ პატრიოტული გრძნობის აღმძვრელია და მას ერთხელ ილია ჭავჭავაძეც შეხებია თავის რეცენზიაში (ივერი 1890 წ. № 268).

პიესა გადმოკეთებულია ფრანგი მწერლის არნოს მიერ ლექსად დაწერილი პიესიდან, ავქს. ცაგარლის მიერ, მაგრამ ისე კარგად და საქართველოს ისტორიასთან შეფარდებულად, რომ მაყურებელზე დიდ ემოციურ შთაბეჭდილებას ტოვებს. როცა პიესა 1890 წელს პირველად დაიდგა, ხალხს ავქს. ცაგარელი ხელში აუყვანია და ისე გამოუცილებიათ თეატრის კარიბჭემდე.

ამას მოჰყვა დ. ერისთავის ხუთმოქმედებიანი ისტორიული დრამა „სამშობლო“. ვალ. გუნიას მიერ თარგმნილი „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“. მონაწილეობდა მთელი დასი.

□□

1909 წლიდან წრეს კვლავ სათავეში ჩაუდგა თომა ნასიძე, ხოლო რეჟისორად მოწვეული იქნა სვიმონ სვიმონიძე. წრის ძველ სცენისმოყვარეებს შეემატნენ ახალი ძალები: არჩილ შათირიშვილი, ვანო გიგოშვილი, ანა კავთელი, ნატაშა და ყარამან მეღუზლები, ალ. გოჩიტაშვილი, გრიგოლ ყანჩელი, ს. პეპანოვი და სხვები.

1909 წელს სცენისმოყვარეთა ქართულმა დასმა ამავე სეზონში წარმოადგინა ნ. აზიანის სამმოქმედიბიანი კომედია „ფული და ხარისხი“ და ვალ. გუნიას ერთმოქმედებიანი ვოდევილი „არც აქეთ, არც იქეთ“.

ამის შემდეგ სვიმონ სვიმონიძის მონაწილეობით დასმა უჩვენა პ. ირეთელის „დამარცხებულნი“.

ქართული თეატრის თვალსაჩინო მსახიობი სვიმონ სვიმონიძე (გოლაშვილი), ავლაბრის ისნის მუშათა თეატრში სისტემატურად მუშაობდა როგორც რეჟისორად, ისე მსახიობად. სვიმონიძის საყვარელი როლები იყო: გაიოზი „და-ძმაში“, ლევან ხიმშიაშვილი — „სამშობლოში“, ჟაკი — „ორ ობოლში“, გიორგი — „მტარვალში“, ტარიელი — „ორ გმირში“, ქაიხოსრო — „კონსტანტინე ბატონიშვილში“, ლაერტი — „ჰამლეტში“, კარლ მოორი — „ყაჩაღებში“, ბენ იოხაი — „ურიელ აკოსტაში“, ედმუნდი — „მეფე ლირში“, მიული — „ორ ჯიბგირში“ და სხვ.

მშვენიერი გარეგნობა, ხავერდოვანი ხმა, მთავარი როლები უქმნიდნენ

სვიმონიძეს წარმატებას. სწორედ სცენური გარეგნობით დაინტერესებული ვასო აბაშიძე 1889 წელს გაემგზავრა ქუთაისში სცენისმოყვარე სვიმონიძის სანახავად. ამ პერიოდში თბილისის დასს საგმირო ხასიათის დრამატული როლების შემსრულებელი მსახიობი არ ჰყავდა, ლადო მესხიშვილი რუსეთს გაემგზავრა და რამდენიმე წელი იქ უნდა დარჩენილიყო.

ვასო აბაშიძემ სვიმონიძე თბილისში გადმოიყვანა და დებიუტი მოუწყო გ. მესხის ისტორიულ პიესაში „ბაგრატ მეოთხე", სვიმონიძემ ვახტანგის როლი ითამაშა. ამ დებიუტის შემდეგ იგი სცენას არ მოშორებია.

როგორც ცნობილია მის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში შექსპირის ტრაგედიიდან „ოტელო" იაგოს როლი ამშვენებს. ამის შესახებ დღესაც იგონებენ ხანდაზმულნი: ქართული თეატრი „ოტელოს" დგამდა. იაგოს როლს სვიმონიძე ასრულებდა. ლოჟაში მსხდარან ილია, აკაკი, ივანე მაჩაბელი. ანტრაქტის დროს საუბარი იაგოს როლის შემსრულებელ მსახიობ სვიმონიძეზე წამოჭრილა. რატომ არის სვიმონიძე სხვა როლებში შედარებით სუსტი, როცა ამ როლში შეუდარებელია" — უკითხავს აკაკის, ილიას თავისებური ღიმილით გაუკენწლავს — იმერელია და იმისათვისო.

შინაგან განცდებს მოკლებული მსახიობი გარეგნული ეფექტებით ცდილობდა თურმე ნაკლის დაფარვას, მიუხედავად იმისა, რომ სვიმონიძეს თამაშის დროს გადაჭარბება სცოდნია მაინც, როცა მთავარ როლს ასრულებდა, მისი გავლენა იმდენად ძლიერი იყო მაყურებელზე, რომ მქუხარე ოვაციას იწვევდა. სვიმონიძე 1906 წლამდე მუშაობდა ქართულ თეატრში, შემდეგ საფუძველი ჩაუყარა ნაძალადევის მუშათა თეატრს, როგორც რეჟისორმა და ხელმძღვანელმა. მისი თაოსნობითა და მეცადინეობით ააშენეს თეატრის პატარა შენობა და დაიწყო წარმოდგენების გამართვა.

1909 წლის 28 ივნისს რ. სალაყაიას რეჟისორობით წარმოადგინეს პ. ირეთელის დრამა „ქრისტინე".

სპექტაკლი საინტერესო, შთამბეჭდავი და ამაღლვებელი გამოვიდა. იგი ხიბლავდა მაყურებელს ემოციურობით, სანახაობითი მრავალფეროვნებით, ლაკონიური და გამომსახველი მიზანსცენებით. არაპროფესიონალი მსახიობები მეტყველებდნენ კარგი გამართული ქართულით, სცენაზე თავისუფლად და ლაღად მოძრაობდნენ.

პიესის ძირითადი პერსონაჟი ქრისტინე კაპიტალისტური ყოფიერების გამხრწნელი გავლენის მსხვერპლია. გულუბრყვილოა ქრისტინე. მას სწამს ფიცისა, ეჭვი არ ეპარება იასონის სიყვარულში, მაგრამ მწარედ ტყუვდება. ფეხქვეშ ითელება მისი პატიოსნება. იგი სულით ეცემა... ქრისტინე ტოვებს მშობლებს, სოფელს და თავს აფარებს ქალაქს. აქ კი საბოლოოდ იძირება ცხოვრე-

ბის წუმპეში. დამაჯერებლად მიჰყავდა როლი სცენისმოყვარე მ. მარგველაშვილს. ს. გოგაშვილი არ ზოგავდა შესაძლებლობას, ეჩვენებინა ზნეობრივად დაცემული, ადამიანურ თვისებებს მოკლებული იასონი. მაყურებელს აოცებდა დათიასა და მარიკას ბეჩავი ცხოვრება. რ. სალაყაია დიდი დამაჯერებლობით ასახიერებდა შეურაცხყოფილ მამას. მის გულში ჯოჯოხეთი ტრიალებდა მაგრამ სალაყაიას დათია სოციალური უთანასწორობის გამო უმწეო იყო გასწორებოდა მის შემარცხვენელ იასონს. ამით გამოწვეულ სულიერ ტკივილებს მძაფრად გადმოსცემდა მსახიობი. კიდევ უფრო ძლიერი იყო იგი ფინალურ სცენაში.

მსუბუქად, როლის ჭეშმარიტი გაგებით ასრულებდა მსახიობი სონა გოგაშვილი სონას როლს.

მხატვრულ სახეებს ქმნიდნენ: დ. რჩეულიშვილი (მარიკა), მ. მელაშვილი, (მარინე), ვ. წამალაშვილი (ლევან ძველისენიძე), ჯ. ფურცელაძე (მარიკას მეზობელი ქალი), დ. ბულვერდოვი და მარუსა-ყენია და საშა (ქუჩის გოგოები), ი. გრიშაშვილი, ვ. ქიტესაშვილი, გ. გელიკურაშვილი, (ქეიფის მოყვარული ხალხი (მიტუშა, მელქო და ღორუა), ვ. წამალაშვილი (გერმანი), გ. გელიკურაშვილი (1-ლი მოქეიფე), ლ. დოიძე (მე-2 მოქეიფე), ებიაშვილი (მიკიტანი), ი. გრიშაშვილი (მიკიტნის ბიჭი).

მიუხედავად იმისა, რომ 1909 წლის სეზონში წრეს საუკეთესო ძალები შეემატა, ორგანიზაციის სისუსტის გამო სპექტაკლები იმართებოდა თურმე დროგამოშვებით, ისიც ერთეულ მსახიობების ინიციატივით. ერთხანს თეატრი დაუკეტავთ კიდეც, რადგან მიტოვებული თეატრის შენობა იმჟამად ხელში ჩაუვარდნია ვინმე ვაჭარ მამამთავრიშვილს, რომელსაც გაუპარტახებია და საყინულედ გადაუქცევია იგი. ხალხი კი მოითხოვდა თეატრის გახსნას და წარმოდგენების განახლებას.

ამ მიზნით მამამთავრიშვილთან მოსალაპარაკებლად შემდგარა დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: თ. ნასიძე, რ. სალაყაია, ალ. ბაჯიაშვილი, გ. ფირუმიანი, რ. ჯიბლაძე, დ. მელაშვილი. დელეგაციის წევრები დიდი იმედით ვამგზავრებულან დაკისრებული ამოცანის შესასრულებლად, ცოტა დუმილის შემდეგ თ. ნასიძეს დიპლომატიურად წარუმართავს საუბარი და მასპინძლისათვის მისვლის მიზეზი გაუგებინებია. ჯერ ფირუმიანს, შემდეგ ბაჯიაშვილს დაწვრილებით აუხსნია მამამთავრიშვილისათვის თეატრის მნიშვნელობა და ის გარემოება, რომ იმჟამად თეატრის შენობა გაპარტახებული იყო, დეკორაციები და ბუტაფორია დამტვრეული და ამისათვის საჭირო იყო მის მიერ პატარა თანხის გაღება, რომ ავლაბრის სცენისმოყვარეებს თეატრი წესრიგში მოეყვანათ-

და საშუალება მისცემოდათ განეგრძოთ მშრომელი ხალხისათვის კულტურული სამსახური.

მამამთავრიშვილს სცენისმოყვარეები ასეთი პასუხით გამოუსტუმრებია — „როგორც გეტყობათ, მეტი საქმე არა გქონიათ; ვისა სცხელა მაგნაირი საქმისათვის, მოცლილი ხალხის მეტსა!.. რის დეკორაციები, რის კულტურა! თქვენ ერთი ეს მითხარით, დილით, რომ ერთი შაური მოგცეთ, საღამოს თავის სარგებლით რვა კაპიკს დამიბრუნებთ თუ არაო?!“

ქუჩაში რომ გამოსულან, ალ. ბაჯიაშვილს საყვედურით უთქვამს: — კაცო, მე ხომ გითხარით, რომ ძაღლი ბატკანს არასოდეს არ გააჩენს-მეთქი! ყოფილი „ტრახტირჩიკი“, ახლა კი მიკიტანი და თანაც თავადაზნაურთა ბანკის შენობის მოიჯარადრე კაცი და კულტურა ერთად, აბა, მითხარით სად გაგონილა? ხომ გაიგეთ რა პასუხი მოგვცათო.

□□

როგორც თეატრალურ მუზეუმის ფონდში დაცული აფიშები გვამცნობენ 1909 წლის 21 ნოემბერს აღსანიშნავად იმისა, რომ იმ წელს შესრულდა 30 წელი მას შემდეგ, რაც ასიკო ცაგარელმა დაწერა „რაც გინახავს, ველარ ნახავ“. ქართული სცენისმოყვარეთა ამხანაგობამ ნ. გაბუნია-ცაგარლისა და სვ. სვიმონიძის მონაწილეობით გამართა საიუბილეო წარმოდგენა. წარმოდგენის დაწყებამდე ია ეკალაძემ წაიკითხა ასიკო ცაგარელის ბიოგრაფია-დახასიათება.

წარმოდგენილი იყო ა. ცაგარლის სამმოქმედებიანი კომედია „რაც გინახავს, ველარ ნახავ“. მონაწილეობდნენ: დავით ჯამბარაშვილი — ბ. მიწაბოკრელი, ორომსე — ნ. გაბუნია-ცაგარლისა, არტემ ივანიჩი — გ. გელიკურაშვილი, ზაქარია — ბერიშვილი, ნიკო მოურავი — ს. სულთანოვი, კატინა — დ. რჩეულოვისა, კოხტაია, მსახური დავითისა — რ. სალაყაია, საქუა,—ა. კორძაია, ავეტიკა — ნ. მირველოვი, გიქუა — ს. სვიმონიძე, ფიჩხულა — რ. ჯიბლაძე, სოსანა — ა. გოჩიტაშვილი, ლიზა — ქ. მარგველაშვილი, მაგდანა — ო. ფეიქრიშვილი, პელუა — ი. კავთელი, ილუა — შ. გომელაური.

ასევე მურაშკოს თეატრის სცენისმოყვარეებმა ნატო გაბუნია-ცაგარლის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავ საიუბილეო საღამოზე ქართული და სომხური დასის მსახიობებმა სვიმონიძის რეჟისორობით წარმოადგინეს ავქს. ცაგარლის მიერ თარგმნილი დენერის ხუთმოქმედებიანი პიესა „ორი ობოლი“ და ავქს. ცაგარლის სამმოქმედეიბანი კომედია „ხანუმა“. ნ. გ. ცაგარელს დღესასწაული მიულოცეს ქართული და სომხური დასის წარმომადგენლებმა. რომლის დროს იმღერა ქართველ მომღერალთა გუნდმა ბ. ჩარკვიანის და სომხურ მომღერალთა გუნდმა ბ. მურადელის ლოტბარობით. საღამოზე შემოსუ-

ლი ფული გადაეცა გაბუნია-ცაგარლის მოხუცებულობის უზრუნველსაყოფ ფონდს, გასაძლიერებლად.

მემატიანე ასე აღწერს იუბილეს საღამოს: „ისანში“ ზეიმია. ქართული თეატრის დიდ მსახიობს ნატო გაბუნიას იუბილეს უმართავენ. მთელი უბანი ფეხზე დადგა. ღირსეულს სათანადოდ უნდა შეხვდნენ. მუშები გროშებს არ იშურებენ და საყვარელ მსახიობს საჩუქრებს უმზადებენ, მართალია შეგროვილი კაპიკებით ვერცხლის გვირგვინებს ვერ მიართმევდნენ საამაყო „დეიდა ნატოს“, ვერც ბრილიანტებითა და მარგალიტებით დაასაჩუქრებენ, სცენაზე ვარდყვავილების მთაც არ დადგება, მაგრამ სამაგიეროდ ფიანდაზად დაეგებიან და სიყვარულს მიუძღვნიან. სიყვარული კი ყველაზე დიდი განძია და ის არც აიწონება და არც ფულით განიზომება.

ისნის მუშათა თეატრს ზღვა ხალხი მოაწყდა. ვინც ბილეთი ვერ იშოვნა, ქუჩას მაინც ვერ სცილდება იმედი აქვს, რომ ეტლიდან ჩამოსვლისას კარიბჭესთან მაინც იხილავს იუბილარს.

დარბაზში საზეიმო განწყობილებაა. აქ თავი მოუყრიათ ადელხანოვის ქარხნისა და „მირის“ ფაბრიკის მუშებს, ხელოსნებს, ქარგლებსა და უბნის ინტელიგენციას. სმოკინგიანებსა და ჩოხა-ახალუხში გამოწყობილ ხალხს ვერ შეხვდებით, ვერც ჩიხტი-კოპიან და სარტყელ-გულისპირით მორთულ მანდილოსნებს იხილავთ აქ. უბრალოდ ჩაცმულ ხალხს მოუყრია თავი. მოსულან იმიტომ, რომ მადლობა გადაუხადონ იმ ადამიანს, რომელიც უანგაროდ ემსახურება მშრომელ ხალხს. სურთ მიესალმონ დიდი თეატრის იმ მსახიობს, რომელიც არ ივიწყებს მუშათა უბნებსა და თავისი დიდი ოსტატობით ატკბობს და ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს მათ“[1].

დარბაზში სინათლე ჩაქრა, და მოქმედება დაიწყო. მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით მიეგებება ხალხი იუბილარის გამოჩენას სცენაზე. შეძახილებს დასასრული არ აქვს. აბა, ვის არ გაუხარდება იხილოს ნატო გაბუნია სცენაზე და ისიც ხანუმას როლში მიწყნარდა დარბაზი და სცენაზე დაიწყო გამოუთქმელი სიტყვით აუწერელი ამბავი. რა თავისუფლად დანავარდობს ნატო — ხანუმა. მისი ყოველი სიტყვა, ყოველი ჟესტი, კომიზმით არის აღსავსე და მთელი დარბაზის ხარხარს იწვევს. გამოცდილი და ნიჭიერი სცენისმოყვარენი გენიალურმა ნატომ დაჩრდილა. ვიღა უყურებს პიესის სხვა პერსონაჟებს — სონას, სარას, აკოფას და სხვებს“[2].

მსახიობმა სული შთაბერა ა. ცაგარლის მიერ სიყვარულით დაწერილ სა-

---

[1] ალ. ბურთიკაშვილი, შაქრო გომელაური, გამომც. „ხელოვნება“, 1959, გვ. 3.
[2] იქვე.

ზეს და იგი ოსტატობის სიმაღლემდე აიყვანა. ამ როლში ნატომ ბევრი რამ თვით შეიტანა. გაამდიდრა და მრავალფეროვანი გახადა. ის ხომ ბრწყინვალე იმპროვიზატორიც იყო. ნამდვილი ოსტატობით, შემოქმედებითი შთაგონებით ასრულებდა მსახიობი ვანო ფანტიაშვილის მოლოდინის სცენას.

„ასეთი გასაოცარი იყო ნატალია — გაბუნია—ცაგარლისა ფროშარის როლში („ორი ობოლი“): იგი რაღაც ჩაბნელებულ საკუჭნაოში, მტვერითა და ნაგვით სავსე იატაკზე მუხლმორთხმით იჯდა. თმაგაწეწილს, ტანთშემოფხრეწილს, წინ ჭუჭყიანი ხელსახოცი ჰქონდა გაშლილი და ზედ ქუჩაში შეგროვილი სანოვაგის ნარჩენები ეწყო, არყის ბოთლი მოკეცილ მუხლთან ედგა. ხელში ბურნუთის კოლოფი ეჭირა, ბურნუთს ნესტოებში იყრიდა და ცხვირს აცემინებდა. ახლაც თვალწინ მიდგას როგორ გადაჰკრა ნატომ მწარე სასმელი და თავი გაიქნია. მაგიდაზე ჩამომჯდარ შვილს — უსაქმურსა და დედის ჯიბის შემყურე ჟაკს როგორ შეხედა და მთვრალი სახით შესცინა, რის შემდეგ ხველება აუტყდა.

ფროშარის როლის შესრულების დროს ნატოს თვალებისა პარტერში მყოფ მაყურებელსაც კი ეშინოდა. ასე მგონია, ვისაც ის თვალები უნახავს და ახსოვს — სხვა ფროშარი აღარ მოეწონება.

მხოლოდ ახლა, ამ სტრიქონების დაწერის დროს, ორმოცდაჩვიდმეტი წლის შემდეგ ვრწმუნდები, რომ ჩემი მოთხრობა „სარდაფში“, რომელიც 1912 წელს „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა, უთუოდ „ორი ობოლის“ ზეგავლენით დავწერე. მადამ ფროშარს და ფრიდას თითქოს ერთნაირი ხასიათები აქვთ და თიქოს ერთმანეთს ჰგვანან“[1].

აი, როგორ ახასიათებს ნატო გაბუნიას ფროშარს („ორი ობოლი“) ნ. გოცირიძე: უნდა გენახათ ეს როკაპი დედაკაცი, რა მოქარგული ენით ეუბნება უსინათლო ლუიზას, როცა უკანასკნელი უარს აცხადებს სიმღერაზე. „ჭამე, ჭამე, არ გინდა ჩემო კეთილო! უნდა გენახათ ეს ბოროტი ალქაჯი დედაკაცი, როგორი მზრუნველობით, თავაზიანად ემუსაიფებოდა ლუიზას, რომ მაყურებელში ერთგვარ სიმპათიასაც კი იწვევდა, მაგრამ აი, ეკლესიიდან ხალხი გამოდის და ფროშარიც შეუდგა თავის თანამდებობას და მთლად გამოიცვალა.

— მოწყალება მიიღეთ, შეიბრალეთ უსინათლო — და მოულოდნელად სხვების დაუნახავად, ისე შეუბრალებლად უჩქმიტა თავის მსხვერპლ ლუიზას, რომ ტკივილს, ამ უპატრონო ქალთან ერთად, მაყურებელიც განიცდიდა.

ხომ გაგონდებათ რა ბუნებრივად სვამდა არაყს ეს გალოთებული ალქა-

---

[1] ვ. გ ა რ ი ყ უ ლ ი, თეატრალური მოგონებანი, გამომც. „ხელოვნება“, 1959, გვ. 17.
[2] ნ. გ ო ც ი რ ი ძ ე, მოგონებანი გამომც. „ხელოვნება“, 1949, გვ. 71-72.

ჯი. როგორ ჩაახველებდა ხოლმე, როგორ ხითხითებდა. ეხლაც კი ყურში მესმის ეს განუმეორებელი მისი ხითხითი.

ნატოს „ხანუმა“ ეს ხომ დიდი ოსტატის რაღაც აუწერელი სასწაულთმოქმედება იყო. ან ნატოს სიმღერა დუდუკზე „აღმართ აღმართ მივდიოდი“, თითქოს ბულბული ჭიკჭიკებსო“[2].

„საოცარი ენერგიის ადამიანი იყო ნატო, — გვიამბობს სახალხო არტისტი შალვა დადიანი — ახალგაზრდა მსახიობი ვიყავი ნატოს უებრო ნიჭის თაყვანისმცემელი. მახსოვს, ნატოს რამდენჯერმე მოუცია მთელი შეკვრა ბოხჩა ხელში და ფეხით გავდგომივარ გზას მუშათა უბნებში წარმოდგენის გასამართავად. ერთხელ, რკინიგზის სადგურის გადაღმა, დეპოს მუშებისათვის ხანუმა უნდა ეთამაშნა ნატოს. მომცა კარგი მოზრდილი ფუთა ხელში, ხანუმას მთელი გარდერობი, და გავუდექით გზას. გადავედით რკინიგზის ხიდზე, გავყევით ლიანდაგს გასწვრივ და მივადექით პატარა შენობას. სახელდახელოდ მოწყობილ სცენაზე სცენისმოყვარეებთან ითამაშა ნატომ და მთელი დარბაზის დიდი მოწონება დაიმსახურა“.

ნატო, ხალხის წიაღიდან წარმოშობილი, წარჩინებულ წრეში მოხვედრილი, არასოდეს ივიწყებდა იმ ხალხს, რომელიც წელებზე ფეხს იდგამდა, მწარე ოფლს ღვრიდა და მუქთახორებს არჩენდა. ნატო ყოველთვის ამ ხალხთან იყო და მისი ჭირი თავის ჭირად მიაჩნდა, ხალხის ლხენა მისი ლხენა იყო...

ავჭალის აუდიტორიის, ავლაბრის თეატრის, სახალხო სახლის, ვერისა და სხვა უბნების რეპერტუარში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა „ხანუმას“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „მელანიას ოინებს“, „შემოსავლიან ადგილს“. „ბედნიერ დღეს“, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ და სხვ. მერედა, ვინ ითამაშებდა სრულიად უსასყიდლოდ ხანუმას, კატინას, მელანიას, ელისაბედს, კუკუშკინას და სხვას, თუ არა მათი საყვარელი გასტროლიორი, დიდი თეატრის დიდი მსახიობი ნატო. რომელ პროვინციაში, რომელ სოფელში უნდა წარმოედგინათ „ხანუმა“, რომ ნატო სიამოვნებით არ გამგზავრებულიყო მონაწილეობის მისაღებად. განა დარჩენილა საქართველოში ისეთი კუთხე, ისეთი ქალაქი, დაბა და სოფელი, რომ ერთხელ მაინც არ ეხილათ ნატო თავის პატარა სცენაზე?“[1].

„ასეთი ერთგული მუშაკი ქალებს შორის სახალხო თეატრებს არ ჰყოლია. ნატო გაბუნია არა მარტო მუშათა უბნებში თამაშობდა, სოფელ-სოფელ დადიოდა და ღარიბ მოსახლეობას ატკბობდა თავისი უებრო ნიჭით.

სახალხო თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი გ. ჯაბაური თავის მოგონებაში წერს: რომელ სტუდენტს გაუჭირდებოდა სწავლის ფულის შეტანა, —

---

[1] ალ. ბურთიკაშვილი, ნატო გაბუნია, გამომც. „ხელოვნება“, 1949, გვ. 40-50.

ვინ დაეხმარებოდა წარმოდგენის გამართვაში? ჩვენი ნატო, გენიალური მსახიობი, უანგარო ხალხის შვილი.

„ძვირფასო ძმაო ნიკო, მოვიდა ჩვენი აღსასრულის დღე და მოგელით პარასკევს საღამოს პოეზდით, აქ ზემოხევდურეთში, სადაც ახლა მე ვარ სტუმრად ჩემ დისწულ სონასთან (ციციშვილისა), რომელსაც შენც იცნობ. აქ ვიქნებით. სტანციიდან სამი ვერსი არის. მეორე დღეს წავალთ ქარელში, სადაც წარმოდგენას მართავენ. ჩვენ მხოლოდ ერთხელ ვითამაშებთ, რადგან სოფელში სცენა ვერ მოახერხეს და თუ შენ დათანხმდები (მე კი თანახვა ვარ) კვირას, კალოზე გავმართოთ წარმოდგენა გლეხკაცებისათვის... შემოსავალი გლეხებისათვის არის, აბანო უნდა გაუმართოდ"[1].

გაზეთი „დროება" თავის მკითხველებს აუწყებდა: ქალაქ დუშეთში 1880 წლის 11 აგვისტოს „აღსრულდა ერთი კეთილი და სასარგებლო საქმე, რომელიც ღირსია ყურადღებისა და ცნობისა".

ეს „სასარგებლო საქმე" გახლავთ სპექტაკლის წარმოდგენა ნატო გაბუნიას მონაწილეობით. ამ საქმის მოთავე იყო დუშეთში მცხოვრები თამარ კვალიევი, რომელიც დაკავშირებია ნატო გაბუნიას, უთხოვია დუშეთში ამოსვლა და სპექტაკლში მონაწილეობის მიღება და ნატომაც „პატივი ჰცა ამათ (დუშელებს — ი. გ.) თხოვნას და მოვიდა დუშეთში".

წარმოდგენის მიზანი იყო დახმარებოდნენ ერთ ყმაწვილ კაცს „რომელსაც დაუსრულებია სწავლა თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში და არა ჰქონებია სტიპენდია უნივერსიტეტში წასასვლელად".

ნ. გაბუნიას მაღალი ოსტატობა დუშეთის საზოგადოებისათვის კარგად იყო ცნობილი და დიდის აღფრთოვანებით შეხვედრია მის ჩამოსვლას, ხოლო სპექტაკლს აუარებელი ხალხი დასწრებია. „დროების" კორესპონდენტი მკითხველებს ატყობინებს: „წარმოდგენა თანდასწრებით ამისთანა აქტრისისა, რასაკვირველია სასიამოვნო იყო ყველასათვის. ითამაშეს „ბიძიასთან გამოხმაურება". გარდა ამისა, ნატალია გაბუნიამ იმღერა რამდენიმე ქართული სიმღერა".

ნ. გაბუნია მარტო არ ამოსულა დუშეთში. „დროების" მოწმობით, იმავე წარმოდგენაზე მონაწილეობა მიუღია ოთხ გიმნაზიელს (პიანინოზე დაკვრა) და აგრეთვე იმათაც, „რომელთაც ქართულ თეატრში ალაგი აქვსთ"[2].

საიუბილეო საღამოზე ნატოსთან ერთად სპექტაკლებში გამოდიოდა არაქსიანის თეატრის ახალგაზრდა სცენისმოყვარე შაქრო გომელაური. აი, როგორ აგვიწერს მის თამაშს მემატიანე:

---

[1] ალ. ბურთიკაშვილი, ნატო გაბუნია, გამომც. „ხელოვნება", 1949, გვ. 50-51.

[2] ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება" 1972, № 8, გვ. 53.

საზეიმო განწყობილება რამპის იქითაც — სცენაზე ყველა ფუსფუსებდა. ყველა რაღაცას აკეთებდა. ამ საერთო ფუსფუსში მონაწილეობას არ იღებდა ერთი პირტიტველა, ლამაზი გარეგნობის ჭაბუკი „გრიმგაკეთებული და ფრაკში გამოწყობილი მღელვარებისაგან აქეთ-იქით აწყდება, ბოლთას სცემს, რომ აალელვა ასე ეს ყმაწვილი? დღეს ის ორ პიესაში იუბილარის პარტნიორია და ისიც მთავარ როლებში, მოდი ნუ აღელდები. ამას ისიც დაემატა, რომ სცენაზე ამბავი ამოიტანეს, პირველ რიგში მოწვეულ სტუმრებს შორის ქართული თეატრის გამოჩენილი მსახიობები ვალ. გუნია და კოტე მესხი. პარტერში პირველ რიგში რომ სხედან, მუშტრის თვალით ათვალიერებდნენ სცენაზე მოთამაშეებს. ქართული თეატრის ძალთა შემკრები ვალერიან გუნია მეტად დააინტერესა, კოტე ფანტიაშვილის როლის შემსრულებელმა, მშვენიერი გარეგნობის ჭაბუკმა. თითქოს გამოცდილი პროფესიონალი მსახიობიაო, ისე თავისუფლად გრძნობს თავს სცენაზე. ეს ყმაწვილი გუნიას ყურადღებას იქცევს. ხმა, ჟესტიკულიაცია, ტემპერამენტი, მკაფიო მეტყველება უცნობი სცენისმოყვარისა, ხიბლავს ვალერიანს. იკითხა ყმაწვილის ვინაობა. მოახსენეს გვარად გომელაურიაო... ანტრაქტებში გუნია სცენაზე არ ასულა. უცდის მეორე პიესას „ორ ობოლს“. ამ მელოდრამაში იგივე ჭაბუკი პიერის დრამატულ როლში მოგვევლინა. სიმართლით წარმოსახულმა ამ როლმაც მთლად მოხიბლა ვალ. გუნია. არა, ეს ჭაბუკი ისნელებს უნდა წავართვა და ჩვენს თეატრში გადმოვიყვანო, ფიქრობს ვალერიანი და ანტრაქტში ვიდრე საიუბილეო ზეიმი დაიწყებოდეს, ადის სცენაზე. გაიცნო ჩვენი ჭაბუკი, მოუწონა თამაში და მისცა წინადადება დაუყოვნებლივ დაეწყო მუშაობა ქართულ პროფესიულ დრამატულ თეატრში...“[1].

პირველი ქართული წარმოდგენები — გვიამბობს შ. გომელაური — რომელიც მურამშკოს თეატრის სცენაზე პირველად ვნახე იყო „არსენა“, „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, „ციმბირელი“, „კინტო“, „პატარა კახი“. იმ დროს თორმეტი წლისა ვიყავი. ორი წლის შემდეგ მურამშკოს თეატრთან არსებული ქართული წრე არაქსიანის თეატრში გადავიდა. დიდი თხოვნისა და მუდარის შემდეგ, როგორც იყო, მამაჩემმა წამიყვანა არაქსიანის თეატრში, წარმოადგინეს „მზის დაბნელება საქართველოში“. ლევან ბაღაშვილი ასრულებდა ოფიცერ ჩეშმაკოვის როლს. ტანთ ეცვა ქართული ჩოხა-ახალუხი პაგონებითა და აქსელბანტებით მორთული. მეტად ლამაზი იყო, ძლიერ მომეწონა, დღესაც თვალწინ მიდგას მისი მშვენიერი, მოხდენილი გარეგნობა და მაგონდება მისი

---

[1] ა ლ. ბ უ რ თ ი კ ა შ ვ ი ლ ი, შაქრო გომელაური, გამომც. „ხელოვნება“, 1959, გვ. 3-5.

[2] შ. გ ო მ ე ლ ა უ რ ი, მოგონებანი გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1962, გვ. 17-18.

საუცხოო ხმა. აი სწორედ ამ წარმოდგენამ სამუდამოდ გადაწყვიტა ჩემი მომავალი ბედი“[2].

ამის შემდეგ აღარაფერს აღარ ერიდებოდა, ყოველ საღამოს შეიპარებოდა ხოლმე არაქსიანის თეატრში და სულგანაბული ადევნებდა თვალყურს რეპეტიციებს. ერთ საღამოს ასეთი შემთხვევა მოხდა: სუფლიორი ალ. ბაჯიაშვილი რაღაც მიზეზის გამო რეპეტიციაზე ვერ გამოცხადდა, რადგან ყველა წევრი პიესაში თამაშობდნენ, მოკარნახე არავინ ჰყავდათ, შაქრომ ამ შემთხვევით ისარგებლა, დიდი მორიდებით მივიდა ლ. ბაღაშვილთან და სთხოვა: კარგად ვკითხულობ, თუ გნებავთ გამომცადეთ და მასუფლიორეთო. მართლაც გამოსცადეს და მოიწონეს. უთხრეს: იარე ხოლმე რეპეტიციებზე და თუ გინდა ჩვენს წრეში სუფლიორის თანაშემწედ იმუშავეო.

გადიოდა დრო და, აი, მოულოდნელად ასრულდა მისი ნატვრა და დიდი ხნის ოცნება. ერთ კვირა საღამოს, სამმოქმედებიან პიესასთან ერთად იდგმებოდა გ. ხეჩუაშვილის ერთმოქმედებიანი ვოდევილი „დუქანში“. ამ პიესაში მიკიტნის მთავარ როლს გ. გელიკურაშვილი ასრულებდა. მიკიტნის შეგირდის (დუქნის ბიჭი) როლი შ. გომელაურს მისცეს. შაქროს სიხარულს საზღვარი არ ჰქონია. მოუთმენლად ელოდა პრემიერის დღეს. დადგა ნანატრი დღეც. კარგად მიიღო მაყურებელმა შ. გომელაურის მიერ განსახიერებული დუქნის ბიჭის როლი. ამის შემდეგ შაქრო მონაწილეობს ივ. გომართელის პიესაში „ძველი და ახალი თაობა“. იგი ამჯერად ასრულებს უფრო საპასუხისმგებლო, მოწინავე ტიტიკოს როლს. წარმოდგენის შემდეგ იმართებოდა დივერტისმენტი, სადაც ლ. ბაღაშვილთან, მ. ჯავახიშვილთან. გ. თუშმალიშვილთან, ნ. მირველოვთან ერთად შ. გომელაურიც კითხულობდა რევოლუციურ ლექსებს...

მიუხედავად ქართულ თეატრში მუშაობისა, შ. გომელაური სცენისმოყვარეთა წარმოდგენებშიც სისტემატურად იღებდა მონაწილეობას. ქართული დრამატული დასის დირექცია არა თუ უკრძალავდა თავის მსახიობებს მონაწილეობა არ მიეღოთ სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში, არამედ პირიქით, ყოველ მხრივ ეხმარებოდა ამ წრეებს. როგორც დრამატული პროფესიული დასი, ისე სცენისმოყვარენი ერთ მიზანს ემსახურებოდნენ — მშრომელთა განათლებას, განვითარებას და ამიტომ ასე შეხმატკბილებულად მუშაობდნენ.

ერთხელ, თეატრიდან დაბრუნებისას შაქროს თავისი სახლი პოლიციელებით გარშემორტყმული დახვედრია. ჩხრეკის შემდეგ იგი დაუპატიმრებიათ და მეტეხის ციხეში გაუგზავნიათ. მეტეხის ციხე პოლიტიკური პატიმრებით ყოფილა სავსე. საპატიმროში შაქრო გაცნობია პოლიტიკურ მოღვაწეებსა და მწერლებს: ჰ. ლომთათიძეს, გ. ქიქოძეს, გ. ლასხიშვილს. პატიმრებს ჭაბუკი გაუმხნევებიათ და მამობრივი ზრუნვა გამოუჩენიათ, ციხის საკანში ხშირად იმარ-

თებოდა ლექციები, დისკუსიები, ლიტერატურული გასამართლებანი. საკანში მოუწყვიათ ალ. სუმბათაშვილის „ღალატის“ პერსონაჟის ერეკლის გასამართლება, ერეკლეს როლში შ. გომელაური გამოუყვანიათ. შაქრო პატიმრობის პერიოდში, გატაცებით კითხულობდა როგორც პოლიტიკურ, ისე მხატვრულ ლიტერატურას. ივ. გომართელს ციხიდან ვალ. გუნიასათვის წერილით შეუტყობინებია ჭაბუკის დაპატიმრება. ვალ. გუნიას მაშინვე გამოუგზავნია პასუხი, სადაც ამხნევებდა შაქროს და წერდა, რომ მთელი დასი ელოდა მის განთავისუფლებას.

შაქროს, ციხეში ყოფნის პერიოდში მამა გარდაცვლია. ციხის ზედამხედველს ადამიანობა გამოუჩენია და ჭაბუკისათვის საშუალება მიუცია კუბოსა და გაციებულ მამას შუბლზე მთხვეოდა. ქუჩაში შეკრებილი ხალხი ამ ამბის გამო ტიროდა, გლოვას საკნებიდან ტუსაღებიც იზიარებდნენ.

სამი წლის შემდეგ ჭაბუკი გაუნთავისუფლებიათ. თეატრს სიხარულით მიუღია თავისი შვილი და მაშინვე ჩაუბამს თეატრალურ მუშაობაში. პირველად იგი დიდ თეატრში ი. გედევანიშვილის „სინათლეში“ კარის კაცის როლით ეზიარა სასცენო ხელოვნებას.

ამ პერიოდში ქართულ თეატრთან ჩამოყალიბებული იყო თეატრალური სტუდია, რომელსაც ხელმძღვანელობდა სახელგანთქმული მსახიობი ლ. მესხიშვილი. სტუდიის კურსდამთავრებულები ამზადებდნენ პიესა „პარიზის ღარიბ ლატაკნი“. მესხიშვილის წინადადებით შაქროსთვის დაუკისრებიათ ბერნიეს როლი. ეს როლი მეტად რთული იყო შესასრულებლად. სიძნელეს ისიც წარმოადგენდა, რომ სტუდენტები პიესას სამ თვეს ამზადებდნენ, შაქროს კი ორი-სამი რეპეტიციით მოუხდებოდა გამოსვლა. მსახიობს ამ როლით არა მარტო მაყურებელზე მოუხდენია გარკვეული შთაბეჭდილება, არამედ მესხიშვილის ყურადღებაც კი მიუპყრია.

მესხიშვილს საგასტროლო რეპერტუარში ჰქონია ანტონ ჩეხოვის „შავი ბერის“ ინსცენირება და პიესა „ინსტინქტი“. ორივე პიესაში ლადოს მიერ შექმნილი სახეები თანამედროვეთა გადმოცემით თავისი მხატვრული სრულყოფით შედევრების რიცხვს მიეკუთვნებოდა. ქუთაისი დიდი აღტაცებით მიგებებია ლ. მესხიშვილს, ვ. გუნიას და ნ. ჩხეიძეს. სპექტაკლს იმდენი მაყურებელი დასწრებია, რომ პატარა დარბაზი ვეღარ იტევდა. ამიტომ დასი იმეორებდა ამ პიესას. პარასკევია. ჩვეულებრივ ოვაციებს დასასრული არ ჰქონია. სპექტაკლის დამთავრებისთანავე კულისებში ასულა ცნობილი იუმორისტი, შალვა შარაშიძე (თაგუნა). შარაშიძეს მესხიშვილისათვის უთხოვნია საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ კვირა დილით ალ. სუმბათაშვილის „ღალატი“ დაედგათ. რადგან როლები ყველას ნათამაშევი ჰქონდა, დასისათვის

ძნელი არ იქნებოდა ერთი რეპეტიციით ეჩვენებინა სპექტაკლი. ამ დროს დასში არ აღმოჩენილა ყარა-იუსუფის შემსრულებელი მსახიობი და ეს როლი შ. გომელაურისათვის დაუკისრებიათ. შაქროს ამ პიესაში არასოდეს მიუღია მონაწილეობა და ეძნელებოდა ერთი რეპეტიციით დაეძლია ეს სახე, მაგრამ ლადოს როგორ ეტყოდა უარს. თავისი მეხსიერების წყალობით მთელი როლი ერთ ღამეში ზეპირად შეუსწავლია. შაბათ დილით, რეპეტიციაზე შაქროს ტექსტის კარგად დასწავლისათვის მადლობაც კი უთხრეს, როლის გააზრებაც მოუწონეს. კვირა დილით „ღალატს" ზღვა ხალხი მოაწყდა. დაიწყო სპექტაკლი და სასწაულმოქმედება. ლადო მესხიშვილის სოლეიმან ხანი, ნუცა ჩხეიძის ზეინაბი და ვ. გუნიას ოთარბეგი მთელი სიმფონია ყოფილა.

აი გადის სცენიდან ოთარ-ბეგი. ცოტა ხნის შემდეგ ზეინაბიც ეთხოვება მბრძანებელს. თბილისის გამგებელი ყარც-იუსუფი სოლეიმან ხანის წინაშე მოკაკული დგას და ამბობს: „თვალო ოტრადისა, მაგისთანა საქმისათვის თქვენს ადგილას გავგზავნიდი საყვარელ ცოლს, მაგრამ მის დასახმარებლად ერთ-ერთ იმათაგანსაც გავაყოლებდი, რომელიც ცდილობს საყვარელი შეიქმნას".

ეს ადგილი შაქროს ისე მკაფიოდ და კარგად წარმოუთქვამს, რომ სოლეიმან-ხანი (მესხიშვილი) მეტად კმაყოფილი დარჩენილა.

როცა შ. გომელაური რუსული გაზეთის ცნობილ ჟურნალისტს, თავისი სისასტიკით და ულმობლობით განთქმულ ქართული თეატრის კრიტიკოსს დ. ყიფიანს ვოდევილ „თაიგულში" ტ. აბაშიძესა და ე. ჩერქეზიშვილთან ერთად უნახავს, მსახიობის სცენური გარეგნობით, მომხიბვლელობით, პერსონაჟის დამაჯერებელი წარმოსახვით განცვიფრებულა.

გომელაურს განსაკუთრებით ფრაკისა და ვიზიტის ტარება, ისე უხდებოდა თურმე გეგონებოდათ, რომ ამ ტანსაცმელშია დაბადებულიო. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ შ. გომელაურს იშვიათი მეტყველება ჰქონდა. მისი ყოველი ბგერა მკაფიოდ ისმოდა. შ. გომელაურის მიერ წარმოსახულ სახეებში თურმე ნიჭთან ერთად იგრძნობოდა მსახიობის გონიერება. ამას ზედ ერთვოდა იშვიათი შრომისმოყვარეობა. არ დარჩენილა საქართველოს მნიშვნელოვანი ქალაქი, რომ შ. გომელაურს მთელი სეზონობით არ ემოღვაწეოს.

შ. გომელაურს შესრულებული აქვს მთელი რიგი როლები. პროპორშჩიკ მსუბუქაშვილი ვალ. გუნიას „ალუმში". აი რას წერს ალ. ბურთიკაშვილი ამ როლის შესახებ: „ამ როლს ასრულებდა აგრეთვე მეტად საუცხოო მსახიობი, განსვენებული შათირიშვილი, რომლის ნახვის შემდეგ ვერ წარმოგედგინათ, თუ სხვაგვარად შეიძლებოდა ამ როლის განსახიერება. მაგრამ ძვირფასმა შაქრომ მონახა ამ როლში კიდევ რაღაც თავისებური შტრიხები, რომელმაც განასხვავა მისი შესრულება შათირიშვილის შესრულებისაგან და

ჩვენს ხსოვნაში დატოვა ფერგამოუხუნებელი პორტრეტი ამ ფუქსავატი ოფიცრის.

ასეთი როლების შესრულება ისეთი ბეწვის ხიდს წარმოადგენს, რომელზედაც გავლა ყველას არ შეუძლია. შაქრო კი ამ ბეწვის ხიდზე თავისუფლად დანავარდობდა და ამიტომაც იწვევდა მთელი დარბაზის აღტაცებას. სიმფონიაში ერთი ყალბი მელოდია რომ შეიჭრას, ხომ დაირღვევა ამ სიმფონიის მთლიანობა. შაქრო გომელაური კი „აღლუმში“ ვასო აბაშიძის, ტასო აბაშიძის, ვალერიან გუნიას ღირსეული პარტნიორი იყო... ყოველ პიესას — კომედიურია ის, ტრაგედიული თუ ფარსი, სერიოზულად უნდა თამაში. გავიხსენოთ, მაგალითად, გიორგი ერისთავის — „ძუნწში“ დაბალოვი, რომელსაც დიდი ოსტატი ვასო აბაშიძე თამაშობდა — სერიოზულად და განცდით. მაშ რატომ იწვევდა დარბაზში დაუსრულებელ ხარხარს ვასოს დაბალოვი? იმიტომ, რომ დაბალოვის ტრაგედია მაყურებლისათვის სასაცილო იყო. ვასო განცდით და სერიოზულად თამაშობდა, ხალხი კი ხარხარებდა. ვასოს როგორც მსახიობის სიდიადე იმაში იყო, რომ ის მოქმედი პირის ორეული ხდებოდა, სრულ გარდასახვას ახდენდა. ერთ-ერთმა კრიტიკოსმა ლადო მესხიშვილს უსაყვედურა, „კრეჩინსკის ქორწინებაში“ რასპლიუევს ტრაგედიულ პერსონაჟად გვიხატავსო. ლადო ამას შეგნებულად აკეთებდა, ხოლო რასპლიუევის ტრაგედია ხალხისათვის სასაცილო იყო. სწორედ ამიტომ დაეუფლა მწვერვალებს ამ როლშიც ლადო მესხიშვილი. რასაკვირველია, ჩვენ სრულიადაც არა გვაქვს განზრახვა შაქრო გომელაური ამ ბუმბერაზთ გვერდში ამოუყენოთ. მაგრამ თუ ეს ფაქტები მოვიყვანეთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ გაგვეხსენებინა, როგორ უნდა განასახიეროს მსახიობმა დაკისრებული როლი. ტრაგედიაც, კომედიაც და ვოდევილიც სერიოზულად უნდა ითამაშოს.

განა ასევე სერიოზულად არ წარმოგვისახავდა შაქრო გომელაური „დედისერთაში“ იოთამს და მთელი დარბაზის ხარხარს იწვევდა“[1]. შაქროს საყვარელი როლი ყოფილა ვალ. გუნიას „სიძე-სიმამრში“ ცანცარა.

კლასიკური პიესიდან შ. გომელაურს პირველად ი. შექსპირის „ოტელოში“ კასიოს როლი უთამაშია. „ოტელო“ ავლაბრის არაქსიანისეულ თეატრში დაუდგამს, არაქსიანის თეატრის ნიჭიერ სცენისმოყვარეს ა. ლიმონიძეს. მას ოტელოს როლში მატარაძე მოუწვევია, ხოლო კასიოს როლის შესრულება შ. გომელაურისათვის დაუკისრებია.

დიდი წარმატებით შეუსრულებია შ. გომელაურს ტარტიუფი მოლიერის „ტარტიუფში“, კახი აკ. წერეთლის „პატარა კახში“.

---

[1] ალ. ბურთიკაშვილი, შაქრო გომელაური, გამომც. „ხელოვნება“, 1959, გვ. 23—24.

ყალბი პათოსი და თეატრალობა არ ახასიათებდა შ. გომელაურის სასცენო მოღვაწეობას. ამიტომაც ასე დამაჯერებელი და მიმზიდველი ყოფილა მის მიერ შესრულებული ყველა სახე, უარყოფითი იქნებოდა ის თუ დადებითი.

ასევე დიდი ფერადოვნებით და სცენური მომხიბვლელობით წარმოსახავდა ახალგაზრდა ოფიცრის როლს არციბაშევის „ომში“. ეს პიესა იდგმებოდა პირველი მსოფლიო ომის დროს. ეს როლი უფრო სხვა ხასიათისაა ვიდრე მსუბუქაშვილი. ფილიმონ მსუბუქაშვილი გონებით მსუბუქი და ფუქსავატია. დიდი წარმოდგენა აქვს თავისთავზე, ჰგონია ულამაზესი მამაკაცია და მის ტრფიალს ვერც ერთი ლამაზი ქალი ვერ აღუდგება. რა სიმსუბუქითა და კომიზმით ყოფილა აღსავსე შ. გომელარურის სიარული. ჟესტები, სარკესთან პრანჭვა-გრეხა, სიმღერა, „მე ვარ და ჩემი ნაბადი“ და სხვ. არციბაშევის ოფიცერი კი სრულიად ნორმალური კაცია, პოეტური ბუნებისა, მუსიკოსია, ვიოლინოს შესანიშნავად ფლობს. მსოფლიო ომი დაიწყო და ის უნდა წავიდეს ბრძოლის ველზე. მას არავინ და არაფერი გააჩნია ამ ქვეყნად ვიოლინოს გარდა. და აი, როცა გომელაური ეთხოვება თავის საყვარელ ვიოლინოს. ამ სცენის დროს არ შეიძლებოდა თურმე ცრემლი არ მოგგვროდა თვალზე, ისეთი დიდი სინაზითა და ღრმა განცდებით გადმოსცემდა გამოთხოვების მომენტს.

შ. გომელაური განსაკუთრებულად შთამბეჭდავი ყოფილა გ. ერისთავის „გაყრაში“ ივანე დიდებულიძის როლში. გომელაურის პლასტიკას, ჟესტს, როლის გააზრებულ თამაშს კოტე მარჯანიშვილიც კი მოუხიბლავს. მარჯანიშვილის მთელი ყურადღება ამ ფრანტზე შეჩერებულა. შესვენებაზე კოტე კულისებში არ შესულა. ხოლო როცა სპექტაკლი დამთავრებულა, ალ იმედაშვილთან ერთად შესულა კულისებში, წარმატება მიულოცია რეჟისორისთვის, დასის წევრებისათვის და ბოლოს გომელაურისათვის უთქვამს: — რატომ არ გიცნობდით თქვენ. სად იყავით აქამდე? თუ კვლავ დავიწყე მუშაობა, თქვენ ჩემთან უნდა იმუშავოთო.

ა. ლუნაჩარსკის პიესაში „ამფეთქებელნი“ იმავე ხასიათის როლი შეუსრულებია და მაყურებლის ოვაციაც დაუმსახურებია. იგი ამ პიესაში ასახიერებდა მეტად საინტერესო სახეს მინისტრისას. ამავე სეზონში ახალგაზრდა რეჟისორს გიორგი ჯავაშვილს დაუდგამს შაპოველნიკოვის პიესა „ბრბო“, სადაც რევოლუციური ტრიბუნალის პროკურორის როლი რეჟისორ გ. ჯავაშვილს შ. გომელაურისათვის დაუკისრებია.

გ. ჯავაშვილისათვის, რომელიც ამ პიესას დგამდა ალ. ბურთიკაშვილს მასთან საუბარში უთქვამს, პროკურორის როლისათვის შ. გომელაურის არტისტული მონაცემები არ გამოდგება. მაგრამ ალ. ბურთიკაშვილი პირველსავე

რეპეტიციაზე დარწმუნებულა რეჟისორ გ. ჯავაშვილის სწორ არჩევანში და თავისი შეცდომა იქვე საჯაროდ უღიარებია.

უკანასკნელად, სეზონის დახურვისას დ. ანთაძეს ზ. ანტონოვის პიესა „ქმარი ხუთი ცოლისა" დაუდგამს. თაგუნას (შ. შარაშიძის) ახალი რედაქციით. შ. გომელაურს ამ პიესაშიაც უსახელებია თავი.

კოტე მარჯანიშვილს თავის სიტყვა შეუსრულებია ჩამოყალიბებულა თუ არა მისი ხელმძღვანელობით ქუთაისში მეორე სახელმწიფო თეატრი, შ. გომელაურიც მიუწვევია.

თეატრალურ დასს პირველი სეზონის განმავლობაშივე დაუდგამს მთელი რიგი პიესებისა: ერნსტ ტოლერის „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ", ბერნარდ შოუს „წმინდა ქალწული", ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო", ვ. კირშონის „ლიანდაგი გუგუნებს", შ. დადიანის „კაკალ გულში", კ. კალაძის „როგორ"?. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი", კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა". ყველა სპექტაკლს ეტყობოდა დიდი რეჟისორის ხელი. ერთ სეზონში რვა პიესა დადგმულა და შ. გომელაურს რვაშივე პასუხსაგები როლები ჰქონია დაკისრებული. როგორც მუშათა თეატრში, ისე ქუთაისის თეატრშიც შ. გომელაური, ყველაზე მეტად ყოფილა დატვირთული. ერნსტ ტოლერის პიესაში, „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ" შ. გომელაურს შეუსრულებია რენეგატ კალმანის როლი. ეს როლი მოითხოვდა დიდ განწყობილებას, ლირიზმს, დიდ დრამატიზმს. შ. გომელაური კი ასეთი მონაცემებით უხვად ყოფილა დაჯილდოებული, ამიტომაც ასე კარგად დაუძლევია მსახიობს ყველა დაბრკოლება და შერწყმია ანსამბლს. მეორე მოქმედებაში, რენეგატი მინისტრი ხდება. აქ თურმე უნდა გენახათ, როგორ იცვლიდა ის ფერს, რა თავისუფლად მოქმედებდა, რა ბუნებრივი ყოფილა, დიდი სიმართლით წარმოსახავდა ამ პერსონაჟს. სპექტაკლის დასასრულს სხვებთან ერთად შ. გომელაურიც დაუჯილდოვებიათ ტაშით.

ბერნარდ შოუს „წმინდა ქალწულში" შ. გომელაური ჟიულ დერეს როლს ასრულებდა. თავისი პლასტიკითა და ჟესტებით მაყურებლის დიდი მოწონება დაუმსახურებია.

დიდი მოწონება ჰქონია მსახიობს შ. დადიანის „კაკალ გულში" რინკველის როლში. შ. გომელაურისა და ს. ჟორჟოლიანის თამაშს მთელი დარბაზის დაუსრულებელი ხარხარი გამოუწვევია. მეორე სეზონში დ. შენგელაიას „თეთრებში" პოლკოვნიკ შერბაცკის როლი შეუსრულებია, კ. კალაძის „ხატიჯეში" სელიმი, ალ. ქუთათელაძის „შუაღამემ გადაიარაში" ნიკო, შელის „ბეატრიჩეში" ორსინო. ამ სეზონშიც დიდი წარმატება ჰქონია შ. გომელაურს და დაუვიწყარი სახეებიც შეუქმნია.

1930 წლის აპრილში თეატრი საგასტროლოდ გამგზავრებულა ხარკოვსა

და მოსკოვში. გასტროლებს დიდი წარმატება ჰქონია. სხვა მსახიობებთან ერთად შ. გომელაურიც ყოფილა ყურადღების ცენტრში. ამ გასტროლების შესახებ ვლ. გორსკი გაზეთ „პროლეტარიატის“ 1930 წლის 15 აპრილის ნომერში წერდა: „თეატრის მაღალი კულტურის მაჩვენებელია მისი მსახიობთა შემადგენლობაც. სტუმრებს ჩვენთან მკაცრი გამოცდის ჩაბარება მოუხდათ. თამაში იმ მაყურებლის წინაშე, რომელსაც ენა არ ესმის, აქტიორისათვის უალრესი დატვირთვაა. მაყურებელი სიტყვას ვერ მისდევს, ერთ წუთსაც არ აშორებს თვალს მსახიობის თამაშს და მოითხოვს, რომ მან შექმნას ტიპი „მუნჯური“ ხერხებით, ჟესტით, მიმიკით, ინტონაციით. მოსკოვში იაპონური თეატრის „კაბუკის“ ასეთი მანერის თამაშით მაყურებელი აღტაცებაში მოვიდა, და ჩვენი მოკრძალებული სტუმრები, ქუთაისიდან მოვლინებულნი, დაეუფლნენ ამ დიდ ოსტატობას. მათი თამაში განსაცვიფრებლად სადაა, ცხოველი და მოკლებული ყოველგვარ „ორჩოფეხიანობას“, ხაზგასმულობას, ასეთი მაღალი თვისებებით ყველა მსახიობია დაჯილდოებული. პიესაში „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ და ქართველი დრამატურგის კ. კალაძის პიესაში „როგორ“ მთავარი როლების შემსრულებლებს ნიჭიერ შ. გომელაურს, უ. ჩხეიძეს, შ. ღაბაშიძეს, ს. ჭიჭინაძეს, ვ. გვინჩიძეს, კ. კვანტალიანს თუ აღვნიშნავთ, ეს მთელი დასის მშვენიერ მსახიობთა მცირე ჯგუფი იქნება“[1].

როცა ქუთაისიდან მარჯანიშვილის თეატრი თბილისში გადმოსულა პირველ სპექტაკლად უ. შექსპირის „ოტელო“ დაუდგამთ, სადაც შ. გომელაურა იაგოს როლი შეუსრულებია.

შ. გომელაურის ვურმი შილერის „ვერაგობასა და სიყვარულში“ მეტად შთამბეჭდავი ყოფილა. მსახიობს ბევრი დამახასიათებელი შტრიხი გამოუნახავს ამ პერსონაჟის სრულყოფისათვის და დაუვიწყარი სახეც შეუქმნია.

შ. გომელაურს წილად ხვდომია ბედნიერება ერთ-ერთს პირველს განესახიერებინა ჩვენს სცენაზე დიდი ლენინის სახე შ. დადიანის პიესაში „ნაპერწკლიდან“. ლენინს ამ პიესაში მცირე სიტყვიერი მასალა აქვს, პორტრეტულ მსგავსებასთან ერთად დიდი შესაძლებლობით დაუხატავს ლენინის სულიერი თავისებურებანი და დიდი ბუნება. მსახიობს ძალიან ყვარებია ამ სახეზე მუშაობა და ყოველ წარმოდგენაზე ახალ-ახალი შტრიხები შეუტანია.

1939 წელს მარჯანიშვილის სახელობის თეატრი მეორედ გამგზავრებულა ქ. მოსკოვში. შ. გომელაური ამ გასტროლების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ყოფილა. გაზეთი „კომუნისტი“ 1939 წლის 24 აგვისტოს ნომერში წერდა: „გუშინ, თავისი გასტროლების მეშვიდე დღეს, მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა უჩვენა პრემიერა — ვ. გაბისკირიას პიესა „მათი ამბავი“. პროფ. მინდე-

[1] ალ. ბურთიკაშვილი, შაქრო გომელაური, გამომც. „ხელოვნება“, 1959, გვ. 34.

ლის როლს ასრულებდა საქ. სსრ დამსახურებული არტისტი შ. გომელაური, დარეჯანისას — საქ. სსრ დამსახურებული არტისტი თ. ჭავჭავაძე, გაიოზის როლს — პ. კობახიძე, ელიზბარისას —ა. გომელაური, ყარამანის როლს — საქ. სსრ დამსახურებული არტისტი ალ. ყორყოლიანი. დარბაზი გაჭედილი იყო მაყურებლით, სპექტაკლს წარმატებით ჩაუვლია. განსაკუთრებული წარმატება ჰქონიათ ა. ყორყოლიანს და შ. გომელაურს, რომლებსაც თავიანთი როლები დიდი ოსტატობით ჩაუტარებიათ.

მაყურებელმა ისინი არაერთხელ დააჯილდოვა მქუხარე ტაშით. გუშინდელ მაყურებელთა აზრით, მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა „მათ ამბავში" თავი ისახელა მსახიობობის ოსტატობით. შ. გომელაურმა და ს. ყორყოლიანმა მაყურებლის დიდი სიმპათია მოიპოვეს.

იგივე გაზეთი 1939 წლის 5 სექტემბერს წერდა: „2 სექტემბერს კამერულ თეატრში შედგა მარჯანიშვილის სახელობის თეატრის აქტიორების შეხვედრა მოსკოვის თეატრალურ კრიტიკოსებთან. თეატრის მუშაობის შეფასებით გამოვიდნენ კრიტიკოსები ალტმანი და გოლუბევი. ისინი მაღალ შეფასებას აძლევდნენ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის აქტიორული კოლექტივის შემოქმედებით დონეს, აღნიშნავდნენ შ. გომელაურის, ვ. გოძიაშვილის, კ. კვანტალიანის, ვ. ანჯაფარიძის, პ. კობახიძის და სხვათა მშვენიერ თამაშს.

3 სექტემბრის სპექტაკლით, „ნაპერწკლიდან", დამთავრებულა მოსკოვში მარჯანიშვილის სახელობის თეატრის გასტროლები. უკანასკნელ სპექტაკლზე თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო მაყურებლებით, რომლებიც გულთბილად მიესალმებიან მსახიობებს, განსაკუთრებით უკანასკნელ აქტში. პიესის დამთავრების შემდეგ დარბაზი არ ცხრებოდა თურმე, რამდენჯერმე გამოუწვევიათ შ. გომელაური და ვ. გოძიაშვილი, რომლებიც განასახიერებდნენ სცენაზე ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს.

...ხალხი და მთავრობა ყოველ ჭეშმარიტ ხელოვანს, ყოველ მშრომელს სათანადოდ აფასებს. მარჯანიშვილის თეატრის არსებობის 10 წლის თავზე შ. გომელაურს დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა, ქართული თეატრის აღდგენის 100 წლის თავზე სახალხო არტისტის წოდება.

აქვე მინდა მოვიტანო შ. გომელაურის საიუბილეო საღამოზე უშანგის მიერ გამოგზავნილი წერილი: „ძვირფასო შაქრო! გილოცავ ორმოცი წლის სასცენო მოღვაწეობას. ორმოცი წელი — ეს უდიდესი გზაა აქტიორის მუშაობაში. ორმოცი წლის მანძილზე რამდენჯერ უნდა დაიბადოს, იცხოვროს, დაიფერფლოს და, როგორც ფენიქსი, აღორძინდეს ახალ სახეში, მაგრამ შენ, მიუხედავად შენი ხანგრძლივი მუშაობისა, სავსებით შეინარჩუნე შენი ძალღონე რათა კიდევ დიდხანს ემსახურო შენს საყვარელ საქმეს. ჩემთვის ყოველთვის

მშვენიერ მოგონებად დარჩება შენთან ერთად გატარებული მუშაობის წლები, ჯერ კიდევ ჩვენი თეატრის გაზაფხულზე. შენ პირველი იყავი ძველი თაობის მსახიობებიდან, რომელიც მოხვედი ჩემთან დიდი საქმის, ახალი თეატრის შესაქმნელად, სადაც შემდეგში მშვენივრად გაშალე შენი აქტიორული ნიჭი. შენ, მაგ თეატრის ერთ-ერთი პიონერთაგანს, დღეს შეგიძლია იამაყო, რადგან თექვსმეტი წლის წინათ დაწყებული საქმე დღეს უკვე დიდ თეატრად გადაიქცა.

გისურვებ დიდხანს ნაყოფიერ მუშაობას. ვწუხვარ, რომ ვერ შეგისრულე მცირე თხოვნა, მაგრამ იმედი მაქვს პატიებისა“[1].

უშანგი ჩხეიძე.

თბილისი. 27.XI.44.

□□

თეატრს დიდ დახმარებას უწევდნენ მწერლები: ავქს. ცაგარელი, ტ. რამიშვილი, ა. ფურცელაძე, თ. სახოკია, ს. მგალობლიშვილი, შ. დადიანი, ნ. ნაკაშიძე.

მომდევნო, 1910 წლის სეზონში დაიდგა დ. ერისთავის „სამშობლო“, ვალ. გუნიას „და-ძმა“, ვოდევილი „დედისერთა“, ივ. გომართელის კომედია „ექიმთან“, ი. გაბრუაშვილის „ბრძოლა არსებობისათვის“, ავქს. ცაგარლის „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ და „ხანუმა“.

„ხანუმას“ დადგმაში იგრძნობოდა ანსამბლურობა. სპექტაკლის წარმატებას ხელს უწყობდა ს. გოგაშვილის, ჩინებული თამაში ხანუმას როლში. ამ ნიჭიერმა სცენისმოყვარემ ღრმა ემოციურობით, დიდი განცდით გადმოსცა თბილისელი სომეხი მაჭანკლის თავისებური ტიპიური სახე.

ხანუმა არის მატყუარა, გაიძვერა, უპირო, გაქნილი, მაჭანკლობის დიდოსტატი. სწორედ ასეთად ანსახიერებდა ს. გოგაშვილი ამ რთულ როლს. შემოდიოდა იგი სცენაზე და სცენას სიცოცხლე ემატებოდა. მსახიობის თითოეული ფრაზა დაუსრულებელ ხარხარს იწვევდა. მისი ყოველი ნაბიჯი კომიზმით იყო სავსე. ს. გოგაშვილის მიერ შექმნილი სახე ახლაც ახსოვთ მაშინდელ სცენისმოყვარეებს.

ს. გოგაშვილს (ხანუმა) ღირსეულ პარტნიორობას უწევდა ა. კავთელი (ქაბატო), რომელიც ცოცხალი ფერებით წარმოსახავდა პატივმოყვარე კუდაბზიკა მაჭანკლის მეტად სახასიათო სახეს.

ნიჭიერმა სცენისმოყვარემ მაშო მარგველაშვილმა ითამაშა სონას როლი.

---

[1] შ. გ ო მ ე ლ ა უ რ ი, მოგონებანი გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1962, გვ. 147.

ვანო ფანტიაშვილის ფუქსავატ, ხანუმას ანკესზე წამოგებულ „კნიაზის" სახეს შთამბეჭდავად ამსახიერებდა მსახიობი გ. სადუღიშვილი.

საინტერესო სახე შექმნა აკოფას როლის შემსრულებელმა მსახიობმა ბ. ჯანველოვმა. ამ როლში მსახიობი თავისი გმირის სიცოცხლით ცოცხლობდა.

მხატვრული სახეები შექმნეს: მიკირ ტყუილ კოტრიანცი — გ. ფუხაშვილმა, სარა, მიკიჩას დედა — ს. გოგაშვილმა, კნეინა თეკლე — ქ. გეურქიანცმა, კოტე ფანტიაშვილი — გ. ხალათოვმა, ტიმოთე (გლეხი) — გ. ტერ-ვართანოვმა და სხვ. სპექტაკლის შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი. ლექსები წაიკითხეს გ. ფირუმიანმა და ა. კავთელმა.

1910 წელს ავლაბრის ქართული ხელოვნების მოყვარულთა ამხანაგობის მიერ ვ. მატარიძის მონაწილეობით და რეჟისორობით წარმოდგენილი იყო სამმოქმედებიანი დრამა „ისმინე ისრაილ" (თარგმანი ბ. შალიბაშვილისა). მონაწილეობდნენ: აარონ ფიშერი — ვ. მატარაძე, ანნა, მისი ქალი — მ. ლელაშვილი, სორა, არონის ცოლი — დ. რჩეულოვისა, ენმანი იაკობი — ლ. მეტრეველი, რაბინი ელიაშევი — რ. სალაყაია, რებ-სიმხე — ნ. მირველოვი, 2-რე ებრაელი — ბ. მაისურაძე, სილკინი, სამხედრო ექიმი — ა. კორძაია, უცხო კაცი — მ. ჯანველოვი. და სუნდუკიანის ერთმოქმედებიანი ვოდევილი. „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია". ოსკან პეტროვიჩი, ვაჭარი — გ. გულიკურაშვილი, მართა, მისი ცოლი — დ. რჩეულიშვილი, კეკე, მათი ქალი — მ. ლელაშვილი, არუთინა, ბაზაზი — ნ. მირველოვი, ქიტესა, ოსკანას მსახური — დ. მელაშვილი.

1911 წლის 12 მარტს ქართველ სცენისმოყვარეთა მიერ ი. გრიშაშვილის რეჟისორობით ნაჩვენები იყო. პ. ირეთელის ოთხმოქმედებიანი დრამა „ქრისტინე". დათია ხელმოკლიძე—გ. სვანიძე, მარიკა—დ. რჩეულოვი, ქრისტინე — ა. კავთელი, გოგია — ვ. ჩხენკელი, მაია — ს. გოგაშვილი, იასონ უქმაძე, — ს. მელაძე, მარინე — მ. ლელაშვილი, სონა — ს. გოგაშვილი, ნატალია — დ. რჩეულიშვილი, ლევან ძველისენიძე — ი. რევაზოვი, ქენია — მ. ლელაშვილი, საშა — ტ. ტამარინა, მიტუშა — დ. მელაშვილი, მელქო — ს. მაისურაძე, ღორუა — ს. ლოლაძე, გერმანი — ნ. მირველოვი, პირველი მოქეიფე — ს. ღოღაძე, მეორე მოქეიფე — დ. ქანანოვი, მიკიტანი — ნ. მირველოვი.

იმავე წლის სეზონში სვ. სვიმონიძის მონაწილეობით წარმოადგინეს ვალ. გუნიას „და-ძმა", პ. ირეთელის „ქრისტინე", ფ. ქორიძის იტალიურიდან თარგმნილი „ორი დარაჯი" და დიდი საკონცერტო განყოფილება: ნამის ვოდევილი „გეურქ აღა და შანტაჟისტები", აკაკ. ცაგარლის „ბაიყუში", „ოინბაზი" და „ჭკუისა მჭირს", დ. ერისთავის „სამშობლოს", ბოლო მოქმედება და ვალ. გუნიას „და-ძმის" მეხუთე მოქმედება, ი. გრიშაშვილის „ბოიკოტი" და „ტიმოთეს ლელვი".

1911 წლის სეზონის დასასრულს წარმოადგინეს აგრეთვე ა. ყაზბეგის დრამა „ყაჩაღი არსენა“.

მონაწილეობას იღებდნენ ამაყაძე — ი. რევიზოვი; სიდონია მისი ცოლი— თ. აფხაზიშვილი; იორამ, გარსევანის ბიძა — ა. ძამიაშვილი; არსენა, ყაჩაღი— ვ. მატარაძე, ნინო, სიდონიას მოახლე — ქ. ონელი, თედო, არსენას ამხანაგი — დ. მელაშვილი; ზაქარია, გარსევანის მოურავი — პ. ფრანგიშვილი; პეტრე. არსენას ნათლიმამა — მ. სარაული; სირაჯი — ნ. მირველოვი; გლეხის ბიჭი — კანდინოვი.

სპექტაკლ „არსენას“ დადგმასთან დაკავშირებით გვინდა გავიხსენოთ გ. ბარელის (ყანჩელი), ამ პიესის ერთ-ერთ დადგმაში მონაწილეობის შესახებ.

1912 წელს გ. ბარელს არაქსიანისა და მურაშკოს სახალხო თეატრებში მუშაობისას დაკისრებული როლების კარგად განსახიერებისა და თეატრალური წესების დაცვისათვის, ყაზბეგის პიესა „არსენაში“ არსენას როლი მისცეს, და დაავალეს, რომ ამ პასუხსაგებ როლზე უფრო დიდი მონდომებით ემუშავა, რათა წინანდელზე უფრო მეტი მოწონება დაემსახურებია. პიესას რეჟისორობდა ს. პეპანოვი.

რეპეტიციები ტარდებოდა მურაშკოს სახელობის სახალხო თეატრში. ქუჩებში გაიკრა აფიშები. პრემიერის დღეც დადგა. ხალხი სალაროს მიაწყდა, ბილეთებს ყიდულობდნენ, წარმოდგენას ხოტბას ასხამენ, და აღტაცებულნი იძახდნენ — ძალიან კარგი წარმოდგენაა, ყაჩაღების წარმოდგენაა, ტყეც არის და სროლაც იქნებაო. არსენას როლის შემსრულებელი მსახიობი (გ. ბარელი) ამ დროს წარმოებაში იყო და ხის დეტალებს ჩარხავდა მანქანაზე. მუშაობდა და ყოველ წამს საათს შეჰყურებდა, ელოდებოდა ხუთი საათის შესრულებას. შვიდზე თეატრში უნდა ყოფილიყო.

შესრულდა ხუთი საათი თუ არა, მანქანა გააჩერა და როგორც ყოველთვის ამ დროს მოვიდა ქარხნის მეპატრონე და ბარელს ხელში რაღაც დაწერილი ქაღალდი მიაწოდა. ქაღალდზე ეწერა, სამი ცალი დეტალი უნდა გამოჩარხო. ბარელმა ცივი უარი განაცხადა და უთხრა, თეატრში მაგვიანდებაო. დირექტორმა მის უარზე გაჯავრებულმა უპასუხა: მე შენი თეატრონ-მიატრონები არ ვიცი, ეს საქმე ეხლავე გააკეთე და მერე წადი თეატრშიო!..

რა გაეწყობოდა, ბარელმა ხელმეორედ აამუშავა მანქანა და ნახევარი საათის განმავლობაში გააკეთა სამი საათის საქმე. იფიქრა მეშველაო და, კვლავ გააჩერა მანქანა. აგერ, კიდევ მოვიდა მეპატრონე, ახლა კი ცოტა რბილად მიმართა — გიორგიჯან, აი ესეც გაჩარხე, ამის პატრონი ალექსანდრეპოლელია, მატარებლის ბილეთი აქვს აღებული და ამაღამ მიდისო, რაკი ასეაო... და უარი ველარ უთხრა, კვლავ აამუშავა მანქანა. მუშაობდა, მაგრამ მთელი თეატრის შემადგენლობა თვალწინ ედგა.

ხედავდა როგორ ელოდებოდნენ, ესმოდა როგორ ჯავრობდნენ, მაგრამ რას იზამდა. მანქანას სწრაფად აცლიდა პირიდან მზა პროდუქციას და აძლევდა ნედლეულს. აგერ დაამთავრა, იჩარხება უკანასკნელი დეტალი და ნერვებაშლილმა შეხედა კედელზე ჩამოკიდებულ საათს. უკვე შვიდი საათი გამხდარიყო. გავიდნენ დეტალის ბოლოში მანქანის ძალზე მჭრელი და ბრუნვისაგან უჩინარი დანები, რასაც სწრაფად მოჰკრა თვალი და სტაცა ხელი გასაჩერებლად. მაგრამ, აი უბედურება, თურმე ისე სწრაფად ჩაუტანებია მარცხენა ხელი დანების ახლო და ისე სწრაფად დაუჭრია მარცხენა ხელის ოთხი თითი, რომ არაფერი უგრძვნია, ხოლო როდესაც დახედა ხელს და სისხლი დაინახა თვალები დაუბნელდა, მაშინ კი შესძახა მიშველეთო. ასე, რომ არსენას როლის შესრულების მაგივრად მისი სიყრმის ამხანაგის მემანქანის ვასო სადულიშვილის დახმარებით სასწრაფო დახმარებით, მიხეილის საავადმყოფოში ამოჰყო თავი.

გ. ბარელი მალე განიკურნა და განაგრძო მისი საყვარელი საქმე — მსახიობობა. ვინ მოთვლის მას შემდეგ რამდენჯერ მოუხდა არსენას როლის შესრულება და უბედური შემთხვევის გახსენებაც.

ენთუზიასტი სცენისმოყვარე ნაძალადევში აღზრდილი გ. ბარელი რევოლუციური საქმიანობიდანაც არ იდგა შორს.

1905 წლის რევოლუციის დროს, გაზაფხულის პირზე თბილისში ცნობილ მუშათა კომიტეტმა დაიბარა ახალგაზრდობის აქტივი და გადასცა შემდეგი დავალება:— თქვენ იცით, რომ ხვალ კვირა დღეა, ისიც, იცით,, რომ მუშები გაფიცულები არიან. თქვენ გევალებათ, ეს პროკლამაციები მოჰფინოთ ქალაქის ყველა უბანსა და ქუჩას. ამისათვის, ხვალ დილიდანვე შეუდგებით მასობრივი მიტინგის მოწყობას. ეს უნდა მოხდეს ლხინის სახით, ვითომ ლხინი გაქვთ ახალგაზრდებს, ეხლა თქვენ იცითო....

ახალგაზრდები გაეცვნენ თუ არა საქმის ვითარებას, მაშინვე დაიშალნენ დავალების შესასრულებლად. მიტინგისათვის აირჩიეს ნაძალადევის დასავლეთი ნაპირი (მაშინდელი ღრმაღელის დასაწყისთან, სადაც მაღალ კლდეზე მუშები საშენ ქვას ტეხდნენ და მისადგომებზე აგორებდნენ, ძირს კი დანარჩენი მუშები მოტეხილ ქვებს საჟენებად აწყობდნენ და მომხმარებელზე ჰყიდდნენ). სწორედ ამ საზღვრიდან იწყებოდა დიდუბეში გერმანელთა ყოფილი, კოლონიის სათიბი და უხვმოსავლიანი საყანე-სახნავი მიწები, ვიდრე ავჭალისა და გლდანის მისადგომებამდე. მუშებმა სწორედ ამ ქვის სატეხ საბადოებთან გადაწყვიტეს მიტინგის მოწყობა, სადაც აუარება პიტალო ქვის ნამტვრევი ეყარა, რაც გამოადგებოდათ პოლიციის თავდასხმის დროს.

როდესაც ყველა დავალება წესრიგში მოიყვანეს, აახმაურეს დოლი, გარმონი და სალამური. ხალხმა როგორც ნაძალადევიდან, აგრეთვე თბილისის სხვა

უბნებიდანაც იწყო დენა. მალე პატარა ლხინი მასობრივ მიტინგად გადაიქცა. ორატორებმაც ერთ პატარა ბექობზე მოიყარეს თავი. აგერ, საცაა მიტინგმა უნდა იფეთქოს. მიტინგის მომწყობმა ამხანაგებმა შენიშნეს, რომ ორატორებისათვის ტრიბუნა იყო საჭირო. გაიქცნენ იქვე, გარეუბნის რესტორან „ზელიონი ოსტროვში“, მეპატრონის დაუკითხავად დახლის ერთი ნაწილი მოგლიჯეს და გააქციეს, ტრიბუნის მიტანისა და მოწყობისთანავე, ზედ რკინიგზის მუშებიდან რჩეული ბოლშევიკები, როგორც ქართველები, ისე რუსები და სომხები ავიდნენ. ამ ხალხმრავალ მიტინგს დაესწრნენ და მხურვალე მონაწილეობა მიიღეს მესანგრეთა ყაზარმის ჯარისკაცებმა — როგორც სამოქალაქო ტანსაცმელში, ისე ფორმაში გამოწყობილებმაც. ყოველი დამსწრე რუსი ჯარისკაცი მიტინგის წინაშე ფიცს დებდა, რომ ის არ მიემხრობოდა მეფის რეჟიმს და არ უღალატებდა მშრომელთა კლასს. ორატორს ორატორი ცვლიდა. მათ შორის უმეტესობა ბოლშევიკები იყვნენ. აგერ ტრიბუნაზე ავიდა შენიღბული, მაგრამ ყველასათვის ცნობილი მგზნებარე ბოლშევიკი, დეპოს დაზგის მუშა, — ზეინკალი მ. კალინინი, რომელსაც ხელში ეჭირა რუსულად დაწერილი მოთხოვნილებების ქაღალდი და სხაპასხუპით კითხულობდა.

მიტინგს ქალებიც მრავლად დაესწრნენ. ისინი მხურვალე გრძნობით გამოდიოდნენ სალაპარაკოდ და ითხოვდნენ ქალთა უფლების დაცვას.

მიტინგი თანდათან გაძლიერდა, ყოველი მხრიდან მოდიოდა დაინტერესებული ხალხი, მოდიოდნენ აგრეთვე მეზობელი სოფლებიდან, ავჭალიდან და გლდანიდან. მშვენიერი ამინდი იყო, ნელ სიოს მოჰქონდა მინდვრის ნორჩი ყვავილების სურნელება. ყველა წინ მიიწევდა, ყველას უნდოდა ორატორების მგზნებარე სიტყვები მოესმინა, რათა შინ დაბრუნებისას ოჯახის წევრებისათვის ეამბნათ ყოველივე. მიტინგი გრძელდებოდა... მომხსენებელმა ერთხელ კიდევ ამხილა მეფისა და მისი დამქაშების მიერ მშრომელი კლასის ჩაგვრავების ფაქტები. პოეტმა ევდოშვილმა ტრიბუნიდან წარმოთქვა საკუთარი ლექსი. კითხვის დამთავრების შემდეგ, წითელი ალმების ქვეშ, გაიძრო ტანზე მწვანე ფერის სამხედრო მუნდირი, ხალხის თავზე გადააფრიალა და გადასძახა:

— ამხანაგებო! იროდიონ ევდოშვილი თქვენს გვერდში მდგომი თქვენი ძმა და შვილია! დღეიდან აღარ მიგულოთ სამხედრო პირადო.

მგზნებარე ორატორი შეცვალა ახალგაზრდა მღვდელმა გურჯიძემ, რომელმაც მიტინგს გაუმხილა სამღვდელოების მთელი საიდუმლოება. ხანგრძლივი ლაპარაკის შემდეგ მანაც გაიძრო შავი ანაფორა და ტრიბუნიდან გადააფრიალა. მიტინგს შეჰფიცა, რომ დღეიდან ეკლესიას აღარ დავუბრუნდებიო.

მართლაც, მიტინგის შემდეგ იგი დარჩა თავის სოფელში მის მიერვე დაარსებულ სკოლაში მასწავლებლად და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე თავის

პატარა მოწაფეებს უნერგავდა მშრომელი კლასის სიყვარულს. ასეთი თავდადება მშრომელი ხალხისათვის არც სცენისმოყვარეებისათვისაც იყო უცხო ხელი, ასეთი ამბავის ჩატარება ხშირად უხდებოდათ ხოლმე.

□□

ამას მოჰყვა ავლაბრის სცენისმოყვარეთა მიერ იმავე წლის 25 აგვისტოს „რენესანსის თეატრში“ დადგმული ა. ბაჯიაშვილის ხუთმოქმედებიანი დრამა „ყომარბაზის ცხოვრება“. როლებს ასრულებდნენ: დე ჟერმონი — ნ. მირველოვი, ჟორჟი — კახელი, ამალია — თ. აფხაზიშვილი, ალბერტი — ს. პეპანოვი, ჟორჟეტა — მ. ლელაშვილი, დერმონი — ინაშვილი, რუდოლფი — დ. მელაშვილი, ვალერი — რ. სალაყაია, ლუიზა — მ. ქართველიშვილი, პიერ ბირმონი — გ. გელიკურაშვილი, ვალენტინ — შ. გომელაური.

1912 წლის 23 თებერვალს ქართული სახალხო წარმოდგენების მართველი წრის მიერ ავლაბრის საზოგადო კლუბში წარმოდგენილი იყო საოჯახო საღამო. უჩვენეს ბალანჩივაძის ვოდევილი „უბედური დღე“.

მეორე განყოფილებაში კი დადგეს ავქს. ცაგარლის ვოდევილი „ჰკუისა მჭირს“. მონაწილეობდნენ: დათიკო — სვანელი, ტასო — ნ. მელუზლა, გრიქურა — გ. გელიკურაშვილი, ბუღდანა — ნ. მირველოვი, სასამართლოს ბოქაული — ლ. ლეჟავა, გადამწერი — ს. სულთანიშვილი, იასაული — მ. ჯანველოვი, ბიჭი — ყარამანაშვილი.

ბოლოს წარმოადგინეს დივერტისმენტი. წაიკითხეს ლექსები და სცენები გლეხური, სომხური, გურული და კინტოს ცხოვრებიდან მ. მელუზლამ, ს. მგალობლიშვილმა, ნ. გოცირიძემ, რ. სალაყაიამ, ი. გრიშაშვილმა და რ. ჯიბლაძემ.

1912 წლის სეზონში არაქსიანის ქართულმა თეატრალურმა დასმა პირველად უჩვენა ი. გედევანიშვილის სამმოქმედებიანი დრამა „მსხვერპლი“. თითოეული რეპეტიცია კოლექტივის წევრებისათვის უდიდესი სიხარული იყო. მალე დადგა ნანატრი დღეც. ფარდის გახსნისთანავე სცენასა და დარბაზს შორის ისეთი უხილავი კონტაქტი დამყარდა, რომელიც წარმატების პირველი პირობაა თეატრში. ამ ხალხმრავალმა სპექტაკლმა სახალხო თეატრის სცენა აბობოქრებულ ტალღად აქცია და „ერთობის“ ნაპერწკლის სხივი მოჰფინა სცენას.

მთავარ როლებს ასრულებდნენ: გიგო — ჯანველოვი, ვანო — კ. მეტრეველი, დედა — დ. რჩეულიშვილი, ნატო — ა. კავთელი, შაქრო — დ. მელაშვილი, პრისტავი — ალ. ქსენაფონტოვი, საქო — ნ. მირველოვი.

დასამახსოვრებელი იყვნენ სოფლის პაპა (გაბუა) — გ. ყანჩელი, განსაკუთრებით კი სოლომონი — ბ. ძამიაშვილი, ბარბარე — ს. გოგაშვილი.

1912 წლის ოქტომბერში მესამე რაიონის კოლექტივის მეთაურობით ავ-

ლაბრის თეატრში გაიმართა დიდი საღამო. ლექცია წაიკითხა ცნობილმა ექიმმა და საზოგადო მოღვაწემ ივ. გომართელმა. წარმოადგინეს ავქს. ცაგარლის „მათიკო“ ბ. ახოსპირელის ერთმოქმედებიანი ვოდევილი „უბედური დებიუტი“. ლექსები წაიკითხეს გალაკტიონ ტაბიძემ და გიორგი ქუჩიშვილმა, იმღერა მესამე რაიონთან არსებულმა მარქსისტთა გუნდმა შ. ტალიკაძის ლოტბარობით. დასასრულს გაიმართა აზიური ცეკვები, ფოსტა, აუქციონი და საღამოს სხვადასხვა გასართობები (საზანდარი, ფორტეპიანოსთან ერთად დაუკრა თარხანოვმა).

ამას მოყვა პიესა „სამხედრო ბანაკში“. პიესის შესახებ 1912 წლის 15 დეკემბრის გაზეთი „სახალხო განათლება“ წერდა: „ავლაბრის თეატრში დღეს 15 ქრისტეშობისათვის, მატარაძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პიესა „სამხედრო ბანაკში“, დრამა 3 მოქმედებათ, თარგმანი ა. იმედაშვილისა.

1913 წლის სეზონში ი. რევაზიშვილის რეჟისორობით წარმოადგინეს აგრეთვე ალ. ბაჟიაშვილის მიერ გადმოკეთებული ისტორიული პიესა „ასლანბალასი“. მონაწილეობდნენ: თ. აფხაზაშვილი, ო. ფეიქრიშვილი, ლ. ბაღაშვილი, ი. რევაზიშვილი, რ. ჩალაყაია, ალ. გოჩიტაშვილი, დ. ჯავახიშვილი, პ. შრომიშვილი, გ. ყანჩელი, ა. ყურული და სხვები. ამ პიესისათვის მოწვეული იყო სასულე ორკესტრი.

საჭიროების მიხედვით იწვევდნენ მუშათა თეატრისათვის ქართული დრამატული თეატრის სხვა მსახიობებსაც. ეს გასტროლიორები, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, სრულიად უსასყიდლოდ იღებდნენ მონაწილეობას როგორც ავლაბრის სახალხო თეატრში, ისე ავჭალის აუდიტორიაში. ამჟამადაც ხიმშიაშვილის როლისათვის მოიწვიეს ლადო მესხიშვილი, ოთარ-ბეგის როლისათვის ვალ. გუნია.

ლადო მესხიშვილის ხიმშიაშვილს, მნახველთა გადმოცემით, რაღაც საოცარი მომხიბვლელობა ჰქონია. მისი ცნობილი მონოლოგი შაჰის წინაშე ეს იყო საქართველოს გმირის მოწოდება მტარვალთა შესამუსრავად.

როცა შაჰი მასთან შესულ ხიმშიაშვილს უბრძანებდა წელიდან ხმალი შეეხსნა, ხიმშიაშვილი უპასუხებდა:

— „დიდებულო შაჰო, ეს ხმალი სულ სხვანაირად არის დაჩვეული... იგი სჭრის და მუსრავს მტერს, იფარავს დაღუპულ სამშობლოს, ესარჩლება ბერს, დედაკაცს, ყმაწვილს, ამისთანა საქმეში თვითონ ამოდის ხოლმე ქარქაშიდან და ბრწყინავს მზეზე. მხოლოდ თუ უბრძანეს თავისიანებზე გალაშქრება, მაშინ დიდებულო შაჰო, მე კარგად ვიცნობ ჩემს ხმალს, იგი ამჯობინებს ჩემს გულში გადატყდეს, ვინემ მტერს ემსახუროს... მე და ჩემი ხმალი ქართველები გახლავართ, დიდებულო შაჰო! (ხმალს დაუგდებს ფეხებქვეშ).

ამ დროს მთელი თეატრი ფეხზე დგებოდა მესხიშვილის საპატივსაცემოდ და „გაუმარჯოს სამშობლოს“ ძახილს დასასრული არ ჰქონდა. ჭეშმარიტად, ლადო ამ დროს ტრიბუნი იყო, სამშობლოს სიყვარულით ანთებული რაინდი“[1]. და ეს ხდებოდა თურმე იმ თეატრში, რომელსაც ბევრი რამ აკლდა. და პირველ პლანზე მსახიობის თამაში იყო წამოწეული. გაუმართავი სცენა. ულაზათო დეკორაციები, მუსიკის გარეშე, ერთი სიტყვით, სცენა განტვირთული ყოველგვარი ანტურაჟისაგან. იდგას მხოლოდ მესხიშვილი და გრძნობის კოცონს ანთებდა — სამშობლოსათვის, ერისათვის, ხალხისათვის.

გავიდა დრო და, შაჰის როლის შესრულება ახლა ქართველი ერის საამაყო შვილს ლადო მესხიშვილს დაავალეს. გულისფანცქალით მოელოდნენ ახლა ამ როლში დიდი მსახიობის გამოჩენას. მოწინავე მუშები ლადოს გამოჩენას მქუხარე ტაშით, დიდი ოვაციით შეხვდნენ. სცენის ჯადოქარმა თავისი მაღალი ოსტატობით დაატყვევა ყველანი.

„რეპეტიციაზე ისე არ მოჩანდა-მეთქი მესხიშვილის ძალა, მაგრამ წარმოდგენის დროს საოცარი რამ ხდებოდა ,ის მოქმედების მსვლელობის დროს სცენაზე მაყურებლის თვალწინ, დიდის შთაგონებით ძერწავდა ხასიათებსა და სახეებს. ეს კაცი სრულიად იცვლებოდა, მის გვერდით მოთამაშეს ისე იპყრობდახოლმე წამით ხან აბობოქრებულ ოკეანედ იქცეოდა, ხან ჯოჯოხეთის ცეცხლს დაანთებდა, ზოგჯერ კი პირიქით, ზეციურ წმინდანად გადაიქცეოდა, სიყვარულის ზვარაკად, დაიწვებოდა. ერთი სიტყვით, თვით ცხოვრობდა სცენაზე და მით სიცოცხლის ძალას ამკვიდრებდა“[2].

ცხრაას ოთხი წელი იყო, რევოლუციის ქარიშხლის წინა პერიოდი. უჩვენებდნენ ისეთ პიესებს, რაც მუშათა მასებს დიდი ბრძოლისათვის განაწყობდა. საგასტროლოდ ჩამოსული ლადო მესხიშვილი მუშებმა მოიტაცეს და ავლაბრის აუდიტორიაში „ექიმი შტოკმანი“ დაადგმევინეს. მუშებში პიესამ დიდი აღტაცება და მღელვარება გამოიწვია.

„ანდა, 1905 წელს პირველი რევოლუციის დროს, ლადო უბრალო მაყურებლის როლში არ დარჩენილა. ლადოს მიერ სცენიდან წარმოთქმული კაიოსის მგზნებარე სიტყვები, ჟანის მონოლოგები მალამოსავით ეცხებოდა მაყურებელს და აღმაფრენას იწვევდა; კაიოსის ხმას კი ბანს აძლევდნენ ქუჩაში აღმართული ბარიკადები. ლადო ჭირშიაც და ლხინშიაც ხალხთან იყო. სინამდვილე რომ არ იყოს, ზღაპრად, ლეგენდად მოგეჩვენებოდათ. ქუთაისის ქუჩებზე

---

1 ი. გრიშაშვილი, მინიატურები და ლიტერატურული ნარკვევები, ტ. V, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1965, გვ. 154-155.

2 მ. გომელაური, თეატრალური მოგონებანი, გამომც. „ხელოვნება“, გვ. 38-39.

დეკორაციებისაგან აზორხილ ბარიკადებზე მდგომი, ლომივით ფაფარაყრილი, ხალხის მშვენება, ხალხის შვილი ლადო"[1].

ასეთი იყო დიდი ლადო მესხიშვილი, რომელიც თავისი მაღალმხატვრული წარმოდგენებით და მოქალაქეობრივი მოწოდებით, ხალხში რევოლუციურ სულს აღვივებდა, სამშობლოს სიყვარულის მარცვალს თესავდა.

□□

ავლაბარ-ხარფუხის სახალხო თეატრებში მომუშავე ამხანაგები სასცენო მოღვაწეობით არ ფარგლავდნენ თავიანთ მუშაობას. რა სახის კულტურული საქმიანობაც არ უნდა ყოფილიყო წამოწყებული, ყველგან იღებდნენ მხურვალე მონაწილეობას. მაგალითად მათი ინიციატივით 1912 წელს მურაშკოს თეატრში ქართულ დრამატულ წრესთან დაარსდა მომღერალთა გუნდი ვახო მათურელის ხელმძღვანელობით. გუნდში ძირითადად ავლაბარ-ხარფუხის დრამატული წრის წევრები შედიოდნენ.

1913 წლის თებერვლისათვის ქართველი ხალხი ემზადებოდა ლადო-ალექსი-მესხიშვილის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავი იუბილესათვის

ცნობილი კომპოზიტორი ნ. სულხანიშვილი, დ. პავლიაშვილის დახმარებით, 1912 წლის შემოდგომაზე შეუდგომია მომღერალთა გუნდის მომზადებას. მზადდებოდა ნ. სულხანიშვილის მიერ ახლად დაწერილი და გამოუქვეყნებელი საგუნდო ნაწარმოებები: „სამშობლო ხევსურისა", „მეპტვირული", „გუთნური", „მამ, გამარჯვება ტკბილო სიცოცხლევ" და სხვ. გუნდის შემადგენლობაში შედიოდნენ ავლაბარ-ხარფუხის ქართული დრამატული წრეების წევრები.

გუნდის მეცადინეობა მიმდინარეობდა ავლაბარში მარინეს ეკლესიის ეზოში მდებარე სამრევლო სკოლის შენობაში, ხუთშაბათს (საღამოობით) და კვირა დღეს.

იუბილეს დღე ახლოვდებოდა.

ერთ კვირა დღეს, ჩვეულებრივი თავშეყრის დროს ნიკოსა და დათიკოს (პავლიაშვილი) თანხლებით გუნდს სწვევია მაღალი ტანის, ოდნავ ჭაღარაშერთმიანი შუახნის კაცი. ეს იყო ჩვენი სახელგანთქმული კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი.

არ გაუვლია ათ წუთს და, ოთახის კარი შემოუღია საშუალოზე მაღალ. გამხდარ, ჩოხიან ვაჟკაცს, თავზე მეცხვარის ქუდით. იგი მისალმებია ნიკო სულ-

---

[1] ალ. ბურთიკაშვილი, სცენის ოსტატები, გამომც. „ხელოვნება", 1951, გვ. 35.

ხანიშვილს, დიმიტრი არაყიშვილს, დათიკო პავლიაშვილს და საერთო სალ-მით მიუმართავს გუნდისათვის. ეს იყო ჩვენი ერის სიამაყე, ქართული პოე-ზიის ბუმბერაზი, მთის არწივი ვაჟა-ფშაველა...

ვაჟას ნიკოსათვის გადაუცია კაბადონად დახვეული მცირე ქაღალდი. ეს იყო იუბილარისადმი მიძღვნილი ლექსად დაწერილი ადრესი, რომელიც სიმ-ღერით შეუსრულებია („ჩონგურს სიმები გაუბის" ჰანგზე) გუნდს.

ლადო მესხიშვილის იუბილე გადაქცეულა ქართული კულტურის და თე-ატრალური ხელოვნების ზეიმად, რომელიც დაგვირგვინებულა ნიჭიერი კომ-პოზიტორის ნიკო სულხანიშვილის ახალი საგუნდო ნაწარმოებების შესრულე-ბით.

ამ იუბილეს შესახებ ვკითხულობთ: „ქართველი საზოგადოება 1913 წელს ლ. მესხიშვილის 30 წლიანი სასცენო მოღვაწეობის იუბილეს ზეიმობდა. ნ. სულხანიშვილს საგანგებოდ შეუდგენია გუნდი, რომლისათვისაც თავისი ახალი ნაწარმოებები — „მესტვირული" და „სამშობლო ხევსურისა" — შე-უსწავლებია. საინტერესოა, რომ იუბილეზე ჩამოსულ ვაჟა-ფშაველას წინასწარ მოუსმენია ეს ნაწარმოები. მას აკაკის ლექსის „მესტვირულის" ნაცვლად შეუ-თავაზებია იუბილესათვის შესატყვისი სიტყვები. ეს ლექსი ვაჟას სახელდახე-ლოდ შეუთხზავს:

„ქართულ თეატრის მშვენებავ,
ღმერთმა, აგხადოს წყენაო!
ვნებათ რაზმებში მებრძოლო,
სალამს მოგიძღვნით ყველაო.
აპოლონისა ტაძარი
შენს თვალთ ცრემლს დაესველაო:
ქართულად ეხვეწებოდი,
ქართველებს მიეც შვებაო!
ოდელა, ბიჭო, დელია
ოდელა-დელა-დელაო,
ერთ დროს შეწირვა მსხვერპლისა
ძალიან გაგიძნელდაო,
მაინც არჩიე უცხოურს
შენი მშობელი კერაო,
მშობელი დედის ძუძუსა
სხვის შაედრების ვერაო,
ეს თურმე კარგად იცოდი,
მით გადღეგრძელებთ ყველაო, —
ოდელა, ბიჭო, დელია,
ოდელა-დელა-დელაო.

იუბილეზე გუნდს დიდი წარმატება ხვდა. ამასთან დაკავშირებით ჟურნალი „კლდე" წერდა: „ყველა სიტყვას, სიმღერას და დაკვრას სჯობდა ორიგინალური ხორო სულხანიშვილისა"; გაზეთი „კავკაზიე" იუწყებოდა: „ძალიან მოეწონა საზოგადოებას ახალგაზრდა კომპოზიტორ სულხანიშვილის მიერ ნოტებზე გადაღებული ხალხური მელოდიები სტვირის მოტივზე... აგრეთვე მის მიერ დამუშავებული ხევსურული მოტივი... საუცხოო იდეამ, რომელსაც ვერ მიხვდა საზოგადოება პირველად, გამეორების შემდეგ დიდი აღტაცება გამოიწვია".[1]

...„ნ. სულხანიშვილს მომავლის იმედს უსახავს 1905 წლის რევოლუცია. იგი აღტაცებულია დემონსტრაციებით, ბარიკადებით. არ ტოვებს არც ერთ მიტინგს, საჯარო შეკრებას. ამ მოვლენებს იგი უძღვნის თავის მარშს „ძირს იმპერიალიზმი". საინტერესოა მისი შექმნის ისტორია. ნიკოს ერთ-ერთ მიტინგზე ჩაუწერია წარმოთქმული ლოზუნგები, შეძახილები და ამგვარ გაუშალაშინებელ მასალაზე აუგია ძლევამოსილი სიმღერა. იგი პირველად თელავში შეუსრულებიათ კონცერტზე და „თელავიეზა" უწოდებიათ"[2].

აი, რას გვიამბობს ი. გრიშაშვილი ლადოს ამ იუბილესთან დაკავშირებით:

„ლადო მესხიშვილის იუბილე 1913 წელს ქართული კულტურის დღესასწაული იყო. მის იუბილეს მთელი დღე ჰქონდა დათმობილი — დილა და საღამო; დილით 12 საათიდან — მილოცვები იყო, საღამოთი — წარმოდგენა. მე დილით მივულოცე. პარტერიდან მარჯვნივ, მაღალ კვარცხლბეკზე ერთი სავარძელი და ორი სკამი იდგა. აკაკიმ გამოიყვანა ლადო და წინასწარ მომზადებულ სავარძელში ჩასვა, თვითონ მარჯვნივ დაჯდა. მარცხნივ, თუ არ ვცდები, ნინო ჩხეიძე ჰყავდა. სცენაზე და სცენის სიღრმეში კი სულ მიმლოცველები იყვნენ ჩამწკრივებულნი, როგორც ადგილობრივნი, ისე სხვადასხვა დაბა-ქალაქებიდან საგანგებოდ ამ დღისათვის ჩამოსულნი. მათ შორის განირჩეოდა ნიკო სულხანიშვილის გუნდი, რომელმაც პირველად ამ საღამოს მოიხვეჭა მაღალი სახელი.

მახსოვს, შემოსვლისას ლადო გამოეშვა აკაკის ხელკავს და ქურციკივით ავიდა თავის დალიჭზე, სწორედ ისე, როგორც ამას სჩადიოდა „სამეგრელოს მთავარი ლევანის წარმოდგენის დროს. მშვენიერი ჭაღარა! მშვენიერი სახე! ნაკვთი ნაკვთად აწყობილი... თვალები... ო, ის თვალები, ღრმა და უძირო, ვინ იცის, რამდენჯერ აუტირებივარ იმ ჯადო თვალებს. როგორ უხდებოდა შევერცხლილი თმების ტალღა... ხალხმა იგრიალა. ტაშის ტკრციალს დასასრული არ ჰქონდა... ჩემი გამოსვლის დროც მოახლოვდა. კოწო ანდრონიკაშვილმა, რო-

[1] ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება", 1972, № 7, გვ. 58-59.
[2] იქვე. გვ. 58-59.

მელიც ხელმძღვანელობდა ამ იუბილეს, ადრევე გამაფრთხილა: ამა და ამის შემდეგ შენი გამოსვლაა — მოემზადეო. ან რა გაფრთხილება მინდოდა... მე ახლა უფრო ვღელავ, ვიდრე ჩემი ახალგაზრდობის დროს... გამოველი, დავდექი შუა სცენაზე და პირდაპირ მივმართე:

ხან მეფე ხარ სვემღვიძარე, ქედს გიხრიან ქვეყნის მპყრობელს,
ხან ვით ნაძვი ტბის ნაპირას ჰღვრი ცრემლებსა შეუშრობელს;

ხან მკვეთრ ისრით დაკოდილი სულ არა გრძნობ წყლულთა ტკენას,
სულის სწრაფვას ჰანგად აკმევ ,იორკეცებ აღმაფრენას.

ხან ოცნებით ცის სივრცეში ნიავტალღად დასრიალობ,
ღრმა კაეშნით მოხიბლული სამსხვერპლოზე კვნესით ჰგალობ,

შენ ჩანგი ხარ და ეგ თმები, ეგ ჭაღარა თვითეული
ხალხის გულის სიმებია, ხალხის სუნთქვით დარხეული,

და მეც ხალხის აღმაფრენამ შენთან მგოსნად ამომტყორცნა...
მსურს მოგიძღვნა, როგორც მამას, მხოლოდ კოცნა... მხოლოდ კოცნა"[1]

□□

ამ დროს ქართულმა სცენისმოყვარეთა დასმა გადაწყვიტა სახალხო თეატრთან მომღერალთა გუნდი ჩამოეყალიბებინა. იმჟამად იქვე მახლობლად ცხოვრობდა ვინმე ვასო მათურელი, რომელსაც სიმღერისა და ხელმძღვანელობის დიდი უნარი გააჩნდა.

ვ. მათურელს უმღერია რატილისა და შემდეგ კარგარეთელის გუნდებში და კარგადაც სცოდნია ქართლ-კახური და იმერული სიმღერები. თვითონაც მშვენიერი ტენორი ჰქონდა. გუნდის შემადგენლობაში ძირითადად გაერთიანებული იყვნენ მუშები, უმთავრესად ადელხანოვის ქარხნიდან. დაიწყეს მეცადინეობა სიმღერებზე ვ. მათურელის ხელმძღვანელობით. პირველ სიმღერად გუნდს შეასწავლა „ნათლია ჩემი მეწვია"... ლ. მესხიშვილისა და ს. ივანიძის

---

[1] ი. გრიშაშვილი, მინიატურები და ლიტერატურული ნარკვევები ტ. V, გამომც. „საბჭოთა საქართველო", 1965, გვ. 167-168.

წინადადებით გუნდს შეუკერეს სამი ფერის ქულაჯა: წითელი, მწვანე და მუქი ლურჯი. ხანდახან ამ ქულაჯებს სპექტაკლებშიაც იყენებდნენ.

ილია გოძიაშვილს სასიამოვნო ტემბრის ხმა ჰქონდა და დიდადაც იყო დაინტერესებული სიმღერების შესწავლის საქმით. მათურელმა, რომ ილიას ასეთი ნიჭი და დაინტერესება შენიშნა, გადაწყვიტა თავის თანაშემწედ დაენიშნა გოძიაშვილი. თავისი აზრი გუნდის წევრებსაც გაუზიარა, არც ერთი წევრი არ წასულა წინააღმდეგი.

სპექტაკლებში ხშირად გუნდის წევრებიც იღებდნენ მონაწილეობას. ისინი სტატისტის როლში გამოდიოდნენ ძირითადად. როგორიც იყო: „და-ძმა“, „სამშობლო“, „ღალატი“, „სამხედრო ბანაკში“, „თამარ ბატონიშვილი“ და სხვები. დასი არაქსიანის თეატრშიც მართავდა წარმოდგენებს. ხშირად აწყობდა გასვლით წარმოდგენებსა და კონცერტებს.

გუნდმა 1917 წლის დამლევამდე იარსება და მერე დაიშალა. გუნდი ხშირად მართავდა კონცერტებს მუშათა კლუბებში და სახალხო თეატრებში.

ამ გუნდში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე არაქსიანის თეატრის სცენისმოყვარეები, ძმები ს. და მ. სულხანიშვილები და მათი სიძე ი. ფიცხელაური. ამ გუნდის მოცეკვავე იყო ბ. მაისურაძე, რომელიც საუცხოოდ ასრულებდა გლეხურ ცეკვებს. გუნდი კარგი სახელით სარგებლობდა და მათი გამოსვლების დროს დარბაზი მუდამ გაჭედილი იყო.

გუნდის ფოტოსურათი ამჟამად ინახება თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

□□

1912—1913 წლებში ავლაბარში ხმა დაირხა, იოსებ გოძიაშვილი თავის სახლში მისივე ხელმძღვანელობით აყალიბებს ქალ-ვაჟთა მომღერალ გუნდს და კონცერტებს გამართავს ზუბალაშვილების სახალხო სახლშიო. ამ ამბავს ყველაზე მეტად, როგორც ყოველთვის, ახალგაზრდობა გამოეხმაურა და სხვებთან ერთად დები ო. და ბ. ჩაჩანიძეები ჩაეწერნენ. მეცადინეობა საღამოობით ტარდებოდა. იმ ხანებში ქუჩებში სინათლე არ იყო გაყვანილი (მეტადრე ავლაბარში) და ქალიშვილების ქუჩაში ღამით სიარული სათაკილო და საძრახის საქმედ ითვლებოდა. ამიტომ, დედის დავალებით, დებს უმცროსი ძმა ვ. ჩაჩანიძე მიაცილებდა ხოლმე ი. გოძიაშვილის სახლამდე, ელოდა სიმღერის გაკვეთილების დამთავრებას. ამრიგად ვახო უშუალო მოწმე და მსმენელი იყო ი. გოძიაშვილის შემოქმედებითი მუშაობისა. მისი გადმოცემით ი. გოძიაშვილმა შესანიშნავად მოამზადა მომღერალთა გუნდი და დაიწყო კონცერტების გამართვა

ზუბალაშვილების სახალხო სახლში ე. წ. სახალხო უნივერსიტეტში და ხალხშიაც გაითქვა სახელი.

მომღერალთა გუნდის რეპერტუარში შედიოდა: „გუშინ შვიდნი გურჯანელნი", „ქართველო, ხელი ხმალს იკარ", „ვარადო", „ბრძანა სოლომონ", „მოკვდი მტერო", „ნათლია ჩემი მეწვია", „თამარის დროშა", „ნეტავი გოგო", „თებრონე", „ჰერიო, ბიჭო, „ბახსაო", „ბიჭო და ჰერიო", „გლესავ და გლესავ ნამგალო", „იარეთ ბიჭებო", „ცანგალა", „მაყრული", „სტირიან თუშის ქალები", „მუშებო, თქვენი მარჯვენა" და სხვა მრავალი.

როგორც ვ. ჩაჩანიძე აგვიწერს, ი. გოძიაშვილი სიმპათიური გარეგნობის ადამიანი ყოფილა, ჰქონია არაჩვეულებრივი სმენა. „მე ხშირად მინახავს სიმღერის დროს გუნდს როგორ გააჩერებდა და გამოუძახებდა სწორედ იმას, ვინც არასწორად აღებული ტონით „ჩაშლიდა" სიმღერას. ჯერ თვითონ იოსები სიმღერით ასწავლიდა „ჩამშლელს" — შემდეგ ეტყოდა — აბა, ორივემ ერთად ვიმღეროთ ის ადგილიო, შემდეგ მარტო მას გაამეორებინებდა და ასე გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე საფუძვლიანად არ დაამუშავებდა ხმას, იგონებს ვ. ჩაჩანიძე.

ი. გოძიაშვილი ძალიან ღარიბად ცხოვრობდა ერთ სართულიან ბანიან, ძველი შენობის პატარა ოთახში. ჰყავდა მოხუცი დედა და ორი ძმა—ილია და ნიკო. ამ ბანიან სახლში ოდესღაც ცხოვრობდა ქიზიყელი გლეხი, მეფის ნაცვლის სტამბის მუშა ალ. გოძიაშვილი. ალექსანდრეზე ამბობენ, რომ როცა ის ჰიაანთ ტყეში ურმულს წამოიწყებდა, მისი წკრიალა ხმა ვაქირში ჩამოდიოდაო. ამიტომ გასაკვირი როდი იყო, თუ მის შვილებსაც სიმღერა გაიტაცებდა. ტკბილჰანგოვანი სიმღერებით ხიბლავდნენ მსმენელთ ამ ოჯახის წევრები სოფიო და თამარ გოძიაშვილები.

ალექსანდრეს ვაჟიშვილები ნიკო, ილია და იოსები სცენისაკენ მიილტვოდნენ. ახალგაზრდებს უყვარდათ სიმღერა, ცეკვა. იოსები გიტარაზე, ილია კი მანდოლინაზე უკრავდა. ორივე ძმის აკომპანიმენტზე ტემპერამენტით ცეკვავდა ნიკო. პატარა იოსებს სიმღერა-გალობა ბავშვობიდანვე უყვარდა. ექვსი წლისამ დაიწყო გალობა წმინდა მარინეს ეკლესიაში კოტე ჩარკვიანთან, შემდეგ სემინარიაში — მღვდელ კარბელაშვილთან, ბოლო დროს სანდრო და მიხეილ კავსაძეებთან და მ. ლაბაძესთან პირველი ადგილი ეჭირა. მიხეილ კავსაძის ძველ გუნდში გამგეობის წევრიც კი იყო.

ხალხის გასათვითცნობიერებლად იმართებოდა დილები, ქართველი მოღვაწეები კითხულობდნენ ლექციებს, რის შემდეგ ეწყობოდა კონცერტები. ესწრებოდნენ ხელოსნები, მუშები და სხვა დაბალი ფენის წარმომადგენლები.

ი. გოძიაშვილი, თავისებური ქველმოქმედი იყო. მიუხედავად სიღარიბისა,

იგი არასოდეს ცდილობდა თეატრის შემოსავლით გაეუმჯობესებია საკუთარი ოჯახის ეკონომიური პირობები. კმაყოფილდებოდა იმითაც, თუ კონცერტის შემოსავალი თეატრის ხარჯებს ფარავდა.

ი. გოძიაშვილის გუნდი დიდი პოპულარობით სარგებლობდა მსმენელთა შორის. ამიტომაც იყო, რომ მსურველები კონცერტის ბილეთებს არც თუ თავისუფლად შოულობდნენ სალაროში, თუმცა ი. გოძიაშვილი ნაცნობ-მეგობრებს, გუნდის წევრებს უფასოდ ურიგებდა.

ერთ დღეს, გოძიაშვილმა სხვებთან ერთად გუნდის ორ წევრს ოლღა და ბაბალე ჩაჩანიძეებს ექვსი ბილეთი მისცა უფასოდ მორიგ კონცერტზე, რომელიც კვირა დილისათვის იყო დანიშნული, რადგან კვირაობით სახელოსნოები არ მუშაობდა, ჩაჩანიძეების ოჯახმა გადაწყვიტა კონცერტზე წასულიყო. თან ფიროსმანაშვილიც მიიპატიჟეს, რომელიც მათ ოჯახში ხშირად დადიოდა.

მეორე დილით იოსები თავისი ოთხი ვაჟიშვილით 9 საათი იქნებოდა სახელოსნოში რომ მივიდა. 10 საათზე ფიროსმანიც მოვიდა. ტრამვაით გაემგზავრნენ სახალხო სახლისაკენ. თეატრის კიბეებზე აუარებელი ხალხი იდგა, ყველა ბილეთი გაყიდული იყო.

მალე გაისმა მესამე ზარი, აიხადა ფარდა. გამოჩნდა სცენა, რომლის შუაში მაგიდის ირგვლივ სამი კაცი იჯდა. ესენი იყვნენ: პეტრე მირიანაშვილი „(აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტოს ავტორი), კოტე ფოცხვერაშვილი (კომპოზიტორი) და ვალერიან გუნია (მსახიობი). კოტე ფოცხვერაშვილმა, რომელიც თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა, მოხსენებისთვის „ქართული სიმღერა-გალობანი“ სიტყვა პეტრე მირიანაშვილს მისცა. მომხსენებელმა საინტერესო ამბები გაიხსენა ქართული საერო და სასულიერო გალობათა ისტორიიდან.

ფიროსმანი დაძაბული უსმენდა მომხსენებელს. იგი აღტაცებით ელაპარაკებოდა ი. ჩაჩანიძეს და ივანე აბაევს, იმეორებდა მომხსენებლის სიტყვებს, რომლებიც კახურ სიმღერებს ეხებოდა. ფიროსმანი ასახელებდა იმ გლეხთა გვარებს, რომლებიც მომხსენებლის მიერ ჩამოთვლილ სიმღერებს მის სოფელ მირზაანში კარგად ასრულებდნენ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კონცერტი. ქალთა გუნდის მიერ შესრულებული იყო „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, „სტირიან თუშის ქალები“, ქართველო, ხელი ხმალს იკარ“ და სხვ. სიმღერებმა მაყურებელი ძლიერ აღაფრთოვანა და მიუხედავად იმისა, რომ პარტერში ბოქაული იჯდა, მსმენელნი პათეტიკით ეგზალტირებულნი მხურვალე ტაშს უკრავდნენ და ბოქაულის ყოფნას ვერც კი ამჩნევდნენ.

კონცერტი ყოველთვის „ცანგალა და გოგონათი“ მთავრდებოდა. იმ დროს ეს სიმღერა, დამშვენებული ქართული ცეკვით დიდი პოპულარობით სარგებ-

ლობდა ახალგაზრდობაში. საგუნდო საქმეში ი. გოძიაშვილს მხარს უმშვენებდნენ და ეხმარებოდნენ მისი უმცროსი ძმები — ილია და ნიკო, ეს ორი ახალგაზრდა გუნდის სული და გული იყო. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ილია (სახელგანთქმული მომღერლის მარეხ გოძიაშვილის მამა).

ილია უნაკლო, ჭაბუკური სილამაზის ახალგაზრდა იყო, თავის ტოლ-ამხანაგებში გამოირჩეოდა უბადლო ხმით, სიმკვირცხლით, კეთილგონიერებით, ზრდილობითა და თავდაჭერილობით. ძალიან უხდებოდა წითელი ხავერდისაგან შეკერილი ქართული ქულაჯა, ბეწვით შემკობილი. ამ ქულაჯაში იგი ზღაპრულ რაინდს ჰგავდა. გარდა შესანიშნავი ხმისა, ვირტუოზულად უკრავდა მანდოლინასა და ფანდურზე, თან მოხდენილად ცეკვავდა. ილია მაშინდელ ჭაბუკთა შორის სილამაზის ეტალონად იყო აღიარებული.

ქართული სიმღერების მოსმენამ ძლიერ გაახალისა ფიროსმანი და იოსები, და ივანეც. ისინი ხშირად უკრავდნენ ტაშს. გახარებული ფიროსმანი წამდაუწუმ ეუბნებოდა იოსებს და ივანეს — რა კარგი ჰქენით, რომ წამომიყვანეთ, რა ბედნიერებაა ამის ნახვა და მოსმენა. ახლა ჯერი „ცანგალა და გოგონას" სიმღერაზე მიდგა. ტრადიციის მიხედვით, ცანგალა და გოგონას სიმღერაზე ცეკვა იწყება. ტაშს მხოლოდ სცენაზე მომღერალი გუნდის წევრები უკრავენ. აქ კი ექსტაზში შესული მაყურებელი და მათ შორის ფიროსმანიც, ტაშის დაკვრაში აყვნენ მომღერლებს. ამრიგად, დარბაზში მსხდომნიც სცენის მონაწილენი გახდნენ. კონცერტი დასასრულს უახლოვდებოდა, რამდენადაც ფარდა დაბლა ეშვებოდა, იმდენად ტაში ძლიერდებოდა. აშკარა იყო, რომ იოსებმა და მისმა გუნდმა ხალხში დიდი მოწონება დაიმსახურა. იოსები და ილია ხალხმა რამდენჯერმე გამოიყვანა რამპასთან.

ისმოდა შეძახილები — „ცანგალა და გოგონა!" — ბის! ბისს! შეძახილებს ბოლო არ უჩანდა. იოსები იძულებული გახდა თავის დაკვრით მაყურებლის მოთხოვნაზე თანხმობა გამოეცხადებინა. ფარდა აიხადა. მოცეკვავემ გუნდის ერთ-ერთ მომღერალ ქალიშვილს თავი დაუკრა და საცეკვაოდ გამოიწვია. ილიას სრულიად არ ეტყობოდა დაღლა, ფეხებს ისე ელვისებურად უსვამდა, გეგონებოდა იატაკს არ აკარებსო. აღტაცებულმა ფიროსმანმა ხმამაღლა დაიძახა — „ამ დალოცვილს ფეხის თითებიდან ნაპერწკლები სცვივაო". — აი, მოცეკვავე ამას ჰქვია დაუდასტურა ი. ჩაჩანიძემ. კონცერტი დამთავრდა.

იოსები და ფიროსმანი მივიდნენ იოსებ გოძიაშვილთან. იოსებმა თავი გააცნო როგორც მისი მამის ამხანაგმა. იოსებს ძლიერ გაეხარდა ი. ჩაჩანიძის გაცნობა. ფიროსმანმა შეაქო კონცერტი და დასძინა — „რა კარგი გუნდი გყავს, ძლივს არ მოვისმინე კახური სიმღერები, რა ყოჩაღი ყოფილა თქვენი ძმა, ნამდვილად ქების ღირსია".

ნიჭიერი ლოტბარი იოსებ გოძიაშვილი ბევრ სარგებლობას მოუტანდა სიმღერა-გალობის საქმეს, მაგრამ მოულოდნელმა სიკვდილმა აღარ აცალა.

1915 წლის 21 მაისს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 28 წლის ასაკში გარდაიცვალა ეს ნიჭიერი ახალგაზრდა. ი. გოძიაშვილის სიცოცხლის ტრაგიკული დასასრულის საბაბი გახდა მისი გაციება აკაკი წერეთლის დაკრძალვის დროს. აკაკი წერეთლის საპატივსაცემოდ მოვიდა ორივე გუნდი ი. გოძიაშვილის ხელმძღვანელობით. ლოტბარს უხდებოდა ერთიდან მეორე გუნდში გადასვლა, სირბილი, ასეთ ყოფაში გაოფლიანდა, გაცივდა და გარდაიცვალა.

მიუხედავად ხანმოკლე მოღვაწეობისა, ი. გოძიაშვილმა მაინც წარუშლელი კვალი დატოვა ქართული კულტურის ისტორიაში. როგორც ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება" წერს, ი. გოძიაშვილმა „საერთო სიყვარული ლოტბარობით დაიმსახურა".

ნიჭიერ ლოტბართან გატარებულ საინტერესო დღეებს სიამოვნებით იგონებენ ამ გუნდის მაშინდელი წევრები: ნ. ფოცხვერაშვილი, ვალ. ბაკურაძე, ტ. ტოგონიძე, გ. გოძიაშვილი, ერ. ლებანიძე, ი. ხახვიაშვილი, მ. ბექანიშვილი, თ. კლაცმანი, ი. სამადაშვილი.

გამოცემულია მხოლოდ ი. გოძიაშვილის „ლექსები გიტარაზე და ფანდურზე დასამღერებელი". (დანარჩენი ლექსები ერთ-ერთი ჩხრეკის დროს ჟანდარმთა თვალწინ გოძიაშვილის დიდედამ ვითომდა სკოლის რვეულებიაო ცეცხლში გადაყარა).

პოეტი-აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი გულთბილი სიტყვებით იგონებს „გოძიაშვილების მოდგმის", ამ ნიჭიერ წარმომადგენელს. იგი წერს: „მართალია მე ხარფუხელი ვარ, მაგრამ ისანში (ავლაბარში) ხშირად დავიარებოდი არაქსიანის თეატრში სახალხო წარმოდგენების მოსასმენად. აქ გავიცანი ლოტბარი იოსებ გოძიაშვილი, რომელმაც 1913 წელს სახალხო უნივერსიტეტთან პირველად დაარსა მომღერალ ქალთა გუნდი, 50 სულისაგან შემდგარი.

მე არაქსიანის თეატრის ქართული სექციის მოკარნახე ვიყავი და იოსები ჩემი სეხნია, ჩემი პირველი ნაბიჯების მომსწრე იყო. უნდა ითქვას, რომ გოძიაშვილების მთელი ოჯახი ხელოვნების მოყვარულია".[1]

უფროსი ძმის, იოსების გარდაცვალების შემდეგ გუნდს სათავეში ჩაუდგა ილია გოძიაშვილი.

ილია გოძიაშვილი ჭაბუკობის დროიდან უკრავდა მანდოლინაზე, ჯერ კიდევ ბავშვობისას. როცა სამრევლო სკოლაში სწავლობდა, მღეროდა მგალობელთა გუნდში, უკრავდა სალამურზე. გუნდს ხელმძღვანელობდნენ კ. ჩარკვიანი,

---

1 ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება", 1960, № 9, გვ. 30.

ს. ლაპაძე და ნ. სულხანიშვილი. ილია თავის ძმა ნიკოსთან ერთად მონაწილეობდა აგრეთვე მურაშკოსა და არაქსიანის თეატრებში, როგორც სცენისმოყვარე, ასრულებდა გლეხის ბიჭის როლს „არსენაში", შიკრიკს „პატარა კახში", ციხისმეთვალყურეს „სამშობლოში"; შაქროს „მსხვერპლში", პრაპორშჩიკს „სამხედრო ბანაკში" და სხვ.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ, ნაძალადევის თეატრთან ი. გოძიაშვილმა გოგონებისაგან და ვაჟებისაგან ჩამოაყალიბა მომღერალთა გუნდი. გუნდში მიიღო აგრეთვე ძველი მომღერლები, თავისი ძმის, იოსებ გოძიაშვილის მომღერალთა გუნდის მონაწილენი. შ. სანაკრეევი, გ. გოძიაშვილი (ვასო გოძიაშვილის ძმა), ორი თვის განმავლობაში გუნდის წევრებს შეასწავლა სიმღერები და დაიწყო მოგზაურობა გორში, ხაშურში, ბორჯომში, წალვერში, ზესტაფონსა და სხვა ადგილებში. საქველმოქმედო საღამოების მიზანი იყო თანხის შეგროვება ახალი თეატრის ასაშენებლად.

გადიოდა დრო და იზრდებოდა რეპერტუარი, იხვეწებოდა საშემსრულებლო ოსტატობა. გუნდმა დაიწყო გამოსვლა ზუბალაშვილის სახლში, სადაც არსებობდა სხვადასხვა სექციები. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობაში შედიოდნენ გ. ქუჩიშვილი, ელ. შათირიშვილი, ი. გრიშაშვილი და სხვ. გამგეობა ყოველ კვირა დილით მართავდა ლექცია-დივერტისმენტს. დილის პროგრამაში შედიოდა მოხსენება-ლექციები და საკონცერტო განყოფილება. ი. გოძიაშვილის ხელმძღვანელობით გამოდიოდა მომღერალ ქალთა გუნდი. ამ კონცერტებზე გ. ქუჩიშვილი კითხულობდა თავის რევოლუციურ ლექსებს, მოხდენილად ცეკვავდა ი. გოძიაშვილი, ფორტეპიანოზე შესანიშნავად ასრულებდა ვარიაციებს ახალგაზრდა პიანისტი ქალი დურგლიშვილი.

რეპერტუარში იყო: „ქართველო, ხელი ხმალს იკარ"; „ვარადო", „გუშინ შვიდნი გურჯანელნი", „ბრძანა სოლომონ", „ნათლიაჩემი მეწვია", „თამარის დროშა", „შევსვათ წითელი", „თებრონე", „ნეტავი- გოგო", „ბიჭო და პური", „ღმერთო, მეც გადმომხედევი", „გლესავ და გლესავ", „იარეთ, ბიჭებო", „ცანგალა", მუსიკა ილია გოძიაშვილის. „ცანგალაზე" სახასიათო ცეკვას ასრულებდნენ მიხეილ ჭიაურელი, შალვა საკოევი და გიორგი გოძიაშვილი.

საქართველოში იშვიათია ისეთი გვარი, რომელსაც ამდენი ხელოვანი და ხელოვნების თავდადებული მოყვარული მიეცეს. გოძიაშვილების ზოგიერთი წარმომადგენელი საკმაოდ ცნობილია ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

ილია გოძიაშვილის ქალიშვილი მარეხ გოძიაშვილი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტული ტრიოს დამაარსებელი და სოლისტია. თბილისელი მომღერალი, რამდენიმე წელიწადში მსოფლიოს მრა-

ვალ ქვეყანაში გახდა ცნობილი. მარეხ გოძიაშვილის თავისებური, ლამაზი ტემბრის ხმა ისმის რადიოთი, ტელეგადაცემებში, ჩაწერილია გრამფირფიტებზე...

ძველი სცენისმოყვარეთა გადმოცემით გოძიაშვილების ოჯახი რევოლუციურადაც იყო განწყობილი.

აი, რას ამბობს თვით ილია გოძიაშვილი: —ჩვენ ვცხოვრობდით ავლაბარში. მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ დედაჩემმა მუშაობა დაიწყო ადელხანოვის ფეხსაცმლის ქარხანაში. ჩემი უფროსი ძმა იოსები, რომელსაც სემინარია ჰქონდა დამთავრებული — რუსულს კარგად ლაპარაკობდა და სწერდა კიდეც, მაგრამ მას არ იღებდნენ არსად, რადგანაც საეჭვო პირად მიაჩნდათ. ამ სემინარიაში თითქმის ყველა მოწაფე შენიშნული იყო როგორც რევოლუციური მოძრაობის მონაწილე. ი. ჯუღაშვილი-კობაც აქ სწავლობდა თურმე. როგორც მახსოვს, ჩემი უფროსი ძმა იოსები არალეგალური წრის მე-16 რაზმს ხელმძღვანელობდა. მისი წევრები იყვნენ შ. უსეინაშვილი (მეტ სახელად პუშკინა) იოსებ ბურდული (ტელეგრაფისტი), იოსებ ბეჟანიშვილი (სუდიას ეძახდნენ, რადგან სასამართლოში მსახურობდა მწერლად), ს. ბეჟუაშვილი (ფუნიკულიორის დარაჯი), ალ. ჭავჭავაძე (უსაქმური იყო), არსად არ ლებულობდნენ, გიჟი სანდრო, ოსი გიორგი, ხუნხუზა ვანო, გ. ასანიშვილი და სხვები.

ეს რაზმი კრებებს იქვე, ავლაბარში, ივრის ქუჩა № 61 ჩიხში მართავდახოლმე მკითხავ დ. ასანიშვილის ბინაზე, რომლის ვაჟი გ. ასანიშვილიც მონაწილეობდა რაზმში.

მინდა აღენიშნო ერთი გარემოება: რაზმი აქ იმიტომ ბინადრობდა, რომ შესასვლელ-გასასვლელი გზა ხელსაყრელი იყო — მაგალითად: ივრის ქუჩიდან შეხვიდოდი და სრეტენის ქუჩის მხრიდან გამოდიოდი. პოლიცია ვერ მოვიდოდა აზრზე, რადგან, ჯერ ერთი, რომ მკითხავის სახლი იყო, მეორეც სამკითხაო ჰქონდა მოთავსებული სარდაფში, ხუთი კიბე ჰქონდა ჩასასვლელი და იმ ოთახიდან მეორე ოთახში გადიოდა; აქ მკითხავ დიმიტრის წნილის ქვევრები ედგა და ამიტომ აირჩიეს ეს ადგილი შესაკრებად.

ერთ დღეს, ძალიან კარგად მახსოვს, ჩვენს სახლში შაქრო (პუშკინა) უსეინაშვილი, ბურდული იოსები, რომელიც ჩემს გვერდით ცხოვრობდა და სიმონა ბეჟუაშვილი — ყოველთვის ჩვენთან მყოფი, რაღაცაზე საუბრობდნენ. ამ დროს ატყდა ჩოჩქოლი და ყური მოვკარი სიტყვებს — კობა-უნდა მოვიდესო. ჩემმა ძმამ იოსებმა გამაფრთხილა—ამ საღამოს შენ „გარადავოი“ ზაქარიასთან ერთად იმორიგევე და რა წამს გეტყვის—წადი სახლშიო—მაშინვე მეორე ქუჩიდან (სრეტენის) მხრიდან მოხვალ და შემატყობინებო, — ასეც მოხდა.

კობა მოვიდა, კრება ჩატარდა. იმ დღეს არაფერი მომხდარა. ყველაფერმა უმტკივნელად ჩაიარა. ასეთი კრებები მრავალჯერ იმართებოდა. იქვე ახლოს

მდებარე პოლკთან ორი ლურჯხალათიანი ჯარისკაცი მოდიოდა ხოლმე, ჩემს უფროს ძმა იოსებთან, მოჰქონდათ პროკლამაციები და მრავალი ლიტერატურა.

ერთ საღამოს დანიშნულ კრებაზე ჩემმა ძმამ გამაფრთხილა — ილუშა დღეს არ მოსცილდე პოლიციელ ზაქარას, იმასთან იყავი და თუ რაიმე შემთხვევას ექნება ადგილი, შემატყობინეო.

მართლაც ასე მოხდა — დავსეირნობდით მე და ჩემი გამაფრთხილებელი პოლიციელი ზაქრო — ივრის ქუჩაზე.

უცებ მომიბრუნდა და ხმამაღლა მითხრა: წადი სახლში, შენი ძილის დროაო. მე მაშინვე გამოვბრუნდი და ივრის ქუჩიდან ვაცნობე ჩემს ძმას ჩემი მისვლა. კრება მაშინვე დაიშალა და თითო-თითოდ შეუმჩნევლად გაუჩინარდნენ. იოსებს, ჩემს უფროს ძმას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰქონდა არალეგალური წრე —მე-16 რაზმი მესამე რაიონში, რომლებიც თავს იყრიდნენ ჩვენს სახლში.

ჩემთან ერთად გუნდის წევრებს შორის გამოირჩეოდა ერთი კარგი ბანი, ჩემი ბიძაშვილი გიორგი — ვასო გოძიაშვილის უფროსი ძმა. ასევე გამოირჩეოდა სტამბის მუშა სამსონა ბეკურაშვილი. ეს მაგალითი იმიტომ გავიხსენე, რომ ერთ-ერთი ეპიზოდი მეამბნა — გვიამბობს ი. გოძიაშვილი.

მარქსის მოედანზე — არის „ცერკოვნაია ულიცა". ამ ქუჩის და პლეხანოვის კუთხეში იყო ღვინის სარდაფი, სადაც ღვინოს ყიდდა ვინმე ჩიკორა კაცი ნაბდის ქუდით და ვერცხლის ქამრით, რომელსაც „პაყალუსტა სანდროს" ეძახდნენ: თურმე იქ ჩასულა ჩემი გუნდის წევრი სამსონა ბეკურაშვილი ვანო სარაჯიშვილთან ერთად, პურის ჭამა მონდომებიათ. „პაყალუსტა სანდრო" ძალიან პატიოსანი და გულმოდგინე იყო. მაშინვე გაუშალა სუფრა დიდ კასრზე — გვერდზე სამი პატარა კასრი მიუდგა და კახურ ღვინოს შეექცეოდნენ. ცოტა რომ შეზარხოშებულან, პატარა სიმღერაც წამოუწყიათ — მაგრამ მესამე ხმა არ ჰყოლიათ, რადგან „პაყალუსტა სანდროს" სიმღერა არ სცოდნია, ამიტომ სამსონა ბეკურაშვილმა მე გამომიძახა, მიმიყვანა და გამაცნო ვანო სარაჯიშვილი, მშვენიერი ვაჟკაცი. მეც მოვეწონე ვანოს შეხედულობით. გაცნობა და სიმღერა ერთი იყო. პირველად კახური მრავალჟამიერი შევასრულეთ. მაგრად გადამეხვია ვანო და შუბლზე მაკოცა. შემდეგ „ბერიკაცი" ვიმღერეთ. ამას მოჰყვა „თეთრი ბატი", „ჩავუხტეთ და ჩავუხტეთ ბარათაშვილსა" და მრავალი სხვა, მაგრამ ეტყობოდა ვანოს უნდოდა გამოვეცადე სიმღერაში და დამიწყო „ზამთარია". და როდესაც მე პირნათლად შევასრულე მეორე ხმა, აღტაცებაში მოსულმა ვანომ აღარ იცოდა ჩემი ქება როგორ აღენიშნა და ხელმეორედ სპეციალურად შესვა ჩემი სადღეგრძელო, გადამკოცნა და მითხრა: აფსუს, რომ კონსერვატორიაში არა სწავლობო.

ამ ლაპარაკში ვართ გართული და, ვნახოთ, ერთი მილიციელი ჩამოვიდა სარდაფში, — ბიჭოს, ეს რა კარგი პურ-მარილი გაგიშლიათო, უთხრა „პაყალუ-ნტა სანდროს“.

სანდრომ უპასუხა: კახეთიდან ჩამომივიდა სტუმარი და პატივი ეეციო.

— თქვენ არ იცით გარეთ ქუჩაში რა ამბავია, თქვა მილიციელმა — მთელი ხალხი, გამვლელი თუ გამომვლელი ყველა სარდაფის წინ გაჩერებულა და თქვენს სიმღერას კონცერტივით უსმენენო. ასე მივიღე ნათლობა ვანო სარაჯიშვილთან სიმღერაში“.

ილია გოძიაშვილი თავის სამსახიობო ხელოვნებაზე აი, რას გვიამბობს. „ჯერ კიდევ სრულიად გამოუცდელი ახალგაზრდა ვიყავი, როცა დრამატული წრის წევრი გავხდი.

ჩემი უფროსი ძმა იოსები კი ადრევე მოღვაწეობდა მურაშკოს თეატრის ქართულ სცენისმოყვარეთა დასში მსახიობად. დასი იმჟამად ა. ყაზბეგის პიესა „არსენას“ ამზადებდა დასადგმელად. რეჟისორად კი სოსო ივანიძე მუშაობდა. პიესის მზადების დროს აღმოჩნდა, რომ ბიჭის პატარა როლის შემსრულებელი მსახიობი არ ჰყავდათ. ჩემმა ძმამ იოსებმა კი მე წამიყვანა ამ როლის შესასრულებლად და წარმადგინა ივანიძესთან: აი, ჩემი ძმა და გამოიყენეთ პიესაშიო.

რეჟისორმა ამხედ-დამხედა, ვიგრძენი მოვეწონე და დამაკისრა ამ როლის შესრულება. მართლაც მალე დავეუფლე ჩემს ამოცანას და პირნათლად წარვსდექი მაყურებლის წინაშე.

ამის შემდეგ სტატისტად მიმიღეს დასში. ამ დროს წრეში ირიცხებოდნენ ცნობილი სცენისმოყვარეები: მ. ქართველიშვილი, თ. აფხაზიშვილი, დ. რჩეულიშვილი, ნ. საყვარელიძე. ლ. ბაღაშვილი, ი. მჭედლიშვილი, გ. გელიკურაშვილი, ბ. მაისურაძე და სხვები.

წრეში სისტემატურად და დიდი ენთუზიაზმით მიმდინარეობდა რეპეტიციები. იდგმებოდა პიესები: „და-ძმა“, „სამშობლო“, „ღალატი“, „სამხედრო ბანაკში“, „თამარ ბატონიშვილი“ და სხვები. ამ პიესებში მართალია მთავარ როლებში არ გამოვდიოდი, მაგრამ ანსამბლის წარმატებას ხელს უწყობდი.

მაგონდება შესანიშნავი რეჟისორის ს. ივანიძის მამობრივი დარიგება, როგორც რეპეტიციის, ისე კერძო საუბრების დროს. მისი წყნარი, აუჩქარებელი და მიმზიდველი ლაპარაკი ყველას ხიბლავდა“.

□□

როგორც თეატრალური მუზეუმის № 21 საафიშო ფონდში დაცული აფიშები გვამცნობენ, 1913 წლის 20 თებერვალს არაქსიანის თეატრის სცენისმო-

ყვარეებმა წარმოადგინეს ქართველი მსახიობების ქ-ნი ნინო დავითაშვილისა და ბ-ნი ვალ. გუნიას მონაწილეობით ალ. სუმბათაშვილის ხუთმოქმედებიანი ისტორიული დრამა „ღალატი“. (დახატული იყო ახალი დეკორაციები). მონაწილეობდნენ: ნ. დავითაშვილი, მ. გიგოშვილი, ძ. მარგველაშვილი, დ. რჩეულიშვილი, ი. საკოევისა, ბ-ნი ვალ. გუნია, ალ. თავდგირიძე, ნ. მირველოვი, ი. რევაზიშვილი, მ. სარაული, რ. სალაყაია, ს. სულთანიშვილი, ივ. ქიზიყელი, გ. ყანჩელი, ი. გულისაშვილი ჯარისკაცნი, მხლებელნი, შიკრიკნი და ქალების ამალა.

□□

ვალ. გუნია იყო ძველი ქართული თეატრის ერთადერთი ნიჭიერი რეცენზენტი და ამ თეატრის პირუთვნელი მემატიანე. ერთ დროს ვალ. გუნიას პიესებით საზრდოობდა თურმე ქართული თეატრი. არ ყოფილა შემთხვევა, რომ სეზონში ორი-სამი პიესა არ შეემატებინოს და ღარიბი რეპერტუარი არ გაემდიდრებინოს საკუთარი, გადმოკეთებულით თუ ნათარგმნით, ასაზრდოებდა, როგორც თბილისის, ისე პერიფერიის თეატრებს, სახალხო სახლებს, თუ მუშათა კლუბებს. მან დიდი და ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართული თეატრის არსებობასა და წინსვლის საქმეს.

ვალ. გუნიას „და-ძმა“ სამშობლოს სიყვარულს უნერგავდა ქართველობას. გაიოზ ფაღავას მგზნებარე მონოლოგები მალამოსავით ეცხობოდა რეაქციის კლანჭებში მკვნესარე ქართველ ერს. მისივე პიესა „ალლუმი“ ჯანსაღ სიცილს იწვევდა და მეუღლეებს მაკო და ვასო აბაშიძეებს საშუალებას აძლევდა თავიანთი ბრწყინვალე თამაშით დაეტკბოთ მაყურებელი. ვალ. გუნიას „დედისერთა“ ფართო გასაქანს აძლევდა ნატო გაბუნიას დაენახვებინა მაყურებლისათვის თავისი უებრო ნიჭი, იოთამმა ამავე პიესაში შესაძლებლობა მისცა კოტე შათირიშვილს გამოევლინა თავისი ოსტატობა.

მაყურებელს დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ვალ. გუნიას მიერ შესრულებული ადამიას როლი მისივე პიესაში „და-ძმა“, გენერალი „ალლუმში“, საყვარელიძის კოლორიტული სახე „სიძე-სიმამრში“. ასევე მომხიბვლელი ყოფილა მისი ოტელო, მეფე ლირი, სარდალი ვაჩნაძე („ციხის საიდუმლოება“), გრაფ ტრასტი („პატიოსნება“), ბოჩაროვი („მსხვერპლი მსხვერპლისათვის“), ნიკიტა (ლევ ტოლსტოის „მეუფება წყვდიადისა“), ლომოური („მეგობრობა“), ბერსენიევი—„რღვევა“ ეს ხომ მისი აქტიორული შემოქმედების მწვერვალი ყოფილა და ბოლოს მისი გვირგვინი ოთარბეგი „ღალატში“. ვალ. გუნიას ოთარი უფრო მონოლიტური ყოფილა ვიდრე დიდი ა. სუმბათაშვილისა. სუმბათაშვილს სიხარუ-

ლის ცრემლები დაუფრქვევია როცა ვალ. გუნიას შესრულებით ოთარი უნახავს და ასე უთქვამს: „არა ვალიკო, შენზე უკეთესი ოთარი წარმოუდგენელია: მე შენთან რა ვარო". და მართლაც, გუნიას ხავერდოვანი ხმა, გარეგნობა, ქართული სილამაზე, მისი რაინდული გამოხედვა, მისი მგრძნობიარე თამაში ყოველთვის აღაფრთოვანებდა თურმე ყველას, როგორც სცენაზე ისე მის გვერდით მყოფთ, მუდამ ხელთ ეპყრა გამარჯვება, იგი ყოფილა აგრეთვე მსახიობთა ოქროპირი, რომელსაც მუდამ უყვარდა ლამაზად თქმა თუ იგი სინამდვილეს ასახავდა. შავბნელი რეაქციის პერიოდში ხშირად იმეორებდა თურმე ილიას სიტყვებს:

ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში.

ვალ. გუნიამ იცოდა თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ხალხისათვის დედაენაზე წიგნების გამოცემას და სტამბა დაუარსებია. იგი არ დაკმაყოფილებულა ამით და ხალხის გათვითცნობიერების მიზნით საკუთარი გაზეთიც დაუარსებია. ასევე ბევრი ახალგაზრდის გამოვლინებისათვის შეუწყვია ხელი, ბევრს მასთან დაუწყია მუშაობა. განა მას პირველს არ გაუცვნია საზოგადოებისათვის ჩვენი სახელოვანი პოეტი იოსებ გრიშაშვილი, ასევე შეუწყვია ხელი პროლეტარული პოეტის ბეგლარ ახოსპირელისათვის. მის მიერვე მომხდარა გამოსაცდელი წარმოდგენების მოწყობა. აქედან შესძინა მან სცენას ალ. იმედაშვილი, ხოლო ხალხში სწავლა-განათლების შეტანის მიზნით დაუწყია გამოცემა ყოველწლიური ქართული კალენდრის, რომელიც თავისი სისრულით, მასალების შერჩევითა და განლაგებით პატარა ენციკლოპედიას წარმოადგენდა.

სამშობლოს კეთილდღეობისათვის ფეთქავდა თურმე მისი გული და ამიტომაც არ დარჩენილა ისეთი საზოგადოებრივი საქმიანობა, რომ მას დიდი გატაცებით არ ემუშავა.

მემატიანეთა გადმოცემით, საყვარელი ადამიანის, დიმიტრი ყიფიანის ნეშტის გადმოსვენებას და მთაწმინდაზე დაკრძალვას ზღვა ხალხი ესწრებოდა დემონსტრაციის შიშით დამფრთხალი მეფის მთავრობის მოხელენი ცდილობდნენ პროცესიას გოლოვინის პროსპექტზე არ გაევლო. თეთრ ცხენზე მჯდომი, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი 25 წლის ვაჟკაცი — ვალ. გუნია კი მიუძღოდა თურმე პროცესიას და პოლიციელებს ფანტავდა, რათა სამგლოვიარო სვლას გოლოვინის პროსპექტით განეგრძო გზა.

ასევე მიუძღოდა პროცესიას იგი ილია ჭავჭავაძის დაკრძალვის დღესაც. სათვალეებიანი ახოვანი ვაჟკაცი, ამჯერად შავ სერთუკში გამოწყობილი, შავი წამოსასხამით, შავი, მაღალი ცილინდრით, ხელებზე თეთრი ხელთათმანებით, მიდიოდა დინჯი, თანაბარი ნაბიჯით.

„პროცესიის ხელმძღვანელს (ცერემონმაისტერი) ვალერიან გუნიას, გარკვეულ მანძილზე დაშორებით მოჰყვებოდნენ შავ სერთუკში გამოწყობილი წესრიგის დამცველები, რომლებსაც თეთრი ლენტი ეკეთათ მკლავზე, შავი არშიით შემოვლებული... დიდი ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, ვ. გამყრელიძე, ვ. შალიკაშვილი, კ. შათირიშვილი, ს. ივანიძე, ი. ზარდალიშვილი, გ. გედევანოვი, ალ. იმედაშვილი, ი. ყიფიძე, ნ. გვარაძე, დ. მგალობლიშვილი და სხვანი. შემდეგ მოჰქონდათ ნაირ-ნაირი უთვალავი გვირგვინები. გვირგვინები მოჰქონდათ როგორც დარბაისელებს, ისე უფროსი კლასის მოწაფეებს. შემდეგ მოდიოდა ქულაჯებში გამოწყობილი მგალობელთა გუნდი, გუნდის შემდეგ ძვირფას სამოსელში გამოწყობილი სამღვდელოება. სამღვდელოების შემდე თალხებში გამოწყობილ თავხურა მანდილოსნებს პურის თავთავზე დადებული გატეხილი ჩანგი მოჰქონდათ... მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ნატო გაბუნია, ლიზა ჩერქეზიშვილი და სხვანი. სიჩუმეს არღვევდა მგალობელთა გუნდის გულში ჩამწვდომი და ყრუანტელის მომგვრელი სამგლოვიარო „წმინდაო ღმერთოს“ სევდიანი გალობა. ქუჩა მთლიანად მოფენილი იყო მოწაფეების მიერ დაყრილი მწვანით და ნაირფერი ვარდ-ყვავილებით. გამოჩნდა კუბოც... დიდი და პატარა აქვითინდა, გაისმა ქალთა გულიდან ამოხეთქილი ჩუმი წყევლა ვერაგი მკვლელების მიმართ. კუბოს მიჰყვებოდნენ ჭირისუფლები, ჭირისუფლებს მოჰყვებოდა ზღვა ხალხი, რომელსაც დასასრული არ უჩანდა. ეს იყო რაღაც წარმოუდგენელი სახალხო გლოვა, კუბოს გამოჩენისთანავე ხალხი იჩოქებდა და ისე აცილებდა ცხედარს. ცხედარი რომ მამადავითზე აასვენეს, ხალხის ბოლო ჯერ კიდევ პროსპექტზე იყო.

მამადავითის მთის კალთები მთლიანად ხალხით იყო მოფენილი“[1].

□□

მაყურებლის დიდ ოვაციას იწვევდა ვიქტორ გამყრელიძე, რომელიც ხშირი სტუმარი იყო აგრეთვე ავლაბრის სახალხო თეატრებისა.

როგორც აქტიორს, მას სამარადისო ძეგლი დაუდგა ილია ჭავჭავაძემ თავის შესანიშნავ წერილში „ბატონი განყრელიძე სიმონ ლიონიძის როლში“. ვიქტორ გამყრელიძის თამაშით აღტაცებული ილია წერდა:

„მისი თამაში, ამ შემთხვევაში თვით ბუნება იყო, არაფერი მეტი, არაფერი ნაკლები, თავიდან ბოლომდე ერთნაირად, თანასწორად, ფრთხილად და ცოდნით, ნამდვილი გმირის ბუნების შეუბღალავად გაატარა თავისი როლი...“

---

[1] პ. ფ რ ა ნ გ ი შ ვ ი ლ ი, „რაც ვნახე და განვიცადე“, გამომც. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1963, გვ. 23-24.

„პროფესიული თეატრის სულისჩამდგმელი და აღმდგენელი დიდი ილია იშვიათად წერდა რეცენზიებს, და როგორ უნდა მოეხიბლა არტისტს ჩვენი ცხოვრების ეს პირუთვნელი მემატიანე, რომ აეღო კალამი ხელში და თავისი აღტაცება გამოეთქვა. ვიქტორ გამყრელიძე სწორედ ისეთი აქტიორი იყო, რომ ნახვისთანავე გიპყრობდა და გხიბლავდა თავისი ბუნებრივი და მხატვრული, გამართული თამაშით. ილიაც მოხიბლა ვიქტორმა სვიმონ ლიონიძის როლის განსახიერებით და ამიტომ უძღვნა მსახიობს ზემოხსენებული შესანიშნავი წერილი.

რით ხიბლავდა ასე მაყურებელს ვიქტორ გამყრელიძე? პირველყოვლისა შესანიშნავი ხავერდოვანი, გულში ჩამწვდომი ხმით, შესანიშნავი დიქციით, მეტყველებით, ბრწყინვალე გარეგნობით, შინაგანი ცეცხლით, სიმართლით და თამაშის ბუნებრიობით.

ვიქტორ გამყრელიძე იყო კოტე ყიფიანის ღირსეული მემკვიდრე. ქართული თეატრის ისტორიიდან ვიცით, რომ სვიმონ ლიონიძის იშვიათი სახე პირველად კოტე ყიფიანს განუსახიერებია. როდესაც კოტე ყიფიანი ხანდაზმული შეიქმნა და ეს როლი გამყრელიძისათვის გადაულოციათ თვითონ კოტე აღტაცებული დარჩენილა და განუცხადებია, „საუცხოოა, საუცხოოაო“...

„განა როდისმე დაივიწყებთ დარბაისელ სიმონ ლიონიძეს და მის გულიდან ამონაკვნეს ფრაზას, როცა ის ლევან ხიმშიაშვილს მიმართავს:

— „მაშ, წადი და მაგათი ჯავრი ამომყარე. რადგან ბედნიერება წამართვი — თავისუფლება მომანიჭე. ცოლი, რომ მომტაცე — სამშობლო დამიბრუნე“[2].

საინტერესოა, რა ვითარებას გამოუწვევია ილიას ეს წერილი. ამის შესახებ თვითონ მსახიობი ვიქტორ გამყრელიძე ფართო საზოგადოებისათვის უცნობ, თავის მოგონებაში „ნაწყვეტი წარსულიდან“ მოგვითხრობს:

„1892 წელს იანვრის გასულს ჩამოვედი თბილისში, სეზონში არ ვიყავი, რადგან ვერ მოვრიგდით, ქართულ სცენაზე „სამშობლოში“ სვიმონ ლიონიძის როლს სულ მუდამ კოტე ყიფიანი ასრულებდა. მისი თბილისში არ ყოფნის დროს, ე. ი. 1892 წ. „სამშობლოსათვის“ რეჟისორმა ნ. ავალიშვილმა მე გამომიძახა. რასაკვირველია დავთანხმდი. სახლში რომ დავბრუნდი, ვალ. გუნიას რეჟისორისთვის გული შეეცვალა: მაგ როლის შესრულებას გამყრელიძე ვერ შეძლებსო, — ისევ მე ვითამაშებო. რეპეტიციაზე რომ მივედი, — დიდი ბოდიშით, დადიანის როლი მომცეს. მე უჩუმრად დავთანხმდი, გულში კი გავიფიქრე: „როდისმე ჩამივარდება ეს როლი ხელში და გაჩვენებთ, როგორც უნ-

---

[1] ა ლ. ბ უ რ თ ი კ ა შ ვ ი ლ ი, სცენის ოსტატები, გამომც. „ხელოვნება“, 1951, გვ. 68—69.
[2] იქვე, გვ. 69—70.

და თამაში-მეთქი“. მართლაც 1892 წ. დიდ მარხვაში ქართულ დასს სათავეში ჩაუდგა მაკო საფაროვა — (მისი ანტერპრიზა იყო). დააპირა „სამშობლოს“ დადგმა. მითხრა: ვიქტორ, იმათ ხომ არ განდეს ეგ როლი — მე გენდობი და, აბა, შენ იცი. სიხარულით ვიკისრე, გათენდა წარმოდგენის დღეც. მე ძალიან ვღელავდი.

წარმოდგენის ღამეს ილია ჭავჭავაძეს და ნიკო ხიზანიშვილს მოეწადინებინათ „სამშობლოზე“ მოსვლა. საზოგადოდ, ილია ძალზე იშვიათად დაიარებოდა თეატრში. მოვიდნენ. გაიხადეს პალტოები და შევიდნენ ლოჟაში. როცა გაიგეს, რომ სიმონ ლიონიძის როლს კოტე ყიფიანის მაგივრად მე ვასრულებდი, ილიამ მაშინვე მოითხოვა პალტო და დააპირა უკან გაბრუნება. ნიკო ხიზანიშვილმა შეაჩერა: „დაიცა, კაცო, პირველი მოქმედება ვნახოთ და თუ არ მოგეწონება, მაშინ წავიდეთო“. აიხადა ფარდა, გამოვედი სცენაზე დავიწყე თუ არა — ილიამ ჯერ ერთი სახელო გაიხადა, მერე მთლად გაიძრო პალტო და ბოლომდის გულმოდგინეთ მოისმინა, რაც იშვიათი იყო მის ცხოვრებაში. რამდენად ნასიამოვნები იყო ილია, იმაზე შეეტყო, რომ წარმოდგენის დამთავრების შემდეგ თეატრიდან არ წავიდა, ვიდრე კიდევ არ გამომიძახეს სცენაზე, თუმცა მეხუთე აქტში სრულებით არ ვიყავი. მეორე დღეს გზაში შემხვდა ნიკო ხიზანიშვილი და მითხრა: „ილია დიდად აღტაცებულია შენი თამაშით და ვრცელ რეცენზიასაც წერსო“[1].

ასევე ღრმა კვალს ავლებდა მაყურებელში თურმე ი. გედევანიშვილის „მსხვერპლში“ ვ. გამყრელიძის გაბუას გულიდან ამონაკვნესი ფრაზა „ცოდოა, ხალხო, ცოდო, დიდ ბრალსა ვდებთ!

ნიკო გოცირიძის თქმით: მხოლოდ ორი მსახიობის მიერ წარმოთქმული ფრაზა ჩამრჩა მეხსიერებაში. ეს არის მაკო საფაროვას ერთი თქმა — „მრცხვენიან, ღმერთმანი“ ვალ. გუნიას ვოდევილში „ადვოკატთან“ და ვიქტორ გამყრელიძის „ცოდოა ხალხო, ცოდოა!“ ი. გედევანიშვილის „მსხვერპლში“.

ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“ ორი მსახიობის ვ. გამყრელიძის (გაბუა) და გ. არადელ-იმნელის (გიგო) მეოხებით ტრაგიკულ მწვერვალებს აღწევდა.

ასევე შთამბეჭდავად ანსახიერებდა ვ. გამყრელიძე თურმე ვანო ფანტიაშვილს „ხანუმაში“, ციმბირელს, ხან კავკაველ პეტუას „ციმბირელში“, გიჟუას, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავში“: ასევე დაუვიწყარი ყოფილა მისი პეპო სუნდუკიანის „პეპოში“. ვიქტორი არასოდეს ღალატობდა სიმართლეს. და პეტუას, გიჟუას, პეპოს ისეთ სახეებს ჰქმნიდა, როგორც ეს ავტორებმა ჩაიფიქრეს. ასევე

---

[1] ჟურნ. „თეატრალური მოამბე“, 1969, № 2, გვ. 7.

საინტერესო სახეები შეუქმნია გამყრელიძეს კლასიკურ პიესებშიც, შეილოკი „ვენეციელ ვაჭარში", დესილვა „ურიელ აკოსტაში", მისი ერთ-ერთი საყვარელი როლები ყოფილა.

□□

ავლაბრის მუშათა თეატრის გამგეობას 1906 წელს კოტე ყიფიანი მოუწვევია საგასტროლოდ დ. ერისთავის „სამშობლოში". პიესის რეჟისორობაც მისთვის მიუნდვია, საერთოდ კ. ყიფიანი ხშირად ეხმარებოდა თურმე სცენისმოყვარეებს და სრულიად უსასყიდლოდ იღებდა მონაწილეობას მათს სპექტაკლებში.

„როდესაც მუშათა მოძრაობის აღმავლობის გავლენით ოთხმოცდაათიან წლებში სახალხო თეატრი შეიქმნა, კოტე ყიფიანს გამოუჩენია თავისი საუკეთესო მისწრაფება ხალხის სამსახურისადმი. ის ერთ-ერთი პირველი პროფესიონალი მსახიობი იყო, რომელიც აქტიურად ეხმარებოდა ამ თეატრს. ამიტომაც იყო, რომ მისი იუბილე 1914 წელს პროფესიულ თეატრთან ერთად ზეიმით აღუნიშნავს სახალხო თეატრებსაც. საიუბილეო საღამოები გაუმართავთ სახალხო სახლში და ნაძალადევის თეატრში. ამ იუბილეზე ავჭალის აუდიტორიის პირველი მუშა-სცენისმოყვარენი იუბილარს სწერდნენ: „...დღეს სახალხო თეატრს სურს მადლობა გადაუხადოს თავის ძვირფას მასწავლებელს, რომელიც მუდამ, ტირილშიც და ლხინშიც მისი დაუზარელი მოკეთე იყო. ასევე მიმართეს იუბილარს ნაძალადევის მუშა-სცენისმოყვარეებმა: „ჭაბუკური აღფრთოვანებით მხარში გვიდექით ნაძალადევის სცენისმოყვარეებს. დაუზარლად იღებდით მონაწილეობას აქ გამართულ წარმოდგენებში და თქვენის მაგალითით ჩვენც გვამხნევებდით, გვაქეზებდით"[1].

კოტე ყიფიანი და მისი და ელენე სამოცდაათიან წლებში ქართველ ხალხოსანთა არალეგალური მოღვაწეობის მონაწილენიც ყოფილან. იგი სახალხო საქმისათვის თავდადებაზე მოუწოდებდა მსახიობებს, რის გამოც კოტე ყიფიანი დაუპატიმრებიათ და გორის ციხეში მოუხდია სასჯელი. იგი წერდა, რომ არტისტი — ხალხის მოძღვარიაო. თვითონ საუკეთესო მაგალითი იყო უანგარო მოღვაწეობისა ხალხის საკეთილდღეოდ და სასარგებლოდ.

„კოტე ყიფიანმა კარგად იცოდა თეატრალური ხელოვნების უაღრესად დიდი მნიშვნელობა ხალხის განვითარებისათვის. ოთხმოცდაათიან წლებში ჟურნალ „ივერიაში" გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში იგი წერდა: „თეატრი არის ცხოვრების ასპარეზი, რომელზედაც თვით ცხოვრება შენ თვალწინ წარმოებს, ცხადად და აშკარად დაიხატება. თეატრში წარმოდგენილი რამ ამბა-

[1] ჟურნ. „თეატრალური მოამბე", 1969, № 2, გვ. 33.

ვი თვალით დასანახია და ყურით სასმენელი, მგრძნობიერი. ამიტომაც არის თეატრი საუკეთესო სკოლა, სასწავლებელი ხალხისათვის... თეატრი არის საერო სამსჯავრო“[1].

კოტე ყიფიანის სახით ქართულ თეატრს ჰყავდა ნიჭიერი, გულმოდგინე, მუყაითი და თავისი საქმის უაღრესად მოყვარული სცენის ოსტატი. ნახევარი საუკუნე ემსახურებოდა კოტე ყიფიანი თავის საყვარელ საქმეს და ამ ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში მრავალი შესანიშნავი სცენური სახე შეუქმნია. იგი სახასიათო როლების დიდი ოსტატი იყო და თანაბარი ნიჭიერებით ასრულებდა თურმე როგორც დრამატულ, ისე კომიკურ როლებს. ვალ. გუნია თავის საინტერესო წიგნში „ქართული თეატრი 1879—1889 წ“., ხაზგასმით აღნიშნავდა რა კოტე ყიფიანის სასცენო მოღვაწეობას, წერდა: ძნელად გამოვა არტისტი, რომ ერთის და იმავე ხელოვნებით და ბუნებრივის სიმართლით ითამაშოს დრამატული და კომედიური როლები, ბებრები და ახალგაზრდები. ამ შემთხვევაში კოტე ყიფიანი სრულიად არაჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ჩვენს სცენაზე“. კოტეს მანერებით და თამაშით მოხიბლული დიდი მსახიობი მაკო საფაროვა-აბაშიძისა წერდა: „მე ჩემს სიცოცხლეში სცენაზე ისე არ დამიკარგავს თავი, რომ ჩემი როლი დამვიწყებოდეს, მაგრამ იყო ასეთი მაგალითი: კოტე თამაშობდა ჟან-ბოდრის და მე მის ქალს. ერთ მოქმედებაში კოტე შემოდის სცენაზე, მეც იქვე იმის ქალის როლს ვთამაშობ, ისე გამიტაცა, კოტეს თამაშმა, თუმცა უსიტყვომ, რომ კინაღამ დამავიწყდა ჩემი სცენაზე ყოფნა და ასე შევძახე: „კოტე რა მშვენივრად თამაშობ-მეთქი“. ისეთი მედიდური მიმოხვრა ჰქონდა, ქუდი იმნაირად დასდო მაგიდაზე და ისე შემომხედა, რომ ბევრი მრავალმეტყველება ვერ იტყოდა იმას, რაც ამ ერთი მოძრაობით გამოხატავა“ [2].

კ. ყიფიანის მიერ შესრულებული როლებიდან გამოირჩევიან: სვიმონ ლიონიძე (დ. ერისთავის „სამშობლო“). ოტია ჯოლია (ვალ. გუნიას „და-ძმა“), გივი, (ა. წერეთლის „პატარა კახი“), კონსტანტინე (ა. ყაზბეგის „კონსტანტინე ბატონიშვილი“), გიქო და ზიმზიმოვი (გ. სუნდუკიანის „პეპო“), ოსეფ (გ. სუნდუკიანის „დაქცეული ოჯახი“), ზამბაროვი (გ. სუნდუკიანის „ხათაბალა“), ივანე უსტამბაში (ავქს. ცაგარლის „ციმბირელი“), ფამუსოვი (ა. გრიბოედოვის „ვაიჭკუისაგან“), გოროდნიჩი (ნ. გოგოლის „რევიზორი“), ანანია (ა. სუმბათაშვილის „ღალატი“), ლირი (უ. შექსპირის „მეფე ლირი“), შეილოკი (უ. შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“), სკაპენი (მოლიერის „სკაპენის ოინები“) და სხვ. ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ლირი და ზიმზიმოვი, ივანე უსტამბაში და ანა-

---

[1] ჟურ. „თეატრალური მოამბე“, 1964, № 2, გვ. 32.

[2] ალ. ბურთიკაშვილი, სცენის ოსტატები, გამომც. „ხელოვნება“, 1951, გვ. 232.

ნია, სკაპენი და გიქო, სვიმონ ლიონიძე და ზამბაროვი, მაგრამ მიუხედავად ამ სხვაობისა, მსახიობი ყოველ როლს თურმე დიდი მხატვრული ოსტატობით ასრულებდა. ყოველი მათგანი ბუნებრიობით და რეალისტური სიმართლით გამოირჩეოდა.

□□

ავლაბარ-ხარფუხის სახალხო თეატრების სცენაზე ხშირი იყო ქართველი პროფესიული მსახიობების გამოსვლა. ვასო აბაშიძის, ლადო მესხიშვილის, ვალერიან გუნიას, კოტე ყიფიანის, კოტე მესხის, ნუცა ჩხეიძის, ელისაბედ ჩერქეზიშვილის და სხვათა მონაწილეობა სახალხო თეატრების სცენაზე დადგმულ სპექტაკლებში ნამდვილ ტრიუმფს წარმოადგენდა.

ავლაბრის სახალხო თეატრებში, სხვა პროფესიონალ მსახიობებთან ერთად დიდი ამაგი მიუძღვის ელისაბედ ჩერქეზიშვილსაც. იგი მუშა-მსახიობებთან ერთად ხშირად გამოდიოდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში. ამას ადასტურებენ თეატრალურ მუზეუმში არსებული აფიშა-პროგრამები.

ელ. ჩერქეზიშვილი მუშაობდა ყველგან და ყველასთან, სადაც კი სცენა დაიდგმებოდა და ფარდის ნაცვლად ზეწარი გაიშმებოდა, — ოღონდ სინათლის სხივი შეეტანა ხალხში.

ყველასათვის ნათელია ის ფაქტი, რომ ძველად მსახიობს არავითარი გასამრჯელო არ ეძლეოდა და დიდ ეკონომიურ გაჭირვებასაც განიცდიდა, თეატრის შემოსავალი ხარჯს ვერ ფარავდა. ჩვენი მსახიობების ასეთი თავდადება კი გამოწვეული იყო მხოლოდ ეროვნული საქმის სიყვარულით.

როცა ხანუმას როლს ნატო გაბუნია ასრულებდა, ელ. ჩერქეზიშვილი თამაშობდა სარას როლს. ამ როლის შესრულების დროს ელისაბედი იცავდა თურმე ყოველ დეტალს ბებრუხუნა დიდედის ნიშანდობლივი თვისებებისას და დიდ შთაბეჭდილებასაც ახდენდა. ტახტზე მოკეცილი ჩიფჩიფა ლაპარაკით აკოფასთან (ვასო აბაშიძე) თურმე შემოქმედებით მწვერვალს აღწევდა. მისი ბუნებრივი თამაშით მოხიბლულ დიდ მსახიობ ალ. სუმბათაშვილს უთქვამს: ჩვენი ლიზას თამაშში, მისი სარა შესანიშნავია. როდესაც ტახტიდან ჩამოვიდა, ქოშები ჩაიცვა და წელში მოხრილმა გაიარა, ისეთი რეალური, ბუნებრივი იყო მისი სარა, რომ მე ცხადად თვალწინ წარმომიდგა ბებიაჩემი ქეთევანი.

შეუდარებელი ყოფილა ელ. ჩერქეზიშვილის მადამ ფროშარიც „ორ ობოლში“, მამიდა „სტუმარ-მასპინძელში“, ნენე „მზის დაბნელება საქართველოში“, გალჩიხა „უდანაშაულო დამნაშავენში“, კეკელა „გაცრუებულ იმედებში“. ხორეშანი „ჩატეხილ ხიდში“, ელისაბედი „ჯერ დაიხოცნენენ, მერე იქორწინეში“ და სხვ.

ელისაბედი ასევე ხშირი სტუმარი იყო დაბა-სოფლებისა. განა არის საქართველოში ისეთი კუთხე, სადაც ელისაბედის თამაშს არ მოეხიბლოს მაყურებელი. მისი თამაშით აღტაცებული „ცნობის ფურცლის“ რეცენზენტი 1886 წელს წერდა: „...ელისაბედ ჩერქეზიშვილი თამაშობს ეგრეთ წოდებულ „კომიკურ ბებერი ქალების როლებს“ და მის საქებრად უნდა ითქვას, რომ საუცხოოდ ასრაულებს ხსენებულ როლებს. ნ. გაბუნია-ცაგარლის შემდეგ ბადალი არა ჰყავს ქართულ სცენაზე ამ როლებში“...

ელ. ჩერქეზიშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის თავის გამო 1915 წლის 19 დეკემბერის „თეატრი და ცხოვრება“ წერდა: ...„ოცდა ათი წელიწადია, რაც ელ. ჩერქეზიშვილი სამშობლოს სცენას ემსახურება და მერე როგორ ემსხაურება?

უკანასკნელ ათიოდე წლის განმავლობაში მაინც მისი პირადი ცხოვრება ისეთ გარემოში მოექცა, რომ სხვა ვერც კი აიტანდა: სახლის ჩხრეკა, შიში, ქალის დაჭერა — მისი გასამართლება-გაციმბირება (პოლიტიკურ საქმეზე), ქმრის, ცნობილი მოღვაწე — მწერლის ნ. ხიზანიშვილის (ნ. ურბნელის) ვერაგულად მოკვლა, და ჩვენი ლიზა ქ-ნი ელისაბედი მაინც სამშობლო მელპომენის ტაძარს არ განშორებია: უბით უტარებია პირადი ტანჯვა, ხოლო გულით სამშობლო სცენის სიყვარული!.. დილა-შუადღით რომ საკუთარ ჭირ-ვარამს იოხებდა, სასამართლო-ციხეში დადიოდა ქალის მისაკითხავად, საღამოს სცენაზე გამოდიოდა რომ წარმოდგენა არ ჩაშლილიყო... მისი ნიჭიერებისა და მაღალი ხელოვნების შესახებ ხმაშეწყობილად აღიარებენ „ივერია“, „კვალი“, „ცნობის ფურცელი“ და სხვ.

„განსაკუთრებით საუცხოოა ქ-ნი ჩერქეზიშვილი — წერს 1897 წლის „ივერია“ — ასეთ რეალურსა, მოფიქრებულ თამაშობას იშვიათად შეხვდება კაცი იმ არტისტ ქალთა შორისაც კი, რომელთაც მთელ რუსეთში დიდი სახელი მოუხვეჭიათ... ამ არტისტ — ქალს (ჩერქეზიშვილს) დიდი ხანია დამსახურებული აქვს სახელი ჩვენს საზოგადოებაში და სრულიად სამართლიანადაც. თუ ქ-ნი ჩერქეზიშვილისა გუნებაზეა, თუ კარგად არის მომზადებული, ყოველთვის მშვენივრად ასრულებს როლებს, შეგნებითა და გაგებით გვისურათებს ამა თუ იმ გმირს“ („1897. № 226)“.

„ქ-ნი ჩერქეზიშვილისა მართლაც ნიჭიერი არტისტი ქალია? საკვირველი ალღო აქვს ამ არტისტ — ქალს როლის შეგნებისა და ტიპის გაპიროვნებისა. დალოცვილი იმითაა ხელოვანი, რომ ყველა მოხუცებულს სულ სხვადასხვა ფერსა სდებს და მათ დახატვაში განსხვავება შეაქვს“ („ივრია 1897.).

„ქ-ნი ჩერქეზიშვილისა შეუდარებელი იყო... სწორედ რომ აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება თავისი გონივრულის თამაშით. სწორედ საქებარია და

შესაბამია ის დაკვირვება, რომელიც მას გამოეჩინა იმ გვარ ტიპების შესასწავლად, რომლის დამხატველადაც იგი სცენაზე გამოვიდა. არავითარი გადამეტება და ნაკლი არ ეტყობოდა“... („ცნობის ფურცელი“, 1898, № 453).

ასეთივე ქება-დიდებით იხსენიებდა „კვალში“ მაზაკვალი (გ. წერეთელი) და ბოლოს დასძენდა:

„დიდი მადლობის ღირსია, ელისაბედ ჩერქეზიშვილისა, რომელმაც თავის მსახიობურ ნიჭთან ერთად კიდევ ერთი კარგი მარგალიტი შესძინა, ჩვენ ვოდევილებს შორის ქართულ თეატრს („სამოცი წლის არშიყზე“ წერს).

დიახ, გარდა მსახიობისა, ელ. ჩერქეზიშვილი მწერალიც არის და მისი ნაწერები გაზ. „ივერიაშია“ გაბნეული.

და ამ დამსახურებულ მსახიობ-ქალს ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობის გადაწყვეტილებისამებრ მომავალ იანვარში უმართავენ საზეიმო დღესასწაულს — 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავ საღამოს.

მართალია, დღეს ჩვენი ქვეყანა ძაძითაა მოსილი, მრავალი გაჭირვება კარს გვიკაკუნებს და დღეს არ ვიცით, ხვალ ჩვენი ბედი როგორ შეიცვლება. მაგრამ ასეთ მდგომარეობაში კიდევ უფრო მეტის მონდომებით უნდა გადავიხადოთ ხელოვნების გამარჯვების დღესასწაული და, იმედია, ქართველი საზოგადოება, მასთან ყველა ის, ვინც ხელოვნებას პატივსა სცემს, ერთ საზეიმო საღამოზე მაინც გადაუხდის მადლობას იმ მოღვაწე ქალს, რომელიც მთელი 30 წელიწადი ხელოვნების ტაძარში ჩვენს ამაღლებას ემსახურებოდა: გულით ტირებოდა, პირადად კი ჩვენს მანკიერებას დასცინოდა, საკუთარი ვარამი გულს უთუთქავდა, ჩვენს საამოდ კი ხითხითებდა...

ელისაბედ ჩერქეზიშვილის 30 წლის მოღვაწეობის იუბილეც ხომ ამავე დროს ჩვენი სცენის მიერ წინგადადგმული ნაბიჯის გამარჯვებაა, ეროვნული გათვითცნობიერების საბუთი... მოღვაწეთა ნაღვაწის დაფასება ხომ მოზარდთა თაობის გამწვრთნელია და აუმაფრთოვანებელი! მაშ წრფელი გულით მივეგებოთ ამ დღესასწაულს“...

ასევე ჩატარებულა ელ. ჩერქეზიშვილის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო ქ. ბაქოში 1916 წლის 20 მარტს. იგი იყო ნამდვილი დღესასწაული, წერს ამავე წლის „თეატრი და ცხოვრება“.

I განყოფილებაში ი. ზარდალიშვილის, ელ. ჩერქეზიშვილის, ვ. ქიქოძის, გ. პავლიაშვილისა და სხვათა მონაწილეობით წარმოდგენილი იყო „გლახა ჭრიაშვილი“. ამ პიესაში ყველამ საუცხოოდ შეასრულა დაკისრებული როლი.

II განყოფილებაში გამოჩნდა ბაქოს ქართველ სცენისმოყვარეთა ჯგუფი. სწორედ გაზაფხულის თაიგულს მოგაგონებდა ახალგაზრდა სცენისმოყვარეებით შემოსილი სცენა... მცირე ლოდინის შემდეგ გამოიყვანეს ჩიხტიკოპში

ქართულად ჩაცმული ელისაბედ ჩერქეზიშვილი, რომელსაც აქეთ-იქით ედგნენ დ. აწყურელი და ს. ჭანტურიშვილი. ატყდა ტაშის ცემა. დ. აწყურელმა ელისაბედი საგანგებოდ მოწყობილ სცენაზე აიყვანა. შემდეგ დაიწყო მილოცვების მორთმევა, სიტყვებისა და ლექსების კითხვა, რომლებმაც ძლიერ შეხმატკბილებულად აღნიშნეს ეს სადღესასწაულო იუბილე. მილოცვების შემდეგ წარმოადგინეს ავქს. ცაგარლის სამმოქმედებიანი კომედია „ხანუმა“. ხანუმას როლი თვით მედღესასწაულემ შეასრულა, რომელიც ძლიერ მოხდენილად და ხელოვნებით დაუხატა ბაქოს ქართველობას ხანუმა-მაჭანკლის მოხერხება. აგრეთვე საუცხოონი იყვნენ: გ. პავლიაშვილი (მიკიტ ტყუილ კოტრიანცი). ქილარჯიშვილი (სონა), დ. აწყურელი (აკოფა), ვ. მატარაძე (ვ. ფანტიაშვილი). ი. ზარდალიშვილი (კოტე ფანტიაშვილი). ჭუმბურიძე (მომსახურე). წულუკიძე (ქაბატუა) და სხვანი, ყველა საუცხოოდ ასრულებდა დაკისრებულ როლს. წარმოდგენა ღამის 1 საათზე დამთავრდა. საზოგადოება ძლიერ კმაყოფილი დარჩა.

□□

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველი ქართული თეატრის თითქმის ყველა დიდ მსახიობს თავისი მადლიანი ამაგი შეუტანია სახალხო თეატრების წინსვლის საქმეში, მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ სახალხო თეატრის მუშათა უბნებში ჩამოყალიბებულ აუდიტორიას, ჩვენი დიდი თეატრისათვისაც კი არაერთი თვალსაჩინო სცენის მუშაკი და მსახიობი შეუმატებია. ასეთ მსახიობთა რიცხვს ეკუთვნის მწერალი და საზოგადო მოღვაწე, დიდი პატრიოტი, ქართული თეატრის თავდადებული მუშაკი ილია ზურაბიშვილი. განსაკუთრებით შთამბეჭდავი ყოფილა მის მიერ ოსტატობით განსახიერებული ოთარ-ბეგი („ღალატი“). ვ. გუნიას შემდეგ, რომელიც ბრწყინვალედ ასრულებდა ამ როლს, მემატიანეთა გადმოცემით, მისი ერთადერთი ღირსეული შემცვლელი ყოფილა ი. ზურაბიშვილი. შესანიშნავი ქართული მეტყველება, მშვენიერი ხმის ტემბრი და როლის ღრმად გააზრება დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა თურმე მაყურებელზე. პიესა „რევიზორით“ გახსნილა სახალხო თეატრის სეზონი. პიესა დაუდგამს ქართული თეატრის თვალსაჩინო მსახიობს კოტე შათირიშვილს, რომელსაც საუკეთესოდ შეუსრულებია ხლესტაკოვის როლი. ამ პიესის მომზადებას მან დიდი შრომა და ენერგია მოახმარა, რათა თეატრის გახსნისას დასი ღირსეულად წარმდგარიყო მაყურებლის წინაშე. პიესას დიდი წარმატება და მოწონება მოუპოვებია. ამის ერთ-ერთი მიზეზი ყოფილა ის, რომ მთავარი როლების შემსრულებელნი ხლესტაკოვი—შათირიშვილი, გოროდნი-

ჩი — ი. ზურაბიშვილი და ოსიპი — ნ. გოცირიძე მაღალ მხატვრულ სიმაღლეზე მდგარან.

„როგორც სცენისმოყვარე ,ილია ვნახე სახალხო სახლის გახსნისას გოგოლის „რევიზორში“ გოროდნიჩის როლში, 1909 წლის 4 აპრილს: გვიამბობს ალ. ბურთიკაშვილი თუ მანამდე ჩვენ, ახალგაზდები, ავჭალის აუდიტორიის სცენისმოყვარეთაგან თამარ გოგოლაშვილის, სოსო რომანიშვილის, ნიკო გოცირიძის თაყვანისმცემელი ვიყავით, მათ რიცხვს ილიკო ზურაბიშვილიც მიემატა“.

ასევე შესანიშნავი ყოფილა ი. ზურაბიშვილი გიჟუას როლში „რაც გინახავს, ველარ ნახავ“. მიუხედავად იმისა, რომ ამ როლს საუკეთესო შემსრულებლები ჰყოლია გამყრელიძისა და ა. იმედაშვილის სახით, ი. ზურაბიშვილიც ღირსეულად ამოდგომია მათ გვერდში. მაგრამ არსად ისეთ ძლიერ შთაბეჭდილებას არ ახდენდა თურმე ილია, როგორც „სამხედრო ბანაკში“ ვახმისტრის როლში. ამ როლის განსახიერებისას არც ერთ ნიჭიერ პროფესიონალ მსახიობს არ ჩამოუვარდებოდა იგი. ეს როლი დიდი დრამატიზმით არის აღსავსე და დიდ დიაპაზონსაც მოითხოვს. ი. ზურაბიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ღრმა განცდების დროს მაღალმხატვრულ ოსტატობას იჩენდა და მაყურებელს აჯადოებდა, მისი გულწრფელი თამაში მთელ დარბაზს იმონებდა.

ასევე ხიბლავდა მაყურებელს ი. ზურაბიშვილის მიერ განსახიერებული პეტუა „ციმბირელში“, თავადი ვანო ფანტიაშვილი „ხანუმაში“. ამ ოთხი სხვადასხვა ხასიათის როლის განსახიერებითაც კი ნათელი ხდება, თუ რა დიდი ძალა ჰყოლია სახალხო თეატრს ზურაბიშვილის სახით.

ი. ზურაბიშვილი საუკეთესო მოცეკვავეც ყოფილა. არაფერი ჯობნებია იმათ ნახვას, როცა ილია და მისი და ქეთევანი (ანდრონიკაშვილისა) სცენაზე გამოსრიალდებოდნენ და „ქართულს“ ცეკვავდნენ. ეს ბრგე ვაჟკაცი როგორც ნიავი ისე დაჰქროდა თურმე სცენაზე. განსაკუთრებით აღტაცებაში მოჰყავდა ხალხი მის დავლურს. ილია საუკეთესოდ ცეკვავდა და ამ დარგის იშვიათი მეხოტბეც ყოფილა.

მიუხედავად იმისა, რომ ილიას სოფელ ენისლის ორკლასიანი სასწავლებელი ჰქონია დამთავრებული და მერე თვითგანვითარებას დაწაფებია, იშვიათი სმენისა და ნიჭის წყალობით შეუქმნია მთელი რიგი ნაშრომები, როგორც არის: „ზაქარია ფალიაშვილი“, „ვანო სარაჯიშვილი“, კახური „მრავალჟამიერი“, „ურმული“ და სხვ.

ი. ზურაბიშვილი, როგორც ქართული მუსიკის მემატიანე და მეხოტბე-

ვიწრო ეროვნულ ჩარჩოში არ ყოფილა მომწყვდეული. გლინკა, ჩაიკოვსკი, ვერდი, ვაგნერი მისი სათაყვანებელი კომპოზიტორები იყვნენ. როსინის „სევილიელ დალაქზე“ ხომ თავდავიწყებით ყოფილა შეყვარებული. მისი უახლოესი მეგობრების, ტასო აბაშიძისა და დავით ჩხეიძის გადმოცემით, ი. ზურაბიშვილი როცა სახლში იყო, დონ ბაზილიოს, მეფისტოფელის, დემონის და სხვა პარტიების შესრულებით ერთობოდა და მეზობლებს მოსვენებას არ აძლევდა. განსაკუთრებით ჰყვარებია მას პატეფონზე ტიტო რუფის ფირფიტის დამღერება. მღეროდა ტიტო რუფი, ბანს აძლევდა ილიაც და ისე იყო თურმე გატაცებული, რომ ვერც კი ამჩნევდა მეგობრების გაპარვას ოთახიდან. ნაყოფიერი ბელეტრისტი (მისი ერთი მოთხრობა „ორი მონადირე“ კინოშიც გადაუღიათ). მუსიკის კარგი მცოდნე, კარგი მოცეკვავე, იშვიათი თეატრალიც ყოფილა. ვის არ დაუწერია ძველი ქართული თეატრის ოთხ დიდ მსახიობზე მაკო საფაროვა-აბაშიძეზე, ნატო გაბუნიაზე, ვასო აბაშიძეზე და ლადო მესხიშვილზე, მაგრამ მსახიობთა ასეთი ნათელი სურათი არავის მოუცია, როგორც ი. ზურაბიშვილმა. მის „ოთხ პორტრეტს“ დიდი კმაყოფილებით შეხვედრია ჩვენი საზოგადოება.

ილია ზურაბიშვილს გამოუქვეყნებია აგრეთვე კრებული „ხალხის შემოქმედებითი გენია“. ამ კრებულში შეუტანია სხვადასხვა დროს დაწერილი სამი ნარკვევი: „ქართული“, „კახური მრავალჟამიერი“ და „ურმული“.

1939 წელს ი. ზურაბიშვილს დაუბეჭდავს წიგნი „ვანო სარაჯიშვილი“. ამ წიგნს აღტაცებით გამოხმაურებიან როგორც სპეციალისტები, ისე მკითხველთა ფართო მასები. ივანე ჯავახიშვილს აღფრთოვანებული წერილი მიუწერია ავტორისათვის წიგნის გამოქვეყნების გამო. ასევე დიდი შეფასება მიუცია ივანე ჯავახიშვილს ილია ზურაბიშვილის მეორე წიგნის ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერზე“.

ი. ზურაბიშვილს ძალიან ჰყვარებია ზაქარია ფალიაშვილის გენიალური ოპერა „აბესალომ და ეთერი“ და არც ერთ სპექტაკლს არ ტოვებდა თურმე უნახავს. ოპერას არ ჰყოლია ასეთი ენთუზიასტი მსმენელი, როგორიც ილია იყო.

„ილია ზურაბიშვილი, ზაქარია ფალიაშვილის გენიალური ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პირველი შემფასებელი და პროპაგანდისტი იყო — ვკითხულობთ გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ილია ზურაბიშვილის პირად ფონდში დაცულ ეთერის პირველი შემსრულებლის ო. ბახუტაშვილ-შულგინას მეტად საინტერესო და გამოუქვეყნებელ მოგონებაში.

„მზადდებოდა დასადგმელად პირველი ქართული ოპერა. ოპერის სიუ-

ეტი, გულამაჩუყებელ ლამაზ ლეგენდაზე აგებული, — ულტრა-ქართული იყო... გენერალური რეპეტიციის დღისათვის სულიერმა დაძაბვამ მწვერვალს მიაღწია. მით უფრო, რომ ერთ-ერთი თავდადებული თაყვანისმცემელი და პროპაგანდისტი ამ ოპერისა — ჩვენი ქართველი სტასოვი — ილია ზურაბიშვილი, რომელიც რეპეტიციებს ესწრებოდა და რომელმაც პირველმა პირველთა შორის გამოამჟღავნა და შეაფასა ამ ოპერის სიმშვენიერე, მისთვის და მისი პირველსახისთვის ჩვეული ექსპანსიობით სთესდა ინტერესს ამ ოპერისადმი ქართველი საზოგადოების ყველა წრეში, სადაც კი მისწვდებოდა და გახურებულ დავას უმართავდა ყველა დაეჭვებულს"[1]. მის აზრს ყოველთვის დიდ ანგარიშს უწევდა ზაქარია ფალიაშვილი.

აი, რას სწერდა ფალიაშვილი ილია ზურაბიშვილს ერთ-ერთ თავის წერილში:

**„ძმაო ილიკო!**

მეტად არ მესიამოვნა, რომ დღეს ვერ შესძლებ ჩემთან მოსვლას. სწორედ გითხრა, შენი იმედი მქონდა, რომ დაესწრებოდი „ლატავრას" ლიბრეტოს გადათვალიერება-მოწესრიგებას, მაგრამ რას იზამ, როცა მოულოდნელად საქმე გამოგჩენია. მაინც თუ რამენაირად ერთი საათით შესძლებდი მოსვლას, მეტად დამავალებდი.

რასაკვირველია, ლიბრეტოს გადმოგცემ წასაკითხად, — ეს ადვილი საქმეა, მაგრამ სულ სხვა იქნებოდა, რომ პირადად დასწრებოდი!

**შენი ერთგული ზაქ. ფალიაშვილი**
**1925 წელი 28 მაისი[2]".**

ვანო სარაჯიშვილი და ზაქარია ფალიაშვილი აი, ილიკოს სათაყვანებელი პირები. ამიტომაც მოუძღვნა ამ ორ დიდებულ ხელოვანს წიგნი, რომელსაც თამამად შეიძლება ეწოდოს მუსიკის მოტრფიალის ჰიმნი.

„წილკანის ქუჩა, ცხრა ნომერი. ორსართულიანი შენობის მეორე სართული მთელ ღამეს ელექტრონის შუქით იყო განათებული. დიდი დარბაზის კუთხეში, საწერ მაგიდასთან სავარძელში სამი კაცი იჯდა და თეატრის ბედიღბალზე საუბრობდა. მოულოდნელად სავარძლიდან ერთი ტანმაღალი კაცი წამოდგა, როიალს სახურავი ახადა და კლავიშები შეარხია.

— აბა, ჩემო ვანო, ერთი ურმული გვიმღერე მე და ილიას, — უთხრა მშვიდად ზაქარიამ.

კლავიშებმა და ვანომ ერთდროულად დაიწყეს სიმღერა. სიმღერას სიმ-

---

[1] ჟურნ. „თეატრალური მოამბე", 1969, № 2, გვ. 35.
[2] იქვე, გვ. 34.

ღერა მოჰყვა, ამბავს ამბავი. ვანო მღეროდა არიებს ქართული ოპერიდან. ზაქარია როიალის კლავიშებზე ხელებს ათამაშებდა, ცალი თვალი კი ვანოსაკენ ეჭირა, სიმღერა გათავდა. აღფრთოვანებული ზაქარია ვანოს გადაეხვია. ილია, თამბაქოს ბოლში გახვეული, ვანოს გაბრწყინებული თვალებით შეჰყურებდა.

— რა არის კომპოზიტორი უმომღერლოდ? — ქაღალდზე გადატანილი ნიშნებია, — ჩაილაპარაკა ილიამ და ზაქარიას გადახედა. ამ დროს უცებ ოთახში თმაშევერცხლილი ქალი შემოვიდა. ეს ქალი მაკო საფაროვა-აბაშიძე გახლდათ, იქვე პირველ სართულზე რომ ცხოვრობდა.

— არ გძინავთ, ქალბატონო მაკო, — მორიდებით შეეკითხა ილია.

— რა დამაძინებს, ჩემო ილიკო, როდესაც აქ საოპერო თეატრი გადმოგიტანიათ, — უპასუხა მაკომ და სავარძელში ნელა ჩაეშვა. ზაქარიამ და ვანომ მაკოს ნახვით უსაზღვროდ გაიხარეს, რეპეტიციები და სიმღერები განაგრძეს, ზაქარია როიალს უკრავდა, ვანო თავდავიწყებით მღეროდა"[1].

ილია ზურაბიშვილს ბედნიერება ჰქონია ჭაბუკობიდანვე დაახლოებოდა ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო წარმომადგენლებს. დიდი აკაკი და ვანო მაჩაბელი მისი პირადი მეგობრებიც კი იყვნენ. ილია ჭავჭავაძეზე ხომ პირდაპირ შეყვარებული ყოფილა ჭაბუკი. მას ბედნიერებად მიაჩნდა ის წუთები, როცა ეს დიდი მოაზროვნე მამულიშვილი მეგობრულად შეხვდებოდა ყმაწვილ კაცს და გამოელაპარაკებოდა ხოლმე. ზურაბიშვილს ძალიან ყვარებია ილია ჭავჭავაძის „განდეგილის", აკაკის შედევრების ხმამაღლა კითხვა. ყველამ იცოდა ილიას ეს გატაცება და ხშირად თხოვდნენ ამხანაგები ამ ნაწარმოებთა წაკითხვას. ილიაც ჩვეული აღფრთოვანებით კითხულობდა იქამდე, სანამ დაღლიდა მსმენელს და თვითონაც არ მოიქანცებოდა.

ილია, გარდა კარგი მსახიობისა, საუცხოო იმიტატორიც ყოფილა, იგი ამხანაგებს უამბობდა თურმე ილია ჭავჭავაძისა და ვანო მაჩაბლის კამათს, როცა ქართული ბანკის გარშემო ბრძოლა იყო გაჩაღებული. ილია თითოეულ მათგანს ბაძავდა. მსმენელთ არც ილია ჭავჭავაძე ენახათ და არც მაჩაბელი, არ იცოდნენ მათი ჟესტიკულაცია. ხმის მოდულიზაცია და სხვ. ილიკო ისეთი ოსტატობით ხატავდა თურმე ყოველივე ამას, რომ უაღრესად მკაფიო წარმოდგენას უქმნიდა მსმენელს დიდ ადამიანებზე. ილია ზურაბიშვილს ჰყვარებია ანტრაქტებში კამათი პიესის დადგმის ან ამა თუ იმ მსახიობის მიერ როლის შესრულებაზე. მისი მგრგვინავი ხმა მთელს ფოიეში გაისმოდა და ყველას ყურადღებას იქცევდა. საჯარო გამოსვლებს კი გაურბოდა, ბევრმა არც იცოდა ი. ზურაბიშვილი ორატორული ნიჭით რომ იყო დაჯილდოებული. და აი, რო-

---

[1] ჟურნ. „თეატრალური მოამბე", 1969, № 2, გვ. 34.

ცა გარეწრებმა დიდი ილია მოჰკლეს, საქართველოს მწუხრი გადაეფარა — ქართველი ერის ტრაგედიამ დიდად იმოქმედა ილია ზურაბიშვილზე. დაკრძალვის დღეს, მისმა მგრძნობიარე სიტყვამ მოზღვავებულ ხალხს უსაზღვრო ცრემლი დააფრქვევინა. დიდი აკაკის მოთქმა და ილია ზურაბიშვილის სიტყვა დიდხანს ყოფილა მსჯელობის საგნად.

აი, ეს სიტყვა: „საქართველოს ჰირისუფალო, ილიავ, შენმა ტურფა კახეთმა, რომელსაც ბედნიერს წილად ჰხვდა — თავის მხნე მკერდზე, ნიადაგზე დაერწია შენი აკვანი, მოგვანდო ჩვენ თაყვანი ვცეთ შენს ძვირფას ნეშტს და ვაუწყოთ ჩვენს ქვეყანას რა განუსაზღვრელი საეროვნო კაეშანი ჩააწვეთა ყოველის კახელის გულს შენმა მოწამებრივმა სიკვდილმა...

საქართველოს სულიერო მეორე კახო! რას გვიბარებ? რა ვუთხრათ შენს მოდუდუნე ბედის მოჩივარ ალაზანს? რა ხმა მივაწვდინოთ შენს მშობლიურ ყვარლის მთებს? რითი ვანუგეშოთ ბაღში ცრემლით ანატირი ობოლი ვაზი? რა ვუპასუხოთ მოჰირნახულე ლაბას, შენ ლაბას, როცა უენო, ვითა მეტყველი, თვალებით დაგვეკითხება?!

სდუმხარ! მაშ, მართალია!

თუ აგრეა — იგლოვეთ, იგლოვეთ! მდუღარედ! შენ, ალაზანო, ზვირთი ზვირთზე ააგორე, აბობოქრდი, მოჰყევი მწარე ზარს! თქვენ, ყვარლის მთებო, ნისლით შეიმაგრეთ მწვერვალები — ეგ იქნება თქვენი ძაძა!

შენ ობოლო ვაზო, აფრქვიე მწუხარე ცრემლი და ლაბავ, მორთე გულსაკლავი ბღავილი! აღარ გვყავს ზრახვათა მესაიდუმლე, აღარ გვყავს გრძნობათა მოენე! შენ კი, საქართველოვ, ახლა მაინც მიხვდი რა ბედშავია შენი ხვედრი. დაე, ამ დიადმა წმინდა მსხვერპლმა მაინც შეაგნებინოს შენს შვილთ სამშობლოს განწირული მდგომარეობა“[1].

□ □

ასევე შავბნელი რეაქციის დროს, როცა დიდი თეატრების კარიბჭე მუშებისათვის მიუწვდომელი იყო, ამ დროს სოსო რომანიშვილი მუშათა აუდიტორიებს არ მოშორებია და უანგაროდ ემსახურებოდა ხალხის განვითარებისა და გათვითცნობიერების საქმეს.

იგი 1901 წელს მოევლინა ავჭალის აუდიტორიის პატარა სცენას და თავისი ცხოველმყოფელი ნიჭით ყველას ყურადღება მიიპყრო. მის მიერ შესრულებულ როლს ემჩნეოდა პროფესიული უნარიანობა და ნიჭი. დაუვიწყარი

[1] ალ. ბურთიკაშვილი, თეატრალური პორტრეტები, გამომც. „ხელოვნება“, 1958. გვ. 112.

ჩახეები შექმნა ნ. შიუკაშვილის „სიმახინჯეში"—საბა, პელოვის „უმუშევარნ-
ში" — გერასიმე, ი. გედევანიშვილის „მსხვერპლში" — გაბო, ა. ჩუმბათაშვი-
ლის „ღალატში" — ანანია, ავქს. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავში"
სოსანა, კ. მესხის „მელანიას ოინებში" — არუწა და სხვა.

თეატრალებს კარგად ახსოვთ რომანიშვილის მიერ განსახიერებული საბა-
„სიმახინჯეში". ეს როლი ისეთ წარჩინებულ მსახიობებს უთამაშიათ, როგო-
რებიც იყვნენ: რესპუბლიკის სახალხო არტისტები ალ. იმედაშვილი, ი. ზარ-
დალიშვილი და სსრ კავშირის სახალხო არტისტი მიხეილ გელოვანი. სოსო რო-
მანიშვილი კი სრულიად თავისებურად და საინტერესოდ გვიხატავდა
ამ როლს. ან და ავიღოთ ანანია — „ღალატში". ვის არ ახსოვს კ. ყიფიანის,
ვიქ. გამყრელიძისა და ბოლოს, გ. იშხნელის დაუვიწყარი ანანია? მიუხედავად
იმისა, რომ ანანიას სახე ამ მსახიობების მიერ მკვეთრად წარმოსახული, ყველას
თვალწინ ედგა, სოსო რომანიშვილის ანანიას მაინც სიამოვნებით უყურებდ-
ნენ.

მეტად ორიგინალური ყოფილა ს. რომანიშვილი ბობჩინსკის როლში
(„რევიზორი") და განსაკუთრებით მისი ხილვა, ტრ. რამიშვილის („შეშლილ-
ში"), კ. მესხის კომედია „მელანიას ოინებში" სოსო, ყასაბ არუწას ისეთი კოლო-
რიტულ სახეს ჰქმნიდა, რომ თავის პარტნიორს, სცენის დიდ ოსტატს ნატო გა-
ბუნიას (მელანოს) უტოლდებოდა თურმე. ავქს. ცაგარლის „რაც გინა-
ხავს, ვეღარ ნახავში" სოსანას როლს ასრულებდა. ამ კომედიაში თვალსაჩინოა
გიქუასა და ავეტიკას როლები. მათთან შედარებით სოსანა უმნიშვნელო პერ-
სონაჟია, მაგრამ ღვინისაგან ჩახლეჩილ ხმას, მაძლაყინწასავით გაფხორილ სია-
რულს, ქონდრის კაცის მიერ პატარა მუშტის მოქნევას სოსო ისე ოსტატურად
ხატავდა, რომ მაყურებელს გიქუა ავიწყდებოდა და სოსანას ცქერით ტკბე-
ბოდა. ქართული ენის იშვიათ მცოდნეს და კარგ მეტყველს, ასევე საუცხოოდ
ჰქონდა შეთვისებული რუსული ენა, რაც საშუალებას აძლევდა რუსულ ენაზე
გამართულ წარმოდგენებში მიეღო მონაწილეობა. საუკეთესო სახეები შეუქმ-
ნია ს. რომანიშვილს თბილისის რუსულ სცენაზე გრიბოედოვის პიესაში „ვაი
ჭკუისაგან" (ზაგორეცკი) და გოგოლის „რევიზორში" (ბობჩინსკი).

როდესაც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დიდი თეატრის კარიბჭე
მუშებისათვისაც ფართოდ გაიღო, სცენისმოყვარეობა ისტორიას ჩაბარდა, ახლა
თეატრს პროფესიონალი მსახიობები ემსახურებოდნენ, ს. რომანიშვილიც
პროფესიონალი მსახიობი გამხდარა.

როგორც პროფესიონალ მსახიობს, — იგონებს ალ. ბურთიკაშვილი, —
სოსოს პირველად შევხვდი 1928 წელს ე. წ. თბილისის მუშათა ქართულ თე-
ატრალურ დასში. დაუვიწყარია ამ სეზონში მის მიერ განსახიერებული ბაშ-

ლეს როლი „დიდების გამყიდველებში“, (გ. სულიაშვილის დადგმა) და სოსანას როლი დასის მთავარი რეჟისორის მ. ჭიაურელის მიერ დადგმულ „რაც გინახავს, ვეღარ ნახავში“.

დიდი თეატრის ეს მსახიობები იყვნენ მუშა-სცენისმოყვარეთა მასწავლებლები, მათი განმავითარებლები და გზის მაჩვენებლები, მათი თვალის ამხილველნი და სცენის შემაყვარებელნი.

არანაკლებ სიხარულს იწვევდა სხვა სახალხო თეატრების (უფრო ხშირად ნაძალადევის) დრამატული დასების წევრების გამოჩენა ავლაბარ-ხარფუხის სცენაზე — სვ. სვიმონიძე, დ. ჩარკვიანი, ს. და ს. გოგაშვილები, პ. ფრანგიშვილი, აზრუმელაშვილი და სხვები, ავლაბარ-ხარფუხის აუდიტორიების ხშირი სტუმრები იყვნენ, ხოლო ი. გრიშაშვილი, გ. ჯაბაური და ნ. გოცირიძე ავლაბარ-ხარფუხის სახალხო თეატრების განუყრელი გასტროლიორები. დიდი როლი ითამაშა მუშათა აუდიტორიამ მუშების განვითარების საქმეში და განსაკუთრებით ამ აუდიტორიის თვალსაჩინო წარმომადგენელმა ნიკო გოცირიძემ.

ჩვენი გამოჩენილი პოეტი იოსებ გრიშაშვილი 1924 წელს წერდა: „თუ სახალხო თეატრი არსებობს და თუ არ განქარდა, ეს მიეწერება, იმ მცირე მუშათა გუნდის ლამაზ სიყვარულს, რომელთა რგოლში ნიკო გოცირიძე ყოველთვის წახნაგულ ბრილიანტად იბრწყინებს“.

ნიკო გოცირიძის სახელი განუყრელია სახალხო თეატრის ისტორიასთან. მისი აქტიური მონაწილეობით და ხელშეწყობით შეიქმნა თურმე მუშათა თეატრი ნაძალადევში. ნიკო გოცირიძის მუშაობა სახალხო თეატრში არ იყო მხოლოდ მისი აქტიორული მოწოდების ნაყოფი, ამ თეატრში მოღვაწეობა შთაგონებული იყო აგრეთვე უანგარო მოქალაქეობრივი შეგნებით, მშრომელი მასების სამსახურით.

ნიკოს სასცენო განათლება არ მიუღია. არამცთუ სასცენო, სკოლის სკამზედაც დიდხანს არ მჯდარა. მაგრამ როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობს: „ქვეყანაზე ბევრი რამ არის უწიგნოდაც შესწავლილი“ და ნიკოს, როგორც ბუნებით უხვი ნიჭით დასაჩუქრებულს, ჰარბად ჰქონია დაკვირვების უნარი, მახვილი ინტუიცია, მდიდარი გული...

ნიკო ექვსი წლის იყო, როდესაც პირველად ქართულ სპექტაკლის დასწრებია, ეს იყო 1879 წელს, პეტრე უმიკაშვილის სახლში, სცენისმოყვარე გიგო გელიკურაშვილის ხელმძღვანელობით სიღნაღელი მღვდლის, ასტვაცატუროვის ერთმოქმედებიან ვოდევილ „კაპიშონში“.

ამ პიესას პატარა ნიკოზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. მთელი ღამე არ სძინებია, თავი ზღაპრულ სამყაროში ჰგონებია.

ნიკოს პირველი დებიუტი შემდგარა თორმეტი წლის ასაკში. თავისი ძმის, სანდროს მიერ დადგმულ ზურაბ ანტონოვის პიესა „ქოროღლში" უსიტყვო როლი — ფაშას მხლებელი (ნიკო ფაშას ყალიონით წინ მიუძღოდა), შეუსრულებია. მაგრამ ეს პირველი დებიუტი მარცხით დამთავრებულა. როცა დემურჩოღლი თავის ძმადნაფიცს დაეცემა გასანთავისუფლებლად, ატყდება ბრძოლა ორ ბანაკს შორის, ფაშას მხლებელი—ნიკო, შეშინებული ტოვებს ფაშას და ვაი-ვუით გარბის კულისებში. მიუხედავად პირველი დამარცხებისა, ნიკო მაინც დიდი ინტერესით ესწრებოდა წარმოდგენებს.

ერთხელ ქართული არწრუნისეული თეატრის სუფლიორს ნ. გალუსტოვსა და სცენარიუსს ა. თამაზაშვილს ნიკოს უფროსი ძმის სანდროს ხელმძღვანელობით შეუდგენიათ სცენისმოყვარეთა პატარა წრე, რომელსაც ნიკო აღარ შორდებოდა.

მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონია, როცა ზოგჯერ დიმ. მეღვინეთუხუცესის კომედიაში „კატა აწონა" ხელში სასწორს დააჭერინებდნენ.

ნიკოს, როგორც ინიციატივიან ბავშვს, უკვე უსიტყვო როლები აღარ აკმაყოფილებდა. ამიტომ ჩამოსცილებია თავისი ძმის წრის წევრებს და თვითონ დამოუკიდებლად შეუქმნია სცენისმოყვარეთა დასი: ვ. ხოზიაშვილის, ბაშარაულის, ვ. სულხანიშვილის და სხვათა შემადგენლობით, მას საბავშვო წარმოდგენების მართვა დაუწყია სოლოლაკში, მთაწმინდაზე, ჩუღურეთში და განსაკუთრებით თავის უბანში (ანჩისხატის და ვანქის ეკლესიის მიდამოებში).

ამ საბავშვო წარმოდგენებს პირველ ხანებში ბავშური ელფერი დაჰკრავდა თურმე. დიდ მოთხოვნილებებს მაინცდამაინც არ უყენებდნენ სცენას, მოიხელთებდნენ თუ არა ცარიელ სახლს, საკმარისი იყო რამდენიმე ჩარსავი — ფარდად, ხალიჩები — დეკორაციებად, ათიოდე კოჭლი სკამი და, წარმოდგენაც მზად იყო.

საბოლოოდ, მობეზრებია ნიკოს ეზო-ეზო სიარული და დაბინავებულა ანჩისხატისა და ვანქის უბნებში. ამით წარმოდგენებს მტკიცე ხელი დატყობია და დასსაც სახე უცვლია.

ნიკო აღფრთოვანებით გვიამბობს ერთ-ერთი წარმოდგენის შესახებ, როცა სცენაზე უკვე შესაფერისი მოწყობილობა შეუძენია. ხავერდის ფარდა, ჭაღი, სავარძლები, ორკესტრი. გიმნაზიელთა მონაწილეობით იდგმებოდა „ადვოკატი მელაძე" (ივ. მაჩაბლის თარგმანი) და „პრიკაშჩიკი შკაფში". ამ უკა-

ნასკნელ პიესაში ქალის როლს თურმე სოსო ივანიძე ასრულებდა, ხოლო ნოქარს ტიგრან ტერ-პოპოპიანცს — ნიკო გოცირიძე. წარმოდგენა გაუმართავთ ვანქის უბანში მღვდელ ტერეზნიკას სახლში.

ნიკო გოცირიძის სამსახიობო კარიერა დაიწყო 1893 წელს, როცა არწრუნისეულ თეატრში პატარ-პატარა როლებს ასრულებდა. მან პირველად ითამაშა დიდ სცენაზე ერთ-ერთი შეთქმულთაგანის, ზაზას, როლი დ. ერისთავის „სამშობლოში".

ზაზას მოჰყოლია მოხუცი მეომრის როლი ი. ლაზარევის „მტარვალში". მოხუცი მეომრის როლის შემსრულებელი მსახიობი მაყურებელს მოსწონებია და ოვაციებით დაუჯილდოვებია.

ეკონომიურად გაჭირვებულ ნიკოს კი 1893 წელს მუშაობა დაუწყია რკინიგზის მთავარ სახელოსნოში (სამხატვრო განყოფილებაში). დაუხატავს სამგზავრო ვაგონები. თუმცა თავის მოწოდებასაც არ ღალატობდა. ნიკოს ადამიანის სულის ხატვა უფრო იზიდავს და ამიტომ სცენას არ შორდება. სამსახურს ამთავრებდა თუ არა, როგორც მისი სცენისმოყვარენი გადმოგვცემენ — სადილის ჭამასაც ვერ ასწრებდა, დაღლილ-დაქანცული რეპეტიციაზე მიიჩქაროდა, რომ თავისი სულის მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა.

უსაზღვროდ უნდა გიყვარდეს სცენა, რომ გათენებიდან ფიზიკური შრომით მოქანცული, დაუსვენებლივ. რეპეტიციაზე წახვიდე. ასე გრძელდებოდა თურმე სამი ათეული წელი...

შეუდარებელი იყო ნიკო გოცირიძის მიერ შესრულებული თბილისელ ვაჭარ-ხელოსანთა როლები. ამ როლების შესრულებაში გამოჩენილ სცენის ოსტატს ვასო აბაშიძეს თითქმის ბადალი არ ჰყავდა, მაგრამ მის ტოლად ნიკო გოცირიძეს თვლიდნენ. დაბადებულს თბილისში. ხელოსნის ოჯახში, გაზრდილს სწორედ იმ ადგილებში, სადაც ცხოვრობდა და საქმიანობდა თბილისის ვაჭარ-ხელოსანთა ძირითადი ფენა, ნიკო გოცირიძეს შესანიშნავად ჰქონია შესწავლილი და შენიშნული მათი ბუნება-ხასიათი, ადათ-წესები, მათი თვისებები, კოლორიტული მეტყველება. შესანიშნავად თამაშობდა თურმე ნიკო გოცირიძე აკოფას როლს „ხანუმაში", ავეტიკას — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავში", ზიმზიმოვს — „პეპოში", მაზუთიანს — „ციმბირელში", გეურქას — „მზის დაბნელება საქართველოში", არშაკ მინაიჩს — „ამერიკელ ძიაში". საქოს — „მსხვერპლში".

ნიკოს მიერ განსახიერებული საქუა „მსხვერპლში" აქტიორის შემოქმედების მწვერვალი იყო. მაყურებელს ხიბლავდა ნიკოს იუმორი, ფაქიზად დამუშავებული როლის ყოველი დეტალი, ყოველი ნიუანსი.

ნიკო გოცირიძე არანაკლებ ბრწყინვალე ყოფილა, აგრეთვე ექიმ

პოუპიევსკის როლში ტრიფონ რამიშვილის ცნობილ პიესაში „მეზობლები“, ბერდოსანიძე — შალვა დადიანის „შენი ჭირიმეში“, ჩინებულად თამაშობდა ოსიპისა და გოროდნიჩის როლებს გოგოლის „რევიზორში“, სტუდენტ უნუმფრის — ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისაში“, სკაპენს — მოლიერის „სკაპენის ოინებში“, შმაგას — ოსტროვსკის „უდანაშაულოდ დამნაშავეებში“, ჟურდენს — მოლიერის „გააზნაურებულ მდაბიოში“, მოხუც მეგონს — „გმირში“, პოლონიუსს — „ჰამლეტში“ და მრავალ სხვას.

გარდა ამისა, ნიკო გოცირიძე წარმატებით გამოდიოდა თურმე ესტრადაზეც, როგორც თბილისური ყაიდის სცენების წამკითხველი. ამასთანავე სახუმარო კუპლეტების შესრულებაში ვასო აბაშიძის ერთადერთი პარტნიორი იყო.

არ არის საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი ქალაქი თუ პერიფერია, სადაც ნიკო არ ყოფილიყო მივლინებული და იქაური პატარა სცენიდან ესთეტიკური სიამოვნება არ მიენიჭებინოს მაყურებლისათვის.

უფრო ხშირად ნიკოს იწვევდნენ განჯას, სადაც რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა სახალხო თეატრში ყოველ კვირას სახალხო წარმოდგენები იმართებოდა.

ყოველივე ეს ხდებოდა უჰონორაროდ, ნიკოს ვერც წარმოედგინა, რომ მისი მაღალი მოწოდება, ფულით ანაზღაურებულიყო.

საინტერესოა, რომ რევოლუციამდელი პროფესიული თეატრის მესვეურთ არაერთხელ უცდიათ ნიკო გოცირიძის მიწვევა დიდ თეატრში, კარგი ხელფასიც შეუძლევიათ, გაცილებით მეტი, ვიდრე ის მძიმე ფიზიკური შრომით შოულობდა, მაგრამ ნიკო გოცირიძეს სახალხო სცენა არ დაუთმია, მისი აზრით, ქართული პროფესიული თეატრი ძირითადად ქართველი საზოგადოების შეძლებულ ფენას ემსახურებოდა და ღარიბი მშრომელი ხალხისათვის არც თუ ისე ხელმისაწვდომი იყო. მას არ სურდა მოსცილებოდა იმ წრეს, რომელსაც იგი განეკუთვნებოდა. მოწადინებული იყო მთელი თავისი ნიჭი და უნარი მშრომელი ხალხისათვის მოეხმარებინა.

1921 წლიდან ნიკო გოცირიძე გვევლინება პროფესიონალ მსახიობად. იგი რუსთაველის თეატრში იწყებს მუშაობას. როგორც თვითონ იგონებს, „ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ წაშალა ის ზღუდე, რომელიც აღმართული იყო ძველ ქართულ თეატრსა და სახალხო თეატრებს შორის, ახლა დიდი თეატრიც ხალხისათვის იყო განკუთვნილი და ამიტომ სიამოვნებით მივიღე რუსთაველის სახელობის თეატრის წინადადება ამ თეატრში დამეწყო მუშაობა, როგორც პროფესიონალ მსახიობსო“.

ნიკოს სცენურმა ოსტატობამ ათქმევინა კოტე მარჯანიშვილს:

„...როდესაც უნდა აიწიოს თეატრის ფარდა, რა სამწუხარო და მძიმე აკორდითაც არ უნდა დაიწყოს წარმოდგენა, საკმარისია კულისებიდან მოისმას ნიკოს ხმა, ან სცენის სიღრმეში გამოჩნდეს მისი ფიგურა და მორჩა: ხელად დარბაზში „მჯდომ მაყურებელთა ტუჩებზე კმაყოფილების ღიმილი ათამაშდება!“

სცენის ნოვატორი კოტე მარჯანიშვილი დიდად აფასებდა თურმე ნიკოს და ამიტომ თავის დადგმებში მთელი რიგი პასუხსაგები როლები დააკისრა, ნიკომაც დიდი ხელოვანის ნდობა გაამართლა და დაუვიწყარი სახეები შექმნა“.

სახალხო სცენაზე ნიკო გოცირიძე იყო ამ აუდიტორიის ერთი მთავარი ძალა, რომელსაც ხელში ეპყრა ხალხთა მაჯისცემა და თუ ქართულ სახალხო თეატრს ასეთი დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ქართული თეატრის ისტორიაში, ამაში ერთგვარად გადამწყვეტი როლი შეუსრულებია ნიკო გოცირიძის მოღვაწეობას ამ თეატრში, მის შეუდარებელ ნიჭსა და ოსტატობას.

ბევრი კარგი წუთები ახსოვს ნ. გოცირიძეს თავის შემოქმედებითი მუშაობის მანძილზე, მაგრამ მისი ცხოვრების სანეტარო მომენტებიდან განსაკუთრებით გამოყოფს 1936 წელს, როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავზე მოსკოვში წასასვლელ დელეგაციაში თვითონაც იმყოფებოდა. „მახსოვს ჩვენი დელეგაციის მიღებისას —იგონებს ნ. გოცირიძე — ამხანაგმა სერგო ორჯონიკიძემ მიცნო — მიუბრუნდა ამხანაგ სტალინს და უთხრა: „აი, ვინ მოვიდა, გახსოვს შაურიანი თეატრი?“ ამხანაგმა სტალინმა მიცნო, მოიგონა ჩვენი თეატრი, ღიმილით ხელი ჩამომართვა და მომიკითხა. ეს წუთები დაუვიწყარია ჩემთვის“[1].

ნიკო გოცირიძის ღვაწლი ღირსეულად დააფასა საბჭოთა მთავრობამ და 1924 წელს მას გადაუხადა სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავი, მას მესამეს მიენიჭა სახალხო არტისტის საპატიო წოდება (პირველი იყო ვასო აბაშიძე, მეორე — ვანო სარაჯიშვილი), ავჭალის აუდიტორიას, სადაც ნიკო გოცირიძემ დაიწყო მოღვაწეობა, სახალხო სცენაზე — მისი სახელი ეწოდა, მისი სახელი ეწოდა ქუჩას. სადაც ცხოვრობდა. დაენიშნა გაძლიერებული პენსია, ნაყოფიერი მუშაობისათვის ყველა პირობა შეექმნა. მიეცა გარკვეული თანხა უცხოეთში გასამგზავრებლად. თბილისის აღმასკომმა საკმაო ფულადი თანხა გადასცა საჩუქრად...

□□

1913 წლის 16 მარტს გაიმართა დამსახურებული სცენისმოყვარის ლ. ბალაშვილის ბენეფისი. ქართველ სცენისმოყვარეთა დასმა რ. სალაყაიას რეჟი-

[1] ნ. გოცირიძე, მოგონებანი, გამომც. „ხელოვნება“, 1949, გვ. 110.

სორობით წარმოადგინა მ. ნასიძის ოთხმოქმედებიანი დრამა „ბედს ვერ წაუხ-ვალ“ და ავქს. ცაგარლის ერთმოქმედებიანი ვოდევილი „ოინბაზი“ (ანტრაქ-ტებში უკრავდა სამხედრო მუსიკა).

იმავე წლის 11 მაისს გაიმართა აგრეთვე ძველი სცენისმოყვარის იოსებ რევაზოვის ბენეფისი. მსახიობ ვ. მატარაძის მონაწილეობით და ქართული სცენისმოყვარეთა დასის მიერ წარმოდგენილი იყო შ. დადიანის მიერ თარგმ-ნილი სამმოქმედებიანი დრამა „უბედური ნაბიჯი“ და ავქს. ცაგარლის ვოდე-ვილი „ჭკუისა მჯირს“, მონაწილეობდნენ: ქ-ნი ქ. მარგველაშვილი, კავთელი, რჩეულოვი, ჯოხაძე, ბ-ნი ბ. ვ. მატარაძე, რევაზოვი, სარაული, მირველოვი, მე-ლაშვილი, თარხანოვი, გიგოშვილი და სხვ.

1913 წლის 9 ივნისს ქართველ სცენისმოყვარეთა მიერ ვ. მატარაძის და ალ. შანშიაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იყო ი. ბაქრაძის მიერ თარგმნილი ხუთმოქმედებიანი ტრაგედია „ურიელ აკოსტა“ მანასე — ა. ძა-მიაშვილი, ივდითი, მისი ქალი — თ. აფხაზიშვილი, ბენიოხაი, ივდითს საქმრო — დ. მელაშვილი, დე—სილვა — მ. სარაული, დე-სანტო, რაბინი — ვ. მატა-რაძე, ურიელ აკოსტა — ალ. შანშიაშვილი, ესთერი, მისი დედა — ს. გოგაშვი-ლი, რუბენ — ა. მაისურაძე, იოველ — გ. ჟუჟუნაშვილი, ბენ-აკიბა, რაბინი — ნ. მირველოვი, ვანდერ-ემბდენი — პ. შაროვი, სვიმონ, მანასეს მსახური — გ. პაპინაშვილი.

ამას მოჰყვა იმავე წლის 16 ივნისს მსახიობ ვ. მატარაძის მონაწილეობი-თა და რეჟისორობით წარმოდგენილი ა. ყაზბეგის „ყაჩაღი არსენა“. გარსევან ამაყაძის როლს ასრულებდა — ი. რევაზოვი, სიდონიას, მის ცოლს — თ. აფ-ხაზიშვილი, იორამს, გარსევანის ბიძას — ა. ძამიაშვილი, არსენა ყაჩაღს — ვ. მატარაძე, ნინოს, სიდონიას მოახლეს — ქ. ონელი, თედოს, არსენას ამხა-ნაგს — დ. მელაშვილი, ზაქარას, გარსევანის მოურავს—პ. ფრანგიშვილი, პეტ-რეს არსენას ნათლიმამას — მ. სარაული, სირაჯს — ნ. მირველოვი, გლე-ხის ბიჭს — კანდინოვი.

მეორე განყოფილებაში უჩვენეს გან-განის ერთმოქმედებიანი ვოდევილი „ტიტველი ქალი“. მონაწილეობდნენ: მოხელე — მიხეილ სარაული, გიმნაზი-ელი — პავლე ფრანგიშვილი.

1914 წლის 16 თებერვალს ავლაბრის სახალხო თეატრმა ბენეფისი მოუ-წყო დამსახურებულ მსახიობსა და რეჟისორს ი. ივანიძეს. ქართული სახალ-ხო წარმოდგენების მმართველმა წრემ წარმოადგინა ა. ყაზბეგის „კონსტან-ტინე ბატონიშვილი“ ანუ „ქეთევან წამებული“.

ამას მოჰყვა 1914 წლის 2 ნოემბერს ი. ივანიძის რეჟისორობითა და მო-ნაწილეობით წარმოდგენილი ბეინდელინის (თარგმანი ა. იმედაშვილის) ოთხ-

მოქმედებიანი დრამა „სამხედრო ბანაკში“. მონაწილეობდნენ: ი. რევაზიშვილი — ფონ-ბან ეეეცი, როტმისტრი, რ. ჯიბლაძე — ფონ-გევენი, მ. სულთანიშვილი—ფონ-ლაუფენი, ი. ივანიძე—ფულ გარდტ ვახმისტრი, რ. სალაყაია — კვაის ვიცე ვახმისტრი, ბ. თავდგირიძე — გელბიგი სერჟანტი, ბ. კახურაშვილი —მიხალეკი, ჯარისკაცი, ქ. მარგველაშვილი —კლარა, ბ. გულისაშვილი — შპის ჯარისკაცი, ფონგარდტის ქალი — ბ. მჭედლიშვილი, ბ. კობახიძე — გრაფი ლეიდენ ბურგი, ბ. მენჯევიძე — თავმჯდომარე, ნ. ქვლივიძე — შიკრიკი.

□□

ამ ხანებში თბილისის სახალხო თეატრების ცხოვრებაში სახალხო წარმოდგენების მართვა ისე შეფერხდა, რომ დაშლამდე მივიდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ სცენისმოყვარე ი. გიგოშვილმა აზერბაიჯანული ენიდან ქართულად თარგმნა ჰაჯიბეგოვის მუსიკალური ოპერეტა „არშინ მალ-ალანი“. იმყამად სახალხო თეატრის მსახიობები დროებით წრეს ჩამოშორდნენ და მთლიანად ჩაებნენ ოპერეტის სამზადისში. ესენი იყვნენ: ი. რევაზიშვილი, ნ. მირველოვი, ს. სულთანიშვილი. ვ. მარგველაშვილი, ს. გოგაშვილი, ო. ფეიქრიშვილი და ბევრი სხვა მრავალი. ერთი სიტყვით, დადგა „არშინ მალ-ალანის“, „მაშტი-იბალის“ და სხვა აზიური ოპერეტებისა და საზანდრების ხანა. აღარავის უნდოდა და არც აგონდებოდა ტრაგედიები და კომედიები. იშვიათი იყო თბილისში ისეთი საღამო, რომ ამა თუ იმ კლუბში, ან აუდიტორია-თეატრში „არშინ მალ-ალანი“ არ წარმოედგინათ. კერძოდ, ავლაბრის თეატრში თითქმის დღე და ღამე მიდიოდა ეს ოპერეტა როგორც ქართულ, ისე სომხურ ენაზე და თეატრი მუდამ გაჭედილი იყო მაყურებლით. შემოსავალი დიდი იყო და ეს იყო მიზეზი, რომ ყველა მსახიობს, განსაკუთრებით გაჭირვებულს და ნახევრად მშიერ პროფესიონალ მსახიობებსაც კი მოუნდათ მიეღოთ მონაწილეობა ოპერეტაში. საქმე იქამდის მივიდა, რომ „არშინ მალ-ალანში“ მონაწილეობა მიიღეს ვ .აბაშიძემ, ელ. ჩერქეზიშვილმა, ტ. აბაშიძემ, ა. იმედაშვილმა, ი. ყიფიძემ, პ. ფრანგიშვილმა, ლ. კავსაძემ და სხვებმა.

მურაშკოს თეატრში დადგმულმა პირველმა წარმოდგენამ — ვალ. გუნიას „და-ძმამ“ იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ი. გიგოშვილზე, რომ გადაწყვიტა თავისი ბედი სამუდამოდ თეატრისათვის დაეკავშირებინა. აქვე მოხდა მისი პირველი სასცენო ნათლობა ავქს. ცაგარლის კომედიაში „რაც გინახავს, ველარ ნახავ“, შეასრულა ერთ-ერთი ყარაჩოხელის როლი. ამას მოჰყვა აკ. წერეთლის პიესის „პატარა კახის“ დადგმა, სადაც ი. გიგოშვილი მეორე გლეხის როლში მოგვევლინა. პიესას რეჟისორობდა თ. ნასიძე.

1914 წელს ი. გიგოშვილმა დაწერა ხუთმოქმედებიანი დრამა „შურისძიება“. ავტორმა პიესის სიუჟეტად აიღო მშობლიურ მხარეში მომხდარი ამბავი — სოფლის მამასახლისის მკვლელობა, რაც გამოწვეული იყო მის მიერ გლეხობის აწიოკებით. „შურისძიება“ პირველად დაიდგა 1914 წლის 20 დეკემბერს მუსულმანთა აუდიტორიაში. ამ პიესის შემოსავალი გადაეცა ქართული თეატრის მშენებლობის ფონდს.

ამის გამო ჟურნალი „თეატრი და ხელოვნება“, 1914, № 41 წერდა: „ივანე გიგოშვილი მომავალ შაბათს 20 ქრისტეშობისთვეს მუსულმანთა აუდიტორიაში ქართული თეატრის ფონდის სასარგებლოდ სდგამს ორიგინალურ ახალ პიესას „შურისძიებას“. ადგილების ფასი 60 კაპიკიდან 20 კაპიკამდე“

უნდა ითქვას, რომ მაშინდელ პირობებში ისეთი პიესის დადგმა, როგორიც არის „შურისძიება“, დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. ამის მიუხედავად, როგორც იყო, მეფის ნაცვალმა სამმართველოს უფროსმა პოლუმორდვინოვმა დართო ნება დაედგათ პიესა. „შურისძიების“ დადგმა განახორციელა მსახიობმა და რეჟისორმა ს. პეპანოვმა. როლებს ასრულებდნენ: მაშო მარგველაშვილი, სანდრო ქსენაფონტოვი, არჩილ შათირიშვილი, იოსებ რევაზიშვილი, გიგო პეპანოვი, ვანო მგალობლიშვილი, მოსე ჯანველოვი, ოლა ფეიქრიშვილი, ნიკო მირველოვი, ანა არჯევანიძე, ნატაშა ნადირაშვილი, თამარ ბეჟანიშვილი, სონა და სანდრო გოგაშვილები, ვასო ელიზბარაშვილი, ვერა მარგველაშვილი და სხვ. (მოკარნახე პ. მამულოვი).

„შურისძიების“ პირველ დადგმას დიდძალი ხალხი დაესწრო, მათ შორის ი. იმედაშვილი. მაყურებელი ალტაცებით შეხვდა პიესას. სპექტაკლის დასასრულს სცენაზე გამოიწვიეს რეჟისორი ს. პეპანოვი და პიესის ავტორი ი. გიგოშვილი.

ამის შემდეგ პიესა „შურისძიება“ ხშირად იდგმებოდა არაქსიანის თეატრში. ამ პიესაში ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა ი. გიგოშვილს. ერთხელ მამასახლისის როლის შემსრულებელმა მსახიობმა ქსენაფონტოვმა ვერ მოასწრო თეატრში დროზე მოსვლა. თეატრი გაჭედილი იყო მაყურებლებით. რეჟისორმა ს. პეპანოვმა პიესის ავტორს ივანე გიგოშვილს სთხოვა თავის პიესაში მამასახლისის როლი ეთამაშა.

პიესა „შურისძიების“ დაწერის შემდეგ ი. გიგოშვილი უფრო დაუახლოვდა ი. იმედაშვილს, რომელიც ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებას“ რედაქტორობდა და დროდადრო რეცენზიებსაც ათავსებდა ჟურნალში „მოგზაურის“ ფსევდონიმით.

პირველი წარმატებით გამოწვეულმა სიხარულმა ფრთები შეასხა ი. გიგოშვილს, გული რაიმე ახლის შესაქმნელად მიუწევდა. სწორედ ამ დროს აუ-

ღერდა აზერბაიჯანელი კომპოზიტორის უიზერ ჰაჯიბეგოვის ოპერეტა „არშინ მალ-ალანი“. ივ. გიგოშვილთან მსახიობი შ. გომელაური მისულა და უთქვამს, ვანო, შენ ხომ კარგად იცი აზერბაიჯანული, მოდი ერთი ქართულად აამღერე ვალი და თელი, „არშინ მალ-ალანი“ გადმოთარგმნეო.

ი.გიგოშვილს შაქრო გომელაურის წინადადება ჰკუაში დაუჯდა და გადაწყვიტა ეთარგმნა „არშინ მალ-ალანი“. თუმცა ამ დროს საოპერეტო ხელოვნებას ქართულ სინამდვილეში ეროვნული მუსიკალური ტრადიციების მხრივ თითქმის არავითარი ნიადაგი არ ჰქონდა მომზადებულ. ეს გარემოება დიდად აფიქრებდა გიგოშვილს, მაგრამ მაინც უკან არ დაიხია და საქმეს შეუდგა.

ახლანდელ ლესელიძის ქუჩაზე იყო აზერბაიჯანული წიგნის მაღაზია, როცა ი. გიგოშვილი ამ მაღაზიის ნაცნობ ნოქარს შეეკითხა, ჰაჯიბეგოვის „არშინ მალ-ალანი“ თუ გაქვთო, გამყიდველმა გაუღიმა და ჰკითხა: კი მაქვს, მაგრამ ქართველმა კაცმა აზერბაიჯანულ წიგნს რა უნდა გაუგო, ჩვენ მხოლოდ აზერბაიჯანული წიგნები გვაქვსო. გიგოშვილმა უპასუხა, ცოტა მესმის აზერბაიჯანული. „სასიამოვნოა, გურჯი ყარდაშ“ (ქართველო ძმაო), მაგრამ მაინტერესებს რაში დაგჭირდა აზერბაიჯანული წიგნიო? — ჰკითხა კვლავ სიცილით. — ვფიქრობ გადავთარგმნო, ვნახოთ, თუ გამომივა რამეო — უპასუხა ი. გიგოშვილმა. ნოქარს ძალიან გაუხარდა, წიგნი მისცა. ი. გიგოშვილი მეორე დღესვე შეუდგა თარგმნას.

დაახლოებით სამი თვის შემდეგ თარგმანი მზად იყო. შემდეგ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში ი. იმედაშვილთან მიიტანა. იმედაშვილი აღფრთოვანებულა ოპერეტის თარგმანით და გიგოშვილისათვის ურჩევია, წადი, დადგმის ნებართვა ითხოვეო. საჭირო იყო აგრეთვე ავტორის ნებართვაც. ამისათვის ი. გიგოშვილი უნდა წასულიყო ბაქოში უიზერ ჰაჯიბეგოვთან. მაგრამ გაუშვებდა კი მისი უფროსი სამედლოვე, ხალიჩების მაღაზიის პატრონი, ვისთანაც ამ ხანებში გიგოშვილი ნოქრად მუშაობდა?!

კარგახნის ყოყმანის შემდეგ, ერთ საღამოს, როდესაც სამედლოვე კარგ გუნებაზე იყო (იმ დღის ნავაჭრმა მაქსიმუმს მიაღწია), მივიდა მასთან და მოკრძალებით სთხოვა რამდენიმე დღით გაენთავისუფლებინა სამუშაოდან. სამედლოვემ მიზეზი იკითხა და როცა აუხსნა საქმის ვითარება, გაანთავისუფლა.

უიზერ ჰაჯიბეგოვმა ი. გიგოშვილს თარგმანი მოუწონა, მეგობრულად გადახვია ხელი და უთხრა: „არშინ მალ-ალანის“ დადგმის ნებართვას დიდი სიამოვნებით გაძლევთ, ეს ჩემი სურათიც სახსოვრად გქონდეთო, მომიგონეთ ხოლმე, იქნებ ამ სურათმა ჩემი სხვა ახალი ნაწარმოების თარგმნის სურ-

ვილიც აღგიძრათო. უიზერის ეს მეგობრული სიტყვები სამუდამო ტკბილ მოგონებად ჩარჩა გულში ი. გიგოშვილს.

თბილისში დაბრუნებისთანავე ი. გიგოშვილი ჟურნალ „თეატრისა და ცხოვრების" რედაქციაში მივიდა. უჩვენა თავისი ძვირფასი საჩუქარი და ავტორის ნებართვა „არშინ მალ-ალანის" ქართული თარგმანის დაბეჭდვის შესახებ. ი. იმედაშვილმა დიდად გაიხარა, გამარჯვება მიულოცა. ი. გიგოშვილს მეფისნაცვლის სამმართველოში, უყოყმანოდ მისცეს დადგმის ნებართვა. ახლა საჭირო იყო მოლაპარაკებოდა შ. გომელაურს და მურაშკოს და არაქსიანის მუდმივ სცენისმოყვარეებს. ყველამ მხარი დაუჭირა და როლებიც შემდეგნაირად განაწილდა: ასკარა — მ. ჯანველოვი, სულთანბეგი — ი. რევაზიშვილი, სულეიმანი — შ. გომელაური, ვალი — ნ. მირველოვი, გულჩორა — მ. მარგველაშვილი, ასია — ნ. ნადირაძე, — ჩალა — ო. ფეიქრიშვილი, თელი — გ. ურბნელი (ცნობილი მსახიობის, სახალხო არტისტის იუზა ზარდარიშვილის მეუღლე, საუცხოო ხმის პატრონი), მაგრამ არ ჰქონდათ სარეპეტიციო ოთახი, დადგმისათვის საჭირო თანხა. გიგოშვილმა დაიქირავა გამოჩენილი მეთარეები ნ. იბრაჰიმოვი, ს. ოშაყმაშვილი, მევიოლინე ა. სარიევი, ხელმძღვანელობდა ალექსეროვი. რეპეტიციები ეწყობოდა მთარგმნელის ბინაზე.

ი. გიგოშვილმა ორთვენახევარი მძიმე შრომაში გაატარა. მათი პატარა დაი თავგამოდებით მუშაობდა. მისი არც ერთი წევრი ძალ-ღონეს არ იშურებდა. მათი ეკონომიური შესაძლებლობის მაქსიმუმი ამ სპექტაკლის დადგმას ხმარდებოდა. მესამე თვის ბოლოს სპექტაკლი უკვე მზად იყო.

პრემიერის ჩასატარებლად სათანადო შენობა იყო საჭირო. დახმარებისათვის ი. გიგოშვილმა მიმართა არაქსიანის თეატრის დირექტორს მსახიობ აბო ხარაზიანს. ხარაზიანი დათანხმდა, მხოლოდ იმ პირობით, თუ ქირას სპექტაკლის წინა დღეს შეიტანდა. რა გზა ჰქონდა, როგორც იყო ქირაც მთლიანად გადაიხადა. სპექტაკლის ჩვენება აღდგომის დღეს დაინიშნა, 1916 წლის 11 აპრილს. ეს დღე ხელს არ აძლევდა, რადგან ამ დღეს ხალხი დღესასწაულს ზეიმობდა და ძალიან ცოტას თუ გაუწევდა გული თეატრისაკენ, მაგრამ აბო ხარაზიანმა თავის თეატრში სხვა დღე არ დაუთმო. „არშინ მალ-ალანის" პრემიერის გამართვა ქართველ საზოგადოებას ჟურნალ „თეატრმა და ცხოვრებამ" აუწყა: „ავლაბრის თეატრ-პალასში აღდგომის ორშაბათს, 11 აპრილს სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ ენაზე ცნობილი ოპერეტა „არშინ მალ-ალან" ოთხმოქმედებად, უიზერ ჰაჯიბეგოვისა, თარგმანი ვანო გიგოშვილისა. საზანდარი მეთარე ალექსეროვის მონაწილეობით. ბილეთები თეატრის კასაში იყიდება. რეჟისორი ალექსეროვი, გამგე ვ. გიგოშვილი".

უკვე ოთხი საათი სრულდებოდა, დასის მთელი შემადგენლობა თეატრში იყო, მაგრამ სალაროში ჯერ ერთი ბილეთიც არ იყო გაყიდული, თითქოს მართლდებოდა ი. გიგოშვილის შიში, მაგრამ ექვსი საათისათვის იმდენი ხალხი მოაწყდა, მალე არც ერთი ბილეთიც არ დარჩა, თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო. კარის დაკეტვის შემდეგ დიდხანს ვერ მოახერხეს სპექტაკლის დაწყება. გარეთ დარჩენილნი მოსვენებას არ აძლევდნენ. მთარგმნელი და სცენისმოყვარეები ცრემლნარევ სიხარულს განიცდიდნენ, უხაროდათ, რომ საზოგადოება ასეთ ინტერესს იჩენდა სპექტაკლისადმი, მაგრამ, ამავე დროს, შიშობდნენ, ვაითუ კარი მართლა შემოამტვრიონ და წარმოდგენა ჩაგვეშალოსო. ბოლოს, რაკი ხალხის მოზღვავება გასაქანს არ აძლევდათ, მიმართეს თეატრის დირექტორს აბო ხარაზიანს და გადაწყვიტეს შესასვლელი ბილეთები გაეშვათ. ამან ცოტა შეღავათი მისცა, და ფარდა აიხადა...

სპექტაკლი ბრწყინვალედ დაიწყო, ყველა მოქმედება ტაშის გრიალში მიმდინარეობდა. არ იცოდნენ, რას მიეწერებოდა ასეთი წარმატება. ცხადია მსახიობები კარგად თამაშობდნენ, მაგრამ წარმატების მთავარი მიზეზი, ალბათ, ის იყო, რომ ქართველი საზოგადოება მშობლიურ ენაზე პირველად ისმენდა ოპერეტას. გვიან ღამით დამთავრდა წარმოდგენა. ტაში ოვაციად იქცა. მთარგმნელის სცენაზე გამოსვლა მოითხოვეს. ხალხი კმაყოფილი შესცქეროდა ი. გიგოშვილს, რომელიც გრძნობდა, რომ ქართველი მაყურებლის თვალში გაიმარჯვა დიდმა აზერბაიჯანელმა კომპოზიტორმა და მისმა მთარგმნელმაც.

თუ აქამდე ქართველ თეატრალთა შორის იყვნენ სკეპტიკოსები, რომლებიც ეჭვს გამოთქვამდნენ ამ წამოწყების მიმართ და „არშინ მალ-ალანს" ქართულ სცენაზე უდავო მარცხს უწინასწარმეტყველებდნენ, ახლა, პირველი სპექტაკლის დადგმის შემდეგ, ქართულ „არშინ მალ-ალანს" უამრავი თაყვანისმცემელი გამოუჩნდა. ამ დღიდან „არშინ მალ-ალანი" კვირაში სამ-ოთხჯერ იდგმებოდა თეატრებისა და კლუბების სცენებზე. სცენისმოყვარეებს ეს ოპერეტა ცხოვრების წყაროდ გადაექცად. დასის სიამაყენი იყვნენ მაშინდელი სცენისმოყვარენი: შ. გომელაური, მ. ჯანველოვი, ი. რევაზიშვილი, ნ. მირველოვი, ს. სულთანიშვილი, მ. და ვ. მარგველაშვილები, ნ. ნადირაძე, ა. არჯევანიძე, ო. ფეიქრიშვილი, ა. შანშიაშვილი, ს. გოგაშვილი, დ. თვალჭრელიძე, ა. უმბრიევი, მ. სარაული, მ. სულთანიშვილი, გ. ფირუმიანი, ნ. ჩაგუნავა, ვ. კობელი, პ. ფრანგიშვილი და სხვები.

1916 წლის შემოდგომაზე მასწავლებელმა ს. მელაშვილმა ი. გიგოშვილს სთხოვა: ქართველ ქალთა ჭრა-კერვის საზოგადოების სკოლის სასარგებლოდ დადგმულიყო ოპერეტა „არშინ მალ-ალანი". ვ. გიგოშვილმა დიდი სიამოვნებით მიიღო თხოვნა და სცენისმოყვარე დ. მელაშვილთან ერთად წავიდა საზო-

გალობის სკოლაში. ი. გიგოშვილმა იმ დღეს ახლო გაიცნო საზოგადოების თავმჯდომარე, ჩვენი გამოჩენილი მწერალი ქალი ეკ. გაბაშვილი. ეკატერინემ თბილი, გულშიჩამწვდომი საუბარი გაუმართა მისულებს. შეთანხმდნენ, რომ ი. გიგოშვილი, როგორც მთარგმნელი დახმარებას აღმოუჩენდა მწერალ ქალს „არშინ მალ-ალანის“ დადგმით, რომლის შემოსავალი საზოგადოების სასარგებლოდ უნდა გადარიცხულიყო. ეს სპექტაკლი იმავე წლის მიწურულს დაიდგა ოპერის თეატრში. საღამოს ბევრი ხალხი დაესწრო, მათ შორის, მოწინავე ქართველი ინტელიგენცია, ამიტომ საზოგადოების სკოლას, ხარჯების დაფარვის შემდეგ, საკმაო შემოსავალი დარჩა. ამის გამო ი. გიგოშვილს როგორც მთარგმნელსა და დადგმის ხელისშემწყობს ეკ. გაბაშვილმა დიდი მადლობა გამოუცხადა.

მალე ი. გიგოშვილი ჯარში გაიწვიეს. ამის აღსანიშნავად ჟურნალ „თეატრმა და ცხოვრებამ“ გამოაქვეყნა პატარა წერილი, რომელსაც უ. ჰაჯიბეგოვისა და ი. გიგოშვილის სურათი დაურთო („თეატრი და ცხოვრება“, 1916, № 35). ამრიგად ი. გიგოშვილის თეატრალური საქმიანობა დროებით შეწყდა, თუმცა მიწერ-მოწერის საშუალებით მან დასის ყოველი წვრილმანი მაინც იცოდა. დიდად გაიხარა, როცა გაიგო რომ 1917 წლის აპრილის დამლევს თბილისს საგასტროლოდ ეწვია დასი ძმებ უ. და ზ. ჰაჯიბეგოვების ხელმძღვანელობით. 21 აპრილს ოპერის თეატრში დაიდგა უ. ჰაჯიბეგოვის ოპერეტა „არშინ მალ-ალან“, ხოლო მეორე საღამოს ზ. ჰაჯიბეგოვის ოპერეტა „აშუღ ყარიბი“.

ამ დასმა მოიარა თბილისის ყველა გარეუბანი და გადაწყვიტა საგასტროლოდ გამგზავრებულიყო საქართველოს სხვადსხვა კუთხეში: ქუთაისში, სამტრედიაში, ხონში, ფოთში, ბათუმში.

1922 წელს ი. გიგოშვილს ალ. ოგანოვმა ასეთი შინაარსის წერილი გამოუგზავნა: „ძვირფასო ვანო, ველისციხეშიც იხილეს შესანიშნავი ოპერეტა მშობლიურ ენაზე. ო, რომ იცოდე, რამდენი სიახლე შემოიტანა თქვენმა თარგმანმა ჩვენში. ჩვენ ხომ პატარა კულტურის კერაში გვიხდება მუშაობა. ეხლა ჩვენს დასში, რომელიც მინდორში გადიოდა რეპეტიციებს, თამაშობდნენ გლეხის გოგონები, რომლებიც ადრე წარმოუდგენლად თვლიდნენ სცენაზე თამაშს. ახლა ისინი პროფესიონალები გეგონებათ, მათი თამაში უდაოდ დიდ სიამოვნებას მოგანიჭებდათ. დიდი სურვილი გვქონდა, ჩვენ პრემიერას დასწრებოდით, თხოვნაც გამოგიგზავნეთ, მაგრამ თქვენ არ ჩამობრძანდით, ალბათ ვერ მოიცალეთ. ერთი კია, ჩვენი საზოგადოება კმაყოფილია თქვენი თარგმანით და იმედი გვაქვს, რომ უახლოეს ხანში გვესტუმრებით, ზოგადად შესწო-

რებას შეიტანთ ჩვენს დადგმაში და დაგვეხმარებით კიდეც ზოგიერთი სიძნელის დაძლევაში.

მოგესალმებით და გისურვებთ შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას იმ საქმეში, რასაც თქვენ ეწევით, პატივისცემით ალ. ოგანოვი"[1].

აღსანიშნავია, რომ ალ. ოგანოვის მიერ იქნა განხორციელებული უ. ჰაჯიბეგოვის მეორე ოპერეტა „მაშტი იბალი" (გიგოშვილისეული თარგმანი).

1918 წელს არტისტული საზოგადოების თეატრში იდგმებოდა „არშინ მალ-ალანის" მორიგი წარმოდგენა ძველი დასის შემადგენლობით. დასი სპექტაკლის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე შეიკრიბა. ყველა თავისი საქმით იყო გართული. ერთ-ერთ ოთახში შეკრებილიყვნენ მეთარეები ს. ოშაყმაშვილის მეთაურობით. ამ დროს ი. გიგოშვილი ესაუბრებოდა მ. ჯანველოვს. ს. ოშაყმაშვილი მივიდა მასთან და უთხრა: იცი, ვანო, დიდ არტისტებსაც აღძვრიათ „არშინ მალ-ალანის" თამაშის სურვილი. ამ მოულოდნელმა ამბავმა ძალზე გაახარა თურმე გიგოშვილი და საქმის ვითარება გამოკითხა. ამ დროს შემოვიდა მსახიობი ს. ყიფიძე. ყველას ზრდილობიანად მიესალმა, მერე მთარგმნელს მიმართა: განზრახული გვაქვს დავდგათ „არშინ მალ-ალანი". გთხოვთ პიესითა და მუსიკოსებით დაგვეხმაროთ. ამ წინადადებამ ძალზე აღაფრთოვანა გიგოშვილი, რადგან მის მიერ თარგმნილ ოპერეტას სახელგანთქმული არტისტები დადგამდნენ. გიგოშვილი და მუსიკოსები დიდი სიამოვნებით დაეთანხმნენ ყიფიძის გადაწყვეტილებას, რომელსაც ოპერეტის რეჟისორობა უნდოდა ეთავა. რეპეტიციები ტასო აბაშიძის სახლში ტარდებოდა. აქ თავს იყრიდნენ ქართული თეატრის სახელგანთქმული მსახიობები: ვ. აბაშიძე, ალ. იმედაშვილი, ს. ყიფიძე, გ. ფრონისპირელი, ე. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, მ. მაღალიანისა და სხვ. სპექტაკლი მოკლე ხანში მომზადდა. როლები ასე იყო განაწილებული: სულთან-ბეგი — ვ. აბაშიძე, ასკარა — ალ. იმედაშვილი, სულეიმანი — გ. ფირუმიანი, ველი — ს. ყიფიძე, გულჩორა — ტ. აბაშიძე, ასია— მ. მაღალიანისა, ხალა — ელ. ჩერქეზიშვილი, თელი — ნ. ჯავახიშვილი.

დანიშნული იყო ორი წარმოდგენა არტისტული საზოგადოების თეატრში. ყველა გულისფანცქალით მოელოდა სახელოვანი არტისტების ვ. აბაშიძის და ელ. ჩერქეზიშვილის სცენაზე გამოჩენას. აი, ქვრივი სულთან-ბეგი (ვასო) სცენის სიღრმეში დგას და ბედს უჩივის: რა იქნებოდა, საიდანმე ერთი ქვრივი ქალი გამოჩენილიყო. მაშინ ერთი მოლა, ერთი თავი შაქარი და სამი მანეთი ფული საქმეს გაჩარხავდაო. ამ დროს თითქოს განგებამ სახლში დაახვედრა ქვრივი ქალი ხალა, (ელ. ჩერქე-

ზიშვილი). ამის შემხედავი სულთან-ბეგი — ვასო თვალებს მოიფშვნეტს და აღტაცებული შესძახებს: „ამას რას ვხედავ, ჩემს სახლში ქალი?! ალბათ, ალახმა გამომიგზავნა“. ამ სცენას ისეთი ოსტატობით ასრულებდა თურმე ვასო რომ მნახველს ეხლაც არ ავიწყდება მის მიერ შესრულებული ეს სცენა. ასეთივე დიდი აღტაცება გამოიწვია მაყურებელში ვასოს დიალოგმა.

ვასო — სულთან-ბეგი — ხალაჯან, რამდენი წლის ქვრივი ხარ?

ელისაბედი ხალა — თორმეტის, ჩემი ქმარი დალალი იყო.

ვასო — სულთან-ბეგი — ღმერთმა აცხონოს, რა კარგი კაცი ყოფილა, რომ მომკვდარა ჩემდა საბედნიეროდ. ჩემი ცოლიც ხუთი წელია გარდაიცვალა. მოდი ისე მოვახერხოთ, არც შენ იყო ქვრივი, არც მე.

ასევე ღრმა ლირიზმითა და იუმორით ჟღერდა სცენა, როცა სულთან-ბეგი— ვასო, თარის აკომპანემენტის ქვეშ, ხელს სთხოვდა ხალა — ელ. ჩერქეზიშვილს.

1920 წელს ამ პიესით დასმა საქართველოს მთელი რიგი პროვინციები მოიარა და დიდი წარმატება ჰქონდა, შემოსავალიც კარგი იყო, მაგრამ არტისტებმა ხელმოკლეობას მაინც ვერ დააღწიეს თავი, რადგანაც იმ დროს ფულს ძალა ჰქონდა დაკარგული, ამასთან, მენშევიკური მთავრობა თეატრის კეთილდღეობაზე საერთოდ თავს არ იტკივებდა, თეატრი მაშინ ბედის ანაბრად იყო მიტოვებული.

სოხუმში გასტროლებმა კარგად ჩაიარა. დასის წევრებმა „ლინეიკები“ დაიქირავეს და გაგრისკენ გასწიეს. გზაზე მათ თავს დაესხა მძარცველთა ბრბო და ფული და ტანისამოსი წაართვეს. ტ. აბაშიძეს მძარცველებმა ფულის გარდა, წაართვეს ბეჭდები და ოქროს სამაჯური. მიუხედავად იმისა, რომ თავზე შეიარაღებული მძარცველები ადგა, ტ. აბაშიძე მაინც არ დაიბნა და მოახერხა ფულის გარკვეული ნაწილის „ლინეიკის“ ქვეშ გადამალვა. მძარცველებმა არტისტებს მხოლოდ სასცენო ტანსაცმელი დაუტოვეს და ასე „ანუგეშეს“ არა გიშავთ რა, მაგ ტანსაცმლით ფულს კიდევ იშოვითო. დასი სავალალო მდგომარეობაში ჩავარდა; ნახევრად შიშველ-ტიტველი და უფულო მსახიობები სადღაც, სოხუმსა და გაგრას შორის დარჩნენ. ამ დროს, ბედათ შეხვდათ დრამატურგი ი. გედევანიშვილი, რომელმაც დასს აღმოუჩინა მატერიალური დახმარება. მსახიობები სამი დღით გაემგზავრნენ სოჭში. ხმელეთით უკან დაბრუნებისა შეეშინდათ და გემს დაელოდნენ, მაგრამ გემი არსად ჩანდა, ორი კვირის მანძილზე ელოდნენ მის გამოჩენას, ამასობაში ყოველდღე წარმოდგენებს მართავდნენ. დასმა ტ. აბაშიძეს სოჭში ბენეფისი გაუმართა. ადგილობრივმა საზოგადოებამ მსახიობს იმდენი საჩუქარი მიართვა, რომ ტასოამ დანაკარგი ერთიორად აინაზღაურა. ბოლოს, მეთოთხმეტე დღეს დასი გემით სოხუმს გაემგზავრა.

ჯერ კიდევ 1919 წლიდან ლადო კავსაძე ასკარას როლს თამაშობდა. მაყურებელმა პირველად იგი სწორედ ასკარას როლის ბრწყინვალე შესრულებისათვის შეიყვარა. სცენის ბრწყინვალე ოსტატი საესტრადო ნომრების მშვენიერი შემსრულებელი იყო. 1923 წელს ლადომ „არშინ მალ-ალანის" მოყვარულთაგან დასი შეადგინა, რომელმაც დასავლეთ საქართველო მოიარა.

„არშინ მალ-ალანის" მუდმივი სუფლიორი იყო ლ. სულხანიშვილი, საოცარი მეხსიერებისა და მეტისმეტად კეთილი გულის ადამიანი. 1919 წლის ერთ მშვენიერ დღეს არაქსიანის თეატრში იდგმებოდა „არშინ მალ-ალანი". საცაა სპექტაკლი უნდა დაწყებულიყო, რომ კულისებში აურზაური ატყდა. მსახიობები ჯანველოვთან ნერვიულობდნენ და სულთანიშვილი კი სრულიად დამშვიდებული იყო. მან გაამხნევა სცენისმოყვარეები: შიში ნუ გაქვთ, მე ჩემი ტექსტი მაქვს და თუ მენდობით, ზეპირად უკარნახებო. მართლაც ყველა გაოცებული დარჩა, როცა ლადომ მთელი ოპერეტა თავიდან ბოლომდე ზეპირად უკარნახა. თითქმის ასეთივე იყო სცენისმოყვარეთა მეორე სუფლიორი ალ. ალავერდოვი.

ოპერეტამ თავისი უშუალობით, მელოდიურობით, დიდი ჰუმანურობით მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა და დღეს საბჭოთა კავშირის საუკეთესო თეატრებში იდგმება. ოპერეტაში გამოდიოდა თვალსაჩინო მსახიობი ლ. კავსაძე. ამ ოპერეტით აღფრთოვანებული იყო დიდი ქართველი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი და აპირებდა კიდეც მის დადგმას, მაგრამ არ დასცალდა.

„არშინ მალ-ალანმა" მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ დროის აზერბაიჯანული და ქართული თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაციის საქმეში. ხელი შეუწყო ორი მეზობელი ერის კულტურული ურთიერთობის განვითარებას.

შ. გომელაური „არშინ მალ-ალანის" შესახებ თავის მოგონებებში წერს: „ჩემს ბიძაშვილს ნატაშა ნადირაძეს ენახა სომხურ სცენაზე წარმოდგენილი „არშინ მალ-ალანი". თვითონ კარგი ხმა ჰქონდა, ჩამაცივდა, რომ როგორმე ქართულად მეთარგმნინებინა და დაგვედგა. კარგად ვიცნობდი აზერბაიჯანული ენის მცოდნეს ი. გიგოშვილს. მივმართე მას და ვთხოვე ეთარგმნა. მერე სხვა ამხანაგებიც შეუჩნდნენ. მოეწონა ჩვენი აზრი და სასწრაფოდ თარგმნა. შევუდექით მზადებას. ამ აღმოსავლურ ოპერეტას დიდი მოწონება ჰქონდა. ყოველთვის აუარებელი ხალხი ესწრებოდა. ამ ოპერეტით იმავე შემადგენლობით ქუთაისში წავედით. ზედიზედ სამჯერ თუ ოთხჯერ დავდგით, დიდძალი ხალხი გვესწრებოდა, განსაკუთრებით ებრაელობა. ვთამაშობდით ორი წლის განმავლობაში 1915 და 1916 წლებში. შემდეგ ამავე პიესით დაინტერესდნენ ქართველი პროფესიონალი მსახიობები, შეადგინეს ამხანაგობა.

ინიციატივა იკისრეს ტ. აბაშიძემ, ალ. იმედაშვილმა და ი. ქივიძემ, როლები შემდეგნაირად იყო განაწილებული: გულჩორა — ტ. აბაშიძე, ასკარა — ალ. იმედაშვილი, სულთან-ბეგი — ვ. აბაშიძე, ვალი — ი. ქივიძე, სულეიმანი — ნ. ციციშვილი, კ. ჩაგუნავა, ხალა — ნ. ჯავახიშვილი, ელ. ჩერქეზიშვილი და ო. ფეიქრიშვილი, ასია — ვ. მარგველაშვილი, ელ. აბაზაძე, პ. შოთაძე, გორდელი.

□□

...„არშინ მალ-ალანს" მოჰყვა 1918 წელს ი. გიგოშვილის მიერ დაწერილი „არსენა ჯორჯიაშვილი", რომელიც პირველად დაიდგა ზუბალაშვილების სახალხო სახლის სცენაზე.

1921 წელს ი. გიგოშვილმა დაწერა პიესა „საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში", რომელიც იმავე წელს დაიდგა მედმუშაკთა კლუბში. ეს იყო საბჭოთა საქართველოსადმი მიძღვნილი პირველი სპექტაკლი.

ამას მოჰყვა 1924 წელს გიგოშვილის მიერ დაწერილი ცნობილი წითელი პარტიზანის ცხოვრების ამსახველი პიესა „ილიკო იმერლიშვილი". პიესა დაიდგა პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლში 1925 წლის სექტემბერს, საქართველოს სახალხო არტისტის შალვა ღამბაშიძის მონაწილეობით.

ილიკო იმერლიშვილის როლს ასრულებდა შ. ღამბაშიძე. მარიამს (იმერლიშვილის დედა) — ელ. ჩერქეზიშვილი, ლიზას (ილიკოს მეუღლე) — ს. გოგაშვილი; ვარვარას (იმერლიშვილის ქალიშვილს) — ვ. კუდუხაშვილი, ჩინოვნიკს ფარესაშვილი, ილიკოს ამხანაგს — ბ. ლითანიშვილი.

სპექტაკლს ესწრებოდა იმერლიშვილის მეუღლე ლ. ლებანიძე. მსახიობთა გულწრფელი თამაშით აღტაცებულმა ლიზამ ბევრი ცრემლი დაღვარა; მან წარმოდგენის დამთავრების შემდეგ დიდი მადლობა გადაუხადა როგორც პიესის ავტორს, ისე მონაწილე მსახიობებს.

1928 წელს ი. გიგოშვილმა გაერთიანებული ჯგუფკომისა და მუშა-მოსამსახურეთაგან ჩამოაყალიბა დრამწრე, რომელმაც მრავალი გამსვლელი სპექტაკლი გამართა.

1956 წლის 4 აპრილს თეატრალურმა საზოგადოებამ ვანო გიგოშვილს სასცენო მოღვაწეობის 50 წლისთავი გადაუხადა.

□□

1916 წ. 16 თებერვალს ავლაბრის თეატრში მსახიობ დარო რჩეულო-

შვილის 25 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავ საღამოზე უჩვენეს დ. ერისთავის „სამშობლო“.

1916 წელს მუშათა სახალხო თეატრის სცენისმოყვარეებმა მსახიობ ი. ივანიძის მონაწილეობით წარმოადგინეს შიუკაშვილის ოთხმოქმედებიანი დრამა „მეგობრობა“, ი. ივანიძის რეჟისორობით ირეთელის ოთხმოქმედებიანი დრამა „დამარცხებულნი“. მონაწილეობდნენ: მარგველაშვილი, რევაზოვი, სულთანიშვილი, თავდგირიძე, მანჯავიძე, გულისაშვილი, კახურაშვილი, მჭედლიშვილი, მაისურაძე, ბერიძე, ბროძელი, შათირიშვილი, უსუბეგოვი, ჯიბლაძე.

ავლაბრის სახალხო თეატრის რეჟისორს, პროფესიონალ მსახიობს ი. ივანიძეს მუშათა კლასში, განსაკუთრებით ღარიბ მოსახლეობაში პოპულარობით ვერავინ სჯობდა. დიდ სცენას დიდი მსახიობი სჭირდება. მე ჩემს ავლაბარში პატარა საქმე უნდა გავაკეთოო, ამბობდა იგი. ამიტომაც, სცენისმოყვარეთაგან ადგენს წრეს და თავისივე მონაწილეობით მთელი წლების განმავლობაში ავლაბრის მოსახლეობის გათვითცნობიერების საქმეს ემსახურება. იგი ავჭალის აუდიტორიის ხშირი სტუმარია და დაბა-სოფლებში მოწყობილ წარმოდგენებში მონაწილეობს.

წარმოსადეგი გარეგნობის, გონიერი, დიდი გრძნობებით აღსავსე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს მაყურებელზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული სახეები: საბა ბერი — „ღალატში“, გელა—„პატარა კახში“, პეპო გ. სუნდუკიანის ამავე სახელწოდების პიესაში, როტმისტრი — „სამხედრო ბანაკში“ და სხვ.

„იშვიათი რეზონიორი, მოხუცი მამების საუკეთესო განმასახიერებელი პირდაპირ გაკვირვებთ „მზის დაბნელებაში“ გეურქას კომიკური როლის შესრულებით, ბევრს ახსოვს ამ როლის საუკეთესო განმასახიერებელი ნიკო გოცირიძე, მაგრამ ვისაც კი შემთხვევა ჰქონია ენახა ივანიძის მოთქმით ტირილი. მისი საოცარი მიმიკა, როლის თავისებურად წარმოსახვა, ის არასოდეს დაივიწყებს ივანიძის გეურქ-აღას, ან რა დაგავიწყებს სოსო ივანიძის საბა ბერს „ღალატში“. ხომ გახსოვთ „ღალატის“ მესამე მოქმედება, საბა ბერს სულ ორი ფრაზა აქვს სათქმელი ამ მოქმედებაში და ამას სოსო ისე ამბობდა, რომ მთელ დარბაზს სიამის ჟრუანტელს ჰგვრიდა.

ზეინაბის ნატვრაზე: „ხომ იმედია, რომ მხარს მოგვცემენ ქართველნი მეომარნი“, გაისმოდა საბას პასუხი: „იმედია, მთლად საქართველოც ჩვენთან იქნება“. ამ სიტყვებში ისეთი იმედის ნოტები იყო, ისეთი გრძნობა, რომ დარბაზი ერთსულოვანი ტაშით ეგებებოდა მსახიობს.

იშვიათი მგრძნობიარე, მეტისმეტად ხალისიანი, ყოველი სუფრის შნო და

ლაზათი. მწერლობის დიდი მოტრფიალე და თაყვანისმცემელი“[1]. ცნობილია, სოხუმში დიდი ილიას საპატივსაცემოდ გამართულ ბანკეტზე, რა დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია სოსო ივანიძის მიერ წარმოთქმულ სიტყვას. აღტაცებული იყო დიდი ილია, მოჯადოებულნი იქ დამსწრენი, რომელთაც მეორე დღეს სპექტაკლზე ძვირფასი საჩუქარი მიართვეს მსახიობთა ოქროპირს.

„1901 წელს დიდი ილია სოხუმს ეწვია. ადგილობრივმა საზოგადოებამ ილიას დიდი ბანკეტი გაუმართა. ბანკეტს დაესწრო თბილისიდან საგასტროლოდ ჩამოსული ქართული დასი ვალერიან გუნიას მეთაურობით. ვალერიანს გვერდით უზის ახალგაზრდა ბრგე ვაჟკაცი. ვალერიანმა შესვა ილიას სადღეგრძელო და სთხოვა თავის გვერდით მჯდომს წაეკითხა ილიას რომელიმე ლექსი. ყმაწვილს გამეორება აღარ დასჭირებია, წამოდგა და დაიწყო. ლექსს ლექსი მოყვა. ადგილები პოემებიდან. საზოგადოება გააკვირვა ახალგაზრდის მახსოვრობამ, გრძნობით წარმოთქმულმა ლექსებმა, იშვიათმა ქართულმა მეტყველებამ. ილიას წარმტაცი ლექსებას მთქმელი მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს. ილია ცრემლმორეული, გაბრწყინებული თვალებით, აღტაცებით შესცქეროდა იმ ახალგაზრდას, რომელმაც მის მიერ გამოძერწილ მკვეთრ სახეებს პირდაპირ სული შთაბერა. თამადის ნებართვით ახალგაზრდამ სიტყვით მიმართა ილიას და ბევრის მნახველი, თვით უებრო ოქროპირი ილია მოხიბლა ამ სიტყვამ. მანამდე უცნობი მსახიობი იმ ბანკეტზე თითქმის ხელახლა დაიბადა და მეორე საღამოს სოხუმის საზოგადოებამ ნიშნად პატივისცემისა მსახიობ სოსო ივანიძეს მიართვა ოქროს მონოგრამით მოჭედილი ვერცხლის პორტსიგარი“[2].

1916 წლის სეზონში ი. ივანიძის და ი. ქიქიძის მონაწილეობით წარმოადგინეს დ. ერისთავის „სამშობლო“. მონაწილეობდა მთელი დასი. ამის შემდეგ ელ. ჩერქეზიშვილის, ი. ივანიძის და ი. ქიქიძის მონაწილეობითა და რეჟისორობით დადგეს აქვს. ცაგარლის მიერ თარგმნილი „ორი ობოლი“.

იმავე სეზონში ქართული წრის წევრებმა უჩვენეს ვალ. გუნიას „დაძმა“, შემდეგი სცენისმოყვარეთა მონაწილეობით: რ. სალაყაია — ფარად ფაშა, ი. გულისაშვილი — ყარაი ოღლი, დალაქიშვილი — ჯანვერდი, ს. ერთაწმინდელი — ყარაგიოზი, ი. შერმაზოვი — ოტია ჯოლია, ე. თარხნიშვილი — გიორგი ადამია, შ. ლადოშვილი — ქუჩუ ადამია, ს. გოგაშვილი — გაიოზ ფაღავა, მ. მარგველაშვილი — გაიოზის და, ბ. ალავერდიშვილი — გადია, ს. გოგაშვილი — მსახური, მოქმედება წარმოებს XII საუკუნის დამლევს.

---

[1] ალ. ბურთიკაშვილი, სცენის ოსტატები, გამომც. „ხელოვნება“, 1951, გვ. 106–107.

[2] იქვე.

1917 წლის 2 იანვარს, ავლაბრის ქართული ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოდ, ავლაბრის ძველმა სცენისმოყვარეებმა ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წარმოადგინეს „და-ძმა".

1917 წელს 16 აპრილს კი ქართული დასის სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იყო დენერის „ორი ობოლი". რეჟისორი ი. რევაზიშვილი. მონაწილეობდნენ: მარგველაშვილი, გიგოშვილი, გოგაშვილი, ფეიქრიშვილი, მჭედლიშვილი, სალაყაია, მაისურაძე, ქვლივიძე, გულისაშვილი, სადუნიშვილი, გელიკურაშვილი და სხვები.

1917 წლის 9 ნოემბერს „ავლაბრის თეატრ პალასში" წარმოდგენილი იქნა გაბრუაშვილის ხუთმოქმედებიანი დრამა „ბრძოლა არსებობისათვის". მონაწილეობდნენ: პ. პაპინაშვილი—რევაზი, დიდი მებატონე, ქ. მარგველაშვილი—მარო, მათი მოახლე, ბ. ივრისპირელი — სანდრო, მისი საქმრო, ბ. თვალჭრელიძე, სულთანიშვილი — თავადი არჩილი, ქ. რჩეულიშვილი — ფეფო, მისი ცოლი, ბ. ტიტესაშვილი — გიორგი. ფეიქრიშვილი — ფარეში, თვალჭრელიძე, სულთანიშვილი — ბერი, ბ. ფერიაშვილი — გიგო, ბ. მანგოშვილი — მწყემსი, ბ. რაზმაძე — მდევარი, ბ. გოგილაშვილი — ციხისთავი, ბ. ფიქროვი — ჯალათი.

ავლაბრის მუშათა კლუბის დრამწრემ დ. ჩარკვიანის რეჟისორობით მომდევნო სპექტაკლად წარმოადგინა „კონსტანტინე ბატონიშვილი", ანუ „ქეთევან წამებული".

სპექტაკლის დამდგმელ რეჟისორს (დ. ჩარკვიანი) სწორი გზა გამოუნახავს ნაწარმოების სცენური ხორცშესხმისათვის. იგი წავიდა არა პიროვნებათა გრძნობების ჩვენების გზით, არამედ ხაზი გაუსვა ქეთევანის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას და დაგვანახა სამშობლოსათვის თავდადებულ მამულიშვილთა მთელი გალერეა, ნათლად გვიჩვენა კანონზომიერება მოღალატე კონსტანტინეს სასტიკი დამარცხებისა და ქეთევანის გამარჯვებისა, რომელიც მართალია წამებით დაიღუპა, მაგრამ ნატანჯი, დაქუცმაცებული, იმედგატეხილი საქართველოსათვის ერთგულების, თავდადების მაგალითად იქცა. ეს არის რეჟისორის გამარჯვება, რომელმაც ესოდენ მძაფრად გამოკვეთა სპექტაკლის გმირულ-რომანტიკული მხარე.

სპექტაკლი საინტერესო, შთამბეჭდავი და ამაღელვებელი გამოვიდა. იგი გვხიბლავდა ემოციურობით, სანახაობითი მრავალფეროვნებით, შეკრული რიტმით, ლაკონიური და გამომსახველი მიზანსცენებით.

ქეთევან დედოფლის როლი ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი სახეა სპექტაკლში. მაყურებელს განსაკუთრებით აინტერესებდა, თუ როგორ გაართმევდა თავს დედოფლის უაღრესად რთულ ფსიქოლოგიურ როლს სცენის-

მოყვარე ვ. გვაზავა, რომელიც უაღრესად რთული ამოცანის წინაშე იდგა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან კარგად გაართვა თავი ამ რთულ ამოცანას. მისი სახით მაყურებელმა იხილა დიდებული დედოფალი, თავისი მომხიბვლელობით, კდემამოსილებით, კეთილი ბუნებით და ბობოქარი სულით.

სპექტაკლში იყო კარგად შესრულებული დრამატული სცენები — ქეთევანის გაცილება ისპაჰანში, ქართველთა ზარი „წაიყვანეს დედოფალი", კონსტანტინეს და დედოფლის შეხვედრები, წამებისათვის გამზადებული ქეთევანის დახსნის ცდის სცენა, ყაენის ბობოქრობა, შაჰის ტინებს მიმხვდარი კონსტანტინეს სულის ღაღადისი, და ბოლოს სასტიკად წამებული დედოფლის კოცონზე დაწვა.

მსახიობ ალ. ერაძის შესრულებით, კონსტანტინე ბატონიშვილი ერთ-ერთი საყურადღებო და საინტერესო სახე იყო სპექტაკლში. სცენისმოყვარის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მან ცალმხრივად როდი გადაწყვიტა როლი, ის მარტოოდენ ბოროტი და უსაზღვროდ გაავებული კაცი როდია, მართალია იგი მერყევი ხასიათისაა, პირადი ბედნიერების მისაღწევად ბოროტებას სჩადის, მაგრამ ბოლოს მწარედ განიცდის თავის ღალატს სამშობლოს წინაშე. მსახიობი დიდი ფერადოვნებით გვიხატავს თავისი გმირის სულიერ სამყაროს.

სიყვარული, ამაღლებული და ნათელი — ასეთია ქართველი სარდლის ქაიხოსრო ომანიშვილის როლის არსი. კონსტანტინე ბატონიშვილის მსგავსად, ქაიხოსროც ატარებს გულში ქეთევანის ტრფობას, ეს გრძნობა მას მტკიცედ აქვს შესისხლხორცებული. ქაიხოსრომ მართალია თავი შესწირა ქეთევანის სიყვარულს, მაგრამ ბოლომდე სამშობლოს ერთგული დარჩა. ამაშია მისი გამარჯვება, ქაიხოსროს როლში მსახიობი დ. ჩარკვიანი ერთგული მამულიშვილის, დედოფლისადმი გამიჯნურებული ქართველი რაინდის მიმზიდველ სახეს ქმნის.

დამაჯერებლად განასახიერა ცოფიანი, გაიძვერა, სასტიკი შორსმჭვრეტელი მბრძანებლის როლი ა. გელოვანმა.

მამუკა ჩოლოყაშვილის კეთილშობილური სახე შექმნა სცენისმოყვარე ბ. მაისურაძემ. მისი შესრულებით მამუკა ისეთი ქართველია, რომლის მსგავსმა ვაჟკაცებმა ერი ფიზიკური განადგურებისაგან იხსნა.

აღსანიშნავია კახეთის ეპისკოპოსის როლში ნ. ნინოშვილი.

იმავე წლის 26 ოქტომბერს ავლაბრის მურაშკოს თეატრმა სეზონის გასახსნელად დ. ჩარკვიანის რეჟისორობითა და მონაწილეობით წარმოადგინა ია ეკალაძის პიესა „№ 21 ჯერით". ეს პიესა ავტორის ნებართვით ქალაქში მეორეხედ დაიდგა. მონაწილეობდნენ: დ. რჩეულიშვილი, მ. ქართველიშვილი, ნ. მირველოვი, ს. სულთანიშვილი, ჯანჯულაზოვი, მ. ჯანველოვი, გ. ფირუმიანი ბ. მა-

ისურაძე, ნ. ჭარუკაშვილი, ა. გელოვანი, ს. აუშტროვი, ვ. ფერიაშვილი, ვ. მგალობლიშვილი, ზ. გომელაური, ალ. ერაძე, გ. პაპინაშვილი, მ. გარიყული, კლუბის გამგეობისაგან მოწვეული იყვნენ დამსახურებული არტისტები.

ამის შემდეგ ქართული წრის ძველმა სცენისმოყვარეთა ამხანაგობის კავშირმა წარმოადგინა ვალ. გუნიას „და-ძმა“ ნ. მირველოვის რეჟისორობით, ქართველ ახალგაზრდა სცენისმოყვარეთა წრემ კი ორმოქმედებიანი კომედია „ადვოკატი მელაძე“.

ამას მოყვა ახალგაზრდა სცენისმოყვარეთა წრის მიერ გ. გელიკურაშვილის რეჟისორობით წარმოდგენილი ა. ყაზბეგის სამმოქმედებიანი დრამა „ყაჩაღი არსენა“ და ი. გრიშაშვილის „ტიმოთეს ლეღვი“.

1916 წლის 19 ოქტომბერს არაქსიანის თეატრის წრემ მსახიობების ი. ივანიძისა და ი. ქივიძის მონაწილეობით წარმოადგინეს აკ. წერეთლის ხუთმოქმედებიანი დრამა „პატარა კახი“.

როგორც რეჟისორის, მხატვრის და კომპოზიტორის ჩანაფიქრმა, ისე სცენისმოყვარეების ერთსულოვანმა, შეხმატკბილებულმა თამაშმა ჭეშმარიტად დიდი პატრიოტული ჟღერადობა მისცა სპექტაკლს.

საქართველო, რომელიც ერთ დროს ძლიერ, ხალხმრავალ და კეთილმოწყობილ სახელმწიფოს წარმოადგენდა, ერეკლეს ბავშვობისას უკვე დაუძლურებული და დაქსაქსული იყო. საქართველოს ასეთი აწეწილი და უნუგეშო მდგომარეობის დროს გამოდის პატარა ერეკლე ცხოვრების ასპარეზზე.

დრამატული პოემის „პატარა კახის“ იდეა ის არის, რომ დამპყრობელთაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის საჭიროა მამულის სიყვარულით ანთებული გული და თავგანწირული ბრძოლა.

რეჟისორ ი. ივანიძეს ზუსტად გაუთვალისწინებია მეთვრამეტე საუკუნის დროინდელი ქართველი ხალხის ბრძოლა მოძალადე დამპყრობთა წინააღმდეგ.

სახალხო თეატრის სცენაზე გაისმა უსინათლო გელას „მუმლი მუხასა“ და პატარა კახის მჭექარე ხმა „ან გამარჯვება და ან სიკვდილი“.

„მუმლი მუხასა“ მღეროდა საუკუნეების მანძილზე მრავალჭირნახული ქართველი ხალხი, რომელიც თავგანწირული ბრძოლით იგერიებდა მომხვდურ მტერს, იცავდა თავის მეობას, ჭირნახულს, ნაამაგარს.; მუხად მას წარმოდგენილი ჰყავდა სამშობლო ქვეყანა, ხოლო მუმლად, შემოსეული ურიცხვი მტერი. მუმლი წყდებოდა, ფესვმაგარი მუხა კი უვნებელი უმკლავდებოდა ჟამთა სიავეს.

მართალია, აკაკის ეს პიესა, როგორც მხატვრული ნაწარმოები, უდაოდ ძლიერია, მასში პატრიოტული ჰეროიკა სისხლმოჭარბებულად სჩქეფს, მაგრამ

ხორცშესასხმელად მძიმეა, სცენისმოყვარეთა სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ დასმა წარმატებით დაძლია იგი.

როგორც რეჟისორის, მხატვრის და კომპოზიტორის ჩანაფიქრმა, ისე სცენისმოყვარეების ერთსულოვანმა, შეხმატკბილებულმა თამაშმა ჭეშმარიტად დიდი პატრიოტული ჟღერადობა მისცა სპექტაკლს.

მსახიობ ი. ივანიძის მიერ გელას როლის შესრულებისას ოდნავადაც არ იგრძნობოდა თამაში, ისე ბუნებრივად, სადად, ყოველგვარი გარეგანი დაძაბულობის გარეშე მოქმედებდა მსახიობი.

16—17 წლის პატარა კახს განცვიფრებაში მოჰყავდა მთელი ქართველი ხალხი იმ სახელოვანი თავგანწირული გმირობით, რომელსაც იჩენდა მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. პატარა კახის როლს შესანიშნავად ასრულებდა არჩ. კორძაია. მ. მარგველაშვილის მიერ განხორციელებული ტურფა — ფაქიზი სულის, კეთილი ზნეობის, დიდი ბუნების მქონე სიყვარულით მოჯადოებული გლეხის გოგონაა. მისთვის როგორც ხალხის წიაღიდან გამოსული ქალიშვილისთვის, სამშობლო არის წმიდათაწმიდა. ახალგაზრდა გოგონას სულიერი განცდები მსახიობს დამაჯერებლად მიჰქონდა მაყურებლამდე. ბრძენი გივი ჩოლოყაშვილის როლის შესრულება თვით რეჟისორმა ი. ივანიძემ ითავა. მსახიობმა ჩვეული ოსტატობით შექმნა კეთილშობილი დარბაისელის სახე.

რევაზ ბებურიშვილი და ლევან ქვაბულიძე ნაწარმოებში წარმოდგენილია საწინააღმდეგო ტიპებად. პირველი პირად ბედნიერებას ეძებს და ამისათვის მზადაა გასწიროს სამშობლო, ხოლო მეორე მგზნებარე პატრიოტია, რომელსაც სამშობლოს ინტერესებისათვის დაუქვემდებარებია თავისი ცხოვრება. სწორედ ასეთი გამოკვეთილი სახეები შექმნეს მსახიობებმა რ. სალაყაიამ (რევაზ ბებურიშვილი) და ლ. ბაღაშვილმა (ლევან ქვაბულიძე). ფიზიკურად დავრდომილი, მაგრამ სულიერად მხნე, უანგარო პატრიოტის — ბაადურის როლი მხატვრული ოსტატობით წარმოგვიდგინა ი. ყიფიძემ. მეფე-დედოფლის — თეიმურაზ II-ისა და თამარის როლებს შთამბეჭდავად ანსახიერებდნენ გ. გელიკურაშვილი და მ. ქართველიშვილი. გაიძვერა თედო რამაზიშვილის როლს თამაშობდა მსახიობი ჯავახიშვილი. მასობრივ სცენებში მონაწილეობდა მთელი დასი. სპექტაკლმა მაყურებლის დიდი მოწონება გამოიწვია. დანარჩენი შემსრულებლებიდან გამოირჩეოდნენ: მ. სააკოვი, ვ. მჭედლიშვილი (ქიზიყელი), მ. სულთანიშვილი, ალ. თავდგირიძე, გ. მენთეშაშვილი, ა. უმბრიევი, გ. ქველიძე, ელ. შათირიშვილი, ი. გულისაშვილი. მონაწილეობდა მომღერალთა გუნდი ვ. მათურელის ლოტბარობით.

1919 წ. 10 მარტს დ. ჩარკვიანის რეჟისორობით, მესამე რაიონის ქალთა წრის თაოსნობით წარმოადგინეს რ. ერისთავის ორმოქმედებიანი ვოდევილი „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“.

ეს ვოდევილი წლების მანძილზე იდგმებოდა დიდსა თუ პატარა სცენაზე. მაყურებელი ყოველთვის ინტერესით ხვდებოდა მას. ამჯერადაც დადგმა საინტერესო იყო მსახიობთა ანსამბლით, რომლებიც შესანიშნავად ასრულებდნენ დაკისრებულ როლებს.

დაუვიწყარია ლ. ბაღაშვილი ოსეფას როლში. განსაკუთრებით მისი „სიკვდილის“ სცენაში. „ოსეფას სიკვდილი“ სპექტაკლის კულმინაციაა, მაღალმხატვრული ეპიზოდია. მსახიობის მოძრაობა, მეტყველება თუ მიმიკა მხოლოდ „ოსეფასეულია“, მისი „ვაჭრული“ ბუნების გახსნას ემსახურება. და თუ ოსეფა მაყურებლის ერთგვარ სიბრალულს იწვევს, ეს მსახიობის დამსახურებაა. ლ. ბაღაშვილი ოსეფაში ხედავს ადამიანსაც, თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით, არ უკარგავს მას მშობლიური სიყვარულის გრძნობას და მაყურებლამდე ნათელი შტრიხებით მიაქვს იგი, თუმცა ოსეფა ბოლომდე რჩება ფულის მოტრფიალე კაცად, მის მონა-მორჩილად, რაც თავიდანვე მისი სოციალური მდგომარეობით არის გაპირობებული.

ელისაბედის როლში გამოცდილი სცენისმოყვარე თ. აფხაზიშვილი ვიხილეთ. მსახიობს კარგად აქვს მორგებული პატივმოყვარე ქალის ნიღაბი, მეტყველი ფერებით გვიხატავს მის ქედმაღლურ ბუნებას. მსახიობს ყოფნის შინაგანი ძალა და ტემპერამენტი ელისაბედის სახით ოსეფას ღირსეული მეტოქე და უნებური მძახალი წარმოგვიდგინოს.

ლირიკული პერსონაჟია ნინო. ის მზად არის ყველაფერი გასწიროს სიყვარულისათვის და ამ გრძნობის გარდა სხვას ვერაფერს ხედავს. ახალგაზრდა მსახიობმა ნ. საყვარელიძემ მიმზიდველი და პაეროვანი ფერებით დაგვიხატა სიყვარულით აღმოდებული ქალიშვილის სახე.

დ. მელაშვილმა დასამახსოვრებელი, სახასიათო სახე შექმნა. მისი ივანიკა გულმართალი, კეთილი ახალგაზრდა კაცია, რომელშიც ბოროტების ნატამალიც კი არ მოიპოვება. მას გულწრფელად უყვარს მართა, რომელიც ასევე მიამიტი და უანგარო სიყვარულით არის განწყობილი ივანიკასადმი. მათი ბედნიერება ურთიერთსიყვარულია.

შ. ქართველიშვილმა განასახიერა მაშიკოს როლი. შემსრულებელი ღრმად ჩაწვდა თავისი გმირის სულიერ სამყაროს, შეძლო წარმოედგინა ადამიანი, რომელიც მოქცეულია ძველი ტრადიციების მქონე არტახებში და არ ძალუძს საკუთარ ცხოვრებაში სიახლე შეიტანოს.

აპოლონის დარდიმანდი და ამავე დროს სიკეთისმოყვარული გმირი გამოუძერწავს ს. სულთანიშვილს.

ავლაბრის მუშათა კლუბში 1919 წლის 29 მარტს მესამე რაიონის (26 კომისარი) ახალგაზრდა მარქსისტთა წრემ გამართა თავისი საღამო ოთხ განყოფი-

ლებად. ლექცია წაიკითხა დამფუძნებელი კრების წევრმა რაფიელ ჩიხლაძემ. შემდეგ წარმოადგინეს ქართულად რ. ერისთავის ორმოქმედებიანი კომედია „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“. მონაწილეობდნენ ქ-ნი დ. რჩეულიშვილი, გაიანე ზარდალოვისა, ბ-ნი ნ. მირველოვი, მ. სულთანიშვილი, ა. თავდგირიძე. რუსულმა სცენისმოყვარეთა დასმა მაყურებელს უჩვენა რუსულად **«хахоль Напуталь».**

დასასრულს გაიმართა დივერტისმენტი. დივერტისმენტში სომხური და ქართული სცენები წაიკითხა ნ. მირველოვმა, რევოლუციური ხასიათის ლექსები მ. სულთანიშვილმა და ალ. ერაძემ, გლეხური სცენები ბ. მაისურაძემ.

იმავე წლის სეზონში მესამე რაიონის სახალხო გვარდიის შტაბის ხელმძღვანელობით, ავლაბარში საზაფხულო კლუბის დასაარსებლად ქართველ ძველ სცენისმოყვარეთა ამხანაგობა „კავშირმა“ გამართა წარმოდგენა მეორეთ ი. გედევანიშვილის ცნობილი დრამა „მსხვერპლი“ და ვალ. გუნიას ვოდევილი „თავის ბრალია“. მონაწილეობდნენ ქ-ნი დ. რჩეულიშვილი, მ. მარგველაშვილი, ბ-ნი გელიკურაშვილი, ს. სულთანიშვილი, ჯანოევი, შათირიშვილი, ქსენაფონტოვი, მ. სულთანიშვილი, პაპინაშვილი, ფირუმოვი, ერაძე და სხვანი.

1919 წლის 8 ივნისს მესამე რაიონთან არსებულმა ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციამ წარმოადგინა ახალგაზრდა მარქსისტთა წრის მონაწილეობით აკ. წერეთელის სამმოქმედებიანი დრამა „პატარა კახი“. მონაწილეობდნენ ქ. ქ. რუსიევი, რჩეულოვი, გელოვანისა, ბ-ნი მანგოშვილი, ფერიაშვილი, არ. გელოვანი ,ან. გელოვანი, ერაძე, ჯაშიაშვილი, კრიჭაშვილი, შექაშვილი, კუჟაშვილი და სხვ. მომღერალთა გუნდმა ბ. ტალიკაძის ლოტბარობით შეასრულა სიმღერები.

ამას მოჰყვა ავლაბრის მუშათა თეატრში ამხანაგობა „კავშირის“ მიერ ნაჩვენები ვალ. გუნიას ცნობილი ისტორიული ხუთმოქმედებიანი დრამა „და-ძმა“.

იმავე სეზონში, 27 ივლისს ავლაბრის ძველ სცენისმოყვარეთა ამხანაგობა „კავშირის“ მიერ დამსახურებული სცენის მოყვარის დარო რჩეულიშვილის სასარგებლოდ წარმოადგინეს ავქს. ცაგარლის ოთხმოქმედებიანი დრამა „ქართველი დედა“. მონაწილეობდნენ: ქ-ნი რჩეულიშვილი, გელოვანი, მარგო, ბ-ნი ნ. მირველოვი, ს. სულთანიშვილი, ბ. მაისურაძე, გ. პაპინაშვილი, მ. სულთანიშვილი, რ. ფირუმოვი, ტალიკაძე, ჯანჯუღაზოვი, მამუკაშვილი, გელოვანი და სხვანი. პიესაში მონაწილეობდა მომღერალთა გუნდი შ. ტალიკაძის ლოტბარობით.

ამის შემდეგ წარმოადგინეს ნ. მირველოვის რეჟისორობითა და მონაწილეობით ახალგაზრდა სცენისმოყვარეთა ძალებით გამართული ივ. მაჩაბ-

ლის მიერ თარგმნილი ორმოქმედებიანი კომედია „ადვოკატი მელაძე“ და კ. ყიფიანის მიერ გადმოკეთებული ერთმოქმედებიანი ვოდევილი „დატრიალდა ჯარა“. მონაწილეობდნენ: ქ-ნი რჩეულიშვილი, გელოვანი, ბ-ნი გ. მანგოშვილი, შ. სულთანიშვილი, ნ. მირველოვი, ალ. ერაძე, გელოვანი.

იმავე წლის სექტემბერს გამგეობამ გადაწყვიტა მურაშკოსეული თეატრი გადაეკეთებინა სახალხო თეატრად. მთელი შემოსავალი გადადებული იქნა თეატრის აღსადგენად. ამ დღისათვის ქართული სცენისმოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნა ჰ. ირეთელის ხუთმოქმედებიანი დრამა „დამარცხებულნი“. მონაწილეობდნენ: მ. მარგველაშვილი, ს. გოგაშვილი, ნ. მირველოვი, გ. მანგოშვილი, გ. ჯანჯუღაზოვი, გ. ფირუმიანი, გ. პაპიაშვილი, დ. მელაშვილი, ზ. გომელაური, ვ. ფერიაშვილი, მამუკაშვილი, ქიტესაშვილი და სხვ.

ამას მოჰყვა 26 ოქტომბერს ავლაბრის მუშათა კლუბში საზამთრო სეზონის გახსნა. კლუბის გამგეობამ მსახიობ დ. ჩარკვიანის მონაწილეობით ქართულ ენაზე წარმოადგინა ი. ეკალაძის ოთხმოქმედებიანი დრამა „№ 21 ჯვრით“, ეს პიესა ავტორის ნებართვით მეოთხედ დაიდგა თბილისში.

იმავე წლის სეზონში, დ. ჩარკვიანის რეჟისორობითა და მონაწილეობით დაიდა (პირველად თბილისში) ს. ბელოასის ოთხმოქმედებიანი დრამა „იუდას ამბორი“ (თარგმანი გ. მუმლაძისა). მონაწილეობდნენ: ქ-ნი ხხივიშვილი, სააკოვისა, ჩარკვიანისა, გვაზავა, ბ-ნი დ. ჩარკვიანი, ნ. მირველოვი, ს. სულთანიშვილი, ვ. ფერიაშვილი, ა. გელოვანი, მ. გარეჯელი, ს. გოგაშვილი და სხვ.

1919 წლის 30 ნოემბერს ავლაბრის მუშათა დასმა მსახიობ დ. ჩარკვიანის მონაწილეობითა და რეჟისორობით წარმოადგინა შილერის ცნობილი ხუთმოქმედებიანი ტრაგედია „ყაჩაღები“.

1921 წლის 9 აპრილს მაყურებელმა ნახა ავლაბრის ქართული დრამატული დასის მიერ წარმოდგენილი ერისთავის ისტორიული დრამა „სამშობლო“. სპექტაკლში მონაწილეობდნენ საუკეთესო ძალები: სვიმონ ლიონიძე — ს. ივანიძე, ქეთევან, მისი ცოლი — დ. რჩეულიშვილი, ლევან ხიმშიაშვილი — ლ. ბალაშვილი, დიმიტრი დადიანი — დ. ტალახაძე, გოგია დიაკვანი — კ. მაისურაძე, ზაზა სოლოღაშვილი — გ. ხუციევი, როინ ამირაჯიბი — ბ. მაკაროვი, ესტატე ციციშვილი — ბ. ქესანაშვილი, დედაკაცი — დ. რჩეულიშვილი, პატარა ბიჭი — დ. მელაშვილი, შაჰ-აბასი — გ. ბაკურაძე, ფაიხოშ, მისი ქალი — ო. ფეიქრიშვილი, ისმაილ ბეგ—ს. შრომიშვილი, ისკანდერ ბეგი — დ. ჯავახოვი, ჯალათი — გ. ქორქაძე, ჯაშუში — ა. უმბრიევი.

□□

1919 წელს ავლაბრის ყოფილი არაქსიანის თეატრი უკვე რაიონის მუშათა კლუბად იყო გამოცხადებული, სადაც კვირაში ორი ქართული წარმოდგენა იმართებოდა. მთავარ როლებში გვევლინებოდნენ: ნ. მირველოვი, ე. კულულაშვილი. ი. რევაზიშვილი, მ. ჯანველოვი, რ. ფირუმოვი. დ. ჩაჩანიძე, გ. პაპინაშვილი, გ. ქუქუნაშვილი, ს. აუშტროვი, ს. დავიდოვი, ს. სულთანიშვილი, ე. შათირიშვილი და სხვები. ქალებიდან: მ. ქართველიშვილი, დ. რჩეულიშვილი, მ. და ვ. მარგველაშვილები, ო. ფეიქრიშვილი და სხვები. დრამწრის წევრებმა დაბეჯითებით თხოვეს დ. მელაშვილს მათთან ერთად მიეღო მონაწილეობა წარმოდგენებში. მელაშვილმა უარი არ თქვა და ჩაება მუშათა კლუბთან არსებულ მომწყობ წრეში. ზოგ წარმოდგენაში მოწვევით მონაწილეობდნენ: ნ. გოცირიძე, დ. ჩარკვიანი და ს. სვიმონიძე. დაიდგა „ყომარბაზის ცხოვრება“, „მეზობლები“, „ციმბირელი“, „ავაზაკნი“, „ორი ობოლი“ და სხვ. წრეს რეჟისორობდა მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი მიხეილ სულთანიშვილი.

ეს ის პერიოდი ყოფილა, როდესაც თბილისში სოკოებივით გამრავლებულა მუშათა კლუბები, მრავალ დაწესებულებაში და განსაკუთრებით პროფკავშირებში ჩამოყალიბებულა დრამატული წრეები. წარმოიდგინეთ ყრუ-მუნჯთა საზოგადოებასაც კი ჩამოუყალიბებია თვითმოქმედი წრე, სადაც რეჟისორად მოუწვევიათ ჯერ მსახიობი ს. თარალაშვილი და შემდეგ ი. რევაზიშვილი. მაგრამ ამ ახლად ჩამოყალიბებულ თვითმოქმედ წრეებს ესაჭიროებოდათ გამოცდილი და დახელოვნებული სცენისმოყვარენი. ამის გამო იყო, რომ დანარჩენ ამხანაგებს არ შეეძლოთ ერთ ადგილზე მოკალათება. სხვადასხვა წრეებში და კლუბებში მუშაობის გამო. კერძოდ, ს. დავიდოვი ხელმძღვანელობდა „ტუესის“ წრეს. ალ. გოჩიტაშვილი — „ნარპიტის“ ნ. მირველოვი — „გემოკვეების“, ს. სულთანიშვილი და თ. ნასიძე —„ფოსტატელეგრაფის“, დ. მელაშვილი და შემდეგ სტ. ვართანოვი „მბეჭდავთა“ წრეს და სხვ.

□□

1921 წლიდან, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებიდან, იწყება ავლაბარში ქართული დრამატული დასის მუშაობის ახალი ხანა. წრის შემადგენლობა გაფართოვდა, რეპერტუარი გადაისინჯა, გადახალისდა. შეირჩა ამ მომენტისათვის შესაფერისი პიესები.

წრეში გაერთიანდნენ: დ. რჩეულიშვილი, მ. ქართველიშვილი, მ. და ვ.

მარგველაშვილები, ა. მარქარიანი, თ. ბენაიშვილი, თ. ინწკირველი, თ. ქანთარია, ე. ჯორჯიაშვილი, ბ. მაისურაძე, ი. რევაზიშვილი, დ. მელაშვილი, მ. ჯანველოვი, გ. პაპინაშვილი, რ. ფირუმოვი, გ. ჟუჟნაშვილი, გ. ჯანჯულაზოვი, ე. შათირიშვილი, დ. ჩაჩანიძე, ვ. მამაცაშვილი, ა. ხუციშვილი, ვ. ფერიაშვილი, ვ. კირვალიძე, გ. ბათიაშვილი, ალ. ერაძე, ნ. მირველოვი და სხვები.

წრის გამგეობაში შევიდნენ ე. კულულაშვილი (თავმჯდომარე), ს. აუშტროვი (მდივანი), ნ. მირველოვი და ჟუჟუნაშვილი. გამოყოფილი იყო, აგრეთვე, რეჟისორთა კოლეგია ე. კულულაშვილისა და ი. რევაზოვის შემადგენლობით.

აღნიშნულმა დრამატულმა წრემ ნაყოფიერი, იდეოლოგიურად გამართული წარმოდგენების მართვა დაიწყო, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია ავლაბარ-ხარფუხის, ორთაჭალის მუშებსა და საერთოდ მოსახლეობას.

1923 წლის 23 ივნისს დრამატულმა დასმა, წრის გამგეობის ინიციატივით, იუბილე მოუწყო თავის დამსახურებულ სცენისმოყვარეს, მუშა მსახიობს ბესო მაისურაძეს 30 წლის სასცენო მოღვაწეობის გამო. იუბილემ დიდი წარმატებით ჩაიარა რუსთაველის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში. აღნიშნულ იუბილეზე მხურვალე მონაწილეობა მიიღო პროფკავშირულმა ორგანიზაციამ და ფართო საზოგადოებრიობამ.

ამ პერიოდში, ავლაბრის სახალხო თეატრის შენობის რეკონსტრუქციის გამო, დროებით დასის მთლიანი შემადგენლობა სამუშაოდ გადადის ორთაჭალაში ქარხნებთან ახლად დაარსებულ მეტყავეთა მუშათა კლუბში.

ამ წრის ხელმძღვანელად მოწვეული იქნა ე. კულულაშვილი, რომელიც ხელმძღვანელობას უთავსებს მთავარი როლების შესრულებას. აქ დაჰყო კულულაშვილმა 14 წელი, სადაც უცვლელად ხელმძღვანელობდა ქართულ დრამატულ კოლექტივს.

ამ კლუბში აღიზარდა და მომწიფდა ბევრი ახალგაზრდა მუშა, რომლებიც დღესაც დიდი პატივისცემით იგონებენ იმ ფასდაუდებელ ამაგსა და ღვაწლს, რომელიც მიუძღვის ე. კულულაშვილს მათ ჩამოყალიბება-დავაჟკაცებაში.

შემდეგ წლებში, სამსახურთან ერთად ე. კულულაშვილი კვლავ აქტიურად განაგრძობს შემოქმედებითს მოღვაწეობას კულტურულ სარბიელზე. ამ პერიოდში ფაბრიკა-ქარხნებსა და წარმოებებში მთელ რიგ მუშათა კლუბებში ეპია კულულაშვილი სხვადასხვა პროფკავშირების ხაზით აყალიბებს ქართულ დრამატულ კოლექტივებს და განაგრძობს ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას სრულიად უსასყიდლოდ, როგორც რეჟისორი და მსახიობი. იგი თავის გარშემო იკრებს ნიჭიერ სცენისმოყვარეებს, რომელთაგან ბევრი დღესაც განაგრძობს მუშაობას თეატრალური ხელოვნების, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვადასხვა უბანზე.

ავლაბრის სახალხო თეატრი ნახევარ საუკუნეზე მეტი საინტერესო არსებობის შემდეგ, 1968 წლისათვის ლიკვიდაციის წინაშე დადგა.

მოხდა ის, რასაც დასის ჩამოყალიბების დროს არავინ მოიფიქრებდა და, რომც ვინმეს ეწინასწარმეტყველა, არც არავინ დაიჯერებდა. ისტორიულად მცირე დროის მანძილზე ყარაჩოხელებით, ხელოსნებით, კინტოებითა და ყომარბაზებით განთქმული უბანი საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, თბილისის ერთ-ერთ დიდ სამრეწველო რაიონად გარდაიქმნა, მცხოვრებთა რაოდენობა გაიზარდა, ავლაბარმა სახე იცვალა სოციალურად, ეკონომიურად და კულტურულად. და აი, საკვირველებაც! ავლაბარს მეტროპოლიტენიც ეწვია, 26 კომისრის სახელობის მეტროს სადგურის მშენებლობა ზედ არაქსიანის თეატრის ადგილას დაიწყეს. თეატრის გარშემო არსებული ქოხმახების მაგივრად მრავალსართულიანი კორპუსები ჩამწკრივდა. ასე რომ, ავლაბრის სახალხო თეატრის სცენისმოყვარეთა დასი უთეატროდ დარჩა.

სად უნდა განეგრძოთ მუშაობა? შაითანბაზარში არსებული მუსულმანთა აუდიტორიის შენობა და ე. წ. ტყავტრესტის კლუბი, სადაც ავლაბრის სახალხო თეატრი რეგულარულად დგამდა პიესებს, თბილისის რეკონსტრუქციის გამო, დიდი ხნის წინათ ნგრევაში მოჰყვა. მურაშკოსეული თეატრის შენობა კი დღევანდელი ავლაბრელებისათვის სავსებით გამოუსადეგარი იყო თავისი პრიმიტიულობით.

წრეს მოესპო სამუშაო ბაზა. მაგრამ გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც გადაწყვიტა თეატრის მომავალი ბედი; ეს გახლავთ ავლაბრის სახალხო თეატრის დიდი ენთუზიასტი და სულისჩამდგმელი, ვეტერანი მსახიობი და რეჟისორი ეპია კულულაშვილი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით წრემ დაიწყო წარმოდგენების მართვა ჯერ სხვადასხვა ადგილებში, როგორც თბილისში, ისე ქალაქგარეთ, ხოლო შემდეგში მისი უშუალო ინიციატივით, ხდება გაფანტული ძველი და ახალი სცენისმოყვარეთა ძალების შეკრება ერთ მძლავრ ქართულ დრამატულ კოლექტივად, რომელშიაც გაერთიანებული იყო 70 წევრი. დასისათვის გამოყოფილი იქნა სარეპეტიციო ადგილი. წრე დიდი ენთუზიაზმით შეუდგა მუშაობას და ავლაბრის სომხური თეატრის შენობაში ორჯერ ზედიზედ გაიმართა საჩვენებელი წარმოდგენა. წარმოდგენები მოწონებული იქნა, მაგრამ იმჟამად არსებული სიტუაციისა და სხვადასხვა მიზეზების გამო, ეს ფრიად სერიოზული და სასარგებლო წამოწყება ჩაიშალა.

ამის შემდეგ, ე. კულულაშვილმა გადაწყვიტა რომელიმე კულტსახლთან დაედო ბინა და განეგრძო თავისი შემოქმედებითი მუშაობა. მრავალი ამაო

ცდის შემდეგ გაიხსენა ძველი ტრადიციები და ისევ პლეხანოვის პროსპექტზე არსებულ პროფსაბჭოს ა. მ. გორკის სახელობის კულტურის სახლს ეწვია.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადრე გორკის სახელობის კულტურის პარკში, მშენებელთა კავშირის მიერ გახსნილი საზაფხულო კლუბის შენობაში ავლაბრის სცენისმოყვარეები ორი წლის მანძილზე, ზაფხულობით რესპუბლიკის სახალხო არტისტის დარისპანაშვილის რეჟისორობით დგამდა წარმოდგენებს: „ხანუმას", „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", „მატყუარა ვექილს", „კომედიების საღამოს", „ჭკუისა მჭირს" და სხვ. გ. დარისპანაშვილის ხელმძღვანელობით აქვე იმართებოდა ოჯახური საღამოები, სადაც გ. დარისპანაშვილი ალ. გომელაურთან ერთად კუპლეტებში გამოდიოდა.

თუმცა, აქ უფრო ადრეც იმართებოდა ავლაბრის სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენები. ამის შესახებ ავლაბრის ძველ სცენისმოყვარესა და სახალხო თეატრის მემატიანე დ. მელაშვილი გვიამბობს:

„როგორც ცნობილია, განსაკუთრებით 1919—20 წლებში ბოლშევიკები, პოლიტიკურ მუშაობასთან ერთად, კულტურულ-მეცნიერულ მუშაობასაც აწარმოებდნენ. აწყობდნენ ლექციებს, რომლებსაც კითხულობდნენ მიხ. ცხაკაია, ფ. მახარაძე და სხვანი. 1919 წლის მაისში, მაშინდელ მუშათა კლუბში (ახლა მ. გორკის სახელობის კლუბი) მეტყავეთა პროფესიული კავშირის ბოლშევიკური ფრაქციის ინიციატივით ჩამოყალიბდა სახალხო წარმოდგენების მომწყობი წრე „პროლეტარიატის" სახელწოდებით, რომელსაც ქართული და სომხური სექციები ჰქონდა. პირადად მე ამ „პროლეტკულტის" სარევიზიო კომისიის წევრი ვიყავი. გამგეობის თავმჯდომარედ კონსპირაციის მიზნით იყო მბეჭდავი მუშა თარგამაძე. რეჟისორად მოწვეული იქნა დავით ჩარკვიანი. წარმოდგენები სისტემატურად ყოველ შაბათ-კვირას იმართებოდა (მორიგეობით — ქართულ-სომხური). წარმოდგენების დროს ინიშნებოდნენ გამგეობის მორიგე წევრები, ასე რომ, „პროლეტკულტის" მუშაობას ორგანიზაციული სახე ჰქონდა. რამდენადაც მახსოვს, დაიდგა შემდეგი პიესები ქართულად: — „სიმდიდრის მსხვერპლი", „ცხოვრების გმირი", „პეპო", „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს", „ორი დარაჯი", „არსენა" და სხვა. „პროლეტკულტის" წარმოდგენებში რამდენჯერმე მიიღეს მონაწილეობა კოტე ყიფიანმა და ნ. გოცირიძემ („პეპოში" — ზიმზიმოვი და გიქო და „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს"-ში ოსეფ შატპლუტოვი). ამ პიესებში მე შევასრულე „პეპოში"—სამსონა, „არსენაში" — თედო, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეში" — სერგო, „სიმდიდრის მსხვერპლში" — დათიკო და „ორ დარაჯში" — რობერტო"[1].

---

[1] დ. მელაშვილი, ისნის სახალხო თეატრის წარსულიდან, გამომც. „ხელოვნება", 1955, გვ. 60-61.

მეფის შავბნელი რეაქციის დროს დიდი თეატრების კარი მუშებისათვის დახშული იყო, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ყველა თეატრის კარი მშრომელთათვის ფართოდ გაიღო. რომელი მუშა შეძლებდა ბილეთში ორი-სამი მანეთი გადაეხადა და დიდი თეატრის სპექტაკლს დასწრებოდა. თეატრის სიყვარული კი მუშებში ძლიერი იყო და, ამ მხრივ, სახალხო თეატრებმა მუშათა კულტურული აღზრდის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. შაურიანი ბილეთით მუშა ესწრებოდა თავის თეატრში კარგად შესრულებულ წარმოდგენებს. ამასთან, ამ თეატრში იდგმებოდა ისეთი პიესები, რომლებიც სიამოვნებასთან ერთად სულიერ საზრდოსაც აწვდიდა მუშებს. ძალიან დიდი იყო სახალხო თეატრების დამსახურება.

ამიტომ იყო, რომ 1923 წლის 9 დეკემბერს დიდი ზეიმით იდღესასწაულეს სახალხო თეატრის არსებობის 30 წლისთავი.

ამ იუბილეზე საქართველოს ყველა რაიონის კულტურულ დაწესებულებას მიუღია მონაწილეობა: ამ იუბილეს აღსანიშნავად გამოვიდა წიგნი სახელწოდებით: „საიუბილეო კრებული". „სახალხო თეატრი, 1893—1923 წელი" და აგრეთვე ერთდღიური დიდი ფორმატის გაზეთი „სახალხო თეატრი". ამ გაზეთში სხვა წერილებს შორის დაუბეჭდავთ ალექსანდრე სუმბათაშვილის-იუჟინის შეხედულება ქართულ თეატრზე და სახალხო თეატრზე. ამ გაზეთში სხვა წერილებს შორის ყოფილა აგრეთვე მაკო საფაროვა-აბაშიძის „მოგონებანი". გიორგი ლასხიშვილის ფელეტონი და სხვათა „თეატრალური კურიოზები".

იმავე დღეს, დღის პირველ საათზე, გადაუხდიათ სამგლოვიარო პანაშვიდი გარდაცვლილ სცენის მუშაკთა: მ. დემურიას, ი. ძნელაძის, დ. შველიძის, გ. გელიკურაშვილის, დ. რჩეულიშვილის და სხვათა საპატივსაცემოდ. ორკესტრი უკრავდა სამგლოვიარო მუსიკას. საზეიმო საღამო გახსნა გ. ყურაშვილმა, მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა მიხა ცხაკაიამ. საიუბილეო საღამოს სახალხო სახლის სცენაზე ი. გედევანიშვილის „მსხვერპლის" პირველი მოქმედება წარმოადგინეს. ამ პიესას რეჟისორობდა ნიკო გოცირიძე.

ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებელმა, სცენის დიდმა ოსტატმა კოტე მარჯანიშვილმა სახალხო თეატრის რეპერტუარიდან 17 ნაწყვეტი სპეციალურად საზეიმო საღამოსათვის დადგა. ავქს. ცაგარლის „რაც გინახავს, ველარ ნახავ" და „ციმბირელი", პ. ირეთელის „დამარცხებულნი", ჰეიერმანის „იმედის დაღუპვა", ალ. ყაზბეგის „არსენა", ნ. აზიანის „გაცრუებული იმედები", ტრ. რამიშვილის „მეზობლები", გ. ერისთავის „დავა", მოლიერის „ტარტიუფი", ია ეკალაძის „№ 21 ჯერით", დ. კლდიაშვილის „ირინეს

ბედნიერება“, პ. ირეთელის „ქრისტინე“, შ. დადიანის „გუშინდელნი“, გ. სუნდუკიანის „პეპო“, ნ. შიუკაშვილის „სულელი“, ა. სუმბათაშვილის „ღალატი“.

მარჯანიშვილს ეხმარებოდნენ შალვა დადიანი, კოწო ანდრონიკაშვილი და ნიკო გოცირიძე. რეჟისორის თანაშემწეებად იყვნენ ა. ბადრიძე, ლ. კანდელაკი, ჰ. გელეიშვილი და ა. ცაბაძე.

მარჯანიშვილმა მთელი სცენა სიგანეზე სამ ნაწილად დაჰყო. ყველა ნაწილს თავისი საკუთარი ფარდა ჰქონია და ნათდებოდა ხოლმე ის ნაწილი, რომელშიც მიდიოდა პიესის ნაწყვეტი, დანარჩენი ორი სცენა იყო ჩაბნელებული.

დიდმა ოსტატმა ერთ საღამოს შეძლო სახალხო სახლის ისტორიისა და განვლილი გზის ნათელ ფერებში გადმოცემა. ამ საღამოს სახალხო თეატრის დამაარსებელი გიორგი ჯაბაურიც იღებდა მონაწილეობას.

აი, რას გვიამბობს ამ იუბილეს შესახებ სცენის დიდი ამაგდარი, სახალხო თეატრის ფუძემდებელი გიორგი ჯაბაური: „ვუცქეროდი ამ იუბილეს და გული სიხარულით მევსებოდა. მაგონდებოდა ჩვენი წარსული, პირველი წარმოდგენები ამ 30 წლის მანძილზე. ტყის დეკორაციის ნაცვლად ხის ფოთლებით მოწყობილი სცენა, ჩაის ასადუღებელი კუბის დანგრევა, პირველი სცენის გაკეთება, ყოველი დაბრკოლება, გაჭირვება და ვინ იცის კიდევ რა... და დღეს ამ თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი ვესწრები ამ დიდ დღესასწაულს და ვფიქრობ, საბჭოთა ხელისუფლება რომ არა, დღესასწაულს ხომ ვერ მოვესწრებოდი. მე, რომელმაც მივიღე მონაწილეობა ამ 30 წლის წინათ ამ თეატრის სპექტაკლში, იუბილეს დღესაც ვიღებ მონაწილეობას იმავე სახლის სცენაზე.. იმავე სპექტაკლში“.

---

[1] გ. ჯ ა ბ ა უ რ ი, მოგონებანი, გამომც. „ხელოვნება“, 1956, გვ. 60.

□□

მინდა მოვიხსენიოთ ავლაბრის მურაშკოსა და არაქსიანის თეატრთან არსებული ქართული დრამატული წრის ძირითადი შემადგენლობა, რომლებიც სისტემატურად, ათეული წლების მანძილზე მოღვაწეობდნენ და ცნობილი და აღიარებული იყვნენ, როგორც პროფესიონალი სცენისმოყვარენი.

მწერალი და საზოგადო მოღვაწე იოსებ იმედაშვილი იყო მურაშკოს თეატრთან არსებული ქართული წრის ერთ-ერთი პირველი დამაარსებელი, მისივე გამგეობის თავმჯდომარე და მთავარი რეჟისორი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ქართული კულტურის სამსახურს შეალია.

ი. იმედაშვილის სახელი პირველად 1895 წლიდან გამოჩნდა ქართული პრესის ფურცლებზე, თანამშრომლობდა „ივერიაში", „ცნობის ფურცელში", „კვალში", „ელვაში", „მოგზაურში", ხელმძღვანელობდა გაზეთ „ხალხის ერთობას" და ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებას".

ი. იმედაშვილის პოეზია საბრძოლო განწყობილებას ნერგავდა ფართო მასებში. მისი რევოლუციური შინაარსის ლექსები და პოემები პირველად 1904 წელს გამოიცა იზიძის ფსევდონიმით.

ხალხის უანგარო მსახური ი. იმედაშვილი საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე იმ პერიოდში გამოვიდა, როცა მუშათა მოძრაობა რუსეთში დღითიდღე ძლიერდებოდა. რევოლუციური მოძრაობა საქართველოსაც მოედო. მთელი ხალხი — მუშები, გლეხობა, ინტელიგენცია ამოძრავდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მართალია, პირველი რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ ბრძოლა არ შეჩერებულა. პროკლამაციები იბეჭდებოდა, აკრძალული წიგნები მაინც ვრცელდებოდა ხალხში...

რეაქციის მძვინვარების პერიოდში ჟანდარმერიამ იოსებსაც მიაგნო და კვლავ მეტეხის ციხის საპყრობილეში ჩასვა. იოსებისათვის მეტეხის ციხე პირველი არ იყო.

„სულ სხვა პოლიტიკური ატმოსფერო იყო შექმნილი იმედაშვილის გარშემო, — გვიამბობს ძველი სცენისმოყვარე დ. მელაშვილი — ეს იყო კაცი, რომელიც აქტიურ ლიტერატურულ და მწიგნობრულ მოღვაწეობას ეწეოდა. სახალხო თეატრებში დაბალი მასის აღზრდისა და განვითარების საქმეს ხელმძღვანელობდა. მას ქართული წიგნის პატარა მაღაზია ჰქონდა, სადაც სისტემატურად თავს იყრიდნენ მუშათა მოწინავე წარმომადგენლები და საუბრებსა და კამათს მართავდნენ, და აბა, რაღა ჟანდარმერია იქნებოდა, რომ იმედაშვილი ფარული, და ფხიზელი ზედამხედველობის ქვეშ არ დაეყენებინა და ბოლოს არ დაეპატიმრებინა კიდეც; მით უმეტეს, რომ მისი წიგნების მაღაზიის ხშირი სტუმარი იყო სტალინი, ჯერ კიდევ მაშინ მუშათა წრეებში სოსო ჯუღაშვილად და „კობად“ წოდებული“[1].

ასევე იპყრობს ჩვენს ყურადღებას ი. იმედაშვილის შესახებ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი პროზაიკოსის მიხეილ ჯავახიშვილის წერილი: „იმედაშვილს, რომ დავინახავ ან გავიხსენებ ხოლმე, ძალაუნებურად მაგონდება ქაშვეთის ქუჩა, ბუკინისტების რიგი და ამ რიგში ერთი პაწაწინა ქოხი. იმ ქოხში ზაფხულში უფრო ცხელა, ხოლო ზამთარში უფრო ცივა, ვიდრე გარეთ. წიგნებში ჩამძვრალი იოსებ იმედაშვილი რიჟრაჟიდან დაღამებამდე თავჩაღუნული ზის დახლის უკან და გამალებით მუშაობს, ვითომ წიგნებით ვაჭრობს, მაგრამ მუშტრების მაგივრად უფრო ნაცნობ-მეგობრები ეხვევიან და ხელს უშლიან, ხოლო მუშტრებისათვის იოსებს არა სცალიან, ამიტომ არც მუშტარს სცალიან ახირებული „ვაჭრისთვის“. მუშტარი რომ შემოვა, „უცნაური“ ვაჭარი და მწიგნობარი თავს ძლივს ასწევს, პასუხსაც ძლივს აკადრებს, ზოგჯერ კი არც ამისათვის სცალიან. თუ ვინმემ მოაგონა სადილი, შაურიან წვნიანს მოარბენინებს, ხუთიოდ წუთში გადაყლაპავს და კვლავ ჩრჩილივით ჩაუჯდება ქაღალდებს. როცა დაღამდება, დუქანს დაკეტავს და ქუდმოგლეჯილი იორღით მირბის სახალხო სახლში ან მურაშკოს თეატრში, ექვსიოდე ვერსის მანძილზე. იქ თავის როლს პირნათლად შეასრულებს და ნაშუაღამევს ფეხით გამოდის მთაწმინდის უბანში. ახლაც არ ვიცი როდის იძინებდა, ან როდის ისვენებდა ეს უცნაური და დაუღალავი ადამიანი? ან იძინებდა როდისმე? ან ისვენებდა ზოგჯერ მაინც?“[2].

იოსებ იმედაშვილმა 1895 წელს მძიმე შრომით შეგროვილი გროშებით კომუნართა ბაღის პირდაპირ (ამჟამად ჯორჯიაშვილის ქუჩა) გახსნა ბუკინის-

---

[1] დ. მელაშვილი, ისნის სახალხო თეატრის წარსულიდან, გამომც. „ხელოვნება“. 1955, გვ. 22.

[2] ალ. ბურთიკაშვილი, თეატრალური პორტრეტები, გამომც. „ხელოვნება“, 1958, გვ. 131.

ტების წიგნის მაღაზია, აქვე შექმნა არალეგალური ლიტერატურის წიგნთსაცავი. შეუდგა საგამომცემლო მოღვაწეობას.

იმედაშვილის წიგნის მაღაზია თბილისში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიის შემდეგ ერთ-ერთი ტიპიური ქართული მაღაზია იყო, სადაც შეიძლებოდა ყოველგვარი ქართული წიგნისა და პიესის შეძენა. ამიტომაც მოხდა, რომ მაღაზიის ხშირი სტუმრები იყვნენ მაშინდელი როგორც ლიტერატურული ისე პოლიტიკური მოღვაწე მუშები, თეატრალური მოღვაწეები და სცენისმოყვარეები.

მაღაზიასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს, კოტე ყიფიანს, ნიკო ლომოურს, ვალერიან გუნიას, არჩილ ჯორჯაძეს, ანტონ ფურცელაძეს, იოსებ ჯულაშვილს და სხვებს.

ი. იმედაშვილი ხუთ ათეულ წელზე მეტი ემსახურა ქართულ კულტურას, მოხუცებულობაშიც ასეთივე დიდი გატაცებითა და ენთუზიაზმით ედგა მშობლიური ხელოვნების სიწმინდისა და დიდების საქმეს: „მე, გრძელ ჭაპნად მომდევს გლეხურ-მუშური, ნამდვილი პროლეტარული შთამომავლობა და რევოლუციურ-მწიგნობრული წარსული, მშრომელი ხალხის ემბაზში ამოვლებული გრძნობა, ფიქრი, რწმენა, მის საკეთილდღეოდ მუდმივი მუშაობა საკუთარი ძალღონით“[1].

მძიმე ოჯახური პირობების გამო, იოსებმა უმაღლესი განათლება ვერ მიიღო, მაგრამ ბუნებით მომადლებულმა ნიჭმა თავისი გაიტანა.

შალვა დადიანის სიტყვებით, რომ ვთქვათ, იოსებ იმედაშვილმა თავისი შრომითა და გარჯილობით თვითონვე შექმნა თავისი თავი და ამაღლდა მწერლის ხარისხამდე...

იოსებს ბავშვობა ბორჩალოში, სოფელ წერაქვში მწყემსობაში გაუტარებია მამით ადრე დაობლებული ბიჭუნა დედამ თბილისში ჩამოიყვანა და სახელოსნო სასწავლებელში მიაბარა. სწავლასთან ერთად, იოსები ფართოდ ეწაფებოდა თვითგანვითარებას. იგი პროგრესულად განწყობილი მასწავლებლების: ვასილ რცხილაძის, მიხეილ ბეჟანიშვილის და ზაქარია კანდელაკის წყალობით გაეცნო, როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საზღვარგარეთის კლასიკოსთა ნაწარმოებებს. სწავლასთან ერთად ისინი უნერგავდნენ მოსწავლეებს პროგრესულ აზრებს, უღვივებდნენ მამულიშვილურ გრძნობებს და ამხედრებდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ჭაბუკი ი. იმედაშვილი სწავლის პერიოდიდანვე ჩაბმულა საზოგადოებრივ საქმიანობაში, კერძოდ მაშინ, როცა სახელოსნო სკოლის მოწინავე მოწაფე-

1 ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1971, № 9, გვ. 75.

-ებთან ერთად იგი 1893 წელს თბილისში აარსებს პირველ სახალხო თეატრს, რომელიც ავჭალის აუდიტორიის სახელითაა ცნობილი.

იოსების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა დაემთხვა საქართველოში მუშათა კლასის ჩამოყალიბების პერიოდს. იგი დაუახლოვდა მოწინავე მუშათა პოლიტიკურ წრეებს, ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას, რევოლუციური შინაარსის წიგნებს, ბროშურებს. გამოდიოდა მამხილებელი სიტყვებით მიტინგებსა და სახალხო შეკრებებზე. ქართულ პერიოდულ პრესაში ბეჭდავდა რევოლუციური ხასიათის წერილებს, მოთხრობებს, პოემებს და ლექსებს.

პირველი სახალხო თეატრის ფუძემდებელი, რეჟისორი და მსახიობი იმედაშვილი, ასევე მაღალი გრძნობებით ანთებული, 1902 წელს ავლაბარშიაც აარსებს მეორე სახალხო თეატრს. ამ კეთილშობილი მიზნის მიღწევაში დიდ დახმარებას უწევენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები თ. სახოკია, ი. აგლაძე, ი. და ნ. ნაკაშიძეები. ამ თეატრის სცენიდან მშრომელი ხალხი ეზიარებოდა ძმობის, ერთობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის მაღალ იდეალებს.

მეფის მთავრობა ყოველთვის ავიწროებდა თეატრს, რათა არ დაედგათ რევოლუციური ხასიათის ნაწარმოებები, მაგრამ იოსები არ უშინდებოდა რეპრესიებს და განსაკუთრებით სოციალური შინაარსის პიესებს არჩევდა.

ი. იმედაშვილმა ქართული თეატრისათვის ხელმისაწვდომი გახადა ისეთი პიესები, რომელთა გაცნობა მანამდე დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. მან გამოსცა სპეციალური სერია „ცხოვრების სარკის" სახელწოდებით, რომელიც მიზნად ისახავდა საგანგებოდ შერჩეული პიესებით სახალხო თეატრების რეპერტუარის გამდიდრებას. პირველი კრებული 1899 წელს გამოიცა, ხოლო მეორე 1901 წელს. კრებულში შევიდა როგორც ორიგინალური, ასევე ნათარგმნი და გადმოკეთებული პიესები, აგრეთვე პატარ-პატარა სცენები, კუპლეტები, ლექსები; აქვე გამოქვეყნდა წერილები ხელოვნებასა და თეატრის შესახებ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი უანგარო მამულიშვილური მოღვაწეობა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" გამოცემაში. ჟურნალი გამოდიოდა რეაქციის პერიოდში და ორი ათეული წლის მანძილზე ქართულ პერიოდულ გამოცემათა შორის, ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა და დიდი წვლილი შეჰქონდა ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების საქმეში.

მრავალფეროვანია ი. იმედაშვილისა და მისი ჟურნალის „თეატრი და ცხოვრების" მოღვაწეობის სარბიელი. ქართული კულტურისა და ხელოვნების რომელი დარგი არ უნდა ავიღოთ, რომ ეს ჟურნალი არ შეხებოდეს.

მრავალმა ახალმა წამოწყებამ ამ ჟურნალის ინიციატივით ჰპოვა პოპულარიზაცია.

„ი. იმედაშვილის მთელი შეგნებული ცხოვრება ქართული კულტურის აღორძინების, ქართველი ხალხის განვითარებისა და გათვითცნობიერებისათვის თავდადებული ზრუნვა იყო. მის პიროვნებაში ორგანულად შეირწყა კაცთმოყვარე ჰუმანისტისა და ბოროტების დასათრგუნავად ამხედრებული მკაცრი მებრძოლის თვისებები“[1].

არ ყოფილა არც ერთი თვალსაჩინო პოეტი, რომლის პირველი სიხარული ეს ჟურნალი არ ყოფილიყო. ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში გალაკტიონის სახელი პირველად ამ ჟურნალში აელვარებულა. ი. იმედაშვილი პირველი მიგებებია მის გამოჩენას პოეზიის სამყაროში. ამ ჟურნალში ჰპოვებდნენ ფართო შემოქმედებითს სარბიელს გამოჩენილი ქართველი პოეტები თუ ხელოვნების მოღვაწეები: ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ლეო ქიაჩელი, სანდრო შანშიაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ტერენტი გრანელი და სხვები.

იოსებ იმედაშვილი ჩემი ქართულის ნათლიააო — ამბობდა თურმე მიხეილ ჯავახიშვილი.

„მისი ხალასი ნიჭი და ენერგია შეისრუტა ხელოვნების სხვადასხვა დარგმა. შეიძლება ეს იყო მისი ღირსება, — ამბობდა მგოსანი იოსებ გრიშაშვილი და დასძენდა, —მისი ჟურნალი ყველა ახალგაზრდას აძლევდა ფართო გზას...“

ბევრმა მწერალმა ამ ჟურნალის ფურცლებზე აიდგა თურმე ფეხი და გზა გაიკვლია მაღალი მწვერვალებისაკენ. „მე მეტად დავალებული ვარ იოსებ იმედაშვილისაგან მისი მეგობრული დამოკიდებულებით, — წერდა ალექსანდრე აბაშელი, — პირველი თბილი სიტყვა ჩემი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის გამო მე იოსებ იმედაშვილმა შემაგება. მან დაბეჭდა თავის ჟურნალში ლიტერატურული მიმოხილვა, სადაც გამამხნევებელი შეფასება მისცა ჩემს პირველ ლექსებს, მე არასოდეს არ დამვიწყებია და არც დამავიწყდება ეს პირველი თბილი სალამი და გამხნევება“[2].

თვით ღარიბი, მაგრამ ყურმახვილი დარაჯი და მესაიდუმლე ყველა გაჭირვებული საზოგადო მოღვაწისა, — ასე დაუხასიათებია იგი ქართული სცენის კორიფეს მაკო საფაროვას.

„ხელოვნების უწმინდესი ტაძრის, ადამიანთა გრძნობა-გონების გამაფა-

---

[1] ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1971, № 9, გვ. 75.

„ჭიზებელი ერთი უდიდესი იარაღის განხილვა, სცენის დანიშნულების გარ-კვევა, ცხოვრების შავბნელ კუნძულთა გაშუქება შეძლებისდაგვარად, აი, რა არის დანიშნულება ამ გამოცემისა, — წერდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვ-რების“ მეთაური იოსებ იმედაშვილი თავის წერილში და დასძენდა: ჩემი რწმე-ნაა ხელოვნების უმაღლესი მოთხოვნილება-მისწრაფებათა დაცვა და განვი-თარება, იმდენად, რამდენადაც იგი ხალხთა შეგნებას, ამაღლებას და მათ შორის სოლიდარობის განმტკიცებას ემსახურება“.

„თავისი მრავალფეროვანი მოღვაწეობა იმედაშვილმა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ გამოცემით დააგვირგვინა. მანამდეც იყო ცდები გამოეცათ მხატვრული ჟურნალი. თითო-ოროლა ნომერი გამოდიოდა კიდევაც, მაგრამ უსახსრობის გამო სულს განუტევებდა. მაგალითად ჟურნალი „ფასკუნჯი“ და სხვ. და ის, რაც ვერ შესძლეს უფრო სახელოვანმა მწერლებმა, ორგანიზა-ციებმა, ბანკირებმა და შეძლებულმა პირებმა, გააკეთა ღარიბმა, დაუცხრო-მელმა მოღვაწემ იოსებ იმედაშვილმა. მთელი თხუთმეტი წლის განმავლობაში რეგულარულად გამოდიოდა „თეატრი და ცხოვრება“ და ერის კულტურის სა-განძურში თავისი წვლილი შეჰქონდა. ჟურნალი გამოსცა ადამიანმა, რომელ-საც პოლიგრაფიული ბაზა არ გააჩნდა, არც ქაღალდი ჰქონდა, არც რედაქცი-ისათვის ბინა, არც თანამშრომლები ჰყავდა და არც საჭირო თანხა. მაშ, როგორ მოახერხა ჟურნალის გამოცემა? უშრეტმა ენერგიამ და საქმის სიყვარულმა შეაძლებინა იოსებ იმედაშვილს გაეკეთებინა ისეთი საქმე, რაც რევოლუციამ-დელი თეატრის მოღვაწეთა ოცნებას შეადგენდა.

— „ჰოდა, ჩემო მეგობარო, — უამბობდა ხშირად იოსებ იმედაშვილი, ალ. ბურთუკაშვილს, ერთი აზრი ამეკვიატა. განვიზრახე სათეატრო ჟურნალის გამოცემა. ვიცოდი ჩემი ბუნება: თუ რაიმე აზრი დამებადებოდა, ნემსის ყუნწ-ში გავძვრებოდი და უნდა შემესრულებინა. გროში კაპიკი არ მქონდა. ბედად შევხვდი მიტროფანე ლაღიძეს. ჩემი ზრახვანი გავუზიარე. დაინტერესდა და ორასი მანეთი მასესხა. აი ამ თანხით დავიწყე საქმე და, როგორც იცი, 15 წლის განმავლობაში ვცემდი ამ ჟურნალსო“.

რევოლუციამდე საქართველოში ასეთი პოპულარული ჟურნალი არ იყო. ვინ გინდათ, რომ მისი თანამშრომელი არ ყოფილიყო...

იოსების ჟურნალში ხშირად იხილავდით თურმე დიდი აკაკის, გალაკტიონ ტაბიძის და სხვა თვალსაჩინო პოეტების ლექსების გვერდით სრულიად უცნობი პოეტების გულწრფელ ნაწერებსაც. განა ამით დიდი აკაკი მცირდებოდა! არა და არა. დამწყებ პოეტებისათვის ეს კი დიდი წახალისება ყოფილა.

ვინ აღუნუსხავს რამდენი მწერლისათვის გაუკაფავს გზა თურმე იოსებს და ქმედითი დახმარება გაუწევია. 1925 წლის ივნისში „როცა „თეატრი და ცხოვრების" ჯაიუბილეო ნომერი გამოსულა ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო მწერლები ულოცავდნენ ჟურნალს 15 წლისთავს და მისი რედაქტორის ღვაწლს აღნიშნავდნენ".

გ. ლეონიძის სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში (ს-№ 13944) დაცულია ზ. ჭიჭინაძის უცნობი ბარათი ფილიპე მახარაძისადმი. ბარათი დათარიღებულია 1925 წლის 25 ოქტომბრით და იოსებ იმედაშვილის პიროვნების საინტერესო დახასიათებას შეიცავს.

მოგვყავს ბარათის ტექსტი მთლიანად:

„ჩემგან გულით პატივცემულო ძვირფასო ფილიპე!

იოსებ იმედაშვილს შენც იცნობ და მეც. იგი არის დიდი პროგრესისტი და მასთან თავისი მშრომელი ქვეყნის უაღრესი მოყვარე. მისი შრომა ყოველთვის სდარაჯობდა ქართველი მუშისა და გლეხის დაცემულ ცხოვრებას. იგი იყო და არის კიდევაც მხურვალე მოტრფიალე ქართველი ერის იდეური ამაღლების, პროგრესულად დაწინაურების, რაშიაც უაღრესად არის დაცული კომუნალური იდეაც.

მთელი ორმოცი წელიწადი კაცი სდარაჯობს ქვეყანას თავისი კალმით და თავისი შრომით. ამისთვის ოთხი წელიწადი მეტეხშიაც იჯდა, სხვა დროსაც არ აკმარეს მას დევნა. დევნა ცენზურის კომიტეტიდან, დევნა ჟანდარმერიიდან, დევნა მონარქიული მთავრობისაგან, დევნა სხვათაგან. ამ კაცმა დაბეჭდა, სხვათა შორის, ერთი შენი წიგნი, მანვე დიდად იმუშავა შენს კაუცკის წიგნზე ციხეში. იგია დამაარსებელი სახალხო თეატრისა ამ 38 წლის წინ. იგია შემდგენელი „უცხო სიტყვათა ლექსიკონისა", რომელშიც მან პირველად დაბეჭდა ვრცლად „კომუნისტური მანიფესტი". უკანასკნელ 15 წელიწადს უძღვებოდა სათეატრო ჟურნალს, „თეატრი და ცხოვრება", რომელიც განსაკუთრებით მშრომელ ხალხს ემსახურებოდა, რისთვისაც ვალები წამოედო. ასეთ მდგომარეობაში მყოფი კვლავ აპირებს თავისებურ სამწიგნობრო მუშაობას.

ასეთი კაცის შრომის დავიწყება არ შეიძლება.

თუ ხათრი გაქვს, ჩვენი ქვეყნის სიკეთე გსურს, ამ კაცს გამოუნახე დახმარება, რომ ვალები გაისტუმროს და თავისი ჟურნალის გამოცემა განაახლოს. მას არაფერი დახმარება არა აქვს, მისი შეგირდები პენსიასაც იღებენ და ამას გროშიც არ ეძლევა. ფილიპე, თუ ხათრი გაქვს და კაცი ხარ, ნუ დაივიწყებ ამ ქართველ მუშაკს, ქართველი ერისას. შენ იცი და შენმა ჭკუაგონებამ, როგორ უპატრონებ ამ ერთგულ მუშაკს ქართველი ერის პროგრე-

სული ამაღლებისა და დაწინაურებისას. იმედია, რომ ჩემს დავალებას არ დაივიწყებ და ამ დამსახურებულ მუშაკს შენებურ ზნეობრივ და ნივთიერ დახმარებას გაუწევ.

ამის გულისთვის შენთან თორმეტი კაცი მოდიოდა, მათ მაგიერ მე მოვედი და გთხოვ შენ იზრუნო, რომ ასეთი შრომისმოყვარე კაცი არ იქნეს დაჩაგრული.

თქვენი პატივისმცემელი ზ. ჭიჭინაძე"[1].

1905 წლიდან ი. იმედაშვილი სოფელ ხაშმის პირველი არჩევითი მამასახლისი ყოფილა. ამის შესახებ ალ. ბურთიკაშვილი გვიამბობს: „ხალხმა მთავრობის მიერ დანიშნული ყველა მამასახლისი გარეკა და იოსებ იმედაშვილი არჩეულ იქნა ივრის ხეობის ეგრეთწოდებულ მამასახლისთა მამასახლისად. იოსებმა შეადგინა გარეკახეთის რევოლუციური მთავრობა და 1905 წლის მეორე ნახევრიდან 1906 წლის დასაწყისამდე ყველა საკითხს ეს მთავრობა განაგებდა. მოეწყო ადგილობრივი სასამართლო, ხალხი დაეპატრონა ტყეებს, ალაგმეს სამღვდელოება. ყოველივე ეს აღნიშნული იყო სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „სხივის" პირველ ნომერში"[1].

მეფის მთავრობა ხელს უწყობდა თურმე ეროვნული შუღლის გაღვივებას. მთავრობის პროვოკაციულ ანკესს წამოეგნენ თათართა და სომეხთა ზოგიერთი ფენები და დაუწყიათ ძმათა შორის სისხლის ღვრა, შეტაკება. გარეკახეთიდან იორ-მუღანლოს თათრობა დაძრულა და თბილისში აპირებდა ლაშქრობას სომხების გასაჟლეტად. იოსებ იმედაშვილი თავისი რაზმით წინ აღუდგა ამას და თბილისისაკენ მიმავალი ლაშქარი უკან გაუბრუნებია.

გურიაში აჯანყებულთა ასაწიოკებლად დამსჯელი რაზმის გაგზავნას მთელი საქართველო აღუშფოთებია. მთავრობას პროტესტი პროტესტზე მოსდიოდა და მოითხოვდნენ გურიიდან ჯარების გამოყვანას. არც იოსებ იმედაშვილი დარჩენილა გულგრილი მაყურებლის როლში. ერთ დღეს მეფისნაცვლის სასახლეს ცხენოსანთა რაზმი მიდგომია იოსების მეთაურობით. გარეკახეთის მშრომელთა სახელით იოსებმა მოსთხოვა მეფისნაცვალს გურიიდან ჯარების გამოყვანა. თუ ეს არ გიქნიათო, განუცხადებიათ გარეკახელებს, იარაღს ავისხავთ და ჩვენი ძმების მისაშველებლად დავიძვრებით გურიისაკენო. გაზეთ „ცნობის ფურცლის" დამატებაში დაიბეჭდა შეიარაღებული დელეგაციის სურათი, რომელთა შუაშიც იოსები დგას.

---

1 ჟურნ. „დროშა", 1969, № 3, გვ. 5.

2 ალ. ბურთიკაშვილი, თეატრალური პორტრეტები, გამ-ბა „ხელოვნება", 1958. გვ. 125.

19

„ჩემს ბავშვურ წარმოდგენაში იოსებ იმედაშვილი ზღაპრულ დევგმირად მესახებოდა — გვიამბობს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მ. ყვარელაშვილი: როდესაც ჩვენს ოჯახში თუ სოფელ ხაშმის გლეხ-კაცობაში იმედაშვილზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, მას მუდამ დევ-კაცად სახავდნენ, თუმცა მისი ფიზიკური გარეგნობა ამ შედარებას არ ადასტურებდა. ჩვეულებრივი, საშუალო ტანის კაცი იყო, უფრო ხმელი აგებულებისა და დევის შთაბეჭდილებას სულ არ ტოვებდა. მაგრამ თანასოფლელებს, ხაშმელ გლეხკაცობას ასეთი შთაბეჭდილება შეექმნათ მასზე, რადგან მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ — „იგი იყო, გონებით ღონიერი, დაუშრეტელი ენერგიის პატრონი, დაუდეგარი, შეუპოვარი მოღვაწე. ყოვლის შემძლე, რომლის ცხოვრების ყოველდღიურობა სავსე იყო ხალხზე ფიქრით, გლეხკაცობაზე ზრუნვით. ამიტომაც იყო, რომ ერთი ხაშმელი ხალხური მთქმელი ზედმეტ სახელად „ნალია" (ნიკა ქოქრაშვილი) ასე ამღერებდა ჩონგურზე:

...ნეტა როგორიც ხაშმია
მაჩვენა იმის წყვილია,
ნეტავ დევ-კაცსა შამყარა,
როგორც იმედაშვილია...

იოსებ იმედაშვილს სოფელ ხაშმის გლეხკაცობა წარსულშიც და დღესაც დიდი მადლიერების გრძნობით იხსენიებს, როგორც გლეხობის გულშემატკივარს, სოფლის კეთილდღეობისათვის თავდადებულ მზრუნველს, საზოგადო მოღვაწეს.

იოსები სათავეში ედგა გარეკახეთის გლეხთა მოძრაობას. ის იყო აქტიური ხალხოსანი, განმანათლებელი, სოფლად ცოდნის და კულტურის დამნერგავი... იოსებ იმედაშვილი იყო დიდი ოჯახის პატრონი, ექვსი შვილის მამა და ამ მძიმე ტვირთს მარტო ეზიდებოდა ნამუსის ქუდით. არავითარი გაჭირვებისათვის ქედი არ მოუხრია და სამარის კარამდე ქართული ნაბადი კარს უკან უქმად არ მიუყუდებია. დადიოდა მხრებგაშლილი და მკერდზე თეთრწვერ დაფენილი, ევროპულ ტანსაცმელზე ჯინჯილიანი შავნაბად მოხურული, თექის ქუდით, ხელში ყავარჯნით მეტად კოლორიტული ფიგურა.

აი ახლაც, როდესაც მშობლიურ ხაშმში ჩავდივარ და ახლოს ვხვდები თანასოფლელებს. იოსებ იმედაშვილის თანამედროვე ადამიანებს, ქალებს თუ კაცებს, რომლებიც სამწუხაროდ, ძალზე ცოტანი-ღა დარჩნენ, ჩვეულებრივი ტკბილი საუბრის დროს იხსენებენ თავიანთ ახალგაზრდობას.

მამაჩემი დავით ყვარელაშვილი, რომელსაც სულ მალე 95 წელი შეუსრულდება, ჯერ კიდევ ნათელი გონებით მსჯელობს, იგონებს სოფლის წარსულ

დუხჭირ ცხოვრებას. ადარებს აწმყოს და ფიქრობს მომავალზე. არ ივიწყებს იოსებ იმედაშვილის ზრუნვას სოფლისათვის, რომელმაც გლეხობის მხარდაჭერით, სოფელს გზა გაუყვანა შვიდ კილომეტრზე კორძიანებში. დააარსა ბიბლიოთეკა. არ ივიწყებს აგრეთვე დავით ნახუცრიშვილის დიდ ამაგს, რომელმაც ხაშმში წერა-კითხვის უცოდინარი გლეხი ახალგაზრდობისათვის საღამოს სკოლა ჩამოაყალიბა. ამ სკოლაში ჭრაქის შუქზე გვასწავლიდა ქართულ ანა-ბანას. თუ არა იოსებ იმედაშვილი და დავით ნახუცრიშვილი, იმ დროს ვინ მიგვაკარებდა სკოლის კარებს, ამისათვის დიდი მადლობელი ვართ მათი, რომ ჩვენი სოფლის გლეხობაში განათლებისა და ცოდნის სხივი შემოიტანეს — ამბობს მამაჩემი. — თეატრიც მაგათ დააარსეს ხაშმში — შვილო, იოსები, დავითი, საშა ნათიშვილი, დიუკა, ნუცა ნახუცრიშვილები, ნუშო ლაღიძე, აბრამ გოგნიაშვილი, ისეთ წარმოდგენებს გვიჩვენებდნენ ხოლმე, რომ ხან გვატირებდნენ, ხან გვაცინებდნენ“[1].

გასული საუკუნის 90-იან წლების, სოფელ ხაშმის სცენისმოყვარეთა წრის წევრებისა და სოფლის თეატრის ისტორიით დაინტერესებული მ. ყვარელაშვილი გამოსაუბრებია ამ წრის ერთ-ერთ ფუძემდებელს ოთხმოც წელს გადაცილებულ ნუცა (ნინო) ნახუცრიშვილს. აი რა უამბნია მას:

„ჩვენს დროში, გარეკახეთში, არც ერთ სოფელს არ ჰქონია თავისი სცენისმოყვარეთა წრე და არც საამისო შესაძლებლობა გააჩნდათ, რომ სახალხო თეატრი შეექმნათ. ბევრმა სოფელმა არც კი იცოდა თეატრის მნიშვნელობა. ჩვენში, ხაშმში სცენისმოყვარეთა წრის ჩამოყალიბებას სათავეში ჩაუდგნენ: იოსებ იმედაშვილი, ალექსანდრე (საშა) ნათიშვილი, ჩემი ძმები დავით და ლუკა ნახუცრიშვილები. ჩვენს ახალგაზრდა ვაჟებს ამ საქმეში მხარში ამოვუდექით ქალებიც ნუშო (ანა) ლაღიძე, კეკე მამულაშვილი, ნუცა მარინდაშვილი, მე და ჩემი და კატო.

დიდი ხალისით შევუდექით წრის მუშაობას, ვაწყობდით გეგმებს, ვკითხულობდით და დასადგმელად ვარჩევდით პიესებს.

1892 წელს უჩვეულო ცხელი ზაფხული იდგა. ხმები გავრცელდა, რომ აღმოსავლეთის ქვეყნებში გაჩენილმა ხოლერამ ამიერკავკასიასაც მიაღწია და ბაქოში ამ სენმა დიდი ზიანი მიაყენა მოსახლეობას. დაშინებული ხალხი ხშირ დასახლებას ერიდება და ქალაქიდან იხიზნებიანო. ამ საშინელი მოვლენის თემაზე, ქართული თეატრის მსახიობს ვალერიან გუნიას, თურმე ერთმოქმედებიანი კომედია დაუწერია. ქართული თეატრის მსახიობებს ეს პიესა კიდევაც უთამაშიათ და დიდი წარმატებაც ჰქონიათ თბილისში. ამ წარმოდგენას ჩვენი

---

[1] ჟურნ. „თეატრალური მოამბე“, 1969, № 2, გვ. 36.

იოსებ იმედაშვილი დასწრებია, წარმოდგენა ძალიან მოსწონებია და ბევრიც უცინია.

ჩვენი სოფლის დიდ მოამაგეს იოსებ იმედაშვილს, ეს პიესა ვალერიან გუნიასაგან საჩქაროდ გადაუწერია, ხაშმში ჩამოუტანია და მისი დადგმა შემოგვთავაზა, იოსები ისე ცოცხლად და გატაცებით ჰყვებოდა პიესის შინაარსს, რომ ყველას ერთხმად მოგვეწონა, მხარიც დავუჭირეთ და პიესის დადგმაც მას დავავალეთ. იმავე დღეს „მსახიობებს" როლებიც გაგვინაწილა და რეპეტიციასაც შეუდექით. რეპეტიციებს ჩვენი სახლის განიერ აივანზე გავდიოდით.

სოფელში ხმა დაირხა, რომ „ნასწავლები" წარმოდგენას მართავენ და „ხოლერიანობას" თამაშობენო. ხოლერობის ამბავი ხაშმელებს დიდი ხანია გაგონილი ჰქონდათ და შიშით ძრწოდნენ, რომ ხაშმამდეც არ მოეღწია ამ საშინელ სენს. ჩვენი „ხოლერობა" სოფლის მოსახლეობას პირდაპირი მნიშვნელობით გაეგოთ და ხალხი მოგვიგზავნეს, ამ სახიფათო თამაშს თავი დაანებეთო. ჩვენ ჩვენი არ დავიშალეთ და რეპეტიციებს განვაგრძობდით. ერთ საღამოს, როცა სარეპეტიციოდ შევიკრიბენით, სოფლელებმა აივანზე ქვები დაგვიშინეს და ფანჯრის მინებიც ჩაგვილეწეს. მიუხედავად ამისა, ამ სიცხეპაპანაქებაში რეპეტიციები სარდაფში გადავიტანეთ და კვირისთვის წარმოდგენაც მოვამზადეთ.

კვირა დილას, სოფელში რამდენიმე ადგილას ხელნაწერი აფიშებიც გავაკარით, მაგრამ მოსახლეობამ, კედლებზე გაკრული აფიშები ჩამოგლიჯა. ხმამაღლა გაჰყვიროდნენ: — „არ გვინდა მაგათი „თრიატი", გარეკეთ ეგ სალახანები, ეგდა გვაკლია სოფელში შავი ჭირი და ხოლერა გააჩინონო.

„ნასწავლებს" მოწინააღმდეგეებთან ერთად, მხარის დამჭერიც ბევრი გაგვიჩნდა, განსაკუთრებით და უმთავრესად ცნობისმოყვარე სოფლის ახალგაზრდობა, რომელიც დიდი მოწადინებით გვეხმარებოდა „თიატრის" მოწყობაში. სოფელში პირველი წარმოდგენის ნახვის ეშხით არაფერს თაკილობდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ, რასაც ი. იმედაშვილი დაავალებდათ.

იოსებმა და ჩემმა ძმამ დათიკომ სახელდახელოდ კიდევ დაწერეს ერთი აფიშა და კანცელარიის წინ გააკრეს. აფიშა იუწყებოდა:

...დღეს, კვირა საღამოს, „მაღაზიის" დერეფანში წარმოდგენილი იქნება ვალერიან გუნიას ერთმოქმედებიანი კომედია „ხოლერობა".

ძველი ყაზარმა-მაღაზიის გრძელი და გამჭვარტლული დერეფანი საგანგებოდ დავასუფთავეთ, დერეფნის ბოლოს სცენისათვის სახელდახელო ფიცარნაგით ავამაღლეთ. დეკორაციები შინიდან მოტანილი ზეწრებით, ფარდაგებით და ავეჯით გავაწყეთ. რამდენიმე ლამფისა და ჭრაქის შუქზე კვირა საღა-

მოს „ხორველობა“ გავითამაშეთ. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო. დერეფანში ტევა აღარ იყო. გარეთ დარჩენილნი ქვის სროლით და ლანძღვა-გინებით გვიმასპინძლდებოდნენ. ეტყობოდა მაყურებელს ძალიან მოსწონდა ჩვენი „ხოორველობა“ — გულიანად ხარხარებდა. განსაკუთრებით კი მოეწონ-ათ ჩემი ძმა ლუკას თამაში თბილისელი ვაჭრის როლში. იოსებ იმედაშვილმა ბაქოელი თათრის განსახიერებით დიდი სიამოვნება მოჰგვარა ჯერ კიდევ გა-ნოუცდელ მაყურებელს. მისი უცნაური ჩაცმულობა და ის გრძელი სახელი ალი-ბალი მირზა, ყული-შამხორ-ხოხორი, თათრული კილოთი გამოთქმული სიტყვები და უცნაური მოძრაობა ხალხში დაუსრულებელ ხარხარს იწვევდა.

ამ პირველმა წარმოდგენამ ხაშმელებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ახალგაზრდები სცენაზე შემოგვიხტნენ და გვეხვეწებოდნენ მეორე კვირასაც გაგვემართა ასეთი „თრიატი“.

მაგრამ, მოხდა უცნაური შემთხვევა — მეორე დღეს, ორშაბათ დილით სოფელში საშინელი ალიაქოთი ატყდა. ქალების წივილ-კივილი, წყევლა-კრულვა აყრუებდა მთელ სოფელს. ხალხი დარბოდა, ერთმანეთს აწყდებო-დნენ და გაჰყვიროდნენ — „ხორველა, ხორველა“.

რამდენიმე ოჯახში საშინელმა მუცლის ტკივილმა რამდენიმე წუთში წუ-თისოფელს გამოასალმა ადამიანები. იმ ოჯახს, სადაც მიცვალებული იყო, არავინ ეკარებოდა შიშით. მიცვალებულს სასწრაფოდ მარხავდნენ“[1]. დურგა-ლი კუბოების კეთებას ვერ აუდიოდა თურმე და ეს უფრო აძლიერებდა ხალ-ხის სასოწარკვეთას, ნახევარ სოფელზე მეტი ტყეში გახიზნულა. ბავშვების კი-ვილი ცასა სწვდებოდა. ერთი სიტყვით, ხაშმში გლოვის ზარი დამდგარა. მთე-ლი სოფელი ტიროდა, „ნასწავლებს“ წყევლა-კრულვას უთვლიდნენ და სიკვ-დილით ემუქრებოდნენ. განსაკუთრებით კი იოსებ იმედაშვილს, რადგან მისი თაოსნობით მოეწყო წარმოდგენა, მან შემოიტანა სოფელში „ხორველა“ და ხალხიც ამოწყვიტაო.

სოფლელების მუქარით შეშინებულ მშობლებს ქალიშვილები სხვენში და სარდაფებში გადაუმალავთ. სცენისმოყვარეები კი კანცელარიაში დაუბარე-

---

[1] ჟურნ. „თეატრალური მოამბე“, 1969, № 2, გვ. 37-38.

ბიათ და იქ თავმოყრილი გლეხობა სახსრებითა და კეტებით უცდიდნენ თურმე, „ნასწავლებს" საცემად და ჩასაქოლად, მაგრამ ისევ იოსებ იმედაშვილის გამბედაობასა და ჭკვიანურ ახსნა-განმარტებას უხსნია „ნასწავლები" ბრბოს რისხვისა და თავდასხმისაგან.

ალექსანდრე (საშა) ნათიშვილი თავგამოდებით განუმარტავდა თურმე აღელვებულ გლეხებს, რომ ხორხელობის ბაცილა ცხელი ქვეყნებიდან გადმოიტანეს ჰაერმა, მტკვარმა, მწერებმა და ფრინველებმა, მაგრამ გლეხებს ეს განმარტება სასაცილოდ არ ყოფნიდათ.

მიუხედავად იმისა, რომ სოფელ ხაშმის სცენისმოყვარეთა წრის პირველ წარმოდგენას ასეთი უცნაური დამთხვევით დაუწყია თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობა და „ხორხელობას" ასეთი ტრაგიკული ბედი სწვევია, ხაშმელ ნასწავლებს ოდნავადაც არ შეუნელებიათ კულტურული მუშაობა. გლეხების თეატრით დაინტერესებისა და გათვითცნობიერებისათვის, წარმოდგენები მაინც იმართებოდა თურმე აივნებზე, უფრო ხშირად ღია ცის ქვეშ, მიწური სახლის ბანებზე და ზოგჯერ კალოებზედაც.

მაგრამ, როდემდე შეიძლებოდა ასე კარდაკარ სიარული? და აი, ერთხელ ახალგაზრდა აგრონომს კოტე ნახუცრიშვილს აზრად მოსვლია ნამდვილი თეატრი აეშენებინა. ამისათვის მას გაუქმებული ყაზარმა — მაღაზიის ერთ-ერთი კორპუსი აურჩევია.

— „ეს აზრი არავისათვის გამიზიარებია, ვიდრე ნათესავ-მეგობრებში არ შევაგროვე საჭირო ფულადი თანხა, რითაც, ვიყიდე საჭირო ხე-ტყე," — უამბნია კოტე ნახუცრიშვილს მ. ყვარელაშვილისათვის — ამის შემდეგ ჩემი საიდუმლოება გავანდე მხოლოდ დურგალ-ხელოსანს კოლა ჯიქიძეს, მოვიტანე ხე-ტყის მასალა და დავყარე „მაღაზიის" უკან. ერთ დღეს, მე და კოლა ფანჯრიდან მაღაზიაში გადავძვერით, მთელი მასალა გადავზიდეთ და სცენის აგებას და მაყურებელთა დარბაზში იატაკის დაგებას შევუდექითო" დარბაზს ირგვლივ შემოავლეს ერთი სართული ქანდარა. ამ ორ კაცს ისე გაუკეთებიათ ყველაფერი, რომ არც ხალხს, არც სოფლის მამასახლისს არ გაუგიათ. მაგრამ, როდესაც ყაზარმის ჭერი აუხდიათ, რომ გისოსები (კალასნიკები)

---

[1] ჟურნ. „თეატრალური მოამბე", 1969, № 2, გვ. 38.

აეყვანათ, ამ დროს ვიღაცას მამასახლისთან დაუბეზღებია. სოფლის მამასახლისი მეტად მკაცრი მოხელე ყოფილა, მას რაიმე კულტურული წამოწყება არ უხაროდა. ხელს არ უწყობდა, მით უმეტეს თეატრს. პირიქით სძულებია და აი, როცა მამასახლისს, თომა ქოქრაშვილს პერგადახდილი „მაღაზია" და შიგნით გამზადებული სცენა, იატაკდაგებული ქანდარიანი დარბაზი დაუნახავს, გაოცებულს ეს-და წარმოუთქვამს. — დააპატიმრეთ ეს მამაძაღლებიო". კ. ნახუცვრიშვილი და კ. ჯიქიძე სამი დღე დაპატიმრებული ყოფილან და გასამართლებას უპირებდნენ. სოფლის ახალგაზრდობას სასწრაფოდ თბილისში ი. იმედაშვილისა და დ. ნახუცრიშვილისათვის უცნობებია, ისინი უმალვე გაჩენილან სოფელში და სოფლის „დამაქცეველნი" მამასახლისის ტყვეობიდან გაუნთავისუფლებიათ. საქმე კი ისე მოგვარებულა, რომ კ. ნახუცვრიშვილს თეატრის დამთავრების შესაძლებლობა მისცემია და 1905 წლის აგვისტოში, ახალ სცენაზე ი. იმედაშვილის რეჟისორობით ხაშმის სცენისმოყვარულთა წრეს პირველად აკ. წერეთლის „პატარა კახი" დაუდგამს. კახის როლი კ. ნახუცრიშვილს უთამაშია.

ამ დღიდან დარბაზის შესასვლელ კარზე დაუკიდიათ დიდი აბრა წარწერით — „სოფელ ხაშმის სახალხო თეატრი". ახალი თეატრის სცენაზე წარმოდგენების მართვას სისტემატური ხასიათი მიუღია. განუხორციელებიათ: გ. ერისთავის „გაყრა", „ძუნწი". ავქს. ცაგარლის „ხანუმა", „რაც გინახავს, ველარ ნახავ", ვალ. გუნიას „და-ძმა" და ვოდევილები. დ. ერისთავის „სამშობლო", შილერის „ყაჩაღები", შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი" და მრავალი სხვა პიესა. იმართებოდა თურმე გლეხური საღამოებიც, ჩონგურზე გამაირება, გუნდური სიმღერები, სპორტული თამაშობა-შეჯიბრებანი და სხვა. თუ ადრე გლეხობა „ნასწავლებს" ქვით დასდევდა, ახლა თვითონ ეხვეწებოდა თურმე სცენაზე გამოყვანას.

ჩემი მშობლებისა და ხაშმელების გადმოცემით ვიცი, — გვიამბობს მ. ყვარელაშვილი — იოსებ იმედაშვილს, ხაშმის სახალხო თეატრის სცენაზე, მრავალ ქართულ პიესებთან ერთად, დაუდგამს შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი", სადაც შეილოკის როლი თვითონ შეუსრულებია. დაუდგამს აგრეთვე შილერის „ყაჩაღები", კარლ მოორს ასრულებდა საშა ნათიშვილი, ხოლო ფრანც მოორს თვითონ იოსებ იმედაშვილი".

□□

როცა ლაპარაკია ი. იმედაშვილის შემოქმედებითს მოღვაწეობაზე, არ შეიძლება არ მოვიგონოთ მეტად იშვიათი და დამახასიათებელი მოღვაწეობა ანა ჟურულისა.

ეს იყო 1903 წლის 25 იანვარი. მურაშკოს თეატრში ქართული დრამწრის მოყვარეები უჩვენებდნენ ა. ყაზბეგის „არსენას". წარმოდგენაში იმ საღამოს ა. ქურულიც იღებდა მონაწილეობას.

პიესის დაწყებამდე თეატრის დიდ მოჭირნახულეს ბ. მაისურაძეს ჩვეულებრივი ქართული აკვანი შემოუტანია და კულისებში დაუდგამს. აკვანი ა. ქურულის ძუძუმწოვარა ბავშვისათვის მოუტანია. პატარა შალვა აკვანში იმ დროს ჩაუწვენიათ, როცა სცენარიუსს ანა სცენაზე გასასვლელად გაუფრთხილებია. დედამ პატარა შალვას ძუძუ მოაწოვა და გავიდა სცენაზე, ბავშვს კი ბ. მაისურაძე არწევდა. რა აიძულებდა ამ კეთილშობილ ქალს, წასულიყო ქალაქის მივარდილ უბანში შუა ზამთარში, მუხლებამდე თოვლი გაეკვალა, მთაწმინდიდან ავლაბრის თეატრამდე ბნელი ქუჩები გამოევლო, ხელში აყვანილი ჩვილი ბავშვით და გაჩერებულიყო გაყინულ კულისებში, სადაც სავსებით მოსალოდნელი იყო დაღუპულიყო შვილიცა და დედაც? რა თქმა უნდა, ამას აკეთებდა შეგნება საზოგადოებრივი მოვალეობისა, რომელსაც მაშინდელი დრო და პირობები მოითხოვდა ქართველი ქალისაგან. ერთი კი ცხადზე ცხადია, რომ მატერიალური თვალსაზრისით არავინ იყო დაინტერესებული, რადგან მაშინდელი სახალხო თეატრის შემოსავალი გასავალს არ ფარავდა, რის გამოც ზარალს წრის წევრები თვიური საწევრო გადასახადებითა და შემოწირული თანხებით ფარავდნენ.

ამის შესახებ ანა ქურული თავის მოგონებაში წერს:

„...1901 წელს დავიწერე ჯვარი. ჩვიდმეტი წლისა არ ვიყავი შვილი რომ მეყოლა.

მაშინ იოსები აირჩიეს ავლაბრის თეატრის რეჟისორად. რეპეტიციებს ჩვენს სახლში გავდიოდით. ჩვენი სახლი ყოველთვის ხალხით იყო სავსე: ხან კრებები, ხან რეპეტიციები — ერთ წუთს არ გვქონდა მოსვენება.

მეც ისე გამიტაცა სცენამ, რომ უარს არასოდეს არ ვამბობდი და სიხარულით ველოდი იმ წამს, როცა იოსები მომცემდა როლს.

ჩვენთვის წვიმა, ქარი, ყინვა არ არსებობდა, ყველანი სიხარულით, სიმღერით მივეჩქარებოდით თეატრში, თან ჩემი პატარა ბიჭი მიმყავდა. ასე მგონია, აქედან იწყება ჩვენი ოჯახის ტანჯვა, რომელიც საჭირო იყო საერთო საქმის რიგიანათ მოგვარებისათვის.

1903 წელია. შალიკოს აკვანთან ვზივარ, ოთახში იოსები შემოვიდა. ხელში პატარა წიგნი უჭირავს. მომაწოდა, ეს იყო პიესა „არსენა".

გადაიკითხე, ანო! რაც გადახაზულია ყურადღებას ნუ მიაქცევ, შენ ნენოს როლს ასრულებ. აბა, შენ იცი ეხლა.

მე საჩქაროდ წავიკითხე. შემდეგ უკვე მეტის დაკვირვებით. მოცემული როლით დავიწყე სუნთქვა. აი, რეპეტიციაც დაინიშნა. იგი ისე ჩატარდა, როგორც რეჟისორს (იოსებს) ჰქონდა ჩაფიქრებული.

წარმოდგენის დღეს ბავშვი შევახვიეთ და გავუდექით გზას — ავლაბრის თეატრისაკენ.

ზამთარი იყო, თოვლ-ჭყაპი, ოღრო-ჩოღრო გზები, სიბნელე. სად იყო ტრანსპორტი!

აფიშა საზოგადოებას აუწყებდა „არსენას" წარმოდგენის შესახებ. მოაწყდა ხალხი, ისე რომ ტევა არ იყო.

მივედით თუ არა, ბესო მაისურაძემ საიდანღაც აკვანი იშოვა. ბავშვი აკვანში ჩავაწვინეთ. აკვანს არწევდნენ რიგ-რიგობით, ვინც მოიცლიდა.

მე იოსების გადახაზულები სულ გადამავიწყდა ე. ი. შეხვედრის სცენა ჩატარდა ისე, როგორც პიესაში იყო.

არსენას როლს ლევან ბაღაშვილი ასრულებდა. იგი იყო შესანიშნავი არსენა. მას გარეგნობაც ძალიან უწყობდა ხელს და ხავერდოვანი კარგი ხმაც. ეს იყო ამ დროისათვის მეტად განვითარებული და საღად მოაზროვნე, სოციალ-დემოკრატიული იდეებით გატაცებული ადამიანი, ადელხანოვის ფეხსაცმელების ქარხნის მუშა.

პიესამ კარგად ჩაიარა და შემდეგ კვირას გავიმეორეთ.

თავიდანვე იოსებმა ვალად დამდო, რომ მასთან ერთად მეტარებინა ჯვარი წამებისა და ტანჯვისა; არასოდეს არ მიფიქრია გავქცეოდი ამ ტანჯვას — ვკითხულობთ ანა ქურულის დღიურში.

ეს ჯვარი ყოფილა მევალეები, ბავშვების ლუკმა-პურისათვის ზრუნვა, მუდამ საფიქრელი — იცოცხლოს ჟურნალმა, არ დაარბიონ, არ დახურონ, არ აკრძალონ, საყვედური არასოდეს წამოცდენია, თუმცა ძალიან ხშირად იოსები მთელ ჯამაგირს თურმე ისევ რედაქციაში ტოვებდა.

ვინ იყო ეს ქალი?

ანა ქურული-იმედაშვილისა, მეუღლე ცნობილი მწერლისა და მოღვაწის, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორ-გამომცემლის—იოსებ იმედაშვილისა. ამ ჯანმაგარ, დაუშრეტელი ენერგიის მქონე და პრინციპულ კაცს შთაუნერგია ახალგაზრდა ქალისათვის უდიდესი სიყვარული ქართული ეროვნული კულტურისადმი, ლიტერატურისადმი, თეატრისადმი. შთაუგონებია, რომ ეს გზა, ცარიზმის სულისშემხუთველ პირობებში, ტანჯვა-წამების გზაა, მაგრამ უკეთესი მომავლისათვის ბრძოლა ყველა კეთილშობილი ადამიანის ვალია. ამიტომაც იყო, რომ ეს ფიზიკურად სუსტი ქალი საოცარ სულიერ სიმტკიცეს იჩენდა. ნორჩი შვილებით გარშემოხვეული, მჯდარა სასამართლო დარბაზში და გამამხნევებელი თვალებით შეჰყურებდა თურმე პატიმარ ქმარს, რომელსაც მოსამართლემ ესესაა მიუთითა ცოლ-შვილზე და უთხრა: „მხოლოდ ერთი სიტყვაა საჭირო, გვთხოვეთ პატიება. შეხედეთ თქვენს ცოლ-შვილს, თქვენ რა ადამიანი უნდა იყოთ, განა ამათ ეღალატებათ? პატიმარს კი ამაყად უპასუხია: — სისხლის უკანასკნელ წვეთამდე თქვენი დაუძინებელი მტერი ვიქნებიო“. დაბრუნებულა გაყინულ ბინაში, მაგრამ იქიდანაც გამოუყრიათ. სამი შვილით ფეხმძიმე. მარტოხელა ქალი. ცოტა ხნის შემდეგ წყაროს უბანში. კეთილ ოჯახს შეუკედლებია.

მართალია, დიდი ენთუზიასტი იყო ანა ქურული სასცენო ხელოვნებისა, მაგრამ არანაკლები და დაუფასებელი მოჭირნახულე ყოფილა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებისა“; ოჯახიდან თავისი ნამზითვი კარადა გაუყიდია, რათა ჟურნალ „თეატრისა და ცხოვრების“ ვალები დაეფარაო—გადმოგვცემენ თანამედროვენი.

დღენიადაგ მეუღლის გვერდში დგომა, რედაქციაში წერილების გარჩევა-დახარისხება, მზა პროდუქციის შეკვრა, სტამბიდან სტამბაში გადატანა, ნორჩი შვილების ჩაბმა ამ საქმიანობაში, დაბოლოს, რედაქტორის დაპატიმრების გამო, უმეთაუროდ დარჩენილი ჟურნალის მესაჭეობა სამი-ოთხი წლის განმავლობაში. ზრუნვა იმის შესახებ, რომ ჟურნალს ეცოცხლა, არ დაერბიათ, არ აეკრძალათ, მართლაც დიდი ვაჟკაცობა იყო. ყველაფერი ეს კი ა. ქურულის საყვარელი მეუღლისა და საქმისადმი თავგანწირვაზე მიგვანიშნებს.

ჟურნალის პირველი ნომერი გამოსულა 1910 წლის 2 იანვარს (ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით), ხოლო მისი გამოცემა შეწყვეტილა 1926

წლის მარტში. მთელი ამ ხნის მანძილზე ჟურნალის ფაქტიური რედაქტორ-გამომცემელი ი. იმედაშვილი იყო. იმ პერიოდშიც კი, როცა იგი თვითმპყრობელობის დევნას განიცდიდა, ჟურნალი მისი მეუღლის ანა ჟურულის ხელმოწერით გამოდიოდა თურმე.

რევოლუციური რწმენით აღვსილი, იმედიან წერილს სწერდა მეუღლეს ციხეში: ჩემო ძვირფასო, გონებიდან განუშორებელო იოსებ! მივიღე შენი წერილი, მაგრამ შენი ავადმყოფობა ძალზე მეწყინა... რა დაგემართა, კარგად უნდა იყო, უნდა გაკლდევდე, გესმის, უნდა მოითმინო ყველაფერი... აი, მიყურე ამ სუსტ არსებას, რამდენი ტანჯვა გულისა, და მწუხარება ამიტანია, ეს მხოლოდ შენთვის და ბავშვებისათვის, შენც ეგრე გმართებს, უნდა აიტანო ყველაფერი...

მართლაც, რა სჭიდა ამ მშვენიერ არსებას, სიცოცხლითა და ნიჭით უხვად დაჯილდოებულს, ასეთი ძნელი და ეკლიანი გზა აერჩია, როცა მას სულ ადვილად შეეძლო პირადი ცხოვრება უკეთ მოეწყო, არიდებოდა მუდმივ ბრძოლას, მღელვარებას. სწორედ ამით მოუხვეჭია თავიდანვე დიდი ავტორიტეტი იოსების ამხანაგთა და თანამებრძოლთა შორის. ის სარგებლობდა განუზომელი ნდობით, სიყვარულითა და პატივისცემით.

— იცი, ძმაო იოსებ, ანა ნამდვილი ანგელოზია; ბედნიერი კაცი ხარ, რომ ასეთი მეგობარი გყავს გვერდში — უთქვამს ერთხელ იოსებ იმედაშვილისათვის ვაჟა-ფშაველას — ჩემო რძალო, თქვენი ყოფნა გულს უხარის, მინდა თქვენი სადღეგრძელო დავლიო:

გული გავლესო გრძნობითა,
საცა დაჰბერავს ნაღარა,
ერთად დავძახოთ ქართულად,
ხელ არ გვეცლება, აღარა!

ასეც იყო. თანდათანობით ახლოვდებოდა რევოლუციის გარიჟრაჟი, საერთო მღელვარებას შეეპყრო ხალხი. ეს ანას გულსაც ახარებდა, იგი ხომ ერთი პირველი ქალთაგანი იყო, რომელსაც წითელი დროშა აუფრიალებია 1905 წლის სამაისო გამოსვლისას. როცა ცხენოსანი ჟანდარმები გამოეკიდნენ, იგი თურმე ეკლესიაში შევარდა და ხატის წინ დაიჩოქა, ვითომ ვლოცულობო.

აღსრულდა მთელი ქართველი ხალხისა და მათთან ერთად იმედაშვილე-

ბის ოჯახის ნაოცნებარი. დროშა თავისუფლებისა და სიმართლის საქართველოში ცხადად აფრიალდა". სიხარულის შუქს ამ კეთილშობილი ქალის გულშიც შეუნათებია, მაგრამ, წარსულში მძიმე ცხოვრებას ადრე დაუსნეულებია იგი და 1927 წელს გარდაიცვალა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ორმოცდაორი წლისა. ისე, რომ მაინც მოასწრო უკანასკნელი ამაგი დაედო ქართველი ხალხისათვის უცხო სიტყვათა ლექსიკონის შედგენით, რომლის აწყობასა და გამოცემის საქმეს მისი მეუღლე ედგა სათავეში. ქართველმა საზოგადოებამ შესანიშნავ მოღვაწე ქალს საპატიო ადგილი მიუჩინა დიდუბის პანთეონში"[1].

ახლა მოვიგონოთ სახალხო თეატრის რეჟისორის, ე. კულულაშვილის სიტყვა, რომელიც მსახიობ ანა იმედაშვილის საფლავზე წარმოთქვა.

„ამხანაგებო!

კიდევ მსხვერპლი! დასანანია უდროვო მსხვერპლი! სახალხო თეატრის მესვეურთა რიგები თხელდება, მაგრამ მათ მიერ დაწყებული დიადი საქმე გაგრძელდება და აყვავდება.

ანა ჟურული-იმედაშვილისა ერთ-ერთი პირველი მერცხალია სახალხო თეატრის სცენაზე, რომელმაც თავისი მოღვაწეობით საპატიო ადგილი დაიკავა იმათ შორის, ვინც მეფის შავ-ბნელი რეჟიმის ხანაში სახალხო თეატრს საძირკველს უყრიდა და ამაგრებდა.

ჩვენო ძვირფასო დაო ანიკო! ავლაბარ-ხარფუხ-ნავთლუღის სახალხო თეატრების მსახიობნი და სცენისმოყვარულნი შენი უდროოდ დაკარგვით დაგტირით და სიტყვას ვდებთ შენს საფლავთან, შენებრ თავდადებულად და უმწიკვლოდ ვემსახუროთ ქართული სახალხო თეატრის აღორძინებას.

შენი სახელი, როგორც სამაგალითო სახალხო თეატრის მოღვაწისა, დაუვიწყარი იქნება ჩვენი თაობებისათვის და გადავცემთ ახალგაზრდობას, რომ შენის სახით იყო ადამიანი, რომელიც სცენის კულისებში ბავშვებსაც ზრდიდა, აკვანს ურწევდა, ძუძუს აწოვებდა და სცენიდან მშრომელ მუშა ხალხს ასაზრდოებდა. მშვიდობით!.."

გრძნობებით სავსეა მარო ლელაშვილი-ჩომახიძის გამოსათხოვარი სიტყვები:

„ჩვენო ძვირფასო, დიდად ნაამაგარო ანო!

არ მინდა გავიმეორო აქ ის ქებათა-ქება, რომლითაც ეხლა შეგამკეს აქ გამოსულმა ჩვენმა პატივცემულმა მოღვაწეებმა, დიახაც! შენ ეს დაიმსახურე, მაგრამ მაინც მინდა ვთქვა, ის, რომ მაშინ, როდესაც ქალმა არ იცოდა რა იყო საზოგადოებრივი მოღვაწეობა, არ იცოდა მისი სამსახური, აი სწო-

---

[1] ჟურნ. „საქართველოს ქალი", № 10, 1969, გვ. 16.

რედ ამ დროს შენ სახალხო სცენის სიყვარულით პაწია ბავშვით ხელში, შეირბენდი კულისებში, გადაიცვამდი ამა თუ იმ გმირის ტანსაცმელს, გრიმი შენ არ გჭირდებოდა, ვინაიდან უგრიმოდაც ანგელოზივით ლამაზი იყავი და გამოხვიდოდი ხოლმე სცენაზე.

მახსოვს მურაშკოს თეატრში როგორი ჩურჩული და მითქმა-მოთქმა გამოიწვია შენმა სცენაზე გამოსვლამ. „და-ძმაში" მახსოვს იძახდნენ: — უი, ქა! ქალიც გამოუყვანიათო. შენ არ ერიდებოდი დაღლას, სიცივეს, ზოგჯერ შიმშილს, ოღონდ სახალხო საქმე კარგად წასულიყო, სახალხო თეატრს გაემარჯვა.

ამით ისაზღვრება შენი ქალობა. შენ შეუდრეკლად ასრულებდი პარტიის პოლიტიკურ დავალებებს, რევოლუციურ მოძრაობას აქტიურად ეხმარებოდი, აგებულებით სუსტი, მაგრამ სულით ძლიერი მებრძოლი გვერდით უდექი შენს მეუღლეს და შეუდრეკლად კაფავდი ეკლიან გზას, რომელიც მაშინ მებრძოლი ხალხის ხვედრი იყო".

□□

ლევან ბაღაშვილი პოპულარული მსახიობი იყო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ადელხანოვის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშა, პირველად სახლებში გამართულ წარმოდგენებში იღებდა მონაწილეობას. 1902 წლიდან იგი ჯერ მურაშკოსა და შემდეგ არაქსიანის თეატრებში ჩარიცხულა სცენისმოყვარეთა წრეში, სადაც მალე ცნობილი გამხდარა როგორც დრამატული როლების შემსრულებელი. ყველასათვის საყვარელი ადამიანი ლ. ბაღაშვილი სცენაზე კიდევ უფრო მიმზიდველი ყოფილა. აღსანიშნავია მისი ხავერდოვანი ხმა, რის გამოც მას სცენისმოყვარენი თურმე „ავლაბრის თეატრების ლადო მესხიშვილს" ეძახდნენ. ამასთან ერთად, მისი მშვენიერი გარეგნობა და კარგი მეტყველება ხიბლავდა ყველას. 1912 წელს იგი მიუწვევიათ ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლთან არსებულ ქართული წარმოდგენების მომწყობ წრეში. ამავე დროს მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა რაიონის სახალხო თეატრებში. მას ყველა მონაცემები ჰქონია იმისათვის. რომ ნამდვილი პროფესიონალი მსახიობი გამხდარიყო. მრავალჯერ შეუთავაზებიათ ქართულ თეატრში გადასვლა, მაგრამ ბაღაშვილს ვერ დაუთმია თავისი საყვარელი მუშათა თეატრი და სიკვდილამდე იქ დარჩენილა.

ლ. ბაღაშვილი ფრიად განვითარებული, საღი მოაზროვნე, პოლიტიკურად

მომზადებული და რწმენით ბოლშევიკი ყოფილა. აი, ასეთი განვითარებული ადამიანი, პატიოსანი მოქალაქე, სცენური მომხიბვლელობით დაჯილდოებული, საუკეთესოთა რიგებში მდგარა.

...ხალხი და მთავრობა ყოველ ჭეშმარიტ ხელოვანს, ყოველ მშრომელს, ვინც კი თავისი ქვეყნისათვის იღვწის, სათანადოდ აფასებს. ყურადღება და დაფასება არც ლევანს მოჰკლებია. საბჭოთა ხელისუფლებამ იგი ღირსეულად დააფასა:

1923 წლის 22 ოქტომბერს ხარფუხის ქართული დრამატული წრის მიერ საიუბილეო კომიტეტის ხელმძღვანელობით, თბილისის ოპერის თეატრში გაიმართა მუშა-მსახიობის ლევან ბაღაშვილის 25 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.

წარმოდგენილი იყო — პირველი: ი. ჭავჭავაძის „ბატონი და ყმა" (ბოლო მოქ.) მონაწილეობდნენ: დათიკო, მებატონე,—გ. გორდაძე, პეპია—გ. ყანჩელი, თამრო, მისი შვილი — ვ. ბეგიჯანოვი, გაბრო, ყმა — ლ. ბაღაშვილი, სესია, მოხუცი გლეხი — რ. სალაყაია, გლეხის ბიჭი — შ. კახელაძე: და ფ. ქორიძის მიერ თარგმნილი „ორი დარაჯი" (მეორე მოქმედება). სოფიო — მ. ქართველიშვილი, გულიელმო, ქმარი მისი — ლ. ბაღაშვილი, თომა, მისი მსახური — რ. სალაყაია, გუსტავი, მეზღვაური — ე. შათირიშვილი.

და მესამე: პ. ირეთელის „დამარცხებულნი" (ბოლო მოქმედება). მონაწილეობდნენ: დედა — მ. ქართველიშვილი, ნიკო, მისი შვილი — ლ. ბაღაშვილი, ვანო, მისი ძმა — გ. ყანჩელი, გიორგი, ნიკოს პარტ. ამხანაგი — შ. კახელაძე.

პიესები დადგა კ. მარჯანიშვილმა. ხარფუხის დრამატული წრისა და საიუბილეო კომიტეტის სახელით ზეიმი გახსნა გ. შათირიშვილმა. ანტრაქტებში უკრავდა საზანდარი, სამხედრო ორკესტრი ყორღანოვისა და სულთანიშვილის ხელმძღვანელობით.

საღამოს ესწრებოდნენ პასუხისმგებელი გამგეები და საიუბილეო კომიტეტის წევრები; მ. ჩოდრიშვილი, ივ. ბასტიანოვი და ნ. ქიქოძე.

„განა მუშათა თეატრების მაყურებლები დაივიწყებენ მის მიერ შესრულებულ როლებს? სახელდობრ, მან განასახიერა შემდეგი როლები: ჩეშმაკოვი („მზის დაბნელება"), გიჟუა („რაც გინახავს, ველარ ნახავ"), პეპო („პეპო), გაიოზ ფაღავა („და-ძმა"), ლევან ქვაბულიძე („პატარა კახი"), ნიკო ბერდიაშვილი („დამარცხებულნი"), ლევან ხიმშიაშვილი („სამშობლო"), კორადო („დამნაშავის ოჯახი"), გულიელმო („ორი დარაჯი") და სხვ. იგი გამოირჩეოდა როლის კარგი ცოდნითა და მისი შეგნებული გააზრებით. რაც

მთავარია, იგი გულწრფელი და ბუნებრივი იყო, ყოველთვის სათანადო განწყობილებას ქმნიდა. თქმა არ უნდა, პროფესიულ დასში რომ ყოფილიყო, ერთ-ერთი საპატიო ადგილს დაიჭერდა“[1].

□□

ბ ე ს ო  მ ა ი ს უ რ ა ძ ე მ მოღვაწეობა პირველად მივარდნილი უბნებიდან დაიწყო, სახალხო წარმოდგენების მართვით.

სახალხო თეატრებში გაჩაღებულმა მუშაობამ, სასცენო საქმემ, არა მარტო გამოაფხიზლა და რევოლუციური სულისკვეთებით აღანთო ხალხი, მუშათა ფენები, არამედ გამოავლინა საუკეთესო ძალები. უამრავი მსახიობი და მწერალი შესძინა ჩვენს ხელოვნებას.

და აი, ბესო მაისურაძეც სწორედ ერთი იმ მუშათაგანია, რომელიც სულისჩამდგმელი იყო სახალხო თეატრისა, რომელმაც პატიოსნად და უმწიკლოდ შეასრულა თავისი ვალი მარტო იმით კი არა, რომ ის უსასყიდლოდ შრომობდა, არამედ იმით, რომ შავბნელ დროს, თავისი ოფლით მოპოვებულ უკანასკნელ გროშებსაც სათეატრო საქმეს ახმარდა.

ბესო მაისურაძე ასეთ საქმიანობაში, რასაკვირველია, მარტო არ იყო, მას ბევრი თანამოაზრე და თანამშრომელი მუშა-ამხანაგი ჰყავდა გვერდით, მაგრამ ბესო ამხანაგებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ იგი ძირითადად შავ სამუშაოს ასრულებდა თეატრში და აკეთებდა ყველაფერ იმას, რასაც ბევრი მუშა თაკილობდა. ვის არ უნახავს ბესო მაისურაძე რამდენიმე წლის განმავლობაში ბოხჩააკიდებული და მიმავალი სახალხო თეატრისაკენ?

ის არ ზოგავდა არაფერს იმისათვის, რომ თავისი დიადი საქმე მკვიდრ ნიადაგზე დამდგარიყო. ბავშვს რომ დაესაქმებინა, მზად იყო შეესრულებინა. რეკვიზიტის, ბუტაფორიის, ტანისამოსისა გვიამბობს შ. გომელაური და სხვა სასცენო აქსესუარების მშოვნელი და მიმტანი ხომ ბესო მაისურაძე იყო! „წარმოდგენის ღამეს ხომ ნამდვილი გაჭირვების ტალკვესი იყო: თამაშობდა, სცენას აწყობდა, გრიმსაც უკეთებდა სცენისმოყვარეებს, რკვიზიტს და ბუტაფორიას ურიგებდა, თუ ვინმეს ტანისამოსი გახეული ან გარღვეული ჰქონდა უკერებდა. ერთი სიტყვით, ბესო მუშათა თეატრისათვის ყველაფერი იყო. განა შეიძლება იმის აღნიშვნა, რასაც აკეთებდა დაუღალავი, სიცოცხლით სავსე, მხიარული, სხვების გამამხნევებელი და მაგალითის მიმცემი დაუვიწყარი ბესო“[2].

---

[1] შ. გ ო მ ე ლ ა უ რ ი, მოგონებანი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1962, გვ. 23.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 25.

მწარედ გეცინება, როდესაც ისმენ იგივე ბესო მაისურაძეზე მონათხრობს იმის შესახებ, თუ რამდენჯერ წაუყვანიათ იგი პოლიციელებს გრიმებსა და ხანუმას კაბაში გადაცმული. იმ დროს, საზოგადოდ და, კერძოდ, ქართველი ქალების სცენაზე გამოყვანა სამარცხვინოდ მიაჩნდათ და ამ ნაკლს ყოველთვის მაისურაძე ავსებდა, არა მარტო ხანუმათი, არამედ შუშანათი („პეპოში“), მარინეთი („და-ძმაში“), კნეინა სიდონიათი („არსენაში“), რაშიაც ხელს უწყობდა ხმაც და მიხრა-მოხრაც. კაცების როლებიდან ნათამაშევი აქვს: გოგია-დიაკვანი — „სამშობლო“, მოულოტარ ბრანდელი — „პატიოსნება“, მოსიკო — „ხორველობა“, სვიმონ რატიანი — „ტიმოთეს ლეღვი“, ლამზერი და დიუმონი — „გაძარცული ფოსტა“, ბრაბარციო — „ოტელო“, ვალენტინი — „ყომარბაზის ცხოვრება“, მინას ივანიჩი — „ავაზაკნი“, მორტენ შილი — „ექიმი შტოკმანი ანუ, ხალხის მტერი“, ივანე მუშტაძე — „ფული და ხარისხი“. ქუჩუ ადამია — „და-ძმა“, მიტუშა — „ქრისტინე“, საქუა — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, ბაგრატა — „ძმის მკვლელი“ და სხვ.

ალ. მაისურაძის მომღერალთა გუნდისათვის ქულაჯები და წუღები ბესო მაისურაძის ნიჭითა და ხელობით ყოფილა შეკერილი.

თეატრი ჩვენი ცხოვრების სარკეა. იგი სკოლაა ჩვენი გონების განვითარებისათვის და ზნეობის გაფაქიზებისათვის, ერთი სიტყვით ტაძარია კულტურისა. ეს ყოველივე კულტურული ადამიანისათვის უდავო დებულებაა, ბესო მაისურაძე კი წევრია იმ მასწავლებელთა კოლეგიის, რომელთაც მიზნად დაუსახავთ, — გაკაფონ ნარ-ეკლით მოცული გზა, აღზარდონ უმეცარნი, ჩაუნერგონ ხალხს კეთილი გრძნობები, დაანგრიონ ძველი, დახავსებული ცხოვრება და ძველის ნანგრევებზე ახალი ცხოვრება ააშენონ, რომელიც სამართლიანობაზე იქნება დამყარებული. ბ. მაისურაძის წვლილის შესახებ მუშათა კლასის პოლიტიკურად მომზადება-განვითარებაში, მათს კულტურულ აღზრდაში მისსავე საიუბილეო საღამოზე ითქვა, რომელიც რუსთაველის სახელობის თეატრში გაიმართა.

ბესო მაისურაძის სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავთან დაკავშირებით გამართული იუბილე, პირველი იუბილეა სცენისმოყვარე მუშისა.

„ეს იყო ზეიმი, მაისურაძის სახელით მთელ მუშათა კლასისა კულტურის სფეროში გამარჯვებისა — წერდა 1923 წლის 23 ივნისის გაზეთი „ტრიბუნა“. დაე, დარწმუნდნენ, მუშათა კლასის დაუძინებელი და ისტორიული მტრები, რომ მუშათა ბატონობის გატეხვა უკვე ძნელი საქმეა, ძნელია, იმიტომ, რომ ის კულტურულია! დაე, დარწმუნდნენ იმაშიც, რომ მუშათა კლასმა გამარჯვება შემთხვევით კი არ მოიპოვა, არამედ იმ ამხანაგების თავდადებით, რომელნიც, მიუხედავად მეფის ჯალათების წინააღმდეგობისა, ამ 30 წლის წი-

ნათ, მაშინ, როდესაც ჩვენ ცხოვრებას შავი ზეწარი ჰქონდა გადაფარებული,— აი, ასეთ რეაქციის დროს, ტფილისის ჯურღმულებში, მუშათა აუდიტორიებში, სადეკორაციო შირმებამოფარებული აკეთებდნენ მუშათა გამოღვიძების საქმეს და თავისი წვლილი შეჰქონდათ კულტურულად ჩამორჩენილი ამხანაგების განვითარებაში. აძლიერებდნენ რევოლუციურ ძალთა რიგებს. აი, ასეთი დაუცხრომელი მუშათაგანია ჩვენი ამხანაგი ბესო მაისურაძე.

სალამი მუშა იუბილარს!
გაუმარჯოს მის იდეალს!
იქუხა ტაშმა..."

აუარებელი მუშა დაესწრო მაისურაძის იუბილეს და მრავალი მისასალმებელი სიტყვაც წარმოითქვა. გადასცეს უამრავი საჩუქარი, თვითონ იუბილარმა ამ საღამოს შეასრულა ხანუმას როლი. აკოფას როლს ასრულებდა ქართული სცენის მშვენება ვასო აბაშიძე. ასე ღირსეულად იქნა აღნიშნული საბჭოთა ხელისუფლების მიერ ამ მუშა-მსახიობის ხანგრძლივი, დაუღალავი და ნაყოფიერი მოღვაწეობა.

სიტყვაში გამოვიდა მწერალი გიგო ხეჩუაშვილიც, რომელმაც წაიკითხა საკუთარი ლექსი სათაურით: „ასოთამწყობ მუშა ბესო მაისურაძეს", რომელიც 1923 წლის 23 ივნისს დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში".

ჩემნაირად ტანჯულ მუშამ
სიღარიბე ბევრი ნახე,
გაჭირვება დამცირება,
სიდუხჭირე, სივაგლახე;

გზა სავალი ეკლიანი
გადათელე, გადალახე,
და ეგ შენი სისპეტაკე
შეირჩინე, შეინახე.

ამისათვის გადაგკოცნი
საყვარელო, ძმაო ბესო!
ბევრი კარგი გითესია,
კიდევ ბევრი უნდა სთესო,

ამწვანებულ ჯეჯილისთვის
ნამგალს პირი გაულესო,
რომ მოყვარე გაახარო
და ბოროტი ააკვნესო!

ოცდაათი წელიწადი
ოფლსა ღვრი და მაინც გშიან,
სიტყვის ნებას ვინ მოგცემდა,
რადგანაც შენ მუშა გქვიან.

ახლა — „ვაშა“, შრომის გმირებს —
თავისუფალ ხელს გიწვდიან!
გასწი. გასწი, ფრთა გაშალე,
მომავლები წინ გიცდიან!

მუშებს შორის საამაყო,
საამურო. საქებურო,
მინდა კვლავ დიდხანს იცოცხლო,
კეთილ საქმეს ემსახურო,

იყავ მარად შუბლ-მღიმარე,
გული ღია არ დახურო.
მეტი ძღვენი მე არა მაქვს
თუ ძმა ხარ — არ დამემდურო.

დასასრულს, ავლაბრის მუშათა კლუბის სცენისმოყვარეთა მიერ, რესპუბლიკის სახალხო არტისტის ვასო აბაშიძისა და იუბილარის, მუშა მსახიობის ბესო მაისურაძის მონაწილეობით წარმოადგინეს: „თამარ ბატონიშვილი“, (მეოთხე მოქმედება), „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და „ხანუმას“ (მეორე მოქმედებები), იუბილარმა სამივე პიესაში მიიღო მონაწილეობა, დავით ჯამბარაშვილის, ნიკო მოურავის და ხანუმას როლები შეასრულა.

შემდეგი იუბილე მბეჭდავთა პროფკავშირმა მოუწყო სომხური სცენის ნიჭიერ მუშა-მსახიობს და ძველ ასოთამწყობს გერასიმ ბაინდურიანს.

ასევე, 1923 წლის დეკემბერს ოპერის თეატრში გაიმართა საჯარო სახალხო იუბილე მუშა-მგოსნის, მწერლისა და დრამატურგის გიგო ხეჩუაშვილის.. ამ იუბილესთან დაკავშირებით, გამოიცა მისი ნაწერები და საიუბილეო კრებული. იუბილეს დღეებს გამოეხმაურა ქართული პრესაც.

ი ვ ა ნ ე მ ჭ ე დ ლ ი შ ვ ი ლ ი ძველი ასოთამწყობი მუშა, ჟურნალისტი-ლიტერატორი, გაზეთ „ისრის“ რედაქტორი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო (14 წლისა), როცა მთელი არსებით გაიტაცა მშობლიური სცენის სიყვარულმა. ამ დროს ჩუღურეთში, სადაც კი მიაგნებდა ვანო მოზრდილ ოთახს,

სამზარეულოს თუ უბრალო სარდაფს, მყისვე პატარძალივით მორთავდა წარმოდგენის მოსაწყობად.

ვერავითარი შევიწროება, ვერავითარი უსახსრობა ვერ აბრკოლებდა ჰაბუკური სიხალისით აღფრთოვანებულ ი. მჭედლიშვილის ამ სასარგებლო საქმიანობას.

ი. მჭედლიშვილი ერთ-ერთი ფუძემდებელია მურაშკოს თეატრისა. ჯერ სახლებში გამართულ წარმოდგენებში იღებდა მონაწილეობას და შემდეგ კი, 1902 წლიდან, მურაშკოსა და არაქსიანის თეატრებში.

ი. მჭედლიშვილის სასცენო მოღვაწეობა მარტო თბილისში მუშაობით არ იფარგლებოდა. მას საქართველოს მრავალ დაბა-ქალაქებსა და მივარდნილ სოფლებშიაც კი ხშირად უმოგზაურია, ჩვენს სახელოვან ქართულ დასთან ერთად.

1903 წელს იგი დაუშვეს ქართული დრამატული საზოგადოების მიერ მოწყობილ საცდელ წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად. იგი მიიღეს კიდეც როგორც რეზონიორი როლების შემსრულებელი.

მას დროგამოშვებით იწვევდნენ ქართულ თეატრში. მხოლოდ 6 წელი იყო იგი ჩამოშორებული ამ ასპარეზს, დანარჩენი 35 წელი სცენის სამსახურში გაატარა. იმ მოვალეობათა სიმძიმე, რომელიც წილხვედრი იყო ყოველი ჩვენი საზოგადო მოღვაწისა, ვ. მჭედლიშვილსაც ვერ ასცდა.

იგი მთელი ოცი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ მუშაობდა ქართული დრამატული საზოგადოების დასში და ხშირად საპატიო როლებშიაც უსახელებია თავი. უთამაშია ქართული სცენის საუკეთესო მსახიობებთან — ლადო მესხიშვილთან, მაკო საფაროვა-აბაშიძესთან, ვასო აბაშიძესთან და შეუსრულებია თვალსაჩინო როლები; კარლ მოორი „ყაჩაღებში", ლევანი „სამშობლოში", ლაერტი „ჰამლეტში", მანასე „ურიელ აკოსტაში", კნიაზი, მიკიჩა, აკოფა „ხანუმაში", პეტუა „ციმბირელში".

მართლაც, ვ. მჭედლიშვილი ერთი თვალსაჩინო აქტიორი რომ იყო, ეს უდავოა და ამას ყველა მისი მომსწრენი ადასტურებენ. „ვანოს" პირველი გამოსვლა სცენაზე მისი ტრიუმფით დამთავრდა. ლ. მესხიშვილთან ითამაშა „ჰამლეტში" ლაერტი და მოხდენილმა, ლამაზმა, საუცხოო გარეგნობისა და ტემპერამენტის მსახიობმა მოხიბლა მთელი თეატრი. ლადო მესხიშვილს ახალგაზრდა მსახიობების დაწინაურება ძლიერ უყვარდა და ქუთაისში ი. მჭედლიშვილს კარლ მოორის როლი დააკისრა, ვანომ ასახელა თავისი დიდი პარტნიორი:

„1892 წელია. ქართული დასის ანტრეპრიზას მაკო საფაროვა მეთაურობს. დასი მაისში საგასტროლოდ გაემგზავრა დასავლეთ საქართველოს ქალაქებში.

მაშინდელი ქართული თეატრის თითქმის ყველა თვალსაჩინო მსახიობია დასში — თვით მაკო, ნატო, ლადო და ვასო— ქართული თეატრის ეს ოთხი ბურჯი, მხცოვანი კ. ყიფიანი, ვალ. გუნია, ვიქ. გამყრელიძე, კ. შათირიშვილი და ახალგაზრდა მსახიობები, რომელთა რიცხვშიაც არის მშვენიერი გარეგნობის მსახიობი ვ. მჭედლიშვილიც.

ქუთაისის საზოგადოება მოიხიბლა ლადოს ჰამლეტით, ლევან ხიმშიაშვილით, მაკოს, ვასოს, ნატოს სცენური სახეებით და ამ კორიფეთა შორის საზოგადოების ყურადღება მიიპყრო მჭედლიშვილმა „ჰამლეტში" ლაერტის როლის შესრულებით. აღტაცებულ ლადოს ძველი სცენის მუშაკის, სტეფანე ხარაზიშვილის გადმოცემით, მიუმართავს მაკოსათვის: მომეცით მჭედლიშვილი და ერთ წელიწადში საუკეთესო მსახიობი დადგებაო. („საბჭოთა ხელოვნება", 1940, № 7—8). დასი გაემგზავრა ბათუმს, სოხუმს და ფოთს. ლადო მესხიშვილი ფოთში დასს აღარ გაჰყვა და თბილისში დაბრუნდა. საზოგადოება კი მოწყურებულია დავით ერისთავის „სამშობლო" იხილოს. ფოთის საზოგადოება სთხოვს მაკოს დადგას „სამშობლო". მაგრამ ლევან ხიმშიაშვილის როლის შემსრულებელი რომ არ არის? დასის წევრები სთხოვენ მაკოს ლევანის როლი ათამაშონ ვანოს. ანტრეპრენიორი უარზეა. ვერ ენდობა გამოუცდელ მსახიობს. ქეთევანის როლის შემსრულებელი ბაბო ავალიშვილი მიმართავს მაკოს — თანახმა ვარ ვითამაშო მჭედლიშვილთნ და მაკოც გადაწყვეტს „სამშობლოს" დადგმას.

აუდიტორია ხალხით აივსო. პიესა მწყობრად მიმდინარეობს. ბოლო მოქმედების დროს, როცა ლევანი ქეთევანს კლავს და ფანჯრიდან ხტება, მაკო კულისებში დგას ფანჯარასთან და შესცქერის მათ თამაშს. მჭედლიშვილის მოხდენილი თამაშით მაკოს სახეზე იხატება აღფრთოვანება, როცა ლევანი — მჭედლიშვილი ფანჯრიდან გადახტა — მაკო მოეხვია მჭედლიშვილს და აღფრთოვანებულმა აკოცა შუბლზე, არ იცოდა როგორ გადაეხადა მადლობა — იგონებს იგივე ხარაზიშვილი ამ წარმოდგენის შესახებ."[1]

ნარ-ეკლიანი გზით მოიტანა ივ. მჭედლიშვილმა ის საპატიო სახელი, რომელსაც ქართველი მსახიობი ჰქვია.

ი. მჭედლიშვილმა თავისი ქალიშვილების სახით ქართულ სცენას მისცა ორი ნიჭიერი მსახიობი: ნინო ნინონი და ელენე სიბილა.

დრამის გარდა, ი. მჭედლიშვილი დიდი მოყვარული იყო ქართული მუსიკისაც. ამიტომაც იყო, რომ 1887 წ. სანდრო კავსაძის ლოტბარობით მან

---

[1] ალ. ბურთიკაშვილი, სცენის ოსტატები, გამომც. „ხელოვნება", 1951, გვ. 176—177.

დაარსა ხალხური სიმღერა-გალობის გუნდი და მათთვის საკუთარი სახსრებით ქულაჯები შეიძინა.

ამ გუნდის კონცერტებით მან ორჯერ შემოიარა მთელი საქართველო (მეორე მოგზაურობის დროს გუნდში მონაწილეობდა ვანო სარაჯიშვილიც. ეს იყო მისი მოღვაწეობის პირველი საფეხური).

ი. მჭედლიშვილს ქართული ლიტერატურის წინაშეც თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის. მან თავისი მოწაფეობის დროს (ტექნიკურ სასწავლებელში) დააარსა ხელნაწერი გაზეთი „ნაპერწკალი", რომლის მეოხებითაც ბევრმა მაშინდელმა მოწაფემ ისწავლა მართლწერა.

შემდეგ იგი თანამშრომლობდა ილია ჭავჭავაძისეულ „ივერიაში", „კვალში" და სხვ. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, სადაც ათავსებდა პატარ-პატარა მოთხრობებს. დაწერილი აქვს რამდენიმე საკუთარი პიესაც, მათ შორის „ყაჩაღი ქარიმა", რომელიც გადათარგმნილია აზერბაიჯანულ ენაზე და რომელიც წლების მანძილზე იდგმებოდა თბილისის, ბაქოს, განჯის, სხვათა სცენებზე.

გაზეთ „ისრის" რედაქტორობის პერიოდში, მან დაწერა ბეჭდვითი ხელოვნების ისტორია, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დროს პოლიგრაფტრესტმა სახელმძღვანელოდ დასტამბა და გამოსცა. მანვე გამოსცა „დროების" კალენდარი, რომელიც ჟანდარმერიამ აკრძალა. ვ. მჭედლიშვილი დააპატიმრეს და 3 წლით დონის როსტოვში გადაასახლეს. მრავალი წერილი აქვს დაბეჭდილი თეატრალურ საკითხებზე „ქიზიყელის" და „ავლაბრელი ნინიას" ფსევდონიმებით. 1910 წელს მან ქართული შრიფტის დიდი რეფორმა მოახდინა.

ი. მჭედლიშვილს 1925 წლის 20 იანვარს ქართველ მსახიობთა და მწერლების ერთმა ჯგუფმა ვ. აბაშიძის, ლ. კავსაძის და სანდრო კავსაძის მონაწილეობით რუსთაველის თეატრში გაუმართა 35 წლის სასცენო და სამწერლო მოღვაწეობის აღსანიშნავი საღამო.

საღამოს ხელმძღვანელობდნენ: ნ. დავითაშვილი, ე. ანდრონიკაშვილი, პ. ირეთელი, გ. ქუჩიშვილი და შ. მღვიმელი.

წარმოადგინეს ავქს. ცაგარლის „ციმბირელი". კავკაველი პეტუას როლს ი. მჭედლიშვილი ასრულებდა, მაზუთიანის — ვ. აბაშიძე, ნარგიზას — ანკარა, მაშოს —ნ. ნინონი, ქსელოვს — ალ. ადამიძე, ციმბირელს — ვ. გამყრელიძე, ქალიას — ელ. ჩერქეზიშვილი, ნიკოლას — გ. ფრონისპირელი, ვაროს — ივერიელი, სტეფან მაკარიჩს — შ. საფაროვი.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა დიდი დივერტისმენტი. საკუთარი ლექსები წაიკითხეს: ვ. გაფრინდაშვილმა, გ. ტაბიძემ, ტ. ტაბიძემ, გ. ქუჩიშვილ-

მა, ლ. ძიძიგურმა, ტ. გრანელმა, ს. ერთაწმინდელმა. ა. ადამიძემ წაიკითხა სახუმარო ლექსები, ი. დაროშვილმა გრიშაშვილის ლექსები, ვ. ბალანჩივაძემ გაითამაშა იმერული სცენები. ი. იმედაშვილმა კი წაიკითხა იუბილარის მოთხრობა „გამალეწინეთ მაინც“. ს. ოგანეზაშვილმა ჭიანურზე შეასრულა „ჩარგა“, მ. ჭიაურელმა დაუკრა ფანდურზე, ს. კავსაძემ, შეასრულა სიმღერები „გადმიშვი, მთაო“ და „ურმული“. კ. ჩარკვიანის გუნდმა იმღერა რამდენიმე სიმღერა.

დასასრულს ელ. ჩერქეზიშვილისა და ვ. აბაშიძის მონაწილეობით შესრულდა ლეკური.

საღამოს რეჟისორი იყო ვ. აბაშიძე, თანაშემწე რ. სალაყაია.

გიგო გელიკურაშვილი სახალხო თეატრის ნიჭიერი მოღვაწე, დამსახურებული მუშა მსახიობი, რკინიგზის მოსამსახურე, შემდეგ ოპერის თეატრის შიკრიკი იყო. სამსახიობო ნათლობა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ თბილისის გარეუბნის საშინაო სპექტაკლებში მიიღო. შემდეგ მუშაობა გარეუბნის ყველა მუშათა თეატრებში განაგრძო. 1900 წელს, პირველად მარიამ დემურიას დახმარებით იწყებს მუშაობას ავჭალის აუდიტორიაში. 1902 წელს კი გადადის ავლაბარში ჯერ მურაშკოსა და შემდეგ არაქსიანის თეატრში. ხშირად იწვევდნენ აგრეთვე, წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად ქალაქგარეთაც. არაერთხელ გამოსულა ბათუმის, ბაქოს, კიროვაბადის (ყოფილი განჯა), გორის, სიღნაღის და სხვათა სცენებზე. ასრულებდა კომიკურ როლებს. ჩვენი გამოჩენილი მსახიობების ვ. აბაშიძისა და ნ. გოცირიძის შემდეგ, გ. გელიკურაშვილს ბადალი არ ჰყავდა კომიკური როლების განსახიერებაში. მის გამოსვლას ტაშით ხვდებოდა მაყურებელი.

მის მიერ განხორციელებული როლებიდან აღსანიშნავია: გეურქა („მზის დაბნელება საქართველოში“), გიქო („პეპო“), სირაჯი („არსენა“), პარუნ ასეფა („ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“), ზახარ ზახარიჩი („სიმდიდრის მსხვერპლი“), ავეტიკა („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“), პიერი („ორი ობოლი“), დობჩინსკი („რევიზორი“), ოსკარ პეტროვიჩი („საღამოს ერთი ცხვირი ხეირია“), მაზუთიანი („ციმბირელი“), ბიგო („პარიზის ღარიბ-ღატაკნი“). საკმარისი იყო მისი სცენაზე გამოჩენა, რომ დარბაზი გამხიარულებულიყო. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ბიგოს („პარიზის ღარიბ-ღატაკნი“) და სირაჯის („არსენა“). როლებში. მას იწვევენ აგრეთვე ქართულ დრამატულ თეატრში.

გ. გელიკურაშვილს 1903 წლის 19 აპრილს მურაშკოს თეატრში გაუმართეს 20 წლის სასცენო მოღვაწეობისადმი მიძღვნილი იუბილე. 1904 წელს კი არაქსიანის თეატრში მოუწყვეს ბენეფისი (დაიდგა „მზის დაბნელება სა-

ქართველოში", ნ. გოცირიძის მონაწილეობით). ამავე წლის ოქტომბერში რკინიგზის მუშათა გაფიცვაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს. მეტეხის ციხეში მან დადგა ა. წერეთლის „პატარა კახი". განთავისუფლების შემდეგაც სდევნიდა მეფის მთავრობა, რის გამოც თითქმის ათი წელი უმუშევარი ამყოფეს.

გ. გელიკურაშვილი იმდენად სერიოზულ ძალას წარმოადგენდა, რომ ვასო აბაშიძე მას თავის პარტნიორად თვლიდა და დიდად აფასებდა მის ნიჭს, რომლითაც იგი უხვად იყო დაჯილდოებული. ყველა როლში იგი მიმზიდველი და დამაჯერებელი იყო, ჰქონია მეტისმეტად მეტყველი სახე და მკაფიო გამოთქმა. არასოდეს ექცეოდა დიდი მსახიობების გავლენის ქვეშ, როგორც ზოგიერთი სცენისმოყვარე. ცდილობდა ყოველთვის ინდივიდუალური დარჩენილიყო.

გ. გელიკურაშვილის სამსახიობო ხელოვნების შესახებ, აი რას გვიამბობს პ. ფრანგიშვილი: „...მინდა გაკვრით მაინც მოვიგონო საყვარელი ადამიანის, გიგო გელიკურაშვილის მოღვაწეობა გარეუბნის სახალხო თეატრებში.

ის იყო გულკეთილი და გულმართალი ადამიანი, მიუხედავად მაშინდელი დუხჭირი ცხოვრებისა, თავს არ ზოგავდა და იბრძოდა იმისათვის, რომ თბილისის მივარდნილ უბნებში არ ჩამქრალიყო და გაღვივებულიყო ხელოვნების კერა, რათა თეატრის საშუალებით მშრომელი მოსახლეობისათვის აღეძრათ სურვილი განათლებისა, თვითგანვითარებისა, გაფრთხილებოდნენ და მოევლოთ მშობლიური ენისათვის, ებრძოლათ მეფის მთავრობის წინააღმდეგ, უკეთესი მერმისისათვის, დღევანდელი ბედნიერი ცხოვრებისათვის.

სწორედ ზემოთქმული მიზანდასახულება ამოქმედებდა გიგოს, რომ თითქმის ოთხი ათეული წელიწადი ისე თავდადებულად ემსახურა ავჭალის აუდიტორიის, ნაძალადევის, ავლაბრის, ხარფუხის, ვერის და კუკიის სახალხო თეატრების სცენას და თავისი ხალასი ნიჭის საშუალებით, სრულიად სამართლიანად დაიმსახურა იმ უბნების მცხოვრებთა უდიდესი სიყვარული და პატივისცემა.

გ. გელიკურაშვილი, როგორც შემოქმედი, ერთ უკეთესთაგანი იყო იმ სცენისმოყვარეთა შორის, სადაც მას უხდებოდა მოღვაწეობა. იგი ზედმიწევნით თავისებური და მიმზიდველი იყო სცენაზე, სახასიათო როლების შემსრულებელთა შორის, გიგო გამოირჩეოდა თავისი უშუალობით, მის მიერ შექმნილი სახეები არასოდეს გავდნენ სხვა სცენისმოყვარეთა და პროფესიული მსახიობების მიერ შესრულებულ სახეებს. ამის დასადასტურებლად მინდა დავიმოწმო ქართული თეატრის დედაბოძის, დიდი ვასო აბაშიძის გამოთქმული აზრი გიგოს შესახებ.

„1912—1913 წლების სეზონის დახურვის შემდეგ, ქართული თეატრის დიდი მოამაგის ვალერიან გუნიას მეთაურობით შედგა მოგზაური დასი. დასში შედიოდნენ ქალები: ტასო აბაშიძე, მარო მდივანი, ნატალია ჯავახიშვილი, პაშა შოთაძე, ვაჟები: ვალერიან გუნია, ვალერიან შალიკაშვილი, დათა მგალობლიშვილი, სანდრო ყალაბეგაშვილი, შალვა ხონელი, შაქრო გომელაური, დავით აბდუშელიშვილი, მიხეილ სარაული, სოსო თარალაშვილი, ლუარსაბ თუხარელი, პავლე ფრანგიშვილი, რეჟისორის თანაშემწე ილია მამფორია. მოკარნახე — ბეგლარ ახოსპირელი, დასის რწმუნებული— ვასო ურუშაძე, რეპერტუარში გვქონდა ალ. ყაზბეგის „ქეთევან წამებული", ეგნატე ნინოშვილის— „ქრისტინე", ზუდერმანის — „პატიოსნება" და ვალ. გუნიას „ორი გმირი".

მოგზაურობისათვის საჭირო თანხის საშოვნელად გადაწყდა ქართული კლუბის საზაფხულო სცენაზე დაედგათ ავქს. ცაგარლის—„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", ვასო აბაშიძის მონაწილეობით.

თბილისში დარჩენილ მსახიობთა ამხანაგობამ, რომელსაც მეთაურობდნენ ალ. იმედაშვილი და სოსო ქივიძე, ხელის შეწყობის მიზნით, მოგზაურ დასს დაუთმეს მათთვის განკუთვნილი წარმოდგენის დღე.

რეპეტიციებისათვის არც დრო და არც საშუალება იყო, ამიტომ საჭირო გახდა ხსენებულ პიესაში მონაწილეობა მიეღო მოგზაური დასიდან მხოლოდ იმ მსახიობს, რომელსაც წინათ რაიმე როლი ჰქონდა იმ პიესაში შესრულებული.

განაწილების შემდეგ გამოირკვა, რომ არტემ ივანიჩი დასის არც ერთ წევრს არ ჰქონდა ნათამაშები. ამ საბაბის გამო გადაწყდა მოეწვიათ ვინმე გამოცდილი მსახიობი, რომელსაც ეს როლი ექნებოდა ნათამაშები და კოლექტივსაც სირცხვილს არ აჭმევდა, სჯა-ბაასის შემდეგ აბაშიძემ ვალ. გუნიას მიმართა:

ქაჯან, ამას წინათ სოსო ივანიძემ მურაშკოს თეარტში ავეტიკას სათამაშოდ მიმიწვია. არტემ ივანიჩის როლს ასრულებდა გიგო გელიკურაშვილი, მეც იმ სცენაზე დიდი ხანია აღარ მინახავს და უნდა გითხრათ, რომ თავისი ორიგინალური და უშუალო შესრულებით პირდაპირ გამაკვირვა! რაც მთავარია, ჩემო ვალიკო, ზოგიერთებივით თუთიყუშივით სხვისას არ იმეორებს, რასაც აკეთებს თავისია, ხალასი და უდავოა. მერე ხომ იცი დაუზარელია. გაგზავნე, ვისია შეუთვალე, უარს არ გეტყვის. გული სიამით ამევსო, როცა იმ უდიდესმა ადამიანმა ასეთი ქებით გაიხსენა ჩემი მოსარჩლე გიგო.

— აბა, ვინ იცის გელიკურაშვილი სადა ცხოვრობს? იკითხა ვალ. გუნიამ. სანდრო ყალაბეგაშვილმა ჩემზე მიუთითა. მომცეს ბარათი და მეც შურდულივით გავვარდი. გზაში ვფიქრობდი ვაი თუ სახლში არ დამხვდეს-მეთქი, მაგრამ ჩემს იღბალზე ეზოში ისხდნენ ის და მუშა-პოეტი განჯისკარელი და

რაღაცას კითხულობდნენ. გაუკვირდა რომ დამინახა. გადავეცი ბარათი, წაიკითხა, შევატყვე ესიამოვნა, რომ ქართული თეატრის თვალსაჩინო მოღვაწენი სთხოვდნენ მონაწილეობა მიეღო წარმოდგენაში, გახარებულმა შემეკითხა:

— ბიჭო, თუ იცი, საიდან, ან ვის გავახსენდი?

— ძია ვასოს გაახსენდით, ბატონო გიგო! გაეხარდა. განჯისკარელი მიხვდა რაშიც იყო საქმე და შეეკითხა:

— რაო, გიგო, მონაწილეობის მიღებას გთხოვენ ჩვენი მსახიობები?

— დიახ! ხვალ საღამოს ქართულ კლუბში ჰქონიათ წარმოდგენა — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და გუნია მთხოვს არტემ სტეფანიჩი ვითამაშო...

— ვაა, გუნია გთხოვს? მერე მაგას ფიქრი უნდა? გაოცებით წამოიძახა განჯისკარელმა.

— არა, საფიქრელი რა არის, წავალ.

— უნდა წახვიდე, მაშ, უნდა წახვიდე.. სიტყვის დამთავრება აღარ აცალა განჯისკარელს და მე მომიბრუნდა:

— აბა, გავარდი და მოახსენე, რომ თანახმა ვარ და ეხლავე ვეახლები.

პასუხი დაუყოვნებლივ ვაცნობე. არ გასულა დიდი ხანი და თითონაც მოვიდა. ორი რეპეტიციით ვითამაშეთ ზემოთ დასახელებული პიესა. ვასო აბაშიძის პატივისცემის გამო დარბაზი მაყურებლებს ვეღარ იტევდა, ბილეთებს გარდა მრავალი ფეხზე დასადგომი შესასვლელი (კონტრამარკა) გაიყიდა.

მეორე დღეს ვ. გუნიამ დასს აცნობა, რომ გელიკურაშვილს გასამრჯელო ფულის აღებაზე უარი ეთქვა, რადგან გაეგო რა დანიშნულებისათვის იყო წარმოდგენა გამიზნული“[1].

რ ო მ ა ნ ო ზ  ს ა ლ ა ყ ა ი ა. სცენისმოყვარე რომანოზ სალაყაიამ თავისი სასცენო მოღვაწეობა ეზოებსა და სახლებში გამართული წარმოდგენებით დაიწყო. იგი მონაწილეობას იღებდა ანჩისხატის თეატრში, სადაც მოღვაწეობდნენ იოსებ იმედაშვილი, ალექსანდრე ბაჯიაშვილი, სოსო ივანიძე, ნიკო გოცირიძე და სხვ. ხოლო 1902 წლიდან კი იგი მუშაობას იწყებს ჯერ მურაშკოს და შემდეგ არაქსიანის თეატრებში, სადაც რამდენიმე წლის განმავლობაში დიდი ენთუზიაზმით ემსახურება თავის საყვარელ სცენას. ასრულებს სახასიათო როლებს. იგი ნიჭიერად და მოხდენილად თამაშობდა დასავლეთ საქართველოს ტიპებს — მოხუც იმერელ გლეხებს და მოსამსახურე იმერელ ბიჭებს.

მისი საყვარელი როლები იყო: კოხტაია („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“), საჩინო („ქოხში“), გასტონი („პარიზის ღარიბ-ღატაკნი“), ფაშა („და-ძმა“), იო-

---

[1] პ. ფ რ ა ნ გ ი შ ვ ი ლ ი, რაც ენახე და განვიცადე, გამომც. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1963, გვ. 52-53-54.

თამი („დედისერთა“), ვალენტინო („ორი დარაჯი“), კვაისი („სამხედრო ბანაკი“) და სხვ. როლების შესრულებასთან ერთად სცენარიუსობდა და ხანდახან რეჟისორობდა კიდეც.

იგი იყო უაღრესად განათლებული ადამიანი, გამოირჩეოდა როლების გააზრებული და დაკვირვებული შესრულებით. ამასთან ერთად, რ. სალაყაია მონაწილეობდა თბილისის სხვადასხვა რაიონების სახალხო თეატრებსა და მუშათა კლუბებში. სულ ბოლოს კი მიწვეული იყო ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლში, რაც სიკვდილამდე არ მიუტოვებია. იქ იგი მუშაობდა რეჟისორის თანაშემწედ...

ნ ი კ ო  მ ი რ ვ ე ლ ო ვ ი. ავლაბრის სცენისმოყვარეთა შორის განსაკუთრებული ნიჭიერებით გამოირჩეოდა. თამაშის მანერით იგი ვ. აბაშიძისა და ნ. გოცირიძის ამპლუის მსახიობი იყო.

ნიკო დიდად იყო გატაცებული თეატრალური ხელოვნებით. იგი თავიდან სახლებსა და ეზოებში გამართულ წარმოდგენებში იღებდა მონაწილეობას, შემდეგ კი მურაშკოს, არაქსიანისა და სხვა მუშათა თეატრებში. მის მიერ განსახიერებულ სახეებს ყოველთვის გააზრება და დაკვირვება ახასიათებდა. ავლაბარში მომუშავე ქართველ სცენისმოყვარეთათვის მეტად საჭირო ძალას წარმოადგენდა. თავისი იუმორითა და კომიზმით სიცოცხლე და ხალისი შეჰქონდა მაყურებელში. გამოჩნდებოდა თუ არა სცენაზე, მაყურებელი მუდამ ოვაციით ხვდებოდა მას. დაუფასებელი იყო ნიკო შემდეგ როლებში: სტეფან მაკარიჩი („ციმბირელი“), ზახარ-ზახარიჩი („სიმდიდრის მსხვერპლი“), ზიმზიმოვი („პეპო“), მიკიჩ ტყუილკოტრიანცი („ხანუმა“), სტეფანე ზარალოვი („გაცრუებული იმედები“), ავეტიკა („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“), ბუღდანა („ჭკუისა მჭირს“), არკადია („არკადიას სადილი“). ეს უკანაკნელი პიესა დაწერა ქართული თეატრის ცნობილმა სუფლიორმა ნ. გალუსტოვმა თამამშევის ქარვასალში მეგანჯინეთა ცხოვრებაზე. ნ. მირველოვი ამ პიესაში თამაშობდა არკადიას როლს. ეს სახუმარო კომედია კარგ შემოსავალს იძლეოდა. ვაჭრები, მეგანჯინენი და ნოქრები გაიგებდნენ თუ არა — „არკადიას სადილი“ უნდა ითამაშონო, აწყდებოდნენ თეატრის სალაროს და წინდაწინ უკვეთავდნენ ბილეთებს. ნ. მირველოვი განსაკუთრებით შესანიშნავი იყო სახასიათო როლებში. უმთავრესად ძველი თბილისელი გაქართველებული სომხის „კუპეცის“ როლში, ოსკარ პეტროვიჩის, არუთინა ბაზაზის, ზიმზიმოვის, ავეტიკას და ბუღდანიძის როლებში.

კომიკურ როლებს ნიკო ერთნაირი სიძლიერითა და მონდომებით თამაშობდა, სახასიათო როლების შესრულებაში კი მას დიდ დახმარებას უწევდა იმ ხალხში ტრიალი და უშუალო კონტაქტი, ვისაც იგი წარმოსახავდა სცენაზე.

მსახიობს კარგად ესმოდა მათი შინაგანი არსი, მისწრაფება. მეგობრობა, გამტანობა, თავდადება გაჭირვებაში მყოფთათვის და ამიტომ ასეთი ტიპების განსახიერებაში ყველაფერი ბუნებრივად გამოსდიოდა. სწორედ ეს მისი ბუნება სცენაზე, ძალდაუტანლობა და სიმართლე გმირის გამოსახულებაში, დიდ გამოძახილს პოვებდა მაყურებელში.

წვრილი მოვაჭრეების, ხელოსნების, მეფურგონეების, მედროგეების, ადელხანოვის ქარხნის მუშებისა და მათი ოჯახების ძმა და მეგობარი იყო, სცენიდან სიმართლითა და ბრძოლით გამარჯვებისაკენ რომ მოუწოდებდა.

ავლაბრის თეატრის სცენისმოყვარენიც ძირითადად ხელოსნები იყვნენ, რომლებიც მუშაობის დამთავრების შემდეგ მოდიოდნენ თეატრებში სპექტაკლებში მონაწილეობის მისაღებად. ასე მაგალითად: ბ. მაისურაძე სტამბის მუშა იყო და თერძის საქმეც ეხერხებოდა, ი. რევაზოვი მღებავი იყო, ს. სულთანიშვილი ზეინკალი, რ. სალაყაია — სამღებროს მუშა და სხვ. ნ. მირველოვი არღნებს აკეთებდა პატარა სირაჯხანაში.

იგი ხელობით მუსიკალური ინსტრუმენტების შემკეთებელი, არღნის სიმღერების „დამრტყმელი“ იყო, როგორც მაშინ ეძახდნენ.

ეს სირაჯხანა მეორე სართულზე იყო მოთავსებული — გვიამბობს ძველი სცენისმოყვარე მიხეილ იოსების ძე სულთანიშვილი — მე მაშინ ავლაბარში ვცხოვრობდი, ხოლო სკოლაში „ნახალოვკაში“ დავიარებოდი და როცა კონკით სახლში ვბრუნდებოდი, ჯერ ძია ნიკოს შევუვლიდი სახელოსნოში, იგი არღნის დოლზე პატარა მავთულებს ამაგრებდა (დოლში ურჭობდა) და როდესაც დოლს არღანში ჩასდებდა და სახელურით დაატრიალებდა, სიმღერის ხმა გაისმოდა. თუ სადმე ხმის უზუსტობას შეატყობდა დოლს ამოიღებდა, მავთულს საიდანღაც ამოაძრობდა და სხვა ადგილას ჩაჭედავდა. კიდევ დაუკრავდა და იმდენს ეძებდა მავთულის ჩასარჭობ ადგილს, ვიდრე არ იპოვიდა ხმების ჰარმონიულობას. საკვირველებად მეჩვენებოდა მისი ხელობა. არავითარი მუსიკალური განათლება მას არ ჰქონდა მიღებული და არღანზე ხან ლამაზი ქართული ჰანგები გამოყავდა, ხან ბაიათი და სარი, ხან კი საცეკვაო კინტაური, ბაღდადური და შალახო. უყვარდათ ყარაჩოხელ ხალხს და კინტოებს არღანი. მდაბიო ხალხის გამრთობი კი მეარღნე კინტოები იყვნენ.

ნ. მირველოვი ერთხანს სურსათ-სანოვაგის პროფკავშირის კლუბთან არსებულ დრამწრეს ხელმძღვანელობდა. ამავე კავშირმა 1928 წელს შემოქმედებითი საღამო მოუწყო სახალხო სახლში.

ა ლ ე ქ ს ი ბ ა ჯ ი ა შ ვ ი ლ ი. თამბაქოს ფაბრიკის მუშა ანჩისხატის ძველ უბანში, ლეგრანთან, ს. ივანიძესთან, ნ. გოცირიძესთან, სოზიაშვილთან და სხვებთან ერთად სახლებში გამართულ წარმოდგენებში იღებდა მონაწი-

ლეობას. 1902 წლიდან კი ჩაება ჯერ მურაშკოსა და შემდეგ არაქსიანის თეატრში და რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში საუკეთესო სუფლიორი და გაჭირვების ტალკვესი იყო იმდროინდელ სცენისმოყვარეთათვის, რომელთაც საკმაო დრო არ ჰქონდათ როლების შესასწავლად, რამდენი შრომა, რამდენი მღელვარება უნდა გადაეტანა, რომ მონაწილენი პირნათლად გამოეყვანა მაყურებლის წინაშე. იგი პოლიტიკურ მუშაობაშიც იყო ჩაბმული. აწყობდა არალეგალურ მუშათა კრებებს. 900-იან წლებში და უფრო ადრე თამბაქოს ფაბრიკაში აგიტაციას ეწეოდა მთავრობისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. რამდენჯერმე მოაწყო ფაბრიკის მუშათა საიდუმლო კრება, კერძოდ, ხოჯევანქის ცნობილი კრება, სადაც მოხსენებისათვის მიიწვია იოსებ სტალინი, მაშინ მუშებში „კობად" ცნობილი. ასეთი მუშაობისა და მიმართულების გამო, ალ. ბაჯიაშვილმა განიცადა ფაბრიკის ადმინისტრაციისა და მთავრობის დევნა, რის გამოც მთელი ორი წლის მანძილზე უმუშევარი იყო და ამხანაგების დახმარებით ცხოვრობდა.

ალ. ბაჯიაშვილი იყო ლიტერატორიც და დრამატურგიც. მის მიერ ნათარგმნი და გადმოკეთებული პიესები ხშირად იდგმებოდა მუშათა თეატრებში. მან სომხურიდან ქართულად თარგმნა და გადმოაკეთა: „სიმდიდრის მსხვერპლი", „ასლან—ბალასი", „ყომარბაზის ცხოვრება" და „მხატვარი ტაშჩიანი", აგრეთვე თარგმნა მრავალი მოთხრობა, რომლებიც იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში.

იოსებ რევაზიშვილი. 7 წლისაც არ იყო, როცა მამამ დაწყებით სასწავლებელში მიაბარა, მაგრამ, უსახსრობის გამო, 15 წლის ჭაბუკი სასწავლებელს თავს ანებებს. ამ პერიოდში იგი გაიტაცა სცენაზე მუშაობამ და ოცნებად გადაექცა მსახიობი გამხდარიყო.

900-იან წლებში ავჭალის აუდიტორიაში ეპიზოდურ როლებში გამოდიოდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ კვლავ განაგრძო სწავლა და დაამთავრა სამხატვრო საშუალო სასწავლებელი.

1902 წელს გადადის ჯერ მურაშკოს, ხოლო შემდეგ არაქსიანის ახალ თეატრში და თავგამოდებით იბრძვის თეატრის წინსვლისათვის.

გარდა სცენაზე თამაშისა, იგი ენერგიული ხელმძღვანელი იყო წარმოდგენების გამართვაში, მას რეჟისორობის გასაოცარი ნიჭი ჰქონდა და ამიტომაც ხელმძღვანელობდა სხვადასხვა წრეებს.

1905 წელს მაშინდელი მთავრობისაგან დევნილი ყოველგვარ გაჭირვებას განიცდის. მასში ზიზღს იწვევს მაშინდელი წყობილება, რისთვისაც უხდება ხშირად პოლიციის, მთავრობის თვალების ასახვევად წარმოდგენების დროს კულისებსა და სცენის ქვეშ არალეგალური კრებების მოწყობა.

რევაზიშვილი 1905 წელს აირჩიეს მხატვართა პროფესიონალური კავშირის თავმჯდომარედ, მაგრამ მასში იმდენად ღრმად იყო გამჯდარი სამსახიობო ხელოვნებისადმი სიყვარული, რომ მას ავიწყდება თავისი პროფესია და არ მიდის სამხატვრო დარგზე სამუშაოდ. სახელოსნო ჰქონდა რიყის ქუჩაზე და ასრულებდა სხვადასხვა სახის სამუშაოებს: ხატავდა სარეკლამო პლაკატებს, წერდა აბრებს მუშათა თეატრისათვის, ხატავდა დეკორაციებს უფასოდ. თითქმის ყოველ ზაფხულს ი. რევაზიშვილი მიდიოდა საგარეჯოში სადაც ადგილობრივ სცენისმოყვარეთა წრეს და თეატრს ხელმძღვანელობდა და თვითონაც იღებდა მონაწილეობას. იგი მეტად საჭირო და კარგი ძალა იყო სცენისათვის. სასიამოვნო გარეგნობის, სასცენო ხმით და მეტყველი სახით განსაკუთრებით კარგად ასრულებდა უარყოფით პერსონაჟებს. შთამბეჭდავი იყო მის მიერ შესრულებული როლები ყაკი („ორი ობოლი"), ოტია ჯოლია („და-ძმა"), ადიუტანტი („ორი დარაჯი"), გრიქულა („ჭკუისა მჭირს"), დიუპონი („პარიზის ღარიბ-ღატაკნი"), სოლეიმან-ხანი („ღალატი"). განსაკუთრებით გაითქვა სახელი აღმოსავლურ ოპერეტებში. საუკეთესოდ ასრულებდა სულთან-ბეგს „არშინ მალ-ალანში", მაშტის — „მაშტი იბალში" და სხვ.

1918 წლის 6 ივნისს ი. რევაზიშვილს ოპერეტის ქართულმა თეატრმა გაუმართა ბენეფისი. წარმოდგენილი იყო უიზერ ჰაჯიბეგოვის ცნობილი სამმოქმედებიანი ოპერეტა „მაშტი იბალი" (ანუ „ეს არ იყოს, ის იყოს"). მაშტის მთავარ როლს ასრულებდა ი. რევაზიშვილი, რუსტამ ბეგს — ნ. ჩაგუნავა, გულნაზ ხანუმს — მ. გიგოშვილი, სარვარს — მ. ჯანველოვი, სანამას — ვ. მარგველაშვილი, მუშას — ნ. მირველოვი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იოსებ რევაზიშვილს აგზავნიან დუშეთში რეჟისორად, სადაც ორი წელი დაჰყო.

1926 წელს იგი უბრუნდება თბილისს და აარსებს „ლურჯხალათიანთა" წრეს. 1927 წელს კი ინიშნება ქართულ მუშათა წრეში რეჟისორად, სადაც სამი წლის განმავლობაში ანხორციელებს მთელ რიგ დადგმებს.

1931 წელს იოსები მიიწვიეს მილიციის კლუბში, ხოლო პარალელურად მუშაობდა ავჭალის აუდიტორიაში და მონაწილეობდა „სახკინმრეწვის" სხვადასხვა ფილმებში.

ამის შემდეგ რევაზიშვილს ზაჰესის კლუბთან არსებულ დრამატულ წრეში ვხვდებით, ხოლო ბოლოს უსინათლოთა საზოგადოებაში მუშაობს დრამატული წრის ხელმძღვანელად.

დ ა ვ ი თ  მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი. გამოსულია მუშათა რიგებიდან და მრავალი წლების განმავლობაში თავისი სპეტაკი და დაუღალავი ენერგიით იღწვოდა იმ

კლასის საკეთილდღეოდ, რომელმაც დამყაყებული მონარქიის სამსხვერპლოზე ააგო შრომის სამეფო.

პროფესიით ასოთამწყობი, მძიმე ექსპლუატაციის პირობებში, მომქანცავი, გამომფიტველი შრომით მოღლილი, მუდამ პოულობდა საჭირო დროს და დაუშრეტელი ხალისით მოღვაწეობდა სახალხო თეატრში.

მან დიდი ამაგი დასდო დიდ სახალხო, სასცენო საქმეს. ამ დროისათვის დავით მელაშვილის სასცენო მუშაობა უკავშირდება აქტიურ ორგანიზატორულ და იდეურ მუშაობასაც. იგი იყო არა მარტო კარგი სცენისმოყვარე, არამედ სასცენო საქმის კარგი ორგანიზატორიც, საუკეთესო ორატორი, საუცხოო რედაქტორი და ჟურნალისტიც. იგი წარმატებით ასრულებდა ახალგაზრდების როლებს, მის მიერ განსახიერებული როლებიდან გამოირჩევა: ირაკლი და კახი („პატარა კახი“), გიორგი („და-ძმა“), დათიკო („სიმდიდრის მსხვერპლი“), არჩილი („წამხდარი სისხლი“), დომენტი („ქოხში“), ალიბეგ („მტარვალი“), ვანო („დამარცხებულნი“), ზაქარია („რაც გინახავს, ველარ ნახავ“). პიერი („ორი დარაჯი“). ბენ-იოხაი, („ურიელ აკოსტა“), შარლ დომინიკი („პარიზის ღარიბ-ღატაკნი“), შტენგელი („პატიოსნება“), ბილინგი („ექიმი შტოკმანი“) და სხვ.

დ. მელაშვილი ნაკითხი, განათლებული პიროვნება იყო, პიესის შინაარსში კარგად ერკვეოდა და როლებსაც გააზრებითა და შეგნებულად თამაშობდა, თავისი გადამდები ხალისით სხვებსაც ამხნევებდა და მუშაობაში სიცოცხლე შეჰქონდა.

დ. მელაშვილი არის ცოცხალი მატიანე, რომელმაც ზუსტად იცის ჩვენი სახალხო თეატრების მთელი ისტორია. მას ენა და კალამიც კარგად ემორჩილება, იგი მრავალფეროვანი ცოდნით და გამოცდილებით არის აღჭურვილი.

დ. მელაშვილმა 1903 წლიდან დაიწყო გამოსვლა სცენაზე ჯერ მურაშკოს, შემდეგ არაქსიანის და ბოლოს 1911—1912 წლებში მას ვხედავთ, როგორც ერთ-ერთ მონაწილესა და ფუძემდებელს გიორგი და არჩილ შათირიშვილებთან, ხარფუხის დრამატული წრის დაარსებაში, რომლის მოღვაწეობის ასპარეზს წარმოადგენდა ე. წ. მუსულმანთა აუდიტორია ბოტანიკურ ქუჩაზე. აღნიშნული წრე განაგრძობდა მუშაობას პირველ მსოფლიო ომამდე.

იგი წერდა რეცენზიებს წარმოდგენების შესახებ. მას ჰქონდა დიდი ორგანიზატორული ნიჭი წარმოდგენების მმართველში. არ აკლდებოდა არც ერთ სპექტაკლს მუშათა თეატრში, გამოდიოდა დივერსტიმენტებში და კი-

თხულობდა რევოლუციურ ლექსებს. განსაკუთრებით უყვარდა ლექსი „ჭეშმარიტების მღაღადებელი“.

დავლეწე ტახტი სისხლით შესვრილი,
ძირს, ზედ მტარვალი წამოსკუპული,
ძირს საზიზღარი წესწყობილება
მხუნაგ დათვთაგან მოწონებული.
და დამანახვე შენი გმირები
ბრძოლისა ველზე გამარჯვებულნი,
ხელს ეპყრათ დროშა და ზედ ეწერა
თავისუფლება და სიყვარული.

იგი გამოდიოდა აგრეთვე სიტყვებით როგორც სხვადასხვა სათეატრო ზეიმის დროს, აგრეთვე გარდაცვლილ სცენისმოყვარეთა და საზოგადო მოღვაწეთა დაკრძალვაზე. იღებდა მონაწილეობას დემონსტრაციებსა და გაფიცვებში, როდესაც საჭირო იყო ცენზურის მიერ აკრძალული რომელიმე პიესის დადგმა, ამასაც ახერხებდა; დაშვებულ პიესაზე აიღებდა ნებართვას პოლიცმაისტრისაგან, სინამდვილეში კი დადგამდა აკრძალულ რევოლუციურ პიესას. საერთოდ დავით მელაშვილი სახალხო თეატრების თვალსაჩინო მოღვაწეთა იმ წრეს ეკუთვნის, რომელმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა სახალხო წარმოდგენების მართვას და მშრომელი მასების გათვითცნობიერებას.

დ. მელაშვილი 1902 წელს შევიდა სტამბის ამხანაგობაში გაზეთ „ცნობის ფურცლის“ ექსპედიციაში. 1904 წლის დასაწყისიდან, ასოთამწყობ ვ. მჭედლიშვილის, ლ. პოლოსოვის და გ. ჯაბაურის რჩევით და დახმარებით, გადადის იმავე სტამბის სააწყობო განყოფილებაში მოწაფე-ასოთამწყობად და მუშაობს „ცნობის ფურცლის“ დამატებაზე და ჟურნალ „მოამბეზე“. სტამბაში მუშაობის დროს დაეწაფა თვითგანვითარებას. შემდეგში მას ვხედავთ როგორც ჟურნალისტს, ქართული გაზეთებისა და ალმანახების მუდმივ თანამშრომელს, მთელი რიგი ჟურნალებისა და ალმანახების რედაქტორ-გამომცემელს. სტამბაში მუშაობის დაწყებიდან დაიწყო რევოლუციური მოღვაწეობა. მონაწილეობდა პოლიტიკურ კრებებში, მუშათა დემონსტრაციებში, გაფიცვებში, არალეგალური ლიტერატურის გავრცელებაში. განსაკუთრებით ლენინის პირველი გაზეთის „ისკრის“ და ქართული ისკრული გაზეთის „ბრძოლის“ და სხვათა გავრცელებაში.

დ. მელაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში. 1906 წელს კი ჯარში გაიწვიეს. მსახურობდა მოსკოვში. იყო არალეგალური სამხედრო ორგანიზაციის წევრი. აქაც რევოლუციური აქტივის მონაწილე. სწორედ იმ ხანებში დ. მელაშვილი მოხვდა იმ საყარაულო განწესებაში, რომელიც „ბადრაგობდა“ ჰაუპტვახტში დამწყვდეულ

მეზღვაურებს — ჯავშნოსან „პოტიომკინის“ აჯანყებულ მონაწილეებს. რევოლუციურად განწყობილმა ჯარისკაცებმა და მათ შორის დ. მელაშვილმა ოთხ მეზღვაურს სატუსაღოს კარი გაუხსნა და გააპარა, ამისათვის დ. მელაშვილი სასტიკად დაისაჯა.

1909 წელს დ. მელაშვილი თბილისში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო კოწია თავართქილაძის სტამბაში — „ნადეჟდა“, „კულტურას“ გამოცემაზე. და როგორც თვით კ. თავართქილაძე თავის წერილებით ადასტურებს: — დ. მელაშვილს ხშირად ვამუშავებდი არალეგალურ ლიტერატურაზე, როგორც ყველაზე სანდო პოლიტიკურ მუშასაო.

1910 წლის ივლისის ერთ დღეს სტამბაში გამოცხადდა ჟანდარმერიისა და „ოხრანკას“ გაძლიერებული რაზმი, პოლიციასთან ერთად დაიწყეს სტამბაში ჩხრეკა, რის შედეგადაც დააპატიმრეს დ. მელაშვილი. ბრალდებად წარუდგინეს საპირველსაისო პროკლამაციების დასტამბვა, მაგრამ ბრალდება ვერ დაუმტკიცეს და მცირე პატიმრობის შემდეგ გაანთავისუფლეს...

სტამბა „ნადეჟდიდან“ დ. მელაშვილი გადადის მიხ. გაჩეჩილაძის სტამბაში „სორაპანი“ და მუშაობს გაზეთ „თემზე“. აქ მუშაობის დროს მან გამოსცა თავისი რედაქციით ალმანახი „მუშათა რვეული“ და „სარკე“ (ალმანახის ეგზემპლარები ახლაც ინახება პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკაში).

1914 წელს გაზეთ „სახალხო საქმეში“ მომუშავე მუშათა შორის ასოთამწყობების, ვ. მჭედლიშვილის და პ. ახალკაცის, ინიციატივით ჩამოყალიბდა ამხანაგობა, რომელთაც დ. მელაშვილის რედაქტორობით გამოსცეს ყოველკვირეული იუმორისტული ჟურნალი „ლახტი“, სადაც გაშუქებული იყო მეტად საჭირბოროტო საკითხები. ჟურნალი მოუწოდებდა მუშებს გარკვეული გზა აერჩიათ და დაეცვათ საკუთარი ინტერესები. ვინც იცის სატირულ-იუმორისტული ჟურნალის მნიშვნელობა და ფასი, მისთვის ადვილი წარმოსადგენია თუ რა დიდი სიძნელეების გადალახვა დასჭირდებოდა ასეთი ჟურნალის შემდგენელს და გამომცემელს მეფის წყობილების დროს და ისიც მძვინვარე რეაქციის წლებში. ამ მხრივ საკმაოდ კარგ მებრძოლ ჟურნალად გამოიყურებოდა თავისი დროისათვის დ. მელაშვილის ჟურნალი „ლახტი“ და „ხუმარა“. აღსანიშნავი ის არის რომ ჟურნალს საკმაოდ დიდი ავტორიტეტი ჰქონია მუშათა წრეებში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დ. მელაშვილის მიერ გამოცემული ჟურნალი „ხუმარა“ უკვე საბჭოთა პერიოდს ეკუთვნის და საკმაოდ ჩამოყალიბებულ სატირულ-იუმორისტული ჟურნალის შთაბეჭდილებას ტოვებს.

1918 წელს პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ჯარიდან განთავისუფლებული დ. მელაშვილი ჩამოდის თბილისში და მუშაობას განაგრძობს სტამბა „სორაპანში“ და გაზეთ „ალიონში“. ამავე დროს ებმება პროფკავშირულ საქმიანობაში, რომელიც მაშინ ახლად იყო ჩამოყალიბებული.

ამავე პერიოდში მენშევიკების სისტემის სატარიფო პალატაში დ. მელაშვილი ხშირად გამოდიოდა კრიტიკით შრომის ხელფასის საკითხებზე, კერძოდ, მბეჭდავი მუშების ინტერესების სასარგებლოდ.

მენშევიკების პერიოდში მელაშვილი მუშაობდა სტამბაში „სახალხო საქმე“ და ამავე დროს სხვადასხვა გაზეთებში და კერძოდ გაზეთ — „ალიონში“ ათავსებდა წერილებს მუშების ცხოვრებიდან.

□□

1923 წელს პროფკავშირის მუშათა კლუბში იმართებოდა კრებები, სხვადასხვა წრეების მეცადინეობანი — კითხვები, საუბრები, ლექციები, ტარდებოდა სხვა კულტურული ღონისძიებანი. ვინაიდან პოლიგრაფიულ წარმოებებში საკმაოდ მომზადებული სასცენო ძალები მოიძებნებოდა, პროფკავშირის მითითებით კლუბთან ჩამოაყალიბეს წარმოდგენების გასამართავად ქართულ-სომხურ-რუსული დრამატული თვითმოქმედი წრეები. კავშირის კულტსექტორს კი ქართული წრის ხელმძღვანელობა დ. მელაშვილისათვის დაუკისრებია. მას შეუდგენია სცენისათვის მომზადებულ ამხანაგებისაგან ქალვაჟთა წრე და დაუწყია წარმოდგენების მართვა. რეჟისორად მოუწვევია ი. რევაზიშვილი. პირველ დადგმად განუხორციელებიათ პიესა „დამარცხებულნი“. ეს იყო 1923 წლის 21 აპრილს. თვეში დგამდნენ მხოლოდ 2 წარმოდგენას. ამას მოჰყოლია მთელი რიგი პიესები: „ორი დარაჯი“, „ქრისტინე“, „არსენა“, „პეპო“, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ და მრავალი კომედია-ვოდევილი: „ჰკუისა მჭირს“, „ტიმოთეს ლეღვი“, „დუქანში“ და სხვ. კავშირში შედიოდა თურმე მრავალი საჩივარი იმის შესახებ, რომ კავშირის წევრებს საშუალება არ ჰქონდათ ოჯახის წევრებთან ერთად დასწრებოდნენ წარმოდგენებს. რადგან კლუბის პატარა დარბაზი ფართო მაყურებელს ვერ იტევდა, ამიტომ კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ დაადგინა, რომ ლექციებს კლუბის გარეთაც ეშუშავათ. ამ მიზნით, დ. მელაშვილს დაუქირავებია რუსთაველის თეატრის პირდაპირ მდებარე ახლანდელი ოფიცერთა სახლის შენობა და იქ 1929 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში წარმოუდგენიათ მელოდრამა „ორი ობოლი“. მთავარ როლებში მოუწვევიათ ზუბალაშვილის სახალხო

სახლიდან პ. ლორთქიფანიძე (გენრიეტა), ვ. მარგველაშვილი (ლუიზა), ს. გოგაშვილი (ფროშარი), ე. კულულაშვილი (ჟაკი), ს. დავიდოვი (კავალერ დებონდი). პიერის როლი უთამაშია დ. მელაშვილს, დანარჩენი როლები შეუსრულებიათ წრის წევრებს. წარმოდგენას მაყურებლის მოწონება დაუმსახურებია. ასევე კარგად მუშაობდნენ თურმე სხვა წრეებიც, განსაკუთრებით სომხური. 1924 წლის აპრილში დ. მელაშვილს სხვა სამსახურში გადაყვანის გამო სრულიად აღარ ჰქონია საშუალება დასისათვის გაეწია ხელმძღვანელობა. ამ დროიდან შეწყვიტა სახალხო წარმოდგენებში მონაწილეობის მიღება, თუმცა წრეებთან და ამხანაგებთან კავშირი არ შეუწყვეტია და ცალკეულ წარმოდგენებში მუდამ იღებდა მონაწილეობას.

ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს დიდ ეპოქაში, ადამიანის ღვაწლი და მის მიერ დათესილი სიკეთე არ იკარგება. ამას ამტკიცებს დამსახურებული მუშისა და მოღვაწის დავით მელაშვილის პატივსაცემად 1953 წელს მოწყობილი შემოქმედებითი საღამო. საღამოს თავმჯდომარეობდა პოეტი-აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი.

ვ ა ნ ო  მ ა რ კ ო ზ ო ვ ი. ახოვანი და მკვეთრი ტემპერამენტის. პირველ ხანებში ეზოებში გამართულ წარმოდგენებში იღებდა მონაწილეობას. კეთილსინდისიერი მუშაკი იყო. დაკისრებულ როლს ზეპირად სწავლობდა. რაც იმ დროს იშვიათი მოვლენა იყო. იგი შთამბეჭდავად ასრულებდა სახასიათო როლებს: მარშალი („ორი დარაჯი“), ციმბირელი („ციმბირელი“), გიორგი („სიმდიდრის მსხვერპლი“), ყორეი („ყომარბაზის ცხოვრება“), ოტია („და-ძმა“), განსაკუთრებით კარგად ასრულებდა მარშლის როლს.

1904 წლიდან ვანო მარკოზოვი გიორგი ფირუმიანის ხელმძღვანელობით შედის არაქსიანის თეატრში და მონაწილეობს როგორც ქართულ, ისე სომხურ წარმოდგენებში. ვ. მარკოზოვი ხანგრძლივი დროის მანძილზე ემსახურებოდა ავლაბრის სახალხო თეატრს. 1904 წლის 2 მაისს პიესა სამშობლოში ასრულებდა ზაზა სოლოღაშვილის როლს. ერთხელ იგი მიიწვია ზუბალაშვილის სახელობის სახლმა, სადაც „ღალატში“ სოლეიმან-ხანი ათამაშეს.

1926 წლის ზაფხულში კოოპერაციის პროფკავშირმა მოუწყო შემოქმედებითი საღამო. დაიდგა თითო მოქმედება პიესებიდან: „სიმდიდრის მსხვერპლი“, „გაცრუებული იმედები“. პირველში თამაშობდა გიორგის როლს, რომელიც იმ საღამოს განსაკუთრებით კარგად შეასრულა.

ვ ა ნ ო  ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი. საოლქო სასამართლოს მოხელე. ერთ-ერთი პირველი ინიციატორი მურაშკოს სახალხო თეატრის დაარსებისა. 1895 წლიდან

სახლებში გამართულ წარმოდგენებში იღებდა მონაწილეობას ბ. მაისურაძესთან, ვ. მჭედლიშვილთან, მ. სპიროვთან და ლ. პოღოსოვთან ერთად.

1902 წლიდან მოღვაწეობდა მურაშკოს თეატრში და პარალელურად ავჭალის აუდიტორიაში. იგი პარტიის რაიონის ორგანიზაციის ტრანსპორტიორი იყო. სამსახურში გაჩხრიკეს, დიდძალი არალეგალური ლიტერატურა აღმოუჩინეს, რისთვისაც გადაასახლეს დონის როსტოვში. იქ უბედურება შეემთხვა და ორივე ფეხი დაკარგა. საბჭოთა ხელისუფლებამ მას, როგორც პოლიტიკურ ინვალიდს, პერსონალური პენსია დაუნიშნა.

მის მიერ შესრულებული როლებიდან მაყურებლის მოწონებას იმსახურებდა: მოხუცი ტყვე („და-ძმა"), სესიკა — („ადვოკატი მელაძე"), პორფირე — („საცოლე ერთი საათით"), მსახური გლეხი — („თავის ბრალია").

რ ა ფ ი ე ლ ჯ ი ბ ლ ა ძ ე. ნიჭიერი სცენისმოყვარე. პირველად გამოვიდა 1904 წელს არაქსიანის თეატრში, შემდეგ მურაშკოსა და სხვა თეატრებში იღებდა მონაწილეობას. იგი იყო განვითარებული, პრინციპული, გარეგნობით ლამაზი, კოხტა ტანის, საუცხოოდ ასრულებდა იმერლების როლებს. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია დადიანი („სამშობლო"), კოხტაია („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"), ქსელოვი („ციმბირელი"), იოთამი („დედისერთა"), ფონ-ეილენი („დამნაშავეა"), დიუმონი („გაძარცული ფოსტა"), თედო („ყაჩაღი არსენა"), პაპუა („ქართველი დედა"), გამომძიებელი („ბედს ვერ წაუხვალ"), ახალგაზრდა ტყვე („და-ძმა"). იღებდა მონაწილეობას აგრეთვე დივერტისმენტებში. კითხულობდა გურულ სცენებს. იგი თვითონვე წერდა სცენებსა და კუპლეტებს და ჟურნალ-გაზეთებში ბეჭდავდა. რ. ჯიბლაძის ამპლუა იყო ფრანტები და მოსულელო კომიკური ტიპები. იგი ძირითადად ესტრადის მსახიობი იყო, ამიტომაც ხშირად იწვევდნენ სხვადასხვა კონცერტებზე. როგორც კარგი, უნარიანი სცენისმოყვარე, სათანადო პატივისცემით სარგებლობდა როგორც ამხანაგებში, ისე მაყურებლებში. ის იყო ერთ-ერთი უანგარო მოღვაწე, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ერთგულად ემსახურებოდა სახალხო თეატრის განმტკიცების საქმეს. ამ მსახიობის მრავალმხრივ ნიჭს არაერთხელ დაუმსახურებია მოწონება და აპლოდისმენტები როგორც ფართო მაყურებლისა, ასევე ამხანაგ-მეგობრებისა.

ჯიბლაძის სასცენო მოღვაწეობას ერთგვარად ხელს უწყობდა შესანიშნავი ფიზიკური აღნაგობაც. ძნელი იყო ადამიანს თვალი მოეშორებინა ამ მშვენიერი ტანადობის მქონე ვაჟკაცისათვის, მისი ათლეტური მხარბეჭისათვის, გიშერივით შავი ულვაშებისათვის, პატარა მოშვებული წვერის და ხუჭუჭა თმისათვის, რომელიც გვირგვინივით უმშვენებდა გონიერ შუბლს.

ლექსების გარდა, რაფიელი რამდენიმე იუმორისტული მოთხრობის ავ-

ტორიცაა. მათ შორის აღსანიშნავია „როგორ გავხდი მე სცენის მოყვარე“ და „საკრაშჩენიე“.

მისი იუმორისტული ნიჭის ნათელსაყოფად მომყავს „საკრაშჩენიე“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ 1922 წელს.

(გურული სცენა)

„უბედურ კაცს ქვაი აღმართში მიეწიაო“, რომ იტყვიან, ისთე დამემართა სწორედ, გადამეკიდა ქალი, ქარმეხმა დაანგრია მისი გამომცემლის ოჯახი, დამიწყო ჩხუბი: წადი თბილის ქალაქს, ყოლი კაცი იქინეა, ყოლი კაცმა იქინე იშონა კამისრობა და ნაჩალნიკობა, ეგები შენც ქნა სიკეთე, იშონო რამე ადგილი და აი ბაღნები რომ ქვეყნის საშინელათაა დაშიშვლებული და მეც რომ ნაკაბევი არ მაცვია, რამე მოგვიხერხეო... სულო ცოდვილო, მეც ქე დუუჯერე და ჩამეველი ქალაქში.

მეველ ერთ სალაკე, ვითხუე ადგილი და ასთე მითხრეს: აქანე ძამია „საკრაშჩენიე“ იყო და ორმოცდაათი კაცი დეითხუეს ადგილიდანო, მეორე ადგილზე წეველი, იქინეც აგი მითხრეს: ჩვენთან ამ კვირეში „საკრაშჩენიე“ იყო და სამოცზე მეტი მუშა დეითხუეს სამსახურიდანო, წეველი მესამე სალაკე — იქინეც აი ამბავი დამხვთა; ერთი სიტყვით სადაც არ მიველი, ყველგან აგი დასალუპავი „საკრაშჩენიე“ ყოფილა! დედა! გადავირიე კაცი, ვინ უნდა იყოს ეი ოჯახდასაქცევი? თუ კომუნისტია, მუშებს რავა ითხოვს ადგილიდან და თუ კომუნისტი არაა, მაგის ნებას რაფერ აძლევენ, რომ მუშებს გარეთ უსაქმოდ ყრის მეთქი? მერე შემხვდა ერთი ჩემი ნაცნობი და ვკითხე: თუ ძმობა გწამს, ერთი გამაგებიე ვინაა ან რა რჯულია აი „საკრაშჩენიე“, რომ ამდონ უბედურებას ათენებს ამ მუშებს, — ვინცხაა მაგი ქართველი არ უნდა იყოს მეთქი. — არა, კაცო, მაგი არც ქართველია და არც რუსი, მხოლოდ რუსული სიტყვაა: „საკრაშჩენიე“ შემოკლებას ნიშნავსო. — შემოკლება რაღაა მეთქი? — შემოკლება როგორ არ იცი, კაცო; მაგალითად, ხეი რომ მოჭრა სახლის სათავეზა, დვიროიზა ანდა ხიდიზა ღელეზე გადასადებად: თუ ძაან გრძელია, თავს ან ბოლოს ხომ მოჭრი, დაამოკლებ, აა მას ქვია შემოკლება ესე იგი „საკრაშჩენიეო“.

—არა, ძამია, არა, არც ადგილი მინდა და არც თქვენი „საკრაშჩენიე“. ეგება მეც მოვხვდე მაგ საკრაშჩენიაში და სახლის დვიროსავით თუ დამამოკლეს, კას ამბავს კი ჩუუტან ჩემს ცოლ-შვილს სახლში მეთქი და დავაპირე შინ წასვლა.

გეველი ვაგზალზე, ჩავდექი ვეჩერედში, ბილეთიზა, მარა ვაი შენს გოგიას: მევისე ჯიბეზე ხელი, სადათაა შენი ფული? დევიწყე ტირილი, ყვი-

რილი, მარა ვინაა პატრონი, მოხმარების მაგიორ ზოგიერთმა ყაშმიერობა და ყპის ქცევა დამიწყო. ერთმა მითხრა — ბიძია ფული თუ გქონდა ველარ მუარეო? მოორემ თქუა: ამას აქანე ჯიბის „ჩისტკა“ უქნესო, მესამემ მითხრა „საკრაშჩენიე“ მოახდინესო.

რა ვქნა ახლა, მევიცადო, რა გავაკეთო. წევიდე და სა მიხვალ უბედურო, ვინ გაგიშობს. გადავწყვიტე: თუ გინდა რომ საციმბიროთ გავხდე, ამ პოეზდით მაინც უნდა წევიდე. დაჰკრეს ზარი, გააღეს კარი და მეც გავძვერი, მარა პოეზში ასვლა არ გინდა? მივარდი ერთ ვაგონთან, ჩამომაგდეს ძირს: სა მიხვალ აგი ფოშტის ვაგონიაო, მოორე— შტაბისაო, მესამე — სლუჟისტებისაო, მეოთხეში ბილეთი მომთხუეს და იქიდან ქე მიქნეს ნოწი. ვიბზუალე იქით-აქით, ვერც ვინმე ნაცნობი ვნახე და ასე უპატრონო და უკაპეიკოთ დავრჩი, მარა ჩემს ბედზე გევიხედე და ამ „პოეზის“ ბოლოზე „რაბოჩი ვაგონი“ დავინახე მიბმული. მიველი, შევიხედე შით და კაი დიდი კუბოა გაგრძელებული. ა, ბიჭო, გოგია, თუ ვარგიხარ შეიპარე შით და გეშველა; ბევრი აღარ მიფიქრია, ევიწიე წინ და შევარდი ვაგონზე და ამ დროს რკინისგზის მილიციონერმა უკანიდან მომაძახა: „სა მიხვალ კაცო შენ? მაქანე ვერ ხედავ მიცვალებულსო?— ძამი ხომ არ გადირიე შენ, რავა მიცვალებულს ჭირისუფალი არ უნდა მეთქი? ამითი მილიციონერი ქე გავაჩერე. მარა თვალს მაინც არ მაშორებს და მეც მინდა დავამტკიცო, რომ ნამდვილი ჭირისუფალი ვარ და ამით თლად უნდა მევიშორო თავიდან. მეტი გზაი არაა, უნდა ვიტირო აი სხვისი მკვდარი, მარა რანაირად: სახელი არ ვიცი და გვარი, ქალია, კაცია, მოხუცებულია, თუ ახალგაზრდაა, არც იგი ვიცი, მარა მაინც დევიწყე ტირილი „ვაი ჩემს მოსწრებას, რა მიქენი აი შენი ჭირიმე, რეიზა დამიქციე ვოჯახი მეთქი“.

მილიციონერმა იფიქრა, ვინცლაა აგი მართლაც ჭირისუფალი უნდა იყოსო და ქე წევიდა, მარა სტორედ ამდროს ნამდვილი ჭირისუფალი ამევიდა, დამადგა თავზე და მითხრა:

— ძამია, აი მიცვალებული შენი არ გეგონოს ჩემიაო.

— გყავდეს ძამია, მოგახმაროს ღმერთმა. აგი ერთი და სხვაი ათასი, ჩემსას ცოცხლები მეხოცება შიმშილით და მკვდარი რა ეშმაკად მინდა-მეთქი.

უუხსენი ჩემი გაჭირვება და შევეხვეწე, ქენი წყალობა, აი ვაგონი მაინც ნაქირავები გექნება, ვითომ მეც ჭირისუფალი ვარ, მიცვალებულსაც გიტირებ და წამიყვანე მეთქი. ძაან კაიო, მითხრა, მაინც მარტუე ვარ და პირდაპირ ნიგოითამდე ჩაგიყვანო.

მერე მომიყვა და მელაპარაკა მისი თავგადასავალი: იგი მამაა ჩემიო, ეიჩემა მაინცდამაინც ქალაქში წამიყვანეო, „აპელაციე“ უნდა გავაკეთებიო და გავახალგაზრდავდეო. ჩამევიყვანე აქანე, უქნეს „ოპერაციე“, ამოაჭრეს იგი

მე და შენ რომ ვიცით, ვერ გამოვიდა „უდაჩნათო“ და გაახალგაზრდავების მაგიორ ქე ხედავ რაც დაემართაო... ბაბა რა მიქენი აგი, რეიზა დამღუპე, რეიზა, წეიწყმინდე სულიო, მე აქიდან მეუტირე: სული წეიწმინდა კი არა სწორეთ ახლა იცხონა-მეთქი: აგი რომ აქანეი არ მომკვდარიყო, მე შიმშილს, რომ არ მოვეკალი ამ „საკრაშჩენიეს“ მაინც ვერ გადურჩებოდი-მეთქი!

 რ. ჯიბილ“.

რ. ჯიბლაძემ თეატრალური ნათლობა პირველად პიესა „გაძარცულ ფოსტაში“ მიიღო. რომელიც 1904 წელს იქნა წარმოდგენილი არაქსიანის თეატრში (ავლაბარი). ამ პიესაში რაფიელი ფოსტალიონის როლს ასრულებდა, რომელსაც ყაჩაღები დაეცემიან და სიცოცხლეს ჰპალმევენ. ეს როლი რაფიელმა ისეთი უშუალობით შეასრულა, რომ იმ დღიდან სახალხო თეატრის კარი მისთვის სამუდამოდ გაიღო. მეორედ მაყურებლის წინაშე რაფიელი წარსდგა ვალერიან გუნიას პიესა „და-ძმაში“. პირველ ტყვეს თამაშობდა. ამ როლშიც მან არანაკლები მოწონება დაიმსახურა. ამის შემდეგ ჯიბლაძე ბოლომდე არ მოსცილებია სახალხო თეატრს და სიკვდილამდე მისი განუყრელი თანამგზავრი იყო. 1924 წელს მისმა გარდაცვალებამ დიდად დაამწუხრა ქართული სახალხო თეატრის სცენის მუშაკები, ქართული სცენის მოღვაწეთა მთელი კოლექტივი. ამის გამო 1924 წლის 11 ნოემბრის გაზეთი „მუშა“ იუწყებოდა რა რაფიელის გარდაცვალებას, წერდა: „სახალხო თეატრმა დაჰკარგა საუკეთესო სცენისმოყვარე რაფიელ ჯიბლაძე. ამხანაგი რაფო, — ასე ეძახდნენ ყველანი, ვინც კი მას იცნობდა — 20 წელი განუწყვეტლივ მოღვაწეობდა სახალხო თეატრში, საუკეთესოდ ასრულებდა დაკისრებულ როლებს. ამასთან თვითონაც თხზავდა სცენებს გურიის ცხოვრებიდან და წარმატებით აცნობდა მაყურებელს. ხელობით ნოქარი იყო ფართლეულის მაღაზიაში, თავისუფალი დრო მცირე გააჩნდა, თანაც ცოლშვილით იყო დატვირთული, მიუხედავად ამისა, მაინც ყოველდღიურად დაიარებოდა ამაღლების უბნიდან ავლაბრის განაპირა უბანში რეპეტიციებზე და წარმოდგენებზე. ხშირად პროვინციებში გამართულ წარმოდგენებშიც კი იღებდა მონაწილეობას. უკანასკნელ წლებში მიწვეულ იქნა სახალხო სახლში, სადაც სიკვდილამდე მუყაითად ემსახურებოდა სახალხო საქმეს“.

ს ე რ გ ო პ ე პ ა ნ ო ვ ი. დიდად გატაცებული იყო თეატრალური ხელოვნებით, როგორც სცენისმოყვარე უაღრესად ინტელიგენტი, შეგნებული პიროვნება. მიმზიდველად ასრულებდა დრამატულ როლებს. მის მიერ შესრულებულ სახეებიდან აღსანიშნავია: ქადოვი („შემოსავლიანი ადგილი“), ნეზნამოვი („უდანაშაულო დამნაშავენი“), პიერი („ორი ობოლი“), ლაუფენი

(„სამხედრო ბანაკში“), კარლი („დამნაშავეა“), ბექანი (ქართველი დედა“), გორსტერი — („ექიმი შტოკმანი“, „ანუ ხალხის მტერი“), გუსტავ—(„ორი დარაჯი“) და სხვ.

აღნიშნული როლებიდან ჩანს, თუ რამდენად საჭირო ძალა იყო. იგი ყოველთვის დიდი მოწონებით სარგებლობდა მაყურებელში.

მისი უშუალო ხელმძღვანელობით ხარფუხის სახალხო თეატრის სცენაზე განხორციელდა მთელი რიგი დადგმები როგორიც არის: ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“, ა. ყაზბეგის „არსენა“, ავქს. ცაგარლის „ციმბირელი“, ვალ. გუნიას „და-ძმა“, გ. სუნდუკიანის „პეპო“, პ. ირეთელის „ქრისტინე“, ნ. აზიანის „გაცრუებული იმედები“, და სხვა.

გ ო გ ლ ა მ ა ნ გ ო შ ვ ი ლ ი. მურაშკოსა და არაქსიანის თეატრალურ დასში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ქიზიყის მკვიდრი სოფელ ბოდბელი გიორგი (გოგლა) მანგოშვილი. ეს დაბალი ცოდნის, სოფლელი ყმაწვილი საოცარი მონდომებითა და როლების კარგი შესრულებით სიმპათიასა და პატივისცემას იმსახურებდა როგორც თეატრის კოლექტივში, ისე მაყურებელში. მის მიერ შესრულებული როლებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა ვლადიმერ საბელიანი — ვალ. გუნიას „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“, სამსონა — გ. სუნდუკიანის „პეპო“, ბოქაული — ავქს. ცაგარლის „ჰკუისა მჭირს“, მიხა — ნ. გალუსტოვის „არკადიას სადილი“, მთიული — ხეჩუაშვილის „დუქანში“, სესიკა მეცხვარე—ივ. მაჩაბლის „ადვოკატი მელაძე“, ავგუსტ დენშიკი — ვაზოვის „ოქროს მონები“, სვიმონ რატიანი — ი. გრიშაშვილის „ტიმოთეს ლელვი“, მიხა — ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“, გაიოზი — ვალ. გუნიას „და-ძმა“ და სხვა მრავალი. და აი სწორედ ასეთი კარგი შესრულებითა და მოქნილი მოქმედებით გადაწყდა მისი პირადი ცხოვრების განსაზღვრა — დაოჯახება. მას მურაშკოს თეატრის ეზოში ბიძასთან მცხოვრები მეგრელი ქალიშვილი მოსწონდა, მაგრამ ქალს არ მოსწონდა, ჯმუხი კახელი. ვაჟმა მოსაზრება მოიშველია. იდგმებოდა ვალ. გუნიას „და-ძმა“. გოგლამ ქალიშვილს ოთხი ბილეთი მიართვა და ოჯახის წევრებიანად მიიპატიჟა სპექტაკლზე. მიდის წარმოდგენა, სცენაზე სხვა შემსრულებელთა შორის განსაკუთრებით მოწონებას იმსახურებს, როგორც ქალიშვილში, ისე დამსწრეებში, ჩოხა-ახალოხში გამოწყობილი და მეგრული სიკოხტავით თავშებურული ახალგაზრდა (გაიოზის როლის შემსრულებელი) გ. მანგოშვილი. მოხიბლული ქალი აღტაცებას ვერ მალავს და დამსწრეთა გასაგონად ამბობს: „აი ამ მეგრელს კი წავყვებოდიო“. ეს სიტყვა მას შემდეგ თითქოს სანანებლად გაუხ-

და, რადგან შეიტყო, რომ ამ კოხტა მეგრელის როლს მისგან დაწუნებული გოგლა მანგოშვილი ასრულებდა. სიტყვა მაინც სიტყვად დარჩა, მოხდა მათი შეუღლება. შეიქმნა ტკბილი ოჯახი, რომელთა შთამომავალნი სხვადასხვა დარგში დღესაც მოღვაწეობენ.

იოსებ გულისაშვილი ძველი სცენისმოყვარე. 1913 წელს ბიჭის პატარა როლით ეზიარა მურაშკოს თეატრის სცენაზე, თეატრალურ ხელოვნებას დ. ერისთავის პიესა „სამშობლოში".

ამის შემდეგ ი. გრიშაშვილის ვოდევილ „ტიმოთეს ლეღვში" ტიმოთეს როლის შესრულებით დამსწრეთა მოწონება დაიმსახურა.

ი. გულისაშვილი მსახიობობასთან ერთად რეკვიზიტორის მოვალეობასაც ასრულებდა. დადიოდა ეზო-ეზო ნათესავ-ნაცნობებში და ქალისა და მამაკაცის ტანსაცმელს, რეკვიზიტს აგროვებდა. ამით ხელს უწყობდა მსახიობებს სპექტაკლების ჩატარებაში. ამასთან ერთად იგი აგიტაციას ეწეოდა მუშებსა და დიასახლისებში — დასწრებოდნენ წარმოდგენებს.

1918 წელს რეჟისორმა ს. ივანიძემ ა. ყაზბეგის „არსენაში" ზაქროს საპასუხისმგებლო როლი ი. გულისაშვილს მიანდო. ჭაბუკმა აქაც გაამართლა ნდობა და მაყურებლისა და ამხანაგების სამართლიანი მოწონება დაიმსახურა, მაგრამ ამ პიესაში არსენას როლის შემსრულებელმა მსახიობმა გ. ყანჩელმა შემთხვევით დასჭრა ზაქროს როლის შემსრულებელი ი. გულისაშვილი. იგი თვენახევარი იწვა საავადმყოფოში, ხოლო იქიდან გამოსვლის შემდეგ კვლავ თეატრს მიაშურა და ჩვეული ენთუზიაზმით განაგრძო მუშაობა.

რეჟისორმა ს. ივანიძემ, ი. გულისაშვილი მურაშკოს თეატრში რომ ნახა მოსული გაეხარდა, მხარზე ხელი დაადო და ასე უთხრა:: შენ კარგი ძალა ხარ და დღეიდან ჩემი მოწაფე უნდა იყოო. ამ დროს თეატრი დ. ერისთავის დრამას „სამშობლოს" ამზადებდა. ამ პიესაში ს. ივანიძემ ი. გულისაშვილს ისკანდერ-ბეგის როლი დააკისრა. ახალგაზრდამ ამ როლშიც კვლავინდებურად ისახელა თავი და ივანიძის კმაყოფილება გამოიწვია.

ამას მოჰყვა სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი". ამ პიესაშიც ი. გულისაშვილს უსუფის საპასუხისმგებლო როლის შესრულება დააკისრეს.

ი. გულისაშვილი ხშირად გლეხების როლებს თამაშობდა, მაგრამ არც დრამატულ როლებში იყო ნაკლები.

მსახიობს მონაწილეობა მიუღია დიდ თეატრში სახელგანთქმულ მსახიობებთან ვალ. გუნიასთან, ალ. შანშიაშვილთან, ალ. იმედაშვილთან, ი. ზარდალიშვილთან, ვ. აბაშიძესთან, ე. ჩერქეზიშვილთან და უ. ჩხეიძესთან ერთად და კარგი პარტნიორობაც გაუწევია მათთვის.

ი. გულისაშვილი ავლაბრის თეატრის სცენაზე მუშაობდა 1926 წლამდე-

ნიკოლოზ ქვლივიძე. მურაშკოს თეატრის ძველი სცენისმოყვარე, 1909 წლიდან მუშაობას იწყებს თბილისის ბამბის (ძმები ზლატაგორსკების ყოფილი ქარხანა) ქარხანაში. აქ მან გაიცნო რევოლუციურად განწყობილი მოწინავე მუშა-ახალგაზრდები გ. ბასილაშვილი, ი. აზარიაშვილი, ვ. მენთეშაშვილი და სხვები, რომლებიც მუშაობასთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩაბმული სასცენო ხელოვნებაში. ისინი ქარხანაში ხშირად საუბრობდნენ მურაშკოს თეატრისა და მისი დადგმების შესახებ, რამაც დიდად დააინტერესა ახალბედა მუშა ნიკოლოზ ქვლივიძე და ერთ დღეს გადაწყვიტა გაჰყოლოდა ამხანაგებს თეატრში. აღსანიშნავია, რომ იმ სეზონის რეპერტუარში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა პატრიოტულ თემაზე შექმნილ პიესებს, რომლებშიაც ნათლად იგრძნობოდა ქართული გმირულ-რომანტიკული სული. ასეთ პიესებზე შექმნილი სპექტაკლები მაყურებელს თვალწინ უცოცხლებდა საქართველოს წარსულს, მის უთანასწორო ბრძოლებს უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ და ქართველი ხალხის თავდადებასა და უანგარო სიყვარულს მრავალტანჯული სამშობლოსადმი. ყოველივე ეს ერთიორად ზრდიდა თეატრისადმი სიყვარულსა და პატივისცემას...

იმ საღამოს დადგმულმა „სამშობლომ“ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჭაბუკ ნ. ქვლივიძეზე. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ ამხანაგებმა წარუდგინეს იგი თეატრის ხელმძღვანელს თ. ნასიძეს და უთხრეს ყოჩაღი ბიჭია, ყველაფერში გამოგადგებაო. თომამ თეატრის ყველა კუთხე-კუნჭული შემოატარა, გააცნო თეატრის თანამშრომლები, საბოლოოდ ბ. მაისურაძესთან ერთად აქტიურად ჩააბა თეატრის მოწყობასა და დეკორაციების დადგმაზე. მისი უშუალო ინიციატივით ბევრი რამ გაკეთდა დრამატულ წრეში.

ქვლივიძე ყოველდღე ესწრებოდა რეპეტიციებს და სწავლობდა სცენის კანონებს. სულ მალე მიიღეს დასის წევრად. იგი ხშირად გამოდიოდა პიესებში, მონაწილეობას იღებდა პასუხსაგებ როლებში და არ ყოფილა შემთხვევა, რომ მაყურებელი მისგან კმაყოფილი არ დარჩენილიყოს.

ამ დროს დასს რეჟისორობდა ქართული თეატრის გამოჩენილი მსახიობი ი. ივანიძე, რომლის ხელმძღვანელობით ყოველ შაბათ-კვირას იმართებოდა წარმოდგენები. იგი დრამატულ წრეში არაქსიანის თეატრიდან ხშირად იწვევდა მონაწილეობის მისაღებად კამოს დებს.

ნ. ქვლივიძე მალე მთავარ როლში მოგვევლინა. სცენაზე როგორც მსახიობს, მას ახასიათებდა მომხიბვლელი ლირიზმი და შინაგანი სითბო. სცენაზე მას ახალგაზრდული სიცოცხლე და სიხალისე შეჰქონდა, თუმცა მისი ერთ-ერთი გამოსვლა მარცხით დამთავრდა. 1914 წელს თეატრის რეჟისორმა ი. ივანიძემ მურაშკოს თეატრში აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამო მოაწყო.

წარმოადგინა მწერლის პიესა „პატარა კახი“. ამ პიესაში ნ. ქვლივიძე პირველი შიკრიკის როლს თამაშობდა.

გამართეს სცენა, შუაგულში კი გორასავით აამაღლეს, რადგან მეფეს ამ გორიდან უნდა თვალი ედევნებინა. ის ადგილი მწვანე ბალახით შემოსეს.

ფარდა აიხადა. პირველი შიკრიკი (ნ. ქვლივიძე) შემორბის, მეფესთან მოაქვს სასიხარულო ამბავი, გავიმარჯვეთო. გორაზე არბენისას, — ბალახზე ფეხი აუსხლტა და წაიქცა, მაშინვე წამოხტა თუ არა აკაკის ლოჟისაკენ გაიხედა. ამ დროს აკაკიმ თავისთვის ჩაიცინა, ქვლივიძე კი სირცხვილისაგან იწოდა. აკაკიმ რეჟისორი გააფრთხილა, რომ მსახიობისათვის არაფერი ეთქვა, პირიქით თავზე ხელი გადაესვა და მისი თამაში შეექო.

მურაშკოს თეატრში იდგმებოდა შემდეგი პიესები: „ყაჩაღი არსენა“, „და-ძმა“, „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“, „დამარცხებულნი“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „ციმბირელი“ და სხვ. ყველაზე ძალიან თეატრის რეჟისორს ი. ივანიძეს უყვარდა პიესა „სამხედრო ბანაკში“. ამ პიესაში ივანიძე თამაშობდა მარშლის როლს, ხოლო ნ. ქვლივიძე მის დენშჩიკს.

ნიჭიერმა სცენისმოყვარემ ნ. ქვლივიძემ კოტეს — „ციმბირელში“, გლეხის ბიჭის— „რაც გინახავს, ვეღარ ნახავში“, მოურავის — „არსენაში“, ვანო ფანტიაშვილის — „ხანუმაში“, დათიკოს — „ბატონსა და ყმაში“, გაიოზის — „და-ძმაში“, პირველი შიკრიკის — „პატარა კახში“, დენშჩიკის — „სამხედრო ბანაკში“, ბოქაულის — „ჭკუისა მჭირს“, ტიმოთეს — „ტიმოთეს ლეღვში“, დანტეს — „ორ მშიერში“ დაუვიწყარი სახეები შექმნა.

როცა თეატრში წარმოდგენები მიმდინარეობდა, ამ დროს თეატრის სცენის ქვეშ, სარდაფში არალეგალური კრებები იმართებოდა.

ამ არალეგალურ მუშაობაში აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი წრის წევრები: ვ. მჭედლიშვილი, (ქიზიყელი), გიგო ბაბალაშვილი, რაფიელ ჯიბლაძე, რ. სალაყაია, ალ. თავართქილაძე, გ. მენთეშაშვილი, დ. მოვიდაგვარაშვილი, ნ. მირველოვი, გ. გელიკურაშვილი, ნ. ქვლივიძე, ს. სულთანიშვილი.

ს ო კ რ ა ტ ს უ ლ თ ა ნ ი შ ვ ი ლ ი. არაქსიანის თეატრის ძველი სცენისმოყვარე. დაიბადა საგარეჯოში 1889 წ. იზრდებოდა და სწავლობდა ქ. თბილისში. 1904 წელს სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 15 წლის ასაკში, ოჯახური მდგომარეობის გამო მუშაობას იწყებს გერშოვის მექანიკურ ქარხანაში, სადაც ირჩევენ ოსტატთა საიდუმლო ბიუროში შეგირდად.

ამ ქარხანაში მუშაობის პერიოდში 1904 წელს მან პირველად შედგა ფეხი ავლაბრის სახალხო თეატრის სცენაზე და მას შემდეგ სცენას აღარც ჩამოშორებია.

1905 წელს მოეწყო შეგირდების გაფიცვა, გაფიცულთა კომიტეტში

სოკრატიც შედიოდა. ამ გაფიცვის შედეგად ქარხნის მეპატრონემ სხვა მუშებთან ერთად, სოკრატიც დაითხოვა სამუშაოდან.

ქარხანასა და ავლაბრის მუშა სცენისმოყვარეთა შორის მუშაობამ გაუღვიძა სოკრატს რევოლუციური ბრძოლისაკენ სწრაფვა.

იმჟამად ავლაბარში ვარდის მოედანზე არსებობდა საჩაიე „იალტა", სადაც იკრიბებოდნენ ადელხანოვის „ტოლეს", კარლინსკის „მირის", ფაბრიკა-ქარხნების რევოლუციურად განწყობილი მუშები. აქ როგორც „საიდუმლო შტაბი" მოჰქონდათ აუარება არალეგალური ფურცლები. ასევე მოჰქონდა ამ შტაბში პროკლამაციები ს. სულთანიშვილსაც, ხოლო სტამბის ახალგაზრდა მუშა გ. სიჩაძე აქედან ავრცელებდა ამ ფურცლებს როგორც მუშებში, ასევე თეატრებში, დამსწრეთა შორის.

ამ ვარდის მოედანზე იყო აგრეთვე ბიბლიოთეკა, რომლის გამგე ნ. ფოცხვერაშვილი არაჩვეულებრივი კონსპირატიულობით მუშაობდა და ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას ს. სულთანიშვილთან ერთად.

ამავე წელს თბილისში გოლოვინის პროსპექტზე მიმდინარეობდა პოლიტიკურ მუშათა დიდი დემონსტრაცია. ამ დემონსტრაციაზე, აქტიური მონაწილეობისა და პროკლამაციების გავრცელებისათვის ისედაც შემჩნეულს ყაზახებმა ძლიერ სცემეს რის გამოც სოკრატს, რამდენიმე კვირას მოუხდა წოლა. გამოჯანმრთელების შემდეგ, 1906 წელს, სულთანიშვილი მუშაობას იწყებს ვანო ხირსელოვის სახელოსნოში ზეინკლად, ლორის მელიქოვის (ამჟამად კეცხოველი) ქუჩაზე.

1907 წელს ზაფხულში, ღამით ს. სულთანიშვილის სახლს თავს დაესხა პოლიცია და „ოხრანკა". ჩხრეკამ დილამდე გასტანა, მაგრამ ვერაფერი იპოვეს. წაიღეს მხოლოდ სოკრატის რამდენიმე ლექსი და სცენები. გადარჩენილი ლექსი „ჩემი სიმღერა" და სცენა „ბერუა საწყალიშვილი და ფრენა" შემდგომში 1913 წლის ჟურნალ „ალმანახში" ს. გარეჯელის და „სოკრატის" ფსევდონიმებით დაიბეჭდა.

ამავე ხანებში, სოკრატი ხშირად ჩადიოდა გორში თავის დასთან. აქ მან გაიცნო სასადილოს მეპატრონე სანდრო მთვარაძე, რომელთანაც დადიოდნენ რევოლუციურად განწყობილი მუშები და მოჰქონდათ არალეგალური ლიტერატურა. მთვარაძესთან ხშირად დადიოდა აგრეთვე სოკრატიც და მიჰქონდა პროკლამაციები გასავრცელებლად.

ჟანდარმერიამ მალე მიაგნო გორის რევოლუციურად განწყობილ მუშების საიდუმლო ორგანიზაციას და სხვებთან ერთად მთვარაძეც დააპატიმრა, ხოლო 1908 წლის აგვისტოს დააპატიმრეს სოკრატი და როგორც პოლიტიკური პატიმარი მოათავსეს მეტეხის ციხეში.

შენიღბული მუშაობის გამო სოკრატს ვერაფერი დაუმტკიცეს და ერთი თვის შემდეგ გაანთავისუფლეს. მიუხედავად ამისა, იგი მაინც კარგა ხანს იმყოფებოდა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ...

1909 წელს ს. სულთანიშვილი მონაწილეობას იღებს ნატო გაბუნიას საიუბილეო საღამოში. სპექტაკლ „ხანუმაში" ტიმოთეს როლს ასრულებს.

1910 წელს კი ავლაბრის სახალხო თეატრში წარმოადგინეს პ. ირეთელის „დამარცხებულნი". ს. სულთანიშვილმა და ლ. ლეჟავამ წინასწარ უზრუნველყვეს მუშები იაფფასიანი ბილეთებთან ერთად საპირველმაისო ფურცლებით. ეს წარმოდგენა საეჭვო შეიქმნა პოლიციისათვის. შემოესივნენ თავიანთი აგენტებით თეატრს და კარებში გასვლისას ხალხის ჩხრეკა-დაპატიმრება დაიწყეს. მუშების თეატრში მიზიდვის მიზნით თეატრის გამგეობა ბილეთებს მცირე ფასს აწერდა, 10-15 კაპიკამდე, ხოლო მურაშკოს თეატრში მუშაობის პერიოდში 4 კაპიკიდან 25 კაპიკამდე. ამიტომ, თეატრის უსახსრობის გამო ხშირად წევრები საკუთარი ჯიბიდან იხდიდნენ ქირასა და სხვა სათეატრო ხარჯებს. ერთხანად შემოღებული ჰქონდათ ასეთი გადასახადებისათვის თვეში ერთი მანეთი. ხოლო სცენისათვის საჭირო ავეჯს, რეკვიზიტს, ბუტაფორიებს სოკრატი, რადგან თეატრთან ახლოს ცხოვრობდა, საკუთარი ზურგით ეზიდებოდა სახლიდან.

ს. სულთანიშვილის მასწავლებლები და რეჟისორები იყვნენ მსახიობები: ლადო მესხიშვილი, ვ. აბაშიძე, ს. სვიმონიძე, ვალ. გუნია, კ. ყიფიანი, ს. ივანიძე და სხვები. ს. სულთანიშვილმა თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში ორასამდე როლი შეასრულა, რომელთა შორის აღსანიშნავია: ერეკლე „ღალატში", გაიოზი „და-ძმაში", შალვა „თამარ ბატონიშვილში", კარლ მოორი „ყაჩაღებში", კასიო „ოტელოში", ბენ-იოხაი „ურიელ აკოსტაში", ვანო ბერდიაშვილი „დამარცხებულნში", ლევან ბერგი „ნომერ ოცდაერთი ჯერით", მცირიშვილი „სოფლის გმირებში", გივი „პატარა კახში", ვენ ბილერი „მეზობლებში", დათია „ქრისტინეში", მილოვზოროვი „უდანაშაულოდ დასჯილნში", აკოფა „ხანუმაში", ქსელოვი „ციმბირელში", ექიმი „პლატონ კრეჩეტში".

მაგრამ განსაკუთრებით ეხერხებოდა გლეხური როლები ქართულ ორიგინალურ პიესებში. 1912 წელს, ლადო მესხიშვილის რეჟისორობით, არაქსიანის თეატრში დაიდგა პიესა „ისმინე ისრაელ". მონაწილეობდნენ: ლადო მესხიშვილი და ვალერიან შალიკაშვილი. სოკრატ სულთანიშვილი კი ამ პიესაში ენმან იაკობის როლს ჩინებულად ასრულებდა.

შემდგომში კი არაერთხელ მიუღია მონაწილეობა ვალ. გუნიასთან, კ. მესხთან, ა. იმედაშვილთან, ნ. დავითაშვილთან, ს. ივანიძესთან, ტ. აბაშიძესთან

ერთად სპექტაკლებში. ნათამაშევი აქვს კასიო „ოტელოში", პირველი მსახიობი „ჰამლეტში", ბენ-იოხაი „ურიელ-აკოსტაში", გრაფი პიერ ბერნიე „პარიზის ღარიბ-ღატაკნში", ერეკლე „ღალატში".

წარმოდგენები იდგმებოდა როგორც ავლაბრის თეატრში, ისე სხვა თეატრებსა და კლუბებში.

ს. სულთანიშვილს ჯერ კიდევ რევოლუციამდე ჰქონდა კარგი სახელი მოხვეჭილი თბილისის სახალხო თეატრებში.

ამავე პერიოდში იგი გაიტაცა აგრეთვე ლიტერატურულმა მოღვაწეობამ. წერდა ლექსებსა და სახუმარო სცენებს. ასე გაგრძელდა მისი მოღვაწეობა 1916 წლამდე. ამ წლიდან კი იგი სათავეში უდგება ფოსტა-ტელეგრაფის ქართულ დრამატულ დასს თბილისის მთავარ ფოსტაში და 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ამავე შენობაში (პლეხანოვის პროსპექტზე) იხსნება თეატრი, სადაც მისი ხელმძღვანელობითა და რეჟისორობით სისტემატურად იმართება ქართული სპექტაკლები და კონცერტები.

1921 წელს კავშირგაბმულობამ დაიკავა მელიქ კაზარიანცის შენობა, სადაც მოთავსებული იყო თეატრი „სოლეი". კავშირგაბმულობის დახმარებით ს. სულთანიშვილმა მოღვაწეობა ფოსტიდან თეატრ „სოლეიში" გადაიტანა. აქ მან ჩამოაყალიბა ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონისა და რადიოს თანამშრომლებისაგან ძლიერი დრამატული დასი და დაიწყო წარმოდგენების სისტემატური მართვა.

ამავე შენობის პირველ სართულზე არსებობდა მიხა ცხაკაიას სახელობის კლუბი, ხოლო ეზოში — საზაფხულო თეატრი. ამ დროისათვის დრამატული წრე იმდენად ძლიერი ძალებისაგან შედგებოდა, რომ 1923 წელს მუშა პოეტის გიგო ხეჩუაშვილის საიუბილეო საღამოზე ს. სულთანიშვილისა და თ. ნასიძის ხელმძღვანელობით წარმოადგინეს გ. ხეჩუაშვილის პიესა „მუშა მგოსანი", სადაც მგოსნის მთავარ როლს ასრულებდა ს. სულთანიშვილი.

1924 წელს საქართველოს კავშირგაბმულობის გამგეობამ თეატრ „სოლეიში" მოაწყო ს. სულთანიშვილის სასცენო მოღვაწეობის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. ამ საღამოს შესახებ წერილი მოთავსებული იყო 1924 წლის ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში".

როგორც იმდროინდელი გაზეთი „მუშა" იტყობინებოდა, ზეიმს თურმე აუარებელი მუშა-მოსამსახურე დასწრებია. წარმოდგენილი იყო ნ. შიუკაშვილის პიესა „სულელი", სადაც გიორგი ბარათაშვილის მთავარ როლს ასრულებდა ს. სულთანიშვილი.

წარმოადგინეს მხოლოდ პირველი მოქმედება. შემდეგ დაიწყო მილოც-

ვები. მილოცვებში აღნიშნული იყო სულთანიშვილის მრავალფეროვანი და ნაყოფიერი მუშაობა.

გაზეთი „მუშა“ მკითხველებს აუწყებდა ს. სულთანიშვილის, როგორც ძველი სცენისმოყვარეთაგანის ღვაწლს, რომლის შემწეობით საფუძველი ჩაეყარა როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვა რაიონებსა და სოფლებში სახალხო თეატრების არსებობას. სამამულო ომის წლებში ს. სულთანიშვილს აგზავნიან თიანეთის რაიკულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელად, სადაც მის მიერ განხორციელებული იქნა ორი დადგმა: „ქართველი დედა“ და „ამ დროის გმირები“.

ს. სულთანიშვილმა, როგორც რეჟისორმა განახორციელა მთელი რიგი დადგმები: „ჯორ-ზაქარა“, „ზღვის სიმღერა“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, „მსხვერპლი“, „ნომერ ოცდაერთი ჭვრით“, „სულელი“ და სხვ.

გარდა სასცენო მოღვაწეობისა ს. სულთანიშვილს დრამატურგიაშიც უდევს წვლილი. იგი ავტორია მრავალი მცირე პიესებისა და საესტრადო ნომრებისა, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე არ ჩამოსულა სცენიდან და დღესაც განაგრძობენ არსებობას.

იმ პერიოდში, როცა არაქსიანისეულ თეატრში განახლდა მუშაობა, ს. სულთანიშვილს დასის რეჟისორად იწვევენ ამ კლუბში. მალე აქ არსდება რეჟისორთა კოლეგია, სადაც ნ. მირველოვთან და ე. კულულაშვილთან ერთად სულთანიშვილსაც ირჩევენ რეჟისორად. 1930 წელს ს. სულთანიშვილი თავს ანებებს კავშირგაბმულობის უწყებას, რადგან თეატრ „სოლეის“ შენობა მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა დაიკავა. იგი მუშაობას აგრძელებს საკოლმეურნეო მოძრავ თეატრში. ამ თეატრისათვის სულთანიშვილმა დაწერა უფასოდ ლექსები, სკეტჩები, შაირები და პატარა პიესები, რომელსაც თეატრი სხვადასხვა რაიონში მოგზაურობისას იყენებდა.

ს. სულთანიშვილს დაწერილი აქვს სკეტჩი „ათი მცნება“, „მალხაზა და ზარმაცა“, პიესა „დაკარგული დირექტივკა“ და მრავალი საკოლმეურნეო ხასიათის კუპლეტი. ხოლო 1937 წელს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 15 წლისთავს მან მიუძღვნა ლექსი „ჩვენი ოქტომბერი“, ამ ლექსს შემდეგში კითხულობდნენ ესტრადის მსახიობები, როგორც რადიოში, ისე თეატრში.

1941 წელს ს. სულთანიშვილმა დაწერა მცირე ფორმის პიესა „ხიდთან“. ამ პიესის რადიო დადგმაზე სულთანიშვილიც მონაწილეობდა. პიესა შეიძინა ხალხური შემოქმედების სახლმა.

1956 წლის 10 მარტს სოკრატ სულთანიშვილს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და სახდაწესებულებების მუშათა კავშირის კლუბის გამგეობამ ამავე კლუბში (პლეხანოვის პრ. № 5, მარქსის მოედანი) სასცენო მოღვაწეობის 50 წლისთავის აღსანიშნავად შემოქმედებითი საღამო გაუმართა. საღამოზე შესავალი სიტყვით გამოვიდა პოეტი-აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი; ს. სულთანიშვილის „ცხოვრებასა და შემოქმედებაზე“ მოხსენება გააკეთა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ბუხნიკაშვილმა. სიტყვებისა და მისალმებების შემდეგ გაიმართა მხატვრული განყოფილება.

I განყოფილება. სცენები ავქს. ცაგარლის „ციმბირელიდან“. ვექილი ქსელოვისა და კავკაველი პეტუას როლები შეასრულა იუბილარმა ს. სულთანიშვილმა.

II განყოფილება. კონცერტი საქფილარმონიის მსახიობთა და კლუბის თვითმოქმედი ქორეოგრაფიული კოლექტივის მონაწილეობით და ბ. კალანდაძის ხელმძღვანელობით.

სოკრატის სცენისადმი გატაცებამ თავისი ოჯახის წევრებიც აიყოლია და ცოტა თუ ბევრად ჩააბა ამ კეთილშობილურ საქმიანობაში. ასევე ჩაება ავლაბრის სცენისმოყვარეთა ჯგუფში სოკრატის უმცროსი ძმა, მიხეილი.

მიხეილ სულთანიშვილი (გარეჯელი). მისი თეატრით გატაცება შემთხვევითი როდი იყო. ამ სიყვარულს მისმა უფროსმა ძმამ სოკრატმა ჩაუყარა საფუძველი. ხელობით ზეინკალი, იგი 1904 წლიდან ეზიარა სახალხო თეატრის სცენას და ექვსი ათეული წლის განმავლობაში დაუღალავად ემსახურებოდა მას.

პირველ ყოვლისა, საჭიროა გავითვალისწინოთ ის მძიმე რეაქციული რეჟიმი, რომელშიც უხდებოდათ მუშაობა კულტურის ფრონტზე მებრძოლ თეატრის მუშაკებს; მათი სცენიდან ნასროლი სიმართლის ხმა აღაგზნებდა მშრომელთა გულებს და საბრძოლველად რაზმავდა მათ.

ცხრაასხუთიანი წლების სცენისმოყვარენი ნამდვილი რევოლუციონერები იყვნენ; ისინი ხშირად გრიმსა და სასცენო კოსტუმებში გამოწყობილნი პრისტავ-გოროდოვოებს პოლიციაში წაუყვანიათ. პოლიციელები რაც უფრო მკაცრად უმასპინძლდებოდნენ სცენისმოყვარეებს, მით უფრო ნეტი ზიზღი გროვდებოდა ყველა მათგანის გულში, 1905 წლის რევოლუცია დათრგუნილ იქნა. რევოლუციური მოძრაობა სისხლში ჩაახშეს, რეაქციამ ფრთა გაშალა; არათუ რაიმე კონსპირატული კრებები იმართებოდა, არამედ ქუჩაში ორ კაცს ერთმანეთთან დალაპარაკება და ერთმანეთის გვერდით გავლაც კი არ შეეძლო,

გაძლიერებული პატრულების გამო მაგ.: ავლაბრის ბოქაულმა რამდენიმე პიროვნება დააპატიმრა და წინადადება მისცა აერჩია ორში ერთი—ან ვოლოგდის გუბერნია — ან და ხელწერილი მიეცათ იმის შესახებ, რომ ისინი ავლაბრის რაიონში აღარ ივლიდნენ. ამ დროს მ. სულთანიშვილს, მიუხედავად იმისა, რომ მცირეწლოვანი იყო, კარგად ესმოდა, რომ თეატრის მუშაობის განმტკიცებისათვის საჭირო იყო დაუზოგავი შრომა.

მიხეილის „მოღვაწეობა“ სახალხო თეატრში რეკვიზიტის მიტანით დაიწყო. ის გარემოება, რომ ავლაბრის თეატრი მის სახლთან ახლოს მდებარეობდა, ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა მიხეილს „სამოღვაწეოდ“.

საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ პირველად ავლაბრის თეატრი მეტად ღარიბი და მოუწყობელი იყო. პარტერში მოძველებული, ზურგიანი გრძელი სკამები იდგა. ჭერიდან რამდენიმე ნათურა იყო ჩამოშვებული, რომელიც ხშირად ქრებოდა, კერძო ელექტროსადგურის წყობიდან გამოსვლის გამო. სცენაზე სულ ორი-სამი დეკორაცია იდგა, ერთი დეკორაცია წარმოადგენდა ტყის პეიზაჟით მოხატულ უკანა ფარდას და მეორე ხელოვნური ბუჩქის ხედს. წარმოდგენისათვის საჭირო ნივთები; რეკვიზიტი, ბუტაფორი, ტანსაცმელი, იარაღი თუ სხვა რამ თეატრს არ გააჩნდა. პოლიციის მოხელეთა ჩაცმულობას ქირით შოულობდნენ, რის გადასახდელ ფულს თეატრის შემოსავალი ვერ ფარავდა და სცენისმოყვარენი თანხას საკუთარი ჯიბიდან დებდნენ. ამ უმწეო მდგომარეობიდან გამოსვლა მხოლოდ ერთ გარემოებას შეეძლო, ოჯახებიდან ერთი ღამით ეშოვნათ სცენისათვის საჭირო ნივთები.

— ვგონებ დედაჩემის სარტყელ-გულისპირიანი ქართული კაბა, ლეჩაქი და ჩიხტიკოპი, მამაჩემის ყარაჩოხული ჩოხა, ჩექმები, ვერცხლის ქამარი და გარიბალდი — გვიამბობს სულთანიშვილი — თავის პატრონებს იმდენჯერ არ სცმიათ, რამდენიც სცენისმოყვარეთ. „მიშა“! მიყვიროდნენ ისინი, — გაიქეც სახლში და მეორე მოქმედებისათვის სასწრაფოდ ესა და ეს საჭირო ნივთები მოგვიტანეო. ჩამომითვლიდნენ და მეც სიხარულით გავრბოდი სახლში. ვეზიდებოდი ყველაფერს, რაც კი გაგვაჩნდა. ზოგჯერ ადუღებული სამოვარიც კი მიმიტანია თავისი ჭურჭლით.

ამ საქმეში მიხეილი იშველიებდა თავის უმცროს ძმას ლადოს, რომელიც შემდგომ ავლაბრის თეატრის ცნობილი სუფლიორი გახდა (იგი ძალზე ნიჭიერი იყო; თითქმის ყველა პიესა ზეპირად იცოდა).

როცა მიხეილი წამოიზარდა, თავისმა ძმამ სოკრატმა ჯერ სტატისტის როლში გამოიყვანა, შემდგომ კი ბიჭის პატარა როლით მიაღებინა სასცენო ნათლობა. მალე მისი გვარიც გაჩნდა აფიშებზე, ხოლო როცა მისმა ბიძაშვილმა მ. სულთანიშვილმა (შემდგომში მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი) ავლაბრის

თეატრის სცენაზე ფეხი შედგა, უკვე აფიშაში სამი სულთანიშვილის გვარის გამოცხადება უხერხულობას ქმნიდა და ამიტომაც მიხეილ იოსების ძემ, გარეჯელი დაირქვა ფსევდონიმად.

ახლაც კარგად ახსოვს უკვე ხანდაზმულ მიხეილს მაშინდელი მონაწილე-სცენისმოყვარეთა გვარები, რომლებიც მასთან ერთად მოღვაწეობდნენ დასში. ესენი იყვნენ: მ. ქართველიშვილი, დები ვ. და მ. მარგველაშვილები, ი. რეევაზოვი, ნ. მირველოვი, რ. სალაყაია, გ. გელიკურაშვილი, ბ. მაისურაძე, ე. კულულაშვილი, გ. ქუქუნაშვილი და სხვები.

მას ასევე ხვდა ბედნიერება 14-15 წლის ჭაბუკს ავლაბრის თეატრის სცენაზე შეხვედროდა და ორი სიტყვა ეთქვა ვასო და ტ. აბაშიძეებთან, ვალ. გუნიასთან, ნ. გაბუნიასთან, ნ. ჩხეიძესთან, შ. დადიანთან და ქართული თეატრის სხვა სიამაყეებთან ერთად.

იმ დროს, როდესაც ავლაბრის თეატრის სცენისმოყვარენი სოსო ივანიძის რეჟისორობით, „მურაშკოსეული" თეატრის სცენაზე წარმოდგენებს მართავდნენ, მიხეილიც მათ წრეში ირიცხებოდა და მონაწილეობას იღებდა როგორც რეკვიზიტორი და სცენისმოყვარე.

ამ პერიოდში მის მიერ განხორციელებული როლებიდან აღსანიშნავია: ახალგაზრდა ტყვე („და-ძმა"), სოსანა („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"), სერჟანტი („ქართველი დედა"), ადოლფი („ორი დარაჯი"), ისკანდერ-ბეგი („სამშობლო"), მეორე მგზავრი („ყომარბაზის ცხოვრება"), მუშა („დამარცხებულნი"), ჯარისკაცი („კონსტანტინე ბატონიშვილი"), მიკიტნის ბიჭი („ქრისტინე") და სხვ.

1918 წელს 18-19 წლის ჭაბუკი მ. სულთანიშვილი ზესტაფონში გადაჰყავთ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში ქსელის ზედამხედველად.

სასცენო ხელოვნებაზე შეყვარებულმა ახალგაზრდამ მალე გაიცნო ადგილობრივი სცენისმოყვარენი: უ. ჩხეიძე, დ. ანთაძე, შ. ღამბაშიძე, რეჟისორი ვ. ურუშაძე და მისი მეუღლე მ. მდივანი. ხშირად მიხეილი მათ რეპეტიციებსა და წარმოდგენებს ესწრებოდა. ერთხელ ვასომ შენიშნა მიხეილის სცენისადმი გატაცება და პიესა „კრეჩინსკის ქორწინებაში" ერთ-ერთი ეპიზოდური როლის შესრულება დაავალა.

ახლა ძლიერ ნანობს მიხეილი, რომ მაშინ ქართული თეატრის კორიფეების წრეში მოხვედრა ვერ გამოიყენა თავისი ცხოვრების გზის ასარჩევად. თუმცა, 1919 წელს იგი ჯარში გაიწვიეს და ჩამოაშორეს ამ დიდებულ მსახიობებს.

ჯარიდან დაბრუნების შემდეგ, მ. სულთანიშვილი თბილისში ფოსტა-

ტელეგრაფის თეატრ „სოლეიში" იწყებს მუშაობას, იქ, სადაც თავისი უფროსი ძმა სოკრატი რეჟისორობდა თეატრალურ წრეს.

1921 წლის დამდეგს, მ. სულთანიშვილი ინიშნება თიანეთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში ზედამხედველის თანამდებობაზე.

იმ დროს ერთადერთი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება თიანეთში იყო პატარა თეატრი, რომელიც კერძო მფლობელის, გრძელიშვილის სახლში იყო მოთავსებული.

სცენისმოყვარეთა დასი ადგილობრივი ინტელიგენციისაგან, ძირითადად მასწავლებლებისაგან შედგებოდა, რომელთაც, ძველი, გამოცდილი და დიდად ერუდირებული მასწავლებელი ვ. ჯიბლაძე ედგა სათავეში.

დასის შემადგენლობაში შედიოდნენ: ლ. ჩიბალაშვილი, ლ. და ს. დოლიაშვილები, თ. სულთანიშვილი-სისაურისა, თ. და ი. აბრამიშვილები, შ. დელაბრიშვილი, შ. ჩოლოყაშვილი, გრ. გამრეკელი, გ. გელოვანი, მ. სულთანიშვილი-ფიცხელაურისა, ე. გონჯილაშვილი და თვით მ. სულთანიშვილი.

ამრიგად, დასის შემადგენლობა და მათი სცენური მომზადება მაღალ სამსახიობო დონეზე იდგა და გააჩნდათ შესაძლებლობა დაედგათ ისეთი პიესები, როგორიც იყო: დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი", ა. ყაზბეგის „არსენა", პ. ირეთელის „დამარცხებულნი" და „ქრისტინე", ავქს. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" და „კინტო", ვალ. გუნიას „და-ძმა", გ. ერისთავის „გაყრა" და სხვა მრავალი. მაგრამ თეატრის შენობის სიმცირე დიდ დაბრკოლებას უქმნიდა თეატრის კოლექტივს, მათი ერთადერთი სანატრელი საკითხი თეატრის გაფართოება იყო, მაგრამ თიანეთში არ მოიძებნებოდა სათანადო ფართობის, თეატრისათვის გამოსადეგი შენობა და აი, მიხეილ სულთანიშვილს ებადება მეტად გაბედული აზრი, თეატრისათვის ახალი შენობის აგების შესახებ.

XIX საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, როდესაც რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მესამე საქართველოს სწვევია, სამგზავრო გეგმაში თიანეთის ნახვაც ყოფილა შეტანილი. ამისათვის, თიანეთიდან 3 ვერსის დაშორებით, ერთ-ერთ გორაზე. რომელსაც თიანეთელები ხაწირს ეძახიან, აუშენებიათ ერთსართულიანი შენობები იმპერატორისა და მისი ამალისათვის. დროთა განმავლობაში ეს შენობები გამოუყენებელი ყოფილა და ადგილობრივ და შორიახლოს მდებარე სოფლების გლეხობას ხელი მიუყვიათ შენობების დაშლისათვის და სამშენებლო მასალის დატაცებისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიღებული იქნა ზომები შენობების თვითნებური ნგრევისა და სამშენებლო მასალების დატაცების შესახებ.

მ. სულთანიშვილს გაუგია თუ არა ეს ამბავი, დასათვალიერებლად წასულა ხაწირზე, სავალალო სურათი გადაშლია თვალწინ. ნახევრად გადახდილი სასურავები, აყრილი იატაკი და დატაცებული კარ-ფანჯარა. სწორედ მაშინ მოსვლია აზრად დარჩენილი მასალით თეატრის აშენება. თავისი მოსაზრება ადგილობრივი ხელმძღვანელობისათვის გაეზიარებია, რომელთაც მოსწონებიათ და მიზანშეწონილად უცვნიათ მისი წინადადება. მუშაობა გაზაფხულზე დაუწყიათ და 1923 წლის ბოლოს დაუმთავრებიათ.

დიდი დახმარება აღმოუჩენია თეატრისათვის დრამატურგ შ. დადიანს დეკორაციებისათვის საჭირო ტილოებისა და მზა-ნახატი დეკორაციების, რუსთაველის სახელმწიფო თეატრიდან, თუ სხვა თეატრებიდან შოვნით. ამგვარი დახმარებისათვის შ. დადიანისათვის მიუმართავს სცენისმოყვარე მარიამ (მაშო) სულთანიშვილ-ფიცხელაურს, რომლის სახლშიც ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს ვაჟა-ფშაველა (დისშვილის ნათლია) და შალვა დადიანი.

ამრიგად, 1924 წლიდან წარმოდგენები იმართებოდა ახალ თეატრში, რომლის დარბაზი 500 მაყურებელს იტევდა. იდგმებოდა აქვს. ცაგარლის „ციმბირელი", ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი", ვალ. გუნიას „და-ძმა", ა. ყაზბეგის „ყაჩაღი არსენა", პ. ირეთელის „დამარცხებულნი" და სხვა მრავალი. რეჟისორებად მუშაობდნენ მჟავია და ჯიბლაძე. შემდეგ მ. სულთანიშვილი თიანეთიდან თბილისში გადადის სამუშაოდ, ხოლო 1925 წლის გაზაფხულზე მოსკოვში მიემგზავრება სასწავლებლად. იქიდან დაბრუნების შემდეგ მიხეილი ინიშნება პასუხსაგებ თანამდებობაზე, რამაც ხელი შეუშალა თეატრალურ ასპარეზზე გაეგრძელებინა მოღვაწეობა...

„მამაჩემი იოსებ სოლომონის ძე სულთანიშვილი,—გვიამბობს მ. სულთანიშვილი, უსწავლელი ჭაბუკი ყოფილა, როცა საგარეჯოდან მის მამას თბილისში ჩამოუყვანია და ავლაბარში, სირაჯხანაში მოჯამაგირედ მიუბარებია სირაჯისათვის.

როცა მამა წამოზრდილა, თვითგანვითარებისათვის მიუყვია ხელი, წერა-კითხვა შეუსწავლია, ხალხში გამოსულა და ბუნებრივ ნიჭს სამწერლო ასპარეზზედაც გამოუყვანია. მისი გამოუქვეყნებელი ხელნაწერი ლექსები და მოთხრობები დღესაც შემონახულია ოჯახში.

მამას ძალიან უყვარდა თეატრი და მსახიობები, ხშირად ესწრებოდა ავლაბრის ქართული თეატრის წარმოდგენებს, იცნობდა მსახიობებს და ჩემი უფროსი ძმის, მსახიობ სოკრატ სულთანიშვილის თხოვნით, მის მეგობარ მსახიობებს ეპატიჟებოდა სავახშმოდ ჩვენს სახლში.

მახსოვს, წარმოდგენის დამთავრების შემდეგ სტუმრად გვეწვეოდნენ

ხოლმე ვ. აბაშიძე, შ. დადიანი, ი. გრიშაშვილი, ს. ივანიძე, ს. ჟივიძე, ნ. გოცირიძე და სხვები.

მამა სტუმართმოყვარე იყო, მოქეიფე, უკრავდა აზიურ გარმონზე და სპარსულ და ქართულ ენებზე ასრულებდა სიმღერებს. კარგად მღეროდა ბაიათებსა და შიქასტს. სტუმრები ხშირად აკვრევინებდნენ გარმონს, ზოგჯერ საკუთარ ლექსებსაც აკითხებდნენ, რაზედაც განსაკუთრებით შალვას და იოსებ გრიშაშვილის ქებას იმსახურებდა. სუფრაზე ყოველთვის მამაჩემი იყო თამადად და თავისი მოსწრებული, მახვილგონივრული იგავებით სპარსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე სიამოვნებას გვრიდა სტუმრებს.

მაგონდება ერთი შემთხვევა. სტუმრების შესახვედრად ძველებური ორკალთიანი მაგიდა გავშალეთ. შალვა დადიანი სუფრის თავში იჯდა. რამდენჯერაც იდაყვი დააყრდნო მაგიდას, იმდენჯერ ღვინო გადმოიღვარა ჭიქიდან, მაგიდა კოჭლობდა. გაბრაზებულმა შალვამ ჯიბიდან რაღაცა ამოიღო და მაგიდას ფეხქვეშ ამოუდო. სასიამოვნო დროსტარების შემდეგ რომ დაიშალნენ და სუფრა ალაგდა, მაგიდის კალთების დაკეცვისას, მის ფეხქვეშ ვერცხლის მანეთიანი ვიპოვნე. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. შალვას მალე ვეღარ შევხვდით რომ ფული გადაგვეცა, მე ჩუსტები არა მქონდა და თუმც უხერხული იყო, მაგრამ დედამ იმ მანეთიანით ჩუსტები მიყიდა.

როცა დავაჟკაცდი, ჩემს დის მარიამ ფიცხელაურის ოჯახში თიანეთში შევხვდი შალვას. გავახსენე მივიწყებული დროსტარება ავლაბარში, ჩვენს ოჯახში, დაკოჭლებული მაგიდის „გამოჯანმრთელება“ და ნაპოვნი მანეთიანი.

ბევრი იცინა. ესიამოვნა მონაგონი ამბავი და ოხუნჯობით მანეთიანის დაბრუნება მომთხოვა სარგებლით.

მ ი ხ ე ი ლ  ს უ ლ თ ა ნ ი შ ვ ი ლ ი. 1916 წლის 16 თებერვალს ავლაბრის თეატრში მსახიობ დარო რჩეულიშვილის 25 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავ საღამოზე წარმოადგინეს დ. ერისთავის „სამშობლო“. სპექტაკლში მონაწილეობა მიიღო სცენისმოყვარეთა დასში ახლად მოსულმა წრის ახალგაზრდა წევრმა მიხეილ სულთანიშვილმა (ამჟამად რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი), რომელმაც მაყურებლის ყურადღება მიიპყრო პატარა ბიჭის როლის განსახიერებით.

მიხეილ სულთანიშვილი არაქსიანის თეატრში მოსვლისთანავე ცდილობდა შეეთვისებინა სასცენო ხელოვნების კანონები, ჩაწვდომოდა მათ, რათა განსასახიერებელი გმირის ფსიქოლოგია ძირფესვიანად შეეცნო და მაყურებლისათვის სცენიდან წარმოედგინა.

მართალია, მ. სულთანიშვილს სპეციალური განათლება არ მიუღია, მაგრამ რეჟისორ ს. ივანიძის მეშვეობით ისეთი თეატრალური სკოლა გაიარა,

რომელსაც ალბათ, დღეს ბევრი მსახიობი ინატრებდა. ის თავიდანვე მოითხოვდა შრომისმოყვარეობას და სულთანიშვილის ნიჭით მოხიბლულმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ექცია იგი ქარველ ნიჭიერ მსახიობად.

მ. სულთანიშვილს ბავშვობიდანვე იტაცებდა სიმღერა, ამიტომ გიმნაზიის V კლასის დამთავრებისთანავე კომპოზიტორ კ. სულხანიშვილის მომღერალთა გუნდში ეზიარა მუსიკალურ ხელოვნებას, მაგრამ ერთი წლის შემდეგ სულხანიშვილის თელავში გადასვლის გამო გუნდი დაიშალა.

მალე ჭაბუკი მიხეილი თავისმა ნათესავმა გ. სულთანიშვილმა მურაშკოს თეატრთან არსებულ ქართლ-კახური სიმღერების გუნდში ვ. მათურელთან მიიყვანა. ხელმძღვანელს ძალიან მოეწონა ახალგაზრდის ვოკალური მონაცემები და მაშინვე ჩარიცხა გუნდში.

იმის მიუხედავად, რომ მიხეილი არასდროს ყოფილა სასცენო ხელოვნებით გატაცებული, ერთმა ბედნიერმა შემთხვევამ განსაზღვრა მისი მომავალი—მსახიობი გამხდარიყო. ერთ დღეს მურაშკოს თეატრში უჩვენებდნენ პიესას „ისმინე ისრაელ“, სადაც მთავარი როლის, ისრაელის შესასრულებლად ლადო მესხიშვილი მოიწვიეს. მისმა დიდი გრძნობით ნათამაშევმა როლმა და მის თვალთაგან დაუსრულებლად ნადენმა ცრემლთა ნაკადმა მიხეილი შეძრა. ეს დღე სამუდამოდ დაამახსოვრდა ჭაბუკს და თეატრის ტყვე შეიქნა, გადაწყვიტა თავისი მომავალი თეატრისათვის მთლად დაედო.

იგი ყოველდღე ესწრებოდა რეპეტიციებს და კულისებში მიმალული დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს მათ თამაშს. და აი, ერთ დღეს რეჟისორმა ი. ივანიძემ მას პატარა როლის შესრულება მიანდო. მ. სულთანიშვილი მთელი მონდომებით შეუდგა როლის შესწავლას და დიდი მღელვარებით წარსდგა მაყურებლის სამსჯავროზე.

ხშირად გაგვიგონია — ვისაც ერთხელ სცენის მტვერი გადაუყლაპავს და ტაშით მიღებული სიამოვნება უგრძვნია, ძნელად რომ სცენას მოეშვასო...

ამ დღიდან სცენა მ. სულთანიშვილისათვის ცხოვრების თანამგზავრი გახდა... აქედან დაიწყო მისი არტისტული კარიერა. ბიჭის პატარა როლით იწყება გრძელი რიგი მსახიობის მიერ განსახიერებული როლებისა, რომელთა რიცხვი 210-ს აღწევს.

ერთხელ გამართულ საბავშვო დილაში ავლაბრის სახალხო დრამატულმა წრემ ი. გრიშაშვილის „ტიმოთეს ლელვი“ დადგა, ამ პიესაში ტიმოთეს როლს ასრულებდა ნ. ქვლივიძე, ხოლო სიმონას მ. სულთანიშვილი.

ამის შემდეგ მიხეილმა ერისთავის „სამშობლოში“ ბიჭის როლი განასახიერა, ხოლო ბეინდელენის (თარგმანი ალ. იმედაშვილისა) დრამაში „სამხედ-

რო ბანაკი“ ფონ ლაუფენის როლი შეასრულა და მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

მაგრამ თავის პირველ სრულფასოვან შემოქმედებით განაცხადად მ. სულთანიშვილს თავად არჩილის როლი მიაჩნდა ი. გაბრუაშვილის ხუთმოქმედებიან ისტორიულ დრამაში „ბრძოლა არსებობისათვის“, მ. სულთანიშვილისათვის ყოველი ახალი როლი — თითქოს საფეხურია იმ კიბისა, რომლითაც სამსახიობო სცენური ოსტატობისაკენ ისწრაფის, მსახიობის ამ შეუნელებელ ზრდას ყოველთვის უწყობდა ხელს თეატრში და მის შემოქმედებით კოლექტივში იმთავითვე დამკვიდრებული ენთუზიაზმის, თავდადების, შრომისადმი უანგარო და წმინდა დამოკიდებულების ატმოსფერო და ამხანაგური სულისკვეთება. აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ქართული დრამატული თეატრის ცნობილი მსახიობის, რეჟისორ ი. ივანიძის ღვაწლი და დამსახურება, რომელმაც მრავალი წლის მანძილზე გამოაწრთო და გამოზარდა არაერთი ნიჭიერი მსახიობი...

მ. სულთანიშვილის მიერ განსახიერებული როლები, დამოუკიდებლად ეპოქისა, ქვეყნისა და გმირთა საზოგადოებრივი მდგომარეობისა, მუდამ გამოირჩეოდნენ თანამედროვე ჟღერადობითა და გააზრებით. ამ გმირების ფიქრები, გრძნობები, განცდები, ყოველთვის იწვევდნენ მაყურებლის აღტაცებას, უღვიძებდნენ მათ საყვარელი გმირისადმი მიბაძვის სურვილს. მსახიობის მიერ განსახიერებულ ყოველ გმირს ჰქონდა განუმეორებელი იერი, ინდივიდუალური, მკვეთრად გამოკვეთილი ხასიათი, რაც მჟღავნდება ყველაფერში დიდსა თუ მცირეში: — თავდაჭერაში, მოძრაობაში, ჟესტში, ინტუიციაში, და შინაგან რიტმში, რომელიც მუდამ ფეთქავდა მთელ მის არსებაში.

არაერთხელ აუხმიანებია დარბაზი შეძახილებს, სპექტაკლის შემდეგ არაერთხელ მოუთხოვიათ ფარდის ახდა და სულთანიშვილის კვლავ სცენაზე გამოსვლა.

მსახიობი განსაკუთრებით ძლიერი იყო დრამატულ როლებში:

გოჩა „ხევისბერ გოჩაში“, გოდერძი „სახსოვარში“, მაზუთინი „ციმბირელში“, ოტია, ფაშა, ადამია „და-ძმაში“, თავადი „გეგეჭკორში“, ჟაკი „ორ ობოლში“, დათიკო „ბატონსა და ყმაში“. ტიმოთე „ხანუმაში“, დავითი „მეზობლებში“, იასონი, დათია, გოგია „ქრისტინეში“, იოთამი „დედის ერთაში“, ვანო, გიგო, გაბო „მსხვერპლში“, პეპო „პეპოში“, ტიგრანა, ალექსი „ოინბაზში“, ალექსი „კინტოში“, როსტომი „საშინელ შურისძიებაში“ და სხვა მრავალი.

მრავალი კარგი როლის გახსენება შეიძლება მსახიობის მრავალფეროვანი სასცენო მოღვაწეობიდან, მშვენიერი გარეგნობა, მრავალმხრივი ხალასი ნიჭი და თავდავიწყებითი სიყვარული თავისი პროფესიისადმი უფლებას აძლევდა რეჟისორს სულ სხვადასხვა ასაკისა და ხასიათის როლების შესრულება დაეკისრებინა მ. სულთანიშვილისათვის.

ერთნაირი სიძლიერით თამაშობდა როგორც დადებით, ისე უარყოფით გმირებს...

ავლაბრის თეატრში. მ. სულთანიშვილის მოღვაწეობის პერიოდში 1914, 1915, 1916 წლებში დრამატულ წრეში ირიცხებოდნენ: ს. სულთანიშვილი, ი. რევაზიშვილი, მ. ჯანველოვი, ლ. კორძაია, ე. კულულაშვილი, ალ. თავდგირიძე, გ. გელიკურაშვილი, ბ. მაისურაძე, გ. პაპინაშვილი, რ. ფირუმოვი, გ. ქუქუნაშვილი, ნ. საგინაშვილი, ლ. ლექავა, ნ. ქელივიძე, დ. ჩაჩანიძე, რ. ჯიბლაძე, დ. მელაშვილი, გ. ჩახავა, ნ. მირველოვი, ს. აუშტროვი, პ. ბეგიჯანოვი, გ. და ა. შათირიშვილები, ვ. და გ. მენთეშაშვილები, ვ. ქიზიყელი, მ. და ფ. თუშმალიშვილები, ვ. და ვ. ფერიაშვილები, გიგოშვილი და სხვ. ქალებიდან: დ. რჩეულიშვილი, ლ. ვაშაკიძე, ვ. ნიკიფოროვა, ნ. ბექანიშვილი და სხვები.

გამგეობის წევრებად კი ითვლებოდნენ: თ. ნასიძე, გ. ბასილაშვილი, ა. გოჩიტაშვილი, ი. მჭედლიშვილი, ი. იმედაშვილი და სხვ.

პირველი სამოქალაქო ომის წლებში მ. სულთანიშვილი მსახიობობის პარალელურად მუშაობას იწყებს № 33 ლაზარეთში დეზინფექტორად. აქვე სანიტრად მუშაობდა მწერალი და დრამატურგი ს. ერთაწმინდელი (ბატკუაშვილი). მ. სულთანიშვილმა ერთაწმინდელთან ერთად ლაზარეთში დრამატული წრე ჩამოაყალიბა და წარმოდგენების მართვა დაიწყო მეომრებისათვის.

მ. სულთანიშვილი გაასკეცებული ენერგიით და თავდაუზოგავად შეუდგა შემოქმედებით მუშაობას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როგორც მსახიობი და რეჟისორი.

საკმარისია გავიხსენოთ, რომ ზაჰესში მ. სულთანიშვილის თაოსნობით გაიხსნა მუშათა კლუბის ახალი შენობის თეატრალური სეზონი. როცა ამხანაგმა ს. ორჯონიკიძემ პირველად ნახა ზაჰესის მუშათა კლუბი, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა მუშების მოთხოვნილებას, მისი წინადადებით აშენებული იქნა კლუბის ახალი შენობა, სადაც პირველი წარმოდგენა მ. სულთანიშვილმა თავისი მონაწილეობით გამართა. სპექტაკლის კარგად დადგმისათვის მ. სულთანიშვილი სერგო ორჯონიკიძემ 10 „ჩერვონეცით" დააჯილდოვა.

მ. სულთანიშვილს უმუშავია თბილისის ყველა მუშათა კლუბებში: პლეხანოვის, რკინიგზის, ავჭალის წყალსადენის, ნავთლუღის რკინიგზის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, პედაგოგიური, სახელმწიფო ბანკის, მაუდის, აბრეშუმის ქარხნის კლუბებში, რაც შეეხება ტრამვაელების კლუბს — კოტე მარჯანიშვილს ჰქონდა აღებული შეფობა. მისი წინადადებით გაიგზავნა მ. სულთანიშვილი ტრამვაელების კლუბში დამდგმელ-რეჟისორად.

მ. სულთანიშვილი 13 წლის მანძილზე მუშაობდა საგარეჯოს თეატრში რეჟისორად. სულთანიშვილი წლების მანძილზე აქ მართავდა საღამო-წარმოდ-

გენებს ფრონტელთა ოჯახების დასახმარებლად და საგრძნობი თანხა შეუგროვა საგარეჯოს ალმასკომის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებას. რასაკვირველია, მიხეილი და მისი მეუღლე ნინო უსასყიდლოდ ემსახურებოდნენ, როგორც თვით მიხეილი ამბობდა ამ საყვარელ, საშვილიშვილო საქმეს.

1924 წლიდან, მ. სულთანიშვილი გორში მიავლინეს რკინიგზის კლუბში როგორც რეჟისორი და დირექტორი. აქ ყოფნის სამი წლის მანძილზე მიხეილმა დიდი საქმე გააკეთა — რკინიგზის მუშებისა და მათი ოჯახის წევრებისაგან ქართლ-კახური სიმღერების გუნდი ჩამოაყალიბა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სულთანიშვილმა თავისი მოღვაწეობა სიმღერით დაიწყო. იგი მონაწილეობდა კ. სულხანიშვილის, ვ. მათურელის, ზ. ხატიაშვილის, იოსებისა და ილია გოძიაშვილის გუნდებში და რაც მთავარია მ. კავსაძის გუნდში. აქ გამოიყენა მან სხვადასხვა გუნდში მიღებული გამოცდილება და თავისი ლოტბარობით, უნოტოდ, გუნდს 57 სახის სიმღერა შეასწავლა.

მ. სულთანიშვილის ჩასვლა გორში კოლექტივიზაციის პერიოდს დაემთხვა, სადაც სოფლების კულტურული მომსახურების მიზნით მ. სულთანიშვილის ხელმძღვანელობით არსებული დრამატული და მომღერალთა გუნდი რაიკომის წარმომადგენელთან ერთად მივლინებული იქნა სოფლებში წარმოდგენებისა და კონცერტების გასამართავად.

ერთხელ, ღამის ორი საათი იქნებოდა, როცა უკან დაბრუნებულებს კულაკებმა სროლა აუტეხეს. რაიკომის წარმომადგენლებმა, რომლებიც თან ახლდათ, გააფრთხილა მიწაზე დაწოლილიყვნენ. მთელი ღამე მიწაზე იწვნენ... როცა ხიფათმა გადაიარა, გაუდგნენ გზას. მსახიობებს ერთი ცხენიანი ურიკა ჰქონდათ ტანისამოსისა და ქალების წამოსაყვანად. მამაკაცები კი ფეხით მიჰყვებოდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ მიხეილის მეუღლე ნინო ლევანის ასული სულთანიშვილი მიხეილთან ერთად ეწეოდა ამ მძიმე ჰაპანს. იგი იყო პროფესიონალი მსახიობი, მღეროდა მიხეილის გუნდში და დიდ დახმარებას უწევდა მსახიობ ქალებს გრიმის გაკეთებაში. ნინო მოკარნახის როლსაც ასრულებდა, ხან რეკვიზიტორიც იყო და ჩამცმელიც. არ შემდგარა არცერთი სადღესასწაულო დემონსტრაცია, სადაც თავისი გუნდი არ გაეყვანა მ. სულთანიშვილს.

1928 წელს, გორიდან დაბრუნების შემდეგ მ. სულთანიშვილი მუშაობას იწყებს ზუბალაშვილების სახალხო სახლში, სადაც ორი წლის მანძილზე მ. ჭიაურელთან ერთად მუშაობს დადგმებზე. ამ პერიოდში დ. ანთაძის ინიციატივით დადგეს რამდენიმე საბავშვო პიესა, მათ შორის „რობინ ჰუდი", რომელიც მწერალმა ა. ბელიაშვილმა თარგმნა. დადგმა ეკუთვნოდა რესპუბლიკის სახალხო

არტისტს ალ. თაყაიშვილს. ამ სპექტაკლში პირველად ქართულ ენაზე შერიფის როლი ჩინებულად შეასრულა მ. სულთანიშვილმა.

ამ დღიდან მ. სულთანიშვილის დიდი ხნის ოცნება ახდა. ქართული თეატრის სიამაყე კოტე მარჯანიშვილი მიხეილს თავისთან იწვევს სამუშაოდ, როგორც მსახიობს. აქ სულთანიშვილმა 1947 წლამდე დაჰყო.

1947 წელს კი კოტე მარჯანიშვილის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით დაისვა საკითხი, სოფელ ყვარელში, სადაც კოტემ პირველად აიდგა ფეხი, დაარსებულიყო მისი სახელობის თეატრი. თეატრის დაარსების არჩევანი როგორც ენერგიულსა და შესანიშნავ ორგანიზატორს მ. სულთანიშვილს ხვდა წილად. დავალება სულთანიშვილმა პირნათლად შეასრულა, რაც დასტურდება ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ ბრძანებით გამოცხადებული მადლობით.

ასევე იყო მივლინებული მ. სულთანიშვილი ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დავალებით ქ. მახარაძეში რეჟისორად, სადაც განახორციელა ორი დადგმა. ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა" და გ. ქელბაქიანის „ვამოცდები". როგორც პრესაში დაბეჭდილი რეცენზიები მოწმობენ, დადგმები წარმატებით განხორციელებულა.

მ. სულთანიშვილს სხვადასხვა დროს უმუშავია აგრეთვე ქუთაისში, სოხუმში, ბათუმსა და მთელ რიგ რაიონებსა და დაბებში. ამ ხნის განმავლობაში დაუდგამს მთელი რიგი პიესები: ს. თვარაძის „სახსოვარი", ავქს. ცაგარლის „ციმბირელი", „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", „ხანუმა", შ. დადიანის „გეგეჭკორი", „გუშინდელნი", „შენი ჭირიმე", ტრ. რამიშვილის „მეზობლები" და „სტუმარ-მასპინძლობა", პ. ირეთელის „ქრისტინე", ვალ. გუნიას „და-ძმა", „დედის ერთა", „რაც არ გერგება, არ შეგერგება", „არც აქეთ, არც იქით", კ. მესხის „მელანიას ოინები", გ. ერისთავის „ძუნწი", დ. ერისთავის „სამშობლო", ელ. დონაურის „ძველ აგარაკზე", გოლდონის „ორი ბატონის მსახური", შილერის „ყაჩაღები", ს. მებურიშვილის „ფიცი", გაბროშვილის „ბრძოლა არსებობისათვის", აკ. წერეთლის „პატარა კახი", სუნდუკიანის „პეპო", ალ. ყაზბეგის „დილა ქორწილის შემდეგ", ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი" და სხვ. ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია, რადგან იგი 210 აღწევს.

1950 წლის 30 ოქტომბერს, ქართული თეატრის აღდგენის ასი წლისთავის იუბილეზე, რომელიც რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრში გაიმართა, მ. სულთანიშვილი სხვა ამხანაგებთან ერთად საბჭოთა მთავრობამ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდებით დააჯილდოვა.

გიგო პეპონოვი. ადელხანოვის ქარხნის მუშა. პოლიტიკურად მომზადებული. დიდი ენთუზიასტი იყო მუშათა თეატრების საქმიანობაში. მუშაობდა ჯერ

მურაშკოს და შემდეგ არაქსიანის თეატრში. ასრულებდა პატარ-პატარა როლებს, მაგრამ ისეთი გულწრფელობით ეკიდებოდა თავის საყვარელ საქმეს, რომ ამხანაგებში პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებდა.

მის მიერ შესრულებული როლებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა ყარაოღლი და თურქი მეომარი — „და-ძმა“, ბილინგი — „ექიმი შტოკმანი, ანუ ხალხის მტერი“, პეტრე ერთგულაძე — „თამარ ბატონიშვილი“, ექიმი — „ორი ობოლი“, და სხვ.

სტეფან ბეგიჯანოვი. თამბაქოს ფაბრიკის მუშა. პოლიტიკურად საკმაოდ მომზადებული. ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას. პროგრამაში „შრომიშვილის“ ფსევდონიმით ცხადდებოდა. მუშაობდა არაქსიანის თეატრში. ასრულებდა რეჟისორის თანაშემწის (სცენარიუსის) მოვალეობას და წარმოდგენებშიც იღებდა მონაწილეობას. მის მიერ განსახიერებულ როლებიდან აღსანიშნავია პორუჩიკი — „ორი დარაჯი“, მაჰმედ-ბეგი — „სამშობლო“, ჯანვერდი—„და-ძმა“, იოთამ ამირანდელი — „თამარ ბატონიშვილი“, ფიჩხულა — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, ახალგაზრდა ექიმი — „ქოხში“, ანდრე და თომა — „ორი დარაჯი“.

ა რ მ ე ნ ა კ უ მ ბ რ ი ე ვ ი დეპოს მემანქანე. პოლიტიკოსი, ბოლშევიკი. ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას. დაპატიმრებული და გადასახლებულიც იყო. პატარ-პატარა როლებს ასრულებდა და სცენარიუსობდა ჯერ მურაშკოს, ხოლო შემდეგ არაქსიანის თეატრებში.

გ რ ი შ ა ა ნ ა შ ვ ი ლ ი მუშა (ზეინკალი), სცენისმოყვარე, სხვებთან ერთად დიდი ამაგი მიუძღვის სახალხო თეატრის საქმიანობაში და მუშათა გათვითცნობიერების საქმეში. იგი 1901 წლიდან იწყებს მუშაობას თბილისის სხვადასხვა სცენისმოყვარეთა წრეებში მსახიობად. მუშაობდა ნავთლუღის რკინიგზის სადგურში და იქიდან რეპეტიციებზე ფეხით დაიარებოდა ავლაბარში და კუკიაზე. გ. ანაშვილი იყო უანგარო მუშაკი, ყველასათვის მაგალითის მიმცემი. მართალია მთავარ როლებში არ გვევლინებოდა, მაგრამ რასაც კი დააკისრებდნენ, თუნდაც სულ უმნიშვნელო როლს იგი დიდი ხალისითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. უნდა ითქვას, დიდი ოსტატობითაც განასახიერებდა დაკისრებულ როლებს. მეტისმეტად ბუნებრივი იყო სცენაზე. როცა სახალხო თეატრის არსებობის 30 წლის იუბილე მოეწყო და სცენის დიდოსტატს კოტე მარჯანიშვილს დაევალა საიუბილეო წარმოდგენისათვის საერთო ხელმძღვანელობა გაეწია, სცენისმოყვარე გ. ანაშვილმა, რეპეტიციებზე აღაფრთოვანა კოტე მარჯანიშვილი, რომელმაც ხმამაღლა განაცხადა, ასეთ ბუნებრივ კომიკს მე იშვიათად შევხვედრივარო. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული როლები: სტეფან მაკარიჩი („ციმბირელი“), საქო

(„მსხვერპლი“), სირაჯი („არსენა“), გეურქა („ჰკუისა მჭირს“), ბიგო („პარიზის ღარიბ-ღატაკნი“) და სხვ.

გ ი გ ა  ბ ა კ უ რ ა ძ ე. რკინიგზის მოხელე. სცენაზე გამოსვლა დაუწყია ავჭალის აუდიტორიაში და ამავე დროს მურაშკოს თეატრშიც მუშაობდა. შემდეგ სხვებთან ერთად ისიც გადასულა არაქსიანის თეატრში და ასრულებდა საგმირო ხასიათის როლებს, როგორიც არის: არსენა („არსენა“), რობერტო („ორი დარაჯი“), გაიოზ ფაღავა („და-ძმა“) ფონ-ეილენ, გამომძიებელი („დამნაშავეა“), ვანო დოქტორი („გაცრუებული იმედები“), გოფსტადი სახალხო რედაქტორი („ექიმი შტოკმანი“), კავალერ დებონდო („ორი ობოლი“) და სხვა. ამ როლებს დიდი მონდომებითა და დამაჯერებლობით ასრულებდა. იგი 1907 წელს დაუპატიმრებიათ პოლიციელის მოკვლისათვის და მიუსჯიათ ჩამოხრჩობა, რაც კატორღით შეუცვლიათ მაგრამ იქვე გარდაცვლილა.

მ ი ხ ე ი ლ  მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი. ცნობილი სცენისმოყვარე, დავით მელაშვილის ძმა. სასამართლოს მოხელე. ლიტერატურის მოყვარული. პატარ-პატარა წერილებსაც ათავსებდა ჟურნალ-გაზეთებში. იგი მუშაობდა მურაშკოს თეატრში სცენისმოყვარედ და ასრულებდა პატარა როლებს, შემდეგ გადავიდა არაქსიანის თეატრში მოკარნახედ. რამდენიმე ხნის შემდეგ სახალხო სახლში დაიწყო მუშაობა ამავე თანამდებობაზე.

კ ო ლ ი ა  მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი. მსახურობდა აქციზის სამმართველოში, სისტემატურად მონაწილეობდა მურაშკოსა და არაქსიანის სახალხო თეატრებში. როგორც რეზონიორის როლების კარგ შემსრულებელს ხშირად იწვევდნენ აგრეთვე დიდ ქართულ თეატრში. ერთხელ მან ითამაშა შილერის „ყაჩაღებში“ შპიგელბერგის როლი და შემდეგ ლადო მესხიშვილს მიჰყავდა ხოლმე პროვინციებში გასტროლების დროს. როდესაც 1905 წლის რევოლუცია დამარცხდა, კ. მეტრეველი სპარსეთში გაემგზავრა იქაურ რევოლუციაში მონაწილეობის მისაღებად. ცნობების მიხედვით იგი სპარსეთის გმირი რევოლუციონერის სათარხანის ბახტიარების რაზმებში იბრძოდა და ბარიკადებზე მოჰკლეს.

ი ო ს ე ბ  ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი. 1911 წლიდან ჩაება სასცენო საქმიანობაში. იგი ძირითადად მოკარნახედ მუშაობდა მურაშკოს, ხარფუხისა და ორთაჭალის თეატრებში, რეჟისორებთან — ს. ივანიძესთან, ს. პეპანოვთან, ლ. ბალაშვილთან, დ. მელაძესთან და საჭირო შემთხვევაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: გიორგი („და-ძმა“), ფიჩხულა („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“), პირველი მწყემსი („ბრძოლა არსებობისათვის“), ტიმოთე („ტიმოთეს ლელვი“), არკადია („არკადიას სადილი“) და სხვები.

მაყურებლის მიზიდვის მიზნით, სცენისმოყვარეთა თეატრები ხშირად იწვევდნენ სახელგანთქმულ მსახიობებს: ვ. აბაშიძეს, ვალ. გუნიას, კ. ყიფიანს, ელ. ჩერქეზიშვილს, ტ. აბაშიძესა და სხვებს. მათ სპექტაკლებსაც ი. ხუციშვილი კარნახობდა.

1969 წელს კი, როცა მ. გორკის სახელობის კულტურის სასახლეში ავლაბრის სცენისმოყვარეებისაგან პენსიონერთა სახალხო თეატრი ჩამოყალიბდა, მათ მოკარნახეთ ი. ხუციშვილი მიიყვანეს.

ა ლ ე ქ ს ი ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი. იოსების უფროსი ძმა კი უფრო ადრე, 1909 წლიდან ჩაება სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში.

პირველად იგი სცენაზე გამოიყვანა სახალხო თეატრის წამყვანმა მსახიობმა ლ. ბაღაშვილმა, რომელიც მის მეზობლად ცხოვრობდა და ავქს. ცაგარლის პიესაში „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" ილუას როლის შესრულება დააკისრა. ახალბედამ გაამართლა დავალება და მაყურებლის გულწრფელი მოწონება დაიმსახურა.

როლებს როლები მოჰყვა და, ამ დღიდან აღარც ჩამოშორებია სცენას. იგი მონაწილეობას იღებს რეჟისორ ს. პეპანოვთან, მუსულმანთა აუდიტორიაში, ს. ივანიძესთან მურაშკოს თეატრში და ე. კულულაშვილთან ორთაჭალის თეატრში. უთამაშია სპექტაკლებში: „ციმბირელი", „ხანუმა", „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", „არსენა", „და-ძმა", „პატარა კახი", „ქოხში" და სხვა პიესებში.

1924 წლიდან იგი სამუშაოდ გადადის მტვირთავ მუშათა ორგანიზაციაში, რომელსაც საკუთარი კლუბი ჰქონდა, ჯერ ალექსანდრეს ბაღში, შემდეგ რკინიგზელთა სახლში. ამ კლუბში ა. ხუციშვილის ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით მრავალი სპექტაკლი დაიდგა.

1938 წელს კი იგი მუშაობას იწყებს ისანში ფეხსაცმლის ქარხანაში. ამ ქარხანასთან არსებულ კლუბში ა. ხუციშვილი წლების მანძილზე დგამს და მონაწილეობს მთელ რიგ სპექტაკლებში.

1943 წლიდან ძველი სცენისმოყვარის ვ. ფერიაშვილის ხელმძღვანელობით დადიოდნენ გასტროლებზე დასავლეთ საქართველოში, კახეთში და სხვადასხვა კლუბებში დგამდნენ წარმოდგენებს.

მ ი ხ ე ი ლ ბ უ ხ რ ა ძ ე მუშა რევოლუციონერი, ძველი სცენისმოყვარე — პირველ დღიდანვე იღებდა მონაწილეობას ჯერ მურაშკოვსა და მერე არაქსიანის სახალხო თეატრებში. მის მიერ შესრულებულ როლებიდან მაყურებლის ყურადღებას იმსახურებდა ლაფერი — დენერისა და კორმონის „ორი ობოლი", თალხანი და პომოშნიკი — ივ. გომართელის „ქოხში", ანტო-

ნი — ა. ფურცელაძის „ავაზაკნი“, იორამი და გლეხი — ალ. ყაზბეგის „არსენა“ და სხვა მრავალი.

მ ა კ ა   ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. სახალხო თეატრის მოღვაწე, თვალსაჩინო ფიგურა იყო. სცენისმოყვარეთა შორის იგი თავგამოდებით იბრძოდა ამ მეტად კეთილშობილური, იმ დროისათვის მეტად საჭირო საქმისათვის.

მ. ქართველიშვილმა თავისი მოღვაწეობა სახალხო თეატრის სცენაზე 1900 წლიდან დაიწყო ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ქართული თეატრის, კერძოდ, მუშათა თეატრის დიდ ქომაგისა და უშუალო ხელმძღვანელის მარიამ დემურიას მზრუნველობითა და შთაგონებით.

1902 წლიდან კი მურაშკოს თეატრში გადადის და თავის მეგობრებთან ერთად დაუდგრომლად ემსახურება თავის ნათელ რწმენას. თეატრალურ საქმიანობასთან ერთად ეწევა იატაკქვეშა რევოლუციურ მუშაობას, ხელს უწყობს რევოლუციურ მოღვაწეებს არალეგალური კრებების ჩატარებაში, ჟანდარმერიისა და პოლიციისაგან თეატრის კულისებში ამხანაგებთან ერთად მალავდნენ არალეგალურ ლიტერატურას და პროკლამაციებს.

მურაშკოს თეატრიდან სცენისმოყვარენი მალე არაქსიანის ახალ თეატრში გადავიდნენ, სადაც მსახიობებს უფრო უკეთეს პირობებში უხდებოდათ მუშაობა, თუმცა ჟანდარმერია და ჩინოვნიკური მეფის მთავრობა გამუდმებით სდევნიდა და არ აძლევდა ნორმალური მუშაობის საშუალებას, მუშათა თეატრის მესვეურების მებრძოლ სულს ვერავითარი ძალა ვერ აჩერებდა და სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა მათი როლი და ავტორიტეტი მშრომელი მასების თვალში. მზარდი და ნათელი აზრის მქონე მუშა მსახიობები და მაყურებლები მტკიცედ მიაბიჯებდნენ ახალი ცხოვრების მოსაპოვებლად...

როგორც მურაშკოს, ისე არაქსიანის თეატრებში მ. ქართველიშვილს მიუღია მონაწილეობა ისეთ პიესებში როგორიც იყო: ხანუმა და ქაბატო („ხანუმა“), ელისაბედი („ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“), მარინე („და-ძმა“), მელანო („მელანიას ოინები“), გალჩიხა („უდანაშაულო დამნაშავენი“), კატინა და ლიზა („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“), მარიამი („მსხვერპლი“). მაკა საუცხოოდ ასრულებდა სახასიათო როლებს რუს და უკრაინელ დრამატურგთა პიესებში. მას განხორციელებული აქვს 200-მდე სხვადასხვა ხასიათის როლი.

ამ დროიდან მოყიდებული, იგი ავჭალის აუდიტორიის, ნაძალადევის, მურაშკოს, არაქსიანის, ზუბალაშვილის თეატრების გარდა იოსებ და ალექსანდრე იმედაშვილების, ვალერიან გუნიას ხელმძღვანელობით არსებულ ქართულ მსახიობთა დასებში, სოხუმის, ბათუმის, ლაგოდეხის, ცხაკაიას, ტყიბულის,

სიღნაღის თეატრებშიც მოღვაწეობდა და ყველგან ქებასა და დიდებას იმსახურებდა.

როგორც ავლაბრის თეატრს, ასევე ნაძალადევის თეატრსაც იგი მეტად დიდ პატივს სცემდა. ტრადიციულად, სახალხო თეატრების პრაქტიკაში ხშირი იყო მუშათა თეატრების წამყვანი ძალების შენაცვლება. მაკასაც უხდებოდა ნ. გოცირიძესთან, გ. გელიკურაშვილთან, ლ. ბაღაშვილთან, რ. სალაყაიასთან, ს. რომანიშვილთან, ი. გრიშაშვილთან ერთად ნაძალადევის თეატრში გამოსვლა ისეთ პიესებში, როგორიც იყო: კ. მესხის „მელანიას ოინები", ვალ. გუნიას „ადვოკატთან" და „სიძე-სიმამრი", ჯიაკომეტის „დამნაშავის ოჯახი", ლ. ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა". იგი პ. ფრანგიშვილთან ერთად მონაწილეობდა პ. იერეთელის „ქრისტინეში"", ს. მებურიშვილის რეჟისორობით დადგმულ მ. გორკის „ფსკერზე", რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს" ნ. გოცირიძესთან ერთად გამოდიოდა „ხანუმაში". იგი ნატო გაბუნიას შემდეგ ხანუმას როლის ერთ-ერთი უბადლო შემსრულებელი იყო. ისეთ როლშიც კი, როგორიც არის ნარგიზი („ციმბირელში"), რომელიც მეტისმეტად უფერულია და არ იძლევა მასალას მსახიობისათვის, მაკა თავისი მოხდენილი გარეგნობითა და დაკვირვებული თამაშით ძალიან დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე.

დიდი სამამულო ომის წლებში მ. ქართველიშვილი დიდ ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა წითელ არმიელთა მხატვრულ თვითმოქმედებაში. მონაწილეობდა ჰოსპიტლებსა და ჯარის ნაწილებში გამართულ კონცერტებსა და სპექტაკლებში და საერთოდ იგი მთელი თავისი შეგნებით დაკავშირებული იყო ხალხთან. იგი იყო რეალისტური სკოლის მსახიობი.

სანიტარულ მოძრავ თეატრში (ასეთი თეატრი 30-იან წლებში არსებობდა საქართველოს სსრ ჯანსახკომთან) მაკამ 15 წელი იმუშავა. ეს თეატრი, მიუხედავად მცირერიცხოვანი კოლექტივისა, დიდ საქმეს აკეთებდა. თითქმის არ დარჩენილა საქართველოს არც ერთი კუთხე, ქალაქი, დაბა თუ სოფელი, რომ სპექტაკლები არ გაემართოთ. მაკა ამ კეთილშობილურ საქმეში ერთი პირველთაგანი იყო, დიდ დახმარებას უწევდა თეატრის ხელმძღვანელს ს. წერეთელს.

მაკა მრავალფეროვანი მსახიობი იყო — იგონებს სენო წერეთელი — არავითარი ყალბი თეატრალობა არ ახასიათებდა. (მახსოვს, თუ არ ვცდები 1927 წელი იყო) საგარეჯოს რაიონში, სოფელ ხაშმის კლუბში, სადაც ექიმბაშობისა და ცრუმორწმუნოების წინააღმდეგ სპექტაკლს ვმართავდით, მაკა მკითხავის როლს იმდენად ოსტატურად და რეალურ ფერებში წარმოსახავდა, რომ ერთმა ადგილობრივმა მკითხავმა მოისყიდა ხულიგნები და ქვები დააშე-

წინა სცენაზე. საწყალ მაკას თავში მოხვდა ქვა, მაგრამ მაკამ ისე ოსტატურად შეიხვია თავი და განაგრძო როლი, თითქოს ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ხალხმა დიდი აღტაცებით მიიღო სპექტაკლი და მოითხოვა მეორე დღეს მისი განმეორება.

სამწუხაროდ, მაკა ქართველიშვილს პირობები არ ჰქონდა, რომ ემუშავნა დიდ სცენაზე, თორემ ქართულ სცენაზე მაკა ქართველიშვილი დიდი ფიგურა იყო: მახსოვს ჩვენი გასტროლები ქუთაისში. მოგეხსენებათ, რომ ქუთაისის საზოგადოება დიდი თეატრალური და მკაცრი მომთხოვნი, ასე რომ ყველა გასტროლიორი ვერ გადაურჩა ქუთათურების კრიტიკას, მაგრამ ჩვენ წარმოდგენებს ძალიან გულთბილად ღებულობდა ქუთაისი, განსაკუთრებით მაკა ქართველიშვილის თამაშს. ზედმეტი არ იქნება დავუმატო, რომ ქართველიშვილის თამაში ოვაციებს იწვევდა მაყურებელში. მაკას ღირსება ის იყო, რომ იგი იყო მრავალფეროვანი, რომელ როლშიც არ უნდა გამოსულიყო, ისე ბუნებრივად ანსახიერებდა ამ სახეს, რომ გავიწყდებოდათ თქვენი თავი თეატრში. არავითარი თეატრალობა, არავითარი ეფექტურობა, სიყალბე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სინამდვილე, რეალიზმი, ბუნებრიობა.

მ. ქართველიშვილი იყო ლამაზი, მოხდენილი, ტანადი, სასიამოვნო ხმის პატრონი, ყოველთვის კარგად იცოდა როლი, ახასიათებდა სცენის დიდი სიყვარული, სიბეჯითე და თავმდაბლობა, კარგი მეგობრობა იცოდა. ამხანაგებს უყვარდათ და მაყურებელთა შორის დიდ მოწონებას იმსახურებდა.

1950 წლის 14 დეკემბერს მაკას გარდაცვალებასთან დაკავშირებით ქართული თეატრის დიდი მოამაგე და საზოგადო მოღვაწე იოსებ იმედაშვილი მაკას ვაჟს, საქ. სსრ დამსახურებულ არტისტს, რეჟისორ რობერტ ქართველიშვილს წერდა: „ჩემო ახალგაზრდა მეგობარო რობერტ! მიიღეთ ჩემი გულითადი სამძიმარი დედათქვენის, მაკას უდროოდ გარდაცვალების გამო.

მეწყინა!.. მეწყინა, — ჯერ ერთი, მაკას კიდევ შეეძლო ეცოცხლა, ასე ადრე კი გაგვშორდა, მერე — ვერ დავესწარი ჩემი ღვიძლი დასავით საყვარელი ადამიანის, სახალხო თეატრის უანგარო მოამაგის, ნიჭიერი და ბეჯითი მაკას დაკრძალვას!

მაკა ხომ მარტო თქვენი დედა არ იყო, არამედ ქართული სახალხო თეატრის ერთი უანგარო დედათაგანი!

იმ დროს, როცა სახალხო თეატრის სცენისმოყვარეთა სამოღვაწეო ასპარეზის გზა ნარ-ეკლით იყო მოფენილი, მაკა სულ რამდენიმე, თითზე ჩამოსათვლელ სცენისმოყვარეთა შორის თავგამოდებით იღვწოდა ამ მეტად კეთილშობილურ, იმდროისათვის უსაჭიროეს ასპარეზზე. სახალხო თეატრის ისტორიაში მაკას სახელიც აღინიშნება.

**სონა გოგაშვილი.** ს. გოგაშვილის ნიჭი პატარა თეატრებში გამობრწყინდა. მას შეეძლო დიდ თეატრში გადასვლა, მაგრამ არჩია ყოფილიყო იმ განაპირა უბნებში, სადაც თავისი ახალგაზრდობა გაატარა, მთელი თავისი ძალა და ენერგია შესწირა მუშათა გათვითცნობიერებისა და წინსვლის საქმეს.

ძველ სცენაზე ქალის გამოსვლას საძრახისად თვლიდნენ, ათასნაირი უმგვანო ეპითეტებით ამკობდნენ, „ცირკის ქალს“ უწოდებდნენ. სონამ თამამად გაარღვია ეს ჭორების ხეივანი, არ შეუშინდა მითქმა-მოთქმას. ს. გოგაშვილს სასცენო განათლება არ მიუღია, არამცთუ სასცენო, სკოლის სკამზედაც დიდხანს არ მჯდარა, მაგრამ ცხოვრების სკოლა მაინც გაიარა. იგი პატარაობიდანვე მეტად დაკვირვებული და ნიჭიერი იყო. იგი ყველას აკვირდებოდა, გლეხის დედაკაცსაც, მათხოვარსაც, მემწვანილეს, გამყიდველს, სწავლობდა მათ მიხრა-მოხრას, ჩაცმულობას, სიტყვა-პასუხს, მერე სცენაზე გადაჰქონდა თურმე რომელიმე ტიპის სრულყოფილად განსახიერებისათვის.

ვიდრე სახალხო თეატრი გაიხსნებოდა წარმოდგენები — ჯერ ეზოებში, აივნებზე და ფარდულებში იმართებოდა (ნაძალადევი, ვერა, ავლაბარი), მერე გადავიდა ავჭალის აუდიტორიაში. ს. გოგაშვილი ხშირად მონაწილეობდა იმ წარმოდგენებში, რომლებიც რევოლუციონერების სასარგებლოდ იმართებოდა.

1905 წლის შემდეგ გამეფებული რეაქციის დროს ბევრი ამხანაგი მოხვდა მეტეხის ციხეში. მუშათა რაიონებში მყოფი თეატრის მუშაკები ხშირად ეხმარებოდნენ ასეთ პატიმრებს, რითაც შეეძლოთ. ერთი ასეთი დახმარება იყო წარმოდგენებიდან აღებული ფული. მაშინდელი ადმინისტრაცია დევნიდა ასეთ ქველმოქმედებას.

ს. გოგაშვილი ხშირად დადიოდა თეატრიდან თეატრში, ქალაქიდან სოფელში, მოგზაურობდა ხან მატარებლით, ხან ფეხით, ხან ურმით, ხან ტივით და ყველგან კულტურის შუქი შეჰქონდა. ამ კეთილშობილურ საქმეს ისიც უნდა დაემატოს, რომ ეს ხდებოდა უსასყიდლოდ, უანგაროდ. თუ დიდ თეატრს ჰყავდა გაბუნია-ცაგარელი და ჩერქეზიშვილი, განაპირა უბნებსაც ყავდა დ. რჩეულიშვილი და ს. გოგაშვილი. სონა და დარო მტკიცედ, მუხლმაგრად მიაბიჯებდნენ თავიანთ მასწავლებელთა ბილიკზე და ხშირად მშიერ-მწყურვალებს ერთხელაც არ აღმოჰხდენიათ საყვედური, ერთხელაც არ უღალატიათ თავიანთი საქმისთვის, რადგან იცოდნენ, რომ მომავლისათვის კარგ საქმეს აკეთებდნენ.

სონა თავის მეუღლესთან, სანდრო გოგაშვილთან, ერთად სახალხო თეატრში 1905 წლიდან გამოჩნდა, ჯერ ნაძალადევის რაიონის სახალხო თეატრში

ს. სვიმონიძის რეჟისორობით, შემდეგ არაქსიანის, და უფრო გვიან ვერის და ავჭალის აუდიტორიების თეატრებში, თბილისში არ იყო ისეთი სახალხო თეატრი და კლუბი, რომ მისთვის უანგაროდ ამაგი არ დაედოს. იგი მაღალნიჭიერი მსახიობი იყო და ამიტომ გადუხადეს იუბილე, მოუწყეს შემოქმედებითი საღამოები და მრავალი ბენეფისი. მიანიჭეს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება.

მისი მოღვაწეობა განსაკუთრებით აღსანიშნავია იმით, რომ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მრავალი სხვადასხვა ხასიათის როლი აქვს შესრულებული. მათ შორის ფრომარი („ორი ობოლი"), ხანუმა („ხანუმა"), მელანია, („მელანიას ოინები"), ეფემია („პეპო"), რიფსიმე („დედის ერთა"), სიდონია („არსენა"), ესთერი („ურიელ აკოსტა)", რუთი („სამეფო ტახტისათვის", „ანუ იაკონგლები"), მაია („ქრისტინე"), მართა („ერთი ცხვირი ხეირია") და სხვ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი ამ როლის შესრულებაში პროფესიონალ მსახიობებს არ ჩამოუვარდებოდა.

„სონა გოგაშვილი და მისი მეუღლე სანდრო გოგაშვილი—გვიამბობს იოსებ გრიშაშვილი, პირველად გავიცანი 1906 წელს, ამ ორმოცი წლის წინათ, მურაშკოს თეატრში. ამ დროს მე 17 წლის ბიჭი ვიყავი და სუფლიორად ვირიცხებოდი მურაშკოს სცენისმოყვარეთა დასში. როგორ მინდოდა არტისტობა — სცენაზე გამოსვლა რომელიმე როლში, მაგრამ მაშინდელი მსახიობები ლ. ბაღაშვილი, რ. სალაყაია, გ. გელიკურაშვილი და სხვა როლებს არ მაძლევდნენ, პატარა ხარო, და მეც სუფლიორის ხელაში ობლად მჯდარი ცრემლით ვაწოდებდი სიტყვებს: მშურდა, რომ მათ ტაშით აჯილდოებდნენ, მე კი არა და როგორ გამეხარდა, როცა ერთხელ გოგაშვილებმა სოსანას როლი შემომთავაზეს აკაკი წერეთლის პიესაში „კინტო". ეს იყო ჩემი პირველი არტისტული ნათლობა.

სოსანასთანა ტიპები ხშირად მყავდა ნახული ჩვენს უბანში და ბუნებით მოკრძალებულმა, ალბათ, თამამად შევასრულე ყარაჩოხელის როლი, რადგან სონა გოგაშვილისაგან კოცნაც კი დავიმსახურე"...

ნაძალადევის თეატრის დაარსების ხანად უნდა ჩაითვალოს 1908 წლის შემოდგომა. ეს ის ხანა იყო, როდესაც რეაქცია მძვინვარებდა. საჭირო იყო რაიმე კულტურული დაწესებულების შექმნა, რათა სრულიად არ ჩამქრალიყო მუშათა ამ უბანში რევოლუციური მისწრაფებანი. ამ მიზნის მისაღწევად სახელოსნოს მოწინავე მუშებს დაებადათ აზრი მოეწყოთ თეატრი. პირველყოვლისა მას

დასაარსებლად საჭირო იყო მთავრობის ნებართვა და შესაფერისი ბინის გამოძებნა. მოწვეულ საორგანიზაციო კრებაზე გადაწყდა შეეგროვებინათ ხმები. თეატრის დაარსების მსურველთა ეს სია წარუდგენიათ მთავრობისათვის ნებართვის მისაცემად.

და აი, ამ დღიდან მოყოლებული, ხელოვნების დროშა, რომლის ქვეშ მტკიცედ და შეურყეველი ფიცი დასდო სონა გოგაშვილმა, რომ უკანასკნელ მაჯისცემამდე ისევე მაღლა ატარებდა, ბოლომდე მიიტანა.

ამიტომ იყო, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც ს. გოგაშვილი ისევ დიდი სიყვარულით და ენთუზიაზმით განაგრძობდა აქტიურ სასცენო მოღვაწეობას ნაძალადევის თეატრში და კვლავ მოგზაურობდა საქართველოს დედაქალაქსა და სხვადასხვა დაბა-სოფლებში.

ორმოცი წლის განმავლობაში შესრულებული აქვს ასეული სხვადასხვა როლი და განსაკუთრებით ხანში შესულთა კომიკური სახეები. მის სასცენო მოღვაწეობას მუდამ დადებით შეფასებას აძლევდა პრესა და მაყურებელი.

დ ა რ ო რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი. ქართული პროფესიული თეატრის მსახიობი. მურაშკოს თეატრში დ. რჩეულიშვილი მხოლოდ ცალკეულ წარმოდგენებში იღებდა მონაწილეობას, მაგრამ როცა წრე მურაშკოს თეატრიდან არაქსიანის თეატრში გადასულა, დ. რჩეულიშვილი მაშინ ამ წრეს შეერთებია. იგი ამავე დროს მონაწილეობდა როგორც სხვა რაიონის მუშათა თეატრებში, ისე პროვინციის თეატრებში (გორი, მეტეხი და სხვ.). იგი თავდახურული დადიოდა. ძლიერ თავმდაბალი და გულკეთილი, შრომისმოყვარე, ამხანაგებს უყვარდათ და მაყურებელშიც სიმპათიას იმსახურებდა.

მიუხედავად დიდი მატერიალური გაჭირვებისა და ხელმოკლეობისა, იგი არასდროს უარს არ ამბობდა უსასყიდლოდ მიეღო მონაწილეობა სპექტაკლებში, თუმცა, დახმარების მიზნით, სცენისმოყვარენი დროდადრო მის სასარგებლოდ მართავდნენ წარმოდგენებს და ამით ცოტათი უადვილებდნენ მდგომარეობას. დ. რჩეულიშვილი მუდამ მთავარ როლებში გვევლინებოდა, ხანუმა — „ხანუმა", ფროშარი „ორი ობოლი", მელანო — „მელანიას ოინები", სოფიო — „ორი დარაჯი", სიდონია—„ყაჩაღი არსენა", გადია — „დაძმა", მარიკა — „ქრისტინე", ლედი დორა პ. ყიფიანის და გრ. ყიფშიძის მიერ თარგმნილი „სამეფო ტახტისათვის", სოფია—„ოხტ-ჰაცუტალას შვილი", დედაკაცი — „სამშობლო", სორა — „ისმინე ისრაილ", ქეთევანი — „სიმდიდრის მსხვერპლი", რენა—„პარიზის ღარიბ-ღატაკნი", ნატალია—„ქრისტინე" და უნდა ითქვას, რომ მის შესრულებაში ნათლად იგრძნობოდა პროფესიული თეატრიდან გამოყოლილი გამოცდილება და ხელოვნება. ყოველთვის კარგად იცო-

და როლი. დიდ ყურადღებას აქცევდა ჩაცმა-დახურვას და გრიმს. ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდა თურმე სცენას და მაყურებელშიც მოწონებას იმსახურებდა. მან დიდი ამაგი დასდო სახალხო თეატრებს თავისი უანგარო შრომით...

ნ ი ნ ო ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ე. სცენისმოყვარე, ქართული თეატრის ყოფილი მსახიობი. პირველად ეზოებსა და სახლებში გამართული სპექტაკლებით ზიარებია სასცენო ხელოვნებას. ჯერ კიდევ 900-იან წლებში, როცა ქართულ პროფესიულ თეატრს უჭირდა და ქალთა როლებში კაცებს ათამაშებდა, ნ. საყვარელიძე მონაწილეობდა შინაურულ წარმოდგენებში.

1902 წლიდან მას მურაშკოს თეატრში დაუწყია მუშაობა, შემდეგ არაქსიანის თეატრში გადასულა, დიდი გამოცდილება ჰქონია. თეატრის ხელმძღვანელობასთან და მთავრობის ორგანოებთან (პოლიცმაისტერი და სხვ.) საყვარელიძეს უნდა მოეგვარებინა სპექტაკლების ნებართვისა და დადგმის საქმე და გადაელახა მთელი რიგი დაბრკოლებები. საყვარელიძეს ხშირად იწვევდნენ პროვინციებში. ყოველდღე ნახავდით მის სახლში მრავალ სცენისმოყვარეს, სთხოვდნენ, მათი რაიონის თეატრებში ეთამაშა. იგი ხშირი სტუმარი იყო სხვადასხვა ქალაქების — განჯა, გორი, ბაქო, ფოთი და სხვ. ამიტომაც უწოდებდნენ სცენისმოყვარნი ნ. საყვარელიძეს „მოხეტიალეს", „მფრინავს", „გაჭირვების ტალკვესს". მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია ტასია — ავქს. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", თამარ — კ. მესხის „თამარ "ატონიშვილი", ტურფა — აკ. წერეთლის „პატარა კახი", კნეინა ქეთევან — ვალ. გუნიას „თავის ბრალია", მარინე „და-ძმა", ალიდა — ვალ. გუნიას მიერ თარგმნილ „პარიზის ღარიბ-ღატაკნი", გენრიეტა — „ორი ობოლი", ჟანნა — ვ. აბაშიძის „გაცარცული ფოსტა", პეტრა — იბსენის „ექიმი შტოკმანი „ანუ ხალხის მტერი".

განსაკუთრებით დასამახსოვრებელი ყოფილა ნ. საყვარელიძის მიერ შესრულებული ორი როლი. ლუიზა („ორი ობოლი") და ტურფა („პატარა კახი"). დიდი გრძნობით ასრულებდა თურმე იგი ლუიზას როლს.

ყოველთვის სერიოზულობით ეკიდებოდა იგი თავის მოვალეობას. არ ყოფილა შემთხვევა, რომ რეპეტიციაზე დაეგვიანოს ან როლი არ სცოდნოდეს.

თ ა მ ა რ ა ფ ხ ა ზ ი შ ვ ი ლ ი. ქართული თეატრის ყოფილი მსახიობი. (პროფესიით ქალის ტანსაცმლის მკერავი). 1900 წლიდან დაუწყია მუშაობა ავჭალის აუდიტორიაში. 1902 წლიდან კი გადასულა ავლაბრის მურაშკოსა და შემდეგ არაქსიანის თეატრებში. ხშირად სხვა მუშათა თეატრებშიც იწვევდნენ. იყო საკმაოდ განვითარებული, ეწაფებოდა პოლიტიკურ ცოდნას. იგი იყო კოლა მეტრეველის მეუღლე. ქმრის დავალებით ხშირად ავრცელებდა

რსდმპ კავშირის კომიტეტის (ბოლშევიკების) არალეგალურ ფურცლებს და ურჩევდა ამხანაგებს მათ წაკითხვას.

დიდი მოწადინებითა და დაუშრეტელი ენერგიით ემსახურებოდა მუშათა თეატრების საქმეს. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: მარინე („და-ძმა"), ნინო „(არსენა"), გენრიეტა („ორი ობოლი"), ქეთევანი („სამშობლო"), ნატალია („დამარცხებულნი"), ივდითი („ურიელ აკოსტა"), ამალია („ყომარბაზის ცხოვრება"). სიდონია („ყაჩაღი არსენა"), ქ-ნი ბერნიე („პარიზის ღარიბ-ღატაკნი") და სხვ.

ო ლ ა ფ ე ი ქ რ ი შ ვ ი ლ ი იყო თამბაქოს ფაბრიკა „მირის" მუშა. მისი სასცენო ხელოვნება პირველად არაქსიანის თეატრიდან დაწყებულა. მის მიერ შესრულებული როლებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: მარიანა („ორი ობოლი"), ფაიხოში („სამშობლო"), ანტუანეტა („პარიზის ღარიბ-ღატაკნი") და სხვა მრავალი. პირველ ხანებში იგი მეტად მორცხვი და გაუბედავი იყო, შემდგომში, მონდომებული და დაკვირვებული მუშაობით, გამოცდილება შეუძენია და სცენაზე საპატიო ადგილი დაუმკვიდრებია. ფეიქრიშვილი მუდამ გამოირჩეოდა როლის კარგი ცოდნით.

როცა არაქსიანის თეატრში პირველად „არშინ მალ-ალანი" დაიდგა, ო. ფეიქრიშვილმა პირველმა შეასრულა ხალას როლი ამ ოპერეტაში და წარმატებასაც მიაღწია. ამას ხელი შეუწყო მისმა ვოკალურმა მონაცემებმა. იგი სხვა ოპერეტებშიაც იქცევდა მსმენელის ყურადღებას. უკანასკნელად მუშაობდა ბორჯომ-ბალის კულტურის სახლთან არსებულ დრამწრეში. მის მიერ შესრულებული როლებიდან გამოირჩეოდა სონა — „დედის ერთა", ავგუსტა — „პატიოსნება", ელისაბედი — „თამარ ბატონიშვილი", მარიკა „ქოხში", მარიანა — „ორი ობოლი", სონა — „ძმის მკვლელი", დედაკაცი — „სამშობლო" და სხვა მრავალი.

ლ ი ზ ა ვ ა შ ა კ ი ძ ე. უძველესი სცენისმოყვარე. 900-იან წლებიდან ლ. ვაშაკიძე ავლაბრის ყაზარმებში გამართულ სპექტაკლებში იღებდა მონაწილეობას მ. თუმმალიშვილთან, ვ. იმედაშვილთან და ხანდამაშვილთან ერთად. 1901—1902 წლებში მონაწილეობდა ავჭალის აუდიტორიაში, შემდეგ კი ისევ ავლაბარში მურაშკოსა და არაქსიანის სახალხო თეატრებში.

ლიზა ვაშაკიძე სისტემატურად მონაწილეობდა აგრეთვე საგარეჯოს სცენისმოყვარეთა წრეში. 1922 წელს, როდესაც საგარეჯოს თეატრში რეჟისორად და მსახიობად მოუწვევიათ ალ. ბურთიკაშვილი, მას მსახიობებთან ა. ლოლუასთან, ს. ვაჩნაძესთან, ნ. ზურმუხტაშვილთან, ნ. გვარაძესთან, გ. ფრონისპირელთან, და სხვებთან ერთად ლ. ვაშაკიძეც ამ დასის წევრი გამხდარა. და ღირსეულად დაუმშვენებია გვერდი მსახიობებისათვის.

საგარეჯოში ალ. ბურთიკაშვილის ხელმძღვანელობით დაარსებულ დასში ხშირად მონაწილეობდნენ ცნობილი მსახიობები შ. დადიანი, იმედაშვილი, შ. გომელაური და სხვ. ცალკე დადგმებზე მოუწვევიათ რეჟისორი მ. ქორელი, რომელსაც ნუცა ჩხეიძის მონაწილეობით წარმოუდგენია ნ. შიუკაშვილის „ციცინათელა“, ა. კარაევის „უბედური ნაბიჯი“. ლიზა ვაშაკიძე ამ დასის ყველაზე თავდადებული წევრი იყო. მას პირველად აქ მოუხდა თურმე რუსულ კლასიკურ პიესებში თამაში და როლების დამაჯერებლად და მიმზიდველად შესრულებით მაყურებლისა და ამხანაგების ყურადღება მიუქცევია.

ვ ა რ ა ბ ე გ ი ჯ ა ნ ო ვ ი. მისი ფსევდონიმი იყო „ბარბარელი“. 17—18 წლის ქალიშვილი. პროფესიით ქალის ტანისამოსის მკერავი. მონაწილეობა მიუღია როგორც ქართულ, ისე სომხურ პიესებში. ასრულებდა სხვადასხვა ხასიათისა და ასაკის როლებს, თამაშობდა ახალგაზრდა ცქრიალა მაშიკოს როლს („ციმბირელი“), მოხუც გადიას როლს („და-ძმა“), ლაურიეტას („ორი დარაჯი“), შუშანას („პეპო“) და სხვ. ნიჭიერი, მიმზიდველი, მგრძნობიარე და მეტად ხალისიანი ყოფილა. განსაკუთრებით კარგი იყო მაშიკოს როლში. იგი ამ როლს ფერადოვნებით მოსავდა: ცქრიალაც, მორცხვიც და ამავე დროს ეშმაკიც, მაყურებლის საყვარელი სცენისმოყვარე იყო.

მ ა შ ო მ ა რ გ ვ ე ლ ა შ ვ ი ლ ი. თამბაქოს ფაბრიკის „მირის“ მუშა. პირველად არაქსიანის თეატრში დაუწყია სცენაზე გამოსვლა. ძალიან იყო გატაცებული სცენაზე მუშაობით და ნიჭიც ხელს უწყობდა, ასრულებდა განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალიშვილების როლებს, როგორც კომედიებში, ისე დრამებშიც. შესანიშნავი სასიმღერო ხმა ჰქონია. მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ლუიზა („ორი ობოლი“), მაშიკო („ციმბირელი“), დესპინე („ორი გმირი“), ჟოზეფი („პარიზელი ბიჭი“) და სხვ. განსაკუთრებით დიდ მოწონება დაუმსახურებია აღმოსავლურ ოპერეტებში შესრულებული როლებით. პირველად მას შეუსრულებია გულჩორას როლი „არშინ-მალ-ალანში“. მშვენივრად ასრულებდა თურმე თავის როლებს აღმოსავლურ ოპერეტებშიაც.

მ ა რ ო ლ ე ლ ა შ ვ ი ლ ი. ძველი სცენისმოყვარე. იგი თავის მამასთან მიხეილთან ერთად აქტიურად იყო ჩაბმული როგორც სათეატრო ხელოვნებაში, ისე რევოლუციურ საქმიანობაში, ჯერ მურაშკოს და შემდეგ არაქსიანის თეატრთან არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენების დრამატულ წრეში მის მიერ შესრულებული როლებიდან მაყურებლის ყურადღებას იპყრობდა მარინე და ჟენია—„ქრისტინეში“, ანნა — „ისმინე ისრაილ“, კეკე — „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია“, ჟორჟეტა — „ყომარბაზის ცხოვრება“ და სხვ.

ე ლ ე ნ ე ბ უ ჩ უ კ უ რ ი. ძალიან ლამაზი, სრულიად ახალგაზრდა, ბრწყინვალე გარეგნობის მქონე, თავისი მოხდენილი თამაშით მუშათა თეატ-

რის მაყურებლის საყვარელ მსახიობად ითვლებოდა. დედა სომეხი ჰყავდა, მამა კი ქართველი, ორივე ენა—სომხურიც და ქართულიც კარგად სცოდნია და საჭირო ძალას წარმოადგენდა, როგორც ქართული, ისე სომხური წრეებისათვის. მის მიერ შესრულებულ როლებიდან მაყურებლის ინტერეს იწვევდა მარინე— „და-ძმა“, მაშო — „ფული და ხარისხი“, იულია—„გაცარცული ფოსტა“, სიდო და მინადორა — „როგორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაო“, ლიზა — „ცოლი ორის დღით“, ფატმა—„ქართველი დედა“, თალიკო—„ბედს ვერ წაუხვალ“. ამ როლის შესრულება ზოგიერთ პროფესიონალ მსახიობს უჭირდა, და უნდა ითქვას, რომ ელენე ბუჩუკურს ამ როლის განსახიერებით თავი უსახელებია, როგორც მაყურებელთა შორის, ისე წრის წევრებში.

სოფიო ანკარა-ყიფშიძე. ძველი სცენისმოყვარე — სათეატრო მოღვაწეობა დაუწყია 1907 წელს ჯერ ვერის აუდიტორიაში, ხოლო შემდეგ ავჭალის, ნაძალადევის, ავლაბრის, ხარფუხისა და სხვა მუშათა თეატრებში. ხშირად ქალაქგარეთაც გადიოდა და დიდი სიხალისით იღებდა მონაწილეობას მათ სპექტაკლებში. ნამდვილი გაჭირვების ტალკვესი იყო. ს. ყიფშიძეს ამხანაგებმა პატიოსანი და წრფელი გულისათვის „ანკარა“ შეარქვეს, რაც მსახიობმა თეატრში ფსევდონიმად გამოიყენა.

მისი სადებიუტო როლი იყო თამრო, პიესაში „სიმდიდრის მსხვერპლი“, რომლის კარგი შესრულებით ზუბალაშვილის სახლამდე მიაღწია. აქ გახდა პროფესიონალი და ქართული თეატრის წამყვანი მსახიობი. მის მიერ შესრულებულ როლებიდან მაყურებლის ყურადღებას იმსახურებდა ქრისტინე („ქრისტინე“), ქეთევანი („სამშობლო“), ქაბატო („ხანუმა“), გენრიეტა („ორი ობოლი“), მარინე („და-ძმა“), ნინო („არსენა“) და სხვ.

მსახიობის ბიოგრაფიას ამშვენებს რევოლუციური წარსული. ჯერ კიდევ მოსწავლე მონაწილეობდა არალეგალურ მუშაობაში, რის გამოც მეფის ჯალათებს ემალებოდა კიდეც.

ს. ყიფშიძე — ანკარა 1922 წლამდე მუშაობდა სახალხო თეატრში, შემდეგ ჭიათურის მუშათა თეატრში, სოხუმში, რკინიგზის სანიტარულ მოძრავ თეატრში. 1932 წელს იგი ჩაირიცხა ცეკავშირთან არსებული მოძრავი თეატრის დასში, რომელიც სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმის მთებში გამოდიოდა. 1935 წელს მიიწვიეს თბილისის სანკულტურის თეატრში, სადაც 100-მდე როლი შეასრულა.

45 წელიწადი იმოღვაწევა ს. ყიფშიძე-ანკარამ ქართულ სცენაზე და ამ ხნის მანძილზე 300-ზე მეტი როლი შეასრულა.

ხელისუფლებამ სათანადოდ დააფასა მისი ხანგრძლივი სასცენო მოღვა-

წეობა და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიანიჭა. იგი 90 წლის ასაკში გარდაიცვალა.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ავლაბრის სახალხო თეატრებს არსებობის მანძილზე მრავალი ნიჭიერი ხელოვანი უანგაროდ ემსახურებოდა.

ისინი ორ ჯგუფად იყოფიან. პირველ ჯგუფში შედიან ის სცენისმოყვარენი, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში დაუღალავად ემსახურებოდნენ სცენას. ხოლო მეორე ჯგუფში შედიან ნიჭიერი და უანგარო ხელოვნების მოტრფიალენი, რომლებიც მხოლოდ ერთ ან ორ პიესაში იღებდნენ მონაწილეობას· თავის დროზე მაყურებელს დიდ სიამოვნებას განაცდევინებდნენ. ესენი არიან მუსიკოსები, მოცეკვავენი, მომღერლები და სხვ. ეს ეფემერული არტისტები, რომლებიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდნენ სცენაზე, ბევრი მათგანი თავისი ჟანრის ნამდვილი ვირტუოზული შემსრულებელი იყო. ამიტომ მინდა რამდენიმე მათგანზე შევაჩერო ყურადღება.

ერთ-ერთი მათგანია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მელო (მელანია) ყარალაშვილი. იგი საქართველოში სახელგანთქმული და აღიარებული მუსიკოსია. მაყურებელი სიხარულით ისმენდა მის მიერ მცირე გარმონზე დაკრულ სოფლურ საცეკვაოს (რომელსაც ხალხი წიკო-წიკოს ეძახდა). იგი მეტეორივით გაიელვებდა სცენაზე, რადგან მხოლოდ ავქს. ცაგარლის პიესის მეორე მოქმედებაში — სოფლის საქორწინო მზადების დროს, უკრავდა გარმონზე საცეკვაოს („რაც გინახავს, ველარ ნახავ"). ამ პატარა გარმონს ისე შთამბეჭდავად, მკაფიოდ აჟღერებდა, რომ მაყურებელი თავისდა უნებურად ტაშის დაკვრას იწყებდა. არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ რამდენჯერმე არ მოეთხოვათ იგი სცენაზე. ამიტომ იყო, რომ მ. ყარალაშვილს, ამ თვითნასწავლ მუსიკოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიანიჭა. იგი ხშირად გამოჰყავდათ აგრეთვე რადიოში, ტელევიზიაში და კონცერტებზე.

მ. ყარალაშვილს, გარდა გარმონზე დაკვრისა, პიესებშიაც მიუღია მონაწილეობა. იგი ბავშობიდანვე ყოფილა გატაცებული სასცენო ხელოვნებით. თელავში წმინდა ნინოს სასწავლებელში სწავლისას მონაწილეობა მიუღია სასკოლო წარმოდგენებში.

გავიდა წლები და, უკვე დაქალიშვილებული თელავში გამართულ საღამო-წარმოდგენებში მონაწილეობის პარალელურად იგი მღეროდა და ცეკვავდა ნ. სულხანიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ გუნდში. ეს საღამოები წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ინიციატივით იმართებოდა. ამ საღამოებს ესწრებოდნენ ჩვენი სახელგანთქმული მსახიობები ვანო სარაჯიშვილი, შალვა დადიანი, ელო ანდრონიკაშვილი, ნ. გაბუნია-ცაგარელი, ვ. და ტ.

აბაშიძეები, ნ. გოცირიძე, პ. ფრანგიშვილი, დ. და ვიქ. გამყრელიძეები. ვ. სარაჯიშვილს, მელოს არტისტული ნიჭით მოხიბლულს, მშობლებისათვის უთქვამს: „ეს ბავშვი ნიჭიერია და ნუ დაუშლით თუ ხელოვნებას გაჰყვებაო".

ამხდარა ვანო სარაჯიშვილის ნათქვამი: მ. ყარალაშვილს მალე წარჩინებით დაუმთავრებია რესპუბლიკის სახალხო არტისტის დ. კობახიძის ხელმძღვანელობით არსებული ქართული პროლეტარული დრამატული სტუდია. და როცა სტუდიას გამოსაშვები სპექტაკლები გაუმართავს მუშტაიდის ყოფილ ბაღში, საღამოს მწერლები, მხატვრები, მსახიობები, მუსიკოსები დასწრებიან. ერთ-ერთი გამოსაშვები წარმოდგენის შემდეგ, ჩვენს გამოჩენილ მსახიობს ნინო ჩხეიძეს მელოსათვის მკლავში ხელი წაუვლია და ალერსიანად უთქვამს: რა ნიჭიერი ყოფილხართ!.. თქვენგან კარგი სახასიათო მსახიობი დადგებაო. ამ დღიდან მელო სამუდამოდ მიეჯაჭვა სცენას და მის მიერ შესრულებული სახეებიდან მაყურებლის გულწრფელ მოწონებას იმსახურებდა: გენრიეტა „ორ ობოლში", პასკვალა „ცხვრის წყაროში", ბოჩკარიოვა „პლატონ კრეჩეტში", ზაირა „ანზორში", ნატალია „ქრისტინეში". შ. დადიანის პიესა „აჯილღაში" მ. ყარალაშვილს ერთ საღამოს ოთხი პერსონაჟი განუსახიერებია: კახელი ბიჭი, საბედო, ნინო გრიგორიევნა და შანსონეტი ქალი. პიესის ავტორი შ. დადიანი იმდენად მოხიბლულა მელოს გარდასახვის უნარითა და ფერადოვანი შესრულებით, რომ მისდამი მადლიერების ნიშნად დიდი ბანკეტი გაუმართავს.

მ. ყარალაშვილი ავტორია აგრეთვე მრავალი მელოდიისა, რომელიც ხალხმა აიტაცა და შეიყვარა. მას გაუცოცხლებია ძველი ხაბარდოები, ბაღდადურები, კინტაურები. ორიც მამისეული „ქართული" ხელახლა გადაუმუშავებია, შეუქმნია — „ტაში, ბიჭო", „სიმღერა ლესია უკრაინკაზე", „საქართველო". მისი ბევრი მელოდია ჩაწერილია ფირფიტებზე.

„ერთხელ გოლოვინის პროსპექტზე ერთმანეთს შეხვედრიან ილია ჭავჭავაძე და ქართველი ხალხის გულითადი მეგობარი, გამოჩენილი ჩეხი მუსიკოსი იოსებ რატილი. რატილს ილიასათვის განუცხადებია: ქართული ხალხური მელოდიების ჩაწერა დავასრულე და მდიდარი ჩანაწერებით მივემგზავრები სამშობლოშიო. თანაც იმ ქართველების სია უჩვენებია, რომელთაც ქართული ხალხური ჰანგების ჩაწერაში მისთვის დახმარება აღმოუჩენიათ. ილიას გულდასმით გადაუთვალიერებია სია და წარბი შეუკრავს, ყარალაშვილების ოჯახი გამოგრჩენიათო და რაკი მათ ოჯახში არ ყოფილხართ, თქვენ არც ქართული ცეკვა გინახავთ, არც სიმღერა და დაკვრა მოგისმენიათ, არც ჩვენებური ლხინი გინახავთო!

...მეორე დღეს ილიას ეტლი ყვარელისაკენ მიაქროლებდა რატილს. ყვარელში ჩასვლა და დაბინავება ვერც კი მოუსწრიათ, რომ თელავის მაზ-

რის სოფელ ართანიდან ყარალაშვილების გამოგზავნილი კაცი ხლებია ილიას და მისთვის ბარათი გადაუცია, — ნათლობაში გეპატიჟებიან ყარალოვანიო!

ეს ამბავი დათქმულივით დამთხვევია ილიას ჩანაფიქრს. რატილისათვის ბარათის შინაარსი გაუცვნია და ხალისიანად უთქვამს, — ნათლობაში გვეპატიჟებიან ყარალაშვილები, სწორედ იმ ოჯახში, სადაც აღგითქვით წაყვანაო!

ძვირფასი სტუმრების მისვლით აღძრულ სიხარულს საზღვარი არ ჰქონია. ამ დღეს პატარა მელანიას ნათლავდნენ. გაჩაღდა თურმე ლხინი. მელანოს მამას ლუარსაბ ყარალაშვილს ვირტუოზულად აუკვნესებია თარი და ჭიანური, გასაოცარი სიმარდით შემოუკრავს თითები დაირაზე! აგუგუნებულა ქართული მრავალჟამიერი და ლუარსაბს მათთვისაც უწილადებია თავისი მადლიანი ხმა: მისი გუგუნა ბანი აზანზარებდა ოთახის კედლებს.

მელანოს ბიძას, არჩილ ყარალაშვილს დიპლოპიტო გაუჩაღებია და ქართული ხალხური მელოდიებით დამთვრალ რატილს გონზე მოსვლაც ვერ მოუსწრია, რომ ახლა მელანოს დედას მართა რუსიშვილ-ყორჩიბაშს ფერიასავით გაუშლია მკლავები და ტანის ნარნარი რხევით ჩაუქროლნია სტუმრების წინ. ამ ცეკვის ცდუნება იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ თვით ილია და რატილიც კი გადაუხტნენ თურმე მართას გამოსათამაშებლად.

ახლა მელოს მეორე ბიძას გიგლოს (გამოჩენილი კინომსახიობის, კოხტა ყარალაშვილის მამა) დაუკრავს თარზე, მის ცოლს კი დაირაზე. მერე გიგლომ ოსური „ზამთარი“ შემოსძახაო. აქ, მელოს მესამე ბიძას რევაზ ყარალაშვილს აურაკრაკებია თავისი კისკისა ხმა, შემდეგ ჩოხის კალთები აუკრეფია და გამოსხარტული ფეხები მარდად გაუსვამს იატაკზე. შემდეგ, მელოს მეოთხე ბიძას დათა ყარალაშვილს უჩვენებია სტუმრებისათვის თავისი ხელოვნება თარზე შეუდარებელი დაკვრითა და სიმღერით. ყარალაშვილებს ერთმანეთში ისეთი პაექრობა გაუმართავთ, რომ რატილს სამშობლოში წასვლის სურვილიც კი დავიწყებია! პირიქით, ახლა ილია მიიჩქაროდა თურმე თბილისისაკენ. რატილი კი ეხვეწებოდა: ნუ წახვალთ! რა გინდათ თბლისში? ცოტა კიდევ დავრჩეთო...

მოხდენილად ცეკვავდა და მღეროდა მელოს ბიძაშვილი, ჩვენი საყვარელი კინომსახიობი კოხტა ყარალაშვილიც. საქართველოში ახლაც ბევრია ხანდაზმული ადამიანი, რომელსაც კოხტას ვაჟკაცური ლხინი უნახავს, მისი ალალი მეგობრობა უგემნია და კოხტას უეცარი დაკარგვით გული შეკუმშვია!..

გულმართალი, ხელგაშლილი, მეგობრული ოჯახი ყარალაშვილებისა ანდამატივით იზიდავდა ყველას. ამ ოჯახის დიდი მეგობრები და ხშირი სტუმრები ყოფილან გამოჩენილი ქართველი მწერლები და ხელოვანნი— ილია, აკაკი, ვაჟა,

ყაზბეგი, რაფიელ ერისთავი, გიორგი წერეთელი, ნ. სულხანიშვილი, ვანო სარაჯიშვილი (რომელიც მელოს დედის კვიდრი მამიდაშვილი იყო) და სხვა მრავალი...

მინდა აღვნიშნო ერთი პატარა ეპიზოდი ვანოს ცხოვრებიდან, ეპიზოდი რომელსაც დიდი სიამოვნებითა და სიყვარულით იგონებენ მაშინდელი კახელი მანდილოსნები, ძველი მსახიობი ქეთევან მაჭავარიანი და დები ვახვახიშვილები.

ვანოს ართანაში უქეიფნია. ქეიფის შემდეგ, გამთენიისას, სტუმრები დაშლილან და ქვეითად თელავისაკენ წამოსულან. მათთან ყოფილა ვანოც, ზაფხულის თბილი და წყნარი ღამე იყოო, —ამბობენ, — მთვარე სახეგაბადრული დაღიმოდა ქვეყანას. როდესაც რიჟრაჟმა ღამის სიმუქე გაამტრედისფერა, ხევიდან ურმის ჭრიჭინით დამფრთხალი ტოროლა აფრენილა. ვანოს მეურმე გაუჩერებია, უთხოვნია: გამოდი, შენს მაგივრად მე მინდა გავრეკო ხარებიო! მეურმეს, რა თქმა უნდა, მაშინვე აუსრულებია ვანოს სურვილი. იგონებენ, რომ ისე კარგად როგორც იმ საღამოს, ვანოს არასოდეს არ შეუსრულებია ურმული. ვანო წინ მიგვიძღოდა და მღეროდა, ჩვენ კი ბუნების სიდიადით დამტკბარნი და ბედნიერნი, სულგანაბულნი მივდევდით უკან ვანოს ურემსო!

ვაჟა-ფშაველა ხომ ოჯახის წევრივით ყოფილა ყარალაშვილებთან და, ნიშნად ღრმა სიყვარულისა, ბევრი საჩუქარიც უძღვნია მათთვის, მათ შორის, ერთი სურათიც წარწერით: ორ ძმას ლუარსაბს და დათას! მომირთმევია, ძმობილნო, თქვენთვის მცირე რამ ძღვენია, მიყვარხართ სულით და გულით, ვაჟა ფშაველა თქვენია! ეს სურათი მელო ყარალაშვილს ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელობის მუზეუმისათვის უჩუქნია"[1].

ო ლ ი ა  ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე. დაირის ვირტუოზული დამკვრელი და დიდად ნიჭიერი მოცეკვავე ასევე მაყურებლის სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა. დაირა ეს თითქოს პრიმიტიული მუსიკალური ინსტრუმენტი ო. ჩაჩანიძის ხელში მრავალხმოვან მუსიკალურ საკრავად გადაიქცეოდა ხოლმე. მისი თითების ნატიფი მოძრაობით დაირის ტემბრი სასიამოვნოდ იცვლებოდა და ცეკვის ილეთებს ბანს აძლევდა.

დაირის ვირტუოზული დამკვრელი ო. ჩაჩანიძე ასევე შეუდარებელი მოცეკვავე იყო. ის ერთ დროს იოსებ გოძიაშვილის გუნდის სოლო-მომღერლად ითვლებოდა, მრავალჯერ გამოსულა ზუბალაშვილების სახალხო სახლში კონცერტებზე, როგორც დაირის დამკვრელი და რაც ხალხს ანცვიფრებდა, ეს იყო დაირით ცეკვა. მისი ცეკვა ქართული სულიერი კულტურის გამოხა-

---

[1] ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება", 1961, № 3, გვ. 46—47.

ტულება და ქართული ხელოვნების კლასიკური ნიმუში იყო, რომელშიაც სიდარბაისლე, კდემამოსილება, სინატიფე და რომანტიკა ჰაეროვნებაში ვადადიოდა. ჯერ კიდევ 12 წლის გოგონა იყო, როცა იგი ეკატერინე გაბაშვილის მიერ დაარსებულ ქართველ ქალთა ხელგარჯილობის სკოლაში სწავლობდა. ამ სკოლაში გოგონებს ცეკვას ასწავლიდა ქართული თეატრის მშვენება ელ. ჩერქეზიშვილი. 1912 წელს გამართულ მოწაფეთა კონცერტზე ოლია ჩაჩანიძემ დაირის დაკვრით იცეკვა. ელ. ჩერქეზიშვილს ისე მოეწონა თავისი მოწაფის ცეკვა, რომ საჯაროდ განაცხადა: — მე, მასწავლებელს, ჩემმა მოსწავლემ ო. ჩაჩანიძემ მაჯობა ცეკვაშიო.

ო. ჩაჩანიძე არ მარტო კარგი მოცეკვავე იყო, არამედ საუკეთესო ხმითაც იყო დაჯილდოებული. იგი ასევე შესანიშნავად უკრავდა გიტარაზე და ფანდურზე. ერთხელ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიწვევით, ავლაბრის სახალხო თეატრმა ინსტიტუტის კლუბში წარმოადგინა ავქს. ცაგარლის პიესა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, რომელშიაც სცენისმოყვარეები ე. კულულაშვილი, ე. ჯორჯიაშვილი, ე. შათირიშვილი, დ. ჩაჩანიძე, გ. ყანჩელი, შ. ჯანდიერი, გ. ქუქუნაშვილი და სხვები მონაწილეობდნენ. დამდგმელმა რეჟისორმა ე. კულულაშვილმა, მ. ყარალაშვილი და ო. ჩაჩანიძე მიიწვია ქორწილის მასიურ სცენაში მონაწილეობის მისაღებად. მელოს გარმონისა და ოლიას დაირის დაკვრით თამაშმა დიდი ოვაცია გამოიწვია. სამჯერ გამოიწვიეს ოლია საცეკვაოდ. წარმოდგენის დასასრულს, მ. ყარალაშვილმა სცენისმოყვარეთა წინაშე საჯაროდ განაცხადა: მიუხედავად იმისა, რომ 60 წელია გარმონზე დაკვრით ვაცეკვებ მრავალ ქალს, მე ოლია ჩაჩანიძესთანა გრაციოზული მოთამაშე ჯერ არ შემხვედრიაო.

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ, ცეკვის ჯადოქარი, ორთაჭალისა და ხარფუხის კლუბებში წარმოდგენებისას ხშირად საცეკვაოდ მოწვეული გ ი ო რ გ ი მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ ი. იგი განთქმული იყო თბილისში როგორც ვაჟკაცური სიჩაუქით, ისე რაინდული სულით და მაღალი მხატვრული ოსტატობით დაჯილდოებული მოცეკვავე. იგი დაუზარებლად გამოდიოდა სცენაზე საცეკვაოდ, როცა კი დასჭირდებოდა თეატრს.

1925 წელს ტყავტრესტის კლუბში ერთ-ერთ პიესაში სთხოვეს საცეკვაოდ გამოსვლა. მას ძალზე უხდებოდა ჩოხა წითელი გულისპირით. მან სცენაზე მაგიდა დადგა და ზედ პატარა თეფში დაადგმევინა. ტემპერამენტიანი თამაშის დროს იგი ელვისებური სისწრაფით ახტა მაგიდაზე და პატარა თეფშზე დაიწყო ცეკვა. ხალხი უყურებდა და, თვალს არ უჯერებდა. ეს ქამარხანჯლით შემოსილი ჩოხოსანი ფეხებს ისე სწრაფად უცვლიდა თეფშზე, რომ თეფში არც კი ირყეოდა. ეს ცეკვა ორჯერ გაამეორებინეს. ილიკო სუხიშვილ-

მა სთხოვა გადასულიყო მის ანსამბლში, მაგრამ ამ დროს იგი ავად გახდა და მალე გარდაიცვალა (1939).

ასევე არ შეიძლება არ აღინიშნოს ავლაბრის სახალხო თეატრის უანგარო მსახურნი, ტყავტრესტის მუშები გოგი მაჭარაძე და სერგო ათაბეგოვი — სცენისმოყვარენი, კოშკელოვი, გლეხო ხაზაროვი, დღეს სახელგანთქმული მეზურნეები.

აღსანიშნავია ის, რომ ზურნის დაკვრა თითქმის ყოველ აფიშაზე იყო გამოცხადებული, რადგან თუ ზურნა უკრავდა, მაყურებელი გაცილებით მეტი გროვდებოდა. ესენი არიან დუდუკის სახელგანთქმული დამკვრელი და ირანის შაჰის მიერ ოქროს მედლით დაჯილდოებული პეტა იაგორის ძე ჩაჩანიძე თავისი დასტით, ცნობილი ტუხუა (გიორგი ჩხირაძე), ლევან და ვანო ზუბიაშვილები დასტით.

ჩვენში დანერგილ უცხოურ სამუსიკო საკრავებიდან განსაკუთრებული პოპულარობა და მოწონება დუდუკმა და ზურნამ ჰპოვა. მათზე აჟღერებდნენ ქართულ მელოდიებს და აწყობდნენ სხვადასხვა სიმღერას, უფრო ხშირად მუხამბაზის კილოზე. ილია ჭავჭავაძეს ძალიან ჰყვარებია დუდუკზე შესრულებული ჰანგები, განსაკუთრებით კი მუხამბაზები. თბილისური საკრავების სიყვარული ბევრგან აქვს გამომჟღავნებული აკაკი წერეთელსაც. მგზნებარე ჰანგებით დამტკბარი პოეტი ერთ-ერთ თავის ლექსში წერს:

ახ მეზურნევ, დაჰკა, დაჰკა,
გამაგონე ეს სევდის ხმა!
მაგაშია ჩემთა ძველთა
მამაცური ოხვრა, მოთქმა,
გამიხურე ჰანგით გული,
ეგებ დადნეს მწუხარება
და ჩემთ თვალთა გადმოსთხიონ
ნაღვლიანი მდუღარება!

1915—1916 წლებში ოსმალთა ბრძოლებში მონაწილე დავით ჭავჭავაძის ქართული პოლკის მეზურნეები პეტა ჩაჩანიძე, გიორგი ბეგიაშვილი და დავით ტაბუაშვილი დაჯილდოებული ყოფილან მედლებით და გიორგის ჯვრით. გიორგის ჯვარი დაუმსახურებიათ აგრეთვე პირველ მსოფლიო ომში მონაწილე გენერალ ბაგრატიონის მეთაურობით, მებრძოლი დივიზიის მეზურნეებს — ვანო და მიხა შაჰგულაშვილებს, სერგო და დათა ზუბიაშვილებს. ამ ბრძოლებში ჯილდოები მიღებული აქვთ დათა ზუბიაშვილის შვილებსაც — ლევანსა და ივანეს.

პეტასაც ისევე, როგორც სხვა მეზურნეებს მუსიკალური განათლება არ მიუღია, მაგრამ ძალიან ნიჭიერი მუსიკოსი ყოფილა. მას თავის საყვარელი ხელობა 16—17 წლიდან დაუწყია და მალე ცნობილი მეზურნე გამხდარა. 20-იან წლებში კი იგი პოპულარობით სარგებლობდა თბილისში. პეტა, მართალია ნოტებით არ უკრავდა დათა ზუბიაშვილივით, მაგრამ დათაზე ნაკლები „ტკბილი თითები" არც მას ჰქონია. ძალიან ჰყვარებიათ პ. ჩაჩანიძე თბილისელ ყარაჩოხელებს, როგორც ნიჭიერი და კარგი მუსიკოსი. სულში ჩამწვდომად ასრულებდა ზურნაზე იჯაზს, მუშტარს, შურს, რასტს და განსაკუთრებით კი დილის საარს და მასრაფს.

„ერთხელ პ. ჩაჩანიძის დასტა თბილისიდან ესენტუკში წაუყვანია ერთ თავადს, რომელიც დასასვენებლად ყოფილა იქ თავისი ოჯახით. ერთ დღეს პეტას დაკვრის ხმისათვის შემთხვევით მოუკრავს ყური ესენტუკში დასასვენებლად ჩამოსულ ირანის პრინცს. მას სპარსეთში დაბრუნებისას ცოლი უთხოვია და მისი თხოვნით მამამისს —ირანის შაჰს ქორწილში დამკვრელებად პეტა და მისი დასტა მიუწვევია. პეტას ცნობილი „დილის საარი" შაჰსაც ძალზე მოსწონებია და მუსიკოსი ოქროს მედლითა და დიდძალი ფულით დაუჯილდოებია.

პეტას დაკვრით მოხიბლული ყოფილა აგრეთვე ძველი თბილისის მკვიდრნიც, ასევე ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და მეფის ნაცვალი, რომლებიც აზიური მეჯლისის გამართვის დროს უეჭველად პეტას იწვევდა ხოლმე. პეტას მიერ შესრულებული ბევრი ტკბილი ჰანგი ჩაწერილია გრამფირფიტებზე სხვადასხვა ფირმის მიერ. ამ ფირფიტებს ძველ ოჯახებში დღესაც დიდი სიამოვნებით ისმენენ"[1].

ასევე შესანიშნავი შემსრულებელი ყოფილა აგრეთვე მეზურნეების ბოლო უსტაბაში დათა ზუბიაშვილი. იგი იმდენად ცნობილი იყო, რომ შეუმჩნეველი არ დარჩენია თვით რუსეთის იმპერატორსაც. მას ერთ-ერთ დიდ ზეიმზე სასახლეში ეს სახელოვანი მუსიკოს-დამკვრელიც მიუწვევია თავისი დასტით. იმ დროს დათას მედოლედ ცნობილი კოდელი ნაჯაფა ჰყოლია, დამქაშად კი — სერგო ვახტანგოვი.

დ. ზუბიაშვილის დასტის შესახვედრად, იმპერატორს მოსკოვის სადგურში ოფიცრები გაუგზავნია ეტლით. ოფიცრებს დათა თავისი დასტით წაუყვანიათ სასახლეში. აქ მეზურნეები ორი დღე დარჩენილან ზეიმზე.

დ. ზუბიაშვილის ტკბილი დუდუკით დიდად ნასიამოვნებ მეფეს ზეიმის დამთავრების შემდეგ შეუყვანია თავისი დასტით იმ ოთახში, სადაც ძვირ-

---

[1] ა. ბ ა რ ნ ო ვ ი, ძველი თბილისის მუსიკოსები, გამომც. „ხელოვნება", 1974, გვ. 35—36.

ფასი განძეულობა ინახებოდა. მუსიკოსებისათვის უთქვამს—რა მოგცეთ საჩუქრადო მეფეს, მედოლე ნაჯაფა და დამქაშა სერგო ოქროს საათებით დაუსაჩუქრებია, ხოლო დ. ზუბიაშვილისათვის ბრილიანტის თვლებით მოჭედილი ოქროს ბეჭედი უჩუქნია.

ძველი თბილისის მუსიკოსებისაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ავლაბრის სახალხო თეატრის ძველი სცენისმოყვარე მოხეტიალე მუსიკოსი ილიკო ქურხული.

ი ლ ი კ ო ქ უ რ ხ უ ლ ი ბავშვობიდანვე ეზიარა მუსიკალურ ხელოვნებას და სიკვდილის უკანასკნელ დრომდე აღარ მოშორებია. მან კარგად იცოდა ძველი თბილისის აშუღთა სიმღერები და ქართული ხალხური მელოდიები, უყვარდა თეატრიც. მსახიობობასთან ერთად იგი ხშირად მართავდა კლასში „წარმოდგენა-ფოკუსებს“, რისთვისაც სასწავლებლიდან გაურიცხავთ.

ი. ქურხულის სიყრმის ამხანაგები შემდგომში ხშირად იგონებდნენ თურმე ილიკოს მიერ დასვენების დროს სკოლაში გამართულ „წარმოდგენა-ფოკუსებს“ და სასწავლებლის ეკლესიაში წირვის დროს ცეკვას. როცა ამგვარი საქციელისათვის იგი სკოლიდან გაურიცხავთ, ზედამხედველ პასკევიჩს ასე „დაულოცნია“: — ახლა მიბრძანდი და რამდენიც გინდა იმდენი იცეკვე და იმღერეო.

„და მეც საწყალ-საცოდავ ჩემ მასწავლებლებს მხოლოდ ეს სურვილი შევუსრულე პირნათლად, —იგონებდა ილიკო, — ახლა ჩემს სკოლად ქართული თეატრი გადაიქცა, მასწავლებლად: ვ. აბაშიძე, კ. მესხი, ლ. ალექსი-მესხიშვილი, ნ. გაბუნია, ვალ. გუნია, კ. ყიფიანი და მთელი სხვა ჩვენი ქართული თეატრის ქურუმნი“[1].

ი. ქურხულის მსახიობობის შესახებ აი რას იგონებდა ნიკო გვარაძე: „ჩემი ზოგიერთი ამხანაგიც გატაცებული იყო თეატრით და, იმათთან ერთად, ხანდახან, სახლებსა და სოფლებში ვმართავდით წარმოდგენებს. ესენი იყვნენ: ვიქტორ მატარაძე, ილიკო ქურხული (ცნობილი მოხეტიალე მუსიკოსი), ანდრო კალანდარიშვილი, მისი ძმა ჟორჟიკა კალანდარიშვილი და ჩვენი, ყველა ქართველი მსახიობის კარგი ნაცნობი და მეგობარი, აწ განსვენებული ვანო ბუთლიშვილი.

რაკი არც ტანადობა და არც წლოვანება (იმხანად 13—14 წლისა გახლდათ) ხელს არ უწყობდა, ილიკომ დიდ სცენას თავი ანება და მუშათა დრამატულ წრეებს მიმართა. იგი ასრულებდა მცირე როლებს (ოღონდ უეჭვე-

[1] ტ. ჩ ი ხ ლ ა ძ ე, სტვირის კვალდაკვალ, გამომც. „ხელოვნება“, 1961, გვ. 10.

ლად გლეხისას) ავლაბრის მურაშკოს თეატრში, ავჭალის აუდიტორიაში, ნაძალადევის თეატრში და სხვაგან.

15 წლისამ უკვე შეადგინა საკუთარი დასი, რომელშიაც შედიოდნენ შემდგომში ცნობილი მსახიობები: ნიკო გვარაძე, ვიქტორ მატარაძე, აგრეთვე გიგო გელიკურაშვილი, ბეგლარ ახოსპირელი. წარმოდგენებს დგამდნენ ავჭალაში, მცხეთაში, მუხრანში, კასპში თუ სხვა დაბა-სოფლებში"[1].

ილიკოს გატაცება სამსახიობო ხელოვნებით და მუსიკით მამას არაფრად ეჭაშნიკებოდა, რადგან უნდოდა მისი შვილი ვაჭარი გამხდარიყო. იგი ხშირად საკრავებსაც კი უმტვრევდა თავის შვილს. ერთხელ, როცა მამას მესამეჯერ განუზრახავს ვიოლინოს დამტვრევა, ილიკო სახლიდან გაქცეულა. ცოდნის გაღრმავების მიზნით, იგი მოსკოვში წასულა. კონსერვატორიაში მისაღები გამოცდების წარჩინებით ჩაბარების შემდეგ, ნიჭიერი ახალგაზრდა თავის კლასში ჩარიცხა ცნობილმა მუსიკოსმა, პროფესორმა ბორის სიბორმა. ეს მომხდარა 1904 წელს. ამ პერიოდში მოსკოვში მუშათა მოძრაობას მწვავე ხასიათი მიუღია. მზადდებოდა პირველი რევოლუცია. ამას გამოუწვევია გაფიცვები, დემონსტრაციები. ეს მღელვარება ახალგაზრდობასაც გადასდებია. ი. ქურხულიც ჩაბმულა ამ მოძრაობაში და მთელი თავისი არსებით მუშათა მხარეზე დამდგარა. მას მონაწილეობა მიუღია ბაუმანის დასაფლავების პროცესიაში, რომელიც მეფის მთავრობის წინააღმდეგ გამართულა. ეს დაკრძალვა დიდ დემონსტრაციად გადაქცეულა და უნივერსიტეტის მანეჟში ჩასაფრებულ ყაზახებს მონაწილეთათვის ტყვიის სეტყვა დაუყრიათ. ამ დროს შემთხვევით გადარჩენილა ი. ქურხული სიკვდილს. პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ გამეფებული შავი რეაქციის დროს ი. ქურხულისათვის ეჭვის თვალით დაუწყიათ ცქერა კონსერვატორიის რეაქციულ მოხელეებს და სხვებთან ერთად 1907 წელს ისიც გამოურიცხავთ კონსერვატორიიდან. მაშინ ქურხულს კერძოდ დაუწყია მეცადინეობა სიბორთან, მაგრამ მალე მძიმე ეკონომიური პირობების გამო შეუწყვეტია სწავლა. პროფესორ სიბორს ილიკოსათვის რეკომენდაცია მიუცია, რომ კვლავ აღედგინათ ეს ნიჭიერი ახალგაზრდა კონსერვატორიაში, მაგრამ დირექტორს კატეგორიულად უთქვამს უარი. კონსერვატორიიდან დათხოვნილს საარსებო წყაროდ პაპიროსების კეთება გაუხდია, რათა თავი ერჩინა და მუსიკალური განათლებაც მიეღო, მაგრამ ერთ შემთხვევას პაპიროსების კეთებაზე ხელი აუღებინებია. თავის ავტობიოგრაფიულ ჩანაწერში აი რას წერს ის ამის შესახებ: „ერთ ახალ გაზაფხულის დღეს ჩემს ოთახში ვიჯექი. მოულოდნელად შემომესმა არღნის ხმა. გადავიხედე. არღანი

[1] ტ. ჩიხლაძე, სტვირის კვალდაკვალ, გამომც. „ხელოვნება", 1961, გვ. 10.

დანჯღრეული ხმით აღრიალებდა ქუჩურ სიმღერა „მაგილას“. ერთი პატარა გოგო კი აჭრელებულ ტანისამოსში ჩაცმული ყირამალას გადადიოდა დაგლეჯილ ფარდაგზე. თავში უცებ გამიელვა: რა კარგი იქნება ამ არღნის ნაცვლად ლამაზი სკრიპკა ლამაზ ჰანგებს უკრავდეს. ნეტა როგორ მოუსმენენ მას? ასეთ კონცერტებს არც აფიშები უნდა, არც ბილეთები, შეხვალ, დაუკრავ რაც გინდა და რამდენიც გინდა. ვინც მოისურვებს დაგაჯილდოებს რამდენითაც შეუძლია. რამდენი თავისუფლებაა, რამდენი სიცოცხლე, რამდენ ხალხს ნახავ“[1], წამოუვლია თავისი ვიოლინოსათვის ხელი და გაუწევია. მთელ დღეს უვლია, მაგრამ ეზოში შესვლა ვერა გზით ვერ გაუბედავს, მეორე დღეს ეს ამბავი თავის მეგობარ ვასო ბექანიშვილისათვის შეუჩივლია, რომელიც იმ დროს მოსკოვის განთქმული მხატვარი-მებაღე ყოფილა. ბექანიშვილს თანაგრძნობა გამოუცხადებია მეგობრისათვის და მეორე დღესვე გაუწევიათ ერთი ეზოსაკენ. ი. ქურხულს ამოუღია ვიოლინო და ფრანგი კომპოზიტორის მასნეს წყნარი მელოდია „ელეგია“ დაუკრავს. მსმენელები აღტაცებით შეგებებიან და მოუთხოვნიათ იმ დროს მოდაში შემოღებული „მაგილა“. ზედა სართულებიდან დურბინდებით ჩამოსცქეროდნენ თურმე ახლადმოვლენილ მუსიკოსს, რომელიც ქუჩური მოტივების ნაცვლად დიდი მონდომებითა და სერიოზულობით უკრავდა კლასიკურ მუსიკას. მუსიკოსი შემკრთალა, აკანკალებულა, აღარ შესძლებია დაკვრა...

მუსიკოსს ერთგვარი სიძნელე უგრძვნია და რამდენიმე დღის შემდეგ გადაუწყვეტია პირველი ნაბიჯებისათვის ქალაქს გასცლოდა და გარეუბნების აგარაკებიდან, სადაც ხალხი ნაკლები იყო, იქიდან შესჩვეოდა ეზოებს. ქურხული, როცა მოსკოვს დაბრუნებულა, მუშათა რაიონებისათვის მიუშურებია და გაბედულად დაუწყია ეზო-ეზო სიარული.

ამგვარად, ხალხის თანაგრძნობას, მათ მუსიკისადმი დაინტერესებას, გულისყურს, მადლობის გრძნობას ი. ქურხული მიუხვედრებია, რომ იგი აკეთებდა კარგ საქმეს, რომ მტერთან ერთად (პოლიცია, ანჩხლი დიასახლისები, მეეზოვეები), ბევრი მოყვარე და თანამგრძნობიც გასჩენოდა, მიმხვდარა, რომ ხალხს, დაბალ ფენას კარგი მუსიკის მოსმენა ესიამოვნებოდა, უყვარდა და მის ესთეტიკურ აღზრდას ხელს უწყობდა. გარდა ამისა, თავისი ასეთი შრომის სურვილი გაუცხოველებია ბავშვების უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას. ისინი გროვა-გროვა დასდევდნენ ეზო-ეზო და ხელს უწყობდნენ თურმე აუდიტორიის შეგროვებაში.

---

[1] ტ. ჩიხლაძე, გუდასტვირის კვალდაკვალ, გამომც. „ხელოვნება“, 1961, გვ. 10—11.

ჩვენ აქ მოგვყავს რამდენიმე წერილი, რომელიც გადმოგდებული ყოფილა მაღლა და დაბლა სართულებიდან თანაგრძნობისა და პატივისცემის ნიშნად.

აი რას წერდა ერთი: „გთხოვთ ნუ უკრავთ, თქვენ მე მატირებთ. მეტად ძნელია მოუსმინო კონსერვატორიის ყოფილ მოსწავლეს“. მეორე: „ღმერთი იყვეს შენი მფარველი“. მესამე: „თქვენ ძალიან დაგვაინტერესეთ და თუ არ გეწყინებათ, ამოდით ზემოთ“. მეოთხე: „ძვირფასო მეგობარო, თქვენი სახელი არ ვიცი, მაგრამ მადლობას გწირავთ. თქვენ დამიწყნარეთ სული თქვენი შესანიშნავი დაკვრით. რა ბედნიერებაა, რომ ღმერთმა მოგანიჭათ ნიჭი და მას უზიარებთ ხალხს. მე ავადმყოფი ვარ და სწორედ ახლა მაჩუქეთ თქვენ დიდი დღესასწაული. მე გულზე ლოდი მაწვა და ახლა კი გადამტყორცნეთ ოცნებაში“. „გმადლობთ, ჩემო საყვარელო, შუბერტის: „სერენადის“ დაკვრისათვის. მთელ წელიწადს ველოდი თქვენს ციურ ხმებს“, „ილიკო, მადლობელი ვართ მუსიკისათვის. გულწრფელად გიძღვნით მადლობას. ქართველი სტუდენტები“.

მოსკოვის კონსერვატორიაში ი. ქურხული დიმიტრი არაყიშვილს დაახლოებია. იგი დიდ პატივს სცემდა ილიკოს. საინტერესოა ჩვენი სახელოვანი კომპოზიტორის მოგონება ქურხულზე. „ერთხელ სასწავლებლიდან შინ ვბრუნდებოდი და ერთი ვიწრო ჩიხიდან ვიოლინოს მშვენიერი მელოდიები შემომესმა. შევდექი, ყური დავუგდე და გავემართე იმ ეზოსაკენ, საიდანაც ეს მეტად ტკბილი ხმა გამოდიოდა. უფრო იმან დამაინტერესა, რომ ჰანგი ჩვენებური იყო, ქართული, გავოცდი. მივუახლოვდი ეზოს, შევიხედე შიგ და, რასა ვხედავ! დავინახე კოხტა და ლამაზ კოსტუმში გამოწყობილი ჩვენი ილიკო ქურხული... წარმოიდგინეთ, მე თვითონ ისე გამიტაცა, რომ იქვე მივიმალე, — არ დამინახოს, არ შერცხვეს და ეს მშვენიერი დაკვრა არ შესწყვიტოს-მეთქი. დაამთავრა, ტაშით დააჯილდოვეს და კვლავ გაამეორებინეს. მე სიხარულისაგან ცრემლები ჩამომდიოდა. დაამთავრა დაკვრა, ვიოლინო კოლოფში ჩადო და გასწია ახლა სხვა ეზოში, რის შემდეგაც მე ვუწოდე მოხეტიალე ქართველი მუსიკოსი და დღესაც ატარებს ჩემს მიერ შერქმეულ სახელს. ამ სახელით შემოიარა რამდენიმე უცხო სახელმწიფო და ხალხს გააცნო ქართული მუსიკა“.

მოხეტიალე მუსიკოსს, ი. ქურხულს თავისი მადლიანი დაკვრით მრავალი თაყვანისმცემელი გასჩენია, როგორიც იყვნენ: რუსი კომპოზიტორი შულცი, ძმიზა ანტონ და ნიკოლოზ რუბინშტეინები და სხვ. ნიჭიერ მუსიკოსზე ბევრი დაწერილა სხვადასხვა ქალაქების პრესაში. ი. ქურხულს თავისი მუსიკალური ოსტატობით ისე მოუხიბლავს პეტერბურგის ბანკის დირექტორი ვარშავსკი,

რომ შეუთავაზებია თავისი მეცენატობით დარჩენილიყო პეტერბურგში ერთ-ერთ ცნობილ პროფესორთან სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ ილიკოს სამშობლოში დაბრუნება ურჩევია.

ი. ქურხული ბევრს მოგზაურობდა, თითქმის მთელი სიცოცხლე, თავისი განუყრელი ვიოლინოთი. სად არ ყოფილა და უცხოვრია: ბაქოში, მოსკოვში, კიევში, პეტერბურგში, ფინეთში, თურქეთში, ბულგარეთში და სხვაგან.

□□

არ შეიძლება პატივისცემისა და მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიოთ ქართული თეატრისა და ავლაბრის სახალხო თეატრების მარჯვენა ხელი, მისი გაჭირვების ტალკვესი, აზიური ტანსაცმლის შესანიშნავი მკერავი პეტრე ქორქაძე.

სწავლამოწყურებულ პეტრეს მამა ხშირად ეუბნებოდა: — „სწავლას ხელობა სჯობია, ის გაჭმევს პურს. მე თუ სკოლაში არ მივლია, კაცი არა ვარ?"— ძალად სასწავლებლიდან გამოუყვანია და ათი წლის ბიჭუნა შეგირდად მიუბარებია ვინმე ა. ლუგაზოვთან, რომელთანაც მუქთად მუშაობის საფასურად ქართული ტანსაცმლის ჭრა-კერვა შეუსწავლია. ლუგაზოვთან ხუთი წელი დაუყვია პეტრეს, შემდეგ კი სხვაგან გადასულა ქარგლად.

1903 წელს იგი თბილისში ჩამოსულა და როგორც აზიური ტანისამოსის მცოდნეს სიონის ქუჩაზე გახსნილ სახელოსნოში დამოუკიდებლად დაუწყია მუშაობა.

1905 წლის ერთ დღეს მის სახელოსნოს სწვევია სახელგანთქმული მსახიობი ვალ. გუნია და დაუკვეთია ყარაჩოხელის ტანსაცმლის შეკერვა, რომელიც ქართულ თეატრს ავქს. ცაგარლის პიესისათვის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" ესაჭიროებოდა. პ. ქორქაძეს დავალება სიამოვნებით მიუღია. შეკვეთა კარგად შეუსრულებია ოსტატს. ამ დღიდან იგი თეატრის თაყვანისმცემელი გახდა. ამ დღიდან აღუთქვა ვალ. გუნიას, რომ ყოველი ქართული სპექტაკლისათვის ახალ-ახალ ტანისამოსს შეუკერავდა. პეტრე სიტყვის კაცი იყო და მართლაც შესანიშნავი გარდერობი შეუქმნია თეატრისათვის. რას აძლევდა თეატრი პ. ქორქაძეს? ამ ღარიბი ხელოსნის ერთადერთი „გასამრჯელო" ის იყო, რომ ზოგჯერ უმნიშვნელო როლების შესასრულებლად გამოჰყავდათ სცენაზე.

მას საბოლოოდ დაუკეტია სახელოსნო და მკერავად გადასულა ქართულ თეატრში. აქედან დაწყებულა მისი ხალისიანი ხელოსნური მოღვაწეობაც ქარრთულ თეატრში. იგი გამოდიოდა აგრეთვე პატარ-პატარა როლებშიც. მას ხშირად სიხარულით უთქვამს: „ჩემი ბედნიერების პირველი ნაბიჯი ცხოვრებაში

ჩემი პირველი მისვლა იყო ქართულ თეატრში“. საქმით აღფრთოვანებული ჭაბუკი გასტროლებზედაც მიჰყვებოდა თურმე მსახიობებს თავისი კოსტუმებით, სადაც საბოლოოდ დაუკავშირებია თავისი ბედი ქართულ თეატრისათვის. ასრულებდა როგორც ეპიზოდურ, ისე საპასუხისმგებლო როლებს.

ასევე აქტიურად ყოფილა იგი ჩაბმული ავლაბრის სახალხო თეატრების ცხოვრებაშიც. ხშირად ამარაგებდა კოსტუმებით მურაშკოს, არაქსიანის, ხარფუხისა და სხვათა სცენისმოყვარეებს და მათ დადგმებშიაც იღებდა მონაწილეობას.

პეტრე ქორქაძეს ეკუთვნის აგრეთვე, სახალხო თეატრის დაარსების თაოსნობა საბურთალოში.

მამის გარდაცვალების შემდეგ პ. ქორქაძეს გორში გაუყიდია ორსართულიანი შენობა და საბურთალოზე სამხედრო გზის მარჯვენა ნაპირას აუშენებია სახლი (ახლანდელი სპორტის სასახლის წინა მოედანი).

ამ დროს საბურთალოს მცხოვრებნი მოკლებულნი ყოფილან კულტურულ გართობას, სკოლას, სამკითხველოსა და თეატრს.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს პ. ქორქაძის ინიციატივით შეკრებილან მეზობლები: ბაქრაძე, კუხიანიძე, ბანაგაშვილი, ჩიტაშვილი, სცენისმოყვარე ძნელაძე, ლაფაჩი და ქალაქის თავისათვის მიუმართავთ. ლ. ბაქრაძე, როგორც მეფის მოხელე, ამ წამოწყებას წინ უძღოდა თურმე. ქალაქის თავს შეუბღვერია და უპასუხნია: რა, მეფის მოხელევ, შენც ჩვენს საწინააღმდეგოდ გინდა თეატრი დააარსოო. გაბრაზებით უთქვამს მმართველს და მტკიცე უარით გამოუსტუმრებია.

მეფის მთავრობა, დახმარების მაგიერ ხელს უშლიდა ყოველგვარ კულტურულ წამოწყებას, რათა ხალხი სიბნელეში ჰყოლოდა და არასდროს ღირსებოდა დღის სინათლეზე გამოსვლა. სამაგიეროდ ხელს უწყობდა რესტორანსამიკიტნოების გამრავლებას, სადაც იფლანგებოდა მშრომელთა უმეტესი ნაწილის ტანჯვითა და მწარე ოფლით ნაშოვნი ფული.

— მეტი გზა არ არის, ამ კეთილშობილურ წამოწყებისათვის ისევ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, ეუბნებოდა პ. ქორქაძე ამხანაგებს.

მართლაც ამ სათეატრო საქმით იმდენად ყოფილა იგი დაინტერესებული, რომ საბურთალოში ოღონდ თეატრი დაარსებულიყო და არაფერზე უკან არ იხევდა.

— აჰა, ეს ოთახი და ეზო თეატრისათვის შემიწირავს, უთხრა აღფრთოვანებულმა ქორქაძემ ერთ დღეს ამხანაგებს, ავაშენოთ და ვემსახუროთ ხალხს. მან თავისი ბინიდან მისცა 38 კვადრატული მეტრი ოთახი და ეზო, სადაც მიშენდებოდა მაყურებელთა დარბაზი.

ასე დაწყებულა მშენებლობა. ყველა გატაცებით მუშაობდა. არ ზოგავდა ენერგიას, შრომასა და სახსრებს, ვისაც რა შეეძლო. მალე დამთავრდა პატარა და კოპწია სათეატრო შენობა, რომელიც 120 კაცს იტევდა.

ვიდრე მსახიობთა ჩასაცმელ ოთახს მიაშენებდნენ, მსახიობები ქორქაძის საცხოვრებელ ოთახში იცვამდნენ და ისე გამოდიოდნენ სცენაზე. ქორქაძეს ყველა სპექტაკლისათვის თავისი საკუთარი ხელით შეკერილი კოსტუმები ჰქონდა. დეკორაციით და სკამებით ქართული თეატრი დახმარებია, ზოგი რამ კი შემოსავლიდან შეუძენიათ.

1915 წლის 15 თებერვალს, ნაშუადღევის 1 საათზე აკურთხეს საბურთალოს თეატრი. გახსნას დაესწრნენ სახალხო თეატრისა და პრესის წარმომადგენლები და მრავალი ხალხი. მისალოცი სიტყვები წარმოუთქვამთ გამგეობის თავმჯდომარეს ლ. ბაქრაძეს, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორს ი. იმედაშვილს, ნაძალადევის სცენისმოყვარეთა წრის სახელით ს. სვიმონიძეს (გოგოლაშვილი), ავლაბრის სცენისმოყვარეთა სახელით თ. ნასიძეს, ხარფუხის — გ. შათირიშვილს. საღამოს წარმოადგინეს „ძუნწი“ და „დატრიალდა ჯარა“. წარმოდგენის დაწყებამდე ი. ნაკაშიძეს წაუკითხავს რეფერატი ხელოვნების მნიშვნელობაზე.

ამ დღიდან ამ პატარა თეატრის სცენაზე ყოველ შაბათ-კვირას სისტემატურად იდგმებოდა წარმოდგენები, სადაც დიდძალი ხალხი ესწრებოდა.

ერთხელ ამ თეატრში საგასტროლოდ მოუწვევიათ განსვენებული ელ. ჩერქეზიშვილი, რომელიც ვაი-ვაგლახით ჩაუძვრენიათ თეატრის სცენის ქვეშ ღრმა სარდაფში, თუ საფლავში, რასაც უფრო ედრებოდა. ელისაბედს ჯერ კარების ჩარჩოსათვის მიურტყამს თავი და ჩიხტი გვერდზე მოქცევია, ხოლო მერე კარების რაზისათვის გამოუდვია შესანიშნავი კახური დაბასმული ლეჩაქი და შუაზე გაჰფხრეწია, წელში წახრილს სარტყელზე ფეხი დაუდგამს და სამჯერ პირამალით ჩაუვლია სარდაფის დაქანებული დერეფანი. სცენისმოყვარეები მისცვივდნენ თურმე და ზეზე წამოაყენეს, თუმცა ამ სურათის მნახველნი სიცილს ვერ იკავებდნენ, მაინც გულმტკივნეულად ეკითხებოდნენ: „ხომ მშვიდობით გადარჩით ამ მოულოდნელ ხიფათს? ზოგი მკლავებს უზელდა, ზოგი ჩიხტს უსწორებდა, ზოგი წელიდან ჩამოწყვეტილ სარტყელს აწოდებდა. სარკესთან სკამი მიუდგამთ და ზედ დაუბრძანებიათ, მაგრამ ამ ცერემონიით ვერ მოუგიათ მისი გული, — ლიზა მეტად აღელვებული და მასთან შეშინებული ყოფილა, როდესაც გონზე მოსულა და ტკივილები დაყუჩებია დაუწყია თავისებურად ლანძღვა-გინება: ჰაი, თქვენ ლირფებო! ამხელა დედაკაცს სად მიმათრევდით, სად ჩამაგდეთ ამ ჯურღმულში ,რომ აღარც ლეჩაქი შემრჩა, აღარც ჩიხტი და არც სარტყელ-გულისპირი? ეს თუ იცოდით, რატომ წინასწარ არ

გამაფრთხილეთო, ყველაფერს სახლში გავიხდიდი გიჟ მანუკასავით, თქვე გასაწყვეტნო, თქვენა! რომ იცინით კიდეც! ხმა გაწყვიტეთ, თქვენ ლირფებო თქვენ!

სცენისმოყვარეები ისმენდნენ ჩერქეზიშვილის წყევლა-კრულვას და პასუხის ნაცვლად სიცილით იხოცებოდნენ...

ამ დროს მსახიობ ანკარას სარდაფში ჩაუხედია და ჩაუძახია, — შაქრო ჩიტაშვილი მანდ თუ არისო. ეს შ. ჩიტაშვილი თეატრალური გრიმიორი ყოფილა. ანკარას ხმა რომ გაუგონია, ლიზას შეუძახია: გოგო! თუ აქ მოდიხარ, ყველაფერი მანდ გაიხადე, თორემ თუ აგრე ჩამოხვალ შენც ჩემსავით ყველაფერი გაგეფხრიწებაო.

— არა, დეიდა ლიზა. მე დიდიხანია ვიცნობ მაგ ჯურღმულს და შეჩვეულიც ვარ, აბა მიყურე, დეიდა ლიზა, როგორ ჩამევირბინოვო!

ამ ტრაბახით თავქვე დერეფანში დაშვებულა, სველ ნიადაგზე დასხლეტია ფეხი და გულაღმა ჩაცურებულა ქვემოთ. სიცილი განმეორებულა, მაგრამ თუ აქამდე დეიდა ლიზასი ეხათრებოდათ, ახლა სიცილს მოუცავს საგრიმიორო ჯურღმული, იცინოდა ყველა, იცინოდა საშიშროებას გამოვლილი ლიზაც.

ძველი სცენისმოყვარე გ. ბარელი (ყანჩელი) აი, რას გვიამბობს საბურთალოს თეატრის დაარსების შესახებ: „დიდი ხნის ძიების შემდეგ გავიცანი ამჟამად საბურთალოზე მცხოვრებნი და ამავე უბნის სახალხო თეატრის დამაარსებელნი უხუცესი პენსიონერი ლუკა ბაქრაძე და მასთან ერთად ამ საქმეში ბევრი ჭირ-ვარამის მნახველი პენსიონერი გიორგი ქორქაძე.

დაწვრილებით, დოკუმენტალურად გამაცნო ყოფილი სახალხო თეატრის დაარსების დრო, ადგილი, მიზანი და ამ შრომაში მონაწილე ამხანაგების ვინაობა და მათი ღვაწლი. ლ. ბაქრაძემ შორიდან დაიწყო: ჯერ საბურთალოს გაშენების ამბავი მოგვითხრო და შემდეგ ხსენებული სახალხო თეატრის დაარსების, და მუშაობის შესახებ, აი რას გვიამბობს.

იმ დროინდელ მიბნელბეულ და უგზო-უკვლო, ტალახიან სამაზრო უბანში თავისი განვლილი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამბავს ისე ლამაზად და გატაცებით გვიამბობდა, რომ სმენად ვიყავი გადაქცეული. ეს რომ შემნიშნა, თავისი ნათქვამის დასამტკიცებლად გამოსწია საწერი მაგიდის უჯრა, საიდანაც ამოალაგა 1915 წლის ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" № 8 და № 9. მერე სიხარულისაგან სახე გაბრწყინებულმა გადაფურცლა, ჩამახედა და მითხრა: აი მეგობარო... ჩემი ახალგაზრდობისა და ჩემი წარსული სახალხო მოღვაწეობის დამადასტურებელი ეს ორი დოკუმენტიდა შემრჩა.

აი, ნახე, მეგობარო: ამ ჟურნალის პირველ გვერდზე დაბეჭდილია ჩვენი საყვარელი საბურთალოს სახალხო თეატრის წინა ფარდა, რომლის შინაარსი

რომაელთა ცხოვრებიდან არის აღებული. ამ ფარდით და აგრეთვე დასადგმელი პიესებისათვის საჭირო მეტიწილი დეკორაციებით სრულიად უსასყიდლოდ სცენა დაგვიმშვენა ცნობილმა მხატვარმა, ამჟამად ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ვანო ვეფხვაძემ, გვითხრა ბაქრაძემ და სამთავემ განცვიფრებით დავუწყეთ სინჯვა წითელ ფონზე დაბეჭდილ საბურთალოს სახალხო თეატრის წინა ფარდას, რომელიც მართლა ლამაზად შეუსრულებია მხატვარ ვეფხვაძის ძადლიან ფუნჯს.

— აი ესეც. საბურთალოს თეატრის გამგეობის ფოტოსურათი, ესეც ჩვენი თეატრი, რომელიც 1915 წლის 15 თებერვალს ვაკურთხებინეთ და სეზონიც დავიწყეთ, — მიმითითეს ჟურნალის გვერდზე დაბეჭდილ სურათზე და ძველი საბურთალოს სცენის ეს ორი მემატიანე იმდენად აღტაცებულნი იყვნენ, რომ ერთი მეორეს არ აცლიდა ლაპარაკს. — ესეც ჩვენი თეატრის ხედი, — და სურათი მაჩვენა, სადაც თეატრის სახურავზე სამი დროშა მოსჩანდა. თეატრის წინ აუარებელ ხალხს მოეყარა თავი, ეტყობა გადაღებას ელოდა. — ჩვენი თეატრი — გაიმეორა ქორქაძემ და სურათის ბოლოში მიწერილი სტრიქონი წაიკითხა: „საბურთალოს სახალხო თეატრი“ და მის კურთხევაზე დამსწრე ნაცნობ-მეგობრებს.

— „აი, მეგობარო ბარელო, როგორ მოგწონს? ხომ ხედავ ამ ჩვენი ნაჭირნახულევის შედეგის ზეიმს? ეს ყველაფერი დიდი გაჭირვებით არის შექმნილი. ამის გულისათვის, ვინ იცის, რამდენი გადაგვიტანია, უვიცი ხალხისაგან დაცინვა და ბევრი შეურაცხმყოფელი სიტყვები გაგვიგონია, მაგრამ მდუმარებით გადაგვიტანია. ერთმა უტიფარმა ვიგინდარამ ესეც კი გაგვაგონა: „ყველა ბედნიერებასთან საბურთალოს ერთი საროსკიპო აკლდა და ესეც ხომ დაარსეთო...“

— მაგრამ, — განაგრძო ბაქრაძემ: — მაინც ჩვენი გავიტანეთ და ჩვენი ბეჩავი ხალხის გონების გამხსნელ კულტურის კერას ბრწყინვალე გვირგვინი დავადგით. ამ სიტყვებზე ლუკამ გადამიშალა „თეატრი და ცხოვრება“ — № 9 და აღტაცებით დაიწყო კითხვა: „საბურთალოს სახალხო თეატრი“. კვირას, 1 მარტს, 1915 წელს ადგილობრივი სცენისმოყვარეთა წრის მიერ ა. მეტრეველის, ბეგლარაძის და შაქრო საფაროვის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „დამარცხებულნი“, დრამა 5 მოქმედებად პ. ირეთელისა. მონაწილეობას მიიღებენ წრის სცენისმოყვარენი. ანტრაქტებში დაუკრავს გიტარა-მანდოლინის ორკესტრი გ. საყვარელიძის ხელმძღვანელობით, ადგილების ფასი 10 კაპიკიდან 50 კაპიკამდე, ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში. დასაწყისი საღამოს 6 1/2 საათზე. რეჟისორი შაქრო საფაროვი. გამგეობის მორიგე წევრე-

ბი: პ. ხეთაგაშვილი და ივანე ქორფაშვილი, ადმინისტრატორი ბურძგლა". — აი, მეგობარო ბარელო, — მეუბნება ლუკა, — ჩვენი თეატრალური განცხადება. ვენაცვალე განსვენებულ ძველ ქართველ მოღვაწეს, ამ ჟურნალის დამაარსებელს, რედაქტორს იოსებ იმედაშვილს. იგი ყოველთვის დიდ პატივს სცემდა ჩვენს სახალხო თეატრს და ეხებოდა ჩვენს ჭირსა და ლხინს.

ამავე ჟურნალის № 8-ში ვკითხულობ სათაურს „საბურთალოს თეატრი". „აკურთხეს 15 თებერვალს, ნაშუადღევის 1 საათზე... დაესწრო დიდძალი ხალხი. თეატრი მოთავსებულია გ. ქორქაძის სახლში, ეტევა 120 კაცი".

...შევეკითხე ლ. ბაქრაძეს, — გარდერობი გქონდათ თუ არა, სპექტაკლისათვის, საჭირო ტანისამოსს სად შოულობდით-მეთქი? რასა ბრძანებთო, მიპასუხა მან, — ტანისამოსი იმდენი მქონდა, რომ თითქმის ყველა თეატრს ჩემი გარდერობიდან მიჰქონდათ. თვითონ ქართულ თეატრსაც, სანამ დაიწვებოდა, თუ რაიმე ტანისამოსი დასჭირდებოდა, ჩემი გარდერობიდან სარგებლობდა.

მართალი უნდა ითქვას, რომ სხვა ქველმოქმედებთან ერთად ქართული თეატრიც დაგვეხმარა და მოგვცა 100 სკამი და ნახევრად ნახანძრალი დეკორაციები, რომლებიც ჩვენს პატარა სცენას დიდად გამოადგაო. რაც შეეხება პიესისათვის საჭირო რეკვიზიტს — ხალიჩებს, ფარდაგებს, სუფრებს და სხვა ნივთ-ავეჯეულობას, სანამ საკუთარს შევიძენდით, მეზობლებში ვშოულობდით. ამ გაბაასების შემდეგ ლ. ბაქრაძეს და გ. ქორქაძესაც ვთხოვე ისევ საბურთალოს სახალხო თეატრის დაარსების ირგვლივ ელაპარაკნათ, რაც მათ დიდის გულმოდგინებით შემისრულეს[1]".

პ. ქორქაძის სახლში პატარა და კოხტა თეატრის დაარსებიდან გადიოდა წლები, თანდათან საგრძნობლად იზრდებოდა საბურთალოს მოსახლეობასთან ერთად თეატრის მაყურებელთა რიცხვიც. ამიტომ საჭირო გამხდარა უფრო ფართო დარბაზის გამონახვა. ეს ღონისძიებაც გატარებულა და 1919 წელს კი სახალხო თეატრი და სამკითხველო გადაუტანიათ ყოფილ რესტორან „რასვეტის" შენობაში, რომელიც გამგეობის თხოვნით ო. გაბაშვილს დაუთმია სრულიად უსასყიდლოდ და შემდეგ საკუთრებად გადაუცია თეატრისა და სამკითხველოსათვის. მალე ამ შენობაში გადაუტანიათ კინოც და გაუხსნიათ სახალხო უნივერსიტეტის განყოფილება. ყოველ შაბათს ეწყობოდა აქ თურმე ლექციები სხვადასხვა თემაზე. ლექციები იკითხებოდა ქართულ ენაზე, რასაც უამრავი ხალხი ესწრებოდა. ლექტორები იყვნენ ვ. ბარნოვი, ი. გომართელი, მ. შალამ-

---

[1] გ. ბარელი (ჩანყელი), სცენისმოყვარის ჩანაწერები, გამომც. „ხელოვნება", 1962, გვ. 29-30-31-33.

ბერიძე, ალ. წერეთელი, ს. ყორყოლიანი და ექიმი ტურაშვილი. ლექციები იკითხებოდა უფასოდ.

გადიოდა წლები, ამ ხნის მანძილზე დაიზარდნენ პ. ქორქაძის შვილები. პეტრეს სახლში მიუყვანია თვარაძე და ერთ-ერთი სპექტაკლისათვის მოუმზადებია თავისი ხუთი შვილი. პიესას მაყურებლის იმდენად დიდი მოწონება დაუმსახურებია, რომ შემდეგ დიღმის კლუბშიაც მიუწვევიათ, გახარებული მამა თან დასდევდა თურმე.

ხანში შესულ პეტრეს, რომელიც ოთხმოც წელს მიღწეული იყო, არ უნელდებოდა თეატრისადმი სიყვარული და კვლავაც ხალისიანად განაგრძობდა მუშაობას. მას ხშირად ეძახდნენ მოზარდ მაყურებელთა თეატრში ქართული ტანსაცმლის შესაკერად, როგორც საუკეთესო მცოდნე ხელოსანს.

პ. ქორქაძის მიერ შესრულებული ტანსაცმელი დღესაც ამშვენებს ჩვენი დედაქალაქის თეატრებს, მაგრამ ყველაზე დიდი სიყვარული პეტრესათვის ყოფილა ის, რომ 1938 წელს მიწვეული იყო მოსკოვში მცირე თეატრში გ. მდივნის სპექტაკლ „სამშობლოსათვის" კოსტუმების შესაკერად.

პ. ქორქაძე არა მარტო ქართული თეატრის დაუღალავი მოღვაწე იყო, არამედ მშვიდობის სურვილით გამსჭვალულს, არასოდეს არ დაუზოგავს თავი მეფის მთავრობის მოსასპობად და მშრომელი ხალხის გასამარჯვებლად.

პ. ქორქაძე სათეატრო ხელოვნებასთან ერთად აქტიურად ყოფილა ჩაბმული რევოლუციურ მუშაობაშიც. პეტრეს დაბადებამდე მის მშობლებს გოგონები შეძენიათ. გადაუწყვეტიათ თუ ვაჟი გაჩნდებოდა გერის წმინდა გიორგის ეკლესიაში მონათლავდნენ. მართლაც შეეძინათ ვაჟი. მოუნათლავთ და დაურქმევიათ პეტრე, გორელები კი თურმე გერისოს ეძახდნენ, რადგან გერში იყო მონათლული. როცა პეტრე თბილისში ჩამოსულა, თავმომწონე ახალგაზრდას არ მოსწონებია სახელი პეტრე, ამიტომ საკუთარი სახელი დაუმალავს და ყველას გიორგით გასცნობია. მას მეოთხე სახელიც ჰქონია, რევოლუციური ფსევდონიმი „გორელი დერციკი".

1907 წელს პეტრეს ერთ-ერთ ოჯახისათვის ყუმბარები მიუბარებია. ვიღაცას გაუცია. პოლიციას ეს ბინა გაუჩხრეკია და როცა ოჯახის პატრონი დაუპატიმრებიათ, ცოლს ეს ვერ აუტანია და ყველაფერი უთქვამს.

— ჩვენი არ არის, გორელ დერციკმა მოიტანა, ჩემი ქმარი დამნაშავე არ არისო.

პოლიციას კი ჯაშუშების საშუალებით გაუგია „გორელი დერციკის" ვინაობა, ქორქაძის ბინისათვის ალყა შემოურტყამთ, ყველაფერი გადაუბრუნებიათ, სახურავზეც კი ასულან, მაგრამ ვერაფერი აღმოუჩენიათ. პეტრე კი თეატრში დაუპატიმრებიათ, თუმცა ვერაფერი უნახავთ, მაინც მეტეხის ცი-

ხეში ჩაუსვამთ. პატიმარი ვერ გამოუტეხიათ და იძულებული გამხდარან გაენთავისუფლებიათ.

პ. ქორქაძის დევნას პოლიცია კვლავ განაგრძობდა თურმე. სპეციალური ჯაშუშები მიუჩენიათ და თვალყურს ადევნებდნენ, მათ იცოდნენ იარაღი რომ მიჰქონდა და რევოლუციურ ორგანიზაციებს აბარებდა. ერთხელ ქორქაძე ჟანდარმთა კაპიტანს დაუპატიმრებია. ხელ-ფეხზე ბორკილდადებული მეტეხის ციხეში წაუყვანია. საბუთი ვერ ჩაუგდიათ ხელში, უნდოდათ გამოეტეხათ, მაგრამ ვერ გამოუტეხიათ, შემდეგ ცოლიც წაუყვანიათ დასაკითხათ, მაგრამ უარის მეტი ვერაფერი გაუგიათ სოფიოსაგან. პეტრე რამდენიმე ხანს ჰყოლიათ ასე და მერე იძულებული გამხდარან გაენთავისუფლებინათ.

პ. ქორქაძის მუდმივი სატარებელი ტანსაცმელი ყოფილა კოსტუმი და შლიაპა, რომელიც ძალზე უხდებოდა თურმე მის მაღალ ტანსა და განიერ მხარაბეჭს — სიცოცხლით სავსეს, ენერგიულ და ხალისიან ახალგაზრდას, ელეგანტურ გამომეტყველებას აძლევდა.

დაუნიშნიათ ტერორი. ამის შესახებ მის მეგობრებს გაუფრთხილებიათ იგი, რათა გასცლოდა იქაურობას. მეორე დღეს ვიდრე პ. ქორქაძე გაიპარებოდა, მის სახლს ჯაშუშები აქეთ-იქიდან ჩასაფრებიან, მაგრამ ამჯერადაც ამხანაგების წყალობით ჩოხაში გამოწყობილი პ. ქორქაძე მაინც გაპარვია ჯაშუშებს გორისაკენ.

გორიდან რამდენიმე დღეში დაბრუნებულა პ. ქორქაძე თბილისში და ამავე ტანისამოსით ჩაუვლია გოლოვინის პროსპექტზე (ახლანდელი რუსთაველის პროსპექტი). მოულოდნელად უსვრიათ მისთვის, მაგრამ მის მაგიერ სახედარს მოხვედრია და იქვე დაცემულა, მაწვნით სავსე ქილები დაუმტვრევია. პ. ქორქაძეს დაზარალებული გლეხისათვის მთელი ზარალი აუნაზღაურებია.

პოლიციელებს თურმე მაინც არ შეუწყვეტიათ დევნა. ჯაშუშები ისევ განაგრძობდნენ თავიანთ საქმეს და დაწვრილებით იგებდნენ როდის და სად იმყოფებოდა, მაგრამ პეტრე მუდამ ახერხებდა მათი კვალის აბნევას, ხშირად იცვლიდა კოსტუმებს.

ერთ დღეს პ. ქორქაძე ცხინვალში მიდიოდა, სპექტაკლისათვის ტანისამოსი მიჰქონდა. გორში ჩასულა თუ არა მაშინვე შეუპყრიათ და ჟანდარმთა უფროსთან ვინმე შოშიაშვილთან მიუყვანიათ. პეტრეს აუხსნია მდგომარეობა. შოშიაშვილს საბუთები მაინც ჩამოურთმევია.

— უკან რომ დაბრუნდები, მაშინ აიღეო, უთქვამს შოშიაშვილს და გაუშვია.

პ. ქორქაძე მშვიდობიანად ჩასულა, ყველაფერს კარგად ჩაუვლია, იქიდან დაბრუნებისას კი შოშიაშვილისათვის მიუკითხავს. გულობილი ხალმით შეხ-

ვედრია. პეტრეს შოშიაშვილი, საბუთებიც მიუცია და იმავე დღეს დიდის ამბით დაუპატიჟებია სადილად. პეტრე მის სიტყვებს ენდო, ეწვია სახლში. სადილის შემდეგ სტუმარი ტკბილად გამოუსტუმრებია მასპინძელს, მაგრამ გზაზე ჟანდარმები დაუდევნებია და, როგორც რევოლუციონერი, დაუპატიმრებიათ. მთელი კვირა ყოფილა იგი დაკავებული, ვიდრე გორელების დახმარებით არ გაანთავისუფლეს.

თბილისში დაბრუნებულმა პ. ქორქაძემ გაზეთში გამოაქვეყნა შოშიაშვილის მზაკვრობის ამბავი.

□□

არ შეიძლება ასევე არ მოვიგონოთ იმ ადამიანთა ღვაწლი, რომელთაც გარკვეული ამაგი მიუძღვით პირველი სახალხო (მურაშკოსა და არაქსიანის) თეატრებისათვის ავლაბარში — მურაშკოს თეატრის მშენებლობისა და არაქსიანის თეატრის ქართველ სცენისმოყვარეთა წრისათვის ტანსაცმლითა და რეკვიზიტით დახმარების საქმეში.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, კვეზერელ-კოპაძის გადმოცემით მურაშკოს თეატრის მშენებლობისათვის ფულადი სახსრები გაუღია დ. ზ. სარაჯიშვილს. ამ აზრის გასამაგრებლად მინდა მოვიტანო თუ რას წერდა 1911 წელს სახალხო მხატვარი მოსე თოიძე. „დავით ზაქარიას ძე უყურადღებოდ არავის ტოვებდა. მისი მგრძნობიარე გული ყველასათვის ფეთქავდა, მაგრამ ხელოვნების მუშაკთა მეგობარი ჩვენში პირველი ის იყო. მხოლოდ იმას შეეძლო როგორც ნივთიერი, ისე ზნეობრივი დახმარება“[1].

რაც შეეხება არაქსიანის თეატრისათვის ტანსაცმლითა და რეკვიზიტით მომარაგებას, ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ილარიონსა და დავით ფორაქიშვილებს.

„პ. კარბელაშვილის გადმოცემით, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ქართველ სოვდაგრებს შორის გამოირჩეოდნენ ფორაქიშვილები და სარაჯიშვილები, რომლებიც მემკვიდრეობით აწარმოებდნენ ალებ-მიცემობას. „კარგად მახსოვან, — წერს პ. კარბელაშვილი, — ზაქარია დავითის ძე სარაჯიშვილი, მამა ჩვენი ქველმოქმედი დავით სარაჯიშვილისა და ადამ ფორაქიშვილი“[2].

ადამი ივანეს ძე და დავით ილარიონის ძე ფორაქიშვილები იყვნენ დ. ზ.

---

[1] ა. სტეფანიშვილი, დავით სარაჯიშვილი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1968 წ. გვ. 44.

[2] იქვე, გვ. 4.

სარაჯიშვილის ანდერძის შემსრულებლები. (ადამი იყო დ. სარაჯიშვილის მეუღლის — ეკ. ფორაქიშვილის ძმა, დავითი კი ბიძაშვილი).

როგორც სარაჯიშვილები, ისე ფორაქიშვილები იწოდებოდნენ წარმოშობით ქალაქის საპატიო მოქალაქეებად. ეწეოდნენ ქველმოქმედებასა და მეცენატობას.

დავით ილარიონის ძე ფორაქიშვილსა და მის მეუღლეს თინათინ ვაჩნაძესაც ჰყავდა სტიპენდიანტები. ერთ-ერთი მათგანია ამჟამად კარგად ცნობილი ექიმი ნიკოლოზ თამაზის ძე ანდრონიკაშვილი.

და აი, როცა 1908-1909 წლებში მურაშკოსა და არაქსიანის თეატრთან არსებული ქართული სცენისმოყვარეთა დასი სისტემატურად დგამდა წარმოდგენებს, ძირითადად თავიანთი ან მეზობლისაგან ნათხოვი ტანსაცმლით გამოდიოდნენ სცენაზე, რაც დიდად უშლიდა ხელს პიესის მაღალ დონეზე ჩატარებაში. ამიტომ დაისვა საკითხი საკუთარი რეკვიზიტის შეძენის შესახებ. დასის წევრებს არ შეეძლოთ საკუთარი სახსრებით ეყიდათ. ამიტომ თეატრის ცნობილმა ხელმძღვანელმა და ორგანიზატორმა თომა ნასიძემ ითავა ამ საქმის მოგვარება. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ავლაბარში მცხოვრებ ქველმოქმედ პირთა შორის. მან ინახულა ცნობილი ქველმოქმედი დავით ილარიონის ძე (ზურაბ და გიგა ფორაქიშვილების ბაბუა) და სიმონ ილარიონის ძე ფორაქიშვილები (რომელთაც თამამშევის ქარვასლაში ფართლეულობის მაღაზია ჰქონდათ) და თხოვა დახმარება. მათ სცენისმოყვარეებისათვის შეაკერინეს სხვადასხვა სახის ტანსაცმელი და ჩააბარეს თეატრის ძველ მუშაკს ბესო მაისურაძეს, რომელსაც 1918 წლამდე ინახავდა. ყოველი სპექტაკლის დროს ეს ტანსაცმელი მოჰქონდა და წარმოდგენის დამთავრების შემდეგ, როგორც კანონი, უკანვე სახლში მიჰქონდა.

ამის შესახებ აი რას ვკითხულობთ: „ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ავლაბრის სახალხო თეატრების საქმიანობაში და საერთოდ კულტურულ მოღვაწეობაში პეტრე და თომა ნასიძეებს დიდი ღვაწლი მიუძღვით. მათი გამოჩენის შემდეგ სახალხო თეატრის ავტორიტეტი კიდევ უფრო ამაღლდა. ამასთან ძმები ნასიძეების გავლენით ცნობილმა ქველმოქმედმა ფორაქიშვილმა, კვეზერელ-კოპაძემ და მიხ. იანვარაშვილმა ავლაბრის წრეს 200 მეტრი საუკეთესო ხავერდის მატერია, საშარვლე და საპერანგე ქსოვილები, საწაღე და საქუდე ტყავები შესწირეს, რომლიდანაც ჩვენი სცენის ამაგდარმა და ძველმა სცენისმოყვარე ბესო მაისურაძემ სხვადასხვა სახის ქართული ქულაჯები თავისი ხელით შეკერა. ერთხანს ამ წრის ქულაჯებით ძველად ცნობილი ალექსანდრე მაისურაძის მომღერალთა გუნდი გამოდიოდა დღესასწაულებსა და კონცერტებზე. იყო მრავალი შემთხვევა, როცა ქართულმა დიდმა თეატრმა ითხოვა ჩვენი

წრის ქულაჯები, კერძოდ, ქულაჯა ლევან ხიმშიაშვილისათვის („სამშობლო“) და ქათიბი ხანუმასათვის („ხანუმა“). ამით წახალისებულმა ჩვენმა წრემ გლეხური და ევროპული ტანისამოსის მთელი გარდერობი შეიძინა და იმდენად გამდიდრდა, რომ შემდეგში სხვა სახალხო თეატრებსაც ახმარდნენ ქირით თუ უქიროდ“[1].

1912 წელს, როდესაც იოსებ გოძიაშვილმა ჩამოაყალიბა ქართველ ქალებისა და ვაჟებისაგან შემდგარი ორი მომღერალთა გუნდი და გადაწყვიტა კონცერტების გამართვა ზუბალაშვილების სახალხო სახლში, ი. გოძიაშვილმა დახმარებისათვის მიმართა ფორაქიშვილებს, რათა ორივე გუნდისათვის ერთი ფორმის ტანსაცმელი შეეკერა. ქალებს კაბები და ვაჟებს ქულაჯები. მათ გაიღეს საჭირო თანხა, ორივე გუნდისათვის (100 კაცისათვის) შეაკერინეს ტანსაცმელი, რომლითაც გამოდიოდნენ კონცერტებზე, თვითეული მომღერალი თავის ტანსაცმელს თვითონ ინახავდა პირადად.

ის სახლი, სადაც ცხოვრობდა ილარიონი და შემდეგ მისი შვილები დავითი და სიმონი ახლაც არის ავლაბარში ჩეხოვის № 1-ში. ამ სახლს აქვს ქართული დარბაზი, რომელიც ამჟამად კულტურის სამინისტროს განკარგულებაშია. იგი უნდა აღსდგეს როგორც ერთადერთი უძველესი ნიმუში თბილისში.

აქვე მინდა აღვნიშნო ისიც, რომ დავით ფორაქიშვილს ყავდა ხუთი შვილი: გიორგი, ილია, მიხეილი, ზაქარია და ირაკლი. მათ შორის ილია და მიხეილი იღებდნენ მონაწილეობას რევოლუციურ მოძრაობაში. ილია მოჰკლეს ავლაბარში მეტეხის ციხესთან ხიდზე, მარსელიეზის სიმღერის დროს, ხოლო მიხეილი მოსკოვში სწავლის პერიოდში დაუპატიმრებიათ და იქვე გარდაცვლილა.

ცნობილია მოსკოვის უნივერსიტეტის როლი რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში. მოსკოვის უნივერსიტეტი რევოლუციური აღმავლობის პერიოდში 1905 წელს, გადაიქცა მოსკოვის რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ ცენტრად, აქ მოსწავლე ქართველი სტუდენტები გამსჭვალული ყოფილან რევოლუციური სულისკვეთებით და ყოველმხრივ მხარში ედგნენ რევოლუციურად განწყობილ რუს და სხვა ეროვნების ახალგაზრდობას. რუსეთში მცხოვრებ ქართველ სტუდენტებს არა ერთხელ შეუსრულებიათ რთული რევოლუციური დავალებანი, რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის არა ერთ გზის მიუღიათ სასჯელი.

---

[1] დ. მელაშვილი, ისნის სახალხო თეატრი, გამომც. „ხელოვნება“, 1955, გვ. 25

და აი, 1906 წლის 9 აპრილს ასეთი ერთ-ერთი სასჯელის მსხვერპლი გამხდარა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი მ. ფორაქიშვილი, რომელიც რევოლუციური მოძრაობის პერიოდში უნივერსიტეტში ჩხრეკის დროს დაუპატიმრებიათ. ამის შესახებ ვკითხულობთ: „1906 წლის 9 აპრილს ერთ-ერთი ასეთი ჩხრეკის დროს დაპატიმრებული იყვნენ მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტები მიხეილ ფორაქიშვილი და გიორგი მახვილაძე. მათ 19 თვე დაჰყვეს ციხეში; 13 ნოემბერს, — წერს გაზეთი „შუქი", — ავადმყოფობის გამო თავდებით გაანთავისუფლეს და მოსკოვში ჩამოიყანეს მიშა ფორაქიშვილი, მაგრამ მან ერთი თვეც ვეღარ იცოცხლა. 1908 წლის 9 სექტემბერს გარდაიცვალა სიცოცხლით სავსე მგზნებარე რევოლუციონერი"[1].

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მუშა რევოლუციონერი, ნაძალადევის სახალხო თეატრის ძველი სცენისმოყვარე ამირან ადამაშვილი, რომელიც ს. გოგაშვილთან ერთად აქტიურად იყო ჩაბმული აგრეთვე ავლაბრის სახალხო თეატრის შემოქმედებით მუშაობაში.

ა. ადამაშვილი ჯერ 16 წლისა ჩაება თბილისის მთავარ სახელოსნოს შრომით საქმიანობაში. მუშაობდა ჯერ ჩამომსხმელის შეგირდად, ხოლო შემდეგ ჩამომსხმელად. პარალელურად კი საღამოობით დადიოდა რეპეტიციებზე. იგი ასევე აქტიურად მუშაობდა მუშა კორესპონდენტად გაზეთებში „მუშა", „ახალგაზრდა კომუნისტი" და „კომუნისტში". და ამავე დროს იყო საგანგებო დანიშნულების კომკავშირულ შეიარაღებულ რაზმში, რომელიც ჩამოყალიბებული იყო ლენინის რაიონის პარტრაიკომთან. იმ დროს მოსკოვიდან ახლად ჩამოსული მ. ცხაკაია მივიდა რაიკომში და საუბარი ჰქონდა ამ რაზმის წევრებთან ა. ადამაშვილი, როგორც ამ რაზმის აქტიური წევრი წარუდგინეს ამხ. მ. ცხაკაიას.

1924 წლის აგვისტოში ა. ადამაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მენშევიკური გამოსვლების დროს. სადაც აღმოაჩინეს მენშევიკური პარიტეტული კომიტეტი ჯვრის მონასტერში და მენშევიკური არალეგალური სტამბა ლოტკინის გორაზე. ამ დღიდან მენშევიკებმა დაუწყეს მას დევნა. ადამაშვილმა კი ამის შესახებ მიმართა მ. ცხაკაიას. ცხაკაიამ მის შესახებ დაურეკა კომკავ-

---

[1] ირ. ტატიშვილი, თ. დეკანოზისძე, მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართული ახალგაზრდობა, გამომც. „საბჭოთა საქართველო", 1960, გვ. 362.

შირის რაიკომს, რომლის გადაწყვეტილებითაც იგი გაიგზავნა ქ. ბაქოში სასწავლებლად მ. ცხაკაიასა და ს. ორჯონიკიძის სპეციალური წერილით.

ა. ადამაშვილი თავისი აქტიური მუშაობის გამო მალე იქნა დაწინაურებული პასუხისმგებელ კომკავშირულ სამუშაოზე, რის შემდეგ იგი უფრო ხშირად ხვდებოდა მ. ცხაკაიას, როგორც ყრილობებზე, კონფერენციებზე, ისე მის ოჯახში. მიხა ცხაკაია კი ორჯერ არის ნამყოფი ა. ადამაშვილის სახლში, აინტერესებდა, როგორ ცხოვრობდა მრავალშვილიანი მისი მამის ოჯახი. იგი ხშირად ეხმარებოდა მათ მატერიალურად.

როცა მიხ. ცხაკაია სამუშაოდ მოსკოვში გადავიდა ა. ადამაშვილთან კავშირი არ გაუწყვეტია, ჰქონდა მიწერ-მოწერა. ეს წერილები ინახება მ. ცხაკაიას მემორიალურ მუზეუმში. ზოგიერთი კი მას დარჩა.

1969 წელს, როცა გაზეთ «Вечерни Тбилиси»-ს რედაქციამ ქ. ცხაკაიას პარტიულ რაიკომთან ერთად შეხვედრა მოაწყო თბილისის წარგზავნილებთან, რომელიც მიეძღვნა ლენინის დაბადების 100 წლისთავს. თბილისიდან მივლინებული იქნა ის პირები, რომლებიც ახლო იცნობდნენ და ახლო ურთიერთობა ჰქონდა მიხ. ცხაკაიასთან. ა. ადამიშვილთან ერთად იყვნენ დ. ლომაძე, ს. კიკაჩეიშვილი.

აი რას წერდა მაშინ ა. ადამაშვილი გაზეთში ამის შესახებ. „მე მქონდა შესაძლებლობა ახლოს ვყოფილიყავი მიხა ცხაკაიასთან, მის ოჯახთან. მე ხშირად ვყოფილვარ მის ოჯახში. მ. ცხაკაიამ დიდი როლი ითამაშა ჩემი ბედის, ჩემი ხასიათის ჩამოყალიბებაში.

მიხას ძალიან უყვარდა ხალხი. იყო გულთბილი, ყურადღებიანი და მგრძნობიარე. იგი ხშირად ხვდებოდა მუშებს, გლეხებსა და ინტელიგენციას. მისი ბინისა და სამუშაო კაბინეტის კარი მუდამ ღია იყო მშრომელებისათვის. მან გასცა განკარგულება, რომ თავის მდივანს შეეშვა ყველა ისინი, ვისაც სურდა მასთან შესვლა.

1944 წლის ზაფხულს მიხა ცხაკაიას თავს დაატყდა დიდი მწუხარება, გარდაეცვალა მეუღლე. ამ საშინელ და სამწუხარო დღეებში მან მომწერა წერილი, ნება მიბოძეთ წავიკითხო ამ წერილიდან რამდენიმე სტრიქონი.

„ჩემო ამირან“! მე ძალიან ვიღლები, უფრო მეტიც დღე-ღამეში ვისვენებ ოთხ საათს, იმდენი სხვადასხვა საქმე მიგროვდება, რომელიც აუცილებლად უნდა გავაკეთო. თუმცა ეს მე არ მიშლის, რადგან ბავშვობიდანვე მივეჩვიე

შრომას, მივეჩვიე იმასაც რომ პირადი სიხარულისა და მწუხარებისათვის არ დამრჩეს არც ერთი წუთი...“ წერილის ბოლოს: „შენი მიხა“.

ამ წერილს, როგორც სხვა წერილებს, ტელეგრამებს და ფოტოსურათებს მე ვინახავ, სათუთად, როგორც ძველ რელიკვიებს, როგორც მოსაგონარს იმ დიდ ადამიანზე, რომელიც ჩემთვის უძვირფასესად ფასობს.

შეხვედრის მონაწილეები დიდი მღელვარებით ათვალიერებდნენ ამ წმინდა რელიქვიუმს“[1].

[1] გაზ. «Вечерний Тбилиси», 1965, 1/VII.

1904

# ავლაბრის ახალი თეატრი არაქსიანისა

## შაბათს, 25 სექტემბერს

ქართულ-სომხურ სცენის მოყვარეთა ამხანაგობისგან წარმოდგენილ იქნება ქართულად

პირველად ახალი პიესა

# ძმის მკვლელი

[illegible]

ანტრაქტებში დაუკრავს სამხედრო მუსიკა

დასაწყისი სწორედ 8½ საათზე ◆ ადგილების ფასი 20 კ. 1 მ. ლოჟა 3 მ.

---

# НОВЫЙ АВЛАБАРСКІЙ ТЕАТРЪ АРАКСЯНА

## Въ Субботу, 25-го Сентября

Любителями Грузино-Армянской сцены представлено будетъ на Грузинскомъ языкѣ

ВЪ ПЕРВЫЙ РАЗЪ

# БРАТОУБІЙЦА

УЧАСТВУЮТЪ: Г-жи Чарекова, Сохадзе, Рчеулова, ... Г.г. ... [illegible]

Начало ровно въ 8½ час. вечера. ◆ Цѣны мѣстамъ отъ 20 к. до 1 р., ложи 3 р.

ВЪ АНТРАКТАХЪ БУДЕТЪ ИГРАТЬ МУЗЫКА

# დილის წარმოდგენა

ავლაბრის ახალი თეატრი არაქსიანისა.

**კვირას, 3-ს აპრილს, 1905 წ.**

ქართულ-სცენის მოყვარეთაგან

წარმოდგენილი იქნება ქართულად

# ცხოვრება

# ბრძოლაა

მონაწილეობენ

დასაწყისი დღის სრულ 11 საათზედ

ადგილების ფასები **50** კაპ. **10** კაპეიკამდე

---

## УТРЕННІЙ СПЕКТАКЛЬ

**НОВЫЙ АВЛАБАРСКІЙ ТЕАТРЪ АРАКСІАНА**

*Въ воскресенье, 3 апреля, 1905 г.*

# ЖИЗНЬ—БОРЬБА

**НАЧАЛО ВЪ 11 ЧАСОВЪ ДНЯ**

**ЦѢНЫ МѢСТАМЪ ОТЪ 50 КОП. ДО 10 К.**

1905

# თეატრი არაქსიანისა

კვირას, 8 მაისს,

ქართულ-სომხურ სცენის მოყვარეთა ამხანაგობის მიერ

წარმოდგენილი იქნება ქართულად

# ორი
# ჯიბგირი

მოქმედნი [illegible]

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ. ◆ ადგილების ფასი 80 კ. 25 კ.-მდე. [illegible]

ანტრაქტებში დაუკრავს მუსიკა.

წარმოდგენის შემდეგ ეტლები თეატრთან მზად იქნება.

ანონსი [illegible] პარიზელი ბიჭი. თავის ბრალია [illegible]

ГРУЗИНСКО-АРМЯНСКОЕ ТОВАРИЩЕСТВО

## АВЛАБАРЪ ТЕАТРЪ АРАКС...

*Въ Воскресенье, 8-го Мая 1905 года.*

Любителями драматической сцены дано [illegible] спектакль

# ДВА ВОРА

УЧАСТВУЮЩІЯ ЛИЦА: [illegible] Никифорова, М. Гарнаумъ, Н. [illegible] [illegible]

[illegible]

1906

[illegible]

ავლაბრის თეატრი

კვირას 25 ივნისს

წარმოდგენილი იქნება ქართული [illegible]

# შეერთებულის ძალით

და

# დივერტისმენტი

დასაწყისი დილის 11 საათზე, ფასები 10 კაპ. 50 [illegible]

АВЛАБАРСКІЙ ТЕАТРЪ

ВЪ ВОСКРЕСЕНЬЕ, 25 ІЮНЯ

ЛЮБИТЕЛЯМИ ГРУЗИНСКОЙ НАРОДНОЙ СЦЕНЫ

ПРЕДСТАВЛЕНО БУДЕТЪ

# ОБЩИМИ СИЛАМИ

И

# ДИВЕРТИСМЕНТЪ

ЦЕНЫ [illegible]

[illegible]

დილის წარმოდგენა.

1906

# ავლაბრის თეატრი

## კვირას, 30 ივლისს

ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ, წარმოდგენილი იქნება:

# ქოხში

[illegible]

ადგილების ფასი: 10 კაპ. 1 მანეთამდე ლოჟები 3 მანეთი.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. — დასაწყისი დილის 11½ საათზე.

ანტრაქტებში დაუკრავს სამხედრო მუსიკა.

წარმოდგენის შემდეგ **დივერტისმენტი**

---

# АВЛАБАРСКІЙ ТЕАТРЪ

Утренній спектакль.

Въ воскресенье 30 го Іюля

Любителями Грузинскаго Драмат. Искусства.

Представлено будетъ:

# ВЪ ИЗБѢ (ВЪ ХАТѢ)

[illegible]

Участвующія лица: [illegible]

ВЪ АНТРАКТАХЪ БУДЕТЪ ИГРАТЬ ВОЕННАЯ МУЗЫКА

Цѣны мѣстамъ: отъ 10 коп. до 1 рубля. Ложи по 3 рубля. — Начало въ 11½ часовъ утра.

ПОСЛѢ СПЕКТАКЛЯ **ДИВЕРТИСМЕНТЪ.**

იაფ-ფასიანი წარმოდგენა

# ავლაბრის თეატრი

კვირას, 8 ოქტომბერს 1906 წელს

ჩარკვიანის

I

# რაც გინახავს ვეღარ ნახავ

# პარიჟელი ბიჭი

ანტრაქტებში დაუკრავს სამხედრო მუსიკა.

ადგილების ფასი 30 კაპ. 10 კაპეიკამდე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

---

# АВЛАБАРСКІЙ ТЕАТРЪ

*ВЪ ВОСКРЕСЕНЬЕ. 8-го ОКТЯБРЯ 1906 ГОДА.*

Артистомъ ЧАРКВІАНИ съ Любителями Грузинской сцены представлено будетъ:

I

# ЧТО ВИДѢЛЪ НЕ УВИДИШЬ

Комедія въ 3 дѣйст. А. Цагарели.

II

# ПАРИЖСКІЙ МАЛЬЧИКЪ

Комедія въ [illegible]

## ავლაბრის 1907 თეატრი

ხუთშაბათს, თებერვლის 8-ს.

ქართულ-სცენის მოყვარეთა ამხანაგობისაგან

წარმოდგენილი იქნება

# გაძარცული ფოსტა

მონაწილეობენ: ქ-ნნი ...შვილი, ...შვილი, ...

ადგილების ფასი 50 კაპ.-10 კაპ...მდე

დაიწყება საღამოს 8 საათზე

## АВЛАБАРСКІЙ ТЕАТРЪ

ВЪ ЧЕТВЕРГЪ, 8-ГО ФЕВРАЛЯ 1907 ГОДА

Любителями грузинской драматической искусства

ПРЕДСТАВЛЕНО БУДЕТЪ

# ОГРАБЛЕННАЯ ПОЧТА

Участвуютъ: Г-жа Авалишвили, Квартвелишвили, Г. Г. ...

Начало въ 8 часовъ вечера

ავლაბრის 19 07 თეატრი

კვირას 1 აპრილს

წარმოდგენილი იქნება

I

[illegible]

II

[illegible]

[illegible]

ანტრაქტებში დაუკრავს ამხ. მუზიკა

# АВЛАБАРСКІЙ ТЕАТРЪ

Въ Воскресенье, 1-го Апрѣля 1907 [illegible] Грузинской Драмат. [illegible]

ПРЕДСТАВЛЕНО БУДЕТЪ:

I

# РОКОВОЙ ШАГЪ

II

[illegible]

[illegible] ВЕЧЕРА

[illegible] МУЗЫКА

[illegible]

1908

# ავლაბრის თეატრი

შაბათს, 9 თებერვალს

ქართველ და სომეხ დრამატიულ სცენის მოყვარეთაგან

# დამნაშავე

# დალალი ღაგო

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ — ადგილების ფასი 1 მან.—10 კაპ.

# АВЛАБАРСКІЙ ТЕАТРЪ

**ВЪ СУББОТУ, 9 ФЕВРАЛЯ 1908 ГОДА**

ЛЮБИТЕЛЯМИ АРМЯНСКАГО и ГРУЗИНСКАГО ДРАМАТИЧЕСКАГО ИСКУССТВА.

Представлено будетъ на Грузинскомъ языкѣ

# ВИНОВЕНЪ

# ДАЛАЛЪ ГАГО

**НАЧАЛО 8 ЧАС. ВЕЧЕРА**

## ავლაბრის თეატრი

## „ახალი დრამა“

ამო ხარაზიანი

24 ოქტომბერს 1909 წ.

ქართული სცენის მოყვარეთა ამხანაგობისაგან წარმოდგენილი იქნება

# მელანიას ჭორები

10–2 საათამდე 5 8

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

## АВЛАБАРСКІЙ ТЕАТРЪ „НОВАЯ ДРАМА“

ДИРЕКЦ. **АМО-ХАРАЗЯНЪ** СПЕКТАКЛЬ 5

ВЪ СУББОТУ, 24-ГО ОКТЯБРЯ 1909 ГОДА

Товариществомъ любителей грузинской сцены

# Каверзы Меланіи

ამლაბრის თეატრი „ახალი დრამა“

[illegible] 1908 წ.

ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის

... წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად

[illegible]

ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

დასაწყისი საღ. 8 საათზე. [illegible]

[illegible]

[illegible] 15.

ავლაბრის თეატრი „ახალი დრამა"

[illegible]

[illegible]

# ყაჩაღი არსენა

## თაიგული

[illegible] 10—2 [illegible] 6 [illegible] 8 [illegible]

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

[illegible] ყაჩაღები

# Авлабарскій Театръ „НОВАЯ ДРАМА"

[illegible]

ВЪ СУББОТУ, 2 Г ЯНВАРЯ 1910 Г

Товариществомъ любителей грузинской сцены

[illegible]

# КАЧАГЪ АРСЕНЪ

[illegible]

## БУКЕТЪ

# ავლაბრის თეატრი მეზუროვის

ქვირას 20 იანვარს 1913 წ.

ქართველ ახალგაზრდა სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება

# ქართველი დედა

დრამა 4 მოქ. ა. ცაგარელისა

ადგილების ფასები 5 კაპ. ვიდრე 50 კაპ.

დასაწყისი დილის 12 საათზე

მოქმედებებში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი

---

УТРЕННІЙ СПЕКТАКЛЬ

АВЛАБАРСКІЙ ТЕАТРЪ МЕЗУРОВА

Въ Воскресенье 20-го Января 1913 года

НОВЫМЪ КРУЖКОМЪ МОЛОДЫХЪ ЛЮБИТЕЛЕЙ

Представлено будетъ на грузинскомъ языкѣ

# ГРУЗИНКА МАТЬ

Драма въ 4-хъ д. соч. А. Цагарели

Цѣны мѣстамъ отъ 5 до 50 к. Начало ровно въ 12 час. дня

Въ антрактахъ будетъ играть струнный оркестръ

ავლაბრის თეატრი მეზუროვისა

კვირას 10 თებერვალს 1913 წ.

ასლან ბალასი

АВЛАБАРСКІЙ ТЕАТРЪ МЕЗУРОВА

10 февраля 1913 г. любителями груз... искусства представлено будетъ

АСЛАНЪ БАЛАСИ

1913

# ავლაბრის თეატრი მეზუროვისა

შაბათს 16 მარტს

ბენეფისი

## ლ. ბაღაშვილისა

# ბედს ვერ წაუხვალ

# ოინბაზი

# АВЛАБАРСКІЙ ТЕАТРЪ МЕЗУРОВА

Бенефисъ заслуженнаго любителя Л. БАГАШВИЛИ

16 Марта 1913 г. представлено будетъ

# ОТЪ СУДЬБЫ НЕ УЙДЕШЬ И МАШЕННИКЪ

Тифлисъ

Режиссеръ Р. Салия

Начало въ 8 ч. вечера

1913
ავლაბრის თეატრი მეზურნოვისა

**შაბათს 30 მარტს 1913 წ.**

[illegible]

# ორი ღარიბი

## [illegible] ბრალია

[illegible]

## სამშაბათს, 30 მარტს

თბილისის ქართულ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება:

I

# ლევის ქალი გულჯავარი

## ჯერ დაიხოცნენ, II მერე დაქორწინდნენ

მონაწილენი:

დასაწყისი დილის 11½ საათზე ◆ ადგილების ფასი 10 კაპ. 60 კაპეიკამდე.

## НОВЫЙ АВЛАБАРСКІЙ ТЕАТРЪ АРАКСЯНА

*Во Вторникъ, 30-го Марта 1904 г.*

Тифлисской Грузинской сцены представлены будутъ

НА ГРУЗИНСКОМЪ ЯЗЫКѢ

# ГУЛДЖАВАРЪ

и

## ПРЕЖДЕ СКОНЧАЛИСЬ, А ПОТОМЪ ПОВѢНЧАЛИСЬ

УЧАСТВУЮЩІЕ: Г-жи [illegible], Бунукури, Бортвелишвили, Расулова. Г.г. [illegible], Гелиму-рашвили, [illegible], Лежава, Чиркезовъ, Меликишвили, Мчедлишвили, [illegible], Паруниенъ, Погосянъ, Салашвили, [illegible] и др.

**НАЧАЛО ВЪ 11½ ЧАСОВЪ ДНЯ. ◆ ЦѢНЫ МѢСТАМЪ ОТЪ 10 ДО 60 К.**

[illegible] Р. [illegible]

Дирекція М. Араксянъ.

1913

# დრამატიული თეატრი

შაბათს, 11 მაისს 1913 წ.

## ბენეფისი

## ი. რევაზოვისა

ვ. მაჭარაძის

# უბედური ნაბიჯი

# ჭვეისა მტირს

ДРАМАТИЧЕСКІЙ ТЕАТРЪ МЕЗУРОВ[illegible]

Въ субботу [illegible] 1913 г. Бенефисъ [illegible] I. РЕВАЗОВА [illegible] при участіи В. МАЧАРАДЗЕ представлено будетъ

# РОКОВОЙ ШАГЪ — ПО ДѢЛАМЪ

Начало въ 8½ ч. вечера

## ავლაბრის მუ[შ]ათა კლუბი

კვირას 30 ნოემბერს 1913 წ.

დ. ჩარკვიანის

ავლა სახალხო-თეატრი ბრის

[illegible]

[illegible] [illegible] ი. ივანიძის

[illegible]

# კონსტანტინე ბატონიშვილი

Авлабарскій Народный театръ

БЕНЕФИСЪ Артиста и Режиссера Кружка І. ИВАНИДЗЕ

# Царевичъ Константинъ

[illegible]

Начало въ 8 ч. вечера.

# ავლაბრის სახალხო თეატრი

კვირას, 16 მარტს 1914 წ.

ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართ. წრის მიერ

[illegible] წარმოდგენილი იქნება:

I.

# ფული და ხარისხი

[illegible]

II.

# დატრიალდა ჯარა

[illegible]

[illegible]

[illegible] 50 [illegible] 4 [illegible] — [illegible] 8 [illegible]

[illegible]

Авлабарскій Народный театръ

## Въ воскресенье, 16 марта 1914 года

Авлабарск. Кружкомъ [illegible] устройству груз. народныхъ спектаклей съ участіемъ [illegible] представлено будетъ

I. **Деньги и происхожденіе**

[illegible]

Участвуетъ вся труппа.

Режиссеръ I. [illegible]

II. **Обернулось веретено**

[illegible]

**Начало въ 8 ч. вечера.**

Очеред. распоряд. Р. [illegible]

# ავლაბრის სახალხო თეატრი

## კვირას, 26 ოქტომბერს 1914 წ.

ავლაბრის ქართული სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ

# დამარცხებულნი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

---

## АВЛАБАРСКІЙ НАРОДНЫЙ ТЕАТРЪ

Въ воскресенье, 26 октября 1914 г.

# ПОБѢЖДЕННЫЕ

УЧАСТВУЕТЪ ВСЯ ТРУППА

НАЧАЛО ВЪ … ВЕЧЕРА

Билеты отъ 50 до 4 к. продаются въ кассѣ театра

# რაც გინახავს ვეღარ ნახავ

II [illegible]

[illegible]

# ЧТО ВИДАЛЪ НЕ УВИДИШ

[illegible]

# ავლაბარ თეატრ პალას

ხუთშაბათს 13 აპრილს 1917 წ.

[illegible]

[illegible]

# ავლაბრის მუშათა კლუბში

**შაბათს 29 მარტს 1919 წელს**

მესამე რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა წრე გამარ-
თავს საღამოს

I

## რაფიელ ჩიხლაძე

II

# „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს“

III

**ПРЕДСТАВЛЕНО БУДЕТЪ НА РУССКОМЪ ЯЗЫКѢ**

# „ХАХОЛЪ НАПУТАЛЪ“

**Участвуютъ: Г-жа. Майкова Г. г. Серкъ Кушнковъ и Наумовъ.**

IV

## დივერტისმენტი

# ავლაბრის მუშათა კლუბი

კვირას 1 ივნის 1919

მესამე რაიონის სახალხო გვარდიის შტაბის ხელმძღვა-
ნელობით, ავლაბარში საზაფხულო კლუბის დასაარსებ-
ლათ ქართველ მუშ. სცენის მოყვარეთა ამხანაგობა
„კავშირის“ მიერ წარმოდგენილი იქნება მეორეთ
ვედევანიშვილის ცნობილი დრამა

I

# მსხვერპლი

II

# თავის ბრალი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი დ. რჩეულოვისა. მ. მარგველაშვილი. ბ-ნი გელიკურაშვილი ს. სულთანიშვილი. ჯანოევი. შათირიშვილი. ძანო ფონტოევი. მ. სულთანიშვილი. პაპინაშვილი. ფირუმოვი. ერაძე და სხვანი

წესიერებას დაიცავს ავლაბრის სახალხო გვარდია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

(-188)

# ავლაბრის კლუბი

(ყაზბეგის ქ. № 1)

კვირას, 8 ივნისს 1918 წ.

მე 3-ე რაიონთან არსებული ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაცია მართავს წარმოდგენას ახალგაზრდა მარქსისტთა წრის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

# ყაჩაღები

მონაწილეობას მიიღებენ
[illegible]

ხორო იმღერებს

ბ. [illegible] ლოტბარობით

დასაწ. [illegible]

[illegible]

# ავლაბრის მუშათა კლუბი

**კვირას, 6 ივლისს 1919**

ავლაბრის ქართველი მცველი სცენის მოყვა-
რულთა ამხანაგობა „კავშირის"-ს მიერ
წარმოდგენილი იქნება

[illegible]

[illegible]

[illegible]

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

# ავლაბრის მუშათა კლუბი

წარ № 9

კვირას 27

ავლაბრის მუშა სცენის მოყვარეთა ამხანაგობა „კავშირის“ მიერ

ავლაბრის წარმოდგენილი იქნება

## დამსახურებულ სცენის მოყვარის დარო რჩეულოვის საბენეფისოდ

# ქართველი ქალი

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნი რჩეულოვისა, გელოვანი, მარგო. ბ-ნი მირველოვი, ს. სულთანიშვილი, მასსურაძე, კაკინაშვილი, მ. სულთანიშვილი, ფირუმოვი, ტალიკაძე, ჯანჯულა-ზოვი, მამუკაშვილი, გელოვანი და სხვანი

პიესაში მონაწილეობს მომღერალთა გუნდი

შ. ტალიკაძის ხელმძღვანელობით

წარმოდგენა დაიწყება ავლაბრის რაიონის სახალხო ბაღში.

# ავლაბრის მუშათა კლუბი

ხუთშაბათს. 14 აგვისტოს 1913 წ.

ქართულ ახალგაზრდა სცენის მოყვარეთა მიერ

წარმოდგენილი იქნება:

I.

## [illegible]

კომედია 2 მოქმედებად.

II.

## დატრიალდა ჯარა

ვოდევილი 1 მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი რჩეულოვა, გელოვანისა, ბ-ნნი მ. ხელიმიშვილი, მირველიშვილი, მანკოშვილი, გელოვანი ქრამე და სხვანი.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

წესიერებას დაიცავს ავლაბრის სახალხო გვარდია.

რეჟისორი ნ. მირველოვი. მორიგე გამგენი: გილაური და ხუციშვილი.

[illegible]

...-1128.

[illegible]

ავლაბრის კლუბი

ქალაქის ქ. № 1

შაბათს 14 თიბათ.

მესამე რაიო-ნის კულტ-განის მეთაუ-რობით წარმოდგენა

ლილი

I ლექციას წაიკითხავს მომხსენებელი ამხ. ივანე გომართელი

II მათიკე III [illegible]

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნი რაზმაძე [illegible]

ლექსებს წაიკითხავენ პოეტები [illegible]

[illegible]

1919

# ავლაბრის მუშათა კლუბი

[illegible] 11 ოქტომბერს

[illegible]

[illegible]

წმინდა შემოსავალი [illegible]

[illegible]

# დამარცხებულნი

[illegible]

19 19

# ავლაბრის მუშათა კლუბი

კვირას 26 ოქტომბერს

საზამთრო სეზონის გასახსნელად კლუბის გამგეობა

[illegible] დ. ჩარკვიანის [illegible]

# რევოლუციონური პიესა

# № 1/2 1 + [illegible]

[illegible]

[illegible]

**[illegible]**

**ქალები:** [illegible]

**ვაჟები:** [illegible]

[illegible]

[illegible]

# 1919

## [illegible]ბრის მუშათა კლუბი.

შაბათს 1 ნოემბერს.

წარმოდგენილი იქნება პირველად თბილისში

# იუდის ამბორი

[illegible] 4 მოქ. [illegible]

მონაწილეობას მიიღებენ: [illegible]

ბილეთების ფასები ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

[illegible]

# ავლაბრის მუშათა თეატრი

**შაბათს, 9 აპრილს 1921 წ.**

[illegible]

## ერისთავის

ისტორიული [illegible] დრამა [illegible]

# [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

[illegible] 3 1924

პროლეტარის თეატრი

[illegible]

[illegible] 3 1924


# [illegible]

[illegible]

# [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible] 15 [illegible]

რედაქტორი [illegible]

[illegible]

## ქართულ-სომხურ დამსახურებულ მსახიობთა და სცენის მოყვარეთა მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება:

I. ქართულად

# ციმბირელი

[illegible]

მოქმედნი პირნი:

| | |
|---|---|
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |

II.

# ყომარბაზის ცხოვრება

[illegible]

მოქმედნი პირნი:

| | |
|---|---|
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |

III. [illegible]

# ԻՆՉ ՑԱՆԵՍ, ԱՅՆ ԿՀՆՁԵՍ

## (რაც გინახავს, ვეღარ ნახავ)

[illegible]

[illegible]

| | |
|---|---|
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |

IV. **ზეიმი — ՀԱՆԴԵՍ — ЧЕСТВОВАНИЕ**

**დასაწყისი საღ. 8 საათზე**

## ხარფუხის მუშათა თეატრი

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, მეოცე საუკუნის დასაწყისში თითქმის ყველა რაიონსა თუ უბანში თანდათანობით დაარსდა სცენისმოყვარეთა წრეები, რომლებიც თავიანთი საქმიანობით ნამდვილ რევოლუციურ ტრიბუნას წარმოადგენდნენ, პოლიტიკური და სათანადოდ შერჩეული რეპერტუარით მშრომელ ხალხს უღრმავებდნენ პოლიტიკურ და კულტურულ ცოდნას...

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმის დიდი მზრუნველის, დაუღალავი საზოგადო მოღვაწის გიორგი მოსეს ძე შათირიშვილის ფასდაუდებელი ამაგი. იგი მოუწოდებდა ხალხთა მეგობრობისაკენ, ხალხთა ძმობისაკენ, იგი იბრძოდა სწავლა-განათლების მასიურობისათვის, იბრძოდა თეატრის დაარსებისათვის იმ უბნებში, სადაც ცარიზმი ხელს უწყობდა სამიკიტნოების გამრავლებას. გიორგი შათირიშვილის ზეგავლენის წყალობით კულტურის მხრივ ისეთ ჩამორჩენილ უბნებში, როგორიც იყო ხარფუხი დამოუნა, ორთაჭალა და ავლაბარი, მისი ახალგაზრდობის ნაწილი ნაცვლად უსაქმურობისა და ლოთობისა დაადგა კლასობრივი თვითშეგნების გზას. სადაც აღიზარდნენ ისეთი თავდადებული რევოლუციონერები, როგორიც იყვნენ ლეგენდარული არსენა ჯორჯიაშვილი, კონა ხუციშვილი, გოგლა მამაცაშვილი და მრავალი სხვა, რომელთა სახელები ოქროს ასოებითაა ჩაწერილი რევოლუციის მატიანეში.

რეაქციულ ხელისუფლებას არ გამორჩენია შათირიშვილების ოჯახის მოღვაწეობა, სადაც ხშირად იყრიდნენ თავს იატაკქვეშ მომუშავე რევოლუციონერები. ამიტომ გასაკვირიც არ არის, რომ პოლიციელების მიერ მრავალჯერ იყო დარბეული ეს ოჯახი.

ერთ-ერთი თავდასხმა პოლიციამ მაშინ მოაწყო, როცა შათირიშვილები ვითომდა ნათლობას იხდიდნენ და ამის გამო სწვეოდნენ სტუმრები. ფაქტიურად კი კონსპირაციული სხდომა იმართებოდა, იმის შესახებ თუ როგორ გადაერჩინათ პროკლამაციების დასაბეჭდად აწყობილი შრიფტი.

მაგრამ საბედნიეროდ მათ თან ახლდათ ხარფუხის უბნის რწმუნებული დიდიმოვი, წარმოშობით ბერძენი, რომელიც დიდ პატივს სცემდა გიორგი შათირიშვილს, როგორც შესანიშნავ ადამიანსა და მოქალაქეს. სხვათაშორის დილიმოვი გიორგის ყოველთვის წინასწარ აცნობებდა ხოლმე მოსალოდნელ საშიშროებას. ახლაც თვალით ანიშნა დიდიმოვმა გიორგის „ნუ გეშინიაო“. მაგრამ რა იცოდნენ პოლიციელებმა თუ ამ დროს აწყობილი შრიფტი გიორგი შათირიშვილის ძმის ვანო შათირიშვილის ნახშირის საწყობში ინახებოდა.

ზემოთმოხსენებულ უბნებში სკოლა სავსებით არ არსებობდა. გიორგის უშუალო ხელმძღვანელობით დაარსდა პირველი დაწყებითი სკოლა. ეს დიდი და დაუვიწყარი სიკეთე იყო მშრომელი მოსახლეობისათვის, მაგრამ მარტო ამითაც არ ამოიწურება მისი საქმიანობა, იგი ამავე დროს იყო მგზნებარე პატრიოტი, რევოლუციონერი და სოციალ-დემოკრატი, რომელიც მუდამ მხარში ედგა რევოლუციურად განწყობილ მშრომელებს.

გიორგი — ხალხთა მეგობრობის კეთილშობილი იდეით იყო გამსჭვალული და ამას ცხოვრებაშიაც ანხორციელებდა აქტიურად. აი ერთი მრავალთაგანიდან აღსანიშნავი ფაქტები, რომელიც სწორედ ამაზე ღაღადებს. გიორგიმ თავისი ინიციატივით 1918 წელს მოაწყო ცნობილი აზერბაიჯანელი ფილოსოფოსის, დრამატურგისა და მოაზროვნის მირზა ფათალი ახუნდოვის გარდაცვალებიდან 40 წლის საზეიმო-სამგლოვიარო საღამო შეითანბაზრის აუდიტორიაში, სადაც მან გააკეთა მოხსენება მ. ფ. ახუნდოვის მოღვაწეობისა და შემოქმედების შესახებ, ხოლო მოხსენების შემდეგ მის მიერვე დაარსებულმა სცენისმოყვარეთა დასმა წარმოადგინა მ. ფ. ახუნდოვის პიესა „ლენქორანის ხანის ვეზირი“. აღსანიშნავია, რომ მსგავსი პატივისცემა აზერბაიჯანელ მოღვაწის მიმართ არც თბილისის თეატრებში და არც ამიერკავკასიის ქალაქებში იმ დროს არსად არ ჩატარებულა, არავის მოსვლია ფიქრად მისი ჩატარება. ეს უაღრესად საგულისხმო და დიდმნიშვნელოვანი ფაქტია. ამის შესახებ აი, რას ვკითხულობთ: „მირზა ფათალი ახუნდოვს ქართველი ხალხი გარდაცვალების შემდეგაც არ ივიწყებდა. ხალხმა მას თავის გულში სამარადისო ძეგლი დაუდგა: მირზა ფათალი ახუნდოვს ხარფუხის უბნის უძველესმა მცხოვრებმა, საზოგადო მოღვაწემ და კულტურულ საქმეთა მოამაგემ, თვითმპყრობელობის მიერ დევნილმა გიორგი მოსეს ძე შათირიშვილმა გადაწყვიტა თავისი ინიციატივით მოეწყო მირზას გარდაცვალებიდან 40 წლისთავის აღსა-

ნიშნავი საღამო. მან სთხოვა მისივე თაოსნობით დაარსებულ ქართულ სცენისმოყვარეთა დასის ხელმძღვანელს მოემზადებინა დასადგმელად აკაკი წერეთლის მიერ 1893 წელს ქართულად გადმოთარგმნილი ახუნდოვის პიესა „ლენქორანის ხანის ვეზირი“. გ. შათირიშვილმა მოძებნა ძველი თბილისელი მცხოვრებნი, რომლებსაც ათეული წლების მანძილზე ახლო ურთიერთობა ჰქონდათ მირზა ფათალი ახუნდოვთან. ერთ-ერთი მათგანი იყო იოსებ ზაქარიას ძე ჩაჩანიძე. ახუნდოვისადმი მიძღვნილი საღამო შედგა 1918 წლის მარტში. შეითანბაზრად წოდებულ მუსულმანთა აუდიტორიის შენობაში (ბოტანიკურ ქუჩაზე). გ. შათირიშვილმა წაიკითხა მოხსენება — „მირზა ფათალი ახუნდოვის ცხოვრება და შემოქმედება“[1].

1911 წელს გ. შათირიშვილის მეთაურობით ხარფუხის ე. წ. მუსულმანთა აუდიტორიასთან დაარსდა ქართველ სცენისმოყვარეთა წრე, რომელშიც იმ დროს გაერთიანებული იყვნენ თვით გიორგი შათირიშვილი, მისი შვილები არჩილი, ვალუა და ელიზბარი, დ. მელაშვილი, ე. კულულაშვილი, გ. პაპინაშვილი, გ. გრიგოლაშვილი, დ. და გ. გორდაძეები, ლ. და ზ. მეტრეველები, გ. და ბ. ბასტიანოვები, ა. ყურული, ს. პეპანოვი, ა. თითბერიძე, გ. ყანჩელი, ი. ხუციშვილი, ვ. და ე. ჯორჯიაშვილები, შერმაზანოვი, ს. ფაშაევი და სხვ.

გ. შათირიშვილის ხელმძღვანელობით შედგა რეპერტუარი, რომელშიაც შედიოდა მთელი რიგი პიესები: ალ. ყაზბეგის „არსენა“, ვალ. გუნიას „და-ძმა“, დენერისა და კორმონის „ორი ობოლი“, ავქს. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“ და სხვ. წრე დიდი ენთუზიაზმით შეუდგა მუშაობას, მაგრამ სამწუხაროდ თეატრს არ გააჩნდა შესაფერისი შენობა, რაზედაც გ. შათირიშვილი ერთ-ერთ ქველმოქმედს ასეთი შინაარსის წერილს წერს: „ხარფუხის ქართული სახალხო წარმოდგენების გამმართველი წრე, მოგმართავთ თქვენ, როგორც ყველა ქართული დაწესებულებისადმი გულშემატკივარ მოქალაქეს და იმედოვნებს, რომ არ დარჩება თქვენგან გაწბილებული.

როგორც მოგეხსენებათ, ხარფუხის ქართული სახალხო წარმოდგენების გამმართველი დრამატული წრე მოქმედებს ამ უბანში უკვე ორი წელია.

წრეს თამამად შეუძლია თქვას, რომ ის პირნათლად ასრულებს თავის დანიშნულებას იმ აუტანელ პირობებში, რომელშიც უხდება მას მუშაობა. მოგეხსენებათ, რომ ყოველგვარი მოღვაწეობის განვითარება დამოკიდებულია პირობების გაუმჯობესებაზე, რადგან ხარფუხში არ არსებობს ისეთი თეატრი, სცენა ან აუდიტორია, სადაც შეიძლებოდეს წარმოდგენების დაუბრკოლებ-

[1] ვ. ჩაჩანიძე, ქურ. მნათობი, 1969 წ. გვ. 167.

ლივ გამართვა, ამიტომ წრემ გადაწყვიტა მოაწყოს საკუთარი აუდიტორია, რომ მისმა არა მარტო წარმოდგენების გამართვამ, არამედ საზოგადოდ კულტურულმა მოღვაწეობამ უფრო ფართოდ გაშალოს ფრთები.

წრის გამგეობამ კიდევაც აიღო იჯარით ქალაქის მამული აბანოს ქუჩაზე და ახლა საჭიროა მხოლოდ მისი აუდიტორიად მოწყობა. ეს საქმე კი საკმაოდ დიდ ხარჯებს მოითხოვს, რაც აღემატება ჩვენი ღარიბი წრის შეძლებას. ამიტომ წრე იძულებულია თავისი მიზნის მისაღწევად კერძო ქველმოქმედებას მიმართოს, სეირნობისა და წარმოდგენების გამართვით მოაგროვოს საჭირო თანხა. ამიტომაც წრის გამგეობა ამ მიზნით 3 მაისს მართავს წარმოდგენას.

და დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ, როგორც ქართველი კულტურის გულშემატკივარი, ჯეროვანი ყურადღებით მოეკიდებით ჩვენს თხოვნას.

მიუხედავად მძიმე პირობებისა გიორგი შათირიშვილი მაინც წარმართავდა წრის მუშაობას. იგი მაყურებლის მიზიდვის მიზნით წრესთან აყალიბებს სიმებიან ორკესტრს, რომელიც ყოველი წარმოდგენის წინ და ანტრაქტებზე უკრავდა.

ამ წრის წარმოდგენებში მონაწილეობას იღებდნენ სახალხო თეატრის ძველი სცენისმოყვარეთა წრის ენთუზიასტები: გ. ჯაბაური, ლ. ბაღაშვილი, გ. ფირუმიანი, გ. ანაშვილი, ი. რევაზიშვილი და სხვ. აგრეთვე ხშირად მონაწილეობდნენ გამოჩენილი ქართველი მსახიობები ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, კოტე ყიფიანი, ვალერიან გუნია და სხვ.

გიორგი შათირიშვილის სახლში 1912 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში გაიმართა წრის პირველი დამფუძნებელი კრება, არჩეულ იქნა წრის გამგეობა და სარევიზიო კომისია. გამგეობაში არჩეული იქნენ: ა. შათირიშვილი (გამგეობის თავმჯდომარე), გ. შათირიშვილი, პან. ბასტიანოვი, ა. თითბერიძე, დ. მელაშვილი, ყ. მეღუზლა, სარევიზიო კომისიაში — თ. ვაშაკიძე, ს. ქსენაფონტოვი, ლ. იოსებიძე. წრის მდივნად არჩეულ იქნა ყარამან მეღუზლა და ხაზინადარ-მოლარე გ. ჰელიძე. რეჟისორად მოიწვიეს იმჟამად ზუბალაშვილის სახალხო სახლთან არსებული ქართული წრის მსახიობი ს. პეპანოვი, ამასთანავე ავლაბრიდან გადმოვიდნენ ცნობილი სცენისმოყვარეები: ა. კავთელი, ნ. მეღუზლა, ს. ძამიაშვილი, ნ. მირველოვი და სხვები. პირველ წარმოდგენაში მოწვევით მონაწილეობა მიიღეს მ. ქართველიშვილმა და გ. ჯაბაურმა.

გიორგი ჯაბაური მუშათა თეატრების ერთ-ერთი ფუძემდებელი, დაუშრეტელი ენერგიის პატრონი იყო. მისი მოღვაწეობა მარტო ავჭალის აუდიტორიით არ შემოიფარგლება. მან ავჭალის აუდიტორიის გარეშე პარალელურად დასი შეადგინა, რომელშიც განსაკუთრებით მუშები იღებდნენ მონაწილეობას. ისი-

ნი წარმოდგენებს მართავდნენ რკინიგზის თეატრებში, რენესანსის ბაღში, ვეტცელის თეატრში და ქართლის ყველა მნიშენელოვან პროვინციაში.

გ. ჯაბაურის ამპლუა დრამატული როლებია. თუ ქართულ თეატრს ჰყავდა ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე და სხვ. განაპირა უბნის თეატრებსაც ყავდა თავისი საყვარელი მსახიობები. მაგ. ავჭალის აუდიტორიაში გიორგი ჯაბაური და ნიკო გოცირიძე, ავლაბრის თეატრში — ლევან ბაღაშვილი, დარო რჩეულიშვილი, მ. ქართველიშვილი და სხვ.

გიორგი ჯაბაურის საყვარელი როლები იყო: მენაბდიშვილი („მეზობლები“), გიქუა („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“), პეპო („პეპო“), გაიოზი („და-ძმა“), არსენა („არსენა“), ტოტოღა („ავაზაკნი“), ნიკოლა („ციმბირელი“), ბერდიაშვილი („დამარცხებულნი“), მუშა („ქოჩორიანი ტოროლა“), ვანო („მსხვერპლი“), პონბერნიე („პარიზის ღარიბ-ღატაკნი“), ჟაკი („ორი ობოლი), და სხვ. ეს როლებიც კი საკმარისია, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ რა საჭირო ძალა იყო მუშათა თეატრებისათვის. ამას უნდა დაერთოს ისიც, თუ რა დიდი გატაცებითა და გულწრფელობით ემსახურებოდა იგი მუშათა გათვითცნობიერების საქმეს. გარდა იმისა, რომ სცენაზე ასეთ პასუხსაგებ როლებს ასრულებდა, იგი თავგამოდებით იცავდა პრინციპს, — მუშის საქმე მუშამ უნდა აკეთოსო. პრესაშიც გამოდიოდა ამ აზრის დასაცავად, იბრძოდა იმისათვის, რომ სცენისმოყვარეთა წრის გამგეობა მუშური ყოფილიყო. ამავე დროს იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა წარმოდგენების მოწყობასა და გამგეობის საქმიანობაში.

გარდა სახალხო თეატრისა, გიორგი ჯაბაურისათვის არც პოლიტიკა იყო უცხო. იგი მუშათა მოძრაობაშიც იღებდა მონაწილეობას, რომელიც ჯერ კიდევ მესამე დასის სახელით იყო ცნობილი. აქტიურად მონაწილეობდა გაფიცვებში, ავრცელებდა პროკლამაციებს, 1905 წელს გამოდიოდა მიტინგებზე ქალაქად თუ სოფლად. საპირველმაისო დემონსტრაციაზე კითხულობდა საკუთარ ლექსებს. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ლექსი, საპოლემიკო წერილი.

გ. ჯაბაურმა კარგი სახელი მოიხვეჭა აგრეთვე ქარხნის მუშებს შორის. ჯაბაური რკინიგზის მთავარ სახელოსნოში მუშაობდა (ამჟამად სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა) სდურგლო საამქროში. იქ მუშაობის დროს იგი დაუახლოვდა მოწინავე არალეგალურ წრეში მომუშავე ვანო სტურუას, ზაქარია ჩოდრიშვილს, გიორგი თელიას და სხვ. გ. ჯაბაური დადიოდა და მეცადინეობდა არალეგალურ წრეში, ეხმარებოდა მათ არალეგალური ბროშურებისა და პროკლამაციების გავრცელებაში. ჯაბაურის ბინაში ინახებოდა ორგანიზაციის შემოსავალ-გასავლის ანგარიშები, ჰექტოგრაფზე დაბეჭდილი სწრაფი მოწოდებები.

საბჭოთა ხელისუფლებამ სათანადოდ დააფასა მისი ხანგრძლივი და უანგარო მოღვაწეობა და მას რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიანიჭა, 1949. წლის 23 მაისს კი შემოქმედებითი საღამო მოუწყეს.

პლეხანოვის კლუბის საკმაოდ მოზრდილ დარბაზში უამრავ ხალხს მოეყარა თავი. მხურვალე, გულთბილი მისალმებები მოწმობენ, რომ ხალხი პატარა მოღვაწეებსაც აფასებს, თუ კი ისინი გულწრფელად და სიყვარულით ემსახურებიან თავიანთ საქმეს.

დაიწყო საზეიმო განყოფილება. პრეზიდიუმში ისხდნენ ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო ხელოვანნი, მწერლები, სცენისმოყვარენი, მუშები და სხვანი. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, რეჟისორმა ალ. წუწუნავამ, პოეტ-აკადემიკოსმა ი. გრიშაშვილმა, ავჭალის აუდიტორიის პირველმა რეჟისორმა, მწერალმა ი. იმედაშვილმა, მუშა-პოეტმა გ. ხეჩუაშვილმა, ავლაბრის სახალხო თეატრის თვალსაჩინო სცენისმოყვარემ დათიკო მელაშვილმა და მრავალმა სხვამ. მისალმებებმა და მისი შრომის მაღალმა შეფასებამ დიდად აღელვა მხცოვანი სცენისმოყვარე და სამადლობელ სიტყვაში დამსწრე საზოგადოებას განუცხადა, რომ შეეცდება დააკმაყოფილოს ამხანაგების სურვილი და გამოაქვეყნოს თავისი განვლილი სათეატრო ცხოვრების ისტორია და ამით სახალხო თეატრების მკვლევართ სათანადო მასალა მიაწოდოს მუშათა თეატრის ისტორიისათვის.

პლეხანოვის სახელობის კლუბში გიორგი ჯაბაურის შემოქმედებითი საღამოზე წარმოდგენილი იქნა ალექსანდრე ყაზბეგის „არსენას“ პირველი მოქმედება და ავქს. ცაგარლის კომედიის — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ მეორე მოქმედება. „სახალხო გმირი არსენა — ამბობს გიორგი ჯაბაური — ჩემი საყვარელი როლი იყო და ხშირადაც ვთამაშობდი ახალგაზრდობისას, მაგრამ ავქს. ცაგარლის ალალმართალი, გამბედავი, მეგობრისათვის თავდადებული გიჟუა მაინც განსაკუთრებით მიმზიდველია ჩემთვის. 80 წელს გადაცილებული ვარ. კარგა ხანია სცენას ჩამოვშორდი, სიარული მიმძიმს, მუხლთ მეკეცება, მაგრამ საკმარისია, მითხრან გიჟუა ითამაშეო, მე მგონია, წელში გავსწორდები, ხელს გავშლი და ბაღდადურს ჩამოვუვლი. 1893 წელს ავჭალის აუდიტორიის გახსნისას გიჟუას როლი შევასრულე და ჩემი მოღვაწეობაც გიჟუათი დავასრულე“.

□□

წრეში თავმოყრილი ყოფილა მთელი რიგი სასცენო ძალები: მ. ქართველიშვილი, ნ. მეღუზლა, ვ. ჟურული, ა. კავთელი, ა. შათირიშვილი, ნ. მირველოვი, დ. მელაშვილი, ს. ძამიაშვილი, ს. ქსენაფონტოვი, ყ. მეღუზლა, ი. გრი-

შაშვილი, ყველაზე ახალგაზრდა სცენისმოყვარე ე. კულულაშვილი, რ. ფირუმოვი, გ. გორდაძე, გ. პაპინაშვილი, ვ. მგალობლიშვილი, ელ. შათირიშვილი, სანდრო ალავერდოვი (მოკარნახე), ზ. სვანიძე (ოპერის თეატრის მომღერალი) და სხვები.

წრე პიესებს დგამდა კლასიკური რეპერტუარიდან. წრესთან ჩამოყალიბებულა მომღერალთა გუნდი გაბო ოძელაშვილის ლოტბარობით. გიტარისტებისა და მანდოლინებისაგან შეუდგენიათ ორკესტრი დავით მეტრეველის ხელმძღვანელობით, რომლებიც წარმოდგენის დროს უკრავდნენ და ანტრაქტებშიაც ხალხს ართობდნენ.

სცენისმოყვარეთა წრეს ჰქონია გამგეობის კანტორა და სარეპეტიციო დარბაზი ყოფილი ერეკლეს აბანოს თავზე (ახლა გრიშაშვილის ქ. № 1). გამგეობა დიდი ინტერესით შეუდგა მუშაობას. ყოველ კვირას იმართებოდა წარმოდგენები. ხარფუხის მშრომელი მოსახლეობა დიდი ხალისით ესწრებოდა სპექტაკლებს. დარბაზი მუდამ სავსე იყო მაყურებლებით.

თავისი არსებობის რამდენიმე წლის მანძილზე წრეს დაუდგამს მთელი რიგი პიესები: „არსენა“, „გაცრუებული იმედები“, „სიმდიდრის მსხვერპლი“, „ორი ობოლი“, „მსხვერპლი“, „ხანუმა“, „ციმბირელი“, „სამხედრო ბანაკში“ და სხვ.

წრეს თავისი პირველი წარმოდგენა გაუმართავს 1912 წლის 12 მაისს მუსულმანთა აუდიტორიაში. უჩვენებიათ ალ. ყაზბეგის დრამა „არსენა“. მონაწილეობდნენ: გარსევან ამაყაძე — მებატონე — ალ. თითბერიძე, სიდონია, მისი ცოლი — მაკა ქართველიშვილი, იორამი — გარსევანის ბიძა — ალ. ძამიაშვილი, არსენა ყაჩაღი — გ. ჯაბაური, ნინო — სიდონიას მოახლე — ა. კავთელი, თედო — არსენას ამხანაგი — დ. მელაშვილი, მოურავი — ალ. ქსენაფონტოვი, პეტრე, — ნათლიმამა არსენასი — არ. შათირიშვილი, სირაჯი — ნ. მირველოვი, გლეხის ბიჭი — ს. ფაშაევი და სხვები.

მომდევნო 1913 წლის 17 მარტს მუსულმანთა აუდიტორიაში ხარფუხის სცენისმოყვარეთა მიერ გამართულა დამსახურებული სცენისმოყვარის ნ. მირველოვის ბენეფისი. წარმოუდგენიათ ალ. ბაჯიაშვილის სამმოქმედებიანი დრამა „სიმდიდრის მსხვერპლი“, მეორე ნ. აზიანის კომედია „გაცრუებული იმედების“ მეორე მოქმედება და მესამე კ. ყიფიანის ერთმოქმედებიანი ვოდევილი „დატრიალდა ჯარა“.

1914 წლის 30 იანვარს კი ქართველ სცენისმოყვარეთა წრეს ს. პეპანოვის რეჟისორობით ხარფუხის სახალხო აუდიტორიაში ალ. ყაზბეგის პატივსაცემად

---

[1] გ. ჯ ა ბ ა უ რ ი, მოგონებანი, გამომც. „ხელოვნება“, 1956, გვ. 6.

გაუმართავს მისივე პიესა „არსენა“. მონაწილეობდნენ: ი. რეევაზოვი, ქ. მეღუზლა, გ. პაპინაშვილი, მ. ჯანველოვი, ა. კავთელი, ა. უმბრიევი, ე. შათირიშვილი, გ. ქუქუნაშვილი, ნ. მირველოვი. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა აპოთეოზი, ხოლო 20 მარტს რეჟისორ ს. პეპანოვის საბენეფისოდ წარმოუდგენიათ ლ. ანდრეევის ოთხმოქმედებიანი დრამა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, ნ. აზიანის ორმოქმედებიანი კომედია „გაცრუებული იმედები“ და კ. ყიფიანის ვოდევილი „დატრიალდა ჯარა“.

ამის შემდეგ იმავე 1914 წლის სეზონში ხარფუხის დრამატულ წრეს პეპანოვის რეჟისორობითა და მონაწილეობით დაუდგამს აგრეთვე ალ. ბაჯიაშვილის მიერ თარგმნილი დრამა „ყომარბაზის ცხოვრება“.

ხარფუხის სახალხო წარმოდგენების მმართველ წრეს ერთხანს პოპულარობა მოუხვეჭია. მშრომელი მოსახლეობა სისტემატურად დაიარებოდა თურმე თავის თეატრ-აუდიტორიის წარმოდგენებზე. წრეს ყოველთვის კარგი შემოსავალი ჰქონია. წრეს ორჯერ გაუმართავს გრანდიოზული საღამო-სეირნობა ყოფილ მუშტაიდის ბაღში (ახლა სერგო ორჯონიკიძის სახელობის პარკი) და საკმაო დიდი შემოსავალიც მიუღია. ყოველივე ამის მიუხედავად, ხარფუხის წრეც ისევე, როგორც სხვა წრეებიც არევას და განხეთქილებას ვერ ასცდენია, რაც ძირითადად გამოუწვევია შემდეგ მდგომარეობას. ხარფუხში მცხოვრებ წრის ზოგიერთ წევრს დაებადა აზრი ხარფუხში საზოგადო კლუბის დაარსების შესახებ. ამ აზრს ძირითადად იზიარებდნენ გ. და ა. შათირიშვილები, ყ. მეღუზლა, პეპანოვი, ა. კავთელი და სხვანი. კლუბის დაარსების წინააღმდეგი იყვნენ: პ. ბასტიანოვი, დ. მელაშვილი, გ. ჰელიძე, კ. სიდროპულოვი, თ. ვაშაკიძე და წრის უმრავლესობა. საკითხი პრინციპულად მდგარა, გამართულა მითქმა-მოთქმა და მთელი რიგი დისკუსიები. კლუბის დაარსების მოწინააღმდეგეები ამტკიცებდნენ, რომ ხარფუხის რაიონი ტერიტორიულად პატარა იყო, ინტელიგენცია საკმაოდ არ გააჩნდა და მშრომელი მასა კი ჯერჯერობით საკლუბოდ არ იყო მომზადებული. თუ კლუბი დაარსდებოდა, მხოლოდ და მხოლოდ ისარგებლებდნენ რაიონში მცხოვრები მუსულმანები, რომლებიც ბანქოს სათამაშოდ და დროს გასატარებელ ადგილად გადააქცევდნენ. ისე, რომ კლუბი ხარფუხში მცხოვრებ მშრომელ მოსახლეობას კი არ გაუწევდა მომსახურებას, არამედ ვაჭართა საზოგადოებას. ამასთანავე დაიშლებოდა წრის გამგეობა, დაიქსაქსებოდა აუდიტორიაში მოსიარულე და უკვე შეჩვეული ხალხი, ხოლო კლუბში მოწყობილი კომედიები და ვოდევილები ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაუწევდა ხარფუხის მშრომელ მოსახლეობას იმ სამსახურს, რისთვისაც ხარფუხის სახალხო წარმოდგენების წრის გამგეობა იყო მოწოდებული. აქედან გამომდინარე, იმჟამად კლუბის დაარსებას აზრი არ

ჰქონია. შექმნილ სიტუაციას სერიოზული ხასიათი მიუღია. საქმეში ჩარეულან გარეშე პირებიც. ხარფუხის მცხოვრები თბილისის ქალაქის თვითმართველობის ხმოსანი სულაბერიძე და გაზეთ „ზაკავკაზსკაია რეჩის“ რედაქტორი პართენ გოთუა. ხარფუხის სამკურნალო დარბაზში მოწვეულ იყო წრის საერთო კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა პარმენ გოთუა. კლუბის დაარსების, როგორც მომხრენი ისე მოწინააღმდეგეებიც დარაზმულნი მოსულან საერთო კრებაზე. დიდი ბრძოლის შემდეგ კრების ერთ ნაწილს დაუდგენია ხარფუხის საზოგადო კლუბის დაარსება და საამისო გამგეობაც აურჩევია. ცხადია, წრის გამგეობაში განხეთქილება მომხდარა და წრე ორ ნაწილად გაყოფილა.

კლუბის ახლად არჩეულ გამგეობას ხმოსან სულაბერიძისა და პართენ გოთუას ხელისშეწყობითა და დახმარებით ქალაქის თვითმართველობიდან იჯარით აუღია შიოევისეული მამული, რომელიც მდებარეობდა იქვე, მუსულმანთა აუდიტორიის პირდაპირ, აბანოების ქუჩაზე № 68 სახლში და იქვე კლუბი მოუწყვია. პირველ ხანებში კლუბის მუშაობა ვერ ყოფილა ეფექტიანი, ვინაიდან ხშირად არ იყო კონცერტები, კინო და სხვ. კლუბის გამგეობა დამსწრეებს უმასპინძლდებოდა უმთავრესად ბანქოს თამაშით, ლოტოთი, ხანდახან ვოდევილებითა და ვახშმებით, ცხადია, ასეთი პროგრამა ვერ გაამართლებდა კლუბის არსებობას რაიონის პროგრესული საზოგადოების თვალში. კლუბის გამგეობას გადამჭრელი ზომები მიუღია გამოსასწორებლად და შემდეგ საქმე უკეთ წასულა. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ კლუბი ზაფხულში გადავიდა ახლანდელ პლეხანოვის პროსპექტზე (სადაც ამჟამად ამიერკავკასიის რკინიგზელთა კულტურის სასახლეა). კლუბში ხშირად იმართებოდა თურმე საცეკვაო საღამოები, რომლებიც უამრავ ხალხს — მოზრდილებს და განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობას იზიდავდა. ეს კლუბი პირველი მსოფლიო ომის დროს დახურულა.

ამ დროს მოწინააღმდეგენი, რა თქმა უნდა, უმოქმედოდ არ დარჩენილან. მათ მოუწვევიათ წარმოდგენების მომწყობი წრის მომხრეთა ცალკე კრება და აურჩევიათ ხელმძღვანელი ამხანაგების აქტივი. ამ აქტივს გადაუწყვეტია განეგრძო აუდიტორიაში იაფფასიანი სახალხო წარმოდგენების მართვა. წრის ორგანიზაციას ხელმძღვანელობდნენ პ. ბასტიანოვი, დ. მელაშვილი, გ. ჭელიძე, კ. სიდროპულოვი, ალ. გოჩიტაშვილი. რეჟისორებად მოუწვევიათ გამოცდილი სცენისმოყვარენი ი. რევაზიშვილი და ლ. ბაღაშვილი. წრის ყოველ წარმოდგენაში მონაწილეობდნენ პროფესიონალი მსახიობები: ვიქ. მატარაძე, მ. სარაული, პ. ფრანგიშვილი და ალ. შანშიაშვილი.

ალ. შანშიაშვილი ყოფილა უაღრესად ნიჭიერი მსახიობი და რეჟისორი

1911 წელს მისი ხელმძღვანელობით წარმოუდგენიათ შექსპირის „ჰამლეტი“, რომელშიც მთავარ როლს ასრულებდნენ: პ. ფრანგიშვილი, თ. აფხაზიშვილი, ლ. ბალაშვილი, ალ. თავდგირიძე და კილასონია.

ასევე ალ. შანშიაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით მომზადებულა და დადგმულა შექსპირის „ჰამლეტი“, ძმები ზუბალაშვილების სახალხო თეატრის სცენაზე (დღეს მარჯანიშვილის სახელობის თეატრი). მონაწილეობდნენ: გ. ბარელი ასრულებდა ოსრიკისა და მეორე აქტიორის როლს, ალ. შანშიაშვილი — ჰამლეტს, პ. ფრანგიშვილი — ლაერტს, ლევან ბალაშვილი — კლავდიუსს. ამას მოჰყოლია ამავე სცენისმოყვარეთა შემადგენლობით დადგმული შილერის „ყაჩაღები“. ფრანცის მთავარი როლი შეუსრულებია ალ. შანშიაშვილს, ხოლო კარლოსის — ლ. ბალაშვილს.

მალე მაყურებელთა თხოვნით გაუმეორებიათ „ყაჩაღების“ დადგმა, სადაც ფრანცისა და კარლოსის მთავარი როლები უნაკლოდ შეუსრულებია ალექსანდრე შანშიაშვილს.

ამის შემდეგ ალ. შანშიაშვილის ხელმძღვანელობით დადგმულა გუცკოვის — „ურიელ აკოსტა“. ურიელის საუკეთესო შემსრულებელს ალ. შანშიაშვილს მაყურებლის დიდი მოწონება დაუმსახურებია.

ამ სასიხარულო ამბავს ეხმაურებია როგორც ქართული, ისე რუსული ჟურნალ-გაზეთები. ეს ამბავი ქართულ პროფესიულ თეატრს არ გამოპარვია და იმავე წელს ალ. შანშიაშვილი ჩაურიცხავთ ქართული პროფესიული თეატრის დასში მსახიობად. ერთხელ მის გამოსაცდელად დაუდგამთ „ურიელ აკოსტა“. ურიელს თამაშობდა ქართული სცენის სიამაყე ლადო მესხიშვილი, და ბენ-იოხაის ალ. შანშიაშვილი, პარტერიდან ისმოდა ხმები: გმადლობთ, განგებავ, რომ ორ მესხიშვილს ვხედავთ ქართულ სცენაზეო.

წრემ დადგა „პატარა კახი“, „არსენა“, „და-ძმა“, „სიმდიდრის მსხვერპლი“, „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“, ალ. შანშიაშვილის, ვიქ. მატარაძის, მიხ. სარაულის, თ. აფხაზიშვილის, ს. გოგაშვილის მონაწილეობით. მოხსენებულ პიესებში დ. მელაშვილი თამაშობდა — „და-ძმაში“ — გიორგის, „პატარა კახში“ — ერეკლეს, „არსენაში“ — თედოს, „სიმდიდრის მსხვერპლში“ — დათიკოს, „პარიზის ღარიბ-ღატაკნში“ — გრაფი შარლ დობინიეს, „ურიელ აკოსტაში“ — ბენ-იოხაის. ხარფუხში მუსულმანთა აუდიტორიასთან არსებული სახალხო წარმოდგენების მომწყობი წრის მიერ დადგმულმა სპექტაკლებმა „ურიელ აკოსტამ“ და „პარიზის ღარიბ-ღატაკნმა“ აჟიოტაჟი გამოიწვია, მშრომელი მოსახლეობა საზოგადოდ კლუბს სრულებით არ ეკარებოდა და მხოლოდ აუდიტორიაში გამართულ წარმოდგენებზე დაიარებოდა. წრის ხელმძღვანელებმა მუშაობის ასეთი წესი შემოიღეს: როცა წარმოდგენა შაბათ

საღამოს იმართებოდა დამსწრეებს შაბათის წარმოდგენაზე აღებული ბილეთით შეეძლოთ მეორე დღეს, ე. ი. კვირა დილას წრის მიერ გამართულ უფასო ლექცია-კონცერტს ან ერთ-ორმოქმედებიან წარმოდგენა-დივერტისმენტს დასწრებოდნენ. ასე, რომ წრის გამგეობა ყოველ კვირა დილას მართავდა ასეთ უფასო წარმოდგენა-დივერტისმენტებს. მუსულმანთა აუდიტორიის ადმინისტრაცია კვირა დილაობით უფასოდ უთმობდა წრეს თეატრის შენობას და არავითარ ქირასა და სხვა ხარჯებს არ ახდევინებდა, რადგან ამ დღეს წარმოდგენებიც უფასოდ იმართებოდა. ასეთ კონცერტ-დივერტისმენტებში სრულიად უსასყიდლოდ მონაწილეობდნენ ახალგაზრდა პოეტები: გ. ქუჩიშვილი, ი. გრიშაშვილი, ს. ერთაწმინდელი, ს. ფაშალიშვილი და მუშა პოეტები — გ. ხეჩუაშვილი, ანტ. განჯისკარელი, შ. ნავთლუღელი, გ. შინატეხელი, ვ. როინიშვილი, დ. გაბრუაშვილი და თვით სცენისმოყვარეები ი. რევაზიშვილი, ალ. გოჩიტაშვილი, დ. მელაშვილი და მომღერალთა გუნდი გაბო ოძელაშვილის ხელმძღვანელობით.

1914 წლის 15 დეკემბერს ხარფუხში მუსულმანთა აუდიტორიაში „ხარფუხის საზოგადო კლუბის" სიმებიანი ორკესტრის ხელმძღვანელის, ლოტბარ პრესმანის ხელმძღვანელობითა და ნ. პრესინსკაიას მონაწილეობით გაიმართა მუსიკალური საღამო, რომელსაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო. ლოტბარს ძირითადად შერჩეული ჰქონდა ლირიკული ნაწარმოებები: ტომის, ლუმბის, ლანგოს, იარენფილდის, გლიუკის, ვერდისა და სხვ. განსაკუთრებით მსმენელებს მოეწონა პირველი განყოფილება, სადაც ს. სილინსკინმა დიდი წარმატებით დაუკრა ქსილოფონზე. მეორე განყოფილებაში მოხდენილად შეასრულეს სოლო შტურმანმა და შლიკმა. მომღერალმა ნ. პრესინსკაიამ საზოგადოების თხოვნით შეასრულა რამდენიმე რომანსი, ბოლოს „გენაცვალეც" — რასაც მსმენელის მხურვალე ოვაცია მოჰყვა. ხალხს უყვარს ეროვნული სიმღერები, წერდა ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება" და საჭიროა ყოველ ასეთ საღამოებზე გამოდიოდნენ ქართველი მომღერლებიც. ორკესტრმა შეასრულა მარში „ხარფუხის კლუბი", ნ. პრესმანის მუსიკიდან „ლეკური", საღამო დასრულდა ყარალაშვილის „სამშობლოთი".

საზოგადოებამ დიდი ოვაცია გაუმართა, როგორც ორკესტრს, ისე ლოტბარს და მომღერალ პრესინსკაიას.

ამას მოჰყვა იმავე წლის 31 დეკემბერს ხარფუხში მუსულმანთა აუდიტორიაში გამართული ახლად შედგენილი სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენილი „ბატონი და ყმა". ბოლოს გაიმართა დივერტისმენტი.

1915 წლის 21 ნოემბერს მუსულმანთა აუდიტორიაში წარმოდგენილი იქ-

ნა ნ. გოგოლის „შეშლილის წერილებიდან“ სცენები და ვოდევილები „ერთი ცხვირი ხეირია“, „დატრიალდა ჯარა“ და „პრიკაშჩიკი შკაფში“.

1915 წლის 18 დეკემბერს ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებლად ხარფუხის საზოგადო კლუბში გაიმართა ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი საღამო, სადაც სცენაზე უკანა კედელთან ხავერდით მობურულ კვარცხლბეკზე იდგა ცოცხალი ყვავილებით შემკული მწვანე ჩარჩოში ჩასმული ვაჟას მშვენიერი სურათი. დარბაზი ისე იყო გაჭედილი მაყურებლებით, რომ იტყვიან ნემსი არ ჩავარდებოდა. არცერთ კლუბს არ მოსწრებია ამდენი საზოგადოება. სცენის წინა რიგზე იდგა გრძელი, მაუდ გადაფარებული მაგიდა, რომლის გარშემო ისხდნენ ჩვენი სახელოვანი მოღვაწე მწერლები: ეკ. გაბაშვილი, ს. მგალობლიშვილი, სტ. ჭრელაშვილი, შ. მღვიმელი, დ. კასრაძე, ტრ. რამიშვილი, გ. ქუჩიშვილი, ს. ფაშალიშვილი, ბ. ახოსპირელი და სხვ. ფარდის აწევისთანავე სიმებიანმა ორკესტრმა პრესმანის ლოტბარობით შეასრულა შოპენის სამგლოვიარო ჰიმნი, რაც საზოგადოებამ ფეხზე ადგომით მოისმინა; დ. კასრაძემ წაიკითხა რეფერატი „ვაჟა-ფშაველა და მისი პოეზია“, რომელიც ფრიად შინაარსიანი იყო. მე-2-ე განყოფილებაში წარმოსთქვეს ლექსები: გ. ქუჩიშვილმა, („ვაჟას ხსოვნას“ და „ვინ სთქვა“), ბ. ახოსპირელმა (ვაჟასივე „ფშაველის სიმღერა“ და „არწივი“) ი. ფანცულაიამ (ვაჟას „მოხუცის ნათქვამი“ და „ღარიბის სიმღერა“). ა. ადამიძემ (ვაჟას „ქეიფი“ და „გოგო გნახე“ და სხვ). გურულების გუნდმა სამუელ ჩავლეიშვილის ლოტბარობით ალ. მახარაძის, სამ. ჩხიკვიშვილის, ვარ. სიმონიშვილისა და სხვათა მონაწილეობით გურული სიმღერებით მოხიბლა საზოგადოება. დამსწრეთა მოთხოვნით გაიმეორეს: „სუფრული“, „შვიდკაცა“, „პატარა საყვარელო“, „ხასან ბეგურა“, „ალი-ფაშა“, „მაყრული“ და „ალილო“, მე-3-ე განყოფილებაში კარგი შთაბეჭდილება დატოვა ცოცხალმა სურათებმა ერეკლეს „სიზმარმა“ და „გლოვამ“. ამ განყოფილებაში გლეხურად ჩაცმული ს. გლახაშვილი პრესმანის მიერ საგანგებოდ შეთხზულ მუსიკაზე მოსთქვამდა თავისივე „ბუნების გლოვას“. საინტერესო იყო აპოთეოზი — ვაჟა-ფშაველა მთებში. სურათების თეატრალიზება ეკუთვნოდა ს. გლახაშვილს, ხოლო დიდი გემოვნებით დადგა რეჟისორმა ალ. წუწუნავამ. საღამო დასრულდა ორკესტრის მიერ პრესმანის ლოტბარობით შესრულებული „სამშობლო-თი“. ყველა მონაწილე და შემსრულებელი მაყურებელმა მხურვალე ტაშითა და ოვაციით დააჯილდოვა.

ქართველი მანდილოსნები ყოჩაღად ჰყიდნენ სხვადასხვა წიგნაკებსა და ყვავილებს. ამ საღამოსათვის საგანგებოდ გამოცემულ ღია ბარათებს ვაჟას სურათით ზედ წარწერით: „მეც ვწირავ ერთ აგურს ქართველ მოღვაწეთა აგარა-

კისათვის“). ბარათებში მანეთზე ნაკლები არავის მიუცია. შემოსავალი 800 მანეთზე მეტი იყო. ხარფუხის კლუბის მამასახლისთა საბჭოს დადგენილებით, ამავე აგარაკის ასაშენებელი თანხის გასაძლიერებლად ხორაგეულს და სასმელებს 10%-ით მიემატა. მამასახლისთა საბჭომ საღამოს გამართვაში დიდი უნარი გამოიჩინა: თვითეული მათგანი იმის ზრუნვაში იყო, რომ საღამო კარგად ჩატარებულიყო და რაც შეიძლება მეტი შემოსავალი ჰქონოდათ...

ასეთმა მუშაობამ თავის დროზე გარკვეული კვალი დატოვა ხარფუხის მოსახლეობის მშრომელ მასაზე, მაგრამ მსოფლიო ომის გამოცხადებასთან დაკავშირებით ხარფუხში სახალხო წარმოდგენების გამმართველი წრის მუშაობა შეჩერებულ იქნა. წრის აქტიური ხელმძღვანელები პ. ბასტიანოვი, დ. მელაშვილი, გ. ჰელიძე და სხვები მობილიზაციით ჯარში გაიწვიეს.

□□

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გიორგი შათირიშვილის წვლილი გამოჩენილი პოეტ-აკადემიკოსის იოსებ გრიშაშვილის აღზრდისა და მისი ჩამოყალიბების საქმეში.

გ. შათირიშვილი, როცა სამუშაოდან სახლში ბრუნდებოდა, უეჭველად გრიშაშვილის მამის, გრიშა მამულაშვილის დუქანთან უნდა შეჩერებულიყო და გრიშას გამოლაპარაკებოდა. ერთხელ ასეთი შესვენების დროს, როცა გიორგი დუქანთან შეჩერდა, ვიღაც ბიჭი მამას დუქანში ღვინისათვის გამოეგზავნა, გრიშამ ბავშვს ღვინით სავსე დოქი სახლში გაატანა, ხოლო კედელზე კიდევ ერთი ხაზი ჩამოუსვა. როცა კედელზე დაფხაჭნილ ხაზებს შეხედა, დაიჩივლა, რა ვქნა, ეს ოხერი ერთმანეთში მერევა, ვერ ვიმახსოვრებო... მაშინ გიორგიმ უთხრა: ეს იმიტომ გემართება, ჩემო გრიშა, რომ წერა-კითხვა არ იცი. არა ჯობია შვილს მაინც ასწავლო, ისწავლის და ის დაგეხმარება თვლაშიო. გრიშა მამულაშვილი ამ სიტყვებმა დააფიქრა და გიორგის შეთავაზებულ წინადადებას დაეთანხმა. მეორე დღესვე გიორგის მეუღლემ პატარა იოსებს შარვალ-ხალათი შეუკერა და თავის შვილებთან ერთად ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში შიო ჩიტაძესთან მიაბარა, გზა დაულოცა ცოდნისაკენ. აქ იოსებმა ოთხი წელი დაჰყო. იგი კარგად სწავლობდა, მაგრამ სიცელქის გამო გიმნაზიიდან დაითხოვეს, ამიერიდან იოსები, როგორც კარგი წერა-კითხვის მცოდნე, ძველ მოკრივესა და დარბაისელ ყარაჩოხელ მამას ყველაფერში ეხმარებოდა, მის მარჯვენად ითვლებოდა და ფიქრობდა მის ადგილს დაიკავებდა, მაგრამ ცხოვრების ტალღამ სულ სხვა გზით წაიყვანა — მშობლიური ხალხის გულში დაუმკვიდრა ბინა.

მართალია, პატარა იოსები სასწავლებლის გარეშე დარჩა, მაგრამ მას ეს

სულაც არ უგრძვნია, რადგან შათირიშვილების ოჯახში შალვასთან და არჩილთან ერთად მეცადინეობდა იმას, რასაც ისინი სკოლაში სწავლობდნენ.

ამიტომაც ასე დაიტირა გრიშაშვილმა გულში ჩამწვდომი სიტყვებით გიორგი შათირიშვილი: მე თუ კაცად ვიქეცი, ეს შენი დიდი ამაგი და წყალობა იყო, შენ როგორც ძნის კონას ერთი მუჭა გამოგლიჯო, ისე მომგლიჯე ყომარბაზობასო.

მართლაც რომ საკუთარ შვილებში არ არჩევდა პატარა იოსებს, რომელიც მის თვალწინ იზრდებოდა. იოსებს არაერთხელ წაუკითხავს შათირიშვილების ოჯახში ახლად დაწერილი, ჯერ კიდევ დაუბეჭდავი ლექსი, ხშირად, როდესაც იოსები გიორგის ოჯახში მიდიოდა, ყველანი ერთხმად შეძახებდნენ –– ახალი არაფერი დაგვიწერეო?

გიორგი შათირიშვილის ოჯახში აღიზარდნენ შესანიშნავი მამულიშვილები: შალვა შათირიშვილი (შემდეგში დამსახურებული ექიმი, რომელიც მეოთხედი საუკუნის მანძილზე ეხმარებოდა თელავის მშრომელებს. იყალთოს აკადემიის ნაფუძვარზე შექმნილ სახალხო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას უსასყიდლოდ გადასცა 500 წიგნი, მათ შორის უნიკალური ენციკლოპედიები, ლექსიკონები, მეცნიერული და მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები), არჩილი (სამხედრო პირი), ქეთევანი (ოპერის მსახიობი, ხელოვნებისა და ლიტერატურის დიდი მოტრფიალე), ელიზბარი და სხვ.

ელიზბარ შათირიშვილი თეატრმა ჭაბუკობის წლებიდანვე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გაიტაცა. მან მამის, გ. შათირიშვილის მიერ დაარსებულ მოხალისეთა ერთ-ერთ თეატრში დაიწყო მუშაობა. ამ თეატრში მოღვაწეობდნენ აგრეთვე ელიზბარის ძმები არჩილი და შალვა, რომლებმაც ღირსეული წვლილი შეიტანეს მუშათა თეატრის განვითარების საქმეში.

ელიზბარი პირველად აქ ეზიარა სასცენო ხელოვნებას. პიესა „ხანუმაში" კოტეს როლი შეასრულა და მაყურებლის დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

გამარჯვებას გამარჯვება მოჰყვა და ი. გედევანიშვილის „მსხვერპლში" ჯერ ვანოს, ხოლო შემდეგ ბოქაულის როლი შეასრულა. მისმა მაღალმხატვრულმა თამაშმა მაყურებელი აღტაცებაში მოიყვანა. ამის შემდეგ მისი მომავალი გზა თითქმის გადაწყვეტილი იყო.

ე. შათირიშვილის სახით სცენისმოყვარეთა თეატრს ჰყავდა უშუალო განცდისა და არტისტული მონაცემების მსახიობი, რომლის მიერ ხორცშესხმული სახეები მაყურებელზე მუდამ დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა.

იგი არასოდეს არ იმეორებდა ერთ როლში მიგნებულ დეტალს, მეორე როლის შესრულებისას. იგი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ყველა როლს,

დიდი იყო ის თუ ეპიზოდური. მის შემოქმედებაში კიდევ ერთ დამახასიათებელ თვისებას უნდა გაესვას ხაზი. ე. შათირიშვილი არ იფარგლებოდა რომელიმე განსაზღვრული ამპლუით, მას ერთნაირად ეხერხებოდა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გმირების, აგრეთვე ტრაგიკული, კომიკური და დრამატული როლების შესრულება. იგი ყოველ როლს მოუძებნიდა ხოლმე რაღაც დამახასიათებელს. ზოგჯერ ხასიათს მოძრაობითა და სირთულით ხსნიდა, ან გამომსახველ სიტყვას, ინტონაციას, ჟესტიკულაციას, ჩაცმულობას, გრიმს მიაგნებდა.

სასცენო მოღვაწეობის ექვსი ათეული წლის მანძილზე ე. შათირიშვილმა მრავალი დასამახსოვრებელი სახე შექმნა სახალხო თეატრის სცენაზე. მის მიერ განსახიერებული სახეები აღსავსეა ღრმა აზრით, განცდით, ჭეშმარიტი შთაგონებით და სიმართლით. მათ შორის აღსანიშნავია: კოტე — ავქს. ცაგარლის პიესაში „ხანუმა", პეტრე — ალ. ყაზბეგის „არსენაში", პატარა კახი — აკ. წერეთლის ამავე სახელწოდების პიესაში, იასონი — „ქრისტინეში", გაიოზი და ფაშა — ვალ. გუნიას „და-ძმაში", ზაქარია და ფიჩხულა — ავქს. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავში", ნიკოლა — „ციმბირელში", გერმანი — შილერის „ყაჩაღებში". თეატრალურ და საზოგადო მოღვაწეობაში მოსვლის დღიდან მოყოლებული დღემდე არ ყოფილა საქველმოქმედო თუ საზოგადოებრივი ხასიათის არცერთი წამოწყება და ღონისძიება, რომელშიც მას მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს, როგორც მსახიობსა და საზოგადო მოღვაწეს.

ელიზბარ შათირიშვილის სასცენო მოღვაწეობა მარტო ხარფუხის სახალხო თეატრით როდი შემოიფარგლება. მას არაერთხელ მიუღია მონაწილეობა თბილისის გარეუბნების: მურაშკოს, არაქსიანის, ნაძალადევის, საბურთალოსა და სხვათა სცენისმოყვარეთა სახალხო თეატრებში.

თავის დროზე ე. შათირიშვილს შესანიშნავი პარტნიორობა გაუწევია დიდ მსახიობ ჩერქეზიშვილისათვის. ზუბალაშვილის სახალხო სახლში, როცა მათ ერთად უთამაშიათ ავქს. ცაგარლის „ხანუმაში" (ელისაბედი ხანუმას როლს თამაშობდა, ხოლო ელიზბარი — კოტეს). ჩერქეზიშვილი — ნასიამოვნები დარჩენილა თავისი პარტნიორით, მას ელიზბარი გადაუკოცნია და დიდი მადლობა გადაუხდია...

ელიზბარ შათირიშვილის მიერ განვლილი შრომითი გზა არ ყოფილა ია და ვარდით მოფენილი. მას უამრავი სიძნელის დაძლევა უხდებოდა. იგი უანგაროდ იღვწოდა იმ იდეისათვის, რომ თეატრი გართობისათვის კი არ არსებობს, არამედ იგი ხალხის აღმზრდელი და სულიერი საზრდოს მიმცემია. ელიზბარი კი მთელი 55 წლის მანძილზე იბრძოდა, რომ მშრომელ მასებში კულტურა შეეტანა.

ეს კეთილშობილი იდეა, ეს მიზანი, მის ცხოვრებაში არ ყოფილა ერთდროული — ეფემერული, მის წარმოშობას თავისი ისტორია აქვს. იგი მყარ საფუძველზეა წარმოშობილი და აღმოცენებული. ეს საფუძველი გახლავთ შათირიშვილების ოჯახური ტრადიცია, ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის კულტურის დიდ მოამაგეს, დაუღალავ საზოგადო მოღვაწეს, ელიზბარის მამას, გიორგი მოსეს ძე შათირიშვილს.

აი ასეთ პროგრესულ ტრადიციების მქონე ოჯახში აღიზარდა და შეიცნო ცხოვრება ელიზბარმა. ელიზბარს, ბავშვობიდანვე მუსიკისადმი დაუოკებელი სიყვარული დაჰყვა. ამიტომაც ქართულ გიმნაზიაში სწავლის პარალელურად დააწყებინეს მეცადინეობა მუსიკაში. მისი მასწავლებელი იყო ზაქარია ფალიაშვილი. მუსიკოსს უხაროდა ნიჭიერი მოწაფის ელიზბარის მუსიკალობა და არ აკლებდა გულმოდგინეობას.

მაგრამ ეს ბედნიერი ხანა მისი სიჭაბუკის დასაწყისშივე შეწყდა. დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, სისხლიანი 1914 წელი. შეიცვალა ცხოვრების პირობები. გაჭირვება თავს დაატყდა ელიზბარის ოჯახსაც. იგი გულისტკივლით თავს ანებებს სწავლას და იძულებულია ლუკმა პურის საშოვნელად დაიწყოს დამოუკიდებელი შრომა. შემდგომში იგი ველარ ახერხებს სწავლის გაგრძელებას ვერც მუსიკაში და ვერც გიმნაზიაში, რადგან ოჯახის არსებობის მთელი სიმძიმე ელიზბარს დააწვა მხრებზე. მას რჩება ერთადერთი სახეობა ხელოვნებაში — სახალხო თეატრი. დღიური შრომით მოქანცული ელიზბარი, სამუშაოდან გარბის რეპეტიციებზე თბილისის სხვადასხვა უბნებში. მან 55 წლის განმავლობაში არა მარტო მრავალი როლი განასახიერა, იგი ხშირად იყო რეჟისორიც, სუფლიორიც, სცენის მუშა, მხატვარი, რეკვიზიტის შემგროვებელიც. მას ხშირად ხედავდნენ ქუჩაში ტომრით ხელში, რომელსაც სცენისათვის საჭირო ნივთები და მორთულობა მოჰქონდა თავის სახლიდან და მეზობლებიდან. ავლაბარში მურაშკოს სახალხო თეატრში „ქრისტინეს" დგამდნენ, პიესაში საჭირო იყო აკვანი და მისი მოწყობილობა, რომელიც ელიზბარმა ხარფუხიდან ზურგზე მოკიდებული ავლაბრის თეატრში მიიტანა. ხოლო წარმოდგენის დამთავრების შემდეგ უკანვე წაიღო. 55 წელი მრავალი ანალოგიური მაგალითებით არის აღსავსე. როგორც წესი, სცენისმოყვარეს ამ შრომაში არავითარი გასამრჯელო არ ეძლეოდა. პირიქით, ასეთ უანგარო შრომას ხშირად მოსდევდა საკუთარი ჯიბიდან ფულის გადახდა, რათა თეატრისა და განათების ქირა გადაეხადათ კერძო მეპატრონისათვის.

ელ. შათირიშვილი არა მარტო ქართული თეატრის შესანიშნავი მოღვაწეა, იგი ნიჭიერი კომპოზიტორი და მუსიკოსიც არის, მან შექმნა 18 მუსიკალური ნაწარმოები ფორტეპიანოსათვის. მუსიკისადმი ტრფიალი ელიზბარს იმა—

ნაც გაუძლიერა, რომ იგი ახალგაზრდობაში კარგა ხანს სწავლობდა ქართულ სამუსიკო სასწავლებელში, რომლის დირექტორიც ზ. ფალიაშვილი იყო.

მას მწერალ სურენ ავჩიანის ტექსტზე დაწერილი აქვს მუსიკა გუნდური კაპელისათვის, რომელიც მიძღვნილია მოძმე სომხეთისადმი და წარმატებით სრულდება სომხეთში.

ელ. შათირიშვილის მუსიკალურ ნაწარმოებებში ასახულია ჩვენი შავბნელი წარსული, ნაღვლიანი ჰანგები მიძღვნილი ფერეიდნელი ქართველებისადმი, ჩვენი გმირული წარსულისადმი. იგი მუსიკის ენით გადმოსცემს დღევანდელ მშვიდობიან ცხოვრებას და ჩვენი ხალხის გმირული შრომის სიდიადეს.

შათირიშვილებთან ნახავთ ბევრ წიგნს, სურათს ი. გრიშაშვილის ავტოგრაფით, მაგრამ ელიზბარი ყველაზე სათუთად უფრთხილდება პოეტის მიერ მიძღვნილ ლექსს „ისწავლე“, რომელიც 68 წლის განმავლობაში ინახება მათ ოჯახში, როგორც ძვირფასი რელიქვია. ეს ლექსი 1908 წლის პირველ მარტს არის დაწერილი. ეს ის პერიოდია, როცა იოსების პოეტური ნიჭი თანდათან ყალიბდებოდა. ლექსი დიდაქტიკური ხასიათისაა. შეიძლება მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი არ იყოს, მაგრამ საგულისხმოა, იმდენად, რამდენადაც პოეტის ხელით არის დაწერილი და წარმოდგენას გვაძლევს მის ადრინდელ წლებზე.

### ისწავლე

ჩემო ელიზბარ! ნუ ცელქობ, კმარა,
გმართებს იკითხო ბევრი წიგნები,
თუ უსწავლელი ამ სოფლად დარჩი,
იცოდე არვის გამოადგები.

მსურს შენც წაჰბაძო შენს უფროს ძმებსა,
სწავლით ახარო დედ-მამის გული,
შენ ნუ აჰყვები ქუჩის ბიჭებსა,
სწავლაში გქონდეს შენ გულისყური.

ეგრე შენსავით, როს მეც ვიყავი
ჯერ სულ პატარა გამოუცდელი,
წიგნის სწავლებას ვანებე თავი,
თუმც ეხლა ვნანობ, რაღას ვუშველი?

მაშ ეგრე, ჩემო პაწა ელიზბარ!
ისწავლე წერა, ისწავლე კითხვა,
და თუ არა და უსწავლელობით
მუდამ მოგელის დევნა და კიცხვა.

აი, როგორ მიმართა თვით ელ. შათირიშვილმა გრიშაშვილს საიუბილეო საღამოზე:

„ძ ვ ი რ ფ ა ს ო თ ა ნ ა უ ბ ნ ე ლ ო, ს ი ყ რ მ ი ს მ ე გ ო ბ ა რ ო ს ო ს ო!

ამ ბედნიერ დღეს, როცა მადლიერი ქართველი ხალხი ზეიმით გიხდის დაბადების 70 წლისთავს, შენი მშობლიური უბნის ხარფუხის მკვიდრნიც მხურვალედ მოგესალმებიან და გისურვებენ ხანგრძლივ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ჩვენი ერის, ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

70 წელი. რამდენის მთქმელია ეს თარიღი.

ძველ ხარფუხელებს ჯერ კიდევ გონებიდან არ ამოშლიათ შენი დაუდეგარი ბუნება, შენი სიყრმე, პოეტური აღტინება და ამაყობენ მით.

ახსოვთ ვიწრო ვერცხლის ქამრიანი, ფეშტამალშემოკრული პატარა „ფირუზა", როცა დახტოდი და თან საქმეში ეშველებოდი ძია გრიშას, — ძველ მოკრივეს და დარბაისელ ყარაჩოხელს — მამაშენს. შენ მის მარჯვენად ითვლებოდი. ფიქრობდა მის ადგილს დაიკავებდი, მაგრამ ცხოვრების ტალღამ სულ სხვა გზით წაგიყვანა — მშობლიური ხალხის გულში მოგცა ბინა.

ბავშვობიდანვე კარგისაკენ მიისწრაფოდი; თავად კეთილი, კეთილ მარცვალს ჰკენკავდი. ცუდი კი რამდენი იყო იმდროინდელ ხარფუხში. თვითონა სწერ, ვიზრდებოდი დაჩაგრული ყასბის მორებთან... ქეიფი, ჩხუბი, ლოთები გადაჭარბებით — და ძნელად დაიჯერებენ, რომ ვინმე „გრძელთმიან სევასტიკამ" ყომრის თამაშის დროს ამხანაგი ერთი აბაზის გულისათვის მოჰკლა.

იმდროინდელ ხარფუხში მხოლოდ რამდენიმე ოჯახი გამოირჩეოდა. ერთმა ამათთაგანმა ყურადღება მიაქცია შენს კეთილ ბუნებას, სიმკვირცხლეს და გვარად შათირიშვილმა ძია გრიშას დაჟინებით შთაგონებით მიგაბარა თავის შვილებთან ერთად თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში, გზა დაგილოცა ცოდნისაკენ.

რა იცოდა მან, რომ ეს გზა აკადემიკოსობისაკენ მიდიოდა...

გიყვარდა წიგნი და ამ წიგნმა გადაგარჩინა.

პურის ფული არ გქონდა და წიგნს ყიდულობდი, ხალათი არ გეცვა და წიგნს ყიდულობდი. კითხულობდი, დაჟინებით კითხულობდი.

წიგნმა გითხრა ამ სოფლის ავ-კარგი. ჩასწვდი შენი სამშობლოს წარსულს, თბილისელ მოქალაქეთა ყოფას და ლექსად ამღერდი.

ჩვენ მოწმენი ვართ შენი პოეტური ნათლობისაც. მუზამ ისე გაგიტაცა, რომ ანგარიში აღარ გაუწიე ხარფუხში ზოგიერთ თავზე ხელაღებულ ახალგაზრდებს. მათ დებს ლექსებიც კი უძღვენი წარწერებით, ასე მაგალითად:

„ამ ლექს ვუძღვენი ხალიან ანუასაო“, „სორინოვიანთ მაშუასაო“, „მანიასაო“ და სხვა.

გახსოვს სოსო! ერთხელ ძველი რევოლუციონერის არუთინას დუქანში შეიკრიბნენ ეს ახალგაზრდები და განაჩენი უნდა გამოეტანათ შენთვის. შემთხვევამ გადაგარჩინა.

მაგონდება ჩვენი უბნის შინაური წარმოდგენებიც. წერდი ვოდევილებს, რეჟისორობდი და მონაწილეობდი მასში. თეატრის შენობა? თეატრი იყო ყველა ის აივანი, თუ ეზო, სადაც ფარდა ჩამოიკიდებოდა. ამ მხრივ „კაჭაანთ“ სახლს ხომ დიდი ფასი ედო.

ჩვენს თვალწინ იზრდებოდი, ჩვენს თვალწინ ყალიბდებოდი საკუთარი ხმის პოეტად. გიყურებდით და ვხარობდით.

ამბობენ 20-იანი წლების შენი პოეზია სატრფიალო პოეზიააო. მაგრამ აი, ხელთა მაქვს ამ 51 წლის წინ (1908 წლის მარტი) დაწერილი გამოუქვეყნებელი ლექსი, რომელიც აქარწყლებს ხსენებულ აზრს, მიუთითებს რა იგი, შენი ნიჭის მრავალმხრივობაზე. ეს დიდაქტიკური ლექსი მე მიძღვენი.

საბჭოთა სინამდვილემ მეტი ეშხი და ლაზათი მისცა შენს შემოქმედებას. სოციალისტურმა წყობამ გათქმევინა გულითადი სიმღერა შრომისა, თავისუფლებისა და მშვიდობისა.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დაგაფასა.

გვჯერა შენი და ვამაყობთ, რომ ერთი უბრალო, ხარფუხელი ბიჭიდან ამაღლდი სახალხო პოეტამდე, ლაურეატამდე, აკადემიკოსობას მიაღწიე.

ვ ა შ ა! შენს ნიჭს, შენს მონდომებას, შენს შრომას.

ვ ა შ ა! შენს გრიშაშვილობას.

შათირიშვილს კი 1972 წლის 3 ივნისს, თბილისში გორკის სახელობის კულტურის სახლში, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, საქართველოს პროფსაბჭოს მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა და გორკის სახელობის კულტურის სახლის გამგეობამ დაბადებიდან 70 წლის თავის და სასცენო, საზოგადოებრივი მოღვაწეობის 55 წლისთავის აღსანიშნავი საღამო მოუწყო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების მაშინდელმა თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა დოდო ანთაძემ, რომელმაც ილაპარაკა ელ. შათირიშვილის სცენისმოყვარეთა წრეებსა და სახალხო თეატრებში ნაყოფიერ შემოქმედებაზე, აღნიშნა მისი თვალსაჩინო დამსახურება ქართული თეატრის წინაშე.

ელ. შათირიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ნიკო კევლიშვილი, მომხსენებელმა დაწვრილებით ილა-

პარაკა იმ ღვაწლზე, რომელიც ელიზბარ შათირიშვილს და საერთოდ მათ ოჯახს — მამას, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწესა და პატრიოტს გიორგი შათირიშვილს, ელიზბარის ძმებს, არჩილსა და შალვას მიუძღვით ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში.

საღამოზე იუბილარს მიულოცეს და გულთბილი სიტყვებით მიმართეს: აკადემიკოსმა შ. ამირანაშვილმა, პოეტ-აკადემიკოსმა ირ. აბაშიძემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა მ. ჭიაურელმა, სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა უ. ჯაფარიძემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა რ. ლაღიძემ, გ. დარისპანაშვილმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწეებმა ო. ეგაძემ, დ. ჩხეიძემ, მ. ჩირინაშვილმა და ს. ავჩიანმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა შ. კიკნაძემ, დრამატურგმა აკ. დევიძემ, ე. ლორთქიშვილმა (კვების მრეწველობის პროფკავშირის რესპ. კაბინეტი), დ. ჩაჩანიძემ, ელ. ჯორჯიაშვილმა, მ. თავართქილაძემ, ა. ჯვარელმა და სახალხო მთქმელმა ს. ჩანგაშვილმა, ხოლო ლექსი „სალაღობო“ უძღვნა ს. აბაიშვილმა.

### სალაღობო

მამამ გაკურთხა, გრიშაშვილმა
წაგახალისა,
როცა პირველად ფეხი შედგი
ქართულ სცენაზე.
გამგრძელებელო შათირიშვილთ
დიდი გვარისა,
შენც ამეტყველდი ცაგარელის
უკვდავ ენაზე.
შენი ასაკის მეგობრებმა
კარგად იციან,
შენი ხატივით სალოცავი,
სცენა რომ იყო
სამსახურივით შეიყვარე
რეპეტიცია
და ხელოვნების სიყვარულიც
ამით დაიწყო.
ასე დაიწყო დიდი ვნება
შენს ცხოვრებაში,
ასე დაიწყო სიხარული
და აღმაფრენა.
ვერაგი პეტრე შენ იყავი
ერთ-ერთ სცენაში,
ცხოვრებაში კი გულკეთილი,
როგორც არსენა.

ხელოვნებისთვის თავდადება
იყო მიზეზი,
მუსიკოსებს რომ შეემატე
დებიუტანტი.
ალბათ სიყრმითვე გიზიდავდა
ჰანგი ბიზესი
კომპოზიტორის, რომ აღმოჩნდა
შენში ტალანტი.
ჩემო ელიზბარ! არ იძუნწო,
გატეხე ნავსი!
კაცმა-კაცისთვის უნდა რამე
გამოიმეტოს.
ჩაჩანიძისთვის დაგვიწერე
ერთი რომანსი,
ნუ გეშინია, მე დაგიწერ
ლექსით ლიბრეტოს.

სიტყვის სალარო ამოვწურე,
ამოვათავე,
მაინც ვერ იქნა, ვერ გითხარი
გულისნადები.
ასი წლისთავზე იუბილეს რომ
გაგიმართავენ,
მეც იმ დღისათვის უკეთესად
მოვემზადები.

დასასრულს, იუბილარის მონაწილეობით წარმოადგინეს ალ. ყაზბეგის „არსენადან" მესამე მოქმედება.

□□

ელიზბარის შვილებიც აღიზარდნენ შათირიშვილის გვარის ტრადიციებზე. ისინი მტკიცედ, ღირსეულად არამარტო აგრძელებენ ამ ტრადიციას, არამედ შემოქმედებითად ანვითარებენ კიდეც.

ე. შათირიშვილის ქალიშვილი, გიული დღეს ფილოლოგია და ქართულ ლიტერატურას ემსახურება, ხოლო ვაჟი გიორგი შათირიშვილი, პროფესიით ინჟინერ-ტექნოლოგია... თუმცა ადრე, პატარაობისას გიორგიც თეატრის „სენით" ყოფილა შეპყრობილი.

ქერა, თმახუჭუჭა ბიჭუნა მამას — ელიზბარს პატარაობიდანვე დაჰყავდა თეატრში რეპეტიციებზე და საჭირო შემთხვევაში, როცა პატარა ბიჭის როლის შემსრულებელი „მსახიობი“ დასჭირდებოდათ, ამ მოვალეობას პატარა გოგლიკოს აკისრებდნენ.

რვა წლის არც კი იქნებოდა, როცა იგი პირველად სცენას ეზიარა. მას პ. ირეთელის „ქრისტინეში“, ქრისტინეს შვილის გოგიას როლის შესრულება დააკისრეს. პატარა სცენისმოყვარემ შესანიშნავად გამოძერწა გოგიას სახე, იპოვა მართალი მხატვრული ფერები. სპექტაკლმა გაიმარჯვა. სულგანაბულ, გულაჩუყებულ მაყურებელთან ერთად მსახიობებიც მოხიბლულნი შესცქეროდნენ შესანიშნავ შემსრულებელს და წარმატებას ულოცავდნენ თავიანთ პატარა კოლეგას.

ამ დღიდან იგი სცენას აღარ მოშორებია: ასე დაიწყო მისი „პატარა სცენური ცხოვრება“. მუშაობამ და საქმის სიყვარულმა კარგი შედეგი გამოიღო. „მსახიობმა“ მალე შეავსო თავისი რეპერტუარი მრავალფეროვანი ეპიზოდური როლებით. ჭაბუკი გიორგი ძალიან მოსწონდათ როგორც რეჟისორს, ისე წრის წევრებს. ფიქრობდნენ მსახიობი დადგებოდა, მაგრამ გოგის გზა სულ სხვა მიმართულებით წარიმართა. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი სწავლას აგრძელებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ტექნოლოგიის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კი მუშაობას იწყებს იყალთოში ღვინის ტექნოლოგად.

გიორგი არ კმაყოფილდება თავის დარგში თვალსაჩინო მიღწევებით და ხელს კიდებს სოფელ იყალთოში შოთა რუსთაველის დროს არსებული აკადემიის აღორძინებას. იგი თაოსნობს სახალხო უნივერსიტეტის დაარსებას და მადლიერი მშრომელი ხალხი, ერთსულოვნად ირჩევს გიორგის ამ უნივერსიტეტის რექტორად...

გ. შათირიშვილი, სახალხო უნივერსიტეტის დაარსების 10 წელთან დაკავშირებით გვიამბობს:

მეოთხე საუკუნის გამოჩენილი ბერძენი ფილოსოფოსი და რიტორი თემისტიოსი ერთხელ ერთ პატარა ქალაქში საჯარო ლექციას კითხულობდა. ერთმა ახალგაზრდამ მას წერილი გაუგზავნა და სთხოვა, — დამეხმარე, რომ კონსტანტინეპოლში მოვეწყო სწავლის მისაღებადო. თემისტიოსმა უპასუხა: „მეცნიერებას განთქმული დედაქალაქი არ სჭირდებაო“...

ბერძენი ფილოსოფოსის ეს პასუხი იყალთოში ჩასვლისთანავე ამეკვიატა და მოსვენება დამიკარგა. იყალთოს დიდებულმა წარსულმა, სარწმუნო ლეგენდამ რუსთაველის ნაკვალევზე, არსენ იყალთოელისეული აკადემიის ჩამონგრეულმა, მრავლის მთქმელმა ქონგურებმა, მშრომელმა და მაძიებელმა ხალხმა

სოფლის სწრაფვამ უფრო განათლებული, კულტურული ცხოვრებისაკენ პრაქტიკულადაც განმიმტკიცა, რწმენა, რომ „მეცნიერებას განთქმული დედაქალაქი არ სჭირდება“.

ასე დაიბადა იდეა, რომელიც უმალვე გ. შათირიშვილმა გაუმხილა სასოფლო საბჭოს მესვეურთ და სოფლის აქტივს. დატური დასვეს — შექმნილიყო სახალხო უნივერსიტეტი.

წინააღმდეგობა აძლიერებდა გ. შათირიშვილში ბრძოლის სურვილს. განსაკუთრებით სიძნელეს წარმოადგენდა მისთვის სკეპტიკოსთა აზრი, რომლებიც ალმაცერად უყურებდნენ ამ საქმიანობას. ბედნიერი ვარ — ამბობს გ. შათირიშვილი, რომ ამ ათი წლის თავზე მათ ეჭვის ნატამალიც არ დარჩათ ალბათ. სახალხო უნივერსიტეტი აღრმავებს ფესვებს ხალხის გულში.

სახალხო უნივერსიტეტის დასაყრდენი ბაზებია თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, საქართველოს მებაღეობა-მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევითი ინსტიტუტის თელავის საცდელი სადგური, თელავის მუსიკალური სასწავლებელი და სკოლა, რაიონის ჯანმრთელობის, განათლებისა და კულტურის განყოფილებები.

უნივერსიტეტის ლექტორები არიან ჩვენი საპატიო სტუმრები საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ი. ვეკუა, ვიცე პრეზიდენტი ი. აბაშიძე, ი. ხარაძე, ს. დურმიშიძე (აწ. განსვენებული კ. გამსახურდია), საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრები ლ. გუდიაშვილი და უ. ჯაფარიძე. მარად დაუვიწყარი აკადემიკოსი შ. ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი, გ. წერეთელი და სხვა მრავალნი, ვისაც არც დრო დაუშურებია და არც ენერგია, რათა იყალთოში მოსულიყვნენ და სახალხო უნივერსიტეტის მწვანე აუდიტორიაში თავიანთი მდიდარი ცოდნა სწავლის მოსურნე მსმენელთათვის გაეზიარებინათ.

ათი წლის ყველაზე სამახსოვრო დღე იყო პირველი მეცადინეობა სახალხო უნივერსიტეტის. პირველ ლექტორს პროფესორ შ. მესხიას წაუკითხავს ლექცია თემაზე: „XI-XII საუკუნის საქართველოს კულტურა და იყალთოს აკადემია“. აკადემიის დიდ ნაფუძვარზე ახალი ნერგის ჩაყრას ისეთი სიხარული გამოუწვევია, როგორიც ადამიანის დაბადებას მოსდევს ხოლმე ოჯახში, ოღონდ — გადიდებულ მასშტაბებში.

უნივერსიტეტს 4 ფაკულტეტი აქვს. პოლიტიკურ-საზოგადოებრივი, ლიტერატურა-ხელოვნების, სოფლის მეურნეობის და სამედიცინო. მათ ხელმძღვანელობს სამეცნიერო-მეთოდური საბჭო. უნივერსიტეტი პროპაგანდას უწევს მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებებს, სკკპ XXIV ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

რუსთაველის სახელობის იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის დაარსებამ იყალთოში საფუძველი ჩაუყარა ადრე არსებულ რელიგიური დღესასწაულის „ამაღლების“ ნაცვლად სახალხო დღესასწაულის „შოთაობას“ დამკვიდრებას.

1963 წლის 24 დეკემბერს სოფელი იყალთო უკვე ზეიმობდა თავის ახალ დღესასწაულს შოთაობას და კვლავ იხსენებდა იმ ლამაზ თქმულებას, რომლის მიხედვით იყალთოს აკადემიაში უსწავლია გენიალურ ქართველ პოეტს შოთა რუსთაველს.

„სახალხო დღესასწაული შოთაობა მისი პირველი აღნიშვნის წელსვე გასცდა არა მარტო იყალთოსა და ჩვენს რაიონს, არამედ ჩვენს რესპუბლიკასა და თვით ჩვენი ქვეყნის ფარგლებს. ზეიმზე ჩამოვიდნენ ინგლისელი და ფრანგი, ჩეხი და პოლონელი, ჩვენი დიადი სამშობლოს თვალსაჩინო მოღვაწეები, ლიტერატურისა და ხელოვნების კორიფეები.

იყალთოელები ამ დღიდან ყოველ წელს ზეიმობენ შოთაობას. და აი წელს აკადემიის უწმინდესმა ნაფუძარმა მეცამეტედ გადაუშალა გული სამოყვროდ ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხიდან მოსულ სტუმრებს, ახმაურდა ცოდნის უდიდესი სავანე, აგიზგიზდა ლექსის, სიმღერის, ცეკვა-თამაშის და სპორტული შერკინების დიდი კოცონი.

სახალხო დღესასწაულზე მოსულ სტუმრებს ესალმება, მეცამეტე შოთაობას ულოცავს და დღესასწაულს გახსნილად აცხადებს საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი თენგიზ ჯაბადარი.

თენგიზ ჯაბადარი სიტყვას აძლევს უნივერსიტეტის რექტორს გოგი შათირიშვილს. შემდეგ ერთმანეთს ენაცვლებიან აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე, ჩვენი დროის დიდი მეცნიერი ავლიპი ზურაბაშვილი. ამ დღესთან დაკავშირებით გაზეთი წერდა: „სადღესასწაულო ზეიმს სასიცოცხლო შინაარსს აძლევდა „ვეფხისტყაოსნიდან“ ამოღებული უკვდავი აზრების ლექსად თქმა და დამღერებანიო, — თქვა აკადემიკოსმა და იჭუხა რუსთაველის ლექსმა, ნაზმა, ვით დილის სიომ და მქუხარემ, როგორც ჩვენებურმა მთის მდინარემ.

პოეტი შოთა ხოდაშნელი ზეპირად კითხულობს ნაწყვეტებს „ვეფხისტყაოსნიდან“.

რუსთაველის დღეებია, პოეზიის დღეები და ტრიბუნიდან გულუხვად მოედინება ქართული ლექსის ბადაგი, ერთმანეთს სცვლიან სოსო ჩხუბიანიშვილი, სახალხო მთქმელები ვანო მრელაშვილი და ნიკო გორელიშვილი, მწერალი როსტომ ელანიძე, მირანგულ ავსაჯანიშვილი, სანდრო ყურშიტაშვილი...

გასულ წელს შოთაობის დღესასწაულზე დამსწრენი მოიხიბლნენ ძველი ქართული თეატრალიზებული სანახაობის „ბერიკაობის“ წარმოდგენით. წელს თელავის სახელმწიფო თეატრის მთავარმა რეჟისორმა ნუგზარ ლორთქიფანი-

ძემ, თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა ახალი სიურპრიზი მოუმზადეს დამსწრეთ. აკადემიის ნანგრევების დიდ, ბუნებრივ სცენაზე აამღერეს გულუხვი ხალხური სატრფიალო ლირიკა, აახმიანეს ძარღვიანი ქართული ხალხური ლექსი, ერის სულიერი კულტურის, მისი ზნეობრივი სიფაქიზისა და ვაჟკაცობის შეუმცდარი სარკე... სპორტული ღონისძიებების გარდა დამსწრენი აჩაღებდნენ დოლ-გარმონს და უჩვენებდნენ ქართული ხალხური ცეკვების მომხიბვლელობას და მგზნებარებას"[1].

ხვალინდელი დღე უკეთესი მოსჩანს. მოეწყობა ადგილობრივი რადიოფიცირება, რასაც რუსული ენის გაკვეთილებისათვის გამოიყენებენ. მინდა ამ საზეიმო დღეს — ამბობს გ. შათირიშვილი გაგიმხილოთ — ხომ არ მომწიფდა საზოგადოებრივი აზრი სახალხო უნივერსიტეტის სახალხო აკადემიად გადაკეთების თაობაზე?

გ. შათირიშვილი დღესაც საქმის ცოდნით და მჩქეფარე ენერგიით უძღვება მეტად რთულ და საპატიო საქმეს.

□□

ი. გრიშაშვილის სამოღვაწეო ასპარეზი პირველად თეატრით დაიწყო. აი, რას გვიამბობს ამის შესახებ ი. გრიშაშვილი თავის მოგონებაში: „მოვიდა ჩემთან ჩვენებური სომეხი მსახიობი დავით გულაზიანი და მეუბნება: — ჩვენი ბიჭების სასარგებლოდ „მურაშკოს თეატრში" წარმოდგენასა ვდგამთ ოთხ ენაზე. ქართულ პიესაში სუფლიორი არა გვყავს. გავიგე, რომ შენ ქართულ წიგნებს კარგად კითხულობ და დროა, რომ მედუქნეების გარდა ახლა ჩვენც წაგვიკითხოო. დავთანხმდი.

თეატრში პირველად ვიყავი და სუფლიორის ხულა ფანტასტიკური ვარსკვლავი მეგონა. ქართულად დგამდნენ — „ადვოკატ მელაძეს", რუსულად „წინადადებას", თათრულად „კრთ-კრთის" და სომხურად „ხეჩუას ლეღვს".

თეატრიდან სულ სხვა ეშხით დავბრუნდი სახლში. გადავწყვიტე ასეთი წარმოდგენები ჩვენს უბანშიც გაგვემართა. თეატრიდან დავბრუნდი თუ არა, მაშინვე დავწერე „ტიმოთეს ლეღვი" (ე. ი. სომხურად მოსმენილი პიესა ჩემი მეხსიერების წყალობით იმ საღამოსვე ზეპირად გადავთარგმნე).

კაჭაანთ ეზოში ავირჩიე ერთი ფართო აივანი და ვინაიდან „ტიმოთეს ლეღვში" სულ ორი მოქმედი პირია და არც ქალი იყო საჭირო, წარმოდგენა სხარტად გათამაშდა და ერთმოქმედებიანი „ტიმოთეს ლეღვი" ერთ საღამოს ორჯერ ზედიზედ ვითამაშეთ. ამას მოჰყვა სხვა პიესებიც. მომემატნენ უბნის

[1] გაზ. „ალაზნის განთიადი", 1975 წ. 4 ნოემბერი.

მეგობრებიც და, ხარფუხის გარდა, წარმოდგენებს ვდგამდით კამფეტების ქარხანაში (ორთაჭალაში) და ზაფხულობით კი იქვე — „ნადკუროის ბაღში“.

ჩვენი წარმოდგენები, რასაკვირველია, ხშირად კურიოზული იყო, მაგ: არ დამავიწყდება ჩემი თავი ოტიას როლში („და-ძმა“), სადაც მეგრული ჩოხის ნაცვლად ყურთმაჯებიანი კაბა მეცვა...

სულ მოკლე ხანში ქართული წარმოდგენების ბუნებას უფრო დადებითად გავეცანი. ჩვენი წარმოდგენების სკოლა არაქსიანის თეატრი იყო, სადაც კვირაში ერთხელ გამოუკლებლივ დავდიოდი და ხარბად ვისმენდი მსახიობთა ამონათქვამებს და თვალყურს ვადევნებდი პიესების საერთო მსვლელობას.

„მაშინ ავლაბრის არაქსიანისეულ თეატრში ქართულ წარმოდგენებში მონაწილეობდნენ: ლ. ბაღაშვილი, ალ. ბაჯიაშვილი, დ. მელაშვილი, ნ. მირველოვი, ბ. მაისურაძე, გ. ფირუმიანი, ი. მარკოზაშვილი, ი. რევაზიშვილი, შ. გომელაური, რ. სალაყაია, ს. პეპანოვი, გ. გელიკურაშვილი, დავიდოვი, პოლოსოვი, ბეგიჯანოვი; ქალებიდან — თ. აფხაზიშვილი, დ. რჩეულიშვილი, ე. ბუჩუკური, ნ. საყვარელიძე, მ. ქართველიშვილი, კ. ანტონოვისა და სხვ. არაქსიანის თეატრში დროგამოშვებით ქართულ წარმოდგენებს მართავდნენ აგრეთვე: ვ. მჭედლიშვილი, ა. ჩერქეზიშვილი, მამულოვი, ა. სვიმონიძე და სხვ. ეს უკანასკნელი ბაძავდა არტისტ სვიმონიძეს და მისი ფსევდონიმი დაირქვა, მერე როცა ეს აუკრძალეს, სვიმონიძე — ლიმონიძედ გადაიკეთა, რადგან ეს სცენისმოყვარე ლიმონებით მოვაჭრე იყო“[1].

ერთ ადგილზე წარმოდგენების მართვა რომ მოსწყინდათ, ზაფხულობით გასტროლები დაიწყეს; მათი მარშრუტი განისაზღვრებოდა შემდეგი სოფლებით: დიღომი, წყნეთი, ავჭალა, მცხეთა. შემოემატნენ სცენისმოყვარეები: ვ. მარგველაშვილი, გ. დავიდოვი, ეპიტაშვილი, კველაშვილი, გვარამაძე, მაღალდაძე და სხვ. სოფლებში წასასვლელად წინა დღით ურმებს ქირაობდნენ, ნაშუაღამევს თბილისიდან გადიოდნენ, რომ დილით დანიშნულ ადგილას ყოფილიყვნენ: ერთხელ, ასეთი მოგზაურობის დროს წყნეთის ქუჩაზე ყველა მონაწილე დაიჭირეს და ხარ-კამეჩებიანად პოლიციაში წაიყვანეს. ისინი არწმუნებდნენ, რომ მსახიობები იყვნენ და საგასტროლოდ მიემგზავრებოდნენ წყნეთში. მაგრამ საქმის გარკვევამდე კარგახანს დასჭირდათ მოცდა. საქმე იმან უფრო გააშწვავა, რომ პიესისათვის წამოღებული ჰქონდათ პარიკები და ფერადები, რომელიც თავდასხმის შენიღბვად მიიჩნიეს და ყაჩაღებად მონათ-

---

[1] ი. გრიშაშვილი, მინიატურები და ლიტერატურული ნარკვევები, ტ. V, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1965, გვ. 243-244.

ლეს, რომ ვითომ სახეშეცვლილი ველარავის ეცნოთ. მეორე დილით განთავისუფლებულები თბილისში დაბრუნდნენ.

როცა გრიშაშვილი უფრო მეტად ჩაწვდა თეატრის რაობას, ხარფუხის აივნები უკვე აღარ აკმაყოფილებდა, გადასწყვიტა ხარფუხსაც ჰქონოდა ისეთივე თეატრი, როგორიც სხვა განაპირა უბნებს. ამ მიზნით, შეკრიბა ამ უბნის „მოინტელიგენტო“ ხალხი. ხარფუხიდან სათავადაზნაურო სკოლაში მხოლოდ ხუთი ოჯახი სწავლობდა: ელ. შათირიშვილი, კ. მეტრეველი, იოსებიძეები, თითბერიძეები და თვით გრიშაშვილი. მათ გამოიტანეს დადგენილება, რომ რჩევისათვის ავლაბრის ქართული წრისათვის მიემართათ. ი. გრიშაშვილი და გ. ჩოჩიაშვილი მოვიდნენ არაქსიანის თეატრში, გააგებინეს თავიანთი განზრახვა. მეორე დღეს წრემ ხარფუხში გაგზავნა სცენისმოყვარე ბესო მაისურაძე, რომელსაც უნდა დაეთვალიერებინა მიდამოები სცენის მოსაწყობად და აერჩია ნიჭიერი სცენისმოყვარეები.

ბ. მაისურაძე, მართლაც სწვევია ხარფუხს, მაგრამ გრიშაშვილი უკვე აღარ დახვედრია. გ. ფირუმიანს იგი ავლაბრის თეატრში სუფლიორად დაუნიშნავს.

აი რას წერს დავით მელაშვილი: „1905 წლის ბოლოს, ერთ კვირა დილას რეპეტიციას გავდიოდით. მე თეატრის შესავალთან ვიდექი. ამ დროს ჩემთან მოვიდნენ სცენისმოყვარენი დაროშვილი და ნ. მირველოვი და მესამე პირზე მიმითითეს, რომელსაც ლურჯი ხალათი ეცვა, ყელზე ყაბალახი ჰქონდა გადაგდებული, წელზე ეკრა თითის სიბრტყე ვერცხლის ქამარი, თმა გვერდზე ჰქონდა გადავარცხნილი და თავზე კოხტა კანგარის ქუდი ეხურა. სახის გამომეტყველება მეტად ცოცხალი ჰქონდა და მოძრაობა კი — როგორც მერცხალს; ერთი სიტყვით, 16—17 წლის ახალგაზრდა გრიშაშვილი სიცოცხლით იყო სავსე. ხელში დახვეული რვეულები და ჟურნალ-გაზეთები ეჭირა. მირველოვმა მითხრა, ეს ამხანაგი ჩვენს წრეში აპირებს მუშაობას და გაიცანიო. ზრდილობიანად მომესალმა, ჩამომართვა ხელი და მითხრა, — იოსებ მამულაშვილი ვარ, თანაც „ფირუზას“ მეძახიან, მაგრამ ლიტერატურაში გრიშაშვილად ვეწერებიო. იქვე გამოგვიცხადა, რომ სომხურიდან ქართულად გადმოაკეთა 1 მოქმედებიანი ვოდევილი „ხეჩოი თუზ“, დაარქვა „ტიმოთეს ლეღვი“ და დიდი სურვილი აქვს, რომ ჩვენთან წაიკითხოს. წავედით იქვე მოედანთან „კარპუშას“ ტრახტირში, დავიწყეთ ჩაის სმა და თანაც „ტიმოთეს ლეღვი“ წავიკითხეთ... მე მაშინ, როგორც სტამბის მუშა ასოთამწყობი და მასთან სცენისმოყვარე, ძლიერ გატაცებული ვიყავი ლიტერატურით და კერძოდ დრამატული ლიტერატურით (პიესებით), „ტიმოთეს ლეღვი“ რომ წაიკითხა, მე აშკარად დავინახე ახალგაზრდა კალმოსნის ტალანტი და ამის შემდეგ ის

ძლიერ შემიყვარდა, იგი ხშირად მიკითხავდა ხოლმე თავის ახლადდაწერილ ლექსებს“[1].

მეორე დღეს გრიშაშვილი თეატრში მისულა. ის-ის იყო რეპეტიცია უნდა დაეწყოთ, მაგრამ სუფლიორს დაუგვიანია, რის გამოც რეჟისორი დავით ჩარკვიანი ძალიან ღელავდა და ნერვიულობდა. დ. მელაშვილს დამშვიდება დაუწყია და ბოლოს გრიშაშვილზე მიუთითებია, რომ ეს ამხანაგი კარგად კითხულობს და გამოვიყენოთო. დავითს უკმაყოფილოდ შეუხედავს მელაშვილისათვის და შეუყვირია: Мне нужен суфлер, понимаешь, суфлер! მელაშვილი გაჩუმებულა, რადგან შეუტყვია, რომ გრიშაშვილის გარეგნობას ჩარკვიანზე თეატრალური შთაბეჭდილება ვერ მოუხდენია, მაგრამ რაკი ნახა, რომ მათი სუფლიორები მ. მელაშვილი, შ. გომელაური, ი. ხუციშვილი არც ერთი არ გამოცხადდნენ და რეპეტიციის გადადება არ შეიძლებოდა, ჩარკვიანს სცენა გაუწყვია და დ. მელაშვილისათვის უთქვამს: დათიკო, а нука, давай его сюда. ი. გრიშაშვილი პარტერიდან სცენაზე გამოუძახიათ: მაგიდას მისჯდომია და პიესის კითხვა დაუწყია და რეპეტიციაც დაწყებულა. დ. ჩარკვიანის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონია, რადგან გრიშაშვილი პიესას კითხულობდა თურმე არა როგორც დიაკვანი „სახარებას“, არამედ თეატრალურად. ამ პირველი შეხვედრისა და მეცადინეობის შემდეგ ჩარკვიანს ძლიერ მოწონებია გრიშაშვილი და როგორც კარგს და ახალ სუფლიორს თავიდან აღარ იშორებდა. ამნაირად მიუღია სასცენო ნათლობა გრიშაშვილს არაქსიანის თეატრში სუფლიორობით და შიგადაშიგ პატარა როლებიც შეუსრულებია სცენაზე, მაგრამ შემდეგ, როდესაც ქართული თეატრის მსახიობები პერიოდულად არაქსიანის თეატრში მართავდნენ წარმოდგენებს, ერთ-ერთი წარმოდგენის დროს სუფლიორს (ბეგლარ ახოსპირელს) დაუგვიანია და ვალ. გუნიას თხოვნით პირველ მოქმედებაში ი. გრიშაშვილს უსუფლიორია. ვალ. გუნიას მოსწონებია გრიშაშვილის სუფლიორობა და იგი ქართულ თეატრში წაუყვანია.

დავუბრუნდეთ ხარფუხის წარმოდგენებს... ი. გრიშაშვილმა თავის პატარა დასში დ. გულაზიანიც მოიწვია როგორც გამოცდილი მსახიობი. მან „პეპოს“ დადგმა შესთავაზა გრიშაშვილს, რომელიც მანამდე მარტო ვოდევილებს დგამდა („ადვოკატი მელაძე“, „ორი მშიერი“, „კატა აწონა“ და სხვ.). „პეპოს“ როლები ასე გაანაწილეს: ზიმზიმოვის როლს ასრულებდა დ. გულაზიანი, კაკულას — ი. გრიშაშვილი, ეფემიას — ო. გულაზიანი, შუშანას როლი, რადგან ქალები არ ჰყავდათ, მამაკაცს მიანდვეს (გოგი ჩოჩიაშვილს), გიქოს — გაფრინდაშვილი, ხოლო პეპოს დის — კეკელას როლს ასრულებდა ი. გრი-

---

[1] დ. მელაშვილი, ისნის სახალხო თეატრის წარსულიდან, გამომც. „ხელოვნება“, 1965, გვ. 7.

შაშვილის და — ე. მამულაშვილი. რადგან პეპოს მოთამაშე დასში არ აღმოაჩნდათ, ავლაბრიდან მოიწვიეს ცნობილი სცენისმოყვარე — ლ. ბაღაშვილი. ეს წარმოდგენა ხარფუხელ მაყურებელს ისე მოეწონა, რომ გადაწყვიტეს „მურაშკოს თეატრშიც“ ეჩვენებინათ. ყველაზე მეტად ხალხს მოეწონა ლ. ბაღაშვილი და დ. გულაზიანი, დანარჩენი მონაწილეები, მათ შორის გრიშაშვილიც, არაფრით არ განსხვავდებოდნენ თურმე ერთმანეთისაგან და „ანსამბლს ხელს უწყობდნენ“, როგორც ამას ძველი რეცენზენტები წერდნენ.

დ. გულაზიანმა შეატყო, რომ გრიშაშვილს კალამი უჭრიდა, შეაჩვია სომხურიდან ქართულად პიესების (ვოდევილების) თარგმნას; ის სომხურად კითხულობდა, გრიშაშვილი კი ქართულად წერდა.

დავით გრიშაშვილი არაქსიანის თეატრში დაყავდა, სადაც სომეხ-ქართველ სცენისმოყვარეთა ამხანაგობის წარმოდგენები იმართებოდა. ეს საჭირო იყო მათი შთაბეჭდილების გასამდიდრებლად.

პირველი პიესა, რომელიც მათ არაქსიანის თეატრში უნახავთ იყო „არშაკ მეორე“. ეს ისტორიული დრამა გრიშაშვილს მაინცდამაინც არ მოსწონებია. სპექტაკლში ბევრი თოფების სროლა იყო, თანაც სომხური ლაპარაკი გრიშაშვილს არ ესმოდა, სამაგიეროდ აღტაცებული იყო ვოდევილით. ძველად როგორც კანონი, ტრაგედია-დრამის შემდეგ ყოველთვის მხიარული ვოდევილებით უმასპინძლდებოდნენ მაყურებელს.

გრიშაშვილს პატარაობიდანვე უყვარდა ინიციატორობა. ამიტომ იყო, რომ მისი ხარფუხელი სცენისმოყვარეებით (რეჟისორი დ. გულაზიანი) დადიოდნენ ახლო-მახლო სოფლებშიც· ორ ტახტს ერთმანეთს მიაკრავდნენ, ზეწრებს ფარდებად ჩამოკიდებდნენ, დეკორაციებად დამტვრეული ტოტებიც საკმარისად მიაჩნდათ და ამრიგად წარმოდგენებს მართავდნენ ავჭალაში, დიღომში, წყნეთში და სხვ. დიღომში და წყნეთში მანამდე არც ერთი წარმოდგენა არ გამართულა. მათ ეს ეამაყებოდათ. დიღომში კანცელარია დაუთმეს, ხოლო წყნეთში ბებუთოვების საგვარეულო მამულში დიდი აივანი ამოურჩიეს. აქ ადგილობრივმა გლეხებმა პირველად იხილეს ხარფუხელ სცენისმოყვარეების მიერ დადგმული ქართული წარმოდგენები. ეს მოხდა 1907 წლის 17 სექტემბერს. აფიშა და პროგრამები (სტამბურად დაბეჭდილი) ეხლაც ინახება ი. გრიშაშვილის სახლ-მუზეუმში.

ამავე ხანებში ი. გრიშაშვილმა ავლაბარში გაიცნო ქართული დრამის მსახიობები: ი. ბარელი, ი. ივანიძე, ბ. ახოსპირელი, ქალებიდან ო. ლეჟავა და სხვები, რომლებიც მაშინ, არწრუნისეული თეატრის შეკეთების გამო, კვირაში თითო წარმოდგენას, სახაზინო თეატრის გარდა, ავლაბარშიაც დგამდნენ. გრიშაშვილის მონაწილეობით წარმოდგენებს დგამდნენ აგრეთვე ავჭალის აუ-

დიტორიაში, ვეტცელის თეატრში, რენესანსის ბაღში, რუსული დრამატული სტუდიის დარბაზში, ხოლო იშვიათად ვერის აუდიტორიაში, სადაც გამგეობის წევრად ითვლებოდა გ. ყურაშვილი. ამ დროს დასში ირიცხებოდნენ: ა. და ს. გოგაშვილები, მ. ღელაშვილი, პ. ფრანგიშვილი, ქურხული (ოპერის თეატრის მსახიობი), ვ. კუდუხაშვილი, ცალქალამანიძე, წითლანაძე და სხვ. აქ უმთავრესად იდგმებოდა გრიშაშვილის პიესები.

...ერთ დღეს ხმა დაირხა, რომ მურაშკოს თეატრს ეწვევა ქართული დასი ვალერიან გუნიას ხელმძღვანელობით და დადგამს დ. ერისთავის „სამშობლოს"-ო...

„რა იყო მიზეზი ქართული თეატრის კორიფეების მუშათა რაიონებში მოღვაწეობისა? იმ ხანებში თბილისის დიდ ქართულ თეატრში აიკრძალა წარმოდგენები. დარბაზში კედლები გაირღვა და ბანკის მმართველობამ, რომელიც თეატრის ბატონ-პატრონი იყო, დროებით დახურა სცენის კარი და შეუდგა რემონტს. ეს რემონტი გაჭიანურდა, სამ წელიწადნახევარს გაგრძელდა... ჩვენი სცენის ნიჭიერი მსახიობები (ვ. გუნია, ლ. მესხიშვილი, გაბუნია, მესხი, აბაშიძე და სხვები) აქეთ-იქით წანწალებდნენ ლუკმა-პურის საშოვნელად. ერთ ასეთ წარმოდგენას, მაშასადამე, მეც დავესწარი. ეს იყო 1907 წელს. ისანში თამაშობდნენ „სამშობლოს". აქ მოხდა ერთი რამ, რამაც გადაწყვიტა ჩემი მომავალი. მათი სუფლიორი ბეგლარ ბეგლარის ძე, არ ვიცი რა მიზეზით, არ გამოცხადდა წარმოდგენაზე. წარმოდგენას ხომ ვერ გადასდებდნენ, მოითხოვეს ადგილობრივი სუფლიორი. მომძებნეს, წამიყვანეს და ჩამსვეს ალაჩოხში (ე. ი. სუფლიორის ბუდკაში), ორმა გრძნობამ დაუთმო ერთიმეორეს ადგილი: ჯერ ერთი ის მიხაროდა, რომ დიდ არტისტებს უკარნახებდი და მეორე კი — შიშის ზარს ვგრძნობდი, ვაითუ დავიბნე და ისინიც დავაბნიო-მეთქი. როლი მხოლოდ სოსო ივანიძემ იცოდა, რომელიც სოლომონ ლიონიძეს თამაშობდა. ეს იმით შევატყვე, რომ მან სცენის იატაკს ფეხი დაჰკრა, ე. ი. — ნუ მაწვდი და ნუ მიშლი, როლი ზეპირად ვიციო. ეს შენიშვნა ხელად შევიშვნიე, „ყურად ვიდე და დავდუმდი" — ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსისა არ იყოს. დანარჩენებისათვის კარგი ჩამჩურჩნელი გამოვდექი. მე, რასაკვირველია, — ჩემი მეხსიერების წყალობით — როგორც სხვა პიესები, ისე „სამშობლოც" ზეპირად ვიცოდი, რადგან „სამშობლოს" ჩვენ, მურაშკო-არაქსიანის სცენისმოყვარენი ხშირად ვდგამდით სცენაზე. ხალხს უყვარდა ისტორიული პიესები: აფეთქება, დაშბაჩის ხმა, ხანჯალის ტრიალი, დროშის ფრიალი"[1].

---

[1] ი. გრიშაშვილი, მინიატურები და ნარკვევები, ტ. V, გამომც. „საბჭოთა საქართველო", 1965, გვ. 151-152.

დ. ერისთავის პიესა „სამშობლოს“ კი დიდი გავლენა ჰქონია ქართველთა გათვითცნობიერების საქმეში. საერთოდ მურაშკოს მუშა-სცენისმოყვარენი, „სამშობლოს“ კარგად თამაშობდნენ, როლებიც ასე ყოფილა განაწილებული: ხიმშიაშვილი — ქ. ბალაშვილი, სვიმონ ლიონიძე — ი. მჭედლიშვილი, შაზაბაზი — რ. სალაყაია, გოგია, სტამბის მუშა — ბ. მაისურაძე, ქეთევანი — დ. რჩეულიშვილი, დაუდბეგი — გ. გელიკურაშვილი, ბიჭი — შ. გომელაური, ჯალათი — ფირუმიანი, დადიანი — მარკოზაშვილი, ისრაფილი — ი. რევაზიშვილი, სუფლიორი ი. გრიშაშვილი.

როცა სპექტაკლი „სამშობლო“ დამთავრებულა, გრიშაშვილს უსარგებლია შემთხვევით და ჯიხურიდან ამომხტარა და პირდაპირ ვალ. გუნიასკენ გაუწევია ვითომდა შემთხვევით, მაშინ ვალ. გუნია მისი ოცნების საგანი იყო. სხვა არტისტებიც იყვნენ, მაგრამ ვალ. გუნია დიდი პოპულარობით სარგებლობდა. გუნია — არტისტი, გუნია — დრამატურგი, გუნია — საზოგადო მოღვაწე, გუნია — შემდგენელი „საქართველოს კალენდრისა“, რომელიც გოგებაშვილის „ბუნების კარის“ შემდეგ საკითხავ წიგნად ყოფილა გადაქცეული, გუნია — ცნობის ფურცლის რედაქტორი და სხვ. ი. გრიშაშვილი ხომ ამ დროს დამწყები მწერალი იყო, წერდა ლექსებს, შაირებს, საფლავის ქვაზე ამოსაჭრელ ეპიტაფიებს: ვისაც ვინ მოუკვდებოდა, მასთან გარბოდნენ სამგლოვიარო ლექსების დასაწერად. „რაც მე ლექსები მაქვს გაბნეული — ერთი მოზრდილი ტომი გამოვა. ბოლოს ასაკში, რომ შევედი, მკვდრები მივატოვე და ცოცხლებზე დავიწყე წერაო“, — ამბობდა მგოსანი.

ვალ. გუნიას რომ გრიშაშვილი დაუნახავს, თავზე ხელი გადაუსვია. გამოუკითხავს მისი მდგომარეობა და მეორე დღისათვის დაუბარებია მსახიობთა კანტორაში, სასახლის ქუჩაზე, სადაც ამჟამად ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბია. მისვლისთანავე გულთბილად მიგებებია ვალ. გუნია და სრულიად ახალგაზრდისა და გამოუცდელისათვის ჩაუბარებია ჟურნალი „ნიშადური“.

ვალ. გუნიას ახალბედასათვის უსწავლებია კორექტოობა, ხელისმომწერთა მიღების წესი, ლექსების გასწორება, შეკრეჭა-შემოკლება, კარიკატურებზე ლექსების მიწერა, მასალების მიღება და განაწილება, მერე წაკითხვა, დასაბეჭდად გამზადება, რიგზე დაწყობა და სხვ.

ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ვალ. გუნია თავის კვირეულ იუმორისტულ ჟურნალ „ნიშადურს“ სცემდა. გრიშაშვილი ჯერ კორექტურას ასწორებდა ჟურნალში, შემდეგ კი დაუწყია ლექსებისა და სხვა იუმორისტული წერილების წერა „გრი-გრის“, „ფირუზას“ და სხვა ფსევდონიმებით.

ასე, რომ, გრიშაშვილი მურაშკოსა და არაქსიანის თეატრის სკოლიდან გადასულა ქართულ თეატრში, როგორც არა ერთი და ორი მსახიობი.

ერთი სიტყვით, ი. გრიშაშვილისათვის დ. ერისთავის „სამშობლო“ გამხდარა საბაბი მისი დიდ თეატრში და დიდ არტისტებთან მოხვედრისა, რაც შემდეგში, თუ შეიძლება ასე ითქვას, — მის უნივერსიტეტად გადაიქცა.

ი. გრიშაშვილი დიდი თეატრის მსახიობებმა მოაცილეს ავლაბრის თეატრს და, ვალ. გუნიას წინადადებით, დანიშნეს სუფლიორის თანაშემწედ ქართულ მსახიობთა ამხანაგობაში.

ი. გრიშაშვილი ყოველთვის გამბედავი ყოფილა, მაგრამ სუფლიორობას დიდ ხალხთან ადილად ვერ შეჩვევია, ხშირად რომელიმე მოქმედი პირის როლს თვითონ თამაშობდა თურმე საბუდარში და მის „ბუტკიდან“ ხან გაფარჩხულ ხელებს ხედავდა მაყურებელი, ხან კი თავზე წამოყირავებულ „ბუტკას“. რის გამოც დაუთხოვიათ.

ვალ. გუნიას სცოდნია გრიშაშვილის მწერლობის ამბავი და შეუჩვევია თავის „ნიშადურს“. ამ ჟურნალში აიდგა ფეხი და აქ დაწერა პირველი ლექსი ილიას სიკვდილის გამო. „ტყემ მოისხა ფოთოლი“ შეცვალა „ტყეს ცვივდება ფოთოლი“ (ეს ლექსი დაიბეჭდა 1907 წ. „ნიშადურის“ № 9), რომელსაც ნ. გაბუნია-ცაგარლისა მღეროდა კიდეც.

მას სცენაზე თამაში ძალზე ყვარებია, ალბათ ეს ახალგაზრდობის საერთო სენია და გრიშაშვილსაც თავისი სცენური მოღვაწეობა გადაუტანია ავლაბრის აუდიტორიაში, პარალელურად, იგი „ნიშადურში“ კორექტურას აკეთებდა, კარიკატურებს ხატავდა და შაირებს წერდა, ხან კი წარმოდგენებს მართავდა და თვითონვე მონაწილეობდა.

„გულწრფელად უნდა ვთქვა, — ამბობს გრიშაშვილი, — რომ მსახიობთა წრეში ყოფნამ აღმზრდელობითი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. არც ერთ წიგნს არ შეეძლო ჩემთვის იმდენი სულიერი საზრდო მოეცა, რაც მომცა ამ მოგზაურობამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, რომელიც იმართებოდა კ. მესხის, ლ. მესხიშვილის და ვალ. გუნიას ინიციატივით.

აქ თბილი გრძნობა, ამხანაგური მოპყრობა უმაღლეს წერტილამდე ადიოდა, თუ გინდ მაშინ, როცა რომელიმე ქალაქში, სასტუმროების სივიწროვის გამო, ქალები და კაცები ერთ ოთახში ვიყავით... ქუდს ვიხდი იმ ძველი მეგობრების წინაშე, რომლებმაც თავიანთი უნარი შესწირეს სახალხო წარმოდგენების იდეას, არ გადავიდნენ რომელიმე დიდ სამსახურში, აირჩიეს პატარა ასპარეზი, მაგრამ უფრო დიდი მნიშვნელობით განათებული.

მგზნებარე სალამი სახალხო თეატრის მსახიობებს“[1].

---

[1] ი. გრიშაშვილი, მინიატურები და ნარკვევები, ტ. V, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1965, გვ. 246.

„რამდენჯერ მითქვამს და ვამბობ, რომ ქართული თეატრი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩემი განვითარების კერა იყო. რაც სკოლამ დამაკლო, ის თვითგანვითარებით შევისრულე. თუ ჩემი გულის სინასკნელში რაიმე კარგი სუფევს, ეს ჩვენი კორიფეების სიახლოვის ნაყოფია. როგორც დაკვირვებული ბალღი, დავყურადებდი ხოლმე ჩვენი არტისტების სიტყვა-პასუხს და გონების ფირფიტაზე გადამქონდა მათი ავ-კარგი. რა ბუმბერაზ მსახიობთა შორის ვტრიალებდი: მაკო საფაროვი! ვასო აბაშიძე! ლადო მესხიშვილი! კოტე ყიფიანი! კოტე მესხი! ვალერიან გუნია! ნატო გაბუნია! ...რა ბედნიერი ვყოფილვარ და არ ვაფასებდი... განსაკუთრებით მიყვარდა ვასოს ღიმილი და ლადოს ცრემლები. თუ ჩემს პოეზიას რაიმე მგრძნობიარობა ახასიათებს, ეს ლადოს შესანიშნავი გრძნობის მონაბერია. ის სცენაზე იყო, მე — სუფლიორის ნიჟარაში, ის თამაშობდა კინს, აკოსტას, ჰამლეტს, მე კი ვაწვდიდი იმ გრძნობიერ სიტყვებს. მაგრამ, არა! ხშირად ისე გამიტაცებდა ხოლმე მისი თამაში, ისე დამატყვევებდა ლადოს სახის ნაკვთთა ათამაშება, მისი ფაფუკი ხმის მინანქრიანობა, რომ მავიწყდებოდა ჩემი მოვალეობა, მავიწყდებოდა, რომ მე „გაჭირვების ტალკვესი" ვიყავი და მსახიობებისათვის სიტყვები უნდა მიმეწოდებინა. მე ვიმსჭვალებოდი მისი ფსიქოლოგიური განცდებით და მხოლოდ თვალებში შევციცინებდი უხმოდ.

ლადოს სახის მეტყველება მეც ძალაუნებურად გადამქონდა სახეზე. ის ხშირად გამიჯავრდებოდა, როგორც კინი უჯავრდება თავის სუფლიორს — სოლომონს, მაგრამ ფარდა დაეშვებოდა თუ არა, ლადო მომვარდებოდა და მომეხვეოდა, როგორც კინი იმავე სოლომონს მოეფერებოდა ხოლმე...

მე ვიტანჯებოდი ლადოს ტანჯვით, მე ვტიროდი მისი ცრემლებით"[1].

დიდი წვლილი მიუძღვის ი. გრიშაშვილს ქართველ სცენისმოყვარეთა წრეების საქმიანობაში, გარდა იმისა, რომ კარგა ხნის მანძილზე მოკარნახედ მუშაობდა, წერდა მათთვის ვოდევილებს, სკეტჩებს, სცენებს ქალაქური ყოფიდან. ასე მაგალითად იდეურ-შინაარსობრივი თვალსაზრისით, გრიშაშვილის ნაწარმოებთაგან ყველაზე საინტერესოა ორმოქმედებიანი ვოდევილი „ბოიკოტი". თუმცა მისი სიუჟეტური ქარგა მეტად სადა და მარტივია. მაგრამ იმდროინდელი მაყურებელი დიდი ინტერესით და გულისყურით ადევნებდა თვალს მის მსვლელობას სცენაზე. ერთ-ერთი ჩარჩ-ვაჭარი დუქნის ბიჭად დაქირავებულ ყმაწვილს უმოწყალოდ ჩაგრავს, — მოთმინებიდან გამოსული დუქნის ბიჭი დაუკავშირდება პროფკავშირების წარმომადგენლებს, ისინი კი ხალხს დარაზმავენ ვაჭრების წინააღმდეგ და ბოიკოტს გამოუცხადებენ მათ.

[1] ი. გრიშაშვილი, მინიატურები და ნარკვევები, ტ. V, გამომც. „საბჭოთა საქართველო", 1965, გვ. 169-170.

[2] იქვე.

პიესა მეტყველებს მშრომელთა კლასობრივი თვითშეგნების ზრდაზე და ქადაგებს ხალხის, მასის საზოგადოებრივი აქტიობის ზრდაზე.

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ერთმოქმედებიანი ვოდევილი „ტიმოთეს ლეღვიც".

ი. გრიშაშვილის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: კაკული („პეპოში"), ბუღდანა („ჭკუისა მჭირს"), თავის მიერ გადმოქართულებულ ვოდევილოში „ბებრების დარიგება" იგი ასრულებდა გევუას. ნიკას („ვაის გაჭეყარე, ვუის შევეყარე"), სოსანას („რაც გინახავს, ველარ ნახავ"), გიორგის („და-ძმა"), მოლა აზრუმისას („ქოროღლი"), აპოლონს („ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს"), ღორუას („ქრისტინე"), თედოს („მსხვერპლი"), მსახურს („სიძესიმამრი"), პეტუას („ციმბირელი"), კარაპეტას („ძუნწი"), სოსიას („დატრიალდა ჯარა"), დესეტნიკს („საცოლე ორი საათით"), სატიოს მედუქნეს („არკადიას სადილი") და სხვა მრავალი.

აი, რას გვიამბობს ი. გრიშაშვილის შესახებ შ. გომელაური: „ბავშვი ვიყავი თეატრით გატაცებული და, როგორც ეს ამ მოგონებაშიც არის აღნიშნული, მოკარნახეობა დავიწყე არაქსიანის თეატრთან არსებულ ქართულ დრამატულ სცენისმოყვარეთა დასში. მალე ავად გავხდი და რამდენიმე დღეს თეატრში ველარ წავედი. დასის მთავარი მოკარნახე ალექსანდრე ბაჯიაშვილი იყო. მაგრამ ის, როგორც მუშა, ხშირად ვერ იცლიდა, ამიტომ საჭირო იყო თანაშემწე. ასეთი თანაშემწე მე ვიყავი, როდესაც ავად გავხდი და საჭირო იყო მოკარნახის თანაშემწე, ვიღაცას ერჩია — ხარფუხიდან გრიშაშვილი მოიყვანეთო, ასე რომ სოსო გრიშაშვილი ჩემი შემცვლელი აღმოჩნდა. როგორც კი გამოვკეთდი და მივედი თეატრში, იქ დამხვდა სოსო, გავიცანი და, როგორც თანატოლები, დავმეგობრდით.

როდესაც კი შევხვდები უკვე ხანდაზმულ სოსოს, მყისვე გავიხსენებთ დიდი სიყვარულით ჩვენს ყრმობას, თეატრში ერთად მუშაობას. ბედმა ორივენი დიდ თეატრში მოგვახვედრა: ის — მოკარნახეთ და მე კი — მსახიობად.

არაქსიანის თეატრშივე ყოფნის დროს სოსო, როგორც პოეტი, დევის ნაბიჯებით მიდიოდა წინ და მისი ავტორიტეტი დღითიდღე იზრდებოდა. სულ მოკლე ხანში იგი პოპულარული პოეტი გახდა. გრიშაშვილის მონაწილეობა დივერსტიმენტში საკუთარი ლექსების კითხვით აუარებელ ხალხს იზიდავდა. ტაშის გრიალს დასასრული არ ჰქონდა და ისეთ ოვაციებს უმართავდა ხალხი, გეგონებოდათ, მესხიშვილს ან სარაჯიშვილს ეგებებიანო. მე არ ვლაპარაკობ ისეთ ანბანურ ჭეშმარიტებაზე, თუ როგორი პოეტია სოსო გრიშაშვილი და არც კომპეტენტური ვარ ამ საკითხში: ის საკმაოდ დიდად არის შეფასებული ხალხის მიერ. მე მინდა მხოლოდ მას შევეხო როგორც მეგობარს, უანგარო

ადამიანს, გულთბილ, თავაზიანს და შესანიშნავ მოსაუბრეს, როდესაც ჩვენ, ძველი ყოფილი სცენისმოყვარეები, შევხვდებით ხოლმე ერთმანეთს, სიამით ვიხსენებთ ჩვენი ბუდიდან — არაქსიანის თეატრიდან — აფრენილ სოსო გრიშაშვილს.

როდესაც ვიგონებთ მურაშკოსა და არაქსიანის თეატრების სცენისმოყვარეთა წრეებს, მათ უანგარო და თავდადებულ მუშაობას, განა შეიძლება ადამიანმა დაივიწყოს მუშა-სცენისმოყვარეები: ლევან ბაღაშვილი, ბესო მაისურაძე, გიგო გელიკურაშვილი, რომანოზ სალაყაია, დავით მელაშვილი, მაკა ქართველიშვილი, დარო რჩეულიშვილი, ვარა ბუჩუკური და მრავალი სხვანი, რომელთა დიდი მოღვაწეობა ესოდენ ნაყოფიერი იყო მუშათა გათვითცნობიერების საქმეში.

იოსებ გრიშაშვილი — ეს ხომ მათი მოღვაწეობის ცოცხალი მემატიანეა. ვინ არ დამტკბარა სოსო გრიშაშვილის წერილებით ამ მოღვაწეთა შესახებ. ყოველი ბწკარი დიდი სიყვარულით არის გაშუქებული. ამიტომაც ასე უყვართ მუშებს სოსო გრიშაშვილი. მე მაგონდება, როდესაც ძველ სცენისმოყვარე დავით მელაშვილს ვასაფლავებდით, ყველა გაიძახოდა: სად არის სოსო, დავიჯერო, არ მოვაო! და, მართლაც, სოსოს ბორჯომი დაეტოვებინა, ჩამოვიდა, რათა უკანასკნელად გამომშვიდობებოდა მუშათა თეატრების ერთ-ერთ უანგარო მოღვაწეს — დავით მელაშვილს. გრიშაშვილი არასოდეს ივიწყებს თავის ძველ მეგობრებს, იმ მშრომელთ, რომელთა წიაღიდანაც არის გამოსული. არ შემიძლია არ გავიხსენო მის მიერ ყოველ წელს გამართული საღამოები, რაც ტრადიციულად გადაიქცა და დაკანონდა. განა შეიძლება ადამიანმა დაივიწყოს იმ საღამოების მაღალმხატვრული დონე! ვინ არ ლებულობდა მონაწილეობას ამ საღამოში! საღამოს პროგრამა დიდის გემოვნებით დგებოდა: აქ მონაწილეობას ღებულობდნენ ვანო სარაჯიშვილი, სანდრო ინაშვილი, ვასილ კაჩალოვი, გერმანოვა და სხვ. დიდი აკაკის მეთაურობით, და მიხარია, რომ ამ ბუმბერაზებთან მეც რამდენჯერმე მომეცა საშუალება, მონაწილეობა მიმეღო და მერი ახვლედიანთან ერთად წამეკითხა „ზღაპარი ჰამაკში“, რომელიც ი. გრიშაშვილის ლექსის ინსცენირება გახლდათ. ერთი პატარა კურიოზი: გაბმულია ჰამაკი, შიგ წამოწოლილია მერი ახვლედიანი და, როდესაც მე წარმოვთქვი: ჩაწექ შიგა და გიამბობ, ჰამაკი გაწყდა, მერი ახვლედიანი ძირს დაეცა და დარბაზში ხარხარი ატყდა. მაგრამ ამ პატარა კურიოზმა სრულიადაც არ დაჩრდილა საღამოზე მიღებული შთაბეჭდილება და მე ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ ასეთი გამოჩენილი პოეტის ერთ-ერთი მეგობარი და სცენის მონაწილე ვარ“[1].

---

[1] შ. გომელაური, მოგონებანი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1961, გვ. 167—168.

# მუსულმანთა ასოციაცია

შაბათს 12 იანვარს 1913 წ.

[illegible]ით. [illegible] წარმოდგენილი იქნება.

# პარიზის ღარიბ[illegible]

# [illegible]ანი

[illegible] და 7 სურათად თარგმანი ვ. გუნიასი

მოქმედნი პირნი

| | |
|---|---|
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | საყვარ[illegible] |
| [illegible] | მელა[illegible] |
| [illegible] მეთვალი | სალაყაია |
| [illegible] | ბალაშვილი |
| [illegible] | თეხაზიშვილი |
| [illegible] | ფეიქრიშვილი |
| [illegible] | [illegible]შვილი |
| [illegible] | [illegible]შვილი |
| [illegible] ლელა | რჩეულიშვილი |
| [illegible] | ეშ[illegible]ული |
| [illegible] ლიკუმონის მსახური | გოსიტაშვილი |
| თემური ქალაქის თავი | ძამაშვილი |

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

№ 4616

# მუსულმანთა აუდიტორია

შაბათს 28 იანვარს 191[illegible] წ.

ქუთაისის მოყვარულთაგან წარმოდგენილი იქნება

# და-ძმა

## [illegible]

| | |
|---|---|
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | ბალაშვილი |
| [illegible] | ხაჯვარელი |
| [illegible] | მამიაშვილი |
| [illegible] ცოლი | გოგაშვილი |
| [illegible] შვილი | გრიშაშვილი |
| [illegible] | ქსენოფონტოვა |
| [illegible] | მელაშვილი |
| [illegible] | ჯავახიშვილი |
| [illegible] | ფაშაძე |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |

გრიმი — ხიდირბეგიშვილი [redacted]

[redacted] რეჟისორი ი. [illegible]

# მუსულმანთა აუდიტორია

კვირას 9 ივნისს 1918 წ.

ქარ. ოველ. სცენის მოყვარეთა მიერ. ქართულ თეატრის მსახიობთ ვ. მატარაძის და ა. შანშიაშვილის მონაწილე-ობით წარმოდგენილი იქნება

# ურიელ=აკოსტა

ტრაგედია 5 მოქ. თარგ. ი. ბაქრაძისა

## მოქმედნი პირნი

| | |
|---|---|
| მანასე ვანდერსტრატენი | ა. ძამიაშვილი |
| იუდითი, ამისი ქალი. | თ. აფ[illegible]შვილი |
| ბენ-იოხაი, იუდითის საქმრო | დ. შელაშვილი |
| დე-სილვა | ბ. სარაული |
| დე-სანტოს, რაბინი | ვ. მატარაძე |
| ურიელ აკოსტა | ა. შანშიაშვილი |
| ესთერი. ამისი დედა. | ს. გოგაშვილისა |
| რუბენ) ურიელის ძმები | ა. მაისურაძე |
| იოველ) ურიელის ძმები | [illegible] |
| ბენ-აკიბა, რაბინი | ნ. მირველოვი |
| ვანდერ-ემბდენი | პ. შაროვი |
| სიმონ, მანასეს მსახური. | ბ. პაპინაშვილი |

სტუმრები, ხალხი, რაბინები და სხ.

დასაწყისი 8 1/2 საათზე.

19 12

# მუსულმანთა აუდიტორია

[illegible] 27 ოქტომბერს 191[illegible] წელს

[illegible]

[illegible]

# ორი ობოლი

[illegible]

| | |
|---|---|
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |

[illegible]

მოქმედება სწარმოებს პარიზში, ლუდოვიკოს XVI-ის დროს.

მუშ[illegible] [illegible]

დღეს 10 [illegible] 1918 წ.

[illegible]

# ყაჩაღი არსენა

დრამა 5 მოქ. [illegible]

მოქმედნი პირნი:

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

ი. [illegible]

ო. [illegible]

ს. [illegible]

ბ. [illegible]

მ. [illegible]

ლ. [illegible]

ა. [illegible]

ვ. [illegible]

ნ. [illegible]

[illegible]

2

# ქართველი ქალი

დრამა 1 მოქ. [illegible] (ვ. [illegible])

[illegible]

# დილის წარმოდგენა

კვირას, 2 მარტს 1914 წ.

[illegible] ქართული სახალხო წარმოდგ. [illegible]

[illegible]

# [illegible]

[illegible]

[illegible]:

[illegible]

[illegible]

დაიწყება დილის 12 საათზე.

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

1914 111/9

# ხარფუხის-სახალხო აუდიტორია.

ხუთშაბათს, 6 მარტს 1914 წ.

ხარფუხის ქართულ სახალხო წარმოდგ. [illegible] წრის [illegible]

წარმოდგენილ იქნება:

# ქრისტინე

პიეს. 4 მოქ. 5 სურ. [illegible]

**მოქმედნი პირნი:**

| | |
|---|---|
| [illegible] ხელმოკლიძე | [illegible] |
| [illegible] | ქ. [illegible] |
| ქრისტინე | ქ. [illegible] |
| [illegible] | *** |
| [illegible] | *** |
| [illegible] | ბ. [illegible] |
| [illegible] | ქ. [illegible] |
| [illegible] | ქ. [illegible] |
| [illegible] | *** |
| [illegible] | ბ. [illegible] |
| [illegible] | ქ. [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | ბ. [illegible] |
| [illegible] | ბ. [illegible] |
| [illegible] | ბ. [illegible] |
| [illegible] | ბ. [illegible] |
| 1 [illegible] | ბ. [illegible] |
| 2 [illegible] | ბ. [illegible] |

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

[illegible]

19 [illegible]

# ხარფუხის სახალხო აუდიტორია

ხუთშაბათს, 17 აპრილს 1914 წ.

[illegible]

წარმოდგენილ იქნება:

I.

## [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

II.

## [illegible]

[illegible]

[illegible]

დას. 8 საათზე

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible], 24 [illegible] 1914 წ.

[illegible]

[illegible]

!

# [illegible]

[illegible]

[illegible]:

[illegible]

[illegible]

[illegible] თეატრი

[illegible] 1913 წ. [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]
5. [illegible]
6. [illegible]

[illegible]

[illegible]

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]

[illegible]

# დამარცხებულნი

(ერთმოქ. კომ.) [illegible]

1. [illegible] . . . . . . . . . [illegible]
2. ნიკო მისი შვილი . . . . . [illegible]
3. [illegible] . . . . . . . . [illegible]
4. გიორგი, ნიკოს [illegible] . . . . [illegible]

პიესებს დასდგამს კოტე მარჯანიშვილი

[illegible]

## მცირე ცნობები ორთაჭალის მუშათა კლუბის შესახებ

1919 წელს დამოყნის უბანში, ბერძნების წმ. ნიკოლოზის ეკლესიის წინ მდებარე ყოფილ ე. წ. „ოხერ ბაღში" საზეიმო ვითარებაში გაიხსნა — ორთაჭალის მუშათა საზაფხულო კლუბი, რომელიც ძველი სცენისმოყვარეთა უშუალო მონაწილეობით და შრომა-გარჯით გასუფთავდა და გადაკეთდა შესანიშნავ სასეირნო ბაღად. ამ ბაღში მოეწყო საუკეთესო სცენა, ბუფეტი, საორკესტრო პავილიონი, აუზი შადრევანით და სხვ.

კლუბთან მაშინვე თავი მოიყარეს ძველმა და ახალმა სცენისმოყვარეებმა, ინტერნაციონალური უბნების — დამოყნის, ხარფუხის, ორთაჭალისა და შავსოფლის ინტელიგენციამ და ჩამოაყალიბეს ქართული, სომხური, ბერძნული და აზერბაიჯანული დრამატული წრეები.

ქართულ დრამატულ დასს, რომელსაც აერთიანებდა ოცამდე წევრი, ხელმძღვანელობდა ნიჭიერი ძველი სცენისმოყვარე ლევან ბაღაშვილი.

წრეში ირიცხებოდნენ: ე. შათირიშვილი, შ. კახელაძე, ა. ქსენაფონტოვი, ვ. და ელ. ჯორჯიაშვილები (არსენა ჯორჯიაშვილის დები), გ. ჯანჯუღაზოვი, გ. პაპინაშვილი, გ. ქუქუნაშვილი, გ. დარისპანაშვილი, მ. ქართველიშვილი, ვ. ნიკიფოროვა, ს. ყოჩიაშვილი, დ. ჩაჩანიძე, ს. ავჩიანი და სხვ.

სომხურ დრამატულ წრეს ხელმძღვანელობდა შესანიშნავი კომიკოსი სცენისმოყვარე სარგის ფადარიანი, რომელიც თამაშობდა აგრეთვე დიდი თეატრის სცენაზე.

სწორედ ამ დროს, დრამწრის მუშაობაში ჩაება 15 წლის მოსწავლე სურენ ავჩიანი, რომელმაც ჯერ სტატისტის და შემდეგ პატარა როლებით დაიწყო თავისი სასცენო მოღვაწეობა: გ. სუნდუკიანის „პეპოში" ხან გიგოლას, ხან კო

სამსონას როლს ასრულებდა. ავქს. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავში“ ხან სოსანას, ხან კი საქუას. რადგან ს. ავჩიანს ხატვა ძალიან ეხერხებოდა, ყველა ხელთნაწერ რეკლამასა და აფიშას თვითონვე ხატავდა და მხატვრულად აფორმებდა.

მიუხედავად იმისა, რომ 1919—1920 წლებში მენშევიკური პერიოდის ყველაზე დაჭიმული პოლიტიკური ვითარება სუფევდა, ქართულ-სომხური წრეების წევრთა შორის საოცარი სოლიდარული განწყობილება და მეგობრობა იყო. ისინი ხშირად მონაწილეობდნენ ერთმანეთის სპექტაკლებში, როგორც მთავარ როლებში, ისე მასიურ სცენებში ეხმარებოდნენ ერთმანეთს.

1923 წელს გაიხსნა საქართველოს მეტყავეთა კავშირის, ანუ „ტყავტრესტის“ მუშათა კლუბი, რომელსაც მრავალჯერ შეეცვალა სახელწოდება და ბოლოს ვ. ი. ლენინის სახელი დაერქვა.

ამ კლუბში (რომელსაც საზამთრო შენობაც ჰქონდა) მუშაობა გაგრძელდა 1937 წლამდე.

1924 წელს, აი, ამ კლუბში გადაინაცვლა ორივე დასმა. ქართული დრამწრის თითქმის ყველა წევრი გადავიდა. ხოლო ახალი სომხური წრის ორგანიზაცია წილად ხვდა სურენ ავჩიანს.

სომხური წრის ახალმა ხელმძღვანელმა ს. ავჩიანმა ადელხანოვის ტყავის, ქეჩისა და ფეხსაცმლის ფაბრიკა-ქარხნების ნიჭიერი მუშა-ახალგაზრდებისაგან ჩამოაყალიბა დრამატული წრე და დაიწყო წარმოდგენების მართვა.

როგორც წესი, მუშაობა დაიწყო მცირე ფორმის პიესებითა და ვოდევილებით.

პირველ პიესად აირჩია ჰ. იესაიანის „სონას ნიშნობა“, ბ. ქამალიანის „შეყვარებული მაგიდის ქვეშ“, თავისივე პიესები: „თავისუფლება“, „პარიზის კომუნა“, „მკითხავთან“, „აჯანყება“ და სხვ.

წრის წევრებმა დიდი ენთუზიაზმით გაშალეს მუშაობა და საკმაო გამოცდილების შემდეგ გადავიდნენ უფრო რთულ პიესებზე, როგორიც იყო: გ. სუნდუკიანის „პეპო“, ავქს. ცაგარლის „ციმბირელი“ და „ბაიყუში“, პ. ირეთელის „ქრისტინე“.

გარდა ხელმძღვანელობისა ს. ავჩიანი მონაწილეობდა ქართული და სომხური წრეების წარმოდგენებში.

იგი ასრულებდა სხვადასხვა ზოგჯერ, ძალზე კონტრასტულ როლებს, ასე მაგალითად: ავქს. ცაგარლის „ციმბირელში“ ხან სტეფან მაკარიჩს, ხან კი ქლესოვს, ზოგჯერ ნიკოლასაც. ასევე გ. სუნდუკიანის „პეპოში“ — გიქოს და ზიმზიმოვს, პ. ირეთლის „ქრისტინეში“— გერმანს, ი. გედევანიშვილის „მსხვერ-

პლში“ — მწერალს, ავქს. ცაგარლის „ჭკუის მჭირს“ — ბულდაშას და გრიქურას. რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ — სერგოსა და აპოლონს.

ამ დროს კი ს. ავჩიანი აქტიურად იყო ჩაბმული ორივე დასის საქმიანობაში. იგი ერთსა და იმავ დროს იყო სცენისმოყვარე, მხატვარი, ხშირად მოკარნახე და სცენარიუსი, შემდეგში კლუბის გამგეც, ამიტომ 1925 წელს მის მიერ დაარსებულ წრის ხელმძღვანელად მოიწვია სომხური სახელმწიფო დრამის მსახიობი მ. მარუთიანი, ავჩიანი კი ისევ განაგრძობდა აქ შემოქმედებით მოღვაწეობას, როგორც სომხურ, ისე ქართულ წრეებში. მათი სისტემატური მუშაობა აქ 1937 წლამდე განაგრძეს.

ამ ხნის განმავლობაში წრეებს ბევრი გასვლითი წარმოდგენები გაუმართავს, როგორც ქალაქის განაპირა უბნების თეატრებში, ისე ქალაქგარეთ, ახლო-მახლო სოფლებში კოდა, დურნუკი, წყნეთი, ავჭალა და სხვ.

მართალია 1935-1936 წლებში ქართული დრამწრის ხელმძღვანელად ისევ ე. კულულაშვილი ითვლებოდა, მაგრამ რიგ-რიგობით პიესებს დგამდა ვისაც კი შესწევდა უნარი.

მეტყავეთა კლუბში ს. ავჩიანმა ქართულად წარმოადგინა ზ. ანტონოვის „ქოროღლი“ და რ. ერისთავის კომედია „ჯერ დაიხოცნენე, მერე იქორწინეს“.

1931 წლის 29 მარტს მეტყავეთა კლუბში გაიმართა ამავე წრის ფეხსაცმლის ქარხნის დამსახურებული მუშისა და ძველი სცენისმოყვარის როსტომ ფირუმოვის ხსოვნის საღამო. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა მწერალმა და დრამატურგმა ს. ავჩიანმა, მოგონებებითა და ლექსებით გამოვიდნენ ე. კულულაშვილი, ს. ავჩიანი, შ. ტალიკაძე.

ქართულ ენაზე წარმოადგინეს ი. გედევანიშვილის სამმოქმედებიანი დრამა „მსხვერპლი“. (1-ლი და მე-3 მოქმედება). მონაწილეობდნენ: გიგო — მ. ჯანველოვი, ნატო — მ. ჩახტანიძე, მარიამი — მ. ქართველიშვილი, მიხა — გ. მაჭარაძე, გაბო — გ. პაპინაშვილი, სვიმონა — ბ. მაისურაძე, მამასახლისი— ს. მარქაროვი, მწერალი — ს. ავჩიანი, ბოქაული — ე. შათირიშვილი, საქო — დ. ჩაჩანიძე, შაქრო — გ. ქუქუნაშვილი, ლუკა — მ. ფირუმოვი, ჩოხაშვილი— შ. ტალიკაძე, ბასილა — კ. ლეჟავა, ნაცვალი — გ. მარტიროზოვი. სპექტაკლი დადგა ე. კულულაშვილმა. თანაშემწეები: მ. ჯანველოვი, გ. ქუქუნაშვილი, ი. ასათიანი, ს. აუშტროვი. მოკარნახე ალ. ალავერდელი, სცენარიუსი თ. მეტრეველი, ლოტბარი შ. ტალიკაძე.

როსტომ მარქარის ძე ფირუმოვი დაიბადა 1893 წ. ქ. თბილისში ღარიბეს ოჯახში. ჯერ კიდევ 9 წლისა იყო როდესაც მშობლებმა მიაბარეს იგი შეგირდად ყოფილ გ. ადელხანოვის ქარხანაში, სადაც სიკვდილამდე დაჰყო. წარმოებაში მუშაობის პარალელურად თვითგანვითარებას მიეცა. ბუნებრივი

ნიჭით დაჯილდოებულ როსტომზე ბავშვობიდანვე დიდ გავლენას ახდენს ავლაბრის (მაშინდელი მურაშკოს) თეატრი: შეპყრობილი სცენის მომაჯადოებელი სტიქიით, 13—14 წლის ბავშვი იღებს განათვლას მის ემბაზში, ებმება საზოგადოებრივი მუშაობის ფერხულში, რომელსაც თანდათან ანვითარებს და გადააქვს როგორც თბილისის, აგრეთვე პროვინციის მუშათა სცენებზე. როგორც მსახიობი იგი შეუდარებელია თავისი მრავალფეროვნებით. მისთვის არ არსებობს განსაზღვრული ამპლუა, იგი უნაკლო და ლამაზი შემსრულებელია სხვადასხვა დამახასიათებელი როლებისა დრამასა და კომედიაში. როსტომი როგორც პატიოსანი, შეგნებული მუშა არ ზოგავს თავს, მისთვის არ არსებობს დროის განსაზღვრა, დაზარება, იგი წარმოუდგენელი თავგანწირული ენთუზიაზმით მუშაობს როგორც საწარმოო, აგრეთვე კულტურულ ფრონტზე. ამართლებს კომუნისტის სახელს. როსტომი დაწინაურებული იყო მეტყაველთა კლუბის გამგის თანამდებობაზე, ხელმძღვანელობდა ქართულ დრამწრეს და კიდევ დიდ იმედს იძლეოდა მისი მომავალი, რომ ულმობელ სენს უდროოდ არ გამოეტაცნა ხელიდან.

ამავე წრეში აიდგა ფეხი როსტომის ძმისწულმა მარქარ ფირუმოვმაც.

მარქარ ფირუმოვი დაიბადა 1911 წელს ძველი მუშა რევოლუციონერის ოჯახში. როცა მარქარს მამა გარდაეცვალა, 4-5 წლის ძლივს იქნებოდა. აუტანელი სიღარიბის გამო დედამ იგი მალე ჩააბა შრომის ფერხულში. „მახსოვს, — იგონებს მ. ფირუმოვი, — როცა წამოვიზარდე მუშაობის შემდეგ ჩემს უფროს დას სათოს დავყავდი მურაშკოს თეატრში. აქ მამაჩემი ვანო ფირუმოვიც იღებდა მონაწილეობას სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში, ხოლო ბიძაჩემი როსტომი მისი აქტიური და განუყრელი წევრი, სცენის სული და გული იყო. იგი დიდი ენთუზიაზმით მუშაობდა ჯერ მურაშკოს, შემდეგ ადელხანოვის ფაბრიკასთან არსებულ ორთაჭალის კლუბში. მის მიერ შესრულებული როლები მუდამ დიდ ოვაციას იწვევდა მაყურებელში".

მარქარის მამა და ბიძა როსტომ ფირუმოვი ადელხანოვის ფაბრიკაში მუშაობდნენ მუშებად, ისინი მუშაობასთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი რევოლუციურ საქმიანობაში. მუშებს შორის ავრცელებდნენ პროკლამაციებს. ეს, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩა ფაბრიკის მეპატრონეს ადელხანოვს და ვ. ფირუმოვი სამუშაოდან დაითხოვა სამუდამოდ, როგორც მუშათა აჯანყების მონაწილე და „ბუნტოვშჩიკი".

ეს იყო 1911 წელი. მიუხედავად მძიმე ეკონომიური და მორალური მდგომარეობისა, უმუშევრად დარჩენილი ვ. ფირუმოვი აქტიურად განაგრძობს მუშაობას სცენისმოყვარეთა წრის საქმიანობაში, მაგრამ იგი 1918 წელს გარდაიცვალა.

რ. ფირუმოვს, როგორც აქტიური სცენისმოყვარე ყოველ სპექტაკლში მონაწილეობის დროს დაჰყავდა პატარა მარქარი მურაშკოს თეატრში. ბავშვს თანდათან ესახებოდა სცენისადმი მიდრეკილება და სიყვარული, რის გამოც მალე ჩააბეს სცენისმოყვარეთა დადგმებში და მის შესაფერის როლებს აკისრებდნენ.

როცა მისი ბიძა რ. ფირუმოვი გარდაიცვალა, მარქარმა გადაწყვიტა გაეგრძო მისი საქმე და უფრო დიდი ენერგიითა და ენთუზიაზმით ჩაება სათეატრო საქმიანობაში.

გავიდა წლები და მურაშკოს თეატრიდან მ. ფირუმოვმა ორთაჭალის კლუბში გადაინაცვლა. აქ შესრულებული როლებიდან მაყურებელს იტაცებდა ციმბირელი ავქს. ცაგარელის „ციმბირელში", დათია—პ. ირეთელის „ქრისტინეში", ლუკა — ი. გედევანიშვილის „მსხვერპლში", ბოცმანი — ლავრენევის „რღვევაში", გიქო გ. სუნდუკიანის „პეპოში". ამ პიესაში რ. ფირუმოვი კაკულასა და ზიმზიმოვის როლების შესანიშნავ შემსრულებლად ითვლებოდა. ამ დროს მასთან ერთად დასში ირიცხებოდნენ ძლიერი ძალები: მ. ქართველიშვილი, ე. კულულაშვილი, გ. მაჭარაძე, დ. ჩაჩანიძე, ე. შათირიშვილი, გ. ჟუჟუნაშვილი, გ. პაპინაშვილი, ბ. მაისურაძე, მ. ჯახტანიძე, ს. აუშტროვი და სხვები.

ასევე აქტიურად იყო ჩაბმული იგი მ. მარუთიანის ხელმძღვანელობით არსებულ სომხურ დასში. ოჯახური პირობების გამო მ. ფირუმოვი დროებით ჩამოშორდა სცენას, მაგრამ დრომ ვერ წაშალა სცენისადმი უსაზღვრო ლტოლვა და აი, რვა წლის წინათ კვლავ დაუბრუნდა საყვარელ სცენას და მუშაობას იწყებს სარეწაო მომხმარებელთა პროფკავშირის კულტურის სახლთან არსებულ სახალხო თეატრში, რომელსაც სათავეში უდგას ნიჭიერი და ნაცადი რეჟისორი, მარჯანიშვილის თეატრის ყოფილი მსახიობი ი. გრატიაშვილი. მ. ფირუმოვის მიერ აქ ნათამაშევი როლებიდან გამოირჩევიან: მიკიტანი და არშაკა — „ძველი სასამართლო", ოსეფა — „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს", ემიგრანტი — „დედა", აvეტიკა — „რაც გინახავს ველარ ნახავ" და სხვა.

მ. ფირუმოვს მონაწილეობა მიუღია ნატო ვაჩნაძესთან ერთად კინოსურათ „სამ სიცოცხლეში", „ორ მონადირეში" და სხვებში.

სათო ფირუმოვი, მარქარის უფროსი და დაიბადა 1903 წელს ადელხანოვის ქარხნის მუშის ოჯახში. ასევე ბავშვობიდანვე გაიტაცა სათეატრო ხელოვნებამ ს. ფირუმოვიც. მას შესანიშნავი მუსიკალური ნიჭი და სასიმღერო ხმა ჰქონდა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩა მამასა და ბიძას და ხშირად დაჰყავდათ თეატრში. ჯერ პატარ-პატარა როლებში გამოჰყავდათ, მერე თანდათანობით გაფართოვდა მისი სამსახიობო პალიტრა და საპასუხისმგებლო როლებიც დააკისრეს.

არ ყოფილა სპექტაკლი სადაც სიმღერა და ცეკვა არ იყო საჭირო, რომ ს. ფირუმოვს არ მიეღოს მონაწილეობა და მისგან მაყურებელი ნასიამოვნები არ დარჩენილიყოს. ავქს. ცაგარლის „რაც გინახავს, ველარ ნახავში", ბოლო მოქმედებაში, სადაც ქორწილის სცენაა, სათო სცენის სული და გული ხდებოდა, ოვაციებს კი ბოლო არ უჩანდა.

ასე აიდგა ფეხი სასცენო ხელოვნებაში ვ. ფირუმოვის ოჯახის მეოთხე წარმომადგენელმა სათო ფირუმოვმა, რომლის მიერ მაღალმხატვრულ დონეზე შესრულებულმა როლებმა მაყურებლის სამართლიანი მოწონება დაიმსახურა. იგი დიდი ოსტატობით ასრულებდა თელის როლს უ. ჰაჯიბეგოვის პიესაში „არშინ მალ-ალან", ფატმას ავქს. ცაგარლის „ქართველი დედა", ანიკო კ. გრიგორიანც-ყაზახელის „ძმის მკვლელი", ელენე ალ. ბაჯიაშვილის „სიმდიდრის მსხვერპლი", ლუიზა „ყომარბაზის ცხოვრება", ელეონორა ზუდერმანის „პატიოსნება", ბაბალე ნ. აზიანის „ფული და ხარისხი" და სხვ.

1918 წელს ს. ფირუმოვს მამა გარდაეცვალა. ოჯახი დიდ ეკონომიურ გაჭირვებას განიცდიდა. დედა იძულებული შეიქნა უფროსი ქალიშვილი სათო გაეთხოვებინა. იგი მიათხოვეს ერთ-ერთ სტამბის მუშას გ. ბატიევს. გ. ბატიევი რევოლუციურ მოძრაობაში ყოფილა ჩაბმული და ვინაიდან არალეგალური წრის მუშაობა სტამბაში შეუძლებელი იყო, იგი ბატიევმა თავის სახლში გადაიტანა. რევოლუციურ ატმოსფეროში აღზრდილი ქალიშვილი ს. ფირუმოვი მუდამ გვერდში ედგა მეუღლეს. ბავშვობაში სათოს, მამა ავალებდა ქარხნის სტამბის ეზოში კლასობანა ითამაშე და ეს ქაღალდები (პროკლამაციების შეკვრა) იქვე ფანჯარაში ჩაყარეო. ს. ფირუმოვიც დიდი სიხარულით უსრულებდა მამის თხოვნას.

„ერთ ზამთრის საღამოს, — იგონებს ს. ფირუმოვი — საღამოს ათი საათი იქნებოდა, შემოგვესმა ეზოს კარებზე ბრახუნი. შეშინებულმა სასწრაფოდ კალთაში ჩავიყარე შრიფტი და იქვე ტუალეტში ჩავყარე. ამ დროს ოთახში თეთრგვარდიელები შემოცვივდნენ და ჩემი ქმარი სხვებთან ერთად დაპატიმრებული, კიროვის ქუჩაზე მდებარე გვარდიელთა შტაბში წაიყვანეს. რამდენიმე ხნის შემდეგ მაგრად ნაცემი დაბრუნდა სახლში". ამის შემდეგ რადგან შემჩნეულ პირად ითვლებოდნენ, გადაწყვიტეს თბილისს გასცლოდნენ და გადასახლდნენ ტემურხაშურაში (დაღესტანი), იქაც სტამბაში დაიწყო მუშაობა. იქ სათო ხორველით დაავადდა და განკურნების შემდეგ, როცა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, თბილისში დაბრუნდა. ტაბიძის ქუჩაზე მისცეს ბინა და სამუშაოზეც აღადგინეს. გ. ბატიევი „ზარია ვოსტოკას" სტამბაში მუშაობდა, მერე „ლენინსკოე ზნამიას" სტამბაში (ძნელაძის ქუჩაზე) და სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე — კომუნისტის რედაქციაში.

ასევე რევოლუციურ მოძრაობაში იყო აქტიურად ჩაბმული და პროკლამაციებს ავრცელებდა ვ. ფირუმოვის და ანა ფირუმოვ-ათაბეგოვა. მის რევოლუციურ მუშაობაზე აი, რას გვიამბობენ:

„მარქარ ფირუმოვის სახლში ხმაურობა იყო. ღარიბულად მორთულ ეზოში მრავალ სტუმარს მოეყარა თავი და მარქარს ბედნიერებას ულოცავდნენ. მარქარი ადელხანოვის ქარხნის მუშა იყო და როგორც ყველა მუშას იმ დროს, მარქარსაც ძლიერ უჭირდა ცხოვრება. ვერ გამოეკვება უმნიშვნელო ხელფასით წვრილი ცოლშვილი, და უფროსი შვილი, 14 წლის ანო მუშა ათაბეგოვს მიათხოვა...

ანოს ფიქრები ერთმანეთს ეხლართებოდნენ: მის წინ კინოს ლენტივით მისრიალებდნენ მომავალი ცხოვრების სურათები: როგორ უნდა მოეწყო ოჯახი, როგორ უნდა დაეღწია თავი სიღარიბისათვის. მაგრამ... სინამდვილე არც ისე სახარბიელო გამოდგა, სიღარიბე და დუხჭირი ცხოვრება მას ფეხდაფეხ სდევდა. ვერ დააღწია ანომ თავი გაჭირვებას, ვერ მოაწყო ცხოვრება და იძულებული გახდა სამუშაოს ძებნა დაეწყო. ანომ კერვა კარგად იცოდა და ამიტომ ადელხანოვმა სიამოვნებით მიიღო ის თავის ქარხანაში, სამკერვალო განყოფილებაში მუშად; კარგად იცოდა გაქნილმა მექარხნემ, რომ ქალის შრომას ნახევარ ფასად იყიდდა და ამით საკუთარ მოგებას ერთიორად გაზრდიდა. ანოს ხელფასი მართლაც რომ მცირე იყო. ის ამზადებდა ტანსაცმელს ჯარისკაცებისათვის და თითო ხალათის შეკერვაში 4 კაპიკს იღებდა. მუშაობის პირობები აუტანელი იყო, დილის 5 საათიდან საღამოს 9 საათამდე ჯარასავით უნდა ეტრიალა.

მეფის რუსეთს სისხლისმღვრელი ომი ჰქონდა იაპონიასთან; აქ, ადელხანოვის ფაბრიკაში, ჯარისკაცთა ძველი, სისხლიანი ტანსაცმელი ხელმეორედ იკერებოდა, რომ მებრძოლთა ახალი წყება მოემარაგებინა. ანო სრულიად ახალგაზრდა, იყო როცა წარმოებაში მოვიდა. შინ უპატრონოდ მიტოვებულმა წვრილშვილების ჯავრმა და წარმოებაში მუშაობის ჯოჯოხეთურმა პირობებმა ახალგაზრდა ანოს ყოველგვარი ხალისი დაუკარგეს. მექარხნის გაუმაძღარი სტომაქი მუდამ მზად იყო მშრომელების ჩასაყლაპავად, მისი ფიქრი დიდი მოგების დაგროვებისაკენ იყო მიმართული, სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე კი თავს არ იწუხებდა.

ასე გაატარა ანომ 21 წელიწადი, ამ ხნის განმავლობაში უცნობი იყო მისთვის სიხარული, ბედნიერება.

1916 წელს ადელხანოვის ქარხანა დაიხურა, ანოს ანგარიში გაუსწორეს. იმავე წელს ნინოშვილის ქუჩაზე სამკერვალო სახელოსნო გაიხსნა. ანო პირველი გამოცხადდა სახელოსნოში. მუშაობის პირობები აქაც აუტანელი იყო.

მკერავეთა უმეტესობა ქალები იყვნენ. მუშაობის მძიმე პირობებმა ბევრი მათგანი სამუდამოდ დააავადმყოფა. საექიმო დახმარების მაგიერ სახელოსნოს პატრონი ავადმყოფ მუშებს სამუშაოდან ითხოვდა. ორსულობის პერიოდში ქალი ბოლომდე მუშაობდა. ასეთი შემთხვევა ანოსაც ჰქონდა, ტკივილებით გულშეწუხებულმა ქალმა სთხოვა დარაჯს ცოტა ხნით გარეთ გაეშვა. მეორე დღეს ანოს ქალიშვილი შეეძინა. სახელოსნოს პატრონმა არაფრად ჩააგდო ანოს ავადმყოფობა, ბინაზე საკერავი გაუგზავნა და შეუთვალა: ეს საკერავი ორ დღეში დაამთავრეო. წინააღმდეგ შემთხვევაში სახელოსნოდან დათხოვნით ემუქრებოდა. ასე „ზრუნავდა“ ძველი ხელისუფლება მშრომელთა ჯანმრთელობაზე. მუშას უბრალო უკმაყოფილების გამოთქმაც არ შეეძლო. თუ ვინმე გაბედავდა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას მოითხოვდა, სახელოსნოს პატრონს გვერდში პოლიცია ედგა და „თავხედს“ დაპატიმრებით უმასპინძლდებოდა.

მიუხედავად დიდი დევნა-შევიწროებისა, მუშათა შორის სწრაფად ვრცელდებოდა ბოლშევიკური იდეები. ანო ძმების დახმარებით გაეცნო ბოლშევიზმის იდეას. ჩქარა მას პროკლამაციების გავრცელება დაავალეს. მენშევიკების ბატონობის დროსაც ავრცელებდა ანო პროკლამაციებს, გაუგეს და დააპატიმრეს კიდეც. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ გაანთავისუფლა ანო ათაბეგოვი საპატიმროდან. ანომ მაშინვე სახელოსნოს მიაშურა. მენშევიკების უკუღმართი ხელისუფლების წყალობით სახელოსნოში მხოლოდ ორიოდე მანქანა აღმოჩნდა, დანარჩენი სულ გაეძარცვათ. ჩქარა სახელოსნო ახალი მანქანებით და ინვენტარით მომარაგდა. წარსულს თან გაჰყვა მუშაობის ჯოჯოხეთური პირობები. შრომას ფასი დაედო, სახალისო შეიქმნა. ანო ყველაზე საყვარელი ადამიანი გახდა წარმოებაში. სახელოსნო გადაკეთდა ფაბრიკად. ფაბრიკაში ახალგაზრდა გოგონები მოვიდნენ, მათთვის ხელმძღვანელი იყო საჭირო. ანოც დაუზარებლად ეხმარებოდა მათ. ამავე დროს დიდი გულმოდგინებით ასრულებდა თავის სამუშაოს...“

ანო ფირუმოვი-ათაბეგოვი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე არ მოშორებია თავის საყვარელ საქმიანობას. იგი მოხუცებულობის ასაკში გარდაიცვალა.

ფირუმოვი-ათაბეგოვი საუკეთესო მუშაობისათვის მრავალჯერ დაუჯილდოვებიათ. მართალია ანო უკვე ხანშიშესული იყო, მაგრამ ახალმა ცხოვრებამ, წარმოებაში შექმნილმა შესანიშნავმა პირობებმა ის გააახალგაზრდავეს. იგი დააწინაურეს, კვალიფიციური მუშა სამკერვალოს საამქროს ინსტრუქტორად დანიშნეს.

ანომ ტექნიკუმის კურსები ფრიადზე დაამთავრა, თავის თავზედაც დიდი გატაცებით მუშაობდა. მის მიღწევებს სწავლაში განცვიფრებაში მოჰყავდა თურმე მასწავლებლები.

1933 წელს საქართველოს ცაკს ანო ფირუმოვ-ათაბეგოვისათვის შრომის გმირის სახელი მოუნიჭებია. ამ საამაყო სახელს ის სამართლიანად და დამსახურებულად ატარებდა.

როცა მანქანები მუშაობას დაიწყებდნენ და სუფთა, ნაირ-ნაირ ტანსაცმელის გროვა დგებოდა, ანოს თვალები ყველა მკერავის ნაშრომს დაკვირვებით სინჯავდა და ამოწმებდა, ცუდად ხომ არ არის შეკერილი, დააკმაყოფილებს თუ არა ის მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებას.

რამდენი მადლობა, რამდენი სიყვარული იხატებოდა თურმე ანოს თვალებში და სიტყვებში იმ ხელისუფლებისადმი, რომელმაც მას და მისთანას მილიონობით მშრომელს ასეთი სასიხარულო და ბედნიერი ცხოვრება შეუქმნა.

ა. ფირუმოვი-ათაბეგოვი ასეთი სიყვარულითა და ენთუზიაზმით უკერავდა საჭირო ტანსაცმელს სცენისმოყვარეთა წრეებს, რომელშიაც თავისი ძმები ვანო და როსტომი, მოღვაწეობდნენ...

□□

1934 წლის 23 მაისს საქართველოში მეტყავეთა კავშირის თაოსნობით გაიმართა ფეხსაცმლის ფაბრიკის დამსახურებული მუშისა და ძველი სცენისმოყვარის გიგო პაპინაშვილის სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

მოხსენებით გამოვიდა ძველი სცენისმოყვარე და რეჟისორი ეპია კულულაშვილი. ადგილობრივი ქართული და სომხური დრამწრის მიერ წარმოდგენილი იყო ქართულად ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“, ავქს. ცაგარლის „ციმბირელი“ და სომხურად გ. სუნდუკიანის „პეპო“.

ბოლოს გაიმართა საზეიმო სხდომა. მილოცვები, სიტყვები. მომღერალთა გუნდს ხელმძღვანელობდა შ. ტალიკაძე. წარმოდგენები დადგეს ქართული და სომხური წრის რეჟისორებმა: ე. კულულაშვილმა და მ. მარუთიანმა. მოკარნახე — დ. მეტრეველი, სცენარიუსი — ალ. ალავერდელი. საღამოს მომწყობ კომისიაში შედიოდნენ: ი. ასათიანი, ს. აუშტროვი, ი. გრიშაშვილი, ს. გოზალოვი, მ. ეფშტეინი, ლ. ენუქიძე, გ. ზურაბოვი, ს. იშხანოვი, ე. კულულაშვილი, გ. მაჭარაძე, მ. მარუთიანი, შ. ნავთლუღელი, გ. ტერ-ოგანეზოვი, ი. ჩარგეიშვილი, დ. ჩაჩანიძე, გ. ჯანჯულაზოვი. კომისიის თავმჯდომარე — პ. კინწურაშვილი, მდივანი — ს. ავჩიანი.

□□

როგორც თეატრალური მუზეუმის № 21 სააფიშო ფონდში დაცული აფიშები გვამცნობენ, ორთაჭალაში უფრო ადრეც იმართებოდა წარმოდგენები.

შაბათს, 1907 წლის 28 თებერვალს ორთაჭალის კლუბთან არსებულ ქართული სცენისმოყვარეთა წრის მიერ ქ-ნ გულაზიანისა და მარიასის მონაწილეობით გორის დაზარალებულთა სასარგებლოდ წარმოდგენილი იყო გ. სუნდუკიანის სამმოქმედებიანი პიესა „პეპო". მონაწილეობდნენ: ქ-ნი გულაზიანი, მარია სააკოვისა, ბ-ნი გორდაძე, ა. ქსენაფონტოვი, ფირუმოვი, აუშტროვი, ლ. ოძელაშვილი. უკრავდა სამხედრო მუსიკა.

ამას მოჰყვა 1907 წლის 19 აგვისტოს სახალხო თეატრ-ბაღ „ნადკუროიში" წარმოდგენილი ფილიმონ ქორიძის მიერ თარგმნილი „ორი დარაჯი".

□□

1937 წელს მეტყაველთა კლუბის სრული ლიკვიდაციის გამო შეწყდა წრეების მუშაობა და სცენისმოყვარეებიც მიმოიფანტნენ. ზოგმა ქალაქში არსებულ დრამატულ წრეებს მიაშურა. ს. ავჩიანმა კი განაგრძო ლიტერატურული მოღვაწეობა. ლექსების, მოთხრობების, კრიტიკული წერილების, გამოკვლევების გარდა ენერგიულად ჩაება დრამატურგიაშიც.

სახელმწიფო თეატრებში დაიდგა მისი ხუთი პიესა: „საიათნოვა", „სოსი და ვარდითერი", „ქოროღლი", „პელ-პუღი", „ზედსიძე" და მის მიერ ქართულიდან სომხურად ნათარგმნი ოცამდე პიესა. ა. შანშიაშვილის „არსენა" და „ხევისბერი გოჩა", ს. კლდიაშვილის „გმირთა თაობა", გ. ბააზოვის „იცკარიეინაშვილი", გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის „ნაცარქექია", მ. ბარათაშვილის „ჩემი ყვავილეთი" მ. მრევლიშვილის „ზვავი", მ. კიკვაძის „დიმიტრი თავდადებული", გ. ნახუცრიშვილისა და დ. ცხაკაიას „გლახის ნაამბობი", ზ. ანტონოვის „მე მინდა კნეინა გავხდე", კ. ბუაჩიძის „ფაქიზი განცდები", მ. ელიოზიშვილის „ბებერი მეზურნეები" და სხვ. ოპერები: ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე", ო. თაქთაქიშვილის „მინდია" (დაიდგა ერევნის ა. სპენდიაროვის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში).

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე სურენ ავჩიანი, მიუხედავად დიდი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისა, მუდამ დაკავშირებულია ძველ სცენისმოყვარეებთან. ყოველ ღონისძიებაზე, შემოქმედებითი საღამოები იქნება ესა თუ სპექტაკლების ჩვენება, ყველგან აქტიურ მონაწილეობას იღებს და გულით ახარებს მათი გამარჯვება.

აი რას გვიამბობს მთარგმნელი და დრამატურგი ი. გიგოშვილი ს. ავჩიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ. „ქართულ და სომხურ სახალხო აუდიტორიებში დავაჯკაცდა და აიდგა ფეხი მომავალმა პოეტმა, დრამატურგმა და მწერალმა სურენ ავჩიანმა.

არაქსიანისეულ თეატრში ქართული დასის პარალელურად არსებობდა სომხური დასიც, რომელსაც ხელმძღვანელობდა გამოჩენილი სომეხი მსახიობი ამო ხარაზიანი, (შემდეგ სომხეთის სსრ სახალხო არტისტი). ხარაზიანის დასს „ახალი დრამა" ეწოდებოდა, ისინი სისტემატურად მართავდნენ სპექტაკლებს, რომელსაც უამრავი ხალხი ესწრებოდა, მათ შორის სომეხი და ქართველი მსახიობები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები. ამ თეატრში გავიცანი სრულიად ახალგაზრდა სცენისმოყვარე სურენ ავჩიანიც, რომელიც ამ დროს ძირითადად მუშაობდა ორთაჭალის მუშათა დრამწრეში. შემდეგში თანდათან უფრო გახმაურდა ს. ავჩიანის სახელი. იგი აქტიურად მონაწილეობდა როგორც ქართულ, ისე სომხურ დრამატული წრეების მუშაობაში, ეწეოდა მრავალფეროვან მოღვაწეობას, მონაწილეობდა ახლო-მახლო რაიონებსა და სოფლებში მოწყობილ გამსვლელ სპექტაკლებში. წერდა მხატვრულ ნაწარმოებებს და უფრო ღრმად იჭრებოდა ხალხის ცხოვრებაში.

1923 წელს მეტყავეთა კლუბში ს. ავჩიანმა ჩამოაყალიბა სომხური დრამატული დასი, რომელსაც დიდხანს ხელმძღვანელობდა, ვიდრე მისივე წინადადებით, რეჟისორად მიწვეული არ იქნა მ. მარუთიანი (შემდეგ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი). ს. ავჩიანს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართველი და სომეხი მსახიობების ძმობა-მეგობრობაში. ის ერთგვარი ხიდი იყო მათ შორის. თავისი რეცენზიებით, კრიტიკული წერილებით, თარგმანებით, საკლუბო კედლის გაზეთებით, დაუღალავად უწყობდა ხელს ხელოვნების მუშაკთა თანამეგობრობას და ორი მოძმე ხალხის თეატრალური ხელოვნების გაფურჩქვნას.

ს. ავჩიანი გამოირჩეოდა გულისხმიერებით, დარბაისლობით, მაღალი ადამიანური კულტურით. ასეთი იყო მაშინ და ასეთია ახლაც, როცა უკან დარჩა მისი სამწერლო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წელი. ამჟამად იგი ავტორია ლექსებისა. შესანიშნავი ორიგინალური დრამებისა — „სოსი და ვართითერი", „ქორ-ოღლი", „საიათ-ნოვა"; უამრავ სომხურად თარგმნილ მხატვრული ნაწარმოებებისა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს; კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული სტატიებისა და სხვა.

ს. ავჩიანი დღესაც შემოქმედებითი ენერგიითაა აღსავსე დაუღალავად ემსახურება თავის საყვარელ პროფესიას და როცა მას ვხვდები, არ შემიძლია

მადლიერებით არ მოვიგონო სახალხო თეატრებში გატარებული წუთები და ქართველ-სომეხთა ის ძმური ატმოსფერო, სადაც მოქალაქეობრივი ნათლობა მიიღო ს. ავჩიანმა.

ს. ავჩიანს საკუთარი ლექსი უძღვნა ცნობილმა მუშა-პოეტმა „ნავთლუღელმა“:

მდაბიო ხალხის წიაღიდან წარმოშობილხარ,
არ გიძებნია: არც პატივი, არცა დიდება,
ქართულ-სომხურსა მწიგნობრობას დასწაფებიხარ,
შრომამ და ჯაფამ მოგანიჭა შენ ნეტარება.
ორ ძმობე ხალხის სიყვარულის გასდევი ხიდი
და გააცანი ურთ-ერთობის აზრი მწერლობა,
ენა მახვილი გულმართალი და არა ფლიდი,
უანგარობით ჩააქსოვე შიგ მეგობრობა.
მაგ ნაზი გრძნობით თვით ბუნებამ დაგაჯილდოვა
და მოწოდებას შენც პირნათლად ემსახურები,
შენს არსებაში ნიადაგი ურყევი ჰპოვა,
ვუსურვებ შენს ნიჭს აყვავების შეისხას ფრთები.
შენი ოცნება სინამდვილით გვირგვინდებოდეს,
ვანუსაზღვრელად ფრთა გაშლილი მიჰქროდეს წინა!
კალამი შენი არასოდეს დაგჩლუნგებოდეს,
შენს არსებაში ულეველად დაედოს ბინა.
იყავ დღეგრძელი მეგობარო! ჯან-ღონით სავსე,
კეთილმოქმედი საქმეში არ დაბრკოლდებოდე.
გამარჯვების გზას მიგიკვლევდეს ოქტომბრის მზე მოძმეს:
ავჩიანს, ნავთლუღელო, გადაგხვევოდე.
მოგილოცავდე შენის კალმის ზეიმს მარად ჟამს,
კვლავ განმეორდეს, კვლავ შევძახო ვაშა შენს კალამს.

[illegible] 1907 [illegible]

# სახალხო თეატრი-ბაღი „ნად[illegible]

კვირას, 19 აგვისტოს

ქართულ დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთ მიერ, და ვ. მაშარაძის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

# [illegible]

ერთა

წარმოდგენა — 7 საათზე

[illegible]

ACTIEN

# პროგ[illegible]

# ორთაჭალა

კვირას, 17 ქრისტეშობისთვეს 1917 [illegible]

[illegible]
ნაციონალურ სცენის მოყვარეთა წრის [illegible]

წარმოდგენილი იქნება:

# პეპო

სამ. მოქმ. კომედია სუნდუკიანცისა.

მოქმედნი პირნი:

| | |
|---|---|
| არუთინ ზიმზიმოვი | ნ. [illegible] |
| ეფემია ამისი ცოლი. | [illegible] |
| პეპო | [illegible] |
| შუშანა | [illegible] |
| კაკო | [illegible] |
| კაკული. | [illegible] |
| გიგოლი. | [illegible] |
| გიქო | [illegible] |
| სამსონი. | [illegible] |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

[illegible]

3ე-6-ე ნომერი **მუშაის ფლუგის** I-29[illegible]

(ორკვირეული)

[illegible]

[illegible]


# [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

კვირას
29
[illegible] 1931

[illegible]

კვირას
29
[illegible] 1931

[illegible]

[illegible]

# მსხვერპლი

[illegible]

IV

[illegible]

წარმოდგენა № 2. **1904**

# ავლაბრის ახალი თეატრი არაქსიანისა

**პარასკევს, 2 იანვარს 1904 წ.**

თბილისის ქართულ სცენის მოყვარეთაგან

წარმოდგენილი იქნება

# და-ძმა

ისტორ. დრამა 5 მოქ. და 6 სურათად ვ. გუნიასი.

**მ ო ქ მ ე დ ნ ი პ ი რ ნ ი:**

| | |
|---|---|
| [illegible]-ფაშა, ოსმალთ სპასალარი | რ. [illegible] |
| [illegible], ჯარის უფროსი. | გ. [illegible]შვილი |
| [illegible] მსაჯული. | ნ. მირველ[illegible] |
| [illegible], მეომარი. | გ. მეპანიძე |
| [illegible] ჯაყელი, ოსმალთ მომხრე თავადი. | ი. ხაშმელი |
| გიორგი ადამია, ახალგაზდა მეგრელი. | გ. [illegible] |
| [illegible] ადამია, ამისი მამა, მოხუცი. | ბ. ცომაძე |
| თავ. გიორგ [illegible], ახალგაზდა მეომარი. | ლ. პაპაშვილი |
| მარინე, და გიორგისა და ოტიას საყვარელი | მ. ქართველიშვილი |
| [illegible] ქეთო, ადამიას ცოლი. | ქ. [illegible] |
| [illegible], მსახური. | ა. [illegible]შვილი |
| [illegible] ოფიცერი. | ი. [illegible] |
| ახალგაზდა ოფიცერი. | ბ. [illegible] |

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

წარმოდგენა № 24—მ | ბილეთი №

1904

# ავლაბრის ახალი თეატრი არაქსიანისა.

კვირას, 15 მარიამობისთვეს

ავლაბრის ქართველ-სომეხ სცენის მოყვარეთაგან

წარმოდგენილი იქნება ქართულად.

## გაძარცული ფოსტა

მოქმედნი პირნი:

| | | |
|---|---|---|
| ჟერომ ლესიურკი | | მ[illegible] |
| ჟოზეფ ლესიურკი, შვილი | | [illegible] |
| ჟულია, [illegible]ის ქალი | | ქ. [illegible] |
| [illegible], ჟულიას საქმრო | | ბ. ტერ-[illegible]იანი. |
| [illegible] | | * * * * |
| ჟოლიკე, ჟერომის მსახური | | ქ. ბეგიჯანიანი. |
| ლამბერი, [illegible] მეგობარი | | ბ. ტალახაძე. |
| ლობენტონი, გამომძიებელი | | ბ. მარკოზოვი. |
| პოსტმეისტერი გურნო | | ბ. ვეპანოვი. |
| დიუმონი, პორტალიონი | | ბ. მისურაძე. |
| დიუ ორსკი | ფოსტის გამცარცველნი. | ბ. ბალაშვილი. |
| კურიორი | | ბ. გულიკურაშვილი. |
| შოპარი | | ბ. სალაყაია. |
| ფუინარი | | ბ. რჯაზოვი. |
| მოხუცი, სტანციის ზედამხედველი | | ბ. * * * * |
| ტრაქტირის მსახური | | ბ. მელაშვილი. |
| პრისტავი | | ბ. მისურაძე. |

ჟანდარმები, მგზავრნი, ხალხი და სხვ.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

ბილეთების ფასი 50 კაპეიკ. 10 კაპეიკამდე.

[illegible] № [illegible] 1904 ბილეთის № [illegible]

# ბულვარის ახალი თეატრი არაქსიანისა

კვირას, 14 მარტს

## დილის წარმოდგენა

თბილისის ქართულ სცენის მოყვარეთაგან

წარმოდგენილ იქნება

I

# ქართველი დედა

ისტორიული დრამა 4 მოქმ. ა. ცაგარლის.

მოქმედნი პირნი:

[illegible]

II

[illegible]

# [illegible]

[illegible]

მოქმედნი პირნი:

[illegible]

[illegible]

წარმოდგენა № 13. **1904** ბილეთის №

# ავლაბრის ახალი თეატრი არაქსიანისა

**კვირას, 2 მაისს**

თბილისის ქართული სცენის მოყვარეთაგან

წარმოდგენილი იქნება

# ს ა მ შ ო ბ ლ ო

დრამა 5 მოქ. [illegible] სარდუსი, [illegible]

I. მოქ. [illegible] II. მოქ. [illegible] III. მოქ. 1 სურ. სამშობლოს გაცემა; 2 სურ. [illegible] IV. მოქ. [illegible] V. მოქ. 1 სურ. შეთქმულთა დახვა, 2 სურ. [illegible] და დახვა.

მ ო [illegible]

[illegible]

[illegible]

წარმოდგენა № 14. **1904** ბილეთები № 3

# ავლაბრის ახალი თეატრი არაქელიანცისა

**კვირას, 9 მაისს**

თბილ. ქართულ-სომხურ სცენის მოყვარეთა ამხანაგობისაგან
წარმოდგენილი იქნება

I.

ქართულ ენაზედ

# ბედს ვერ წაუხვალ

დრამა 4 მოქ., გადმოკეთ. მ. ნასიძისაგან.

**მოქმედნი პირნი:**

| | |
|---|---|
| დავით პეტროვიჩ ხმალაძე, წევრი სხვა და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებისა | გ. ფირუმიანი |
| ნატალია მალარაძე . . . | მ. ქარიკელაშვილი |
| თალიკო, ალექსანდრეს ასული დუმბაძისა . | ქ. ბეჟუკური |
| ალექსანდრე ვარდანაშვილი, ნატალიის ქმარი და თალიკოს მამა. . | ლ. ბილაშვილი |
| სვიმონიკა—ხმალაძის მოსამსახურე | რ. სალაყია |
| პეტრე— თალიკოს გამზრდელი. . . | ბ. ქერქეტაშვილი |
| გამომძიებელი [illegible] | რ. გაბლაძე |
| გამომძიებლის [illegible] | [illegible] |

II.

სომხურ ენაზედ

# პაშტონს ხრმფალ-ე

ვოდევილ 1 მოქ., თარ. აპელიანცისა.

**მოქმედნი პირნი:**

| | |
|---|---|
| ჟოზეფ მულინე, სტატსკი კაპიტანი . | გ. ფირუმიანი |
| როზა, მისი ცოლი . | ქ. ბაგიჯანიანი |
| პიროსნი მსახური. | მირკოზიანი |
| ლორდორ, სოლდათი . | დუმჩიანი |

**✦ დასაწყისი დილის 11½ საათზე ✦**

# 1904

# ქართული თეატრი

**ხუთშაბათს, 13 მაისს**

**საღამოს წარმოდგენა დაკლებული ფასებით**

თბილისის ქართული სცენის მოყვარეთაგან

წარმოდგენილი იქნება

# ავაზაკნი

ტრაგედია 5 მოქ. და [illegible] სურ. [illegible]

**მოქმედნი პირნი:**

| | |
|---|---|
| ჰაჯაჯა დილანოვი. | ბ. [illegible]შვილი |
| რიფსიმე, ამისი ქალი. | ნ. [illegible] |
| ისაკ მარტინიჩი, [illegible] | ი. [illegible]შვილი |
| ზახარ [illegible] } [illegible] | მ. [illegible] |
| ვასილ გრიგორიჩი } | ლ. [illegible]ძე |
| [illegible] მიხაილიჩ } | გ. მ[illegible]შვილი |
| მინას ივანიჩი, [illegible] | ბ. მი[illegible]ძე |
| ვარა, ქალი ზახარ [illegible]ისა | ვ. [illegible] |
| ადვოკატი. | გ. მ[illegible]შვილი |
| იმერელი, ჰაჯაჯას მსახური | რ. [illegible] |
| [illegible] | ა. [illegible]შვილი |
| ტიტოლა } ავაზაკნი | ბ. [illegible] |
| [illegible]წილა } | ფ. [illegible] |
| [illegible] (თავიარი) } | ი. [illegible]შვილი |
| [illegible] (ცოლი) } | ი. [illegible]შვილი |
| [illegible] } | ტ. [illegible] |
| [illegible] } | ბ. [illegible]შვილი |
| [illegible] } | ბ. [illegible] |
| [illegible] } | ლ. [illegible]ძე |
| [illegible] } | [illegible]შვილი |
| [illegible] } | ბ. [illegible]ძე |
| [illegible] } | ბ. [illegible] |
| [illegible] | [illegible]შვილი |
| [illegible] | ა. [illegible]შვილი |
| [illegible] | ი. [illegible]შვილი |

მსახურები, პოლიციის ოფიცრები, ყაზახები, [illegible], [illegible], [illegible], ხალხი.

წარმოდგენა № 18. **1904** ტელეფონი

# ავლაბრის ახალი თეატრი არაქსიანისა

დილის იაფ-ფასიანი წარმოდგენა

**კვირას, 6 ივნისს**

**თბილ. ქართულ-სომხურ სცენის მოყვარეთა ამხანაგობისაგან**

წარმოდგენილი იქნება ქართულად

I.

## როგორც მოხვალ სხვისასა ... ისე წაგივა შინასა

კომედია 1 მოქმედ. ა. ცაგარელისა.

მოქმედნი პირნი:

| | |
|---|---|
| თალალა. | ქ. [illegible] |
| სალო, ამისი ქალი | ქ. [illegible] |
| ლაზარე, თალალას ძმა | ქ. [illegible] |
| ნიკოლა, ყაზახი | ა. [illegible] |
| სიკო, ნაფიცი ვექილი | ი. [illegible] |
| პეტრო, ამისი მეგობარი. | ი. [illegible] |
| მინადორა | ქ. [illegible] |
| დათუნა, მეთევზე. | ი. [illegible] |
| ზოქერი. | [illegible] |
| ფუქნის ბიჭი. | ი. [illegible] |

II.

## ცოლი ორის დღის

ვოდევილი 1 მოქმ. თარგ.

მოქმედნი პირნი:

| | |
|---|---|
| ჯორმიდონტ ანტიპის ძე [illegible], მემამ[illegible]. | მშვიდობიშვილი |
| სერგეი პეტროვიჩ, ამისი ძმისწული. | ცინცაძე |
| აკაკი აკაკის ძე აკაკიევი. | ი. სადუნაი |
| ელენა ალექსანდროვნა ხარაშევა | ქ. ქართველიშვილი |
| ლიზა, ამისი მოახლე. | ქ. ჩუბინაშვილი |

**დასაწყისი დილის 11½ საათზე**

# იაფ-ფასიანი წარმოდგენა
# ავლაბრის ახალი თეატრი
# არაკსიანისა

კვირას 27-ს ივნისს. 1904 წ.

ქართულ-სომხურ სცენის მოყვარეთა ამხანაგობისაგან წარმოდგენილი იქნება

I

კომედია.

## „ფული და ხარისხი“

[illegible]

მოქმედნი პირნი

| | |
|---|---|
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| | [illegible] |
| | [illegible] |

II

ԿՈՄԵԴԻԱ—ՎՈԴԵՎԻԼ

## ՓԱՍՏԱԲԱՆԻ ՄՈՏ

Կոմ. 1 գործ. Թարգ. Դ. Տէր-Դաւթեանի

ԳՈՐԾՕՂ ԱՆՁԻՆՔ

| | |
|---|---|
| Պլատօն Բաժանօղեան, փաստաբան | պ. Փիրումեան |
| Պօղոս Պատաշեան, ծերունի . | պ. [illegible] |
| Մարթա Պատաշեան, նրա կինը . | օր. [illegible] |
| Նիկօլ [illegible], փաստաբան, Պլատօնի ընկերը . . . | պ. [illegible] |
| Մարօ [illegible] . | օր. [illegible] |
| [illegible] . . | պ. [illegible] |
| [illegible] | պ. [illegible] |
| [illegible], Պլատօնի ծառան . | պ. [illegible] |

Անցքը պատահում է Թիֆլիզում մեր ժամանակ:

დასაწყისი საღამოს 8½ საათზედ

წარმოდგენა № 5. **1904** ტელეფონი № 66

# ავლაბრის ახალი თეატრი არაქსიანისა

**შაბათს, 24 იანვარს**

თბილისის ქართული სცენის მოყვარეთაგან

წარმოდგენილი იქნება

პირველად ავლაბრის სცენაზედ

# გაცარცული ფოსტა

მელოდრამა 5 მოქ., თარგ. ე. აბაშიძისა.

**მოქმედნი პირნი:**

| | |
|---|---|
| ჟერომ ლეზიურკი | ი. დოლიძე |
| ჟოზეფ ლეზიურკი, ამის შვილი | დ. ბადაშვილი |
| იულია, ჟოზეფის ქალი | მ. ქართველიშვილი |
| დიდიე, იულიას საქმრო | გ. ფირუმიანი |
| ჟანნა | ნ. საყვარელიძე. |
| ჟოლიკე, ჟერომის მსახური | ბ. N N |
| ლამბერი, ჟოზეფის მეგობარი | ბ. მაისურაძე |
| დობენტონი, გამომძიებელი | ი. მჭედლიშვილი |
| პოჩტმეისტერი გურნო | ბ. ზებანოვი |
| დიუმონი, პოჩტალიონი | ა. ჯიბლაძე |
| დიუბორსკი } ფოსტის გამცარცველნი. | დ. ბადაშვილი |
| კურიორი } ფოსტის გამცარცველნი. | გ. ტელიკურაშვილი |
| შოპარ } ფოსტის გამცარცველნი. | რ. სალიუაა. |
| ფუინარ } ფოსტის გამცარცველნი. | ნ. მირზქელოვი |
| მოხუცი, სტანციის ზედამხედველი | გ. გაბოშვილი. |
| ბიჭი | ბ. მელაშვილი |
| პრისტავი | ბ. ჯიბლაძე. |

ჟანდარმები, მგზავრნი, ხალხი და სხვ.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე

გამომცემლობა № 28 7 — 1904 — ბილეთები №

# ავლაბრის ახალი თეატრი არაქსიანისა.

**შაბათს, 18 სექტემბერს**

ავლაბრის ქართველ-სომეხ სცენის მოყვარეთაგან

წარმოდგენილი იქნება

I

# პატიოსნება

კომედია 4 მოქ. ზუდერმანისა, თარგ. ავალიშვილისა.

**მოქმედნი პირნი:**

| | |
|---|---|
| მიულინგი, ქარხნის პატრონი | ა. ბედოყურაშვილი |
| ლეონორა, ამის ქალი | ქ. დავითაშვილი |
| კურტ, ამათი ვაჟი | ბ. ტოლაძე. |
| ლოთარ-ბრანდელი | ბ. მოსურიძე. |
| გუგო შტენგელი | ბ. მელაშვილი. |
| გრაფ ფონ ტრასტ ზაარბერგი | ბ. მტარაძე |
| ჰაინეკე, მამა. | ბ. ჯავახიშვილი |
| ჰაინეკე, დედა | ქ. ჩერქეზიშვილი |
| რობერტ } ამათი შვილები | ბ. ბელაშვილი. |
| ალმა } ამათი შვილები | ნ. სიყმაშვილი |
| ავგუსტ } ამათი შვილები | ქ. ფაქაძე |
| მიხალსკი, ავგუსტას ქმარი | ბ. რჩეულოვი. |
| ვილჰელმ, მსახური | ბ. ქისნიშვილი |

II

# ხოლვერობა

კომედია 1 მოქ. [illegible]

| | |
|---|---|
| [illegible] | ბ. მჭედლიშვილი. |
| [illegible] | ბ. [illegible] |
| [illegible] | ქ. დავითაშვილი |
| [illegible] | ნ. სიყმაშვილი. |
| [illegible] | ბ. მელაშვილი |
| [illegible] | |
| [illegible] | ბ. ჩერქეზიშვილი |
| [illegible] | ბ. [illegible] |
| [illegible] | ბ. [illegible] |

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

1904

# ავლაბრის ახალი თეატრი არაქსიანისა.

**შაბათს, 25 სექტემბერს**

ავლაბრის ქართველ-სომეხ სცენის მოყვარეთაგან

წარმოდგენილი იქნება

**ქართულად**

პირველად ახალი პიესა

# ძმის მკვლელი

## [illegible] შვილი

დრამა 5 მოქ. კ. [illegible].

მოქმედნი:

| | |
|---|---|
| ანიკო. | ს. საყვარელიძე |
| დავითა. | [illegible]შვილი. |
| კირაკეტა. | [illegible] |
| ბაგრატი | ბ. [illegible]ძე. |
| გასპარა | გ. [illegible]შვილი |
| სონა. | ქ. [illegible]შვილი |
| ანანა. | ქ. დავითაშვილი |
| სოფი. | ქ. [illegible] |
| გიორგი | ბ. ნიკიფო |
| ბოქაული. | ბ ხევის ბერელი |
| აბრამა. | ბ. მელაშვილი. |
| ზაქარა. | ბ. ქესაშვილი |
| ჩინოვნიკი. | [illegible]ძე. |

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

წარმოდგენა № 29—9 **1904** ბილეთი № 668.

# ავლაბრის ახალი თეატრი. არაქელიანისა.

**კვირას, 3 ოქტომბერს**

ავლაბრის ქართველ-სომეხ სცენის მოყვარეთაგან

წარმოდგენილი იქნება:

I

# ორი ლაჩარი

[illegible]

**მოქმედნი პირნი:**

| | |
|---|---|
| [illegible] | ა. [illegible] |
| [illegible] } [illegible] | ა. [illegible] |
| [illegible] | ა. [illegible] |
| [illegible] | ა. [illegible] |
| [illegible] | ნ. [illegible] |
| [illegible] | ა. [illegible] |
| [illegible] | ა. [illegible] |
| [illegible] | N. N. |
| [illegible] | ა. [illegible] |
| [illegible] | ქ. [illegible] |
| [illegible] } [illegible] | N. N. |
| | N. N. |
| [illegible] | ა. [illegible] |
| [illegible] | N. N. |

II

[illegible]

# [illegible]

[illegible]

| | |
|---|---|
| [illegible] | ა. [illegible] |
| [illegible] | ა. [illegible] |
| [illegible] | ა. [illegible] |
| [illegible] | ა. [illegible] |

**დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.**

# 1905

ავლაბრის თეატრი არაქსიანისა

შაბათს, 20 აგვისტოს, 1905 წელსა

ახალგაზრდა ქართველი სცენის მოყვარეთაგან

წარმოდგენილი იქნება:

I.

# დამნაშავეა

დრამა 4 მოქმედ. თარგმ. ა. ნიკოლაძისა.

მოქმედნი პირნი:

ჰერბერტ მოლენდორფი — ბ. იოსებიძე.
კლუზი, დირექტორი — ვ. დადვაძე.
ფონ-ეილენ, გამომძიებელი — გ. ბაქურაძე.
ტომას, ლეკერი — კ. მეტრეველი.
მართა მისი ცოლი — ე. დავითაშვილი.
კარლ } მათი შვილები — დ. მელაშვილი.
იულია } — ს. ილოშვილი.
გუსტავ, ბერგერი — დ. ჯავახიშვილი.
ადოლფ კრამერი — ი. რევაზოვი.
ვილჰელმ შმიდტ — ნ. მირველოვი.
მეწრლეან, დარაჯი — ა. შრომიშვილი.
კურიერი — ს. მაკაროვი.

II.

# გაცრუებული იმედები

კომედ. 2 მოქმედ. თხზ. ნ. აჩიანისა.

მოქმედნი პირნი:

სტეფან ზაქაროვი — ნ. მირველოვი.
ნინო მისი ცოლი — ე. დავითაშვილი.
ვანო დოქტორი — ვ. ბაქურაძე.
სონა ვანოს დ. — ს. იოანიშვილი.
გიგო ვანოს ამხანაგი — ვ. დადვაძე.
გლეხი კაცი — ბ. მაისურაძე.
ბიჭი მსახური — ააღარა-დათიკო.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

# ხალ. 1905 განჯა

## რკინის გზის თეატრში

შაბათს, 10 სექტემბერს,

წარმოდგენილი იქნება

I

# ურიდარაჯი

დრ. 3 მოქ. თარ. ფ. [illegible]

მოქმედნი პირნი:

| | |
|---|---|
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] } [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |

II

# ჯინბაზი

ვოდ. 1 მოქ. [illegible]

| | |
|---|---|
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |

დასაწყისი 9 საათზედ.

ხალ. 19[illegible]05 გაზეთ[illegible]

## რკინის გზის თეატრში

---

კვირას, 11 სექტემბერს,

წარმოდგენილი იქნება

# ექიმი შტოკმანი

## ანუ ხალხის მტერი

დრ. 5 მოქ. ჰენ. იბსენისა, თარ. [illegible]

მოქმედნი პირნი:

ექიმი შტოკმანი . . . . . [illegible]

[illegible] შტოკმანისა, მისი [illegible] . . . [illegible]

[illegible] } [illegible]
[illegible] } მათი შვილები . . . [illegible]
[illegible] } . . . . . . [illegible]

[illegible] შტო-

[illegible]

[illegible] . . . . [illegible]

[illegible] . [illegible]

[illegible] . . [illegible]

[illegible] . . [illegible]

[illegible] . . [illegible]

დასაწყისი 9 საათზე.

გამგე: ვ. ბ. [illegible]

**19 06.**

# ავლაბრის თეატრი № 3.

**კვირას, 26 თებერვალს 1906 წელს.**

ქართულთა სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება.

# „ორი ობოლი"

მელოდ. 5 მოქ. 7 სურ. ა. ცაგარელი.

**მოქმედნი პირნი.**

| | |
|---|---|
| გრაფ დე ლინიერ პოლიციის უფროსი | ა. დიგადოვი. |
| გრაფინია ამისი ცოლი | ქ. დავითაშვილისა. |
| მარკის დე-პრელ | ი. შავიშვილი. |
| კავალერ დე-ვოდრე | ს. პეტროვი. |
| მადამ ფროშარი „მათხოვარა" | ქ. [illegible] |
| ჟაკ } ამისი შვილები. | რუსულიშვილი. |
| პიერ } | ა. მელაშვილი. |
| ჰენრიეტა } ობლები | მ. ქართველიშვილისა. |
| ლუიზა } | ქ. საყვარელიძე. |
| ლაფლერი მარკიზის მსახური | ბ. მენთეშოვი. |
| პიკარი-მსახური დე-ვოდრესი | ბ. მირზოევი. |
| მარიანნა-მკერვალი ქალი | ქ. ფანჩულიშვილი. |
| მარტენ ბურჟუა | პ. მაისურაძე. |
| ექიმი | გრ. პეტროვი. |
| მარე, გრაფის მდივანი. | ა. მაისურაძე. |
| ჟანდარმი | N. N. |
| სერჟანტი | ა. ჯანგველოვი. |

მოქმედება სწარმოებს პარიჟში „ლუდოვიკ XVI"-ის დროს.

**დასაწყისი 11½ საათზე**

ანტრაქტებში დაუკრავს ამხანაგობის ორკესტრი: გიტარა, .

**1906.**

დილის წარმოდგენა

# ავლაბრის თეატრში

კვირას 12 თებერვალს, 1906 წ.

## ქართულ სცენის მოყვარეთაგან

წარმოდგენილი იქნება

# ქოხში

სც. გლეხ. ცხოვ. 5 მოქ. და 6 სურ. [illegible]

[illegible].

| | |
|---|---|
| სარინო. | [illegible] |
| თამარი | [illegible] ჩერქეზიშვილისა |
| ნატო . | [illegible] |
| დომენტი | [illegible] |
| | [illegible] |
| ლუკა . | [illegible] |
| თალხანი | [illegible] |
| ექიმი . | [illegible] |
| მამასახლისი | [illegible] |
| | [illegible] |
| სტრაჟნიკი . | |

დასაწყისი $11\frac{1}{2}$ საათზედ.

**ბილეთების ფასი 10 კ. 50 მან.**

**ავლაბრის თეატრი. დიდის წარმოდგენა №**

კვირას 12 მარტს 1906 წელს.

**1906.**

მსახიობ დ. **ჩარკვიანის** მონაწილეობით ქართული სცენის მოყვარეთაგან — წარმოდგენილი იქნება

# „ექიმი შტოკმანი“

დრამა 5 მოქ. იბსენისა, გად. პოლუმორდვინოვისა.

(ანუ ხალხის მტერი.)

**პროგრამა**

**მოქმედნი პირნი.**

| | |
|---|---|
| ექიმი შტოკმანი—აბანოების ექიმი | დ. ჩარკვიანი. |
| ქატრინა—შტოკმანის ცოლი | ქ. ქართველიშვილი. |
| პეტრე — მათი შვილები | ქ. სუქარელიძე. |
| ეილიფი — მათი შვილები | ბ. მელაშვილი |
| მორტენი — მათი შვილები | ქ. ბარბარელი. |
| პეტრე შტოკმანი—ქალაქის თავი, ექიმის ძმა. | ბ. რაგაზოვი. |
| მორტენ შილი—ექიმის სიმამრი | ბ. მაისურაძე. |
| ჰოვსტადი სახალხო მოამბის რედაქტორი | ბ. მაისურაძე. |
| ბილინგი—ამ გაზეთის თანამშრომელი | ბ. პეპინოვი |
| გორსტერი—გემის უფროსი | ს. პეპინოვი |
| ასლაქსენი სტამბის პატრონი | ბ. მირგელოვი |

მოქალაქენი ყრილობაზე და სხვანი.

მოქმედება სწარმოებს ნორვეგიის სამხრეთ ქალაქში.

**დასაწყისი** 11 1/2 საათ. დილის

ბილეთების ფასი 10 კაპ.-40 კაპ. თითო ლოჟა 2-მან.

ანტრაქტებში დაუკრავს ამხანაგობის შემდგარი ორკესტრი, გიტარა, მანდოლინი და სკრიპკა.

[illegible] რეჟისორი — **დ. ჩარკვიანი.**

# ავლაბრის თეატრი

([illegible])

სამშაბათს, 20-ს აპრილს 1906 წ.

ქართველ [illegible] ამხანაგობისაგან წარმოდგენილი იქნე-ბა [illegible] ცნობილი პიესა

# სამეფოს [illegible]
## ანუ [illegible]

დრამა 5 მოქ. თარგმანი [illegible]

მონაწილენი:

| | |
|---|---|
| [illegible] | ა. [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | ვ. [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |

[illegible]

[illegible] ინგლისის წარსულიდან, 1746—1745 წელს.

დასაწყისი [illegible]

1906

# ავლაბრის თეატრი

კვირას, 20 აგვისტოს

[illegible]

წარმოდგენილი იქნება

# ოტელო

ტრაგედია — შექსპირისა თარ. ი. მაჩაბლისა.

მოქმედნი პირნი:

| | |
|---|---|
| [illegible] | ბ. [illegible] |
| ბრაბანციო, სენატორი | ბ. [illegible] |
| გრაციანო, ბრაბანციოს ძმა | [illegible]შვილი |
| ლოდოვიკო, ბრაბანციოს ნათესავი | ბ. [illegible] |
| ოტელო, [illegible] მავრი | ბ. [illegible] |
| კასიო, [illegible] | ბ. [illegible] |
| იაგო, მავრის ადიუტანტი | [illegible] |
| როდერიგო, [illegible] აზნაური | ბ. [illegible]შვილი |
| მონტანო, კვიპროსის გამგებელი | ბ. [illegible] |
| დეზდემონა, ბრაბანციოს ასული, ოტე-ლოს ცოლი | [illegible]შვილისა |
| ემილია, იაგოს ცოლი | [illegible] |

[illegible], [illegible], [illegible], [illegible] და [illegible].

[illegible]

# 19 06

# ავლაბრის თეატრი

**შაბათს, 9 სექტემბერს**

ქართულ დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა მიერ

**წარმ: დგენილი იქნება**

## I

# ორი ზმირი

დრამა 3 მოქ. ვ. გუნიასი

**მოქმედნი პირნი**

| | |
|---|---|
| მამია, მთავარი გურიისა | ბ. ზველიძე |
| ლევან, მთავარ-სარდალი | ბ. გიორგიძე |
| ტარიელ, ამისი შვილი | ბ. მატარაძე |
| დედუხან, ლევანის მეორე ცოლი | ქ. დავითაშვილი |
| დესპინე, ტარიელის დობილი | ქ. მარგველაშვილი |
| ბალათარ, ხონთქრის ჯაშუში | ბ. შველიძე |
| მწყემსი, ახალგაზდა | ბ. ხალაყაია |
| დარაჯი, ახალგაზდა მხედარი | ბ. მელაშვილი |

და სხვანი.

## II

# უბედური დებიუტი

ვოდ. 1 მოქ. თარ. ნ. ახოსპირელისა.

**მოქმედნი პირნი:**

| | |
|---|---|
| ფედორ ისაკოვლევიჩ | ბ. გიორგაძე |
| ლიდია, [illegible] ამისი ქალი | ქ. მარგველაშვილი |
| ვოლოდია, [illegible] | ბ. მატარაძე |

**[illegible] საათზე**

19 06

# ავლაბრის თეატრი

ხუთშაბათს, 21-ს დეკემბერს

სცენის მოყვარე ი. მარკოზოვი

არტისტ დ. ჩარკვიანის და სცენის მოყვარეთა დახმარებით

წარმოადგენენ ქართულ ენაზე

# ყომარბაზის ცხოვრება

დრამა 5 მოქმ. თარგმ. ა. [illegible].

## მოქმედნი პირნი:

ჟერომ დ' ჟერმანი . . . . . . . . . . . [illegible]
ჟორჟ, მისი შვილი . . . . . . . . . . ი. მარკოზოვი.
ამალია, ჟორჟის დანიშნული . . . . . [illegible]
ალბერტ, ჟორჟის შვილი . . . . . . . დ. ჩარკვიანი.
ჟორჟეტა, ჟორჟის ქალი . . . . . . [illegible]
დერმონ, ამალიის ბიძა . . . . . . . . . [illegible]
რუდოლფი . . . . . . . . . . . . . . . . . [illegible]
ვარნერ, ჟორჟის მეგობარი . . . . . . . [illegible]
ლუიზა, ამალიის მოახლე . . . . . . . . [illegible]
ვალენტინ, ჟორჟის მსახური . . . . . [illegible]
პოლიციელი . . . . . . . . . . . . . . . . [illegible]
ბერმონ, ლუდვიგის პატრონი . . . . . [illegible]
ჟერმენა, მისი ცოლი . . . . . . . . . . [illegible]
პირველი მეზღვაური . . . . . . . . . . [illegible]
მეორე მეზღვაური . . . . . . . . . . . . [illegible]

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

[illegible] განცხადება. № [illegible]

## [illegible] თეატრი „[illegible]"

დირექცია [illegible]

შაბათს, 2 იანვარს 1910 წ.

ბათუმის ქართულ დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა ამხანაგობის მიერ

I.

## [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible] . . . [illegible]

[illegible] . . . [illegible]

[illegible] . . . [illegible]

[illegible] . . . [illegible]

[illegible] . . . [illegible]

მეშენი და გლეხები და სხვა:

II.

## დედის ერთა

კომედია 1 მოქ. [illegible]

მოქმედნი პირნი

[illegible] . . . [illegible]

[illegible] . . . [illegible]

[illegible] . . . [illegible]

[illegible] . . . [illegible]

[illegible] . . . [illegible]

[illegible] . . . [illegible]

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სახალხო წარმოდგენა № 1.

# [illegible]

დირექცია [illegible]

შაბათს 1-ლ. მაისს [illegible] წ.

[illegible] [illegible]

არტისტების ვ. [illegible] ა. [illegible]

მონაწილეობით

წარმოდგენილ იქნება

# [illegible]

დრ. 5 მოქმედებათ. [illegible]

მოქმედნი პირნი:

| | |
|---|---|
| დავით ბალღანიძე | ვასო აბაშიძე. |
| ნატალია ამისი ცოლი | ო. აფხაზიშვილისა. |
| ქეთო ამათი ქალი | ქ. ჯაბადურისა. |
| მიშა ამათი ვაჟი | ს. სულთანოვი. |
| ზაქარია მოქნილაძე ქარხნის დირექტორი | ც. ფიროუმიანი. |
| ნიკო ბერდიაშვილი ქარხნის მუშა | გ. ჯაბაური. |
| ელისაბედ ნიკოს დედა | დ. რჩეულოვისა. |
| ვანო ნიკოს ძმა (მუშა) | [illegible]. მელაშვილი. |
| მსახური იმერელი | ა. აბაშიძე. |
| ჟანდარმის ოფიცერი | ლ. მიწაბოგარელი. |
| პროხორ პუხოვი (მუშები) | ბ. მაისურაძე. |
| სიმონ ჯოხაძე (მუშები) | პ. შრომიშვილი. |
| ილია შანთიძე (მუშები) | პ. ჯანელოვი. |
| გიორგი კანკიაშვილი (მუშები) | ნ. მირელოვი. |
| სიკო უჭუნავი (მუშები) | ა. კორძაია. |
| სამსონ მებადურიძე (მუშები) | ს. გოჩიტაშვილი. |
| არჩილ უჭმელიძე (მუშები) | ბ. შამულაშვილი. |

მუშები, ჟანდარმები, პოლიციის გოროდოვოები და სხვა.

დასაწყისი საღ. $8^{1}/_{2}$ საათზე.

ავლაბრის თეატრი „ახალი დრამა“

(დირექცია ამო-ხარაზიანის)

---

შაბათს 5 ივნისს 1910 წ.

ავლაბრის ქართულ დრამატიული ხელოვნების მოყვარეთა ამხანაგობის მიერ. ვ. მატარაძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I.

# ისმინე ისრაელ

დრამა 4 მოქმ. თარგ. ბ. შალიბაშვილისა.

მომქმედნი პირნი:

| | |
|---|---|
| აარონ ფიშერი | ვ. მატარაძე. |
| ანნა ამისი ქალი | მ. ლელაშვილისა. |
| სარა არონის ცოლი | დ. რჩეულოვისა. |
| ენმანი იაკობი | ლ. მეტრეველი. |
| რაბინი ელიაშევი | რ. სალაყაია. |
| რებ-სიმხე | ნ. [illegible] |
| 2-რე ებრაელი | ბ. პაისურაძე. |
| სოლკინი სამხედრო ექიმი | ა. [illegible] |
| [illegible] | მ. [illegible] |

II.

# საღამოს ერთი ცხელი ხეირია

ვოდევ. 1 მოქ. სუნდუკიანცისა.

მომქმედნი პირნი:

| | |
|---|---|
| [illegible] | გ. [illegible] |
| [illegible] | დ. რჩეულოვისა. |
| [illegible] ქალი | მ. ლელაშვილისა |
| [illegible] | ნ. [illegible] |
| [illegible] | დ. [illegible] |

დასაწყისი დილის 12½ საათზე.

# ავლაბრის თეატრი

დირექცია ამო ხარაზიანისა.

**შაბათს 12 მარტს, 1911 წელს.**

ქართულ დრამატიულ სცენის მოყვარეთა მიერ,

წარმოდგენილი იქნება:

# „ქრისტინე“

დრამა 4 მოქ. 6 სურათად. იროდიონისა.

მომქმედნი პირნი:

| | |
|---|---|
| დათია ხელმოკლიძე | გ. სვანიძე |
| მარიკა იმისი ცოლი . | დ. ჩრდილოვი |
| ქრისტინე იმათი ქალი . . . . . . | ა. კავთელი |
| გოგი უკანონო შვილი ქრისტინესი . | ვ. მხენკელი |
| მიხა მარიკას მეზობელი . | ს. გოგაშვილი |
| იასონ უჯმაძე აზნაური . . | კ. მელაძე |
| მარინე, ქრისტინეს მეგობარი | მ. ლელაშვილი |
| სონია . | ს. გოგაშვილი |
| ნატალია . . . . . . . | დ. რჩეულოვი |
| ლევან ძველისენიძე, თავადი . | ი. რევაზოვი |
| ეფემია . } ქუჩის გოგოები . | მ. ლელაშვილი |
| სიმა . | ტ. ტამარინა |
| მიტუშა . } ქეიფის მოყვარე ხალხი . | დ. მელაშვილი |
| მელქო | ს. მაისურაძე |
| ლოპოჯა . . . . . . . | ს. ლოლაძე |
| გერმანე პიანინოს დამკვრელი | ნ. მირველოვი |
| მიკიტანი . . | ნ. მირველოვი |
| პირველი მოქეიფე . | ს. ლოლაძე , |
| მეორე მოქეიფე . | დ. ქანანოვი |

მესამე და მეოთხე მოქმედების შუა გადის 15 წელიწადი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

[illegible]

[illegible]

[illegible]

„[illegible]"

[illegible]

I

Գ. ՍՈՒՆԴՈՒԿՅԱՆՑ

# ՔԱՆԴԱԾ ՕՋԱԽ

կատակերգություն [illegible]

ԳՈՐԾՈՂ ԱՆՁԻՆՔ

| | |
|---|---|
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |

II

ՎՐԱՑԵՐԷՆ ԼԵԶՈՒՈՎ

[illegible]

# [illegible]

[illegible]

[illegible]

# [illegible]

[illegible]

## ალჰამბრის თეატრი

შაბათს 15 ივნისს 1918 წ.

ქართულ-რუსულ სცენის მოყვარეთა მიერ. წარმ. იქნება

რუსულ ენაზე:

# Деньщикъ подвелъ

Вод. въ 1 соч. Турбина

| | |
|---|---|
| Поповъ офицеръ. | П. Бастіановъ |
| Вѣра жена офицера. | П. Тапавлиди |
| Хвостиковъ. | А. Фуляди |
| Деньщикъ. | Г. Майсурадзе |

# ტიმოთეს ლეღვი

ვოდევ. 1 მოქ. ი. გრიშაშვილისა

| | |
|---|---|
| სვიმონ არტიანი | ა. მახარაძე |
| ტიმოთე, მასწავლი ვლენი | ი. გრიშაშვილი |

# საღამოს ერთი ცხვარი ხეირია

ვოდევ. 1 მოქ. სუნდუკიანცისა

**მოქმედნი პირნი**

| | |
|---|---|
| ისაკ ბეჟანოვიჩ | ნ. მარჯანელოვი |
| მარიამ, მისი ცოლი. | ს. გოგიაშვილი |
| ნინო, მათი ქალი | ნ. სოკერელიძე |
| [illegible], [illegible] | დ. შელიაშვილი |

## დასასრულის ცეკვა

[illegible] (მარაზუნ) [illegible] [illegible] [illegible]

ПРОЛЕТКУЛЬТЪ

# მუშათა კლუბი

ხუთშაბათს,

პროლეტკულტის ქართულ სექციის მიერ

წარმოდგენილი იქნება.

თანამედროვე დრამა

# სიმდიდრის მსხვერპლი

3 მოქ. ალ. ბაქიაშვილისა.

მოქმედნი პირნი

| | |
|---|---|
| გიორგი თურმანიძე | დ. ჩარკვიანი |
| თამრო . . | მ. მარგველაშვ. |
| დათიკო ამისი ძმა . | დ. მელაშვილი |
| ქეთევან დედა ამათი | დ. რჩეულოვი |
| ელენე ცოლი გიორგისა | ვ. დავითაშვილი |
| ალექსანდრე მასწავლებელი დათიკოსი | კაჩხოევი |
| ზაქარ ზახარიჩი, შორეული ნათესავი გიორგისა . . . | რ. სალაყაია |
| მსახური . . | ვ. ნორაკიძე |

დასაწყისი 8½ საათზე

რეჟისორი დ. ჩარკვიანი

მორიგე გამგენი ლ. მორჩილაძე და მ. ბუხრაძე

ადმინის: გოჩიტაშვილი

ქართულ-სომხურ დამსახურებულ [illegible]
სცენის მოყვარეთა მონაწილეობ[illegible]

წარმოდგენილი იქნება

I. ქართულად

# ციმბირელი

[illegible]

მოქმედნი პირნი:

[illegible]

# [illegible]

[illegible]

[illegible]

# [illegible]
(რაც გინახავს, ვეღარ ნახავ)

[illegible]

[illegible]

IV. ზეიმი ◘ ՀԱՆԴԵՍ ◘ ЧЕСТВОВАНИЕ.

დასაწყისი საღ. 9 საათზე.

[illegible]

# ნავთლუღის მუშათა თეატრი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში დედაქალაქის უძველეს უბან „ნავთლუღში“, რკინიგზელთა კლუბში პირველად თვითმოქმედების დაუცხრომელმა ენთუზიასტმა, ამჟამად ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ სოსო მებურიშვილმა სცადა სცენისმოყვარეთა ქართული წრის ჩამოყალიბება.

ამ ლამაზი შენობის ადგილზე, ნახევარი საუკუნის წინათ მხოლოდ ტრიალი მინდორი იყო. ხელოვნების დიდმა სიყვარულმა, ქართული სცენის ტრფიალმა თითოეულ მათგანს აგური აალებინა ხელში და ეს პატარა თბილი კერა გააჩაღებინა. რა თქმა უნდა, დღევანდელი სახალხო თეატრის კლუბი არაფრით მოგაგონებდათ იმ პატარა სცენას, სადაც ხალხური შემოქმედების მუშაკებს პირველი დაბრკოლების გადალახვა უხდებოდათ. მაგრამ ხომ გაგიგონიათ, სიყვარული ყველაფერს სძლევსო, მათაც ასეთმა დიდმა სიყვარულმა ყოველივე შეაძლებინა. კლუბის კულისები დღემდე ინახავს ჩვენი სახალხო თეატრის მსახიობთა სახეებს.

ვინ იცის, ამ 50 წლის მანძილზე რამდენი მსახიობი აღუზრდია ნავთლუღის კლუბს, რომელთაც შემდეგ ამ პატარა ბილიკით გაუკვლევიათ გზა თეატრისაკენ. ამ კოლექტივში აღზრდილი ბევრი სცენისმოყვარე დღეს პროფესიონალ მსახიობად ითვლება, ალბად, ყველამ არც კი იცის, რომ ჩვენმა ცნობილმა, საყვარელმა მსახიობმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ე. მანჯგალაძემ სცენური ნათლობა ამ კლუბში გ. ასიტაშვილის რეჟისორობით მიიღო. აქვე მიიღო სასცენო ნათლობა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა გ. ნავროზაშვილმა, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობებმა: ლ. ცხვარიაშვილმა,

ჯ. გაგნიძემ, ი. ვეფხვაძემ, გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრის მსახიობმა ე. არაქელოვმა და სხვებმა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თეატრალურ კოლექტივს 1921 წლიდან სათავეში ჩაუდგა რეჟისორი სოსო მებურიშვილი.

ს. მებურიშვილი 40 წელია მოღვაწეობს კახეთის თეატრებში, ხოლო მთლიანად 50 წელი ემსახურა რუსეთისა და საქართველოს თეატრალურ ხელოვნებას. და მიუხედავად იმისა, რომ მან 85 წელს გადააბიჯა, კვლავ ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს ქართული ეროვნული კულტურის აყვავებისათვის ზრუნვას.

1913 წელს ს. მებურიშვილმა ერთდროულად დაამთავრა უნივერსიტეტი და სათეატრო სასწავლებელი და ხარკოვის რუსულ თეატრში მოეწყო რეჟისორის თანაშემწედ, ხოლო მალე დამდგმელ რეჟისორად.

1914 წელს თეატრის მთავარ რეჟისორთან ნიკოლოზ ფედოტოვთან ერთად მებურიშვილმა დადგა ლ. ანდრეევის პიესა, „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“. შემდეგ კი გადავიდა პოლტავის თეატრში და იქ დამოუკიდებლად დადგა ალ. ოსტროვსკის „ტყე“.

1917 წელს ს. მებურიშვილი საქართველოში დაბრუნდა, მაგრამ ამ დროს ქართულ თეატრს ჯერ კიდევ არ გააჩნდა თავისი საკუთარი ბინა. არტისტული საზოგადოების მოიჯარადე ტუგანოვი შენობას (ახლანდელი რუსთაველის თეატრი) უთმობდა მხოლოდ რუსულ და სომხურ დასებს. ერთად-ერთი თეატრი, საიდანაც ქართული სიტყვა ისმოდა, იმჟამად ძმები ზუბალაშვილების სახალხო სახლი იყო და მებურიშვილმაც აქ დაიწყო მოღვაწეობა. აქ მუშაობდა თითქმის ყველა გამოჩენილი მსახიობი, რეჟისორი და დრამატურგი. პირველად თანარეჟისორად ს. მებურიშვილი აუყვანია ნიკო გოცირიძეს, რომელსაც შილერის „ყაჩაღები“ დაუდგამს. შემდეგ, ვ. შალიკაშვილთან ერთად, უმუშავია ლეონიდ ანდრეევის პიესის დადგმაზე „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, ხოლო ამის შემდეგ დამოუკიდებლად განუხორციელებია ია ეკალაძის „№ 21 ჯვრით“, ნიკო შიუკაშვილის „მეგობრობა“ და „სიმახინჯე“, რითაც დიდი მოწონება დაუმსახურებია.

1921 წლიდან იგი მუშაობას იწყებს რეჟისორად ნავთლუღის კლუბთან არსებულ ქართულ დასში, სადაც სცენისმოყვარეებად ითვლებოდნენ რკინიგზის ახალგაზრდა მუშები.

რეჟისორ ს. მებურიშვილის ღვაწლი ნავთლუღის კლუბთან არსებულ თეატრალურ დასში დიდად დასაფასებელია. მისი მოღვაწეობის პერიოდში ბევრი კარგი დადგმები განხორციელდა. იდგმებოდა სოციალური უკუღმართობის ამ-

სახველი პიესები და საღამო კონცერტები, რაც დიდი მოწონებით სარგებლობდა ნავთლუღის მშრომელ მოსახლეობაში.

გავიდა ორი-სამი წელი და ს. მებურიშვილის დაწყებული საქმე იოსებ გეთიაშვილმა განაგრძო, რომელმაც გარკვეული დროის მანძილზე მრავალი საინტერესო დადგმა განახორციელა...

როგორც თეატრალური მუზეუმის № 21 საააფიშო ფონდში დაცული აფიშები გვამცნობს, ნავთლუღის კლუბში უფრო ადრეც იდგმებოდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენები.

1917 წლის 9 სექტემბერს ნავთლუღის მუშათა კლუბში ადელხანოვის მუშებისაგან ახლად შემდგარი ინტერნაციონალურ სცენისმოყვარეთა წრის მიერ, ნ. მირველოვის მონაწილეობითა და რეჟისორობით წარმოდგენილი იყო პ. ირეთელის ხუთმოქმედებიანი პიესა „დამარცხებულნი“. მონაწილეობას იღებდნენ დასის წამყვანი მსახიობები: დავით ბაღდანიძე — ნ. მირველოვი, ნატალია, მისი ცოლი — დ. რჩეულიშვილი, ზაქარია მოქნილაძე — ს. აუშტროვი, ნიკო ბერდიაშვილი — გ. ჯანჯულაზოვი, ელისაბედი, ნიკოს დედა — დ. რჩეულიშვილი, ვანო, ნიკოს ძმა — გ. მჭედლიშვილი, პროხორ პუზოვი — ბ. მაისურაძე, სიმონ ჯოხაძე, — თ. კიკოლაშვილი, მიხა მარლანია — დ. ზარიძე, ილია შანთიძე — ა. აუშტროვი, გიორგი კენჭიაშვილი — ს. აუშტროვი, სიკო უჭუნავა — ს. გარეკახელი, სამსონა მებადურიძე — გ. დალაქიშვილი, არჩილ უჭმელიძე — ს. გარეკახელი, მოსამსახურე, იმერელი — რ. სალაყაია, ჟანდარმის ოფიცერი — ვ. ქიზიყელი.

ამას მოჰყვა, იმავე წლის 28 სექტემბერს, ნ. მირველოვის რეჟისორობით იმავე ადელხანოვის მუშებისაგან შემდგარი ინტერნაციონალურ სცენისმოყვარეთა წრის მიერ წარმოდგენილი ა. ყაზბეგის სამმოქმედებიანი დრამა „არსენა“. მონაწილეობდნენ: გარსევან ამაყაძე — ვ. ქიზიყელი, სიდონია, მისი ცოლი — დ. რჩეულიშვილი, იორამ, მებატონე — ბ. მაისურაძე, ნინო, გარსევანის მოახლე — ა. ხატიშვილი, არსენა — გ. ჯანჯულაზოვი, თედო, არსენას ამხანაგი — ს. გარეკახელი, პეტრე, არსენას ნათლიმამა — გ. მჭედლიშვილი, სირაჯი — ნ. მირველოვი, ზაქარია, გარსევანის მოურავი — ი. კუნელოვი, სირაჯის ბიჭი — მ. დალაქიშვილი, 1-ლი მუშა — ა. აუშტროვი, 2-რე მუშა — მ. დალაქიშვილი, მე-3 მუშა — ა. თედიაშვილი.

გავიდა წლები და, 1920 წლის დასასრულს ნავთლუღის მცხოვრებთ აუწყებდა აფიშა: გვარდიელთა შტაბის კლუბში (ნავთლუღი) რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ვ. მატარაძის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება ი. გიგოშვილის პიესა „არსენა ჯორჯიაშვილი“. მონაწილეობას იღებენ: ზაქრო ჯორჯიაშვილი — მ. სარაული, მარიამი, მისი მეუღლე — ელ. ჩერქეზიშვილი,

არსენა ჯორჯიაშვილი — ვ. მატარაძე, ნინო — გ. იველიელი, პუშკინა — მ. ჯანველოვი, ლევანი — ბ. ლითანიშვილი, ჟანდარმთა პოლკოვნიკი — დ. მჟავია.

საერთოდ, პიესა „არსენა ჯორჯიაშვილი“ დიდი წარმატებით მიდიოდა, როგორც ძმებ ზუბალაშვილების სახლში, სხვა თეატრებსა და ქალაქის გარეუბნის კლუბებში. „არასოდეს დამავიწყდება ერთი შემთხვევა — გვიამბობს პიესის ავტორი ი. გიგოშვილი — „როცა ნავთლუღის კლუბში (რომელიც მაშინ გვარდიელებს ეკავათ) „არსენა ჯორჯიაშვილის“ დადგმა გადავწყვიტეთ, იმთავითვე ვგრძნობდი, რომ ასეთ ადგილას ასეთი დრამის დადგმა რაღაც უსიამოვნებას შეგვამთხვევდა, მაგრამ უკან აღარ დავიხიეთ. სპექტაკლზე დამსწრე მაყურებლები ძირითადად გვარდიელები და მათი ოჯახის წევრები იყვნენ. პიესის დასასრულს, როცა მეხუთე მოქმედებაში არსენა ჯორჯიაშვილის საფლავზე წითელი დროშები აღმართეს და ორატორმა ლაპარაკი დაიწყო, გვარდიელებს ეს არ მოეწონათ, რადგან ეს რევოლუციისაკენ მოწოდების გზად მიიჩნიეს, ხოლო არსენას საფლავზე დახრილი დროშები კი მენშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტად. ამიტომ წარმოდგენა შეაჩერეს, დროშები წაართვეს და დაჟინებით მოითხოვეს პიესის ავტორი. მათ წინაშე რეჟისორი ვ. მატარაძე წარსდგა, რომელსაც გვარდიელებმა თოფის კონდახი უთავაზეს. მე საჩქაროდ ამხანაგებმა გამაპარეს. მსახიობები აქეთ-იქით გაიფანტნენ და ბოლოს ავლაბრის მოედანზე შევიკრიბეთ. არასოდეს დამავიწყდება ელისაბედ ჩერქეზიშვილის სიტყვები. ელისაბედი ფეხშიშველა გარბოდა და თან მეუბნებოდა: ვანო შე სიყრმემკვდარო, ეგ სად წამომიყვანეო“.

ამრიგად, გვარდიის შტაბის კლუბში მომხდარი ინციდენტის შემდეგ პიესა „არსენა ჯორჯიაშვილის“ დადგმა სრულიად აუკრძალეს, მაგრამ ისინი მაინც თავისას არ იშლიდნენ და ურეკლამოდ, აფიშის გარეშე, ფარულად განაგრძობდნენ პიესის დადგმას. ასეთივე წარმოდგენა გამართეს მუშებისათვის ტრამვაელთა კლუბში, სადაც დიდძალი ხალხი დაესწრო, სპექტაკლის შემდეგ მუშები ადიოდნენ სცენაზე და კმაყოფილების ნიშნად ხელს ართმევდნენ ავტორს და მადლობას უხდიდნენ.

მალე პიესა „არსენა ჯორჯიაშვილი“ თბილისის ფარგლებსაც გასცა და შევიდა იმ დასის საგასტროლო რეპერტუარში, რომელიც 1920 წელს დ. ჩარკვიანის რეჟისორობით ჩამოყალიბდა. როლები ამჯერად ასე განაწილდა: არსენა ჯორჯიაშვილს ასრულებდა დ. ჩარკვიანი, არსენას დედას — ე. ჩერქეზიშვილი, პუშკინას — მ. ჯანველოვი, ზაქრო ჯორჯიაშვილს — მ. სარაული, ლევანს — კორიშელი.

საგასტროლოდ გამგზავრებამდე ამ დასმა პირველი წარმოდგენა არტის-

ტული საზოგადოების თეატრში წარმოადგინა. ეს დიდი მიღწევა იყო, როგორც სპექტაკლისათვის, ასევე მისი ავტორისათვის. ასევე გაემგზავრა საგასტროლოდ დასი კახეთში სხვა შემადგენლობით და წარმოდგენები გამართა თელავში, გურჯაანში, სიღნაღში, ვაქირში და სხვა მრავალ სოფლებში.

„დასასრულს, „არსენა ჯორჯიაშვილის" დადგმასთან დაკავშირებით ერთი ეპიზოდი მინდა მოგითხროთ — გვიამბობა ი. გიგოშვილი, — ეს უკვე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოხდა. კვლავ დავდგით „არსენა ჯორჯიაშვილი" ძმ. ზუბალაშვილების სახლში. პიესას ისევ მატარაძე რეჟისორობდა. სპექტაკლზე მოვიყვანეთ არსენას მამა პავლე ჯორჯიაშვილი მეუღლითურთ და არსენას და ვარა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რას განიცდიდნენ ისინი, რომლებმაც დაღუპული შვილი და ძმა იხილეს სცენაზე. ცრემლებად იღვრებოდნენ... ვ. მატარაძეს, რომელიც არსენას როლს ასრულებდა. პავლე გადაეხვია და უთხრა: ჩემი არსენა ხარ, შვილო, შენ გენაცვალოს ჩემი თავიო... მთელი შემოსავალი გადავეცით ჯორჯიაშვილების ოჯახს.

1928 წელს ჩემი თაოსნობით გაერთიანებულ ჯგუფკომთან ჩამოვაყალიბე დრამატული წრე, რომელშიც ძირითადად გაერთიანებული იყვნენ სცენისმოყვარე მუშა-მოსამსახურეები. ჩვენი „რეზიდენცია" იყო ახლანდელი ლესელიძის ქუჩაზე (№ 30 ყოფ. კერძო მაღაზიის დარაბები). რამოდენიმე თვეში სახელდახელოდ მოვამზადე ორი სპექტაკლი — „არსენა ჯორჯიაშვილი" და „ძუნწი" და განათლების კომისარიატის დავალებით იმავე წლის 7 მარტს გავემგზავრეთ საშეფო სოფელ საკრამულაში სპექტაკლების ჩასატარებლად. აფიშა წინასწარ იყო გამოკრული, რომელიც იუწყებოდა: 8 მარტს ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად წარმოდგენილი იქნებაო „არსენ ჯორჯიაშვილი". თუ რა უსიამოვნებანი გვხვდებოდა ჩვენს მუშაობაში, ვიდრე ხალხის შეგნებაში მტკიცედ მოიკიდებდა ფეხს თეატრისადმი სიყვარული, საკრამულაში მოგზაურობიდან ასეთ შემთხვევას მოვიყვან. შევედით თუ არა სოფელში. გლეხებმა ალმაცერად შემოგვხედეს და ზურგს უკან წყევლა-კრულვას გვიგზავნიდნენ. ერთ-ერთმა გლეხმა კი, პირდაპირ გაგვაგონა: „მოვიდნენ ჯამბაზები, ჩვენი წმინდა საკურთხევლის შემლახველებიო". გლეხობის ასეთმა ათვალისწინებულმა დამოკიდებულებამ ჩვენ ძალიან გაგვაკვირვა, მაგრამ სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ, რომელიც ჩვენ შესახვედრად გამოსულიყო, დაგვამშვიდა და გაგვაფრთხილა „ყურადღებას ნუ მიაქცევთო". პირველ რიგში საჭირო იყო ზრუნვა თუ სად უნდა ჩაგვეტარებინა სპექტაკლი. სოფ. საბჭოს თავმჯდომარემ ეკლესიის შენობა შემოგვთავაზა. მე მაშინვე მივხვდი მოხუცი გლეხის წყენის მიზეზს და მტკიცე უარი განვაცხადე ეკლესიაში წარმოდგენის გამართვაზე. რა ფასი ექნებოდა მორწმუნეთა თვალში ჩვენს სპექტაკლს, თუ

ეკლესიაში ჩავატარებდით, და ვთხოვე ადგილობრივ ამხანაგებს ეკლესიის მაგივრად სკოლის შენობა მოემზადებიათ. ჩემი რჩევა მათაც ჭკუაში დაუჯდათ და ჩვენს საღამოს, იმდენი ხალხი დაესწრო, რომ ფეხზე დასადგომი ადგილიც კი აღარ იყო. სპექტაკლი გლეხობამ გულთბილად მიიღო, არსენას გამოჩენას ოვაციებით ხვდებოდა და დაძაბული გულისყურით ადევნებდა თვალს მისი ცხოვრების ამსახველ ეპიზოდებს. ასეთი ფაქტით ვხელმძღვანელობდით სპექტაკლების ჩატარების დროს და უნდა ვთქვა, რომ ყოველთვის გამარჯვებული გამოვდიოდით: ჩვენს სპექტაკლებს ხალხი მასიურად ესწრებოდა და სათანადო საპასუხო რეაქციასაც იწვევდა მაყურებელში ჩვენი თამაში".

□□

ი. გეთიაშვილის რეჟისორობით დაიდგა ნ. ნაკაშიძის ცნობილი დრამა „ვინ არის დამნაშავე?".

პიესის მოქმედი პირები გურულები არიან. ისინი, ელემენტარულ საარსებო პირობებს მოკლებულნი, მევახშის ვალში ჩავარდნილნი გამოსავალს ეძებენ, ხოლო გლეხი სიკო, რომელიც პიესის მთავარი გმირია, დედის, — სალიხეს და აზნაურ გერგილაძის ზეგავლენით, ეწერება გურული მოჯირითეების ამხანაგობაში და ორი წლით ამერიკაში მიემგზავრება.

სიკოს მეუღლესთან — ფატისთან დაახლოების სურვილით შეპყრობილი არსენა გაუშინაურდება მათ ოჯახს... სიკოს დედა სალიხე, რომლის შვილობილიც არსენაა, სულ უფრო იახლოებს ამ უკანასკნელს და, ბოლოს, ფატიც ვერ აცდება ცდუნებას — იგი ოჯახის მოღალატე ხდება, მიენდობა არსენას და მის ოჯახში გადადის საცხოვრებლად.

არსენაში მალე ცხრება პირველი გრძნობები; იგი ზურგს შეაქცევს ფატის, წინადადებას აძლევს შვიდი თვის მუცელი მოიშალოს და ისევ სიკოს სახლს დაუბრუნდეს. ამ წინადადებას ფატი კატეგორიულად უარყოფს. მას არ სურს ერთი დანაშაული მეორეთი დაამძიმოს. საქმეში ერევა სალიხე. იგი არსენას მხარეზეა.

ორი წელი გავიდა სიკოს წასვლიდან. მას შემდეგ, რაც იგი მშობლიურ სოფელს მოსცილდა, ბევრი რამ შეიცვალა. სიკოს გამოგზავნილი ფულით სალიხემ ოდა ააგო, ეზოს შქერის ღობე შემოარტყა, ძველი ჯარგვალა, რომელშიც ბაბუა ცხოვრობდა, დაანგრია. ორი წლის შემდეგ ბაბუა გარდაიცვალა, ფატიმ ქმარს უღალატა. გარდაიცვალა სიკოსა და ფატის ვაჟიც. ოჯახში დაბ-

რუნებულ სიკოს ყველაფერი შეცვლილი დახვდა. პიესა ტრაგიკულად მთავრდება. სიკომ ამერიკაში ყოფნის დროს სიმდიდრე შეიძინა, სამაგიეროდ დაკარგა ოჯახური ბედნიერება, დაეღუპა ცოლი და შვილი.

ნავთლუღის მუშათა თეატრალურმა კოლექტივმა დიდი მონდომებით იმუშავა ნ. ნაკაშიძის ამ პიესის განხორციელებაზე.

პიესაში ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო სახეა სალიხე, რომელსაც შესანიშნავად ანსახიერებდა მ. სოზაშვილი. დანარჩენ შემსრულებლებიდან გამოირჩეოდნენ: ა. მირზოევი — სიკო, ვ. კალანდაძე — სიმონა, ფატი — ა. გურასაშვილი და სხვ.

ი. გეთიაშვილის რეჟისორობის პერიოდში თეატრალურმა დასმა მაყურებელს უჩვენა ი. გედევანიშვილის პიესა „მსხვერპლი“, ავქს. ცაგარლის—„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, შილერის—„ყაჩაღები“, პ. ირეთელის — „ქრისტინე“, კ. კალაძის — „ხატიჯე“, მარსისა და კულიჩენკოს — „აყვავებული ბაღი“ (გადმოქართულებული გ. ჯავაშვილის მიერ).

პიესა „აყვავებული ბაღი“ მსუბუქი ჟანრის დრამატული ნაწარმოებია. პიესის ავტორებს განზრახული ჰქონდათ პიესაში ჭეშმარიტი საბჭოური სიყვარულის აპოლოგია მოეცათ. დამდგმელმა რეჟისორმა ი. გეთიაშვილმაც პიესა გაამდიდრა დეტალებით და უფრო სერიოზული ჟღერადობა მისცა მას. პიესის მთავარი ფიგურა თედო იაშვილი — „აყვავებული ბაღის“ დირექტორი, მიჩურინის მიმდევარი მეცნიერი მუშაკია. იგი პატიოსანი და ნაყოფიერი შრომით ყველასათვის სამაგალითოა.

ნაწარმოებში დამაჯერებლად არის მოცემული სოციალისტური სამშობლოს მოყვარულ ადამიანთა სახეები. კომედია „აყვავებული ბაღი“ კარგად იყო დადგმული, რეჟისორმა ი. გეთიაშვილმა ყველა მიზანსცენა სრულყოფილად დაამუშავა; ამიტომაც იყო, რომ მან მაყურებლის სამართლიანი მოწონება დაიმსახურა. ნაყოფიერად იმუშავა სპექტაკლის მხატვრულ გაფორმებაზე რუსთაველის თეატრის მხატვარმა ი. მელიქსეტოვმა.

მეტად კოლორიტული გამოვიდა ბ. გიგაურის მიხა. ბაღის დარაჯის — მიხაუგრეხელიძის როლი მეტად რთულია, მაგრამ მსახიობი კარგად ასრულებდა მას, იჩენს ზომიერების გრძნობას. ახალგაზრდა ექიმის ვახტანგის როლს ასრულებდა ი. გოგოლაძე. მისი მიხრა-მოხრა, მეტყველება და მიმიკა დამაჯერებელი იყო. კარგად გამოხატავდა მამისადმი ღრმა პატივისცემას, მეუღლისადმი სიყვარულსა და მეგობრობას.

მიმზიდველი იყო ქეთინოს როლში ა. გურასაშვილი. ლ. ჯავახიშვილის მიერ განსახიერებულ მაშოს მოქმედებაში საქმისადმი თავდადება და პატიოსნება იგრძნობოდა. უდაოდ შთამბეჭდავი იყო ნ. ჩუხრუკიძე ბაბუცას როლში..

შას ხელს უწყობდა მკაფიო ხმა და აქტიორული გრაცია. სასიამოვნოდ ჟღერდა მუსიკა.

ცოტა ხნით დასს ხელმძღვანელობდა აგრეთვე ილია გოძიაშვილი, რომელმაც დადგა პიესა „ინდუსტრიის სადარაჯოზე". პიესაში სიმღერებს ასრულებდნენ დები თ. და ა. გურასაშვილები.

ისინი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდები იყვნენ, როცა თეატრის მტვერი იგემეს. ნავთლუღის რკინიგზელთა კლუბში პირველად ი. გედევანიშვილის პიესა „მსხვერპლში" პატარა ბიჭების როლით მიიღეს სასცენო ნათლობა და აღარც მოშორებიან სცენას. შორიდან ჯერ ტკბილი ურმული მოისმოდა და, ისე შემოდიოდნენ სცენაზე, და თან პატარა ურემს მოაგორებდნენ. ამ სცენის დროს მუდამ დიდი ოვაცია იმართებოდა. მქუხარე ტაში აბრუებდა დარბაზს, ხოლო შემდეგ კი, პატარა მსახიობების შესახებ იწერებოდა გაზეთებში.

ამას მოჰყვა ავქს. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". თ. გურასაშვილი ამ პიესაში ორ როლს ასრულებდა — პატარძლისა და ტასიკოს. სოფლის გოგოებთან მღეროდა და ცეკვავდა კიდეც.

პიესა „ობოლში" ორივე დები იღებდნენ მონაწილეობას. შილერის „ყაჩაღებში" კი თ. გურასაშვილი ამალიას საკმაოდ რთულ როლს ასრულებდა. მასთან ერთად ამ პიესაში მონაწილეობას იღებდნენ: ნ. ბახტაძე, ა. უშვერიძე, მ. სოზაშვილი, ქ. მჭედლიშვილი, ნ. ენუქიძე, ს. ყაზაროვი და სხვები.

სცენისმოყვარეთა წრის მიერ წარმოდგენილ პ. ირეთელის „ქრისტინეში", თ. გურასაშვილი ქრისტინეს მთავარ როლს ასრულებდა. მაყურებელს ძალზე მოსწონდა მის მიერ ხორცშესხმული ქრისტინე. პიესა „გულნარაში" გულნარას როლს ასრულებდა, ხოლო მასისა და კოლიჩენკოს პიესა „აყვავებულ ბაღში" — ქეთოს. რეჟისორ გ. ასიტაშვილის მიერ დადგმულ ა. წერეთლის „კინტოში" — კინტოს.

თეატრალური კოლექტივის განსაკუთრებული ნაყოფიერი მუშაობა იწყება 1938 წლიდან, როცა მის ხელმძღვანელად დაინიშნა რუსთაველის თეატრის მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გოგი ასიტაშვილი.

გ. ასიტაშვილის მოღვაწეობა ნავთლუღის კლუბთან არსებულ თეატრალურ კოლექტივში საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა. გ. ასიტაშვილის დაუღალავი შრომის შედეგად დრამატულმა კოლექტივმა საგრძნობლად გააუმჯობესა მუშაობა. ადგილობრივ სცენისმოყვარეთა რიცხვი 40—45 კაცს აღწევდა. დრამატული წრის ხელმძღვანელი გ. ასიტაშვილი მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელოვნების მაღალი ტექნიკის დაუფლებას, მუშაობის ახლებურად გარდაქმნას. გ. ასიტაშვილმა მისვლისთანავე დიდი ენთუზიაზმითა და საქმის ღრმა ცოდნით გაშალა შემოქმედებითი მუშაობა და, მიუხედავად მცირე ინ-

ტერვალებისა, 30 წლის მანძილზე უცვლელად და დიდი ენერგიით ემსახურა ამ ნიჭიერ კოლექტივს.

გ. ასიტაშვილის სადებიუტო სპექტაკლი იყო გარსია ლორკას პიესა, „უკანასკნელი ვაზნა". დადგმას დიდი წარმატება ხვდა წილად. სპექტაკლში ესპანელი ქალის როლს თამაშობდა ნატალია ვეფხვაძე-ჩუხრუკიძისა, რომელმაც სწორედ 1938 წელს მოკრძალებით შეაღო ამ თეატრალური კოლექტივის კარი. იგი გულთბილად მიიღო როგორც დასმა, ისე მისმა ხელმძღვანელმა გ. ასიტაშვილმა. რეჟისორი მაშინვე გაერკვა მის შემოქმედებითს შესაძლებლობაში და საპასუხისმგებლო როლი დააკისრა. ესპანელი ქალის როლი გარსია ლორკას პიესაში „უკანასკნელი ვაზნა" ნ. ჩუხრუკიძისათვის იყო სადებიუტო როლი, რომელიც ნავთლუღის სცენაზე განასახიერა, მაგრამ ეს არ იყო მსახიობის პირველი სასცენო ნათლობა, რომელიც მან ადრე ქ. ხაშურში თავის მშობლიურ ქალაქში მიიღო.

ნატალიას პატარაობიდანვე ძალიან იზიდავდა ხელოვნება. მის სურვილსაც აღარავინ აღუდგა წინ. მოწაფეობის პერიოდში იგი ჩააბეს ხაშურის რკინიგზის კლუბთან არსებულ მხატვრულ თვითმოქმედ წრეებში. ეს წრეები მისთვის მეორე სკოლა გახდა, სადაც იგი თითქმის ერთდროულად დაეუფლა სიმღერას, ცეკვასა და კლასიკური ბალეტის ხელოვნებას. ნატალია ერთნაირი ოსტატობით ფლობდა სიმღერასაც და ცეკვასაც, მაგრამ აი 1926 წელს მის წინ სულ სხვა სამყარო გადაიშალა. იგი სიდუს როლში ათამაშეს შ. დადიანის პიესა „გეგეჭკორში", რომელიც მ. კვალიაშვილმა დადგა.

ამ როლმა თითქოს საბოლოოდ განაპირობა ნატალიას, როგორც შემოქმედის ბედი და არჩევანი. ამ დღიდან იგი განაგრძობს მუშაობას მხოლოდ დრამაში.

პირველ როლს მალე მეორე მოჰყვა. ეს იყო მარინეს როლი ვალ. გუნიას პიესაში „და-ძმა". შემდეგ კი თელის როლი უ. ჰაჯიბეგოვის ოპერეტაში „არშინ მალ-ალან". ორივე როლი გულწრფელად და ცხოვრებისეული სიმართლით განასახიერა და მაყურებლის საერთო მოწონებაც დაიმსახურა. მაგრამ ნატალია არ დაკმაყოფილდა მიღწეულით. თეატრალურ კოლექტივში მოღვაწეობის პერიოდში იგი სისტემატურად გამოდიოდა დიდსა და პატარა პიესებში, საღამო კონცერტებში, რომელიც ხშირად იმართებოდა რეჟისორ მ. კვალიაშვილისა და ლოტბარ ს. იაშვილის ხელმძღვანელობით. ყველაფერ ამას ნ. ვეფხვაძე ჩინებულად უთავსებდა თავის შრომითს საქმიანობას, რაშიაც იგი ახალგაზრდობიდანვე ჩაება. ოც წელზე მეტი იმუშავა მან რკინიგზის კავშირგაბმულობის ინსტანციებში და აქაც ღირსეული ღვაწლი დასდო თავის ძირითად პროფესიას.

ცხოვრების ჩარხი კი შეუჩერებლივ ბრუნავდა. სწრაფად გაირბინა წლებმა, ბევრი რამ შეიცვალა იმ ხანებში ნ. ვეფხვაძის ცხოვრებაშიაც, 1928 წელს იგი დაოჯახდა, ცოლად გაჰყვა ინჟინერ გ. ჩუხრუკიძეს. 1935 წელს მეუღლე სამუშაოდ გადაჰყავთ გურჯაანში, ხოლო ორი წლის შემდეგ ნავთლუღში. ცხადია ნატალიაც მასთან ერთად გამოემგზავრა.

აი, ასეთი ბიოგრაფიით მოვიდა იგი ნავთლუღის სცენისმოყვარეთა წრეში. მოვიდა სრულიად უპრეტენზიო, უბრალო და თავმდაბალი. პირველად მან კლუბთან არსებულ, დიასახლისებისაგან შემდგარ, მომღერალთა გუნდში დაიწყო შემოქმედებითი მოღვაწეობა, ხოლო ერთი წლის შემდეგ, როცა თეატრალურ დასს სათავეში გ. ასიტაშვილი ჩაუდგა, იგი თავის სანუკვარ თეატრალურ ხელოვნებას დაუბრუნდა.

ნ. ვეფხვაძე-ჩუხრუკიძისამ ნაცადი და ნაწრთობი ხელმძღვანელის ხელში ბევრი რამ ისწავლა ახალი. მის როგორც მსახიობის ჩამოყალიბებასა და მომწიფებაში უდავოდ დიდი როლი ითამაშა რეჟისორმა გ. ასიტაშვილმა. იგი ნატალიას ნიჭსა და უნარს სწორ მიმართულებას აძლევდა. ერთგვარი წრთობის გავლის შემდეგ, მსახიობმა შეძლო ისეთი რთული როლების განსახიერება, როგორიც არის ფატმა ი. მოსაშვილის პიესა „ჩაძირულ ქვებში", ელენა დ. თაქთაქიშვილის „გამარჯვებულნში", ელისაბედი რ. ერისთავის პიესაში „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს". მკითხავი სტეფანსკის „ჯადოში" და სხვა.

მსახიობის ჩამოყალიბებასა და წინსვლის საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანეს აგრეთვე მათმა ვეტერანმა კოლეგებმა ძმებმა ა. და რ. ბერიაშვილებმა, ი. ქსოვრელმა, შ. ტაბატაძემ, ლ. ჯავახიშვილმა და შ. ბერიკაშვილმა. ისინი მტკიცედ ედგნენ მხარში ნ. ჩუხრუკიძეს და ხელს უწყობდნენ მის ფორმირებას.

მსახიობს თავისი მოღვაწეობის 30 წლის მანძილზე 100-მდე დიდი თუ პატარა როლი აქვს ნათამაშევი.

მისი შემოქმედებითი დიაპაზონი მრავალფეროვანია. მისთვის თითქმის ერთნაირია დრამა თუ კომედია. მის მიერ შესრულებულ როლებს ახასიათებდა ცხოვრებისეული სიმართლე. „მის დიქციაში — გვიამბობს მომხსენებელი მის საიუბილეო საღამოზე — არის რაღაც ხალასი ნოტი, შესაფერის ადგილას ყოველთვის ამაღლებული და პოეტურად მეღერადი. მისი ოსტატობის ყველა ელემენტი თავისებურია, საკუთარია და ამავე დროს სცენურ რეალიზმთან ღრმად შეხამებული და შეჯერებული". მის იუბილესთან დაკავშირებით აი რას წერს გაზეთი „თბილისი" სათაურით „ვერა, ვერ დატოვებს სცენას". „...20 წლისა სცენას ეზიარა ხაშურის თეატრში. მალე თბილისის პროფესიულ დას-

შ-ა. დებიუტი ჰქონდა ი. მოსაშვილის „ჩაძირულ ქვებში“. ფატიმა შეასრულა და ქებაც დაიმსახურა.

პირველი როლებიდან ნათელი გახდა ახალგაზრდა მსახიობის კარგი მონაცემები.

როგორც ყველა შემოქმედს, ნატოსაც თავისი თემა აქვს ხელოვნებაში, მას ყოველთვის აღელვებს სულით მაღალი, კეთილშობილი ადამიანები. ამიტომაც ბევრ წარმოდგენაში უმეტესად დედის სახეს განახორციელებდა.

— ნატო, ხომ არ გძინავს? — ესმის მეუღლის ხმა. მას კი არ ესმის. ფიქრებს გაუტაცია. ანდა საღლაა ნატო, იგი ხომ უბედური შვილის — ბრმა მუსიკოსის დედაა. რა დააძინებს დედას, რომელიც შვილის ბედზე ფიქრობს...

ნატო ვეფხვაძე-ჩუხრუკიძემ თავიდანვე მოიპოვა წარმატება სახალხო თეატრის მიერ განხორციელებულ დადგმებში, მაგრამ მისმა მსახიობურმა ნიჭმა საერთო აღიარება ქეთევანის როლში დაიმსახურა პიესაში „შვილი“.

ნატალია არასოდეს თამაშობს, იგი ცხოვრობს სცენაზე. ამიტომაც ყოველ როლში ბუნებრივია. მისთვის თეატრი წმიდათაწმიდა ადგილია, თვითონ კი მისი თავდადებული მსახური.

მას თუმცა სასცენო მოღვაწეობის 30 წლისთავთან ერთად რკინიგზაზე მუშაობის 25 წელიწადი შეუსრულდა და უკვე პენსიაზე გავიდა, მაგრამ თეატრიდან წასვლა მაინც ძალზე უჭირს.

— ვერა, ვერ დავტოვებ სცენას! — ამბობს და შეგაკრთობთ მის თვალთა მზერა. სწორედ ამ თვალებით, ასე მეტყველი, მრავლისმთქმელი გამოხედვით ისახება მსახიობის ბედნიერების საიდუმლოება.

— ახლა, ჩემს იუბილესთან დაკავშირებით, ახალ როლებს ვამზადებ — გ. სტეფანსკის „ჯადოში“ მკითხავს ვითამაშებ, ხოლო „საქმროების არჩევანში“ — მინადორას...

ბედნიერია ნ. ვეფხვაძე-ჩუხრუკიძე, შვილიშვილებით გარშემორტყმული ჯერ კიდევ მხნე და ხალისიანი. სცენასაც ახალგაზრდული ენერგიით ემსახურება. მასთან ერთად ხარობს თეატრის რეჟისორი. გ. ასიტაშვილი, ყველა, ვინც მუშაობის შემდეგ თავისუფალ საღამოს უანგაროდ უძღვნის თავის საყვარელ თვითმოქმედებას.

დღეს თეატრის კოლექტივი ძვირფას ადამიანს იუბილეს უხდის“[1].

პრესას არ გამოპარვია მსახიობი ქალის ეს ნიშანდობლივი თვისებები და არაერთგზის აღუნიშნავს იგი თავის ფურცლებზე — „კომუნისტში“, „ზარია ვოსტოკაში“, „ახალგაზრდა კომუნისტში“, თუ რაიონულ გაზეთებში.

---

[1] გაზ. „თბილისი“, 1962, 17/V.

ყოველივე ეს მსახიობს იოლად როდი მოუპოვებია: იგი დაუცხრომელი შრომითა და დაძაბული ენერგიით, მრავალი წინააღმდეგობისა და სიძნელეების გადალახვით შეუძენია...

ერთდროულად მოვიდნენ ნავთლუღის თეატრალურ კოლექტივში ნ. ჩუხრუკიძე და ი. ქსოვრელი. იგი პირველად ჩუხრუკიძესთან ერთად იღებს პირველ სასცენო ნათლობას. გარსია ლორკას პიესა „უკანასკნელ ვაზნაში". პირველმა როლმა, რომელიც ი. ქსოვრელმა ნავთლუღის თეატრის სცენაზე განასახიერა და პირველი გამარჯვება არგუნა. ეს იყო ა. წერეთლის „პატარა კახი", სადაც მან გელას როლი შეასრულა.

აღნიშნული თეატრის სცენაზე ი. ქსოვრელმა დღემდე მრავალი ნაძერწი სახე შექმნა, სცენისადმი სიყვარული მსახიობმა 80-მდე როლის შესრულებით გამოხატა. თამაშობდა იგი ახალგაზრდა ჭაბუკებს, ღრმად მოხუცებულსა და საშუალო ასაკის პერსონაჟებს. თამაშობდა და მის თამაშში ყოველთვის გამოსჭვიოდა შემოქმედებითი ალღო და მგზნებარება.

მის მიერ შესრულებულ სახეებიდან გამოირჩევა დავითი („საქმროების არჩევანი"), რეზო („აიდოსტი"), ალმასხანი („კინტო"), გრამიტონი („ერთი დღე აგარაკზე"). ოთარ-ბეგი („ღალატი"), პეპია („ბატონი და ყმა"), სერგო („სადგურის უფროსი"), ჯემალი („ჩაძირული ქვები"), სოსიკა („ძველი სასამართლო"), სტეფანე („მე მოვკვდი"), აიტუზა და გიორგი („ხარატაანთ კერა"), ბენედიქტე („უცნაური მკვლელობა"), დიალო („გაძარცვა შუადამისას"). ჯეკობი („ნუციკოს დაბადების დღე"), ბოჰორი („ჩემი შვილი"), სახლმმართველი („სარეველა ბალახი"), აპოლონი („ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს"), ალექსანდრე („ბრმა მუსიკოსი"), კალისტრატე („რევიზიის მოლოდინში"), ოთარი („კარგი ამხანაგი"), ტარიელი („შვილი"), გიგა („ჯადო"), ოთარი („პატიოსნებისათვის") და სხვა მრავალი, რომლის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ი. ქსოვრელის იუბილესთან დაკავშირებით გაზეთი „თბილისი" წერდა: „... ჯიხურიდან კლუბამდე სულ ორი წუთის გზაა: კიბე, ბაქანი, კვლავ კიბე და იქვე მწვანეში ჩაფლული შენობა. ოცდახუთი წლის განმავლობაში ეს გზა ბევრჯერ გაუვლია ილია ქსოვრელს და აქ, სადაც ახლა მისი მეგობრები — კოლეგები და მაყურებლები ერთმანეთს ენაცვლებიან, ლაპარაკობენ მოწინავე რკინიგზელსა და ნიჭიერ მსახიობზე, ამ სცენაზე უამრავი გმირის სიცოცხლით უცხოვრია...

დისპეტჩერობა და მსახიობობა — სცენა და ლიანდაგები!

ორივეგან კეთილი სახელითა და დამსახურებული ავტორიტეტით სარ-

გებლობს ილია. ამიტომაც ლაპარაკობენ მასზე ასეთი სიყვარულით რკინიგზის ნავთლუღის კვანძის მუშათა კლუბის გამგე, რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი გერონტი პატარიძე, საგზაო პროფკავშირის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ოლია ფირცხალავა, ხალხური შემოქმედების სახლის თეატრალური განყოფილების გამგე აკაკი დევიძე და ხალიანდაგო დისპეტჩერი სიმონ წიქორიშვილი, დრამატული წრის წევრები იოსებ ქინქლაძე და ნატალია ჩუხრუკიძე.

ილია ქსოვრელისათვისაც არაერთხელ დაუკრავთ ტაში. მოსწონდათ მისი ხუმარა გ. ნახუცრიშვილის „კომბლედან", მეისრე — პოტკოვა ალექსანდროვას „გმირიდან", პეპია — „ბატონსა და ყმაში"", — ჯემალი — „ჩაძირულ ქვებში", სერგო — „სადგურის უფროსში", გულბაათი — „ხატიჯეში", პეტრე — „არსენაში", მიხა — „აყვავებულ ბაღში", ცხოვრებისეული სიმართლის, როლის გარეგნული სახისა და მოქმედების შინაგანი რიტმის ძიება — აი. რით გამოირჩეოდა მისი თამაში.

ეს თვისებები იოლი გზით როდი მოუპოვებია. მის სცენურ წრთობაში დიდი როლი შეასრულეს როგორც რეჟისორმა გიორგი ასიტაშვილმა, ისე პარტნიორებმა — ამ თეატრალური კოლექტივის წევრებმა: ძმებმა ბერიაშვილებმა, ნატალია ჩუხრუკიძემ, შალვა ტაბატაძემ, შოთა ბერიკაშვილმა, ლუბა ჯავახიშვილმა, დავით და რუსუდან აფხაზიშვილებმა, და მომთხოვნმა მაყურებელმა — მისმა კოლეგებმა. საკუთარ შემოქმედებით ანგარიშად ამიტომ თვლიდა თითოეული მათგანი ამ იუბილეს, საკუთარ წარმატებად — იმ მადლობასა და საჩუქრებს, რომლითაც ილია ქსოვრელი დააჯილდოეს"...[1]

1935 წელს ჩაშლილი მუშაობის აღსადგენად რკინიგზის პროფკავშირების თბილისის უბნის კომიტეტის თავმჯდომარის მუქერიას დავალებით კლუბის გამგედ ინიშნება მსახიობი და რეჟისორი ალექსანდრე კუპრაძე.

იგი, როგორც სათეატრო ხელოვნებით გატაცებული, პირველ რიგში იწყებს დრამატული წრის აღდგენას. და მოკლე დროის მანძილზე ახლად შემდგარ დასის მიერ წარმოადგენს, შ. დადიანის მიერ „გლახის ნაამბობის" მიხედვით განსცენიურებულ „ბატონ და ყმას". სპექტაკლში მონაწილეობდნენ დათიკო — ნ. ენუქიძე, გაბრო — ქ. კუპრაძე, პეპია — გ. ნავროზაშვილი, თამრო — ნ. ბილანიშვილი-კუპრაძისა, მიტო — ი. ბახტაძე. ამ პიესაში მონაწილე მსახიობები გარდა კუპრაძეებისა თითქმის ახალბედა სცენიმოყვარეები იყვნენ.

---

[1] გაზ. „თბილისი", 1963.

17 წლის ახალგაზრდამ გ. ნავროზაშვილმა მშვენივრად განახორციელა მოხუცი პეპიას როლი, მალე იგი პროფესიონალი მსახიობი გახდა.

ამას მოჰყვა ავქს. ცაგარლის „ხანუმას“ დადგმა. ხანუმას როლს ასრულებდა — ს. კუნელაშვილი, ქაბატოს — ნ. კუპრაძისა, სოფიოს — ა. კუნელაშვილი. კოტეს — ნ. ჯადუგიშვილი.

ამის შემდეგ ალ. კუპრაძის ხელმძღვანელობით შემდეგ დადგმად განახორციელეს რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“. მოხუც გრიქურას როლს წარმატებით ასრულებდა გ. აჯამოვი, სერგოს — ს. ყაზაროვი. ამას მოჰყვა „ყარაბ და ემზარის“ დადგმა. 1937 წელს კი პუშკინის გარდაცვალების 100 წლისთავთან დაკავშირებით დრამატულმა წრემ ალ. კუპრაძის რეჟისორობით წარმოადგინა მისი „ბოშები“. ზემფირას როლს ასრულებდა ნ. კუპრაძე, ალეკოს — გ. ნავროზაშვილი, მოხუც ბოშას — ბ. გიგაური, დიქტორის ტექსტს კითხულობდა — ა. უშვერიძე.

1938 წელს ალ. კუპრაძემ ქართული დასის ხელმძღვანელად მოიწვია გოგი ასიტაშვილი, რომელმაც პირველ დადგმად განახორციელა პიესა „უკანასკნელი ვაზნა“.

ალ. კუპრაძის ინიციატივით ჩამოყალიბებული იქნა რუსული დრამატული წრე. რომლის ხელმძღვანელად მოიწვია ს. მირონოვი. მირონოვმა დადგა ჩეხოვის „დათვი“ და „წინადადება“. პიესებში მონაწილეობდნენ და-ძმა ზიარკოვსკები და თვით ს. მირონოვი.

გ. ასიტაშვილის რეჟისორობით თეატრალურმა დასმა 1938 წელს მაყურებელს უჩვენა კარასეევის სამმოქმედებიანი პიესა „შუქურა“. (თარგმანი შ. ალხაზიშვილის).

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დადგმამ ყველას სიხარული და სიამოვნება მიანიჭა. მეტად მკაფიოდ გამოჩნდა მუშა-მსახიობთა ხალასი ნიჭი და უნარი. მთავარ როლებს ასრულებდნენ: გ. ნავროზაშვილი — კოლპინი, ე. გიგაური — შუქურას ზედამხედველი, ნ. კუპრაძე — ზედამხედველის მეუღლე.

მხატვრულ სახეებს ჰქმნიდნენ: ა. კუნელაშვილი, ა. გიგაური, ა. უშვერიძე, ს. კახელაშვილი, გ. ოსკანოვი, გოგოლაძე, ბაღათურია, მ. კამკამიძე, ბერიაშვილი, ყიფიანი და სხვები. სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა ი. მელიქსეტოვმა, მუსიკა ეკუთვნოდა ი. გოგინაშვილს. რეჟისორის თანაშემწე იყო გ. ნავროზაშვილი, სცენის მემანქანე — დ. პაპლიაშვილი (ეს უკანასკნელი იყო ნავთლუღის კლუბის სული და გული, დეკორატორი, სცენის მემანქანე, მომმარაგებელი. მხატვარი და სხვ.).

ამას მოჰყვა გ. ასიტაშვილის რეჟისორობით დადგმული ქ. ხაფავას სამ-

მოქმედებიანი პიესა „შვილი“. მონაწილეობდნენ: ლ. ჯავახიშვილი, ქ. ფაილოძე, ჟ. ნასყიდაშვილი, ეთ. გელაძე, ა. და რ. ბერიაშვილები, შ. ბერიკაშვილი, შ. ტაბატაძე, ყ. შინჯიკაშვილი, ი. ქინქლაძე, რ. ჯგერნაია, გ. დავითური. მხატვრულად გააფორმა ა. ბერიაშვილმა, რეჟისორის თანაშემწე შ. ტაბატაძე.

1941 წლის მაისში გ. პაპავას რეჟისორობით დაიდგა ან. აღლაძის სამმოქმედებიანი პიესა „გულნარა“ (თარგმანი მ. გოგოლაშვილის).

მონაწილეობდნენ: გულნარა — ა. გურასაშვილი; ვიქტორ ლოლაძე — მ. გუგუშვილი; ლადო კალანდაძე — გ. ნავროზაშვილი; ვანო ხარაძე — ბ. ვიგაური; პეტრე — დ. წერეთელი, ი. გოგოლაძე. ტაპარკოვა — თ. ქსოვრელი; ანტონი — ი. ქსოვრელი; ლექსო — ა. ბაღათურია; პეტროვნა — ნ. ნავროზაშვილი; ნინა — თ. გვენეტაძე; ბეშიდ-ხან — ო. ჯაფარიძე; ინჟ. ლოლუა — შ. ბეჰრაშვილი; გენერალი — მ. სხირტლაძე: ინალ — არ. ბერიაშვილი; მთიელი — რ. ბერიაშვილი; მუშები — დ. გუზიტაშვილი, ი. ქსოვრელი, მ. აჯამოვი, ბ. ბერიკაშვილი, დ. ჩახვაძე, სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა ან. კანდელაკმა. მუსიკა ეკუთვნის ალ. მაცაბერიძეს. ქორეოგრაფი იყო გრ. ჩივაძე.

დადგმა გაიტანეს რესპუბლიკურ დათვალიერებაზე. სპექტაკლმა პირველი ადგილი და პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.

ამას მოჰყვა გ. პაპავას მიერ დადგმული „ჩემი შვილი“.

□□

დაიწყო დიდი სამამულო ომი. ყოველი საბჭოთა ადამიანის ყურადღება ფრონტმა მიიპყრო, ყოველი პატრიოტი მტრისადმი სიძულვილმა მოიცვა და ახალგაზრდების გულებმა ფრონტისაკენ გაიწიეს.

ნავთლუღის რკინიგზის კლუბთან არსებული თეატრალური კოლექტივის წევრთა უმრავლესობაც მებრძოლთა რიგებში ჩადგა. სამშობლოს წინაშე წმინდა ვალის მოსახდელად წავიდნენ ვაჟკაცები! ადგილზე დარჩა კოლექტივის უმცირესობა. კოლექტივის ძველებურად მუშაობა შეუძლებელი გახდა, თანაც კლუბის შენობაში ჰოსპიტალი იყო მოთავსებული, მაგრამ დარჩენილებს ფარ-ხმალი მაინც არ დაუყრიათ. დაიწყეს პატარ-პატარა პიესებისა და სკეტჩების დადგმა. ამ პიესებით ისინი მომსახურებას უწევდნენ, როგორც რკინიგზის საველე სადგურებს, ისე ჯარის ნაწილებსა და ჰოსპიტლებს.

დამთავრდა ომი და ბევრი მკერდდამშვენებული მეომარი თავიანთ კერას დაუბრუნდა, დაუბრუნდნენ საყვარელ წარმოებას, კოლმეურნეობას, სასწავლებლებს. ნავთლუღის კვანძის რკინიგზის კლუბის თეატრალური კოლექტივის

წევრებიც დაბრუნდნენ და კვლავ განაგრძეს დროებით შეწყვეტილი საყვარელი საქმიანობა.

როგორც წარმოებას, ისე სცენას დაუბრუნდნენ ძმები, სავაგონო ტექნიკური გასინჯვის პუნქტის მღებავი ა. ბერიაშვილი და ამავე პუნქტის ზეინკალი რ. ბერიაშვილი, სალიანდაგო დისტანციის ადგილკომის თავმჯდომარე დ. აფხაზიშვილი, სადგ. ნავთლუღის სამანევრო დისპეტჩერი ი. ქსოვრელი, სავაგონო ტექნიკური გასინჯვის პუნქტის ზეინკალი ვლ. გვეტაძე, ელექტრომონტიორი ნ. ტატიაშვილი, რკინიგზის მე-7-ე სკოლის პედაგოგი შ. ბუხრაშვილი და სავაგონო ტექნიკური გასინჯვის პუნქტის ცვლის ოსტატი ი. ხიზანიშვილი.

ამ წევრების გარდა, კოლექტივს შემოემატა ახალი ძალები: მ. გეგუჩაძე, ე. ქვრივიშვილი, ვლ. ცხვარიაშვილი, ალ. ხახვიაშვილი, კ. მამისაშვილი, ან. გამცემლიძე-სხირტლაძე, მ. ლაფაჩი, გ. უჩუმბეგაშვილი, გ. კაჭახიძე, შ. ტაბატაძე, მ. ერაძე, რ. ფერაძე, ძმები გ. და შ. ბერიკაშვილები, ლ. მამაცაშვილი და სხვები. ხოლო რეჟისორებად მუშაობდნენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გრ. ლაღიძე და ე. ყირმელაშვილი. ამ შემადგენლობით დაიდგა აკ. წერეთლის „კინტო“ (რეჟისორი გრ. ლაღიძე).

□□

1947 წელს ე. ყირმელაშვილის მოსვლის პირველი დღეებიდანვე დამყარდა კონტაქტი რეჟისორსა და სცენისმოყვარეთა შორის. მონაწილეებს კარგად ესმოდათ ხელმძღვანელის. იგი მოითხოვდა, რომ მოქმედება მოფიქრებული ყოფილიყო, ახალგაზრდა მსახიობებს კი როლი წინასწარ ესწავლათ. უფლებას არ აძლევდა მათ მექანიკურად ემოქმედათ სცენაზე. ე. ყირმელაშვილი ხშირად ესაუბრებოდა მსახიობებს თეატრის ისტორიაზე.

თანდათან მაღლდებოდა დრამატული თეატრის ავტორიტეტი, მისი შემოქმედებითი რეზონანსი. დასის გამოცდილ წევრებს ახალი ძალები ამოუდგნენ მხარში. მათ ახალი სული შთაბერეს სამუშაოს, უფრო საინტერესო და ცხოველმყოფელი გახადეს იგი. ამ დროს დასის წევრად ითვლებოდნენ: თ. პაპიაშვილი, ნ. ჩუხრუკიძე, ლ. ჯავახიშვილი, თ. და ა. გურასაშვილები, ი. ქსოვრელი, ა. და დ. ბერიაშვილები...

რეჟისორმა ე. ყირმელაშვილმა პირველ სპექტაკლად წარმოადგინა პატკოვა-ალექსანდროვას ოთხმოქმედებიანი პიესა „გმირი“ (თარგმანი ვიქ. ნინიძის). მონაწილეობდნენ: გიორგი ვეფხვაძე (სადგურის უფროსი) — ა. ბერიაშვილი; ელენე (გიორგის ცოლი) — ნ. ჩუხრუკიძე; არჩილი (გიორგის ვაჟი) — ი. ხიზანიშვილი, ვ. ცხვარიაშვილი; თინა (გიორგის ქალიშვილი) — რ.

აფხაზიშვილი; ელიზბარი (ელენეს მამა) — ა. ხახვიაშვილი; გულნარ (ელენეს ქალიშვილი) — თ. გურასაშვილი; კასიანე სეფისკვერაძე (სადგურის უფროსის თანაშემწე) — დ. აფხაზიშვილი; ლევანი (რაზმის უფროსი) — რ. ბერიაშვილი, გ. ყუშიტაშვილი; ციცო (ლევანის ქალიშვილი) — კ. ბოსიტაშვილი, ლ. ჯავახიშვილი: მამედ ბოლქვაძე (მეისრე) — ი. ქსოკრელი; აშრაფი (კვერცხით მოვაჭრე) — ნ. ტატიაშვილი, ც. ჩატუროვი, გ. ბაგდასაროვი; ჰასან (აშრაფის ამხანაგი) — შ. ტაბატაძე; პირველი წითელარმიელი — გ. ბერიკაშვილი, მეორე წითელარმიელი — მ. ერაძე. ი. შარაშენიძე. ტექ. რეჟისორი ა. ბერიაშვილი; რეჟისორის თანაშემწე მ. ლაფაჩი.

ამ სპექტაკლმა 1947 წელს რესპუბლიკურ დათვალიერებაზე პირველი ადგილი დაისაკუთრა. აქვე მოგვყავს ჟიურის მიერ დაწერილი რეცენზია „გმირის“ შესახებ, რომელიც დაიბეჭდა წიგნში „მუშებისა და მოსამსახურეების თეატრალური თვითმოქმედი ხელოვნების რესპუბლიკური დათვალიერების შედეგებისათვის“ 1947 წლის 12-22 დეკემბერს.

„ნავთლუღის რკინიგზის კლუბის ქართული დრამატული კოლექტივი. ქ. თბილისი.

ა. პატკოვა-ალექსანდროვას „გმირი“. ქართულად გადამოკეთებული ვ. ნინიძის მიერ. დადგმა — ენ. ყირმელაშვილის, გაფორმება — ა. ბერიაშვილის, წრის ხელმძღვანელი — ენ. ყირმელაშვილი.

მიუხედავად იმისა, რომ პიესას აქვს ზოგიერთი ნაკლი, როგორც წმინდა დრამატულ ნაწარმოებს. ის ძირითადად პასუხობს დღევანდელი დღის მოთხოვნებს, რადგან მოგვითხრობს, ადამიანის აღზრდაზე საბჭოთა ოჯახის კეთილსასურველი გავლენის შესახებ, გვასწავლის სამშობლოს სიყვარულს და საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებისათვის თავგანწირვას.

პიესა დაწერილია სამამულო ომამდე, მაგრამ კოლექტივს მისი მოქმედება გადაუტანია სამამულო ომის პერიოდში. სპექტაკლი ამით მხოლოდ იგებს, რადგან მოქმედების ფონი უფრო მახვილი და ქმედითი ხდება.

აღსანიშნავია, რომ სპექტაკლი გაფორმებულია კლუბის, შინაური თალებით, რომელსაც განსაზღვრული შესაძლებლობა გააჩნია. მიუხედავად ამისა, გაფორმება კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს — მცირე საშუალებებით მიღწეულია საკმაო დამაჯერებლობა.

ეს კოლექტივი მთლიანად შედგება რკინიგზის მუშებისა და მოსამსახურეებისაგან და არც ერთი პროფესიონალი არ ურევია. მიუხედავად ამისა. სპექტაკლი კარგად არის შეკრული და ანსამბლის თვალსაზრისით არ ჩამოუ-

ვარდება იმ კოლექტივების მუშაობას, რომელთა შემადგენლობაში პროფესიონალები არიან.

სპექტაკლი მიდის თავიდან ბოლომდე მწყობრად, ჩავარდნების გარეშე. როლები კარგად არის განსახიერებული, ყოველგვარი ძალდატანებისა და ყალბი პათოსის გარეშე, სადად და გულწრფელად მიჰყავთ როლები სპექტაკლის მონაწილეებს. პიესის დამდგმელმა სწორად გაიგო პიესის იდეა და დაეხმარა შემსრულებლებს სახეების სწორად გახსნაში. თვითეულმა შემსრულებელმა იცის თუ რა უნდა გააკეთოს სცენაზე, სწორად აქვს გაგებული სცენური ამოცანა და ცდილობს ხელი შეუწყოს სპექტაკლის ჩატარებას.

მონაწილეთა შორის უნდა აღინიშნოს: ვლ. ცხვარიაშვილი — არჩილი, რ. აფხაზიშვილი — თინა, ა. ხახვიაშვილი — ელიზბარი, თ. გურასაშვილი — გიულზარ, დ. აფხაზიშვილი — კასიანე, რ. ბერიაშვილი — ლევან, ი. ქსოვრელი — მემედ.

ვ. ცხვარიაშვილი და თ. გურასაშვილი უდავოდ ნიჭით დაჯილდოებულნი არიან. სწორი ხელმძღვანელობით მათ შეუძლიათ კარგი მსახიობები გახდნენ...

ეს სპექტაკლი არის მთელი კოლექტივის გულწრფელი და კეთილსინდისიერი მუშაობის შედეგი და ჟიურის აზრით, უნდა მიეკუთვნოს დათვალიერებაში ქართულ ენაზე ნაჩვენებ სპექტაკლთა შორის საუკეთესო ადგილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კოლექტივის მუშაობა მიმდინარეობდა რკინიგზის კვანძის პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუდმივი ზრუნვისა და დახმარების ქვეშ. სათანადო ყურადღებას უთმობდა კოლექტივს კლუბის ხელმძღვანელობაც, რომელიც ყოველმხრივ უწყობდა ხელს სპექტაკლის ტექნიკურად მოწყობას. ეს აღნიშნული იქნა ჟიურის ყველა წევრის მიერ.

სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდა ის, თუ როგორი ყურადღებით და ინტერესით ადევნებდნენ თვალს თავიანთი კოლექტივის თამაშს რკინიგზელები, რომლებიც მრავლად იყვნენ მაყურებელთა დარბაზში.

დასასრულს, საჭიროა აღინიშნოს, რომ, როგორც სპექტაკლმა დაადასტურა, ჩვენ გვყავს თეატრალური ხელოვნების ერთგული ადამიანები, რომლებსაც კარგად ესმით თავიანთი ამოცანა და დაუღალავ მუშაობას აწარმოებენ იმისათვის, რომ გამოავლინონ ადგილობრივ ახალგაზრდებს შორის ნიჭიერი ადამიანები“.

სიგელები მოიპოვა აგრეთვე კოლექტივის ცხრა წევრმა რ. და დ. აფხაზიშვილებმა, რ. და ა. ბერიაშვილებმა, ი. ქსოვრელმა, ნ. ჩუხრუკიძემ, ვლ. ცხვა-

რიაშვილმა, ალ. ხახვიაშვილმა, კლუბის გამგეობის თავმჯდომარემ დ. გუგუშვილმა და დამდგმელმა რეჟისორმა ენ. ყირმელაშვილმა.

ენ. ყირმელაშვილის რეჟისორობით დაიდგა აგრეთვე მ. მრევლიშვილის „ხარატაანთ კერა“. წარმოდგენას უამრავი მაყურებელი დაესწრო და დიდი მოწონება დაიმსახურა.

აქვე მოგვყავს რამდენიმე ადგილი სარეცენზიო წერილიდან: „ნავთლუღის რკინიგზის კლუბთან არსებული ქართული დრამატული წრის კოლექტივი თვალსაჩინო კულტურულ-შემოქმედებით მუშაობას ეწევა რკინიგზის ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეთა შორის.

ამას წინათ წრემ მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა მ. მრევლიშვილის „ხარატაანთ კერა“.

წრის მიერ წარმოდგენილ სპექტაკლში ყველა როლი ძირითადად რეალურადაა გახსნილი. მაყურებელთა მოწონებას იმსახურებს ვაგონების ტექნიკური გასინჯვის ნავთლუღის პუნქტის ზეინკლის რ. ბერიაშვილის მიერ განსახიერებული ზურია ხარატელი. რ. ბერიაშვილმა სწორად გაიგო როლის მთავარი ხაზი და ნათლად დაგვიხატა ჯერ კიდევ დრომოჭმული შეხედულების ტყვეობაში მყოფი კახელი გლეხის რეალური სახე. კარგი იქნება თუ სპექტაკლის დამდგმელი ე. ყირმელაშვილი კიდევ უფრო მეტს იმუშავებს რ. ბერიაშვილთან და ზურია ხარატელის სიტყვებს მაყურებლისათვის დამაჯერებელს გახდის.

კარგია სამატარებლო-სავაგონო საამქროს ოსტატი ი. ხიზანიშვილი თორნიკე პაპას როლში. ზომიერების გრძნობით განსაკუთრებით გამოირჩევა ვაგონების ტექნიკური პუნქტის მღებავი ა. ბერიაშვილი. რომელიც გულწრფელი თამაშით საბჭოთა სოფლის კოლმეურნეობის ხელმძღვანელის სრულყოფილ სახეს ქმნის.

სპექტაკლის წარმატებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ნუცკიას როლის შემსრულებლის, ნავთლუღის სალიანგადო დისტანციის აღმრიცხველის ლ. ჯავახიშვილისა და დისპეტჩერ შ. ტაბატაძის მოხდენილი თამაში...

ასევე კარგი შთაბეჭდილება დატოვა თანამედროვე ქალის ნატოს როლში რ. აფხაზიშვილმა და პარტორგანიზაციის მდივნის როლში გ. ცერცვაძემ. კარგი იყო გიორგის ეპიზოდურ როლში დ. გუგუშვილი“[1].

კლუბმა იმავე წელს, ურთიერთგამოცდილების გაზიარების მიზნით. იგივე დადგმა უჩვენა მეტალურგიული ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს ქალაქ რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკში.

---

[1] გაზ. „სტალინური ლოკომოტივი“, 1952, 5. VI.

გმირმა მეფოლადეებმა რკინიგზელი სცენისმოყვარეები ტაშით დააჯილდოვეს და სპექტაკლის დამთავრების შემდეგ სცენაზე ამოსულმა ქარხნის დრამატული წრის წევრებმა გულწრფელად განუცხადეს რკინიგზელებს: ჩვენ თქვენგან ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ და გავიზიაროთ, როგორც დისციპლინის, ისე შემოქმედების მხრივ. ამიტომ გთხოვთ ხშირად გვეწვიოთ რუსთავში და გვიჩვენოთ თქვენი ყველა დადგმებიო. რკინიგზელებმაც თავის მხრივ მიიპატიჟეს რუსთაველი მეტალურგები, რათა სწვეოდნენ ნავთლუღის კლუბს და ენახათ მათი ნამუშევარი.

ენ. ყირმელაშვილმა ნავთლუღის კლუბის თეატრის სცენაზე მოამზადა და მაყურებელს უჩვენა ავქს. ცაგარლის „ხანუმა“ და „ოინბაზი“, აკ. წერეთლის „პატარა კახი“, გ. ნახუცრიშვილის „კომბლე“, აკ. დევიძის „სადიპლომო სპექტაკლი“, ი. ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი“, რ. ქორქიას „გამოცდა“, ნ. ანანიაშვილის „მშვიდობის ვახტზე“, დ. თაქთაქიშვილის „ეჭვიანი ქმარი“ და „ნერვიული ავადმყოფი“, ი. მოსაშვილის „სადგურის უფროსი“, ალ. პუშკინის „ქვის სტუმარი“, ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“.

ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებში მკითხველს ყოველთვის იზიდავს საინტერესო სიუჟეტი, თხრობის სისადავე, გამოკვეთილი ხასიათები, ადამიანის სულიერი სამყაროს მხატვრული ასახვის ოსტატობა.

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძის მრავალი ნაწარმოები იქნა ინსცენირებული და წარმოდგენილი ქართულ სცენაზე.

„გლახის ნაამბობის“ ინსცენირების ავტორებს გ. ნახუცრიშვილისა და დ. ცხაკაიას პიესაში ბევრი ახალი ნიუანსი შემოუტანიათ, რამაც იგი ახლებურად აახმიანა, ფაბულა უფრო დინამიკური, ხოლო სიტუაციები ცოცხალი და სცენურად ეფექტური გახადა.

პიესა საინტერესოდ ვითარდება და მოგვითხრობს სოციალური უთანასწორობის შედეგად მომხდარ ერთ-ერთ ამბავს, რასაც ილიამ „გლახის ნაამბობი“ უწოდა. მისი მოქმედი პირები დათიკო, გაბრო, პეპია, თამრო — ცხოვრებიდან აღებული ტიპები არიან და ამდენად მათ მოქმედებას სრული ბუნებრიობა ახასიათებს.

პიესაში მაყურებელი ცხადად ხედავს ბატონყმური სინამდვილის ჭავჭავაძისეულ მძაფრ კრიტიკას, გლეხის ეკონომიურ-სიდუხჭირეს, უუფლებობას. რეჟისორმა გვიჩვენა ილიას ეპოქის ადამიანები, მათი დამოკიდებულება არსებულ სისტემასთან, რომელმაც სულიერად დაამახინჯა მებატონე, გადააქცია სოციალურ ბალასტად, ცხოვრების ხორცმეტად, უსარგებლო და ბოროტ პიროვნებად.

სპექტაკლში პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს კარგად ჩამოყალიბებული ტიპიური სახეები, ზედმიწევნით სწორად გააზრებული, ჭეშმარიტად ილიასეული გმირების წარმოსახვა.

გაბრიელი პიესაში მთავარი მოქმედი პირია. იგი თავის სახეში ითავსებს ხალხური გმირის ყველა დამახასიათებელ თვისებას. ამ როლის შემსრულებელმა ლ. ცხვარიაშვილმა კარგი აქტიორული ხერხები გამონახა იმისათვის, რომ მაყურებელს ღრმად ჩაეხედა გაბროს სულიერ სამყაროში. მეტად ლირიკულად, გულწრფელად და მგრძნობიარედ ატარებდა მსახიობი თამროსთან პირველი შეხვედრის სცენას. მაგრამ სულ სხვაგვარი იყო იგი დათიკოსთან შეხვედრისას. აქ ვხედავდით აბობოქრებულ გმირს, რომელიც ვერ შერიგებია აზრს, რომ შეიძლება ადამიანმა, მით უმეტეს ვაჟკაცმა, უბრალო ქინს ანაცვალოს მეგობრობა, პატიოსნება და ადამიანური გრძნობა.

დათიკოს როლს ენ. ყირმელაშვილი ასრულებდა. უნდა აღინიშნოს, რომ დათიკო გაცილებით რთული როლია, ვიდრე გაბრო. დათიკოს პიროვნებაში ჩანს მებატონის ვერაგი ბუნება, რომლის გულქვაობა და ბოროტება მთელი სისრულით გამომჟღავნდება გაბრიელისადმი მის დამოკიდებულებაში. დათიკო წარბშეუხრელად გადაელობა ბედნიერების გზაზე თავის ყმა გაბროს და ერ დაინდო იგი. დათიკოსა და გაბროს პირველ ხანებში მოჩვენებითი „მეგობრობის“ ფონზე კიდევ უფრო დამაჯერებელი ხდება ის, რომ ბატონსა და ყმას შორის ნამდვილი მეგობრობა და სიყვარული შეუძლებელია, თუ გაბრიელისადმი მაყურებლის სიყვარული ჩაითვლება მსახიობის გამარჯვებად, დათიკოს როლის შემსრულებლისათვის დიდი გამარჯვება იყო ის, რომ იგი აღძრავდა ზიზღს გაბატონებული კლასის მიმართ. მას კარგად ესმოდა როლის შინაგანი ბუნება და შესანიშნავად დახატა გათავხედებული და ბოროტი ადამიანის სახე.

სცენისმოყვარე გ. ნავროზაშვილმა დამაჯერებლობით დაგვიხატა ცხოვრების უკუღმართი პირობებისაგან სულიერად და ფიზიკურად განადგურებული გლეხის — პეპიას სახე.

ბატონის უკუღმართობით დაჩაგრული და ცხოვრების გზასაცდენილი ქალიშვილის, თამროს დასამახსოვრებელი სახე შექმნა რ. აფხაზიშვილმა.

□□

ენრიკო ყირმელაშვილი პირველად თავის სოფელ ხაშმში ეზიარა საეთატრო ხელოვნებას და იმ დღიდან მისი ტყვე გახდა. იგი საზაფხულო არდადეგების დროს მიიჩქაროდა ხაშმში და მონაწილეობას იღებდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში. ეს სოფელი იოსებ იმედაშვილის წყალობით თეატრალურ სოფ-

ლად იყო აღიარებული. ხაშმში მცხოვრები თითქმის არც ერთი ქალი თუ კაცი არ დარჩენილა, ვისაც ერთხელ მაინც არ ეგემოს სცენის მტვერი. ხაშმის ინტელიგენცია ახალგაზრდა თუ მოხუცი სასცენო საქმით იყო გატაცებული.

ამიტომაც იყო, რომ ენ. ყირმელაშვილმა დაამთავრა თუ არა საშუალო სასწავლებელი, მარჯანიშვილის თეატრის სტუდიაში ჩააბარა მისაღები გამოცდები და სწავლის პარალელურად მუშაობა დაიწყო სცენის თანამშრომლად. მისი აქ მოსვლის ძირითადი მიზანი იყო ახლოს გასცნობოდა თეატრის ცხოვრებას და შემდგომში სხვა ინსტიტუტში განეგრძო სწავლა. მაგრამ აქ ყოფნის პერიოდში იმდენი ქება და დიდება შეასხეს ეპიზოდური როლების განსახიერებისას, რომ გადაწყვიტა მსახიობი გამხდარიყო.

მიუხედავად იმისა, რომ ენ. ყირმელაშვილი 1937 წელს ამთავრებს სტუდიას, იგი 1935 წლიდან უკვე თეატრალური დასის მსახიობია.

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობობის პარალელურად, იგი რეჟისორად იწყებს მუშაობას კრუპსკაიას სახელობის ახლად ჩამოყალიბებულ კლუბის დრამატულ წრეში. აქ მოღვაწეობის პერიოდში მის მიერ განხორციელებული დადგმებიდან მაყურებლის ყურადღებას იპყრობს ი. ჭავჭავაძის „ბატონი და ყმა", ავქს. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", შ. დადიანის „შენი ჭირიმე", ბ. მენეჯენისა და პ. ვებერის „ჩვენი მეომარი", დ. ერისთავის „სამშობლო".

ამის შემდეგ ენ. ყირმელაშვილმა სხვადასხვა მიზეზის გამო სანკულტურის თეატრში გადაინაცვლა როგორც მსახიობმა.

ის ის იყო სამამულო ომი მთავრდებოდა, რომ საორთქლმავლო დეპოს პარტიულმა ორგანიზაციამ და ადგილკომმა შეფობა სთხოვა სანკულტურის თეატრის ხელმძღვანელობას. თეატრმა ამ საქმის ხელმძღვანელობა დაავალა იმჟამად სანკულტურის თეატრის მსახიობს ენ. ყირმელაშვილს.

ენ. ყირმელაშვილმა სალოკომოტივო კლუბში ჩამოაყალიბა მეტად ძლიერი დრამატული კოლექტივი, სადაც წლების მანძილზე იდგმებოდა მთელი რიგი სპექტაკლები. „ბრმა მუსიკოსი", „ამაღლებული სოფელი", „ჭკუისა მჭირს", „გმირი", „ვერცხლის მედალოსანი", რეჟისორ ენ. ყირმელაშვილის მიერ გასცენიურებულია ალ. ყაზბეგის „ციცია".

სალოკომოტივო დეპოს სცენისმოყვარეთაგან გამოირჩეოდნენ მემანქანეები ვ. ხახვიაშვილი, გ. ყუშიტაშვილი, გ. გაგნიძე, გ. გურგენიძე, ვ. წულაია და სხვ.

ენ. ყირმელაშვილი 1947 წელს აქ მუშაობის პერიოდში, პარალელურად რეჟისორობს ნავთლუღის კლუბთან არსებულ საკმაოდ ძლიერ თეატრალურ კოლექტივს.

ასევე დიდი სიყვარულითა და ენთუზიაზმით ხელმძღვანელობს იგი ორი წლის განმავლობაში რკინიგზის სამმართველოსთან არსებულ დრამატულ კოლექტივს. აქ მის მიერ ჩამოყალიბებული იქნა როგორც ქართული, ისე რუსული დრამატული წრე.

ასევე 1954 წლიდან ხუთი წლის განმავლობაში იგი ხელმძღვანელობდა კასპის სარაიონო და ცემენტის ქარხნის კულტურის სახლების თეატრალური კოლექტივების გაერთიანებულ წრეს. აქ დადგმული პიესებიდან აღსანიშნავია: ი. გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა?!“ ვალ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“, მ. მრევლიშვილის „ხარატაანთ კერა“, ი. მოსაშვილის „სადგურის უფროსი“, ი. ჭავჭავაძის „განდეგილი“ და „დედა და შვილი“, „არსენას ლექსი“, მის მიერ გასცენიურებული ე. ნინოშვილის „ტარიელ მკლავაძე“ და სხვა მრავალი.

□□

აი რას გადმოგვცემს თვით ენ. ყირმელაშვილი:

1933 წლის 17 აპრილს მოსკოვში გარდაიცვალა სცენის ჯადოქარი, ქართული საბჭოთა თეატრის დამაარსებელი და გეზის მიმცემი, ქართველ მსახიობთა სახელოვანი პლეადის აღმზრდელი და წინამძღოლი, საბჭოთა კავშირში ცნობილი და აღიარებული რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი.

პარტიამ და ხელისუფლებამ დააფასეს მისი დიდი დამსახურება და თბილისის მეორე დრამის თეატრს, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი ეწოდა, ხოლო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად მისი უსაყვარლესი მოწაფე, ქართული სცენის ფრთამალი არწივი უშანგი ჩხეიძე დანიშნეს. დიახ, ფრთამალი, მაგრამ იმ დროს უკვე დაჭრილი არწივი. კარგახანი იყო გასული მას შემდეგ, რაც მისი ნიჭი ძველებური შემართებით ველარ ელვარებდა. უკვე იშვიათად, მაგრამ თუ გამოჩნდებოდა რომელიმე ძველად ნათამაშევ როლში, რამდენიმე სცენას ისე გაითამაშებდა, ისე გაიელვებდა, ისე შეძრავდა დამსწრეთა გულებს, რომ განცდილ წუთებს, თუ წამებს სამუდამოდ დაამახსოვრებდა მაყურებელს.

მარჯანიშვილის გარდაცვალების შემდეგ იგი აღარავის უნახავს სცენაზე. როგორც სამხატვრო ხელმძღვანელიც ძალიან იშვიათად გამოჩნდებოდა ხოლმე თეატრში.

ერთხელ ხმა დაირხა: „უშანგი ჩხეიძე აპირებს შალვა დადიანის „კაკალ გულში“ თამაშსაო. და ეს დღეც დადგა. დიახ, დადგა დღე, რომელსაც გულის ფანცქალით მოელოდნენ მსახიობები, რომელსაც მოუთმენლად მოელოდა მრავალრიცხოვანი მაყურებელი.

მაგრამ ყველაზე მღელვარე ეს დღე ჩემთვის აღმოჩნდა.

მე სტუდიის პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი და იმავე დროს სცენის თანამშრომლადაც ვითვლებოდი. ჯერ სცენაზე არ ვიყავი გამოსული, მაგრამ „ნინოშვილის გურიაში", სადაც ფირალის ეპიზოდურ როლში მამზადებდნენ, რეპეტიციებს გავდიოდი.

„კაკალ გულში" ვასო გოძიაშვილმა აღადგინა და მის რეჟისორად ითვლებოდა და რადგან იმ ღირსშესანიშნავ დღეს აცნობეს, რომ პირველი კომკავშირელის როლის შემსრულებელი ახალგაზრდა მსახიობი ირაკლი ქოქრაშვილი ავად გამხდარიყო და იმ საღამოს ვერ მოვიდოდა, ბატონმა ვასომ მე ამომარჩია ამ როლის შემსრულებლად. წარმოიდგინეთ ჩემი მღელვარება. პირველად უნდა გამოვსულიყავი სცენაზე, ისიც მხოლოდ ერთი რეპეტიციით და პირველი სიტყვა უშანგისთვის უნდა მეთქვა, იმ უშანგისთვის, ვინც მსახიობთა ღმერთად მიმაჩნდა, ზეადამიანად, ციდან მოწყვეტილ ვარსკვლავად. ჩემზე უფროსებსაც ასე მიაჩნდათ. თორემ მე რა ვიყავი? თვრამეტი წლის მეოცნებე ბიჭი, და მეტი არაფერი. მე ხომ მაშინ ისიც არ ვიცოდი თუ რა ისტორიული მნიშვნელობის იყო იმ საღამოს სპექტაკლი ქართული თეატრისათვის; ეს ხომ უკანასკნელი სპექტაკლი იყო უშანგი ჩხეიძის მონაწილეობით.

მარჯანიშვილისა და კამოს ქუჩები მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან დილიდანვე ხალხით გაივსო. ყველა მათგანს ერთი ფიქრი უტრიალებდა თავში, როგორმე ეშოვა ბილეთი, რათა იმ საღამოს თეატრში მოხვედრილიყო. თუნდაც შესასვლელი, ფეხზე დასადგომი ბილეთი, მაგრამ სად იყო ის პატარა ნაგლეჯი ქაღალდისა, რომელიც ასე სანატრელი გახდომოდა ხალხს.

შესასვლელი კარი რვის ნახევარზე უნდა გაეღოთ და ბედნიერები, რომელთაც ნაშოვნი ჰქონდათ ბილეთები, უნდა შეეშვათ თეატრში. ამისთვის განსაკუთრებულად ემზადებოდა ადმინისტრაცია, რათა საჭირო შემთხვევაში დროზე მიშველებოდნენ კონტროლიორებს, არევ-დარევას რომ არ ჰქონოდა ადგილი, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი; უცებ მოაწვა უბილეთოთა ტალღა, კარი შემოამტვრიეს, შემოცვივდნენ და გაემართნენ პარტერისა და ბალკონისაკენ. რამდენიმე წუთში ისე გაივსო თეატრი, რომ არამც თუ დარბაზი, ფოიებშიც აღარ იყო დასადგომი ადგილი. უბილეთოები საუკეთესო ადგილებზე ისხდნენ, ბილეთიანები კი სადღაც უკან იდგნენ ფეხზე, მაგრამ ვინაიდან საშუალება არ იყო ადგილამდე მისვლისა, მდგომარეობა არ შეცვლილა.

მარჯანიშვილის სპექტაკლები ყოველთვის საზეიმო იყო, მაგრამ ამ დღეს უფრო ზეაწეული ზეიმი იყო თეატრში. სპექტაკლი დაიწყო. მე და სხვა კომკავშირელები კულისებში ვიდექით და ჩვენ გამოსვლას ველოდით. ცოტახნის შემდეგ უშანგი და ნიკო გოცირიძეც შემოგვემატნენ. ჩვენ მოწიწებით

დავიხიეთ უკან და გზა დავუთმეთ, ისინი ჩვენზე ადრე გადიოდნენ სცენაზე. ძია ნიკო იმ სახლის პატრონის როლს ასრულებდა, რომელშიც გადმოიტანეს დაწესებულება, რომლის დირექტორის მოადგილეს უშანგი თამაშობდა. იგი ამ როლში ხშირად წამოიძახებდა ხოლმე „ჩომ დილა, კაცო“.

მოვიდა დრო მათი სცენაზე გასვლისა. ნიკო გოცირიძემ კულისებშივე დაიწყო „გრაბოჟ! ვოტ ეი ბოღუ გრაბოჟ სრედი ბელი დნია!“ უშანგიმ ჰკითხა: „ჩომ დილა, კაცო?“ და რა გაიგეს სანატრელი ხმა, დარბაზში ტაშმა იგრიალა და შევიდნენ ორნივე სცენაზე. დიდხანს გაგრძელდა ტაში და აღფრთოვანებული შეძახილები და როდესაც დამშვიდდა ყველა და ყველაფერი უშანგიმ უბრალოდ, გულწრფელად იკითხა: „ჩომ დილა, კაცო!“ და ეს „ჩომ დილა“ არა პარტნიორისადმი, არამედ მაყურებლისადმი იყო მიმართული — რა მოხდა: დიდი ამბავი თუ მე შემოვედი სცენაზეო, მაგრამ ეს ისე ბუნებრივად იყო თქმული, ისე სადად, რომ დარბაზში უფრო ძლიერი ტაში და შეძახილები გაისმა. და როცა ძლივს ჩამოვარდა სიჩუმე, უშანგიმ უფრო გაკვირვებულმა იკითხა: „ჩომ დილა, კაცო!“ ისევ ტაში, ისევ აღტაცება და რამდენჯერმე განმეორდა ერთი და იგივე; ყოველი ტაშის შემდეგ უფრო მეტად გაკვირვებული და უფრო მაღალ ტონში იკითხავდა ხოლმე „ჩომდილაო!“ და კიდევ და კიდევ...

როგორც იქნა შეწყდა ოვაციები და მიეცათ საშუალება იმ სცენის ჩატარებისა. ჩატარდა სცენა და დადგა ჩემი გასაჭირი. გავედი სცენაზე და წავდექი უშანგი ჩხეიძის წინ. ვიდექ მასთან პირისპირ და ვღელავდი, ისე ვღელავდი, რომ ეხლაც არ მახსოვს ვთქვი რამე თუ არა, მაგრამ მითქვამს, თურმე მითქვამს სათქმელი და სწორადაც, მაგრამ მეტად საცოდავი გამომეტყველება მქონია და თურმე ძალიანაც ვღელავდი. და აი, უშანგიმ მეგობრულად დამადო ხელი მხარზე და მითხრა: „ჩომ დილა, კაცო!“ ამ „ჩომდილათი“ მითხრა: „რა იყო, რამ შეგაშინა, რამ შეგაშფოთა? დამშვიდდიო! და მე გავბედე, ჩავხედე არწივის თვალებში და იმ წამს დავმშვიდდი, ისე დავმშვიდდი, რომ მერეც, მრავალი წლის შემდეგაც არ მიგრძნია თავი სცენაზე ისე თავისუფლად, როგორც მაშინ. ამბობდნენ: უშანგისთან ადვილია თამაში, რადგან ძალიან კარგი პარტნიორიაო.

მას შემდეგ 41 წელიწადი გავიდა და ეხლაც ვხედავ ხშირად მის თვალებს, რომლებიც მეუბნებიან: „დამშვიდდი, ბიჭიკო, ნუ ღელავ!“

□□

ვრცელი და შინაარსიანი სასცენო მოღვაწეობის გზა აქვს გავლილი რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს და ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს

გედევან ნავროზაშვილს, რომლის მსახიობად ჩამომყალიბებელი ნავთლუღის რკინიგზელთა კლუბი გახდა.

თვალწინ მიდგას არწივული მზერის, ახოვანი, ფიცხელი შემართების ახალგაზრდა კაცი, მაღალი ფიქრით, გატაცებით, სამშობლოს სიყვარულით გულანთებული და დაუმცხრალი...

მისი პირველი გამოსვლა სცენაზე სასკოლო წარმოდგენებით დაიწყო ხარაგოულში. მალე ოჯახი საცხოვრებლად ბათუმში გადადის (მამა რკინიგზის ოსტატი იყო და ხშირად უხდებოდა საცხოვრებელი ადგილის შეცვლა). აქაც სასკოლო წარმოდგენები და პირველი წარმატებით გამოწვეული სიხარული.

ახალგაზრდა ჭაბუკს მეტალისებური ტემბრის ხმა ჰქონდა, ამიტომ როლებსაც შესაფერისს ურჩევდნენ. მისი ამპლუა იყო დადებითი როლების განსახიერება. იგი ძირითადად მუშებსა და რევოლუციონერებს თამაშობდა.

მოსწავლე ნავროზაშვილი თავისი ბარიტონი ხმისა და კარგი მუსიკალური მონაცემების გამო სასკოლო გუნდშიაც წარმატებით გამოდიოდა და მსმენელის ყურადღებას იპყრობდა. იგი მღეროდა და თამაშობდა ემოციურად. სიმღერის სიყვარული გედევანს ბოლომდე შერჩა.

გ. ნავროზაშვილის პირველი სერიოზული ნათლობა მოხდა თბილისში, 1933 წელს, ნავთლუღის რკინიგზელთა კლუბის თეატრის სცენაზე.

იმ დროს, ისე, როგორც ყველა კლუბებში, ნავთლუღის კლუბშიაც სჩქეფდა შემოქმედებითი ცხოვრება. სისხლსავსე იყო ყველა წრის მუშაობა, მაგრამ ყველაზე პოპულარული საზოგადოებისათვის მაინც დრამწრის მუშაობა იყო.

ოცდაათიანი წლები აღორძინების, აღმაფრენის, რომანტიკული წლებია, თეატრები კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ ცხოვრებას. ისინი ძირითადად რომანტიკულ პიესებს დგამდნენ. ამ მხრივ არც ნავთლუღის კლუბის ძალზე ძლიერი დრამწრე რჩებოდა ვალში. მსგავსად პროფესიული თეატრებისა, იდგმებოდა მრავალმოქმედებიანი პიესები, როგორიც არის: ფ. შილერის „ყაჩაღები", კ. კალაძის „როგორ", ნ. შიუკაშვილის „სულელი", გ. ბააზოვის „მუნჯები ალაპარაკდნენ" და სხვ.

„ყაჩაღები" თბილისში პირველად ნავთლუღის კლუბში დაიდგა. გ. ნავროზაშვილი ამ პიესაში პატერს თამაშობდა, ხოლო კარლოსის როლს დასის წამყვანი მსახიობი ნიკალა ბახტაძე. მაღალი, ლამაზი, დიდი შინაგანი განცდების მქონე, ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული მსახიობი დიდი თეატრების სცენებსაც კი დაამშვენებდა. ის რომ თავისი ხავერდოვანი ხმით მონოლოგს წაიკითხავდა, მთელ დარბაზს იპყრობდა. მაყურებელი სულგანაბული მასთან

ერთად იწვოდა, მასთან ერთად იტანჯებოდა და მასთან ერთად იცრემლებოდა. პატერის როლის შემსრულებელი მსახიობი გ. ნავროზაშვილი „ყაჩაღებში" თავის მონაკვეთს რომ მორჩებოდა, ნ. ბახტაძის თამაშით მოხიბლული ფეხაკრეფით დარბაზში ჩავიდოდა, იქვე კუთხეში მიმალული გრძნობით უსმენდა კარლოსის როლის დიდებულ შემსრულებელს. „ძალზე ნიჭიერი კაცი იყოო,— იგონებს ახლა გ. ნავროზაშვილი და თან დასძენს — მაგრამ რა, თეატრისათვის კი დაიკარგაო.

ნ. ბახტაძის ძმა დათიკო იმხანად რუსთაველის თეატრის მსახიობი იყო, მალე ნიკალაც აქ მიიწვიეს, სტუდიაში ჩარიცხეს, მაგრამ ეს თავისებური ხასიათის მქონე მსახიობი დიდი თეატრის რეჟიმს ვერ შეეგუა, წავიდა იქიდან, შემდეგ ჯარში გაიწვიეს და ასე დაეკარგა სცენას დიდი მონაცემების მქონე მსახიობი.

„ყაჩაღებში" სხვა მონაწილეებიც იპყრობდნენ ყურადღებას, როგორიც არის შვეიცარის როლის შემსრულებელი — ა. მირზოევი, შპიგენბერგის — ა. გიგაური, ფონ მორის—ნ. ენუქიძე, ფრანტის — ა. უშვერიძე. ამ უკანასკნელი როლის შესრულება იმხანად დასში სახასიათო როლების შესანიშნავმა შემსრულებელმა მოსეშვილმა მოითხოვა. უარის გამო განაწყენებული დასიდან წავიდა.

ნავთლუღის კლუბში გ. ნავროზაშვილის მოსვლისას თეატრალური კოლექტივი, როგორც ზემოთ ითქვა, საკმაოდ ძლიერი და მრავალრიცხოვანი იყო. ბევრი სცენისმოყვარე ოჯახის წევრებით იყო ჩაბმული შემოქმედებით მუშაობაში. სამი და—ალექსანდრა, თამარი და თინა გურასაშვილები, თ. დაუშვილი, ა. კუნელაშვილი, კ. ენუქიძე, მისი ძმა მიშა მუდმივი სცენარიუსი და მოკარნახე იყო, ა. უშვერიძე, გ. აჯამოვია, ა. გიგაური, ს. ჯიოევი, ა. მირზოევი, ქ. ქოიავა, შ. კუხრაშვილი, კახელაშვილები, მაისაშვილები, შუბელაძეები და სხვ. აღსანიშნავია, რომ დასში მონაწილეობდა გ. ნავროზაშვილის მამიდა ნინო ნავროზაშვილი, ძველი სცენისმოყვარე, რომელსაც აქ მოსვლამდე ბევრჯერ უთამაშია თავისი ძმის, გიორგის რეჟისორობით გამართულ სპექტაკლებში, გორის, ქარელის, გრაკალისა და სხვა მუშათა კლუბების სცენებზე.

იმხანად, სასცენო მოწყობილობით ნავთლუღის კლუბი ღარიბი იყო. ამიტომ ტანსაცმლისა და სხვა საჭირო ნივთების მოტანა უხდებოდათ ვინმე აივაზოვიდან, რომელსაც საკმაოდ მდიდარი გარდერობი ჰქონდა კერძო მფლობელობაში. ასევე არ იყო ტექნიკური პერსონალის საშტატო ერთეული. კლუბს ჰყავდა ერთადერთი დარაჯი დიმიტრი პავლიაშვილი, კაცი მშრომელი და მრავალმხრივ უნარიანი. აფიშებსაც ის აკრავდა, დეკორაციებსაც ის აშენებდა, სცე-

ნის მემანქანეც ის იყო. რეკვიზიტორიც, გამნათებელიც. ამ საქმიანობაში მთელი დასი ედგა მხარში ამ უანგარო მშრომელს.

ნავთლუღის კლუბში იმჟამად მუშაობდა ნიჭიერი და გამოცდილი რეჟისორი საშა ლორთქიფანიძე. ნამდვილი სცენური ნათლობა გ. ნავროზაშვილმა ამ რეჟისორთან მიიღო. დამწყები მსახიობის ნიჭს რეჟისორმა სწრაფად აუღო ალღო და სულ მალე პატარა როლებიდან დიდ როლებზე გადაიყვანა.

შემდგომ პერიოდში გ. ნავროზაშვილს მუშაობა უხდებოდა რეჟისორ იოსებ გეთიაშვილთან, რომელიც, თავისი ბობოქარი ხასიათის მსგავსად, დროდადრო გრიგალივით შემოიჭრებოდა ხოლმე დრამწრის მუშაობაში. ტანდაბალი, ჯმუხი, ზარივით მჟღერი ხმის მქონე, რომელსაც სახალხო თეატრში მუშაობის დიდიხნის გამოცდილება ჰქონდა. ფრანც მოორის როლის შემსრულებელი, რომანტიკული გმირული პიესებით გატაცებული, კოლექტივის წევრებისაგან თამაშს ისე მოითხოვდა, როგორც პროფესიულ თეატრში. აქ კი როგორც ცნობილია, მონაწილეობდნენ რკინიგზის მუშები. რეპეტიციაზე მოდიოდნენ დაღლილ-დაქანცულნი, მიუხედავად ამისა, მთელი ენთუზიაზმით, მთელი გულისყურითა და დაინტერესებით იდგნენ შუაღამემდე რეჟისორის წინაშე და ასრულებდნენ ყოველგვარ მითითებას, რეჟისორი ი. გეთიაშვილი კი მეტისმეტს მოითხოვდა. რეპეტიციის დროს იყო კურიოზებიც: მზადდებოდა კ. კალაძის „ხატიჯე“. რეპეტიციაზე ნ. ბახტაძემ ვარსკვლავის მაგივრად მარსკვლავი წარმოთქვა: გაგულისებულმა რეჟისორმა რამდენჯერმე გაამეორებინა, მაგრამ მარსკვლავი მარსკვლავად დარჩა. ახლა თვით მსახიობი გაგულისდა და რეჟისორს უთხრა:

— რა ვქნა, ჩვენში ეგრე ამბობენ...

გ. ნავროზაშვილს სრულიად ახალგაზრდას კი მოხუცის როლი უნდა განესახიერებინა. რეჟისორი მასში ხალას ნიჭს ხედავდა და საათობით ამეცადინებდა ამ როლის სრულყოფისათვის. ქვედა ტუჩს კურდღელივით აცმაცუნებინებდა, შემდეგ კი სიტყვებს ათქმევინებდა, შეცბუნებული ყმაწვილი იდგა მრისხანე რეჟისორის წინაშე და მანამდე ვარჯიშობდა, სანამ მოხუცად არ გარდაისახებოდა.

რეჟისორი ი. გეთიაშვილი დიდი გატაცებით კითხულობდა ხოლმე მერეშკოვსკის „ბუდას“. საოცარი იყო ამ ნაწარმოების წაკითხვისას იგი. თვალს ვერ აშორებდა მაყურებელი, განსაკუთრებით ძლიერი იყო ის ადგილი, სადაც გლახა ბუდას მიმართავს: — არა, შენ სცდები... აქ ისე დასჭექავდა, რომ ჭერს ზანზარიც გაჰქონდა. რეჟისორმა ი. გეთიაშვილმა ამ ხმის შესატყვისად მიიჩნია გ. ნავროზაშვილის ძლიერი ხმა და კარგა ხნის განმავლობაში იმდენი აწვალა და წვრთნა, რომ ამ ნაწარმოების წაკითხვა საბოლოოდ მას გადაულოცა.

„ყაჩაღების" დადგმის შემდეგ თეატრალურმა კოლექტივმა მორიგ დადგმად განახორციელა კ. კალაძის „ხატიჯე". გულბაათის მთავარ როლს აქაც ნ. ბახტაძე ასრულებდა, ხატიჯეს კი თ. დაუშვილი თამაშობდა, რეკლამისათვის ამ პიესის აფიშაზე ხატიჯეს როლის შემსრულებელი იყო დახატული, გ. ნავროზაშვილი აქ გელვასის როლს დამაჯერებლად ასრულებდა.

ი. გეთიაშვილის წასვლის შემდეგ დასში მოიწვიეს რეჟისორი გიორგი ასიტაშვილი. ნავროზაშვილის ნიჭი არც ამ რეჟისორს გამოპარვია და მას უფრო დიდი როლების განსახიერება დააკისრა, ამგვარად, ახალგაზრდა მალე წამყვანი მსახიობი გახდა. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ს. ერთაწმინდელის მიერ ესპანეთის ამბებზე დაწერილი პიესა „უკანასკნელ ვაზნაში" ნავთლუღის რკინიგზელთა კლუბში პედრო ურიბეს მთავარ როლს გ. ნავროზაშვილი თამაშობდა, რუსთაველის თეატრის სცენაზე პიესა „ალკაზარში" პედრო კოროლს აკ. ხორავა ასრულებდა. ამ ორი ერთიმეორეს მსგავსი გმირების როლების სრულყოფილად განხორციელებისათვის იმხანად გაზეთ „პრავდაში" მოკლე რეცენზია დაიბეჭდა, ხოლო გაზეთმა „გუდოკმა" კი ვრცელი წერილი უძღვნა, სადაც გ. ნავროზაშვილი დამსახურებულად ქებით იყო მოხსენებული. შემდეგ დადგმად განახორციელეს კარაევის პიესა „შუქურა". ამ პიესაში გ. ნავროზაშვილი კოლპინის როლს ასრულებდა. პიესა ანსამბლური გამოვიდა. მონაწილეებიდან გამოირჩეოდნენ: მ. კამკამიძე, ბ. გიგაური, ა. კუნელაშვილი და ნ. კუპრაძე. ამ შეწყობილ ანსამბლთან კოლპინის ჯმუხი, გარეგნულად ძალიან მკაცრი, უხეშიც კი, მაგრამ შინაგანად გულალალი ტიპაჟი, გ. ნავროზაშვილმა ისე დამაჯერებლად წარმოსახა, რომ ქება დაიმსახურა როგორც მაყურებელში, ისე სტუმრად მოსულ რუსთაველის თეატრის მესვეურებში, როგორიც იყვნენ პ. კანდელაკი, დ. ძნელაძე და სხვ.

1937 წელს პუშკინის საიუბილეო დღეებში, დრამატულმა კოლექტივმა „ბოშების" ინსცენირება განახორციელა, სადაც ალეკოს როლს გ. ნავროზაშვილი თამაშობდა, ზემფირას—ნ. კუპრაძე, ბოშას — ნ. ბახტაძე. ამ ინსცენირებაში ალეკოს სიმღერა აქვს შესასრულებელი. გ. ნავროზაშვილი, როგორც კარგი ხმის მქონე, იმხანად ერევნიდან სტუმრად ჩამოსულ სიმღერის მასწავლებელს მიაბარეს. მეცადინეობა ჩინებულად მიდიოდა. მასწავლებელი გედევანის ხმით იმდენად მოიხიბლა, რომ ერევანში მიიპატიჟა სამუშაოდ, მაგრამ არ დაეთანხმა. რადგან დრამატულ თეატრში მუშაობა უფრო იზიდავდა, ვიდრე ოპერაში.

ასევე, გ. ასიტაშვილის რეჟისორობით დაიდგა ჯავახიშვილის „უკანასკნელი ღობე". მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს გ. ნავროზაშვილი უკვე ინსტიტუტში სწავლობდა და თავისუფალი დრო ნაკლები ჰქონდა, რეჟისორს უარი ველარ უთხრა და მისთვის ჩვეული ენერგიით შეუდგა როლის მომზადებას ა. კუნელაშვილთან და ს. კახელაშვილთან ერთად.

გ. ასიტაშვილის წასვლის შემდეგ თეატრალურ კოლექტივს სათავეში ჩაუდგა რეჟისორი გიგლა პაპავა, რომელმაც თავისებური რეფორმა მოახდინა წრეში. თუ აქამდე პიესის მომზადებისას რეჟისორები შემსრულებლებისაგან მოითხოვდნენ მათი მითითების მიხედვით მიზანსცენების ზუსტად შესრულებას მოძრაობის, ინტონაციისა თუ ყოველგვარ წვრილმანის დაცვით, მან სტუდიური მუშაობა დაიწყო. არავითარი ძალდატანება. ასეთი მეთოდი ბევრისათვის და მათ შორის გ. ნავროზაშვილისათვისაც დადებითი გამოდგა. რადგან უკვე იგრძნობოდა, თუ რა დიდი სხვაობაა ნამდვილ განცდასა და განცდით თამაშს შორის.

ა, დაიდგა ორი პიესა თანამიმდევრულად, „ჩემი მეომარი" და „ჩემი შვილი". გ. ნავროზაშვილი ორივე პიესაში მონაწილეობდა. ანსახიერებდა ლამბრისესა და ესტერაგის როლებს. ახალი მეთოდით აღფრთოვანებული მსახიობი თავისებური გაგებით ანსახიერებს ესტერაგის როლს. აი ციხეში ზის პაულ ესტერაგი, ხვალ სიკვდილით უნდა დასაჯონ, მის გარდა საკანში ორი ჯარისკაცია, სიკვდილმისჯილი პაული მათ ლექსს უკითხავს ტყისმჭრელებზე.

მოთქვამს დედა უნუგეშო გულით.

და ყრმის თვალში კრთება ცრემლი მოპარული.

იფრქვეოდა ნავროზაშვილ-ესტერაგის ბაგედან ეს სევდის მომგვრელი სიტყვები და იმ ადგილას სადაც „ყრმის თვალში კრთება ცრემლი მოპარული" შემსრულებლის თვალთაგან მართლაც იღვრებოდა ცრემლი და მასთან ერთად ტიროდა მაყურებელიც. იმდენად სჯეროდა შემოქმედს თავისი გამარჯვებისა, რომ მაყურებელთა ტირილი უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა. უმტკიცდებოდა რწმენა იმისა, თუ რა ძლიერი იარაღი ეპყრა ხელთ. ასევე ძლიერად ჩაატარა ნავროზაშვილმა პიესა „ჩემ მეომარში" ლამბრისეს როლი, რომელიც მსუბუქი კომედიის სახით არის წარმოდგენილი.

სამსახიობო მოღვაწეობასთან ერთად, ინსტიტუტში მეცადინეობაც ნორმალურად მიდიოდა, მაგრამ ავტომექანიკური ფაკულტეტი, რომლის მესამე კურსზედაც გ. ნავროზაშვილი იმყოფებოდა, დაიხურა და იგი იძულებული გახდა საორთქლმავლო სპეციალობაზე გადასულიყო. ეს დარგი ყმაწვილს არ იტაცებდა, ამიტომ, ერთი წლის შემდეგ, მოსკოვში გადავიდა საინჟინრო ეკონომიურ ინსტიტუტში, რის გამოც გამოემშვიდობა დროებით თავის საყვარელ თეატრალურ ხელოვნებას.

მოსკოველ სტუდენტს, ერთ დღეს, თავისი ყოფილი რეჟისორი გ. ასიტაშვილი შეხვდა. ეს შეხვედრა უფრო სასიხარულო გახდა იმით, რომ მათ მოსკოვში ჩასული აკაკი ხორავაც შემოხვდათ. მიპატიჟება ხორავას მიერ უცხო

მხარეში, ქართული სუფრა და გულთბილი საუბარი თეატრალურ საკითხებზე- აკაკი ხორავამ შესთავაზა ნავროზაშვილს თბილისში გადმოსვლა. იმხანად თბილისში თეატრალური ინსტიტუტი უნდა გახსნილიყო და იქ სწავლის დაწყება ურჩია. დიდი შემოქმედი ნათლად ხედავდა მასში დიდ სამსახიობო მონაცემებს და ამიტომაც იყო რომ დაჟინებით ეუბნებოდა: „შენ არტისტი ხარ, ნამდვილი არტისტი, რა შენი საქმეა ინჟინრობაო". უარით განაწყენებული აკ. ხორავა დაემშვიდობა მას, მაგრამ მოხდა მაინც ისე, რომ რაღაც მიზეზით დროებით სწავლა შეწყდა, ამით გულაცრუებული თუ თეატრის სიყვარულით შეპყრობილი ჭაბუკი ნავროზაშვილი 1939 წელს კვლავ თბილისში დაბრუნდა და მაშინვე თეატრალურ ინსტიტუტში მივიდა. ხორავას გაეხარდა საიმედო მომავლის მქონე ახალგაზრდის შემომატება და მიუხედავად იმისა, რომ სწავლა დაწყებული იყო, ა. ფალავას, ა. ვასაძის, მ. ძრევლიშვილისა და გ. ტოვსტონოგოვის შემადგენლობით სპეციალური კომისია შექმნა. მგზავრობით დაღლილ ახალგაზრდას მომზადების დრო აღარ ჰქონდა და კომისიას ჩვეული გატაცებით „ბუდა" წაუკითხა. ერთობლივი მოწონება დაიმსახურა და იგი თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. მიზანი თითქმის მიღწეული იყო, მაგრამ აქ სხვა წინააღმდეგობას წააწყდა. შვილის ინჟინრობაზე მეოცნებე მამა განაწყენდა — ინჟინრობის დიპლომი მომიტანე და მერე სადაც გინდა იქ წადიო.

ძნელი იყო მორჩილი შვილისათვის მამის ხათრის გატეხა. მართალია გედევანი სატრანსპორტო ინსტიტუტში აღარ დაბრუნდა, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გადასვლა გადაწყვიტა. მოეთათბირა აკ. ხორავას და მანაც მამის მსგავსი მოთხოვნა წაუყენა — თეატრს ნუ დატოვებ და სადაც გინდა საინჟინრო იქ დაამთავრეო. უჭირდა გ. ნავროზაშვილს ორ ადგილას მეცადინეობა, მაგრამ მონდომებამ თავისი გაიტანა...

მისი სტუდენტობის პერიოდში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს კარგი თეატრი ჰქონდა. რეჟისორ გ. ლომიას თხოვნით, სტუდენტი გ. ნავროზაშვილი მალე ამ თეატრის წამყვანი მსახიობი ხდება. იდგმებოდა ტურისა და შეინინის პიესა „გენერალური კონსული". კონსულის როლი ნავროზაშვილს დაევალა. ამავე დროს ეს პიესა უნივერსიტეტის თეატრშიც მზადდებოდა დასადგმელად. ამ ორ თეატრს შორის ერთგვარი შეჯიბრი იყო გამართული. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დადგმამ აჯობა, რაშიაც საკმაო წვლილი გ. ნავროზაშვილის კარგ თამაშსაც მიეწერება.

ამ დადგმას მალე „პატარა კახი" მოჰყვა. გ. ნავროზაშვილი ამ პიესაში თეიმურაზ მეფეს ანსახიერებდა. პიესაში მთელ რიგ ადგილებში სიმღერები იყო შესასრულებელი, განსაკუთრებით კარგად სრულდებოდა სულხანიშვილის

ქორალები: „ღმერთო, ღმერთო“, მთელი გუნდი მღერის მეფე კი მდუმარედ დგას. ამ სიმღერაში მეორე ბანის პარტიას კონსერვატორიის მესამე კურსის სტუდენტი, ლოტბარ გოგიტიძის ვაჟი ასრულებდა (მშვენიერი ხმა ჰქონდა). ერთ დღეს ავადმყოფობის გამო არ გამოცხადდა, სპექტაკლს ჩავარდნა ელოდა, რომ მხსნელად გ. ნავროზაშვილი მოევლინა. ლოტბარ გოგიტიძეს შესთავაზა ამ პარტიას მე ვიმღერებო. ლოტბარს ძალზე გაეხარდა, იქვე ამღერა, ცოტა შეუსწორა და წარმოდგენაც ჩინებულად ჩატარდა. სპექტაკლის შემდეგ ნავროზაშვილის ხმით აღფრთოვანებული გოგიტიძე ეუბნება—მუსიკის პედაგოგ ქამაკაშვილთან უნდა წამოხვიდე ხმის დასამუშავებლადო. ქამაკაშვილიც დიდად კმაყოფილი დარჩა ასეთი ტენორის აღმოჩენით და ჭაბუკს დაჰპირდა ჩემს კლასში ჩაგრიცხავო და სამ წელიწადში მეწისქვილეს გამღერებო. შეცბუნებულმა ყმაწვილმა შეთავაზება შორს დაიჭირა. საქმეში ჩაერივნენ ვრონსკი და შულგინა. იმათაც მოასმენინეს ნავროზაშვილის ხმა. შულგინამ უთხრა: „ახალგაზრდავ, მალე მეფისტოფელის პარტია უნდა შეასრულო“.

ასე დადიოდა თვეების განმავლობაში მუსიკით გატაცებული ჭაბუკი ქამაკაშვილთან. მაგრამ მოულოდნელად ვოკალური ხელოვნებისადმი ლტოლვა ერთმა მდგომარეობამ შეაცვლევინა.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპექტაკლის, თუ ნავროზაშვილის სცენური მონაცემების სანახავად ინსტიტუტს ეწვივნენ ვ. ანჯაფარიძე და ვ. ყუშიტაშვილი. მათ ისე მოეწონათ ნავროზაშვილის როგორც მსახიობური მონაცემები, ისე მისი გარეგნობა, რომ გადაწყვიტეს მაშინვე წარედგინათ თეატრის მაშინდელი დირექტორისათვის, რესპუბლიკის სახალხო არტისტ შ. ღამბაშიძისათვის. იგი დათანხმდა ყმაწვილის მიღებაზე, მხოლოდ ერთი პირობით: რადგან სეზონი ის-ის იყო იხურებოდა, ჯერ დიპლომი დაეცვა და სექტემბრიდან ჩარიცხავდა თეატრის დასში. ვ. ყუშიტაშვილი აიყვანდა რუი ბლაზის როლზე. ანჯაფარიძემ იგი ჭიაურელთანაც მიიყვანა, რომელიც იმ დროს გიორგი სააკაძეს იღებდა. ჭიაურელმა შეათვალიერა ჭაბუკი, მოეწონა და ლუარსაბის როლზე აიყვანა. სამი წყვილი ტანსაცმელი შეუკრეს, ხუთი კვირა ცხენებით ვარჯიშობდა ჰიპოდრომზე ს. ბაღაშვილთან და კ. ყარალაშვილთან ერთად. ასე მოულოდნელად ჩამოშორდა ვოკალურ ხელოვნებასა და მის მესვეურს, შემომწყრალ ქამაკაშვილს.

კინოკამერის წინ დგომაც არ დასცალდა ჭაბუკს, ომი გამოცხადდა. მან ყველაფერი მიატოვა და ჯარში წავიდა.

წარმოსადეგი გარეგნობისა და უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდას ჯერ უმაღლესი საოფიცრო კურსები დაამთავრებინეს, შემდეგ კიევის სატანკო ტექნიკური სასწავლებელი. დაიწყო მტკიცე სამხედრო დისციპლინი-

ანი ცხოვრება. დღენიადაგ წვრთნა, მზადება ფრონტზე წასასვლელად, ვერაგ მტერთან შესაბმელად. ბრძოლის ჟინითაა ანთებული გ. ნავროზაშვილიც. მასთან ერთად ნაწილში სულ შვიდი ქართველია. სამხრეთის მცხუნვარებაში აღზრდილ ყმაწვილებს უჭირდათ ჩრდილოეთის მკაცრ ყინვებთან შეგუება, მაგრამ სამხედრო წრთობა ასე მოითხოვდა.

და აი, 1941 წლის 31 დეკემბერია, სამშობლო მხარეს მონატრებული ახალგაზრდები მდუმარებას მოუცავს. უეცრად მათთან სხვა ეროვნების ამხანაგები მოვიდნენ და უთხრეს: „რადიო თქვენებურს მღერისო". სამშობლოს მონატრებული ბიჭები მისცვივდნენ რადიოს, ცრემლმორეული ყმაწვილები აჰყვნენ ნაცნობ მელოდიას, რადიოში სიმღერა დამთავრდა, მაგრამ ისინი მაინც განაგრძობდნენ სიმღერას. აღმოჩნდა, რომ ხმები თითქმის ყველას ჰქონდა. ეს ამბავი ნაწილის მეთაურამდეც კი მივიდა. მან მოისურვა ქართული სიმღერების მოსმენა. აღფრთოვანებული ჭაბუკები არ დაზარდნენ და გ. ნავროზაშვილთან ერთად, შ. კოზანაშვილმა, მ. გერმაზაშვილმა და ა. ოზიაშვილმა სახელდახელოდ კვარტეტი შეადგინეს და შესანიშნავი სიმღერები დააგუგუნეს. კმაყოფილმა მეთაურმა გ. ნავროზაშვილს უბრძანა: „ხვალიდან ბატალიონში ქართული გუნდი უნდა გვყავდესო". სხვა ბატალიონის ბიჭებიც შემოუერთეს, შეიკრა შვიდკაციანი გუნდი. მეთაურებმა სამეცადინო დროც გამოუყვეს და ქალაქში ოფიცერთა კლუბში დროდადრო წასვლის უფლებაც მისცეს. დაიწყო კონცერტები სასწავლებლებში, კლუბებში, ჰოსპიტლებში, გ. ნავროზაშვილი კარგი ხმის გამო ტრიოშიც მიიწვიეს, აქ კომპოზიტორობდა რიგითი ჯარისკაცი.

გ. ნავროზაშვილის ამ მიმართულებით მოღვაწეობა იმდენად თვალსაჩინო გახდა, რომ მას რუსული გუნდის შექმნაც დაავალეს. საქმის ენთუზიასტმა ამ საქმესაც ჩინებულად გაართვა თავი. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლე გოგონებიც აქ გადიოდნენ რეპეტიციებს. სრულდებოდა სიმღერები რუსულად, უკრაინულად, იდგმებოდა პატარ-პატარა პიესები და სკეტჩები. მთელი გატაცებით მიდიოდა შემოქმედებითი მუშაობა, რომლის მესაჭე გ. ნავროზაშვილი იყო. ურალის სამხედრო ოლქის ქართულმა გუნდმა პირველი ადგილი მოიპოვა. განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებდა ქართული ცეკვები „ხანჯლური" და „სახუმარო". რომელსაც შესანიშნავად ასრულებდა მ. გერმასაშვილი და შ. კოზანაშვილი. მაყურებელთა მოთხოვნით რამდენჯერმე უხდებოდათ სცენაზე გამოსვლა. ოვაციებს დასასრული არ ჰქონდა. განსაკუთრებით მოწონებას იმსახურებდა შ. კოზანაშვილი, როცა ქალურად ჩაცმული ქალურ ცეკვას ასრულებდა.

დუღდა და გადადუღდა „შემოქმედება". გ. ნავროზაშვილს ფრონტზე წასვლა უნდოდა, იგი კი ღრმა ზურგში იჯდა. ამ დროს ჯერ კურსანტების ოცე-

ული მისცეს, ჩამორჩენილი ჯარისკაცი ჰყავდა. თავდადებული მუშაობისათვის შვებულებით სამშობლოში გამოუშვეს. შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ ოფიცერთა ოცეული ჩააბარეს. ეს დაწინაურება არ აწყობდა ახალგაზრდა ოფიცერს, რადგან შვებულებიდან დაბრუნებულს ამხანაგები ფრონტზე წასულები დახვდნენ და მარტოდ გრძნობდა თავს.

ეს ის პერიოდია, როდესაც ნათელი გახდა წითელი არმიის გამარჯვება. მტერი იხევდა თავის ბუნაგისაკენ. საბჭოთა სარდლობის შესაბამისი ბრძანებით ბევრი უმაღლესდამთავრებული ზურგის საქმიანობას დაუბრუნდა. და აი გ. ნავროზაშვილიც, ფრონტის ნაცვლად მოსკოვიდან პირდაპირ ირანში მდგომ ნაწილში გადაგზავნეს. ირანში ყოფნის პერიოდი გ. ნავროზაშვილისათვის იმითაც არის დაუვიწყარი, რომ მანამდე წევრობის კანდიდატი, მშობლიური პარტიის წევრი გახდა.

სასცენო ხელოვნებას მოწყურებული ახალგაზრდა, მისმა მეგობარმა მიშა ენუქიძემ (ძველი მოკარნახე, ამჟამად ექიმი) თავის ბიძასთან, გრიშა პავლიაშვილთან მიიყვანა, რომლის დახმარებით ვიქტორ ნინიძემ სანკულტურის თეატრში ჩარიცხა. ახალ ატმოსფეროში მალე ავტორიტეტი შეიქმნა, პარტიის წევრი და სამხედრო წრთობა გამოვლილი აქ პარტორგანიზაციის წევრი გახდა.

ამ თეატრში მან მცირე როლით დაიწყო მოღვაწეობა, პიესა „პლატონ კრეჩეტში“ მიიღო მონაწილეობა, შემდეგ აკ. კერესელიძის „მეგობრობაში“ პოლკოვნიკ ივანოვზე დუბლიორად დანიშნეს: მაგრამ პრემიერაზე გამოსვლა მაინც მას ხვდა წილად, ამ როლის სრულყოფილად განხორციელებამ მას რუსთაველის თეატრისაკენ გაუხსნა გზა. გ. ბერძენიშვილის ქებამ აკ. ხორავამდე მიაღწია. იგი სპეციალურად მივიდა სპექტაკლის სანახავად. მოეალერსა მის ყოფილ სტუდენტს, გვერდით მოისვა და სურათი გადაიღო. მეორე დღეს კი ს. ჭელიძის მეშვეობით რუსთაველის თეატრში მიიყვანეს. ს. ჭელიძის რეჟისორობით თითქმის დასადგმელად გამზადებულ „ქეთევან დედოფალში“ მთავარი მოქმედი გმირის, ქაიხოსროს როლი შესთავაზეს. მოკრძალებულმა ყმაწვილმა ამ როლზე უარი განაცხადა. შეშინდა, დრო ცოტა იყო მოსამზადებლად და სხვა როლით ჩაირიცხა თეატრში.

დაიწყო შემოქმედებითი წვა. თანაკურსელებიდან აქ იყვნენ: მ. ჩახავა, კ. ვაჩნაძე და სხვები. კაპიტანი ხოჯსონი იყო მისი სადებიუტო როლი „არწივის ბუდეში“, რომელსაც მთელი სანკულტურის თეატრი დაესწრო. დადგმები დადგმებს მისდევდა და გ. ნავროზაშვილიც მუდამ თვალსაჩინო როლების კარგი შესრულებით საერთო აღიარებას იმსახურებდა. აღსანიშნავია, ჭაბუკი ჭორტანელიძე „ხევის ბერ გოჩაში“, მიტროხინი „არსენაში“, ოდოევსკი „დიდ ხელმწიფეში“, ხმელნიცკი „დიდი მომავლისათვის“ და სხვ. რუსთაველის

თეატრში მან ორმოცდაათამდე როლი შეასრულა. შემოქმედებითი შრომის პარალელურად იგი საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. თეატრის კოლექტივმა ადგილკომის თავმჯდომარედ და ხელოვნების მუშაკთა კავშირის, წევრად აირჩიეს. სცენა კი მუდამ მისი სტიქია იყო. ამიტომ იყო, რომ კ. სიმონოვის პიესა „სხვის ჩრდილში“ პროფესორ ოკუნევის როლის მშვენივრად შესრულებისათვის აკაკი ხორავას ქება დაიმსახურა—შენ და ნინა რომ არ თამაშობდეთ ამ სპექტაკლში, არაფერი იქნებოდაო. ამ როლს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ერშოვი თამაშობდა „მხატ-ში. ოლგა ანდოვსკაიას ორივე ენახა და გ. ნავროზაშვილის ოკუნევი უფრო ადამიანური და საინტერესო მოსჩვენებოდა, რაც თავის მეგობარ კრიტიკოს, დ. მარკოზაშვილს, წერილში მისწერა. მსახიობის ეს ნამუშევარი მაღალ დონეზე შეაფასა საზოგადოებრიობამ. სახელმწიფო უნივერსიტეტში მოაწყეს ამ პიესის გარჩევა, სადაც ჯერ სიტყვით გამოიყვანეს გ. ნავროზაშვილი და შემდეგ ოვაციები გაუმართეს. ასევე, არანაკლები შეფასება დაიმსახურა მსახიობის მიერ ხორცშესხმულმა სხვა როლებმაც, როგორიც არის: ვაჭარი „ქორწინებაში“, პოლკოვნიკი ვადბოლსკი — ვიშნევსკის „1919 წელში“, პოლკოვნიკი — „იმათ მხარში“, ბიბოედოვი (ამ როლსაც ერშოვი თამაშობდა „მხატ“-ში) მ. გორკის „მტრებში“ და სხვ.

1952 წელს თეატრის ახალგაზრდა მსახიობებმა ვ. კინწურაშვილმა და თ. ტატიშვილმა გ. ნავროზაშვილს შესთავაზეს საზაფხულო გასტროლებში მიეღო მონაწილეობა. ნავროზაშვილი დაეთანხმა და დაიწყეს ნ. არეშიძის პიესის მზადება, რომლის პირველ აქტში კლასიკური პიესიდან თეთრ ლექსად დაწერილ ნაწყვეტს გ. ნავროზაშვილი ასრულებდა. პიესის ეს გმირი პოეტი იყო, როლი მეტად რთული განსახორციელებელი. ახალგაზრდებმა მთელი გატაცებით იმუშავეს. და როცა პიესა მომზადდა, კონსულტაციისა და პიესის დახვეწისათვის მოიწვიეს რეჟისორი შ. მესხი. ახლა სამხატვრო საბჭოს მიერ გასინჯვა და ნებართვის მიღება იყო საჭირო და აი, ერთ მშვენიერ დღეს ახალგაზრდები უგრიმოდ წარსდგნენ სამხატვრო საბჭოს წინაშე, რომელსაც ოცამდე წევრი ესწრებოდა. მათ შორის აკ. ხორავა, აკ. ვასაძე, დ. ალექსიძე, დავითაშვილი, რეჟისორები და მსახიობები. ნავროზაშვილი მხოლოდ პირველ მოქმედებაში გამოდიოდა, თამაშობდა ყოველგვარი მღელვარების გარეშე და შესრულებაც ჩინებული გამოუვიდა. გამოირკვა, რომ რეჟისორმა შ. მესხმა სამხატვრო საბჭო განზრახ შეკრიბა, რათა ხორავას ენახა ნავროზაშვილის თამაში. მოწონებამ საზღვარს გადააჭარბა. მის კარგ შესრულებაზე მეორე დღესაც გრძელდებოდა ბაასი თეატრში, ხორავა აღტაცებას ვერ ფარავდა და სახალხოდ აცხადებდა — ვინ თქვა გმირი არ გვყავსო და თვით ნავროზაშვილს ეხუმრა:

— შენ იცი რა, სტანისლავსკობას თავი დაანებეო. ნავროზაშვილისადმი ხორავას დიდი სიმპათია იმითაც დამტკიცდა, რომ მან რეჟისორს შ. მესხს მოუხმო და უთხრა, რომ მისთვის კარლოსის როლი დაეკისრებინა. ამჯერადაც შეცბუნ-და მსახიობი და წინამორბედს შეჰკადრა — როგორ გეკადრებათ, მე თქვენმა კარლოსმა მომიყვანა თეატრში და თქვენს შემდეგ კარლოსის როლი, აბა, რო-გორ იქნებაო — იქნები და ძალიან კარგიც იქნები, დაიწყეთ რეპეტიციებიო, მტკიცედ უთხრა ხორავამ. ნავროზაშვილი მაინც უარზე იყო და თავის დასაღ-წევად ისიც მოიმიზეზა, რომ ათი რეპეტიციით ასეთ რთულ როლზე ვერაფერს გავხდებიო. ხორავამ კვლავ მტკიცე პასუხით გააჩერა ახალგაზრდა და მასთან ერთად მანაც დაიწყო მუშაობა შ. მესხთან.

მთელი მონდომებით მუშაობდა გ. ნავროზაშვილი რუსთაველის თეატრში და აი მოულოდნელად კვლავ მოუხდა თბილისის დატოვება, მას ფოთის თეატ-რის დირექტორობა შესთავაზეს. ამ საკითხზე ფოთიდან ქალაქკომის პირველი მდივანი ი. ზარანდიაც იყო ჩამოსული თბილისში. ამ დროს ა. ხორავა ალბა-ნეთში იყო მიწვეული გადაღებაზე. ვასაძემ კი ნავროზაშვილის გაშვებაზე უარი განაცხადა, ხორავამ დამიბარა — არ გაუშვაო. თუმცა რამდენიმე დაჟი-ნებული მოთხოვნის შემდეგ იგი ფოთის თეატრის დირექტორი გახდა.

გ. ნავროზაშვილს ფოთში სულ ახალი დაწყებული ჰქონდა მუშაობა, რომ ალბანეთიდან საკმაოდ ვრცელი დეპეშა მიიღო, რომლითაც ხორავა მას თან ულოცავდა დირექტორობას და თან საყვედურობდა.

ფოთის თეატრის დირექტორად მან წელიწადნახევარი იმუშავა, პარალე-ლურად იგი დადგმებშიაც მონაწილეობდა. „პლატონ კრეჩეტი" თვითონ დადგა და პლატონიც თვითონვე ითამაშა. ეს სრულიად შემთხვევით მოხდა, როლი რ. ბარამიძეს უნდა შეესრულებინა, მაგრამ იგი ამავე დროს სხვა პიესაში იყო დაკავებული, სახელდობრ ვ. გაბისკირიას „უფსკრულთან", რო-მელსაც ფოთელებისათვის საყვარელი მსახიობი და რეჟისორი თეიმურაზ ლორ-თქიფანიძე დგამდა. იგი ამ პიესის დასადგმელად სპეციალურად იყო მიწვე-ული. ამგვარად რ. ბარამიძის არყოფნისას პლატონის სიტყვებს ნავროზაშვილი აწვდიდა და ეს ისე ჩვეულებრივად მიდიოდა, რომ როლი თავისთავად მომზად-და, რეპეტიციაზე მოსულმა რ. ბარამიძემ ამ როლის თამაში აღარ სცნო საჭი-როდ და მის მაგივრად გ. ნავროზაშვილი წარსდგა მაყურებლის წინაშე. აი ლიდა და არკადი პლატონის ოთახიდან გადიან, არკადისაგან წაქეზებული ლი-და შეძრწუნებულია, (ვითომ პლატონმა მამა მოუკლა, ოპერაცია არ უნდა გა-ეკეთებინა) ისეთი შეშფოთებული გადის, რომ ყვავილები ხელიდან უცვივდება. პლატონი სასოწარკვეთილებაშია. ლიდაც დაკარგა და ცილიც დასწამეს. ის, რისთვისაც დიდი ხანია იბრძვის, მასზე ოცნება გაუქარწყლეს, დაცვენილ ყვა-

ვილებს იღებს, წაბარბაცდება და თავი რომ შეიკავოს კარადას მიადებს ხელს, სწორედ იმ ადგილას, სადაც შუშა ამოღებულია, ხელი შიგნით თაროზე დადებულ თავის ქალას მოხვდება (ასე დამალული თავის ქალა მხოლოდ ფოთის თეატრში იყო. სხვა თეატრებში თავის ქალა თვალსაჩინოდ მაგიდაზე იდო). იგრძნო რა ქირურგის თითებმა თავის ქალა და მას თან წამოყვა. ერთ ხელში ვარდით (სიცოცხლე), მეორეში თავის ქალით იწყებოდა ცნობილი მონოლოგი თავის ქალასთან, შემდეგ დედის მოხვევნა, ბერესტის შემოსვლა და კრეჩეტის გასვლას ნავროზაშვილი ისე აკეთებდა, თითქოს მისი კრეჩეტი გარბოდა, ეს მაყურებელზე ძალზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა და ხანგრძლივ ოვაციას იწვევდა.

სხვა თეატრებში ტაში იმ ადგილებში იწყებოდა, სადაც კრეჩეტი ამბობს: „სახალხო კომისართა სიცოცხლე უზრუნველყოფილია". ფოთის თეატრმა აქცენტი ოპერაციის შედეგზე კი არა, სიკვდილთან შესაბრძოლებლად წასვლით გადაწყვეტაზე გადაიტანა, არკადის სახეც სხვანაირად აჟღერდა სპექტაკლში, უფრო ადამიანური გახდა. მას სწამს და ამიტომაც იბრძვის.

ნავროზაშვილმა ფოთის თეატრში „უდანაშაულო დამნაშავეებში" მუროვის როლიც შეასრულა და კარგი შეფასებაც დაიმსახურა. ფოთში ნავროზაშვილის ჩასვლამდეც ძლიერი დასი არსებობდა და შემდეგ უფრო გაძლიერდა. მისი თაოსნობით დადგმებზე საუკეთესო რეჟისორებს იწვევდნენ. ვ. ყუშიტაშვილი, თ. ლორთქიფანიძე, მთავარი რეჟისორი კი აკ. გამსახურდია იყო. მის მიერ დადგმული „ცეკვის მასწავლებელი", „ალანიძს ოჯახი" და „მელია და მისი კუდი", ისე როგორც ვ. ფაჩულიას მიერ დადგმული „დონ სეზარ დე ბაზანი" ფოთელებს ახლაც ახსოვთ.

1955 წლიდან გ. ნავროზაშვილი სამუშაოდ გორში გადადის, სადაც 11 წელი იმუშავა, თერთმეტი სეზონი მისი ნაყოფიერი მუშაობით აღინიშნება. მან მთავარი ყურადღება კარგი რეჟისორების, მხატვრების, კომპოზიტორების მიერ განხორციელებულ დადგმებზე გადაიტანა. ამიტომ იყო, რომ გორის თეატრის ხშირი სტუმრები და მოჭირნახულენი იყვნენ ცნობილი რეჟისორები: ვ. ყუშიტაშვილი, ლ. იოსელიანი, ი. კაკულია, შ. ქარუხნიშვილი, ს. ვაჩნაძე, რომელიც განსაკუთრებით კარგად მუშაობდა გორკის პიესებზე, ვ. მაღლაკელიძე, ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორი ვ. ფაჩულია, გ. სეფისკვერაძე, ნ. დემეტრაშვილი, ვ. მოდებაძე და სხვ. მხატვრები: კ. კაკალაშვილი, დ. მირიანაშვილი, შ. ჟორჟოლაძე, ივ. ასკურავა, თ. სამსონაძე, მთ. მხატვარი შ. ხუციშვილი, ნ. ყაზბეგი, თ. თაყაიშვილი, დ. თავაძე და სხვ კომპოზიტორები: ს. მირიანაშვილი, შ. მილორავა, ლ. იაშვილი, მ. დავითაშვილი, კ. მეღვინეთუხუცესი.

კარგმა რეჟისორებმა, მხატვრებმა, კომპოზიტორებმა, მშვენიერმა დასმა და

რაც მთავარია ორიგინალურმა საინტერესო რეპერტუარმა, თეატრი გამოაცოცხლა, მაყურებლისათვისაც საინტერესო გახადა, რესპუბლიკის მოწინავეთა თეატრების რიგში ჩააყენა.

გ. ნავროზაშვილის გორში მოღვაწეობის პერიოდში დაიდგა: „არსენა მარაბდელი", „წიწამური", „დ. გურამიშვილი", მ. გორკის „ზიკოვები", გ. ზაპოლსკაიას „პანი დულსკაიას მორალი", ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი", ო. ჩხეიძის „ვისია, ვისი", ლოპე დე ვეგას „ცეკვის მასწავლებელი", ვ. გაბისკირიას „შრიალებენ ვერხვები", მ. მრევლიშვილის „ზვავი", რ. ნეშის „წვიმის გამყიდველი", ო. იოსელიანის „ადამიანები იბადებიან ერთხელ", კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი", ა. სუმბათაშვილის „ღალატი", ა. გიმერას „კაცი და მგელი" (ნავროზაშვილის თარგმანით), ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხი" და სხვ. ამ პიესებით გასტროლები ბრწყინვალედ ჩატარდა თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდში, მახარაძეში, ფოთში, თელავში, რუსთავში, ტყიბულში, ჭიათურაში, ზესტაფონში და სხვა რაიონულ ცენტრებში. პრესაც და მაყურებელიც ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ გორის თეატრი ძალზე საინტერესო, მაღალმხატვრულ დონეზე მომზადებულ პიესებს უჩვენებს და მტკიცედ აგრძელებს ასწლოვან ტრადიციებს, ამართლებს სახელს. სახელი კი მართლაც დიდი ჰქონდა და 100 წლის იუბილეც დიდ საზეიმო ვითარებაში ჩატარდა 1965 წლის ნოემბრის თვეში.

გ. ნავროზაშვილი გორში მუშაობის პერიოდში ხშირად, ორშაბათობით ჩამოდიოდა თბილისში და მარჯანიშვილის თეატრის დადგმებშიაც იღებდა მონაწილეობას. აქ მან შეასრულა „არსენა მარაბდელში" — არსენა, „ბახტრიონში" — ქადაგი, „ღალატში", — ოთარ ბეგი, „სასტუმროს დიასახლისში" — რიპოფრატა, „ლენინში" — ვასილი, ძალზე საინტერესოდ გამოუდიოდა ა. მილერის „კომივოიაჟერის სიკვდილში" ვილი ლომენის როლი, რომელიც თ. ლორთქიფანიძის რეჟისორობით უნდა დადგმულიყო, მაგრამ მისი გარდაცვალების გამო დადგმა არ განხორციელდა.

ფოთში და გორში ყოფნისას გ. ნავროზაშვილი რამდენჯერმე იყო არჩეული საქალაქო საბჭოს დეპუტატად. ღირსეულად დაფასდა მისი ღვაწლი: 1961 წელს დამსახურებული არტისტის, ხოლო 1965 წელს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა.

1966 წელს გ. ნავროზაშვილი გორიდან თბილისში გადმოიყვანეს საქართველოს საგუნდო საზოგადოების პირველ მოადგილედ.

1967 წელს მისი ინიციატივით, საგუნდო საზოგადოება მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ საზოგადოებად გადაკეთდა, რომლის წესდებაც და პროგრამაც თვითონვე შეადგინა.

1969 წელს კინორეჟისორებმა ნ. და შ. მანაგაძეებმა, კინოსურათ „მოლოდინში“ მთავარი როლის შესასრულებლად მიიწვიეს. მომდევნო წლიდან იგი კინოხელოვნების მესვეური გახდა და სამსახიობო სტუდია ჩამოაყალიბა, 1971 წლიდან 1973 წლამდე აღდგენითი და დუბლირებული ფილმების წარმოების დირექტორია. 1973 წლიდან კი რეჟისორი. თარგმნა რამდენიმე დუბლირებული ფილმის სინქრონული ტექსტი („დაცემის კუთხე“, „კოლონა“ და სხვა).

ამ საქმიანობით გატაცებულმა გ. ნავროზაშვილმა, მოკლე პერიოდში, სხვა მნიშვნელოვანი საქმიანობის პარალელურად, 13 სურათის დუბლაჟის გაკეთება შეძლო. მათგან განსაკუთრებულად აღსანიშნავია „ნადეჟდა“ ფილმი კრუპსკაიასა და ლენინზე. სასცენო და კინოხელოვნების მოტრფიალე შემოქმედმა, ამ ბოლო წლებში თხზულებათა თარგმანებზედაც სცადა თავის ნიჭის ძალა სრულყოფილად ნათარგმნი აქვს ო. გემეზის „ჩემი მეგობარი თეატრი“. ამჟამად თარგმნის ჰ. სტენლის „აფრიკის ჯუნგლებში“.

სამამულო ომში მონაწილეობისათვის მებრძოლი და ხელოვანი დაჯილდოებულია საბრძოლო მედლებით „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“, „სამამულო ომის 20 წელი“ და „სამამულო ომის 30 წელი“.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ნავთლუღის რკინიგზელთა თეატრალურ კოლექტივში აუდგამს ფეხი, ამჟამად რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ე რ ვ ა ნ დ ა რ ა ქ ე ლ ო ვ ს ა ც. ჯერ მწყემსის როლი განუსახიერებია, ხოლო შემდგომში ვანო ბერდიაშვილის როლი შეუსრულებია პოლიო ირეთელის პიესაში „დამარცხებულნი“ და მაყურებლის ყურადღება დაუმსახურებია.

1929—1930 წლებში კი ნავთლუღის კლუბთან არსებულ სცენისმოყვარეთა წრეს ჩადგომია სათავეში, შემდეგ ხაშურის რკინიგზის კლუბთან არსებულ ნახევრად პროფესიულ თეატრში გადაუნაცვლია, ხოლო 1939 წლიდან სამუდამოდ დაკავშირებია ქართლის გულს, გორში ახლად გახსნილ თეატრს, რომელსაც რეჟისორი პავლე ფრანგიშვილი ედგა სათავეში.

აქედან დაწყებულა მსახიობის შემოქმედებითი გამარჯვებებით აღსავსე წლები. ამ ხნის მანძილზე ერ. არაქელოვს 200-მდე სხვადასხვა სახე გამოუძერწავს. მის მიერ განსახიერებული როლები ძირითადად დრამატული ხასიათისაა და უნდა ითქვას, რომ ამ ჟანრში მოიპოვა წარმატება. ასეთი როლების შესრულებით არაერთხელ მიუნიჭებია მსახიობს სიამოვნება და სიხარული. მაყურებლისათვის. ამის შესახებ აი რას ვკითხულობთ:

„აი ზოგიერთი მათგანი:

დაუვიწყარია ე. არაქელოვის არიგო პალმიერი (პ. ჯიაკომეტის „დამნაშავე ოჯახიდან“). იგი მებრძოლი ათეისტი იყო, კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ ამხედრებული, მაღალი ზნეობისა და მორალის მქონე ჰუმანისტი.

ამილახვარის როლში (ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“) ერ. არაქელოვმა შექმნა ვერაგი ფეოდალის კოლორიტული სახე, რომელიც სპექტაკლის დუღაბივით შეკრულ ანსამბლს კიდევ უფრო მეტ ლაზათს ჰმატებდა.

ერ. არაქელოვმა ჩვეული სიწრფელითა და უშუალობით განასახიერა ძველი კომუნისტი სოლომონ კეთილაძე (ლ. მილორავას „კერპჯიუტა“).

თინიბეგ უთურგაულში (მ. მრევლიშვილის „ზვავი“) მსახიობმა დიდი უშუალობით წარმოსახა ახალ ცხოვრებასთან ცბიერად შეგუებული ბოროტი ადამიანი, რომლის არსებას ღრღნის პატივმოყვარეულობისა და კარიერიზმის ჭია. იგი ნამდვილად იყო „ყაყაჩოსავით გულშავი და ლოყებღაჟღაჟა“ გაიძვერა.

არსენას მამა, ცალთვალა დევი-ღვთისავარი (მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“), ერ. არაქელოვის შესრულებით, ერთი შეხედვით, ცივი ადამიანი იყო, რომელსაც არ სჩვეოდა სიყვარულის პირდაპირი გამჟღავნება შვილისადმი, მაგრამ მაყურებელი კარგად გრძნობდა თუ რაოდენი შინაგანი სიყვარულით იყო გამთბარი ამ მოხუცის ბუნება და არც იმაში შეჰპარვია ეჭვი, რომ არსენასებური გმირის გამოზრდა მხოლოდ ასეთ მშობელს შეეძლო.

დიდხანს დაახსომდა გორელ მაყურებელს ერ. არაქელოვის ბიძია თომა (ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხი“). მსახიობმა ყველაფერი გააკეთა, რომ მაყურებლამდე მიეტანა ბიძია თომას გულის სითბო. მას ყველაფერი გამოაცალეს ხელიდან, მაგრამ ადამიანობა მაინც შერჩა სიკვდილამდე. ასე გააცოცხლა არაქელოვმა ბიძია თომა და ეს სახე ერთ-ერთ თვალსაჩინო მიღწევად დარჩა მის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში.

დაუვიწყარი იყო ერ. არაქელოვის გორა პაპა (გ. ბერძენიშვილის „გული ხელის გული“), იგი ნარიყალასავით ფუძეჩაკრული მოხუცი იყო, რომელსაც შესისხლხორცებული ჰქონდა ყოველივე ვაჟკაცური, ადამიანური, და ამ თვისებებსავე ეწირება მსხვერპლად, როცა მათი დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგა.

ოდოარდო გალოტის როლში (ლესინგის „ემილია გალოტი“) ერ. არაქელოვმა ჩვეული ოსტატობით გამოძერწა ქალიშვილის ბედით აფორიაქებული მამის სახე. მისი ოდოარდო უმცირეს დეტალებამდე დახვეწილი თამაშითა და ფსიქოლოგიური განცდების მრავალფეროვანი ნიუანსების გადმოცემით გამოირჩეოდა.

კიდევ შეგვეძლო გაგვეგრძელებინა მსახიობის მიერ შესრულებული როლების დახასიათება, მაგრამ ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა, რადგან მათი რიცხვი, როგორც ზემოთ ვთქვით, 200 აღწევს.

ერ. არაქელოვი ერთ-ერთი იმათთაგანია, ვინც ძილში თუ ცხადლივ მხოლოდ

სცენით ცოცხლობს, ვისთვისაც ძვირფასია სპეციფიკური სურნელებით შეზავებული ჰაერი სცენისა, რომლის მაგნიტური არე ძალუმად იზიდავს ყველას, ვისაც ერთხელ მაინც გაუვლია მის ბოგირბანზე.

მაგრამ არაქელოვს, თეატრის გარდა ერთი სხვა საუნჯეც გააჩნია, ეს არის ქ. გორი. იგი გულთამხილველის დაუძლეველი გრძნობით არის შეყვარებული ამ ქალაქზე.

მსახიობის პირად არქივში თავმოყრილია რაიონულ და რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მისი წერილები, იუმორისტულ-სატირული შინაარსის ლექსები და ფელეტონები, რომლებშიც ძალუმად იგრძნობა მშობლიურ ქალაქზე შეყვარებული მამულიშვილის მგზნებარე გულისცემა. მათში იგი დადებითს ქება-დიდებით იხსენიებს, ცუდსა და უარყოფითს კი კიცხავს.

აი გორის რაიონული გაზეთიდან ამოჭრილი ერთი ცნობა. „...გორში დამკვიდრების თითქმის პირველ დღეებიდანვე, 1939 წლის შემოდგომიდან, ე. არაქელოვი სხვადასხვა დროს სათავეში ედგა დრამატულ წრეებს გორის კულტურის სახლში, რკინიგზელთა და ფეიქართა კლუბებში, ქალაქის უმეტეს სკოლებში. სცენისმოყვარულთა ძალებით მან განახორციელა ათობით პიესის დადგმა. მათ შორის შ. დადიანის „გეგეჭკორი“ და „შენი ჭირიმე“, ა. ყაზბეგის „არსენა“, ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ და „ციმბირელი“, ვ. გუნიას „ორი გმირი“, მიხ. მრევლიშვილის „ხარატაანთ კერა“ და სხვ.

ენთუზიასტი ხელოვანის კალამს ეკუთვნის ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობის“ პირველი გასცენიურება, ეს პიესა გორში რამდენიმე დრამატულმა წრემ ითამაშა. ხოლო მისი „ჯორზაქარა“, რომელიც ისცენირებულია ს. მგალობლიშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით, გორის სახელმწიფო თეატრში დაიდგა.

ამ წერილში ღვაწლმოსილი მსახიობისა და მოქალაქის, რომელსაც 80 წლისთავი შეუსრულდა, შინაარსიანი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მხოლოდ ზოგიერთ შტრიხს შევეხეთ, და იგი გვინდა დავამთავროთ ერ. არაქელოვისავე სიტყვით, რომელიც თავისი მინიატურების ციკლში აქვს შეტანილი:

შენს საქმეს თვითონ ფასს ნუ დაადებ,
ხალხი თვით ხედავს კარგს და საჩინოს.
შენ კარგი ჰქმენი, დაგაფასებენ,
საქმენმან შენმან გამოგაჩინოს[1].

□□

ნიჭიერი სცენისმოყვარე თამარ გვენეტაძე-პაპინაშვილი მესამე კლასის

---

[1] ჟურ. „თეატრალური მოამბე“, 1974, № 1, გვ. 28.

მოსწავლე იყო, როცა ნავთლუღის რკინიგზელთა კლუბის დრამატულ წრეში ეზიარა პირველად სასცენო ხელოვნებას. ი. გეთიაშვილის მიერ დადგმულ „გოგია უიშვილში" ეპიზოდური როლის შესრულება დაავალეს და დაკისრებული ამოცანა პირნათლად შეასრულა.

ამას მოჰყვა გ. პაპინაშვილის რეჟისორობით დადგმული პიესა „კომბლე", სადაც თ. გვენეტაძე ბავშვის როლს ასრულებდა. გადიოდა დრო და თანდათან იზრდებოდა სცენისმოყვარის შემოქმედებითი პოტენცია. თავისი შემოქმედების მოღვაწეობის გრძელ მანძილზე თ. გვენეტაძე-პაპინაშვილის მიერ შესრულებულ როლებიდან მაყურებლის გულწრფელ მოწონებას იმსახურებდა: „ქრისტინეში" მარიამი, „ცეკვა ბებუთში" ზაირა, „ჩემ მეომარში" ჟორჟეტა, „დედაში" დედა, „ხატიჯეში" ხატიჯე, „გლახის ნაამბობში" თამრო, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავში" პატარძალი, „ჩაძირულ ქვებში" მებუფეტე ქალი, „სადგურის უფროსში" პელაგია, „ბრმა მუსიკოსში" გაიანე, „გამარჯვებულში" დედა, „უდანაშაულო დამნაშავენში" კრუჩინინა.

1957 წელს თ. გვენეტაძე-პაპინაშვილი სამუშაოდ რუსთავის კლუბის თეატრალურ დასში გადავიდა. აქ მოამზადეს და დადგეს ლავრენევის პიესა „რღვევა", სადაც ბერსენევის როლისათვის მოიწვიეს ჩვენი სასიქადულო მსახიობი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ა. ხორავა. იმ საღამოს ტატიანას როლს თ. გვენეტაძე-პაპინაშვილი ასრულებდა.

კოლექტივის დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს გ. ასიტაშვილის მიერ ი. მოსაშვილის ოთხმოქმედებიანი დრამის „ჩაძირული ქვების" დადგმა.

ავტორს „ჩაძირულ ქვებში" ვილაეთის ცხოვრება აქვს აღებული, მაგრამ პიესაში ჩანს მასში აღწერილი ეპოქის დროინდელი მთელი თურქეთის სახე. ვილაეთის უფროსის აბდულ სადაჯისა და ჯონ რაიტის ურთიერთობაში მაყურებელი ხედავდა, თუ რას წარმოადგენდა სინამდვილეში მაშინდელი თურქეთი. ამერიკული იმპერიალიზმის თურქი ლაქიები მთლიანად და ნაწილ-ნაწილ ყიდდნენ თავიანთ ქვეყანასა და ხალხის ინტერესებს, ისინი უკავშირდებოდნენ ომის გამჩაღებელ ამერიკელ მტაცებლებს და მათთვის თავიანთ ტერიტორიაზე საომარ ბაზებს აშენებდნენ. ასეთ ვითარებაში თურქეთის მმართველებს განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჰყავდათ ამ ტერიტორიის მცხოვრებნი, კერძოდ ქართველები.

თურქები ყოველნაირად ცდილობდნენ. გაემაჰმადიანებინათ ქართველები, ჩაეკლათ მათში ეროვნული გრძნობა. ამასთან, ისინი ანგრევდნენ და სპობდნენ ქართულ ისტორიულ ძეგლებს, რათა წაეშალათ ქართულის ყოველივე ნიშანწყალი, მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს, იქაურ ქართველებში ვერ ჩაკლეს პატრიოტული გრძნობა. თურქეთში მცხოვრებ ქართველებს, მიუხედავად მუდ-

მივი ჩაგვრისა და დევნისა, არ დაუკარგავთ რწმენა მომავლისა. ეს რწმენა აძლევდათ მხნეობას და ვაჟკაცობას, რათა დაეცვათ და გაჰფრთხილებოდნენ ქართულ ძეგლებს, როგორც ეროვნულობისა და დამოუკიდებლობის ერთგვარ სიმბოლოს. აი, ეს ხალხური პატრიოტიზმი უდევს საფუძვლად ი. მოსაშვილის „ჩაძირულ ქვებს“. ამ გრძნობით გულანთებული ერთი ყველაზე მხატვრული სახეა ყოფილი მასწავლებელი მოხუცი ბექან-აღა.

ბექან-აღა არის ხალხის უშუალო წარმომადგენელი, მისი ინტერესების გულწრფელი და თანმიმდევრული გამომხატველი. ბექან-აღას ყოველი სიტყვა შთამაგონებელია. მასში ჩანს ხალხის ტრაგიკული წარსული და დიდი შინაგანი რწმენა. იგი მშობელივით თავს დასტრიალებს ხალხს, იცავს და უფრთხილდება საზოგადო ქონებას — ისტორიულ სიმდიდრეს, ამიტომ უყვარს უზომოდ ხალხს ბექან-აღა, ამიტომ სძულთ იგი ვილაეთის მმართველებს.

პიესაში მთავარი დრამატული კონფლიქტი გაშლილია ზიარეთის ძველი, ქართული, ისტორიული ნაგებობის გარშემო. ამ ნაგებობას თამარის ციხესაც უწოდებენ. იგი ქართველთათვის ნამდვილ სალოცავად არის ქცეული. ისინი იცავენ ზიარეთს, როგორც სამშობლოს სიმბოლოს, მას უკავშირებენ თავიანთ არსებობას. მათს სულსა და ხორცში გამჯდარია ურყევი რწმენა, რომ ზიარეთის დანგრევასთან ერთად მოისპობა მათი ეროვნული მეობა, წაიშლება მათი ეროვნული თავისებურება და სამუდამოდ დაიღუპებიან. თურქი და ამერიკელი იმპერიალისტები გრძნობენ ზიარეთის ამ მნიშვნელობას.

აბდულ სადაყი და ჯონ რაიტი გადაწყვეტენ, როგორმე დაანგრიონ ზიარეთი. ზიარეთის ახლოს მათ გაჰყავთ გზა, რომელსაც იქაური მცხოვრებლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ხალხს მოატყუებენ, რომ ძველი მიმართულებით გზის გაყვანა შეუძლებელია და იგი უნდა გავიდეს სწორედ იქ, სადაც დგას ზიარეთი, ამიტომ საჭიროა მისი დანგრევა. დროთა განმავლობაში, ქარსა და წვიმაში მაინც დაინგრევა ზიარეთიო.

ჯემალი განათლებული ახალგაზრდაა. მას როგორღაც სწამს, რომ ასეთ პირობებში შესაძლებელია სასარგებლო საქმე გააკეთოს, გაუყვანოს გზები, აუშენოს სკოლა და საავადმყოფო სოფელს.

თავიდან მას არ გააჩნია მკაფიო პოლიტიკური მიზნები და ენდობა თურქ და ამერიკელ მმართველებს, სჯერა მათი და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ადვილად ტყუვდება. აბდულ სადაყი და ჯონ რაიტი საუცხოოდ სარგებლობენ ამ ადამიანის სიბეცით: მას მიანდობენ სამუშაოების ხელმძღვანელობას, დააწყებინებენ ზიარეთის დანგრევას, რომლის ქვებს ღამით ფარულად შავ ზღვაში ჰყრიან. ხალხი მიხვდა სადაყების და რაიტების სიყალბეს, რამდენადაც ძალა შესწევს, იცავს იგი ზიარეთს და მტერს მისი აფეთქების საშუალებას არ აძლევს.

ამაო ილუზიებით გატაცებულ ჯემალს მხოლოდ ფაქტების შემდეგ აეხილება თვალი. იგი მოტყუებისათვის შურს იძიებს აბდულ სადაყზე და თვითონაც იღუპება. პიესის ფინალში ჯემალი არსებითად გამოისყიდის ყველა თავის შეცდომას.

ი. მოსაშვილის ამ პიესამ ქართველ საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია და ჯეროვანი შეფასებაც მიიღო. იგი დაიდგა საქართველოს ბევრ თეატრში და ყველგან დიდი წარმატება ხვდა წილად.

მუშათა თეატრის რეპერტუარში „ჩაძირული ქვები" ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლთაგანი იყო. რეჟისორმა ასიტაშვილმა მუშა-მსახიობებთან ერთად შექმნა ოპტიმიზმით აღსავსე სპექტაკლი, რომელიც ძლიერ ემოციურ გავლენას ახდენდა მაყურებელზე.

ნავთლუღის თეატრალურმა კოლექტივმა დიდი გულმოდგინობით განახორციელა პიესა, ნიჭიერი სცენისმოყვარე ო. ნიკოლაიშვილის აბდულ-სადაყი სიკვდილის ბრჭყალებში მოქცეულ მსხვერპლს ჰგავდა. განსაკუთრებით დიდებული იყო იგი ბოლო მოქმედებაში, როცა პირფერობის ნიღაბს იხდიდა და ავლენდა, თუ როგორ ეჯავრებოდა მას ყველაფერი ქართული.

ჯემალის როლის შემსრულებელმა მსახიობმა ი. ქსოვრელმა ხაზი გაუსვა პატრიოტულ გრძნობებს და თავისი გმირი ნამდვილ ადამიანად წარმოსახა.

აღსანიშნავია რ. აფხაზიშვილის მიერ შექმნილი გაიანე. მომხიბლავი ლირიზმით აღსავსეა იგი.

დიდი გრძნობა ჩააქსოვა მ. სხირტლაძემ შუქრის როლში. მან შეძლო „გურჯი" მეზღვაურის საინტერესო სახე შეექმნა. იგი ხიბლავდა მაყურებელს პატრიოტული სულისკვეთებით, ვაჟკაცობით, უდრეკი ნებისყოფითა და დიდი სერიოზულობით.

ბეჟან-აღა, რ. ბერიაშვილის შესრულებით იყო ხანდაზმული, დაბრძენებული ადამიანი, რომელსაც შესწევს უნარი, თავისი მახვილი გონებით დაიცვას ქართველების ღირსება.

მიმზიდველი იყო ა. ბერიკაშვილი გაიძვერა პროვოკატორის — მირზა ეფენდის (სადაყის მდივნის) როლში. დამაჯერებელი იყო ხოჯა სულეიმანის როლში რ. ბახტაძე. რუსუდანის როლში ლ. ჯავახიშვილი, გოგიჩას როლში მ. ერაძე.

სპექტაკლმა რესპუბლიკურ დათვალიერებაზე კარგი შეფასება მიიღო, რისთვისაც საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ კოლექტივი და მისი წევრები სიგელებით დააჯილდოვა. საღამოზე მოეწყო სიგელების გადაცემა.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა კლუბის დირექტორმა ა. ოდიშარიამ და სიგელები გადასცა მორიგეს შ. ტაბატაძეს, სავაგონო საამქროს ზეინკალს რ. ბერიაშვილს, კავშირგაბმულობის მუშაკს ნ. ჩუხრუკიძეს, სამანევრო დისპეტჩერს ი. ქსოვრელს, ლიანდაგის მორიგეს მ. მშვიდობაძეს, სახლმმართველს ი. ქინქლაძეს, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის საამქროს ოსტატს შ. ბერიკაშვილს, სცენისმოყვარეს ლ. ჯავახიშვილს.

ხოლო 1951 წელს ამავე დადგმამ რესპუბლიკურ დათვალიერებაზე მეორე ადგილი დაიკავა და კოლექტივი დაჯილდოებული იქნა სიგელით.

ასევე სიგელებით იქნენ დაჯილდოებული სპექტაკლში მონაწილე მსახიობები: რ. აფხაზიშვილი, ნ. ჩუხრუკიძე, ძმები ა. და რ. ბერიაშვილები, შ. ტაბატაძე, ო. ნიკოლეიშვილი, გ. ცერცვაძე, მ. სხირტლაძე და მ. ერაძე.

აქვე მოგვყავს დამთვალიერებელი კომისიის წევრის შ. მესხის რეცენზია ამ სპექტაკლის შესახებ: „დრამატული წრე აღმავლობის გზაზე".

„ნავთლუღის რკინიგზელთა კლუბის დრამატულმა წრემ (ხელმძღვანელი გ. ასიტაშვილი) თვითმოქმედი წრეების დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღო პრემიის ლაურეატის ი. მოსაშვილის პიესის „ჩაძირული ქვების" დადგმით. უნდა ითქვას, რომ ამ მაღალიდეური და ღრმაშინაარსიანი პიესის დადგმა წრემ კარგად განახორციელა. წარმოდგენაში მონაწილეობენ კვანძის მუშამოსამსახურეები. ჯემალის როლს ასრულებდა დისპეტჩერი ი. ქსოვრელი, დამაჯერებლად განასახიერა გაიანეს როლი რ. აფხაზიშვილმა. მოწონებას იმსახურებს მ. სხირტლაძე შუქრის როლში. კარგად ანსახიერებს. ა. ბერიაშვილი მირზას როლს. იგრძნობა რომ ამ სცენისმოყვარეს მხატვრული ზომიერების ალღო აქვს.

წარმატებით ასრულებენ როლებს რ. ბერიაშვილი (ბეჟან-აღა), ო. ნიკოლაშვილი (აბდულ-სადაყი), მხატვრულ სახეებს ჰქმნიდნენ: ნ. ნატაძე, ა. გამცემლიძე, ლ. ჯავახიშვილი, გ. ცერცვაძე და სხვები"[1].

●

შ. ტაბატაძეს ამ დღეს შეუსრულდა დაბადების 40 და სასცენო მოღვაწეობის ოცი წელი. ამასთან დაკავშირებით მიესალმნენ ა. ოდიშარია, თეატრალური საზოგადოებისა და ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის სახელით — ა. აფხაიძე, ნავთლუღის რკინიგზელთა პროფკავშირის თავმჯდომარე ნ. ჩიკვაიძე, იუბილარს გადასცეს საჩუქრები.

---

[1] გაზ. „სტალინური ლოკომოტივი", 1951, 26.IV

გ. ასიტაშვილის რეჟისორობის პერიოდში ეზიარა ნავთლუღის კლუბში სასცენო ხელოვნებას წრის ნიჭიერი მსახიობი არსენ ბერიაშვილი.

ა. ბერიაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ნავთლუღის მუშათა თეატრის მაყურებელთა აღზრდასა და გათვითცნობიერებაში. მას რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მრავალი სხვადასხვა როლი აქვს შესრულებული. მათ შორის გლეხი („უკანასკნელი ღობე"), მეზღვაური („შუქურა"), მებრძოლი („უკანასკნელი ვაზნა"), სტუდენტი („აყვავებული ბაღი"), პოლიციელი („ჩემი შვილი"), გელა („პატარა კახი"), ჩადუნელი („სადგურის უფროსი"), მირზა („ჩაძირული ქვები"), საღათელა („პატიოსნებისათვის") ჯემალი („ხატიჯე"), კომბლე („კომბლე"), დიამბეგი („ბატონი და ყმა"), ექიმი („ბრმა მუსიკოსი",) აკმია ხუცურაული („ხარატაანთ კერა"), სოლეიმანი და გლეხი ბესო („ღალატი"), ბურდღუ („მკაცრი ქალიშვილები"), სტეფანე („ციმბირელი") და სხვა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი როლის შესრულებაში პროფესიონალ მსახიობს არ ჩამოუვარდებოდა.

ამას მოჰყვა არჩილ მაჩაბლის (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის) მიერ დადგმული სუმბათაშვილის პიესა „ღალატი".

პიესა „ღალატი" ღრმა პატრიოტული ნაწარმოებია. იგი ასახავს ქართველი ხალხის თავგანწირულ ბრძოლას დამპყრობთა ურდოების წინააღმდეგ. მასში მოცემულია ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გმირული ეპიზოდები. შორეულ წარსულზე მოგვითხრობს ეს ნაწარმოები, მაგრამ მისი თითოეული პერსონაჟი, თითოეული შტრიხი ჩვენთვის ახლობელი და თანადროულია თავისი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობით, იმ მღელვარე პათოსით, რომლითაც აღსავსეა პიესაში მოცემული მხატვრული სახეები. ამ თვალსაზრისით უთუოდ მნიშვნელოვანი მოვლენაა, „ღალატის" დადგმა მუშათა თეატრის სცენაზე.

თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა, დამდგმელ რეჟისორ ა. მაჩაბელთან ერთად, შექმნა მაღალმხატვრული, პატრიოტული სპექტაკლი.

ოთარ-ბეგი პიესის ცენტრალური ფიგურაა. ქართული თეატრის მაყურებელს ისევ ახსოვს ამ როლის შესანიშნავი შემსრულებელი მსახიობი გ. დავითაშვილი. მას უაღრესად სიზუსტით ჰქონდა აღქმული როლის მეტად რთული ხასიათი. გ. დავითაშვილი შეუდარებელი ექსპრესით ახორციელებდა მას. მუშათა თეატრში ამ საპატიო საპასუხისმგებლო სცენური სახის შექმნა ნიჭიერ სცენისმოყვარეს ი. ქსოვრელს დაეკისრა. უნდა აღინიშნოს, რომ მსახიობმა დაძლია ეს, მეტად რთული როლი. ამ ამოცანის გადასაჭრელად მას ბევრი კარგი მონაცემი აღმოაჩნდა: შთამბეჭდავი ხმა, შესაფერისი გარეგნობა და, რაც მთავარია, ძლიერი შინაგანი პათოსი. სოლეიმან ხანის როლს ა. ბერია-

შვილი ასრულებდა. დინჯი და მრისხანე იყო მისი სოლეიმანი, იგი ნათლად წარმოგვიდგენდა გულქვა დამპყრობის ველურ ბუნებას.

ძლიერი ტემპერამენტით ანსახიერებდა რუქაიას როლს ნიჭიერი მსახიობი — ქ. ბარქაია.

შთამბეჭდავი იყო ანანიას როლში მუშა-მსახიობი — რ. ბერიაშვილი. მხატვრული სისადავით იყო აღსავსე მისი თითოეული სიტყვა, ჟესტი, მიმიკა, „მე და სიკვდილი დიდიხნის მეგობრები ვართ. ბევრჯერ მივსალმებივართ ერთმანეთს, თვალებში გვიცქერია ერთმანეთისათვის, თუმცა არც ის წითლდებოდა. მაგრამ არც მე ვფითრდებოდი. იმას თავისი ფერი რჩებოდა და მე ჩემიო",— ამბობს ანანია-გლახა — რ. ბერიაშვილი და ამ სიტყვებით სიმბოლურად გამოხატავს ქართველი ხალხის ნებისყოფას. მისი მტკიცე გადაწყვეტილებაა ლაჩრულად არ დანებდეს შემოსულ მტერს, უშიშრად უცქიროს სიკვდილს თვალებში, დაუეჭვიანებლად გაწიროს სიცოცხლე სამშობლოს სახელისა და ბედნიერებისათვის, პირდაპირ გულში ჩასცეს ხანჯალი ბოროტებას.

მომხიბვლელი უბრალოებით ანსახიერებდა გაიანეს როლს მსახიობი თ. გურასაშვილი, უშუალობა და გულუბრყვილობა გვაგრძნობინა მსახიობმა ამ როლის შესრულებაში.

მიმზიდველი იყო ერეკლეს როლში მსახიობი ო. პაპინაშვილი.

შთამბეჭდავი იყო ზეინაბის როლის შემსრულებელი მსახიობი ლ. ჯავახიშვილი, სპექტაკლში კოლორიტულ სახეს ქმნიდა ნ. ჩუხრუკიძე (ისახარი).

ამას მოჰყვა შ. იმერლიშვილის რეჟისორობით დადგმული ა. შირვანზადეს ოთხმოქმედებიანი დრამა, „პატიოსნებისათვის" (თარგმანი არტ. დავითიანის). მონაწილეობდნენ: ნ. გურჯანელი, ლ. ჯავახიშვილი, თ. გურასაშვილი, ნ. რატიანი, რ. ბერიაშვილი, ი. ბიბილური, ი. ქსოვრელი, ა. ბერიაშვილი, ი. ხიზანიშვილი, შ. ტაბატაძე, ს. ოსეყმაშვილი, თ. ჟორჟოლაძე, ნ. კურტანიძე. პიესის წარმატებას ხელს უწყობდა ხელოვნების დამსახ. მოღვაწის მ. ჩირინაშვილის მუსიკალური გაფორმება.

□□

ასე ამაყად დგას ლუბა ჯავახიშვილი ნავთლუღის თეატრის სცენაზე და თავის საყვარელ გმირებს ანსახიერებს. ლ. ჯავახიშვილი პირველად ნაძალადევის მუშათა თეატრში ეზიარა სასცენო ხელოვნებას. თუმცა მისი მოღვაწეობა ამ კლუბში ცეკვით დაიწყო.

ერთ დღეს, ცეკვის გაკვეთილზე რუსული დრამწრის ხელმძღვანელი ევდოკიმოვი შემოვიდა და დახმარება ითხოვა. პიესისათვის ისეთი გოგონა ესაჭიროებოდა, რომელმაც რუსული ენა კარგად იცოდა. ქორეოგრაფმა რეჟისორს ლ. ჯავახიშვილზე მიუთითა და თან დასძინა, იგი თეატრის ტრფიალიც

არისო. ლუბას სცენა ბავშვობიდანვე იტაცებდა. როცა რომელიმე წარმოდგენას ნახავდა, მთელი ღამე არ ეძინა. თავს გმირად წარმოიდგენდა და მეორე დღეს სარკის წინ ანსახიერებდა. მისი ოცნება მსახიობობა იყო და აკი აუხდა კიდეც.

რეჟისორი ევდოკიმოვი „ტარტიუფს" ამზადებდა. გოგონას ორგონის ქალიშვილის როლი მიანდო. ლუბამ კარგად ჩაატარა თავისი სასცენო ნათლობა. ახალბედამ როგორც მაყურებლის, ისე კოლეგების ქება დაიმსახურა.

ამ დღიდან იგი აღარ მოშორებია სცენას. ასე დაიწყო მისი დამოუკიდებელი შემოქმედებითი ბიოგრაფიის თავფურცელი, რომელიც თანდათან მდიდრდებოდა. როლებს როლები მისდევდა და იზრდებოდა მისი სწრაფვა თეატრისადმი. აქ დადგმულ პიესებში ლ. ჯავახიშვილი თითქმის მთავარ როლებში გვევლინებოდა და არ ყოფილა შემთხვევა მისგან მაყურებელი აღფრთოვანებული არ დარჩენილიყო.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მსახიობი ქალის ლ. ჯავახიშვილის გამოსვლა გულჩორას როლში. მისი შესრულებით გულჩორა ძველი დროის უუფლებო აზერბაიჯანელი ქალიშვილია, ოთხ კედელს შორის გამომწყვდეული, მას საშუალება არ აქვს ჰქონდეს წარმოდგენა რა ხდება მამის სახლის გარეთ. მსახიობი დამაჯერებლად წარმოსახავს თავის გმირს, რაც არც ისე იოლი ამოცანაა დრამის თეატრის მსახიობისათვის. ლ. ჯავახიშვილის მელოდიური ხმა, მოძრაობა და მანერები ცოცხლად წარმოგვიდგენს უუფლებო აზერბაიჯანელი ქალიშვილის სევდას და სიყვარულს, მთელ მის შინაგან სამყაროს.

პიესა „აშუღ-ყარიბში" ლ. ჯავახიშვილი სანამას როლს ასრულებდა. შესანიშნავად გადმოსცემდა იგი პერსონაჟის ლირიკულ განწყობილებებს. თუ მისი ფუნქციები ძალზე შეკვეცილი იყო დრამატურგის მიერ, სამაგიეროდ კომპოზიტორის მიერ საგანგებოდ შექმნილი რამდენიმე სოლო ამდიდრებდა მის იერსახეს.

ლ. ჯავახიშვილის ღირსება იმაში მდგომარეობდა, რომ იგი არ იჩენდა ზედმეტ აქტიორულ თვითნებობას. მოფიქრება, წინდახედულობა, სიდინჯე, თავდაჭერა — აი, ის უპირატესობა, რაც ასხივოსნებს და ალამაზებს მის შემოქმედებას.

გავიდა წლები, ლ. ჯავახიშვილების ოჯახმა საცხოვრებლად 26 კომისრის რაიონში, ნავთლუღში გადაინაცვლა. იქვე ახლოს მდებარეობდა რკინიგზის კლუბი, რომელსაც იმ დროს სათავეში დ. გუგუშვილი ედგა. როცა ლ. ჯავახიშვილმა მისვლის მიზეზი გააცნო, დირექტორს ძალზე გაეხარდა ახალი ძალის შემომატება და იგი მეორე დღისათვის რეჟისორთან შესახვედრად დაიბარა.

სწორედ, ლ. ჯავახიშვილის მისვლას დაემთხვა რეჟისორ გ. ასიტაშვილის

მიეჩ ახალი პიესის „აყვავებული ბაღის“ მზადება. მსახიობს ბაბუცას როლის განსახიერება დააკისრეს. რეჟისორს მოეწონა ახალბედას თამაში, შეაქო და ასე უთხრა: დღეიდან შენ ჩემი შუქურა იქნებიო. ამ დროს წრეში კარგი ძალები ირიცხებოდნენ: ნ. ჩუხრუკიძე, ა. და თ. გურასაშვილები, თ. გვეტაძე, ა. და რ. ბერიაშვილები, ი. ქსოვრელი, გ. ნავროზაშვილი, ლ. ცხვარიაშვილი, შ. ბერიკაშვილი, შ. ბუხრაშვილი, ა. გამცემლიძე, მ. მშვიდობაძე, შ. და დ. აფხაზიშვილები და სხვები, რომლებიც დაუცხრომელი ენერგიითა და საქმის დიდი სიყვარულით მუშაობდნენ.

ლ. ჯავახიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ამ მხრივ კარგად აუბა მხარი გამოცდილ კოლეგებს და სადებიუტო სპექტაკლში იმედის მიმცემი სიტყვა თქვა.

იმისათვის, რომ ერთგვარი წარმოდგენა ვიქონიოთ ლ. ჯავახიშვილის შემოქმედებით ოსტატობაზე, გადავხედოთ მისი გმირების მრავალფეროვან გალერეას. ორგანის ქალიშვილი — „ტარტიუფი“, თელი — „არშინ მალ-ალან“, „გულნაზი — „მაშტ იბალი“, მოწყალების და — „სიკვდილით დასჯა“, დონნა ანა — „ქვის სტუმარი“, გაიანე — „ბრმა მუსიკოსი“, ბაბუცა — „აყვავებული ბაღი“, მზია — „საქმროების არჩევანი“, პელაგია — „სადგურის უფროსი“, ქეთევანი — ჩემი შვილი“, გაიანე — „ჩაძირული ქვები“, მერი ავალიანი — „ერთი დღე აგარაკზე“, ციცინო — „გამარჯვებულნი“, სოფიო — „მე სამშობლო მენდო“, მზია — „კოპლი მეწისქვილე“, ოლღა — „მე მოვკვდი“, მანანა — „აიდოსტი“, სიდონია — „სილიბისტრო სირბილაძე“, ნატო — „ერთი მტკივნეული საკითხი“, კრუჩინინა — „უდანაშაულო დამნაშავენი“, ტატიანა — „რღვევა“, ზეინაბი — „ღალატი“ და სხვა მრავალი.

ხელოვნების დამსახ. მოღვაწის ა. მაჩაბლის რეჟისორობით ნავთლუღის მუშათა კლუბის სცენაზე განხორციელებულ ალ. სუმბათაშვილის „ღალატში“ განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ზეინაბის როლის შემსრულებელი ლ. ჯავახიშვილი.

ზეინაბი ლ. ჯავახიშვილის შესრულებით შეურიგმაძიებელი ქართველი ქალია, რომელსაც ვერაგმა მტერმა სამშობლო გაუპარტახა, შეუბილწა, რაც კი რამ საამაყოდ და სასიქადულოდ გააჩნდა, მაგრამ ვერ წაართვა უმთავრესი — სამშობლოსადმი, ხალხისადმი თავდადებული სიყვარული და უძლიერესი გრძნობა სიძულვილისა მშობლიური ქვეყნის მტრების მიმართ. ეს ორი დიადი გრძნობა ასულდგმულებდა ზეინაბს მთელი ოცი წლის განმავლობაში და ამიტომ ეუბნება იგი უსაზღვრო აგზნებით ოთარ-ბეგს:

...ველოდი იმ დღეს, როცა რისხვა ერისა ზღვასავით დაგუბდებოდა, როცა ეს რისხვა მოსკდებოდა მთის ადიდებულ წყალივით და აღსდგებოდა

მტარვალთა დასამხობად. ჩემი შვილი კი წინ გამოუძღვებოდა სილაღეს მოწყურებულ მებრძოლთა. მაშინ ჩემი შვილის და ჩემი ხალხის ფეხქვეშ, მათ განსჯად მოვიტანდი მე ჩემს ცოდოსა, ჩემს შერცხვენასა; საშინელი და მრისხანე იქნებოდა ჩემთვის სიტყვა მათის რისხვისა, მათის განაჯისა, მაგრამ იგივე რისხვა დაამხობდა მტარვალთა ძლიერებას".

გ. ასიტაშვილის მიერ დადგმულ „ბრმა მუსიკოსში" ლ. ჯავახიშვილი სამშობლოს გამყიდველის, გაქნილ გაიანეს როლს ასრულებდა. მეორე მოქმედებაში, როცა გაიანეს გაიძვერობას ფარდა ეხდება, მისი გამოჩენა ხალხში სიძულვილსა და ზიზღს ბადებდა. აღშფოთებული მაყურებელი ისე ხმამაღლა იძახდა — შე საზიზღაროო, რომ სცენაზე მდგომ მსახიობებსაც კი ესმოდათ.

მესამე მოქმედების დაწყებამდე ლ. ჯავახიშვილმა სასტიკი უარი თქვა თამაშის გაგრძელებაზე. ამაზე მთელი ჩოჩქოლი ატყდა. ფარდის ახდა იგვიანებდა. ამ დროს სცენაზე აღელვებული კომპოზიტორი მ. ჩირინაშვილი ავიდა, რომელიც თავის მიერ გაფორმებულ მუსიკას ხელმძღვანელობდა და როცა დაგვიანების მიზეზი მოახსენეს, ხმამაღლა გაიცინა და გაიანეს როლის შემსრულებელს ლ. ჯავახიშვილს მიუბრუნდა: მე შენ მსახიობი მეგონე და თურმე ას ყოფილხარ. ნუთუ, არ გესმის, რომ თამაშის დროს წამოძახილი — გენაცვალე არაფრით არ განსხვავდება სიტყვა—საზიზღარისაგან. ისინი ორივე ერთი მნიშვნელობისაა. შენ ისე კარგად გახსენი შენი გმირის სახე, რომ მაყურებელში აღშფოთება გამოიწვიე, ისინი დაარწმუნე შენს გაიძვერობაში — ეს ხომ შენი და შენი გმირის გამარჯვებაა. მ. ჩირინაშვილის ამ ნათქვამზე ლუბამ უეცრად შეიმშრალა ცრემლები და მეტი ენერგიითა და დამაჯერებლობით განაგრძო თამაში.

ამას მოჰყვა ლ. ჯავახიშვილის მონაწილეობით შესრულებული მარგარიტას როლი სპექტაკლში „პატიოსნებისათვის". თუმცა ნაკლებ კურიოზს არც ამ სპექტაკლში ჰქონდა ადგილი. პრემიერას ესწრებოდნენ ლუბას პატარა ძმისშვილები დალი და რიტა, რომლებიც წინა რიგში ისხდნენ. პიესის შინაარსის მიხედვით სცენაზე გავარდება რევოლვერი და უცბად დაიძახებენ მარგარიტამ თავი მოიკლაო. ამ დროს იგი სცენაზე ხელზე დაწოლილი მის საქმროს—ი. ქსოვრელს შემოჰყავს, რომელსაც სახეზე წითელი საღებავი უსვია და სისხლის ილუზიას ჰქმნის. ამ დროს დარბაზში ისე საშინლად შეჰკივლა ლ. ჯავახიშვილის პატარა ძმისშვილებმა, ლუბა მამიდა მოჰკლესო, რომ ლ. ჯავახიშვილი — მარგარიტა ინსტიქტურად ისე შეკრთა, რომ კინაღამ ხელიდან გაუვარდა მსახიობს. და იმის მაგივრად, რომ მკვდარი მარგარიტა მისთვის განკუთვნილ ადგილას ტახტზე დაეწვინა, მსახიობმა იქამდე ველარ მიაღწია და იქვე მდგომ სავარძელში ჩასვა, რამაც ხალხის სიცილი გამოიწვია.

მარგარიტა ერთ-ერთ ყველაზე უფრო ნიჭიერად გამოკვეთილ სახედ ითვლება ჯავახიშვილის რეპერტუარში. მარგარიტას სახით ლ. ჯავახიშვილმა წარმოადგინა სათუთი სულისა და მტკიცე ნებისყოფის ქალი, რომლისათვისაც პატიოსნება ყველაფერზე ძვირფასია. ეს როლი მას თავისებურად ჰქონდა გააზრებული. მე-4 მოქმედების მე-6 გამოსვლაში, საბუთების დაკარგვის შემდეგ, იგი პირველად ხვდება მამას. უძილობისა და ნერვიულობისაგან სახე გადაფითრებია, სდუმს, შეძრწუნებულია საბუთების დაკარგვით, ეჭვი მამაზე აქვს. მაგრამ იქნებ ცდება, მამა ბოროტმოქმედი არ არის, იქნებ მას მხოლოდ მოეჩვენა, რომ მამამ საბუთები მოიპარა. განა მამას შეუძლია შვილის სიცოცხლის გამეტება, დიახ, სიცოცხლისა, რადგან მარგარიტასათვის პატიოსნება და სიცოცხლე თანაფარდოვანი ცნებებია. მარგარიტას არ უნდა დაიჯეროს, რომ მამა ქალიშვილის სინდისს არ გაუფრთხილდება, ამიტომ სთხოვს, ჩემი პატიოსნება და ჩემი სიცოცხლე დაიცავიო.

ლ. ჯავახიშვილი თავიდანვე ცდილობდა ეს როლი მრავალფეროვანი გაეხადა და მიზანს აღწევდა კიდეც, მაყურებელი შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალს გმირის სცენურ ცხოვრებას, მსახიობი კი ნამდვილად ცხოვრობდა, მოქმედებდა, მის თვალწინ იზრდებოდა.

როცა მარგარიტა რწმუნდებოდა მამის უპატიოსნებაში, დუნდებოდა მაგრამ ფარხმალს არ ჰყრიდა, ხავსს ეჭიდებოდა, მამას ევედრებოდა: ჰუჰყი გადაიცალე და ადამიანებს ნათელი შუბლით შეხვდიო.

შემდეგ მამა მარგარიტას თვალწინ მაინც სწვავდა საბუთებს. მამისათვის ფული უფრო ძვირფასი იყო, ვიდრე შვილის სიცოცხლე. და მარგარიტას ცხოვრებას აზრი ეკარგებოდა, იგი ძალაგამოლეული, გამოფიტული, მაგრამ მაინც ამაყი მიემართებოდა კარისაკენ. ეს თითქოს ტანჯვის დასასრული იყო. მაგრამ არა, საშინელება წინ იყო. საკუთარი სიცოცხლის ფასად უნდოდა მამისათვის ჰუჰყის ჩამორეცხვა, ამიტომ მის მოჩვენებით პატიოსნებას იცავდა და უკვე მტკიცე ნაბიჯით სტოვებდა სცენას.

გ. ასიტაშვილის მიერ დადგმულ „ჩაძირულ ქვებში“ ლ. ჯავახიშვილი ჯერ გაიანეს როლს ასრულებდა, შემდეგ ორ სხვადასხვა სახის როლს — ფარდულის გამყიდველისა და ბოშა ქალის. სპექტაკლისათვის დეკორაციები დამდგმელმა რეჟისორმა გ. ასიტაშვილმა რუსთაველის თეატრიდან გამოიტანა. ასეთ დეკორაციებში თამაში მსახიობისათვის სასწაულს წარმოადგენდა. დადგმამ მაყურებლის გულწრფელი აღიარება დაიმსახურა. სხვებთან ერთად დიდი მოწონება დაიმსახურა ლ. ჯავახიშვილის მიერ მოხდენილად შესრულებულმა როლებმა, რაც პრესაშიაც აღინიშნა.

თითქმის არ დარჩენილა საქართველოში არც ერთი თეატრი თუ თვით-

მოქმედი კოლექტივი, რომლის სცენაზედაც არ წარმოედგინათ ა. ოსტროვსკის პიესა „უდანაშაულო დამნაშავენი". გამონაკლისს არც ნავთლუღის რკინიგზელთა დრამატული კოლექტივი წარმოადგენდა.

როგორც დასის წევრებმა გადმოგვცეს, ნავთლუღის მუშა-მსახიობებმა ა. ოსტროვსკის ეს პიესა რამდენჯერმე განახორციელეს. თითქმის უცვლელად ასრულებდა კრუჩინინას როლს თვითმოქმედი კოლექტივის უცვლელი წევრი ლ. ჯავახიშვილი. მის მიერ განსახიერებული კრუჩინინა ღრმა განცდის ადამიანი იყო. ლ. ჯავახიშვილი შინაგანი სულიერი ტკივილით, დიდი ტაქტითა და უშუალობით ხატავდა ამ კეთილშობილი ადამიანის სახეს. მეგობრის ღალატით რამდენადმე გაუბედურებული, მისგან გულგატეხილი მაინც ღრმადაა დარწმუნებული ადამიანების სიკეთეში. დაიმედებული სიმართლის გამარჯვებაში. მსახიობმა წინ წამოსწია ამ ენერგიული ქალის ოპტიმიზმი, ტიტოვებული, მაგრამ მტკიცე ნებისყოფის ადამიანის ბუნება. ჯავახიშვილს კრუჩინინას როლის ყველა დეტალი კარგად ჰქონდა დამუშავებული და სიმართლით გადმოსცემდა მოსიყვარულე დედის განცდებს.

კ. ბუაჩიძის კომედია, „მკაცრ ქალიშვილებში" ლ. ჯავახიშვილი მუზას როლს ასრულებს. იგი ცდილობს ნაპოლეონი თავისი ყალბი მანერებით გაიტაცოს, მეშჩანურ გარემოში მოაქციოს. მუზა პლატონოვნა კი ვაჟის ტრფობით ხშირად სასაცილო მდგომარეობაში ვარდება. ნაპოლეონი მზად არის მუხლი მოიყაროს მუზას სილამაზის წინაშე, თუმცა ეს სილამაზე მარტო ამ ქალის სურათსღა შერჩენია.

ორიგინალურად შემოდის წარმოდგენის ატმოსფეროში მუზა. იგი უცნაური ჩაცმით, მანჭვა-გრეხით იპყრობს ყურადღებას. ამ როლის შემსრულებელმა ლ. ჯავახიშვილმა ფუქსავატი ქალის საინტერესო სახე დაგვიხატა, მსახიობი განასახიერებდა ქალს, რომელმაც თავის ადგილს ვერ მიაგნო ცხოვრებაში.

ასევე მაყურებლის ყურადღებას იმსახურებს ლ. ჯავახიშვილი ნუცკიას როლში (მ. მრევლიშვილი „ხარატაანთ კერა"). გაზეთი „თბილისი" წერდა: სპექტაკლის წარმატებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ნუცკიას როლის შემსრულებელი ლ. ჯავახიშვილის მოხდენილი თამაშიო.

როდესაც ლ. ჯავახიშვილი ნაძალადევის მუშათა თეატრის კულტურას სახლის რუსულ სახალხო თეატრში მოღვაწეობდა, ამ დროს ამ კლუბის ქართულ დასს ამშვენებდა მედეა ჯაფარიძის მიერ შესრულებული ტურფას როლი ა. წერეთლის „პატარა კახში". ალბათ, ამიტომაც მოხდა, რომ 1974 წლის 5 დეკემბერს ნავთლუღის კულტურის სახლმა სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით შეხვედრა მოუწყო პროფესიონალ მსახიობს მე-

დეა ჯაფარიძეს (საქ. სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი) და სცენისმოყვარე ლუბა ჯავახიშვილს. შეხვედრამ უაღრესად გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. ორივე მსახიობმა მ. ჯაფარიძემ და ლ. ჯავახიშვილმა გაითამაშეს სცენები სპექტაკლებიდან მ. ჯაფარიძემ „ანა ფრანკის დღიურიდან“ ანას როლი, ხოლო ლ. ჯავახიშვილმა „ჰალატიდან“ ზეინაბის როლი.

საღამოს მოწყობას ხელმძღვანელობდა კლუბის დირექტორი გ. ბიჭიკოშვილი, საბავშვო სექტორის გამგე მ. ფირცხალაშვილი, ბავშვთა საბალეტო ჯგუფის ხელმძღვანელი ა. გვაძაბია და ბიბლიოთეკის გამგე ვ. აბაშიძე.

უნდა აღინიშნოს ის, რომ საერთოდ, კლუბს არ ჰქონდა შესაძლებლობა ყოველი ახალი დადგმის დროს შეეძინა როგორც დეკორაციები, ასევე სცენისათვის საჭირო ნივთები და მოწყობილობა. კლუბთან იქვე მახლობლად ცხოვრობდა ლ. ჯავახიშვილი, რომელსაც სცენის დიდმა სიყვარულმა ბევრჯერ მთელი ოჯახის მოწყობილობა მიატანინა კლუბში. დედა — ო. ჯავახიშვილი არამთუ უჯავრდებოდა, არამედ ხელს უწყობდა. იგი ხომ ახალგაზრდობაში ამავე „სენით“ იყო შეპყრობილი, როცა გორის სცენისმოყვარეთა წრეში ღებულობდა სასცენო ნათლობას. ამიტომ მთელი სახლი რომ იქ გადამეტანა არაფერს მეტყოდაო — ამბობს ლუბა. ხოლო როცა სპექტაკლი დამთავრდებოდა და ყველა მონაწილე გრიმებს მოიხსნიდა თუარა, სახლისაკენ გარბოდა, ქალბატონი ოლია კი ავიდოდა სცენაზე და ლუბას კულისებში დაეძებდა იწყებდნენ ნივთების შეგროვებას და ორივე დედა-შვილი ყოველი სპექტაკლის შემდეგ ასე გუდა-ნაბად აკიდებული გაუდგებოდნენ ხოლმე გზას.

ასე იცის ხელოვნების დიდმა სიყვარულმა. დღესაც ასევე დიდი სიყვარულითა და გატაცებით განაგრძობს თავის საყვარელ საქმიანობას. ასე გაირბინა ხუთმა ათეულმა წელმა. ლ. ჯავახიშვილი კი ისევ ამაყად დგას თავის გმირებთან და თითოეული სახის ხორცშესხმაზე ფიქრობს.

დაბადებიდან 55 და სასცენო მოღვაწეობის 40 წელი შეუსრულდა სახალხო თეატრის მსახიობს და სამამულო ომის ვეტერანს ლუბა ჯავახიშვილს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მხატვრულმა თვითმოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა და სადგურ თბილისის საკვანძო რკინიგზის კულტურის სახლის გამგეობამ ახლახან მოაწყეს მისი საიუბილეო საღამო.

იგი შესავალი სიტყვით გახსნა ნავთლუღის რკინიგზის კულტურის სახლის დირექტორმა გ. ჰიჰიკოშვილმა.

ლ. ჯავახიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა მხატვრული თვითმოქმედების რესპ. სახლის თეატრალური განყოფილების გამგემ აკ. დევიძემ.

იუბილარისადმი მისასალმებელი გულთბილი სიტყვებით გამოვიდნენ

ომის ვეტერანები, თბილისის 18-ე არმიის ვეტერანთა საბჭოს სახელით ამავე საბჭოს წევრი კაპიტანი დ. ზაქარეიშვილი და ყოფილი ანაპის 414-ე წითელ-დროშოვანი ქართული დივიზიის ვეტერანთა საბჭოს წევრი მაიორი ნ. ქურდაძე, რომელმაც ადრესთან ერთად იუბილარს წაუკითხა საკუთარი ლექსი:

იუბილარს გესალმები,
ჩვენო მამულიშვილო
ხელოვნების დიდოსტატო, —
ლუბა ჯავახიშვილო.

40 წლის მსახიობო,
ხელოვანო, ხმატკბილო,
სცენის საყვარელო შვილო,
ლუბა ჯავახიშვილო.

ყველა როლის შესრულება,
როგორ მინდა ვიხილო,
მსახიობის ეტალონო,
ლუბა ჯავახიშვილო.

შენ აღზარდე თაობები,
და ის უნდა იშვილო
ღვაწლმოსილო, კარგო ქალო,
ლუბა ჯავახიშვილო.

როცა მტერმა ომი იწყო,
შენ თქვი უნდა ვეშველო
ფრონტზე წახველ. ურდოს ელეტდი
ლუბა ჯავახიშვილო.

რამდენ დაჭრილს შენ უშველე,
მედდავ, ერის დიდო შვილო,
ქალო. ვაჟკაცის გულითა,
ლუბა ჯავახიშვილო.

მთავრობისა ჯილდოებით,
გულმკერდ დამშვენებულო
დღესაც შემართებით შრომობ,
ლუბა ჯავახიშვილო.

შრომის, ომის ვეტერანო,
სასახელო, ვალმოხდილო,
პატრიოტულ ზრდას განაგრძობ,
ლუბა ჯავახიშვილო.

დიდება შენ, ჩვენო გმირო,
ქვეყნის საყვარელო შვილო,
სამშობლოსთვის პატრიოტო,
ლუბა ჯავახიშვილო.

ჯანმრთელ სიცოცხლეს გისურვებ,
დიდო მამულიშვილო,
კვლავ წინსვლა და დღეგრძელობა,
ლუბა ჯავახიშვილო,

ასევე საკუთარი ლექსი წაუკითხა ომის ვეტერანმა კაპიტანმა ს. ქინქლაძემ.

იუბილარს მიესალმნენ, აგრეთვე, ამავე კლუბის ბავშვთა სექტორის მხატვრული კითხვის წრის წევრები ქ. ფირცხალაშვილი, გ. ენუქიძე, გ. ორველაშვილი, გ. შენგელია, მ. გაგლოევი, ლ. ჩოკოშვილი, მ. გოცირიძე, გ. ვარძიაშვილი, მოსწავლეთა სახალხო თეატრის მსახიობები: გ. ბორაშვილი, ს. გამზრდილიშვილი, მ. ლონდარიძე, ნ. კურტანიძე, ს. ელერდაშვილი, გ. ბედიანაშვილი, ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავეები თ. ბეგიაშვილი, ი. სარქისოვა, მ. ჩოხელი, გ. ლონდრიშვილი, დ. კურტანიძე, რ. სურგულაძე, ლ. ხატიაშვილი, პიონერთა სასახლის მზიურის წევრი, ამავე კლუბის აქტივი ლ. ხორბალაძე.

ცირკო-საესტრადო ჯგუფის წევრმა თ. ჯანდიერმა წაიკითხა პოეტ თ. ჭელიძის ლექსი „თამარ მეფის საფლავი".

დასასრულს ლ. ჯავახიშვილმა მადლობა გადაუხადა ამ გულთბილი საიუბილეო საღამოს მოწყობისათვის საქართველოს მხატვრულ თვითმოქმედების რესპუბლიკურ სახლს, სადგურ თბილისის საკვანძო რკინიგზის კულტურის სახლის გამგეობას, მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და მთავრობას, სიტყვებში გამოსულ ამხანაგებს, კოლეგებს, რომლებთანაც წლების განმავლობაში უმოღვაწნია, ყველა დამსწრეს.

„ეს დღე ჩემთვის ღირსსახსოვარია, — თქვა იუბილარმა, — იგი დიდხანს გამყვება, თითქოს სიცოცხლეც ხელახლა იწყება...

ვსარგებლობ მომენტით და მინდა ახალგაზრდობას — ჩვენს იმედს და მომავალს, ვუსურვო სიხარული, უფროსი თაობის ტრადიციათა გაგრძელება, ბრძოლით მოპოვებული, მართლაც და ბედნიერი ცხოვრების დაფასება-გამოყენება. დაე, საფიცრად მუდამ ჰქონდეთ სამშობლო, ცხოვრების ნათელ მიზნად კი ხალხისადმი უანგარო სამსახური.

აი, ამ საღამოს შესახებ რას წერს გაზეთი: „ვინც თვალყურს ადევნებს

ჩვენი დედაქალაქის სახალხო თეატრების შემოქმედებას, მას მხედველობიდან არ გამორჩებოდა სცენისმოყვარე ლუბა ჯავახიშვილი, რომელიც აგერ უკვე ოთხ ათეულ წელიწადზე მეტია ნაყოფიერად იღვწის და ვინ მოთვლის, რამდენი საინტერესო სახე შექმნა. როცა ქვეყანას ომის ღრუბლები ჩამოაწვა, იგი სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა და ქალიშვილის ტკბილი სიტყვითა და ხელით მალამოდ ედებოდა დაჭრილებს. ლ. ჯავახიშვილი მთავრობის ჯილდოებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა ომიდან და კვლავ საყვარელ ნავთლუღის სახალხო თეატრს მიაშურა. ამ დღეებში ამაგდარ ქალს შეხვედრა მოუწყო საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა და რკინიგზის საკვანძო სადგურის კულტურის სახლის გამგეობამ.

იუბილარის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ილაპარაკა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური სახლის თეატრალური განყოფილბის გამგემ ა. დევიძემ. სიტყვით გამოვიდნენ რკინიგზის კულტურის სახლის დირექტორი გ. ჰიჰიკოშვილი, მე-18 არმიის ვეტერანთა საბჭოს წევრი დ. ზაქარეიშვილი, ომის ვეტერანები ნ. ქურდაძე, ს. ქინქლაძე, მხატვრული კითხვის წრისწევრები, ნორჩი მოცეკვავეები"[1].

[1] გაზ. „თბილისი", 1976, 4/II.

# ნავთლუღი

[illegible] 9 [illegible] 1917 [illegible]

[illegible]

I.

# დამარცხებულნი

[illegible]

[illegible]

[illegible]

II

# [illegible]

[illegible]

პროგრამა

# ნაძთლუხი

[illegible] თეატრი.

28 ქრისტეშობისთვეს 1917 წ.

აქტ. სოზ. გ. გ. ელდარხანოვის ქარხნის მუშათაგან შემდგარ [illegible] სცენის-მოყვარეთა ახალი წრის ძალით წარმოდგენილ იქნება ბატონყმობის ცხოვრებიდან

# არსენა

[illegible]

| | |
|---|---|
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| 1 [illegible] | [illegible] |
| 2 [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |

[illegible]

[illegible]

## მ. გორკის სახელობის კულტურის სასახლე

მ. გორკის სახელობის კულტურის სახლი დაარსების პირველ დღეებიდანვე მუშათა კლასის ინტერნაციონალური აღზრდის ნამდვილი კერა გახდა. აქ ერთმანეთის მხარდამხარ შრომობდნენ და ჩვენი ნათელი მომავლისათვის იბრძოდნენ ქართველი და რუსი, სომეხი და აზერბაიჯანელი, უკრაინელი და მრავალი სხვა მოძმე ხალხის შვილები.

კლუბის დაარსების ძირითადი მიზანი მასებში პოლიტიკური, კულტურული, ესთეტიკური აღზრდის ფართო პროპაგანდა იყო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდან, როდესაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ხელოვნებისა და მხატვრული თვითმოქმედების ყველა დარგს, კულტურის სახლებსა და კლუბებში ტრადიციად იქცა თვითმოქმედი მომღერალი გუნდების, თეატრალური კოლექტივების და ქორეოგრაფიული წრეების მიერ საღამო-კონცერტების სისტემატური გამართვა. ის უდიდესი მზრუნველობა და ყურადღება, რომელსაც პარტია და მთავრობა იჩენდა და იჩენს თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების განვითარების საქმეში, დიდად უწყობდა ხელს ხალხური შემოქმედების ზრდას.

ამჟამად, გორკის სახელობის კულტურის სახლში სისხლსავსეა ყოველი დარგის საქმიანობა. 40-მდე მხატვრულ თვითმოქმედ წრეში გაერთიანებულია 3000-მდე წევრი, გაცილებით მეტი, ვიდრე 1926—1928 წლებში როცა კლუბი აღმშენებელთა კავშირს ეკუთვნოდა.

ამჟამად, გორკის სახელობის პარკის საზაფხულო კლუბის შენობა შეიცვალა კეთილმოწყობილი შენობით. ამ საქმეში დიდი ღვაწლი და დამსახურება

მიუძღვის გორკის პარკის მაშინდელ დირექტორს, ფილარმონიის ყოფილ ადმინისტრატორს ა. გვინჩიძეს.

1943 წელს ა. გვინჩიძემ წინადადებით მიმართა მაშინდელი კვების მრეწველობის თავმჯდომარეს ვ. ბაქრაძეს, რომელთაც იმ დროს ეს კლუბი ეკუთვნოდათ, რათა აღნიშნული პარკის საზაფხულო კლუბის შენობა ახალი კეთილმოწყობილი კულტურის სახლის შენობით შეცვლილიყო, როგორც ეს საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებლის, დიდი პროლეტარული მწერლის სახელს შეშვენოდა.

ურიგო არ იქნება აქვე აღვნიშნოთ, თუ როდის ეწოდა ამ კლუბს მაქსიმ გორკის სახელი. ეს მოხდა 1929 წლის ივლისს, როცა გორკი საქართველოს მესამედ ეწვია. პირველად 1891—1892 წლებში იმყოფებოდა საქართველოში. იგი აქ, ჩამოვიდა როგორც მოგზაური და დაბრუნდა როგორც ცნობილი მწერალი. მისი პირველი ნაწარმოები „მაკარ ჩუდრა" სწორედ თბილისში დაიწერა და დაიბეჭდა, ამიტომ ეს ქალაქი მისთვის იქცა უწმინდეს ადგილად, მისი შემოქმედების წყაროდ. მ. გორკი ამ ნაწარმოებით გახდა ცნობილი მთელ მსოფლიოში.

„არასოდეს მავიწყდება, რომ სწორედ ამ ქალაქში გადავდგი პირველი ნაბიჯი იმ გზაზე, რომლითაც მივდივარ აგერ მეოთხე ათეული წელია. შეიძლება ითქვას, რომ ამ ქვეყნის ულამაზესმა ბუნებამ და მისი ხალხის რომანტიკულმა სიფაქიზემ — სწორედ ამ ორმა ძალამ მომცა ბიძგი, რომელმაც მოხეტიალედან ლიტერატორი გამხადა"[1].

მ. გორკის სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოსთან, ქართველ ხალხთან. ამიტომ იყო, რომ შვიდი წლის უნახავმა თავისი პოეტური სამშობლო იხილა. მას აინტერესებდა საკუთარი თვალით ენახა ის გრანდიოზული გარდაქმნები, რომელიც მის სამშობლოში ხდებოდა. სწორედ მესამედ ჩამოსვლის დროს 1929 წელს გამოსულა იგი ამ პარკში მშრომელთა კრებაზე. გორკის ამ ბაღში ქართველ სცენისმოყვარეებთან ერთად სურათი გადაუღია და აქვე პარკის რესტორანში მის საპატივსაცემოდ გამართულ ბანკეტზედაც დარჩენილა.

აი, როგორ აგვიწერს ამ დღეს ამავე კულტურის სახლის ძველი სცენისმოყვარე დ. ჩაჩანიძე — 1929 წლის ზაფხულს, თბილისს ეწვია ჩვენი საყვარელი მწერალი მ. გორკი. მის ჩამოსვლას თბილისი დიდი ზეიმით შეხვდა. ფეხდაფეხ დასდევდნენ, სადაც კი ფეხს დაადგამდა, გორკის ყველგან დიდი სიყვარულითა და პურმარილით ხვდებოდნენ. პლეხანოვის გამზირზე, (სადაც

[1] გაზ. „კომუნისტი", 1968, 27 მარტი.

ახლა გორკის კლუბია მოთავსებული) მოუწყვეს დიდი შეხვედრა. მე მაშინ ვმუშაობდი პლეხანოვის გამზირზე, № 21-ში, პურის არტელის თავმჯდომარედ. მთელი ჩემი მეპურეები და მეფურგონეები, ვინც კი თავისუფალი იყო იმ დღეს, ამ ბაღში მოგროვდნენ. ფილიპე მახარაძემ და სხვებმა სიტყვებით მიმართეს გორკის. შემდეგ საპასუხო სიტყვით გამოვიდა თვით მაქსიმ გორკი. ორჯერ სურათიც გადავიღეთ. ერთი 40—50 კაცმა, მეორე 15—20-მა. იქვე, შუა ბაღში გაიშალა პურ-მარილი. რესტორნის მეპატრონეები იყვნენ „ოქროპეტა“ და „პატარა ალექსა“. დუდუკებზე უკრავდა სახელგანთქმული დამკვრელები დათა ზუბიაშვილი და პეტა ჩაჩანიძე (ჩემი ბიძაშვილი). დიდი ბაგრატას (ბახრამოვის) გამოწვევაზე გამხიარულებულმა მ. გორკიმ ლეკური ჩამოუარა. ჩემი მუშები პურ-მარილით მიეგებნენ. მეპურე ვანო დაუშვილმა გამოაცხო დიდი შოთები. ასეთი შეხვედრა დემონსტრაციას უფრო ჰგავდა. მეორე დღეს გორკი მწერლებმა და პოეტებმა პუშკინის ქუჩაზე მდებარე რესტორან „სიმპათიაში“ დაპატიჟეს. მთელ დღეს ქეიფობდნენ. აქაც მოითხოვეს გუშინდელი მეზურნეები — ზუბიაშვილი და ჩაჩანიძე. ბაგრატა კი დუდუკზე უკრავდა. წასვლისას გორკის მთელი თბილისი აცილებდა.

აი, ამ დღიდან ეწოდა ამ პარკს გორკის სახელი... პარკის საკმაოდ დიდი ტერიტორია და მეტად მდიდარი ნარგავები შესაძლებლობას იძლეოდა აშენებულიყო კეთილმოწყობილი კულტურის სახლის შენობა.

ამ ღირსშესანიშნავ წამოწყებას მხარი დაუჭირა და დიდი დახმარება გაუწია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. დაიწყო დაძაბული და ენერგიული მუშაობა, რომელმაც სამ წელს გასტანა. გახსნის დღესთან დაკავშირებით, პარკში დაიდგა გორკისა და ლენინის ბიუსტები. ამ დღისათვის შეირჩა და მომზადდა საკუთარი წრეები. დრამატული დასი (ხლმძღვანელი გ. გოგიჩაიშვილი) და ქორეოგრაფიული ანსამბლი (ხელმძღვანელი რ. ჭოხონელიძე).

1945 წლის 9 ივნისს, სადღესასწაულოდ მორთული დარბაზის შენობის შესასვლელში სვეტები ფერადი ყვავილებითა და გირლიანდებით იყო მორთული.

შესასვლელში, კარის მთელ სიგრძეზე, აბრეშუმის ფერადი ბაფთა გაებათ. ხალხი კლუბის საზეიმო გახსნას მოუთმენლად ელოდა. ზეიმს ესწრებოდნენ მთავრობის წარმომადგენლები, პოეტები, მწერლები, მსახიობები, პრესის მუშაკები და მოწინავე ახალგაზრდობა. და აი, საქართველოს პროფკავშირის თავმჯდომარე გ. სტურუა ჭრის ბაფთას, იხსნება კარი და მხიარული საზოგა-

დოება დარბაზისაკენ მიემართება. საღამოს ხსნის პარკის დირექტორი ა. გვინჩიძე.

საღამოზე მოხსენებით გამოვიდა კვების მრეწველობის კავშირების თავმჯდომარე ს. მიქელაძე. სიტყვებში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ პროფკავშირებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, მწერლები და პოეტები, ქარხნის მუშები.

საღამო-კონცერტი ქორეოგრაფიული ანსამბლით გაიხსნა. დადგეს ცეკვები: „განდაგანა", „შეჯიბრი", „ხევსურული სიუიტა", „ცეკვა ქართული" და სხვ. დრამატულმა კოლექტივმა (ხელმძღვანელი გ. ჟურული) საკუთარი ძალებით წარმოადგინა ა. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა" (მეოთხე მოქმედება) და ბ. ლავრენიევის „რღვევა" (მეორე მოქმედება). საღამო მიჰყავდათ ფილარმონიის ცნობილ კონფერანსიებს — გ. საღარაძესა და სტ. ჯაფარიძეს.

მალე ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილმა კულტურის სახლმა, კარგმა მუსიკალურმა საკრავებმა და შესანიშნავმა მაყურებელმა დიდად გაუთქვა სახელი ამ კლუბს. თუ რომელიმე გასტროლიორი ერთხელ მაინც იგემებდა აქ ჩატარებული კონცერტის გემოს, იგი სხვაგან გამოსვლაზე უარს აცხადებდა.

ერთ-ერთი საგასტროლო მოგზაურობით, ფილარმონიის მოწვევით თბილისში ჩამოვიდა განთქმული მომღერალი, სომხეთის ოპერის თეატრის ცნობილი მსახიობი გ. გასპარიანი. პირველი კონცერტის შემდეგ მან განაცხადა: ახლა მე გორკის კლუბში ვიმღერებო. მაშინ კულტურის სახლის დირექტორმა ა. გვინჩიძემ შესთავაზა: თუ თქვენ თანახმა იქნებით, ჩვენს კლუბში შეგახვედრებთ თბილისის ოპერის თეატრის ცნობილ მომღერალს მ. ნაკაშიძესო. ამ შეთავაზებამ ძალზე გაახარა სტუმარი. ეს დღე დაუვიწყარია მაშინდელი მსმენელებისათვის. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ორი მოძმე ერის ბრწყინვალე მომღერალი — მ. ნაკაშიძე და გ. გასპარიანი.

მართალია ქართველი საზოგადოება ბევრჯერ შეხვედრია მ. ნაკაშიძეს საოპერო თეატრში და დიდადაც მოხიბლულა მისი სიმღერით, მაგრამ ამ საღამოს იგი განსაკუთრებული ყოფილა. კონცერტი ორივე მსახიობის ტრიუმფით დამთავრებულა.

□□

გადიოდა წლები და თანდათანობით ფეხს იკიდებდა მხატვრული თვითმოქმედების თითქმის ყველა სახეობა. ახალგაზრდების ლტოლვა ხელოვნებისაკენ თანდათან მრავალფეროვან ხასიათს იძენდა.

1955 წლიდან დრამატულ კოლექტივს სათავეში უდგას მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ილია მათიაშვილი.

ი. მათიაშვილი კახეთის მკვიდრია, დაიბადა სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუგაანში. მისი მამა — გიორგი გლეხურ ცხოვრებას ეწეოდა. მამის გარდაცვალების შემდეგ, დედამ თავისი შვილები ამგვარსავე ცხოვრებას შეაჩვია. ილია ბავშვობიდანვე შეესისხლხორცა გლეხის შრომას, ეზიარა მის ლხინს, ჭირსა და ვარამს.

შვიდი წლის ილია ჯუგაანის დაწყებით სასწავლებელში მიაბარეს. სწავლის პერიოდში იგი სასცენო ხელოვნებასაც ეზიარა — დრამატული წრის მიერ დადგმულ პ.ირეთელის „ქრისტინეში" გოგიას როლში ათამაშეს, ხოლო დ. ჭონქაძის „სურამის ციხეში" ზურაბის როლი დააკისრეს. და ამ დღიდან აღარ მოშორებია ილიას თეატრზე ფიქრი: ხშირად ესწრებოდა სპექტაკლებს, აკვირდებოდა მსახიობთა თამაშს, შესრულების მანერას, შემდეგ კი ნანახსა და განცდილს თავის ტოლ-ამხანაგებს უზიარებდა და ეზოში თუ სახლის აივანზე ბიჭუნებისაგან შედგენილი „დასით" წარმოდგენებს მართავდა.

შვიდწლედის დამთავრების შემდეგ, ი. მათიაშვილი თბილისის ინდუსტრიალური ტექნიკუმის საამშენებლო ფაკულტეტის მოსწავლე ხდება, მაგრამ გული მაინც სცენისაკენ მიუწევს. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, 1933 წელს იგი მისაღებ გამოცდებს აბარებს ჯერ რუსთაველის თეატრის, ხოლო შემდეგ მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან არსებულ სტუდიაში. როცა გამოცდაზე მას ეტიუდის შესრულება დაავალეს, ახალგაზრდა ჭაბუკი შიშმა შეიპყრო. მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. დროებითი შიში რწმენამ განდევნა და უშანგი ჩხეიძის, ვერიკო ანჯაფარიძისა და შალვა ღამბაშიძის საერთო მოწონება დაიმსახურა.

სტუდიაში სწავლის პარალელურად, იგი მასობრივ სცენებში გამოდიოდა, ხშირად ეპიზოდურ როლებსაც ასრულებდა. 1937 წელს სტუდიის დამთავრებისთანავე მარჯანიშვილის თეატრში ჩაირიცხა.

ი. მათიაშვილის ნამდვილი შემოქმედებითი ცხოვრება და მისი შეხვედრა ფართო აუდიტორიასთან მარჯანიშვილის თეატრში ი. ვაკელის პიესა „შურით" დაიწყო. უსაზღვრო იყო ი. მათიაშვილის სიხარული, თუმცა ზოგჯერ იდუმალი შიში უკენწლავდა გულს, როცა სცენაზე საკუთარ თავს მაყურებლის წინაშე წარმოიდგენდა ხოლმე. სპექტაკლმა მაყურებლისა და პრესის მაღალი შეფასება დაიმსახურა. რეცენზენტები, სპექტაკლის რეჟისორულ მხარესთან ერთად, ხაზგასმით გამოყოფდნენ ხასანას როლის ჩინებულ შემსრულებელს ი. მათიაშვილს.

როლებს როლები მოჰყვა. მარჯანიშვილის თეატრში მისი მოღვაწეობის პერიოდში მსახიობის მიერ შესრულებული როლებიდან გამოირჩევიან: მურთაზი (ი. ვაკელის „შამილი“), ზაქროს მამა და დათო მოურავი (შ. დადიანის „ჩატეხილი ხიდი“), აბელა (ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“), 1 კომკავშირელი (პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინებაში“), გიმნაზიის დირექტორი (გ. ბააზოვის „იცკა რიჟინაშვილი“) და სხვა.

აქ განსახიერებულმა სახეებმა მაყურებელთა გულწრფელი მოწონება დაიმსახურა, რამაც ახალგაზრდა მსახიობს განუმტკიცა რწმენა საკუთარი შემოქმედებისადმი და იგი მომავალი წარმატებების იმედით აღენთო...

მის შემოქმედებით ზრდას დიდმა სამამულო ომმა მოუსწრო. ი. მათიაშვილი იძულებული გახდა მუშაობა დროებით შეეწყვიტა. ომის დამთავრების შემდეგ კვლავ მშობლიურ თეატრს მიაშურა, ამჯერად ტექნიკურ რეჟისორად, ხოლო როცა მარჯანიშვილის თეატრთან სტუდია გაიხსნა, შეთავსებით იწყებს მუშაობას ჯერ ინსპექტორად, შემდეგ კი სასწავლო ნაწილის გამგედ.

მოგვიანებით იწყება მისი სარეჟისორო ნათლობა მხატვრულ თვითმოქმედ კოლექტივებში. 1955 წლიდან იგი ინიშნება მ. გორკის სახელობის კულტურის სახლში თეატრალური კოლექტივის რეჟისორად. მის მიერ განხორციელებული დადგმებიდან გამოირჩევიან ჯიაკომეტის „დამნაშავის ოჯახი“, მ. მრევლიშვილის „ხარატაანთ კერა“, ო. ვასილევის „ჩემი შვილი“, ვ. კატაევის „აფრა ეული“, ი. ფრანკოს „ჯიხური № 27“ და თავისი საკუთარი პიესები: „მმართველი და საქმეთა მმართველი“, „ბოლო ასეთი ექნება“, „ანგელოზის ოინები“, „ქალის ოინები“ და ერთმოქმედებიანი პიესები და მინიატიურები.

აღსანიშნავია, რომ ი. მათიაშვილის მიერ მაღალმხატვრულ დონეზე განხორციელებულმა სპექტაკლებმა კარგი შეფასება დაიმსახურეს: მ. მრევლიშვილის პიესა „ხარატაანთ კერამ“ 1954 წელს რესპუბლიკურ დათვალიერებაზე პირველი ხარისხის დიპლომი დაისაკუთრა. ხოლო ი. მათიაშვილის პიესა „მმართველი და საქმეთა მმართველი“ რესპუბლიკის 1-ლ ფესტივალზე ლაურეატის წოდება.

ი. მათიაშვილის პიესა „მმართველი და საქმეთა მმართველი“ ერთი კოლექტივის მიერ 400-ჯერაა წარმოდგენილი. შემოვლილი აქვს საქართველოს ყველა კუთხე. გადაიცა ტელევიზიითაც. ხოლო მისი მეორე პიესა — „ანგელოზის ოინები“ დადგა ფილარმონიამ. მსახიობ ა. ტურიაშვილის ბრიგადამ ეს პიესაც მრავალჯერ წარმოადგინა. თვით ი. მათიაშვილი კი დაჯილდოვებულია მედლებით და უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელითა და მრავალი სხვა სახის ჯილდოებით.

ი. მათიაშვილი, გარდა თეატრალური მოღვაწეობისა, მონდომებითა და

პასუხისმგებლობის გრძნობით ასრულებს პარტიულ და საზოგადოებრივ დავალებებს. იგი რესპუბლიკის ყველა ოლიმპიადის მონაწილეა, როგორც სარეპერტუარო კომისიის წევრი და ოლიმპიადის წამყვანი რეჟისორი, აგრეთვე მოსწავლეთა რესპუბლიკური ოლიმპიადების მთავარი რეჟისორი.

1961 წელს გორკის სახელობის კულტურის სახლს, რომელსაც ი. მათიაშვილი ხელმძღვანელობდა, მიენიჭა სახალხო თეატრის საპატიო წოდება, ი. მათიაშვილი გადაიყვანეს კულტურის სახლში არსებული მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების სამხატვრო ხელმძღვანელად, ხოლო მის ადგილზე დაინიშნა რეჟისორი შ. ჩერქეზიშვილი, რომელიც 1961 წელს გორკის სახელობის კულტურის სახლის სახალხო თეატრს ჩაუდგა სათავეში. ამ ნიჭიერმა შემოქმედმა სახელმწიფო თუ სახალხო თეატრებში ყველგან ღრმა პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა — თავისი კეთილსინდისიერი მუშაობითა და მაღალმხატვრული დადგმებით, ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია.

იმავე წელს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს გადაწყვეტილებით შ. ჩერქეზიშვილს თელავის სახელმწიფო თეატრის მთავარ რეჟისორად უნდა ემუშავა, მაგრამ ამ დროს გორკის სახელობის კულტურის სახლში სახალხო თეატრმა დაიწყო ჩამოყალიბება, პარტიის რაიონულმა კომიტეტმა კი, ამ მისიის შესრულება შ. ჩერქეზიშვილს დაავალა. გამოცდილმა რეჟისორმა შეთავაზება სიამოვნებით მიიღო და თელავის სახელმწიფო თეატრში მუშაობის ნაცვლად გორკის სახელობის კულტურის სახლში გაშალა მოღვაწეობა.

თვითმოქმედი კოლექტივის მაღალმხატვრულ, პროფესიულ დონეზე აყვანისათვის საჭირო იყო დასის გადახალისება, მისი სრულჰყოფა, მისი შევსება ახალი ძალებით. თბილისის ქუჩებში სტენდებზე გაჩნდა აფიშა-განცხადებები, რომლებიც იუწყებოდნენ: „გორკის სახელობის კულტურის სახლის დრამატული დასი გიწვევთ თქვენ, კვების მრეწველობის საწარმოში შემავალ ყველა მუშა-ახალგაზრდებს, რომელთაც სურვილი გაქვთ ჩაებათ თეატრალურ შემოქმედებაში“.

განცხადებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა. უამრავი ახალგაზრდა მოაწყდა კლუბს. თეატრალური კოლექტივი მალე შეივსო სხვადასხვა პროფესიის მქონე სცენისმოყვარეებით.

კულტურის სახლში გაიშალა სტუდიური მუშაობა. დადგმებზე მოიწვიეს მხატვრები: ნ. ყაზბეგი, მ. ჟორჟოლაძე, ალ. ვერულაშვილი, კომპოზიტორები: გ. ცაბაძე, შ. მილორავა, ო. თევდორაძე.

გაჩაღდა ინტენსიური მუშაობა, თეატრმა დაიწყო რიტმული ცხოვრება, საფუძველი ჩაეყარა ახალი სეზონის წარმატებებს.

რეჟისორმა სამხატვრო საბჭოსთან შეთანხმებით პირველ სპექტაკლად შეარჩია ი. ჯავახიშვილის ოთხმოქმედებიანი დრამა „ჩრდილი ყვავილზე". სპექტაკლის დამდგმელმა რეჟისორმა სცენაზე ორიგინალურად განახორციელა ი. ჯავახიშვილის დრამა. სპექტაკლს გამოუნახა შესაფერისი ფორმა და სანახაობა, მიმზიდველი გახადა მაყურებლისათვის. როლებს საუცხოოდ ასრულებდნენ სპექტაკლში დაკავებული მსახიობები: ა. კიკუაშვილი (ლეონ კაიშაური), გ. კვინიკაძე (ნათელა), ც. აბაშიძე (მარინე), ა. გურაბანიძე (ავთო), ზ. ყაზიშვილი, გ. ჩიტაიშვილი (გოგი); ც. ლოლაძე, ს. ჩუბინიძე (თინა); ქ. დალაქიშვილი (ფიდო); ო. ხეჩიაშვილი (მგელა); ნ. ხითარიშვილი (ექიმი); ლ. მახვილაძე (მდივანი); ა. კვინიკაძე, რ. გიგაია (ფოსტალიონი).

სპექტაკლს შესატყვის ფონს უქმნიდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ნ. ყაზბეგის მხატვრული გაფორმება და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის კომპოზიტორ გ. ცაბაძის მუსიკა.

პირველი წარმატების შემდეგ ფრთაშესხმულმა თეატრმა უფრო გაბედული ნაბიჯი გადადგა და დასადგმელად აირჩია მეიოსა და ენეკენის სამმოქმედებიანი კომედია „საუზმის ბრალია".

პიესა ოჯახურ თემაზეა დაწერილი და კარგად გვიჩვენებს, რა შეიძლება მოჰყვეს სრულიად დაუფიქრებლად ნათქვამ სიცრუეს, რომელიც ზვავივით იზრდება და ხშირად დიდი კონფლიქტის მიზეზი ხდება.

პიესა მოკლე დროში მოამზადეს და 1962 წლის 17 დეკემბერს გრიბოედოვის სახელობის თეატრის სცენაზე წარმოადგინეს. ღელავდნენ მსახიობები, თუმცა მათ პირველად როდი უხდებოდათ მაყურებელთან შეხვედრა, მაგრამ ვიდრე ფარდა აიხდება, ვიდრე მსახიობი პირველ სიტყვას იტყვის, ეს ჩვეულებრივი დაძაბულობა ყოველთვის თან ახლავს ხოლმე პრემიერას. ასე იყო ამჯერადაც. ვიწრო ოთახებში სარკეებთან ტრიალებდნენ მსახიობები. ზოგი გრიმს იკეთებდა, ზოგი როლს იმეორებდა. იმ წუთში არც ერთ მათგანს არ ახსოვდა ის დამქანცველი დღეები, პიესის მომზადებას რომ მოახმარეს. არც ის, რომ ხვალ ერთი ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელ ქარხანაში თავის დაზგასთან უნდა დამდგარიყო, მეორეს სახარატო ჩარხი უნდა აემუშავებინა, მესამეს ლექცია მოესმინა.

იმ საღამოს მათმა გულწრფელმა თამაშმა მოხიბლა მაყურებელი. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მთავარი როლების შემსრულებლები: შ. ჩერქეზიშვილი, ს. ჩუბინიძე, ო. ხეჩიაშვილი და გ. კვინიკაძე. დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს ეპიზოდურ როლებში — ზ. მამულეიშვილმა, ვ. გიორგაძემ და ქ. გაჩეჩილაძემ.

აი, რა შეფასებას აძლევს სპექტაკლს «Вечерний Тбилиси»:

„გორკის სახელობის კულტურის სახლის თეატრალური კოლექტივის მიერ განხორციელებული პიესა მეიოსა და ენეკენის „საუზმის ბრალია". არც სრულიად ჩვეულებრივია. მათი მონაწილეები, ეს ენთუზიასტი მოყვარულები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან. მუშები, სტუდენტები, მოსამსახურეები და მასწავლებლები, რომლებიც თავისუფალ დროს თეატრში მუშაობას ანდომებენ. კომედია — ვოდევილი მხიარული და ყოფითია. მოყვარულები მიმზიდველად, ენთუზიაზმით და კარგი რიტმით თამაშობენ. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია სცენისმოყვარულთა წრის ქალების მთავარი როლების შემსრულებლებმა, გათამამებულმა და ჰირვეულმა კეტიმ (ნ. ჩუბინიძე) და მისმა მხიარულმა მეგობარმა რეჯიმ (ლ. ხომეზური).

არ შეიძლება არ აღინიშნოს ეპიზოდური როლების შემსრულებლები. აი, პოლისმენის როლის შემსრულებელი ქ. დალაქიშვილი. ის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ლაბორანტია, მაგრამ თეატრის სიყვარულმა დიდი ხანია სცენაზე მოიყვანა.

1952 წელს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ აღნიშნა მსახიობ-სცენისმოყვარის სასცენო მოღვაწეობის 35 წლისთავი, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში 170-ზე მეტი როლი შეუსრულებია.

ხარატი ო. ხეჩიაშვილი (ჯიმ სკოტი), მაუდ-კამოლის კომბინატის მუშა მ. გვარაძე (მის პეტინქტონი), უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი გ. კვინიკაძე (ზოე), ავტოგარაჟის თანამშრომელი ზ. მამულაიშვილი (ჰენრი) და სხვები.

სპექტაკლის წარმატება დიდად იყო დამოკიდებული შ. ჩერქეზიშვილის რეჟისორულ ნამუშევარზე (ის ხომ ამ პიესაში ვილიამ ჰარისონის როლს ასრულებდა). დიდი ენერგიისა და ძალის დახარჯვა იყო საჭირო, რომ შეექმნა ძლიერი და შეკრული სპექტაკლი".

ამ დღიდან მოყოლებული, გორკის სახელობის კულტურის სახლის სცენაზე სახალხო თეატრალურმა დასმა შ. ჩერქეზიშვილის ხელმძღვანელობით მაღალ-მხატვრული დადგმებით ზემდგომი ორგანოების ნდობა გაამართლა და მაყურებლის სიყვარული დაიმსახურა. სცენაზე ამეტყველდა, სცენური სიმართლე, რითაც მკვეთრად გამოირჩეოდა რეჟისორის ხელოვნება.

ორივე გამარჯვებული სპექტაკლი გრიბოედოვისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრებში იქნა ნაჩვენები ქალაქის აქტივისათვის.

დაძაბულ შემოქმედებით მუშაობას ყოველთვის თან ახლავს დიდი სიხარული; თეატრალური კოლექტივის წევრებმა კარგი შეფასების გამო, დიდი

სიხარული განიცადეს, პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა გაითვალისწინა გორკის სახელობის კულტურის სახლის თეატრალური კოლექტივის მაღალმხატვრული დონე და 1963 წელს მას სახალხო თეატრის წოდება მიანიჭა.

ამის შემდეგ რეჟისორმა შ. ჩერქეზიშვილმა მუშაობა დაიწყო სოლიდარის სამმოქმედებიან კომედიაზე „გრამიტონი და მისი კუდი". (გადმოქართულებული მ. კიკვაძის და თ. ფერაძის მიერ). მონაწილეობდნენ: ა. ცაციაშვილი — ნათელა ცინცაძე; ჩუბინიძე — მერი ავალიშვილი; ლ. კობეშავიძე. გ. შარიქაძე — მილიცა; ლ. ლიახვისპირელი, ე. ბურდული — თამარ ჯავახიშვილი; ც. მარაბდელი — დაფინო; გ. გოგსაძე — არჩილ სვიმონიძე; რესპ. დამსახურებული არტისტი დ. კობახიძე — გრამიტონ სურგულაძე; უ. ბეგაშვილი, ე. ანჯაფარიძე — ავთანდილი; ქ. გაჩეჩილაძე — კაპიტონ კეთილაძე; რ. გიგაია, ე. ზამბახიძე—მამანტი ჩხოლარია. სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. ვერულეიშვილმა. პიესამ მაყურებლის გულწრფელი აღიარება დაიმსახურა.

ამ დადგმას მოჰყვა გ. ქელბაქიანის „ხმა გულისა" ანუ „ჩვენი ახალგაზრდობა". პიესა თანამედროვეობის საკითხებს ასახავს, რომელშიც მხატვრული დამაჯერებლობითაა მოთხრობილი, კომკავშირის აღზრდილების მიერ მრავალი დაბრკოლების გადალახვის ამბავი ძნელ უბანზე — ქვანახშირის შახტებში მუშაობისას, ყოველგვარი სიძნელის გამარჯვებით დაგვირგვინების ეპიზოდები. მაყურებლის თვალწინ ცოცხლდებიან სპექტაკლის გმირები — ანდრია (ა. კიკუაშვილი), ბერდო (ქ. გაჩეჩილაძე), ციცინო (ს. ჩუბინიძე), დაშა (ბეროზაშვილი) და სხვები. ყოველი მოხდენილი რეპლიკა, კარგად გათამაშებული სცენა თუ დიალოგი დარბაზში ცოცხალ რეაქციას იწვევდა. დამდგმელმა რეჟისორმა შ. ჩერქეზიშვილმა მხატვარ შ. ქორქოლაძესთან ერთად, შექმნა საინტერესო სპექტაკლი.

მიღებულმა გამოცდილებამ მთელ კოლექტივს შემოქმედებითი ბიძგი მისცა... თეატრი თანდათან უფრო გაბედულ ნაბიჯებს დგამს. მის რეპერტუარს შეემატა თ. ფერაძის პიესა „ჭიჭიკო ბენდელიანი".

ამ პიესის დადგმას მთელი რიგი სიძნელეები ახლდა. რამდენიმე თვის განმავლობაში თითქმის მთელი დასი უნდა ყოფილიყო დაკავებული. ფინანსური ხარჯებიც ჩვეულებრივზე მეტი იყო საჭირო... ამ პიესაზე ენთუზიაზმის გარეშე მუშაობის დაწყება უაზრო იქნებოდა. საჭირო იყო ამ ენთუზიაზმის შექმნა, ბენდელიანის ცოცხალი სახის ჩვენება.

„ჩვენ რთული გზა განვლეთ ჭიჭიკო ბენდელიანის გასაცნობად, — ამბობს თეატრის რეჟისორი შ. ჩერქეზიშვილი — მაგრამ რომ იტყვიან ძნელად მოპოებულს ძნელადვე დათმობო. საჭირო იყო შემოქმედებითი ალღოს გამო-

ქმნა როლების გახსნილების რთულ საქმეში. მართლაც, ს. იორქეიშვილს უტყუარი რეჟისორული ალღო აქვს. ფაქიზად ეკიდება მსახიობთა შერჩევის საკითხს, რითაც ქმნის გამარჯვების საწინდარს.

საინტერესო რეჟისორული მიგნებით, ორიგინალური გაფორმებით, აქტიორული იმპროვიზაციით „პიპიკო ბენდელიანი“ ისეთივე შესანიშნავი იყო, როგორც ამ თეატრის სხვა საუკეთესო დადგმები. სპექტაკლისათვის ნიშანდობლივი იყო: მგზნებარე, დიდი აზრის, ნატიფი გრძნობის, ახალგაზრდა თაობის ინტერესების გათვალისწინება.

სპექტაკლის წარმატება, უპირველეს ყოვლისა პიესის იდეურ-მხატვრულმა ღირსებამ განაპირობა. პიესაში იგრძნობა მთავარი მოქმედი გმირისადმი ავტორის უსაზღვრო სიყვარული. გასაგებია, ძნელია მსახიობმა სცენაზე წარმოგვიდგინეს ლეგენდად ქცეული ადამიანი, ხორცი შეასხას, სული შთაბეროს ჩვენს გონებაში შექმნილ სახეებს.

ამ სიძნელის დაძლევა შეძლო მსახიობმა ა. კიკუაშვილმა; იგი კარგად ხსნიდა ბენდელიანის შინაგან ბუნებას, ხასიათს, მისწრაფებას, წარმოგვიდგენდა რევოლუციის საქმისადმი ბოლომდე ერთგულ, უშიშარ ახალგაზრდა ქართველს, მტრისადმი შეურიგებელს, ახლობლისადმი გულისხმიერს, და გულმართალს. სპექტაკლი მაყურებელმა აღფრთოვანებით მიიღო და ოვაცია დარბაზში დიდხანს არ შეწყვეტილა“... სახალხო თეატრმა გადაწყვიტა თავისი ახალი დადგმა ეჩვენებინა თვით გმირის სოფელში, მისი მშობლებისა და თანასოფლელების თანდასწრებით. ამ შემთხვევაში დიდია პასუხისმგებლობის გრძნობა. რთულია მშობლების წინაშე რეჟისორმა წარმოადგინოს მათი შვილის მხატვრულად სრულყოფილი პორტრეტი და უფრო რთულია შემოქმედებითი ფანტაზიით ჩაწვდე გმირის არსებაში, ისე, რომ ზუსტად დაემთხვეს მშობელთა და თანასოფლელთა წარმოდგენა. რეჟისორის, ხელოვანის წარმოდგენას ამ იშვიათ ადამიანზე. გამოცდამ შესანიშნავად ჩაიარა. მაგრამ ამით როდი დამთავრებულა სპექტაკლის გამოცდა.

პრემიერა უჩვენეს ჩოხატაურში და სოფელ გორაპერეჟოულში, სადაც გმირი სწავლობდა, შემდეგ კი მთელ დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ადგილებში იქნა ნაჩვენები.

სპექტაკლს გამოეხმაურა პრესაც: „კვების მრეწველობის მუშაკთა მ. გორკის სახელობის კულტურის სახლთან არსებულმა სახალხო თეატრმა უკანასკნელ პრემიერად წარმოადგინა თ. ფერაძის „პიპიკო ბენდელიანი“. ამ სპექტაკლის პრემიერა მოეწყო გმირის მშობლიურ კუთხეში — ჩოხატაურში. მაყურებელთა შორის იყვნენ პიპიკო ბენდელიანის ნათესავები, მეგობრები, ამხანაგები. დადგმამ დიდი მოწონება დაიმსახურა. როლებს ასრულებდნენ:

ა. კიკუაშვილი, ს. ჩუბინიძე, ლ. კობეშავიძე, ო. ხეჩიაშვილი, ქ. გაჩეჩილაძე, გ. გოქსაძე, ლ. მახეილაძე და სხვები[1]". საქართველოს პროფსაბჭოს მიერ 1966 წელს გორკის სახელობის კულტურის სახლის მუშაობის შესახებ გამოიცა სპეციალური ბროშურა, რომელშიაც აღნიშნულია: „მნიშვნელოვნად გარდაქმნა მუშაობა კულტურის სახლთან არსებულმა სახალხო დრამატულმა თეატრმა, რომელსაც შ. ჩერქეზიშვილი ხელმძღვანელობს. სახალხო თეატრის შემადგენლობა შეივსო ახალი წევრებით, რეპერტუარი კი საბჭოთა პროგრესული საზღვარგარეთელი დრამატურგების მიერ თანამედროვე ისტორიულ-რევოლუციურ და ჰეროიკულ-პატრიოტულ თემაზე შექმნილი ნაწარმოებებით. მრავალი სიმღერებია შექმნილი საბჭოთა კავშირის გმირ მფრინავ ჰიჰიკო ბენდელიანზე. სამამულო ომის ფრონტზე სამშობლოს დასაცავად თავდადებით იბრძოდა ქართველი მეომარი. მისი გამოჩენა შიშის ზარს ჰგვრიდა მტრის მრავალრიცხოვან ურდოებს. იგი დაჯილდოებული იყო საბჭოთა ადამიანის ყოველი საუკეთესო თვისებებით. მას „შეუპოვარი ქართველი" შეარქვეს მისმა თანამებრძოლებმა, მაგრამ გმირი გმირულად დაეცა სამამულო ომის ფრონტზე.

უზომო მწუხარებამ დაისადგურა ფრონტიდან სადღაც შორს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ გორაბერეჟოულში, მშობლები და თანასოფლელები დამწუხრდნენ მისი სიკვდილით, მაგრამ ზოგჯერ ფიზიკური სიკვდილი უძლურია ადამიანის მიმართ და ჰიჰიკო ბენდელიანი კვლავ ცოცხლობს. შეუძლებელია მიცვალებულად წარმოიდგინო ის ადამიანი, რომლის გმირობაზე სიმღერებია გავრცელებული და ამ სიმღერებში გაისმის ქება-დიდება მისი უაღრესად პატრიოტული საქმიანობის შესახებ. მაგრამ სიმღერაც მცირე აღმოჩნდა გმირის პატრიოტული საქმიანობის ასახვისათვის და აი, დრამატურგმა თ. ფერაძემ შექმნა პატრიოტულ-ჰეროიკული პიესა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. აღნიშნული პიესის სცენიურ განხორციელებას ხელი მოკიდა გორკის სახელობის კულტურის სახლთან არსებულმა სახალხო თეატრმა. დამდგმელ რეჟისორს შ. ჩერქეზიშვილს ბევრი მუშაობა დასჭირდა გმირის მხატვრული სახის დადგენისათვის. იგი გაეცნო გაზეთების საშუალებით ბევრ საინტერესო მასალას გმირის პატრიოტულ საქმიანობაზე, მაგრამ არც ეს აღმოჩნდა საკმარისი. იგი თვითონ ეწვია გმირის სამშობლოს, საუბარი ჰქონდა მის მშობლებთან, ნათესავებთან და ამხანაგებთან. წერილების, ჰაბუკობისა და ფრონტული სურათების საშუალებით გაეცნო მის პიროვნებას და როდესაც, რამოდენიმე თვის დაუღალავი მუშაობის შედეგად, პიესის დადგმა განახორციელა, მაყურებელმა სცენაზე დაინახა ჰიჰიკო ბენდელიანი იმ სახით, რა სახითაც ამ გმირის სახე მათ წარმოდგენილი ჰქონდათ თავიანთ ფანტაზიაში...

სახალხო თეატრმა გადაწყვიტა თავისი დადგმა ეჩვენებინა თვით გმირის სოფელში, მისი მშობლებისა და თანასოფლელების თანდასწრებით. ამ შემთხვევაში დიდია პასუხისმგებლობის გრძნობა, რთულია შემოქმედებითი ფანტაზიით ჩაწვდე გმირის არსებაში, ისე, რომ ზუსტად დაემთხვეს მშობელთა და თანასოფლელთა წარმოდგენა რეჟისორის, ხელოვანის წარმოდგენას ამ იშვიათ ადამიანზე. გამოცდამ შესანიშნავად ჩაიარა, მშობლებმა განსაზღვრული დროის მონაკვეთში კვლავ იხილეს თავიანთი შვილი ისეთი მედგარი, შეუდრეკელი და გულადი, როგორიც იგი მათ აღზარდეს. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ რეჟისორის შეკითხვაზე მშობლებმა განაცხადეს ჩვენი შვილი არ მომკვდარა, იგი ცოცხალია, და მადლობა გადაუხადეს იმის გამო, რომ მათ გმირს სცენური სიცოცხლე მიანიჭეს“[1].

„ჭიჭიკო ბენდელიანის“ დადგმას მოჰყვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საფესტივალო სპექტაკლი ვასილევის „განგაში“, ანუ „ამქვეყნიური სამოთხე“. სპექტაკლში ასახულია ფაშიზმის განადგურების საქმეში ბულგარეთის კომუნისტური პარტიის მუშაობა რუსი ამხანაგების დახმარებით.

პიესა მძაფრი პოლიტიკური სიმახვილით გადმოსცემს უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბულგარელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ეპიზოდებს და ბურჟუაზიული საზოგადოების ერთ-ერთი წარმომადგენლის ტრაგიკულ ბედს.

გადამდგარი ოფიცერი ვიტან ლაზარევი თავის კარჩაკეტილ ედემადქცეულ კარმიდამოს ამქვეყნიურ სამოთხეს უწოდებს. იგი ემიჯნება ხალხს, ცხოვრებას, პოლიტიკას... გულწრფელად სჯერა, რომ შესაძლებელია პოლიტიკაში ჩაურევლად, განკერძოებულად ცხოვრება ისე, ვით სამოთხეში... და ვიტან ლაზარევის ეს ყალბი — ქიმერული ილუზია სასტიკ კრახს განიცდის...

რეჟისორმა მთელი ყურადღება შემსრულებელთა ოსტატობაზე გადაიტანა, რათა მართალი, ლოგიკური მოქმედებით აესახა გმირთა სცენური ცხოვრება. სცენისმოყვარეებიც დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ მათზე დაკისრებული სცენური იერსახეების შექმნის რთულ ამოცანას.

როდესაც გავეცანით სცენისმოყვარეთა მუშაობას, მათ უნარსა და მონდომებას, დავრწმუნდით, თუ რა დიდი შრომა გაუწევიათ ამ ლამაზი ჩანაფიქრის ხორცშესხმისათვის. დადგმის წარმატებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა; მათ შექმნეს მწყობრი, შეხმატკბილებული, ძალზე ემოციური სპექტაკლი.

---

1 ბროშურა „ფესტივალისათვის“, 1966, გვ. 8-9-10.

დადგმა მხატვრულად გააფორმა მხატვარმა ა. ჯემილიშვილმა, ხოლო თვით რეჟისორმა შ. ჩერქეზიშვილმა შეარჩია მუსიკა.

გ. გაჩეჩილაძის ვიტანი ღრმა ადამიანური თვისებებით შემკული, მცდარ პოზიციაზე მდგარი, მოტყუებული ადამიანის იერსახეა. იგი ყურადღებას იპყრობს ფსიქოლოგიური განცდების კარგი გადმოცემით.

ხალისით აღსავსე, გამჭრიახი გონებისა და უაღრესად სათუთი გრძნობის ახალგაზრდა მებრძოლი ბოიკო დასამახსოვრებელი, საყვარელი ტიპია. მისი დაღუპვა მაყურებელში აღძრავს მძლავრ პროტესტს, შურისძიების გრძნობას, რაც დამაჯერებელს ხდის ფინალს — ლილის მიერ საკუთარი ძმის ბორისის სასიკვდილოდ განწირვას.

ბოიკოს როლს მონდომებითა და დამაჯერებლად ასრულებდნენ ორივე შემსრულებლები ჯ. ჯარიაშვილი და ა. მიჩიტაშვილი.

მოხდენილმა გარეგნობამ, მიმზიდველმა ხმამ და განცდის უშუალობამ დიდად შეუწყო ხელი მსახიობ ლ. კობეშავიძეს, რათა შეექმნა რევოლუციისათვის თავდადებული მებრძოლი დედის მხატვრული, რეალისტური პორტრეტი.

მომხიბლავად წარმოგვიდგინა ვიტან ლაზარევის ქალიშვილი — ს. ჩუბინიძემ. დიდი უშუალობა და დამაჯერებლობა იგრძნობოდა მის თამაშში. წრის ნიჭიერი მსახიობის ამაღელვებელმა უზადო სახის შექმნამ აღტაცებაში მოიყვანა მაყურებლები.

დასამახსოვრებელია ბულგარელი პატრიოტის სავა ველიჩკოვას სახე, რომელსაც გ. გოგსაძე ანხორციელებდა. ზუსტ, სცენურ ფერებში ავლენს ავტორისა და რეჟისორის ჩანაფიქრს ო. ხეჩიაშვილი. მისი ბორისი საკუთარ თავზე შეყვარებული, განდიდების მანიით შეპყრობილი, სულიერად და მორალურად დაცემული ადამიანია, რომელსაც სურს მამის „ამქვეყნიური სამოთხის" მემკვიდრეობა ძარცვისა და მკვლელობის ფასად მიღებულ ოქროთი გაასხივოსნოს, ამიტომ უღალატა მშობლიურ ბულგარეთს და ფაშისტებს შეეწირა.

რეჟისორმა შ. ჩერქეზიშვილმა სწორად გაიგო და მაყურებლამდე მიიტანა ავტორის ჩანაფიქრი — მხატვრულ ფერებში აესახა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ბულგარეთის ინტელიგენციაში წარმოშობილი სოციალური ძალების გამიჯვნა.

□□

...შ. ჩერქეზიშვილი ბავშობიდანვე ყოფილა გატაცებული თეატრალური ხელოვნებით. იგი ჯერ 7 წლისა არც კი იყო, როცა სასკოლო წარმოდგენაში ეზიარა სასცენო ხელოვნებას, კლასის დამრიგებლის, ცნობილი პედაგოგის

ნ. ბოცვაძის ხელმძღვანელობით დადგმულ პიესა „გაზაფხულში". აქ მან პატარა ბიჭის როლი შეასრულა და თავიდანვე მიიპყრო აღმზრდელებისა და თანაკლესელების ყურადღება. ამ დღიდან მოყოლებული, იგი აქტიურად ებმება სასკოლო წარმოდგენებში.

ერთხელ შ. ჩერქეზიშვილმა მხატვარ ალ. ჭედიას (ამჟამად თეატრალური საზოგადოების მუშაკი) მიერ დადგმულ პიესაში „გაეცი მამა" ადიუტანტის მთავარი როლი შეასრულა და მაყურებლის გულწრფელი მოწონებაც დაიმსახურა. მასთან ერთად სპექტაკლში მონაწილეობდა თავისი თანაკლასელი მე-14 შრომის სკოლის მოსწავლე, ამჟამად რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მედეა ჯაფარიძე. იგი ამ პიესაში ბიჭის — გერდის როლს ასრულებდა. საფინალო სცენაში გერდი რევოლვერით კლავს ადიუტანტს — შ. ჩერქეზიშვილს და ფანჯრიდან ხტება.

წარმოდგენას შ. ჩერქეზიშვილის დედაც ესწრებოდა. ჭაბუკმა შალვამ იმდენად ამაღელვებლად შეასრულა სიკვდილის სცენა, რომ გეოგრაფიის მასწავლებელმა შ. გელოვანმა შალვას დედას ჩასჩურჩულა: თქვენი ჭაბუკი ნამდვილი არტისტი გამოვაო.

მართლაც, ამ დღიდან მოყოლებული, იგი სცენას აღარ ჩამოშორებია და მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა კლუბებისა და კულტურის სახლების თეატრალურ საქმიანობაში. ამ დროს აქ რეჟისორებად მუშაობდნენ ამჟამად საქართველოსა და უკრაინის სახალხო არტისტი დ. ალექსიძე და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რეჟისორი ვ. ყუშიტაშვილი.

შ. ჩერქეზიშვილმა პირველი თეატრალური ნათლობა სწორედ აქ დ. ალექსიძის მიერ დადგმულ ს. მთვარაძის პიესა „შუამავალში" მიიღო. მან ამ დადგმაში ყაშას მთავარი როლი შეასრულა. სპექტაკლში მონაწილეობდნენ აგრეთვე: ც. ამირაჯიბი, ნ. ჯავახიშვილი, დ. წეროძე, ს. ბეჟანიშვილი, ნ. ჩიხლაძე, ა. ხინთიბიძე, გ. აბაშიძე, მ. ბერიაშვილი, პ. ჭიჭინაძე, ვლ. ადამიძე და სხვ. თეატრს შემდეგში შემოემატნენ ნ. მაჭავარიანი, ს. ციმაკურიძე, ნ. მოსეშვილი, თ. დოლონაძე (ჩერქეზიშვილი), ქ. მაჭავარიანი.

თეატრმა 1940 წლამდე იარსება და ამ ხნის მანძილზე მოამზადა და დადგა: ს. მთვარაძის „შუამავალნი", აკ. ბელიაშვილის „კარიერისტები", „196 რძალი", „კაპასი" და „სპარსული ხალათი", მ. ჯაფარიძის „მოტაცება მინდოდა", მეიოსა და ენეკენის „საუზმის ბრალია".

უკანასკნელ პიესაზე „საუზმის ბრალია" მუშაობა მოუხდა რეჟისორის ასისტენტ შ. მანაგაძესთან. ხოლო როგორც მსახიობი ამავე პიესაში ჯიმ სკოტის მთავარ როლს ასრულებდა. გაიდის როლში კი გამოდიოდა ამჟამად კინორეჟისორი მ. ხუციევი.

ჰ. ხელეიშვილის ინსცენირებაში „ბაკურის ღორები" და ფრანგულ პიესაში „ჩემი მეომარი" ვ. ყუშიტაშვილთან თანარეჟისორობდა. თეატრმა, თავისი არსებობის მანძილზე, საგასტროლო მივლინებით შემოიარა საქართველოს თითქმის ყველა ქალაქი და სოფელი.

თეატრის ლიკვიდაციის შემდეგ, შ. ჩერქეზიშვილი ხელოვნების სამმართველოს მიერ მივლინებული იქნა ახლად ჩამოყალიბებულ ონის თეატრში, მაგრამ ზამთრის პერიოდი იყო და დიდი თოვლის მოსვლის გამო თეატრის შენობა დაინგრა, ამიტომ ხელოვნების სამმრათველომ იგი თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრში გააგზავნა სამუშაოდ.

1945 წელს შ. ჩერქეზიშვილი ინიშნება კ. მარჯანიშვილის სახელობის ყვარლის სახელმწიფო თეატრის დირექტორად და სამხატვრო ხელმძღვანელად. აღნიშნულ თეატრში მან ოთხი წელი დაჰყო და თავისი უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით მოამზადა და მაყურებელს უჩვენა მთელი რიგი სპექტაკლებისა: მეიოსა და ენეკენის „საუზმის ბრალია" — ჯიმსკოტი, გ. ბერძენიშვილის „ტირიფის ქვეშ" — ანდრო, ლ. გოთუას „მეფე ერეკლე" — ერეკლე, ი. მოსაშვილის „სადგურის უფროსი" — ლევანი, ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი" — შმაგა, აქვს. ცაგარლის „რაც გინახავს, ველარ ნახავ" — ავეტიკა, „ციმბირელში" მაზუთიანი, ქსელოვი, პეტუა.

1949 წლის აპრილიდან შ. ჩერქეზიშვილი გადაყავთ მესხეთის სახელმწიფო თეატრში მსახიობად. როგორც ნიჭიერ შემოქმედს ცალკეულ დადგმებზე იწვევენ გორში, ხაშურში, მახარაძეში, თელავსა და ფოთში.

ბოლო ექვსი წელი შ. ჩერქეზიშვილი დიდი გატაცებით მუშაობს შ. დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო თეატრში და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დგამს მთელ რიგ პიესებს, რომელთაგან გამოირჩევა ლ. მილორავას „მელა მახეში" და სხვ.

ამ პიესის დადგმის შესახებ ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება" წერდა პიესა „მელა მახეში" პირველად განხორციელდა შალვა დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის სცენაზე, რომლის დამდგმელი რეჟისორია შალვა ჩერქეზიშვილი. იგი ღრმად ჩასწვდა ავტორისეულ ჩანაფიქრს, სცენურად გაიაზრა პერსონაჟთა ხასიათების ავკარგიანობა და მაყურებელს პროფესიულად გამართული საინტერესო სპექტაკლი წარუდგინა. განსაკუთრებით კარგადაა გადაწყვეტილი ტიტიკოსა და მისი შვილების „შემოსევის" ეპიზოდი ონოფრე კვეტენაძის კარ-მიდამოზე და ბესარიონისა და სოლომონის სცენა ონოფრეს წინაშე. სათანადო კუპიურების გაკეთებისას რეჟისორს გაუთვალისწინებია დრამატურგის მიერ ძახული პერსონაჟების ინდივიდუალური ხასია-

თები და უფრო მკვეთრად, უფრო სცენურად, სახოვანი ფერებით გამოუკვეთავს, რითაც სპექტაკლი ჩვენი დროის მოთხოვნილებათა თანახმიერი გახდა"[1].

ასევე კარგ შეფასებას აძლევენ შ. ჩერქეზიშვილის რეჟისორულ ნამუშევარს გაზეთები „სტალინური გზით" და „თბილისი": „თეატრის კოლექტივს, რეჟისორ შალვა ჩერქეზიშვილის ხელმძღვანელობით, „გულმართალი ადამიანების" დადგმაზე მართლაც გულმართლად უმუშავია და ის აზრი, რაც პიესაში ავტორს გაუტარებია, სწორედ გადმოუცია მაყურებლისათვის"[2].

„საერთო აღიარება და მოწონება დაიმსახურა დუშეთის სახალხო თეატრის კოლექტივის მიერ სიყვარულით შექმნილმა წარმოდგენამ, რომლის დადგმა განახორციელა რეჟისორმა შალვა ჩერქეზიშვილმა, გემოვნებით შეკრულია მასობრივი სცენები, სწორედ არის გახსნილი მოქმედ გმირთა ხასიათები.

შ. ჩერქეზიშვილის, როგორც პროფესიონალური რეჟისორის, დამსახურებად ითვლება ისიც. რომ ის არ იფარგლება მარტო გორკის სახელობის კულტურის სახლის თეატრში მუშაობით, მან ჯერ კიდევ 1959 წელს დუშეთში ჩამოაყალიბა სახალხო თეატრი, ხოლო 1966 წელს მას იწვევენ თავისსავე მიერ ჩამოყალიბებულ დუშეთის თეატრში, სადაც ადგილობრივი ძალებით წარმატებით ახორციელებს ალ. ყაზბეგის „ელგუჯას", შემდგომშიაც, 1968 წელს კვლავ მიწვეული იქნა დუშეთში და დგამს ორდე დგებუაძის ნაწარმოების მიხედვით გასცენიურებულ პიესას „ოთხ სიცოცხლეს".

აღნიშნულმა სპექტაკლმა დიდი გამოხმაურება პოვა, რის გამოც ჩრდილო ოსეთში მცხოვრებმა ქართველობამ დუშეთის სახალხო თეატრი ქ. ორჯონიკიძეში მიიწვია. სპექტაკლმა განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე. დადგმას ვრცელი რეცენზიით გამოეხმაურა ადგილობრივი პრესა.

1968 წელს რეჟისორ შ. ჩერქეზიშვილს ხაშურში იწვევენ სახალხო თეატრის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც ახლაც განაგრძობს მუშაობას. 1969 წელს შ. ჩერქეზიშვილი თელავის სახელმწიფო თეატრში დგამს ვ. ვასილევის „ამქვეყნიურ სამოთხეს". 1971 წელს შ. ჩერქეზიშვილი მიწვეულია ფოთის სახელმწიფო თეატრში, სადაც დიდი წარმატებით ანხორციელებს მ. სიმოვას „არაჩვეულებრივ პროცესს".

1969 წლიდან შ. ჩერქეზიშვილი დღემდე ზუგდიდის სახელმწიფო თეატრში მოღვაწეობს და დადგმული აქვს ოცამდე პიესა. მათ შორის ლ. ქიაჩელის „ჰაკი აძბა" და „სისხლი", ნ. მახარაშვილის „უკანასკნელი გარიჟრაჟი", ნ. არე-

---

1 ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება", 1973, № 8.

2 გაზ. „თბილისი", 1959, 14/XII.

შიძის „მოგზაურები“, ვლ. იაკაშვილის „ციხისხევის საიდუმლო“, რ. ტომას „მოსიყვარულე ქალი“, ლ. მილორავას „მელა მახეში“.

ამ უკანასკნელი პიესის შესახებ აი რას ვკითხულობთ პრესაში „მელა მახეში“ სატირულ ფერებში გვიხატავს ჩვენს ცხოვრებაში ჯერ კიდევ შემორჩენილ იმ ხორცმეტ ადამიანებს, რომლებიც სხვის ხარჯზე ცხოვრობენ, სხვის უბედურებაზე აგებენ საკუთარ ბედნიერებას, მაგრამ ავტორი იმასაც გვიჩვენებს, რომ ამ ტიპის ადამიანთა ბედნიერება ხანგრძლივი არ არის, იგი საპნის ბუშტივით უმალვე სკდება და ყველაფერი კრახით მთავრდება“.

გასულ წელს საბჭოთა კავშირში მიმდინარეობდა ჩეხური დრამატურგიის ფესტივალი. ამ დღისათვის შ. ჩერქეზიშვილმა მოამზადა ჩეხი დრამატურგის იონ სოლოვიჩის პიესა „უცნაური მათხოვარი“. მონაწილე მსახიობები დიდი ენერგიითა და მონდომებით მუშაობდნენ დადგმაზე და სულ მოკლე ხანში, 25 დღეში, დაინიშნა პრემიერა. სპექტაკლს ესწრებოდა საკავშირო კულტურის სამინისტროდან მოვლინებული კომისია. კომისიამ საუკეთესო შეფასება მისცა სპექტაკლს. მონაწილეები დააჯილდოვეს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსა და რუსეთის თეატრალური საზოგადოების დიპლომებით.

ერთ დღეს რეჟისორი შ. ჩერქეზიშვილი ჩეხოსლოვაკიიდან ღებულობს ბარათს, რომელშიაც თხოვდნენ სპექტაკლ „უცნაური მათხოვრის“ სურათებსა და ესკიზებს ქ. ბრატისლავში გამართულ დიდ გამოფენაზე მონაწილეობისათვის, „ჩეხური დრამატურგია საბჭოთა კავშირში“. შ. ჩერქეზიშვილმა ბრატისლავიდან მადლობის ბარათი მიიღო.

აღსანიშნავია ისიც, რომ რეჟისორი შ. ჩერქეზიშვილი ყველა დადგმას მუსიკალურად თვითონ აფორმებს.

1967 წლიდან რეჟისორ შ. ჩერქეზიშვილს ვალ. ვაშაძე ცვლის. და, როცა ავლაბრის სახალხო თეატრის სცენისმოყვარეთა წრე ტრადიციების გასაგრძელებლად გორკის სახელობის კულტურის სახლს ეწვია, ისნელებს მთავარ რეჟისორად ვალ. ვაშაძე დაუხვდათ.

□□

ვალ. ვაშაძემ ქიათურისა და თბილისის თეატრების სცენაზე 30 წელზე მეტი იმუშავა და თავისი მაღალმხატვრული დადგმებით, როგორც თეატრალური საზოგადოების, ისე მაყურებელთა ავტორიტეტი და სიყვარული დაიმსახურა.

ძველმა სცენისმოყვარეებმა ე. კულულაშვილის ხელმძღვანელობით, თხოვნით მიმართეს ვალ. ვაშაძეს, რომ ისინი ახალგაზრდა სცენისმოყვარეებთან ერთად მხარდამხარ იმუშავებდნენ მოყვარულთა სცენაზე—რა თქმა უნდა, სახალხო თეატრს ბევრს შესძენდა სცენის გამოცდილი მუშაკების მოსვლა, მათთან ერთად მუშაობა — მით უფრო თეატრის ხელმძღვანელმა ვალ. ვაშაძემ კარგად იცოდა ავლაბრის სახალხო თეატრის სახელოვანი წარსული, მისი სცენისმოყვარეთა პოტენციალი და წინადადებას დიდი სიამოვნებით შეხვდა.

მისი უშუალო ხელმძღვანელობით დასში ჩაირიცხა ყველა ის ძველი სცენისმოყვარე, ვისაც კი სურვილი ჰქონდა ემუშავა მასთან. ესენი იყვნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნ. მაჭავარიანი, ე. კულულაშვილი, გ. ყანჩელი, გ. ჟუჟუნაშვილი, ე. შათირიშვილი, დ. ჩაჩანიძე, დ. ლაფერაშვილი, შ. ჯანდიერი, ს. აბაიშვილი, ლ. გვიშიანი, დ. მთრალაშვილი, ი. ხუციშვილი (მოკარნახე) და სხვები.

ვალ. ვაშაძის რეჟისორობის. პერიოდში გორკის სახელობის კულტურის სახლს შეემატა კიდევ ერთი ახალი სახის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივი, რომელსაც პენსიონერთა სახალხო თეატრი ეწოდა.

ამრიგად, ავლაბრის სახალხო თეატრის ცხოვრებაში მთავარი რეჟისორის ვალ. ვაშაძის ხელმძღვანელობით ახალი ხანა დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში თეატრმა მრავალი პიესის დადგმა განახორციელა, სადაც გამოსჭვივოდა (ვაშაძის) მისი ნიჭიერი მიგნებები, ხერხები, ტრადიციები, მძლავრი გაქანება, არტისტული გემოვნება, დიდი ინტუიცია და მდიდარი გამოცდილება.

მაგრამ გასაოცარი ის იყო, რომ მთავარი რეჟისორი ვალ. ვაშაძე, უმეტეს შემთხვევაში, თვითონ იღებდა მონაწილეობას როგორც მსახიობი. თავისი რაინდული აღნაგობით და კეთილშობილური იერით შესანიშნავად ასრულებდა გიქუას („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"), თავად ვანო ფანტიაშვილს („ხანუმა"), არსენას („არსენა"), კაკუტას („ყვარყვარე თუთაბერი") და სხვებს.

თეატრის მაღალპროფესიული დონის ამაღლების საქმეში, ვალ. ვაშაძემ, როგორც მთავარმა რეჟისორმა, დიდი მუშაობა გასწია, რასაც ჩვენ, მაყურებლებიც ვგრძნობდით და ვამჩნევდით. გაიზარდა დისციპლინა, წესრიგი და მომთხოვნელობა მსახიობთა შორის. სახალხო თეატრმა ნამდვილად პროგრესული მეტამორფოზა განიცადა. მათ მიერ დადგმულ ყველა პიესაში

იგრძნობოდა ახალი დადგმა და ახალი თამაში. თეატრის სახელი მალე მრავალი თბილისელისათვის გახდა ცნობილი. მაყურებელი ყოველთვის კმაყოფილი რჩებოდა ნანახით; შეიყვარა თეატრი და ამიტომ იყო, რომ დარბაზში თავისუფალი ადგილი არც თუ ისე ადვილად მოიძებნებოდა. სპექტაკლის მსვლელობისას ოვაციებს ბოლო არ უჩანდა.

ძველ სცენისმოყვარეთა მოსვლამდე ვალ. ვაშაძემ გორკის კულტურის სახლის სცენაზე პირველ სპექტაკლად თ. ფერაძის ჰეროიკული დრამა „მთის ლეგენდა" განახორციელა.

პიესა ეხება მთაში მომხდარ ამბავს და ასახულია ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის. სპექტაკლში მონაწილეობდნენ წრის ახალგაზრდა ნიჭიერი სცენისმოყვარეები: ა. კიკუაშვილი, გ. კვინიკაძე, ვ. კობერიძე, თ. ჩლაიძე და სხვები.

ამის შემდეგ, ვალ. ვაშაძემ ძველ სცენისმოყვარეთა წინადადებით, მუშაობა დაიწყო ავქს. ცაგარლის პიესაზე, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", რომელიც 1969 წლის 3 ივლისს სახალხო თეატრმა უჩვენა მაყურებელს. ბრწყინვალედ ჩატარდა და დიდი გამოხმაურებაც პოვა. ამ დადგმის შესახებ ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება" წერდა: „კიდევ ერთი ფაქტი მოხდა ქართველ სცენისმოყვარეთა ცხოვრებაში: სცენაზე მკვდრეთით აღსდგა ძველი თბილისი. იგი ჩვენს „თანამედროვეებს" არ გაუცოცხლებიათ. ძველი თბილისის მომსწრეებმა, პენსიონერთა სახალხო თეატრის წევრებმა ამა წლის 3 ივლისს გორკის სახელობის თბილისის კულტურის სახლში წარმოადგინეს ავქს. ცაგარლის კომედია „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ".

ზურნის ხმაზე აიხადა ფარდა, უეცრად რადიორეპროდუქტორი მიყუჩდა, მერე დაკარგული ბგერები საიდანღაც უკანა რიგებიდან მოგვესმა დარბაზში — ჩვენ თვალწინ გაიშალა საინტერესო სანახაობა. ანთებული სანთლებით, დოლით, დუდუკითა და ზურნით, ყარაჩოხელთა გუნდი სცენისკენ გამოემართა.

თეატრალურ კოსტუმს, გრიმს შეუძლია მხოლოდ თვალი აუხვიოს მაყურებელს, მსახიობის მიერ ზუსტად მიგნებულმა ფსიქოფიზიკურმა მდგომარეობამ შესაძლებელია წარსული ეპოქის ილუზია წარმოშვას; ეს ყველაფერი ხომ მსახიობის ოსტატობაზეა დამოკიდებული. ასეთ დროს უყურებ სცენას, ყველაფერი გჯერა და მხოლოდ მაშინ, როდესაც შემთხვევით, უნებურად, ან შეცდომის გამო, როლს გამოეთიშება მსახიობი, მისი მოძრაობა, სულიერი მდგომარეობა უეცრად გაგახსენებს სინამდვილეს, დიდად დაშორებულს თეატრალური ილუზიისაგან. წარმოდგენაში კი, რომელიც ჩვენ გორკის სახელობის კლუბში ვნახეთ, მსახიობები დაზღვეულნი იყვნენ ასეთი შემთხვევისაგან.

რადგან ძველი მსახიობები თამაშობდნენ, წარსულ ეპოქას და ძველ თბილისურ ხასიათებსაც ზედმიწევნით ზუსტად გადმოსცემდნენ.

ეს სიზუსტე იგრძნობოდა ყველაფერში — დიალოგში, სიტყვებში, მოძრაობაში, მიმიკაში, სიმღერებსა და ცეკვებში. საგულისხმოა ისიც, რომ თეატრის მთავარ რეჟისორთან ვალ. ვაშაძესთან ერთად სპექტაკლი განახორციელა რეჟისორმა ვ. კევლიშვილმა, რომელსაც 1910 წლიდან მოყოლებული ავქს. ცაგარლის ამ კომედიის ყველა დადგმა უნახავს და რომელიც, როგორც გამოირკვა, მიზნად ისახავდა აღედგინა კომედიის დადგმის ტრადიცია. დაახლოებით, ამავე მიზანს ემსახურებოდა კონსულტანტი ეპ. კულულაშვილი, როცა ზედამხედველობას უწევდა მასობრივი სცენების, ცეკვებისა და სიმღერების კოლორიტის ზუსტ გადმოცემას.

საინტერესოა ამ სპექტაკლში მონაწილე თვითეული მხცოვანი მსახიობის ბიოგრაფიული მონაცემი. კოხტაიას როლის შემსრულებელი ლ. გვიშიანი პირველი ქართველი კომიკია. იგი 77 წლისაა. კოხტაია მას წარსულში მრავალჯერ შეუსრულებია როგორც მოყვარულთა, ისე პროფესიულ თეატრში...

დავით ჯამბარაშვილის როლის შემსრულებელი — შედარებით „ახალგაზრდა“ მსახიობი შ. ჯანდიერი 1922 წლიდან მოღვაწეობს სცენაზე, ე. შათირიშვილი (ზაქარიას შემსრულებელი, 1912 წლიდან, გ. ყანჩელი—ბარელი (ნიკო მოურავი). 1906 წლიდან, მას ბედი უცდია არა მარტო სცენაზე, არამედ მწერლობაშიც. ნ. მაჭავარიანი (კატინა) რესპუბლიკის დამსახურებული არტისტია. იგი სცენაზე გამოდის 1915 წლიდან, გ. ჟუჟუნაშვილი — ილუა — 1910 წლიდან, ავეტიკა — დ. ჩაჩანიძე — 1921 წლიდან. ამავე როლის შემსრულებელი ყველაზე მხცოვანი მსახიობი დ. მთვრალაშვილი პრემიერაში არ მონაწილეობდა. იგი სცენაზეა 1904 წლიდან. გიჟუა — დ. ლაფერაშვილი 1926 წლიდან, ფიჩხულა — ა. არუთინოვი — 1928 წლიდან, იგი პროფესიული დასის მსახიობიც იყო.

სპექტაკლში დაკავებული არიან ახალგაზრდებიც. საქუას როლს ასრულებს ნ. ქრისტესიაშვილი, ტასიას — მ. ჩახაშვილი, სოსანას — ვ. კობერიძე, ლიზას — ტ. ჩილინდრიშვილი, პელუას — ზ. დემეტრაშვილი.

სპექტაკლი საინტერესოა რეჟისორული ნამუშევრითაც. პირველივე სცენებიდან რელიეფურად იკვეთება შესრულების რომანტიკული სტილი. მიზანსცენები აგებულია ისე, როგორც შეეფერება ქართული „წარმოდგენის“ ტრადიციას. მთლიანად დაცულია დრამატურგის ენა, რემარკებში მოცემული სცენებისა და გმირების დახასიათება.

სპექტაკლმა მიაღწია თავის მიზანს — მაყურებელს თვალწინ გადაუშალა ქართველი კომედიოგრაფის ავქსენტი ცაგარლის ნაწარმოების მხატვრული

და იდეური არსი. სასურველია, რომ პენსიონერთა თეატრმა გააგრძელოს ეს შესანიშნავი წამოწყება და მომავალშიც გვიჩვენოს ასეთი ტრადიციული, სამუზეუმო სიზუსტით შესრულებული სპექტაკლები და კიდევ მრავალჯერ მოგვცეს წარსულში „მოგზაურობის“ საშუალება“[1].

დადგმა ვ. ვაშაძის, მხატვარი ა. ჯემილიშვილი, კონსულტანტი ე. კულულაშვილი. აღსანიშნავია ის, რომ პიესაში იღებდა მონაწილეობას ე. კულულაშვილის მთელი ოჯახი (ცოლი ე. ჯორჯიაშვილი, შვილი მ. წვერიკმაზაშვილი, და შვილიშვილი ლ. წვერიკმაზაშვილი).

1971 წლის 29 მარტს სახალხო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ალ. ყაზბეგის სამმოქმედებიანი დრამა „არსენა“. დამდგმელი რეჟისორი ვალ. ვაშაძე, მხატვარი ა. ჯემილიშვილი. მონაწილეობდნენ: გარსევან ამაყაძე — ვალ. ვაშაძე, ვ. კობერიძე, სიდონია — თ. წულუკიძე, იორამი — შ. ჯანდიერი, არსენა — ტ. ფეიქრიშვილი, ნინო — ლ. შიუკაევა, თედო — ზ. იოსებაშვილი, ზაქარია— გ. ჯავახიშვილი, ვ. კობერიძე, პეტრე — დ. ლაფერაშვილი, სირაჯი დ. ჩაჩანიძე, გლეხის ბიჭი — გ. ქუქუნაშვილი, გლეხი — დ. მთვრალაშვილი.

ამას მოჰყვა ვ. ვაშაძის რეჟისორობით დადგმული ი. გედევანიშვილის სამმოქმედებიანი დრამა „მსხვერპლი“.

რეჟისორმა ვ. ვაშაძემ აირჩია გარკვეული ტრადიციების მქონე, ჯერ კიდევ სახალხო თეატრში დადგმული პიესა „მსხვერპლი“, რომელიც 1905 წლის რევოლუციის შემდგომ პერიოდს ასახავს.

საქართველოში ჯერ კიდევ ბევრს ახსოვს „მსხვერპლის“ ვალერიან შალიკაშვილისეული პირველი დადგმა, რომელიც თავის დროზე დიდ მოვლენად იქცა ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში.

ამ პიესაში დაუვიწყარი სახეები შექმნეს ვასო აბაშიძემ და ნიკო გოცირიძემ (საქო), გიორგი არაღელ-იშხნელმა (გიგო) და ალექსანდრე იმედაშვილმა — ვანო.

გორკის სახელობის კულტურის სახლის დასმა, მისმა სამხატვრო საბჭომ დიდი სიყვარულით მიიღო ეს გახმაურებული პიესა. გადაწყვიტეს ძველი სახალხო თეატრის ტრადიცია ამჯერად „მსხვერპლით“ განეგრძოთ.

რეჟისორმა სპექტაკლში წინა პლანზე წამოწია ხალხის როლი ერთობის საქმეში. მართალია რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ მიხოსა და მისი მსგავსი ახალგაზრდებისათვის ეს დიდი გაკვეთილია, შემდგომ უფრო გაბედული ბრძოლაა საჭირო გამარჯვებისა და თავისუფლებისათვის. ასეთ გააზრებას პრინ-

---

1 ქურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1969, გვ. 78—79.

ციპული და უშუალო ხასიათი და უშუალო დამოკიდებულება ჰქონდა ნაწარმოების იდეურ ჟღერადობასთან.

რეჟისორმა ვალ. ვაშაძემ სპექტაკლს გამოუნახა შესაფერისი ფორმა და სანახაობა მიმზიდველი გახადა მაყურებლისათვის.

თითოეული რეპეტიცია უდიდესი სიხარული იყო, ხოლო პრემიერა — ზეიმი... მალე დადგა ნანატრი დღეც დასის წევრებისათვის. მაყურებელთა დარბაზი ხალხით აივსო. ღელავდა ყველა.

ამ ხალხმრავალმა სპექტაკლმა, სახალხო თეატრის სცენა აბობოქრებულ ტალღად აქცია და „ერთობის" ნაპერწკლის სხივით ერთხელ კიდევ გაახსენა მაყურებელს საქართველოს გმირული, რევოლუციური წარსული.

სოფლის ახლოს მოკლული და გაძარცული სტრაჟნიკი იპოვეს. ვინ აპატიებდა სოფელს ამ ამბავს, თუ მკვლელს ვერ აღმოაჩენდნენ, გლეხებს „ეგზეკუცია "ელოდათ. ვინ აღიარებს დანაშაულს?.. ამ ფონზე იშლება პიესის შინაარსი, რომელსაც მაყურებელი ბოლომდე დაძაბული მიჰყვება.

სტრაჟნიკის მკვლელი — გლეხი გიგო ერთ-ერთი რთული და ღრმად ფსიქოლოგიური სახეა. მკვლელობა და მძარცველობა არ არის გიგოს ბუნება. პირიქით, ერთ დროს, გიგო მოწინავე იდეების მქადაგებელი, ახალთაობის კაცი იყო. მაშ, რამ აიძულა ეს ადამიანი, პატიოსანი გლეხი, ადამიანის სისხლში გაესვარა ხელი? სწორედ ამ კითხვაზე პასუხობდა გიგოს როლის შემსრულებელი ვ. ხუბულური. იგი მკვეთრად ამხელდა სოციალური უკუღმართობის გამომწვევ მიზეზებს.

მსახიობმა მკაფიო ფერებით დაგვიხატა რევოლუციური უკუღმართობის მსხვერპლი. მისი გიგო, გზააბნეული გლეხია. პირველი რევოლუციის მარცხის შემდეგ, იგი თავისი კეთილდღეობისათვის არ ერიდებოდა არავითარ ბოროტმოქმედებას. მისი წყალობით სოფელს თავს დაატყდა უბედურება. სტრაჟნიკის მკვლელი გადარჩა, უდანაშაულო ვანო კი ჩამოახრჩეს. მაგრამ გიგოს სინდისი ქეჯნის, მსხვერპლი აღარ აძლევს მოსვენებას. რაოდენ უბრალო იყო მსახიობი და თანაც დამაჯერებელი, ფინალური სცენა ისე მიჰყავდა, რომ დრამა ნიჭიერი შემოქმედის მეოხებით ტრაგიკულამდე მაღლდებოდა.

მოწინავე იდეების მატარებელია აგრეთვე გლეხი ვანო. იმისათვის, რომ სოფელი იხსნას ეგზეკუციისაგან, თვითონ დაიბრალებს სტრაჟნიკის მოკვლას და გიგოს მაგიერ ადის სახრჩობელაზე, ვანოს დასამახსოვრებელი სახე შექმნა ა. კიკუაშვილმა და შ. ჯანდიერმა. განსაკუთრებით კარგები იყვნენ მსახიობები უკანასკნელ სცენაში, როცა სასიკვდილოდ განწირული იგონებდა მშობელ დედას. მსახიობებს ზუსტად ჰქონდათ მოფიქრებული ინტონაციაც, ჟესტიც, მოძრაობაც.

პიესაში „მსხვერპლი“ თავისი მიმზიდველობით მაყურებლის ყურადღება მიიპყრო ნატოს როლის შემსრულებელმა მსახიობმა ჯ. მელაშვილმა. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო იგი ბოლო სცენაში, როცა გიგოს მიერ ვანოს დედისათვის გამოგზავნილი ფულის შესახებ შინაგანი ღელვით ეუბნებოდა ქმარს — ფულს სისხლის სუნი უდისო, მაყურებელი მართლაც სისხლში გასვრილად აღიქვამდა იატაკზე მიმოფანტულ ფულს.

უსაზღვრო სევდითა და ღრმა მწუხარებით იყო აღსავსე დედის სახე თ. ტალიკაძის შესრულებით. თ. ტალიკაძემ ამაღელვებლად გადმოსცა ვანოს დედის მწუხარება, ღრმად ჩასწვდა გმირის სულიერ სამყაროს და დიდი დამაჯერებლობით დახატა დედის ტრაგიზმით აღსავსე ცხოვრება. საქოს სახე შექმნა ძველმა სცენისმოყვარე დ. ჩაჩანიძემ. საქო სოფლის ქორვაჭარია, რომელიც ყოველგვარი ხრიკებით ცდილობს გაატყაოს ისედაც გატყავებული გლეხობა... ჩაჩანიძის საქო გაიძვერა ადამიანის, სისხლისმსმელი წურბელას განზოგადებულ ტიპამდე იყო აყვანილი.

მიხო (ვ. კობერიძე) საინტერესო გმირად გაცოცხლდა სპექტაკლში. მსახიობი თამაშობდა დიდი ტემპერამენტით, ამაღელვებლად, არ ღალატობდა სიმართლის გრძნობა. ვ. კობერიძე მაყურებელს არწმუნებდა თავისი გმირის რევოლუციის საქმისათვის თავდადებაში.

უშუალობითა და სითბოთი ხატავდა ძველი სცენისმოყვარე გ. ქუქუნაშვილი საქოს მოსამსახურე ბიჭის — შაქროს როლს. მან სცენაზე გამოჩენისთანავე დაიმსახურა მაყურებლის სიმპათია.

სპექტაკლში გამოკვეთილია „პრისტავის“ — ულმობელი მოხელის სახე. ძველმა სცენისმოყვარეებმა შ. ჯანდიერმა და ე. შათირიშვილმა დიდი დამაჯერებლობითა და ფერადოვნებით გამოძერწეს იგი. ფსიქოლოგიურად გამართლებული და მხატვრულად დამაჯერებელნი იყვნენ სონა (ე. კიკაბიძე, ლ. ხმალაძე), მამასახლისი (ო. ხეჩიაშვილი), გაბო (დ. ლაფერაშვილი), სვიმონა (დ. მთვრალაშვილი), ბასილა (ა. დიდებულიძე), ლუკა (ლ. გვიშიანი), თედო (ს. ხაბეიშვილი), კნეინა ბარბალე (მ. სმინდოვა), ელენე (ი. ცინცაძე), ჩოხაშვილი (ტ. ფეიქრიშვილი), მიხალენკო (რ. მელიქიშვილი), იორდანე (პ. წეველიძე).

შესატყვის ფონს უქმნიდა სპექტაკლს გ. მაზმიშვილის მუსიკალური გაფორმება.

1972 წელს ვალ. ვაშაძის რეჟისორობით გორკის სახელობის სახალხო თეატრმა მაყურებელს უჩვენა პ. კაკაბაძის ცნობილი კომედია „ყვარყვარე თუთაბერი“.

„ყვარყვარე თუთაბერი“ თავისი იდეურ-მხატვრული ღირებულებით მთე-

ლი მრავალეროვანი საბჭოთა დრამატურგიის მიღწევაა. მასში კანონზომიერი გამოვლინება ჰპოვა კომედიური ფორმისა და შინაარსის მთლიანობამ. დიდი დამაჯერებლობით, ოსტატის დამახასიათებელი მხატვრული ფერებითა და ნიუანსებით აქვს მოცემული ავტორს ის დრო, ის საზოგადოებრივი წყობა, რომელსაც შეეძლო ყვარყვარესთანა პიროვნებისათვის გაეკაფა გზა დიდებისაკენ. გაეხვია იგი გმირის მანტიაში და ქვეყნის ბედ-იღბალი ჩაებარებინა ამ ნაცარქექიასათვის. ყვარყვარეს ხასიათი, მართალია, ავტორს ნაცარქექიადან აქვს აღებული, მაგრამ მის გმირს ახალი დროების სული აქვს შთაბერილი, კონკრეტულ გარემოშია ჩაყენებული და მოქცეულია პოლიტიკური ცხოვრების ორომტრიალში. კომედია „ყვარყვარე თუთაბერი", როგორც უკვე აღვნიშნეთ, უპირველეს ყოვლისა, დაცინვაა, პაროდიაა მაშინდელ საქართველოს ხელისუფლებაზე, მეფის მთავრობასა და მენშევიკურ წყობილებაზე, რომელთა სამხედრო და ადმინისტრატიული ორგანიზმი იმდენად დაშლილა, რომ შველას ყვარყვარე თუთაბერისაგან, ამ ჭეშმარიტ ნაცარქექიისაგან მოელიან. მეფის არმიის გენერალი, რომელიც იქვეხნის თავის „ბრწყინვალე გამარჯვებას". გენერლის მაამებელი პოლკოვნიკი და ასეთივე სამხედრო გამომძიებელი, მშიშარა ადიუტანტი და მწერალი, თრთიან ყვარყვარე თუთაბერის წინაშე, მისი გულის მოგებას ლამობენ და პატიებას თხოვენ.

არსებითად ასევე არარაობად ქცეულან დროებითი მთავრობის წარმომადგენლებიც. მთავრობის რწმუნებული ამიერკავკასიაში, მაზრის კომისარი ტიტე ნატუტარი და მათი მოხელენი აშკარა კატასტროფის წინაშე მდგარ სახელმწიფოს ხსნას ხედავენ ყვარყვარე თუთაბერის გამოჩენაში.

თეატრალურ კოლექტივში აღნიშნული კომედიის შერჩევა შემთხვევითი არ იყო. კომედიის ჟანრის მოყვარულ მსახიობთა უმეტესი ნაწილი მოითხოვდა დაედგათ „ყვარყვარე". ისინი ამტკიცებდნენ, რომ ამ კომედიას დიდი წარმატება ექნებოდა. ყვარვარეს როლის განსახიერება ე. ბექუაშვილს მიენდო, კაკუტასი — თ. კიკნაძეს, ქუჩარასი — ო. ხეჩიაშვილს, დანარჩენ როლებზე ხელმძღვანელმა, დასის წამყვანი ძალები შეარჩია. დაინიშნა პრემიერა... გაისმა მესამე ზარი. აიხადა ფარდა. ე. ბექუაშვილი — ყვარყვარე ნაცარში ზის და „გეგმებს" ხაზავს. ამ სურათის მნახველთ უმალ სიცილი წასკდათ, გაისმა მხურვალე ტაში, რომელიც ოვაციაში გადაიზარდა.

საინტერესოდ, ორიგინალურად გადაწყვიტა დრამატულმა კოლექტივმა ეს პიესა და მაყურებელს წარუდგინა სცენურად და მხატვრულად სრულყოფილი, დამაჯერებელი, ჯანსაღი იუმორით აღსავსე სპექტაკლი.

წარმოდგენის დამთავრებისას მაყურებელი უკვე იცნობდა გ. ცერცვაძეს, რომელმაც კომედიაში გენერალი განასახიერა. ყველა მოხიბლა ნ. ხეცოიძის

მიერ ოსტატობით ფრთაშესხმულმა ლირსამ, დაუვიწყარი იყო ა. რუსიას მიერ შესრულებული მეწისქვილის ქალიშვილი და თ. ფილფანის — რევოლუციონერი ერასტი.

კაკუტასა (თ. კიკნაძე) და ქუჩარას (ო. ხეჩიაშვილი) სახეებში მკაფიოდ იგრძნობოდა რევოლუციამდელი ქართველი გლეხობის მძიმე ეკონომიური პირობები; პოლიტიკურ უუფლებობასა და გონებრივ შეზღუდულობას ისინი დეგრადირებამდე მიუყვანია, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების დროს ლამობენ თვალის გახელას, ცდილობენ მიიღონ ნაბატონარის მიტოვებული ეზო და კერა გააჩაღონ. კაკუტა და ქუჩარა ბავშვივით ალალ-მართალი ადამიანები არიან, რომელთა გულუბრყვილობაში მჟღავნდება საუკუნეებით ჩაგრული გლეხობის სულიერი დრამა, ეს ყოველივე ვლინდება სპექტაკლში კომედიურ ფერებში, მსახიობების თ. კიკნაძისა და ო. ხეჩიაშვილის მიერ.

დიდი იყო ვალ. ვაშაძისა და მხატვარ ა. ჯემელიშვილის დამსახურება წარმოდგენის წარმატებაში.

„ყვარყვარე თუთაბერი“ ისე როგორც სხვა მრავალი პიესა, თეატრალური კოლექტივის ცხოვრებაში საინტერესო მოვლენად იქნა აღიარებული.

ამას მოჰყვა პ. კაკაბაძის მეორე კომედია „კოლმეურნის ქორწინება“.

კომედია ხასიათდება სიუჟეტის საინტერესო განვითარებით, ღრმა კომიზმით, დახვეწილი დიალოგებითა და დასრულებული მხატვრული სახეებით.

ავტორი კარგად იცნობს ჩვენ საკოლმეურნეო სოფელს, მის ადამიანებს. მოწინავე შრომის სტახანოველებს, იცნობს მათ ფსიქოლოგიას, მათ შინაგან სულიერ სამყაროს.

პიესის დამდგმელ რეჟისორს ვალ. ვაშაძეს სწორედ აქვს გაგებული პიესის იდეა და მიზანდასახულობა, მას მრავალი სახე დამაჯერებლად აქვს გახსნილი. ამ ნაწარმოების უმთავრესი ღირსება და მისი წარმატების საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ მოქმედების ცენტრშია დადებითი გმირი — გვირისტინე, რომელსაც სიღარიბესა და უმეცრებაში გამოზრდილს, საკოლმეურნეო წყობილების პირობებში დიდი შრომითი წარმატებისათვის მიუღწევია და საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაუმსახურებია. დამაჯერებელია ა. რუსია და მ. გონიაშვილი გვირისტინეს როლში. ორივე მსახიობის მიერ შესრულებული გვირისტინე სისხლხორცით სავსე სოფლელი კოლმეურნე გოგონა, შრომისმოყვარე, მოწინავე ადამიანია. მსახიობები ლოგიკურ დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან. გვხიბლავს მათი უბრალოება.

„თუ საქმეს დოუდობ გულს, — ეუბნება იგი მეგობარ კოლმეურნე გოგონას კაკალას, დღეს შრომა ფონზე გაგიყვანს“. ეს არის მოწინავე სტახანო-

ველი, რომელიც სწორედ პატიოსანმა შრომამ მიიყვანა საქვეყნო დიდებამდე.

საინტერესოდ აქვს გააზრებული ხახულის როლი თ. ჩინჩალაძესა და შ. ლომთაძეს. თავისთავად ხახული ღრმა ფსიქოლოგიური ფიგურაა, რომელიც ვითარდება და გარდაქმნის პროცესში იმყოფება. მკაფიო ხაზებში ავითარებენ მსახიობები ქართველი მშრომელი გლეხის სახეს, გლეხკაცისას, რომელიც საბჭოთა პირობებში საკოლმეურნეო ცხოვრების გავლენით მაღლდება საკუთარი ღირსების შეგნებამდე. ხახული მიხვდა. რომ შრომა ახლა ფასდება და როცა მანუჩარი ეუბნება რომ ირინე მას რძლად უნდა, ხახული უპასუხებს: „ჩემი ქალიშვილი ორდენოსანია, შენი კი მოწინავეთა რიგებშიც არ არის“ ამით მან აშკარად გამოთქვა თავისი აზრი შრომის არსზე.

უბრალოებით, სახის ღრმა გააზრებით გამოირჩევა მსახიობი მ. ყოყლუაშვილი ირინეს როლში. მსახიობი ძერწავს ახალგაზრდა გოგონას დასამახსოვრებელ სახეს. იგი განსაკუთრებული ოსტატობით ატარებს სცენას მანუჩართან შეხვედრისას, სადაც მსახიობი მორცხვობას, გაბრაზებასა და სიხარულს ერთმანეთთან ზომიერად აზავებს და ერთი მდგომარეობიდან მეორეში დამაჯერებლად გადადის. აღნიშნული როლი, უდაოდ მსახიობის გამარჯვებაა.

მანუჩარი ახალი სახეა. მსახიობები ვ. ვაშაძე და შ. ჯანდიერი შესანიშნავად ქმნიან მანუჩარის — ყოფილი აზნაურის ერთგვარ ორიგინალურ სახეს.

პიესაში მანუჩარის პროტოტიპია ვატა, რომელსაც შემოსავალ წყაროდ მაჰანკლობა აურჩევია. ამ როლს მსახიობი პ. წეველიძე ასრულებს. მას როლი კარგად აქვს მოფიქრებული და დამახასიათებელი შტრიხებით ხატავს ამ სცენურ სახეს.

ჯამლეთი და ხარიტონი ერთმანეთისაგან განსხვავებული ტიპებია. ორივე კოლმეურნეობის თავმჯდომარეა; პირველი საქმიანი, ენერგიული, დაკვირვებულია, მეორე — ქარაფშუტა და ბაქიაა.

ხარიტონს ყოველგვარი საქმიანი შენიშვნა საკუთარ დამუშავებად ეჩვენება, მას სურს ყველგან მისი სახელი იხსენიებოდეს. ამიტომ წამდაუწუმ გაჰყვირის საკუთარ „ხელმძღვანელობაზე“, უნარზე. თ. რუსეიშვილმა ზუსტად გამოძერწა ხარიტონის ბუნების ეს ნიშანდობლივი თვისება და სათანადო ხერხებით გვიჩვენა იგი.

დამაჯერებელია კ. გაბელიას ლომკაცა. ეს არის სახე გაქნილი ინტრიგანისა, რომელიც სოფელ-სოფელ დადის და თავის პარტნიორ ვატასავით იმის ცდაშია, რომ გაიგოს ვინ რას აკეთებს, რას ჩურჩულებს. ყოველ მის გამოჩენას სცენაზე სიხალისე შემოაქვს.

დადგმის წარმატებას ხელს უწყობდა მხატვარ ა. ჯემილიშვილის დეკორა-

ცია. განსაკუთრებით აღსანიშნავია გემოვნებით შესრულებული სოფლის პეიზაჟი და მეორე მოქმედების დეკორაცია.

სპექტაკლის მუსიკა აგებულია ქართული ხალხური სიმღერების მოტივებზე და ყურადღებას იპყრობს მელოდიურობით.

დღითიდღე იზრდებოდა გორკის სახელობის სახალხო თეატრის ავტორიტეტი. ამას კარგად გრძნობს მთელი კოლექტივი და თავის მხრივაც არ ზოგავს ძალებს, რათა მაყურებელი ნასიამოვნები დარჩეს. და აი, 1974 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში პროფსაბჭოს გორკის სახელობის კულტურის სახლს უამრავი მაყურებელი მოაწყდა. აფიშები იტყობინებოდნენ, რომ ძველი სცენისმოყვარის დ. ჩაჩანიძის მიერ წარმოდგენილი იქნება აქვს. ცაგარლის „ხანუმა“. და მართლაც კვლავ გაიხარა მაყურებელმა, როცა სცენაზე აქვს. ცაგარლის „ხანუმას“ ისეთი დადგმა ნახა, როგორიც ოციან წლებში.

იმ დღეს წარმოდგენას დგამდა ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნოვანების, 15 კაცისაგან შემდგარი კოლექტივი, რომელთაც თავდავიწყებით უყვართ ხელოვნება. სახალხო თეატრის პატივისმცემელთ და გულშემატკივართ ვერ იტევდა დარბაზი და ამიტომაც იყო კლუბის ბაღი გაჭედილი ხალხით. ეს ავტორიტეტი გორკის სახელობის სახალხო თეატრმა იმითაც დაიმსახურა, რომ დიდი ხნის მანძილზე აქ მუშაობდა და მუშაობს ნიჭიერი და საქმის დიდი ენთუზიასტი თეატრალური კოლექტივი ე. კულულაშვილის, ე. შათირიშვილის, დ. ჩაჩანიძის, გ. ქუქუნაშვილის, შ. ჯანდიერის, ს. აბაიშვილის, დ. მთვრალაშვილისა და და სხვათა შემადგენლობით.

დაიწყო სპექტაკლი და თითქოს წელთა სიმრავლე მხრებიდან ჩამოიბერტყესო, ყველა გატაცებით, ახალგაზრდული ენერგიით თამაშობდა. მაყურებელი გულთბილად შეხვდა სცენაზე ხანდაზმული ადამიანების გამოჩენას, რომლებმაც ახალგაზრდებთან ერთად მშვენიერი ანსამბლი შექმნეს და საინტერესოდ წარმოადგინეს ქართული კლასიკური კომედია „ხანუმა“...

მე მინდა უპირველეს ყოვლისა შევჩერდე „ხანუმას“ დამდგმელზე, ძველ სცენისმოყვარეზე. უპრეტენზიო, უანგარო ხალასი ნიჭით დაჯილდოებულ „80 წლის აკოფაზე“ — დავით ჩაჩანიძეზე. იგი ერთ-ერთი ქურუმია ამ კოლექტივისა. ჯერ კიდევ 8-10 წლის ასაკიდან იგი გატაცებით მონაწილეობდა ძველ თეატრალურ სანახაობაში — „ყეენობა“. იგი აღტაცებული ითვისებდა. იმეორებდა და ჰბაძავდა XIX საუკუნის ყეენობის მონაწილეთ, საშა და ვანო დოქიძეებსა და სხვებს. იგი ხშირად უნახავთ აქლემზე შესმული გამურული სახით როგორ განასახიერებდა ყეენის როლს. როგორც კი დაჭაბუკდა დ. ჩაჩანიძე ზემოხსენებულ (მურაშკოსა და არაქსიანის) თეატრის სცენაზე ფეხის შედგმის დღიდან მოგვევლინა როგორც სახასიათო როლების უბადლო შემს-

რულებელი. ყარაჩოღელი, კინტო, მიკიტანი, დარდიმანდი მოქეიფე — აი, ეს იყო მისი ამპლუა.

აკოფას როლის უბადლო შემსრულებელი დ. ჩაჩანიძე მრავალჯერ დააჯილდოვეს ტაშით. დავითი შესანიშნავად მღეროდა აკოფას დარდიმანდულ სიმღერას. მაყურებელს ისე მოეწონა ძველებურ ჰანგზე შესრულებული ეს სიმღერა, რომ ტაშითა და შეძახილებით, აიძულეს კიდევ შეესრულებინა რაიმე იეთიმ გურჯის ლექსზე, რომელიც პიესაში არ იყო შეტანილი. ასევე შესანიშნავად შეასრულა ცეკვა „ბაღდადური". ცეკვის დროს ისეთი კომიკური ილეთები ჩაურთო, რომ მარტო დარბაზი კი არა, კულისებშიაც ვერ იკავებდნენ სიცილს. იმ ღამეს ეს სცენა ტაშის გრიალით გაამეორებინეს. ყვავილებიც მიართვეს.

ცნობილია, რომ სცენაზე მოღვაწეობისათვის არ კმარა მარტო სცენის სიყვარული. დ. ჩაჩანიძე კი ტიპიური განსახიერებაა თავის როლისათვის, როგორც გარეგნობით, ისე შინაგანი სითბოთი და დამაჯერებლობით. იგი პირად ცხოვრებაშიაც სამაგალითოა. უყვარს ოჯახი, კალამბური, შესანიშნავი მომღერალია ძველი თბილისის ბოჰემური სიმღერებისა. მრავალი შემთხვევა ახსოვთ, როდესაც მეზურნეთა დასტის მედოლეს მისთვის, ჩაჩანიძისათვის, გადაუცია დოლი და შეხვეწია რომელიმე სიმღერა შეესრულებინა მის მაგიერ. სწორედ ამან განაპირობა, რომ ჩვენი სასიქადულო პოეტი იოსებ გრიშაშვილი ხშირად ჰპატიჟებდა ხოლმე სახლში, რათა დავითს დაეტკბო იგი შიქასტებით და ბაიათებით. არსებობს ფოტოსურათი, რომელშიც დ. ჩაჩანიძე საყვარელ მელოდიას უმღერის ი. გრიშაშვილს. მას უთხოვნია დავითისათვის არღნის ჰანგზე შეესრულებინა რომელიმე სიმღერა. სწორედ ეს მომენტია აღბეჭდილი ერთ-ერთ ფოტოზე, სადაც დ. ჩაჩანიძე არღანს უკრავს ი. გრიშაშვილთან სახლში. ირგვლივ კი გარშემორტყმულები არიან ავლაბრის თეატრის ძველი სცენისმოყვარეები.

ძველი სცენისმოყვარის დავით ჩაჩანიძის მამას — იოსებს — პროფესიით მექუდეს, ძალიან უყვარდა სიმღერები დუდუკისა და საზანდრის თანხლებით. მისი წყალობით ოჯახში ყველანი ფლობდნენ სხვადასხვა სახის საკრავებს, დიპლიპიტო, გარმონი, ფანდური, დაირა, დოლი, სალამური და სხვ.

იოსებს, თეატრალურ სანახაობათა ამ ინიციატორს, მთელი თავისი უბანი — (სიონი) კარგად იცნობდა, როგორც ქართულ მრავალხმიან სიმღერებზე აღზრდილს. მისი თაოსნობით თავისი ოთხი ქალიშვილი და ოთხი ვაჟიშვილი ხშირად მართავდა შინაურულ წარმოდგენებს, რომლის მუდმივი მაყურებელი მათი ეზოს 30 ოჯახი იყო.

იოსების უმცროს ვაჟს დავით ჩაჩანიძეს ოჯახური პირობების გამო სკო-

ლაში არ უვლია, იგი ბავშვობიდანვე ჩაუბამთ შრომაში. 1902 წლიდან იგი მუშაობას იწყებს მკერავთან შეგირდად. პატარა დავითს წერა-კითხვა მაღაზიების აბრებითა და ცირკის აფიშებით ისე კარგათ შეუსწავლია, რომ წერა-კითხვის უცოდინარი ხელოსნები მას გაზეთებს აკითხებდნენ.

გადის წლები და დავითი აქტიურად ებმება სასცენო-საზოგადოებრივ მუშაობაში. ამავე დროს იგი თანაუგრძნობდა თავისი უბნის (სიონის) რევოლუციურად განწყობილ წრის ახალგაზრდა წევრებს. ეხმარებოდა მათ პროკლამაციებისა და ფარული ფურცლების გავრცელებაში. ეს ახალგაზრდები, როგორც მოკავშირეები ესწრებოდნენ არალეგალურ კრებებს და ზუსტად ასრულებდნენ უფროსების დავალებებს.

სიონის უბანში არსებული ახალგაზრდების ბოლშევიკური წრის შემადგენლობაში შედიოდნენ თბილისის კერძო საწარმოთა, ძირითადად სტამბის მუშები. პ. მინდიაშვილი, ძმები დ. და გ. კორკაძეები, ს. გ. და ი. დოქიძეები, გ. და კ. ხელთუფლიშვილები, ძმები შ. და ნ. რაზმაძეები, ძმები მ. და ნ. კიკნაძეები, ლ. ენუქიძე, კ. ხუციშვილი, გ. მამაცაშვილი, ნ. ქოჩორაძე, დ. და მ. ჩაჩანიძე (დ. ჩაჩანიძის ბიძაშვილი), გ. ჩაჩანიძე (დ. ჩაჩანიძის უფროსი ძმა), სოსო ჯუღაშვილი, ამ უბანში მცხოვრები სტეფანე შაუმიანი და სხვ.

ეს ის პერიოდია, როცა საქართველოში, ისე, როგორც მეფის რუსეთში, ახლოვდებოდა 1905 წლის ქარიშხლიანი დღეები. მუშათა კლასი და ღარიბი გლეხობა აღსდგა მეფის ტირანიის წინააღმდეგ.

აი, ამ დროს რევოლუციურად განწყობილმა წრის წევრებმა თავიანთი ინიციატივით ჩამოაყალიბეს მუშების ორგანიზაცია (კავშირი), რომელიც 17 რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდისაგან შესდგებოდა. კავშირის წრის მუშაობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოიხატებოდა არალეგალური ფურცლების გავრცელებასა და კედლებზე პროკლამაციების გაკვრაში. ასევე იარაღის გადატან-გადმოტანაში (ძმები კორკაძეები სასროლ იარაღს იძენდნენ და უფროსი ასაკის რევოლუციონერებს ურიგებდნენ), ბარიკადებისათვის საჭირო მასალის მოზიდვასა და მის გამართვაში.

კავშირის ახალგაზრდა წევრი დ. ჩაჩანიძე ამ კავშირის უჯრედის „ათისთავად" აირჩიეს. საწევრო გადასახადების შეგროვების შემდეგ მისი ხელმძღვანელობით შეიძინეს დროშა, რომელიც, როგორც ათისთავს, ეჭირა ხელში.

სიონის უბანში რომ ბევრი რევოლუციონერები იყვნენ, იქიდანაც ჩანს, რომ 1905—1908 წლებში ყველა უბანში აღმართული იყო თითო ბარიკადი, ხოლო სიონის ნორაშენის უბანში კი სპეციალურად ორი ბარიკადი, რის გამოც პოლიცმაისტერმა მე-4 საპოლიციო უბანი, შუა ბაზრიდან სიონის უბანში გადმოიტანა.

1906 წლის გაზაფხულზე ჩამოახრჩეს არსენა ჯორჯიაშვილი, სწორედ იმ დღეს გადაიღეს სურათი ამ ახალგაზრდა კავშირის წევრებმა. ამით უნდოდათ დაემტკიცებინათ, რომ მართალია არსენა ჯორჯიაშვილი ჩამოახრჩეს, მაგრამ მის უკვდავსაყოფად მის ალაგს სხვა ახალგაზრდები დაიჭერდნენ და მის საქმეს განაგრძობდნენ...

ამ ახალგაზრდების ყველა წევრი აქტიურად იყო ჩაბმული აგრეთვე თეატრალურ საქმიანობაშიც. წრე წარმოდგენებს მართავდა ეზოებში, აივნების ქვეშ და ხშირად ქუჩებშიც. დგამდნენ სკეტჩებს. დოლისა და გარმონის თანხლებით, სცენისმოყვარენი მშვენივრად მღეროდნენ და ცეკვავდნენ.

ამ პერიოდში ზაქარია ფალიაშვილი სიონის ქუჩასთან ახლოს ფრანგების ეკლესიაში ორღანზე უკრავდა, რომელთანაც მიდიოდნენ წრის წევრები მუსიკის შესასწავლად. ფალიაშვილი დიდად უთანაგრძნობდა წრის წევრებს. იგი ამხნევებდა მათ და სიმღერებსაც ასწავლიდა. „მხოლოდ შენ ერთს", „მახსოვს პირველად", „ჩონგურს სიმები გაუბი", „საცა არის გათენდება" (არსენა ჯორჯიაშვილის ჩამოხრჩობასთან დაკავშირებით დაწერილ ლექსზე შექმნილი), „მარსელიეზა" და სხვ. მრავალი.

ზ. ფალიაშვილთან ერთად ამ წრეს მუსიკას ასწავლიდა ზ. ჩხიკვაძე, რატილი და ქორიძე, (მშვენივრად მღეროდა რაზმეული). ზ. ფალიაშვილმა ამ წრეში მოიყვანა ლეკურის ცეკვის კარგი ოსტატი ილო დოქიძე.

ასე გრძელდებოდა „რაზმელის" მუშაობა კარგა ხანს, ხოლო რეაქციის პერიოდში (1908—1909) წლებში წრე დაიშალა უფროსი ამხანაგების დაპატიმრების გამო.

დ. ჩაჩანიძე თეატრალურ საქმიანობაში, მეორედ მაშინ ჩაება, როცა მისი უშუალო ინიციატივით წრე ჩამოყალიბდა. ხანგრძლივ პერიოდში ყოველ კვირა დღეს სისტემატურად იმართებოდა წარმოდგენები ორთაჭალისა და მეტეხის ციხეში, სადაც დ. ჩაჩანიძე ციხის უფროსის თანაშემწედ ითვლებოდა. გამასწორებელ სახლს ძირითადად უჩვენებდნენ ვალ. გუნიას „და-ძმას", რომელიც მეფის წინააღმდეგ ამხედრებდა პატიმრებს.

სცენისმოყვარეთა წრეში დ. ჩაჩანიძესთან ერთად ირიცხებოდნენ მთელი რიგი მსახიობები გ. ქუქუნაშვილი, ელ. შათირიშვილი, ს. სულთანიშვილი, გ. ყანჩელი, ა. ხუციშვილი, გ. დარისპანაშვილი, ი. გრიშაშვილი, შ. ტალიკაძე, ა. დავიდოვი, ს. ავჩიანი, მ. ჯანველოვი, ს. აუშტროვი, ე. კულულაშვილი და სხვ.

დ. ჩაჩანიძის უშუალო ხელმძღვანელობით დაიდგა მთელი რიგი პიესებისა, ვალ. გუნიას „და-ძმა", ავქს. ცაგარლის „ხანუმა", „რაც გინახავს, ვე-

ღარ ნახავ“, „ციმბირელი“, ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“, ალ. ყაზბეგის „არსენა“ და სხვ. ამასთან ერთად ამ წრის წევრები ნ. მირველოვისა და ე. კულულაშვილის ხელმძღვანელობით აქტიურად იყვნენ ჩაბმული არაქსიანისა და მურაშკოს თეატრთან არსებულ სცენისმოყვარეთა წრეში, რომლებიც იმჟამად მართავდნენ წარმოდგენებს ე. კულულაშვილისა და, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის შაქრო ნავთულელის ხელმძღვანელობით, როგორც ნავთლუღის ერთ-ერთ მაღაზიის შენობაში, ისე ორთაჭალაში ტყავტრესტის კლუბსა და ხარფუხში, მუსულმანთა აუდიტორიაში, ჩუღურეთსა და სიონის უბანში, ბერძნებისა და ალ. თუშმალიშვილის თაოსნობით ზაჰესის ელექტროსადგურის კლუბებში, პირველი მაისის ქუჩაზე მდებარე, როგორც ადგილობრივი მრეწველობის დიდ კლუბში, ისე პლეხანოვის სახელობის კლუბში.

ძველ სცენისმოყვარეს დ. ჩაჩანიძეს მონაწილეობა მიუღია 200-მდე წარმოდგენაში, 30-მდე სხვადასხვა სახის როლი შეუსრულებია და მუდამ აღტაცებაში მოუყვანია მაყურებელი. მისი საყვარელი სახეებია: ყარაჩოხელი, სირაჯი, მიკიტანი, კინტო, ვაჭარი, მედუქნე, ფოდრაჩიკი და სხვ. იგი პარტნიორობდა ისეთ გამოჩენილ მსახიობებს, როგორებიც იყვნენ ვასო აბაშიძე, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ნიკო გოცირიძე, იოსებ გრიშაშვილი, აკაკი ვასაძე და სხვ. მას ხშირად მიუღია მონაწილეობა ავქს. ცაგარლის „ხანუმაში“, ელისაბედ ჩერქეზიშვილთან ერთად შეუსრულებია აკოფას როლი, ი. გედევანიშვილის „მსხვერპლში“ უთამაშია საქოს როლი, ყაზბეგის „არსენაში“ სირაჯის როლი, ხოლო გ. სუნდუკიანის, „პეპოში“ — ზიმზიმოვის როლი.

დავით ჩაჩანიძე იცნობდა ნ. ფიროსმანაშვილს, ვაჟა-ფშაველას, ა. ყაზბეგს, დ. გივიშვილს, გ. სკანდაროვს, იეთიმ გურჯს, ი. გრიშაშვილს, გალაკტიონ ტაბიძეს, გ. ლეონიძეს.

დ. ჩაჩანიძე გატაცებული იყო ძველი თბილისური მუსიკითა და სიმღერებით. მის რეპერტუარში იყო ქართული, სომხური და აზერბაიჯანული 150-მდე სიმღერა, რომელთა რიცხვშიც შედის მუხამბაზი, შიქასტები, ბაიათები ჩვენი ცნობილი მგოსან-აშუღების: საიათნოვასი, სკანდაროვის, განჯისკარელის, ჰაზირას, იეთიმ გურჯის, დ. გივიშვილის, ბეჩარა ვასოსი და სხვ. ასევე დიდი გატაცებით ასრულებდა ქალაქური ფოლკლორის ამსახველ ჩვენი დიდი პოეტების გ. ორბელიანის, ალ. ჭავჭავაძის, ი. გრიშაშვილის და სხვათა სასიმღერო ლექსებს.

დავით ჩაჩანიძემ 1960 წლის 2 ივნისს იეთიმ-გურჯის ძეგლის გახსნის დღეს პოეტ-აკადემიკოსების იოსებ გრიშაშვილისა და ირაკლი აბაშიძის ლექსების შემდეგ, ტკბილი დუდუკის ჰანგზე დაამღერა იეთიმ გურჯის ლექსი:

ბევრი ხალხი მომიგონებს,
როცა ამ ქვეყნად გავალ,
მე სიყვარულს თან წავიღებ,
უამისოდ მე არ წავალ... და სხვ.

ჩაჩანიძის გამოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელზე. ასევე დიდი მოწონება დაიმსახურა დავით ჩაჩანიძემ თავისი ორიგინალური გამოსვლით 1967 წელს, დ. გივიშვილის ასი წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე. მან დუდუკზე ტკბილად დაამღერა დ. გივიშვილის ლექსები „ღვინოვ კახურო", „იმედი", „ახ, მთვარევ, მთვარევ" და სხვ.

დავითი დიდი მოტრფიალეა ძველი თბილისისა და უყვარს მისი განუმეორებელი წარსული, ძველი მგოსნებისა და აშუღების აზრიანი ლექსები და მუხამბაზები. მას დღესაც დიდი სიყვარულით აქვს შენახული ალ. ჭავჭავაძის, ი. ჭავჭავაძის, გ. ორბელიანის, აკ. წერეთლის, ი. გრიშაშვილის, ჰაზირას, იეთიმ გურჯის, დ. გივიშვილის, გ. სკანდაროვის და სხვათა სიმღერები.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, დავითი დღესაც დიდი ენთუზიაზმით განაგრძობს საზოგადოებრივ საქმიანობას, განსაკუთრებით კი თეატრალურ სფეროში. იგი ახლაც აქტიურად მონაწილეობს გორკის სახელობის კულტურის სახლთან არსებული სახალხო თეატრის დადგმებში, სადაც პერიოდულად იდგმება ძველი პიესები „არსენა", „რაც გინახავს, ველარ ნახავ", „პეპო", „ხანუმა" და სხვ.

□□

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ამავე საღამოს პიესა „ხანუმაში" მონაწილე ქალებიდან ძველი სცენისმოყვარე 79 წლის ქ-ნი ელენე აბაზაძე, რომელმაც მართლაც უბადლოდ შეასრულა ხანუმას როლი. იგი ისევე თამაშობდა, როგორც ამ 50 წლის წინათ, როდესაც ამავე როლში გამოვიდა „ავჭალის" აუდიტორიაში. ე. აბაზაძის თამაში ხანუმას როლში ელ. ჩერჩეზიშვილს უნახავს და ისე მოსწონებია, რომ იქვე კულისებში უთქვამს „შენ ჩემი კარგი შემცვლელი იქნები". ე. აბაზაძე მეუღლეა სახალხო თეატრის ცნობილი არტისტის, ძველი ღვაწლმოსილი ამაგდარისა და მოღვაწის ს. ქივიძის, რომელიც რამდენიმე ათეული წლების მანძილზე უანგაროდ ემსახურებოდა ქართულ თეატრს.

ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სარას როლის შემსრულებელი, ღვაწლმოსილი სცენისმოყვარე ქალი ვ. მჭედლიშვილი. დიდედოს როლის შესრულების დროს მსახიობი იცავდა ყოველ დეტალს ბებრუხუნა დიდედის ნიშანდობლივი თვისებებისა და დიდ გარდასახვასაც აღწევდა. განსა-

კუთრებით შთამბეჭდავი და დამაჯერებელი იყო მსახიობი იმ მომენტში, როდესაც ტახტიდან ჩამოდიოდა, ქოშებში ფეხს გაყოფდა და წელში მოხრილი უყვავებდა სონას, ამ მომენტში იგი უაღრესად ბუნებრივი იყო — სიარული, შემოსვლა, ტახტზე ასვლა და ჩიფჩიფით ლაპარაკი.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს იმ საღამოს პატარძლის, სონას, როლის შემსრულებელი ახალგაზდდა ქალიშვილის, ქარხნის მუშის, დონარა ცანავას თამაში. გამოუცდელობის მიუხედავად სცენური მიმზიდველობით, შინაგანი სითბოთი და შთამბეჭდავად წარმოგვიდგინა პატარძლის საკმაოდ რთული როლი. ამ ახალგაზრდა შემსრულებელს ხელს უწყობდა როგორც გარეგნული, ისე სცენური მონაცემები. ნამდვილად კარგი მომავალი ელის დ. ცანავას, თუ ქართულ სცენას გაჰყვება.

□□

ვ. მჭედლიშვილი 8 წლისა იყო, როცა საცეკვაო ხელოვნებამ გაიტაცა. როგორც კი წამოიზარდა, სხვადასხვა ანსამბლებში გამოდიოდა სოლისტად. ა. კახუროვის ხელმძღვანელობით არსებულ ეთნოგრაფიულ ანსამბლშიაც მიუღია მონაწილეობა და სპეციალისტების ყურადღება დაუმსახურებია. აქ მუშაობის პერიოდში ვ. მჭედლიშვილმა შემოიარა საბჭოთა კავშირის ბევრი საინტერესო ქალაქი და ყველგან მოწონება დაიმსახურა.

1941 წლიდან კი დასრულებული მოცეკვავე სარეწაო კულტურის სახლთან არსებულ აღმოსავლურ ანსამბლში გადადის მოცეკვავედ და მომღერლად.

1948 წელს ვ. მჭედლიშვილი ამავე კულტურის სახლთან არსებულმა თეატრალურმა დასმა ა. ყაზბეგის პიესა „არსენაში“ ნინოს როლში მიიწვია. ახალბედამ შესანიშნავად დასძლია დაკისრებული ამოცანა. ამ დღიდან იწყება მისი სამსახიობო კარიერა. ამავე კლუბის სცენაზე ვ. მჭედლიშვილმა არაერთი როლი შეასრულა და მაყურებლის გულწრფელი მოწონება და პრესის აღიარება დაიმსახურა. მის მიერ შესრულებული როლების სია 30-მდე აღწევს. აქედან მსახიობი განსაკუთრებული სიყვარულით იგონებს სონას („ხანუმაში“), ინსენს („38-ე პარალელში“), მუზა პლატონოვნას „მკაცრ ქალიშვილებში“) კაპიტან მერი ალადაშვილს („მეგობრებში“), დესპინეს („გამარჯვებულნში“), სალომეს („კინტოში“).

სარეწაო კულტურის სახლიდან ვ. მჭედლიშვილი გადადის ბორჯომის კულტურის სახლთან არსებულ ბავშვთა დრამატული კოლექტივისა და ბორჯომის რკინიგზის კლუბთან არსებული დრამატული წრის ხელმძღვანელად, სადაც მისი უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა „მასწავლებელი“, „მოულოდნელი შეხვედრა“, „იავნანამ რა ჰქმნა“, „ანდროს ოცნება“, „სადგურის

უფროსი", „დაბადების დღე" და სხვა მრავალი, ერთი და ორმოქმედებიანი სკეტჩები, ვოდევილები.

ბორჯომის კულტურის სახლის თეატრალურ კოლექტივში მუშაობის პერიოდში, რეჟისორ გ. ხმალაძესთან მოუხდა რამდენიმე როლის შესრულება, ტატიანა „რღვევა", მუზა პლატონოვნა „მკაცრი ქალიშვილები", სალომე „კინტო", ლედი მილფორდი „დოლარების სამეფო", ზოია, „ზოია რუხაძე" და სხვ.

თბილისის კავშირგაბმულობის კულტურის სახლთან არსებულ ქართულ თეატრალურ კოლექტივში აქტიური შემოქმედებითი მუშაობისათვის ვ. მჭედლიშვილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით დააჯილდოვეს საპატიო სიგელით.

კასპის ცემენტის ქარხანაში მუშაობის პერიოდში დრამატული კოლექტივის ხელმძღვანელობისათვის და ვალ. გუნიას „და-ძმაში" მარინეს როლის საუკეთესო შესრულებისათვის ამავე ქარხნის დირექციამ საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

ახლაც განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებს ვ. მჭედლიშვილის მიერ შესრულებული ყველა როლი გორკის კულტურის სახლის სახალხო თეატრის დადგმებში, სადაც იგი კვლავ ენთუზიაზმითა და სიყვარულით აგრძელებს მუშაობას.

□□

მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა ვალ. ვაშაძის რეჟისორობით დადგმულმა მ. ჯაფარიძის პიესა „ყამთაბერის ასულმაც".

პიესაში ოსტატურადაა დახატული დიდგვაროვანთა და უბრალო ხალხის ყოფაცხოვრების სურათები. დრამატურგისაგან ნათლად გამოკვეთილი პერსონაჟები, მკაფიო სასაუბრო ენა, აზრობრივად მდიდარი ქვეტექსტები მშვენიერი მასალა იყო რეჟისორისა და მსახიობისათვის. სპექტაკლი იწყება დიალოგით სამეფო კარის ჭარმაგი კარისკაცების — აგაბოს (მ. ბასილაძე) და ჩუბინას (ტ. ფეიქრიშვილი, გ. ქერივიშვილი) შორის. ტ. ფეიქრიშვილს კარგად მიუგნია გმირის ხასიათისათვის. იგი თავისუფლად, ღრმა განცდითა და დიდი სითბოთი ასახიერებს მეფის ერთგული ჭკვიანი კარისკაცის სახეს. ასევე ერთგული კარისკაცია აგაბოც. პიესაში ცენტრალური ადგილი უჭირავს სოლომონ მეფეს, რომელმაც სიცოცხლე შეალია დასავლეთ საქართველოს ერთ სამეფოდ გაერთიანებისათვის ბრძოლას. ამასთან იგი უმკლავდებოდა ოსმალეთს და შინაური ფეოდალების შუღლს, ორგულობას. ვალ. ვაშაძეს სოლომონის წარმოსახვაში

ხელს უწყობდა სცენური გარეგნობა, მიხრა-მოხრა, ჟესტი, შთამბეჭდავი ხმა, რაც აუცილებელი იყო ამ გმირის ხორცშესხმისათვის.

უფლისწული არჩილი თ. კილაძის შესრულებით მიამიტი, კეთილი უნებისყოფო ბავშვია, ის მზადაა ყველაფერში დაეთანხმოს ცბიერ ბარძიმს, ოღონდ კი რუსუდანზე დაიწეროს ჯვარი, მისი სიყვარულით გატაცება ბავშვურია. ქამთაბერ წერეთლის ქალს — რუსუდანს გულწრფელად უყვარს მათი მოურავის ვაჟი მერაბი. მათ სიყვარულს წინ ეღობება თვით ქამთაბერი და ბარძიმ აბაშიძე, რომელსაც რძლად სურს გაიხადოს რუსუდანი. საბოლოოდ მაინც ხალასი სიყვარული იმარჯვებს.

ზ. შავშიშვილი (რუსუდანი) სპეტაკი და გულწრფელია მერაბის სიყვარულში. ის ზომიერების გრძნობით განასახიერებს მრისხანე ფეოდალის ასულს. იგი სიყვარულის ერთგული რჩება ბოლომდე.

მერაბი — ხრესელის ბრძოლის გმირი, ყველაზე მეტად უნდა იწვევდეს მაყურებლის სიმპათიას, ახალგაზრდა შემსრულებელი თ. ხუციშვილი ამ მხრივ აღწევს მიზანს: ისიც გულწრფელია სიყვარულში, აუჩქარებელი და ვაჟკაცური.

ქამთაბერ წერეთელი პიესაში ყველაზე რთული როლია. ქამთაბერის არსებაში საკუთარი განდიდების, სარდლად გახდომის, შვილის გადედოფლების სურვილის, სამშობლოს სიყვარულის, ერთგულების თუ ორგულების განცდათა მუდმივი ჭიდილია. დ. ლაფერაშვილი და ა. ხვედელიძე ჩინებულად ძლევდნენ ამოცანას და გმირის სულიერ განცდებს მონდომებითა და დამაჯერებლობით გადმოსცემდნენ.

ბარძიმ აბაშიძე, დიდი ფეოდალი და სარდალი, ცბიერი და ქვეშქვეშაა. მას თვალი ქურდულად ტახტისაკენაც უჭირავს და ქამთაბერის ასულზედაც... თვალთმაქცი, ხარბი ფეოდალის სახე ოსტატურად განასახიერა ნიჭიერმა მსახიობმა — შ. ჯანდიერმა. კირკიტას როლი საინტერესოდ წარმოსახა შ. ბახტაძემ. დიდი უშუალობითა და დამაჯერებლობით ხატავენ თავიანთ როლებს: გ. ჟუჟუნაშვილი (შიო მეწისქვილე), ფ. კერესელიძე (მამუკა), ა. ჭინჭარაძე (ივლიანე) და სხვა.

ა. ჯემილიშვილის მხატვრული გაფორმება ხელს უწყობდა პიესის წარმატებას.

□□

სახალხო თეატრი ხშირად მართავს აგრეთვე თემატურ საღამოებს. მაგ: გ. ტაბიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი „პოეზია უპირველეს ყოვლის“, „ქორწინება და ოჯახი“, „ლენინი და საქართველო“. გარდა ამისა

თეატრი ამზადებს და უჩვენებს სკეტჩებს, ვოდევილებს, მცირე ფორმიან პიესებს, აწყობს მხატვრული კითხვის საღამოებს.

თეატრი მომსახურეობას უწევს საქართველოს კვების მრეწველობის ორგანიზაციებს. საწარმოებში მართავს სპექტაკლებს.

სახალხო თეატრმა დიდი სამამულო ომის 30 წლისთავის საიუბილეოდ დადგა მ. ბერიძის პიესა „ქორწილი მტრის ზურგში“ (რეჟისორი ვალ. ვაშაძე). პიესამ მაყურებლის ნამდვილი აღიარება მოიპოვა. სპექტაკლმა რესპუბლიკურ ფესტივალზე მეორე ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.

დიდი უშუალობითა და სითბოთი ხატავს ც. დვალიძე — ფაციას როლს. მან სცენაზე გამოჩენისთანავე დაიმსახურა მაყურებლის სიმპათია. ასევე მშვენივრად შეასხა ხორცი ავტორის ჩანაფიქრს. დიდი დამაჯერებლობითა და ფერადოვნებით ძერწავენ თავიანთ სახეებს ვალ. ვაშაძე (ნიკა), რ. სარდანაშვილი (სევე), პ. ამაშუკელი (უჩა).

ამ თეატრში მოსვლამდე პ. ამაშუკელმა მრავალი როლი განასახიერა და ბევრი საინტერესო სახეც შექმნა. მისი სასცენო ნათლობა პლეხანოვის კლუბთან არსებულ სახალხო თეატრის სცენიდან დაიწყო.

იმ დროს ვალ. ვაშაძის რეჟისორობით დადგმულ პიესებში პ. ამაშუკელს შესრულებული აქვს მთელი რიგი როლებისა, რომელთაგან გამოირჩევიან: გოგოთა მიხ. მრევლიშვილის „ზვავში“, ჯინჯიხია თ. ფერაძის „უტუ მიქავაში“, ანთიმოზი ლ. მილორავას „მრუდე კიბეში“, პეტრე ტამანოვისა და გამომძიებლის როლები ო. დგებუაძის „განთიადის დედოფალში“, ანდრო ყავლაშვილს ა. გეწაძის „მზე ცრემლში“, პაპინას გ. ქელბაქიანის პიესაში „განა ეს სიყვარულია?“. ბოქაული პ. ლოლაძის „სიმონა დოლიძეში“, კირკიტა მ. ჯაფარიძის „ქამთაბერის ასულში“. მისი კირკიტა ენაჭარტალა ღარიბი აზნაურია, რომელსაც თავის დღე და მოსწრება ღვინის სმაში გაუტარებია. მსახიობს მახვილი ალღო, იუმორის გრძნობა ხელს უწყობდა ბოლომდე დამაჯერებლად წარმოესახა ეს როლი. ი. ფერაძის პიესებში თამაშობდა თავად მურაზიას „უტუ მიქავაში“ და მიტიას „სულუხიაში“, ბასა გუქაბიძეს გ. ხუხაშვილის პიესაში „ცხოვრება კაცისა“ და სხვა მრავალი.

□□

ვალ. ვაშაძე პროფესიული გამოცდილებით მოვიდა გორკის სახელობის კულტურის სახლის ხალხურ შემოქმედებაში, მოიტანა სიცოცხლე, რწმენა და დიდი შემოქმედება. მას გაუგეს მუშა-მსახიობებმა და ერთობლივი, შეხმატკბილებული მუშაობით წარმართეს საქმიანობა.

სცენისადმი მისწრაფება ვალ. ვაშაძეს მოწაფეობის დღიდან აღეძრა. 1942

წელს დაამთავრა თუ არა საშუალო სასწავლებელი, ჭიათურის სახელმწიფო თეატრს მიაშურა. აქ მალე დაეკისრა საპასუხისმგებლო როლების შესრულება.

მ. ჯაფარიძის პიესაში „ქამთაბერის ასული" ვალ. ვაშაძე მერაბის როლს ასრულებდა. სპექტაკლის მიღებას თბილისიდან ცნობილი რეჟისორი უკრაინისა და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დოდო ალექსიძე დაესწრო. სახელგანთქმულ რეჟისორს დ. ალექსიძეს ისე მოეწონა ახალგაზრდა ჭაბუკის ვალ. ვაშაძის, როგორც სცენური, ისე გარეგნული მონაცემები, რაინდული აღნაგობა, კეთილშობილური გამომეტყველება, რომ იგი მაშინვე თეატრულ ინსტიტუტში სწავლის გასაგრძელებლად წამოიყვანა.

ხოლო, როცა ვალ. ვაშაძე მეოთხე კურსის სტუდენტი გახდა, ჭიათურის თეატრმა აკადემიური შვებულებით მისი უკან დაბრუნება მოითხოვა. ვალ. ვაშაძე ისევ მშობლიურ თეატრს დაუბრუნდა და უფრო მეტი ენთუზიაზმით ბევრი, ნიჭიერად ნაძერწი სახე შექმნა. სცენისადმი სიყვარული მსახიობმა 30-მდე როლის შესრულებით გამოხატა. იგი არასოდეს იფარგლებოდა ერთი ამპლუით. ერთნაირი გატაცებითა და სიყვარულით ასრულებდა, როგორც სახასიათო, ისე საგმირო როლებს, თამაშობდა ახალგაზრდებსა და მოხუცებს. თამაშობდა და მის თამაშში მუდამ გამოსჭვიოდა შემოქმედებით ალღო და მგზნებარება. ასეთებად უნდა ჩაითვალოს სერცინსკი შიუკაშვილის. პიესა „სულელში", ერეკლე ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატში", არსენა ალ. ყაზბეგის „არსენაში", კაკუტა პ. კაკაბაძის პიესა „ყვარყვარე თუთაბერში", პლატონი დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალში", კოტე ავქს. ცაგარლის „ხანუმაში" (ხანუმას როლისთვის მოწვეული იყო ელ. ჩერქეზიშვილი, რომელმაც შეაქო კოტეს როლის შესანიშნავი შემსრულებელი ვალ. ვაშაძის თამაში) და სხვა მრავალი.

ჭიათურის თეატრში მოღვაწეობის პერიოდის პარალელურად ვალ. ვაშაძე მუშაობას იწყებს ჭიათურის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელად.

ამ დროს ვალ. ვაშაძეს ავალებენ ჭიათურის საშუალო სკოლების (სამი საშუალო სკოლა) დრამატული წრეების ძალებით ა. წერეთლის სახელობის ჭიათურის სახელმწიფო თეატრის სცენაზე უჩვენოს ლიუბიმოვას პიესა „თეთრა". სპექტაკლმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა, როგორც უფროსი თაობის მაყურებელში, ასევე მოსწავლე ახალგაზრდობაში. ვალ. ვაშაძის ამ სადებიუტო სპექტაკლით დაიწყო მისი სარეჟისორო კარიერა, რომელსაც იგი დიდი გატაცებითა და ენთუზიაზმით ემსახურება დღემდე.

ამ დადგმის შემდეგ ჭიათურის კულტურის სახლის სცენაზე ვალ. ვაშაძის ხელმძღვანელობით არაერთ დადგმას შეესხა ხორცი და მაყურებლის გულწრფელი კმაყოფილება გამოიწვია.

ამავე პერიოდში, ვალ. ვაშაძე ჩაბმული იყო აგრეთვე აგიტმხატვრული ბრიგადის საქმიანობაში და მისი უშუალო ხელმძღვანელობით სამხედრო ნაწილებისა და წვევამდელებისათვის ყოველ შაბათ-კვირას უჩვენებდა წარმოდგენებს და აწყობდა კონცერტებს.

1956 წელს კი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სატარიფიკაციო კომისიის მიერ ვალ. ვაშაძეს პირველი კატეგორიის მსახიობის წოდება მიენიჭა.

1958 წელს ვალ. ვაშაძე კინოსტუდიის მიერ მიწვეული იქნა თბილისში კინოსურათ „მამლუქში" გოჩას როლის შესასრულებლად. ხოლო უფრო მოგვიანებით ვალ. ვაშაძეს იწვევენ ყარამანის როლზე „ტარიელ გოლუაში". ორივე ფილმში მის მიერ მხატვრულად გამოძერწილმა სახეებმა მაყურბლის ყურადღება მიიპყრო.

1962 წლიდან ვალ. ვაშაძე საცხოვრებლად გადმოდის თბილისში და თავის სარეჟისორო კარიერას პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლში განაგრძობს.

პლეხანოვის კლუბში მისვლისთანავე იგი ინიშნება სახალხო თეატრის მთავარ რეჟისორად, რომელიც ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწესთან, რეჟისორ არჩ. მაჩაბელთან ერთდა პირველ დადგმად ანხორციელებს დრამატურგ მიხ. მრევლიშვილის ოთხმოქმედებიან პიესა „ზვავს". სპექტაკლმა პრესის ყურადღება დაიმსახურა. აი, რას წერს ამ დადგმის შესახებ 1962 წლის 30 ივნისის გაზეთი „რკინიგზელი": „რეჟისორმა ვალ. ვაშაძემ სწორად აუღო ალღო დრამატურგის ჩანაფიქრს. იგი ოსტატურად იყენებს სხვადასხვა რეჟისორულ ხერხს, რათა კიდევ უფრო მეტყველ ფერებში იქნას გადმოცემული მთაში მომხდარი ამბის სიმძაფრე, კარგადაა მოფიქრებული მასობრივი სცენები. ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს დამსახურებულ მხატვარს ი. ასკურავას ძალ-ღონე არ დაუზოგავს, რათა დეკორაციებში დამაჯერებლად გადმოეცა ზვიადი მთების, მთიელ მწყემსთა საცხოვრებელი ადგილის კოლორიტი".

ამას მოჰყვა დამდგმელი რეჟისორების არჩ. მაჩაბლისა და ვალ. ვაშაძის შემდეგი დადგმა აკ. გეწაძის „მზე ცრემლში". დამდგმელმა რეჟისორებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს მაღალმხატვრული და მიმზიდველი სპექტაკლის შესაქმნელად.

თეატრმა ვალ. ვაშაძის უშუალო ხელმძღვანელობით წარმოადგინა აგრეთვე თ. ფერაძის პიესა „უტუ მიქავა" და „ოდიშელი არწივი".

თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის სახალხო თეატრმა სპექტაკლი „ოდიშელი არწივი" ზუგდიდის რაიონის, სოფელ რუხის, საბჭოთა კავშირის გმირის სულუხიას სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებს უჩვე-

ნა. სულუხიას როლს ანსახიერებდა თეატრის წამყვანი მსახიობი ვალ. ხუპულური.

დადგმამ დიდი წარმატება მოიპოვა. როგორც რეჟისორმა ვალ. ვაშაძემ გვიამბო, დარბაზში სიჩუმე დაარღვია შეძახილმა — „მამა!" გმირის ქალიშვილმა ვერ გაუძლო მამის წამების სცენას.

დამთავრდა სპექტაკლი, მაყურებლები კი არ გადიოდნენ დარბაზიდან. ისინი კვლავ და კვლავ იძახებდნენ მსახიობებს, მადლობას უხდიდნენ მათ. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ თეატრალური კოლექტივი მიიწვიეს გმირის ოჯახში. აქ მსახიობები გაეცნენ სულუხიას ოჯახის წევრებს, მეუღლეს — ქეთევან სულუხიას და მის ქალიშვილს ვინარა სულუხიას, რომელიც ღირსეულად აგრძელებს მამის ტრადიციებს შრომის ფრონტზე, იგი სოციალისტური შრომის გმირია.

დადგმას რეცენზია უძღვნა რაიონულმა გაზეთმა, ხოლო თვით გმირის— გრიგოლ სულუხიას მშობლიურ სოფელში — რუხში ჩატარებულ წარმოდგენას გაზეთი „სოფლის ცხოვრება" გამოეხმაურა.

ვალ. ვაშაძის შემდეგი დადგმა იყო, ორდე დგებუაძის მოთხრობა „განთიადის დედოფალი", ინსცენირებული დრამატურგ გრ. ბერძენიშვილის მიერ, რომელიც ასახავს საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების საქმიანობას.

აქტუალურ თემაზეა დაწერილი ვალ. ვაშაძის მომდევნო დადგმა ლ. მილორავას სამმოქმედებიანი კომედია „მრუდე კიბე", რომელიც გრიგოლ ჩიქოვანის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვითაა დაწერილი.

პლეხანოვის სახალხო თეატრმა ვალ. ვაშაძის რეჟისორობით შემდეგ დადგმად წარმოადგინა გ. ქელბაქიანის პიესა „სიყვარულის მსხვერპლი", პ. ლოლაძის „სიმონ დოლიძე" და გ. ხუხაშვილის „ცხოვრება კაცისა".

1967 წელს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა სახალხო თეატრების ფესტივალი, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი.

პლეხანოვის კულტურის სახალხო თეატრმა, რომელმაც ფესტივალზე წარმოადგინა დრამატურგ გ. ხუხაშვილის პიესა „ცხოვრება კაცისა", მეორე ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.

ამის შემდეგ პლეხანოვის სახალხო თეატრმა ვალ. ვაშაძის რეჟისორობით მაყურებელს უჩვენა მ. ჯაფარიძის „ჟამთაბერის ასული".

1967 წლის ნოემბრიდან კი ვალ. ვაშაძე თავის შემოქმედებას აგრძელებს მ. გორკის სახელობის კულტურის სახლის სცენაზე...

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი 1968 წლიდან ვალ. ვაშაძის რეჟისორობის

პერიოდში დასში ჩაირიცხა ძველი სცენისმოყვარეები ე. კულულაშვილის ხელმძღვანელობით.

□□

ეპია კულულაშვილი იმ ადამიანთა რიცხვშია, რომელთაც თავიანთი შრომითი საქმიანობით მოკრძალებული, მაგრამ დიდად საჭირო წვლილი შეიტანეს თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში.

ქართული მუშათა სახალხო თეატრის ეს დაუღალავი მუშაკთაგანი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი მოვალეობისადმი ღრმა პასუხისმგებლობის გრძნობით, კეთილსინდისიერებით და ამიტომ იგი, სადაც კი უმუშავნია, მთელი კოლექტივის სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა.

ეპია კულულაშვილის ბიოგრაფია ასეთია: იგი დაიბადა 1894 წელს რაჭაში, სოფელ ჭიბრევში, მშრომელი გლეხის ოჯახში. მალე ეპის მამა ალექსი კულულაშვილი თბილისს ჩამოდის და შვილი სწავლის გასაგრძელებლად შეყავს სამოქალაქო სასწავლებელში, რომელიც ავლაბარში მდებარეობდა.

ერთხელ, დიდი თხოვნისა და მუდარის შემდეგ მამამ ავლაბარში მურაშკოს თეატრში წაიყვანა იგი. დგამდნენ ვალ. გუნიას სამმოქმედებიან დრამას „და-ძმა". პიესაში ოტია ჯოლიას როლს ასრულებდა, შემდეგში მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ი. იმედაშვილი. აი, სწორედ ამ წარმოდგენამ გადასწყვიტა მისი მომავალი ბედიც. თეატრით მოჯადოებული არაფერს ერიდებოდა, ყოველ საღამოს შეიპარებოდა ხოლმე თეატრში და სულგანაბული ადევნებდა თვალს რეპეტიციებს.

მცირე ხნის შემდეგ ე. კულულაშვილი თავს უყრის თავის უბნის თანატოლ ბავშვებს და თვითონ უდგება სათავეში წრეს. თავისი ხელმძღვანელობით სისტემატურად მართავს შინაურულ წარმოდგენებს ეზოებსა და სახლის აივნებზე.

ასე გადის დრო, და აი, მოულოდნელად აუსრულდა ოცნება. 1910 წელს პირველად ეზიარა იგი ნამდვილ თეატრს — „არაქსიანის თეატრის" სცენას. ვალ. გუნიას პიესაში „და-ძმა" წამყვანი როლი მიანდვეს. სიხარულისაგან ცას ეწია; მოუთმენლად მოელოდა პრემიერის დღეს. ეს დროც დადგა, გამოვიდა სცენაზე. მსახიობმა, როგორც იტყვიან მოირგო როლი, თავის თავზე იკისრა წარმოდგენის ძირითადი განმსაზღვრელი რიტმული დატვირთვა და მთელი მონდომებით შეუდგა ოტია ჯოლიას როლის ხორცშესხმას, საბოლოოდ შექმნა სახე, რომელმაც დიდი სიხარული განაცდევინა ახალბედას და ღრმა კმაყოფილება მაყურებელს. ხოლო დასის ხელმძღვანელებს ე. კულულაშვი-

ლის სახით ჰყავდა ერთ-ერთი მთავარი როლების შემსრულებელი, უაღრესად ნიჭიერი ძალა, ყოველგვარი სცენური მონაცემებით.

სახალხო თეატრის გამოცდილი ხელმძღვანელების დ. ჩარკვიანის და ს. ივანიძის მეოხებით მალე გაიშალა და გაიფურჩქნა ე. კულულაშვილის სასცენო პოტენციური შესაძლებლობანი და იგი ენერგიულად ჩაება თეატრალურ საქმიანობაში. მან უშუალო მონაწილეობა მიიღო არა მარტო ავლაბრის არაქსიანისა და მურაშკოს თეატრების დასების მუშაობაში, არამედ მოღვაწეობა უფრო ფართოდ გაშალა და გადაიტანა თბილისის სხვა უბნებში: ხარფუხში, ნავთლუღში, ორთაჭალაში და სხვ.

მრავალფეროვანი და საგულისხმოა ე. კულულაშვილის მიერ შესრულებული როლები: დადიანი და ხიმშიაშვილი („სამშობლო"), დათო („ღალატი"), ტარიელი და ლევანი („ორი ჯიბგირი"), დათიკო („ბატონი და ყმა"), გიგო ტეტიაშვილი („მსხვერპლი"), კარლ მოორი („ყაჩაღები"), დე-სილვა („ურიელ აკოსტა"), ვანო ფანტიაშვილი („ხანუმა"). დავითი და გიჟუა („რაც გინახავს, ველარ ნახავ"), მეფე თეიმურაზი („პატარა კახი"), ბერსენიევი („რღვევა"), მეზღვაური („წითელი მეზღვაური"), გოჩა („ხევისბერი გოჩა") და სხვ.

ე. კულულაშვილის თამაში მუდამ გამოირჩეოდა უშუალობითა და დამაჯერებლობით, ბუნებრიობით, პროფესიონალიზმით.

აქედან იწყება ე. კულულაშვილის სასცენო მოღვაწეობა ხან მურაშკოს, ხან არაქსიანის თეატრში, ხოლო 1911 წელს იგი მუშაობას იწყებს ხარფუხის ე. წ. მუსულმანთა აუდიტორიის ქართულ დრამატულ წრეში. ამის პარალელურად იგი შედის თბილისის რკინიგზის ტექნიკურ სასწავლებელში.

ე. კულულაშვილმა არა მარტო შეითვისა თავისი წინაპრების დიდი გამოცდილება და საუკეთესო ტრადიციები, არამედ იგი გახდა სრულყოფილი მემკვიდრე და გამგრძელებელი.

ე. კულულაშვილი თავის სასცენო მოღვაწეობის პერიოდში ყოველთვის ახლოს იდგა აგრეთვე ზემოხსენებულ უბნებში არსებულ რევოლუციურ წრეებთან და უშუალოდ მონაწილეობდა მათ არალეგალურ მუშაობაში. სწორედ ამ პერიოდში იგი დაუახლოვდა სახელოვანი ქართველი რევოლუციონერის, არსენა ჯორჯიაშვილის ოჯახს, რის შედეგადაც მათ შორის ნათესაური კავშირიც კი მყარდება (ე. კულულაშვილმა ცოლად შეირთო არსენა ჯორჯიაშვილის უმცროსი და, სახალხო თეატრის სცენისმოყვარე ელენე ჯორჯიაშვილი). რევოლუციური მუშაობისათვის მას 1915 წელს აპატიმრებენ. 1916 წლიდან ე. კულულაშვილი სცენასთან დროებით სწყვეტს კავშირს, რადგან ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მას აგზავნიან არზრუმის რკინიგზის მშენებლობაზე, სადაც 1918 წლამდე იმყოფებოდა.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1920 წლიდან 11 წლის მანძილზე სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა 26 კომისრისა და ოქტომბრის რაიონებში, როგორც რაიონული საბჭოს დეპუტატი და მთავარი ინჟინერი.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ მუშაობას იწყებს ადელხანოვის ქარხნის მუშების მიერ ჩამოყალიბებულ დრამატულ წრეში, ხოლო მალე არაქსიანის თეატრში გადადის და განაგრძობს შემოქმედებით მუშაობას, თავის გარშემო იკრებს ახალგაზრდა სცენისმოყვარეებს. დგამენ წარმოდგენებს მუშათა უბნებში და ხალხს მოუწოდებენ რევოლუციური ბრძოლისაკენ.

ე. კულულაშვილი ეკუთვნის ჩვენი მოწინავე ინტელიგენციის იმ უფროს თაობას, რომლებმაც თავისი მოღვაწეობა რევოლუციის წინა პერიოდში დაიწყეს, ხოლო ფრთა გაშალეს და გაინავარდეს საბჭოთა პერიოდში. იგი ყოველთვის მზად იყო სრულიად უსასყიდლოდ გაეწია სამსახური ხალხისათვის.

ხალხი მუდამ ღირსეულად აღნიშნავს იმ ადამიანთა ღვაწლს, რომლებმაც ქართული სახალხო, მუშური თეატრი დღემდე შეგვინარჩუნეს და სიყვარულით და ენთუზიაზმით განაგრძობდნენ თავიანთ ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას.

ცხრაასიან წლებში თბილისის მუშათა უბნებში არსებული სახალხო თეატრების თვალსაჩინო წარმომადგენელია ეპიფანე კულულაშვილი, რომელიც მთელი ნახევარი საუკუნის მანძილსე ემსახურა ქართულ თეატრს.

1960 წლის 26 დეკემბერს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, სარეწაო კავშირის ცენტრალურმა კულტურის სახლმა, გულთბილად აღნიშნა სახალხო თეატრის ამ გამოჩენილი მოღვაწის, ეპიფანე კულულაშვილის. სასცენო მოღვაწეობის 50 წლისა და საინჟინრო საქმიანობის 45 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა პოეტ-აკადემიკოსმა ი. გრიშაშვილმა.

ეპი კულულაშვილის შემოქმედების შესახებ ილაპარაკა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ბუხნიკაშვილმა, რომელმაც გარკვევით აღნიშნა თუ რაოდენ დიდი ამაგი დასდო ქართულ სახალხო თეატრს იუბილარმა, რა დიდია მისი ღვაწლი როგორც თეატრის, ისე საინჟინრო საქმიანობაში.

იუბილარს გულთბილად მიესალმნენ: ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს კოლექტივის სახელით ი. ენუქიძე, ადგილმრწველობის რესპუბლიკური კულტურის სახლის სახელით მ. აბაშიძე, საქართველოს თეატრალური საზოგადოების სახელით, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს თეატრალური საზოგადოების მდივანი დ. ჩხეიძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი გ. დარისპანაშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი

გ. ჯაბაური, ძველი სახალხო თეატრის სცენისმოყვარეები ი. გიგოშვილი, კ. ყანჩელი, ე. შათირიშვილი.

სიტყვა ლექსად უთხრა ს. აბაიშვილმა.

„შენ გიჟუას თამაშობდი,
კარლოსს, პეპოს თუ აკოსტას.
მე ვხედავდი ორ დიდ ეპის
ინჟინერს და სცენის ოსტატს.

ნიუტონს და ფრიდრიხ შილერს
კითხულობდი ალბათ ერთად.
ორი ხატის სიყვარულში
თმა ვერცხლივით გაგითეთრდა.

სიჭაბუკით, რაც დათესე
აჯეჯილდა, იქცა ყანად.
ამ ზეიმმა მეც ხუმრობის
ხასიათზე მომიყვანა.

ჩვენში ზეიმს ყველა ელის,
ვინც შრომაში ჭაპანს გვიწევს
ალფავიტით დგანან რიგში:
„ჩიჟიკა“ და ჩაჩანიძე.

როლი ისე მოამზადე,
როგორც იცი, როგორც გიჯობს.
შენ გიჟუას, რომ უყურებთ
ლამის ჩვენაც გაგვაგიჟოს.

ჩუმი ვარ და მეშინია,
არ მოედოს ენას ობი,
მე არც დიდი პოეტი ვარ,
არც პატარა მსახიობი.

შენთან მაინც ვთამაშობდი
ხან ბატონს და ხან მოურავს,
თუ ვახშამზეც დამპატიჟებ
არც იმაზე გეტყვი უარს.

დასასრულს ეპი კულულაშვილმა მადლობა გადაუხადა დამსწრეთ გულთბილი შეხვედრისათვის.

□□

ხარფუხელი გოგონა ელენე ჯორჯიაშვილი, ჯერ კიდევ სამხატვრო სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლე იყო, როცა იქვე მდებარე კლუბთან არსებულ სახალხო თეატრის რეპეტიციებსა და წარმოდგენებზე დადიოდა.

ერთ დღეს ტარდებოდა რეპეტიცია პიესის „ბედს ვერ წაუხვალ“. დასს ხელმძღვანელობდა სახალხო თეატრის ცნობილი მსახიობი ლ. ბაღაშვილი. წრეში ირიცხებოდნენ: ე. შათირიშვილი, გ. ჟუჟუნაშვილი, გ. ვ. და ა. მპედლიშვილები, ა. გოჩიტაშვილი, ქ. ინწკირველი (ა. გოჩიტაშვილის მეუღლე), ნ. ჯანველოვი, გ. პაპინაშვილი, რ. ფირუმოვი, ს. ალავერდელი, ს. ფადარიანი, ს. აუშტროვი, ვ. ნიკიფოროვა, ე. კულულაშვილი და სხვები.

პიესაში „ბედს ვერ წაუხვალ“ ქალის მთავარი როლისათვის მოწვეული იყო არაქსიანის თეატრის წამყვანი მსახიობი მ. ქართველიშვილი. რაღაც მიზეზის გამო იგი რეპეტიციაზე ვერ გამოცხადდა. ე. შათირიშვილმა შენიშნა იქვე მდგომი თეატრით გატაცებული გოგონა ე. ჯორჯიაშვილი და სთხოვა გაევლო ეს როლი, რათა რეპეტიციის ჩატარებას ხელი არ შეშლოდა. ე. ჯორჯიაშვილმა სიამოვნებით მიიღო შეთავაზება. ჯორჯიაშვილს ისე კარგად მოერგო ეს როლი, რომ როგორც ხელმძღვანელმა, ისე დასის წევრებმა გადაწყვიტეს პრემიერის დღესაც ე. ჯორჯიაშვილს ეთამაშა.

დაიწყო დაძაბული შემოქმედებითი მუშაობა პიესაზე. დადგა ნანატრი დღეც. მაყურებელმა გულთბილად მიიღო ახალბედა მსახიობი ე. ჯორჯიაშვილი. ფრთებშესხმული გოგონას სიხარულს კი საზღვარი არ ჰქონდა და იგი უფრო დიდი ენთუზიაზმით ჩაება ამ სასურველ და სანატრელ საქმეში. მაგრამ რა, იგი თავისმა მასწავლებელმა სახელოსნო სასწავლებლის გამგესთან, მ. მაჩაბელთან. დაასმინა, სცენისმოყვარეებთან დადისო. გამგემ დატუქსა გოგონა. აუშტროვი (სცენისმოყვარე და გამგეობის წევრი) გამგესთან შუამდგომლობით მივიდა და დიდი ახსნა-განმარტებისა და თხოვნის შემდეგ, ძლივს გამოსთხოვა უფლება ე. ჯორჯიაშვილს კვლავ განეგრძო მუშაობა სცენაზე.

რადგან ნება დართეს, მალე მისი გვარიც გაჩნდა აფიშაზე, ამან მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა დააკისრა მომავალ შემოქმედს.

ერთხელ, ამ სპექტაკლს ელენეს ძმა მიხა ჯორჯიაშვილიც დასწრებია და როცა ელენე სცენაზე თავდახურული დაუნახავს გაჯავრებულა, სცენაზე ასვლაც კი დაუპირებია, მაგრამ თავი შეუკავებია, რადგან ელენეს ძალზე უხდებოდა ლეჩაქი და ჩიხტი. ამით გადაურჩა იგი ძმის რისხვას.

ამის შემდეგ ხარფუხის სცენისმოყვარეთა წრეს ნავთლუღში უნდა ეჩვენებინა რ. ერისთავის პიესა „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“.

სპექტაკლში სონას როლი ისევ ელ. ჯორჯიაშვილს დააკისრეს. ამ საღამოს გაიცნო პირველად ე. ჯორჯიაშვილი სცენისმოყვარე ე. კულულაშვილმა, რომელსაც პიესაში ავტორის რემარკით სონასათვის — ელენესათვის უნდა ეკოცნა. ეს იცოდა ელენემ და პარტნიორი წინასწარ გააფრთხილა, თუ მაკოცებ, იცოდე სცენიდან გავიქცევი და წარმოდგენას ჩავშლიო. მოგეხსენებათ მაშინდელი დრო — ქალის სცენაზე გამოსვლა საზოგადოების ერთ ნაწილს დიდ სამარცხვინო საქმედ მიაჩნდათ, რის გამოც მსახიობებიც ექცეოდნენ ზოგჯერ გავლენის ქვეშ.

ე. კულულაშვილს ძალიან უყვარდა 1905 წლის რევოლუციის მონაწილენი და განსაკუთრებით ლეგენდარული ა. ჯორჯიაშვილი. ამიტომაც ასე გაუხარდა მისი დის ელ. ჯორჯიაშვილის გაცნობა. ე. კულულაშვილმა აღარ დააყოვნა და მესამე დღესვე სთხოვა ხელი ელენეს. 1921 წელს ისინი შეუღლდნენ.

გავიდა დრო. ე. კულულაშვილის ხელმძღვანელობითა და ინიციატივით გორკის სახელობის კულტურის სახლში პენსიონერთა დრამატული წრე ჩამოყალიბდა. კულულაშვილის მთელი ოჯახის შემადგენლობა ჩაება შემოქმედებით ფერხულში, მათ აქტიურად წარმართეს მუშაობა ეპის ხელმძღვანელობითა და კონსულტაციით. ვალ. ვაშაძის რეჟისორობით პირველ სპექტაკლად წარმოადგინეს ავქ. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, სადაც კატინას როლს ელ. ჯორჯიაშვილი ასრულებდა.

ორი წელი იმუშავა ე. კულულაშვილმა ამ კლუბთან არსებულ სახალხო თეატრში, მაგრამ მოულოდნელმა სიკვდილმა შეწყვიტა მისი მაჯისცემა და ოჯახმაც შეწყვიტა თავისი მოღვაწეობა.

□□

თბილისის სახალხო თეატრების ისტორიის ფურცლებს მრავალი სცენისმოყვარის საინტერესო ბიოგრაფია ამშვენებს, მათ შორის გიორგი ჟუჟუნაშვილისაც. მისი მისვლა ქართულ თეატრში სავსებით კანონზომიერი მოვლენა იყო.

მართალია, მას არ მიუღია სპეციალური თეატრალური განათლება, მაგრამ რომანოზ სალაყაიას მეშვეობით ისეთი თეატრალური სკოლა გაიარა, როგორსაც ალბათ დღეს ბევრი მსახიობი ინატრებდა. ის თავიდანვე მოითხოვდა შრომისმოყვარეობას და გ. ჟუჟუნაშვილის ნიჭით მოხიბლულმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ექცია იგი ქართველ ნიჭიერ მსახიობად.

ლაგოდეხში, გლეხის ოჯახში დაბადებულ გ. ქუქუნაშვილს წერა-კითხვა დედამ შეასწავლა, ხოლო 1911 წელს, როცა გიორგის ოჯახი საცხოვრებლად თბილისში გადმოსახლდა, პატარა გიორგი კომერციულ სასწავლებელში მიაბარეს. 2 წლის შემდეგ კი, გადასახადის უქონლობის გამო, გიორგიმ სწავლას თავი მიანება და სახელოსნოში დაიწყო მუშაობა.

გიორგი შეგირდად მიაბარეს ჯერ დალაქს, შემდეგ სირაჯს. მაგრამ იგი მეზობელი სცენისმოყვარეების რეპეტიციებმა, თეატრმა და წარმოდგენებმა გაიტაცა. ახლანდელ შაუმიანის ქუჩაზე მენთეშაშვილების სახლში ხშირად იკრიბებოდნენ სცენისმოყვარეები. ესენი იყვნენ ქანდარიდან მოტრფიალე მაყურებლები.

პატარა გიორგი, რომელიც ამ სახლის მახლობლად ცხოვრობდა, ხშირად შეიპარებოდა მსახიობების ოთახში, როცა ისინი პიესას კითხულობდნენ ან რეპეტიციას გადიოდნენ. გიორგი ყოველთვის გაოცებული შესცქეროდა, უკვირდა, რომ მისი ნაცნობი ადამიანები უცბად იცვლიდნენ სახეს ან კიდევ მათში ის ხშირად ხედავდა იმ პირთა სახეებს, რომლებიც მის ოსტატთან შემოდიოდნენ.

სწორედ იმ დროისათვის რეჟისორი სოსო ივანიძე ამზადებდა დასადგმელად ერისთავის პიესას „სამშობლო." პატარა გოგია შეუმჩნეველი არ დარჩათ. ამ პიესაში მის მიერ შესრულებულმა ეპიზოდურმა როლმა მისი ცხოვრების მომავალი გზაც განსაზღვრა.

1911 წელს მუშაობას იწყებს მურაშკოს თეატრის სცენაზე. იგი განათლებულ, დემოკრატიული იდეებით გატაცებულ ძველ სცენისმოყვარეთა ისეთ წრეში მოხვდა, სადაც საშუალება მიეცა დასწრაფებოდა თვითგანვითარებას. მშობლიური სცენა მისთვის სასწავლებლად გადაიქცა. გ. ქუქუნაშვილმა ჯერ სტატისტობით დაიწყო. შემდეგ პატარა სახასიათო როლების შესრულება მიანდვეს. მალე მიიპყრო უფროსი ამხანაგებისა და მაყურებლის ყურადღება.

პირველი შესამჩნევი როლი გიორგი ქუქუნაშვილისა იყო ყარა-იუსუფის სახე სუმბათაშვილის პიესაში „ღალატი". შემდეგ მას იწვევენ არაქსიანის (ამჟამად შაუმიანის სახელობის სომხური თეატრი) თეატრში. აქ მან განასახიერა რევოლუციონერ ვანო ბერდიაშვილის როლი პ. ირეთელის პიესა „დამარცხებულში". განსაკუთრებული კვალი გ. ქუქუნაშვილის აქტიორულ ბიოგრაფიაში შილერის პიესა „ყაჩაღებში" შესრულებულმა დანიელის როლმა დატოვა.

მას შემდეგ განვლო 60 წელმა. ყველა ეს წლები ქუქუნაშვილმა შესწირა სახალხო თეატრს. მას ხელოვნება შეასწავლეს ქართული სცენის უდი-

ლესმა მოღვაწეებმა. ესენი იყვნენ: ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ვალ. გუნია, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ნინო დავითაშვილი და სხვ.

შემდეგ წლებში მას ვხედავთ მუსულმანთა აუდიტორიის, ხარფუხის, ორთაჭალის (ტყავტრესტის) და სხვა მუშათა კლუბების, კულტურის სახლების სცენაზე უფროსი და მისი თაობის სცენისმოყვარეებთან.

მის მიერ შესრულებულ როლებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დ. ერისთავის „სამშობლოში" — პატარა ბიჭი, ი. გედევანიშვილის „მსხვერპლში" — შაქრო, ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავში" — ილო, პ. ირეთელის „ქრისტინეში" — გოგია, ა. ბაჯიაშვილის „სიმდიდრის მსხვერპლში" — სოსიკო, ტ. რამიშვილის „მეზობლებში" — გუსტავე, „პარიზელ ბიჭში" — პარიზელი ბიჭი, „ხანუმაში"—ტიმოთე.

დაუშრეტელი ენერგიის პატრონმა გ. ქუქუნაშვილმა ამ როლების გულწრფელი და უშუალო თამაშით სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი სახალხო თეატრის სცენაზე. მისი დამსახურებაც სწორედ ის არის, რომ მან სცენაზე გაიმარჯვა პატარა როლებით და დაგვიმტკიცა, რომ პატარა როლშიც შეიძლება უტყუარი ნიჭის გამომჟღავნება.

გ. ქუქუნაშვილი კეთილშობილი და მხიარული ადამიანია. მისი ჯანსაღი იუმორი ხშირად ისეთ განწყობილებას ქმნის კულისებსა თუ სარეპეტიციო ოთახში, რომ სცენისმოყვარეებს სულით ამაღლებს, მატებს სტიმულს, მუშაობას საინტერესოს ხდის.

ქუქუნაშვილი 1919 წლიდან 1923 წლამდე მუშაობდა ავლაბრის კლუბში როგორც სცენისმოყვარე და ტექნიკური რეჟისორი. 1923 წლიდან ავლაბრის მუშათა კლუბის დახურვის გამო, ახალი სათეატრო მშენებლობის წამოწყებასთან დაკავშირებით, ქართული დრამატული დასის მუშაობა გადატანილი იქნა მეტყავეთა კავშირის მუშათა კლუბში, სადაც მ. ქუქუნაშვილი 1937 წლამდე განაგრძობდა მუშაობას.

სახალხო თეატრის სცენაზე ჩამოყალიბებული ქუქუნაშვილი როგორც მსახიობი სცენის დიდ სიყვარულს მიჰყავს უკვე პროფესიულ მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში. რეჟისორ ალ. თაყაიშვილთან თანამშრომლობა დიდად ნაყოფიერი გამოდგა. ნატურით გ. ქუქუნაშვილი მხიარული, სიცოცხლით სავსე ადამიანია. იგი ხშირად თამაშობდა სახასიათო კომედიურ როლებს, რითაც მან ნორჩ მაყურებელთა დიდი სიყვარული დაიმსახურა. თამაშობდა დ. ჭონქაძის „სურამის ციხეში", ნახუცრიშვილის პიესებში და სხვ. მოზარდ მაყურებელთა თეატრში იგი რეჟისორის თანაშემწედ დანიშნეს, ეწეოდა აგრეთვე საქმიანობას მოზარდთა შორის საქართველოს კულტურულ-

საგანმანათლებლო საქმეში, 12 წლის მანძილზე მუშაობდა თეატრთან არსებული პარტორგანიზაციის მდივნად.

თეატრთან ერთად ბედი კინოხელოვნებაშიც სცადა. მას იწვევენ საქართველოს კინოსტუდიაში, სადაც უამრავი დასამახსოვრებელი სახეები აქვს შესრულებული: „ბაში-აჩუკში", „ოთარაანთ ქვრივში", „სხვის შვილებში", „მაია წყნეთელში", „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი", „ვედრებაში", „დიდოსტატის მარჯვენაში", „ფიროსმანში", „ვერის უბნის მელოდიებში" და სხვა. გამოდიოდა როგორც მასობრივ სცენებში, ისე ეპიზოდურ როლებში. ამის მიუხედავად დაკვირვებული მაყურებელი მაინც შენიშნავს მის ორიგინალურ თამაშს.

როგორც კინოში, ასევე თეატრში გ. ქუქუნაშვილი მაყურებლის გულწრფელ მოწონებას იმსახურებდა. გიორგი დღესაც ჩვეული ენერგიითა და ენთუზიაზმით ემსახურება საყვარელ სცენას, მუშაობას განაგრძობს მ. გორკის სახელობის კულტურის სახლის სახალხო თეატრში. მას განსაკუთრებით უყვარს ილოს სახე ავქს. ცაგარლის პიესაში „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". იგი დიდი სიყვარულით, ენამახვილობით ქარგავს ამ ეპიზოდურ როლს.

გ. ქუქუნაშვილმა თავისი უანგარო შრომით თავი შეაყვარა სახალხო თეატრის ყველა მონაწილეს. 1970 წელს საქართველოს სსრ პროფსაბჭომ, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, პროფსაბჭოს მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა დიდი ზეიმით აღნიშნა გ. ქუქუნაშვილის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო.

გ. ქუქუნაშვილი მაგალითის მიმცემია ახალგაზრდობისთვის დისციპლინით და იმ საქმის დიდი სიყვარულით, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრება შეალია.

გ. ქუქუნაშვილს მიღებული აქვს მთავრობის მრავალი ჯილდო და ქების სიგელი.

□□

დრამატული როლების შესანიშნავმა შემსრულებელმა შალვა ჯანდიერმა სასცენო ხელოვნება ავლაბრის სახალხო თეატრიდან დაიწყო და იმ დღიდან მოყოლებული დღემდე დიდი ენთუზიაზმითა და გატაცებით ემსახურება ამ მეტად კეთილშობილურ საქმიანობას.

იგი ავლაბრის თეატრიდან მუშაობას აგრძელებს „თელასის" კლუბის სცენაზე. მის მიერ შესრულებული როლებიდან მაყურებლის ყურადღებას იმსახურებენ: არსენა ალ. ყაზბეგის „არსენაში", ავეტიკა და პეტუა ავქს. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავში" და „ციმბირელში", ოსეფა „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეში", ზაქრო ი. ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღში" და სხვ.

ასევე იღებდა იგი მონაწილეობას სხვადასხვა დროს ე. კულულაშვილისა და გ. დარისპანაშვილის მიერ დადგმულ პიესაში „რაც გინახავს, ველარ ნახავ", რომელიც დაიდგა ავლაბარში სომხური თეატრის სცენაზე. ე. კულულაშვილის რეჟისორობით დადგმულ „ხანუმაში" ასრულებდა თავად ვანო ფანტიაშვილის როლს, ხოლო სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლში დ. ხუციშვილის ხელმძღვანელობით დადგმულ რამდენიმე პიესაში, პავლუშას „სამ უბედურში", შალვასა და ნესტორს. გ. ქელბაქიანის „დაგვიანებულ სინანულში", გელასა და ონისეს ალ. ყაზბეგის „ხევისბერ გოჩაში", გოდერძის მთვარაძის „სახსოვარში". მონაწილეობას იღებდა აგრეთვე სკეტჩებში და ერთმოქმედებიან ვოდევილებში, როგორიც არის თამაზის როლი „კარგ ამხანაგში" და სხვ. ვოროშილოვის სახელობის კლუბში ე. კულულაშვილის რეჟისორობით დადგეს აქვს. ცაგარლის „ხანუმა", რომელშიაც თავად ვანო ფანტიაშვილის როლში ელ. ჩერქეზიშვილთან ერთად შ. ჯანდიერიც მონაწილეობდა. ვანო კობახიძის დადგმით მარკოზოვის შემოქმედებით საღამოზე შ. ჯანდიერმა „რაც გინახავს, ველარ ნახავში" ზაქარიას როლი შეასრულა ხოლო სცენისმოყვარე სანდრო ალავერდელის მიერ დადგმულ აქვს. ცაგარლის „რაც გინახავს, ველარ ნახავში" ბატონის როლი.

1969 წლიდან კი გორკის სახელობის კულტურის სახლის სცენაზე შესრულებული როლებიდან შთამბეჭდავია: ავქს. ცაგარლის „რაც გინახავს, ველარ ნახავში" ბატონი, ი. გედევანიშვილის „მსხვერპლში" ბოქაული, ალ. ყაზბეგის „არსენაში" იორამი, მ. ჯაფარიძის „ქამთაბერის ასულში" ბარძიმი, და სხვ.

□ □

ა. დავიდოვი ჯერ კიდევ 1906 წლიდან ეზიარა თეატრალურ ხელოვნებას მურაშკოსა და არაქსიანის სახალხო თეატრებში და ექვსი წლის მანძილზე არაერთი მხატვრულად ნაძერწი სახე შექმნა. მისი შესრულებული როლებიდან განსაკუთრებით გამოირჩევიან ხიმშიაშვილი დ. ერისთავის „სამშობლოში", პეტრე ა. ყაზბეგის „არსენაში", ზაქარია აქვს. ცაგარლის პიესაში „რაც გინახავს, ველარ ნახავ" და სხვ.

1912 წლიდან ა. დავიდოვი სამუშაოდ გადადის გორში და თავისი უშუალო ხელმძღვანელობით აყალიბებს დრამატულ დასს. აქ დადგმული სპექტაკლებიდან გამოირჩევა კარაევის „ცხოვრების გმირი". ამ პიესაში დავიდოვი პეტიას როლს ასრულებდა, ხოლო მამის როლისთვის მოიწვია ცნობილი მსახიობი გიორგი არადელ-იშხნელი.

1918 წელს ა. დავიდოვი ისევ არაქსიანის თეატრს უბრუნდება და სამი

წლის მანძილზე დიდი ენთუზიაზმით განაგრძობს მუშაობას როგორც მსახიობი.

1937 წლიდან კი ა. დავიდოვი „თელასის“ კლუბთან არსებულ დრამატულ კოლექტივს ხელმძღვანელობს, რომლის სცენაზე მისი ხელმძღვანელობით დადგმული სპექტაკლებიდან გამოირჩევიან ა. ყაზბეგის „არსენა“, ავქს. ცაგარლის პიესები „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და „ციმბირელი“, ია ეკალაძის „ნომერი 21 ჯერით“, ი. ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი“, რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ და სხვ. იგი ამავე დროს მუშაობას განაგრძობდა, როგორც მსახიობი, ე. კულულაშვილის თეატრალურ დასში.

☐☐

არიან ადამიანები, რომელთა ცხოვრება უხმაუროდ, უპრეტენზიოდ, შეუმჩნევლად მიედინება. თუმცა თავიანთი ღვაწლით ღირსნი არიან, რომ მათზე ორიოდე სიტყვით მაინც ვუამბოთ საზოგადოებას. ამჯერად მხედველობაში გვყავს საინტერესო პიროვნება — ლადო გვიშიანი. თუ მისი ცხოვრების ეპიზოდებს გავიხსენებთ, თუ თვალს გადავავლებთ, ლ. გვიშიანის ნაყოფიერ მოღვაწეობას ხელოვნებაში, ბევრს საინტერესოს შევიტყობთ.

85 წლისაა ახლა ლადო გვიშიანი. ჯერ ისევ მხნედ, დააბიჯებს თბილისის ქუჩებში. მ. გორკის სახელობის კულტურის სახლთან არსებული პენსიონერთა თეატრის ერთ-ერთი წამყვანი მსახიობია.

ყველა, ვინც ლადო გვიშიანის ირგვლივ ტრიალბს, ვინ იცის მერამდენედ ამბობინებენ მას გარდასულ დროთა ამბებს. ვისთან არ უმუშავია, ვის არ შეხვედრია...

აკადემიკოს გიორგი ახვლედიანთან ერთად, საჭაბუკეში, ლეჩხუმში გამართულ წარმოდგენებში მონაწილეობდა, შემდეგ ზუგდიდის თეატრში მსახიობობდა შალვა დადიანის რეჟისორობით, ცხრაას ოციან წლებში სამტრედიის თეატრში მუშაობდა, რომლის რეჟისორი იმ წლებში მიხეილ ჭიაურელი იყო.

ვლ. გვიშიანი ჯერ კიდევ რუსთაველის თეატრის მსახიობი იყო, როდესაც რუსთაველის თეატრის ადმინისტრაციამ პლეხანოვის კლუბზე შეფობა აიღო. ეს საქმე დიდმა რეჟისორმა სანდრო ახმეტელმა ითავა. ვლ. გვიშიანს, როგორც ნაძალადევის მკვიდრს და პლეხანოვის კლუბის უძველეს მოამაგეთაგანს მონაწილეობა მიაღებინა პირველ საშეფო წარმოდგენა-კონცერტში. კონცერტში მონაწილეობას იღებდა დ. მჟავია, ვ. აბაშიძე (საქართველოს სსრ სახალხო

არტისტ დოდო აბაშიძის მამა), ა. ქანთარია, მ. ლორთქიფანიძე, ბ. შავიშვილი და ვლ. გვიშიანი.

ერთხელ სცენისმოყვარეებმა გამართეს კონცერტი, რომელშიაც თეატრის წამყვანი ძალები მონაწილეობდნენ. მსახიობთა უმრავლესობა ვოდევილებსა და სკეტჩებში გამოდიოდა. განსაკუთრებული შთაგონებით იყო გაკეთებული მათი რეპრიზები, ცალკეული მინიატურები. მსახიობების ხელოვნება ხანგრძლივ ოვაციასა და მხიარულებას იწვევდა.

ნაძალადევის თეატრი მრავალფეროვანი რეპერტუარით უამრავ მაყურებელს იზიდავდა. იმავე ხანებში გამართეს წარმოდგენა ალეგრით. უჩვენეს ვოდევილები: „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“, „რაც არ გერგება, არ შეგერგება“, „ადვოკატთან“, „ზოგი ჭირი მარგებელია“.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ჭიდაობა. მონაწილეობდნენ: კ. მაისურაძე, ვ. მიდელაური და სხვები.

ვლ. გვიშიანი ამზადებდა და დგამდა სპექტაკლებსაც. მას ვხედავთ სამტრედიასა და წულუკიძეში, ცაგერსა და მესტიაში. მაყურებელი იცნობს კინოფილმებიდანაც.

1913 წელს მოსკოვიდან ჩამოვიდა კინომუშაკთა ჯგუფი, რომელსაც დავალებული ჰქონდა შამილის ბრძოლების ამსახველი ფილმის გადაღება. ცნობილმა რუსმა კინომწარმოებლებმა დრანკოვმა და ტალდიკინმა ფილმისათვის სცენარის დაწერა სთხოვეს კავკასიის ხალხთა ისტორიის საუკეთესო მცოდნეს, სიმონ ესაძეს. დაიწყეს ფილმ „კავკასიის დამპყრობის“ გადაღება.

ფილმში მთავარ როლებს ძირითადად ქართველები ასრულებდნენ. გაუჭირდათ მხოლოდ ხუმარა დენშჩიკის როლის შემსრულებელი მსახიობის მოძებნა, ვალერიან გუნიას, რომელიც ერთდროულად შამილსა და კიდევ რამდენიმე გმირს განასახიერებდა, გახსენებია ვლ. გვიშიანი, რომელიც იმხანად ცირკში გამოდიოდა, როგორც, ბუფონადური კლოუნი. ასე მოხვდა ვლ. გვიშიანი პირველად ეკრანზე.

დენშჩიკის ოსტატური განსახიერება შეუმჩნეველი არ დარჩენია იმჟამინდელ საზოგადოებას.

ვ. გვიშიანის ნიჭი შეამჩნია მარჯანიშვილმაც, რომელმაც ახალგაზრდა მსახიობი თავის ახალ ფილმში „ქარიშხალის წინ“ მიიწვია. აქ მას იმერლის კოლორიტული სახის შექმნა დაევალა.

რეჟისორ სიკო დოლიძის ფილმში „დარიკო“ ვლ. გვიშიანი ორ ეპიზოდურ

როლს ასრულებს. პირველია დათო. მას სულ ცოტა ხანს ვხედავთ ეკრანზე, მაგრამ დანაშაულზე წასული კაცის იერსახე დამაჯერებლად არის დახატული მსახიობის მიერ.

საინტერესოა მეორე ეპიზოდიც. ბორკილდადებული პატიმრები უსუსურად მიწოლილან ვაგონში. მხოლოდ სამიოდე პატიმარია „საქმით" დაკავებული. ისინი ყომარს აგორებენ. რეპეტიციამ ვერა და ვერ დააკმაყოფილა რეჟისორი, არ მოსწონდა, გულს ეთანაღრებოდა. აბა ლადო, ერთი შენ სინჯე! ლადო პატიმრებს მიუჯდა და... დუბლის გადადება აღარ დასჭირებიათ.

1941 წელს ლადო გვიშიანი მონაწილეობს რეჟისორ კ. პიპინაშვილის ფილმში „ქაჯანა". აქ მას დაევალა ქადაგის ფსიქოლოგიურად საკმაოდ რთული როლის ხორცშესხმა.

ზემოთხსენებული კინოსურათების გარდა ვლ. გვიშიანი გადაღებულია სხვა მხატვრულ ფილმებშიც: ესენია მჭედელი — რონდელის ფილმში, უგუბზიარა ქაჯი — კოტე მიქაბერიძის ფილმში „ქაჯეთი", დათია და ტუსაღი რეჟისორ ს. დოლიძის ფილმში „დარიკო", ენაწყლიანი კომიკოსი რეჟისორ ა. თაყაიშვილის სურათში—„პირველი დღე". ვლ. გვიშიანი მონაწილეობს აგრეთვე „მამის მკვლელში", „ვინ არის დამნაშავეში", „მაგდანას ლურჯაში", „არაჩვეულებრივი გამოფენაში", „მაცი ხვიტიაში", „წყალდიდობაში".

მას შესრულებული აქვს ნაცარქექიას როლი კინომოყვარულთა ფილმში „ნაცარქექია".

ძველ სცენისმოყვარეს, პირველ ქართველ კინო-კომიკს და პირველ ქართველ ბუფანდურ ხუმარას, ვლ. გვიშიანს დამთავრებული აქვს ფოთის გიმნაზია, 1913 წელს ბერლინის საილუზიო მაგიური აკადემია, სადაც მიენიჭა მაგის პროფესორის წოდება. დამთავრებული აქვს აკ. ფაღავას მიერ დაარსებული დრამატული სტუდია 1924 წელს.

1910—1917 წ. წ. გამყრელიძის კერძო ცირკში გამოდის როგორც ხუმარა. შემდეგ წლებში აქტიურ მონაწილეობას იღებს ჩვენს რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში. იგი მრავალ უცხო ენას ფლობს. დიდ სამამულო ომში მსახურობდა სამხედრო მთარგმნელად. — მე მუდამ კომიკურ როლებში გამოვდიოდი — გვიამბობს ვლ. გვიშიანი. დიდი სამამულო ომის შემდეგ მე ქართულ ენაზე ვთამაშობდი გოგოლის „შეშლილის წერილებში". გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში: ბერლინში, ლაიპციგში, ტილზიჩში, და სხვ. მინდა მოგიყვეთ თუ რომელი წლიდან და როგორ მოიკიდა ფეხი სამტრედიაში კინომ. 1900 წელს სამტრედიაში პირველად იქნა ნაჩვენები ათწუთიანი კინო-სეანსი, ან როგორც

მაშინ უწოდებდნენ „ცოცხალი სურათები". კინოსაქმე ანდრო გუსარიძე ფუტკარაძემ თბილისში შეისწავლა და სწორედ მან ჩაატარა ეს პირველი გადაღება სამტრედიაში.

„აპარატი მოძრაობაში მოგვყავდა გუდით (საბერველით), ვუჩვენებდით „მაქს ლინდერის სურათებს", ხალხი გაოცებული და აღტაცებული იყო, მაგრამ, კინოფირი ხშირად წყდებოდა და მისი შეკეთების დროს, ხალხს რომ არ მოეწყინა პაუზებში მე ვთამაშობდი კომიკურ როლებს, ვაწყობდით საინტერესო დივერტისმენტებს გვიამბობს ლ. გვიშიანი.

1912 წელს სამტრედიის ბაზრის ტერიტორიაზე, ივანე მეიშვილის დუქანში გაიხსნა პატარა, 120 კაციანი კინოთეატრი (ექიმ ლადო ნაცვლიშვილის ხელმძღვანელობითა და დახმარებით). აქ უჩვენებდნენ ჩარლი ჩაპლინის ფილმებს".

□□

მუშის ოჯახში დაბადებული ძველი სცენისმოყვარე დავით მთვრალაშვილი ჯერ ათი წლისა არც კი იყო, როცა შრომით საქმიანობაში ჩაება. ცოტა რომ წამოიზარდა, ხელოვნებამ გაიტაცა. დღისით მუშაობდა, საღამოობით კი ავლაბრის ე. წ. მურაშკოს თეატრში დაიარებოდა. ი. გედევანიშვილის „მსხვერპლში" პირველი გამოსვლის შემდეგ, სადაც მან პატარა ბიჭის როლი შეასრულა, იგი ამ თეატრის დასის წევრად მიიღეს. აქ მან წლების მანძილზე მრავალი ეპიზოდური როლი განასახიერა და მაყურებლის მოწონება დაიმსახურა.

დ. მთვრალაშვილი პირველი მსოფლიო ომის დროს ჯარში გაიწვიეს და თურქეთის ფრონტზე გააგზავნეს. ომის დამთავრებისა და შინ დაბრუნებისთანავე დ. მთვრალაშვილი ქართული თეატრის დიდმა სიყვარულმა კვლავ თეატრში დააბრუნა. იგი მუშაობას იწყებს სახალხო სახლთან არსებულ ქართულ თეატრში მსახიობად და რეჟისორის თანაშემწედ.

დავითმა აქ რამდენიმე როლი შეასრულა, მათ შორის მიხა — ი. გედევანიშვილის „მსხვერპლში", მოსამსახურე ბიჭის როლი რ. ერისთავის პიესაში „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს" და სხვ.

1924 წლიდან დ. მთვრალაშვილი ავჭალის აუდიტორიაში განაგრძობს სპექტაკლების მომზადებას. მან დადგა ალ. ყაზბეგის „არსენა", ავქს. ცაგარლის „რაც გინახავს, ველარ ნახავ", ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი" და სხვ.

ცნობილი მწერლისა და თეატრალური მოღვაწის შ. დადიანის მეთაურობით ხელოვნების მუშაკთა კავშირმა განიხილა დ. მთვრალაშვილის მიერ მომზადებული სპექტაკლები, მოიწონა ისინი და ნება დართო დასს ეს სპექტაკ-

ლები ქალაქებსა და დაბა-სოფლებში ეჩვენებინა. აღნიშნულმა მოძრავმა თეატრმა იმოგზაურა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს რაიონებსა და სოფლებში.

1930—1940 წლებში დ. მთვრალაშვილი მოღვაწეობდა პლეხანოვის, ნავთლუღის რკინიგზის და სხვა მუშათა კლუბებში. 60 წლის მანძილზე იგი ერთგულად ემსახურებოდა ქართული თეატრალური კულტურის განვითარებისა და მშრომელთა მხატვრული მომსახურების საქმეს, როგორც მსახიობი და რეჟისორი.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, დ. მთვრალაშვილი ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობდა შემოქმედებით მუშაობას გორკის სახელობის კულტურის სახლთან არსებულ სახალხო თეატრში.

თბილისის სცენისმოყვარეთა წრეების ერთ-ერთ ვეტერანს, მუშა-მსახიობს დ. მთვრალაშვილს 1970 წლის 28 მაისს საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და გორკის სახელობის კულტურის სახლმა მისი დაბადების 75 და სასცენო მოღვაწეობის 60 წლისთავი გადაუხადა. მადლიერი მაყურებელი გულთბილად შეხვდა ღვაწლმოსილ ხელოვანს, რომელმაც თავისი ნიჭი და უნარი უანგაროდ მოახმარა ხალხის სამსახურს.

□□

ძველი სცენისმოყვარე დიმიტრი ლაფერაშვილი თითქმის ხუთი ათეული წელია დიდი ენთუზიაზმითა და ღრმა სიყვარულის გრძნობით ემსახურება სახალხო თეატრების სცენას. ამ ხნის მანძილზე ნიჭიერ სცენისმოყვარეს მრავალ წარმოდგენაში მიუღია მონაწილეობა, მრავალი საინტერესო სახე შეუქმნია. მთავარი და ეპიზოდური როლები მოუმზადებია და მუდამ მაყურებლის გულწრფელი აღიარება მოუპოვებია. იგი გამოსულა ელისაბედ ჩერქეზიშვილთან, ვასო აბაშიძესთან. ნიკო გოცირიძესთან. მის მიერ ხორცშესხმული გაბო (ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“), გიჟუა (ავქს. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, ოსეფა (რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“), ნიკო (პ. ირეთელის „დამარცხებულნი“), ხევისბერი („ხევისბერი გოჩა“) და სოსო („უკანასკნელი ღობე“) — მისი შემოქმედებითი ზრდის საწინდარია.

დ. ლაფერაშვილი 15 წლის ასაკიდან ეზიარა სასცენო ხელოვნებას ავლაბარის მშენებელთა კავშირის კლუბთან არსებულ დრამატულ წრეში, რომელსაც მიხეილ მამულაშვილი რეჟისორობდა.

ერთ დღეს, სამუშაოდან დაბრუნებულ პატარა მიტოს კლუბიდან ხმამაღალი ლაპარაკი შემოესმა, იგი დაინტერესდა, კარები დიდი სიფრთხილით

შეაღო და იქვე სკამზე ჩამოჯდა. ამ დროს რეჟისორი მ. მამულაშვილი მითითებებს აძლევდა სცენისმოყვარეებს, მისი მთელი ენერგია წარმართული იყო იქით, რომ მსახიობს სრულად გამოემჟღავნებინა თავისი შესაძლებლობა. მიტო სმენად იყო ქცეული და გაფართოებული თვალებით მისჩერებოდა. რეჟისორს არ გამორჩენია დაინტერესებული ჭაბუკი, რეპეტიციის დამთავრების შემდეგ იგი თავისთან მოიხმო და უთხრა — თუ მოგწონს, ადი სცენაზე და ითამაშეო. ერთ-ერთ ვოდევილში მან გლეხის ბიჭის როლი მისცა. მიტომ როლი უშეცდომოდ გაიმეორა. რეჟისორი კმაყოფილი დარჩა, ხოლო მიტოსთვის ეს პირველი სასცენო ნათლობა იყო.

მიტოს აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, თითქოს ახლა მოვიდა ამ ქვეყანაზეო, სამუშაოდან დაბრუნებული დაუზოგავად მუშაობდა თავისთავზე.

მალე დამთავრდა რეპეტიციები. დაინიშნა პრემიერის დღეც.

მიტოს მღელვარება საზღვარს სცილდებოდა, ფარული შიში არ ასვენებდა, მაგრამ ფარდა აიხადა თუ არა, თავისუფლად იწყო მოძრაობა, ყველაფერი კარგად დამთავრდა. სპექტაკლის შემდეგ გამარჯვება მიულოცეს ახალბედას. შინაგანმა მოწოდებამ თავისი გაიტანა. ამ დღის შემდეგ მიტო სცენას აღარ მოშორებია.

მალე იგი ცენტრალური მუშათა თეატრის (ამჟამად სახელმწიფო ფილარმონია) წამყვანი ძალა ხდება, ხოლო 1929 წელს გადადის ახლადჩამოყალიბებულ აგიტბრიგადაში „ლურჯხალათიანები“, რომელიც მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარეობდა. ეს ბრიგადა მრავალ საინტერესო ღონისძიებას ატარებდა — დგამდა ვოდევილებსა და სკეტჩებს, მართავდა კონცერტებს სხვადასხვა ორგანიზაციებში, სადაც დ. ლაფერაშვილი ყველგან ამ დადგმების წამყვანი მსახიობი იყო.

ერთი წლის შემდეგ იგი მუშაობას იწყებს თბილისის ერთ-ერთ საკოლმეურნეო ბაზარში, აყალიბებს დრამატულ წრეს და მსახიობობასთან ერთად რეჟისორულ საქმიანობასაც ეწევა. მან აქ განახორციელა პიესები: „აჯანყებული სული“, „პირველი აღლუმი“, სკეტჩები — „მონადირე“, „დუქანში“ და სხვ. ამის პარალელურად წრე ამზადებდა საკონცერტო პროგრამას და თბილისის მუშებისათვის უფასოდ აწყობდა გასვლით კონცერტებს.

თუმცა ახალგაზრდა სცენისმოყვარეებს ბევრი რამ აკლდათ — არ ჰქონდათ საჭირო დეკორაციები, ფარდა, ავეჯი, რეკვიზიტი და კოსტუმები, მაგრამ მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, საღამოებს მაინც მართავდნენ, რადგან ჰქონდათ სიყვარული, მონდომება და დიდი ენთუზიაზმი.

1931—33 წლებში კი დიმიტრი ლაფერაშვილი სამრეწველო კოოპერაციის კლუბთან არსებული დრამატული წრის წევრია, სადაც რეჟისორად,

მოწვევით მუშაობდა ი. ლაცაბიძე. აქ დადგმულ პიესებში ყველაზე მეტად გამოვლინდა დ. ლაფერაშვილის სამსახიობო შესაძლებლობანი სპექტაკლებში: „შპიც ბურგი“, „აჯანყებული სული“, და სხვ. რეჟისორმა ი. ლაცაბიძემ დ. ლაფერაშვილისათვის საგანგებოდ დაწერა ორმოქმედებიანი პიესა „სიტყვა საფლავთან“, რომლის დადგმაც მას ეკუთვნის. ამ სპექტაკლში რევოლუციონერი შაქროს როლის განსახიერებით ლაფერაშვილმა მაყურებლის დიდი ოვაცია დაიმსახურა. სპექტაკლი უჩვენეს რამდენჯერმე.

დ. ლაფერაშვილისათვის შემოქმედებითად მეტად საინტერესო იყო რეჟისორ ვ. კობელთან დრამატულ წრეში მუშაობა, სადაც მან წარმატებით განასახიერა მთელი რიგი როლები, მათ შორის: გაბო („მსხვერპლში“), კაკული, („პეპოში“), მეფანდურე („მზის დაბნელება საქართველოში“).

მსახიობის დაოსტატებაში გარკვეული როლი ითამაშა აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო არტისტთან, რეჟისორ გ. დარისპანაშვილთან მუშაობამ, რომლის სპექტაკლებში რამდენიმე მთავარი როლის შესრულებით დიმიტრიმ გაამდიდრა თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფია.

ამის შემდეგ კი დ. ლაფერაშვილი მუშაობას იწყებს საქართველოს სარეწაო საბჭოს კულტურის სახლში, სადაც მის მიერ შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია გიჟუა („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“), კაპიტანი („ხასანის გმირები“), სოსო („უკანასკნელი ღობე“), ოსეფა („ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“), რომელთა ოსტატური შესრულებისთვის კულტურის სახლის გამგეობამ იგი რამდენჯერმე დააჯილდოვა ფასიანი საჩუქრით.

აქ მოღვაწეობის პერიოდი დ. ლაფერაშვილისათვის განსაკუთრებით დაუვიწყარია, იგი დიდი სიყვარულითა და სიამაყის გრძნობით იგონებს სპექტაკლში „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ ელისაბედ ჩერქეზიშვილთან და ნიკო გოცირიძესთან გამოსვლას, რომლებიც კულტურის სახლის ადმინისტრაციამ საგანგებოდ მოიწვია სპექლატკში, მონაწილეობის მისაღებად. გიჟუას როლს ვასრულებდი — იგონებს დ. ლაფერაშვილი, — რეპეტიციის დროს ძალზე ვღელავდი, განსაკუთრებით მაწუხებდა, თუ როგორ უნდა მეკადრებინა ბატონ ნიკოსათვის ფრაზა: „წადი, შენი სულელი, ოხერი პატრონიცა“... მიხვდა დიდი მსახიობი ჩემი დაბნევისა და შეკრთომის მიზეზს, გამიღიმა, გამამხნევა და შემომძახა: — ნუ გრცხვენია, შვილო, მითხარი, მითხარი, როლი არ გააფუჭოო.

ქართული თეატრის ამ ორი შესანიშნავი წარმომადგენლის მონაწილეობით გამართულ წარმოდგენაზე დარბაზი სავსე იყო ხალხით. ჩვენც ლაღად ვგრძნობდით თავს სცენაზე და ყველაფერს ვაკეთებდით, რომ ღირსეული პარტნიო-

რობა გაგვეწია მათთვის. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ კი, ნიკო მივიდა ლაფერაშვილთან, გამარჯვება მიულოცა და გადაეხვია.

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე დასის სხვა წევრებთან ერთად ლაფერაშვილი ჯარში გაიწვიეს. მისი სამხედრო ნაწილი ირანში მოხვდა. ამ ნაწილს მშვენიერი კლუბი ჰქონდა, სადაც თავისუფალ დროს ჯარისკაცები თავს იყრიდნენ და შემოქმედებით მუშაობაში ჩაბმულნი დროებით ივიწყებდნენ ომით მიყენებულ დიდ სულიერ და ფიზიკურ ტკივილს. ერთხელ ასეთი შეკრების დროს დიმიტრი ავიდა სცენაზე და თავიდან ბოლომდე გაითამაშა პიესა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". ამის შემდეგ, ნაწილის ხელმძღვანელობამ თხოვა მას საღამო-წარმოდგენებისა და კონცერტების გამართვისათვის ჯგუფის შედგენა; მიტომ დიდი სიამოვნებით მიიღო წინადადება და შეუდგა უფროსების დავალების შესრულებას და პატრიოტული სიმღერებითა თუ ერთმოქმედებიანი სპექტაკლებით მხნეობას მატებდა საბჭოთა მეომრებს.

1945 წელს, ომის დამთავრების შემდეგ დ. ლაფერაშვილი ჩამოსვლისთანავე მუშაობას იწყებს თბილისის აბრეშუმსაქსოვ ქარხანაში, სადაც აყალიბებს დრამატულ კოლექტივს, ჩვეული ენერგიით დგამს პიესებს, როგორიც არის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", „ჯერ დაიხოცნენე, მერე იქორწინეს" და სხვ. აგრეთვე აწყობს გასვლით წარმოდგენებს თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში და ახლო-მახლო სოფლებში.

ამჟამად დ. ლაფერაშვილი, მიუხედავად ხანდაზმულობისა, დიდი გატაცებით მუშაობს გორკის სახელობის სახალხო თეატრში, სადაც არა ერთ წარმოდგენაში მიუღია მონაწილეობა. მას დღემდე არ განელებია თეატრისადმი ლტოლვა. მშენებლობაზე ფიზიკურ შრომას იგი შესანიშნავად უთავსებს სცენას, კვლავ ახალგაზრდული შემართებით დადის თავის მეორე ოჯახში — კულტურის სახლში და სულიერ მხნეობას იძენს. ამიტომაც უყვართ იგი, აფასებენ და ღრმა პატივისცემით ეპყრობიან.

ეს სიყვარული იგრძნობოდა მაშინაც, როცა მას საქართველოს პროფსაბჭოს მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ, ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა დაბადების 60 და სასცენო მოღვაწეობის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე გადაუხადა. მომხსენებლებმა თუ სიტყვაში გამოსულმა ორატორებმა ილაპარაკეს იმ დიდ ღვაწლზე, რომელიც დ. ლაფერაშვილმა დაიმსახურა სახალხო, მუშური თეატრის წინსვლასა და განვითარების, მისი პროფესიული დონის ამაღლების საქმეში.

საიუბილეო საღამოზე მსახიობს გადასცეს სამახსოვრო ადრესები, ხოლო ხალხური შემოქმედების სახლმა საპატიო სიგელებით დააჯილდოვა.

დ. ლაფერაშვილი კვლავაც დიდი სიყვარულით განაგრძობს იმ საქმეს, რომელსაც მისი შეგნებული ცხოვრების ხუთი ათეული წელი მოახმარა.

ასევე აქტიურად არის ჩაბმული გორკის სახელობის კულტურის სახლის სახალხო თეატრის შემოქმედებით მუშაობაში ფილიმონ კერესელიძე.

ფ. კერესელიძეს ზესტაფონის საკოლმეურნეო თეატრში რესპუბლიკის სახალხო არტისტის დავით კობახიძის რეჟისორობით დადგმულ პიესაში, ნათამაშევი აქვს ფიჩხულა ავქ. ცაგარლის პიესაში „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, კაკუტა პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერში“, ჯარისკაცი შ. დადიანის „გუშინდელნში“, ინჟინერი კლდიაშვილის „გმირთა თაობაში“, იასონი პ. ირეთელის „ქრისტინეში“.

1939—1940 წლის სეზონში ფ. კერესელიძე გადაყავთ ყვარლის საკოლმეურნეო თეატრში, სადაც სამხატვრო ხელმძღვანელად და რეჟისორად მუშაობდა დ. კობახიძე. ყვარლის თეატრში მან შეასრულა შემდეგი როლები: ლევან ქვაბულიძე აკ. წერეთლის „პატარა კახში“, გიჟუა ავქ. ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, დიმიტრი გეგელია კლდიაშვილის „გმირთა თაობაში“ და სხვ.

ასევე ნათამაშევი აქვს რესპუბლიკის ცენტრალური კულტურის სახლში რეჟისორ გ. ჟურულის რეჟისორობით დადგმულ ე. ნინოშვილის „ტარიელ გოლუაში“ მედუქნე. სარეწაო კულტურის სახლის სცენაზე ე. კულულაშვილის მიერ დადგმულ „რაც გინახავს, ვეღარ ნახავში“ ზაქარია, ხოლო დ. ხუციშვილის მიერ დადგმულ „არსენაში“ არსენა, „ცოლი ხუთი წუთით“ ნიკიფორე. ვაჭრობის კულტურის სახლთან არსებულ „სახალხო თეატრში ი. გრატიაშვილის მიერ დადგმულ „რაც გინახავს, ვეღარ ნახავში“ მოურავის როლი, ებრალიძის „ნანაში“ ნესტორის როლი, ხოლო მ. შატბერაშვილი „ფიქრის გორაში“ ელიზბარი.

## რუსული დრამატული კოლექტივი

1957 წელს კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელის გ. ქურულის მოწვევით გორკის სახელობის კულტურის სახლთან არსებულ რუსულ დრამატულ კოლექტივს სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა რეჟისორი გივი სარჩიმელიძე.

პირველი დამოუკიდებელი ნაბიჯი თეატრალური ინსტიტუტის სცენაზე... გაუბედავი და მოკრძალებული. გ. სარჩიმელიძეს, სათუთად შემოუნახავს წარმოდგენის პროგრამა, რეცენზია, სადაც კეთილი სიტყვით არის მოხსენებული მისი პირველი რეჟისორული ნათლობა.

გ. სარჩიმელიძემ წარჩინებით დაამთავრა თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი და იქვე მსახიობისა და ოსტატობის კათედრაზე ლაბორანტად დარჩა. ორი წლის შემოქმედებითი მუშაობა მოუხდა ასისტენტად სცენის ისეთ გამოჩენილ ოსტატებთან როგორებიც არიან: აკ. ხორავა, ა. ვასაძე, დ. ალექსიძე, აკ. ფალავა. ამ სახელგანთქმულ ადამიანებთან შემოქმედებითმა ურთიერთობამ გარკვეული კვალი დატოვა მის რეჟისორად ჩამოყალიბებაზე. ინსტიტუტში ორი წლის მუშაობის შემდეგ 1954—1955 წლებში იგი თანარეჟისორი ხდება აკ. ფალავასი და კ. პატარიძის, ხოლო იმავე წელს გადაჰყავთ კათედრაზე უფროსი პედაგოგის თანამდებობაზე, სადაც ამჟამადაც საქმის სიყვარულითა და დიდი ენთუზიაზმით განაგრძობს შემოქმედებით მუშაობას.

გ. სარჩიმელიძემ პირველი თეატრალური ნათლობა თეატრალურ ინსტიტუტში შ. დადიანის „თეთნულდით“ მიიღო. ახალბედა რეჟისორმა სპექტაკლი სავსებით ახლებურად წარმოადგინა. სარჩიმელიძისეულ დადგმაში მკვეთ-

რად გამოიკვეთა წარმოდგენის პირობითობა. სპექტაკლის ასეთი ხერხებით გადაწყვიტა ძალზე მოსწონებია აკ. ხორავასაც, ხოლო ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებამ“ ვრცელი რეცენზია უძღვნა სპექტაკლს: „სულ სხვა ხასიათის სპექტაკლია შ. დადიანის „თეთნულდი“. იგი ტრაგიკულ კონფლიქტებზე აგებული ნაწარმოებია. ცხადია, საკურსო სპექტაკლად „თეთნულდის“ არჩევამ გარკვეული ეჭვი დაბადა, მაგრამ ახალგაზრდა პედაგოგი გ. სარჩიმელიძე ამ გარემოებამ არ შეაშინა და თავის კურსთან ერთად დიდი მონდომებით შეუდგა პიესაზე მუშაობას. გ. სარჩიმელიძემ უთუოდ დიდი და სასარგებლო შრომა გასწია პიესის მონტაჟზე, ჩამოაცილა მას, რამდენადაც შესაძლებელი იყო, მისტიკა, სიმბოლიკა (მაგალითად, პიესიდან ამოღებულია ქორო), შეამცირა ზოგიერთი პათეტიკური, დეკლამაციური ხასიათის დიალოგები, (მაგ. ციქვილიდისა — გელახსანთან) რეჟისორმა პირველ პლანზე წამოსწია ახალი ცხოვრება, სცადა დაეძლია ზოგიერთი სახის სქემატურობა, ეჩვენებია ახალი სვანეთი, რომელიც დახავსებული ცხოვრების წინააღმდეგ ილაშქრებს. ამის შემდეგ სპექტაკლის აზრობრივმა, სიუჟეტურმა აქცენტმა გადაინაცვლა. მთავარი უკვე ძველის წარმავლის ეგზოტიკური ჩვენება და არგიშდის ინდივიდუალისტური ტრაგედია კი არ გახდა, არამედ ახალგაზრდობა, რომელსაც ცრუმორწმუნოების, კონსერვატიზმის მიერ დამონებულ პატრიარქალურ სვანეთში შეაქვს განათლების, თავისუფლების ლამპარი. ღრმა ოპტიმიზმით აჟღერდა სპექტაკლის ეპილოგი და პროლოგი. წელში გაწყვეტილი, სილატაკისა და ავადმყოფობის პრჭყალებში მოქცეული კუთხის შვილებმა — ახალგაზრა მეცნიერებმა, პირველმა სვანმა ინტელიგენტებმა ლაპილმა და გელახსანმა ხელშეუხებელ „ღმერთთა სამყოფეზე“ თეთნულდზე ასვლით დაარღვიეს ლეგენდა წმინდა ღმერთზე, განამტკიცეს რწმენა ადამიანის ძალასა და შესაძლებლობებში.

„თეთნულდი“ სცენურ განსახიერებასთან დაკავშირებული მრავალი სიძნელის მიუხედავად, ახალგაზრდულმა ენთუზიაზმმა, პროფესიულმა დაოსტატებამ და თავდადებულმა შრომამ თავისი გაიტანეს; ჩვენ მივიღეთ კარგად შეკრული, შინაგანი მღელვარებითა და ჭეშმარიტი ტრაგიზმით გამსჭვალული მაღალიდეური სპექტაკლი, რომელშიაც ორი სამყაროს დაპირისპირებაში, ძველისა და ახლის ბრძოლაში იმარჯვებს ახალი, ჯანსაღი და ძლიერი.

სპექტაკლის მასობრივ სცენებში, III კურსის სტუდენტებთან ერთად, მონდომებით თამაშობდნენ I და II კურსის სტუდენტები, ამიტომაც ასე გამომხატველი და ცოცხალი გამოვიდა ეს სცენები, მაგალითად, არგიშდის სახლში სოთრანისა და გურანდას შეჩვენების, ან კლდის ნაპრალთან დედის მიერ დაღუპული გელახსანის დატირების ღრმა ტრაგიზმით სავსე სცენა; აქ გამოჩნდა სვანეთის უდრეკი სული, მისი მკაცრი და ვაჟკაცური ბუნება. სპექ-

ტაკლი არ არის გადატვირთული ყოფითი დეტალებით: გაფორმება სადა და ლაკონიურია. მბრუნავი წრე იძლევა ახალი რაკურსების და მოქმედების ადგილის გამოცვლის კარგ შესაძლებლობას (მხატვარი გ. ცერაძე), კარგად შერჩეული მუსიკა (მუსიკალური გაფორმება ნ. სვანიძისა) აძლიერებს ცალკეული სცენების ემოციურ ჟღერადობას.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მსახიობთან პედაგოგიური მუშაობის მაღალი შედეგი“[1].

1957 წლიდან კი როგორც ზემოთ იყო ნათქვამი გ. სარჩიმელიძე თეატრალურ ინსტიტუტში მუშაობის პარალელურად აქტიურად ჩაება გორკის სახელობის კულტურის სახლის დრამატულ დასში და თავისი საინტერესო და მაღალმხატვრული დადგმებით მაყურებლის აღიარება მოიპოვა.

აქ მუშაობის პერიოდში ახალგაზრდა რეჟისორს შესაძლებლობა მიეცა დამოუკიდებლად გაეკეთებინა ის რაც სურდა, რისკენაც გული მიუწევდა. „ამიერიდან ჩემი უდიდესი ამოცანა იყო თეატრთან დაახლოება, თეატრში მუშაობა, აქ იწყებოდა ნამდვილი ჩემი სარეჟისორო ნათლობა“ — ამბობს იგი.

გ. სარჩიმელიძის მისვლის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა წრის წევრთა რაოდენობა, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ უფროსი თაობის წარმომადგენელნი: ს. სევანოვი, ვ. პლატონოვა, თ. მოსკვინა (მათ ჰქონდათ, როგორც სახალხო თეატრის, ასევე პროფესიონალურ თეატრებში მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება).

მსახიობი ს. სევანოვი იყო მეტად საინტერესო პიროვნება. მიუხედავად იმისა, რომ დამთავრებული ჰქონდა იურიდიული ფაკულტეტი და ექსპერტად მუშაობდა ფაიფურისა და მინის მრეწველობაში, ზეპირად იცოდა შექსპირის ნაწარმოებებიდან ადგილები და დიდი მიდრეკილება ჰქონდა ხელოვნებისაკენ. ახალგაზრდობაში იყო მფრინავი, მოჭიდავე, მოკრივე. ერთხანს იგი მუშაობდა თბილისის რევოლუციამდელ საოპერო თეატრის ანტერპრენიორად. როგორც სცენისმოყვარულს მონაწილეობა მიუღია მრავალი სახალხო თეატრების ცხოვრებაში. იგი გადაღებულია ეპიზოდურ როლებში მრავალ კინოფილმებში პერესტიანისა და რონდელის მიერ, რომელთანაც ახლო მეგობრობა აკავშირებდა.

თ. მოსკვინა იყო გრიბოედოვის თეატრის ყოფილი მსახიობი, რომელმაც პენსიაზე გასვლის შემდეგ თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობა მოყვარულთა სცენაზე გადაიტანა და წლების მანძილზე გორკის სახელობის კულტურის სახლის სცენაზე მრავალი როლი განასახიერა.

---

[1] ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1961, № 10, გვ. 30-31.

ასევე ხანგრძლივი შემოქმედებითი სტაჟის შემდეგ მოვიდა გორკის კულტურის სახლში გრიბოედოვის თეატრის გამოჩენილი მსახიობი ვ. პლატონოვა.

გ. სარჩიმელიძეს გორკის სახელობის კულტურის სახლის დრამატულ კოლექტივში ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე, წლების განმავლობაში შემოქმედებითი შეხვედრა მოუხდა ისეთ მსახიობებთან როგორებიც არიან: მ. ამირაგოვა (იურისტი), შ. სამუშია (ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი), ა. სარქისიანი (მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მსახიობი მრავალი წლების მანძილზე), ლ. კარიბსკაია (ბუხჰალტერი) და სხვ. ესენი ამ კოლექტივის საპატიო წევრებად ითვლებიან.

მათ გარდა კოლექტივში ფეხი აიდგეს და მუშაობდნენ: გ. ჩერქეზიშვილი (ამჟამად პედაგოგი — რეჟისორი რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის), გ. აბესაძე (ქ. ბათუმის სახელმწიფო თეატრის მთავარი რეჟისორი), ვ. ხუციშვილი (ფილარმონიის სოლისტი — გიტარაზე დამკვრელი), გ. აბზიანიძე (თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ვახტანგოვის თეატრთან არსებულ შჩუკინის სტუდიაში, ამჟამად კინომსახიობი), ვ. გეორქიანი (ერევნის სახელმწიფო თეატრის წამყვანი მსახიობია), გ. არველაძე (თეატრალური ინსტიტუტის მე-4 კურსის სტუდენტი), ნ. კარანაძე (თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ წავიდა მოსკოვში და მუშაობა დაიწყო „მოსფილმში), ფ. ტრუხვატოლინა (თბილისის თეატრალური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი), ა. სააკოვი („არმენფილმში“ ოპერატორის ასისტენტი), რ. პახლევოლიანი (დაამთავრა მოსკოვის მცირე თეატრთან არსებული შჩეპკინის სტუდია), ს. კაბარიანი (საქართველოს ფილარმონიის მინიატურების თეატრის ხმის რეჟისორი), ბ. პრავდინი (რუსეთში ერთ-ერთი თეატრის მსახიობი), მ. ტრუბელევი (ქ. ტოლიატის ავტოქარხნის საესტრადო ჯგუფის ხელმძღვანელი), ვლ. სმოტროვი (ამჟამად გრიბოედოვის თეატრის მსახიობი), ჯ. ჯარიაშვილი (კინომოყვარული, მის მიერ გადაღებული კინოსურათები მოწონებას იმსახურებენ კინომოყვარულთა ფესტივალებზე).

1957 წლიდან 1975 წლამდე გ. სარჩიმელიძის რუსულ თეატრალურ კოლექტივში მუშაობის პერიოდში ძალზე ბევრი სცენისმოყვარე იღებდა მონაწილეობას შემოქმედებით მუშაობაში, ყველა მათგანი არ გამხდარა პროფესიონალი მსახიობი, მაგრამ ყველა მათგანი ჭეშმარიტად ეზიარა თეატრალურ ხელოვნებას, კულტურას. წრის თითქმის ყველა წევრი სპეციალისტია: ინჟინერი, ექიმი, პედაგოგი. უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი წრის წევრი ამ კულ-

ტურულ ატმოსფეროში ერუდირებულ ადამიანებთან ყოფნამ ჩამოაშორა უსაქმურობას, ქუჩას და ჩააბა შრომის ფერხულში.

„მე მინდა — ამბობს გ. სარჩიმელიძე,— დიდი სიყვარულით, მადლიერების გრძნობით და მოწიწებით მოვიხსენიო ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სცენისმოყვარეთა გარდა ის ადამიანები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს გორკის კულტურის სახლში ჩვენი კოლექტივის გარკვეულ ტრადიციებს. ესენია: ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, გ. ქურული, კულტურის დამსახურებული მუშაკი გ. თევდორაძე, სამხატვრო ხელმძღვანელი ი. მათიაშვილი, მხატვარი ა. ჯემილიშვილი და ყველა ის მუშაკი, რომლებიც დიდი სიყვარულითა და ღრმა გრძნობით ემსახურებოდნენ და ემსახურებიან ამ დიდად კეთილშობილურ საშვილიშვილო საქმეს“.

რეჟისორ სარჩიმელიძის გორკის კლუბის რუსულ დასში მოსვლამდე, 1955—1957 წლამდე დასს ხელმძღვანელობდა ლ. ბუბნოვი, რომლის რეჟისორობით დაიდგა სპექტაკლები: ბ. ბალამანის და ვ. სობკოს „100 მილიონი“, ც. სოლიდარის „იასამნის ბაღში“ და სხვ.

გ. სარჩიმელიძემ ამ კოლექტივში მოსვლის პირველი დღიდან სცენისმოყვარეებთან ერთად პირველ სპექტაკლად აირჩია ა. ოსტროვსკის პიესა „უდანაშაულოდ დამნაშავენი“, ეს იყო მისი პირველი დამოუკიდებელი ნამუშევარი.

ა. ოსტროვსკის „უდანაშაულოდ დამნაშავენი“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა და ახლაც სარგებლობს თეატრებსა და მაყურებელში. ეს აიხსნება პიესის თითოეული პერსონაჟის ღრმა ფსიქოლოგიურობით, ცხოვრებისეული სინამდვილის მაღალმხატვრული ასახვით.

„უდანაშაულოდ დამნაშავენი“ ა. ოსტროვსკიმ კავკასიაში მოგზაურობის შემდეგ შექმნა. თვით დრამატურგი აღნიშნავდა, რომ პიესა დაწერილია თბილისელებთან შეხვედრის შთაბეჭდილებათა ზეგავლენით. ამ პიესას დიდი დრამატურგის ა. ოსტროვსკის მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ავტორი ჩვეული ოსტატობით აგვიწერს ძველი სამყაროს უკუღმართ სოციალურ ვითარებას. მან მისი ფაბულა ისეთ მძაფრ დრამატულ ჩარჩოში მოაქცია, ისეთი სისხლსავსე რეალური სახეები შექმნა, რომ „უდანაშაულოდ დამნაშავენი“ მაყურებლის ერთ-ერთ საყვარელ პიესად იქცა.

თითქმის არ დარჩენილა საქართველოს არც ერთი თეატრი თუ თვითმოქმედი კოლექტივი, რომლის სცენაზედაც არ წარმოედგინათ ეს პიესა: გამონაკლისს არც გორკის სახელობის კულტურის სახლის რუსული დრამატული კოლექტივი წარმოადგენდა.

როგორც დრამატული დასის ხელმძღვანელმა გ. სარჩიმელიძემ გვითხრა: გორკის სახელობის დრამწრის მსახიობებმა ა. ოსტროვსკის ეს პიესა რამდენ-

ჯერმე განახორციელეს. თითქმის უცვლელად ასრულებდა კრუჩინინას როლს თვითმოქმედი კოლექტივის ნიჭიერი წევრი — თ. მოსკვინა. მის მიერ განსახიერებული კრუჩინინა ღრმა განცდების ადამიანი იყო. თ. მოსკვინა შინაგანი სულიერი ტკივილით, დიდი ტაქტითა და უშუალობით ხატავდა ამ კეთილშობილი ადამიანის სახეს. მეგობრის ღალატით რამდენადმე გაუბედურებული, მისგან გულგატეხილი მაინც ღრმადაა დარწმუნებული ადამიანების სიკეთეში. დაიმედებულია სიკეთის გამარჯვებაში. მსახიობმა წინ წამოსწია ამ ენერგიული ქალის ოპტიმიზმი, მიტოვებული, მაგრამ მტკიცე ნებისყოფის ადამიანის ბუნება. მოსკვინას კრუჩინინას როლის ყველა დეტალი კარგად ჰქონდა დამუშავებული და სიმართლით გადმოსცემდა მოსიყვარულე დედის განცდებს.

ფულის დიდი მოყვარულის, კარიერისტი გრიგოლ მუროვის სახე საინტერესოდ ჰქონდა გააზრებული მსახიობსა და რეჟისორს გ. სარჩიმელიძეს. გ. სარჩიმელიძემ კარგად დახატა უზნეო ადამიანის — მუროვის პორტრეტი.

ტრაგიზმით აღსავსე სიტუაციები, გმირთა შინაგანი სამყაროს კონფლიქტი მეტად საინტერესო მასალას აძლევდა მსახიობებსა და რეჟისორს მართალი და ამაღელვებელი სპექტაკლის შესაქმნელად.

დიდი უშუალობითა და სითბოთი ხატავს ა. ოსტროვსკი ახალგაზრდა პროვინციელი აქტიორის გრიგოლ ნეზნამოვის სახეს ბ. ბუაძე. ნეზნამოვი თვითმპყრობელური რუსეთის უკულმართი სინამდვილის მსხვერპლია. გრიშა ღატაკია. მან ისიც არ იცის, თუ ვინ არიან მისი მშობლები. ნეზნამოვი არავის წინაშე არ იხრის ქედს და მიუხედავად მუდმივი დევნა-დამცირებისა, თავის მეობასა და სიმართლისადმი მისწრაფებას ბოლომდე ინარჩუნებს, იგი პროტესტს უცხადებს ყველას, ვინც გამდიდრების მანიით არის შეპყრობილი და ადამიანობა და პატიოსნება დაუკარგია.

კოლორიტული იყო ნეზნამოვის როლში ბ. ბუაძე. ცხოვრებით უკმაყოფილო, ბოღმით სავსე ახალგაზრდა უნდობლად უყურებს ყველას, შმაგას გარდა, რადგან შმაგა მძიმე ცხოვრებით გათელილი გულახდილი ადამიანია, მსახიობი დიდი ტემპერამენტით ავლენდა გმირის სიფიცხეს, ცხოვრებისა და ადამიანების მიმართ ცინიკურ, შეურიგებელ დამოკიდებულებას.

ნეზნამოვის როლი ძნელი სათამაშოა. მასში მოცემულია ცუდიცა და კარგიც. ცუდია მასში უზრდელობა, აბეზარი ტონი და მანერები, რომლებიც მან პროვინციაში შეიძინა.

ცხოვრებისაგან გაბოროტებული, ცინიკოსად ქცეული ნეზნამოვის სახე მსახიობმა სიმართლით წარმოსახა. მაყურებელს სჯეროდა მისი ყოველი მოქმედებისა. ეს როლი ბ. ბუაძის შემოქმედებითი გამარჯვება იყო.

შმაგას როლი მეტად თავისებური და სახიფათოცაა იმ მხრივ, რომ იგი

თავისი საუბრითა და მოქმედებით მასხარად არ იქცეს. შმაგა ცხოვრებისაგან განადგურებული „ტლანქი“ ადამიანია, მაგრამ უფრო მეტად პატიოსანი, ვიდრე მის გარშემო მყოფი მილოვზოროვები და კორინკინები.

პროვინციელი მსახიობის შმაგას როლის განსახიერება წილად ხვდა ბ. პრავდინს. მან მოგვცა ცხოვრებისაგან გათელილი ხელოვნების მუშაკის ნამდვილი სახე, რომელსაც ფეხის ყოველ გადადგმაზე შეხვდებით კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამ სისტემის უკუღმართობით შმაგა ილაჯგაწყვეტილია, მაგრამ მას თავის დასაცავად არა გააჩნია რა. ის აშიშვლებს ამ უკუღმართობას, მაგრამ ამავე დროს ეს მხოლოდ პასიური პროტესტია. ბ. პრავდინი შემოქმედებითი გზნებით თამაშობდა.

შთამბეჭდავი იყო ს. სევანოვი დუდუკინის როლში. ს. სევანოვი კარგად ავლენდა პროვინციელი მეცენატის მანერებს. მისი დუდუკინი, შეიძლება ითქვას „პატიოსანი დონჟუანიცაა“. ხმა, ტემპერამენტი და აქტიორული უნარი მსახიობს ხელს უწყობდა იმაში, რომ დუდუკინის საინტერესო სახე შეექმნა.

პეტია მილოვზოროვის როლს ასრულებდა შ. სამუშია, მისი მილოვზოროვი მხდალი აშიკი და ქარაფშუტა ადამიანი იყო.

დიდი მოწონებით სარგებლობდა არინა გალჩიხა ლ. კარიბსკაიას შესრულებით.

„უდანაშაულო დამნაშავენი“ სცენისმოყვარეთა სპექტაკლი იყო, რომლის აღმზრდელობითი და ზემოქმედებითი ძალა ოდნავადაც არ მცირდებოდა იმით, რომ მას არაპროფესიონალი მსახიობები ანხორციელებდნენ.

წარმოდგენამ საზოგადოება უსაზღვრო აღტაცებაში მოიყვანა. მოთამაშენი რამდენჯერმე გამოიწვიეს სცენაზე „ვაშას“ ძახილით და ტაშის გრიალით. პიესის ჩინებულად დადგმაში დიდი შრომა მიუძღვის გ. სარჩიმელაძეს. მან უზრუნველყო როლების სწორად განაწილება, სცენის მოწყობა.

პირველი პრემიერის შემდეგ თეატრმა განახორციელა პოლიაკოვის სატირული მიმოხილვა „სახლის ფანჯრებიდან“. ამ სპექტაკლში მონაწილეობდნენ დასის ის წევრები, რომლებიც დაკავებული არ იყვნენ ოსტროვსკის პიესაში.

გ. სარჩიმელიძე მაყურებელმა პირველი სპექტაკლით „უდანაშაულოდ დამნაშავენით“ გაიცნო, როგორც დაკვირვებული ახალგაზრდა ხელოვანი. მეორე სპექტაკლში იგი წარმოგვიდგა უფრო მოაზროვნე, დახვეწილი გემოვნების შემოქმედად. რეჟისორმა მოხდენილად ააგო მიზანსცენები, მონუმენტურად შეკრა სპექტაკლი.

ამას მოჰყვა ლ. ლენჩის პიესა „განქორწინების შესახებ“. დამდგმელმა რეჟისორმა გ. სარჩიმელიძემ პიესის დადგმის დროს მიმართა ცოცხალ, ეფექ-

ტურ გამომსახველობით საშუალებებს. ამაში რეჟისორს დაეხმარა ნიჭიერი მხატვარი ა. ჯემილიშვილი. მხატვარმა დამდგმელის ჩანაფიქრი სრულყო კარგად შესრულებული დეკორატიული გაფორმებით.

1958 წლის სათეატრო სეზონში სცენისმოყვარეთა წრემ მაყურებელს წარუდგინა საინტერესოდ გაკეთებული სპექტაკლი მ. გორკის „ვასა ჟელეზნოვა".

დადგა პრემიერის დღე. ყველანი ღელავდნენ, განსაკუთრებით კი რეჟისორი: როგორი გამოვა სპექტაკლი, მოეწონება იგი მომთხოვნ მაყურებელს?.. საინტერესოდ დადგმულმა წარმოდგენამ მაყურებლის გულწრფელი მოწონება დაიმსახურა.

ვასას როლს ასრულებდა დასის წამყვანი მსახიობი თ. მოსკვინა, ნატალიას — ტ. მოსესოვა, ე. აბზიანიძე, პიატიორკინს — ვ. ხუციშვილი, პროხორს — შ. სამუშია, რახილს—მ. ამირაგოვა.

იმავე წლის სეზონში დასმა წარმოადგინა ბევრი საინტერესო სკეტჩები.

როლების კარგი შესრულებით გამოირჩეოდნენ: შ. სამუშია, მ. ამირაგოვა, ტ. მოსესოვა, ს. კაზარინი, ბ. ბუაძე, ვ. გეორქიანი და სხვა მსახიობები.

მომდევნო წელს წარმოადგინეს სცენები ა. პუშკინის პიესებიდან: „მოცარტი და სალიერი", „ბორის გოდუნოვი", „ქვის სტუმარი".

ამავე წლის სეზონში დასმა მაყურებელს უჩვენა აგრეთვე სცენები ულ. შექსპირის „რიჩარდ III"-დან" (რიჩარდის როლს ასრულებდა ნიჭიერი მსახიობი ბ. ბუაძე, ხოლო ლედი ენას — მ. ამირაგოვა), „რომეო და ჯულიეტადან", რომეო — შ. სამუშია, ჯულიეტა — მ. ამირაგოვა.

ენთუზიასტთა თაოსნობით გახშირდა სპექტაკლები.

კულტურის სახლის დრამატული კოლექტივი მრავალფეროვანი რეპერტუარით უამრავ მაყურებელს იზიდავდა. ამის დამადასტურებელია ის, რომ ყოველი ახალი წარმოდგენის დროს დარბაზი მუდამ დაინტერესებული მაყურებლით იყო სავსე.

გ. სარჩიმელიძე დაუღალავი შრომით, საოცარი ენერგიით, დიდი ტემპერამენტით ქმნიდა თავის დადგმებს. ყველას, ვინც კი გ. სარჩიმელიძის რეპეტიციას დასწრებია, კარგად ახსოვთ თუ როგორი სიმტკიცითა და შთაგონებით ძერწავდა იგი ამა თუ იმ როლს. იგი მთელი თავისი არსებით გადასახლდებოდა ხოლმე სცენურ სახეში. მსახიობის სულში, გმირის ფსიქოლოგია ცოცხლობდა. იგი საოცარი უშუალობით წვდებოდა და აცოცხლებდა გმირის ხასიათს.

1958 წელს თეატრალურმა კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა მთელი რიგი სკეტჩები შ. სამუშიას, მ. ამირაგოვას, ტ. მოსესოვას, ს. კაზარიანის, რ. პახლევონიანის, ბ. ბუაძის, ვ. გეორქიანისა და სხვათა მონაწილეობით.

1959 წელს დრამატულმა დასმა მორიგ დადგმად უჩვენა ნაწყვეტები „პირველი ცოლის მორჭულებიდან". ამას მოჰყვა შემდეგ სეზონში დადგმული ვ. კოროსტილევის ერთმოქმედებიანი ვოდევილი „ორი სიდედრი", დადგმის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი ა. ჯემილიშვილის კარგად მოფიქრებულმა დეკორაციებმა.

1961 წელს რუსულმა დრამატულმა კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა ა. ჩეხოვის პიესა „იუბილე". ხელმძღვანელის არჩევანი სავსებით მართებულად შეჩერდა ამ პიესაზე. რეჟისორის საოცარ გუმანს მთლიანად თუ არა, მიახლოებით მაინც განსაზღვრავდა თვითეული მსახიობის ინდივიდუალობა. იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მასალას, რაზედაც უნდა ემუშავათ სცენისმოყვარე მსახიობებს.

როლების კარგი შესრულებით გამოირჩეოდნენ: შიპუჩინი — შ. სამუშია, შიპუჩინა — მ. ამირაგოვა, სირინი — ბ. პრავდინი. ბ. ბუაძე, მერჩუტკინა — თ. მოსკვინა.

პრემიერას ესწრებოდა სამინისტროს წარმომადგენელი, რომელმაც აღნიშნა სცენური უშუალობითა და მკაფიო გარდასახვით შესრულებული მსახიობ თ. მოსკვინას დაკვირვებული თამაში. მსახიობმა საინტერესო სახე შექმნა სპექტაკლში. ფესტივალზე სპექტაკლი დააჯილდოვეს პროფკავშირების საპატიო სიგელით.

პიესა „იუბილეს" მოჰყვა მ. გორკის „ვასა ჟელეზნოვა".

ამის შემდეგ დიდი მიმზიდველობით წარმოადგინეს აგრეთვე სცენები მ. გორკის პიესიდან „ფსკერზე".

იმავე წლის სეზონში დასმა ლერმონტოვის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მოამზადა და მაყურებელს უჩვენა, „დემონის" ლიტერატურულ-დრამატული კომპოზიცია, მონაწილეობდნენ: ბუაძე — დემონი, ე. ელზენგერი — თამარი, შ. სამუშია — გუდალი, მკითხველები: ი. მინდიაშვილი, ნ. კარანაძე. დადგმაში დაკავებული იყო მთელი დასი.

1962 წლის სათეატრო სეზონში დასმა საინტერესოდ განახორციელა სცენები ლ. ტოლსტოის „ცოცხალი ლეშიდან" და „ანა კარენინადან".

ამას მოჰყვა მომდევნო 1963 წელში წარმოდგენილი სლოვაკელი დრამატურგის პიესა „მეტეორი". მონაწილეებიდან გამოირჩეოდნენ: ს. სევანოვი, მ. ამირაგოვა, შ. სამუშია, ი. მინდიაშვილი. დამდგმელის თანარეჟისორი იყო ს. კაზარიანი. პიესამ მაღალი შეფასება დაიმსახურა. რესპუბლიკურ დათვალიერებაზე იგი დაჯილდოებული იქნა მეორე ხარისხის დიპლომით.

შემდეგ წელს დასმა მაყურებელს უჩვენა პ. კარვაშის პიესა „შუაღამის

მესსა“. როლებს ასრულებდნენ: ს. სევანოვი, ა. ბესტერი, შ. სამუშია, მ. ამირაგოვა, ი. მინდიაშვილი და სხვ.

1965 წლის სეზონში წარმოდგენილი იყო ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!“ ლიტერატურულ-დრამატული კომპოზიცია საკონცერტო შესრულებით. ძირითადად გაითამაშეს ლუარსაბისა და დარეჯანის სცენები. ლუარსაბის როლში გამოდიოდა — შ. სამუშია, დარეჯანის — მ. ამირაგოვა, ტ. ბასკაკოვა.

შემდეგ წლებში დრამატულმა კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა: შ. ო' კეის პიესა „შუაღამისას“, გოლსუორსის „პირველნი და უკანასკნელნი“, ო' გენრის „უკანასკნელი ფოთლის“ ინსცენირება. მონაწილეობდნენ ბ. ბუაძე და მ. ამირაგოვა.

1967 წელს წარმოადგინეს არბუზოვის სამმოქმედებიანი პიესა „ჩემო საბრალო მარატი“. მოქმედება მიმდინარეობს ლენინგრადის ბლოკადის დროს. პიესაში მოცემულია სამი ახალგაზრდის ლიკას, ლეონიდიკისა და მარატის ცხოვრება, მათი ბავშვობის, სიჭაბუკისა და დავაჟკაცების წლები, მონაწილეობდნენ: ლიკა— ნ. ერემინა, ლეონიდიკი — ფ. ამირხანიანი, მარატი — ვ. ხოჯამიროვი.

1968 წლის სეზონში დასის მიერ წარმოდგენილი იყო ოლშანსკის „არბუზოვის დაღუპვა“. შემსრულებლებიდან გამოირჩეოდნენ: შ. სამუშია, მ. ამირაგოვა, ა. ბესტერი, ი. პეტროსიანი, ლ. პონომარევა, თ. ცქიფურიშვილი, კ. არუთინოვი, გ. სარჩიმელიძე. პიესამ დიდი მოწონება დაიმსახურა.

რუსული დრამატული დასი ყოველწლიურად დიდ დახმარებას უწევს კულტურის სახლთან არსებულ ბიბლიოთეკას საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით.

ასევე დასი თითქმის ყოველწლიურად უჩვენებს საშეფო წარმოდგენებს სამხედრო ნაწილებს, ქარხნებსა და მეურნეობებს.

1969 წელს თეატრალურმა კოლექტივმა მაყურებელს წარუდგინა ესტონელი დრამატურგის რ. კაუგვერის „სასჯელის უმაღლესი ზომა“. ზ. სალალოვას, მ. ამირაგოვას, შ. სამუშიას, ა. ბესტერის, ი. მინდიაშვილის, ტ. ბასკაკოვას, ს. კაზარიანის, კ. არუთინოვის მონაწილეობით.

1970 წლის სეზონში კი მაყურებელმა გულთბილად მიიღო გორკის სახელობის კულტურის სახლის რუსული დრამატული კოლექტივის მიერ ესტონელი დრამატურგის ე. ვაიგურის „სინათლე შენს ფანჯარაში“ მშვენიერი დადგმა. მონაწილეობდნენ: მ. ამირაგოვა (მეელი), შ. სამუშია (მარტინი), ზ. სალალოვა (აინო), გ. სარჩიმელიძე, ვ. ხოჯამიროვი. მუსიკალური გაფორმება ეკუთვნოდა ს. კაზარიანს.

დანარჩენ წლებში დასმა წარმოადგინა მთელი რიგი სპექტაკლები: ა. კა-

მიუს და უ. ფოლკნერის პიესა „მონობის აღსარება". შემსრულებლებიდან გამოირჩეოდნენ: მ. ამირაგოვა, შ. სამუშია, მ. ტრუშილევი, ხ. პილიევი, ბ. სალალოვა, ა. ბესტერი და სხვები.

წარმოდგენილი იყო ა. ჩეხოვის ვოდევილები „ხელის თხოვნა" და „გზაამნეულის" ინსცენირება. პირველ პიესაში მონაწილეობდნენ: მ. ამბროსოვი (ლომოვი), ს. პილიევი (ჩუბიკოვი), ზ. იაბჩენკო (ნატალია სტეფანოვა).

1973—1974 წლებში კი დასმა წარმოადგინა ე. ვაიგურის „სინათლე შენს ფანჯარაში" განახლებული დადგმითა და შემადგენლობით. აინო — ლ. სილინა, მეელი — ო. მერემევა, მარტინი — ხ. პილიევი, ელმარი — ძ. ტრუშილევი, რეჟისორის ასისტენტი ს. კაზარიანი. სპექტაკლი დაჯილდოებულია ხალხთა დრამატურგიის ფესტივალის სიგელით.

სპექტაკლს „სინათლე შენს ფანჯრებში" მაყურებელი დიდი ინტერესით უყურებდა. მათ ხიბლავდა ახალგაზრდა შემსრულებლების ენერგიული და მონდომებული თამაში.

მრავალმხრივი და ნაყოფიერია გ. სარჩიმელიძის მოღვაწეობა განვლილი 20 წლის მანძილზე. უფროსი პედაგოგობა თეატრალურ ინსტიტუტში, მთავარი რეჟისორობა თოჯინების ქართულ თეატრში, რეჟისორობა გორკის სახელობის კულტურის სახლის რუსულ დრამატულ კოლექტივში, სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი დავალებანი, ასეთია ასპარეზი მისი დაუღალავი უანგარო შრომისა.

გ. სარჩიმელიძეს ცენტრალური კომიტეტის პროფსაბჭოს კულტურის მუშაკთა პრეზიდიუმის დადგენილებით საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებზე კულტურის დარგში შეფობისათვის გამოეცხადა მადლობა.

ხოლო, 1957 წელს ქ. თბილისში ჩატარებულ ახალგაზრდობის 1 ფესტივალზე სპექტაკლის მაღალ დონეზე შესრულებისათვის დაჯილდოებული იქნა საპატიო სიგელით.

## ერთი მსახიობის სახალხო თეატრი

1974 წლის სექტემბრის თვეში მაქსიმ გორკის კულტურის სახლთან ჩამოყალიბდა „ერთი აქტიორის თეატრი".

ერთის შეხედვით მეტად გაბედული ჩანს ასეთი ღონისძიების განხორციელება „თვითმოქმედი" ძალების ბაზაზე. კულტურის სახლის დირექციამ, გამგეობამ და პარტიულ-პროფკავშირულმა ორგანიზაციამ საგანგებოდ იმსჯელეს ამ საკითხის შესახებ მიიღეს გადაწყვეტილება და დაასკვნეს, რომ გორკის სახელობის კულტურის სახლთან შეიძლებოდა ასეთი მეტად საინტერესო ღონისძიების განხორციელება.

„ზეპირი თხრობის" საღამოს ჩატარება ერთი აქტიორის მონაწილეობით ქართულ სცენაზე, ისიც არაპროფესიონალ მსახიობის მონაწილეობით, თითქოსდა დიდი ხნის ოცნებათა განხორციელება უნდა ყოფილიყო.

„ზეპირი თხრობის" საღამო ერთი არაპროფესიონალის მონაწილეობით ქართულ სცენაზე სრულიად ახალ წამოწყებად უნდა მივიჩნიოთ.

რუსულ სცენაზე ამდაგვარი სახის თეატრალიზებული წარმოდგენების გამართვა არც თუ ისე ხშირი მოვლენა იყო. წარსულში არსებობდა „იახონტოვის ერთი აქტიორის თეატრი", რომელმაც ჩვენი საუკუნის 50-იან წლებამდე იარსება თვით ავტორის გარდაცვალებამდე. ასე რომ იქაც ტრადიციად ვერ დამკვიდრდა ეს საქმე. ამჟამად, ამ მიმართულებით წარმატებით მოღვაწეობს ჩვენი თანამემამულე: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ზეპირმთქმელი და მსახიობი ირაკლი ანდრონიკოვი. მანაც მცირე სცენაზე დაიწყო თავისი მოღვაწეობა და დღესდღეობით ცნობილია მისი სახელი ამ მეტად საინტერესო ჟანრში (სატელევიზიო გადაცემებით, რეცენ-

ზიებით). გორკის კულტურის სახლსაც ჰქონდა საფუძველი და საბაბი როცა ასეთი ღონისძიების განხორციელება გადაწყვიტა. კულტურის სახლის გამგეობამ „ერთი აქტიორის თეატრის“ შესაქმნელად მოიწვია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი მურმან კირილეს ძე კიკვაძე. ქართული ლიტერატურის მცოდნე, თეატრმცოდნე და ხელოვნებათმცოდნე მურმან კიკვაძე ხშირად გამოსულა კულტურის სახლის სცენებზე „ზეპირ თხრობით“.

ქართველი ორატორის ლექციებისა და მოხსენებების თემა ითვალისწინებს როგორც ქართველი, ასევე დასავლეთ-ევროპული პოეზიის ნიმუშების წარმოდგენას. განსაკუთრებული სიყვარულით და სასოებით მოამზადა ორატორმა საუბარი ჩვენი უკვდავი გალაკტიონის შესახებ, რომელიც ღრმა პრინციპულობით, მხატვრულობით და პარტიული სულისკვეთებით გამოირჩეოდა.

მურმან კიკვაძემ „ზეპირი თხრობის“ საღამოები ჩაატარა თბილისის წარმოება-ორგანიზაციებში და გარკვეულ სერიებად (ციკლების სახით) წარმოადგინა იგივე საქართველოს ტელევიზიაში 1974 წლის ივლისსა და აგვისტოში.

ეს გადაცემა იძლეოდა იმის გარანტიას, რომ სხვა ციკლებიც იქნებოდა მოსმენილი. ტელევიზიის თანამშრომელთა და სხვა კომპენტენტურ პირთა მიერაც გამოითქვა ასეთი სურვილი და ოფიციალური თხოვნა. მაგრამ, ავტორმა, „თვითმოქმედება“ აირჩია და ხალხთან ცოცხალი კონტაქტის დამყარების მიზნით გორკის კულტურის სახლის გამგეობას მიენდო, რომელიც აღუქვამდა ქართველ ლიტერატორს „სპექტაკლების“ დაგეგმვას და ორგანიზაციას.

გორკის კულტურის სახლის დირექციას ჰქონდა იმედი წარმატებისა. განსაკუთრებით იმ გამოსვლების შემდეგ, რომელიც მეცნიერმა და ორატორმა, მრავალჯერ ჩაატარა ფართო აუდიტორიის წინაშე. პრესის მაღალი შეფასებაც იძლეოდა წარმატებათა გარანტიას.

აი რას წერდა გაზეთი „თბილისი“ გულწრფელობითა და ალალი გრძნობით გამსჭვალულ მცირე წერილში, რომლის სათაურია: „გადასცემს მურმან კიკვაძე“.

„კრიტიკოსი უწინარეს ყოვლისა, უნდა იყოს პოეტი და მხატვარი, რომ ერთდროულად პოეტის სიტყვიერ ნაწარმოებზეც იმსჯელოს... სამწუხაროდ კონსტანტინე სტანისლავსკის ამ სიტყვების ჭეშმარიტებას ხშირად პრაქტიკულად ვერ ადასტურებენ ის ადამიანები, რომლებსაც აკლიათ ესთეტიკური შეფასების უნარი და პოეტური სული. მეტიც, ზოგჯერ ესთეტიკისა და პოე-

ზიის შესახებ დაწერილი ნაშრომის ავტორი თავის წიგნს სათაურშივე „პოეტურ პრელუდიებს“ და „ესთეტიკურ ნარკვევებს“ უწოდებს და არა „წერილებს პოეზიაზე“ ან „ნარკვევებს ესთეტიკაზე“.

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი კიკვაძე სწორედ იმ ლიტერატორთაგანია, რომელიც აგერ უკვე ორ ათეულ წელიწადზე მეტია ხელოვნებაზე ხატოვანი სიტყვით იზიდავს ჩვენს საზოგადოებას.

რაზეც უნდა საუბრობდეს მ. კიკვაძე, რუსთაველის ესთეტიკა იქნება ეს, შექსპირის პოეზია თუ გალაკტიონის ლირიკა, თვით მისი ბეჭდვითი ან ზეპირსიტყვიერი თქმა პოეტურობითა და ლირიზმით ხასიათდება.

ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა ახლახან თბილისის ტელეეკრანიდან გადმოცემული მისი ზეპირი საუბარი: „ცოტა რამ გალაკტიონის ლირიკის შესახებ“.

ამჯერად, ტელესპეციფიკის შესატყვისი ახალი მონაცემებით წარმოგვიდგა მურმან კიკვაძე. კამერის წინ ბუნებრივი თავდაჭერის უნარი, ცოცხალი ემოციური მეტყველების კულტურა, აზრების ხატოვანი გადმოცემა — აი, ის ძირითადი არსენალი, რომელიც შესანიშნავად გამოიყენა გალაკტიონ ტაბიძის ლირიკის გასაშუქებლად“[1].

განსაკუთრებით ინტერესის აღმძვრელია ის შეფასება, რომლის ავტორი გახლავთ გამოჩენილი მეცნიერი, სახელოვანი მამულიშვილი, თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, აკადემიკოსი ავლიპი ზურაბაშვილი. იგი წერდა: მე მქონდა ბედნიერება და სიამოვნება, მომესმინა ბატონი მურმანის ლექცია-მოხსენება უკვდავი გალაკტიონის შესახებ, რომელიც მან ასათიანის სახელობის სახ. სამეც. კვლევითი ფსიქიატრიის ინსტიტუტში ჩვენი თანამშრომლებისათვის წაიკითხა.

ჩემი შთაბეჭდილებანი და აღტაცება პატრიოტულად გაღრმავდა და გაძლიერდა, როდესაც მიმდინარე წლის ივლის-აგვისტოში მე მოვისმინე ბატონი მურმანის ბრწყინვალე ლექცია, საჯარო გამოსვლა ტელევიზიით.

ვიქნები გულახდილი, მისმა მეტყველების უნარმა, საქმეში ჩაწვდომამ და ღრმა ცოდნამ, ამასთან ერთად მისმა ბუნებრივმა ორატორულმა ნიჭმა განსაკუთრებით მასიამოვნა და გამახარა.

მე ვთხოვე ბატონ მურმანს, რომ ასეთი გამოსვლები გაიმეოროს, როგორც რადიოთი, ისე სამეცნიერო დაწესებულებებში, პირველ რიგში ჩვენი

[1] გაზ. „თბილისი“, 1974, 13.VIII.

ახალგაზრდობისათვის, სტუდენტთა ფართო წრეებში. თავის ბრწყინვალე გამოსვლებში ბატონი მურმანი იძლევა არა მარტო მდიდარ მასალას, არამედ წარმოდგენილი საკითხის, მე ვიტყოდი, პატრიოტულ დასაბუთებასა და მნიშვნელობას. მე აშკარად განუცხადე ბატონ მურმანს, მისი ასეთი ბრწყინვალე გამოსვლები აიხსნება არა მარტო მისი ღრმა ცოდნით, არა მარტო მისი დიდი ორატორული ნიჭით, არა მარტო მისი ფენომენალური მეხსიერებით, არამედ პატრიოტული სიყვარულით ქართველი ერისადმი და საქართველოსადმი მთლიანად. მის მგზნებარე გამოსვლებს სხვა განმარტებას მე ვერ მივცემ.

მინდა ბატონ მურმანს ვუსურვო დიდი და დიდი შემოქმედებითი გამარჯვებანი და ვთხოვო თავისი სიყვარული და ალერსი ქართველ საზოგადოებას არ მოაკლოს.

სახელოვანი მეცნიერისა და თვალსაჩინო მოღვაწის ესოდენ მაღალი შეფასება იძლევა იმის გარანტიას, რომ დიდი შრომით, ბეჯითობით, ძიებით, დაუღალავი ენერგიით, საქმისადმი უსაზღვრო სიყვარულით მურმან კიკვაძე მიაღწევს მის სასურველ მიზანს, როგორც მეცნიერი, პოეტი, მთარგმნელი და მსახიობი — ორატორი.

ქართველი საზოგადოებაც გულუხვად აჯილდოებს ორატორს თავისი გულისხმიერებით, აღტაცებული ტაშით. მადლიერი „მთხრობელი“ მურმან კიკვაძე დიდად პატივსაცემი მეცნიერის შეგონებით „სიყვარულსა და ალერსს“ არ აკლებს ქართველ მაყურებელს, პოეზიისა და ლიტერატურის მოყვარულთ.

კიკვაძის „ზეპირი თხრობით“ მოხიბლული ქართველი საზოგადოება ოვაციებითა და გულწრფელი გრძნობით უმასპინძლდება მას და ელოდება მისგან კიდევ ახალ შემოქმედებით წარმატებებს და გამარჯვებებს.

როგორ მიაღწია „თვითშემოქმედების“ გზით მეცნიერმა და ორატორმა ესოდენ დიდ წარმატებას, როგორ დაიმსახურა მან ესოდენი მაღალი შეფასება: არა მარტო ორატორული ნიჭით, არა მარტო ფენომენალური მეხსიერებით, არამედ პატრიოტული სიყვარულით ქართველი ერისადმი და საქართველოსადმი მთლიანად.

სცენაზე (თუნდაც სატელევიზიო კამერის წინ) ეს ბუნებრივი თავდაჭერის უნარი, ცოცხალი ემოციური მეტყველების კულტურა, აზრების სახოვანი გადმოცემა, ეს ძირითადი არსენალი, რომელსაც შესანიშნავად იყენებს მკვლევარი და ორატორი, ასე იოლად როდი შეიქმნებოდა.

ამ „ჟღერადი წიგნის“ შექმნას წინ უძღოდა დიდი შრომა და საქმისადმი უანგარო, უსაზღვრო სიყვარული, თუმცა გავეცნოთ სცენისმოყვარის და

თავის საქმეზე ფანატიკურად, რომანტიკულად შეყვარებული, ჩუმი, თავმდაბალი მოღვაწის მ. კიკვაძის ცხოვრების გზას და ყველაფერი ნათელი გახდება. აი, როგორი გზებით მოვიდა იგი „სცენისმოყვარეთა" — სცენაზე დამაშვრალ მოღვაწეთა რიგებში. აი, როგორია სცენაზე აღიარებული პოეტური წიგნის ისტორია:

ზეპირი თხრობის (ერთი აქტიორის თეატრის) ეს ჩუმი, მოკრძალებული, დაუღალავი, მუდამ მაძიებელი, მოუსვენარი მოღვაწე, ასე ჭაბუკური ენერგიით რომ ეძიებს „რაიმე ახალს", ამჟამად, ასაკით უახლოვდება თავისი ცხოვრების შუაგზას. იგი დაიბადა 1927 წელს, 23 აპრილს ქ. თბილისში. მისი მამა თბილისელი მოქალაქე იყო, ჩამომავლობით გლეხი, დასავლეთ საქართველოდან, უსწავლელი კაცი, ბუნებით ინტელიგენტი, ენაწყლიანი, მჭევრმეტყველი და ცნობილი თამადა, მუშაობდა მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში საამქროს გამგედ და ხანდაზმულობის მიუხედავად, სამამულო ომის დაწყებისთანავე მოხალისედ გაემგზავრა მოქმედ ფრონტზე. ქართველმა მეომარმა ქერჩისა და სევასტოპოლის სანახებიდან დაწყებული ბერლინამდე გაიარა საბრძოლო დიდების გზა. მ. კიკვაძე 1942 წელს 14—15 წლის ასაკში წარჩინებით (ოქროს მედლით) ამთავრებს ქ. თბილისის ნიკო გოცირიძის სახელობის საშუალო სკოლას და არსებული წესის თანახმად უგამოცდოდ ირიცხება თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში. სამედიცინო ინსტიტუტი ვერ იზიდავს მომავალ „თეატრალს". იგი გადაწყვეტს მამის კვალს გაჰყვეს და ასევე მოხალისედ წავიდეს სამამულო ომის მოქმედ არმიაში. ასაკი ხელს არ უწყობს. იგი, ცხადია, რჩება თბილისში, და სწავლას აგრძელებს (1942 წლიდან) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე (ხელოვნების ისტორიის განხრით). ომის პერიოდში ოჯახური პირობების გამო იგი სწავლობს უნივერსიტეტში ექსტერნად (უხდებოდა ფიზიკური შრომაც, რომ სწავლისათვის ნორმალური პირობები ჰქონოდა).

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ (1945 წ.) ახალგაზრდა „თეატრალი" ექსტერნად ამთავრებს უნივერსიტეტში სწავლას და ოცნებობს ისევ ხელოვნების ასპარეზზე იმოღვაწეოს. თეატრთან კვლავ ცხოველი ურთიერთობა აკავშირებს მას. ამ დროს უკვე ომიდან ბრუნდება მამა, რომელიც კვლავ მშობლიურ თეატრს უბრუნდება, სადაც იგი მუშაობს 1964 წლამდე, გარდაცვალებამდე, დაბოლოს, უკვე მუსკომედიის სახელმწიფო თეატრში.

ასე რომ ჭაბუკი „თეატრალი" თეატრალურ საზოგადოებრიობაში ტრიალებს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის დღიდანვე. ამ მდგომარეობამ განაპირობა კიდეც მისი შემდგომი გზა ცხოვრებისა.

1947 წელს მ. კიკვაძე უკვე შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური

ინსტიტუტის სტუდენტია. 1952 წლამდე იგი აქტიურ მონაწილეობას იღებს თეატრალური ინსტიტუტის სისხლსავსე ცხოვრებაში და საზოგადოებრივ საქმიანობაში. მისი პირველი მასწავლებლები ინსტიტუტში იყვნენ: იმ ხანად 1 სკოლის დირექტორი, მწერალი და პედაგოგი ჯაჯუ ჯორჯიკია, რომელმაც მომავალ „თეატრალსა“ და მეცნიერ-მკვლევარს ასწავლა ფრანგული ენა. თეატრის ისტორიას ასწავლიდნენ: პროფესორები აკაკი ფაღავა და დიმიტრი ჯანელიძე, რეჟისურას კი პროფესორები, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები: აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კონსტანტინე ანდრონიკაშვილი. ლიტერატურის ისტორიას კი პროფესორები: აკაკი გაწერელია, დიმიტრი ბენაშვილი, მიხეილ კვესელავა, ოთარ ჯინორია.

მ. კიკვაძე სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე იყო და დანიშნული ჰქონდა მარჯანიშვილის სახელობის სტიპენდია აკადემიური წარმატებისათვის.

იქვე, ინსტიტუტში მან დაამთავრა ბავშვობისას დაწყებული პიესა „დიმიტრი თავდადებული“ და საპაექროდ წარმოადგინა ინსტიტუტის პროფესორმასწავლებლებისა და სტუდენტების გაერთიანებულ დისპუტზე.

1952 წლიდან ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციით მიავლინეს მოსკოვის ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტის მიზნობრივ ასპირანტურაში ხელოვნების თეორიის სპეციალობით. მოსკოვში იგი ვერ აგრძელებს სწავლას ოჯახური პირობების გამო, ბრუნდება თბილისში და ახლა კი უკვე იწყებს პრაქტიკულ-შემოქმედებით მუშაობას, ჯერ საქართველოს კულტურის სამინისტროში ხელოვნების მთავარი სამართველოს დარგში. 1960 წლამდე იგი ასრულებს ადმინისტრაციულ დავალებებს. სხვადასხვა დროს იყო მთავარი რედაქტორი თეატრალური რეპერტუარის დარგში და ამავე პერიოდში ერთხანს მუშაობდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ თეატრალური განყოფილების გამგედ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ოთარ ეგაძის მიწვევით, რომელიც მას იცნობდა უკვე უნივერსიტეტში.

ამავე პერიოდში პრაქტიკულ-ადმინისტრაციულ მუშაობას განუყრელად უკავშირებს სწავლას. აღრმავებს ფრანგულ ენაზე მუშაობას და სწავლობს თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში საღამოს განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 1956 წელს და მიიღო ფრანგული ენის მასწავლებლის კვალიფიკაცია. მისი მასწავლებელი ინსტიტუტში გიორგი გეგელია იყო. საყვარელმა მასწავლებელმა პირველი თარგმანი რომენ როლანის „კოლა ბრონიონი“ მოწაფეს მიანდო სარედაქციოდ. მოწაფემ კარგად გაართვა თავი ამ დიდ, საპატიო საქმეს და მასწავლებლის

მადლიერება დაიმსახურა (ეს თარგმანი უკვე ცალკე წიგნად არის გამოცემული).

1960 წლამდე ი. კიკვაძე ინტენსიურად მუშაობს თეატრალური ხელოვნების დარგში.

1957 წელს მისი უშუალო ხელმძღვანელობით და თაოსნობით თბილისში მოეწყო შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრის გასტროლება თბილისში. თეატრმა ჩამოიტანა უკანასკნელი სეზონის საუკეთესო დადგმები, მათ შორის მ. კიკვაძის მიერ გადმოქართულებული ინდური ეპოსი „თეთრი ლოტოსი" და მისივე ისტორიული დრამა „დიმიტრი თავდადებული". ეს პიესა ავტორმა შექმნა ზუგდიდისა და სხვა რაიონის თეატრებთან თანამშრომლობით და ერთ-ერთ საუკეთესო დადგმად ითვლებოდა რაიონულ თეატრებში (იგი დადგა მახარაძის, ფოთის, ჭიათურის, თელავის და სხვა თეატრებმა).

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მ. კიკვაძის მოღვაწეობა თეატრალური თვითმოქმედების დარგში. პარტიის მოწოდებისთანავე იგი კულტურის სამინისტროში სათავეში ჩაუდგა „სახალხო თეატრების" საქმიანობას. მისი ინიციატივით და თაოსნობით (ეს საქმე მას ოფიციალურად დაევალა) ჩამოყალიბდა მრავალი სარაიონო-სახალხო თეატრი. იგი აქტიურად მონაწილეობს თავისი კონსულტაციებით, რჩევა-დარიგებით და თვითონვე იღწვის რეპერტუარის გასაძლიერებლად. მისი ორიგინალური პიესები თუ გადმოქართულებული დრამები ხშირად იდგმება სარაიონო თეატრებში, რის გამოც მან მრავალჯერ დაიმსახურა მადლიერება მშრომელი გლეხობისა და თეატრალური საზოგადოებრიობისა.

1967 წელს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის ინიციატივით გამოიცა მ. კიკვაძის „დრამატული ქრონიკები" თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივებისათვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის დიდი ღვაწლი და ამაგი, რომელიც მ. კიკვაძემ დასდო ცაგერის და დუშეთის სახალხო თეატრებს. აღნიშნულმა თეატრებმა მ. კიკვაძის პიესებით გახსნეს თავისი მშობლიური თეატრების ახალი სეზონი. ახალგაზრდა ავტორი სარაიონო სახალხო თეატრებს დახმარებას უწევდა მთელი მონდომებითა და მოწადინებით. ამ საქმეში მან გამოიჩინა მისათვის ჩვეული ენთუზიაზმი, უნარიანობა და ორგანიზატორული მუშაობის ნიჭი.

ამ საქმეში მან ჩააბა პროფესიონალი მსახიობები, თეატრალები, რეჟისორები, თეატრმცოდნეები. ამის კიდევ ერთი დამადასტურებელია ერთი რეცენზია, რომელიც გაზეთ „თბილისში" დაიბეჭდა. რეცენზენტი წერდა: „მუხრან-დუშეთის გზაზე მჭადიჯვრის ციხიდან შევარდენი წამოფრინდა და ბაზალე-

თის ტბის მახლობლად კამარა შეკრა... ბინდი დუშეთის მისასვლელთან შემოგვეგება, პატარა ქალაქი საზეიმო განწყობილებით ცხოვრობდა....

ლამპიონების შუქს მიჰყვება მანქანები და მოულოდნელად კავკასიური ვერძის ტყვეობაში აღმოვჩნდით...

სიმღერა წამოიშალა ადგილმრავალ ავტობუსში, რომელსაც მიჰყავდა თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლები, დრამატურგები, სხვადასხვა თეატრის მსახიობები, კულტურის სამინისტროს, პრესის, ტელეხედვის მუშაკები. ამ დღეს იხსნებოდა დუშეთის სახალხო თეატრი, რომელმაც თავის პირველ წარმოდგენად აირჩია კიკვაძის ისტორიული დრამა „ცისკრის ვარსკვლავი" (დიმიტრი თავდადებულის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი პიესა).

დედაქალაქის შემოქმედებითი ორგანიზაციები ქმედითად ეხმარებიან რესპუბლიკის სახალხო თეატრებს, კულტურის სახლებს, თვითმოქმედ კოლექტივებს. სწორედ ამ მიზნით დავესწარით დუშეთის სახალხო თეატრის წარმოდგენას. კონკრეტულ ისტორიულ მაგალითზე დრამატურგმა შესძლო შეექმნა პატრიოტული ნაწარმოები.

საერთო აღიარება და მოწონება დაიმსახურა დუშეთის სახალხო თეატრის კოლექტივის მიერ სიყვარულით შექმნილმა წარმოდგენამ.

ვუცქერით მ. კიკვაძის „ცისკრის ვარსკვლავს" და ახლებურად ისახება დიმიტრი თავდადებულის ხელქმნილი მეტეხის ტაძარი, რომლის საძირკველმა ჟამთა სიავეს დიდებულად გაუძლო:

> ის ბერმუხა ბევრი ამბის მოწამეა,
> ბევრი ავის, ბევრი კარგის მომსწრე არის,
> ჩვენი დროის ნიშახსვეტის წამკითხველი,
> მის ტანზეა ნახმლევიც და ნატყვიარიც...

ვუცქერდით პიესას, რომლის ქარგაზე თვალნათლივ არის ამოკვეთილი ქართლის ცხოვრებაში ჩაწერილი, მემატიანის სევდიანი სიტყვები. „მზემან თვისი შარავანდედი უჩინო ჰყო. მწუხრმა შეიმოსა ბნელი, რამეთუ წარჰკვეთეს მეფესა დემეტრეს თავი"... (წერილის ავტორია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, აწ განსვენებული ალ. აფხაიძე).[1] ამ წარმატებას ასულდგმულებდა მურმან კიკვაძე.

პროფესიონალმა თეატრალმა სახალხო თეატრების დარგში პირუთვნელი მუშაობით იმ წლებში იმას მიაღწია, რომ ერთ-ერთ რეცენზენტს ათქმევინა კიდეც მთელი გულწრფელობით: „სახალხო თეატრის, თვითმოქმედთა ძალებით წარმოდგენილ მ. კიკვაძის პიესაში ყველანი ისე აზრიანად მოქმედებენ,

---

[1] გაზ. „თბილისი", 1959; 14/XII.

რომ უნებურად გავიწყდებათ — ეს კულტურის სახლის დრამატული კოლექტივის წარმოდგენაა თუ რომელიმე პროფესიონალური თეატრისა... ყველა მიზანსცენა გააზრებული და სრულყოფილია, წარმოდგენის მთავარი მომენტები და საკვანძო საკითხები წინა პლანზეა წამოწეული, რაც წარმოდგენის აღქმას დიდად უწყობს ხელს"[1].

მ. კიკვაძის ინიციატივით შექმნილი დრამატული კოლექტივები ახლაც ჯანსაღი და კარგი მონაცემებისაა, ბევრჯერ გაგვახარეს მათ გულწრფელი ნამუშევრებით.

ასეთივე წარმატება ხვდა ცაგერის სახალხო თეატრის პირველ დადგმას რომელმაც აგრეთვე წარმოადგინა მ. კიკვაძის პიესა „დიმიტრი თავდადებული". გაზეთი „ლიტერატურული საქართველოც" მიესალმა ამ დადგმას და ერთ-ერთ რეცენზიაში ცაგერის სახალხო თეატრის პირველი სპექტაკლი — მომავალ გამარჯვებათა საწინდრად მიიჩნია (რეცენზიის ავტორია ილია კაპანაძე, ამჟერად გორკის სახ. კულტურის სახლის დირექტორი).

მ. კიკვაძის მოღვაწეობა სახალხო თვითმოქმედების საქმიანობაში მომავალ გამარჯვებათა საწინდრად უნდა მივიჩნიოთ, მისი პიესები ითარგმნა სხვა ენებზეც: რუსულად, სომხურად, აფხაზურად, ოსურად. თბილისის 1500 წლისთავის აღსანიშნავად მისი პიესის, „დიმიტრი თავდადებული", დადგმა გადაწყვიტა მარჯანიშვილის სახ. აკადემიური თეატრის სამხატვრო საბჭომ (საბჭოს სხდომაზე ერთსულოვანი დადებითი აზრი გამოთქვეს: საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტებმა ვერიკო ანჯაფარიძემ, ვასო გოძიაშვილმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა: პიერ კობახიძემ, კაკო კვანტალიანმა, ალ. გომელაურმა, შაქრო გომელაურმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ოთარ ეგაძემ).

ეს პიესა დაიდგა თბილისის შაუმიანის სახელობის სომხურ დრამატულ თეატრში. ამ დადგმის შესახებ არსებობს დადებითი რეცენზიები გაზეთებში; „ზარია ვოსტოკა", „სოვეტაკან ვრასტან".

1950 წლიდან მ. კიკვაძე თავს ანებებს კულტურის სამინისტროში მუშაობას. ეს იმიტომ რომ „თავგადადებულ თეატრალს" მოსვენებას არ აძლევენ ადრინდელი მისწრაფებანი (მეცნიერული კვლევის წყურვილი). ამიტომ, იგი 1960 წელს წარმატებით აბარებს საკონკურსო გამოცდებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში ქართული საბჭოთა ლიტერატურის სპეციალობით.

---

[1] გაზ. „სტალინური გზით", 1959, 7/XI

ასპირანტურაში მუშაობის 3 წელი მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა სამეცნიერო მუშაობის სარბიელზე. 1963 წელს იგი ასე წარჩინებით ამთავრებს ასპირანტურას და ამზადებს დისერტაციას ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. იგი დისერტაციას იცავს 1965 წელს, ხოლო 1966 წელს გამომცემლობა „მეცნიერება" ცალკე წიგნად გამოსცემს მის შრომას.

ვიმედოვნებთ, რომ მკვლევარი-მეცნიერი შეასრულებს მასზე დაკისრებულ მისიას ამ რთულ გზაზე, რათა „თვითმოქმედების" გზით მიაღწიოს მისთვის სასურველ მიზანს: იქადაგოს პოეზიის უსაზღვრო სიყვარულზე.

პროფესიონალ თეატრალმა ერთხანს დატოვა თეატრალური სარბიელი მეცნიერული ინტერესებისათვის, და ახლა კი იმავე მეცნიერული ინტერესებისათვის იგი უბრუნდება „თვითმოქმედ" სცენას, რათა ამ სცენაზე განახორციელოს დიდი მოაზროვნის, მისი სათაყვანებელი უილიამ შექსპირის მეცნიერული, პოეტური და სასცენო პრინციპები.

ვუსურვოთ შემოქმედებითი წარმატება ქართველ მეცნიერსა და აქტიორს ამ რთულ ცხოვრების გზაზე, ვუსურვოთ იმ დიდი სურვილის განხორციელებაც, რომელიც დასაფარი არავისათვისაა ამჯერად და უკვე საიდუმლო როდია ფართე წრეებში: „ზეპირი თხრობის" ავტორი და შემსრულებელი აპირებს სულ ახლო მომავალში თავისი ჩანაფიქრი ისევე განახორციელოს ინგლისურ და იტალიურ ენებზე, რომელიც მან დამოუკიდებლად შეისწავლა.

ძნელია იმისი თქმა თუ როდის აღეგზნო „სცენისადმი" ეს დაუოკებელი სიყვარული, ვინ იყო ის ადამიანი, ვინც ეს სიყვარული ჩააგონა.

გორკის სახელობის კულტურის სახლთან მუშაობს „ერთი აქტიორის თეატრი", კვლავ ტარდება „ზეპირი თხრობის" საღამოები, რომლის ავტორი და შემსრულებელია ერთი ქართველი, ჩუმი, მოკრძალებული, დაუღალავი მოღვაწე, მკვლევარი-მეცნიერი, პოეტი-მთარგმნელი, მსახიობი-ორატორი მურმან კიკვაძე...

და, დაუსრულებელ ნაკადად მოედინება მადლიერი მსმენელის წამახალისებელი სიტყვები. ზოგიერთი მათგანის გაცნობა შესაძლოა საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის ლიტერატურულ გადაცემათა რედაქციაში.

□□

1954—1955 წლებში მ. გორკის სახელობის კულტურის სახლთან შოთა ბურთელაძის ხელმძღვანელობით დაარსდა საბავშვო სექტორი, რომელშიაც გაერთიანებული იყო მხატვრული თვითმოქმედების ხუთი სახე: დრამატული, ქორეოგრაფიული, ლიტერატურული, ფორტეპიანოსა და ჭადრაკის წრეები.

1956 წლიდან ხელმძღვანელად ინიშნება სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, აბასთუმნის ასტრო-ფიზიკური ობსერვატორიის სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომელი მალვინა ბართაია. მ. ბართაიამ მოსვლის დღიდან მისთვის დამახასიათებელი თავდადებითა და შემოქმედებითი ენთუზიაზმით გაშალა მუშაობა. თანდათანობით აეწყო საქმე, შეიქმნა ახალი წრეები: ინსტრუმენტალური, თოჯინების ქართული და რუსული თეატრები, ბავშვთა და მოზრდილთა ცეკვის ანსამბლები, ბავშვთა ვოკალური, ნორჩ ნატურალისტთა, ფორტეპიანოსა და სხვათა წრეები. 1960 წელს კი ბავშვთა დრამატული წრის ბაზაზე ჩამოყალიბდა მოსწავლეთა თეატრი. ეს პირველი წამოწყება იყო რესპუბლიკაში. კლუბში გაცხოველდა მუშაობა. ახლა გორკის კულტურის სახლის საბავშვო სექტორი ოქტომბრის რაიონის 200-ზე მეტ ბავშვს აერთიანებს.

მ. გორკის სახელობის კულტურის სახლთან არსებული საბავშვო სექტორი მ. ბართაიას ხელმძღვანელობით ფართო აღმზრდელობით მუშაობას ეწევა ახალგაზრდებს შორის.

დღითიდღე ფართოვდება, მრავალფეროვნდება საბავშვო სექტორის მუშაობა, სამი-ოთხი წლის შემდეგ იმდენად ნაყოფიერი გახდა, რომ 1960 წლის სექტემბერში მოსაწვევი ბარათები საზოგადოებას აუწყებდა: „გორკის სახელობის საბავშვო სექტორი გიწვევთ სასწავლო წლის აღსანიშნავად გამართულ სპექტაკლზე, რომელიც 1960 წლის 25 სექტემბერს ჩატარდება. ეს იყო მხატვრული თვითქმოქმედი ძალებით გამართულ მოსწავლეთა პირველი თეატრი.

ბავშვთა სექტორის მუშაობა თანდათან პოპულარული გახდა. თანდათან იზრდებოდა მოთხოვნილებები. წრეები, თუ პირველ ხანებში ქვების მრეწველობის მუშა-მოსამსახურეების შვილებს ღებულობდნენ, 1960 წლიდან ფართოდ გაიღო კარი ოქტომბრის რაიონის ყველა მოსწავლეთათვის.

შინაარსიანი და მრავალმხრივია მოსწავლე ახალგაზრდობას შორის სექტორის მუშაობის ფორმები და მეთოდები. ორმოცამდე შემოქმედებითს და ტექნიკურ წრეში მოზარდები ეცნობიან ხელოვნებისა და ლიტერატურის, მეცნიერებისა და ტექნიკის სიახლეებს.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა ყურადღებას უთმობს პარტია და ხელისუფლება ყოველდღიურად ბავშვთა სწავლა-აღზრდის საქმეს. ამჟამად სასკოლო ასაკის ბავშვები სწორედ ის ბედნიერი თაობაა, რომელმაც უნდა შეცვალოს კომუნიზმის მშენებელი უფროსი თაობა და თვითონ იცხოვროს ამ საზოგადოებაში.

გარდა სკოლებისა და სხვა სასწავლო დაწესებულებებისა მათ განკარგულებაშია საბავშვო ბანაკები, სპორტული მოედნები, პარკები, კლუბები, კულტურის სახლები და სასახლეები.

ყველა ამ დაწესებულების მიზანია ბავშვთა გონივრული დასვენება, მათი ჩაბმა თვითმოქმედებაში და სპორტულ სექციებში, რომ ბავშვებს რაც შეიძლება ნაკლები დრო ჰქონდეთ თავისუფალი. ამ მხრივ კულტურის სახლის საბავშვო სექტორი უდაოდ სასარგებლო შრომას ეწევა. ასობით მოსწავლე ჩაბმულია კულტურის სახლთან არსებულ საბავშვო მხატვრულ თვითმოქმედებაში. ამ ბავშვებს ნახავთ კინოეკრანებზე, ტელევიზიაში, თბილისისა და რაიონის სცენებზე. მათთვის ეწყობა ხალისიანი ღონისძიებანი.

საბავშვო სექტორის სამუშაო გეგმა ცალკეული წრის სასწავლო პროგრამაა. ყოველი ღონისძიება გამიზნულია სასწავლო პროცესის მაღალ დონეზე ჩატარების, მოსწავლეთა კულტურული და გონივრული დასვენებისათვის. სექტორის აქტივისტები ცდილობენ, თითოეული ღონისძიება, რაც შეიძლება მასობრივი, ცოცხალი და საინტერესო გახადონ.

სისტემატურად იკითხება ლექციები, ტარდება საბავშვო და ლიტერატურული დილები, ეწყობა შეხვედრები საბავშვო პოეტებთან. მწერლებთან, ხელოვნების მუშაკებთან, სამამულო ომის ვეტერანებთან, წარმოების მოწინავეებთან. წარმოებს შემოქმედებითი შეხვედრები სხვა თვითმოქმედ კოლექტივებთან, ეწყობა კოლექტიური სვლები კინოში, თეატრში, კითხვა-პასუხის საღამოები, საახალწლო ნაძვის ხე, გასვლითი კონცერტები, ექსკურსიები, რეგულარულად სწარმოებს საბავშვო კინოფილმების დემონსტრირება, კინოფილმებისა და სპექტაკლების გარჩევა და სხვა.

ღონისძიებები ტარდება როგორც უმცროსი ისე უფროსი კლასელებისათვის. ღონისძიებებზე ბავშვები და ახალგაზრდები ხვდებიან ისეთ ადამიანებს, რომლებიც მათ სწორ ახსნასა და მიმართულებას აძლევენ ყოველგვარ საქმეში.

საბავშვო სექტორს მჭიდრო კავშირი აქვს დამყარებული ოქტომბრის რაიონის სკოლებთან და კვების მრეწველობის საწარმოებში მომუშავე საბავშვო კომისიებთან, ოქტომბრის რაიონის რაიკომთან, № 7 ბავშვთა ოთახთან და სახლმმართველობასთან არსებულ ბავშვთა შორის მომუშავეებთან. კვების მრეწველობის საწარმოებში საბავშვო თვითმოქმედი კოლექტივების ძალებით ტარდება კონცერტები და სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებები.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს თვითმოქმედი კოლექტივები მომზადებულნი შეხვდნენ. ამ თარიღს მიუძღვნეს სპეციალური პროგრამა „ლენინის შუქი გვინათებს გზას!“

საბავშვო მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების ძალებით სისტემატურად ეწყობა სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებები, როგორიც არის, საბავშვო დილები თემაზე: „ლენინი და მისი ოჯახი", „მეგობრობა და ამხანაგობა", „გმირები არ კვდებიან", „სიმართლის, პატიოსნების, თავდაბლობის, აღზრდის ამოცანები სოციალისტურ საზოგადოებაში" და სხვ. თემატური საღამოები: „ლენინის შუქი გვინათებს გზას", „ჩვენი კონსტიტუცია ყველაზე დემოკრატიულია", „საქართველოს ეკონომიკა 50 წლის მანძილზე". ლექცია-საუბრები: „არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის ლიკვიდაციის შესახებ", „ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 25 წლისთავი", „პირადი ჰიგიენა ჯანმრთელობის საწინდარია", „საბჭოთა პატრიოტიზმის შესახებ", „ოჯახი და სკოლა", „თანამედროვე საერთაშორისო მეგობრობა" და სხვ.

ყოველწლიურად კულტურის სახლში ტარდება საახალწლო-საქალაქო ნაძვის ხე. მაგ.: 1971 წელს საახალწლო ნაძვის ხეზე 35.000 ბავშვს გაეწია მომსახურება.

კულტურის სახლთან ერთად საბავშვო სექტორი საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავთან დაკავშირებით შეფობას უწევს ბოლნისის კულტურის სახლს. ატარებს იქ საბავშვო დილებს ბოლნისის რაიონის ბავშვებისათვის.

საბავშვო მხატვრული თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივების მიერ განხორციელებული დადგმები უწყობენ ხელს ბავშვთა იდეურ-ესთეტიკურ აღზრდას. ისინი ანხორციელებენ ისეთ დადგმებს, რომლებიც არა მარტო სრულწლოვან ბავშვთა ჩამოყალიბებას, არამედ სრულწლოვან და გზას აცდენილ ბავშვთა სწორ გზაზე დაყენების საქმეს ემსახურებიან. მაგალითად მოსწავლეთა თეატრის მიერ განხორციელებული გ. ქელბაქიანის „სიყვარულის მსხვერპლის" დადგმა და ვოლჩეკის „სასამართლო ქრონიკა" სწორედ იქითკენაა მიმართული, რათა გზას აცდენილი ახალგაზრდობა სწორ გზაზე დააყენოს და ზოგიერთ მშობელს აჩვენოს მათ მიერ აღზრდაში დაშვებული შეცდომები. ამ დადგმებმა მაყურებელთა ქება დაიმსახურა და პრესაშიაც ჰპოვა გამოხმაურება... ასევე მაყურებლის დიდი ყურადღება დაიმსახურეს დადგმებმა რ. სტურუასა და გ. ქავთარაძის „ბრალდებამ" და მამულაშვილის, „ჩრდილმა". მოსწავლეთა თეატრის კოლექტივის მიერ იქნა აგრეთვე განხორციელებული ანტირელიგიურ თემაზე დაწერილი ერაძის პიესის „ნანას ავადმყოფობის" დადგმა, ე. გელოვანის „შევცდი, მაპატიე". მხატვრული კოლექტივების მიერ დადგმული თემატური დილები: „საბჭოთა ახალგაზრდობის მორალური სახე შრომაში, სწავლაში და ყოფაცხოვრებაში", „მოსწავლეთათვით დისციპლინის,

ორგანიზებულობის, საქმიანობის აღზრდა“ და სხვ. შემოქმედებითი შეხვედრები სხვა სკოლის მხატვრულ თვითმოქმედებასთან.

მხატვრული კითხვის წრე დიდ ყურადღებას უთმობს ბავშვთა მეტყველების კულტურის გამომუშავებას, ნაწარმოების მხატვრულად აღქმას და მსმენელამდე მიტანას. აქ აღზრდილთაგან მრავალმა დაუკავშირა თავის ცხოვრება ხელოვნებას.

მხატვრული კითხვის წრე ხშირად მონაწილეობს საქალაქო და რესპუბლიკურ ღონისძიებებში. წრის წევრები გამოდიან კონცერტებზე, გარჩევებსა და დისპუტებზე, ლიტერატურულ დილებსა და საღამოებზე, და უნდა ითქვას, რომ საკმაო წარმატებითაც.

საბავშვო სექტორთან შექმნილია ორი ქორეოგრაფიული ანსამბლი —საბავშვო და მოზრდილთა. ქართული ხალხური ცეკვის პიონერულ ანსამბლ „სალხინოში“ გაერთიანებულია 13—14 წლის ასაკის 50 მოსწავლე. 1972 წლის აგვისტოში ბავშვთა ანსამბლი მოზრდილებთან ერთად გაემგზავრა კიევში და კვების მრეწველობის კულტურის სასახლესა და სხვადასხვა საწარმოებში გამართა კონცერტები. პიონერული ცეკვის ანსამბლი გახდა როგორც უკრაინის, ისე საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების ფესტივალის ლაურეატი, ნორჩმა მოცეკვავეებმა ჯ. უბირმა, ტ. ისაკაძემ, მ. ჩიგოგიძემ, ქ. ღვთისიაშვილმა, ნ. გურგენიძემ, მ. თარხნიშვილმა, თ. ხაჟალიამ და სხვებმა მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს. თბილისელი მოცეკვავეები ერთ კვირას დარჩნენ უკრაინაში.

ანსამბლი წლიდან წლამდე ივსება ნიჭიერი ბავშვებით. აქ აღზრდილები შემდგომში გადადიან ამავე კულტურის სახლის მოზრდილთა ანსამბლში, რომელშიაც გაერთიანებულია 25 წევრი (14-დან 20 წლამდე). ორივე ანსამბლს ხელმძღვანელობს მე-8 მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი, ქორეოგრაფი ანდრო დოლიძე.

1974 წლის 31 მაისს სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებით საზეიმო საღამო გამართეს გორკის სახელობის კულტურის სახლის ცეკვის ანსამბლის წარმომადგენლებმა და 114-ე საშუალო სკოლის თვითმოქმედი კოლექტივის ანსამბლის წევრებმა. სტუმრებმა და მასპინძლებმა ზეიმის მონაწილეთ უჩვენეს თავიანთი შემოქმედება. მაყურებლები სიამოვნებით ადევნებდნენ თვალს გოგონებისა და ბიჭების მიერ შესრულებულ „სამაიას“, „ნარნარს“, „მოხეურს“.

შეხვედრის დასასრულს კულტურის სახლის წარმომადგენლებმა ქების

სიგელით დააჯილდოვეს 114-ე საშუალო სკოლის თვითმოქმედი ქორეოგრაფიული წრის ხელმძღვანელი ლ. მაჭავარიანი.

1973 წელს გორკის სახელობის კულტურის სახლში ჩატარდა ოქტომბრის რაიონში მცხოვრებ კულტურისა და ხელოვნების მუშაკებთან შეხვედრა. ეს ღონისძიება მიეძღვნა კომკავშირის დაბადების დღეს. დამსწრე საზოგადოება შეხვდა გორკის სახელობის კულტურის სახლთან არსებულ ქართული ცეკვის ანსამბლ „სალხინოს“ და ოქტომბრის რაიონის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების გამგეობას.

ამ საღამოზე მოიწვიეს: ხ. ბერულავა, კ. ლორთქიფანიძე, ა. გამცემლიძე, ა. ვასაძე, ვ. წიგნაძე და სხვები. მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. თევდორაძემ, მან ილაპარაკა რაიონის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების მუშაობაზე. და მხატვრული თვითმოქმედების განვითარების პერსპექტივებზე. საინტერესოდ გამოვიდა კულტურის სახლის მოსწავლეთა თეატრის რეჟისორი ლ. კობეშავიძე, სიტყვებით გამოვიდნენ თბილისის საშუალო სკოლის თვითმოქმედ კოლექტივების ხელმძღვანელი ა. მესხი, კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი ი. მათიაშვილი, ამავე სახლთან არსებული სახალხო თეატრის რეჟისორი ბ. ვაშაძე, ქორეოგრაფიული სასწავლებლის პედაგოგი, საქართველოს სახალხო არტისტი ვ. წიგნაძე და სხვები. დასასრულს გაიმართა კონცერტი მხატვრული თვითმოქმედების წარმომადგენელთა და ქართული ცეკვის ანსამბლის „სალხინოს“ (ხელმძღვანელი ა. დოლიძე) მონაწილეობით.

□□

1967 წლის სექტემბერს გორკის სახელობის კულტურის სახლის მოსწავლეთა თეატრს სათავეში ჩაუდგა მსახიობი ლუბა კობეშავიძე.

ლ. კობეშავიძემ 1945 წელს დაამთავრა თბილისის შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი და ხელოვნების სამმართველოს დავალებით ბათუმის სახელმწიფო თეატრში სამუშაოდ გაემგზავრა.

1952 წლიდან ლ. კობეშავიძე ისევ თბილისში გადმოდის. აქ იგი მუშაობას იწყებს სანკულტურის თეატრში, ხოლო მისი ლიკვიდაციის შემდეგ გადადის გორკის სახელობის კულტურის სახლის მოსწავლეთა თეატრში რეჟისორად.

მოსწავლეთა თეატრის დრამატულ წრეში გაერთიანებული არიან კვების მრეწველობის მუშა-მოსამსახურეთა ბავშვები, როგორც საშუალო სკოლის, ისე ამ რაიონის ტექნიკუმების სამივე კურსის მოსწავლეები.

ამ თეატრის დებულება ითვალისწინებს დასში მიიღოს მხოლოდ ის მოსწავლე, რომელიც სწავლაში მაღალი აკადემიური წარმატებით და სანიმუშო დისციპლინით გამოირჩევა.

თეატრს ჰყავს სამხატვრო საბჭო 7 კაცის შემადგენლობით, რომელიც იხილავს და ამტკიცებს რეპერტუარს, ანაწილებს როლებს და ამოწმებს შემოქმედებითი მუშაობის მიმდინარეობას.

თეატრის მიზანია შემოიკრიბოს ნიჭიერი პიონერ-მოსწავლეები და თავისი საუკეთესო დადგმები უჩვენოს როგორც თბილისის, ისე რაიონის მოსწავლეებს. ზაფხულობით თეატრი მოემსახუროს პიონერთა ბანაკებს, რუსთავის, დუშეთის, მცხეთის, გორის, სამგორის, თიანეთის და შორეულ სოფლებში მაცხოვრებელ ბავშვებს.

წრეში გაერთიანებულია 25 მოსწავლე. თეატრს ჰყავს დირექტორი, რეჟისორი და რეჟისორის ასისტენტი, ისე როგორც სახელმწიფო თეატრებს.

თეატრალურმა დასმა პირველ სპექტაკლად წარმოადგინა ნაწყვეტები ფადეევის რომანიდან „ახალგაზრდა გვარდია"—„კოშევოის ბინა" და „ახალგაზრდა გვარდიელთა ფიცი".

დრამატულმა დასმა მორიგ პრემიერად უჩვენა ი. ჯავახიშვილის ერთმოქმედებიანი პიესა „შავი ბიჭი" და კრილოვის ნაწარმოების მიხედვით იგავარაკების თეატრალური მონტაჟი.

მომდევნო სათეატრო სეზონში მოსწავლეთა თეატრმა წარმოადგინა დ. არაყიშვილის ორმოქმედებიანი პიესა „თამარის ბაქანი". მონაწილეობდნენ: ვანო, რკინიგზის დარაჯი — გ. მესხიძე, ქსენია, მისი მეუღლე — მ. შაკიაშვილი, თამარი, მათი შვილი —ლ. ხმალაძე, მ. ჩომახიშვილი, პეტროვიჩი — ვ. ნასყიდაშვილი, ვიქტორი, მისი შვილიშვილი — თ. წულაია, ბ. ბეგლარაშვილი. სპექტაკლის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი მხატვარ ა. ჯემილიშვილის კარგად მოფიქრებულმა დეკორაციებმა.

ამის შემდეგ მოსწავლეთა თეატრმა მაყურებელს უჩვენა რ. მამულაშვილის სამმოქმედებიანი პიესა „ძია ელიოზი", როლებს ასრულებდნენ: ძია ელიოზი — გ. ჯავახიშვილი, პ. წეველიძე; მამუკა — ჯ. ჯანაძე, ნ. გოცირიძე; ბებია — ლ. კობეშავიძე, ლ. ხმალაძე; მეგი — ც. მანჟაშვილი; თაფლო — ვ. მამესწარაშვილი; ჰინკა — მ. მგალობლიშვილი; ნუგზარი — გ. მესხიძე; კურკა — გ. ფარადაშვილი; გაიოზი — გ. ქურდიანი; ანზორი — ა. წილოსანი; დოცენტი — თ. წულაია; თ. სამჭკუასელი; თ. ესიაშვილი; თ. ჩარიგოგლიშვილი და სხვ. სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა ა. ჯემილიშვილმა.

ამ დადგმას მოჰყვა გ. ქელბაქიანის სამმოქმედებიანი პიესა „სიყვარულის მსხვერპლი“.

თემატური თვალსაზრისით პიესა, „სიყვარულის მსხვერპლი“, საჭირო საკითხზეა დაწერილი და მას უსათუოდ გააჩნია აღმზრდელობითი მნიშვნელობა, რადგან სამწუხაროდ ჯერ კიდევ არიან გოდერძისა და გივის მსგავსი ახალგაზრდები, რომლებიც ხშირად ცხოვრების ხორცმეტებად იქცევიან ხოლმე. სპექტაკლისადმი მაყურებლის ინტერესი მოწმობს, რომ პიესის დამდგმელის მიზანი მიღწეულია.

სპექტაკლში თითოეული მოქმედება, ეპიზოდი თუ ცალკეული სცენები რეჟისორის მიერ გააზრებულია დიდი ტაქტითა და ზომიერების გრძნობით, სპექტაკლი მტკიცე ორგანიზებულობის ხაზს ატარებს. ეს ეტყობა, როგორც მიზანსცენებს, ისე მსახიობთა თამაშს, პარტნიორთა დიალოგებს, სიმღერებს, ცეკვებს.

„სიყვარულის მსხვერპლში“ გივის როლს ასრულებდა გ. მგალობლიშვილი. პიესაში, გივის როლის განსახიერებისას მსახიობს რთული ამოცანის გადაწყვეტა მოუხდა. უნდა შეესრულებინა გზას აცდენილი ახალგაზრდის სახე, რომელიც გულუბრყვილობის ნიღაბს იყო ამოფარებული. მსახიობმა შესანიშნავად შეძლო უარყოფითი გმირის გარეგნული და შინაგანი თვისებების გამოხატვა. სწორად შეარჩია გრიმი და კოსტუმი, შუბლზე ჩამოშლილი თმა, უხიგოდ შეკერილი პერანგი, იღლიაში ამოჩრილი წიგნი, რომელსაც თან ატარებს თავისი უმსგავსო საქციელის შესანიღბავად. დამაჯერებელი შესრულებით გვიხატავს მუქთახორა ადამიანის თითოეულ ჟესტს, სიარულს, ლაპარაკის მანერას. მსახიობი შეეცადა თავისი გმირი მთლად წყალწაღებულად არ წარმოედგინა, რათა მისი გამოსწორება უფრო სარწმუნო ყოფილიყო. მასში ხანდახან გაიელვებს ხოლმე პატიოსნების ნაპერწკალი: გოდერძისთან შელაპარაკება მანანას გამო, საათს და ფულს რომ მისცემს ელიკოს და სხვ. მგალობლიშვილის გივი ბუნებრივი და ძალდაუტანებელია.

დანარჩენი შემსრულებლებიდან გამოირჩეოდნენ: არჩილ გომართელი, არქიტექტორი — თ. თადაშვილი; ნინო, მისი მეუღლე — ლ. კობეშავიძე; მანანა, მათი ქალიშვილი — ნ. წითლიშვილი; თეიმურაზი — გ. მჭედლიშვილი; ელიკო — ლ. ლომთათიძე; ი. რუსიშვილი; ლეიტენანტი — გ. გოგიჩაიშვილი; ახმახი — შ. ილურიძე; გოდერძი — თ. ხუციშვილი, დამდგმელი რეჟისორი ლ. კობეშავიძე, მხატვარი ა. ჯემილიშვილი.

პიესა „სიყვარულის მსხვერპლს“ მოჰყვა დრამატურგ თ. ფერაძის ერთმოქმედებიანი პიესა „უცნაური ავადმყოფობა“. მოქმედნი პირნი და შემსრულებლები: ბებია — ი. კირვალიძე; თამაზი — თ. სამჭკუაშვილი; გურამი—

გ. მგალობლიშვილი; თემო — თ. კილაძე; რიტა — რ. ზარიძე; ექიმი — შ. ილურიძე. დამდგმელი რეჟისორი ლ. კობეშავიძე, მხატვარი — ა. ჯემილიშვილი.

ამას მოჰყვა რ. სტურუასა და გ. ქავთარაძის ერთმოქმედებიანი პიესა „ბრალდება“. მონაწილეობდნენ: ოთარი — თ. თადაშვილი; ეკა — ი. კირვალიძე; თემო — თ. კილაძე; კოტე — თ. ხუტიშვილი; ია — მ. შოვნაძე: ვაჟა — რ. მურაჩაშვილი; ლენა — რ. ზარიძე; ნანა — ც. მჭედლიშვილი; გიგა — გ. გოგიჩაიშვილი; სანდრო — შ. ილურიძე; ირა — ნ. წითლიშვილი.

მოსწავლეთა დრამატული წრის მიერ წარმოდგენილი იქნა აგრეთვე ვ. ვოლჩეკის ორმოქმედებიანი პიესა „სასამართლო ქრონიკა“ (გადმოქართულებული ი. ტრიპოლსკის მიერ). როლებს ასრულებდნენ: მოსამართლე — ვ. მამესწარაშვილი; პროკურორი — გ. ჯავახიშვილი, ა. დიდებულიძე; დამცველი — ლ. ხმალაძე; მდივანი — მ. ჩომახიშვილი, მ. ალექსიძე; მილიციონერი — ზ. ქავთარაძე; პოლკოვნიკი — პ. წეველიძე; ქეთევანი, მისი მეუღლე — მ. შაკიაშვილი; გია — მათი შვილი — ვ. ნასყიდაშვილი; შუბლაძე — თ. წულაია; ნარიმანიძე — გ. ქურდიანი, ნ. ბეგლარიშვილი; ტუღუში — ა. წილოსანი; შურღაია — გ. მესხიძე, გ. ქურდიანი; გურამ ხიდაშელი — მ. ცუცუნაშვილი; მარინე — მ. ალექსიძე, ჩომახიძე, თ. ჰედია; მსაჯულები — თ. თორაძე, თ. ჰედია, ნ. გოცირიძე, დადგმა ლ. კობეშავიძისა, მხატვრული გაფორმება ა. ჯემილიშვილის.

თეატრმა თავისი არსებობის მანძილზე სხვადასხვა დროს წარმოადგინა მთელი რიგი სპექტაკლები როგორიც არის: გ. მესხის ორმოქმედებიანი პიესა „გვენდეთ, გამოვსწორდებით“, თ. ფერაძის „ვინ მოტყუვდა“, ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია საბჭოთა მწერლების ნაწარმოების მიხედვით „გმირები არ კვდებიან“, როჟდესტვენსკის „რექვიემიდან“ ფინალი „გახსოვდეთ“, ე. გელოვანის სამმოქმედებიანი პიესა „შევცდი მაპატიე“. დადგმა ლ. კობეშავიძისა, რეჟისორი — მ. ფირალიშვილი. შემსრულებლები: თამაზი — გ. გოგიჩაიშვილი, თ. ხუციშვილი; ვიქტორი, — თ. თადაშვილი; ელენე — ლ. ლომთათიძე, ნ. კეშკენერი; მაია — ნ. წითლიშვილი; ირაკლი — მ. მაკარაშვილი; ბებია — ლ. კობეშავიძე: ციცინო — ლ. კეკელიძე, ც. ათამაშვილი; მეეზოვე — რ. მურაჩაშვილი.

მოსწავლეთა თეატრის უკანასკნელი დადგმებიდან გამოირჩევა დრამატურგ ა. დევიძის ახალი ორმოქმედებიანი პიესა „ჩვენ ყველანი“. პიესის შინაარსი თანამედროვე თემაზეა აგებული, რთული და მეტად საინტერესოა. სპექტაკლში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე უფროსი თაობის წარმომადგენლებიც. მხატვრულად დამაჯერებელნი იყვნენ: მარიამ გავაშელი, ყოფილი მასწავლებელი — ლ. კობეშავიძე; დალი, მისი რძალი — მ. ლალაშვილი; რეზო, მისი

ვაჟიშვილი—გ. მგალობლიშვილი; ბიძინა სტუდენტი—ნ. ბეგლარიშვილი; ოთარი, გამომძიებელი — თ. კილაძე; აბელა, გაურკვეველი პროფესიის ახალგაზრდა — გ. გოგიჩაიშვილი, თ. ხუციშვილი; ექიმი — ნ. წითლიშვილი, ც. წიკლაური: გაიოზ ჯიშკარიანი, ინჟინერი — ვ. ნასყიდაშვილი. დადგმა ლ. კობეშავიძისა. პიესამ მაღალი შეფასება დაიმსახურა. სპექტაკლის წარმატებას ხელი შეუწყო მხატვარ ა. ჯემილიშვილის კოლორიტულმა დეკორაციებმა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავზე, მოსწავლეთა თეატრმა წარმოადგინა თ. ფერაძის პიესა „უცნაური ავადმყოფობა". შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ეს დადგმა თვალსაჩინო მოვლენა იყო თეატრის ახალგაზრდა კოლექტივის შემოქმედებით მუშაობაში. ფესტივალის ლაურეატის წოდებითა და სამკერდე ნიშნებით დაჯილდოვდნენ შემდეგი მონაწილეები: ირინე ზარიძე, გ. მგალობლიშვილი, თ. კილაძე, შ. ილურიძე, ა. სამჭკუასელი, მხატვარი ა. ჯემილიშვილი და დამდგმელი რეჟისორი ლ. კობეშავიძე.

მოსწავლეთა თეატრმა მონაწილეობა მიიღო აგრეთვე კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ფესტივალზე, სადაც წარმოდგენილი იყო ფადაევის „ახალგაზრდა გვარდიიდან" სცენები „ოლეგ კოშევოის ბინა" და „ფიცი". ი. ნონეშვილის პიესა „ზოია რუხაძე".

ანსამბლი წლიდან წლამდე ივსება ნიჭიერი ბავშვებით. აქ აღზრდილებ შემდგომში გადადიან მაპროფილებელ სამუშაოებზე სხვადასხვა კულტურის კერებში. მაგალითად ზ. ქავთარაძე, ვ. ილაშვილი, რ. კუპატაძე, თ. ჩლაიძე სხვადასხვა სკოლებში დრამწრეებს ხელმძღვანელობენ. ა. ფარცხალაძე, ი. ურუშაძე, თ. თადაშვილი კი მინიატურების თეატრში მუშაობენ, ა. დიდებულიძე, ლ. კილასონიძე ტელევიზიის თანამშრომლები არიან, კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში მუშაობენ მ. შაკიაშვილი, ვ. ბერიძე და სხვ. ჯ. ოშხერელი ამჟამად მესხეთის თეატრში მოღვაწეობს.

მოსწავლეთა თეატრი ყოველი სეზონის დახურვის დროს აწყობს საანგარიშო საღამოებს. სპეციალურად ამ დღისათვის იბეჭდება მოსაწვევი ბარათები. თეატრის წევრები აქტიურად მონაწილეობენ აგრეთვე საიუბილეო საღამოებში, ამ თარიღებთან დაკავშირებით თეატრი ამზადებს მის შესაფერის რეპერტუარს. მომზადებული იქნა ლიტერატურულ თეატრალიზებული კომპოზიცია მწერლების გ. ტაბიძის, ი. ევდოშვილის, ნ. ბარათაშვილის, ა. პუშკინის და სხვების იუბილეებთან დაკავშირებით.

მოსწავლეთა თეატრში მეტად საინტერესო მუშაობა სჩქეფს. აქ ეზიარებიან ხოლმე ახალგაზრდები პირველად თეატრალურ ხელოვნებას და შემოქმე-

დებითი მუშაობის გარკვეული დროის პერიოდში აქ უყალიბდებათ სურვილი პროფესიის შერჩევისა და სწავლას ძირითადად ხელოვნების დარგით განაგრძობენ.

ვუსურვოთ ახალგაზრდებს ახალ-ახალი შემოქმედებითი გამარჯვებები.

გორკის სახელობის კულტურის სახლის მთავარი მხატვარი ადელ ჯემილიშვილი უკვე კარგახანია მოღვაწეობს ამ კოლექტივში. 1964 წლიდან მის მიერ გაფორმებულია კულტურის სახლთან არსებული მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების; ქართული სახალხო თეატრის, რუსული დრამატული კოლექტივის, მოსწავლეთა ახალგაზრდობის თეატრის, ქართული და რუსული თოჯინების თეატრების დადგმები. ყოველ სეზონში მხატვარს უხდება დაახლოებით 15 სპექტაკლის გაფორმება. მხატვარი ა. ჯემილიშვილი კარგადაა დაუფლებული სასცენო პერსპექტივას. მისი დეკორაციები გამოირჩევა ლაკონურობითა და მხატვრული გამომსახველობით. გორკის კულტურის სახლში განხორციელებული დადგმებიდან აღსანიშნავია მთელი რიგი სპექტაკლები; ალ. ყაზბეგის „არსენა“, პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“ და „ყვარყვარე თუთაბერი“; მ. გორკის „ვასა ჟელეზნოვა“ და „ფსკერზე“; ვასილევის „ამქვეყნიური სამოთხე“; გ. ქელბაქიანის „სიყვარულის მსხვერპლი“; ი. ვოლჩეკის „სასამართლო ქრონიკა“; რ. მამულაშვილის „ძია ელიოზი“; რ. სტურუასა და გ. ქავთარაძის „ბრალდება“; თ. ფერაძის „უცნაური ავადმყოფობა“; ა. დევიძის „ჩვენ ყველანი“ და სხვ.

ა. ჯემილიშვილმა სამხატვრო კარიერა ჯერ კიდევ ადრე 1936 წლიდან დაიწყო, როცა ბათუმის სახელმწიფო თეატრში მხატვარ-შემსრულებლად მუშაობდა. 1942 წლიდან იგი სამოღვაწეოდ მოსკოვში გადადის და მუშაობას იწყებს კომედიისა და დრამის თეატრში, რომელიც ამ წლიდანვე საფრონტო თეატრად გადაკეთდა და მომსახურეობას უწევდა მებრძოლებს. როგორც ზურგში, ისე ცეცხლის ხაზზე. მიუხედავად იმისა, რომ მსახიობს ჯარში წასვლა არ უწევდა, ა. ჯემალიშვილი 1944 წლიდან მოხალისედ მიდის წითელი არმიის რიგებში. 1946 წელს კი იგი თანახმად ბრძანებისა დემობილიზაციით ბრუნდება ჯერ საქართველოში, ხოლო მალე ბათუმის სახელმწიფო თეატრში. მხატვარმა ამჯერადაც გამოავლინა დახვეწილი გემოვნება, მდიდარი ფანტაზია და ნიჭი. ბათუმის თეატრში წლების მანძილზე მხატვარმა გააფორმა მრავალი სპექტაკლი: „ნინოშვილის გურია“, „ამაღლებული სოფელი“, „გზაჯვარედინზე“, „თამარის ბაქანი“ და სხვები.

ა. ჯემილიშვილი ცოდნის გაღრმავების მიზნით 1952 წელს თბილისის სამხატვრო აკადემიაში შედის, რომელსაც 1958 წელს ამთავრებს.

სწავლის პერიოდში იგი პარალელურად მუშაობდა სანკულტურის თეატრში მხატვრად, სადაც მის მიერ გაფორმებული სპექტაკლებიდან მაყურებლის მოწონებას იმსახურებდნენ: „პროფესორ დიუელის თავი", „სიცოცხლის ტყე", „დასვენების დღე" და სხვ.

მხატვარი ა. ჯემილიშვილი 1962 წელს ცალკეული წარმოდგენების გასაფორმებლად თეატრალურ ინსტიტუტში მიიწვიეს. აქ მან გააფორმა სადიპლომო სპექტაკლები „მარიამ ტიუდორი", „ოკლაჰომა", „ჩანიტას კოცნა", „გაშიშვლებული ვიოლინო" და სხვ. ასევე ლეკების ჯგუფთან თეატრალურ ინსტიტუტში გააფორმა მ. მრევლიშვილის „ზვავი". ერთი ათეული წელია, ა. ჯემილიშვილი, სცენის ეს ნიჭიერი ენთუზიასტი, ფუნჯითა და ჩაქუჩით ხელში დგას გორკის სახელობის კულტურის სახლის სცენაზე, ქმნის შესანიშნავ დეკორაციებს. მან კარგად იცის, რომ სცენისმოყვარე რეალურ გარემოში უფრო კარგად მოქმედებს. „ჩემი გზა რეალიზმის გზაა, ჩემი სასცენო მოღვაწეობაც ამ გზით მინდა განვავითარო", — ამბობს ა. ჯემილიშვილი. ამაზევე მეტყველებენ მის მიერ კულტურის სახლში გაფორმებული სპექტაკლები.

□□

თოჯინების თეატრი ყველაზე პატარა მაყურებელს, უმცროსი ასაკის ბავშვებს ემსახურება. თოჯინების საშუალებით თეატრი ნორჩ მაყურებელს უნვითარებს მხატვრულ გემოვნებას, უნერგავს კარგ ჩვევებს, აჩვევს სწორ მეტყველებას. ამიტომ მეტად გულისხმიერი და დაძაბული შრომა სჭირდება როგორც თეატრის ხელმძღვანელს, ასევე მთელ კოლექტივს, რომ კარგი დადგმებით ნორჩი მაყურებლის გულამდე სწორად მიიტანოს პიესის დედააზრი, გაამართლოს ნაწარმოების მიზანდასახულობა.

თოჯინების ქართული თეატრის წინსვლისა და განვითარების საქმეში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის მსახიობსა და რეჟისორს სერგო ცაგარეიშვილს.

1956 წელს ს. ცაგარეიშვილი თბილისის გორკის სახელობის კულტურის სახლმა მიიწვია. აქ მან ჩამოაყალიბა ქართული და რუსული თოჯინების წრეები. ცაგარეიშვილმა 1967 წლამდე დაჰყო თეატრში, მაგრამ ავადმყოფობის გამო იძულებული გახდა ჯერ დროებით, ხოლო შემდეგ სამუდამოდ ჩამოშორებოდა თეატრს...

ტაშკენტში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ,

ს. ცაგარეიშვილის სამსახურებრივი გზა რამდენადმე შეიცვალა. ახალბედა აგრონომს გული მაინც თეატრალური ხელოვნებისაკენ მიუწევდა და აი, 1936 წელს იგი თბილისშია.

ძველი ნაცნობები მასში ბუნებით მომადლებულ არტისტულ ნიჭს ხედავდნენ, ამიტომაც მიიყვანეს იგი თოჯინების ქართულ თეატრში.

დაიწყო ახალბედა მსახიობის წვრთნა. ბევრი წვალება არ დასჭირდა რეჟისორ გ. კოსტავას, რათა ცაგარეიშვილი თოჯინის „გაცოცხლების" საიდუმლოებაში გარკვეულიყო. მალე მან „კაკოს ოინებში" მიიღო მონაწილეობა.

ეს ის პერიოდი იყო, როდესაც თეატრს ჯერ კიდევ არ გააჩნდა საკუთარი ბინა, იმ ხანად თეატრის თოჯინები ერთ პატარა ჩემოდანში, ხოლო დეკორაციები ერთ მოზრდილ ყუთში ეტეოდა. კალინინის ქუჩაზე ერთ-ერთმა სკოლამ თეატრს რეპეტიციების ჩასატარებლად ერთი დიდი დარბაზი დაუთმო. წარმოდგენები კი წინანდებურად სკოლებსა და საბავშვო ბაღებში იმართებოდა.

1937 წელს მოსკოვში გამართულ თოჯინების თეატრების საკავშირო დათვალიერების წინ თეატრმა გააძლიერა მუშაობა.

აი, მოსკოვში ობრაზცოვის თეატრში მიდის „კაცია-ადამიანის" რეპეტიცია. პირველმა მოქმედებამ მშვიდად ჩაიარა. დაიწყო ლუარსაბის სიზმრის სცენა. თეჯირიდან წივილ-კივილით ამოძვრა ორი ეშმაკი, რომლებსაც დროდადრო თავები შორდებოდათ ტანიდან და ჰაერში ქანაობდნენ. სპექტაკლს მრავალი თეატრმცოდნე და კრიტიკოსი ესწრებოდა. დარბაზში იდგა სერგეი ობრაზცოვიც, რომელიც აღტაცებული ტაშს უკრავდა. როგორც კი მეორე მოქმედება დამთავრდა, ს. ობრაზცოვი და რამდენიმე თეატრმცოდნე კულისებში ავიდნენ და დაათვალიერეს თოჯინა-ეშმაკები. ძლიერ მოეწონათ.

ს. ობრაზცოვმა ითხოვა დეკადის დამთავრების შემდეგ მისი მუზეუმისათვის ერთი „ეშმაკი" დაეტოვებინათ.

თეატრის კოლექტივის გამარჯვებაში ს. ცაგარეიშვილსაც ედო წვლილი, რადგან ის განსაცვიფრებელი თოჯინა-ეშმაკები, რომლებიც ასე მოეწონა ს. ობრაზცოვს, მის მიერ იყო დამზადებული.

1945 წელს, თეატრის საკავშირო დათვალიერებაზე, თბილისის თოჯინების სახელმწიფო ქართული თეატრის სპექტაკლ „ალადინის ჯადოსნურ ლამპარში" ვეზირის როლის საუკეთესო შემსრულებელ ს. ცაგარეიშვილს განსაკუთრებული წარმატება ხვდა.

მას პირველობა მიანიჭეს, როგორც თოჯინების თეატრის საუკეთესო მსახიობ — მტარებელს, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1945 წლის 20 სექტემბრის ბრძანებულებით, მხატვრული წარმატებისათვის იგი საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

თოჯინების თეატრის მსახიობის ერთ-ერთი საუკეთესო თვისება ძიებაა, გამომგონებლობა, მხატვრული ალღო და ზომიერების გრძნობა. მან ერთ-ერთ როლში მიაღწია იმას, რომ თოჯინა, პაპიროსს „ეწეოდა". თითქოს ჩვეულებრივი რამ არის, მაგრამ რამდენი ფიქრი, შრომა და გამომგონებლობა იყო ამისათვის საჭირო. პიესა „ბებია დარეჯანის ზღაპრებში", სადაც იგი თოჯინა ღორს ათამაშებდა, სრულიად უბრალო, ერთი შეხედვით ძლიერ ბუნებრივი დეტალის შეტანით დიდ ეფექტს აღწევდა. მის მიერ ათამაშებული, ბოსტანში შეპარული ღორი „ნამდვილად ჭამდა" კომბოსტოს.

ს. ცაგარეიშვილმა თოჯინების ქართულ თეატრში 1946 წლამდე დაჰყო. 26 სპექტაკლში მიიღო მონაწილეობა, შეასრულა 63 როლი, მაგრამ ამ თეატრში მისი ღვაწლი მარტო როლების შესრულებით არ განისაზღვრება. იგი ამავე დროს იყო მთელი რიგი დადგმების მხატვარი, მოქანდაკე, დრამატურგი, მემექანიზატორი.

1946 წ. ს. ცაგარეიშვილი ქუთაისს მიავლინეს თოჯინების თეატრის დასაარსებლად და სათანადო კადრების მოსამზადებლად. ქუთაისის თოჯინების თეატრში ს. ცაგარეიშვილმა 1951 წლამდე დაჰყო და ნაყოფიერი მუშაობაც გასწია, სადაც 27-მდე სპექტაკლი დადგა. ს. ცაგარეიშვილი აგრეთვე ავტორია საინტერესო წიგნისა „თოჯინების თეატრის ელემენტარული საკითხები", სადაც მკითხველს უზიარებს თავის მდიდარ გამოცდილებას.

1951 წელს ს. ცაგარეიშვილი კვლავ თბილისში დაბრუნდა. ქუთაისის თოჯინების თეატრში დაწყებული საქმე მოწაფეებმა განაგრძეს.

1952 წელს ს. ცაგარეიშვილი თბილისის თოჯინების სახელმწიფო ქართულ თეატრშია, ხოლო 1953 წელს ბათუმის თოჯინების მოძრავ თეატრში მუშაობს მთავარ რეჟისორად. ბათუმშივე, კულტურის სახლში მან შექმნა თოჯინების თეატრი, სადაც წარმატებით დადგა ექვსი სპექტაკლი. ამავე წელს გამოვიდა მისი მეორე წიგნი „თოჯინების თეატრის წარმოშობა".

1956 წლიდან, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ს. ცაგარეიშვილი დიდი შემოქმედებითი ენთუზიაზმით განაგრძობს თავის სანუკვარ საქმეს გორკის სახელობის კულტურის სახლში. აქ იგი აარსებს თოჯინების თეატრს, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე უანგაროდ და დიდი სიყვარულით ემსახურებოდა ამ მეტად საპატიო საქმეს. ამ წრეში მუშაობის პერიოდში ს. ცაგარეიშვილმა მრავალი ღირსშესანიშნავი დადგმებით გაამდიდრა რეპერტუარი, რითაც ხელი შეუწყო პატარების თეატრის წინსვლისა და აღორძინების საქმეს.

პატარები ხომ ამ თეატრში ეზიარებიან პირველად სასცენო ხელოვნებას, ამ თეატრიდან ხდებიან ისინი დიდი თეატრის მაყურებლები...

1966 წელს ს. ცაგარეიშვილი რეჟისორმა გრიგოლ ლაღიძემ შესცვალა. მან ერთი წელი იმუშავა გორკის სახელობის კულტურის სახლთან არსებულ თოჯინების თეატრში და კარგი დადგმებით გაახარა პატარა მაყურებელი, ხოლო 1967 წელს გ. ლაღიძის წასვლის შემდეგ თოჯინების თეატრს სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა რეჟისორი, კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის კურსდამთავრებული ც ი ს ა ნ ა ა ლ ა ვ ი ძ ე.

ც. ალავიძის სადიპლომო შრომა იყო გრ. ლაღიძის მიერ გადმოკეთებული „მელაკუდა“ ანუ „წითაგო“, რომელიც გორკის სახელობის კულტურის სახლთან არსებულ თოჯინების თეატრში დადგა.

სპექტაკლს ესწრებოდნენ როგორც ადგილობრივი კულტურის სახლის წარმომადგენლები, ისე კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლიდან: ი. მდივანი, მ. კანდელაკი (რეჟისორი), მ. მოშეკიზი (თეატრმცოდნე), თ. ღამბაშიძე (მეტყველების მასწავლებელი) და სხვები.

სპექტაკლმა მაღალი შეფასება დაიმსახურა. ამ დღიდან ც. ალავიძე აღარ მოშორებია გორკის სახელობის თოჯინების თეატრის სცენას და დიდი ენერგიით განაგრძობს მის მიერ ერთხელ არჩეულ პროფესიას.

წრის ხელმძღვანელის ც. ალავიძის შემდეგი გამარჯვება იყო მ. გოგოლაშვილის მიერ თარგმნილი გურევიჩის „ბატის ჰუკი“.

ამ სპექტაკლის დადგმა ახალგაზრდა ხელმძღვანელისათვის სარეჟისორო დებიუტი იყო. მან პირველი ნაბიჯებიდანვე ენერგიულობა, მონდომება და თოჯინების თეატრის სპეციფიკური მხარეების ცოდნა გამოავლინა.

სპექტაკლმა „ბატის ჰუკი“ ნორჩი მაყურებლის ყურადღება დაიმსახურა. პიესა გაიტანეს სარაიონო და საქალაქო დათვალიერებაზე, დადგმამ გაიმარჯვა და ესთეტიკური აღზრდის მეთოდური სახლის მიერ პიესის ყველა მონაწილე დაჯილდოებული იქნა საპატიო სიგელებით.

ყოველი ნაწარმოები, ზღაპარი იქნება ეს თუ თანამედროვე პიესა, რეჟისორისაგან მოითხოვს გულითადობას, სითბოს, რათა იდუმალი ძაფი გააბას სპექტაკლის გმირებსა და მაყურებელს შორის. წარმატება ხვდა პატარა მაყურებლებს შორის ც. ალავიძის ახალ დადგმას „ფიფქიას სკოლა“, რეჟისორს დადგმა რომ გაეხალისებინა ორმაგი სანახაობით გადაწყვიტა, რომ ბავშვებს ერთი წუთითაც არ მოწყენოდათ.

პიესაში განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებდა ფიფქიას როლის შემსრულებელი ც. ღონღაძე. ასევე დამაჯერებელი იყვნენ მ. ევგენიძე (პატარა დათვი), ლ. ქუბრიშვილი (დიდი დათვი), ბ. მუჩაიძე (მაჩვი) და ი. ზარიძე (ციყვი).

ამ დადგმას მოჰყვა კ. გოგიაშვილის პიესა „ტყეში“. ამ პიესაში განსაკუ-

თრებულ ყურადღებას იქცევდა მგლის როლის ორივე შემსრულებელი დ. საგინაშვილი და ი. რაიმოვი, დედა დათვის შემსრულებელი მ. ღონღაძე, 1-ლი ბელის — ნ. ქათამაძე, მელიას — გ. სილაგაძე და ყურშას შემსრულებელი მ. ბინიაშვილი. პიესა „ტყეში“ გაიტანეს თოჯინების თეატრების პირველ რესპუბლიკურ დათვალიერებაზე. დადგმამ მეორე ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.

ასევე პატარების დიდი ინტერესი გამოიწვია იმავე ავტორის პიესამ „ზამთრის მოლოდინში“. დაიხურა ფარდა და იგრიალა ტაშმა. პიესას განსაკუთრებული მოწონება ხვდა როგორც რეჟისორული გადაწყვეტის, ისე მონაწილეთა მონდომებული თამაშის მხრივ, სცენასა და კულისებში ასეული მაყურებელი გულწრფელად ულოცავდა თეატრის კოლექტივს გამარჯვებას.

ც. ალავიძე ყოველთვის დიდი გულისყურით ეკიდება ამა თუ იმ როლისათვის ტიპაჟის შერჩევის საკითხს. იგი თავისი გმირის გარეგნული სრულყოფისათვის წინდაწინ ამუშავებს ყოველ დეტალს.

პიესა „ზამთრის მოლოდინს“ მოჰყვა ც. ალავიძის პიესა „ყურცქვიტა“. მუსიკალური გაფორმებაც ამავე წრის წევრებს 30-ე სკოლის მოსწავლეებს ი. ზარიძესა და მ. ბესტავაშვილს ეკუთვნით.

პიესაში გააზრებული და დამაჯერებელი თამაშით გამოირჩეოდა ზღარბის როლის შემსრულებელი მ. ევგენია. იგი საუცხოოდ ახამებს ლაპარაკს თოჯინის მოძრაობასთან.

ამის შემდეგ ც. ალავიძის რეჟისორობით წარმოადგინეს თ. ხმალაძის სამმოქმედებიანი პიესა „ბანგა და ბუნგა“. სპექტაკლს ესწრებოდა ავტორიც. დადგმამ როგორც ავტორის, ისე დამსწრეთა მოწონება დაიმსახურა. მონაწილეობდნენ: ბანგა — დ. საგინაშვილი, გ. ბინიაშვილი; ბუნგა — მ. ღოღაძე; კაჰკაჰი — ლ. ტაბუცაძე, გ. სილაგაძე. მელა— მ. ბინიაშვილი. გოშია — ვ. აბულაძე; ზღარბი — გ. აბულაძე; მაჩვი — ნ. ქათამაძე; წყარო, წიფელი — რ. ბინიაშვილი. პიესა მხატვრულად გააფორმა ა. ჯემილიშვილმა, მუსიკა ეკუთვნის მ. ნუგზარიშვილს.

თოჯინების თეატრი მომსახურებას უწევს ოქტომბრის რაიონის სკოლებს და საბავშვო ბაღებს.

□□

1963 წელს მ. გორკის სახელობის კულტურის სახლის მოცეკვავეთა ანსამბლს სათავეში ჩაუდგა ნიჭიერი ქორეოგრაფი VI, VII და VIII ფესტივალების ლაურეატი ა ნ დ რ ო დ ო ლ ი ძ ე.

ა. დოლიძე ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე გაიტაცა ცეკვის ხელოვნებამ.

მთლიანად შეიპყრო იგი ამ მისწრაფებამ. ცეკვა ა. დოლიძისათვის გახდა ცხოვრების აზრი და მიზანი.

ახალბედა ჭაბუკმა საცეკვაო ნათლობა ჩოხატაურის რაიონის საშუალო სკოლის დირექტორის, ისტორიის მასწავლებლის, ხელოვნების დიდი მოტრფიალისა და ენთუზიასტის ა. კალანდაძის მიერ ახლად ჩამოყალიბებულ მხატვრულ თვითმოქმედ კოლექტივში მიიღო.

მოსწავლეთა წრის წევრის ა. დოლიძის მონაცემებმა თავიდანვე მიიპყრო დირექტორისა და ხელმძღვანელის ა. კალანდაძის ყურადღება. იგი ისე მოხდენილად და ცოცხლად ცეკვავდა, რომ ცეკვები მისთვის არა მარტო „გულის ძახილი" იყო, არამედ „ბედის კარნახიც". ამიტომაც იყო, რომ ა. კალანდაძემ მალე გვერდში ამოიყენა ხელოვნებით გატაცებული ჭაბუკი და წრის ხელმძღვანელობა გადაულოცა.

მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და დირექტორის დახმარებით წლების მანძილზე ანსამბლი გახდა მხატვრული თვითმოქმედების ყველა ადგილობრივ და სარაიონო დათვალიერების მონაწილე და მუდამ წარმატებას აღწევდა. ხელმძღვანელს რეპერტუარში ჰქონდა შეტანილი, როგორც შრომის ამსახველი „საკოლმეურნეო", ისე სახასიათო ცეკვები „ფერხული" და „ხორუმი".

1951 წელს კი სკოლის ნიჭიერი სოლისტი და ხელმძღვანელი ა. დოლიძე გადაყვანილი იქნა რაიონის კულტურის სახლთან არსებულ ცეკვის ანსამბლში ქორეოგრაფად.

1951 — 1953 წლებში კულტურის სახლის მიერ გამართულ საღამო-კონცერტებს ამშვენებდა ახალგაზრდა ქორეოგრაფის მიერ გემოვნებით შერჩეული და დამუშავებული ნომრები. დროთა განმავლობაში ფართოვდებოდა რეპერტუარი, იხვეწებოდა ცეკვის ტექნიკა, იზრდებოდა პასუხისმგებლობის გრძნობა.

ა. დოლიძის ხელმძღვანელობით მიღწეულმა წარმატებებმა გზა გაუხსნა ანსამბლს შემდგომი წინსვლისა და დაოსტატებისაკენ.

1951 წელს მე-7 რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე ჩოხატაურის კულტურის სახლის ანსამბლმა რეპერტუარის საუკეთესო მომზადებისათვის ქების სიგელი დაიმსახურა. პროგრამაში ჰქონდა „ხორუმი", რომელიც სრულდებოდა გუდასტვირის თანხლებით. ცეკვა ჩაწერილია რადიოკომიტეტის მიერ და ეხლაც ხშირად ვისმენთ რადიოთი.

ცეკვა „ხორუმის" ფინალი ნამდვილად მეტყველებს დამდგმელი ქორეოგრაფის გემოვნებასა და შემოქმედებით შესაძლებლობაზე. მტერზე გამარჯვება და მეომრის სიხარულით შინ დაბრუნება, რომელთაც დაჭრილი მეთაური მო-

უძლვის წინ, ორიგინალურად და დამაჯერებლად არის გადმოცემული, მზარდი ტემპის უხვი მოძრაობა, მწყობრი და დახვეწილია.

ორი წლის დაძაბული შემოქმედებითი მუშაობის შემდეგ ა. დოლიძე 1953 წელს თბილისში ჩამოდის და სწავლას აგრძელებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტზე. პარალელურად მონაწილეობს ამავე ინსტიტუტში ნ. გარუჩავას ხელმძღვანელობით არსებულ ცეკვის ანსამბლში სოლისტად. წრეში მასთან ერთად ირიცხებოდნენ მოცეკვავეები: ბ. სვანიძე, უ. ქარსელაძე, რ. ჯიქია და სხვები.

უნდა აღინიშნოს, რომ 1953 წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შენობაში დიდი წარმატებით მიმდინარეობდა რესპუბლიკური ოლიმპიადა, სადაც დიდი წარმატებით გამოვიდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ქორეოგრაფიული ანსამბლი. საინტერესო პროგრამის განხორციელებისათვის როგორც ანსამბლი, ისე მისი წამყვანი სოლისტი ა. დოლიძეც დაჯილდოებული იქნა საპატიო სიგელითა და ფასიანი საჩუქრით.

1957 წელი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ანსამბლის მონაწილეებს დიდხანს ემახსოვრებათ. იგი მონაწილეობას იღებს 1-ლი მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების ფესტივალზე და ლაურეატის წოდების მფლობელი ხდება. ჟიურის ყურადღება მიიპყრო „ცეკვებმა: „მთიულურმა“ და „ხევსურულმა სიუიტამ“.

ასევე დიდი გამარჯვება იყო ა. დოლიძისათვის, როცა 1958 წელს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტების ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით შედგა ჯგუფი მოცეკვავეთა ნაკრები ახალგაზრდობისა სტუდენტთა ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად მოსკოვში. ამ ნაკრებში ა. დოლიძესთან ერთად სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტიდან შედიოდნენ: ბ. სვანიძე, ქ. ქარსელაძე, რ. ჯიქია, ზ. გამგონეიშვილი. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან რ. ჭოხონელიძე, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტიდან ი. ხალვაში.

1958 წელს მოსკოვში ჩატარდა საბჭოთა ახალგაზრდების სრულიად საკავშირო ფესტივალი-კონკურსი, რომელსაც უნდა გამოემჟღავნებინა ღირსეული ლაურეატები.

ნაკრებმა გაცხოველებით დაიწყო მზადება საფესტივალო კონკურსისათვის.

1958 წლის ეს დღე დაუვიწყარია ახალგაზრდებისათვის, თავის არსებობის მანძილზე, ალბათ არასოდეს არ განუცდიათ ისეთი მღელვარება, როგორც საკავშირო კონკურსზე გამოსვლის წინ.

მაყურებელთა ოვაციით დარბაზი ზანზარებდა და ჟიურის წევრებს სახეზე სიამოვნების ღიმილი დაჰფენოდათ. მონაწილეებს ერთიორად ემატებოდათ ხალისი. წინასწარ ულოცავდნენ ერთმანეთს წარმატებებს.

ახალგაზრდა ნაკრები გახდა საკავშირო ფესტივალის ლაურეატი და უფლება მიეცა მონაწილეობა მიეღო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალზე. წარმოადგინეს ცეკვა „აყვავდი ტურფა ახალგაზრდობავ". ეს დიდი გამარჯვება იყო. იგივე ჯგუფი 1958 წელს მე-7 ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა ბელგიაში, სადაც ფესტივალის ლაურეატის წოდება დაიმსახურა, 1962 წელს კი ფინეთში ქ. ჰელსინგში ჩატარდა მე-8 ფესტივალი, ანსამბლი აქაც ფესტივალის ლაურეატი ხდება.

1958 წელს ა. დოლიძე ამთავრებს თუ არა ინსტიტუტს, შემოქმედებით მოღვაწეობას ხელოვნების მიმართულებით განაგრძობს. იგი მუშაობას იწყებს თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ქორეოგრაფიის კაბინეტის გამგედ. ამ დროს აქ ქორეოგრაფიული ანსამბლის უფროს ქორეოგრაფად და სამხატვრო ხელმძღვანელად მუშაობდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. დარახველიძე.

1962 წელს ა. დოლიძე პიონერთა სასახლეში მოღვაწეობის პარალელურად გ. დარახველიძის წინადადებით მონაწილეობს ქალაქის სატრანსპორტო სამმართველოს ქორეოგრაფიულ ანსამბლში (ხელმძღვანელი გ. დარახველიძე) სოლისტად. აქ ყოფნის პერიოდში ა. დოლიძემ ანსამბლის წევრებთან ერთად არაერთ წარმატებას მიაღწია...

1963 წლიდან, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ა. დოლიძე მუშაობას განაგრძობს მ. გორკის სახელობის კულტურის სახლში ქორეოგრაფად, სადაც მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი „სალხინო".

მოსვლის დღიდან ა. დოლიძემ ანსამბლში შეიტანა დიდი შემოქმედებითი ენთუზიაზმი. უპირველეს ყოვლისა გადაახალისა რეპერტუარი. მასში შეიტანა ახალი ცეკვები, რომელთა დადგმა გამოირჩევა პროფესიონალობით და ანსამბლურობით. დასი შეავსო ახალი მოცეკვავეებით.

ა. დოლიძე წრეში ახლადმოსულ ახალგაზრდებს საფუძვლიანად უხსნის ამა თუ იმ ცეკვის ხასიათს, მის ბუნებას, მოძრაობის თავისებურებას. ეცნობა თვითეული წევრის ათვისების უნარს, მუსიკალობას, გამომსახველობას, ინდივიდუალური ფიზიკური მონაცემების მიხედვით წვრთნის თვითეულს.

პირველი გაკვეთილიდან მოწაფეებს ასწავლის სიარულს მუსიკის თანხლებით, უნვითარებს რიტმის გრძნობას, სხეულის მოქნილობას. ახალგაზრდებს უმუშავებს ცეკვის საჭირო სუნთქვას და გამოცდილებას, აჩქარებულ ტემპსა

და რიტმში შესასრულებელ ხტომებს და მუხლბრუნვებს, რიგითი შემსრულებელი ამით დახვეწილი მოცეკვავე ხდება.

ცეკვა „ქართული" ქალ-ვაჟთა სისიყვარულო პოემაა. მ. თარხნიშვილი (უკრაინისა და ჩვენი რესპუბლიკის დათვალიერების ლაურეატი) ამ ცეკვის თვალსაჩინო შემსრულებელია. მისი „ქართული" არა მარტო ლამაზი სანახაობაა, არამედ რომანტიკით შთაგონებული პოეზიაც.

ასევე როცა „ფარიკაობა" სრულდება, მაყურებელს ხიბლავს ახალგაზრდა მოცეკვავეების ვაჟკაცური შემართება და სილამაზე, გამბედაობა და მოქნილობა.

1967 წელს გორკის სახელობის ქორეოგრაფიული ანსამბლი „სალხინო" საქართველოს სიმღერისა და ყვავილების დღესასწაულზე პროგრამის საუკეთესო შესრულებისათვის დაჯილდოვდა 1-ლი ხარისხის დიპლომით.

1972 წლის დეკემბერში სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით რესპუბლიკის საბჭომ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში მოაწყო საქართველოს პროფკავშირთა თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების რესპუბლიკური ფესტივალი, რომელიც ორდღიანი დასკვნითი კონცერტით დამთავრდა. ფესტივალს წინ უძღოდა პროფკავშირული თვითმოქმედი კოლექტივების ზონალური დათვალიერება. 10 ნოემბრიდან ერთი თვის მანძილზე ფესტივალის ჟიურიმ ნახა ორასზე მეტი ანსამბლი. გამოავლინა ბევრი ახალი და საინტერესო შემსრულებელი. ამ დათვალიერების საუკეთესო კოლექტივებმა დასკვნით კონცერტში მონაწილეობის უფლება მიიღეს და მთელი მისი ჟანრული მრავალფეროვნებით უჩვენეს თავისი ხელოვნება.

დიდი ყურადღება დაიმსახურა დასკვნით კონცერტზე ანსამბლ „სალხინოს" გამოსვლამ. ქართველი და უკრაინელი ხალხების საზეიმო დემონსტრაციად გადაიქცა თბილისის გორკის სახელობის კულტურის სახლის თვითმოქმედების მონაწილეთა და მათი სტუმრების — კიევის კვების მრეწველობის კულტურის სასახლის ქორეოგრაფიული ჯგუფისა და მეფანდურეთა ტრიოს ერთობლივი გამოსვლა.

საუკეთესო კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები დააჯილდოვეს დიპლომებით. მათ ფესტივალის ლაურეატის წოდება მიენიჭათ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ანსამბლის თითოეული წევრის ყოველდღიური თავდაუზოგავი მუშაობა რეპერტუარის ირგვლივ, სწრაფვა მის გამდიდრებაზე, რითაც ხასიათდება საერთოდ ანსამბლი.

წარმატება არასოდეს არ მოდის თავისთავად, მოულოდნელად, რომელსაც ავლენს ადამიანის შინაგანი ენერგია. ამ შემთხვევაში ა. დოლიძის ენერგია გასაოცარია. თავის საქმეზე მხურვალედ შეყვარებული მთელი არსებით წვდება

ხალხური ცეკვების სიმშვენიერესა და სიდიადეს. ყველა ცეკვაში შენარჩუნებულია თვითმყოფადობა, კოლორიტი და ტრადიციულობა. ტიპიური ნიშნებისა და თავისებურებების წინ წამოწევა, ცეკვებს მხატვრული დამაჯერებელი სცენური ფორმით მოსავს.

ახალმა ხელმძღვანელმა საკუთარი ხელწერა შემოიტანა ქორეოგრაფიულ ანსამბლში. ა. დოლიძის ენერგიული და ნიჭიერი მოღვაწეობის შედეგად დღეს ბევრი აქ აღზრდილი ნ. აბაიშვილი, ნ. და ა. მამულაშვილები, ა. სიბაშვილი და სხვები საქართველოს სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლს ამშვენებენ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 1967 წელს თბილისში ჩატარებული საქალაქო ფესტივალი, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს. ფესტივალზე მონაწილეობას იღებდა გორკის სახელობის კულტურის სახლის მოცეკვავეთა ანსამბლიც. ამ დათვალიერებაზე, როგორც ანსამბლის თვითეული წევრი, ისე ხელმძღვანელი ა. დოლიძე დააჯილდოვეს ფესტივალის ლაურეატის წოდებით და პირველი ხარისხის დიპლომით.

საქართველოში მიღწეულმა წარმატებებმა წამოჭრა აზრი, ანსამბლი ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც გამგზავრებულიყო რათა სხვებსაც გაეცნოთ თავიანთი ხელოვნება. სურვილს ოფიციალური მოწვევა დაემთხვა. ანსამბლი კიევის კვების მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკურმა სახლმა მიიწვია, კონცერტების ჩასატარებლად, რომელიც საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნებოდა...

დაიწყო მზადება... გვიან ღამემდე გაისმოდა კლუბში საცეკვაო მუსიკა — ახალგაზრდა მოცეკვავეთა ყოველი რეპეტიცია წარმოდგენას გავდა. მისი საკონცერტო პროგრამა მრავალფეროვანი და საინტერესო იყო. განსაკუთრებით საინტერესოა ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი ქართული ხალხური ცეკვების: „ხევსურულის", „ქართული სიუიტის", „ფერხულის", „ხორუმის", „სადარბაზოს", „სალხინოსა" და სხვათა გარდა მუსიკალურ ქორეოგრაფიული დადგმები: „ლენინის დროშა გვინათებს გზას", „საქართველოს ძმურ ოჯახში", „კავკასიის ხალხთა მეგობრობა", „ჩვენ ოქტომბრის შუქი გვმოსავს" და სხვ.

1972 წლის 1 აგვისტოს თბილისის მ. გორკის სახელობის კულტურის სახლის ქორეოგრაფიული ანსამბლი „სალხინო" უკრაინის დედაქალაქ კიევში გაემგზავრა. სადაც კონცერტები გამართა კიევის კვების მრეწველობის კულტურის სასახლესა და სხვადასხვა საწარმოში. (ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელი მე-8 მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი, ქორეოგრაფი ა. დოლიძე).

აი რას წერს ამ მოგზაურობის შესახებ გაზეთი „თბილისი": „10 აგვისტოს კიევიდან დაბრუნდა გორკის სახელობის კულტურის სახლის მოსწავლეთა

ანსამბლი „სალხინო". 7 დღის განმავლობაში ქართველ მოსწავლეებს ტაში აჯილდოებდნენ ჩვენი ქორეოგრაფიული ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშების, „ქართულის", „ხევსურულის", „შეჯიბრის", „აჭარულის", შესრულებისათვის. განსაკუთრებით მოწონება ხვდა სოლისტებს ტარიელ ისაკაძეს, როსტომ მესხიძეს, თამარ ჩიკვაიძეს, ნანული გურგენიძეს, თემურ ხაჟალიას.

თბილისის მოსწავლეთა ანსამბლი „სალხინო" ცისფერი ეკრანიდან მილიონობით მაყურებელმა გაიცნო.

მალე საპასუხო ვიზიტით ჩვენს დედაქალაქში ჩამოვლენ უკრაინელი მოსწავლეები"[1].

ანსამბლის წარმატებებს გამოეხმაურა კიევის პრესაც, ხოლო ტელევიზიამ ფირზე აღბეჭდა „სალხინოელთა" დასკვნითი კონცერტი. პროფკავშირების კიევის სამხარეო კომიტეტის თავჯდომარემ ნ. პეტრაჩკოვმა ანსამბლის ხელმძღვანელი ა. დოლიძე და მონაწილეები საიუბილეო მედლებით და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა. ანსამბლი „სალხინო" გახდა ორგზის საქართველოს და უკრაინის რესპუბლიკის ფესტივალის ლაურეატი.

კიევიდან დაბრუნების შემდეგ გორკის სახელობის კულტურის სახლის ანსამბლი „სალხინო" მაყურებელთა წინაშე წარსდგა საანგარიშო კონცერტით. ნორჩმა მოცეკვავეებმა ჯ. უბირმა, ტ. ისაკაძემ, მ. ჩიგოგიძემ; ღვთისიაშვილმა, ნ. გურგენიძემ, მ. თარხნიშვილმა, თ. ხაჟალიამ და სხვებმა მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს.

ამჟამად ანსამბლს პროგრამაში აქვს: ცეკვა „ფერხული", (სოლისტები: მ. თარხნიშვილი, ა. ფერაძე, რ. მესხიძე), ცეკვა „სამაია" (ქ. ხვთისიაშვილი, მ. ჯულაყიძე, თ. ხორხელი), მუსიკალურ-ქორეოგრაფიული კომპოზიცია „ლენინის დროშა გვინათებს გზას" (სოლისტები: გ. ხახვიაშვილი, თ. ხაჟალია, გ. ოზიაშვილი, თ. ოზმანოვი), ცეკვა „ოქტომბრელთა ზეიმი" (სოლისტები ნ. ასანიშვილი, ლ. სურმავა, ჯ. უბირი, ს. ჯილიტაშვილი, თ. ხორხელი), „აჭარული" (სოლისტები: გ. გუიშვილი, მ. თარხნიშვილი, ა. ფერაძე), „ყაზბეგური" (ნ. იმედაშვილი, გ. ადამია, ნ. თურმანიძე, თ. ჩაჩანიძე), „სადარბაზო" (თ. ასანიშვილი, გ. საგინაშვილი), „შეჯიბრი" (მ. კორშია, ო. თურმანიძე), ქორეოგრაფიული სურათი: „დღეს ზეიმია საქართველოში" (თ. დანელია, ნ. კეკელიძე), „ხევსურული" (მ. ჩიკვაიძე, ნ. ერთელიშვილი), „ყვავილების ზეიმი" (ქ. კუპრაშვილი, ზ. გაბაშვილი), „მიპატიჟება" (ნ. ელიზბარაშვილი, ა. გლოველი, გ. გუიშვილი), „სალხინო" (ნ. რუხაძე, გ. ლურსმანიშვილი, მ. მღებრიშვილი, თ. ჩაჩანიძე, დ. ერემოვი), „საზეიმო" (ბ. მუჩიაშვილი, ზ. ქურდაძე, გ. ლავრელა-

---

[1] გაზ. „თბილისი", 1972, 10 აგვისტო.

შვილი), ქორეოგრაფი ჰელსინგის მე-8 მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი ა. დოლიძე.

ანსამბლმა „სალხინომ“ დიდი სამამულო ომის გამარჯვების 30 წლისთავთან დაკავშირებით მოამზადა ქორეოგრაფიული დადგმა „ეს არ მოხდება“.

აქვე უნდა შეინიშნოს, რომ ანსამბლი წევრთა ხშირ მონაცვლეობას განიცდის, — ამთავრებენ ერთნი, მოდიან ახლები და მათ შორის უნდა შეირჩეს არა მარტო ისეთები, რომლებსაც ცეკვის მონაცემები აქვთ, არამედ ისეთები, რომელთა არსებაში ცეკვა ბავშვობიდანვე ცოცხლობს. ეს კი იოლი როდია, მოძებნო, დააინტერესო, შეაყვარო. ა. დოლიძე ფლობს ამ საიდუმლოებას.

„სალხინოს“ მოცეკვავეები ზაფხულობით სააგიტაციო მხატვრულ ბრიგადასთან ერთად ეწვევიან ხოლმე შავი ზღვისპირეთის კურორტებს. ასევე ბოლნისელთა ხშირი სტუმრები არიან.

□□

მ. გორკის კულტურის სახლთან არსებული საესტრადო ანსამბლი „ფერია“ (ქალთა ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლი) არსებობის შვიდ წელს ითვლის. იგი პირველია საქართველოში. ანსამბლის დაარსების ინიციატორი იყო კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი ი. გ. მათიაშვილი.

მისი შექმნის იდეა ასე დაიბადა: ერთ დღეს კულტურის სახლს ეწვია სიმღერით დაინტერესებული გოგონების ერთი ჯგუფი. მათ სამხატვრო ხელმძღვანელს ი. მათიაშვილს თხოვნით მიმართეს, რომ სურვილი აქვთ ჩაირიცხონ მომღერალთა გუნდში. რადგან კულტურის სახლს იმჟამად გუნდი არ ჰყავდა, ამიტომ ი. მათიაშვილმა გოგონებს ურჩია, მათ ბაზაზე შექმნილიყო ქალთა ვოკალურ-ინსტრუმენტალური საესტრადო ანსამბლი. გოგონები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ წინადადებას.

სამხატვრო ხელმძღვანელმა ისინი მეორე დღისთვის დაიბარა, როგორც ერთი, ისე გამოცხადდნენ დანიშნულ დროზე. სამხატვრო ხელმძღვანელმა კულტურის სახლის კონცერტმაისტერ მ. გაფრინდაშვილთან ერთად დაიწყო მათი გამოცდა. გამოცდამ ბრწყინვალედ ჩაიარა. მათ გამოამჟღავნეს არა მარტო მუსიკისადმი სიყვარული, არამედ მისი ცოდნაც. აქედან ერთი მათგანი გიტარასაც კი უკრავდა. ფორტეპიანოს გიტარის ჰანგიც შეერწყა და ბოლოს ერთერთმა გოგონამ სკამი მოიმარჯვა და დოლური დასცხო. აი, ასე ჩაისახა პირველად ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის, „ფერიას“, შექმნის სურვილი.

მუსიკის ხელმძღვანელად დაინიშნა მ. გაფრინდაშვილი, ანსამბლში გაერ-

თიანდნენ: მ. სხირტლაძე, მ. კუპავა, ლ. სიმონოვა, მ. ნარიმანიძე, ელ. და ლ. კაკაბაძეები.

უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო ისეთი რეპერტუარის შექმნა, რომელიც გასაგები და მისაწვდომი იქნებოდა ყველა მსმენელთათვის. ანსამბლის წევრები გატაცებით სწავლობდნენ, ხალისით ეუფლებოდნენ ხალხურ სიმღერებსა და პროფესიულ საესტრადო მუსიკის თვალსაჩინო ნაწარმოებებს.

ერთ წელიწადში მომზადდა პროგრამა და მალე გამოსვლაც დაიწყეს. ჩვენი გოგონები დიდმა მღელვარებამ შეიპყრო. ეს ხომ პირველი კონცერტი იყო, რომელსაც ისინი ოქტომბრის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ატარებდნენ.

სცენის სიღრმიდან ქართული ხალხური მელოდიები მოისმოდა. ფარდა იხსნებოდა სხვადასხვა საკრავების ხმაშეწყობილი გუგუნი თანდათან ძლიერდებოდა, რაც იწვევდა ერთსულოვან ტაშს. ნომერი ნომერს ცვლიდა, სიმღერა სიმღერას.

გოგონათა საესტრადო ორკესტრს საკმაოდ მრავალფეროვანი რეპერტუარი ჰქონდა. განსაკუთრებული მონდომებით ასრულებდნენ ახალგაზრდა შემსრულებლები ქართველ კომპოზიტორთა სიმღერებს: გ. ცაბაძის „სად იყავ", „თბილისელი გოგონა", „თოვლის ფანტელები", „განშორების სიცივე", რ. ლაღიძის „ქორბუდა", შ. მილორავას „ალუბლის ხე", ხატიაშვილის „დედა"; დიდი მიმზიდველობით ასრულებდნენ ხალხურ სიმღერებს „ოხ ტურფავ", „შენ ერთადერთი", „ადანდალი", უკრაინული ხალხური „ჩერმშინა", რუსულ, ბულბულს", იტალიურ სიმღერას „ბამბოლას", „აბენას"; ოგანოვის ოსურ სიუიტას „მადინას" და სხვა. მსმენელთა დაჟინებული მოთხოვნით მათ რამდენჯერმე მოუხდათ სიმღერების განმეორება. ანსამბლი ინტერნაციონალური ხასიათისაა.

რესპუბლიკაში არ დარჩენილა არც ერთი ქალაქი და რაიონი, სადაც ამ ნიჭიერ კოლექტივს თავისი ხელოვნებით არ დაეტკბო მსმენელი და თვალსაჩინო წარმატებასაც არ მიეღწიოს.

და მართლაც, ამაღელვებელი და მიმზიდველია ანსამბლის მიერ შესრულებული თითოეული სიმღერა. რამდენჯერაც არ უნდა ნახოთ ამ კოლექტივის გამოსვლა, ყოველთვის დიდ სიამოვნებას განიჭებთ.

ორკესტრის საინტერესო კონცერტები, რომელსაც ყოველთვის უამრავი ხალხი ესწრებოდა, დიდი წარმატებით მიდიოდა, როგორც ადგილობრივ კულტურის სახლში, ისე წარმოება-დაწესებულებებში.

ქალთა ორკესტრის მორიგ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ 1952 წელს მხა-

ტვრული თვითმოქმედი კოლექტივების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე ფესტივალის ლაურეატის წოდების მოპოვება.

ასევე მაღალი შეფასება დაიმსახურა ორკესტრმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავზე. ანსამბლს მეორედ მიენიჭა ლაურეატის წოდება.

გავიდა წლები, მონაწილეები შეიცვალნენ, ხელმძღვანელიც შეიცვალა, ამჟამად კოლექტივს სათავეში უდგას ნიჭიერი მუსიკოსი ლერი მღებრიშვილი. ორკესტრის შემადგენლობაშია ამჟერად ც. სულაძე, ნ. წერეთელი, თ. სულხანიშვილი, გ. წიკლაური, დ. მერაბიშვილი, მ. ნუგზარიშვილი, ი. დავიდოვა, ი. მანჯგალაძე, ქ. ჩაგუნავა, მ. იოსებაშვილი.

შეიქმნა ახალი საკონცერტო პროგრამა. მასში შეტანილია ძირითადად ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებები, რასაკვირველია თავისი საპატიო ადგილი უჭირავს რუს და მოძმე რესპუბლიკების მუსიკალურ ნაწარმოებებს. კოლექტივი ბრწყინვალედ ასრულებს იუგოსლავურ, პოლონურ, ჩეხურ, გერმანულ და იტალიურ მუსიკალურ ნაწარმოებებს.

ქალთა ანსამბლის შემოქმედება დღითიდღე სულ უფრო საინტერესო ხდება. გაბედული ძიებებისა და ერთსულოვანი ენთუზიაზმის შედეგად ანსამბლის შემსრულებელთა მხატვრული დონე შეუნელებლად მაღლდება. თანდათან ფართოვდება ამ კოლექტივის რეპერტუარი. ანსამბლის მიზანია თანამედროვე ჟღერადობა მისცეს პროგრამას, გაამდიდროს იგი მაღალიდეური შინაარსისა და ჰუმანური ნაწარმოებებით. ორკესტრი განსაკუთრებით დაინტერესებულია ეროვნული, ხალხური და უცხოური პოპულარული მუსიკით.

ამჟამად ანსამბლი გაცხოველებით მუშაობს ახალ პროგრამაზე. წინ რთული გზაა გასავლელი. ანსამბლის ხელმძღვანელი რ. მღებრიშვილი არ იშურებს ენერგიასა და ნიჭს, რათა ამ ახალგაზრდულ კოლექტივს საშემსრულებლო ოსტატობა აუმაღლოს.

## აგიტმხატვრული ბრიგადა

კულტურის სახლთან ი. მიგინეიშვილის ხელმძღვანელობით 40 კაცის შემადგენლობით შეიქმნა აგიტმხატვრული ბრიგადა. იგი მოემსახურება გორის, კასპის, ხაშურის, სურამის საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებს, ყულარის, დიდი ლილოსა და წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებს.

აგიტმხატვრული ბრიგადის წევრები წინასწარ ეცნობიან იმ საწარმოს ავკარგს, სადაც მართავენ კონცერტს, ხოლო წესრიგის დამრღვევნი და ჩამორჩენილნი თავიანთ თავს სცნობენ კონცერტის პროგრამაში შესულ სკეტჩებში, მუსიკალურ ფელეტონებსა და სატირულ-იუმორისტულ ნომრებში.

დიდი მონდომებით ემზადებოდა ფესტივალისთვის აგიტმხატვრული ბრიგადა. მათ განსაკუთრებით გააძლიერეს მუშაობა, 1966 წლის 7 იანვარის დადგენილების შემდეგ, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების ფესტივალის ჩატარების შესახებ. დადგენილების გამოსვლის შემდეგ გამდიდრდა რეპერტუარი მცირე ფორმიანი პიესებით, რომლებიც დაწერილია კვების მრეწველობის მუშაკთა ცხოვრების საინტერესო და აქტუალურ თემებზე. ბევრი მათგანი მიძღვნილია კოლექტივის რევოლუციური და საბრძოლო ტრადიციებისადმი. ფესტივალთან დაკავშირებით აგიტმხატვრულ ბრიგადას მომზადებული ჰქონდა ას სამოცდაათზე მეტი ნაწარმოები. გამოცდილების გაზიარების მიზნით აგიტბრიგადის წევრთა კონცერტები მოეწყო კვების მრეწველობის სისტემის თითქმის ყველა ობიექტებზე, როგორც თბილისში, ისე საქართველოს

სხვადასხვა რაიონებში, სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში და პიონერთა ბანაკებში.

1975 წლიდან კი კულტურის სახლთან ახლად ჩამოყალიბდა აგიტმხატვრული ბრიგადა, რომლის უშუალო ხელმძღვანელია კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი ი. მათიაშვილი. ბრიგადაში გაერთიანებულია ხუთი წევრი: გ. გაბელაია, თ. კაკაბაძე, პ. წეველიძე, ლ. კობეშავიძე და ნ. გულაღაშვილი.

პროგრამაში შეტანილია ი. მათიაშვილის შემდეგი პიესები: „მმართველი და საქმეთა მმართველი", „ავი ცოლის ხელში, ბოლო ასეთი ექნება", მ. გოგიაშვილის „ბავშვის გულისათვის", კ. არეშიძის „ზოოპარკში", შ. ხოდაშნელის ფელეტონები და სხვ.

## მომღერალთა გუნდი

გამოჩენილი ლოტბარი ვასო კობახიძე იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელთაც ქართველ მომღერალთა გუნდების ჩამოყალიბებითა და ახალგაზრდა მომღერლების აღზრდით თავისი წვლილი შეიტანეს ქართული ხალხური მუსიკის განვითარებაში.

ვ. კობახიძეს მართალია, არ მიუღია მუსიკალური განათლება, მაგრამ ხალხის უშრეტმა სიბრძნემ გამოაწრთო ლოტბარი და მის ხალას ნიჭს გარკვეული მიმართულება მისცა.

მუსიკისადმი სიყვარული ბავშვს ოჯახიდან გამოჰყოლია. კობახიძეების ოჯახი ოდითგანვე განთქმული ყოფილა რაჭული სიმღერების სიყვარულით. ასეთი რამ რაჭაში გასაკვირი არ არის, მაგრამ სამსონის შტო გამოირჩეოდა თავისი მუსიკალური ტრადიციებით და სიმღერების ოსტატობით. ვასო ახლაც ხშირად იგონებს იმ დღეებს, როცა ულამაზეს ნიკორწმინდაში — მის მშობლიურ სოფელში მამა სამსონი რაჭულ სიმღერებსასწავლიდა. სამსონს ძალიან უყვარებია სიმღერები, შეკრებდა ოჯახის წევრებს და ყველა ერთად მღეროდა. ამიტომაც პატარა ვასოს თავიდანვე დაჰყოლია სიმღერის სიყვარული.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ს. კობახიძე გლეხურ ცხოვრებას ეწეოდა და თავის შვილებსაც ამგვარ ცხოვრებას აჩვევდა. ვასომ ბავშვობიდანვე შეისისხლხორცა გლეხის შრომა, ეზიარა მის ლხინს, ვარამს. მას მამა ხან ურემზე შემოისვამდა, ხან ზვარში გაიყოლიებდა, ხან მკაშიაც შეიშველიებდა.

ვ. კობახიძის მუსიკალური აზროვნებაც ამ ხალხური შემოქმედების წიაღში მოწიფებულა. ვასო იშვიათი ხმის პატრონი, რაჭული სიმღერების შესანიშნავი შემსრულებელი იყო. მისი საგუნდო ნაწარმოებები უშუალოდ ხალხური მუსიკიდან იღებს დასაბამს.

1919 წელს თხუთმეტი წლის ჭაბუკი მიხეილ კავსაძის გუნდში ჰზიარებია პირველად მუსიკალურ ხელოვნებას. აქ იგი დიდი ენთუზიაზმითა და გულისყურით დასწაფებია მუსიკის შესწავლას. იმავე ხანებში ცნობილი მოცეკვავისა და პედაგოგის ა. ალექსიძის საცეკვაო ანსამბლში შესულა და კარგი მოცეკვავეც დამდგარა.

1919 წლიდან რვა წლის მანძილზე ვ. კობახიძეს მარო თარხნიშვილის გუნდშიაც უმოღვაწია მომღერლად, სადაც ადმინისტრატორადაც უმუშავია. 1927 წელს ჩამოუყალიბებია რაჭა-ლეჩხუმის ეთნოგრაფიული მომღერალ-მოცეკვავეთა წრე.

რაჭა-ლეჩხუმის მუსიკალური ფოლკლორის ამ შესანიშნავ მცოდნეს გუნდის წევრებისათვის შეუსწავლებია ამ კუთხის მეტად კოლორიტული სიმღერები და კონცერტების მართვა დაუწია. პირველად გამოსულა მუშათა კლუბებში, შემდგომში ფართო აუდიტორიის წინაშე წარმდგარა.

ვ. კობახიძეს 1928 წელს პირველად გაუცვნია საზოგადოებისათვის თავისი გუნდი, რომელსაც რეპერტუარში მრავალი კარგი სიმღერა ჰქონია. ესენია: „მრავალჟამიერი", „ქვემორაჭული მაყრული", „მგზავრული", „მაღლა მთას მოდგა", „მესტვირული", „დალიე", „ფერხული" და სხვ.

1933 წლიდან კი ვ. კობახიძის გუნდს მოგზაურობა დაუწყია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. რეპერტუარის ორიგინალობითა და საფერხულო სიმღერების დახვეწილობით ყველგან გულთბილი შეხვედრები, მქუხარე ტაში და მადლობები დაუმსახურებია.

ვ. კობახიძის აღმზრდელი და მასწავლებელი მიხეილ კავსაძე იმ ხანებში პრესის ფურცლებზე აქვეყნებს წერილს, რომელშიაც აღნიშნავს: რაჭა-ლეჩხუმის ხალხურ სიმღერათა გუნდი საამო შთაბეჭდილებას ტოვებს თავისი რეპერტუარითა და ჩაცმულობით; გუნდი კარგად ასრულებდა სვანურ სიმღერებსაც; აგრეთვე ცეკვებს — „ქართულს", „კინტოურს", „მთიულურს", „სალხინოს".

მას დიდი დახმარება გაუწევია მხატვრული თვითმოქმედებითი კოლექტივის მუშაობის საქმეში, ასურეთის (თეთრი წყაროს რაიონის) კოლმეურნეობებისათვის. საქართველოს რესპუბლიკის მეექვსე და მეშვიდე ოლიმპიადებზე ვ. კობახიძეს წარმატებით გამოუყვანია ასურეთის საკოლმეურნეო გუნდი. რუსთავში ხანგრძლივი მოღვაწეობის შედეგად მუშა-მეტალურგებში ფართოდ დაუნერგავს სიმღერის სიყვარული.

ვ. კობახიძეს წუთიც არ ჰქონია თავისუფალი. მთელი მისი დრო და ენერგია გუნდზე ზრუნვას ხმარდებოდა: 1936 წელს სარეწაო კოოპერაციის გუნ-

დი, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა, დიდი წარმატებით გამოსულა მოსკოვში გამართულ თვითმოქმედი კოლექტივების საკავშირო ოლიმპიადაზე:

სამამულო ომის წლებში გუნდს ვ. კობახიძის ლოტბარობით 442 საშეფო კონცერტი გაუმართავს.

გადის წლები და ვ. კობახიძე სოფელ დიდი ლილოს კულტურის სახლთან არსებულ გუნდს უდგას სათავეში.

საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის მუსიკალურ სეიფში შენახული აქვთ ვ. კობახიძის მიერ დამუშავებული მრავალი სიმღერა.

ეს სიმღერები ნოტებზე გადაიტანეს აკად. დ. არაყიშვილმა, კომპოზიტორმა გრ. კოკელაძემ, პროფ. ბ. ასლანიშვილმა და სხვებმა. დღესაც ამ სიმღერებით სარგებლობენ როგორც ჩვენი კომპოზიტორები, ისე ლოტბარები და კონსერვატორიის სტუდენტები. ამ სიმღერებში ნათლად ჩანს ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულებანი, შრომისადმი სიყვარული, განვლილი ჭირ-ვარამი, სასიხარულო აწმყო და მისი სწრაფვა მომავლისაკენ.

ხელოვნების დარგში უანგარო და თავდადებული შემოქმედებითი მუშაობისათვის ამ ღვაწლმოსილ ლოტბარს 1966 წელს მიანიჭეს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება. იგი დაჯილდოებულია აგრეთვე მედლებითა და სამკერდე ნიშნით, მიღებული აქვს მრავალი სიგელი.

დამსახურებული მოღვაწე, ღვაწლმოსილი ლოტბარი, ვ. კობახიძე, ამჟამად მუსიკის სიყვარულს გადასცემს გორკის სახელობის კულტურის სახლში, მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ რაჭველ მომღერალთა გუნდის წევრებს. ასწავლის ძველ ქართულ ჰანგებს.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, სარეწაო კოოპერაციასთან არსებული რაჭა-ლეჩხუმის მომღერალ-მოცეკვავეთა გუნდმა თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობა 1972 წელს გორკის სახელობის კულტურის სახლში გადაიტანა. ეს მოხდა ამავე გუნდის წამყვანი სოლისტისა და ადმინისტრატორის შალვა ხვედელიანის ინიციატივით, რომელიც მუდამ ერთგულ დარაჯად უდგას მხარში, როგორც გუნდს, ისე მის ხელმძღვანელს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ვ. კობახიძეს.

შ. ხვედელიანიც რაჭის მკვიდრია, იგი დაიბადა რკინიგზელის ოჯახში ონის რაიონის ერთ-ერთ თვალწარმტაც სოფელ ქრისტეში, ამჟამად ამ სოფელს ეძახიან ანკარას, რომელიც სიმბოლურად ხალხის სისპეტაკის გამომხატველია. აი, ამ სოფელში მიიღო პატარა შალვამ პირველი სასკოლო ნათლობა. იგი მეხუთე კლასის მოსწავლე იყო, როცა ოჯახი საცხოვრებლად თბილის-

ში გადასახლდა. ჭაბუკი კი სწავლის გასაგრძელებლად მშობლებმა IV მუშფაკში მიაბარეს.

1912 წელს შ. ხვედელიანი საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის კომისარიატთან არსებულ წითელი დირექტორობის კურსებზე შედის. კურსების წარმატებით დამთავრების შემდეგ იგი მუშაობას იწყებს სარეწაო კოოპერაციის სისტემაში. ღვინის წარმოების, „მარანის" გამგეობის თავმჯდომარედ...

შ. ხვედელიანიც ანაზდად ატარებდა ბავშვობიდანვე გულში ხალხური სიმღერების სიყვარულს. და აი, 1922—1923 წლებში ეძლევა შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს შ. მშველიძის ლოტბარობით კომკავშირის მეორე რაიკომის კლუბთან არსებულ მომღერალ-მოცეკვავეთა გუნდში. გუნდი მუდამ დიდი წარმატებით გამოდიოდა სხვადასხვა სახის ღონისძიებებზე, როგორიც არის: კომკავშირის აქტივი, კრებები, დემონსტრაციები, არჩევნები, შეხვედრები და სხვ.

გუნდის რეპერტუარში იყო ქართლ-კახური სიმღერები: „ბერი კაცი ვარ", „გუშინ შვიდნი გურჯანელნი", „კახური მრავალჟამიერი", „თეთრო ბატო", „შენ ხარ ვენახი" და სხვ.

შ. მშველიძის მიერ დაარსებულ გუნდში შ. ხვედელიანმა ორი წელი იმუშავა და ვინაიდან გუნდში მომღერლების გარდა მოცეკვავეებიც მრავლად მოიპოვებოდნენ, გადაწყვიტა ცეკვა შეესწავლა. ამ მიზნით იგი შედის ცნობილი ქორეოგრაფის და პედაგოგის ა. ალექსიძის მიერ დაარსებულ ცეკვის სასწავლებელში. ხოლო მისი დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს 1930 წელს ვ. კობახიძის მიერ დაარსებულ რაჭა-ლეჩხუმის მომღერალ-მოცეკვავეთა გუნდში წამყვან სოლისტად და ადმინისტრატორად.

აღნიშნული გუნდი მისი ადმინისტრატორის შ. ხვედელიანისა და კულტურის სახლის დირექტორის კაიშაურის ინიციატივით 1934 წელს ჩამოყალიბდა სარეწაო კოოპერაციასთან.

არსებული გუნდი ვ. კობახიძის ხელმძღვანელობით მომღერლებისა და მოცეკვავეების 62 წევრს ითვლიდა. იგი გამოდიოდა, როგორც ადგილობრივ სარეწაო კოოპერაციის კულტურის სახლში, ისე სხვაგან: მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრებში, პლეხანოვის, გორკისა და ბავშვთა მხატვრული აღზრდის კულტურის სახლებში, ფილარმონიისა და მუშტაიდის საზაფხულო თეატრებში, საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში: სოხუმი, გაგრა, ახალი ათონი, გუდაუთა, ზუგდიდი, აბაშა, ბათუმი, ფოთი და სხვ.

რეპერტუარში იყო ძირითადად რაჭა-ლეჩხუმისა და საქართველოს ზოგიერთი კუთხის სიმღერები და ცეკვები: „რაო ჩემო დედაო", „მაღლა მთას

მოდგა“, „ქვედრულა“, „ტყეში ქალები წავიდნენ“, იმერული „პატარა ბიჭი“ და „მგზავრული“, მეგრული „აკასირექიშო“, კახური „მრავალჟამიერი“, „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, „ბრძანა სოლომონ“ და სხვ. ცეკვები: „ქართული“, „მხედრული“, „შეჯიბრი“, „კინტოური“ და სხვ.

1936—1939 წლებში ვ. კობახიძის ლოტბარობით არსებული გუნდი მონაწილეობას იღებს მოსკოვში სრულიად საკავშირო მხატვრული თვითმოქმედი კლექტივების სარეწაო-კოოპერაციასთან არსებულ ანსამბლების ოლიმპიადაზე. გუნდმა საკავშირო მასშტაბით პირველი ადგილი დაისაკუთრა, ხოლო გუნდის ხელმძღვანელი ვ. კობახიძე და გუნდის ადმინისტრატორი შ. ხვედელიანი კონცერტის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის დაჯილდოებულ იქნენ საკავშირო კოოპერაციის პრეზიდიუმის მიერ ქების სიგელებითა და ხელოვნების სამკერდე ნიშნებით.

აქვე იქნა დაჯილდოებული შ. ხვედელიანი 1939 წელს საქართველოს კოოპერაციის მიერ სამკერდე ნიშნით.

დიდი სამამულო ომის წლებში გუნდის ბევრი მონაწილე გაწვეული იქნა ჯარში და სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. ასეთები იყვნენ: ა. ჰელიძე, ვ. გიორგობიანი, ს. ბუთიძე, მ. გოგიბერიშვილი, მ. ჯაფარიძე, ს. ენუქიძე, კ. კობერიძე, ს. ქვათაძე, ვ. საგარელიძე, რ. ოშხელი, ძ. ნიკოლაიშვილი, პ. გოშაძე და სხვები, რის გამოც გუნდმა დროებით შესწყვიტა არსებობა.

ამ დროს 1941—1955 წლამდე გუნდის ადმინისტრატორი შ. ხვედელიანი მუშაობდა სარეწაო-კოოპერაციის ინდივიდუალური კერვის არტელების კომბინატის დირექტორად. იგი დაჯილდოებულ იქნა კავკასიის დაცვის მედლით შრომითი მამაცობისათვის, ხოლო ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობისაგან მიღებული აქვს სამი საბრძოლო მადლობა.

1949—1952 წლებში შ. ხვედელიანი ამთავრებს მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტს, 1958—1960 წლებში კი ოქტომბრის რაიონის კომიტეტთან არსებულ სახალხო უნივერსიტეტს.

გადის წლები და შ. ხვედელიანის ინიციატივით კვლავ აღსდგა რაჭა-ლეჩხუმის მომღერალ-მოცეკვავეთა გუნდი სარეწაო-კოოპერაციასთან.

ხოლო სარეწაო-კოოპერაციის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით გუნდმა შეწყვიტა მუშაობა, მაგრამ საქმის ინიციატორმა შ. ხვედელიანმა განაახლა გუნდის მუშაობა.

ამჟერად კი გორკის სახელობის კულტურის სახლთან, გუნდი მომღერლების 44 წევრს ითვლის. პროგრამაშია: „რავო ჩემო დედაო“, „მგზავრული“,

ყურძენმა თქვა“, „ქალსა ვისმე“, „ტყეში ქალები წავიდნენ“, „ასლანური მრავალჟამიერი“, „სვანური ლილე“, „კალოს პირველი“, „იმერული მგზავრული“, „მაყრული“, „ქვემო მაყრული“, „ზემო მაყრული“ და სხვ. აქედან ზოგიერთი მათგანი ერთ-ერთი ურთულესი პოლიფონიური ხალხური ქმნილებაა, მათი დაძლევა ყველას როდი ძალუძს. მომღერალთა გუნდის მიერ ამ სიმღერების შესრულება უტოლდება პროფესიულ დონეს.

სიმღერა და სიმღერის სიყვარული ქვეშეცნობილად ცოცხლობს ჩვენში. სიმღერა კურნავს და მიმართულებას აძლევს ადამიანის სულიერ განწყობილებებს, ესალმუნება მის გრძნობებს და რაც უფრო ხშირად ვისმენთ შესისხლხორცებულ, ნაცნობ მელოდიებს, მით უფრო ვიქღენთებით მუსიკის სიყვარულით ქართული ხალხური მელოდიები სავსენი არიან ქართული მრავალფეროვნებითა და განუმეორებელი კოლორიტით. აბა, რომელ სიმღერას დავასახელებთ, რომ იგი ბოლომდე არ სწვდებოდეს თქვენს გრძნობა-განცდებს, იქნება ეს სვანური ცხოვრების მელოდიური, ომახიანი ჰიმნი „ლილეო“ თუ დიდებული და მშვენიერი „შენ ხარ ვენახი“, ლირიზმითა და სიფაქიზით აღსავსე მეგრული სიმღერები, სიხარულისა და ოპტიმიზმით გაცისკროვნებული „მრავალჟამიერი“.

არიან ადამიანები, ცალკეული კოლექტივები, რომლებსაც არ სჭირდებათ წარმოდგენა, საქმეები ლაღადებენ მათზე. როდესაც გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ მ. გორკის სახელობის კულტურის სახლთან ჩამოყალიბდა რაჭა-ლეჩხუმის მომღერალ-მოცეკვავეთა გუნდი, ცოტა არ იყოს დაეჭვება გამოიწვია ამ დასახელებამ, მაგრამ, პირველივე მოსმენისთანავე გაქარწყლდა ეჭვი.

ხანმოკლე ისტორია აქვს გორკის სახლის მომღერალთა გუნდს. იგი 3—4 წელია, რაც კლუბთან ჩამოყალიბდა, მაგრამ ამ მოკლე დროში გუნდმა მუსიკალურ საზოგადოებაში დიდი მოწონება დაიმსახურა.

აღსანიშნავია ისიც, რომ რაჭა-ლეჩხუმის გუნდი, კარგი მუსიკალური ტრადიციების მქონეა. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, იგი ორჯერ გამოვიდა საკავშირო დათვალიერებაზე და ორჯერვე დიდ წარმატებას მიაღწია. დაჯილდოებული იქნა, როგორც ქების სიგელებით, ისე ხელოვნების სამკერდე ნიშნით.

ვ. კობახიძის ხელმძღვანელობით გორკის სახელობის კლუბთან არსებულმა რაჭა-ლეჩხუმის მომღერალ-მოცეკვავეთა გუნდმა მისი აქ არსებობის პერიოდში მრავალი კონცერტი გამართა, როგორც კვების მრეწველობის მუშა-მოსამსახურეთათვის, ისე სხვადასხვა თარიღებისადმი მიძღვნილ დღეებისადმი.

გადის დრო და იზრდება რეპერტუარი, იხვეწება საშემსრულებლო ოსტატობა, გუნდმა დაიწყო გამოსვლა უფრო ფრიად მნიშვნელოვან შეხვედრებზე. გუნდის წევრები უსაზღვრო სიყვარულითა და აღტაცებით შეხვდნენ უმაღ-

ლეს საბჭოს დეპუტატს გ. დ. ჯავახიშვილს. აღნიშნულ საღამოზე გუნდის მიერ ხალხური სიმღერების შესრულებაში იგრძნობოდა ნაწარმოების შინაარსის გააზრებული ინტერპრეტაცია, ინტონაციური სიწმინდე და დახვეწილობა, ვოკალის კარგი შეგრძნობა, ნიუანსების სრულყოფილად დაუფლება და მაღალი გემოვნება.

მომღერალთა გუნდმა 1975 წლის მარტში ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში გამართულ 1-ლ საკავშირო ფესტივალზე მონაწილეობის შემდეგ, კიდევ ერთხელ ნათელყო თავისი წარმატებები ხელოვნების ამ სარბიელზე. აღნიშნულ საღამოზე გუნდის მიერ საუკეთესოდ შესრულებულმა სიმღერებმა და ცეკვებმა მოხიბლა დამსწრე საზოგადოება, რომლის შესრულება ერთი წუთითაც არ ბადებდა ეჭვს გუნდის მაღალ პროფესიონალიზმზე, მის დიდ გემოვნებასა და ცოდნაზე.

დღეს გუნდის ყველა წევრი დიდად არის დაინტერესებული დაეუფლოს ეროვნულ ხალხურ მუსიკას. სწორედ ეს არის მათი წარმატებების მთავარი მიზეზი. განსაკუთრებით მინდა გავამახვილო ყურადღება ისეთ სოლისტ ვეტერან მომღერლებზე, რომლებიც გუნდის შექმნის პირველი დღიდან დიდ ინტერესს იჩენენ და არანაკლებ ზრუნავენ კოლექტივის წარმატებებზე. დ. და ი. კობახიძეები, ნ. საგანელიძე, ვ. გიორგობიანი, ძმები ი. და დ. ბაქრაძეები, რ. ფანჩიკიძე, ბ. ობოლაძე, კ. მესხი, შ. დაუშვილი, მ. ბერაძე, ბ. კირვალიძე, ვ. გურგენიძე, ა. აბაიშვილი, ა. ბუაძე, პ. გოგიბერიშვილი, რ. ქემოკლიძე, ლ. სხირტლაძე, ტ. ქვათაძე; ახალგაზრდა მომღერალთა სოლისტებიდან: გ. ციმაკურიძე, ჯ. კერესელიძე, ა. გოგლიძე, ა. ომხერელი, შ. არჩუაძე, შ. ფოქოსაძე, კ. მურუსიძე, შ. ჯალიშვილი და სხვ. გუნდის კონსულტანტი ლოტბარი გ. ბახტაძე, ქორეოგრაფი მე-8 ფესტივალის ლაურეატი ა. დოლიძე, გუნდის დაარსებიდან მომღერალი და მოცეკვავე, გუნდის ადმინისტრატორი შალვა ხვედელიანი და გამგეობის წევრი ვეტერანი მომღერალი ნიკოლოზ ჯურხაძე.

გუნდის წარმატებებს დიდად შეუწყო ხელი კულტურის სახლის დირექტორ ი. კაპანაძისა და სამხატვრო ხელმძღვანელის ი. მათიაშვილის საქმიანმა დახმარებამ, სწორმა ალღომ.

ამჟამად გუნდი ემზადება საჩვენებელი კონცერტისათვის, როგორც თბილისში, ისე რესპუბლიკის ქალაქებში ჩასატარებლად.

1962 წლის 30 ივნისს რკინიგზის სახლში საქართველოს საგუნდო და ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმმა და საქართველოს ხალხურმა შემოქმედებითმა სახლმა დაბადების 65 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლისთავისადმი აღსანიშნავი საღამო მოუწყო ღვაწლმოსილ ლოტბარს ვასილ კობახიძეს.

საღამოზე შესავალი სიტყვით გამოვიდა საქართველოს საგუნდო და ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი გრ. კოკელაძე.

ვ. კობახიძის შემოქმედებითი გზის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს შემოქმედებითი სახლის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე — მ. ჩირინაშვილი. მისალმებების შემდეგ გაიმართა კონცერტი.

□□

გორკის კულტურის სახლი, არა მარტო ოქტომბრის რაიონის, არამედ დედაქალაქისა და რესპუბლიკის მასშტაბით უწევს მომსახურებას კვების მრეწველობის დაწესებულებათა მუშაკებს.

მას დაარსებისა და შემოქმედებითი მუშაობის კარგა ხნის ისტორია აქვს. იგი მრავალფეროვანი მუშაობით ყოველთვის იმსახურებდა და იმსახურებს ფართო მასების პატივისცემასა და სიყვარულს.

კულტურის სახლთან თავიდანვე მუშაობდნენ და დღესაც მუშაობენ მუდმივმოქმედი წრეები: როგორიცაა დრამატული, მომღერალთა, ვოკალურ-ინსტრუმენტული, ქორეოგრაფიული, ლიტერატურული და სხვ.

აღნიშნულის გარდა, გორკის სახელობის კულტურის სახლთან 1974 წლის იანვრიდან განხორციელდა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიება: შეიქმნა „პოეზიის მრგვალი მაგიდა", რომლის ინიციატორი და დამაარსებელია ქართველი პოეტი ალექსანდრე შანიძე. ამ საქმის უკეთ წარმართვისათვის არსებული საბჭო 7 კაცისაგან შედგება, რომელშიაც შედიან მწერლები, კულტურის სახლისა და მის სისტემაში შემავალ დაწესებულებათა პასუხისმგებელი მუშაკები. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ალ. შანიძე, საბჭო მოქმედებს დირექციის მიერ დამტკიცებული დებულებით.

„პოეზია მრგვალ მაგიდასთან" — კვარტალში ერთხელ აწყობს მწერლებისა და პოეტების შეხვედრას რაიონის მშრომელებთან, კვების მრეწველობის მუშაკებთან, როგორც ადგილზე, აგრეთვე უშუალოდ წარმოებებში.

პოეტები და მწერლები საზოგადოების წინაშე კითხულობენ ახალ ნაწარმოებებს, ეწყობა ცალკეულ მწერლებთან შეხვედრები მათი, შემოქმედების პოპულარიზაციის მიზნით.

„პოეზიის მრგვალ მაგიდასთან" უნდა მოეწყოს ახალგაზრდა მწერლებისათვის მაღალკვალიფიციური ლექციები ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე,

მჭიდრო კავშირი უნდა დაამყაროს კვების მრეწველობის საწარ-

მოებთან, სადაც გაეცნობიან ახალი ხუთწლედის გმირებს, შრომის ნოვატორებს, მოწინავე ადამიანებს, რათა შექმნან მათი შრომის ამსახველი ნაწარმოებები.

პირველი შეკრების შესახებ, თბილისის ქუჩებში მხატვრულად გაფორმებული აფიშები საზოგადოებას აუწყებდა:

„1974 წლის 28 მარტს, გორკის სახ. კულტურის სახლში (პლეხანოვის პროსპექტი 65. („პოეზიის მრგვალ მაგიდასთან" — ეწყობა ახალგაზრდა პოეტების გამოსვლა. პროგრამაშია: შესავალი სიტყვა — პოეტი ალ. შანიძე. მოხსენება — ახალგაზრდა ქართველი პოეტები — კრიტიკოსი ს. სიგუა. დანიშნულებისამებრ, საღამოს 6 საათზე კულტურის სახლის დიდი დარბაზი, პოეზიის მოყვარული მუშა და მოსწავლე-ახალგაზრდებით აივსო. საღამო გახსნა პოეტმა ალ. შანიძემ.

დევიზი — „ქართველი მწერლები ხუთწლედის მხარდამხარ", რომელიც ქართულმა მწერლობამ დაისახა, თავისი საქმიანობით ვალში არ რჩება. ამ დიდ საყოველთაო საქმეს. დღეს აქ, „პოეზიის მრგვალ მაგიდასთან" მოწვეული ცნობილი ქართველი ახალგაზრდა პოეტები პირნათლად პასუხობენ — სთქვა იმ საღამოს ალ. შანიძემ. ამიერიდან ხორციელდება ერთი, ჩვენი კარგი ჩანაფიქრი. ოქტომბრის რაიონის კომკავშირის რაიკომისა და საზოგადოება „ცოდნის" ახალგაზრდობასთან მომუშავე კომისიის დახმარებით გორკის სახ. კულტურის სახლთან შეიქმნა სექცია „პოეზიის მრგვალი მაგიდა", რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დადგენილებათა შუქზე გაშლის თავის მოღვაწეობას. სექციას ჰყავს საბჭო და თავისი ხელმძღვანელი. ჩვენი მიზანია, პერიოდულად მოვაწყოთ ქართველი პოეტებისა და მწერლების გამოსვლა მრგვალ მაგიდასთან, რათა მათი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები გავაცნოთ მშრომელ მოსახლეობას. აგრეთვე ჩვენმა მწერლებმა მიიღონ მკითხველთაგან კეთილი რჩევები და სურვილები შემოქმედებითი მოღვაწეობის უკეთ წარმართვისათვის.

მოეწყობა მწერალთა გამოსვლები მსხვილ წარმოება-დაწესებულებებში, სადაც ახალი ნაწარმოებების შექმნის მიზნით ისინი გაეცნობიან მოწინავე მუშებს, ნოვატორებს და ხუთწლედის გმირებს. ვფიქრობ, ასეთი სახის მუშაობაც სასარგებლო იქნება ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

საღამოზე მოხსენებით გამოვიდა კრიტიკოსი სოსო სიგუა. კრიტიკოსმა ვრცლად ილაპარაკა და გააშუქა თანამედროვე ქართული საბჭოთა პოეზიის მიღწევები. შემდეგ სათითაოდ დაახასიათა საღამოზე, მოწვეული ახალგაზრდა პოეტების შემოქმედება. მოხსენების შემდეგ, „მრგვალ მაგიდასთან „ახალი ლექსებით გამოვიდნენ დ. ივარდავა, გ. ალხაზიშვილი, გ. წე-

რეთელი, თ. აბულაძე და ნ. გაბრიჩიძე. ისინი თავიანთი ლექსებით უმღეროდნენ სამშობლოს, ძმობას, მეგობრობას, კომუნიზმის მშენებლობას და ბედნიერ მომავალს. ამ შეხვედრას დამსწრე საზოგადოება დიდი კმაყოფილებით შეხვდა.

ჩატარებული სხვა შეხვედრების გარდა უნდა აღინიშნოს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიებაც:

1974 წლის 11 ივნისს, გორკის სახ. კულტურის სახლში „პოეზიის მრგვალ მაგიდასთან" მოეწყო ლიტერატურული საღამო, მიძღვნილი დიდი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის დაბადების 175 წლისთავთან დაკავშირებით. საღამოზე შესავალი სიტყვით გამოვიდა პოეტი ალ. შანიძე. მან ილაპარაკა დიდი რუსი შემოქმედის მოღვაწეობაზე და განსაკუთრებით ხაზი გაუსვა პოეტის ურთიერთობას საქართველოსთან.

პუშკინის დაბადების 175 წლისთავისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ საღამოზე მოხსენებით „დიდი რუსი პოეტი ა. ს. პუშკინი" — გამოვიდა დოცენტი დ. ქუმსიშვილი.

დოცენტ დ. ქუმსიშვილის შინაარსიანი მოხსენების შემდეგ, პუშკინისადმი მიძღვნილი ლექსებით გამოვიდნენ პოეტები: გ. კაჭახიძე, შ. ამისულაშვილი, გ. ქავთარაძე, ვ. გორგანელი, თ. ჯანგულაშვილი, ლ. სტვილია, ნ. ჭედია და ს. წვერავა. ეს საღამოც მეტად საინტერესო იყო დამსწრე საზოგადოებისათვის.

1975 წლის 22 აპრილს კვლავ მოეწყო „პოეზიის მრგვალ მაგიდასთან" ახალგაზრდა ქართველი პოეტების შეხვედრა.

ეს შეხვედრა უფრო მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ იგი დაემთხვა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვ. ი. ლენინის, დაბადების 105 წლისთავს. საღამოს მრავალი გოგონა და ჭაბუკი დაესწრო. დრბაზი, თითქმის ველარ იტევდა მოზღვავებულ ხალხს.

აი, ამ ბედნიერ დღესთან დაკავშირებით მოეწყო „პოეზიის მრგვალ მაგიდასთან" ჩვენი სახელოვანი პოეტების გამოსვლა.

„ნება მიბოძეთ, „პოეზიის მრგვალ მაგიდასთან" ახალგაზრდა ქართველ პოეტებთან შეხვედრის საღამო გახსნილად გამოვაცხადო". მოხსენებით „ახალგაზრდა ქართველი პოეტების შემოქმედება" ილაპარაკა კრიტიკოსმა სოსო სიგუამ.

კრიტიკოსმა საკმაოდ ილაპარაკა მათ ახლად გამოცემულ ლექსთა კრებულებზე. კარგად შეაფასა პოეტების ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა და ისიც დასძინა, რომ მათი ლექსები ეხმაურებიან ჩვენი ყოფისა და კომუნიზმის მშენებლობის ახალ მოვლენებს.

დასასრულს ახალი ლექსებით გამოვიდნენ პოეტები: ა. ხარაიშვილი, გ. ჯულუხიძე, ნ. ადეიშვილი და შ. ხოდაშნელი.

დამსწრე საზოგადოება ამ საღამოთი დიდად კმაყოფილი დარჩა. ეს სასიკეთო საქმე „პოეზიის მრგვალი მაგიდის" ხელმძღვანელობის მიერ კვლავ გრძელდება.

ღსანიშნავია პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ალ. შანიძის შემოქმედება.

ვინც კეთილი საქმით მამულს ემსახურება და ბედნიერ მომავალზე ფიქრობს, მას არც ხალხი ივიწყებს, თავის ამაგდრად მიაჩნია და სიყვარულით იხსენებს.

საქართველოში კარგად ცნობილი პოეტი ალექსანდრე შანიძე ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც შემოქმედებით მუშაობას ეწევა.. იგი ჩვიდმეტი წლისა იყო, როცა პირველი ლექსი (1924 წელი) გამოაქვეყნა გაზ. „მოწაფის ხმაში", ხოლო პირველი „ლექსთა კრებული" 1928 წელს მიიღო მკითხველმა. მას შემდეგ პოეტის ოცდაათამდე წიგნი გამოიცა: „სიყვარულმა მათქმევინა", „ჩემი ოცნების ცისკარი", „გულის ნადები", „რაც მინატრია", „ჩემო სამშობლო", „სახატე მზის და ვარდისა" და სხვ.

პოეტი მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა. სამამულო ომის დაწყებამდე იგი ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირის ლიტერატურულ წრეს, რომელიც თბილისის ა. ჯაფარიძის სახ. საქალაქო სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან იყო ჩამოყალიბებული. ამ წრეში იყვნენ გაერთიანებული და პოეზიის მაღალი მწვერვალებისაკენ გზას იკაფავდნენ ამჟამად რუსთაველის პრემიის ლაურეატი პოეტი მ. ლებანიძე, ცნობილი პოეტი ვ. გორგანელი, ო. ჭელიძე, შ. ფოჩხიძე, ვ. ფხოველი (სამამულო ომში დაიღუპა), შ. მჭედლიშვილი, გამოჩენილი მწერალი რ. ჯაფარიძე და სხვ. ისინი ალ. შანიძის დახმარებით გაზეთებში აქვეყნებდნენ თავიანთ ჭაბუკობის ლექსებს.

პოეტ ალ. შანიძის მრავალ ლექსზე დაიწერა მუსიკა, რომელიც ხალხმა შეითვისა და შეიყვარა.

„სიმღერა ადამიანის სულის სარკეა, მისი სევდისა თუ სიხარულის გამომხატველი. ამ სარკეში პირველად პოეზიის ნაზი სტრიქონები ჩაიხედავს, ჩაწვდება და შემდეგ კომპოზიტორის მიერ მელოდიად აჟღერებული, მსმენელს სიამესა და სიხალისეს აგრძნობინებს.

დღეს ვერ ნახავთ პოეტს, რომლის რამდენიმე ლექსი მაინც სიმღერად არ ქცეულიყოს. კომპოზიტორსა და პოეტს შორის თითქოს იდუმალი სულიერი კავშირია დამყარებული, კარგი ლექსის საუკეთესო ხვედრია სიმღერაში აჟ-

ღერება... დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში ცნობილმა ქართველმა კომპოზიტორმა კოტე ფოცხვერაშვილმა მისი ლექსის „მებრძოლის სიმღერის" მიხედვით დაწერა ამავე სახელწოდების სიმღერა. ამ ნაწარმოებში კომპოზიტორმა ქართველი მებრძოლის გმირული სული და პატრიოტიზმი ჩააქსოვა. ქართველმა ჯარისკაცმა იგრძნო ეს და შეიყვარა მასზე დაწერილი სიმღერა, რომელსაც მღეროდა სანგრებში, მტერზე მომაკვდინებელი იერიშისთვის გამზადებული. სიმღერა იქცა მის მეგობრად, იგი მხარში ედგა, ამხნევებდა, ძალასა და ენერგიას მატებდა ძნელბედობის ჟამს.

ხალხმა თავის საკუთრებად აქცია ტკბილი, საამოდ სასმენი სიმღერა „ჩემო ტკბილო მეგობარო".

ამ სიმღერას ხშირად ვისმენთ რადიოთი და ტელევიზიით, აღსანიშნავია, რომ იგი იქცა მარშად და არა მარტო თბილისში, არამედ საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში სრულდება პარადის დროს.

პოეტმა ქებისა და დიდების სტრიქონები უძღვნა შრომის გმირ ქართველ ქალს, ქართველ დედას, ეს ლექსებია „სიყვარულმა მათქმევინა", „ქართველო დედავ", „მოხევე ქალს" და სხვა მრავალი. ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მარიამ არჯევნიშვილმა ისინი სიმღერად აქცია და ხალხს კიდევ უფრო შეაყვარა.

ცნობილმა ქართველმა კომპოზიტორმა შოთა მილორავამ მის პატრიოტულ ლექსზე „სამშობლო ჩემო" დაწერა მელოდიური სიმღერა სოლოსათვის. პოეტის ლექსებზე დაწერეს სიმღერები აგრეთვე კომპოზიტორებმა ლილი იაშვილმა „ჭაბუკთა სიმღერა", „შავგვრემანი და თვალებმაყვალა", ვ. ჭუმბურიძემ „რა ლამაზია, რა კარგი" და სხვ.

კომპოზიტორმა ა. ბუკიამ ალექსანდრე შანიძის ლექსის „საოცნებო ვარდების" ტექსტზე დაწერა ამავე სახელწოდების ლირიკული საესტრადო სიმღერა, რომელსაც ხშირად ვისმენთ ჩვენი ესტრადის გამოჩენილი მსახიობების შესრულებით. ახლახან ეს ნაწარმოები „მუსფონდმა" გამოსცა ნოტების სახით.

მელოდიურია და სასიამოვნოდ ჟღერს ცნობილი ქართველი კომპოზიტორის ბიძინა კვერნაძის ახალი სიმღერა „თბილისური ლაჟვარდები", რომელსაც ესტრადაზე ასრულებენ.

ახლახანს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" გამოსცა ალექსანდრე შანიძის ახალი ლექსთა კრებული „რაც მინატრია", „ჩემი სამშობლო" და „სახატე მზის და ვარდისა", პოეტის ნატვრა, პირველ ყოვლისა, მისი სამშობლოს კეთილდღეობა, მისი ნათელი მომავალი, მშობლიური მიწის ლაღი სუნთქვაა. ამ წიგნში შესული ლექსებიც ალბათ მალე იქცევა, ჩვენი კომპოზიტორების მუსიკის თემად"[1].

□□

მ. გორკის სახელობის კულტურის სახლთან ლიტერატორ ნინო ძაგნიძის ხელმძღვანელობით, 1958 წელს საფუძველი ჩაეყარა პირველ ლიტერატურულ წრეს, რომელშიაც გაერთიანდნენ მხატვრული ლიტერატურით დაინტერესებული კვების მრეწველობის საწარმოს მუშა-მოსამსახურეები, მათი ოჯახის წევრები და მოსწავლეები. მას შემდეგ თითქმის ორი ათეული წელი გავიდა, მაგრამ წრეს როდი შეუწყვეტია საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება. მისი ხშირი სტუმრები იყვნენ გ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, ი. გრიშაშვილი, ს. ჩიქოვანი და სხვები.

1974 წლიდან კულტურის სახლის დირექტორის ი. კაპანაძის მიწვევით წრეს სათავეში ჩაუდგა პოეტი შოთა ხოდაშნელი. აქ ოცზე მეტი კაცი გაერთიანდა. მის აქტიურ წევრებად ითვლებიან: რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი ვალ. ჯაფარიძე, პოეტი და მხატვარი ს. ჯაფარიძე (ალ. ჯაფარიძის ძმისშვილი), მხატვარი და ისტორიკოსი, არქეოლოგი ავ. ვართაგავა, მხატვარი, ჟურნალისტი და პოეტი ტ. ვართაგავა, თბილისის არალეგალური სტამბა-მუზეუმის დირექტორი პოეტი დ. მესხი, მწერალი-ფანტასტი და პოეტი რ. კახიძე, № 1-ლი ღვინის ქარხნის ეკონომისტი პოეტი ნ. სანაძე, პოლიტექნიკური ინსტიტუტის კვების მრეწველობის ფაკულტეტის სტუდენტი გ. ევსტაფიშვილი, ახალგაზრდა პოეტი-იუმორისტი ზ. მამულაშვილი, პედაგოგი და პოეტი უ. ლავრელაშვილი, ბიბლიოთეკარი, პოეტი ქალი ზ. გოდერძიშვილი; დამსახურებული პედაგოგი ვალ. ნაჭყებია, მთარგმნელი ლ. სალარიძე; პოეტი ქალი ნ. ჯერანაშვილი და სხვ.

ლიტერატურის მოყვარულთა მეცადინეობა იმართება სათანადოდ შემუშავებული პროგრამის მიხედვით, კვირაში ერთხელ ხდება როგორც თანამედროვე მწერლების შემოქმედების, ისე დამწყებ მწერალთა ნაწარმოების განხილვა, ეწყობა შეხვედრები მწერლებთან, კვების მრეწველობის მუშაკებთან, რის შემდეგ ახალბედები იძენენ ლექსის წერის ტექნიკურ ჩვევებს, — სწავლობენ თუ როგორ უნდა წერონ, რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება, რა არის მთავარი და მეორეხარისხოვანი. იმუშავებენ მხატვრული აზროვნების უნარს, თუ როგორ უნდა გაარჩიონ ნაწარმოებები. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ლექსის სტილს, რითმს, რიტმს, თავისებურებებსა და თვისობრიობას.

შეხვედრა ხდება პოეზიის მრგვალ მაგიდასთან, რომელსაც აწყობს გორ-

---

[1] ჟურ. „საბჭოთა საქართველო", 1967, № 12, გვ. 60.

კის სახელობის კულტურის სახლის ლიტერატურული წრე, საქართველოს ალკკ ოქტომბრის რაიკომი, საზოგადოება „ცოდნის" ახალგაზრდობა.

მ. გორკის კულტურის სახლთან არსებული ლიტერატურული წრე კვლავაც განაგრძობს კარგ ტრადიციებს, მუშა-მოსამსახურეთა შორის სულ უფრო მეტად ნერგავს ლიტერატურის სიყვარულს.

წრემ 1975 წლის 14 მარტს ბიბლიოთეკასა და საბავშვო სექტორთან ერთად მოაწყო მწერალ გიორგი ქავთარაძის ახალი რომანის „მზე ღრუბლებში" კითხვა-განხილვა. მოხსენება წაიკითხა ლიტერატურული წრის ხელმძღვანელმა, პოეტმა შ. ხოდაშნელმა. კამათში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა ს. ჯაფარიძემ და ა. ვართაგავამ. ჯაფარიძემ ილაპარაკა რომანის ღირსებაზე და ხაზი გაუსვა დაძაბულობას რომანში, ისაუბრა რომანის ლოგიკურ მხარეზე, ხოლო ა. ვართაგავამ დაახასიათა რომანის ცალკეული თავები. დეტალურად გაარჩია ფორმა და შინაარსი. მწერალმა გ. ქავთარაძემ გაიზიარა შენიშვნები...

1975 წლის 26 მარტს ლიტერატურულმა წრემ და ახალგაზრდა პოეტებმა მოაწყეს კვების მრეწველობის წარმოება-დაწესებულების მუშა-მოსამსახურეთა შეხვედრა დიდი სამამულო ომის მონაწილე მწერლებთან და პოეტებთან. ასეთებია: ალ. გომიაშვილი — წიგნის პალატის დირექტორი — ბრძოლებით ორჯერ გაარღვია გარემოცვა ქერჩში და გადაარჩინა ათეულობით მებრძოლი. ალ. შანიძე — პოეტი, საზოგადოება „ცოდნის" ახალგაზრდობასთან ოქტომბრის რაიორგანიზაციაში მომუშავე კომისიის თავმჯდომარე. დაჯილდოებულია რამდენიმე ორდენითა და მედლით; თ. ჯანგულაშვილი — პოეტი, გაზეთ „წიგნის სამყაროს" რედაქტორი. დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენითა და მედლებით, მთავარსარდლის რამდენიმე მადლობით; ვ. გორგანელი — პოეტი, ქართული მწერლობის პროპაგანდის ბიუროს თავმჯდომარე. ვ. ურჯუმელაშვილი იბრძოდა სამამულო ომში, შემდეგ იყო კორეაში. დაჯილდოებულია ომის II ხარისხისა, წითელი ვარსკვლავის ორდენებითა და მედლებით; ე. მაისურაძე — გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" პროზის განყოფილების გამგე, იბრძოდა ქერჩთან და მოსკოვთან. დაჯილდოებულია სამამულო ომის II ხარისხის ორდენითა და მედლებით; ვლ. თორდუა — გაზეთ „კომუნისტის" განყოფილების გამგე, დაჯილდოებულია ორდენებით და მედლებით;

შეხვედრა გახსნა და მათი საბრძოლო ბიოგრაფიები წაიკითხა ლიტერატურული წრის ხელმძღვანელმა შ. ხოდაშნელმა და გორკის სახ. კულტურის სახლის მოსწავლეთა თეატრის რეჟისორმა ლ. კობეშავიძემ. ომგამოვლილ მწერალთა სახელით სიტყვა წარმოთქვა ქერჩის ბრძოლების მონაწილე პოეტმა

ალ. გომიაშვილმა, რომლის ამაღელვებელმა სიტყვებმა აატირა დამსწრენი. მან ილაპარაკა ქერჩის ბრძოლებზე და აჯიმუშკაის ქვის სამტეხლოების მებრძოლთა განუმეორებელ გმირობაზე. ვლ. თორდუამ ქართველი მწერლების სახელით მადლობა გადაუხადა დამსწრეებს.

1975 წლის 21 აპრილს მოეწყო ახალგაზრდა პოეტების შეხვედრა, პატარა დარბაზში, სადაც 200-მდე მაყურებელი ეტეოდა. შესავალი სიტყვის შემდეგ პოეტმა ალ. შანიძემ დარბაზზე მიუთითა დამსწრეთ და აღნიშნა: პოეზიის სიყვარული იმდენად ძლიერია და მაღალი, რომ შეხედეთ, რამდენი მოყვარული დგას ფეხზეო. მან სიტყვა გადასცა ახალგაზრდა კრიტიკოს ს. სიგუას, რომელმაც მოკლედ ილაპარაკა ახალგაზრდა ქართველი პოეტების შემოქმედებაზე. პოეტებმა ა. ხასაიშვილმა, გრ. ჯატუხიძემ, ნ. ადეიშვილმა, შ. ხოდაშნელმა თავისი წიგნებიდან წაიკითხეს ლექსები, რომელიც დამსწრეებმა დიდი კმაყოფილებით მოისმინეს.

იმავე წლის 25 აპრილს სამამულო ომის 30 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მრეწველობის პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა და გორკის სახელობის ლიტერატურულმა წრემ შეხვედრა მოუწყეს ქ. თბილისის კვების მრეწველობის მუშაკებს, რომლებიც მონაწილეობდნენ დიდ სამამულო ომში და თავი გამოიჩინეს შრომის ფრონტზე. შეხვედრა მოეწყო ასეთი დევიზით: „დიდ სამამულო ომში და შრომაში გამარჯვებულთა ზეიმი". მოწვეული იყვნენ: ა. შენგელია —კონიაკის ქარხნის მთავარი ინჟინერი, გ. ლევაშოვი — თამბაქოს ქარხნის მექანიკოსი, პ. დარსაველიძე — ჩაის გადამწონი ფაბრიკის ტექნიკური კონტროლის განყოფილების გამგე, ი. სამადაშვილი № 1 პურის ქარხნის ზეინკალი, ვ. ფავლენიშვილი — შუშის ქარხნის მთავარი მექანიკოსი და სხვ.

ლიტერატურული გაერთიანების სახელით გამოვიდა შ. ხოდაშნელი ლექსით „სამადლობელო", რასაც დამსწრენი დიდი ოვაციით შეხვდნენ. განსაკუთრებით ლექსის იმ ნაწილს, სადაც ნათქვამია:

„ვაშა მშრომელის ძალას და სინდისს,
მოუცლელობას, არ დაღონებას.
ხასხასა ზვრები ქართული მიწის
პოემასავით დასტრიქონებას...
დიდი სიცოცხლე ვინც გაამართლა
და სიხარული აღმართა ცამდის
ნუ მოეშალოს ჩემს საქართველოს
მაგ დაკოჟრილი ხელების მადლი..."

მიმდინარე წლის 24 მაისს ლიტერატურულმა გაერთიანებამ და კულტუ-

 რის სახლის ბიბლიოთეკამ მოაწყო მ. შოლოხოვის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო. მწერლის შემოქმედებაზე ილაპარაკა მკითხველმა ლ. პეტრიკინამ, ხოლო მოთხრობა „ადამიანის ბედი“ გაარჩია შ. ხოდაშნელმა და აღნიშნა, რომ, როცა მ. შოლოხოვის ამ ნაწარმოებს ვკითხულობ მაგონდება ჩემი ბავშვობაო. 1943 წელი. ქ. თელავში „ბატონის წყაროსთან“ ვცხოვრობდით, ხუთი წლის ბიჭი გაოცებული შევყურებდი ქალებს და მიკვირდა, რომ დედა, დეიდები და ბებია იღიმებოდნენ. ამ დროს კარი გაიღო და მზით გარუჯული, გამხდარი აგებულების კაცი შემოვიდა, კოჭებამდე ფარაჯა ეცვა. მამა, მამა მივაძახე და მოვეხვიე, დიდ ბრაგუნა ჩექმებსა და ფარაჯის კალთებს კოცნა დაუწყე. მან ხელში ამიყვანა და სანამ არ დამეძინა, ვერაფრით ვერ მომაშორეს. მამა ფარაჯით მახსოვდა და მამა მეგონა. ის კი თურმე ბიძაჩემი დათიკო გიორგობიანი ყოფილა.

ჩვენი სოფლის სკოლაში 1945 წელს შევედი. ჩემი სკოლელი ბიჭები ყელყელაობდნენ, რიხით, ხმამაღლა იძახდნენ მამამ საქონელი გამატანა, მამამ მკაში წამიყვანა, ნარიან ველზე წამომიყვანა, მე და ექვსიოდე ბიჭი ვიყავით აბუზულები, თითქოს დანაშაული რაიმე ჩაგვედინოს — ჩვენ, მაგ სიტყვის თქმის უფლება არ გვქონდა. ყველას ღამღამობით გვესიზმრებოდა მამა. დედას უსიებდით ისედაც დადარდიანებულ გულს. ვეკითხებოდით სად არის მამა? ომი ხომ დამთავრდა? მაშ რატომ არ მოდიან? მოვლენო, იყო პასუხი და უმალვე სახეს გვერდზე მიიბრუნებდნენ. ყოველ გადაფრენილ თვითმფრინავს უმამოები შევძახოდით: — „პაეროპლანო, მოგვიყვანე მამა და მოლოდინით პატარა გულები გვიმშვიდდებოდა. გვეგონა ჩვენს თხოვნაზე იმ ღამითვე მოვიდოდა მამა... გვჯეროდა და ამ რწმენამ მოგვიყვანა დღემდე. უკვე მამები ვართ და მაინც მამაზე ვოცნებობთ. მე ის ვარ, ვისი მსგავსიც ბევრია, ძალიან ბევრი; ის ვისაც ომმა წაართვა ბავშვობა.

და ახლა, როცა ძველი მეომრები იკრიბებიან და მათ ვხედავ, ასე მგონია 1942 წლის აგვისტოში კავკასიისათვის გმირულად დაღუპული პოლკოვნიკი მამა გამომეცხადება-მეთქი. აი, ასეთი ფიქრები და განცდები მეუფლება, როცა მ. შოლოხოვის „ბედი კაცისას“ ვკითხულობ. ძალიან ახლობელია და ნაცნობი ის განცდები, რაც ანდრეი სოკოლოვს აქვს. ეს არის საოცრად თბილი და სახარულის ტკივილებამდე დაყვანილი მძაფრი, მართალი ნაწარმოები. იგი ამაღლებულ, გაუტეხელ, უდრეკ სულს, გამძლეობას და ვაჟკაცობას გვინერგავს და დიდ ზეგავლენას ახდენს მკითხველზე.

პოეტმა ი. კავკაზაძემ ილაპარაკა მწერლის სხვა ნაწარმოებების ღირსებებზე, მ. გორკისა და მ. შოლოხოვის ურთიერთ დამოკიდებულებების შესა-

ხებ. როგორ აფასებდა პროლეტარული მწერლობის ფუძემდებელი ამ ნიჭიერ მწერალსა და შემოქმედს, ჯერ კიდევ მისი პირველი ნაწარმოებებიდან და სხვ.

ეს საღამო ერთი პატარა ნაწილია ლიტერატურული წრისა და ბიბლიოთეკის საბჭოს სისხლსავსე და ნაყოფიერი მუშაობისა.

იგი ასევე აქტიურად არის ჩაბმული ი. ჭავჭავაძის სახელობის მედიცინის მუშაკთა სახლში. იგი ლიტერატურული გაერთიანების წევრია. აქ მან წაიკითხა მოხსენებები იპ. ვართაგავას შესახებ. პირველად მის სიცოცხლეში, როცა მას დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა, შ. ხოდაშნელის ინიციატივით ლიტერატურულმა გაერთიანებამ აღნიშნა ეს თარიღი. „იპ. ვართაგავას ცხოვრება და მოღვაწეობა", ხოლო მეორედ მისი გარდაცვალების შემდეგ, დაბადებიდან 100 წლისთავზე. სათაურით „იპ. ვართაგავა და ქართველი საზოგადოება 1907—1969 წლამდე".

1973 წელს, როცა მთელი საბჭოთა ხალხი ზეიმობდა ვლ. მაიაკოვსკის დაბადების 80 წლისთავს, ამ თარიღს ი. ჭავჭავაძის სახელობის მედიცინის მუშაკთა სახლის ლიტერატურული წრეც გამოეხმაურა. წრის წევრებმა ვლ. ჯაფარიძემ, რომელიც 20 წლით უფროსი იყო მაიაკოვსკიზე, მოიგონა ძალიან საინტერესო და სასიამოვნო შემთხვევები მასთან ურთიერთობის, როგორც ქუთაისში, ისე მოსკოვში. წრის ხელმძღვანელმა ი. თავლიაშვილმა, მწერალმა გ. ქავთარაძემ, სახალხო მთქმელმა და მომღერალმა ლ. გორდაშვილმა და შ. ხოდაშნელმა წაიკითხეს მოგონებები და საკუთარი ლექსები.

ასევე გამოვიდა შ. ხოდაშნელი მოხსენებით ცნობილი მთარგმნელის, მხატვრის, საზოგადო მოღვაწის, დამსახურებული პედაგოგის ვლ. ჯაფარიძის დაბადებიდან 85 და მოღვაწეობის 65 წლისთავზე. ეს მოხსენება დაიბეჭდა 1974 წლის გაზეთ „სახალხო განათლებაში".

მიმდინარე წლის 2 ივნისს შ. ხოდაშნელმა ლიტერატურული წრის სახელით მონაწილეობა მიიღო იკორთის — ქართული ძეგლის დაარსების 800 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმზე და წაიკითხა საკუთარი ლექსი „იკორთა".

შ. ხოდაშნელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში, 1958 წლიდან 1963 წლამდე მონაწილეობას იღებდა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ ექსპედიციაში, რომელიც მოეწყო საქართველოს მასშტაბით. შ. ხოდაშნელის მიერ შეგროვილი მასალები შეტანილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის 1973 წელს გამოცემულ „ქართულ ხალხური პოეზიის" მეორე ნაწილში, როგორც უნიკალური მასალა. პოეტ შ. ხოდაშნელის ლირიკული ლექსების ორი კრებულია გამოსული. „ნაც—

ნობი ბილიკი“ (1968) და „გზა“ (1974). გამოსაცემად მომზადებულია მისი საბავშვო ლექსები და იუმორისტული მოთხრობები. 1960 წლიდან რესპუბლიკის თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება შ. ხოდაშნელის ლექსები, იუმორისტული მოთხრობები, რეცენზიები და წერილები.

მ. გორკის სახელობის კულტურის სახლის ლიტერატურული გაერთიანება ამჟამად ადგენს ლიტერატურულ ალმანახს სახელწოდებით „ცისარტყელას ფერები“, რომლის ძირითადი ნაწილი უკვე შედგენილია.

□□

არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მ. გორკის სახელობის კულტურის სახლის მიერ მოპოვებული ის დიდი მიღწევები, რომლებიც მისი ხელმძღვანელის, კულტურის დამსახურებული მუშაკის ილია კაპანაძის ენერგიული და დაუღალავი შრომის შედეგია.

შრომისუნარიანობა და ენთუზიაზმი, რასაკვირველია, საკმარისი არ არის, ი. კაპანაძის ღირსეულ ორგანიზატორული საქმიანობისათვის. მის დიდ ღირსებას ისიც შეადგენს, რომ იგი თვითონ იყო შემოქმედი, თვითონ განიცადა და შეისწავლა თეატრის ცხოვრების ავ-კარგი, ყოველი ნიუანსი.

შეიძლება ხშირად შეგვხვდეს გამოცდილი სამეურნეო მუშაკი, ორგანიზატორი, საერთოდ, მომზადებული ადამიანი, მაგრამ თეატრი იქნება ეს თუ კულტურის სახლი საქმე მაინც რიგზე არ იყოს. ალბათ, იმიტომ, რომ სადღაც გულის სიღრმეში ეს ადამიანი გულგრილია თეატრის მიმართ. შესაძლოა ზოგმა არც კი აღიაროს, რომ მისთვის არსებითად სულერთია სად იმუშავებს. თეატრი კი ისეთი დაწესებულებაა, რომლის ხელმძღვანელისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ სამეურნეო მუშაობის გამოცდილება, ენერგიულობა და ინიციატივა. არაფერს შეუძლია თეატრისადმი სიყვარულის ანაზღაურება. ეს მოწოდებაა, რომელსაც თან ერთვის წლების განმავლობაში შეძენილი გამოცდილება, პირადი პრაქტიკის საფუძველზე შეძენილი თეატრის წარმოების ზედმიწევნით ცოდნა, მისი ბუნების სპეციფიკის ფაქიზი გაგება — მხოლოდ ამას და მეტს არაფერს შეუძლია გახადოს ადამიანი თეატრის ჭეშმარიტ ხელმძღვანელად, ორგანიზატორად.

სწორედ ამ ტიპის მოღვაწეა ი. კაპანაძე. ეკონომიკას, ადმინისტრაციულ სფეროს არასოდეს დაუჩრდილავს მისთვის მხატვრული კოლექტივების შემოქმედებითი ცხოვრება, მას თანდაყოლილი აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა, უანგარობა და თეატრისადმი სიყვარული.

ი. კაპანაძის სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული ქართული ოპერის გარკვეულ პერიოდთან. თეატრს ეკუთვნოდა და ეკუთვნის მისი ცხოვრების

ყოველი დღე. დღესაც შუახანს მიტანებული და ვალმოხდილი მოღვაწე ყოველ ახალ წარმოდგენას, ყოველ პრემიერას სიხარულით ეგებება.

ი. კაპანაძესთან მუშაობა ყველა რეჟისორს უყვარს. იგი დროზე ზრუნავს, თუ სად მოინახოს დადგმისათვის საჭირო მასალა, როგორ მომზადდეს დეკორაციები, რეკლამები. ხშირად ჩუმად შედის რეპეტიციის დროს დარბაზში და იმახსოვრებს რეჟისორის შენიშვნებს. პირველი შენიშნავს ნაკლს, წარმოდგენის ჩავარდნას საშინლად განიცდის, ნამდვილი წარმატებებით კი ამაყობს და ბავშვივით ხარობს.

...ილია კაპანაძე ბავშვობიდანვე იჩენდა სიმღერისადმი მიდრეკილებას. თბილისის 52-ე საშუალო სასწავლებელში, სადაც იგი სწავლობდა სცენისმოყვარეთა ინიციატივით ხშირად იმართებოდა წარმოდგენები და საღამო-კონცერტები.

1939 წელს, 12 წლის ჭაბუკი ი. კაპანაძე გაბედულად ჩაუდგა სათავეში სკოლის მოსწავლეთა გუნდს, მოამზადა და საskოლო კონცერტზე გამოიყვანა. აქ მან სათანადო ნიჭი გამოავლინა, რისთვისაც სკოლის დირექტორის მადლობა დაიმსახურა.

ამ დღიდან ილიამ გადაწყვიტა თავისი მომავალი ცხოვრება საგუნდო ხელოვნების ხაზით წარემართა. ასედაც მოხდა, 14 წლის ჭაბუკი უკვე მღეროდა ცნობილი ლოტბარის მ. კავსაძის გუნდში.

1945 წელს, იგი საქართველოს სსრ სახალხო არტისტის მარო თარხნიშვილის ხელმძღვანელობით არსებულ ქართლ-კახური სიმღერებისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში გადადის სოლისტად. იგი აქ თავისუფლად ეუფლებოდა რთულ ხალხურ სიმღერებს.

მის ზრდას ხელს უწყობდა ლოტბარი მ. თარხნიშვილიც, რომლის უშუალო ხელმძღვანელობით ი. კაპანაძემ მრავალი სიმღერა შეისწავლა.

ახალგაზრდა ჭაბუკს ამ გუნდში ძირითადად ქართ-კახური სიმღერების შესწავლა უხდებოდა. მ. და ე. თარხნიშვილებთან, შ. კოჰზირიძესთან ერთად იგი ასრულებდა მრავალჟამიერს, ჩაკრულოს, ზამთარიასა და სხვას.

მრავალჟამიერი, ზამთარია და მალხაზის მთელი პარტია ზ. ფალიაშვილის „დაისიდან" ჩაწერილია ფირფიტაზე.

1948 წელს ი. კაპანაძე უმაღლესი განათლების მიღების მიზნით დროებით ტოვებს ანსამბლს და სწავლას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე, რომელსაც 1953 წელს ამთავრებს. უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად იგი ეწყობა ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიასთან არსებულ ნიჭიერთა მუსიკალურ ათწლედში ცნობილ მომღერალ და პედაგოგთან, ამჟამად კონსერვატორიის პროფესორ გ. გოგიჩაძის კლასში.

1955 წელს ი. კაპანაძე ცოდნის გაღრმავების მიზნით მიემგზავრება მოსკოვში და სწავლას აგრძელებს გნესინების სახელობის მუსიკალურ პედაგოგიურ ინსტიტუტში, საქართველოს სსრ სახალხო არტისტთან დ. ბადრიძესთან.

იქ ყოფნის პერიოდში ი. კაპანაძეს ხშირად უხდებოდა გამოსვლა კონცერტებზე სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებში. თავისი მელოდიური ხმით და საშემსრულებლო ოსტატობით აღტაცებაში მოჰყავდა მსმენელი.

მოსკოვში ყოფნის ორი წლის შემდეგ იგი კვლავ თბილისში ბრუნდება და მეცადინეობას აგრძელებს თავის პედაგოგ გ. გოგიჩაძესთან.

1954 წელს ი. კაპანაძე მუშაობას იწყებს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში სოლისტად. აქ, მასზე, როგორც პროფესიონალი მომღერლის ჩამოყალიბებაზე დიდი როლი შეასრულა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ საქართველოს ფილარმონიის კამერული განყოფილების მთავარმა კონცერტმაისტერმა რახილ ხარიტონის ასულ გლეზერმა.

ამ პერიოდში ი. კაპანაძეს ბევრჯერ შეუსრულებია სხვადასხვა არიები ოპერებიდან ორკესტრის თანხლებით. სხვადასხვა დროს კი მონაწილეობას იღებდა აგრეთვე საკონცერტო ბრიგადებში, როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

1956 წლიდან კი გვევლინება ზ. ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტად. მის მისვლას დაემთხვა 1957 წელს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მეორე დეკადისათვის დიდი მზადება.

მის მიერ დეკადაზე შესრულებული იქნა პარტიები შემდეგ ოპერებში: ჩაიკოვსკის „ორლეანელ ქალწულში" — მონახი.

ლ. თორაძის „ჩრდილოეთის პატარძალში"—მთავარი მომრიგებელი. ოპერა გატანილი იქნა მოსკოვში დეკადაზე დიდი თეატრის სცენაზე, რომელსაც დიდი გამარჯვება ხვდა წილად.

დეკადის მსვლელობის პერიოდში მოსკოვში ი. კაპანაძეს ხშირად უხდებოდა გამოსვლა წარმოება-დაწესებულებებში გაზ. „იზვესტიის" რედაქციაში, ბურთულა-საკისრების ქარხანაში და სხვაგან. ყველგან გულთბილ შეხვედრას უწყობდნენ მსახიობს. მის მიერ შესრულებული იყო შემდეგი ნომრები დ. არაყიშვილის „ურმული", ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისიდან" მალხაზის

არია, პუჩინის ოპერა „ტოსკადან" კავარადოსი, პ. ჩაიკოვსკისა და მ. გლინკას რომანსები. აქ მის გამოსვლას თან ახლდა მსმენელთა მქუხარე ოვაციები.

თბილისის ოპერის თეატრში მოღვაწეობის პერიოდში ი. კაპანაძეს შესწავლილი ჰქონდა მალხაზის პირველი პარტია „დაისში", მოძახილი „აბესალომ და ეთერში", დავით გურამიშვილი კ. მეღვინეთუხუცესის „დავით გურამიშვილში", კოტე ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეში" და სხვ.

აქედან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მალხაზის პარტიის შესრულება ოპერა „დაისში", რომელიც მის შემოქმედებით მწვერვალს წარმოადგენს, რის შესახებაც არაერთხელ აღინიშნა ჩვენს რესპუბლიკის გაზეთებში.

ი. კაპანაძე 1962 წლიდან რამდენიმე წლის განმავლობაში მუშაობდა საქართველოს პროფსაბჭოს კულტურის განყოფილების მეთოდისტად.

1968 წლიდან იგი გადადის რუსთავის მეტალურგთა კულტურის სახლის დირექტორად, 1970 წლიდან კი სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის რესპუბლიკური კულტურის სახლის დირექტორად, ხოლო 1974 წლიდან კი იგი მუშაობს მ. გორკის სახელობის კულტურის სასახლის დირექტორად.

მისი ხელმძღვანელობით მ. გორკის სახ. კულტურის სასახლესთან არსებული მხატვრული კოლექტივები წარმატებას აღწევენ. საკმარისია მარტო ის, რომ მისი მუშაობის პერიოდში პირველმა რესპუბლიკაში ერთდროულად მიიღო ფულადი პრემია, მეორე ხარისხის დიპლომი და სასახლის წოდება.

მისი მოსვლის შემდეგ კულტურის სახლში გაფართოვდა მხატვრული თვითმოქმედების წრეების რაოდენობა. დაარსდა „ერთი მსახიობის „თეატრი", „პოეზია მრგვალ მაგიდასთან", „ვოკალური წრე" (როგორც მოზრდილთათვის, ისე პატარებისათვის), „სახალხო უნივერსიტეტი", აღსდგა ლიტერატურული წრე. აიღო შეფობა მანავის მეურნეობაზე. კულტურის სახლის ძალებით ადგილზე უტარებენ კონცერტებს, ეხმარებიან ყურძნის გასხვლაში. კულტურის სახლთან არსებულ კინომოყვარულთა სექციამ გადაიღო დოკუმენტური კინოსურათი „მანავი", რომელიც საჩუქრად გადაეცა მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას.

მისი მოსვლის შემდეგ უფრო მეტად გამტკიცდა კავშირი კვების მრეწველობის წარმოება-დაწესებულებებთან (პურის, ხორცის, რძის, ცხიმის, ხალეულ-წყლებისა და სხვათა კომბინატებთან, ასევე შამპანური ღვინის ქარხანასთან). გაიხსნა აგრეთვე კულტურის სახალხო უნივერსიტეტი. უნივერსი-

ტეტს აქვს სამი ფაკულტეტი: ლიტერატურის, სამუსიკო და კინოხელოვნების.

უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობენ ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები. უნივერსიტეტის სწავლის ხანგრძლივობა 3 წელია. კურსდამთავრებულებს ეძლევათ სათანადო დიპლომები.

უნივერსიტეტში შესვლის უფლება პირველ რიგში ეძლევათ საწარმოო დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებს.

სამამულო ომში გამარჯვების 30 წლისთავთან დაკავშირებით მოეწყო შეხვედრა რევოლუციის მონაწილე შრომის ვეტერანებთან, როგორც ადგილზე, ისე წარმოებებში.

ამ დღეებთან დაკავშირებით გაფორმებული იქნა კულტურის სახლის ტერიტორია. გაკეთდა სამამულო ომში მონაწილე ვეტერანთა ხეივანი, სადაც გამოფენილი იყო სტენდები. მათზე გამოხატული იყო კვების მრეწველობის მიღწევები. ასევე ნაჩვენები იყო ოქტომბრის რაიონის მოწინავე ახალგაზრდობის მიღწევები. დაიდგა XXIV ყრილობისადმი მიძღვნილი სტენდი, ასევე გაკეთდა XXV ყრილობისადმი მიძღვნილი სტენდიც.

კულტურის სახლის დარბაზში ეწყობა დასვენებისა და გართობის საღამოები კვების მრეწველობის მუშაკებისათვის. ეწყობა საჯარო ლექციები, სახელოვან მეცნიერებთან, ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. ასეთი ღონისძიებებით იზრდება შრომითი ნაყოფიერება.

ცნობილია, რომ ადრეც არსებობდა ინტერნაციონალური კავშირი კიევის კვების მრეწველობის მუშაკთა კულტურის სასახლესთან და ახლაც გრძელდება ეს ტრადიცია. მაგალითად გასულ წელს ი. კაპანაძე კულტურის სახლის ქორეოგრაფიულ ანსამბლთან ერთად იმყოფებოდა კიევში.

დიდი შრომა და ენერგიის დახარჯვა დასჭირდა ი. კაპანაძეს იმისათვის, რომ კულტურის სახლი შეეტანათ მეხუთე ხუთწლედის გეგმაში სარეკონსტრუქციოდ. ამასთან ერთად აშენდება ახალი ორსართულიანი კეთილმოწყობილი შენობა, იქ, სადაც ამჟამად კულტურის სახლის ბიბლიოთეკა მდებარეობს. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების და საერთოდ სხვა სახის წრეების გაშლა-გაფართოების საქმეს.

ი. კაპანაძეს 1971 წელს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება.

□□

1972 წელს მ. გორკის სახელობის კულტურის სახლთან შეიქმნა კვების მრეწველობის მუშაკთა სახალხო უნივერსიტეტი, სადაც გაერთიანებულია

თბილისის კვების მრეწველობის საწარმოთა ინჟინერ-ტექნიკური და მუშათა პერსონალი.

სახალხო უნივერსიტეტის მსმენელთა სწავლებას ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის პრორექტორი — კვების მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე შ ა ლ ვ ა ლ ე ბ ა ნ ი ძ ე. იგი ლექციების ორგანიზატორია, იწვევს ლექტორებს, მსმენელთა შორის. ატარებს კონფერენციებს, ხელმძღვანელობს საკონკურსო რეფერატების მომზადებას, აწყობს კონსულტაციებს, უზრუნველყოფს მსმენელთაგან წამოჭრილი საინტერესო საკითხების პრაქტიკულად განხორციელებას, ურჩევს მსმენელებს თემებს შემაჯამებელი მეცადინეობისათვის და წინასწარ ატარებს კონსულტაციებს. პრორექტორი ორგანიზაციას უწევს აგრეთვე, უნივერსიტეტის მსმენელთა დაკომპლექტებას.

კვების მრეწველობის სამინისტროსთან შექმნილია სახალხო უნივერსიტეტის ურთიერთხელშემწყობი საბჭო და რექტორატი. აგრეთვე მეთოდსაბჭო, რომლებიც მეთოდური მითითებით ხელმძღვანელობენ უნივერსიტეტის მუშაობას.

საბჭოს თავმჯდომარეა პ. ხოფერია. უნივერსიტეტის რექტორი—გ. ზაუტაშვილი, მეთოდსაბჭოს თავმჯდომარე — თ. ნანიტაშვილი.

სახალხო უნივერსიტეტის მსმენელთა სწავლება მიმდინარეობს წინასწარ შედგენილი და დამტკიცებული პროგრამის მიხედვით. სასწავლო პროგრამა მოიცავს ლექციებსა და სემინარულ (პრაქტიკულ) მეცადინეობებს.

ლექციები ტარდება კვების მრეწველობის ეკონომიკის, წარმოების ორგანიზაციის, მართვის საფუძვლების, ტექნოლოგიისა და ტექნიკური პროგრესის საკითხებზე.

სემინარული მუშაობის ჩატარების შემდეგ ხდება წაკითხული ლექციებისა და სემინარული მუშაობის საწარმოო კინოჩვენება. ასეთი კინოფილმებია: „ვემსახუროთ პროგრესს", „ჯადოსნური ქსელი", „სიტყვა კიბერნეტიკაზე", „ლუდის ტექნოლოგია", „კონსტრუქტორი და კიბერნეტიკა", „წარმოება და ეკონომიკა", „შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და წარმოების კულტურა", „მცენარეული ზეთების წარმოება", „დაიცავით უსაფრთხოების ტექნიკა პურის ქარხნებში", „ადამიანი და ავტომატი" და სხვ.

გარდა ამისა, ხდება რესპუბლიკის კვების მრეწველობის საწარმოთა დათვალიერება. უნივერსიტეტის მსმენელებმა დაათვალიერეს კონიაკის ქარხანა, შამპანურის, ღვინის ქარხანა და თბილისის ღვინის ქარხნები; შოკოლადის, საწარმოო კომბინატის (არყის). აგრეთვე, საქართველოს პოლიტექნიკური ინს-

ტიტუტის, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორატორიები.

ყოველი წლის ბოლოს, ე. ი. სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ, ხდება კონფერენციის ჩატარება მსმენელთა შორის. იკითხება მოხსენებები და ფართოდ იშლება კამათი მოხსენებათა ირგვლივ. აგრეთვე, ყოველ წელს ხდება შერჩევა (კონკურსის შედეგად) საუკეთესო რეფერატული ნამუშევრების, რომლებიც იგზავნება სახალხო უნივერსიტეტის მასალათა სრულიად საკავშირო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსოდ გაიგზავნა შემდეგ მსმენელთა რეფერატები: რ. მესხის „მარქსის სისტემა და გადაწყვეტილების მიღება", ნ. ჯავახიშვილის „წარმოების მართვის სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემები", ც. ქარუმიძის „სასწავლო ფონდები და მათი გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების ქსელი", ლ. ჰაბუკიანის „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სტიმულირება".

ლექცია-სემინარების ჩატარებისათვის სხვადასხვა უმაღლეს სამეცნიერო დაწესებულებიდან ხდება კვალიფიციურ ლექტორთა მოწვევა. სახალხო უნივერსიტეტის ლექტორებად მოწვეული არიან: ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორები. პროფესორები: ა. ნიჟარაძე, ი. იაკობაშვილი, თ. ნანიტაშვილი, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორები: გ. პაპავა და დ. ძნელაძე; ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატები: ს. გიაშვილი, რ. ჯაოშვილი; ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატები: ე. გაფრინდაშვილი, დ. ჩომახიძე, მ. გედენიძე, ი. აბესაძე, ზ. ჩხეიძე, გ. კახნიაშვილი, ლ. ბერიშვილი.

გარდა სპეციალური სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ თემებზე წაკითხული ლექციებისა, სახალხო უნივერსიტეტის მსმენელებს ეკითხებათ ლექციები თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობაზე სკკპ საგარეო პოლიტიკის შესახებ, სოციალური ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობაზე და სხვ. საერთაშორისო თემაზე ლექციებს კითხულობენ პროფესორი ე. მენაბდე, დოცენტი ი. ციციშვილი, გ. კაპანაძე.

სახალხო უნივერსიტეტს ორი ფაკულტეტი აქვს — ტექნოლოგიური და ეკონომიური. გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ივნისში გაიხსნას მესამე — „წარმოებისა და მართვის ავტომატიზირებული სისტემების" ფაკულტეტი.

სახალხო უნივერსიტეტის მსმენელთა გამოშვება ხდება სამწლიანი სწავლების კურსით.

1975 წელს სახალხო უნივერსიტეტი დაამთავრა 100-ზე მეტმა კვების მრეწველობის მუშაკმა. მათ მიიღეს უნივერსიტეტის დამთავრების საკავშირო სტანდარტული დიპლომები.

უნივერსიტეტში სწავლება, აამაღლებს ინჟინერ-ტექნიკოსთა კვალიფიკაციას, გააუმჯობესებს საწარმოთა ოპერატიულ ხელმძღვანელობას, რის გამოც წარმოების ეფექტიანობა მაღალ დონეს მიაღწევს.

სასწავლებლის კურსდამთავრებულები უკეთეს თანამდებობაზე ინიშნებიან იმ წარმოებებში, სადაც თვით უხდებათ მოღვაწეობა.

1975 წლის 21 ივნისს სახალხო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, მოწინავე მსმენელები 16 კაცის შემადგენლობით, სამინისტროს მიერ დაჯილდოებულნი უფასო საგზურებით, საექსკურსიოდ გაემგზავრნენ ტალინში. ესენი არიან: თ. პაპალაძე, ნ. სიდამონიძე, ც. ქარუმიძე, კ. ნიჟარაძე, თ. შავლაყაძე, ლ. ჰაბუკიანი, ლ. თარუხანაშვილი, ზ. მდივანი, ნ. ღვალაძე, ჯ. თევდორაძე, ჯ. თოფჩიშვილი, ა. ბუძიაშვილი, ნ. თოდუა, ი. არჩუაძე, გ. აბრამიშვილი და ნ. მრევლიშვილი.

□□

მ. გორკის სახელობის კულტურის სახლთან არსებულ ბიბლიოთეკას არსებობის კარგახნის ისტორია აქვს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი ეკუთვნოდა მშენებელთა კავშირს, ამჟამად კი კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკის კომიტეტის განკარგულებაშია.

1951 წლიდან ბიბლიოთეკას სათავეში ჩაუდგა სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, 61-ე შრომის სკოლის მასწავლებელი რუსუდან მიქელაძე, რომელიც დღესაც ახალგაზრდული ენერგიით, დიდი ენთუზიაზმითა და საქმის ცოდნით ემსახურება ამ კეთილშობილ საქმეს.

გორკის სახელობის კულტურის სახლთან არსებული ბიბლიოთეკა ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში. იგი მომსახურებას უწევს არა მარტო მიკრორაიონის მშრომელებს, არამედ კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირებში შემავალ ფაბრიკა-ქარხნებსა და დაწესებულებებს. ყოველდღიურად ბიბლიოთეკა ემსახურება 200-მდე მკითხველს.

აქ თითოეულ წიგნს სათუთად უვლიან. იშვიათია შემთხვევა, რომ არ მოიძახოს მკითხველთათვის სასურველი ლიტერატურა.

რ. მიქელაძის მისვლამდე ფონდი 10.000 ეგზემპლარ წიგნს შეადგენდა, ამჟამად მისი თავდადებული და ენერგიული მუშაობის შედეგად იგი თანდათან გაფართოვდა და დღეს 52.000 ეგზემპლარს მიაღწია. კულტურის სახლის გამგეობის ხელის შეწყობით და დახმარებით ხდება ყველა დარგის ლიტერატურის დროულად შეძენა და დაკომპლექტება.

ბიბლიოთეკას გამოწერილი აქვს 100-მდე დასახელების ჟურნალ-გაზეთი. განსაკუთრებით ყურადღება ექცევა მთავრობის დადგენილებების, ყრილობების, პლენუმების, სესიების მასალების შეძენისა და პროპაგანდის საკითხს. ახალი ლიტერატურის შეძენისას გათვალისწინებულია ქართველ, რუს, სომეხ მკითხველთა მოთხოვნილებები.

ბიბლიოთეკის მთავარი ამოცანაა მასების იდეურ-პოლიტიკური განვითარება, მასებამდე ზემდგომი ორგანოების დადგენილებების დაყვანა, აღზრდა ახალი ადამიანისა, რომელიც თავისუფალი იქნება ძველი, მავნე გადმონაშთებისაგან.

წიგნის პროპაგანდის ყველაზე კარგი საშუალებაა მასობრივი ღონისძიებები, მკითხველთა კონფერენციები, წიგნის განხილვა, კითხვა-პასუხისა და ლიტერატურის საღამო, დისპუტები, კინოფილმების გარჩევა, ლექციები, ექსკურსიები ისტორიულ და ღირსშესანიშნავ ადგილებში, რაც წლების მანძილზე ბიბლიოთეკას გეგმიანად ჩაუტარებია და ატარებს.

კულტურის სახლის ბიბლიოთეკა დიდიხანია ჩაბმულია ბიბლიოთეკებს საკავშირო დათვალიერებისათვის მზადებაში. მოწყობილია გამოფენა, თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული სახელმძღვანელო მასალები, სარეკომენდაციო ლიტერატურის სია, დიდი და პატარა პიესები, სიმღერების ტექსტები სხვადასხვა ჟანრის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლებისა და სოლისტებისათვის.

მუდმივ მკითხველთა შორის არიან პროპაგანდისტები, აგიტატორები, ჟურნალისტები, ექიმები, ინჟინრები, მუშები, მოწინავე ახალგაზრდობა.

დიდ დახმარებას უწევს ბიბლიოთეკას საბჭო და აქტივი, წიგნადი ფონდის დაკომპლექტებისა და მასობრივ ღონისძიებების მოწყობაში, დაგვიანებული წიგნების შეგროვებაში.

1968 წლის 17 ოქტომბერს ბიბლიოთეკის საბჭოს მიერ მოწყობილ იქნა ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

კულტურის სახლის გამგეობამ 1969 წლის 13 თებერვალს ბიბლიოთეკის საბჭოსთან ერთად მოაწყო დიდი რუსი პოეტის ი. ა. კრილოვის დაბადების 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო.

ასევე იქნა წარმოდგენილი საბჭოს მიერ ლიტერატურული საღამო, მიძღვნილი მ. გორკის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი. ალექსი მაქსიმეს ძე გორკის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მოხსენება გააკეთა გ. კონდრევიჩმა, „გორკი და საქართველო" — ზ. სამადაშვილმა.

დასასრულს გაიმართა კონცერტი. მ. გორკის პიესიდან „ვასა ჟელეზნოვა". წარმოადგინეს ნაწყვეტი — ვასასა და რაშელის შეხვედრა. (ამავე კულტურის

სახლთან არსებული სახალხო თეატრის მსახიობებმა ლ. კობეშავიძემ და ს. ჩუბინიძემ. რეჟისორი ი. მათიაშვილი).

„დიდება მაქსიმ გორკის". საკუთარი ლექსი წაიკითხა მოსწავლეთა თეატრის მსახიობმა მანდიკაურმა.

გორკის ოთხმოქმედებიანი პიესა „ფსკერზე" წარმოადგინა კულტურის სახლის რუსულმა დრამატულმა კოლექტივმა (რეჟისორი გ. სარჩიმელიძე). მონაწილეობდნენ: შ. სამუშია, მ. ამირაგოვა, ჯ. ჯარიაშვილი, ს. კაზარიანი, ქ. არუთინოვი, ა. ბესტერი.

„ზეიმი საქართველოში"—საკუთარი ლექსი წაიკითხა მოსწავლეთა თეატრის მსახიობმა ნ. ქრისტესაშვილმა.

თ. ფერაძის ერთმოქმედებიანი პიესა „ვინ მოტყუვდა", წარმოადგინა გორკის სახელობის კულტურის სახლის მოსწავლეთა თეატრმა. მონაწილეობდნენ: ს. ხაბეიშვილი, ზ. ქავთარაძე, ქ. დაქიშვილი, ნ. ჯოჯუა, ვ. ნასყიდაშვილი, თ. ბახია, ც. სამსონია.

მ. გორკის მოთხრობა ციკლიდან—„იტალიური ზღაპრები"—წაიკითხა სახალხო თეატრის მსახიობმა გ. ჯავახიშვილმა, რომელსაც მიჰყავდა აგრეთვე პროგრამა.

ბიბლიოთეკამ, „საბჭოთა საქართველოს" საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით, შეხვედრა მოუწყო აქტიურ მკითხველს, რევოლუციის ვეტერანს გ. ციალაძეს.

გ. ციალაძის მოღვაწეობის შესახებ ილაპარაკა გორკის სახელობის კულტურის სახლის „პოეზიის მრგვალი მაგიდის" ხელმძღვანელმა, პოეტმა ა. შანიძემ. მოგონებებით გამოვიდნენ პოლკოვნიკები: ვ. კელაძე, ა. გიორგაძე, ვ. ჰინჭარაძე, თ. ჩახუნაშვილი, ა. ხახუბია, ბიბლიოთეკის მკითხველები: რ. ებრალიძე, ე. სირბილაძე, ა. კოკაია; მწერლები: ს. წვერავა, გ. ქავთარაძე, თ. ჯანგულაშვილი, ვ. გორგანელი, ს. მხარგრძელი.

გ. ციალაძემ დამსწრეებს მოუთხრო თავისი შრომისა და ბრძოლის ეპიზოდები. დასასრულს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობას მადლობა გადაუხადა.

1974 წლის 31 მარტს გორკის სახელობის კულტურის სახლის საბავშვო სექტორმა და ბიბლიოთეკის საბჭომ მოაწყო კითხვა-პასუხის საღამო ათეისტურ თემაზე, ციკლიდან „მეცნიერება და რელიგია". დასასრულს გაიმართა კონცერტი.

ამ საღამოს შესახებ გაზეთი „თბილისი" წერდა:

„საქართველოს პროფკავშირული ორგანიზაციები და მათი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან მუშა-მოსამსახურეთა მეცნიერულ-ათეისტური აღზრდისათვის. კლუბებში, კულტურის

სახლებსა და სასახლეებში, ბიბლიოთეკებში, წითელ კუთხეებში იმართება ლექციები და მოხსენებები, კონსულტაციები, კითხვა-პასუხის საღამოები მეცნიერულ-ათეისტურ თემებზე, ეწყობა გამოფენები და უჩვენებენ კინოფილმებს ანტირელიგიურ თემებზე. მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა კარგად არის დაყენებული დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კლუბში, კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირის გორკის სახელობის კულტურის სახლში"...

დადგენილების თანახმად მოხდა მთელი ფონდის რეკლასიფიკაცია — შეიცვალა წიგნების ინდექსები, დაიწყო განყოფილებებად და ქვეგანყოფილებებად, განლაგდა იგი სისტემატურ-ანბანური წესით, ქართულ-რუსული, სომხური. ასევე განლაგდა საბავშვო ლიტერატურა სკოლამდელი უფროსი და საშუალო ასაკის ბავშვებისათვის. გადამუშავდა 4000 წიგნი ორი წლის განმავლობაში და განლაგდა თაროებზე ახალი კლასიფიკაციის მიხედვით.

ამ დიდი მუშაობის ჩატარება მოუხდა, როგორც ბიბლიოთეკის გამგეს რ. მიქელაძეს, ასევე ბიბლიოთეკარებს თ. ნადარეიშვილს, ნ. გელაშვილს, მ. გაბედაშვილსა და ზ. ბოჭორიშვილს.

ბოჭორიშვილი, ბიბლიოთეკაში აქტიური მუშაობის პარალელურად, იყო ამხანაგური სასამართლოსა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, ამჟამად ადგილობრივი კომისიის თავმჯდომარე და პარტიული განათლების ქსელში ჩაბმულთა მამასახლისია.

ბიბლიოთეკასთან მოქმედებაში იყო 20 მოძრავი ბიბლიოთეკა, რომელიც ურჩევდა, როგორც სათანადო ლიტერატურას, ისე უწევდა მეთოდურ დახმარებას მკითხველებს, მაგრამ ამჯერად იგი საგრძნობლად შემცირდა, ფაბრიკა-ქარხნებში ბიბლიოთეკების დაარსების გამო.

გაუმჯობესდა ბიბლიოთეკის საბინაო მდგომარეობა. გაიზარდა წიგნსაცავის, სამკითხველო დარბაზისა და სამუშაო ოთახების ფართობი, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა ბიბლიოთეკის სამუშაო პირობები.

ბიბლიოთეკის მაღალ დონეზე მუშაობისათვის, ბიბლიოთეკის გამგე რ. მიქელაძე არაერთხელ ყოფილა დაჯილდოებული დიპლომებითა და სიგელებით. 1970 წელს მან „შრომითი მამაცობისათვის" მედალი დაიმსახურა, ხოლო 1971 წელს მიენიჭა დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო წოდება.

□□

გორკის სახელობის კულტურის სახლის კინომოყვარულთა სტუდიის ბიოგრაფია 1969 წლიდან თამაზ რუსეიშვილის ხელმძღვანელობით იწყება. ამ

საქმის ორგანიზატორებად, პირველ ენთუზიასტებად გვევლინებიან გ. ჯავახიშვილი, ა. დადებულიძე, პ. წეველიძე, ნ. გოციროძე, ა. ბადიცკაია.

კინოგადამღებმა ჯგუფმა დაიწყო მუშაობა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის „ყიყლიყოს" გადაღებით. ამ ფილმით იწყება გორკის სახლის კინომატიანეს პირველი ფურცელი. სიუჟეტი აღებულია ჩეხი მწერლის ნაწარმოების მიხედვით. ფილმი გატანილი იქნა რესპუბლიკურ ფესტივალზე პროფკავშირების სახლში, ხოლო დასკვნით ტურზე ფიზკულტურის სააქტო დარბაზში. ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტები: გ. ასათიანი, ს. დოლიძე, და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნ. სანიშვილი.

ჟიურის თავმჯდომარეს გ. ასათიანს განსაკუთრებით მოეწონა ფილმი „ყიყლიყო". ასევე მაყურებელმა, რომელთა ძირითადი ნაწილი ახალგაზრდები იყო, ფილმს დადებითი შეფასება მისცა. თავმჯდომარემ მოითხოვა გადამღები ჯგუფი დარბაზში შემოსულიყო. გაისმა ტაში. დარბაზში ავტორები გამოჩნდნენ. ფილმის ავტორები სიხარულისაგან დაიბნენ, გაკვირვებით შესცქეროდნენ ერთმანეთს. გ. ასათიანმა მადლობა გადაუხადა კინომოყვარულებს, და ეს თითქოს გზის დალოცვა იყო მათი შემდგომი წარმატებისათვის.

მიზანი და ამოცანა, რომელიც კინომოყვარულთა ჯგუფის წევრებმა დაისახეს ფილმის შექმნის პროცესში, სწორი და გამართლებული გამოდგა.

ამ დიდი წარმატების შემდეგ გორკის სახლის კინომოყვარულთა სტუდიის ეს ნამუშევარი წარადგინეს მოსკოვში კინომოყვარულთა ფილმების საკავშირო ფესტივალზე, რომელიც გაიმართა კინოს ცენტრალურ სახლში.

კინომოყვარულთა ფორუმის ჟიურიმ და მონაწილეებმა ნახეს 15 მოკავშირე რესპუბლიკის 2600-ზე მეტი ფილმი. კინოდარბაზში შეიკრიბა კინემატოგრაფიის ბევრი ენთუზიასტი, საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული, ზუსტ მეცნიერებათა წარმომადგენლები. ყველა მოუთმენლად ელოდებოდა დათვალიერების შედეგების გამოქვეყნებას. მოუთმენლად მოელოდნენ გორკის კლუბელებიც, კინოხელოვნებაში თავიანთი პირველი სერიოზული გამოცდის შეფასებას. მიკროფონთან მიდის ჟიურის თავმჯდომარე, სსრ კავშირის კინემატოგრაფიის კავშირთან არსებული, კინომოყვარულთა სექციის ხელმძღვანელი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი გ. როშალი. მან თქვა: „სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა მეორე ხარისხის დიპლომი და ფულადი პრემია ენიჭება საქართველოს რესპუბლიკიდან წარმოგზავნილ ფილმებს „მე კიროველი ვარ" და „ყიყლიყოს" ფილმს გადაღებულს გორკის სახლის მიერ".

გარდა ამისა, ფილმმა „ყიყლიყომ" ბალტიისპირეთის ტრადიციულ ფესტივალზე საკავშირო კინემატოგრაფიის სპეციალური პრიზი დაიმსახურა.

# ავლაბრის პირველი მუშათა თეატრისა და წრის დამაარსებელნი

1902 წ.



ვანო იმედაშვილი



იოსებ იმედაშვილი



ლევან კოლოსოვი



თ ბ[illegible]შვილი



ბესო მაისურაძე



ლევან ბალაშვილი



რომანოზ სალაყაია



ალექსანდრე ბაჯიაშვილი



ვანო მჭედლიშვილი



ავლაბრის პირველი მუშათა თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურაშკო მეუღლესთან მსახიობ ნადეჟდა გავრილოვასთან ერთად.

მურაშკოს თეატრი



მურაშკოს თეატრის ხედი



მურაშკოს თეატრის პირველი ფარდა 1902 წ.



ავლაბრის პირველი მუშათა თეატრის ქართული დასის დამაარსებელი და მთავარი რეჟისორი იოსებ იმედაშვილი



იოსებ იმედაშვილი მეუღლესთან ერთად




[illegible] ციხეში 1910 წელს



მსახიობი და რეჟისორი სოკრატ სულთანიშვილი




სტალინი საჟანდარმერიო [illegible] 1908 წელს



ნაკ.

[illegible]
[illegible]
მ [illegible]
[illegible]

შეერთდით, ძირს თვითმპყრობ
პუბლიკას". 1905—1907 წლები.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა
გაუმარჯოს დემოკრატიულ რეს-



უბნის ახალგაზრდა და მცირეწლოვან რევოლუციონერთა რაზ-
ახალგაზრდები უთანაგრძნობდნენ უფროს თაობას პროკლამაცი-
ების [illegible] ლიტერატურის გავრცელებაში. ყარაულობდნენ
შეკრებებსა და კრებებს, აცნობდნენ კაზაკთა რაზმე-
ბის [illegible] მოახლოებას. სურათი გადაღებულია 1906 წელს არსენა
ჯორჯიაშვილის ჩამოხრჩობასთან დაკავშირებით.



სიონის უბანში ნოშრევანის ქუჩაზე გამართული ბარიკადები 1905-1907 წლებში



სიონის უბანში ნოშრევანის ქუჩაზე დემონსტრაცია 1905 წელს, მესან-
ბატალიონის ჯანყების დროს



ცნობილი რევოლუციონერი არსენა ჯორჯიაშვილი



პოეტი-რევოლუციონერი და მუშა მსახიობი მიხეილ ლელაშვილი



სახალხო წარმოდგენების ორგანიზატორი და სცენისმოყვარეთა შორის რევოლუციური მუშაობის მეთაური ანდრო გოჩიტაშვილი



რევოლუციონერი და მსახიობი იროდიონ ევდოშვილი



პოეტი-რევოლუციონერი გიორგი ქუჩიშვილი



პოეტი-რევოლუციონერი და ქართული თეატრის მოყარნახე ბეგლარ ახოსპირელი







სახალხო მგოსანი იეთიმ გურჯი



ანტონ ფურცელაძე



მუშა.პოეტი გიორგი შინატეხელი



მუშა-პოეტი გიგო ხუციაშვილი



მუშა-პოეტი შაქრო ნავთლუღელი



მწერალი და დრამატურგი პოლიო ირეთელი



[illegible]



დრამატურგი ია ეკალაძე



საზოგადო მოღვაწე ივანე გომართელი



დრამატურგი — მოკარნახე ალექსანდრე ბაჭიაშვილი



არაქსიანის თეატრის დამაარსებელი ცნობილი მსახიობი კოლოს არაქსიანი

არაქსიანის თეატრი



არაქსიანის თეატრის ხედი



ქართული დასის ხელმძღვანელი და ორგანიზატორი. საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გეორქ ფირუმიანი



1

თეატრის ქართული დასის პირველი რეჟისორი რომანოზ სალაყაია



ავლაბრის ქართული მუშათა თეატრის ერთ-ერთი ორგანიზატორი თომა ნასიძე



ახალქალაქის ქართველ სომეხ სცენისმოყვარეთა დასი



დრამატურგი ავქსენტი ცაგარელი



ნიკო მოურავი — ბესო მაისურაძე. „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“



ხანუმა — ბესო მაისურაძე. „ხანუმა“



ელისბარ ერის[illegible] [illegible] თამარ ბატონიშვილი



დრამატურგი



მ. ორჯონიკიძე — გიგო ჭეკეჩხაშვილი, ზიმზიმოვი —
წერეთლის ,,ჯაყო"



მარცხნიდან გიორგი ქუქუნაშვილი და სანდრო მატროსოვი. „პეპო“



მარცხნიდან: ჯახტახიძე, ვ. ქუქუნაშვილი, თ. კობახიძე, ს. მატროსოვი, ე. ტატულოვი და ნ. მირველოვი. „პეპო"



…ობი დესპინე ივანიძე



მსახიობი დავით თვალქრელიძე



მსახიობი. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პავლე ფრანგიშვილი



მუშა მსახიობი გიორგი ბარელი (ყანჩელი)



მსახიობი ვიქტორ მატარაძე



მსახიობი და რეჟისორი დავით ჩარკვიანი



არსებული საესტრადო ორკესტრი



კორადო — სვიმონ სვიმონიძე. „დამნაშავის ოჯახი“



ფროშარი — ნატო გაბუნია. „ორი ობოლი“



ხანუმა — ნატო გაბუნია „ხანუმა“



საქართველოს სახალხო არტისტი შაქრო გომელაური



მხატვარი ვიქტორ გამყრელიძე



ურიელი — ლადო მესხიშვილი. „ურიელ აკოსტა"



ლევან ხიმშიაშვილი — ლადო მესხიშვილი, „სიმონ ლიონიძე — კოტე ყიფიანი. „სამშობლო“



ითარ ბეგი — ვალერიან გუნია „ღალატი“



პრისტავი ნიკო მეტრეველი. საქო — ნიკო გოცირიძე — „მსხვერპლი"



ფოტოდან ორიგინებები. მარჯვნიდან
ძე და ვაჟი



სარა — [illegible] [illegible] „ხანუმა“



მსახიობი და მწერალი ილია ზურაბიშვილი





ლოტბარი როს



მომღერალი ხელ. კულტურის დამსახურებული
მუშაკი ილია გიძე



ქალთა ქორი
წელს ოთხებ გოძიაშ



ვაჟთა პირველი ქო გუნდი დაარსებული
წელს იოსებ ნის ლოტბარი, გვერდში
ილია გოძიაშვილი



მთარგმნელი და [illegible] გოგიაშვილი



კომპოზიტორი
ივანე გოკიელი

მთარგმნელი და დრამატურგი



ხალა რუსადუმე

ასია — წსაზოობი [illegible]



მსახიობი და რეჟისორი სოსო ივანიძე



სცენისმოყვარეთა ჩგუფი მირკელოვი.
ლ. ბალაშვილი, იოსებ იმედაშვილი, გ. ლორიქიძე, ალ. ღვანი.
სტ. ბეგიჯანოვი, დ. მესხიშვილი, გრიშ შენგე.



ავლაბრის ურის ძველი ხელნისმოყვარეები 1933 წელს
გესო მაისურაძის ბა ქი ქალაქ სელის სახაფლაოსთან შეკრებილნი.
ქოჩზე ურღვთით ოსებ იმედაშვილი. მარცხნიდან მეორე-
ში უსის იოსებ გრიშაშვილი. მარჯვნიდან თომა ნასიძე



მსახიობი და რეჟისორი ცხრა კოლოლაშვილი



მსახიობი ელენე ჯორჯიაშვილი (არსენა ჯორჯიაშვილის და)



საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, გიორგი დარისპანაშვილი





მსახიობი გიორგი ცხოვრებაშვილი





მსახიობი ვასო ფერიაშვილი



მსახიობი შალვა ლეჟავა



მოკარნახე ალ-ტონ მამულაშვილი



ალავერდელი





მსახიობი გოგლა მანგოშვილი



რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მიხეილ სულთანიშვილი



მსახიობი მიხეილ კორელი (სულთანიშვილი)



ლადო სულთანიშვილი



მსახიობი ივანე მჭედლიშვილი



[illegible] ბესო ძარსელაძე



მსახიობი გიგა გელიკურაშვილი



მსახიობი დავით მელაშვილი



მსახიობი ლევან ბალაშვილი



მსახიობი ლევან პოლოსოვი



მსახიობი იოსებ რევაზოვი



მსახიობი და რეჟისორი ნიკო მირველოვი



მსახიობი მოსე ჯანველოვი



მსახიობი ვანო იმედაშვილი



მსახიობი ვანო მარკოზოვი



[illegible] ერაძე



მსახიობი ალექსანდრე ხუციშვილი



მოცარნახე იოსებ ხუციშვილი



სახალხო თეატრების განვითარების საქმეში წვლილი მოუძღვის დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის სახელოვან და ღირსეულ გამგრძელებელს, მეცენატს ივანე კვეზერელს, რომელმაც დიდძალი თანხა გაიღო მურამჯო-არაქსიანის თეატრების სცენის მოწყობისა და საკუთარი გარდერობის შექმნის საქმეში



სახალხო თეატრების აქვავების საქმეში დიდი წ მოღვაწეს დავით ზაქარიას სარაჯიშვილის ღირსეულ გამგრძელებელს, მეცენატს დავით ფორაქიშვილს, რომელმაც ღირსეული თანხა გაიღო მეურამეთ — არაქსიანის თეატრების სცენის მოწყობისა და სათეატრო გარდერობის შექმნის საქმეში



სათეატრო ტანსაცმლის მკერავი, რეველი ბერთალის
სახალხო თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი



რესპუბლიკის დამსახურებული [illegible]
[illegible]



მსახიობი ანა ჟურიელი



მსახიობი მაკა ქართველიშვილი



მსახიობი ლიზა ვაშაკიძე



მსახიობი ვარვარა ნიკიფოროვა



მსახიობი თამარ ალხაზიშვილი



მსახიობა ფარო რჩეულიშვილი



მსახიობი ანა კაყაძე



მსახიობი მაშო მარჯველაშვილი



მსახიობი მარო ლელაშვილი



რესპუბლიკის დამსახურებული ყარალაშვილი



მოცეკვავე და დაირის დამკვრელი ილია ჩაჩახიძე

სახალხო თეატრების გულშემატკივარი

მაყურებელი ვასო ჩაჩანიძე





ქართველი მესახანდრეები 80-იან წლებში



მესახანდრე კეტა ჩარჩანიძე



მესახანდრე დათა ზუბიაშვილი



მსახიობი და მუსიკოსი ილიკო ქურხული

ნარუყეხის მუშათა თეატრი



მუსლიმანთა აუდიტორიის ხედი



ხარჯუხის მუშათა თეატრის დამაარსებელი და საზოგადო მოღვაწე გიორგი შათირიშვილი



სარეჯების მუშათა თეატრის პირველი გამგეობა



მსახიობი და რეჟისორი სერგო პეპანოვი



ლოტბარი სოლომონ



ხარფუხის სცენისმოყვარეთა დასი 1912 წელს



[illegible]

[illegible]



სცენისმოყვარეთა დასის ერთი ნაწილი. მარცხნიდან: გ. [illegible]უნა-შვილი, ს. [illegible]შტრიძე, ს. მირცხულავა, [illegible] მარცხნიდან დგა-ნან: [illegible], ჩარჩაძე და გ. დარისპანაშვილი



საყვარელი არტისტი გიორგი ჯაბაური







ძმები არჩილ და ილია ბარ შათირიშვილები



წელს



ხოობები. მარცხნიდან: ელიზბარ შათირიშვილი, ეპია კელუღაშვი-
ლი და ალდრი გოსიტაშვილი



შოთაობის პრეზიდიუმში მარცხნიდან: [illegible] იანვარაშვილი, პოეტი ... ხოხიაშვილი, აკადემიკოსი ... ნურაბაშვილი, ვ. მათირიშვილი, თ. ჭაბადარი, მწერალი რ. ელანიძე, აკადემიკოსი ე. ბერიძე, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ი. ვეკუა, აკადემიკოსი თ. გამყრელიძე, პროფესორი ი. ბოყვაძე



„შოთაობის“ დღეს იყალთოს აკადემიის ეზოში. მარცხნიდან ელიზბარ
ოიწვილები კომპოზიტორ რევაზ ლაღიძესთან ერთად




პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი



იოსებ გრიშაშვილი ახალგაზრდობაში



ნისმოყვარეები და ახლო
რესპუბლიკის სახალხო არტისტი გ. დარისპანაშვილი, ხელოვნებისმოყვარეებ
ა ქუთუთაშვილი, მათიაშვილი მეუღლე ცნობილი მოქან-
დაკე ქ. ჩაფარიძე, ახოზი და ჩაჩანიძე [illegible] [illegible] და ცხოვრე-
ბის მთავარი რედაქტორი გ. სახოკია, პოეტი აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი
და მხატვარი დ. თვალჩრელიძე



ძველი სცენისმოყვარეები მარჯანიშვილის სახლში და
გრიბოედოველი. ე. შალიკაშვილი [illegible] ნან [illegible]
ვახტანგოველი არეანზე კოტეს [illegible] [illegible] [illegible]
დავით ჩარასიძე

ორთაჭალის მუშათა თეატრი



ორთაჭალის მუშათა კლუბის ხედი



საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მსახიობი და რეჟისორი სურენ ავჩიანი



1923 სურ.

ნახატობის ბესო ... ლაგოძის

ზემოში მარცხნიდან უზიან: იოსებ იმედაშვილი ... კაი ... აბაშ

ქვნიდან ნიკო გოცირიძე



როსტომ ფირუმოვი



მუსტაფა ელ-[illegible]



მსახიობი სალო ფირუმოვი



მსახიობი ბაჩუკა ტირუშვილი



მსახიობი სანდრო ქსენოფონტოვი



მსახიობი გიორგი პაპინაშვილი

ნავთლუღის მუშათა თეატრი



ნავთლუღის მუშათა კლუბის ხედი



რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი. გიორგი ასიტაშვილი





სცენისმოყვარეები პრემიერის შემდეგ კომპოზიტორ მიხეილ ჩირინა-
შვილთან ერთად





რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გედევან ნავროზაშვილი



ფა — ალექსანდრე [illegible] „ხანუმა"



მარცხნიდან: ნ. ჩუხრუკიძე, ი. ქსოვრელი, ლ. ჯავახიშვილი, ლ. მღებრიშვილი. „საქმროების არჩევანი"





ცნრიკო ყარშელაშვილი



ჯუმღეკ



რუსუდანი — ლ. ჯავახიშვილი. „ჩაძირული ქვები"



მარცხნიდან ლ. ჭავჭავაძე, ნ. ხუბრიკიძე და თ. გურასაშვილი.
„[illegible]ისათვის"



დგას — ი. ქსოვრელი. წევს — ლ. ჯავახიშვილი. „პატიოსნებისათვის“



ზის — ლ. ჯავახიშვილი. დგას — შ. ტაბატაძე. „პატიოსნებისათვის"







ზეინაბი — ლ. ჭავახიშვილი, ითარ ბეგი    ქსოვრელი. „ღალატი"



დედოფალი ლ. ჯავახიშვილი. ლი… [illegible]



სპექტაკლის მონაწილე მსახიობები [illegible]



[illegible]

[illegible]



ხე-
ლან სამამ ლ. ტუოიაშვილი,
წიგნის ავტორი თ. გომართელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი
ლ. გოგიტიძე, მსახიობები მჭედლიშვილი და ნ. ქავქანიძე

მ. გორკის კულტურის სასახლე



მ გორკის კულტურის სასახლის ხედი



კულტურის დამსახურებული მუშაკი.
კულტურის სასახლის დირექტორი ილია კაპანაძე



კუჩნიტის სახელის თეატრის ხელმძღვანელი ილია მათიაშვილი



მარცხნიდან ჩუბინიძე. გაბილაია ბავშვის
გულისათვის



სცენა სპექტაკლიდან „ბავშვის გულისათვის"



გამგელია ოთიაშვილი, ზის — ა. მეხაძე
მეართველი



მარიაშვილი ესკი-
ზების განხილვა





რეჟისორი შალვა ჩერქეზიშვილი



არქიტექტორი — გოჩა გოგსაძე „ვანგაში"



[illegible] — [illegible] განგაში



მარცხნიდან: ს. ჩუბინიძე, ლ. კობეშავიძე „ვასა ჟელეზნოვა“



მ. ოცხნოვან დადო — ს. ჩუბინიძე, საფა — მ. გოგსაძე, ბორისი — ო. ბერიაშვილი „აწქვეუნიერი სამოთხე“



კიკვაშვილი, ს. ჩე-
ტალაქიშვილი.



მარგალიტა — [illegible] ბენდელიანი"



ჩაქარა — ფილიმონ კერესელიძე. „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"



ლილი მახვილაძე — კიკიკო ბენდელიანი





ოპვ



მარცხნიდან ლ. გვიშიანი, ვალ. ვაშაძე ე. მათირიშვილი.
„გინახავს, ვეღარ ნახავ"



სპექტაკლიდან „რაც გინახავს.



გიქუა — დიმიტრი ლაფერაშვილი. „რაც გინახავს, ველარ ნახავ“



სპექტაკლიდან



სცენა სპექტაკლიდან „რაც გინახავს, ვეღარ



მსახიობი მარო სმირდოვა დაირით



სხედან: შ. ჯანდიერი, ფ. კერესელიძე. დგას — დ. ჩარანიძე „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"



ბატონი — შალვა ჯანდიერი. „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“



მონაწილეების ერთი ჯგუფი პრემიერის შემდეგ



სტეფან მაკარიჩი — გიორგი ჟუჟუნაშვილი „უმწიფრელი“



ქალბატონი — მარო სმირდოვა. „მსხვერპლი“



ბოქაული შალვა ჯანდიერი.

„მსხვერპლი"



გაბო — დიმიტრი ლაფერაშვილი. შაქრო — გიორგი ქუქუნაშვილი.
„მსხვერპლი"



აკოფა — დავით ჩარჩანიძე მედუდუკეებთან ერთად. „ხანუმა“



ზის. დ ლაფერაშვილი, დგას. დ ჩარაიძე „ხანუმა“



კაკალა — ლუბა კობეშავიძე. „კოლმეურნის ქორწინება“



მარცხნიდან: ფაცია — ც. დვალაძე. ნიკა — ვალ. ჯამაძე. სეჯე — რ. სარ-ჯანაშვილი. უჩა — კ. ამაშუკელი. „კორჩილი მტრის ზურგში“



მსახიობი დავით მღვრელაშვილი









რუსული დრამატული დასის ხელმძღვანელი და რეჟისორი გიორგი სარჩიმელიძე



გიორგი სარჩიმელიძე სპექტაკლიდან „ფსკერზე“



ნასტია — მადლენა ამირაგოვა. „ფსკერზე“



ხოჯამიროვი სპექტაკლიდან „ფსკერზე"



სცენა სპექტაკლიდან



დგას — შ. სამუშია, ზის — ჯ. ჯარიაშვილი. [illegible]



დგანან: ფ. ამირხანიანი, ვ. ხოჯამიროვი. ზის: ნ. ერეომინა. „ჩემი საწყალი მარატი"



საბავშვო სექტორის გამგე მალვინა ბართაია



მოსწავლეთა თვალი

მ[illegible]იაშვილი



მოსწავლეთა თეატრის ხელმძღვანელი

და რეჟისორი ლება კობეშავიძე

მოსწავლეთა თეატრის დასი. შუაში
ზის რეჟისორი ლება კობეშავიძე





მხატვარი ადელ ჯემილიშვილი



დგას გ. გოგიჩაიშვილი, ზის — ო. თადაშვილი. „შევცდი მაპატიე"



არჩილ გომართელი — თ. თადიაშვილი. „სიყვარულის მსხვერპლი"



მარცხნიდან: მ. ილურიძე, გ. მგალობლიშვილი და თ. კილაძე.
„ლელის მსხვერპლი"



„სიყვარულის მსხვერპლი"



სცენა სპექტაკლიდან „ჩვენ ქაელანი"



პოლკოვნიკი — პ. წეველიძე „სასამართლო ქრონიკა"



მოსამართლე — ვ. მამესწარაშვილი. „სასამართლო ქრონიკა"



პროკურორი — ა. ჯღლებელიძე „სასამართლო ქრონიკა“



თოჯინების თეატრის პატარა მსახიობები. მარცხნიდან ზიან: მერაბ ღოღაძე. მზია წიკლაური. გია აბულაძე. მზია რაიმოვი. რუსუდან ბინია-შვილი. ბაჩო აბულაძე დგანან: დარეჯან საგინაშვილი. მაია დათურაშვილი. გოჩა სილაგაძე. მიხეილ ბინიაშვილი, ნანა ქათამაძე. ლიანა ტაბატაძე. შუაში დგას რეჟისორი ცირა ალავიძე



საქართველო და ავიამშენებელი ბრიგადის ხელმძღვანელი და დამაარსებელი ოთარ მიქაბერიძე



მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე [illegible]



მომღერალთა გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი შალვა ხვედელიანი



მომღერალთა გუნდი



საესტრადო ორკესტრი. „ცისარტყელას" ხელმძღვანელი ირაკლი ყარალაშვილი



ქალთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი [illegible] მარცხნიდან: [illegible] [illegible] ლ. მერაბიშვილი, [illegible] ხელაძე, ე. [illegible]



ცეკვის ანსამბლის კონსულტანტები: მათიაშვილი, ი. სუხიშვილი, ნ. რამიშვილი, ა. ეფქვთიმიშვილი



მოცეკვავეთა ანსამბლის ხელმძღვანელი, ქორეოგრაფი ანდრო დოლიძე



ცეკვა „ხორუმი“



მოცეკვავეთა ანსამბლი



სოლისტები ნაირა ივა ასანიძე





მოცეკვავეები ხევსურულ კოსტუმებში



[illegible]



პოეზიის მოყვარულთა წრის ხელმძღვანელი.   ალექსანდრე მანიძე



კულტურის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი, კონსერვატორიის დოცენტი არჩილ მეგრიძანოვი



ბიბლიოთეკის გამგე რუსუდან მიქელაძე



ბიბლიოთეკარი ზინა ბოჯორიშვილი



სცენის კონსტრუქტორი და დეკორატორი ლევან ხასიევი

ფილმი ტირაჟირებული იქნა როგორც საუკეთესო ნამუშევარი და ნაჩვენები იქნა ფართო აუდიტორიისათვის.

კინომოყვარულთა შემოქმედების შემდგომი ეტაპი უკავშირდება 1972—1973 წლებს. კინოსტუდიის მუშაობა განსაკუთრებით ნაყოფიერია ამ წლებში. შეიქმნა ოთხი ფილმი, რომლებმაც რესპუბლიკურ ფესტივალზე განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს. გ. ჯავახიშვილის სცენარის მიხედვით შექმნილი ფილმი „გზები", 16 მილიმეტრიანი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „რეპეტიცია", კინორეპორტაჟი „კომუნისტურ შაბათობაზე" და კინონარკვევი „იმედის საათები". ამ უკანასკნელი ფილმის სიუჟეტი ეხება ჟურნალისტ ა. დადიანისა და ფოსტის მუშაკის შ. აგაჯანიანის კეთილშობილურ საქმიანობას. ეს ფილმები წარდგენილი იყო 1973 წელს რესპუბლიკის კინოფესტივალზე, რომელსაც ჩვენთვის უკვე ნაცნობი ჟიური ხელმძღვანელობდა. „გზებმა" და „იმედის საათებმა" პირველი ხარისხის დიპლომი და ფულადი პრემია დაიმსახურეს, ხოლო ფილმებს „რეპეტიციას" და „კომუნისტურ შაბათობას" წილად ხვდა მეორე ხარისხის დიპლომი და წამახალისებელი ფულადი პრემია.

1974 წელი კინომოყვარულთა სტუდიამ მთლიანად დაუთმო მშრომელი ადამიანების პორტრეტების შექმნას. გამოშვებული იქნა ორი მოკლემეტრაჟიანი ფილმები „შენი თანამედროვე" და „სიტყვის კაცი", რომელიც მოგვითხრობს ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნისა" და ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მოწინავე მუშებზე, უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ვ. რომანისთაველისა და ი. მაჩაბელის საქმიანობაზე.

1974 წელს ჩატარებულ რესპუბლიკურ ფესტივალზე ორივე ფილმმა მეორე ხარისხის დიპლომი და ფულადი პრემია დაიმსახურა. პირველი პრემია არავის ხვდომია წილად.

ხოლო იმავე წელს საკავშირო ფესტივალზე, რომელიც ქ. კალინინში ჩატარდა დევიზით: „ჩემი შემოქმედებითი შრომა" და „ჩემო სამშობლო" — შრომის დიდებას უმღერდა. „ჩვენ ვცდილობდით გაგვეხსნა შრომის ჭეშმარიტი პოეზია, გვეჩვენებინა იგი შეულამაზებლად, ყოველგვარი გარეგნული ეფექტების გარეშე" — ამბობს თ. რუსეიშვილი. ფილმი მართლაც პოეტური და მიმზიდველი გამოვიდა, რაც პრესაშიც აღინიშნა.

ჟიურიმ მაღალი შეფასება მისცა ქართველ კინომოყვარულთა ამ ნამუშევარს. ფილმებმა სპეციალური დიპლომები დაიმსახურეს.

ამჟამად კინოსტუდია მუშაობს ვ. ურჯუმელაშვილის მოთხრობის მიხედვით შექმნილ სცენარზე, რომელიც ეკუთვნის აწ განსვენებულ გ. ჯავახიშვილს. ფილმს ეწოდება „სხვადასხვა შეხვედრები". ფილმი ეხება სამამუ-

ლო ომის თემას. ასევე, სამამულო ომის თემაზე შეიქმნება ფილმი „დამსხვრეული ოცნება“, რომელიც სიუჟეტურად გაგრძელება იქნება პირველი სურათისა „ყიყლიყო“.

კინომოყვარულთა სტუდიის მიზანია შექმნას ო' გენრის „ოქროს“ ეკრანიზაცია. სტუდია ამჟამად აერთიანებს 20 წევრს.

გორკის სახელობის კინომოყვარულთა მიერ მოპოვებული წარმატებები შემთხვევითობას ან მოდასაყოლილი ახალგაზრდების წუთიერ გატაცებას როდი უნდა მივაწეროთ. ეს იყო კინოხელოვნების მიმართ ნამდვილი შემოქმედებითი სიყვარული, რამაც ბევრი მათგანის ბედი საბოლოოდ დაუკავშირა პროფესიულ კინოს. მათ შორის დავასახელებთ კინოსტუდიის ბაზაზე აღზრდილებს ნ. გოცირიძეს (ამჟამად კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ოპერატორის პირველი ასისტენტი), ა. ბადიცკაიას (კინოსტუდია „ქართული ფილმის“ პირველი ასისტენტი), ა. დიდებულიძე (საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თანამშრომელი. იგი მუშაობის პარალელურად, სწავლობს კინოსარეჟისორო ფაკულტეტის IV კურსზე).

ძირითადად კინოსტუდიაში გაერთიანებული არიან კვების მრეწველობის მუშაკები და ოქტომბრის რაიონის მუშა-ახალგაზრდობა.

გორკის სახელობის კულტურის სახლის კინოსტუდიის შექმნა-ჩამოყალიბებაში, მისთვის შემოქმედებითი და იდეური გზის ჩვენებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს მაშინდელმა კინომოყვარულთა კლუბის დირექტორმა პ. ა. გორდელაძემ, რკინიგზელთა სახლის კინომოყვარულთა სტუდიის ხელმძღვანელმა გ. აბელიშვილმა.

აღნიშნული სტუდიები და მისი ხელმძღვანელები დღესაც მეგობრულ ურთიერთშემოქმედებაში არიან გორკის სახელობის კულტურის სახლთან. სწორედ ამის შედეგია, რომ ახლო მომავალში შეიქმნება სრულმეტრაჟიანი ფილმი, რომელიც იქნება უნივერსიტეტის, რკინიგზელთა სახლისა და გორკის სახელობის კინოსექციების ერთობლივი ნაწარმოები. იგი მიეძღვნება თბილისელი სტუდენტების შრომასა და სწავლას.

კინომოყვარულთა სტუდიაში ამჯერად ორი გადამღები ჯგუფია. პირველ გადამღებ ჯგუფში შედიან: პ. წეველიძე, ა. მინდიაშვილი, ა. ჭინჭარაძე, ა. ბადიცკაია და სხვ. მეორე გადამღებში—ა. დიდებულიძე, ნ. გოცირიძე, ნ. ქურთაული, ზ. კოპალეიშვილი, ზ. ქავთარაძე და სხვები.

გადამღებ ჯგუფსა და სტუდიას შემოქმედებითად, დღიდან შექმნისა, ხელმძღვანელობს თ. რუსეიშვილი.

სტუდია ამჯერად აერთიანებს 20 წევრს. კინომოყვარულებს უკვე დიდი ხანია შესრულებული აქვთ სახალხო კინომოყვარულთა სტუდიისათვის საჭი-

რო ნორმები და მალე მიენიჭებათ კინომოყვარულთა სტუდიის სახალხო წოდება.

კინოსექციის შესანიშნავმა ნამუშევრებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს გორკის სახელობის კულტურის სახლის კინომოყვარულთა მრავალმხრივი შესაძლებლობა.

□□

ცნობილია, რომ რუსული თეატრის დიდი რეფორმატორი კონსტანტინე სტანისლავსკი მუდამ სათუთად და სიყვარულით ეკიდებოდა სცენის ტექნიკურ მუშაკებს. დიდ რეჟისორს ისინი მიაჩნდა იმ ადამიანებად, რომლებიც კულისებს მიღმა ქმნიან სპექტაკლს.

ასეთ ნიჭიერ ოსტატთა რიცხვს ეკუთვნის დურგალ-დეკორატორი ლევან ხასიევი, რომელიც ხუთი ათეული წელია გატაცებით ემსახურება სათეატრო ხელოვნებას. მან იცის, რომ კარგად და გემოვნებით გამართული სცენა გაშლილი სარბიელია წარმოდგენის მსვლელობისათვის. ამაზე ბევრად არის დამოკიდებული სპექტაკლის გამარჯვება.

ლ. ხასიევი დაიბადა 1901 წელს თბილისში მუშის ოჯახში. შრომითი საქმიანობა 18 წლისამ დაიწყო, მაგრამ მისი ოცნება თეატრთან დაახლოება იყო და აი, მისი ნიჭიც დურგალ-დეკორატორობაში გამოვლინდა.

ვინ მოთვლის ნახევარი საუკუნის მანძილზე ლ. ხასიევს რამდენ რეჟისორსა და მხატვართან უმუშავია, რამდენი ჩანაფიქრისათვის შეუსხამს ხორცი. იგი დურგალ-დეკორატორად მუშაობდა აზერბაიჯანულ თეატრში ცნობილ რეჟისორთან ვ. ყუშიტაშვილთან. მის მიერ განხორციელებულ სპექტაკლების — „ოტელო“, „ჰამლეტი“, „შამილი“ — დადგმისას მარჯანიშვილთან („მასკარადი“, ტყიბულში „ანზორი“, მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში „რომეო და ჯულიეტა“, მუსიკალური კომედიის თეატრში „არშინ მალ-ალანი“, ხოლო სანკულტურის თეატრში „კრაზანა“, „ერთი ოჯახის ისტორია“, „პროფესორ დოუელის თავი“, „პლატონ კრეჩეტი“, „მცდარ გზაზე“, საგზურები“ და მრავალი სხვა.

ლ. ხასიევს ამ ხნის მანძილზე უმუშავია რეჟისორებთან ვ. ყუშიტაშვილთან, გრ. სულიაშვილთან, ბ. გამრეკელთან, ალ. თაყაიშვილთან, ვ. ნინიძესთან, ნ. გოძიაშვილთან, გრ. ლაღიძესთან, რ. ყენიასთან, სეფისკვერიძესთან; მხატვრებთან ნ. ყაზბეგთან, კ. ნინიძესთან, იაკაშვილთან, ი. სუმბათაშვილთან, გ. ქორქოლაძესთან, ა. ჯემილაშვილთან და სხვ.

„თეატრში ჩემ მისვლას—გვიამბობს იგი—ცნობილ რეჟისორს ვ. ყუშიტაშვილს უნდა ვუმადლოდე. სწორედ მან მიმიყვანა პირველად თეატრის კული-

სებში და მაზიარა ჩემს საყვარელ პროფესიას. ბევრმა შეიძლება ჩემი პროფესია არაფრად ჩათვალოს, მაგრამ მე ამით ვცხოვრობდი და ახლაც ამით ვსუნთქავ. დურგალ-დეკორატორიც მხატვარია, ხელოვანი. მასაც ფანტაზია და ოცნება სჭირდება. აბა, რა იციან მაყურებლებმა, როცა ისინი სცენაზე გამოსულ მსახიობებს, რეჟისორს თუ მხატვარს ტაშს უკრავენ, კულისებს იქით, ამ შემოქმედებითი გამარჯვებისათვის ჩემს სიხარულს საერთო ზეიმს რომ უერთებ!"

და მართლაც. სპექტაკლების მიღმა, რომელთაც ათასობით მაყურებლისათვის ესთეტიკური ტკბობა და სიხარული მოაქვთ, ადამიანთა დიდი რაზმია, ისინი სცენაზე არ ჩანან, მაგრამ მათი გამრჯე მარჯვენის მადლი ყველაფერს ატყვია. ეს ადამიანები ძალასა და ენერგიას არ იშურებენ იმ სახალხო საქმის სამსახურისათვის, რომელსაც თეატრი ჰქვია. და თუ გულით არ გიყვარს თეატრი, თუ მთელი არსებით არ ეთაყვანები მას, ძნელი როდია წარმოდგენის წარმატებაში შენი წვლილის შეტანა.

მ. ხასიევის დიდი სურვილი იყო მისი ოჯახის წევრებიც დაეკავშირებინა თეატრთან და აი, ერთ დღეს აუხდა დიდი ხნის ნაოცნებარი. რეჟისორ გ. ნინიძეს ერთ-ერთ სპექტაკლში პატარა გოგონას როლის შემსრულებელი დასჭირდა, ლევანმა დიდი სიხარულით მოიყვანა თავისი გოგონა და ნინიძეს წარუდგინა. გოგონამ იმდენად სრულყოფილად გამოძერწა თავისი როლი, რომ პრემიერის შემდეგ დასში ჩაირიცხა. მარიკა ხასიევის აქ ნათამაშევ როლებიდან მაყურებლის გულწრფელი მოწონება დაიმსახურა. მაია ბრესტიმ „პლატონ კრეჩეტში", გულომ „აღდგენილ ოჯახში", მანანამ „შეხვედრა დღეობაზე" და სხვ.

მალე მ. ხასიევმა იმდენად გაითქვა სახელი პატარა გოგონების როლების ჩინებული შესრულებით, რომ იგი მოზარდ მაყურებელთა თეატრმა მიიწვია. მ. ხასიევი ორი ათეული წლის მანძილზე არ მოშორებია ამ თეატრს და მისი ნათამაშევი როლებით მუდამ კმაყოფილი რჩებოდა მაყურებელი. აქედან განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მარიკა „პატარა მეთხილამურეები", ნანა „დაკარგული დრო", პრინცესების როლი „თოვლის დედოფალი" და „ვარსკვლავთბიჭუნა".

ლევან ხასიევი, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად პენსიაზეა, ერთი ათეული წელიწადია ახალგაზრდული ენერგიით დგას გორკის სახელობის კულტურის სახლის სცენაზე და ჰქმნის შესანიშნავ დეკორაციებს პიესებისათვის: „კოლმეურნის ქორწინება", „არსენა", „ყვარყვარე თუთაბერი", „ჟამთაბერის ასული", „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ", „ხანუმა", „ჭიჭიკო ბენდელიანი", „სიყვარულის მსხვერპლი", „ქორწილი მტრის ზურგში", „მსხვერპლი", „ერთი დღე აგარაკზე", „ჰამლეტი პაიდენბურგიდან", „განგაში", „სასამართლო ქრონიკა", „სინათლე შენს ფანჯარაში", „მთის ლეგენდა" და სხვა მრავალი.

## ბოლოთქმა

ქართული თეატრის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახალხო თეატრებს, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 90-იანი წლების დამდეგს თბილისში, ავჭალის აუდიტორიაში (მუშა-ხელოსან სცენისმოყვარეთა წრის სახელწოდებით). თეატრის შექმნის ინიციატორები იყვნენ ახალგაზრდა მუშები: იოსებ იმედაშვილი, გიორგი ჯაბაური, მიხეილ თუმანიშვილი, ვასო უღლისძე და სხვანი. ეს იყო გარკვეული იდეურ-მხატვრული პოზიციების თეატრი, რომელიც გამოხატავდა მუშათა კლასის ინტერესებს ხელოვნებაში. ასეთი სახალხო თეატრები შემდეგში გავრცელდა თბილისის სხვა განაპირ უბნებშიაც (ავლაბარში, ნაძალადევში, ხარფუხში, ორთაჭალასა და ნავთლუღში, ვერაზე და სხვაგან). ყველა ეს თეატრები წინ უძღოდა 1909 წელს კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში არსებულ ქართული სახალხო წარმოდგენების მმართველი წრეს. ყველა ეს თეატრი თავისი მოღვაწეობის დროს მჭიდროდ იყო დაკავშირებული არალეგალურ-რევოლუციურ ორგანიზაციებთან. მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ ბრძოლებში ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. სახალხო თეატრების მოღვაწეობაში, როგორც სარკეში, აისახა ის წინააღმდეგობანი და ბრძოლა, რომელიც წარმოებდა მუშათა კლასისა და ბურჟუაზიის შორის თეატრალურ ხელოვნების სფეროში. რევოლუციამდელ წლებში ამ თეატრების მუშაობა იმდენად მაღალ დონეზე იდგა, რომ ზოგიერთ მათი წარმოდგენები პროფესიულ სპექტაკლებს უტოლდებოდა და ჯობდა კიდეც. კერძოდ ეს ითქმის სახალხო სახლის წრეზე, რომელსაც მან 1910 წელს სათავეში ჩაუდგა რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა. ამ თეატრებს ბევრი ისეთი მუშა ემსახურებოდა, რომლებიც არათუ რაიმე სარგებლობას ხედავდნენ, პირიქით საკუთარი სახსრებითაც კი ეხმარებოდნენ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ თეატრების მოღვაწეთა კონტინგენტი მუშებისაგან შედგებოდა. მუშათა კლასი იყო ამ თეატრების არსებობის მამოძრავებელი ძალა. ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ ეს სახალხო თეატრები ერთგვარი რეზერვი იყო, საიდანაც ემატებოდა ძალები ქართულ პროფესიულ თეატრს. შესაძლოა, ჩვენმა დღევანდელმა თაობამ არც კი იცის, რომ ქართული საბჭოთა თეატრის ისეთი ცნობილი ოსტატები, როგორიც იყვნენ აკაკი ხორავა, მიხეილ ჭიაურელი, უშანგი ჩხეიძე, ნიკო გოცირიძე, ვიქტორ ნინიძე, ზაქარია გომელაური, ნინო დავითაშვილი, ნატალია ჯავახიშვილი და მრავალი სხვა სახალხო თეატრის წიაღიდან გამოვიდნენ.

სახალხო თეატრის ეს საინტერესო ისტორია აუცილებლად უნდა გახდეს

ჩვენი შესწავლის საგანი. რამდენადაც მას დიდი დამსახურება მიუძღვის სათეატრო ხელოვნების სრულყოფაში.

ქართული სახალხო თეატრის ისტორია მეტად მდიდარი და მრავალფეროვანია. ვრცელია მისი კვლევის სფერო, მაგრამ სამწუხაროდ, ამ მიმართებით დღემდე ცოტა რამ არის გაკეთებული რამდენიმე მოგონება და სტატიები ზღვაში წვეთია იმ სამუშაოსთან, რომელიც განხორციელებას მოითხოვს. ბუნებრივია, რომ ამ საგანს გამოუჩნდა თავისი მკვლევარი რომელმაც ფუნდამენტური შრომები შექმნა ამ მიმართულებით. ეს გახლავთ წინამდებარე წიგნის ავტორი. უკვე რამდენიმე წელია, რაც პატივცემული თამარ გომართელი სახალხო თეატრებისა და მხატვრულ თვითმოქმედების სფეროში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. იგი ავტორია წიგნებისა: „მხატვრული თვითმოქმედება სახელმწიფო უნივერსიტეტში", „სტუდენტთა თეატრი და თვითმოქმედი კოლექტივები სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში", „ნაძალადევის მუშათა თეატრები", „მხატვრული თვითმოქმედება პოლიტექნიკურ ინსტიტუტში", „ნაძალადევის მუშათა ოსური თეატრი". ყველა ამ ნაშრომმა აღიარება მიიღო. ახლა კი ჩვენ წინ დევს თამარ გომართელის ახალი წიგნი „ისნის მუშათა თეატრები და მ. გორკის კულტურის სასახლის თვითმოქმედება". ამ წიგნში აღწერილია ავლაბარში დაარსებული სახალხო თეატრების ისტორია 900-იანი წლების დასაწყისიდან დღემდე. ასევე, სახალხო თეატრი ხარფუხში, ორთაჭალაში, ნავთლუღში და მათი ტრადიციების ერთგვარი გამგრძელებელია მ. გორკის სახელობის კულტურის სასახლის ქართული სახალხო თეატრი.

ფაქტობრივი მასალის სიმდიდრით და მათი გააზრებით მკითხველი ნათლად წარმოიდგენს, თუ რა დიდი შრომა გაუწევია ავტორს მასალების ძიებაში, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, არც ერთ ამ თეატრს არქივი არცა ჰქონია და არც დაუტოვებია. თამარ გომართელი დიდი მადლობის ღირსია ამ ნაშრომის შექმნისათვის; მისი საშუალებით ქართული თეატრის ისტორიას არ დაეკარგა სცენის უანგარო მოღვაწე მუშაკთა ღვაწლი. თამარ გომართელის შემდგომი მიზანია „ავჭალის აუდიტორიის (პირველი სახალხო თეატრი)" ისტორიის შესწავლა და დამუშავება. თუ ეს დიდი საქმეც შესრულდა ქართულ თეატრმცოდნეობას ექნება გარკვეული ამომწურავი წარმოდგენა იმ დიდ წამოწყებაზე, რასაც სახალხო თეატრი ეწოდება.

**გ. ბუხნიკაშვილი**

# შინაარსი

## თავი პირველი

პირველი მუშათა თეატრი ისანში 3
ამხანაგობის მიზანი 17
საშუალება 17
მოქმედების წესები 17

## თავი მეორე

არაქსიანი თეატრი 87

## თავი მესამე

გამსვლელი სპექტაკლი 163

## თავი მეოთხე

არაქსიანის მუშათა თეატრი პირველი რევოლუციის შემდეგ 157
ხარფუხის მუშათა თეატრი 421
მცირე ცნობები ორთაჭალის მუშათა კლუბის შესახებ 466
ნავთლუღის მუშათა თეატრი 512
მ. გორკის სახელობის კულტურის სასახლე 570
რუსული დრამატული კოლექტივი 629
ერთი მსახიობის სახალხო თეატრი 640
აგიტმხატვრული ბრიგადა 674
მომღერალთა გუნდი 676

**ГОМАРТЕЛИ ТАМАРА КАПИТОНОВНА**

**У ЗАНАВЕСИ НАРОДНЫХ ТЕАТРОВ**

**(На грузинском языке)**

**Издательство «Хеловнеба»**
**Тбилиси, пр. Плеханова, 179**

რედაქტორი ნ. კიჩუხაშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ნ. ქარუმიძე
მხატვარი ლ. ლეისჯილია
ტექრედაქტორი რ. კოხრეიძე
კორექტორი ნ. ქარუმიძე

გადაეცა წარმოებას 4. XII. 75 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 23. VIII. 76 წ.
ქაღალდის ზომა 70×90 1/16
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 21.69
ნაბეჭდი თაბახი 68,45
შეკვ. № 4430 უე 07377
ტირაჟი 7.000

გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი,
პლეხანოვის პროსპექტი 179,

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14

Изд-во ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул. Ленина, 14.